

ლილი ხეჩუაშვილი

# პიროვნება

შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში

I

თბილისი, 2013

# სარჩევი

---

## წინასიტყვაობა

## მადლობა

### ნაწილი 1: პიროვნების შესწავლა

თავი 1. პერსონოლოგია: მეცნიერება პიროვნების შესახებ

თავი 2. მეცნიერება და პიროვნება: ანალიზის დონეები და კვლევის მეთოდები

### ნაწილი 2: სოციალური დასწავლა და კულტურა

თავი 3. ბიჰევიორისტული ტრადიცია

თავი 4. ფ. ბ. სკინერი და რადიკალური ბიჰევიორიზმი

თავი 5. ალბერტ ბანდურა და სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

თავი 6. ადამიანის ქცევის ეკოლოგია

### ნაწილი 3: დისპოზიციური ნიშნები და ქცევის წინასწარმეტყველება

თავი 7. ნიშნების კონცეფცია: ძირითადი ცნებები და საკითხები

თავი 8. ნიშნების პერსონოლოგიური თეორია: გორდონ ოლპორტი და ინდივიდუალობის ფსიქოლოგია

თავი 9. ჰანს აიზენკი და ნიშნების ბიოლოგიური სამფაქტორიანი თეორია

თავი 10. რაიმონდ კეტელი და ნიშნების ფაქტორული თეორია

თავი 11. ხუთფაქტორიანი მოდელი: დიდი ხუთეული

### ნაწილი 4: მოტივაცია და მიზნები

თავი 12. ზიგმუნდ ფროიდი და კლასიკური ფსიქონალიზი

თავი 13. ჰენრი მარეის პერსონოლოგია

თავი 14: კურტ ლევინი: ველის ტოპოლოგიური თეორია, ცხოვრებისეული სივრცის კვლევა

თავი 15: კარლ როჯერსი: პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომა

თავი 16: მე და სხვები: ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების თეორია

### ნაწილი 5: განვითარების სტადიები და ამოცანები

თავი 17: ერიკ ერიკსონი და ფსიქოსოციალური განვითარების თეორია

თავი 18: ჯეინ ლოვინგერი და ეგოს განვითარების თეორია

### ნაწილი 6: ნარატიული მიდგომა პიროვნებისადმი: ჩვენს მიერ განვლილი ცხოვრების გზა

თავი 19: ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიები

თავი 20: პერსონოლოგია და ადამიანების ცხოვრების კვლევა

## დეტალური სარჩევი

### წინასიტყვაობა

### მადლობა

### ნაწილი 1: პიროვნების შესწავლა

#### თავი 1. პერსონოლოგია: მეცნიერება პიროვნების შესახებ

##### პიროვნების ფსიქოლოგია: წარსული და აწმყო

დარგის ფორმირება

თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების ეტაპები

პერიოდი 1: ისტორიული საფუძვლები, 1930-იან წლებამდე

პერიოდი 2: სისტემების ფორმირება, 1930-1950

პერიოდი 3: კონსტრუქტების შემუშავება, 1950-1970

პერიოდი 4: ეჭვები და ახალი ნდობა, 1970-დღემდე

პიროვნების ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიის სხვა დარგები

პიროვნების ფსიქოლოგიის ორგანიზების სტრუქტურა

პიროვნება, როგორც მეცნიერული კვლევის სფერო

##### პიროვნების ცნება

ტერმინის ეტიმოლოგია

რა არის პიროვნება

ალტერნატიული პასუხები

პიროვნების ცნების ოლპორტისეული კლასიფიკაცია და განმარტება

ძირითადი, რაც საერთოა ყველა განსაზღვრებისთვის

##### პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები

ფსიქოდინამიკური თეორიები

ბიჰევიორიზმი

ჰუმანიზმი

სოციალური დასწავლის თეორიები

სიტუაციონიზმი

##### პიროვნების თეორია: მიმოხილვა

რა არის თეორია

თეორიის კომპონენტები

თეორიის ფუნქციები

რა არის პიროვნების თეორია

პიროვნების თეორიის ფუნქციები

ახსნა

პროგნოზირება

პიროვნების თეორიები და სხვა ფსიქოლოგიური თეორიები

პიროვნების თეორიის შეფასების კრიტერიუმები

შემოწმებადობა  
 ევრისტიკული ღირებულება  
 შინაგანი შეთანხმებულობა  
 ეკონომიურობა  
 მოცულობის დიაპაზონი  
 ფუნქციონალური მნიშვნელობა

### **პიროვნების თეორიის კომპონენტები**

პიროვნების სტრუქტურა  
 პიროვნების ნიშანთა კონცეფცია  
 პიროვნების ტიპთა კონცეფცია  
 პიროვნების დინამიკა  
 პიროვნების განვითარება  
 ფსიქოპათოლოგია  
 ფსიქიკური ჯანმრთელობა  
 პიროვნების შეცვლა თერაპიული ზემოქმედებით

### **პიროვნების ფსიქოლოგიის ორი ძირითადი ტრადიცია**

გოლფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716)  
 ჯონ ლოკი (1632-1702)

### **შეჯამება**

## **თავი 2. მეცნიერება და პიროვნება: ანალიზის დონეები და კვლევის მეთოდები**

### **რას იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები**

ინდივიდუალური განსხვავებები  
 მოტივაცია  
 პოლიზმი: ერთიანი პიროვნება  
 პიროვნების თეორია და კვლევა  
 კონსტრუქტების ფორმულირება: ანალიზის დონეები

### **როგორ იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები**

ემპირიული მიდგომა  
 ემპირიული კვლევის ძირითადი ეტაპები  
 ეტაპი 1: არასისტემატური დაკვირვება  
 ეტაპი 2: თეორიის აგება  
 ეტაპი 3: ვარაუდების შეფასება

### **რა სტრატეგიებით იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები**

ემპირიული კვლევისთვის მოსამზადებელი სამუშაოები  
 ემპირიული კვლევის სამი ძირითადი სტრატეგია პიროვნების ფსიქოლოგიაში  
 სტრატეგია 1: კორელაციური მეთოდი  
 სტრატეგია 2: ექსპერიმენტული დიზაინი  
 სტრატეგია 3: შემთხვევის შესწავლა  
 რომელი სტრატეგიაა უკეთესი?

## რა მეთოდებით იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები: პიროვნების შეფასება

პიროვნების კვლევის მეთოდების შეფასების კრიტერიუმები

სტანდარტიზაცია

ნორმები

სანდობა

ვალიდობა

ინტერვიუ

ინტერვიუს კონცეფციები

ინტერვიუს მიზნები

ინტერვიუს ფორმები

ინტერვიუს ტიპები

ინტერვიურ მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები

თვითანგარიშის მეთოდები

თვითანგარიშის მეთოდებით კვლევის წარმოებასთან დაკავშირებული ეთიკური

საკითხები

თვითანგარიშის კითხვარის ტიპები

თვითანგარიშის კითხვარის ფორმები

თვითანგარიშის მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები

პროექციული მეთოდები

რა არის პროექციული მეთოდი

პროექციული მეთოდების განვითარება, გამოყენება და თეორიული საფუძველი

პროექციული მეთოდების კლასიფიკაცია

პროექციული მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები

## შეჯამება

## ნაწილი 2: სოციალური დასწავლა და კულტურა

### თავი 3. ბიჰევიორისტული ტრადიცია

ამერიკული ენვაირონმენტალიზმი: ბიჰევიორისტული ტრადიცია

პიროვნებისა და მეცნიერების ხედვა სოციალური დასწავლის პოზიციიდან

ბიჰევიორიზმის ფორმირება

ივან პავლოვის კლასიკური განპირობების თეორია

კლასიკური განპირობება ანუ პირობითი რეაქცია

ფსიქოპათოლოგია და ცვლილება

ედვარდ ლი თორნდაიკის დასწავლის თეორია: კონექციონიზმი

ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი თორნდაიკის ბიოგრაფიიდან

ძირითადი წვლილი

პრობლემური ყუთი და დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით

სტიმულ-რეაქციის (S-R) კავშირი

დასწავლის კანონები

ინტელექტი თორნდაიკთან

ჯონ ბრაადუს უოტსონის ბიჰევიორიზმი

ბიოგრაფიული ცნობები და თეორიის ფორმირება

უოტსონის პოზიცია: Tabula Rasa  
 კლარკ ჰალი და დრაივის რედუქცია  
 დრაივის ცნება  
 დრაივის რედუქცია და ჩვევის ძალა  
 აღმძვრელი მოტივაცია  
 ედვინ რეი გათრი და თანხვედრის/სიახლოვის საკმარისობა  
 დაჯილდოვების აუცილებლობა  
 დასჯის ფუნქცია  
 დასწავლა: ყველაფერი ან არაფერი  
 ედვარდ ტოლმენი და ადრეული კოგნიტური მიდგომა  
 S-O-R ფსიქოლოგია  
 მიზნები და მოლოდინები  
 კოგნიტური რუკები და ჯილდოს მნიშვნელოვნება

#### **კლასიკური განპირობების პრინციპების პრაქტიკული გამოყენება**

პირობითი ემოციური რეაქციები  
 კურდღლის შიშის გადაჩვევა  
 კლასიკური განპირობების პრინციპების სხვა მაგალითები  
 სისტემატური დესენსიტიზაცია  
 პატარა ჰანსის შემთხვევის ინტერპრეტაცია

#### **თეორიის შემდგომი განვითარება**

#### **შეჯამება**

### **თავი 4. ფ. ბ. სკინერი და რადიკალური ბიჰევიორიზმი**

#### **სკინერი: ბიოგრაფიული ცნობები**

#### **იდუური წანამძღვრები**

დარვინიზმი და ეკონომიურობის კრიტერიუმი  
 უოტსონი  
 პავლოვი  
 მეცნიერების ფილოსოფია

#### **სკინერის რადიკალიზმი**

რადიკალური ბიჰევიორიზმი  
 რადიკალური დეტერმინიზმი

#### **ქცევის მეცნიერული ანუ ექსპერიმენტული ანალიზი**

მონაცემების წყაროები

#### **ქცევის ტიპები სკინერთან**

რესპონდენტული ქცევა  
 ოპერანტული ქცევა

#### **დასწავლის პრინციპები**

განმტკიცება და განმამტკიცებლები: საპასუხო ქცევის/რეაქციის სიხშირის  
 მატება  
 პირობით განმტკიცება

განსხვავება განმტკიცებასა და დაჯილდოვებას შორის  
 განმამტკიცებლები  
 განმამტკიცებლის სახეები: პირველადი და მეორადი განმამტკიცებლები  
 განმამტკიცებლების პიროვნული ისტორია  
 დადებითი და უარყოფითი განმტკიცება  
 დასჯა და ოპერანტური ჩაქრობა: საპასუხო ქცევის/რეაქციის სიხშირის  
 შემცირება  
 დადებითი და უარყოფით დასჯა  
 ოპერანტული ჩაქრობა  
 ქვეთავის შეჯამება

### ცვლილებები ქცევაში

დისკრიმინაციული სტიმული და განზოგადება  
 შეიპინგი: ქცევის ფორმირება  
 ქცევის შენარჩუნება  
 განმტკიცების რეჟიმი: უწყვეტი და პარციალური განმტკიცება  
 განმამტკიცებლის ცხრილები

### ბიჰევიორალური თერაპიული მოდელი და ქცევის ანალიზი

ქცევის დიაგნოსტიკა  
 ზოგადი პრინციპები  
 ბიჰევიორალური თერაპია: მაგალითი

### შეჯამება

## თავი 5. ალბერტ ბანდურა და სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

### მოლოდინები და ღირებულებები

სიტუაციების გარჩევა და პიროვნების შეთანხმებულობა

### ალბერტ ბანდურა: სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

ბიოგრაფიული ცნობები  
 მოსაზრებები ადამიანის შესახებ  
 მოსაზრებები მეცნიერების შესახებ  
 სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პოზიციის  
 რეციპროკული დეტერმინიზმი  
 დეტერმინიზმი და შემთხვევითობა  
 ქცევის თვითრეგულაცია: „მე“-ს სისტემა  
 „მე“-ს სისტემა  
 თვითრეგულაცია  
 თვითეფექტურობა

განსხვავება თვითეფექტურობასა და შედეგის მოლოდინს შორის  
 თვითეფექტურობა და მიზნებისკენ სწრაფვა  
 თვითეფექტურობის ფაქტორები  
 თვითეფექტურობა და ქმედების წარმატებულობა

### დაკვირვებით სწავლა და მოდელირება

გათამაშებით ანუ გამეორებით სწავლა

დაკვირვებით სწავლა  
დაკვირვებით სწავლაზე მოქმედი ფაქტორები  
ფსიქოპათოლოგია  
თერაპია  
პიროვნება და სოციალური გარემო  
კოლექტიური ეფექტურობა

შეჯამება

## თავი 6. ადამიანის ქცევის ეკოლოგია

რა არის გარემო

**მიკროკონტექსტი: სოციალური სიტუაცია**

სიტუაციის კლასიფიკაციები  
სიტუაციაში სუბიექტური-უბიექტურის გამიჯვნის პრობლემა  
სიტუაციური პროტოტიპები

**მაკროკონტექსტი: სოციალური სტრუქტურა**

**ბრონფენბრენერის ეკოლოგიური თეორია**

ზოგადი ეკოლოგიური მოდელი  
გარემო, როგორც განვითარების კონტექსტი: გარემოს ხუთი სისტემა

1. მიკროსისტემები
2. მეზოსისტემები
3. ეგზოსისტემები
4. მაკროსისტემები
5. ქრონოსისტემები

შეჯამება

## ნაწილი 3: დისპოზიციური ნიშნები და ქცევის წინასწარმეტყველება

### თავი 7. ნიშნების კონცეფცია: ძირითადი ცნებები და საკითხები

პიროვნების შესწავლის დისპოზიციური მიმართულება

**ნიშნების კონცეფციები**

ნიშნების კონცეფცია ყოველდღიურ ცხოვრებაში  
ნიშნების მეცნიერული თეორია  
ნიშნების მეცნიერული თეორიის შექმნის ეტაპები  
ნიშნების თეორიის დაშვებები და კონცეპტუალური პრობლემები

**ნიშნების მოკლე ისტორია**

კლასიკური აზროვნების გავლენა: ჰუმორული თეორია  
ნიშნების მეცნიერების დასაწყისი: პირველი ემპირიული კვლევები  
პიროვნების თანამედროვე მოდელების წარმოქმნა: ნიშნის თეორიის საწყისები

**პიროვნული ნიშნები**

ნიშანი, როგორც ანალიზის ერთეული



პიროვნების ნიშნის ცნება, როგორც თეორიული კონსტრუქტი  
რა არის ნიშანი

რაზე ვერ თანხმდებიან ნიშნების ფსიქოლოგები  
რაზე თანხმდებიან ნიშნების ფსიქოლოგები  
ნიშნის ბუნება: განსხვავებული პოზიციები  
პიროვნული ნიშნის განსაზღვრა  
სიტუაციური გავლენა ქცევაზე და ნიშნის ცნება  
ფენოტიპური და გენოტიპური ნიშნები  
ნიშნები, როგორც აღმწერები (დესკრიპტორები) და როგორც ამხსნელები  
რამდენი ნიშანია საკმარისი და რომელია ეს ნიშნები

### ნიშნების იდენტიფიცირება და გაზომვა

ცნებებიდან მონაცემებამდე  
პიროვნების განზომილებების იდენტიფიცირება: ფსიქომეტრული მიდგომა  
კითხვარების აგება და ფსიქომეტრიკა  
ერთსკალიანი კითხვარის ფსიქომეტრიკა  
მრავალსკალიანი კითხვარის ფსიქომეტრიკა: ფაქტორული ანალიზი  
ნიშნების ალტერნატიული ანალიზი  
რაციონალურად და თეორიულად შექმნილი კონსტრუქტები  
ტოპოლოგიები  
იდეოგრაფიული კვლევა  
ნიშნების საზომის აგება: ფსიქომეტრული მიდგომა  
ნიშნების საზომი კარგი ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმები  
ვალიდობა  
სანდობა  
სარგებლიანობა და ეკონომიურობა  
ნიშნების საკვლევი ინსტრუმენტები

### შეჯამება

## თავი 8. ნიშნების პერსონოლოგიური თეორია: გორდონ ოლპორტი და ინდივიდუალობის ფსიქოლოგია

### ბიოგრაფიული ცნობები

#### ოლპორტის შრომების ძირითადი თემები

პიროვნების კონსისტენტურობა  
სოციალური გავლენა  
მე-ს ცნება  
პიროვნების ურთიერთქმედება სოციალურ გავლენასთან

#### იდუური წანამღვრები

#### ოლპორტის მიდგომა პიროვნების შესწავლისადმი

#### ადამიანის ბაზისური ბუნება ოლპორტის სისტემაში

ინსტინქტური აღმძვრელები (დრაივები)  
მოზრდილის მოტივების ფუნქციური ავტონომია

აღმძვრელის მატება  
 მრავალფეროვნება და უნიკალურობა  
 ტელეოლოგია  
 ფუნქციური ავტონომია  
 ღირებულებები  
 ცნობიერება და კონკრეტულობა

### **პიროვნების ოლპორტისეული განსაზღვრება**

დინამიკური ორგანიზაცია  
 ფსიქოფიზიკური სისტემები  
 განსაზღვრავს  
 უნიკალური  
 შეგუება გარემოსთან  
 პიროვნება, ხასიათი, ტემპერამენტი

### **პიროვნების სტრუქტურა და დინამიკა**

პიროვნების ნიშნის კონცეფცია: რა არის პიროვნული ნიშანი  
 ნიშნის განმარტება  
 ნიშნების ნიშნები  
 ნიშნების ტიპები: ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები  
 ნიშნები და უნარები, დამოკიდებულებები, ტიპები: მათ შორის განსხვავება  
 ნიშნების შესახებ დასკვნების გაკეთება  
 ნიშნების შესახებ დასკვნა ბუნებრივი ენიდან: ლექსოკონის შესწავლა  
 ნიშნების შესახებ დასკვნა ქცევის მიხედვით  
 ნიშნების შესახებ დასკვნა დოკუმენტების მიხედვით: ჯენის წერილები  
 ნიშნების შესახებ დასკვნის გაკეთება პიროვნების გაზომვიდან: ღირებულებების  
 კვლევა  
 პიროვნული დისპოზიციები  
 კარდინალური დისპოზიციები  
 ცენტრალური დისპოზიციები  
 მეორადი დისპოზიციები  
 მოტივაციური და სტილისტური დისპოზიციები  
 ნიშნებისა და დისპოზიციების დამოუკიდებლობა და შეთანხმებულობა  
 ინტენციები  
 პროპრიუმი  
 მოტივაცია  
 მოტივაციის ადეკვატური თეორიის კრიტერიუმები  
 პიროვნების ერთიანობა  
 სინდისი  
 პიროვნების ინტეგრაციის დონეები

### **პიროვნების განვითარება**

ბავშვი  
 ბავშვის ტრანსფორმაცია  
 მოზრდილი ანუ მოწიფული პიროვნება

ფსიქოლოგიურად მოწიფული პიროვნების კრიტერიუმები  
 პიროვნების ანუ პროპრიუმის განვითარების სტადიები  
 საკუთარი სხეულის შეგრძნება  
 თვითიდენტობა  
 თვითპატივისცემა  
 „მე“-ს გაფართოება  
 „მე“-ს ხატი  
 რაციონალური პიროვნება  
 პროპრიატული მისწრაფებები  
 გამაცნობიერებელი „მე“ ანუ სუბიექტური პიროვნება  
 ფუნქციური ავტონომია  
 პერსვერაციული ფუნქციური ავტონომია  
 პროპრიატული ფუნქციური ავტონომია  
 ფუნქციური ავტონომიის საზღვრები  
 უწყვეტობა და ცვლილება პიროვნების განვითარებაში

### ცალკეული ინდივიდის შესწავლა

მორფოგენული მიდგომა

მორფოგენული მიდგომის მაგალითი: ჯენის წერილები

### შეჯამება

## თავი 9. ჰანს აიზენკი და ნიშნების ბიოლოგიური სამფაქტორიანი თეორია

ბიოგრაფიული ცნობები

იდური წანამძღვრები

აიზენკის შეხედულება მეცნიერებაზე

ნიშნების გაზომვა: ფაქტორული ანალიზი

ნიშნების სამფაქტორიანი იერარქიული მოდელი

სუპერნიშნები ანუ ტიპები

ინტროვერსია-ექსტრავერსია

ნეიროტიციზმი

ფსიქოტიზმი

ფაქტორების იდენტიფიკაცია

კრიტერიუმები

აიზენკის სამი ფაქტორის შესატყვისობა დასახელებულ კრიტერიუმებთან

ნიშნების გაზომვა კითხვარების გამოყენებით

ფაქტორების ბიოლოგიური ბაზისი: აიზენკის ბიოლოგიური მოდელი

დეტალიზაცია: სამი სუპერფაქტორი ანუ ტიპი

ექსტრავერსია-ინტროვერსია

ექსტრავერსია-ინტროვერსიის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები

ნეიროტიზმი-სტაბილურობა

ფსიქოტიზმი-სუპერეგო

აიზენკის თეორიით სტიმულირებული ზოგიერთი შემდგომი კვლევა  
ფსიქოპათოლოგია და ქცევის შეცვლა  
შეჯამება

## თავი 10. რაიმონდ კეტელი და ნიშნების ფაქტორული თეორია

ბიოგრაფიული ცნობები

იდეური წანამძღვრები

კეტელის შეხედულება მეცნიერებაზე

ნიშნების გაზომვა

ფაქტორული ანალიზი

რა არის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორული ანალიზის შეზღუდვები

მონაცემთა სახეები

პიროვნული ტესტები

პიროვნული ტესტების მიღმა

ნიშნების გამოვლენა ემპირიული გზით

მატრიცის შექმნის ტექნიკები

ნიშნების კლასიფიკაცია და გაზომვა

ზედაპირული და ძირითადი ანუ სიღრმისეული ნიშნები

ზედაპირული ნიშნები

სიღრმისეული ნიშნები

ზოგადი და უნიკალური ნიშნები

პიროვნული ნიშნები და მათი საკვლევი 16 ფაქტორიანი კითხვარი

სიღრმისეული ანუ ძირითადი ნიშნები

ტემპერამენტის ნიშნები

მეორე რიგის ნიშნები

დინამიკური ნიშნები

ნიშნების ურთიერთმიმართება: დინამიკური ბადე

ქცევის წინასწარმეტყველება: ქცევის განტოლება

ქცევის სტაბილობა და ცვალებადობა

მდგომარეობები

როლები

ნიშნების გენეტიკური საფუძველი: მემკვიდრეობითობა და გარემო

ინტელექტის საკითხი კეტელთან

შეჯამება

## თავი 11. ხუთფაქტორიანი მოდელი: დიდი ხუთეული

ხუთფაქტორიანი მოდელის წინასიტყვაობა

1930-იანი წლები

1940-იანი წლები  
 1950-იანი წლები  
 1960-იანი წლები  
 1970-იანი წლები  
 1980-იანი წლები  
 1990-იანი წლები

### **თეორიული პერსპექტივა: დიდი ხუთეულის ფაქტორები**

ლექსიკური მიდგომა: ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზა  
 ფსიქომეტრული მიდგომა: კითხვარები  
 ნიშნების დასახელებების ანალიზი ბუნებრივ ენასა და კითხვარებში

### **რობერტ მაკრეი და პოლ კოსტა: პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია**

თეორიის დაბადება  
 ხუთფაქტორიანი თეორია  
 პიროვნების სისტემის კომპონენტები  
 ხუთფაქტორიანი თეორიის პოსტულატები: როგორ მუშაობს სისტემა  
 ნიშნების წყაროები  
 ხუთფაქტორიანი მოდელის ძირითადი მახასიათებლები  
 ფაქტორების ორთოგონალურობა  
 იერარქიული სტრუქტურა  
 პიროვნული ნიშნების თანდაყოლილობა და ასაკობრივი ცვლილებები  
 ნიშნების განვითარება და ხუთფაქტორიანი თეორია  
 ნიშნები, როგორც პიროვნების მემკვიდრეობით მახასიათებლები  
 ევოლუციური თეორიის პოზიცია  
 კულტურათა შორის განსხვავებები

### **პიროვნების საკვლევი კითხვარი: NEO PI-R**

ექვსი ძირითადი პრინციპი, რომელიც NEO-PI-R-ის შექმნისას გამოიყენებოდა

1. პიროვნების თვისებების იერარქიული სტრუქტურა
2. კონსტრუქტების გამოყოფა ეფუძნება ფსიქოლოგიურ ლიტერატურას
3. რაციონალური მიდგომა სკალის შექმნისას
4. ფსიქომეტრული მოთხოვნები
5. პარალელური ფორმები
6. კონსტრუქტული ვალიდობა

### **მოდელის პრაქტიკული გამოყენება**

პროფესიული მიდრეკილებები, ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა  
 პიროვნული აშლილობების დიაგნოსტიკა  
 თერაპია

### **ხუთფაქტორიანი თეორიის შეფასება**

კომენტარები  
 კამათი ადამიანისა და სიტუაციის შესახებ  
 ქვევის არაკონსისტენტურობის წყაროები  
 ნიშნების დროში მდგრადობა

ნიშნების კროს-კულტურული მდგრადობა  
დასკვნა

**კონკრეტული შემთხვევის ანალიზი: 69 წლის მამაკაცი**

პიროვნების ზოგადი აღწერა დიდი ხუთეულის ტერმინებით  
პიროვნული ნიშნების ზოგიერთი შესაძლო შედეგი  
თერაპიის შედეგები

**ნიშნების თეორიის შეფასება**

მოცემული მიდგომის ღირსებები

აქტიური კვლევითი საქმიანობა

საინტერესო ჰიპოთეზები

პოტენციური კავშირები ბიოლოგიასთან

მოცემული მიდგომის ნაკლოვანებები

მეთოდის პრობლემა: ფაქტორული ანალიზი

ნიშნის ცნებასთან დაკავშირებული პრობლემები

რა არ ხვდება მხედველობის ველში

**შეჯამება**

## წინასიტყვაობა

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ყოველდღიურ მეტყველებაში არ ერთხელ მაინც არ გამოუყენებია სიტყვა „პიროვნება“ და, ალბათ, არც თქვენ ხართ გამონაკლისი, თუმცა, ალბათ, იშვიათად (ან საერთოდ არ) თუ დაფიქრებულხართ, რას ნიშნავს ეს სიტყვა, რა შინაარსს დებთ მასში, ან სხვები რას გულისხმობენ, როდესაც პიროვნებაზე საუბრობენ. ძნელად თუ მოახერხებთ თქვენი ნაცნობ-მეგობრების პიროვნების შესახებ საუბრისას ლაკონურად, რამდენიმე სიტყვით მათ აღწერას. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, რომ ამ პიროვნებას კარგად იცნობთ, იმას კი — ნაკლებად; ეს პიროვნება დადებითია, სასიამოვნოა, ის კი გირჩენიათ, შორს იყოს თქვენგან? რას იტყვით საკუთარი პიროვნების შესახებ? აქ როგორ გაქვთ საქმე? აბა, დაფიქრდით, რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ თავს და რამდენად შეგიძლიათ საკუთარი პიროვნების განსაზღვრა, აღწერა და მის შესახებ მსჯელობა? რა მოგდით თავში? ზედსართავი სახელები? ქცევები და მოქმედებები? შეფასებები? ურთიერთობის სიტუაციები, სადაც ამგვარად თუ იმგვარად მოიქცით, ესა და ეს თქვით და ასეთი თუ ისეთი ემოცია განიცადეთ? ადამიანები, რომლებიც გარს გახვევიან და თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ? ღირებულებები და ცხოვრებისეული მიზნები, რომლებიც აზრს სძენს თქვენს ყოველდღიურ საქმიანობას? თქვენი ფიქრები, სურვილები, ოცნებები და ფანტაზიები? ცხოვრება, რომელიც უკვე გამოიარეთ ყველაზე კაშკაშა მომენტებით, თავისი ტკივილებით და სიხარულებით? ალბათ, ყველაფერი ერთად.

გიფიქრიათ ოდესმე პიროვნებაზე, როგორც მეცნიერული შესწავლის საგანზე? ადამიანებზე, რომლებიც მთელი თავიანთი პროფესიული ცხოვრების მანძილზე პიროვნების შესწავლით არიან დაკავებულნი? ადამიანებზე, რომლებიც იკვლევენ რეალურ, ჩვეულებრივ ადამიანებს და ქმნიან თეორიებს, ცდილობენ პიროვნების მეცნიერულად განსაზღვრას, მისი ჩამოყალიბებისთვის თვალის გადევნებასა და ფუნქციონირების საიდუმლოებების ამოცნობას?

თუ ამ წიგნით დაინტერესდით და უკვე ხელში გიჭირავთ, ალბათ, გაგჩენიათ მსგავსი კითხვები. სწორედ ამ და კიდევ ბევრს სხვა კითხვაზე პასუხებს ნახავთ ამ წიგნში.

ეს წიგნი არის ჩემი პირველი მცდელობა, გამეერთიანებინა და ერთად წარმომედგინა მეცნიერული ფსიქოლოგიის დიდი წარმომადგენლების ნააზრევები პიროვნების შესახებ, კლასიკური და თანამედროვე კვლევის შედეგები პიროვნების ფსიქოლოგიაში, ძველი და ახალი თეორიები და მოსაზრებები და ეს ყველაფერი ისე გამეკეთებინა, რომ მკითხველისთვის ნათლად მეჩვენებინა, რომ, პირველ რიგში, ადამიანები, რომლებიც ამ თეორიებს ქმნიდნენ, ჩვეულებრივი მოკვდავები იყვნენ და არიან. მათი უმრავლესობა იცნობდა და იცნობს ერთმანეთს, ერთდროულად მოღვაწეობდნენ, ერთმანეთის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ, უყვარდათ, სძულდათ, განიცდიდნენ და შეცდომებსაც უშვებდნენ. ასევე, ის, რომ ზოგიერთი მათგანი დღესაც ცოცხალია და აქტიურად მოღვაწეობს სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტში. მათ შორის უზუცესი ალბერტ ბანდურაა, რომელიც 88 წლის ასაკში ისევ სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორია, ყველაზე ახალგაზრდა კი დენ პ. მაკადამსია, რომელიც ჯერ 60 წლისაც არ არის და ნორსვესტერნის უნივერსიტეტში (ჩიკაგო, აშშ) ფსიქოლოგიის დეპარტამენტსა და ცხოვრებისეული ნარატივების კვლევის ცენტრს ხელმძღვანელობს.

მეორე, მთელი ცოდნა, რომელიც მეცნიერებაში არსებობს პიროვნების შესახებ, ჩვეულებრივი, რიგითი და უცნობი ადამიანების ხანგრძლივი, გულდასმით შესწავლის შედეგად არის დაგროვილი. პიროვნების ფსიქოლოგიის მიერ წარმოებული კვლევის მონაწილე ნებისმიერი თქვენგანი შეიძლება გახდეს (და, შესაძლოა, ზოგიერთ თქვენგანს უკვე აქვს კიდევ ეს გამოცდილება). აქვე გეტყვით, რომ ასე და მხოლოდ ასე არის შესაძლებელი პიროვნების შესახებ ემპირიული, რეალური ცხოვრებისეული მონაცემების მიღება და არა აბსტრაქტული მსჯელობებითა და თეორიული სპეკულაციებით ადამიანებისგან იზოლირებულად კაბინეტში კომპიუტერთან ჯდომით.

მესამე, თითოეული თეორია, რომელიც წარმოდგენილია ამ წიგნში, არ წარმოადგენს სრულ ჭეშმარიტებას პიროვნების შესახებ და არც მთლიანად მცდარი და უსარგებლოა. ფიგურალურად რომ

ვთქვით, პიროვნება ჰოლოგრაფული გამოსახულებაა და მრავალი მხრიდან შეიძლება მისი დანახვა. თითოეული ავტორი სწორედ თავისი გადმოსახედიდან, თავისი მხრიდან, თავისი კუთხიდან უყურებს მას და მხოლოდ იმას აღწერს, რასაც ამ პოზიციიდან ხედავს. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი თეორია რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, ზოგიერთი კი უფრო ახლოს დგას სხვების ნააზრევთან. ამიტომ ამ წიგნის ერთ-ერთი ამოცანა ის არის, რომ სხვადასხვა მხრიდან დაგანახოთ პიროვნება და გაჩვენოთ, რომ ის ერთი მთლიანია და თითოეული ავტორისეული ხედვა მხოლოდ მისი რომელიღაც ასპექტების შესახებ გვიქმნის წარმოდგენას. ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ უნდა შეგეძლოს სხვადასხვა მოსაზრების კრიტიკულად გაანალიზება, ერთმანეთთან შედარება და თითოეული მათგანიდან თქვენთვის მისაღები რაციონალური მარცვლების ამოკრეფა პიროვნების საკუთარი ხედვის ჩამოსაყალიბებლად.

მეოთხე და ბოლო, ეს წიგნი თქვენს შესახებ არის. თითოეულ თეორიას, მოსაზრებასა თუ პოზიციას საკუთარ თავში თუ გაიტარებთ, საკუთარი პიროვნების რაღაც ასპექტს თუ დაინახავთ, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ნამდვილად უფრო მეტი გეცოდინებათ საკუთარი თავის, საკუთარი პიროვნების, საკუთარი „მე“-ს შესახებ შემდეგ, ვიდრე ახლა იცით.

„პიროვნება: შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში“ ექვსი ნაწილისგან შედგება და ეს სტრუქტურა გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება, კერძოდ, წიგნი აგებულია პიროვნების მაკადამისეულ (2008) ხედვაზე, რომელიც სოციუმში მცხოვრები პიროვნების ანალიზის სამ დონეზე საუბრობს. ესენია დისპოზიციური ნიშნები, დამახასიათებელი ადაპტაციები და ცხოვრებისეული ისტორიები. სწორედ ამიტომ წიგნში დარღვეულია პიროვნების თეორიების ტრადიციული დალაგების თანმიმდევრობა — ფროიდიდან სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიამდე, ბიჰევიორიზმისა და ჰუმანისტური ფსიქოლოგიის გავლით და თხრობას ამერიკული ენვაირონმენტალიზმით დავიწყებთ და ინტერგაციული ცხოვრებისეული ისტორიებით დავასრულებთ. კერძოდ, ჯერ პიროვნების საარსებო გარემოს — სოციუმისა და კულტურის პიროვნებასა და მის ქცევაზე გავლენის საკითხებს შევხებით, შემდეგ დისპოზიციური ნიშნების შესახებ არსებულ ძირითად თეორიებს მიმოვიხილავთ. თხრობას დამახასიათებელი ადაპტაციების გაშლით გავაგრძელებთ, ანუ იმ თეორიებს გავეცნობით, რომლებიც პიროვნებაში მოტივაციის, მიზნების, მისწრაფებებისა და აღმძვრელების როლს გამოკვეთენ. წიგნის ბოლოს ცხოვრებისეული ინტერგაციული ისტორიებისა და ნარატიული ფსიქოლოგიის შესახებ ვისაუბრებთ. ახლა უფრო დეტალურად მიმოვიხილოთ წიგნის შინაარსი.

პირველ ნაწილში პერსონოლოგიის, როგორც პიროვნების შესახებ მეცნიერების, რაობისა და ფორმირების შესახებ წაკითხავთ. ასევე, გაეცნობით პიროვნების ანალიზის დონეებსა და კვლევის სტრატეგიებს, მეთოდებსა და მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

მეორე ნაწილი კულტურისა და სოციალური დასწავლის შესახებ მოგიტხრობთ. აქ გაეცნობით ამერიკულ ბიჰევიორისტულ ტრადიციას, პავლოვიდან და თორნდაიკიდან მოყოლებული ვიდრე უოტსონამდე და ბიჰევიორიზმის ფორმალურ დაბადებამდე. ასევე, წაკითხავთ სკინერისა და მისი რადიკალური ბიჰევიორიზმის შესახებ; იმის შესახებ, თუ რამდენად არის ადამიანის ქცევა მისი წინმსწრები პირობებითა და თანმდევი შედეგებით განპირობებული. გაიცნობთ ალბერტ ბანდურას და მის მიერ შექმნილ სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორიას, რომელიც დღესდღეობით ყველაზე ცნობილი და ფართოდ გამოყენებადი თეორიაა პიროვნების (და არამარტო პიროვნების) ფსიქოლოგიაში. ნახავთ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ და ზემოქმედებენ ერთმანეთზე ადამიანის პიროვნება, ქცევა და გარემო, რა გავლენა აქვს ქცევაზე მის სოციალურ ეკოლოგიას და მიკრო და მაკრო კონტექსტებს.

მესამე ნაწილი პიროვნებისადმი დისპოზიციურ მიდგომას და ნიშნებით ქცევის წინასწარმეტყველების საკითხებს ეძღვნება. აქ გაეცნობით პიროვნების ნიშნებით აღწერის კონცეფციას, ძირითად ცნებებსა და თემებს, რომლებიც ნიშნების თეორეტიკოსების შესწავლის საგანს წარმოადგენენ. ამ ნაწილში ოთხ თეორიას ნახავთ. წარმოგიდგინებთ გორდონ ოლპორტსა და მის ინდივიდუალობის ფსიქოლოგიას, რომელმაც პიროვნების ფსიქოლოგიას ხანგრძლივი სამოქმედო გეგმა დაუსახა თავისი ეპოქალური ნაშრომით „პიროვნება — ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“ (1937), რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიის კურსისთვის დაწერილ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ ოლპორტი იყო პირველი



ფსიქოლოგი, რომელმაც აშშ-ში პიროვნების ფსიქოლოგიის კურსის წაკითხვა დაიწყო უნივერსიტეტში. ოლპორტის პარალელურად მოღვაწეობდნენ რაიმონდ კეტელი, რომელსაც ნიშნების ფაქტორული თეორია ეკუთვნის, და ჰანს აიზენკი, რომელიც თავისი ნიშნების ბიოლოგიური სამფაქტორიანი თეორიით არის ცნობილი. კეტელისა და აიზენკის თეორიები მათში სტატისტიკური აპარატის, კერძოდ, ფაქტორული ანალიზის ინტენსიურად გამოყენებით გამოირჩევიან. ასევე, ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებულ ფაქტორებსა და მის მდგენელებზე საუბრობს ხუთფაქტორიანი მოდელი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში იქმნებოდა მეოცე საუკუნეში და დღეისათვის ნიშნების მიდგომაში წამყვან კონცეფციას წარმოადგენს.

მეოთხე ნაწილი ზოგიერთ იმ თეორიასა და ავტორს აერთიანებს, რომლებიც აქცენტს პიროვნების მოტივაციასა და მიზნებზე აკეთებენ. აქ შეხვდებით ზიგმუნდ ფროიდსა და მის კლასიკურ ფსიქოანალიზს, რომელმაც, ფაქტობრივად, თავდაყირა დააყენა მთელი დასავლურ ევროპული მეცნიერული აზრი და ბიგდი მისცა უამრავი ახალი იდეის გაჩენას. ასევე, გაეცნობით, ჰენრი მარეის პერსონოლოგიას და მის უაღრესად საინტერესო და ეპოქალურ ნაშრომს „პიროვნების კვლევა“ (1938), სადაც მან გამოიყენა ტერმინი „პერსონოლოგია“ პიროვნების ინტერდისციპლინური შესწავლის აუცილებლობის აღსანიშნად. ამ ნაწილში წარმოგიდგენთ კურტ ლევინის ყველაგან განსხვავებულ ველის ტოპოლოგიურ თეორიას, რომელსაც ცხოვრებისეული სივრცის კვლევასაც უწოდებენ. ეს არის პიროვნებისა და მისი ურთიერთქმედებების ვიზუალიზირების ორიგინალური მცდელობა, რომელიც ძალზე საინტერესოდ გამოიყურება სხვა თეორიების კონტექსტში. აქვე წაიკითხავთ მეოცე საუკუნის უდიდესი ჰუმანისტი ფსიქოლოგის, კარლ როჯერსისა და მისი პიროვნებაზე ცენტრირებული მიდგომის შესახებ, რომელმაც ფროიდისეული „ცუდი“ ადამიანი „კარგ“ არსებად აქცია, მისგან აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა შემოგვთავაზა და დაგვანახა, რომ ადამიანი ზრდისკენ, განვითარებისკენ და სრულყოფისკენ მავალი, იმთავითვე პოზიტიური არსებაა. ბოლოს გაეცნობით ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების თეორიასა და ამ კონსტრუქტების გასაზომ ერთ-ერთ მეთოდისკენ, რომელიც ძალზე საინტერესო და პრაქტიკული ღირებულების მქონე აღმოჩნდა.

მეხუთე ნაწილი ორ თეორიას აერთიანებს, რომელიც პიროვნების განვითარების მოდელზე აკეთებს აქცენტს. ეს არის ერიკ ერიკსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორია, რომელიც პიროვნების განვითარების რვა უნივერსალურ სტადიასა და მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტ განვითარებაზე საუბრობს; რომელსაც აქტიურად შემოაქვს პიროვნების განვითარებაში სოციალური გარემოსა და კულტურის როლი და თითოეული სტადიის წარმატებით თუ წარუმატებლობით გავლის შედეგად მიღებული შენაძენის მნიშვნელოვნებას უსვამს ხაზს. მეორე თეორია ჯეინ ლოვინგერს ეკუთვნის, რომელიც ეგოს განვითარების უაღრესად გავლენიან თეორიას წარმოადგენს და ეგოს ფორმირების სტადიურ მოდელსა და განვითარების გაზომვის მეთოდისკენ გვთავაზობს.

წიგნის მეექვსე და ბოლო ნაწილი პიროვნებისადმი ნარატიულ მიდგომას ეძღვნება, რაც ჩვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის აღწერას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას გულისხმობს. ამ ნაწილში გაეცნობით პიროვნებისადმი ნარატიული მიდგომის რაობას, ძირითად ამოცანებს, პრინციპებს, კრიტერიუმებსა და ისეთ წამყვან თეორიებს, როგორც არის ტომკინსის სკრიპტის თეორია, ჰერმანსის დიალოგიური მე და მაკადამსის ხუთკომპონენტური მიდგომა პიროვნებისადმი. ასევე, წაიკითხავთ ნარატივის ანუ ცხოვრებისეული ისტორიების ინტერპრეტაციებისა და ნარატიული ინტერვიუს მეთოდის შესახებ. გარდა ამისა, წარმოგიდგენთ ადამიანის ცხოვრებისეული ისტორიის ფროიდისეულ, იუნგისეულ და ადლერისეულ ინტერპრეტაციებს. დასასრულს, მოკლედ მოგიხრობთ მარეის ჰარვარდის ფსიქოლოგიური კლინიკის, პერსონოლოგიისა და ცალკეული შემთხვევის ურთიერთმიმართების შესახებ.

ერთი სიტყვით, წიგნი პიროვნების მრავალფეროვან და მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ხედვებს გთავაზობთ და თქვენი პიროვნული და პროფესიული გამოცდების საკითხია, რომელი უფრო ახლოს აღმოჩნდება თქვენთან. არჩევანი თქვენზეა, თუმცა, ერთი გარემოება არასოდეს უნდა დაგავიწყდეთ: ვერც ერთი ავტორიტეტი, თავად თეორიების ავტორებიც კი ვერ გეტყვიან თქვენი საკუთარი პიროვნების

შესახებ იმდენს, რამდენსაც თავად აღმოაჩენთ საკუთარ თავში, თუ კარგად დაუკვირდებით და მოუსმენთ საკუთარ „მე“-ს.

ლილი ხეჩუაშვილი  
თბილისი, 2013

## მადლობა

ამ წიგნის დაწერის იდეა დღეს და გუშინ არ გაჩენილა. ის სტუდენტებთან და კოლეგებთან 15 წლიანი ურთიერთობისა და მუშაობის შედეგს წარმოადგენს. ამიტომ მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ სტუდენტს, განურჩევლად სპეციალობისა და უმაღლესი სასაწავლებლისა, რომელსაც ამ 15 წლის განმავლობაში ერთი სიტყვა მაინც უსწავლია ჩემგან; უკლებრივ ყველა სტუდენტს, ვინც საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდა ლექციებისა და სემინარების მსვლელობისას, ღიად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას, მეკამათებოდა და ათასნაირ კითხვაზე ზუსტ და კონკრეტულ პასუხებს ითხოვდა ჩემგან. კოლეგებს, რომელთან საუბარშიც დაბადებულა იდეები და მოსაზრებები პიროვნების ფსიქოლოგიის კურსის თუ წიგნის შესახებ; ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც მოთმინებით ეკიდებიან ჩემს საქმიანობას და ყველანაირად მეხმარებიან. თუმცა, არის რამდენიმე ადამიანი, რომელთა მიმართაც განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა მაქვს და განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა.

პირველ რიგში, ეს არის ქალბატონი დალი ფარჯანაძე, რომელიც ჩემი პირველი ლექტორი იყო უნივერსიტეტში და რომლისგანაც პირველად გავიგე პიროვნების ფსიქოლოგიის, გორდონ ოლპორტის და ბევრი სხვა პერსონოლოგიის შესახებ; რომლის სემინარები პიროვნების ფსიქოლოგიაში ყველასგან განსხვავებული და განსაკუთრებული იყო.

განსაკუთრებული მადლობა და უღრმესი პატივიცემა ქალბატონ მარინე ჩიტაშვილს, ჩემს მასწავლებელს, რომელმაც ყველაზე დიდი

წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც ფსიქოლოგიის და პიროვნების ჩამოყალიბებაში; რომელმაც მასწავლა საკუთარ თავში ყურება და ნებისმიერი ავტორიტეტის ეჭვ ქვეშ დაყენება საკუთარი არგუმენტირებული ნააზრევის სასარგებლოდ; რომელმაც მასწავლა, რომ ჯერ საკუთარი თავი უნდა მოვაწესრიგო და მასთან მივაღწიო თანხმობას, რათა სხვებთან მუშაობა და მათი დახმარება შევძლო.

გამორჩეული მადლობა ჩემს ქართულის მასწავლებელს ქალბატონ ლია ბიგვაძას, რომელმაც ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში ჩამინერგა საკუთარი თავის რწმენა, რომ ნამდვილად შემიძლო წერა და აუცილებლად უნდა გამომეყენებინა ეს უნარი მომავალში. ასევე, განსაკუთრებული პატივისცემა და მადლიერება ქალბატონ ლია კაჭარავას, რომელიც წლების მანძილზე ასწორებდა ჩემს ნაწერებს და ნელ-ნელა მასწავლა, როგორ ვწერო გამართული ქართულით ისე, რომ ტექსტი კარგად იკითხებოდეს და უშეცდომოდაც იყოს დაწერილი.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა და დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი სტუდენტი ქალბატონი მარიამ გოგოლაური, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გამიწია ამ წიგნის ტექსტზე მუშაობისას. მადლობა მარიამს ინიციატივისთვის, გულდასმით შესრულებული სამუშაოსთვის და ჩემთვის დახარჯული ენერჯისა და დროისთვის, რომელიც მან ჩემს ტექსტებში შეცდომებისა და შეუსაბამობების ძიებაში გაატარა.

## ნაწილი 1: პიროვნების შესწავლა

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების შესახებ მოსაზრებები და მსჯელობები ანტიკურ ხანაში იღებს სათავეს, პიროვნების ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, ჯერ 100 წელსაც არ ითვლებოდა. ამიტომ თხრობას გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დავიწყებთ, როდესაც ამერიკული უნივერსიტეტების წიაღში ოლპორტისა და მარეის სკოლებში პიროვნების ინტენსიური და მრავალმხრივი კვლევები დაიწყო. დროთა განმავლობაში ნელ-ნელა დაიხვეწა პიროვნების კვლევის მეთოდები, ჩამოყალიბდა მკაფიო სტრატეგიები და რამდენიმე მსხვილი სკოლაც შეიქმნა თავისი თეორიული ბაზისითა და კვლევის მეთოდოლოგიით.

წიგნის ამ შესავალ ნაწილში პერსონოლოგიის, პიროვნების შესახებ მეცნიერების, რაობასა და კვლევის მეთოდებს გაეცნობით. პირველ თავში მომივიხილავთ პიროვნების ფსიქოლოგიის მეცნიერების დარგად ჩამოყალიბების თითქმის საუკუნოვან ისტორიასა და თანამედროვე სტატუსს, პიროვნების ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის სხვა დარგების ურთიერთმიმართებას, პერსონოლოგიის სტრუქტურასა და პიროვნებას, როგორც მეცნიერული კვლევის სფეროს. ასევე, გავეცნობით თეორიის და, კერძოდ, პიროვნების თეორიის რაობას, ფუნქციებს, კომპონენტებსა და კარგი თეორიის შეფასების კრიტერიუმებს. მოკლედ მიმოვიხილავთ პიროვნების ფსიქოლოგიის წამყვან სკოლებსა და ძირითად მიმართულებებს.

მეორე თავი პიროვნების კვლევას ეძღვნება. ამ თავში გაეცნობით, თუ რას, როგორ, რა სტრატეგიებით და რა მეთოდებით იკვლევენ ფსიქოლოგები. ასევე, წაიკითხავთ პიროვნების კვლევის მეთოდების შეფასების კრიტერიუმებისა და კონკრეტული მეთოდების შესახებ, როგორც არის ინტერვიუ, თვითანგარიშისა და პროექციული მეთოდები.

## თავი 1

# პერსონოლოგია – მეცნიერება პიროვნების შესახებ

*„თითოეული ადამიანი გარკვეული ასპექტებით ჰგავს ყველა სხვა ადამიანს, ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგავს არც ერთ სხვა ადამიანს“ (Murray H., 2008).*

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანების წინაშე წამოჭრილი პრობლემებიდან ყველაზე რთული, ამოუცნობი და ძნელად გადასაჭრელი, ალბათ, თავად ადამიანის ბუნების ამოცანა რჩება. ზუსტი და ნათელი პასუხი მუდმივად გვისხლტება ხელიდან მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს და ურიცხვი კონცეფციაა შექმნილი. არსებით სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ ყველანი ძალზე განვსხვავდებით ერთმანეთისგან. განვსხვავდებით არამარტო გარეგნობით და ფიზიკური მონაცემებით, არამედ ქცევებითაც, რომელიც ხშირად ესოდენ რთული და არაპროგნოზირებადია. დედამიწაზე მცხოვრებ 5 მილიარდზე მეტ ადამიანში არ მოიძებნება ორი სრულიად იდენტური ადამიანი. ეს უზარმაზარი განსხვავებები ართულებს, თუ საერთოდ შეუძლებელს არ ხდის, იმ ზოგადის, საერთოს დადგენის ამოცანას, რაც ადამიანთა რასის წარმომადგენლებს აერთიანებს. მაგალითისთვის ავიღოთ თავგადადებული მეცნიერი, სისხლის სამართლის დამნაშავე, სასულიერო პირი, კორუმპირებული ჩინოვნიკი და მაღალი რანგის სამხედრო ოფიცერი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ადამიანებს ქსოვილებისა და ორგანოების გარდა კიდევ რაიმე აქვთ საერთო, მაგალითად, „ადამიანის ბუნების“ რაღაც თავისებურებები, ხოლო როცა მეცნიერული ძიების ჰორიზონტები სხვადასხვა კულტურის კვლევამდე ფართოვდება, ძირეულ ღირებულებათა, მისწრაფებათა და ცხოვრების სტილის უფრო მეტ მრავალფეროვნებას აღმოვაჩინებ (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

პიროვნების მეცნიერული კვლევით დაკავებულია თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რომელსაც პიროვნების ფსიქოლოგია ჰქვია.

როგორც მაკადამსი ამბობს (2006), პიროვნების ფსიქოლოგია დღესდღეობით ის აღარ არის, რაც ადრე იყო. დასაწყისში ფროიდიანელები ებრძოდნენ იუნგიანელებს, ბიჰევიორისტები ჰუმანისტების წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ და ყველა მათგანი პიროვნების შესახებ ერთ-ერთ დიდ თეორიას ირჩევდა და ყველანაირი ხერხით ცდილობდა მის დაცვას. ერთ დღესაც პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების ისტორიაში დადგა მომენტი, როდესაც მკვლევრებმა გააცნობიერეს, რომ პიროვნების კვლევა ადამიანებისთვის, მათი ქცევის პროგნოზირების მიზნით, უსარგებლო იარაღების მიწებებას დაემსგავსა. ასევე, აღმოჩნდა, რომ ეს იარაღები სულაც ვერ წინასწარმეტყველებენ ქცევას. შემდეგ დრამატულად შეიცვალა ვითარება. ბოლო 25 წლის მანძილზე პიროვნების ფსიქოლოგია ცოცხალ და მომხიბვლელ დარგად იქცა, რომელიც ახალი თეორიული ინსაიტებითა და მნიშვნელოვანი აღმოჩენებით გამდიდრდა, რომლებიც სწორედ იმას ასახავენ, თუ რას ნიშნავს, იყო პიროვნება თანამედროვე სამყაროში. დღესდღეობით პიროვნების ფსიქოლოგია, სოციალურ ფსიქოლოგიასთან, კლინიკურ ფსიქოლოგიასთან, ცხოვრების მანძილზე განვითარების კვლევებთან და კოგნიტურ ნეირომეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში, პირველი და წამყვანი დარგია პიროვნების კვლევაში. ცხადია, პიროვნებებისთვის არაფერია იმაზე საინტერესო (და მნიშვნელოვანი), ვიდრე თავად პიროვნება (McAdams, D. P., 2006).

ამრიგად, პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების მეცნიერული შესწავლაა (McAdams D. P., 1996). პიროვნების ფსიქოლოგიის მიზანია ადამიანის ინდივიდუალობის მეცნიერულად სანდო ახსნა — როგორ ხდება, რომ ადამიანები ჰგავან ყველა სხვა ადამიანს, ჰგავან ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგავან არავის (Kluckhohn and Murray, 1953 ციტირებულია წყაროში McAdams, 2005). შესაბამისად, პიროვნების ფსიქოლოგიას აინტერესებს ადამიანის ბუნების როგორც სახეობისთვის ტიპური მახასიათებლები, ისე — ადამიანებს შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებები, თუმცა, აქვე

უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მიმდინარე კვლევები, ძირითადად, ინდივიდუალურ განსხვავებებზე ფოკუსირდება (McAdams, 2005).

რა ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებები არსებობს ადამიანთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ ცხოვრებაში? თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგია ინდივიდუალური განსხვავებების სამ ძირითად კლასზე ანუ დონეზე ფოკუსირდება (McAdams, 2006), ესენია: დისპოზიციური ნიშნები, დამახასიათებელი ადაპტაციები და ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიები.

## პიროვნების ფსიქოლოგია: წარსული და აწმყო

ადამიანის ინდივიდუალობაზე მეცნიერული ფოკუსი განსხვავებს პიროვნების ფსიქოლოგიას ფსიქოლოგიის ყველა სხვა მიმართულებისგან და, ზოგადად, სოციალური მეცნიერებებისგან. ის კვლევა-ძიების ცენტრში ცალკეულ პიროვნებას ათავსებს და მას ანალიზის ძირითად ერთეულად განიხილავს. თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგია იმის მემკვიდრეა, რასაც ფსიქოლოგიის ისტორიკოსი დანიელ რობინსონი „რენესანსის ჰუმანიზმს“<sup>1</sup> უწოდებს. რობინსონი წერს, რომ თანამედროვე მეცნიერებამ, უემოციო ობიექტურობითა და რედუქციონიზმისკენ სწრაფვით, საბოლოო ჯამში, უარყო რენესანსის ჰუმანიზმი, თუმცა, პიროვნების ფსიქოლოგია დინების საწინააღმდეგოდ წავიდა. პიროვნების ფსიქოლოგისთვის მეცნიერული კვლევა-ძიება ადამიანისთვისაა მოწოდებული. უცვლელი ფოკუსით ინდივიდზე, პიროვნების ფსიქოლოგიამ უნიკალური და ექსტრაორდინალურად მნიშვნელოვანი ადვილი დაიკავა მეცნიერების სამყაროში (McAdams, 2006).

### დარგის ფორმირება

პიროვნების ფსიქოლოგია ამერიკული უნივერსიტეტების ფსიქოლოგიის დეპარტამენტების წიაღში დაიბადა 1930-იან წლებში. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ისეთი თეორეტიკოსები, როგორებიც იყვნენ ფროიდი, იუნგი და ადლერი, ამ დრომდე 30 წლით ადრე უკვე აქვეყნებდნენ თავიანთ ნაშრომებს, სწორედ 1930-იან წლებში გაერთიანდა კვლევის რამდენიმე მიმართულება და შეიქმნა ახალი აკადემიური დისციპლინა. ჟურნალის „ხასიათი და პიროვნება“<sup>2</sup> პირველად 1932 წელს გამოიცა და ხასიათის გერმანული კვლევების, პიროვნებებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების ბრიტანული და ამერიკული კვლევებისა (რომლებიც მოიცავდნენ შემთხვევის შესწავლას, კორელაციურ გამოკითხვებს, ექსპერიმენტებს) და თეორიული დისკუსიების სინთეზს ისახავდა მიზნად (McAdams, D. P., 2006).

პიროვნების ფსიქოლოგიის ფორმალურ დაბადებად მიჩნეულია 1937 წელი, როდესაც გამოვიდა გორდონ ოლპორტის „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“ — პირველი ნაშრომი, რომლიდანაც იწყება პიროვნების ფსიქოლოგიის ათვლა და რომელშიც ოლპორტმა თავისი ცნობილი განსაზღვრება ჩამოაყალიბა (იხ. ქვემოთ ქვეთავი „პიროვნების ოლპორტისეული განმარტება“). ეს წიგნი პიროვნების ფსიქოლოგიაში დღემდე ერთ-ერთ ძირითად წიგნად ითვლება (McAdams, D. P., 2006), მიუხედავად იმისა, რომ მანამდე უკვე არსებობდა ტექსტები ფსიქიკური ჰიგიენის, პათოფსიქოლოგიის, ხასიათისა და პიროვნების შესახებ, ოლპორტი იყო პირველი, ვინც ექსპლიციტურად ჩამოაყალიბა მთლიანად პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროს ხედვა და ის ისტორიულ და თანამედროვე ხელოვნებისა და მეცნიერების დარგების კონტექსტში მოათავსა. ოლპორტისთვის პიროვნების ფსიქოლოგია ინდივიდუალური პიროვნების შესწავლას წარმოადგენდა (McAdams, D. P., 2006).

<sup>1</sup> XVI საუკუნის მსოფლმხედველობა, რომელიც აღიარებდა „ადამიანის ღირსებას და იმას, რომ სამყარო ადამიანისთვის შეიქმნა“ (Robinson, 1981, გვ. 171, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006).

<sup>2</sup> *Character and Personality*, დღესდღეობით „პიროვნების ჟურნალი“ – *Journal of Personality*.

ამავე დროს ჰარვარდის ფსიქოლოგიურ კლინიკაში მოღვაწეობდა ჰენრი მარეი, რომელმაც პერსონოლოგიის ბაზისური პრინციპები 1938 წელს გამოსულ ნაშრომში „პიროვნების კვლევა-ძიება“ ჩამოაყალიბა.

თუ ოლპორტისთვის ადამიანის გონება პოტენციურად რაციონალური და მოწესრიგებულია, მარეი ყურადღებას შედარებით ირაციონალურ, ვნებიან, კონფლიქტებითა და ემოციებით მართულ ადამიანს უთმობს. მან ფროიდისა და იუნგის მოსაზრებების აკადემიურ ფსიქოლოგიაში შემოტანა სცადა. ისიც, ოლპორტის მსგავსად, პიროვნების მთლიანობის იდეის მომხრე იყო და თვლიდა, რომ ქცევა გარემოსა და პიროვნების ინტერაქციის ფუნქცია იყო, თუმცა, ამ ორი ავტორის ცნებითი აპარატი სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

დასაწყისში პიროვნების ფსიქოლოგია დისიდენტური სფერო იყო ამერიკული ფსიქოლოგიის წიაღში (Hall & Lindzey, 1957, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006; Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). 1930-იან წლებში ამერიკული ფსიქოლოგია ისეთი თემების კვლევაზე იყო ფოკუსირებული, როგორცაა ჩვევები, რეფლექსები და ცალკეული რეაქციები, ანუ ორგანიზმის ქცევის ბაზისური მოლეკულური ელემენტები აინტერესებდა. ამის საპირისპიროდ, პიროვნების ფსიქოლოგია ჰოლისტური იყო და კვლევის ელემენტარულ ერთეულად მთლიან პიროვნებას აღიარებდა და თვლიდა, რომ ერთიანობა, თანმიმდევრულობა და მთლიანობა ადამიანის ცხოვრების არსებითი ნიშნებია (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997; McAdams, D. P., 2006). ამ პერიოდში ამერიკული ფსიქოლოგია ყველა ორგანიზმისთვის საერთო უნივერსალური კანონზომიერებების ძიებით იყო დაკავებული. ის მთლიანად *ნომოთეტური* წამოწყება იყო, რაც ნიშნავდა იმას, რომ ქცევის ზოგადი პრინციპებისა და კანონების აღმოჩენასა და გადამოწმებას ისახავდა მიზნად. ამის საპირისპიროდ, პიროვნების ფსიქოლოგიას აინტერესებდა ისიც, თუ როგორ განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან და ისიც, თუ როგორ ჰგვანან ისინი ერთმანეთს. ოლპორტი უფრო შორსაც წავიდა და თვლიდა, რომ მეცნიერმა ყოველი ინდივიდი პერსონალურად უნდა შეისწავლოს, როგორც უნიკალური ერთეული. ის პიროვნებისადმი *იდეოგრაფიული* მიდგომის მომხრე იყო, რომელიც, ნომოთეტურისგან განსხვავებით, ყურადღების მიღმა ტოვებდა ზოგად კანონზომიერებებს და კონკრეტული ცხოვრებებისთვის სპეციფიკური და ინდივიდუალური მოდელები/სქემები აინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ ოლპორტის ასეთი მარგინალური პოზიცია პიროვნების ფსიქოლოგიაშიც კი ყოველთვის საკამათო იყო,<sup>3</sup> პიროვნების ფსიქოლოგები, სხვა ფსიქოლოგებთან შედარებით, ტრადიციულად, უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი ერთი კონკრეტული შემთხვევის კომპლექსურობის შესწავლით (McAdams, D. P., 2006).

ამრიგად, დასწავლის ამერიკულ თეორიას დაკვირვებადი რეაქციები და ამ რეაქციებსა და სტიმულებს შორის კავშირები აინტერესებდა, პიროვნების ფსიქოლოგიას კი — თვალისთვის უჩინარი დინამიკა და მოქმედების შიდა წყაროები. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ყველა ინდივიდისთვის მიყენებდა უნივერსალურ კანონებს ეძიებდნენ, პიროვნების ფსიქოლოგია კი ადამიანთა შორის განსხვავებებსა და მათ შორის მსგავსებებზე ფოკუსირდებოდა. ამასთან, პიროვნების ფსიქოლოგია ტრადიციული ამერიკული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მიღმა არსებულ ისეთ დისციპლინებთან თანამშრომლობდა, როგორც იყო ფსიქოანალიზი და სიღრმის ფსიქოლოგია, გერმანული ქარაქტეროლოგია, ფსიქიკური უნარების ტესტირება და პათოფსიქოლოგია (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

ასეთი მიმართულების გამო პიროვნების ფსიქოლოგიას ყოველთვის არამყარი და ბუნდოვანი ადგილი ეკავა ამერიკულ ფსიქოლოგიაში. ზოგიერთები ამბობდნენ, რომ მართებული პიროვნების თეორია სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიის ცენტრში პიროვნების მოთავსება, მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ დისციპლინა იმდენად ამორფული იყო, რომ საერთოდ უნდა გამქრალიყო და ამოღებულიყო დღის წესრიგიდან. ეს ორი უკიდურესი მოსაზრება პრობლემური იყო, რადგან ერთიც და მეორეც პიროვნების

<sup>3</sup> მაგალითისთვის. იხ, Holt, 1962.

ფსიქოლოგიას არაფერს ან ყველაფერს (რაც, ისევე არაფერია) აძლევდა (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისათვის პიროვნების ფსიქოლოგია არის დისციპლინა, რომელიც თავისი მახასიათებლებითა და ტრადიციული აქცენტებით გამოირჩევა და ესენია: (ა) ჰოლიზმი ანუ მთლიანი პიროვნება, (ბ) მოტივაცია და დინამიკა და (გ) ინდივიდუალური განსხვავებები (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

## თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების ეტაპები

თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორია ოთხ პერიოდად შეიძლება დაიყოს (McAdams D. P., 1996): 1930-იან წლებამდე, დაახლოებით 1930-დან 1950 წლამდე, 1950-დან 1970 წლამდე და 1970-დან დღემდე (McAdams, D. P., 2006). მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

### პერიოდი 1: ისტორიული საფუძვლები - 1930 წლამდე

ოლპორტამდე ევროპელი მეცნიერების ჯგუფი მიიჩნევდა, რომ მეცნიერული კვლევის ერთეული მთლიანი პიროვნება უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ისინი ცდილობდნენ პიროვნების, როგორც მთლიანობისკენ მიდრეკილისა და მთლიანობისთვის მებრძოლის, კონცეპტუალიზაციას (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). *კომტე* (1852) მოიაზრებდა ახალ მეცნიერებას,<sup>4</sup> რომელიც ცალკეული პიროვნებების, როგორც „საზოგადოების მიზეზისა და შედეგის“ შესწავლისთვის იყო მოწოდებული. ის თვლიდა, რომ ადამიანი არამარტო ბიოლოგიური და კულტურული არსებაა, არამედ ის უნიკალურად აგებული მორალური აქტორიცაა, რომელიც მიზანმიმართული და ინტეგრირებული მთლიანის სახით არსებობს (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

*დილთაი* წმინდად ადამიანის ცხოვრების შესახებ მეცნიერების მომხრე იყო, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ობიექტურ მიდგომებს გამოეყო. შედარებით ნაკლებად რადიკალური იყო *შტერნის* (1924) პერსონალისტური ფსიქოლოგია, რომელიც ეფუძნებოდა დაშვებას, რომ პიროვნება „მრავალფორმიანი დინამიკური ერთიანობაა“. აკადემიური ფსიქოლოგიის ძირითად ხაზთან კიდევ უფრო ახლოს იდგა *მაკდაუგოლის* (1908) მოსაზრება, რომ პიროვნების განხილვა შესაძლებელია მთელი რიგი ინსტიტუტებისა და სენტიმენტების ტერმინებით, რომელთა შორის ძირითადია თვითპატივისცემის სენტიმენტი, რომელიც მე-ს მთლიანობას, ანუ როგორც მაკდაუგოლი უწოდებდა, *ხასიათს* ქმნის.

მთლიანობისკენ და ინტეგრირებულობისკენ პიროვნული მისწრაფებებისთვის ჯემსისა (1890) და ფროიდის (1923/1961) ნაშრომებშიც მოიძებნება ადგილი. ჯემსისთვის „მე“, „მე“-ს ცნობიერება,<sup>5</sup> თავის მატერიალური, სოციალური და სპირიტუალური ასპექტებით, მოიცავს ყველაფერს, რასაც პიროვნება „მე“-ს უწოდებს და „მე“-დ აღიქვამს. ამის საპირისპიროდ, ფროიდისთვის „მე“ (ego) გამაერთიანებელი აგენტია, რომელიც პიროვნების შიგნით და პიროვნებასა და გარემოს შორის წარმოქმნილი კონფლიქტების დამარეგულირებელია და რომლის საბოლოო მიზანი შფოთვის შემცირება და ეფექტური, რეალობაზე დაფუძნებული ფუნქციონირების უზრუნველყოფაა. როდესაც მთლიანობა დარღვეულია, პიროვნება განწირულია პრობლემებისთვის (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

### პერიოდი 2: სისტემების ფორმირება - 1930-1950

ამ პერიოდში მოხდა დარგის დაფუძნება და მთელი რიგი ძირითადი სისტემების განვითარება. 1930-იან და 1940-იან წლებში პიროვნების ფსიქოლოგებმა ამომწურავი კონცეპტუალური სისტემები შემოგვთავაზეს პიროვნების აღსაწერად და გასაგებად. ზოგიერთი ამ დიდ თეორიათაგანი

<sup>4</sup> მან ამ მეცნიერებას *la morale* უწოდა.

<sup>5</sup> self-as-me, ობიექტური მე ანუ მე-კონცეფცია.

დღესდღეობითაც საკმაოდ გავლენიანია.<sup>6</sup> ამ პერიოდში შექმნილი ყველაზე გავლენიანი თეორიებიდან აღსანიშნავია ოლპორტის (1937) ინდივიდუალური ფსიქოლოგია, მარეის (2008) პერსონოლოგიური სისტემა, კეტელისა (1947) და აიზენკის (1952) ნიშნების თეორიები, როჯერსის (1942) ჰუმანისტური თეორია, კელის (1955) პიროვნული კონსტრუქტების კოგნიტური თეორია და ამერიკული ბიჰევიორიზმისა და სოციალური დასწავლის თეორიის სხვადასხვა დერივატი (McAdams, D. P., 2006).

გარდა ამისა, 1930-იანი წლებისთვის უკვე არსებობდა ზიგმუნდ ფროიდის, კარლ იუნგისა და ალფრედ ადლერის პიროვნების ამომწურავი თეორიები, რომლებიც კლინიკურ დაკვირვებებზე აიგებოდა და ევროპულ ფსიქოანალიტურ ტრადიციაში იღებდა სათავეს. ეს ფსიქოანალიტური თეორიები სათანადოდ იქნა ჩართული პიროვნების ფსიქოლოგიაში და მათ თავიდანვე დიდი გავლენა მოახდინეს იმაზე, თუ როგორ უყურებდნენ და იკვლევდნენ პიროვნების ფსიქოლოგები ადამიანის ინდივიდუალობას (McAdams, D. P., 2006).

ჰოლისა და ლინდსეის (1957) ეკუთვნით პირველი სახელმძღვანელო<sup>7</sup> პიროვნების ფსიქოლოგიაში, რომელიც სწორედ ამ დიდი სისტემების მიხედვით აწვდის მკითხველს პიროვნების შესახებ იმ დროისთვის არსებულ ცოდნას. პიროვნების ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოების ტექსტი, ტრადიციულად, შემდეგ სექციებად იყოფა ხოლმე:<sup>8</sup> ფსიქოანალიტური და ფსიქოსოციალური თეორიები (მაგალითად, ფროიდი, იუნგი, ადლერი, ჰორნი, ფრომი, სალივანი და ერიკსონი), ტემპერამენტისა და ნიშნების მოდელები (მაგალითად, შელდონი, კეტელი, აიზენკი, გილფორდი და ზოგჯერ ოლპორტი), მიდგომები, რომლებშიც ხაზგასმულია მოტივები და მოთხოვნილებები (მაგალითად, მაკდაუგოლი, ლევინი, მარეი, მაკლელანდი), „მე“-ს ჰუმანისტური თეორიები (მაგალითად, როჯერსი, მასლოუ და ხანდახან ოლპორტი), ორგანიზმული თეორიები (მაგალითად, გოლდშტეინი, ანგიალი, მერფი), კოგნიტური თეორიები (მაგალითად, კელი), დასწავლის თეორიები (მაგალითად, ჰალი, სკინერი, მილერი და დოლარდი) და კოგნიტურ-სოციალური დასწავლის თეორიები (მაგალითად, როტერი, ბანდურა, მიშელი). აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიის არც ერთ სხვა მიმართულებას არ ჰქონია ამდენი განსხვავებული თეორია (McAdams, D. P., 2006; Холл К. С., Линдсей Г., 1997).

### პერიოდი 3: კონსტრუქტების შემუშავება - 1950-1970

1950-დან 1970 წლამდე პერიოდი პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების მესამე ისტორიულ ფაზას ქმნის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმაღლესი განათლების სისტემის სწრაფი განვითარების კონტექსტში ფსიქოლოგიის დეპარტამენტებიც გაიზარდა, გაფართოვდა და მეტად სპეციალიზირებული გახდა, ანუ წარმოიქმნა პიროვნებასთან დაკავშირებული ისეთი ვიწრო სპეციალობები, როგორიცაა კლინიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება და ინდუსტრიული/ორგანიზაციული ფსიქოლოგია. აშშ-ში პიროვნების ლაბორატორიულმა და საველე კვლევებმა დიდძალი ფედერალური დაფინანსება მიიღეს. პიროვნების ფსიქოლოგები კვლევისას ისეთი კონკრეტული პიროვნული *კონსტრუქტების* შესწავლასა და კონცეფციების დამუშავებაზე ფოკუსირდებოდნენ, როგორიცაა ექსტრავერსია (Eysenk, 1952), შფოთვა (Taylor, 1953), მიღწევის მოთხოვნილება (McClelland, 1961) და მთელი რიგი სხვა ნიშნებისა, მოთხოვნილებებისა, მოტივებისა და ა. შ., რომელთა სანდოდ და ვალიდურად გაზომვა იყო შესაძლებელი და რომელთა გავლენაც ქცევაზე უშუალო დაკვირვებას ექვემდებარებოდა (McAdams, D. P., 2006).

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ 1950-1960-იან წლებში პიროვნების ფსიქოლოგიამ ზურგი აქცია დიდ თეორიებს და პიროვნების გაზომვასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და საკითხებზე კონცენტრირდა (McAdams, D. P., 2006). შესაბამისად, მკვლევრებს აინტერესებდათ პასუხები ისეთ კითხვებზე, როგორიცაა, მაგალითად: როგორი უნდა იყოს პიროვნული კონსტრუქტის ვალიდური საზომი

<sup>6</sup> სწორედ ამ თეორიებზე ვისაუბრებთ შემდგომში.

<sup>7</sup> ამ წიგნის უამრავი გამოცემა არსებობს და ის დღესაც აქტიურად გამოიყენება ფსიქოლოგიის მიმართულებით წაკითხულ კურსებში და, კერძოდ, პიროვნების ფსიქოლოგიის კურსებში.

<sup>8</sup> და სწორედ ასეა აგებული ჰოლისა და ლინდსეის (და ბევრი სხვა გავრცელებული) სახელმძღვანელო.



(მაგ., Cronbach & Meehl, 1955; Loevinger, 1957)? უნდა მიენიჭოს თუ არა პიროვნების ობიექტური საზომებს პრიორიტეტი კლინიკურ ინტუიციასთან შედარებით (მაგ., Meehl, 1954; Sawyer, 1966)? მართლა ზომავენ თუ არა პიროვნების სკალები იმას, რისი გაზომვის პრეტენზიაც აქვთ, თუ უბრალოდ ტესტებზე პიროვნების მიერ პასუხების გაცემის სტილს აფასებენ (მაგ., Block, 1965; Edwards, 1957; Jackson & Messick, 1958)? (McAdams, D. P., 2006).

1960-იანი წლების დასასრულსა და 1970-იანების დასაწყისში ფსიქოლოგებმა სასტიკად გააკრიტიკეს პიროვნების ფსიქოლოგია, რამაც დარგის კრიზისი გამოიწვია. მაგალითად, კარლსონი (1971, წყაროში McAdams, 2006) პიროვნების ფსიქოლოგებს ადრეულ წლებში შექმნილი დიდი თეორიების იგნორირებასა და მათი პირდაპირი დანიშნულების — რეალური ცხოვრებისა და მთლიანი პიროვნებების სიღრმისეული შესწავლის — შეუსრულებლობაში ადანაშაულებდა. ფისკეს (1974, წყაროში McAdams, 2006) აინტერესებდა, პიროვნების ფსიქოლოგია მართლა აცდა თავის გზას, თუ უბრალოდ აღარ სურდა მხოლოდ ადამიანების არაზუსტ ვერბალურ ანგარიშებზე ყოფილიყო დამოკიდებული. შვედერმა (1975, წყაროში McAdams, 2006) საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ფსიქოლოგიის ნებისმიერი ფორმის არსებობის საჭიროება, რომელიც ინდივიდუალურ განსხვავებებზე აიგებოდა. თუმცა, ყველაზე გავლენიანი მიშელის (1968, 1973, წყაროში McAdams, 2006) კრიტიკა იყო, რომელშიც ის ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ქცევის ახნას შინაგან პიროვნულ დეტერმინანტებზე დაყრდნობით და მიიჩნევდა, რომ პიროვნების ახსნა ქცევის სიტუაციურ და კოგნიტურ-სოციალური დასწავლის დეტერმინანტებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. მიშელის ეს კრიტიკა საფუძვლად დაედო დებატებს პიროვნების ფსიქოლოგიაში იმის თაობაზე, თუ რაზე უნდა გაკეთებულიყო აქცენტი: სოციალური ქცევის პროგნოზირებისა და გაგებისთვის ნიშნებზე დაფუძნებული მიდგომები უნდა გამოეყენებინათ თუ სიტუაციაზე დაფუძნებული მიდგომები. დებატი „ნიშნები თუ სიტუაცია“ ცენტრალური იყო პიროვნების ფსიქოლოგიაში 1970-იან წლებსა და 1980-იანების დასაწყისში (McAdams, D. P., 2006).

#### პერიოდი 4: ეჭვები და ახალი ნდობა - 1970-დღემდე

თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების მეოთხე ფაზა დაახლოებით 1970 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ეს ფაზა პიროვნების კვლევების ლეგიტიმურობასა და ღირებულებაში ეჭვის შეტანითა და წარმოებული კვლევების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით დაიწყო, თუმცა, 1980-იანებში განახლებისა და ახალი სიცოცხლის შთაბერვაში გადაიზარდა (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997; Maddi, 1968; McAdams, D. P., 1996). კამათი „ნიშანი-სიტუაცია“ ნელ-ნელა შეწყდა, პიროვნების სფეროში მიმდინარე თანამედროვე კვლევა უფრო სენზიტიური გახდა ქცევის პროგნოზირებისთვის შინაგანი პიროვნული ცვლადებისა და გარეგანი სიტუაციური ფაქტორების ურთიერთქმედების მიმართ (Kenrick & Funder, 1988, წყაროში McAdams, 2006). პიროვნების ნიშნების მოდელებმა აღიდგინეს თავიანთი სტატუსი და გავლენა მთლიანად ფსიქოლოგიაში და განსაკუთრებით პიროვნული ნიშნების ხუთფაქტორიანი მოდელის განვითარებასთან ერთად (McCrae R. R., Costa, P. T., 2003). გაზომვასთან დაკავშირებული მთელი რიგი წინააღმდეგობების დაძლევის და/ან ყურადღების მიღმა დატოვების ფონზე, პიროვნების ფსიქოლოგებმა დახვეწეს პიროვნების მეცნიერული შესწავლის ახალი მეთოდოლოგიები. გასული საუკუნის ბოლო 10-15 წლის მანძილზე მკვლევრები ისევ დაინტერესდნენ პიროვნების ინტეგრაციული თეორიით და მთლიანი პიროვნებისა და მისი ბიოგრაფიული სირთულეების შესწავლით (McAdams, D. P., 2006).

თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგია უზოგადეს და ყველაზე ფუნდამენტურ კითხვებზე ეძებს პასუხებს: როგორია ადამიანის ბუნება? რა არის პიროვნება? როგორ გვესმის და როგორ უნდა გვესმოდეს პიროვნება? მთელ რიგ ავტორებს (McAdams, D. P., 2006) მიაჩნიათ, რომ პიროვნების ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის ყველაზე ფუნდამენტური და საინტერესო დარგია, ვინაიდან ის უშუაოდ ეხება ყოველ ჩვენგანს.

## პიროვნების ფსიქოლოგია და ფსიქოლოგიის სხვა დარგები

პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების კვლევისას ისეთ მრავალფეროვან დარგებს უკავშირდება, როგორცაა ტვინის ფიზიოლოგია, ევოლუციური ბიოლოგია, კოგნიტური მეცნიერება, სოციოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია და ლიტერატურის კვლევებიც კი. შესაბამისად, პიროვნების ფსიქოლოგია მრავალი დისციპლინის ურთიერთკვეთაზე მდებარეობს. მას ბევრი აქვს საერთო განვითარების ფსიქოლოგიასთან, პათოფსიქოლოგიასთან, კლინიკურ ფსიქოლოგიასთან და ფსიქოლოგიურ კონსულტირებასთან (McAdams, D. P., 2006).

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ფსიქოლოგებს ადამიანების განვითარება აინტერესებთ დაბადებიდან ვიდრე მოხუცებულობამდე, ისინი განსხვავდებიან განვითარების ფსიქოლოგებისგან იმით, რომ მათ ადამიანების ცხოვრების მოზრდილი წლები აინტერესებთ. გარდა ამისა, თუ განვითარების ფსიქოლოგებს დროში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები აინტერესებთ, პიროვნების ფსიქოლოგებისთვის პიროვნების ის ასპექტებია საინტერესო, რომლებიც დროში გარკვეული ხარისხის სტაბილობას ან უწყვეტობას ასახავს (McAdams, D. P., 2006).

პიროვნების ფსიქოლოგიას ბევრი რამ აკავშირებს სოციალურ ფსიქოლოგიასთან. პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგები ხშირად ერთსა და იმავე ჟურნალში ბეჭდავენ სტატიებს, მათ მრავალი საერთო ინტერესი აქვთ, თუმცა, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი არსებითი განსხვავებები: სოციალური ფსიქოლოგები ადამიანთა საზოგადოებებზე ფოკუსირდებიან, ხოლო პიროვნების ფსიქოლოგები — ინდივიდებზე. მარტივი ბიჰევიორალური ტერმინებით თუ ვიტყვით, პიროვნების ფსიქოლოგები უფრო იმით ინტერესდებიან, თუ რამდენად განსხვავებულად რეაგირებენ განსხვავებული ადამიანები ერთსა და იმავე სიტუაციაში, ხოლო სოციალურ ფსიქოლოგებს აინტერესებთ, თუ ადამიანები, ზოგადად, როგორ განსხვავებულად რეაგირებენ განსხვავებულ სიტუაციებში. თუმცა, ყოველთვის შესაძლებელია ამ ტენდენციიდან გამონაკლისების პოვნა, ვინაიდან პიროვნების ფსიქოლოგებს ხშირად სიტუაციის ეფექტიანობაც აინტერესებთ, სოციალური ფსიქოლოგების ინტერესში კი ინდივიდუალური განსხვავებებიც შეიძლება შედიოდეს (McAdams, D. P., 2006).

ასევე, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პიროვნების ფსიქოლოგიაში მყარი კლინიკური ტრადიცია არსებობს, რომლის საწყისებსაც ფროიდამდე და XX საუკუნის დასაწყისში ფსიქოანალიზის საფუძვლებამდე შეგვიძლია გავადევნოთ თვალი. პათოფსიქოლოგიასა და კონსულტირება/კლინიკურ ფსიქოლოგიას ადამიანის ცხოვრებაში წამოჭრილი ისეთი პრობლემები აინტერესებთ, როგორცაა ფსიქოპათოლოგია, ფსიქიკური აშლილობები და ქცევითი დარღვევები. მრავალი კლინიცისტი სხვადასხვა ტიპის პიროვნული აშლილობით არის დაინტერესებული. გარდა ამისა, პიროვნების ზოგიერთი თეორია კონკრეტულ თერაპიულ ტექნიკებს გთავაზობს, რომლებიც პათოლოგიური ქცევის შეცვლასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზეა მიმართული (მაგალითად, ფსიქოანალიტური თერაპია, როჯერსიანული კონსულტირება, ქცევის მოდიფიკაცია). მიუხედავად ამ მჭიდრო კავშირისა, პიროვნების ფსიქოლოგიას შედარებით ნორმალური ფუნქციონირება და ინდივიდუალობის ფართო დიაპაზონი უფრო აინტერესებს, რაც მეტ-ნაკლებად კარგად ადაპტირებულ ადამიანებს შორის გვხვდება. პიროვნების ფსიქოლოგიისთვის, როგორც მთლიანი პიროვნების მეცნიერული შესწავლისთვის, არ არის ცენტრალური ფსიქოთერაპია და კლინიკური პრაქტიკის სხვა საშუალებები. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეფექტური თერაპიისთვის არ არსებობს იმაზე მყარი ზურგი/საყრდენი, ვიდრე პიროვნების ფსიქოლოგიის წიაღში შექმნილი თეორიები და წარმოებული კვლევა (McAdams, D. P., 2006).

## პიროვნების ფსიქოლოგიის ორგანიზების სტრუქტურა

პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროს ორგანიზების რამდენიმე გზა არსებობს (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997; McAdams, D. P., 2006):

- ძირითადი წამყვანი თეორიების დალაგება, როგორცაა ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი ანუ დასწავლის თეორია, ნიშნებისა და ფსიქომეტრული მიდგომები, ჰუმანისტური ფსიქოლოგია.

- ძირითადი კონცეპტუალური საკითხების მიხედვით დაყოფა, რომლებიც სხვადასხვა თეორიულ ორიენტაციას მსჭვალავს, როგორცაა პიროვნების სტრუქტურა, დინამიკა, განვითარება, შეფასება და ცვლილება.

- სხვადასხვა მეთოდოლოგიური ტრადიციის მიხედვით დაყოფა, როგორცაა ექსპერიმენტული ტრადიცია და რაოდენობრივ-კორელაციული ტრადიცია. ასევე, განმეორებადი, კროსკულტურული, საარქივო და შემთხვევის შესწავლის მეთოდები (Cronbach, 1957 ციტირებულია Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). გარდა ამისა, არსებობს მეორე ვარიანტი: პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორიის შვიდი განსხვავებული მეთოდოლოგიური ტრადიციის განვითარების გასწვრივ დალაგება (Craik, 1986 ციტირებულია Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997): ბიოგრაფიული/საარქივო ჩანაწერები, სავლელ კვლევები, ლაბორატორიული მეთოდები, ბუნებრივი დაკვირვებით შეფასება, დამკვირვებელთა მსჯელობები, პიროვნული სკალები და კითხვარები და პროექციული ტექნიკები.

- ქცევის მნიშვნელოვანი პროცესებისა და სხვადასხვა კლასის მიხედვით, როგორცაა აგრესია, ექსტრალური ქცევა, კრეატულობა, ალტრუიზმი, შფოთვა, ფსიქოპათოლოგია, კონტროლის ლოკუსი, დაკმაყოფილება და შეკავება.

- ერთ-ერთი ბოლოდროინდელი და ახალი შემოთავაზება (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997) პიროვნების ფსიქოლოგიის მიზნების/ამოცანების ოთხ ჯგუფად დაყოფა: (1) პიროვნების ზოგადი თეორიების შექმნა; (2) ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლა; (3) სპეციფიკური ფორმებისა და ქცევის კლასების შესწავლა და (4) ინდივიდუალური პიროვნებებისა და ცხოვრებისეული ისტორიების გაგება. ასეთი დალაგება არ გამორიცხავს, რომ პიროვნების ფსიქოლოგიას ზოგადი კანონზომიერებებიც აინტერესებდეს და კონკრეტული ადამიანების შესწავლითაც იყოს დაკავებული და თუ კონკრეტული მიმართულების ფარგლებში მიღებული ცოდნა კონკრეტული ინდივიდების შესახებ არაგანზოგადებადია ყველასთვის მიყენებად კანონზომიერებად, ეს არ ნიშნავს, რომ მიმართულება გამოუსადეგარია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას კონკრეტული აინტერესებს და არა — ზოგადი და პიროვნების ფსიქოლოგიის მხოლოდ ერთ-ერთ (აქ: მეოთხე) მიზანს ემსახურება.

- მაკადამსი (2006) სრულიად ახლებურ სტრუქტურას გვთავაზობს, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე მარტივად და ამომწურავად აღწერს პიროვნებას, როგორც ერთ მთლიანს, და პასუხობს კითხვას, თუ რა ვიცი, როდესაც ვიცი პიროვნების შესახებ. პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ ის, რაც ყველა პიროვნებას აქვს საერთო მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ადამიანები არიან. ასევე, უნდა ვიცოდეთ, როგორ აყალიბებენ სოციალური კონტექსტი და კულტურა თითოეული პიროვნების ცხოვრებას. ადამიანის ბუნებისა და მისი კულტურული კონტექსტის ცოდნის შემდეგ შესაძლებელია ადამიანის ინდივიდუალობის სამ სხვადასხვა დონეზე განხილვა, კერძოდ: (1) *დისპოზიციური ნიშნები*, ანუ რა ზოგადი ტენდენციებით ხასიათდება პიროვნება? (მეგობრულია ის თუ არა? ჯიუტია თუ არა? უყვარს თუ არა გარისკვა?); (2) *პიროვნების სპეციფიკური მახასიათებლები და საფიქრალეები*, ანუ, როგორც მაკადამსი უწოდებს, *დამახასიათებელი ადაპტაციები*: რა სურს მას? რისი სწამს? როგორ უმკლავდება სტრესებს? ძირითადად რა საფიქრალეები და საზრუნავები აქვს დღესდღეობით? (3) *ცხოვრებისეული ისტორია*: რას ადგილი და საზრისი აქვს მის ცხოვრებას? რა ანიჭებს მის ცხოვრებას ერთიანობას და მიზანს? უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დისპოზიციური ნიშნები პიროვნების ძირითად მონახაზს, კონტურებს გვაძლევს, დამახასიათებელი ადაპტაციები მეტ დეტალებს გვაწვდის მის შესახებ, ხოლო ცხოვრებისეული ისტორიები გვეუბნებიან, მთლიანობაში რა საზრისი აქვს მის ცხოვრებას. სხვა სიტყვებით, ნიშნები გვეუბნებიან, თუ რას აკეთებენ ადამიანები; დამახასიათებელი ადაპტაციები — რა სურთ ადამიანებს და როგორ ცდილობენ ისინი ამ სასურველის მიღწევას (ან ერიდებიან არასასურველს), ცხოვრებისეული ისტორიები კი გვამცნობენ, თუ როგორი ცხოვრების აწყობას ცდილობენ ისინი (McAdams, D. P., 2006).

• თეორიული ორიენტაციები, მიზნები და კვლევის მეთოდები, რომლებიც ქმნიან პიროვნების ფსიქოლოგიას, შეიძლება დალაგდეს კონტინუუმზე „მყარი-რბილი“ (იხ. ცხრილი 1), რომლის „მყარ“ ბოლოში თავსდება რადიკალური გაზომვა, ექსპერიმენტული კონტროლი, ობიექტურობა და მეცნიერულობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაგებით, ხოლო „რბილი“ ბოლოში — სუბიექტური გამოცდილება, შინაარსები და ინტერპრეტაციები, სოციალურ-ისტორიული კონტექსტი და მეცნიერულობა ჰუმანიტარული მეცნიერების ტრადიციის თვალსაზრისით (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

ცხრილი 1. „მყარი“ და „რბილი“ ტრადიციები, მიზნები და მეთოდები პიროვნების ფსიქოლოგიაში.

	„მყარი“			„რბილი“		
ტრადიციები	ბიპვეორისტული	ფსიქომეტრული	ფსიქონალიტური	ფენომენოლოგიურ-ჰუმანისტური		
	კოგნიტური	ბიოლოგიური	ცხოვრების შესწავლა	კულტურა და პიროვნება		
<b>მიზნები</b>	(1) პიროვნების ზოგადი თეორიების შექმნა (2) ინდივიდუალური და ჯგუფური განსხვავებების ანალიზი (3) სპეციფიკური პროცესებისა და ქცევის კლასების შესწავლა			(4) ცხოვრების გაგება სოციალურ-ისტორიულ კონტექსტში		
<b>მეთოდები, დისციპლინები</b>	ექსპერიმენტული (ლაბორატორია, ველი, მულტივარიანტული, ქვაზი-ექსპერიმენტული)	რადიკალური (ფსიქომეტრული, კორელაციური, ტაქსონომია, ეპიდემიოლოგიური, ალბათური)	განმეორებითი ანუ ლონგიტუდური (პროსპექტული, რეტროსპექტული, თანმიმდევრული)	ინტერპრეტაციული (ენა, სიმბოლიზაცია, ინტენციონალურობა, აზრი/შინაარსი/მნიშვნელობა)	ისტორიულ-კონტექსტუალური (ნარატივი, კონკრეტული კონტექსტი, შემთხვევითობა, რთული თანმიმდევრობა, ფსიქობიოგრაფიული, კროსკულტურული, ტრანსისტორიული)	

წყარო: ადაპტირებულია Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997.

## პიროვნება, როგორც მეცნიერული კვლევის სფერო

პიროვნების სფერო განსხვავდება სხვა ყველა დანარჩენისგან იმით, რომ აქ ფსიქოლოგიის სხვა სფეროთა პრინციპული მოსაზრებების სინთეზირებისა და ინტეგრირების მცდელობები ხორციელდება. მაგალითად, ალქმის ფსიქოლოგია შეისწავლის დაკვირვებადი გარე სამყაროს ალქმისა და ინტერპრეტაციის საფუძველადმდებარე ძირითად სტრუქტურებსა და პროცესებს. ალქმის კვლევა მკაფიო საყრდენი პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობს. იგივე შეიძლება ითქვას ფსიქოლოგიის სხვა სფეროების შესახებაც, იქნება ეს დასწავლა, მოტივაცია თუ კოგნიტური ფსიქოლოგია, მაგრამ სწორედ პიროვნების შესწავლისას ახდენენ მკვლევრები ამ პრინციპების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას, ესწრაფვიან რა ადამიანის, როგორც ინტეგრირებული მთლიანის, გაგებას.

ადამიანის ქცევის გაგება, მთელი მისი მრავალგანზომილებიანობით, რთული ამოცანაა. ხშირად ორი ინდივიდის ერთნაირ ქცევას ერთსა და იმავე დროს ანდა ერთი ადამიანის ქცევას სხვადასხვა დროს განსხვავებული მიზეზები აქვს. მაგალითად, შევადაროთ ორი ადამიანის მოტივაცია, რომელიც აბორტების წინააღმდეგ აქციაში მონაწილეობს. შესაძლებელია, რომ ერთს რელიგიური გრძნობები ამოძრავებდეს, მეორეს კი — მხოლოდ ახალი მძაფრი განცდების მიღების სურვილი. ინტერპრეტაციის სირთულეს ისიც ქმნის, რომ ქცევას საფუძველად ორი ფაქტორი უდევს: შინაგანი მიზეზები და სიტუაცია, რომელშიც ქცევა ხორციელდება. ამასთან, ადამიანები ზოგჯერ ვერც კი ხსნიან, თუ რატომ იქცევიან სწორედ ასე და არა — სხვაგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მათი განზრახვები შეიძლება სრულიად გასაგებად გამოიყურებოდეს. ადამიანის ქცევის ეს და ბევრი სხვა გამოცანა მხოლოდ აძლიერებს თეზისს იმის შესახებ, რომ პიროვნების ფსიქოლოგია მაქსიმალურ სიზუსტეს უნდა ესწრაფვოდეს ყველაფერში, რაც ქცევის ანალიზს შეეხება.

უკიდურესად ზუსტი რომ იყოს, პერსონოლოგი ზოგადი ფსიქოლოგიის ყველა პრინციპის ინტერპრეტირებას უნდა ახდენდეს და ითვალისწინებდეს მათ შორის არსებულ ყველა დინამიკურ ურთიერთქმედებას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ არის აღქმა დამოკიდებული სწავლაზე, როგორ უკავშირდება სწავლა მოტივაციას, როგორ შეესატყვისება მოტივაცია განვითარებას და ა.შ. ყველა ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ინდივიდის ქცევასა და განცდებს, პერსონოლოგთა შესწავლის სფეროში თავსდება.

ყველა ამ მოსაზრებას მივყავართ დასკვნამდე, რომ არ არსებობს ფსიქოლოგიური ცოდნის სხვა სფერო, სადაც ადგილი აქვს ასეთ მისწრაფებას მეცნიერული უნაკლობისკენ („სისუფთავისკენ“), როგორცაა პიროვნების სფერო. ის წარმოადგენს სოციალური და ინტელექტუალური განვითარების, ფსიქოპათოლოგიისა და თვითრეალიზაციის, დასწავლისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების კვლევების, ასევე, სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ძაფის ურთიერთკვეთის წერტილს (ერთგვარ გზაჯვარედინს), რომლებიც თანამედროვე ფსიქოლოგიის ქსოვილს ქმნიან. ამ დისციპლინის ასეთი მოცულობითობა არც არის გასაკვირი, რადგანაც მისი შესწავლის ობიექტი, არც მეტი, არც ნაკლები, „მთლიანი ინდივიდი“. ასეთი მნიშვნელოვანი მიზნის არსებობის პირობებში სრულიად სამართლიანია ვივარაუდოთ, რომ პიროვნების შესწავლა საკმაოდ გაბედული საქმიანობაა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების ცნება

### ტერმინის ეტიმოლოგია

უკანასკნელი ორი ათასწლეულის მანძილზე ტერმინს „პიროვნება“ მრავალი დესკრიპტული გამოყენება ჰქონდა, თუმცა, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვა „პერსუ“ ძველი ეტრუსკულიდან მოდის და შენიღბულ ფიგურას, ნიღაბს ნიშნავს. ლეგენდის თანახმად, ეს ნიღაბი ანუ პერსუ პირველად ძველ რომში გამოიყენა მსახიობმა თავისი ელამი თვალების დასაფარად. „პერსუ“ ლათინურში ტრანსფორმირდა „პერსონად“, რაც, ასევე, ნიღაბს ნიშნავს, რომელსაც მსახიობები იყენებდნენ თეატრალური წარმოდგენისას ძველბერძნულ დრამაში. თავისი არსით, ეს ტერმინი თავდაპირველად მიუთითებდა კომიკურ ან ტრაგიკულ ფიგურაზე თეატრალურ მოქმედებაში (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

ჯერ კიდევ ციცერონი (106-43 ჩვ. წ. აღ-მდე) (Allport, G. W., 1937) გამოყოფდა პერსონის ოთხ მნიშვნელობას: (1) როგორ ჩანს ადამიანი სხვების თვალში (თუმცა, სინამდვილეში ასეთი არაა), (2) როლი, რომელსაც ადამიანი თამაშობს (მაგალითად, ფილოსოფოსი); (3) პიროვნულ ნიშანთა ერთობლიობა, რომელიც ადამიანის საქმიანობას განსაზღვრავს; (4) ინდივიდუალობა, პიროვნული თავისებურება, უნიკალობა, სხვებისგან გამორჩეული ღირსება.

### რა არის პიროვნება

#### ალტერნატიული პასუხები

თანამედროვე ფსიქოლოგიაში პიროვნების მრავალი განსაზღვრება არსებობს და თითოეული მათგანის უკან შესაბამისი თეორია დგას (Первин Л., Джон О., 2002).

პიროვნების ცნების შინაარსში თავდაპირველად მოიაზრებოდა პიროვნების გარეგანი, ზედაპირული სოციალური ხატი, რომელსაც ინდივიდი იღებს გარკვეული ცხოვრებისეული როლის თამაშის დროს. ესაა გარშემო მყოფებისკენ მიმართული ერთგვარი საზოგადოებრივი სახე. ეს მოსაზრება ემთხვევა თანამედროვე არაპროფესიონალის მოსაზრებას, რომელიც, ჩვეულებრივ, პიროვნებას მომხიბვლელობის, საზოგადოებაში ქცევის უნარის ქონის, პოპულარობის, ფიზიკური მიმზიდველობისა და სხვა სოციალურად სასურველი მახასიათებლების მიხედვით აფასებს. ასეთი მიდგომა ბადებს ისეთ კომენტარებს, როგორცაა „ის სასურველი პიროვნებაა“, „ეს არასასიამოვნო პიროვნებაა“. ეს კონცეფცია

მთლიანად მეცნიერული ფსიქოლოგიის ფარგლებს გარეთ მდებარეობს, რადგან ყურადღების მიღმა ტოვებს ქცევის მრავალ თავისებურებას, რომელიც აუცილებლად პიროვნების კონტექსტში უნდა იქნას შესწავლილი.

პიროვნება, ასევე, განიხილებოდა, როგორც ინდივიდის ყველაზე მკაფიო და შესამჩნევი მახასიათებლების კომბინაცია. ამგვარად, ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ „ის მორცხვი პიროვნებაა“, ან „ის მეგობრული პიროვნებაა“ და იგულისხმება, რომ მორცხვობა ან მეგობრულობა მისი ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია. მსგავს მაგალითებში საქმე გვაქვს პიროვნების გაიგივებასთან იმ გარეგან სოციალურ შთაბეჭდილებასთან, რომელსაც მოცემული ინდივიდი გარშემომყოფებზე ახდენს მათთან ურთიერთობის პროცესში, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ახდენს ზეგავლენას ურთიერთობის სიტუაციებში პიროვნების ქცევათა უმრავლესობაზე მისი ყველაზე გამორჩეული, აშკარა თვისებები. სამწუხაროდ, ტერმინის ასეთი, ფაქტობრივად, პოპულარული გამოყენებისას ხელიდან გვისხლტება იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანი შეიძლება კონკრეტული სიტუაციისა და მიხედვით იყოს მეგობრული ან მორცხვი. ამასთან, ტერმინი „პიროვნება“ პერსონოლოგთა უმრავლესობის გაგებაში არ გულისხმობს ადამიანის ხასიათის ან მისი სოციალური უნარების შეფასებას. მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ „გურამი არაჩვეულებრივი პიროვნებაა“, ალბათ, ვგულისხმობთ მის კეთილგანწყობას, უშუალობას ან სხვებისათვის დახმარებისადმი მზაობას. თუმცა, პიროვნების საკითხებზე მომუშავე ფსიქოლოგები არ იყენებენ მახასიათებლებს ერთეული მნიშვნელობით ანუ არ ყოფენ პიროვნებებს კარგებად და ცუდებად (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

კაპრარა და სერვონი (2003) პიროვნების ცნებაში ფსიქიკური სისტემების მთელ სიმრავლეს გულისხმობენ, რომლებიც ადამიანის ქცევისა და განცდების უწყვეტობას განაპირობებენ იმ სახით, რა სახითაც ეს მრავალრიცხოვანი სისტემები ვლინდება და როგორადაც აღიქმება ის თავად ადამიანისა და სხვა ადამიანების მიერ.

ამ განმარტებიდან ჩანს (Капрара Дж., Сервон Д., 2003), რომ პიროვნების ცნება რამდენიმე რაკურსით უნდა განვიხილოთ. ადამიანის თვალსაზრისით, მისი საკუთარი პიროვნება არის თვისებათა და მიდრეკილებათა ერთობლიობა. ეს მდგრადი პიროვნული თვისებები იდენტობის („ჩემი“), ერთიანობის („აზრები, გრძნობები, მოქმედებები — ეს ყველაფერი ჩემი ნაწილებია“) და უნიკალობის („მე“) გრძნობას ქმნიან. დამკვირვებლის თვალსაზრისით, პიროვნება ფსიქიკური მახასიათებლების ერთობლიობაა, რომლითაც ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ადამიანები აკვირდებიან სხვა ადამიანების ქცევას, საკუთარი დაკვირვებების გამოყენებით იქმნიან მათზე წარმოდგენას და პიროვნების შესახებ საკუთარ წარმოდგენებს შეთანხმებული სისტემების სახით ალაგებენ. ამ თვალსაზრისით, პიროვნება სოციალური კონსტრუქტია, რომელიც ადამიანების თვისებების შესახებ წარმოდგენების სისტემებს უკავშირდება. და ბოლოს, მეცნიერის თვალსაზრისით, პიროვნება ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების შედეგად წარმოქმნილი ფსიქიკური სისტემაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ინტრაფსიქიკურ ფუნქციონირებასა და გარემოსთან ადამიანის ურთიერთქმედებას.

პ. კოსტასა და რ. მაკკრეის მიხედვით (2003), პიროვნების ცნებაში პიროვნული ნიშნებითა და იმ დინამიკური პროცესებით განსაზღვრული სისტემა იგულისხმება, რომლითაც ეს ნიშნები ზემოქმედებენ ინდივიდის ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებაზე.

რ. გერიგი და ფ. ზიმბარდო (2009) პიროვნებას განსაზღვრავენ, როგორც უნიკალური ფსიქოლოგიური თვისებების რთულ ერთობლიობას, რომელიც განსხვავებულ სიტუაციებში და სხვადასხვა დროს გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევისთვის დამახასიათებელ პატერნებზე.

ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის (1980) მიხედვით (Dillinger, T. G., Weigemann D. A. and Taneja N., 2003), პიროვნება განისაზღვრება, როგორც დამახასიათებელი, ტიპური გზა იმისა, თუ როგორ ფიქრობს, გრძნობს და იქცევა ადამიანი; ქცევის ღრმად გამჯდარი პატერნი, რომელიც თითოეულ ადამიანშია მოცემული ცნობიერად თუ არაცნობიერად, როგორც ცხოვრების სტილი ან გარემოსთან ადაპტაციის ფორმა.

ამრიგად, პიროვნება წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას, რომელიც აერთიანებს ადამიანისთვის დამახასიათებელ მრავალ ასპექტს — ემოციებს, მოტივაციას, აზრებს, განცდებსა და ქცევებს, თუმცა, პიროვნება, როგორც ცნება, არ უნდა დავიყვანოთ ინდივიდუალური ფუნქციონირების რომელიმე ასპექტზე. პიროვნების კონცეპტუალური მნიშვნელობა მრავალწახნაგოვანია — ის მოიცავს შინაგან ფსიქიკურ პროცესთა ფართო სპექტრს, რომელიც განაპირობებს ადამიანის ქცევის თავისებურებებს სხვადასხვა სიტუაციაში. ვინაიდან ასეთ რთულ ცნებასთან გვაქვს საქმე, შეუძლებელია მისი რაიმე მარტივი კონცეპტუალური განსაზღვრების მოცემა. ფსიქოლოგიის ფარგლებშიც კი ვერ ვიპოვით ამ ტერმინის ერთადერთ, საყოველთაოდ მიღებულ მნიშვნელობას. ეს მნიშვნელობები იმდენი შეიძლება იყოს, რამდენი ფსიქოლოგიც მუშაობს ამ საკითხზე (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

პიროვნების ცნების განსაზღვრებათა მრავალფეროვნებაზე წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია ზოგადად გადავავლოთ თვალი პიროვნების ფსიქოლოგიის რამდენიმე ძირითად მიმართულებას (იხ. ქვემოთ).

## პიროვნების ცნების ოლპორტისეული კლასიფიკაცია და განმარტება

გორდონ ოლპორტმა პიროვნების ფსიქოლოგიაში არსებულ ლიტერატურაში მოიძია და განიხილა ცნება „პიროვნების“ 49 განსაზღვრება და მოახდინა მათი კლასიფიკაცია (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). კრიტერიუმად აღებული იყო ის მხარე, ის ასპექტი, რასაც ეხებოდა ისინი. გამოიყო სულ შვიდი კატეგორია: განსაზღვრებები, რომლებიც ეხება (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997): ტერმინის ეტიმოლოგიას ან ადრეულ ისტორიას, თეოლოგიურ მნიშვნელობას, ფილოსოფიურ მნიშვნელობას, იურიდიულ მნიშვნელობას, სოციალურ მნიშვნელობას, ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას და გარეგან გამოვლინებებს.

ოლპორტმა მოგვცა თავისი განმარტებაც, რომელშიც შეეცადა შეეტანა უკვე არსებულ განმარტებებში მოცემული დადებითი ელემენტები და გვერდი აეგლო ნაკლოვანებებისათვის. შედეგად მიღებული განმარტება ასეთია: „პიროვნება არის ინდივიდის იმ ფსიქოფიზიკური სისტემის დინამიკური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მის უნივერსალურ შეგუებას გარემოსთან“ (Allport, 1937, ციტირებულია წყაროში Хьелლ Л., 1997) (ტერმინების დაზუსტებისთვის იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. ოლპორტისეულ განმარტებაში შემავალი ზოგიერთი ტერმინის განმარტება.

ტერმინი	განმარტება
ფსიქოფიზიკური	მიგვანიშნებს, რომ ის არ არის არც მხოლოდ ფსიქიკური და არც მხოლოდ ფიზიოლოგიური; რომ ორგანიზაცია იწვევს ორივეს, როგორც სულის, ისე სხეულის, ოპერაციებს, რომელთა ერთმანეთისგან დაშორება შეუძლებელია.
დინამიკური ორგანიზაცია	ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პიროვნება არის მუდმივად განვითარებადი და ცვალებადი, თუმცა, რადგან იგი ორგანიზაციაა და სისტემაა, ერთმანეთთან აკავშირებს მის განსხვავებულ კომპონენტებს და ამყარებს მათ შორის ურთიერთობას.
განსაზღვრავს	ნათელს ხდის, რომ პიროვნება შეფასებულია მადეტერმინირებელი ტენდენციებით, ის აქტიურ როლს ასრულებს ინდივიდის ქცევაში. ოლპორტი აღნიშნავს, რომ „პიროვნება არის რაღაცა და აკეთებს რაღაცას... ესაა ის, რაც არსებობს ინდივიდში სპეციფიკური აქტების მიღმა“, ანუ პიროვნება არ არის უბრალოდ დამკვირვებლის კონსტრუქტი ან ის, რაც მხოლოდ მეორე, მასზე მორეაგირე პერსონის არსებობის შემთხვევაში არსებობს. პიროვნებას აქვს რეალური არსებობა.
უნიკალური	ორი ინდივიდი არასოდეს რეაგირებს გარემოზე ზუსტად ერთნაირად. ამიტომ მათ არ აქვთ (და ვერც ექნებათ) ერთნაირი პიროვნება.
შეგუებას გარემოსთან	პიროვნება ასრულებს მედიატორულ როლს ინდივიდსა და მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოს შორის; ამასთან, პიროვნება კრიტიკულ-ფუნქციონალური ანუ ადაპტური მნიშვნელობის მქონეა.

## ძირითადი, რაც საერთოა ყველა განსაზღვრებისთვის

არსებულ კონცეფციათა მრავალფეროვნება და მათ შორის განსხვავებათა არსებობა მიუთითებს, რომ სხვადასხვა თეორიული მოსაზრების პოზიციიდან პიროვნების შინაარსი გაცილებით მრავალწახნაგოვანია, ვიდრე თავდაპირველად წარმოდგენილი „გარეგანი სოციალური ხატის“ კონცეფცია. ის გაცილებით მნიშვნელოვანის, არსებითისა და უცვლელის მატარებელია. გარდა ამ პრინციპული შეთანხმებისა, პიროვნების თეორიულ განსაზღვრებათა უმრავლესობა მოიცავს შემდეგ ზოგად პუნქტებს (Хьелл Л., Зиглер Д., 1997):

- განსაზღვრებათა უმრავლესობაში ხაზგასმულია ინდივიდუალურობის ან ინდივიდუალურ განსხვავებათა მნიშვნელობა. პიროვნებაში წარმოდგენილია ისეთი განსაკუთრებული თვისებები, რომელთა მეშვეობითაც მოცემული ადამიანი განსხვავდება დანარჩენებისგან. გარდა ამისა, იმის გაგება, თუ რომელი სპეციფიკური თვისებები თუ მათი კომბინაციები გამოადიფერენცირებენ ერთ პიროვნებას მეორისგან, მხოლოდ ინდივიდუალურ განსხვავებათა შესწავლითაა შესაძლებელი.
- განსაზღვრებათა უმრავლესობაში პიროვნება წარმოდგენილია გარკვეული ჰიპოთეტური სტრუქტურის ან ორგანიზაციის სახით. ინდივიდის უშუალო დაკვირვებისთვის (ნაწილობრივ მაინც) ხელმისაწვდომი ქცევა განიხილება, როგორც პიროვნების მიერ ორგანიზებული ან მასთან ინტეგრირებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პიროვნება არის ადამიანის ქცევაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნებზე აგებული აბსტრაქცია.
- განსაზღვრებათა უმრავლესობაში ხაზგასმულია იმის მნიშვნელოვნობა, რომ პიროვნება განხილულ უნდა იქნას ინდივიდის ცხოვრებისეულ ისტორიასთან ან განვითარების პერსპექტივებთან შესაბამისობაში. პიროვნება ევოლუციურ პროცესში ხასიათდება, როგორც შინაგან და გარეგან ფაქტორთა (მათ შორის, გენეტიკური და ბიოლოგიური წინასწარი მზაობა, სოციალური გამოცდილება და გარემოს ცვალებადი პირობები) ზეგავლენის სუბიექტი.
- განსაზღვრებათა უმრავლესობაში პიროვნება წარმოდგენილია იმ მახასიათებლებით, რომლებიც „პასუხს აგებს“ ქცევის მდგრად ფორმებზე. პიროვნება, როგორც ასეთი, შედარებით უცვლელია და მუდმივია დროსა და ცვალებად სიტუაციებში; ის უზრუნველყოფს უწყვეტობის განცდას დროსა და გარემოს პირობებში (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები

### ფსიქოდინამიკური თეორიები

აქ შედის ფროიდის, იუნგის, ადლერის, ფრომის, ჰორნის, სალივანისა და სხვათა თეორიები. ამ თეორიებს შორის უამრავი განსხვავებაა, მაგრამ ყველა შეიცავს მნიშვნელოვან ბაზისურ იდეას: თითოეულისთვის პიროვნება ინტეგრაციის ტერმინებით ხასიათდება. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება განვითარების ფაქტორებზე, რაც გულისხმობს დაშვებას იმის შესახებ, რომ პიროვნება თანდათანობით ვითარდება დროში და ეს განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება ფაქტორთა ინტეგრირება (ანუ რა კომბინაციას ქმნიან ზეგავლენის მქონე ფაქტორები). მეტიც, მოტივაციის ცნება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების აღწერა მხოლოდ მაშინ ითვლება თეორიული ღირებულების მქონედ, თუ განხილული და შეფასებულია მისი ძირითადი მოტივაციური სინდრომი (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).



## ბიჰევიორიზმი

პიროვნების შესწავლისას აქცენტი კეთდება დასწავლის თეორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს პიროვნების შესახებ გავლენიანი წმინდად ბიჰევიორისტული თეორიები, ამ ორიენტაციამ სტიმული მისცა სხვა თეორიებს, რომ უფრო ახლოს განეხილათ ინტეგრალური პრობლემა: ადამიანთა უმრავლესობის მიერ განხორციელებული ქცევითი რიგი (ქცევათა რეპერტუარი) რამდენად არის პიროვნების აღნიშნული ტიპის, შტრიხების თუ დინამიკის შედეგი და რამდენად უკავშირდება გარემოში მიმდინარე მოვლენებსა და განმამტკიცებლის შემთხვევითობას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## ჰუმანიზმი

ორიენტაცია, რომელიც შეიქმნა, როგორც რეაქცია იმაზე, რასაც დომინანტურად მიიჩნევდნენ ფსიქოლოგიაში ფსიქოანალიზი და ბიჰევიორიზმი. ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც არიან მასლოუ, როჯერსი, მეი და ფრანკლი, ფენომენოლოგიაზე (სადაც უმთავრესია სუბიექტური მენტალური გამოცდილება), ჰოლიზმზე (სადაც უარყოფილია ბიჰევიორიზმის რედუქციონიზმი) და თვითაქტუალიზაციაზე მიმართული დრავის მნიშვნელობაზე ფოკუსირდებიან. ჰუმანიტური მიმართულების მთავარ პრობლემას მისი თეორიული მოსაზრებების მეცნიერული გადამოწმება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ის მაინც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომაა პიროვნების ფსიქოლოგიაში (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## სოციალური დასწავლის თეორიები

ამ თვალსაზრისში გაერთიანებულ თეორიულ მოსაზრებათა უმრავლესობა გარემოსა და თანდაყოლილ ნასახთა შორის ბალანსის პრობლემიდან მომდინარეობს, თუმცა, პიროვნების ცნება განიხილება, როგორც ქცევის სოციალურ კონტექსტში შექმნილი ასპექტები. აქ წამყვანი თეორეტიკოსია ალბერტ ბანდურა, რომლის პოზიციაც ეფუძნება შემდეგ დაშვებას: მიუხედავად იმისა, რომ დასწავლა კრიტიკულია, მარტივი სტიმულების — რეაქციის ასოციაციურობისა და განმამტკიცებლთა შემთხვევითობის — გარდა არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომელიც საჭიროა მოცემულ პიროვნებაში განსაკუთრებით წარმოჩენილი რთული სოციალური ქცევების (მაგალითად, სოციალური როლის) ჩამოყალიბების ასახსნელად; კერძოდ, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მეხსიერება, შეკავებისა და თვითრეგულაციის პროცესები, ძირითადი კვლევა კი ფოკუსირდება მოდელირებასა და დაკვირვებით სწავლაზე, როგორც მექანიზმზე, რომელმაც სოციალურ კონტექსტში განხორციელებული ქცევის რეგულატორთა დამაკმაყოფილებელი თეორიული ახსნა შეიძლება მოგვცეს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## სიტუაციონიზმი

სიტუაციონიზმი ბიჰევიორიზმისა და სოციალური დასწავლის თეორიის დერივატია, რომლის ძირითადი დებულება ასეთია: დაკვირვებადი ქცევების რეპერტუარი სიტუაციის მახასიათებლებით უფრო მეტად არის დეტერმინირებული, ვიდრე რომელიმე ინტერნელური (შინაგანი) პიროვნული ტიპით ან მახასიათებლებით. ამ პოზიციიდან პიროვნული ნიშნის (მახასიათებლის) ცნება მეტი არაფერია, თუ არა იმ დამკვირვებლის მენტალური კონსტრუქცია, რომელიც ცდილობს ჩაწვდეს სხვათა ქცევას და ეს კონსტრუქცია მხოლოდ მის გონებაში არსებობს. ქცევის რეგულარულობა იმ სიტუაციების მსგავსებას მიეწერება, რომელშიც მოცემული ინდივიდი ხვდება და არა — მის შინაგან მუდმივობას და უცვლელობას (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების თეორია: მიმოხილვა

### რა არის თეორია

თეორია მეცნიერების ბირთვი და გულია (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). ეს არის ურთიერთდაკავშირებულ იდეათა, კონსტრუქტთა და პრინციპთა სისტემა, რომლის მიზანია რეალობაზე განხორციელებული გარკვეული დაკვირვებების ახსნა. ეს არის დაუმტკიცებელი ჰიპოთეზა ანუ სპეკულაცია სინამდვილეზე, რომლის შესახებაც ჯერ არ არის ცნობილი ასეთია იგი თუ არა. დამტკიცებული თეორია გადაიქცევა ფაქტად (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მეცნიერები ქმნიან თეორიებს, რათა აღწერონ და ახსნან სამყაროსთან თავიანთი ურთიერთქმედება, როგორც ფორმაც არ უნდა მიიღოს ამ ურთიერთქმედებამ: იქნება ეს სიმსივნის უჯრედებზე დაკვირვება თუ შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე ადამიანების ინტერვიუება. ისინი მუდმივად კრიტიკულად აფასებენ თეორიებს, ახდენენ მათ მოდიფიცირებას, ხვეწენ ცნებებსა და კონცეფციებს, რათა უკეთ ასახონ დანახული, ან, პირიქით, უკუაგდონ თეორია, თუ ის არ შეესაბამება რეალობიდან მიღებულ მონაცემებს (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

ამრიგად, თეორია არის თეორეტიკოსების მიერ შექმნილი პირობითობების კრებული, ანუ თეორია არ არის „მოცემული“ და არ არის განპირობებული ბუნებით, მონაცემებით ან სხვა დეტერმინანტებით. როგორც ერთმა და იგივე განცდამ ან დაკვირვებამ პოეტი ან რომანისტი სხვადასხვა ფორმის ხელოვნების ნიმუშთა შესაძლო ვარიანტებიდან ნებისმიერის შექმნამდე შეიძლება მიიყვანოს. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შეიძლება ჩართული იყოს ნებისმიერში მრავალრიცხოვანი თეორიული სქემებიდან. ირჩევს რა მისთვის საინტერესო მოვლენების პრეზენტაციის ხერხს, თეორეტიკოსი თავისუფალ შემოქმედებით არჩევანს ახორციელებს, რომელიც მხატვრის არჩევანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, თუ რა ტიპის მოვლენები აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში და რის საფუძველზეა შესაძლებელი არჩევანის ნაყოფიერებაზე მსჯელობა. აქ ხაზგასმულია თეორიის აგების შემოქმედებითი და თავისუფალი სტილი. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს შენიშვნა, რომ ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლება თეორიის შეფასება, მაგრამ ვერ განვსაზღვრავთ, თუ როგორ უნდა შევქმნათ ის. არ არსებობს ნაყოფიერი თეორიული კონსტრუქტის ფორმულა ისევე, როგორც არ არსებობს ფორმულა უკვდავი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისათვის.

თეორია რომ რაღაც აუცილებელი და გამოწერილი კი არ არის, არამედ თავისუფალი არჩევანის შედეგია, ამაზე მოწმობს ის, რომ ჭეშმარიტობა-მცდარობა არასაკმარისი ატრიბუტია მის აღსაწერად. თეორია მხოლოდ სასარგებლო ან უსარგებლო შეიძლება იყოს. ეს კი იმისდა მიხედვით ირკვევა, თუ რამდენად ხელეწიფება მოცემულ თეორიას ისეთი პროგნოზებისა და პროექტების პროდუცირება ინტერესის სფეროში შემავალი მოვლენების შესახებ, რომელნიც ვერიფიკაციის (გადამოწმების) შემთხვევაში ადასტურებენ თავიანთ ჭეშმარიტობას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

ფართო მნიშვნელობით, მეცნიერული თეორიები სიღრმისეულად ზემოქმედებენ იმაზე, თუ როგორ მიუდგებიან მეცნიერები თავიანთ დაკვირვებებს (მონაცემებს), ხოლო ეს დაკვირვებები (მონაცემები), თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მათ მიერ კონსტრუირებულ თეორიებზე. ეს რთულია დიალექტიკაა: დაკვირვებებს მივყავართ თეორიებამდე, რომლებსაც ახალ დაკვირვებებამდე მივყავართ, რაც ცვლის თეორიას და რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ახალი დაკვირვებებისკენ გვიბიძგებს და ა. შ. იდეალურ შემთხვევაში, ეს პროცესი ღია და პროგრესულია (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

### თეორიის კომპონენტები

ახლა უფრო დაწვრილებით შევხვით იმას, თუ რას წარმოადგენს თეორია, რას მოიცავს მისი იდეალური ფორმა. თეორია უნდა მოიცავდეს ერთმანეთთან სისტემატურად შესაბამისობაში მყოფ რელევანტურ დაშვებებს და ემპირიულ განსაზღვრებებს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

მოკლედ განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

**დაშვებები** რელევანტური უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ უნდა იმ ემპირიულ მოვლენებს ეყრდნობოდეს, რომელთაც მიესადაგება თეორია. მაგალითად, თუ გვაქვს სმენითი მგრძობელობის თეორია, დაშვებები უნდა უკავშირდებოდეს სმენით პროცესებს; თუ გვაქვს ალქმის თეორია, დაშვებები უნდა ეხებოდეს პერცეპტულ პროცესებს. ჩვეულებრივ, ამ დაშვებათა ხასიათი თეორიის განმასხვავებელ ნიშანს ქმნის. კარგი თეორეტიკოსი ის არის, ვისაც შეუძლია სასარგებლო და შორსმჭვრეტელო ვარაუდების წამოყენება იმის შესახებ, რაც მის ინტერესთა სფეროში შედის. თეორიის თავისებურების და მიხედვით, ეს დაშვებები შეიძლება ძალზე ზოგადი ან საკმაოდ სპეციფიკური იყოს. ქცევის სფეროს თეორეტიკოსმა შეიძლება დაუშვას, რომ ყველა ქცევა მოტივირებულია; ცხოვრების ადრეული პერიოდის მოვლენები მოზრდილის ქცევის მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია; სხვადასხვა სახეობის ცხოველთა ქცევა ერთი და იგივე ზოგადი პრინციპით აიგება; ანდა თეორეტიკოსმა შეიძლება დაუშვას, რომ შფოთვის მომატება მოტორიკის დარღვევებს იწვევს, ან ცალკეული ცვლადი ნორმალურად არის განაწილებული მოცემულ პოპულაციაში. ეს დაშვებები შეიძლება ფორმითაც განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან — ზუსტი მათემატიკური დებულებიდან შედარებით არამკაცრად ფორმულირებულ დაშვებებამდე, როგორცაა ზემოთ მოყვანილ მაგალითთა უმრავლესობა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

დაშვებები მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დაშვებები და თეორიის სხვა ელემენტები გარკვეული სახით უნდა მიესადაგებოდეს და შეესატყვისებოდეს ერთმანეთს, ანუ დაშვებებისა და ძირითადი ცნებების ურთიერთქმედების წესები უნდა არსებობდეს. თუ ეს შინაგანი დამოკიდებულებები ნათელი და მკაფიო იქნება, თეორია ლოგიკურად გამართულ სახეს მიიღებს და შესაძლებელი იქნება დერივაციის პროცესები. ასეთი დაზუსტების გარეშე რთული ან შეუძლებელი იქნებოდა თეორიიდან ემპირიული შედეგების მიღება. ამ საკითხებს განიხილავენ, როგორც თეორიის სინტაქსს, რადგანაც ჰგავს გრამატიკის წესებს. მაგალითად, უკვე ვახსენეთ დაშვება იმის შესახებ, რომ შფოთვის მომატებას მოტორიკის დარღვევამდე მივყავართ. ამის გარდა, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ თვითპატივისცემის ამალღებას მოტორიკის გაუმჯობესებისკენ მივყავართ. თუ მეტი არაფერი ვიცით, ამ ორ დაშვებას შორის მიმართება აშკარად ბუნდოვანია და არ არის განსაზღვრული. ამიტომ ჯერ რაიმე უნდა დავადგინოთ, მოვიძიოთ ინფორმაცია შფოთვისა და თვითპატივისცემის კავშირის შესახებ და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი გარკვეული პროგნოზის გაკეთება იმის შესახებ, თუ რა მოხდება, როდესაც ორივე ცვლადი ერთად იჩენს თავს. თეორიული დაშვებების ადეკვატური დალაგება მომხმარებელს ნათელ სპეციფიკაციას უნდა აწვდიდეს ამ ორი დაშვების ურთიერთმიმართების შესახებ (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

**ემპირიული განსაზღვრებები** (ანუ მაკოორდინირებული განსაზღვრებები) უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, თეორიის ფარგლებში არსებულ ტერმინთა და ცნებათა და, მეორე მხრივ, ემპირიულ მონაცემებს შორის მეტ-ნაკლებად ნათელ ურთიერთქმედებას. ამ განსაზღვრებების საშუალებით გარკვეულ მომენტებში თეორია კონტაქტში მოდის რეალობასთან და დაკვირვების მონაცემებთან. ამ განსაზღვრებებს ხშირად ოპერაციულ განსაზღვრებებს უწოდებენ, რადგანაც იმ ოპერაციების განსაზღვრის საშუალებას იძლევიან, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება შესაბამისი ცვლადების გაზომვა. ემპირიულ განსაზღვრებებზე აქცენტი კვლევა-ძიებით განზრახვებზე მიუთითებს და შეიძლება ითქვას, რომ თუ თეორიას რაღაც წვლილი შეაქვს ემპირიულ დისციპლინაში, ის ემპირიული ტრანსლაციის გარკვეულ საშუალებებს უნდა ფლობდეს. მეორე მხრივ, ცხადია, რომ არსებობს ამ განსაზღვრებათა კონტინუუმი სრული და ზუსტი კლასიფიკაციებიდან ძალზე ზოგად თვისებრივ მტკიცებულებებამდე. თუმცა, რაც მეტია მკაფიოობა, მით უკეთესი, მაგრამ კვლევის ადრეულ ეტაპებზე სრული მკაფიოობის მოთხოვნა შეიძლება მისი ნაყოფიერი განვითარების შემაფერხებელი გახდეს. მაგალითად, ინტელექტის განსაზღვრა, როგორც „იმის, რასაც ზომავს ინტელექტის ტესტი“ ანდა შფოთვის გაიგივება გალვანომეტრით გაზომვად გარკვეულ ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან შეიძლება ზუსტია, მაგრამ არც ერთს თავისთავად არ მივყავართ უფრო პროდუქტულ კვლევით აზრამდე. ემპირიული განსაზღვრებებისადმი სწორი

დამოკიდებულება გულისხმობს, რომ ისინი იმდენად ზუსტი უნდა იყოს, რამდენადაც ამის საშუალებას შესაბამის სფეროში შექმნილი საქმის ვითარება იძლევა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## თეორიის ფუნქციები

მოკლედ განვიხილოთ, თუ რისგან შედგება თეორია. ახლა დგება შემდეგი საკითხი: რას აკეთებს თეორია? რა ფუნქციები აქვს მას?

- რაც ყველაზე მთავარია, *თეორია დაკვირვებისთვის მანამდე მიუწვდომელი (არათვალსაჩინო) შესაბამისი ემპირიული დამოკიდებულებების დანახვის საშუალებას იძლევა*. თეორიას უნდა მივყავდეთ ცოდნის სისტემატურ ექსპანსიამდე ჩვენთვის საინტერესო ფენომენთა სფეროში და, იდეალურ შემთხვევაში, ეს ექსპანსია გაშუალებული და სტიმულირებული უნდა იყოს თეორიიდან გარკვეული ემპირიული მდგომარეობების (დებულებების, ჰიპოთეზების, პროგნოზების) გამოყვანით, რომელიც ემპირიული შემოწმების ობიექტს წარმოადგენს. ნებისმიერი კვლევის არსი მოვლენებსა და ცვლადებს შორის სტაბილური ემპირიული კავშირების აღმოჩენაა. თეორიის ფუნქცია ამ პროცესისთვის სისტემატური ხელშეწყობაა. თეორია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი წისქვილი, რომელშიც იფქვევა ვარაუდები, ფქვილის ანალოგი კი შესაბამისი ემპირიული დებულებებია, რომლებიც შემდგომში დადასტურდება ან უარიყოფა შესატყვისი ემპირიული მონაცემების კონტექსტში (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

- *თეორია უკვე ცნობილი ემპირიული მონაცემების ლოგიკურად, თანამდევრულად და მისაღებად მარტივი სისტემის ფარგლებში დალაგების საშუალებას იძლევა*. თეორია იმ ყველაფრის ორგანიზაციისა და ინტეგრაციის საშუალებას წარმოადგენს, რაც მოვლენათა გარკვეულ წრეს მიეკუთვნება. მაგალითად, ფსიქოტური ქცევის ადეკვატურ თეორიას უნდა შეეძლოს მთელი იმ ინფორმაციის გასაგებ და ლოგიკურ კონსტრუქციაში, სისტემატიზირება, რაც უკვე ცნობილია შიზოფრენიისა და სხვა ფსიქოზების შესახებ. დასწავლის დამაკმაყოფილებელი თეორია უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას, რომელიც დასწავლის პროცესს შეეხება. თეორია ყოველთვის უკვე დაკვირვებადისა და ცნობილის ბაზაზე წარმოიქმნება; ამ თვალსაზრისით, ჩამოყალიბების პირველ ფაზაზე ის ინდუქციურია და ხელმძღვანელობს და, გარკვეულწილად, კონტროლდება იმით, რაც უკვე ცნობილია. თუმცა, თუ თეორია მხოლოდ ალაგებს და ათანხმებს უკვე ცნობილს და მეტს არაფერს აკეთებს, მისგან სარგებელი ნაკლებია.

- *თეორია დამკვირვებელს გვერდითი ან კერძო მოვლენების მრავალფეროვნებისგან იცავს*. თეორია ერთგვარი ფილტრია, საფარს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ერთდროულად არ ვიფიქროთ შესასწავლი მოვლენის ყველა ასპექტზე. გამოუცდელი დამკვირვებლისათვის ყოველი საკმარისად რთული ქცევითი მოვლენა ანალიზისა და აღწერის მრავალ ხერხს გულისხმობს და ეს მართლაც ასეა. თეორია დამკვირვებელს საშუალებას აძლევს, სისტემატურად და ქმედითად, ნაყოფიერად მოახერხოს ბუნებრივი სირთულისგან აბსტრაგირება. თეორია მომხმარებელს ზღუდავს პრინციპული მნიშვნელობის მქონე მეტ-ნაკლებად განსაზღვრული პარამეტრებით, სიდიდეებითა და ცვლადებით. ამ პრობლემის თვალსაზრისით, შესაძლებელია სიტუაციის დანარჩენი ასპექტების ამა თუ იმ ხასისხით იგნორირება (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## რა არის პიროვნების თეორია

სხვა მეცნიერების მსგავსად, პიროვნების ფსიქოლოგებიც, ტრადიციულად, საუკეთესო შესაძლებელი თეორიების შექმნას ცდილობენ, რომლებიც სტრუქტურირებულად წარმოაჩენენ და საზრისს მიაჩივებენ მათ დაკვირვებებს (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

დღესდღეობით არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რომელი მიდგომა უნდა გამოიყენონ პერსონოლოგებმა პიროვნების შესწავლისას ადამიანის ქცევის ძირითადი ასპექტების ახსნისათვის. ფაქტობრივად, პერსონოლოგიის განვითარების მოცემულ ეტაპზე თანაარსებობს სხვადასხვა ალტერნატიული თეორია, რომლებიც პიროვნებას აღწერენ, როგორც ინტეგრირებულ

მთლიანს და, ამასთან, ცდილობენ ადამიანთა შორის არსებული განსხვავებების ახსნას. ამიტომ ვიდრე კონკრეტული თეორიების ან მიმართულებების განხილვაზე გადავალთ, მიზანშეწონილია გავეცნოთ, თუ რას წარმოადგენს ზოგადად პიროვნების თეორია, რა ფუნქციები აკისრია მას და რას მოიცავს.

როგორც უკვე ვთქვით, თეორია, ზოგადად, ურთიერთდაკავშირებულ იდეათა, პრინციპთა და კონსტრუქციათა სისტემაა, რომლის მიზანია სინამდვილეზე განხორციელებულ გარკვეულ დაკვირვებათა ახსნა. მეცნიერულ სამყაროში თეორია მთლიანობაში დასაბუთებულად და სანდოდ ითვლება იმდენად, რამდენადაც ფენომენზე დაკვირვების შედეგები შეესატყვისება (თანხმობაში მოდის) ამავე ფენომენის თავად თეორიაში მოცემულ ახსნას. ადამიანის ქცევა რომ სრულიად გასაგები იყოს სადი აზრის პოზიციიდან, საჭირო არ გახდებოდა პიროვნების თეორიის შექმნა.

პიროვნების თეორია — ეს არის სახელდახელოდ გამოტანილი დასკვნების ან ჰიპოთეზების ერთობლიობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები, როგორ იქცევიან და რატომ იქცევიან ისინი სწორედ ასე და არა სხვაგვარად (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების თეორიის ფუნქციები

პიროვნების ფსიქოლოგიაში არსებული პიროვნების თეორიების ძირითადი ფუნქცია იმ მეცნიერული კონსტრუქციების შეთავაზებაა, რომლებიც ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის აღწერისა და ახსნის შესაძლებლობას მოგვცემს (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). ამ ფუნქციას უკავშირდება მისი ახსნითი და პროგნოზირების ფუნქციები.

### ახსნა

პიროვნების თეორია ახსნითია იმ თვალსაზრისით, რომ მასში ქცევა აღწერილია, როგორც გარკვეული სახით ორგანიზებული, რაც გასაგებს ხდის მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეორია უზრუნველყოფს აზრობრივ სურათს ან სქემას, რომელიც საშუალებას იძლევა გავამარტივოთ და ავხსნათ (მოვახდინოთ ინტერპრეტირება) ყველაფერი, რაც ცნობილია ჩვენთვის მოვლენათა მოცემული კლასის შესახებ. მაგალითად, თეორიის დახმარების გარეშე ძნელი იქნებოდა იმის ახსნა, თუ რატომ განიცდის 5 წლის ბიჭუნა ძლიერ რომანტიულ მიჯაჭვულობას დედაზე და, ამასთანავე, უსაზღვრო უკმაყოფილებასა და რისხვას მამის მიმართ. პრობლემის სიმძაფრე მოიკლებს, თუ გავიგებთ, რომ ამ ასაკში სხვა ბიჭებსაც ახასიათებთ მსგავსი გრძნობები; ხოლო თუ დავიხმართ თეორიას, რომელიც ასეთ გრძნობებს პიროვნების განვითარების გარკვეულ სტადიას მიაკუთვნებს და თან ამ ემოციათა აღმოცენების მიზეზების ახსნასაც გვაძლევს, შევძლებთ, უკეთ გავუგოთ ამ ბიჭუნას. შეიძლება მართალნი ან მცდარნი აღმოვჩნდეთ, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, მივაღწევთ თანხმობას ბავშვების ზოგიერთი გრძნობის გაგების თაობაზე.

თეორიის ახსნითი ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა ხელთ გვაქვს დიდი რაოდენობით ფაქტები და დაკვირვებები მოცემული ქცევის შესახებ. პიროვნების კარგი თეორია უზრუნველყოფს აზრობრივ კონტექსტს, რომელშიც შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის შეთანხმებულად აღწერა და ინტერპრეტირება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

### პროგნოზირება

თეორია არამარტო ხსნის წარსულისა და აწმყოს ფაქტებს, არამედ პროგნოზირებს მომავალს. მან უნდა უზრუნველყოს იმ შედეგთა და მოვლენათა პროგნოზირების საფუძველი, რომელიც ჯერ არ მომხდარა, არ განხორციელებულა. ეს მიზანი აშკარად გულისხმობს, რომ თეორიული კონცეფციები არამარტო ღია უნდა იყოს გადამოწმებისთვის, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ ის შეიძლება დადასტურდეს ან არ დადასტურდეს; ანუ უნდა შეგვეძლოს გარკვეული ცვლილებების პროგნოზირება ბიჭუნას ქცევაში, რომელიც მშობლებისეული აღზრდის ფუნქციას წარმოადგენს (ანუ შეგვეძლოს ბიჭუნას ქცევაში აღზრდის შედეგად მომხდარი ცვლილებების პროგნოზირება). მაგალითად, რა იქნება, თუ დედა აქტიურად წაახალისებს შვილის რომანტიულ გრძნობებს ანდა მამა უარყოფს შვილს იმის გამო, რომ იგი მასზე

ბრაზდება? ამგვარი პროგნოზები არამარტო შესაძლებელი უნდა იყოს, არამედ იდეალში თეორიული კონცეფცია იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მკაცრი და ზუსტი ემპირიული შემოწმების საშუალება არსებობდეს. პიროვნების კარგი თეორია პირდაპირ იძლევა ფსიქოლოგიური კვლევის სტიმულს და, პირიქით, შეუმოწმებელი თეორიის (ანუ ისეთის, რომლის საფუძველზეც შეუძლებელია შემდგომი კვლევებისთვის პროგნოზის გაკეთება) მეცნიერული ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია. თეორიას უნდა ჰქონდეს კვლევის იმპულსი, თუ მას პრეტენზია აქვს, რომ ხელს უწყობს ადამიანის ბუნების, ყველა მისი განუმეორებელი ინდივიდუალური გამოვლინების გაგებას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

ამრიგად, პიროვნების თეორიებს ორი ძირითადი ფუნქცია აქვთ ფსიქოლოგიაში: ისინი საშუალებას გვაძლევენ ავხსნათ, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები, ანუ გამოვავლინოთ შედარებით მდგრადი პიროვნული მასახიათებლები და მათი ურთიერთკავშირის გზები; გავიგოთ, თუ როგორ ვითარდება ეს მახასიათებლები დროში და რატომ იქცევიან ადამიანები გარკვეული სახით. თეორიები, ასევე, ადრე შეუსწავლელი, ახალი ურთიერთკავშირების წარმოქმნის პროგნოზირების საშუალებას იძლევიან. პროგნოზირების ფუნქციის თვალსაზრისით, თეორიები სახავენ იმ მიმართულებებს, რითაც გეგმიური კვლევებით ახალ აღმოჩენებამდე მივალთ აქამდე უცნობ მრავალ სფეროში.

თუმცა, ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადამიანის ქცევის შესახებ არსებული ყველა თეორია ისევ ადამიანების მიერაა შექმნილი. პერსონოლოგები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და სხვების მსგავსად აქვთ სხვადასხვაგვარი შეხედულებები ადამიანის ბუნებაზე. მაგალითად, ზოგიერთი თეორეტიკოსი დარწმუნებულია, რომ ადამიანთა ქცევების ფესვები ღრმად არაცნობიერ მოტივებშია, რომელთა ჭეშმარიტ ბუნებას ვერ აცნობიერებს ინდივიდი, ხოლო მოტივაციის წყაროები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ზოგიერთი კი ვარაუდობს, რომ ადამიანები მნიშვნელოვნად აცნობიერებენ თავიანთ მოტივებს, ხოლო მათი ქცევა, პირველ რიგში, აქტუალური გარემოებების შედეგია. პიროვნების თეორიათა ამოსავალი პრინციპები მომდინარეობს მოცემული პერსონოლოგის წარმოდგენებიდან ადამიანის შესახებ. ეს მოსაზრებები განსხვავდება ერთმანეთისგან და, აქედან გამომდინარე, განსხვავებულია შედეგად მიღებული თეორიებიც (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების თეორიები და სხვა ფსიქოლოგიური თეორიები

პიროვნების თეორია უნდა მოიცავდეს მთელ რიგ დაშვებებს ადამიანის ქცევის შესახებ და წესებს, რომლითაც ეს დაშვებები უკავშირდება განსაზღვრებებს, რაც მათი ურთიერთქმედების საშუალებას იძლევა ემპირიულ ან დაკვირვებად მოვლენებთან. აქ დგება საკითხი: განსხვავდება თუ არა ამ განსაზღვრებათა თვალსაზრისით პიროვნების თეორიები სხვა თეორიებისგან. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დაწყება ორი ტიპის ფსიქოლოგიური თეორიების განსხვავებით არი მიზანშეწონილი (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

ცხადია, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგიური თეორია მზად არის განიხილოს ნებისმიერი ქცევითი მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ორგანიზმის რეგულაციის თვალსაზრისით. სხვა თეორიები მკვეთრად არის შეზღუდული იმ ქცევითი გამოვლინებებით, რომელიც დეტალურად აღწერილ პირობებში ხორციელდება. ასეთ თეორიათა ინტერესის სფერო ადამიანის ქცევის გარკვეული (შეზღუდული ოდენობის) ასპექტებით შემოიფარგლება. თეორიებს, რომლებიც ყველა მნიშვნელოვანი ქცევითი ფენომენის მოცვას ცდილობენ, ქცევის ზოგად თეორიებს უწოდებენ, ხოლო თეორიებს, რომელთა ინტერესის სფეროს ქცევითი მოვლენების გარკვეული ტიპი წარმოადგენს, კერძო თეორიებად მოიხსენიებენ.

ცხადია, რომ პიროვნების თეორიები პირველ კატეგორიას მიეკუთვნება; პიროვნების თეორია ქცევის ზოგადი თეორიაა. მარტივი დაკვირვებით შეიძლება განვასხვავოთ პიროვნების თეორია სხვა ფსიქოლოგიური თეორიისგან. მაგალითად, პერცეფციის, სმენითი მგრძნობელობის, მექანიკური

მეხსიერების, მოტორული დასწავლის და სხვა მრავალი ფსიქოლოგიური თეორია კერძოა მათი მოცულობისა და სიფართოვის თვალსაზრისით. ამ თეორიებს არ აქვთ პრეტენზია ზოგადი თეორიის სტატუსზე და იმ წარმოდგენების განვითარებით კმაყოფილდებიან, რომელიც ქცევითი მოვლენების გარკვეულ სფეროში აღწერისა და პროგნოზირებისთვის არის გამოსადეგი. პიროვნების თეორიები კი ცდილობენ, განიხილონ მრავალფეროვანი ბუნების მოვლენები იმდენად, რამდენადაც ამ მოვლენებს ინდივიდისთვის ფუნქციონალური მნიშვნელობა აქვთ (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

დგება საკითხი: არსებობს თუ არა ქცევის ისეთი ზოგადი თეორია, რომელიც არ მიეკუთვნება პიროვნების თეორიებს. მაგალითად, ასეთი კითხვა შეიძლება გაჩნდეს მოტივაციის თეორიის მიმართ, რომელიც ქცევის ზოგად თეორიად შეიძლება მივიჩნიოთ და არ მივაკუთვნოთ პიროვნების თეორიებს. რეალურად, თუ თეორიას საქმე მხოლოდ მოტივაციურ პროცესებთან აქვს, ის ვერ იქნება (და არც არის) ზოგადი თეორია, თუმცა, ფაქტობრივად, მოტივაციის თეორიებად წოდებული თეორიები, ჩვეულებრივ, პიროვნების თეორიებიც არის, მაგალითად, ფსიქონალიზი და მარეის თეორია. ამრიგად, თუ თეორია მხოლოდ მოტივაციას ეხება, ეს კერძო თეორიაა; თუ ის მოვლენათა უფრო ფართო წრეს მოიცავს, ეს ერთ-ერთი ტიპის პიროვნების თეორიაა.

ანალოგიური კითხვა შეიძლება გაჩნდეს დასწავლის თეორიის მიმართ, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება წარმატებით განვაზოგადოთ ისე, რომ ქცევის ზოგადი თეორია შეიქმნას. ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა და ზოგიერთმა თეორეტიკოსმა სცადა კიდევ იმგვარად განეზოგადებინა დასწავლის თეორიები, რომ თავისი სიფართოვის მიხედვით ქცევის ნებისმიერი ზოგადი თეორიის ტოლფასი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევებში დასწავლის თეორია აღარ არის მხოლოდ დასწავლის თეორია და პიროვნების თეორიად ანდა ქცევის ზოგად თეორიად გადაიქცევა. მართალია, ასეთ გენერალიზირებულ მოდელებს გარკვეული განმასხვავებელი ნიშნები აქვთ, რომელიც მიგვითითებს მათ პირველწყაროებზე, მაგრამ ინტენციითა (მიმართულებითა) და ლოგიკური თვისებებით არ განსხვავდებიან სხვა პიროვნების თეორიებისგან (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების თეორიის შეფასების კრიტერიუმები

ბუნებრივად დგება საკითხი: მრავალრიცხოვანი ალტერნატიული პიროვნების თეორიების არსებობის პირობებში როგორ უნდა შევაფასოთ თითოეული მათგანის შედარებითი ღირსებები? მათი ახსნითი და პროგნოსტული ფუნქციის განხილვის გარდა, როგორ უნდა გადავწყვიტოთ, რითი სჯობია ერთი თეორია მეორეს? პიროვნების თეორიის სისტემატიზირებული შეფასებისთვის გამოიყენება ექვსი ძირითადი კრიტერიუმი. მეცნიერულ საზოგადოებაში მიღწეულია კონსენსუსი პიროვნების თეორიის შეფასების შესახებ: ის დადებითად ფასდება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

### ვერიფიცირებადობა (შემოწმებადობა)

ამ კრიტერიუმის მიხედვით, თეორია მით მეტ დადებით შეფასებას იღებს, რაც უფრო ღიაა მისი დებულებები დამოუკიდებელი მკვლევრების მიერ განხორციელებული შემოწმებისათვის. ეს ნიშნავს, რომ თეორია ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მასში მოცემული კონცეფციები, დებულებები და ჰიპოთეზები ნათლად და არაორაზროვნად გადმოცემული და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული უნდა იყოს. თეორიის ამ სახით მოწოდების შემთხვევაში მისი ემპირიული დასკვნები ადვილად საბუთდება ლოგიკურად და მოწმდება ფორმალური კვლევით. მაგალითისთვის, ვთქვათ, გვინდა ადლერის მოსაზრებათა დასაბუთება იმის შესახებ, რომ ოჯახში დაბადების რიგის მიხედვით პირველ შვილს მოზრდილობაში უფრო მეტად აქვს გამოკვეთილი მიღწევის მოტივაცია, ვიდრე რიგით მეორეს, მესამეს და ა.შ. შვილებს. ჰიპოთეზის დასაბუთების პირველი საფეხური იქნება გამოკვლევებისთვის რელევანტურ სუბიექტთა ჯგუფის შერჩევა. შემდეგ უნდა გავარკვიოთ, დაბადების რიგის მიხედვით მერამდენე შვილია ოჯახში თითოეული ცდის პირი. გაცილებით რთულია ისეთი ცვლადის გაზომვა,

როგორცაა მიღწევა. შეიძლება უბრალოდ აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებით შევაფასოთ მათი ინტელექტუალური მიღწევების დონე; შეიძლება დავაკვირდეთ სწავლის პერიოდში წარმატებისკენ მათ მისწრაფებას; ანდა შევადგენინოთ თვითანგარიში, რაც მიღწევის მოტივაციის მიხედვით ინდივიდუალურ განსხვავებათა შეფასების საშუალებას მოგვცემს. შესაძლებლობათა მრავალფეროვნების პირობებში აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი მომენტი: კარგი თეორია შემოწმებად ჰიპოთეზებს უნდა გამოიმუშავებდეს. რაც უფრო ზუსტი ენით არის თეორია მოცემული, მით უფრო იოლია ამ პირობის შესრულება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა ადვილი გასაგებია, პერსონოლოგებს ძალზე უძნელდებათ ხოლმე თავიანთი თეორიული პოზიციების თუნდაც ზომიერი (საშუალო) ემპირიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნების თეორიებს არ ხელეწიფებთ შემოწმებადი ჰიპოთეზების პროდუცირება, თუმცა, თეორიულ კონცეფციათა უმრავლესობას მაინც აკლია კრიტიკული ექსპერიმენტი. და მაინც, კარგი თეორია უნდა მოიცავდეს შემოწმებად ჰიპოთეზებს ფენომენტა ურთიერთკავშირის შესახებ. თეორია, რომლის დადასტურება ან უარყოფა შეუძლებელია, ცუდი თეორიაა; ის უსარგებლოა ნებისმიერი პრაქტიკული მიზნისათვის (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

### ევრისტიკული ღირებულება

ემპირიული ორიენტაციის ფსიქოლოგისათვის პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად აძლევს თეორია სტიმულს მეცნიერებს შემდგომი კვლევების წარმოებისათვის. პიროვნების თეორიები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარის მიხედვით. პიროვნების ყველაზე საკამათო განსაზღვრებებიდან ზოგიერთი, როგორცაა მაგალითად, ერის ფრომის ჰუმანისტური თეორია და ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების თეორია, მინიმალურ იმპულსს იძლევა შემდგომი კვლევითი აქტივობისათვის თავად ფსიქოლოგიის ფარგლებში. ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, იმის შედეგია, რომ თეორეტიკოსი ვერ ახერხებს თავისი კონცეფციების სამუშაო განსაზღვრების მოცემას, ანუ ვერ ადგენს, თუ რა ოპერაციებით შეიძლება მათი შეცვლა ან ქცევის რომელ დაკვირვებად მახასიათებლებს შეესატყვისებინა ისინი. ცხადია, სახელოვანი თეორეტიკოსის კომპეტენტურ მკვლევრებს შეუძლიათ აამაღლონ თეორიის ევრისტიკული ღირებულება ბაზისური კონცეფციების ისეთ ფორმაში გადაყვანით, რომელიც ძიებითი აქტივობის ბიძგს იძლევა (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### შინაგანი შეთანხმებულობა

ეს კრიტერიუმი შემდეგ პირობას გულისხმობს: თეორია თავისუფალი უნდა იყოს შინაგანი წინააღმდეგობებისგან, ანუ კარგი თეორია შინაგანად ლოგიკური მეთოდით უნდა ხსნიდეს ერთმანეთთან შეუსაბამობაში მოსულ ფენომენებს. ასევე, საყურადღებო თეორია ერთმანეთთან თანმიმდევრულად შეთანხმებული დებულებებისა და განსაზღვრებებისგან უნდა შედგებოდეს. მთლიანობაში, პიროვნების თეორიები სრულიად აკმაყოფილებენ ამ სტანდარტს და თუ მაინც ვაწყდებით ერთმანეთისადმი წინააღმდეგობრივ პროგნოზებს, ამის სათავე, ჩვეულებრივ, მკვლევრის მიერ ბაზისური მოსაზრებების ბოლომდე ვერ გაგებაა ხოლმე. თუ გვაქვს ადამიანის ბუნების შესახებ ჰიპოთეზების რიგი, სრულიად შესაძლებელია პიროვნების ისეთი თეორიის აგება, რომელშიც კონცეფციები და დებულებები ლოგიკურად იქნება ერთმანეთთან შეთანხმებული (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### ეკონომიურობა

თეორია შეიძლება შევაფასოთ ამ თეორიის სფეროში შემავალი მოვლენების აღწერისა და ახსნისათვის საჭირო კონცეფციების რაოდენობის მიხედვით. ეკონომიურობის პრინციპის თანახმად, უპირატესობა შედარებით მარტივ და მკაფიო ახსნებს უფრო ენიჭება, ვიდრე რთულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო ნაკლები კონცეფციები და ვარაუდები სჭირდება თეორიას ამა თუ იმ ფენომენის ასახსნელად, მით



უკეთესია ის და, პირიქით, სხვა თითქმის თანაბარ პირობებში, ჭარბი რაოდენობის კონცეფციათა და ვარაუდთა მომცველი თეორია მთლიანობაში განიხილება, როგორც წარუმატებელი. შემდეგი მაგალითი დაგვეხმარება ამ კრიტერიუმის მნიშვნელოვნობის უკეთ გაგებაში. ვთქვათ, დიდი რაოდენობის დაკვირვებების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ დეპრესიულ მდგომარეობაში ადამიანები: (ა) ჩვეულებრივ, ნეგატიურად აფასებენ საკუთარ თავს; (ბ) პესიმისტურად აფასებენ მომავალს; (გ) აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილების ნეგატიურად ინტერპრეტირების ტენდენცია (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოთეზა, რომ დეპრესიის პირველმიზეზი დაბალი თვითშეფასებაა. ჩვენი ჰიპოთეზა მოკლედ აჯამებს დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა დიდი რაოდენობით გამოკვლევების შედეგებს. ეს მეთოდი ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტებისა და დეპრესიულ ადამიანებზე დაკვირვებების ახსნის უფრო ეკონომიურ გზას უზრუნველყოფს.

სამწუხაროდ, არ არსებობს თეორიის ეკონომიურობის შეფასების მარტივი და ცალსახად განსაზღვრული წესები. ეკონომიურობა სუბიექტური კრიტერიუმია, რამდენადაც დღესდღეობით არსებული ცოდნა პიროვნების სხვადასხვა ასპექტის შესახებ შორსაა სისრულისგან. მეტიც, დღეისათვის ეკონომიურად მიჩნეულმა თეორიამ შეიძლება ვერ ახსნას შემდგომი აღმოჩენები. მიუხედავად ამისა, კარგი თეორია არ უნდა მოიცავდეს ჭარბ თეორიულ ტვირთს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### მოცულობის დიაპაზონი (შესასწავლ მოვლენათა დიაპაზონის სიფართოვე)

ეს კრიტერიუმი იმ ფენომენთა სიფართოვესა და მრავალფეროვნებას შეეხება, რომელსაც მოიცავს თეორია. რაც უფრო მრავალმხრივია თეორია, ქცევითი გამოვლინებების მით უფრო დიდ სფეროზე ვრცელდება ის. ამგვარად, უპირატესობა ყოველმხრივ თეორიას ენიჭება, ვიწროსა და შეზღუდულთან შედარებით. ყოველმხრივი თეორიის კიდევ ერთი ღირსებაა, რომ ის შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ჩარჩო დაკვირვებით ან ექსპერიმენტით დადგენილი ახალი, განსხვავებული ფაქტების ახსნისა და ინტეგრაციისთვის. ზოგი პერსონოლოგი ფართო მასშტაბიან თეორიას ქმნის, ზოგიც ვერ ახერხებს ამას. ადამიანის ბუნების შესახებ დებულებათა გარკვეულ რიგზე დაყრდნობა უზრუნველყოფს შინაგან შეთანხმებულობას, მაგრამ ამის პარალელურად იწვევს თეორეტიკოსის მეცნიერული ინტერესის სფეროს შევიწროებას ქცევითი რეაქციების შეზღუდულ დიაპაზონამდე (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

ადამიანის ქცევის ახსნისას პერსონოლოგები ყველაზე მეტ მნიშვნელობას ბიოლოგიურ, გენეტიკურ, ემოციურ, კოგნიტურ, სოციალურ ან კულტურულ ფაქტორებს ანიჭებენ. თითოეულ ამ მიდგომას პიროვნებისადმი უცილობლად მიყვავართ თეორიის შეზღუდვამდე მოცულობის დიაპაზონის კრიტერიუმის მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი არსებული თეორია ვერ ახსნის ადამიანის ფუნქციონირების ყველა ასპექტს. ამგვარად, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გადავწყვიტოთ, ერთ თეორიაში ახსნილი ფენომენები ისეთივე მნიშვნელოვანია და ისეთსავე არსებით როლს ასრულებენ ადამიანის ქცევის გაგებაში თუ არა, როგორსაც ის ფენომენები, რომელზეც ყურადღებას ამახვილებს მეორე თეორია.

სამწუხაროდ, არ არსებობს ინდიკატორი, რომელიც დაადგენდა თითოეული თეორიის ფარდობით მნიშვნელოვნობას, რადგანაც ხშირად არ ვიცით, რეალურად რამდენად არსებითია მოცემული ფენომენი ქცევის გაგებისათვის (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### ფუნქციონალური მნიშვნელობა

კარგი თეორიის განსაზღვრის ბოლო კრიტერიუმია ის, თუ რამდენად შეუძლია მას, დაეხმაროს ადამიანებს მათი ყოველდღიური ქცევის გაგებაში. თეორია, ასევე, ადამიანებს პრობლემების გადაჭრაში უნდა ეხმარებოდეს. სრულიად ბუნებრივია, რომ გვიზიდავს საკუთარი თავისა და ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანთა შესახებ რაც შეიძლება მეტის ცოდნის მიღების საშუალება. მართლაც, არაპროფესიონალისთვის პიროვნების თეორიის ძირითად ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ თეორიას შეუძლია ნათელი მოჰფინოს თავად მას და მის ინტერპერსონალურ ურთიერთობებს. შინაგანი და გარეგანი

კანონზომიერების ცოდნა, რომელიც პიროვნების კვლევით არის მიღებული, მნიშვნელოვნად ამდიდრებს ადამიანის ქცევის ნიუანსების გაგებასა და შეფასებას.

განხილული კრიტერიუმები — შემოწმებადობა, ევრისტიკული ღირებულება, შინაგანი შეთანხმებულობა, ეკონომიურობა, მოცულობის დიაპაზონი და ფუნქციონალური მნიშვნელოვნობა — თითოეული პიროვნების თეორიის შეფასების საფუძველს წარმოადგენს და, ასევე, იმის გაგების საშუალებას იძლევა, თუ რატომ ენიჭება ერთ თეორიას უპირატესობა მეორესთან შედარებით; თუმცა, თეორიების ღირსებებისა და ნაკლოვანებების შედარებისას უნდა გადაიჭრას ორი საკითხი:

1. შეეხება თუ არა შესადარებელი თეორიები ერთსა და იგივე ფენომენებს? ქცევის ერთსა და იმავე ფორმებზე ორიენტირებული ორი თეორიიდან თითოეული შეიძლება შეფასდეს ჩამოთვლილი ექვსი კრიტერიუმით. ამავე დროს, არ არის აუცილებელი, რომ უსათუოდ ამოვირჩიოთ რომელიმე, რადგანაც მომავალში ორივე შეიძლება გახდეს ნაყოფიერი იდეების წყარო. ასევე, არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს ორი თეორია დროთა განმავლობაში ერთ უფრო ზოგად თეორიაში აღმოჩნდეს ინტეგრირებული.

2. იმყოფება თუ არა ორი შესადარებელი თეორია განვითარების ერთსა და იმავე სტადიაზე? ახალმა და ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფმა თეორიამ შეიძლება ვერ ახსნას ბევრი ფენომენი, როცა ძველ, მყარად დაფუძნებულ თეორიას შეუძლია ნათელი მოჰფინოს პიროვნების შესწავლისას წამოჭრილ მრავალ საკითხსა და პრობლემას. და მაინც, ახალ თეორიას ხელეწიფება საგრძნობი წვლილი შეიტანოს ადრე შეუსწავლელი სფეროს დამუშავებაში და მომავალში მეტად მრავალმხრივი გახდეს.

საბოლოო ჯამში, თეორიები უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად კარგად გადმოსცემენ ჩვენთვის უკვე ცნობილ მოვლენებს და, ამავე დროს, გვიტოვებენ თუ არა თავისუფლებას ჯერ კიდევ შეუსწავლელ შესაძლებლობათა გააზრებისათვის (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების თეორიის კომპონენტები

პიროვნების თეორიის ახსნითი და პროგნოსტული ფუნქციების გარდა, არსებობს ძირითადი საკითხები და პრობლემები, რომელთაც თავად თეორია აყენებს. მარტივად რომ ვთქვათ, პიროვნების თეორია მრავალი „მინითეორიისაგან“ შედგება, რომელთაგან თითოეული ფოკუსირდება ფსიქოლოგიაში განხილულ ცალკეულ საკითხზე ან თემაზე. აქ განვიხილავთ ექვს ძირითად საკითხს, რომელთა გადაჭრასაც და სრულად მოწოდებასაც უნდა ესწრაფვოდეს სრული პიროვნების თეორია. ეს თემები წამოადგენს პიროვნების კონცეპტუალურ სფეროს: ისინი გვიჩვენებენ თეორიის შინაარსსა და მისი გამოყენების საზღვრებს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### პიროვნების სტრუქტურა

პიროვნების ნებისმიერი თეორიის ძირითადი ნიშანია სტრუქტურული კონცეფციები, რომელიც სხვადასხვა სიტუაციასა და სხვადასხვა დროში ადამიანების მიერ დემონსტრირებულ შედარებით უცვლელ მახასიათებლებს შეეხება. ეს სტაბილური მახასიათებლები ადამიანის ფსიქიკის ძირითად საშენ ერთეულს წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით, ისინი ანალოგიურია ისეთი ცნებებისა, როგორცაა ატომი და უჯრედი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, თუმცა, სტრუქტურული კონცეფციები თავისი ბუნებით მკაცრად ჰიპოთეტურია. მათი დანახვა შეუძლებელია მიკროსკოპში, ვთქვათ, ტვინის ნეირონის მსგავსად (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

იმის ასახსნელად, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები, პერსონოლოგები გვთავაზობენ მრავალრიცხოვან კონცეფციასა ერთგვარ მოზაიკას. სტრუქტურის კონცეფციათა ორი ძირითადი სახე არსებობს (Хьელл Л., 1997; გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009): ნიშანთა და ტიპთა კონცეფციები.

## პიროვნების ნიშანთა კონცეფცია

სტრუქტურის ნიშანთა ყველა კონცეფცია ამოდის დაშვებიდან, რომ პიროვნება ნიშნების (თრეიტების<sup>9</sup>) კრებულაა. ნიშანი განიხილება, როგორც მდგრადი თვისება ან ადამიანის მიდრეკილება გარკვეული სახის ქცევის, აზროვნების, გრძნობების, რეაქციების და ა.შ. განხორციელებისკენ. ნიშნების ადრეული თეორიები დიდად არ განსხვავდებოდნენ განსაზღვრებათა ჩამონათვალისგან. პიროვნება ამ ჩამონათვალით განსაზღვრებოდა. აქ ადგილი აქვს გარკვეულ მსგავსებას არაპროფესიონალის მიერ მოცემულ განსაზღვრებასთან, როდესაც იგი სხვა ადამიანების ყველაზე დამახასიათებელი ქცევითი რეაქციების შესახებ მსჯელობს.

პიროვნების ნიშანთა გავრცელებული მაგალითებია იმპულსურობა, პატიოსნება, მგრძნობიარობა, მორცხვობა. უფრო გვიანდელი მიდგომები ფაქტორულ ანალიზს იყენებენ და პიროვნების ძირითადი განზომილებების გამოყოფას ცდილობენ. აქ ყველაზე გავლენიანია კეტელის თეორია, რომელიც საწყის ნიშანთა ცნებას ეფუძნება. კეტელის აზრით, პიროვნების თეორიის მიზანია პიროვნების ნიშანთა ისეთნაირად ფორმულირებული მატრიცის შექმნა, რომ შესაძლებელი იყოს ქცევის პროგნოზირება.

კეტელი, ოლპორტი და აიზენკი, პიროვნების შტრიხთა შესწავლის წამყვანი ავტორიტეტები, ვარაუდობდნენ, რომ პიროვნების სტრუქტურის სქემატურად წარმოდგენა უმჯობესია ქცევის საფუძველში მყოფი ჰიპოთეტური თვისებების ტერმინებით (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009; Хелл Л., 1997).

## პიროვნების ტიპთა კონცეფცია

პიროვნების ტიპს უწოდებენ მრავალრიცხოვან განსხვავებულ ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც (ეს ერთობლიობა) მკაფიოდ შემოფარგლული საზღვრების მქონე დამოუკიდებელ კატეგორიას წარმოადგენს. პიროვნების ნიშნებით დაინტერესებული კონცეფციებისგან განსხვავებით, ასეთი კონცეფციები უფრო მდგრად და მეტად განზოგადებულ ქცევით მახასიათებლებს მოიაზრებენ. ადამიანები ხასიათდებიან რა სხვადასხვა ზომით გამოხატული მრავალი ნიშნით, მათ, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ტიპს მიაკუთვნებენ. მაგალითად, იუნგი ფიქრობდა, რომ ადამიანები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: ინტროვერტებად და ექსტრავერტებად. ამ პოზიციიდან ნებისმიერი პიროვნება აუცილებლად ან ერთია, ან — მეორე.

ტიპთა კონცეფციებიდან უძველესია ჰიპოკრატეს თეორია — მოძღვრება ტემპერამენტის ტიპების შესახებ. იგი ასახელებს ოთხ ტიპს: ქოლერიკს, სანგვინიკს, მელანქოლიკსა და ფლეგმატიკს. აქ ძირითადი დაშვება ის არის, რომ თითოეული პიროვნება ამ ოთხი ბაზისური ელემენტის გარკვეული ბალანსის პრეზენტაციაა. ერთ-ერთი ყველაზე სრული ტიპოლოგიური თეორია ეკუთვნის შელდონს, რომელიც მიიჩნევს, რომ სხეულის კონკრეტული ტიპის აღნაგობა გარკვეული ტიპის პიროვნების განვითარებას განაპირობებს (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

პიროვნების თეორიები ერთმანეთისგან პიროვნების სტრუქტურის აღსაწერად გამოყენებული კონცეფციების მიხედვით განსხვავდებიან. ზოგიერთი თეორეტიკოსი ძალზე რთულ და დეტალურად დამუშავებულ კონსტრუქციებს გვთავაზობს, რომელთა მრავალრიცხოვანი შემადგენელი ნაწილები მრავალგზის უკავშირდება ერთმანეთს. ასეთია, მაგალითად, ფროიდის სამკომპონენტური (იდი, ეგო, სუპერ-ეგო) სტრუქტურა. ზოგიერთი თეორეტიკოსი კი, პირიქით, უფრო მარტივად ორგანიზებულ სისტემებს გვთავაზობს, შეზღუდული რაოდენობის შემადგენელი ნაწილებითა და მათ შორის მცირე რაოდენობის კავშირებით. ასეთი კონცეფციების ილუსტრაციაა კოგნიტივისტ ჯორჯ კელის პიროვნული კონსტრუქტების კონცეფცია, რომელიც პიროვნების სტრუქტურის შედარებით უცვლელი განზომილებების ახსნისთვისაა მოწოდებული.

<sup>9</sup> თრეიტი – ინგლ. trait – ნიშანი, თავისებურება, შტრიხი, მახასიათებელი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ტიპის კონცეფცია, გარკვეულწილად, ერთი მედლის ორი მხარეა. ტიპის კონცეფციები, ძირითადად, ფოკუსირდება იმაზე, რაც საერთოა პიროვნებებისთვის, ხოლო ნიშანთა კონცეფციები — იმაზე, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისგან.

ამრიგად, პიროვნებისადმი ნებისმიერი მიდგომა, თუ მას სარგებლიანობაზე აქვს პრეტენზია, ასე თუ ისე უნდა განიხილავდეს საკითხს: რას წარმოადგენს ადამიანის ქცევის სტაბილური, უცვლელი ასპექტები. სტრუქტურის პრობლემა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი ორგანიზაციის ბუნება და გავლენა ინდივიდის ფუნქციონირებაზე, ყველა პიროვნების თეორიის ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების დინამიკა

მთლიანობითი პიროვნების თეორია უნდა ხსნიდეს, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ასე და არა სხვაგვარად. მოტივაციის კონცეფციები ანუ, სხვა სიტყვებით, ინდივიდის ფუნქციონირების პროცესუალური ასპექტები, ადამიანის ქცევის დინამიკურ, ცვალებად თავისებურებებზე ფოკუსირდება. პიროვნების თეორიის ამ კომპონენტის შესახებ შეიძლება ასეთი კითხვები დაისვას: „რატომ ისახავენ ადამიანები ამა თუ იმ მიზნებს და ესწრაფვიან მათ მიღწევას?“, „რა სპეციფიკური მოტივები უბიძგებენ ადამიანებს მოქმედებისკენ და წარმართავენ მის ქცევას?“

ქცევის ამჟამიერი, მიმდინარე ასპექტების გაგების მცდელობებთან შეჭიდულმა პირობებმა მრავალრიცხოვან თეორიულ აღმოჩენებამდე მიგვიყვანა. ზოგიერთ თეორიაში გამოითქმის ვარაუდი, რომ ყველა პიროვნული პროცესი — სექსუალური განმუხტვიდან იუმორის გრძნობამდე — ინდივიდის მიერ დაძაბულობის შემცირების მცდელობებიდან მომდინარეობს. მოტივაციის ე.წ. *რედუქციონისტული მოდელი* (რომელიც პირველად ფროიდმა აღწერა) ვარაუდობს, რომ ინდივიდის ფიზიოლოგიური (ბიოლოგიური) მოთხოვნილებები ქმნის დაძაბულობას, რაც აიძულებს მას, ეძიოს განმუხტვა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით. ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების, როგორცაა შიმშილი, წყურვილი, ძილი, სქესობრივი ურთიერთობა, როლი ადამიანის მოტივაციის ახსნაში დაძაბულობის რედუქციის პოზიციიდან ლაგდება (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

რედუქციონისტების საპირისპიროდ, სხვა თეორიები ძირითად აქცენტს გარემოს ფლობისაკენ ადამიანის მისწრაფებაზე და სიამოვნების მიღწევის მიზნით ახალი გამოცდილების მიღების წყურვილზე აკეთებენ. ამ თვალსაზრისის მომხრენი ამტკიცებენ, რომ რაც უფრო ზრდასრული ხდება ადამიანი, მით უფრო ხშირად მიემართება მისი ქცევა ახალი უნარ-ჩვევების მიღებაზე, ძირითადად, იმისთვის, რომ აიმაღლოს კომპეტენტურობა, ანდა ეფექტურად მოახდინოს გარემოსთან ურთიერთქმედება; და, ამასთან, უფრო იშვიათად არის მისი ქცევა მიმართული მხოლოდ დაძაბულობის შემცირებაზე (Хьელл Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების განვითარება

თუ პიროვნებას განვიხილავთ, როგორც სტაბილური, ხანგრძლივად არსებული მახასიათებლების ერთიანობას, გაგება იმისა, თუ როგორ ვითარდებიან ისინი, უბრალო ცნობისმოყვარეობაზე მეტ მნიშვნელობას იძენს. ტერმინი „განვითარება“ მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რომელიც დროთა განმავლობაში მიმდინარეობს ადამიანის სხეულის, აზროვნების ან ქცევის სტრუქტურაში, ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად. ჩვეულებრივ, ეს ცვლილებები პროგრესირებს და გროვდება, რასაც ორგანიზაციის გაძლიერებამდე და ფუნქციის გართულებამდე მიყვავართ. განვითარების კონცეფცია ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ იცვლება პიროვნების ფუნქციონირების მოტივაციური ასპექტები დაბადებიდან მოწიფულობამდე და შემდეგ — მოხუცებულობამდე. ამ ცვლილებათა ახსნა პიროვნების თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია.

პიროვნული განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს. შესაბამისად, ზოგიერთი თეორეტიკოსი ადამიანის ცხოვრების მანძილზე ზრდის ფაზებისა და განვითარების გასაგებად

განვითარების სტადიურ მოდელს გვთავაზობს. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია ფროიდის თეორია, რომელშიც პიროვნების ფორმირება ფსიქოსექსუალური განვითარების თანმიმდევრული სტადიების სახით არის წარმოდგენილი. მეორე მაგალითია ერიკსონის ფსიქოსოციალური განვითარების უნივერსალური რვა სტადიის კონცეფცია. ზოგიერთი თეორეტიკოსი ხაზს უსვამს დედა-შვილის ურთიერთქმედებას, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს განვითარების პრობლემის გაგებისათვის. კარლ როჯერსი, მაგალითად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, თუ როგორ ხდება ინდივიდის მეკონცეფციის ფორმირება, როგორც შემეცნების, ისე ემოციური თვალსაზრისით, მშობელთა განწყობებისა და ქცევების ზეგავლენით პიროვნების ფორმირების ამ ეტაპზე (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

პიროვნულ ზრდას მრავალი გარეგანი და შინაგანი დეტერმინანტი განაპირობებს. გარეგან ანუ გარემოს დეტერმინანტებს მიეკუთვნება: ინდივიდის მიკუთვნებულობა გარკვეული კულტურისადმი, სოციალურ-ეკონომიკური კლასისადმი და თითოეული ოჯახისათვის დამახასიათებელი უნიკალური გარემოსადმი. გარეგან დეტერმინანტებში მოიაზრება გენეტიკური, ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ფაქტორები.

ამა თუ იმ კულტურისადმი მიკუთვნებულობას, სოციალიზაციის მეშვეობით, საბოლოო ჯამში, აზროვნების, ემოციებისა და ქცევების ნორმატიულ მოდელზეამდე მივყავართ. იმისდა მიუხედავად, ვაცნობიერებთ თუ არა ამას, კულტურული გარემო გვიყალიბებს მე-ს ხატს, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმას, მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების საშუალებებს, ასევე, მიზნებს, რომელთა მიღწევასაც ვესწრავით. ზუსტად ასევე, გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ კლასთან მიკუთვნებულობა გავლენას ახდენს ფასეულობათა, განწყობათა და ცხოვრების სტილის თავისებურებებზე. ოჯახური გარემოს ზეგავლენაც, საგრძნობლად აისახება ინდივიდის განვითარებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშობელთა მრწამსს, მიზნებსა და ქცევის ფორმებს. მშობლები მიბაძვის მოდელის როლს ასრულებენ, საკუთარი ქცევების საშუალებით ზეგავლენას ახდენენ შვილებზე და ეს გავლენა მთელი ცხოვრების მანძილზე მიყვებათ მათ (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

გენეტიკური ფაქტორები ქცევაზე ზემოქმედების ის სახეა, რომელსაც ბავშვები მემკვიდრეობითობის მექანიზმების საშუალებით იღებენ მშობლებისაგან. გარემოს ფაქტორებთან ერთად, ისინი ცენტრალურ როლს ასრულებენ პიროვნების განვითარების თავისებურებათა განპირობებაში.

გენეტიკური და გარემოს ფაქტორთა ფარდობითი მნიშვნელოვნების შესახებ მიმდინარე დებატებმა ბიძგი მისცა ახალი თეორიული წარმოდგენების განვითარებას. საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა ურთიერთქმედებდნენ ეს ფაქტორები ერთმანეთთან, რომ საბოლოოდ ქცევის გარკვეული მახასიათებლები მივიღოთ. ასეთ ინტერაქციულ პოზიციაზე მდგარი თეორეტიკოსები თვლიან, რომ ნებისმიერი ინდივიდი გარემოს ზემოქმედების ქვეშ იზრდება და გენეტიკური მახასიათებლების გავლენით ვითარდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ პოზიციის თანახმად, მემკვიდრეობითობა ზღუდავს ამა თუ იმ მახასიათებლის განვითარების დიაპაზონს, მაგრამ, ამავე დროს, ამ დიაპაზონის ფარგლებში მახასიათებლების შემდგომი განვითარება გარემოს ფაქტორებით განისაზღვრება.

პიროვნების თეორიები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრების მანძილზე განვითარებისა და ცვლილებების საკითხებს; განვითარებაზე პასუხისმგებელ ფაქტორთა აღწერით; ასევე, პიროვნების განვითარებაზე მოქმედი გენეტიკური და გარემოს ფაქტორთა შედარებითი როლის აღიარებით. მიუხედავად ამისა, პიროვნების სრული თეორია უნდა ხსნიდეს ადამიანის ქცევის საფუძველში მყოფი სტრუქტურებისა და პრინციპების განვითარებას (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## ფსიქოპათოლოგია

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც დგება ნებისმიერი პიროვნების თეორია, იმის ახსნის აუცილებლობაა, თუ რატომ ვერ ახერხებს ზოგიერთი ადამიანი საზოგადოების მოთხოვნებისადმი ადაპტირებას და მასში ეფექტურად ფუნქციონირებას. ფაქტობრივად, თითოეული პერსონოლოგი ყურადღებას უთმობს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ ახორციელებს ზოგიერთი ადამიანი ქცევის

პათოლოგიურ ან არაადეკვატურ სტილს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეტიოლოგია — არანორმალური (პათოლოგიური) ფუნქციონირების მიზეზების შესწავლა და ახსნა — პიროვნების თეორიის ამ კომპონენტის ცენტრალური თემაა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

პათოლოგიური ქცევის მიზეზთა ახსნის აუცილებლობამ ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომების განვითარებამდე მიგვიყვანა. მაგალითად, ფსიქოდინამიკური ორიენტაციის თეორეტიკოსები თვლიან, რომ ბავშვობაში გადაუჭრელმა კონფლიქტებმა შეიძლება მოზრდილობაში პათოლოგიური ქცევა გამოიწვიოს. თავად ეს კონფლიქტები ურთიერთგამომრიცხავი სურვილების (სექსისა და აგრესიის სფეროში) თანაარსებობის შედეგად წარმოიქმნება. კონფლიქტები ავადმყოფური სიმპტომების ჩამოყალიბებას იწვევს. ვინაიდან ეს კონფლიქტები არ ცნობიერდება და ადამიანს არ ესმის, თუ რა გახდა სიმპტომთა გაჩენის მიზეზი, სიმპტომები ძლიერდება და ამით მტკივნეულობაც იმატებს. ბიჰევიორალური მიმართულება, პირიქით, თავად ქცევას განიხილავს, როგორც პრობლემას. მსგავს პოზიციებზე მდგარი მეცნიერები თვლიან, რომ პათოლოგიური ქცევის ასახსნელად არ არის აუცილებელი ჰიპოთეზების აგება და სიღრმისეული, დაკვირვებისთვის ხელმიუწვდომელი მექანიზმების დეტალური კვლევა. ამის ნაცვლად, უნდა გაანალიზდეს, თუ როგორ მოხდა ნორმიდან გადახრილი ქცევის დასწავლა წარსულში და ინდივიდის გარემოს რა პირობების დახმარებით შენარჩუნდა აწმყოში (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

ზოგიერთი თეორეტიკოსი ვარაუდობს, რომ ადამიანების ქცევა, ნორმალურიც და პათოლოგიურიც, ოჯახური გარემოს, საზოგადოებისა და კულტურის დაღს ატარებს. ჩვენ ყველა ოჯახის, მეგობრების, ნაცნობი და უცნობი ადამიანების სოციალური ჩარჩოს ნაწილს წარმოვადგენთ; გარშემომყოფებთან ურთიერთობის ზოგიერთი ტიპი აძლიერებს გადახრებს ქცევაში და ზოგჯერ მათი წარმოქმნის მიზეზიც ხდება. ფსიქიკური პათოლოგიის სოციოკულტურული მოდელის მომხრენი ამტკიცებენ, რომ სტრესები და კონფლიქტები, რომელსაც ადამიანები განიცდიან ყოველდღიურ ურთიერთობაში, შეიძლება იწვევდნენ და განამტკიცებდნენ (ინარჩუნებენ) ქცევის პათოლოგიურ ფორმებს.

ფსიქიკურ აშლილობათა მიზეზების ანალიზის აუცილებლობამ მრავალი განსხვავებული მიდგომის გაჩენა გამოიწვია პიროვნების თეორიების განვითარების საკმაოდ მოკლე პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების სრული თეორია უნდა მოიცავდეს იმის მიზეზების დასაბუთებულ ანალიზს, თუ რატომ არის ზოგიერთი ადამიანისთვის ცხოვრება ასეთი დამაბული და რატომ არ შეუძლიათ მათ პრობლემების მოგვარების ეფექტური უნარ-ჩვევების გამომუშავება (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

## ფსიქიკური ჯანმრთელობა

ცდილობს რა, გაითვალისწინოს ადამიანის ქცევის ასპექტთა მრავალფეროვნება, პიროვნების სანდო თეორია უნდა იძლეოდეს ჯანმრთელი პიროვნების შეფასების კრიტერიუმებს. საკითხი შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რა შედის ცხოვრების ჯანსაღი წესის ცნებაში. ეს თემა ყველაზე ფართო კონცეპტუალური მოდელების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

პიროვნების თეორიათა უმრავლესობაში განიხილება საკითხი: რისგან აიგება ფსიქიკური კარგად ყოფნა. მაგალითად, ფროიდი ვარაუდობდა, რომ ზრდასრული პიროვნების ფუნქციონირება პროდუქტულად მუშაობისა და დამაკმაყოფილებელი ინტერპერსონალური ურთიერთობების შენარჩუნების უნარით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეს კრიტერიუმი, ერთი შეხედვით, ძალზე გლობალური და არასპეციფიკური ჩანს, უფრო მეტი ყურადღებით განხილვისას მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება შეიძლება. ამრიგად, ფროიდის მიხედვით, მუშაობის უნარი გულისხმობს ხანგრძლივი, შორეული მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარს; ასევე, შფოთვასთან იმგვარად გამკლავებას, რომ ეს უარყოფითად არ აისახოს ქცევაზე. დამაკმაყოფილებელ სოციალურ ურთიერთობებში მოიაზრება საფრთხის მოლოდინის გარეშე ემოციათა ფართო სპექტრით ტკბობისა და სექსუალური და აგრესიული იმპულსების დაკმაყოფილებაში კონსტრუქციული, აღმშენებლობითი ელემენტების შეტანის უნარი (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

ფსიქიკური ჯანმრთელობა სოციალური დასწავლის თეორიის ტერმინებითაც შეიძლება განისაზღვროს. მაგალითად, ბანდურა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცნებებს, რომელიც ცხოვრების მოთხოვნების დაკმაყოფილების (ჩვენს) უნარს ასახავს. მისი აზრით, თვითფექტურობა ანუ საკუთარი უნარის გაცნობიერება, რომ ქცევის სწორედ ისეთი ფორმების ამორჩევა შეგვიძლია, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად, შეგუების უმთავრეს თავისებურებას წარმოადგენს. მეტიც, ბანდურა ამტკიცებს, რომ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ძლიერ პიროვნებად მიიჩნევენ, უფრო რთულ მიზნებს ისახავენ და შედეგად მეტად წარმატებულნი არიან თავიანთი მიზნების მიღწევაში.

ზოგიერთი პერსონოლოგი დიდ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელი პიროვნების პორტრეტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი მდგენელების შექმნას. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ნათელი მაგალითია მასლოუს თვითაქტუალიზაციის თეორია, რომელიც მოთხოვნილებათა იერარქიას ეყრდნობა. მასლოუს მიხედვით, ნორმალური პიროვნული ზრდისთვის საჭიროა მოთხოვნილებათა მნიშვნელოვნების გადანაცვლება შედარებით პრიმიტიული მოთხოვნილებებიდან (ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების) უფრო ამაღლებულისკენ ანუ უფრო „ადამიანურისკენ“ (ჭეშმარიტებისკენ და სილამაზისკენ). მასლოუ, ასევე, იკვლევდა თვითაქტუალიზაციის რეალიზირებული მოთხოვნილებების მქონე ადამიანებს და თავისი დაკვირვებების შედეგები პიროვნული პროფილის ტერმინებით ჩამოაყალიბა, სადაც შევიდა ისეთი თვისებები, როგორცაა რეალობის ეფექტური აღქმა, განმარტობისა და პირადი ცხოვრების მოთხოვნილება, საკუთარი თავისა და სხვების მიღება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

უდავოა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასების კრიტერიუმი ნებისმიერი ამომწურავად სრული პიროვნების თეორიის ცენტრალური საკითხია.

## პიროვნების შეცვლა თერაპიული ზემოქმედებით

ვინაიდან პიროვნების თეორიები გარკვეულ ინფორმაციას იძლევიან ფსიქოპათოლოგიის მიზეზების გასაგებად, აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ ნორმიდან გადახრილი ქცევის კორექციის გზებსაც გვათავაზობენ. მეექვსე და ბოლო საკითხს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების შესახებ თეორიული მსჯელობებისთვის. ეს არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დავეხმაროთ ადამიანებს საკუთარი კომპეტენტურობის ამაღლებაში, არასაკმარისად ადაპტირებული ქცევის შემცირებასა და პოზიტიური პიროვნული ცვლილებების მიღწევაში (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

პიროვნების მრავალ თეორიაში საკმაოდ დეტალურად არის დამუშავებული კლინიკური ანუ კონსულტაციური ასპექტები. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს თითქმის იმავე რაოდენობის თერაპიული მიმართულების არსებობა, რამდენიც არსებობს თავად თეორია. მათ შორის განსხვავებას არამარტო მკურნალობის მეთოდთა განსხვავებულობა ქმნის, არამედ — მთლიანად პიროვნებაზე მათ შემქმნელთა განსხვავებული შეხედულებები. ერთ პოლუსზე მოთავსებულია ფსიქოდინამიკური თეორია, რომელიც პირველხარისხიან მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვობის გაუცნობიერებელ კონფლიქტებსა და დასწავლის გამოცდილებას. ისინი ქცევის კონტროლის დომინანტურ ფაქტორებად განიხილება. ამიტომ თერაპიული ზემოქმედების ფსიქოდინამიკური მოდელი ფოკუსირდება იმაზე, რომ დაეხმაროს ადამიანებს ბავშვობის ასაკის კონფლიქტების ცნობიერებიდან განდევნილი მიზეზებისა და წყაროების გამოვლენაში. ასევე, იმის გაგებაში, თუ როგორ ზემოქმედებს ეს კონფლიქტები მათ ცხოვრებაზე მოზრდილობაში. მეორე პოლუსზე მდებარეობს ბიჰევიორისტული თეორია, რომლის მიხედვითაც, ქცევას, მნიშვნელოვანწილად, ცხოვრებისეული მოვლენები და გარემო პირობები განაპირობებს. ამ პოზიციაზე მდგომი თეორეტიკოსები ვარაუდობენ, რომ დარღვეული ადაპტაციის მქონე ადამიანებმა ან თავის დროზე ვერ შეძლეს გარკვეული უნარ-ჩვევების შექმნა, რომელიც აუცილებელია ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნებისადმი შესაბამისობაში ყოფნისათვის, ანდა არასაკმარისი ან დეფექტური უნარ-ჩვევები შეიძინეს, რომელიც განმტკიცების გარკვეული ფორმების ზემოქმედების შედეგად განუმტკიცდათ. შესაბამისად, მკურნალობის ბიჰევიორისტული მიდგომის ამოცანაა ადამიანებისთვის ახალი ქცევის ფორმების სწავლება ძველის,

დეფექტურის ნაცვლად, ან არასაკმარისად ადაპტური ქცევითი რეაქციებისგან მათი განთავისუფლება (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

თერაპიული ზემოქმედების დახმარებით ადამიანს თავისი პიროვნებისა და ქცევის მრავალი ასპექტის გადაფასებისა და შეცვლის შესაძლებლობა ეძლევა, იქნება ეს საკუთარ თავზე წარმოდგენა, ინტერპერსონალური ურთიერთობების სტილი, შემეცნებითი პროცესები, ემოციური რეაქციები, ღირებულებები, ცხოვრებისეული მიზნები თუ დროის სტრუქტურირების ხერხები და ა.შ. პიროვნული თავისებურებების დეტალური შესწავლა, თავის მხრივ, გვეხმარება იმ საშუალებების შერჩევაში, რომლითაც შესაძლებელი იქნება ქცევის არასასურველი ფორმების მოდიფიცირება ისე, რომ მოცემულ ინდივიდს ფუნქციონირების უფრო ეფექტურ ხერხებზე გადასვლა შეეძლოს.

ამრიგად, პიროვნების გაგებისადმი მრავალი განსხვავებული თეორიული მიდგომა არსებობს. მიუხედავად მთელი მათი მრავალფეროვნებისა, პიროვნების თეორიებს გააჩნიათ ზოგადი კონცეპტუალური საფუძველი, ჩარჩო, რომელიც ექვსი ძირითადი ბლოკისაგან შედგება: სტრუქტურა, მოტივაცია, განვითარება, ფსიქოპათოლოგია, ფსიქიკური ჯანმრთელობა და პიროვნების ცვლილება თერაპიული ზემოქმედებით. თეორიის მიერ ამ ბლოკთაგან თითოეულის ასახვლად შემოთავაზებულ კონცეფციათა ერთობლიობა პიროვნების მოცემული თეორიის ძირითად შინაარსზე მეტყველებს. ამ კონცეპტუალურ საკითხთა გადაჭრის მეთოდები თითოეული თეორიული კონცეფციის შედარებით ზოგადი პერსპექტივების დანახვის საშუალებას გვაძლევს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

## პიროვნების ფსიქოლოგიის ორი ძირითადი ტრადიცია

ოლპორტი პიროვნების ფსიქოლოგიაში ორ ძირითად ტრადიციას გამოყოფს (იხ. ცხრილი 3):

1. ბიოფიზიკურს ანუ კონტინენტურს. აქ იგი განარჩევს ხუთი ტიპის თეორიას, ესენია:
  - კრებითი - პიროვნება განიხილება, როგორც გარკვეული ნასახების, ინსტინქტების, მოტივებისა და ლტოლვების ერთობლიობა;
  - მთლიანობითი - პიროვნება განიხილება, როგორც ერთი მთლიანი, ინტეგრირებული პიროვნება;
  - დისკრიმინაციული - პიროვნებას განსაზღვრავს სხვებისგან განმასხვავებელი ნიშანი;
  - იერარქიული - პიროვნება იერარქიულია ანუ მას სხვადასხვა დონეები აქვს;
  - ბიოლოგისტური.
2. ბიოსოციალურს ანუ ანგლო-საქსურს.

ეს ორი ტრადიცია, პირველ რიგში, ფილოსოფიური წანამდღვრებით განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც საფუძვლად უდევს პარადიგმების, პიროვნების ხედვის, კვლევის მეთოდებისა და საკვლევი პარამეტრების განსხვავებულობას. კონტინენტური ტრადიციის ფესვებს ლაიბნიცის ნააზრევში შეგვიძლია გავადევნოთ თვალი, ანგლო-საქსური ტრადიცია კი ლოკის მოძღვრებაში იღებს სათავეს. ამიტომ მიზანშეწონილია, ძალიან მოკლედ მაინც გავეცნოთ თითოეულ მათგანს.

### ცხრილი 3. ორი მიმართულება ფსიქოლოგიაში ოლპორტის მიხედვით.

მიმართულება	ბიოფიზიკური ანუ კონტინენტური	ბიოსოციალური ანუ ანგლო-საქსური
ფილოსოფიური წანამდღვრები	ლაიბნიცის მოძღვრება (ფსიქიკურისა და ფიზიკურის პარალელიზმის იდეა)	ლოკის მოძღვრება (ფსიქიკური და ცნობიერი იგივეობრივი ცნებებია)
ძირითადი დებულება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სულს სპონტანურობა ახასიათებს. ბავშვს დაბადებიდანვე აქვს ინსტინქტები, ნასახები, რომლებიც სპონტანურად მოჰყვება მას. აღიარებულია მემკვიდრეობითობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანი რეაქტიულია, იგი ტაბულა რასაა. მას არაფერი აქვს შინაგანი და გამლიზიანებლის გარეშე ასეთივე დარჩება. თუ იქნება გამლიზიანებული, "სუფთა დაფა" შეივსება.</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცნობიერების შინაარსების ახსნა უნდა მოხდეს არაცნობიერი ფსიქიკურის საფუძველზე, ე. ი. ცნობიერება არ არის თავის თავში დასაბუთებული სინამდვილე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცნობიერების შინაარსების ახსნა ცნობიერებისავე შინაარსებით უნდა მოხდეს, ე. ი. ცნობიერება თავის თავში დასაბუთებული სინამდვილეა.</li> </ul>
პიროვნების განმარტება	<p>პიროვნება ობიექტურად არსებობს. მას ჩვენგან დამოუკიდებლად აქვს თავისი სახე. ქცევის განმსაზღვრელი რეალურად არსებობს პიროვნებაში და ის თანდაყოლილია (ტემპერამენტი, ნიშნები და ა. შ.). პიროვნება არის სუბიექტის მახასიათებლები ანუ თვისებები. მას გააჩნია როგორც აღქმადი, ისე — ორგანული მხარე. აქედან გამომდინარე, პიროვნება უნდა დაუკავშიროთ ინდივიდის სპეციფიკურ თვისებებს, რომლებიც ობიექტურ აღწერასა და გაზომვას ექვემდებარება.</p>	<p>პიროვნება განიხილება ისე, თუ როგორ ეჩვენება ის სხვას. მას უფრო ნიღბის მნიშვნელობა აქვს. პიროვნება ფიქციაა, შედგენილია დამკვირვებლის მიერ, რათა წესრიგში მოიყვანოს, ფორმა მისცეს პიროვნების გამოვლინებათა მრავალფეროვნებას. უფრო შეესატყვისება ტერმინის ყოფით გამოყენებას, რადგან აიგივებს მას ინდივიდის "სოციალურ მასტიმულირებელ ღირებულებასთან". სწორედ სხვათა რეაქცია განსაზღვრავს ინდივიდის პიროვნებას. ინდივიდს არ გააჩნია არავითარი პიროვნება იმის გარდა, რომელიც მოცემულია გარშემომყოფთა რეაქციებში ანუ სუბიექტის პიროვნება მოცემულია მასზე მორეაგირე სხვებში.</p>
კვლევის მეთოდი	<p>გამოითქმება ჰიპოთეზა, მიდგომა პიროვნების არსისადმი. განისაზღვრება, თუ რა იგულისხმება მასში და შემდეგ მოწმდება ემპირიულად.</p>	<p>შეისწავლება პიროვნების ემპირიული გამოვლინებანი და შემდეგ ამ მონაცემებზე დაყრდნობით აიგება პიროვნების კონსტრუქტი.</p>
ძირითადი საკვლევი პარამეტრები	<ul style="list-style-type: none"> <li>• შინაგანი ნასახები</li> <li>• კონსტიტუციური მონაცემები</li> <li>• პიროვნების სტრუქტურის სიმყარე</li> <li>• პიროვნების შედარებითი დამოუკიდებლობა საზოგადოებისგან</li> <li>• შედარებითი უცვლელობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გარე, ობიექტური ქცევა</li> <li>• ზედაპირული ნიშნები</li> <li>• ქცევის მოტორული კომპონენტები</li> <li>• ინტერპერსონალური ურთიერთობები</li> <li>• პიროვნების მოდიფიცირების შესაძლებლობები</li> </ul>

### გოლფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი (1646-1716)

ლაიბნიცი არაცნობიერი ფსიქიკურის შესახებ მოძღვრების წარმომადგენელია. გარდა ამისა, იგი ფსიქოფიზიკური უნივერსალური პარალელიზმის პოზიციაზე დგას. უნივერსალური პარალელიზმი

ნიშნავს, რომ ყოველი ფიზიკური პროცესის პარალელურად მიმდინარეობს ფსიქიკური პროცესი და, პირიქით, ყოველი ფსიქიკური პროცესის პარალელურად — ფიზიკური პროცესი; ე.ი. ფსიქოფიზიკურ პარალელიზმს უნივერსალური ხასიათი აქვს. ბუნებაში ჰარმონია სუფევს, რომელიც თავისთავად არის ჩადებული მონადის წინასწარ მოცემულ ბუნებაში. ლაიბნიცის მიხედვით, არსებულის, სუბსტანციის ძირითადი არის აღქმის მსგავსია. ამიტომ მისი განვითარების პროცესი იგივეა, რაც ნათელყოფის პროცესი. ეს ნიშნავს, რომ სუბსტანცია სხვადასხვა ხარისხის ცნობიერებით ხასიათდება. არსებობს არაცნობიერი სუბსტანცია და არსებობს მაქსიმალური ცნობიერების მდგომარეობა. განვითარების პროცესი ამ ორ უკიდურეს მდგომარეობას შორის მიმდინარეობს. მარტივი სუბსტანცია ანუ მონადა არის უსასრულოდ მცირე პერცეფცია, რომელიც არაცნობიერი ხასიათისაა, მაგრამ



ლაიბნიცი

როდესაც ასეთი მცირე პერცეფციები ერთიანდებიან, ადგილი აქვს აპერცეფციას ანუ არაცნობიერი სუბსტანციის ცნობიერების ფაქტად გადაქცევას ანუ ხდება მისი გაცნობიერება.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ ხდება არაცნობიერი სუბსტანციების გაერთიანება და ამ ერთიანობის ცნობიერების ფაქტად ქცევა? ლაიბნიცი ასეთ შედარებას გვთავაზობს: როცა ზღვა ღელავს, ტალღების შეხეთქება ხმას გამოსცემს. ეს ხმა წყლის მოლეკულათა შეჯახების შედეგად წარმოიქმნება, მაგრამ ორი მოლეკულის შეჯახების ხმას ჩვენ ვერ აღვიქვამთ; ეს უსასრულოდ მცირე პერცეფციაა (ანუ რჩება ჩვენი ცნობიერების მიღმა), მაგრამ როცა ერთმანეთს ეჯახება უსასრულოდ ბევრი მოლეკულა, ამ დროს ეს პერცეფციები ერთიანდება და ადგილი აქვს ცნობიერების ფაქტს — ხმა გვემის.

## ჯონ ლოკი (1632-1702)

ლოკი ცნობიერების ფსიქოლოგიის წარმომადგენელია. მისი მოძღვრება შემეცნების ანუ გნოსეოლოგიის პრობლემაზეა ფოკუსირებული. შემეცნების საკითხს იგი მატერიალისტურად წყვეტს. ლოკის მიხედვით, შემეცნებისათვის აუცილებელია შემეცნებელი, მაგრამ ის, რისი შემეცნებაც ხორციელდება, შემეცნებლის გარეშეც არსებობს. მარტივად რომ ვთქვათ, შემეცნების ობიექტი, იმისდა მიუხედავად, სუბიექტი იმეცნებს მას თუ არა, არსებობს შემეცნებლისგან დამოუკიდებლად. შემეცნება, როგორც ფენომენი, არის წარმოდგენები და იდეები<sup>10</sup> ანუ შემეცნების შინაარსს, ცნობიერების შინაარსს სწორედ ეს იდეები წარმოადგენენ.



ლოკი

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: საიდან მოდიან ეს იდეები? როგორია მათი ბუნება?

ლოკის მიხედვით, იდეა შეიძლება იყოს მარტივი და რთული. რთული იდეები მარტივი იდეებისგან შედგება. ფსიქიკურ ელემენტს წარმოადგენს მარტივი იდეა. ამრიგად, რთული იდეების შემეცნება ნიშნავს მის გაანალიზებას, დანაწევრებას მარტივ იდეებად. რთული და მარტივი იდეები მოცემულია ცნობიერებაში, ე.ი. ცნობიერება თავის თავში უშუალოდ დასაბუთებული სინამდვილეა. აქედან ნათელია, რომ ლოკი უშუალოდ პოსტულატზე დგას.

ლოკის მიხედვით, არსებობს შემეცნების ანუ მარტივი იდეების წარმოქმნის ორი გზა, ორი გამოცდილება: შინაგანი და გარეგანი. მარტივი იდეები აღმოცენდებიან გრძნობის ორგანოების საშუალებით ანუ გამლიზიანებელი ზემოქმედებას ახდენს გრძნობის ორგანოზე და შედეგად აღმოცენდება შეგრძნება. აღსანიშნავია, რომ ლოკი არ უშვებს თანშობილი იდეების არსებობას, ცხოვრებაში იდეები გარედან შემოდიან, “იზადებიან”. მისთვის სული ანუ ცნობიერება დაუწერელი, სუფთა დაფაა, “ტაბულა რასაა” და მასზე დაიწერება მხოლოდ ის, რასაც შეგრძნებები მიაწვდიან.

ლოკი და ლაიბნიცი ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ, მაგრამ ფსიქიკის შესახებ ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შეხედულებები მოგვცეს. მათ დასახეს ორი ძირითადი მიმართულება. ლოკის მიხედვით, ცნობიერება თავის თავში დასაბუთებული სინამდვილეა, მისი შინაარსები ცნობიერებისვე შინაარსებით უნდა აიხსნას. იგი უშუალოდ პოსტულატზე დგას. ლაიბნიცის აზრით კი, ცნობიერების შინაარსების ახსნა არაცნობიერი ფსიქიკის საფუძველზე უნდა მოხდეს. ე.ი. ცნობიერება არ არის თავის თავში დასაბუთებული.

<sup>10</sup> იდეა - უნდა დავაზუსტოთ, რომ ლოკი ტერმინით „იდეა“ აღნიშნავს ხატის მოცემულობას იმისდა მიუხედავად, ეს ხატი წარმოდგენის ხატია თუ აღქმის ხატი.

ლოკთან ფსიქიკური და ცნობიერი იგივეობრივი ცნებებია. ლაიბნიცთან ფსიქიკური უფრო ფართე ცნებაა. ის თავის თავში აერთიანებს როგორც ცნობიერ, ასევე, არაცნობიერ ფსიქიკურს. ლაიბნიცთან დაძლეულია უშუალოდ პოსტულატი.

ფსიქიკურის გაგების, ახსნის ეს ორი სახეობა დღემდე უპირისპირდება ერთმანეთს და თანამედროვე ფსიქოლოგიაში ორივე მიმდინარეობაა წარმოდგენილი.

## შეჯამება

პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების მეცნიერული შესწავლაა. მისი მიზანია ადამიანის ინდივიდუალობის მეცნიერულად სანდო ახსნა — როგორ ხდება, რომ ადამიანები ჰგვანან ყველა სხვა ადამიანს, ჰგვანან ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგვანან არავის. პიროვნების ფსიქოლოგიას აინტერესებს ადამიანის ბუნების როგორც სახეობისთვის ტიპური მახასიათებლები, ისე — ადამიანებს შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებები. პიროვნების ფსიქოლოგიის ცალკე დარგად ჩამოყალიბება გორდონ ოლპორტისა და ჰენრი მარეის სახელებს უკავშირდება, რომლებიც თითქმის ერთდროულად მოღვაწეობდნენ გასული საუკუნის შუა წლებში. თუ ოლპორტს ინდივიდუალური განსხვავებები და პიროვნების ცენტრალური ნიშნებით აღწერა აინტერესებდა, მარეი თვლიდა, რომ თითოეული პიროვნება მულტიდისციპლინური გუნდის შესწავლის საგანი იყო და მხოლოდ მრავალმხრივი მიდგომით შეიძლება მისი ყოველმხრივი, სიღრმისეული შესწავლა. ამასთან, ოლპორტს ეკუთვნის პიროვნების შესწავლისადმი ნომოთეტური და იდეოგრაფიული მიდგომების კლასიფიკაცია.

დღეისათვის პიროვნების ფსიქოლოგია არის დისციპლინა, რომელიც თავისი მახასიათებლებითა და ტრადიციული აქცენტებით გამოირჩევა. ესენია: ჰოლიზმი ანუ მთლიანი პიროვნება, მოტივაცია და დინამიკა და ინდივიდუალური განსხვავებები. პიროვნების ფსიქოლოგია მთლიანი პიროვნების კვლევისას ისეთ მრავალფეროვან დარგებს უკავშირდება, როგორცაა სოციალური, განვითარებისა და კლინიკური ფსიქოლოგია, ტვინის ფიზიოლოგია, ევოლუციური ბიოლოგია, კოგნიტური მეცნიერება, სოციოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, ლიტერატურის კვლევები. თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებებია ფსიქოდინამიკა, ბიჰევიორიზმი, ჰუმანიზმი, სოციალური დასწავლა და სიტუაციონიზმი, რომელთა წიაღში უამრავი ქვემიმართულება და თეორია არსებობს.

პიროვნების თეორიები გარკვეული სტრუქტურით ხასიათდებიან. ისინი უნდა აღწერდნენ და ხსნიდნენ პიროვნების სტრუქტურას, დინამიკას, განვითარებას, ფსიქოპათოლოგიას, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და თერაპიული მეთოდების საკითხებს. მათ, ძირითადად, ორი ფუნქცია აქვთ: ქცევის ახსნა და პროგნოზირება. პიროვნების თითოეული თეორია ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა შემოწმებადობა, ევრისტიკული ღირებულება, შინაგანი შეთანხმებულობა, ეკონომიურობა, მოცულობის დიაპაზონი და ფუნქციონალური მნიშვნელობა.

პიროვნების ფსიქოლოგიაში თეორიები ფილოსოფიური წანამძღვრების მიხედვით ორ ძირითად ტრადიციაზე აიგება. ერთ-ერთი მათგანი ლაიბნიცის ფილოსოფიაში იღებს სათავეს და ბიოფიზიკური ანუ კონტიტენტური ტრადიციების თეორიები ეწოდება, ხოლო მეორე ლოკის პოზიტივიზმს ეფუძნება და ამ ტრადიციის ფარგლებში ფორმირებულ თეორიებს ბიოსოციალურს ანუ ანგლოსაქსურს უწოდებენ.

## თავი 2

# მეცნიერება და პროცენტება ანალიზის დონეები და კვლევის მეთოდები

*„მეცნიერების არაფერია იმაზე აუცილებელი, ვიდრე მისი ისტორია და აღმოჩენის ლოგიკა... შეცდომის აღმოჩენის, ჰიპოთეზისა და წარმოსახვის გამოყენების, ტესტირების მეთოდის გამოყენების გზები“  
(Lord Action, ციტირებულია წყაროში Popper, 2002).*

პროცენტების ფსიქოლოგიაში, სხვა სფეროების მსგავსად, კვლევის საფუძველს პროცენტების თეორიები ქმნიან. ამ თეორიების უპირველესი და ძირითადი ფუნქცია იმ მეცნიერული კონსტრუქტების შემოთავაზებაა, რომლებიც აღწერენ და ახსნიან ფსიქოლოგიურ ინდივიდუალობებს. შესაბამისად, კონსტრუქტების ვალიდაცია პროცენტების კვლევის ძირითადი ამოცანაა (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). პროცენტების ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებული მრავალი კონსტრუქტი სამ ფართო ჯგუფში შეგვიძლია გავაერთიანოთ, ესენია: დისპოზიციური ნიშნები, დამახასიათებელი ადაპტაციები და ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიები (McAdams, D. P., 2006).

## რას იკვლევენ პროცენტების ფსიქოლოგები

პროცენტების ფსიქოლოგიაში არსებული ლიტერატურის მიმოხილვამ აჩვენა (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007), რომ ეს სფერო ფსიქოლოგიის სხვა მიმართულებებისგან იმით განსხვავდება, რომ თეორეტიზაციასა და კვლევაში აქცენტს პროცენტების სამ განსხვავებულ ასპექტზე აკეთებს, ესენია: ინდივიდუალური განსხვავებები, მოტივაცია და პოლიზმი (McAdams, D. P., 1996).

## ინდივიდუალური განსხვავებები

პროცენტების ფსიქოლოგებისთვის უპირველესი და, ალბათ, უმნიშვნელოვანესია ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავებები. იქნება ეს ფროიდის ორალური და ანალური ხასიათის ტიპები, აიზენკისეული ინტროვერსია და ექსტრავერსია, თუ CPI-ის<sup>1</sup> თვითანგარიშის კითხვარის სკალები, სწორედ ადამიანების რეაქციებს შორის განსხვავებების ასახვაზეა საუბარი. თუ პროცენტების ფსიქოლოგიაში უკვე კანონიკურად წოდებული (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007) მარეისეული ფრაზის<sup>2</sup> პირველი ნაწილი ადამიანის ბუნების ზოგად თავისებურებებს შეეხება, მეორე და მესამე ნაწილი ასახავს იმას, თუ რითი განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან, კერძოდ, საუბარია იმ განზომილებებზე, რომლებიც ადამიანთა შორის რეკურენტულ და მდგრად განსხვავებებს ქმნიან. ბერნროიტერის (Bernreuter, 1931) მრავალნიშნის კითხვარიდან მოყოლებული, პროცენტების ფსიქოლოგებმა თვითანგარიშის ასობით კითხვარი შექმნეს, რომლებიც ისეთი განზომილებების მიხედვით ცდილობენ ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლას, როგორცაა, მაგალითად, დომინანტობა, თვითკმარობა, სოციალურობა და ნეიროტიციზმი. პროცენტებს შორის თანდაყოლილ ვარიაციებზე

<sup>1</sup> California Psychological Inventory.

<sup>2</sup> "ყოველი ადამიანი გარკვეული ასპექტებით ჰგავს ყველა სხვა ადამიანს, ზოგიერთ სხვა ადამიანს და არ ჰგავს არც ერთ სხვა ადამიანს" (Murray, 2008).

კონცეპტუალურ აქცენტს, ტრადიციულად, *კორელაციურ* მეთოდამდე მივყავართ. ეს არის ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლაზე განსაკუთრებით მორგებული კვლევითი სტრატეგია. კორელაციურ მეთოდში პიროვნების ბაზისურ განზომილებებში არსებულ, სავარაუდოდ, სტაბილურ და კონსისტენტურ ინდივიდუალურ განსხვავებებს უკავშირებენ მნიშვნელოვან ქცევით შედეგებში გამოვლენილ განსხვავებებს (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

## მოტივაცია

პიროვნების ფსიქოლოგიის მეორე ტრადიციული აქცენტი *მოტივაციაზე* კეთდება. სოციალური მეცნიერებების სფეროში ყველაზე მეტად პიროვნების ფსიქოლოგიას აინტერესებს ადამიანის ქცევისა და გამოცდილების შინაგანი მამოძრავებლები. ეს ორიენტაცია ოლპორტამდე (1937) გამოცემულ წიგნებშიც ძალზე თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი. მაგალითად, გარნეტი (1928, ციტირებულია წყაროში Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007) წერს, რომ პიროვნების პრობლემის გასაღები სხვაგან სად უნდა ვეძიოთ, თუ არა მისი ქცევის სათავეებთან. ფროიდისეული ლტოლვებიდან და მარეისეული მოთხოვნილებებიდან დაწყებული და როჯერსის თვითაქტუალიზაციის ტენდენციით დამთავრებული, პიროვნების ყველაზე გავლენიანი თეორიები იმ შინაგანი ფაქტორების იდენტიფიცირებას ცდილობდნენ, რომლებიც ენერგიით აღავსებდნენ და წარმართავდნენ ადამიანის ქცევას (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

მოტივაციური მიდგომები მოქმედების დინამიკაზე ფოკუსირდებიან; ძალებზე, რომლებიც ადამიანებს იმის საკეთებლად წარმართავენ, რასაც რეალურად აკეთებენ ისინი, იქნება ეს ბიოლოგიური აღმშენებლები, ტვინის მოდულები, კოგნიტური სქემები თუ ემოციური სკრიპტები.

ადამიანის მოტივაციით დაინტერესებული პიროვნების ფსიქოლოგები კვლევისას უპირატესობას ხშირად *ექსპერიმენტულ* მეთოდს ანიჭებენ. მოტივაციური მიდგომარეობების გამოწვევა ან აქტივაცია სრულიად შესაძლებელია გაკონტროლებულ ლაბორატორიულ პირობებში; ასევე, შესაძლებელია მნიშვნელოვან დამოკიდებულ ცვლადებზე (განზომილებებზე) მათი ზემოქმედების აღწერა (მაგალითისთვის იხ. Atkinson & Birch, 1978). მართალია, ექსპერიმენტები ემპირიული ფსიქოლოგიის სხვა მრავალ მიმართულებაშიც გამოიყენება და ბევრი სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენელი პიროვნების ფსიქოლოგიც იყენებს, ტრადიციულად, ექსპერიმენტებს პიროვნების ის მკვლევრები ანიჭებენ უპირატესობას, რომლებიც ადამიანის ქცევისთვის ენერჯისა და მიმართულების მიცემაზე პასუხისმგებელი შინაგანი ძალების კვლევით არიან დაკავებულნი (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

## ჰოლიზმი: ერთიანი პიროვნება

პიროვნების ფსიქოლოგებს, ბევრი სხვა ფსიქოლოგისგან განსხვავებით, აინტერესებთ *მთლიანი, ერთიანი პიროვნება* (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). ეს ინტერესი ორგვარად ვლინდება. (1) პიროვნების ფსიქოლოგები ცდილობენ, მოიცვან ფაქტორთა ფართო სპექტრი, რომლებიც მრავალ სხვადასხვა დონეზე ოპერირებენ და ამ მცდელობის მიზანს ცალკეული ინდივიდის ცხოვრების კომპლექსურობის დასაბუთება წარმოადგენს; (2) პიროვნების მრავალი თეორია ხასიათდება ისეთი ინტეგრაციული ცნებებისადმი კეთილგანწყობით, როგორცაა, მაგალითად, ოლპორტის პროპრიუმი და ერიკსონის ეგო-იდენტურობა. ეს ცნებები მოწოდებულია იმის ასახსნელად, თუ როგორ პოულობენ ან აგებენ თავად პიროვნებები საკუთარ მთლიანობას; როგორ ხდება, რომ კონკრეტული ცხოვრებები გარკვეული ხარისხის ერთიანობით, მიზანმიმართულობითა და ინტეგრაციულობით ხასიათდებიან. შტერნი (1924) ამტკიცებდა, რომ პიროვნება *მრავალფორმიანი დინამიკური არსება*. მარეის (2008) მიაჩნდა, რომ მრავალ ცხოვრებას ახასიათებს *ერთიანობის თემა*. შედარებით მოგვიანებით, დეკიმ და რიანმა (1991) აღწერეს ავტონომიის, კომპეტენტურობისა და დაკავშირებულობის ორგანიზებული მოთხოვნილებები, რომელთაგან თითოეული, მე-ს აუთენტური მთლიანობის გამოხატვისას, ინტეგრაციულ ფუნქციას

ასრულებს. ჰოლიზმსა და ინტეგრაციაში ამ კონცეპტუალურმა შენატანმა ინდივიდუალური ცხოვრების შესწავლას ანუ *შემთხვევის შესწავლას* გაუღო მეთოდოლოგიური კარი (Lindzey, G., & Runyan, W. M., 2007).

კორელაციური და ექსპერიმენტული კვლევა პიროვნების ფსიქოლოგიაში *ნომოთეტურ* ტრადიციას ქმნიან ანუ ტრადიციას, რომელიც ისეთი თვისებების შესწავლითაა დაკავებული, რომლებიც, ზოგადად, პიროვნებებს ან პიროვნებათა ზოგიერთ სპეციფიკურ ჯგუფებს ახასიათებთ. ამის საპირისპიროდ, შემთხვევის შესწავლა კვლევა-ძიების *იდეოგრაფიულ* ტრადიციას განეკუთვნება ანუ ტრადიციას, რომელიც კონკრეტული პიროვნებების შესწავლითაა დაინტერესებული. ზოგი ავტორი ამტკიცებს (Schultz, W. T., 2005; Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007), რომ მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევის ინტენსიური შესწავლით შესაძლებელია პიროვნების ჰოლისტური და ინტეგრაციული ბუნების სრულად დანახვა და დაფასება.

სწორედ ამ სამ ძირითად მიდგომას —კორელაციურ კვლევას, ექსპერიმენტსა და შემთხვევის შესწავლას —განვიხილავთ მოგვიანებით.

### პიროვნების თეორია და კვლევა

როგორც პირველ ცხრილშია (ცხრილი 1) წარმოდგენილი, პიროვნების ფსიქოლოგები ქმნიან თეორიებს და ატარებენ კვლევებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ინდივიდუალური განსხვავებების, ადამიანის მოტივაციისა და მთლიანი პიროვნების შესწავლას. პიროვნების ფსიქოლოგები შეისწავლიან პიროვნების ფსიქოლოგიური წყობის იმ ფართო და სოციალური შედეგის მქონე მახასიათებლებს, რომლებითაც აიხსნება მისი ინდივიდუალობა (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

გარდა ამისა, ვინაიდან ადამიანები მიზნით მართული არსებები არიან, შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს მოტივაციის საკითხები. შესაბამისად, პიროვნების ფსიქოლოგების ყურადღების ველში ხვდება *მთლიანი პიროვნებების აგენტური (agential, მიზანზე მიმართული) ინდივიდუალობა*. ისინი ცდილობენ, ინდივიდუალური პიროვნებები განიხილონ, როგორც ინტეგრირებული და ინტენციური აგენტები (ანუ მოქმედების სუბიექტები), რომლებიც რთულ/კომპლექსურ სოციალურ სამყაროში ცხოვრობენ (Caprara, G. V., & Cervone, D., 2003). აქედან გამომდინარე, პიროვნების თეორიები და კვლევა ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის სოციალურად ყველაზე გავლენიანი შედეგების შესახებ ყველაზე მეტად დამაინტრიგებელ კითხვებზე ეძებენ პასუხებს, როგორცაა: რა განასხვავებს ყოველ ცალკეულ პიროვნებას დანარჩენებისგან? რატომ აკეთებს ეს კონკრეტული პიროვნება იმას, რასაც აკეთებს (ან თავს იკავებს იმის გაკეთებისგან, რისი გაკეთებაც არ სურს)? რატომ ცხოვრობს ეს პიროვნება ისე, როგორც ცხოვრობს? ფსიქოლოგიური ტერმინებით რომ ვთქვათ, რაზეა საუბარი, როდესაც *ამ* კონკრეტულ პიროვნებაზე და, საერთოდ, *ნებისმიერ* პიროვნებაზე ვსაუბრობთ? (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007)

ცხრილი 1. პიროვნების თეორიებისა და კვლევის სამი ძირითადი აქცენტი.

აქცენტი	კითხვები	ტრადიციული ცნებები	პრიორიტეტული მეთოდი
ინდივიდუალური განსხვავებები	<ul style="list-style-type: none"> <li>• რითი განხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან?</li> <li>• რა <i>სტრუქტურა</i> აქვს ადამიანის ინდივიდუალობას?</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტემპერამენტი</li> <li>• ნიშნები</li> <li>• ტიპები</li> </ul>	კორელაციური კვლევა
მოტივაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• რატომ აკეთებენ პიროვნებები იმას, რასაც აკეთებენ?</li> <li>• რა სურთ პიროვნებებს?</li> <li>• რა აძლევს ენერჯიას და მიმართულებას პიროვნების ქცევას?</li> <li>• როგორია ადამიანის მოქმედების/აქტივობის <i>დინამიკა</i>?</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინსტინქტები</li> <li>• მოთხოვნილებები</li> <li>• ღირებულებები</li> <li>• მიზნები</li> <li>• კონფლიქტები</li> <li>• კომპლექსები</li> <li>• დაცვის მექანიზმები</li> </ul>	ლაბორატორიული ექსპერიმენტები

		<ul style="list-style-type: none"> <li>• თვითაქტუალიზაციის ტენდენციები</li> </ul>	
ჰოლიზმი	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ გვესმის ერთიანი, მთლიანი პიროვნება?</li> <li>• რას ნიშნავს ანუ რა საზრისი აქვს პიროვნების ცხოვრებას?</li> <li>• რა აერთიანებს ცხოვრებას ანუ რა ქმნის მის ინტეგრირებულობას?</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეგო</li> <li>• მე (self)</li> <li>• პროპრიუმი</li> <li>• ცხოვრების სტილი</li> <li>• ერთიანობის თემა</li> <li>• იდენტურობა</li> <li>• ცხოვრების სტრუქტურა</li> </ul>	შემთხვევის შესწავლა

წყარო: Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007

XX საუკუნის დასაწყისში პიროვნების ფსიქოლოგებმა ბევრი დიდი თეორია შექმნეს მთლიანი პიროვნების აგენტური<sup>3</sup> ინდივიდუალობის აღსაწერად და ასახსნელად (Холл К. С., Линдсей Г., 1997). ფროიდი, იუნგი, ადლერი, ოლპორტი, მარეი, ანგიალი, გოლდშტეინი, მერფი, ჰორნი, ფრომი, ერიკსონი, სალივანი, როჯერსი, მასლოუ, კელი და კიდევ რამდენიმე სხვა ავტორი პიროვნების შესახებ თავიანთ ზოგად თეორიებს შემთხვევის შესწავლაზე, კლინიკურ გამოცდილებაზე, ფილოსოფიასა და ლიტერატურაზე, საღ აზრსა და საკუთარ პირად ისტორიებზე დაყრდნობით აგებდნენ. მილერი და დოლარდი, როტერი, კეტელი და აიზენკი უფრო მეტად განიცდიდნენ ლაბორატორიული მეცნიერების გავლენას და ამიტომ მათი შთაგონება, უპირატესად, კვლევის არსებულ შედეგებში და/ან გასული საუკუნის შუა წლებში არსებული ბიჰევიორიზმის ზოგად პრინციპებში იღებდა სათავეს (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

II მსოფლიო ომის შემდეგ პიროვნების მკვლევრები მნიშვნელოვან შეზღუდვებს წააწყდნენ რამდენიმე წლით ადრე შექმნილ დიდ თეორიებში. პირველ რიგში, ფროიდის, იუნგისა და მთელი რიგი სხვა თეორეტიკოსების მიერ წამოყენებული მრავალი მოსაზრება ძალზე ზოგადი ან ბუნდოვანი იყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი ემპირიულად შემოწმება. როგორ უნდა გაეზომათ ფროიდისეული ოიდიპოსის კომპლექსი? როგორ უნდა შეეფასებინათ იუნგის დებულება, რომ ყველა პიროვნებას საერთო, საზიარო კოლექტიური არაცნობიერი აქვს? სხვა შემთხვევებში, მკვლევრებმა შეძლეს ამ თეორიებიდან წარმოებული ზოგიერთი კონკრეტული ჰიპოთეზის შემოწმება და მათი დამადასტურებელი მონაცემები ძალზე მწირი აღმოჩნდა (Mendelsohn, 1993; Robins, Gosling, & Craik, 1999, წყაროში Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, დიდმა თეორიებმა დასაბამი მისცეს და სიცოცხლისუნარიანი გახადეს მრავალი გამორჩეული კვლევითი პროგრამა, რომლებიც პიროვნების კონკრეტულ მკვლევრებს, მათ სტუდენტებსა და ლაბორატორიებს ეკუთვნით. მაგალითად, მარეის (2008) პერსონოლოგიურმა თეორიამ სათავე დაუდო მაკლელანდისა (1961) და უინტერის (1973) უფრო მეტად ფოკუსირებულ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავდა მიღწევისა და ძალაუფლების მოთხოვნილებების შესწავლას, რამაც გარდაუვლად მიგვიყვანა პიროვნული მისწრაფებების, მიზნებისა და გეგმების კვლევამდე (მაგალითისთვის იხ. Emmons, 1986; Little, 1999).

პიროვნების ფსიქოლოგების მიერ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში შექმნილი თეორიები უფრო მეტად ფოკუსირდებიან ადამიანის ინდივიდუალობის ვიწრო სფეროებზე და მეტად იყენებენ სისტემატურ ემპირიულ დაკვირვებას, ვიდრე — კლასიკური დიდი თეორიების უმრავლესობა. ასეთ თეორიებს შორის ყველაზე გავლენიანია მიჯაჭვულობის თეორია (Bowlby, J., 1969), სოციალნალიტური თეორია (Hogan, R. 1982, წყაროში Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007), თვითდეტერმინაციის თეორია (Deci, E., & Ryan, R. M., 1991), თვითრეგულაციის სხვადასხვა თეორია (Carver, S. C., Scheier, M. F. , 1989), კოგნიტურ-აფექტური სისტემების თეორია (Mischel & Shoda, 1995), ლოვინგერის ეგოს განვითარების თეორია (1976),

<sup>3</sup> Agential, agency – სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ გამოყენებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მოქმედ სუბიექტს, რომელიც თავად არის საკუთარი ქცევის განმსაზღვრელი და აქტიურად მონაწილეობს გარემოსთან ინტერაქციაში.

ბლოკის ეგოს კონტროლისა და მოქნილობის თეორია (1981), ტომკინსის სკრიპტის თეორია (1979), იდენტობის ცხოვრებისეული ისტორიის მოდელი (McAdams, 2005) და (სახელისდა მიუხედავად) დიდი ხუთეულის ნიშნების ტაქსონომია (McCrae R. R., Costa, P. T., 2003). მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს თეორია პიროვნების ინდივიდუალობის საკმაოდ ფართო ხედვას გვთავაზობს, ისინი არ აკეთებენ გადაუმოწმებელ განცხადებებს, რაც ასე სჩვეოდათ გასული საუკუნის პირველი ნახევრის დიდ თეორიებს (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

## კონსტრუქტების ფორმულირება: ანალიზის დონეები

როგორც უკვე ვთქვით, პიროვნების თეორიების ძირითადი ფუნქცია ინდივიდუალური ცვალებადობის გაზომვადი მახასიათებლების შეთავაზებაა. ამ მახასიათებლებს ხშირად კონსტრუქტებს უწოდებენ (Wiggins, 1973, წყაროში Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007), ხოლო მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს ამ მახასიათებლების სათანადო საზომების შექმნასა და მათი მნიშვნელობის (აზრის) შესწავლას, *კონსტრუქტის ვალიდაცია* ჰქვია (Cronbach & Meehl, 1955; Loewinger, 1957; Ozer, 1999, წყაროში Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). კონსტრუქტები მოსახერხებელი ფიქციაა, რომლებიც იმის აღწერასა და ახსნაში გვეხმარება, რასაც უშუალოდ, პირდაპირ ვერ შევაფასებთ. არავის არასოდეს უნახავს, გაუგონია, უყნოსია, შეხებია ან დაუგემოვნებია ექსტრავერსიის ან მიღწევის მოთხოვნილების კონსტრუქტი. ამის ნაცვლად, ქცევითმეცნიერთა გავლენიანმა საზოგადოებამ მიადწია შეთანხმებას, რომ ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის შესახებ ისეთი კონსტრუქტების ტერმინებით ისაუბრონ, როგორცაა ექსტრავერსია და მიღწევის მოთხოვნილება. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტები სოციალური შედეგების მქონე ფიქციებია, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი კონსტრუქტი უკიდურესად სასარგებლოა რეალობის აღწერისა და ახსნისთვის (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

კვლევა აჩვენებს, რომ პიროვნების მრავალი კონსტრუქტი მეტ-ნაკლები ხარისხით მუშაობს და ზოგიერთი უკეთ მუშაობს, ვიდრე სხვები. კონსტრუქტები ასახავენ იმას, რასაც კრონბახი და მიჰლი (1955, წყაროში Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007) კვლევის შედეგების *ნომოლოგიკურ ქსელს* უწოდებდნენ. მამასადამე, თავად კონსტრუქტის სარგებლიანობა და ვალიდობა ნომოლოგიკური ქსელის სიმდიდრისა და დიაპაზონის ფუნქციაა. ის ეუბნება სამეცნიერო საზოგადოებას, თუ „რა ვიცით ამჟამად“ კონსტრუქტის შესახებ. ფაქტობრივად, კონსტრუქტის ყოველ შემდგომ ცალკეულ კვლევას თავისი მცირე წვლილი შეაქვს იმ ცოდნაში, რომელიც უკვე არსებობს მოცემული კონსტრუქტის შესახებ და ნომოლოგიკური ქსელის შემდგომ გაფართოვებას გვთავაზობს. ამიტომ ნომოლოგიკური ქსელი მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

დღესდღეობით არ არსებობს ფართო თეორია ან კონცეპტუალური სისტემა, რომელიც ელეგანტურად მოიცავდა პიროვნების თეორეტიკოსებისა და მკვლევრების მიერ ფორმულირებულ პიროვნების ყველა სასარგებლო და ვალიდურ კონსტრუქტს, თუმცა, კონსტრუქტთა უმრავლესობა შეიძლება სამ ფართო კონცეპტუალურ სფეროდ ანუ დონედ გაერთიანდეს (McAdams, D. P., 1996; McAdams, D. P., 2006) (ცხრილი 2).

როგორც წარმოდგენილია მეორე ცხრილში, I დონე მოიცავს *დისპოზიციურ ნიშნებს*, რომლებიც პოპულარული დიდი ხუთეულის ჩარჩოს ფარგლებშია ორგანიზებული. დისპოზიციური ნიშნები ხსნიან ქცევის ტენდენციებში არსებულ ფართო/ზოგად ინდივიდუალურ განსხვავებებს სხვადასხვა სიტუაციასა და დროს. ნიშნები, როგორც წესი, თვითანგარიშის კითხვარებით ფასდება და წარმოდგენას გვიქმნის ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის კონტურის, მონახაზის შესახებ.

II დონე *დამახასიათებელი ადაპტაციების* ფართო სპექტრს უყრის ერთად თავს, როგორცაა მოტივები, მიზნები, ინტერესები, ღირებულებები, სტრატეგიები და განვითარების საკითხები. დროის, ადგილის ან სოციალური როლის კონკრეტულ კონტექსტში მოცემული დამახასიათებელი ადაპტაციები შეეხება იმას, თუ რა სურთ ადამიანებს ცხოვრებაში და რას ერიდებიან, ანუ რა არ სურთ განვითარების კონკრეტულ



პერიოდებში, კონკრეტულ სიტუაციებსა და კონტექსტებში და კონკრეტულ სოციალურ როლებთან მიმართებით. დამახასიათებელი ადაპტაციები მრავალ დეტალს მატებენ ფსიქოლოგიურ ინდივიდუალობას.

**ცხრილი 2. პიროვნული კონსტრუქტებისა და ანალიზის სამი დონე.**

სფერო ანუ დონე	განსაზღვრება	მაგალითები
I. დისპოზიციური ნიშნები	ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის ფართო განზომილებები, რომლებიც, სავარაუდოდ, აღწერენ ქცევაში, აზროვნებასა და გრძნობებში არსებულ შინაგან, სტაბილურ და გლობალურ ინდივიდუალურ განსხვავებებს.	<ul style="list-style-type: none"> <li>• დიდი ხუთეული</li> <li>• კეტელის (1943) 16 პიროვნული ნიშანი</li> <li>• ეგო-მოქნილობა და ეგო-კონტროლი</li> </ul>
II. დამახასიათებელი ადაპტაციები	ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის უფრო სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც აღწერენ პიროვნულ ადაპტაციებს მოტივაციური, სოციალურ-კოგნიტური და განვითარების ამოცანებისა და გამოწვევებისადმი. ისინი, ჩვეულებრივ, კონკრეტული დროის, ადვილის, სიტუაციის ან სოციალური როლის კონტექსტში არსებობენ.	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოტივები, მიზნები და გეგმები</li> <li>• ღირებულებები და რწმენები</li> <li>• კოგნიტური სქემები და სტილები</li> <li>• ეგო და ფსიქოსოციალური ეტაპები</li> <li>• ურთიერთობის ფორმები და სტილები</li> <li>• იდენტობის სტატუსები</li> <li>• დამღევის სტრატეგიები, დაცვის მექანიზმები</li> </ul>
III. ცხოვრებისეული ისტორიები	მე-ს (self) შესახებ ინტერნალიზირებული (გაშინაგნებული) და განვითარებადი ნარატივები, რომლებსაც ადამიანები აგებენ წარსულის, აწმყოსა და მომავლის ინტეგრირების მიზნით და თავიანთ ცხოვრებას ერთიანობის, მიზნისა და საზრისის გარკვეულ შეგრძნებას სძენენ. ცხოვრებისეული ისტორიები შეეხება პიროვნებაში იდენტობისა და ინტეგრაციის პრობლემებს ანუ პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებელია თანამედროვე მოზრდილობის პერიოდისთვის.	<ul style="list-style-type: none"> <li>• თვითგანმსაზღვრელი მოგონებები</li> <li>• ნუკლეარული სკრიპტები</li> <li>• განმეორებადი ცხოვრებისეული ნარატივის თემები: აგენტობა და ურთიერთობა</li> <li>• „გამოსასყიდი მე“<sup>4</sup></li> </ul>

წყარო: Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007.

III დონე მოიცავს ინდივიდის *ინტეგრაციულ ცხოვრებისეულ ისტორიას*, რომელიც პიროვნების ინტერნალიზირებული და განვითარების (ჩამოყალიბების) პროცესში მყოფი თვითნარატივ(ებ)ისგან შედგება და წარსულის რეკონსტრუქციასა და მომავლის იმგვარად წარმოსახვას ისახავს მიზნად, რომ ცხოვრებას საზრისი, ერთიანობა და მიზანი შესძინოს. ცხოვრებისეული ისტორიები უშუალოდ საუბრობენ იმაზე, თუ რას ნიშნავს მოცემულ დროსა და საზოგადოებაში ლოკალიზებული მთლიანი/ერთიანი ცხოვრება და როგორ სჯერა პიროვნებას, რომ ეს მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

მეორე ცხრილში წარმოდგენილი კონსტრუქტების თითოეულმა ჯგუფმა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში პიროვნების ფსიქოლოგიაში განხორციელებულ მრავალ აქტიურ და სკრუპულოზულად დაგეგმილ კვლევით პროექტს დაუდო სათავე.

<sup>4</sup> redemptive self - თარგმანი ძალიან პირობითია, რადგან არ არსებობს შეთანხმებული ქართული ვერსია.

## როგორ იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები

ამ ქვეთავში პიროვნების კვლევისადმი მიდგომებს მიმოვიხილავთ. ჯერ ემპირიული კვლევის არსსა და მის უპირატესობებზე ვისაუბრებთ, შემდეგ კი მოკლედ განვიხილავთ ემპირიული კვლევის სამ ძირითად ეტაპს.

### ემპირიული მიდგომა

იდეების *ემპირიული შემოწმება* მეცნიერული მიდგომის ქვაკუთხედიანია. ეს ნიშნავს, რომ ზედმიწევნით გაწერილი მეთოდებით, იქნება ეს დაკვირვება, ექსპერიმენტი თუ რაიმე სხვა, ვადგენთ ცვლადების ან მათი ურთიერთმიმართების შესახებ ზუსტ ფაქტებს. ეს მეთოდები მუდმივად განვითარება-დახვეწის პროცესში უნდა იყოს; ასევე, უნდა იყოს სანდო და სხვების მიერ განმეორებადი (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთი უნიფიცირებული მეთოდი, რომელიც იდეალურად მოერგებოდა კვლევის ყველა მიზანსა და სიტუაციას. ამ თვალსაზრისით, ემპირიზმი, სხვა მიდგომებთან შედარებით, ყველაზე გაწონასწორებულია: მონაცემების ზედმიწევნითი და სკრუპულოზური შეგროვებისა და ანალიზის გამო ის უკეთ არის მორგებული შესასწავლი საკითხების წარმატებით გადაჭრაზე, ვიდრე დისკუსიები, თეორიული სპეკულაციები თუ სადი აზრი (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

ემპირიულ მიდგომას ორი უპირატესობა აქვს:

პირველი და უდიდესი უპირატესობაა შეცდომებისადმი შეუწყნარებლობა. ფსიქოლოგები არამარტო ჯანსაღი მეცნიერული სკეპტიციზმით ხასიათდებიან, არამედ ზედმიწევნითაც ამოწმებენ საკუთარ და კოლეგების შედეგებს მანამ, ვიდრე მათ სანდოდ ჩათვლიან. როდესაც ორ კვლევაში ერთმანეთთან არათავსებადი შედეგები მიიღება, პერსონოლოგები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რატომ მოხდა ეს და ამისათვის აუცილებლად ატარებენ დამატებით კვლევებს. რომელიმე კვლევის ობიექტური მონაცემები სანდოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუ მათი არსებობა სხვა კვლევებშიც დადასტურდება. სწორედ ეს განასხვავებს „მეცნიერებას ადამიანების შესახებ“ შემთხვევითი დაკვირვებებისგან, ან ამა თუ იმ მოსაზრების უბრალოდ გამოთქმისგან (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

ემპირიული კვლევის მეორე ღირსება იმ წარმოდგენათა სიცხადე და გარკვეულობაა, თუ როგორ უნდა აღვწეროთ ადამიანები და მათი ქცევითი რეაქციები. სადი აზრის დონეზე არსებული წარმოდგენები ადამიანის ქცევის შესახებ, როგორც წესი, ბუნდოვანი და გაურკვეველია. ამ დონეზე გამოთქმული მოსაზრებებისა და შეფასებების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ერთი და იგივე მოვლენის ინტერპრეტაცია სხვადასხვა ადამიანის შემთხვევაში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ამ დროს შეხედულებების ფორმულირებისას თითქმის უყურადღებოდ რჩება მტკიცებულებათა მოძიებისა და მათ შორის წინააღმდეგობების პოვნის აუცილებლობა. ამის საპირისპიროდ, ემპირიული მიდგომა მკაცრი მეცნიერული ენის გამოყენებას მოითხოვს, როდესაც საქმე ჩვენთვის საინტერესო მოვლენებისა და ფენომენების აღწერას შეეხება. პიროვნების მკვლევრები, სხვა მეცნიერების მსგავსად, ამ მიზანს ყოველი შესასწავლი ცვლადისთვის ან თეორიული კონსტრუქციისთვის ე. წ. *სამუშაო განსაზღვრებების* ანუ ოპერაციონალიზაციების ფორმულირებით აღწევენ. მაგალითად, ფსიქოლოგმა შეიძლება შეიმუშაოს „დეპრესიის“ სამუშაო განსაზღვრება „ბეკის დეპრესიულობის კითხვარის“ (Beck, 1982, წყაროში Хьელლ Л., Зиглер Д., 1997) ადმინისტრირების შედეგად მიღებული ქულების სახით.

### ემპირიული კვლევის ძირითადი ეტაპები

როგორც უკვე ვთქვით, პიროვნების ფსიქოლოგები პიროვნებების აღწერითა და გაგებით არიან დაინტერესებულნი და ისინი ამ მიზნებს *მეცნიერული* მეთოდების გამოყენებით აღწევენ. რას ნიშნავს პიროვნების მეცნიერულად შესწავლა? მეცნიერები ცდილობენ, რომ ყოველდღიური ცხოვრების დაკვირვებები და გამოცდილებები უფრო გასაგები გახდეს. ისინი გამოთქამენ მოსაზრებებს რეალობის

შესახებ და შემდეგ განმეორებადი და მკაფიოდ გაწერილი პროცედურების გამოყენებით აფასებენ, თუ რამდენად ღირებულია ეს დებულებები. საბოლოო მიზანია არსებული რეალობის მოწესრიგებული და პროგნოზირებადი მოდელის შექმნა და მისი ფუნქციონირების გზების აღწერა-ახსნა. ამ საქმიანობას მრავალი მოტივი შეიძლება ჰქონდეს. ეს შეიძლება იყოს ჩვენი გარემოს გაკონტროლების სურვილი, რათა თავი ავარიდოთ ბუნებისგან (მაგალითად, ავადმყოფობებს, ბუნებრივ უბედურებებს) ან სხვა ადამიანებისგან (მაგალითად, ომიანობის დროს მტრისგან, ან ჩვენთვის არასასურველი ადამიანებისგან) მომდინარე საფრთხეებს. ასევე, ეს შეიძლება იყოს ჩვენი საკუთარი ცხოვრებისა და შემდგომი თაობების ცხოვრების გაუმჯობესება, რათა მეტად გვესმოდეს სამყაროსი და გაგვიუმჯობესდეს (მაგალითად, ტელეფონების, თვითმფრინავებისა და კომპიუტერების შექმნის მეშვეობით) მასში ცხოვრება. თუმცა, ყველაზე ბაზისური მოტივი გაგების სურვილი ანუ ცნობისმოყვარეობაა. ამიტომ მეცნიერება დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე, იცოდეს მხოლოდ იმიტომ, რომ იცოდეს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ფსიქოლოგი მრავალი მიზეზის გამო შეიძლება სწავლობდეს პიროვნებას — დასვას დიაგნოზი კლინიკაში, დაეხმაროს ადამიანს სამსახურის შერჩევაში, დაგეგმოს სათანადო მკურნალობის კურსი — მისი ფუნდამენტური მიზანია პიროვნების გაგება უბრალოდ გაგებისთვის (McAdams, D. P., 2006).

მეცნიერული კვლევა, ზოგადად, სამი თანმიმდევრული ეტაპისგან შედგება: არასისტემატური დაკვირვება; თეორიების აგება და ვარაუდების, მოსაზრებების შეფასება. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

### ეტაპი 1: არასისტემატური დაკვირვება

ნებისმიერი მოვლენისა თუ ფენომენის მეცნიერული გაგებისკენ პირველი ნაბიჯია შეხედვა, მოსმენა, შეგრძნება, დაყნოსვა და/ან დაგემოვნება იმისა, რის გაგებასაც ვცდილობთ (McAdams, D. P., 2006). სხვა სიტყვებით, ნებისმიერი კვლევა, იქნება ეს ავადმყოფობის ისტორიის შესწავლა, კორელაციური კავშირების დადგენა თუ ლაბორატორიული ექსპერიმენტი, დაკვირვებას ითვალისწინებს. ზოგ შემთხვევაში კვლევის იდეის გაჩენა არასისტემატიზირებული დაკვირვების საფუძველზე იწყება. მაგალითად, შეიძლება სრულიად შემთხვევით მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ორი თანაკლასელი სხვადასხვა მიზეზით უწყრება მასწავლებელს გამოცდაზე მიღებული დაბალი ქულების გამო. შესაძლოა, შევამჩნიოთ, რომ მათ დაბალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ მარცხზე დათრგუნული მდგომარეობით რეაგირებენ. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მათი არასაკმარისად მაღალი თვითშეფასება საკუთარ წარუმატებლობაში სხვების დადანიშნულების ტენდენციას უკავშირდება, ან სულაც მისი მიზეზია; ან რომ წარუმატებლობას თან სდევს დათრგუნულობა. პირადი დაკვირვებები ხშირად გზას გვიკვალავენ ადამიანთა ქცევის უფრო ზუსტად შესწავლისკენ (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). ასეთი პირველადი დაკვირვებები ხშირად შედარებით არასისტემატიზირებულია: ჩვენ თითქმის ყოველგვარი წინასწარი მოლოდინის გარეშე ვუყურებთ (ან ვუსმენთ) მოვლენას; მასში პატერნებსა და კანონზომიერებებს ვეძებთ, რითიც პირველადი კლასიფიკაციის ან გარკვეული წესრიგის შეტანას შევძლებთ დასაკვირვებელ ფენომენში (McAdams, D. P., 2006).

აღსანიშნავია, რომ არასისტემატიზირებული დაკვირვება არ არის პასიური ან შემთხვევითი აქტივობა. პირიქით, ეს არის აქტიური მცდელობა, შევამჩნიოთ და აღვწეროთ სტრუქტურა, პატერნი, დიზაინი ან იერარქია ფენომენისა, რომელიც თავდაპირველად, ერთი შეხედვით, არაორგანიზებული და არასტრუქტურირებულია (McAdams, D. P., 2006).

ქცევის შესახებ ცოდნის მიღების მეორე გზაა მის ბუნებრივ გამოვლინებებზე დაკვირვება და მათი ფიქსირება რეალურ ცხოვრებისეულ პირობებში, ოღონდ უფრო მეთოდური და მკაცრი სახით, ვიდრე ეს არასისტემატიზირებული დაკვირვების დროს გვაქვს. ამას „ბუნებრივი დაკვირვება“ ეწოდება. მეგობრული ურთიერთობებისა და თამაშის მოდელები ბავშვებთან, მოზარდთა ანტისოციალური ქცევა, წარმატებული მენეჯერების მართვის სტილი ბიზნესში და, აგრეთვე, მრავალი კლინიკური მოვლენა სწორედ ბუნებრივი დაკვირვების გზით იქნა შესწავლილი. ეს უკანასკნელი არ გვამლევს ქცევის ახსნის საშუალებას, მაგრამ

მისი მეშვეობით შესაძლებელია მდიდარი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ადამიანები თავიანთ ჩვეულ გარემოში (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ როგორი მარტივი და მიმზიდველიც არ უნდა ჩანდეს ბუნებრივი დაკვირვება, მას თავისი შეზღუდვებიც აქვს. ძირითადი პრობლემა ისაა, რომ დამკვირვებელი ხშირად ხდება გაუთვალისწინებელი მოვლენების უბრალო მოწმე, რომელთა კონტროლი მას ნაკლებად ან საერთოდ არ შეუძლია. ამას ემატება თავად დამკვირვებლის პრობლემები: მისი წინასწარი განწყობები და გარკვეული მოლოდინები, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა იქონიოს იმაზე, თუ მოვლენათა რომელ ასპექტებს მიაქცევს ის განსაკუთრებულ ყურადღებას და რომელ მომენტებს დაიმახსოვრებს უფრო მკაფიოდ. ამ მეთოდს იმის გამოც აკრიტიკებენ, რომ დაკვირვების შედეგების განზოგადება მცირე რაოდენობის დაკვირვებული ობიექტების (იქნება ეს ადამიანები თუ სიტუაციები) საფუძველზე ხდება. და ბოლოს, დამკვირვებელი, შესაძლოა, უნებურად ჩაერთოს მიმდინარე მოვლენებში, რომელთა დაკვირვებასა და რეგისტრაციასაც ახდენს. დაფუძვით, დამკვირვებელი თვალ-ყურს ადევნებს ოჯახში მიმდინარე დისკუსიას იმ მიზნით, რომ შეისწავლოს კონფლიქტის გადაწყვეტის სხვადასხვა სტილი. ოჯახის წევრთა ნდობის რა ხარისხით უნდა სარგებლობდეს იგი, რომ მისი იქ ყოფნა არ იქცეს დამატებით ფაქტორად, რომელიც გავლენას მოახდენს კონფლიქტის გადაწყვეტის გზის არჩევანზე? აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, ბუნებრივი დაკვირვების უპირატესობები აშკარაა: ადამიანთა ქცევის ნიმუშები ყოველდღიურ სიტუაციებში, მეგობრებთან და ოჯახში გვეძლევა და არა — ლაბორატორიის ხელოვნურ გარემოში ან ინტერვიუს დროს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

რადგან ბუნებრივი დაკვირვება არ იძლევა ცვლადების სისტემური კონტროლის საშუალებას დაკვირვების სიტუაციაში, მკვლევარი იძულებულია, დაელოდოს, როდის შეიქმნება სათანადო პირობები. ამ პრობლემის დასაძლევად ზოგიერთი მკვლევარი კონტროლირებად საველე დაკვირვებას აწარმოებს. ამგვარი კვლევითი მიდგომა ბუნებრივი დაკვირვებისა და შესაბამისი ექსპერიმენტული კვლევის თავისებურებებს აერთიანებს. ამ ტიპის მიდგომის საფუძველზე რიგანმა და მისმა კოლეგებმა (1972) ჩაატარეს საველე ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო დანაშაულის გრძნობის გავლენის შესწავლა სხვებისთვის დახმარების აღმოჩენის ხარისხზე. ექსპერიმენტატორის ასისტენტი სათითაოდ მიდიოდა მაღაზიაში საყიდლებზე მისულ ქალებთან და სთხოვდა, რომ მისთვის სადიპლომო ნაშრომისთვის გადაეღოთ სურათი. ამისათვის ის მათ ძვირადღირებულ ფოტოაპარატს აწვდიდა, რომელიც ისე იყო დარეგულირებული, რომ გამოყენებისას გარკვეულიყო, თითქოს რაღაც დაუზიანდა. ქალების ნახევარს კვლევის ასისტენტი ეუბნებოდა, რომ აპარატი მის მიერ არასწორად გამოყენების გამო დაზიანდა. ამას, მკვლევართა ვარაუდით, ქალებში დანაშაულის გრძნობა უნდა აღეძრა. მეორე ნახევარს კი ეუბნებოდნენ, რომ აპარატი უკვე მოძველებული იყო და ამიტომაც გაფუჭდა და ამაში მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვოდათ. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ თითოეული ამ ქალბატონის გვერდით ჩაივლიდა კვლევის მეორე ასისტენტი, რომელსაც, ვითომდა შემთხვევით, ჩანთიდან პროდუქტები უცვივდებოდა. ფარული დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ იმ ქალების 55%, რომლებსაც დანაშაულის გრძნობა გაუჩნდათ დაზიანებული აპარატის გამო, ჩერდებოდნენ და ეხმარებოდნენ უცნობ გამვლელს პროდუქტების აკრეფაში, ხოლო მათგან, ვისაც ეს გრძნობა არ გასჩენია, მხოლოდ 15% ცდილობდა დახმარების გაწევას. ამგვარ კვლევას, ცხადია, ის უპირატესობა აქვს, რომ უზრუნველყოფს დამატებით დარწმუნებულობას იმაში, რომ შედეგების განვრცობა სხვა სიტუაციებზეც შესაძლებელია (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

საინტერესოა, რომ კვლევის წარმოების პირველი ეტაპი იმთავითვე სუბიექტური წამოწყებაა. ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ მეცნიერება რაციონალური, ობიექტური და მიუკერძოებელი საქმიანობაა, თუმცა, ეს განსაზღვრება შორსაა მისგან, როდესაც კვლევის მხოლოდ პირველ ეტაპზე ვიმყოფებით. ამ ეტაპზე მეცნიერი *აღმოჩენის კონტექსტში* ოპერირებს (Reichenbach, 1938, წყაროში McAdams, D. P., 2006; გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009); ცდილობს, იპოვოს რეალობის ხედვის ახლებური კუთხე, უკიდურესად სუბიექტურად ჩამოაყალიბოს ახალი კატეგორიები, ახალი ტერმინოლოგია და ახალი განსაზღვრებები, რათა ზუსტად აღწეროს ის, რასაც დააკვირდა. როგორც კი მეცნიერი დაკვირვებების შედეგების კატეგორიებად გაერთიანებას იწყებს, ის *კონკრეტული* და *კერძო* მოვლენებიდან ამ მოვლენების უფრო

აბსტრაქტული და ზოგადი რეპრეზენტაციებისკენ გადანაცვლდება. ამ პროცესს ფილოსოფოსები *ინდუქციას* უწოდებენ. ინდუქციის საბოლოო პროდუქტი (მეორე ეტაპზე) აბსტრაქტული და ზოგადი თეორიის ფორმულირებაა, რომელიც მთლიანად პირველ ეტაპზე განხორციელებულ სუბიექტურ დაკვირვებებს ეფუძნება (Glaser & Strauss, 1967, წყაროში McAdams, D. P., 2006).

ფსიქოლოგიის ისტორიაში მრავალი მაგალითი არსებობს, როდესაც ასეთი სუბიექტური დაკვირვებები საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან აღმოჩენებს. ამის მაგალითად ფრანგი ფსიქოლოგის, ჟან პიაჟეს მაგალითიც კმარა, რომელმაც თავისი კოგნიტური განვითარების თეორია საკუთარ სამ შვილზე რამდენიმე წლიანი დაკვირვების შედეგად შექმნა. ფროიდის პიროვნების თეორიის მრავალი მნიშვნელოვანი იდეა სწორედ მისსავე უკიდურესად სუბიექტურ სიზმრებში, სპონტანურ ქცევებსა და ბიჰევიორალურ სიმპტომებში იღებს სათავეს (McAdams, D. P., 2006).

## ეტაპი 2: თეორიის აგება

მეცნიერული საქმიანობის მეორე ეტაპი თეორიის აგებას მოიცავს. მეცნიერები I ეტაპზე განხორციელებული დაკვირვების სხვადასხვა შედეგის ორგანიზებას ახდენენ მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული სისტემის სახით, რომელიც მათთვის საინტერესო ფენომენს ხსნის (McAdams, D. P., 2006). საინტერესოა, რომ თეორიის აგება ყოველთვის არ ხდება სრულიად ლოგიკური ანდა სისტემატური გზით. ზოგიერთი უკიდურესად კრეატიული მეცნიერი, როგორც ჩანს, ამკარად ირაციონალური და არაცნობიერი გზით მიდის თეორიულ ინსაიტებამდე. ამის მაგალითად ცნობილი გერმანელი ქიმიკოსი ფრიდრიხ კეკულეც კმარა, რომელმაც XIX საუკუნეში ორგანული მოლეკულების სტრუქტურების შესახებ ინსაიტები ჰიპნოგოგური ძილის დროს განიცადა (McAdams, D. P., 2006).

ცხადია, ეს მაგალითი არ ნიშნავს, რომ ყველა თეორია ასე უცნაურად იქმნება. ასევე, აღსანიშნავია, რომ თეორიის წარმოქმნის უცნაური თუ ჩვეული გზა არ განაპირობებს მის მართებულობასა და სიკარგეს. ეს დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პიროვნების ფსიქოლოგიაში, ვინაიდან მრავალი თეორია პიროვნების შესახებ სრულიად სხვადასხვაგვარად შეიქმნა და ზოგიერთის შექმნის ისტორია მეტად უცნაურია, ვიდრე სხვების. ასევე, არ არსებობს შეთანხმება, თუ როგორ უნდა გაიაროს მეცნიერმა თეორიის შექმნის ეტაპი, რომელია/როგორია საუკეთესო სცენარი (McAdams, D. P., 2006).

გაცილებით მეტი შეთანხმებაა მიღწეული იმის თაობაზე, თუ რა არის თეორია და რა ფუნქციებს ასრულებს ის. ჩვენ უკვე ვიცით, რომ თეორია ურთიერთდაკავშირებული დებულებების ერთიანობაა, რომელიც რეალობის ასახსნელადაა მოწოდებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ თეორია იძლევა ოთხ მეთოდს, საშუალებას, რომლის გამოყენებითაც მეცნიერებს მეტი ცოდნის, მეტი წვდომის მიღწევა შეუძლიათ (Millon, 1973, წყაროში McAdams, D. P., 2006). კერძოდ, თეორია იძლევა: (ა) აბსტრაქტულ *მოდელს* ანუ სურათს, რომელიც მისი სტრუქტურის შესახებ მარტივად გვიქმნის წარმოდგენას; (ბ) კონცეპტუალურ *ტერმინოლოგიას* ანუ სახელწოდებების ერთობლიობას თეორიაში არსებული ძირითადი იდეებისა და მონაცემებისთვის; (გ) *შესაბამისი წესების* ერთობლიობას, რომლებიც სხვადასხვა კომპონენტს შორის მოსალოდნელ სპეციფიკურ მიმართებებს აღწერს; (დ) *ჰიპოთეზებს* ანუ შემოწმებად ვარაუდებს, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობენ შესაბამისი წესებიდან. სხვა სიტყვებით, თეორია იძლევა რეალობის კონკრეტულ სურათს; კარგად განსაზღვრულ ტერმინებს, რომლებიც ამ სურათის ძირითად კომპონენტებს აღწერენ; დაკონკრეტებულ ურთიერთმიმართებებს ამ კომპონენტებს შორის და კონკრეტულ/სპეციფიკურ პროგნოზებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადამოწმდეს ეს ურთიერთმიმართებები ემპირიული კვლევით (McAdams, D. P., 2006).

## ეტაპი 3: ვარაუდების შეფასება

სამყაროს შესწავლის სხვა ტიპის საქმიანობებისგან მეცნიერება იმით განსხვავდება, რომ ის ემპირიულად ცდილობს ვარაუდებისა და/ან მოსაზრებების შეფასებას. II ეტაპზე შექმნილი თეორიები, რომლებიც I ეტაპზე მიღებულ დაკვირვებებზე აიგება, III ეტაპზე *ემპირიულად* უნდა *შემოწმდეს*,

ვინაიდან მეცნიერები აღმოჩენის კონტექსტიდან დასაბუთების კონტექსტში გადაინაცვლებენ (Reichenbach, 1938, წყაროში McAdams, D. P., 2006). ამ ეტაპზე მეცნიერი ცდილობს, შეაფასოს ანუ „დაასაბუთოს“, „გამართლოს“ სიმართლე, რომელიც მოცემული თეორიის ფარგლებში შემოთავაზებული მოცემული დებულების სახით არის წარმოდგენილი. ამ ეტაპზე არ მოიძებნება ადგილი უსაფუძვლო და მხატვრული სპეკულაციებისთვის და არასისტემატური და სუბიექტური მიებისთვის. პირიქით, მეცნიერი გულდასმით ადგენს იმ თეორიული ვარაუდების/დებულებების ჭეშმარიტებასა და სარგებლიანობას, რომლებიც შედარებით თავისუფლად იქნა ჩამოყალიბებული მეცნიერული პროცესის I და II ეტაპებზე (McAdams, D. P., 2006).

ეს არის ეტაპი, როდესაც მეცნიერმა ემპირიულად შემოწმებადი ჰიპოთეზები უნდა წამოაყენოს. მეცნიერების ფილოსოფოსის, კარლ პოპერის (2002) მიხედვით, თეორია იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ შესაძლებელი იყოს მასში გამოთქმული ვარაუდების ფალსიფიცირება.<sup>5</sup> თეორია უნდა ამბობდეს, თუ რა მონაცემები უნდა იქნას მიღებული მისი ძირითადი ვარაუდების/ჰიპოთეზების გასაბათილებლად, ყოველ შემთხვევაში, ასეთი მონაცემების მიღება დედუქციის გზით შესაძლებელი უნდა იყოს თეორიაში გამოთქმული ვარაუდებიდან.

ფალსიფიცირებადობის პოპერისეული სტანდარტი ნამდვილი საფრთხობელაა უფრო სპეკულაციურად და ფილოსოფიურად ორიენტირებული მკვლევრებისთვის, ვინაიდან ის არსებით შეზღუდვას აწესებს იმაზე, თუ როგორი თეორიული დებულებების წამოყენებაა შესაძლებელი (McAdams, D. P., 2006). მაგალითად, პიროვნების თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი იმთავითვე კარგია, თავისთავად არ არის ფალსიფიცირებადი, ვინაიდან ცუდი ქცევის ნებისმიერი შემთხვევა შეგვიძლია გავაბათილოთ იმით, რომ ის სრულიად ზედაპირულ ქცევად მივიჩნიოთ, რომელიც ნიღბავს ადამიანების ფუნდამენტურ სიკარგეს.<sup>6</sup> ჩვენ ვერ მოვიძიებთ დაკვირვების ისეთ შედეგებს, რომლებიც ჩვენი დებულების ფალსიფიცირებას შეძლებენ. აქედან გამომდინარე, მეცნიერული ვარაუდი, დებულება, რომ ყველა ადამიანი კარგია (ან რომ ყველა ადამიანი ცუდია, ან ნეიტრალურია, ანდა გონიერია), ვერ აკმაყოფილებს ფალსიფიცირებადობის ბაზისურ მოთხოვნას. პიროვნების ფსიქოლოგიაში ბევრი ასეთი დებულება არსებობს და ისინი პიროვნების შესახებ ზოგიერთი თეორიის ბაზისურ დაშვებათა რიცხვშიც შედის. თუმცა, პიროვნების თეორიები ისეთ დებულებებსაც მოიცავენ, რომელთა ფალსიფიცირებაც შესაძლებელია, როგორცაა, მაგალითად, ალფრედ ადლერის მოსაზრება, რომ ოჯახში დაბადებული პირველი შვილი უფრო კონსერვატულია, ვიდრე დანარჩენი შვილები; ანდა ერიკ ერიკსონის მოსაზრება, რომ ჯანსაღი ფსიქოსოციალური განვითარების პროცესში იდენტობა სხვებთან ინტიმურობის დამყარებამდე ყალბდება (McAdams, D. P., 2006).

ასეთი დებულებების გადამოწმება პიროვნების სტანდარტიზირებული კვლევის მეთოდებით არის შესაძლებელი. სწორედ დებულებების გადამოწმებისთვის გამოყენებულ ძირითად სტრატეგიებსა და კონკრეტულ მეთოდებს განვიხილავთ ქვემოთ.

## რა სტრატეგიებით იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები

ამ ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ ემპირიული კვლევის განხორციელებისთვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებს და შემდეგ იმ ძირითად სტრატეგიებზე ვისაუბრებთ, რომლებსაც პიროვნების ფსიქოლოგები იყენებენ ემპირიული კვლევისას.

### ემპირიული კვლევისთვის მოსამზადებელი სამუშაოები

<sup>5</sup> Falsifiable.

<sup>6</sup> ანუ ვამტკიცოთ, რომ გულის სიღრმეში, გულის რომელიღაც კუნჭულში ყველა ადამიანი კეთილი და კარგია.

დავუშვათ, გვსურს ალფრედ ადლერის მოსაზრების შემოწმება, რომელიც მის პიროვნების თეორიაშია მოცემული. კერძოდ, ის ამბობს, რომ დაბადების რიგის მიხედვით პირველი ბავშვი ოჯახში უფრო კონსერვატიულია, ვიდრე დანარჩენი შვილები. საიდან უნდა დავიწყოთ? საქმე ისაა, რომ, შესაძლოა, ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს კვლევა, ვინაიდან ადლერის თეორიიდან უკვე ავიღეთ შემოწმებადი ჰიპოთეზა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეული ხარისხით უკვე ვიცნობთ ამ თეორიას. მეცნიერული ჰიპოთეზები თეორიებს უნდა ეფუძნებოდეს. ამიტომ ჰიპოთეზის შემოწმებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპია იმ ემპირიული და თეორიული ლიტერატურის გაცნობა, რომელიც ჩვენთვის საინტერესო დებულებას შეეხება. ამრიგად, ემპირიული კვლევის საწყისი ეტაპი ადლერის ნაშრომებში ჩახედვასა და იმის ნახვას გულისხმობს, თუ ზუსტად რას გვეუბნება მისი თეორია. ამ პროცესში გავაცნობიერებთ, რომ შეუძლებელია ერთ კვლევაში ადლერის ყველა იდეის ემპირიული გადამოწმება. ამიტომ ჩვენ ერთ ჯერზე ერთი ჰიპოთეზა უნდა შევამოწმოთ. გარდა ამისა, ადლერის ნაშრომების გარდა, უნდა გავცნოთ დაბადების რიგის შესახებ არსებულ სხვადასხვა თეორიას და, ასევე, თეორიებს კონსერვატიზმის შესახებ. თეორიული მასალების გაცნობის შემდეგ გადავინაცვლებთ ემპირიულ ლიტერატურაზე (რომლის დიდ ნაწილს სამეცნიერო ჟურნალებში მოვიძიებთ), რომელიც დაბადების რიგსა და კონსერვატიზმს შეეხება, რათა ვნახოთ (ა) ჩვენამდე როგორ იკვლიეს ეს იდეები სხვებმა (რა მეთოდები გამოიყენეს მეცნიერებმა) და (ბ) რა ემპირიული შედეგები იქნა მიღებული. უკვე წაკითხული თეორიული მასალა დაგვეხმარება იმის მოფიქრებაში, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ჩვენს კვლევას და როგორი დიზაინი შევარჩიოთ, რათა ჰიპოთეზა სანდოდ და გულდასმით შევამოწმოთ (McAdams, D. P., 2006).

დაბადების რიგისა და კონსერვატიზმის ურთიერთმიმართების შესახებ ლიტერატურის გაცნობის შემდეგ უნდა შევარჩიოთ საკვლევი პიროვნებების სათანადო შერჩევა. პიროვნების ფსიქოლოგიაში ჰიპოთეზის შემოწმებაზე ორიენტირებულ ყველა კვლევაში აუცილებლად დგება შერჩევის საკითხი. არ არსებობს იდეალური შერჩევა. ადლერის ჰიპოთეზის შესამოწმებლად ერთმა მკვლევარმა შეიძლება რომელიმე კონკრეტული უნივერსიტეტის 100 მეორეკურსელი აირჩიოს, ხოლო მეორემ (უფრო ამბიციურმა) ქვეყნის მასშტაბით გააკეთოს შერჩევა, რომელშიც საშუალო ასაკის ქალები და მამაკაცები შევლენ და შერჩევის ასეთი პროცედურა ეროვნულ არქივში ბოლო 30 წლის მანძილზე გაკეთებულ ჩანაწერებს ემყარებოდა (McAdams, D. P., 2006).

მალიან იოლია სხვა მკვლევრის გაკრიტიკება მის მიერ აღებული შერჩევის გამო და იმის მტკიცება, რომ, მაგალითად, შერჩევა არ არის ყველა ადამიანის რეპრეზენტაციული; რომ ის მიკერძოებულია გარკვეული თვალსაზრისით. პრობლემა ისაა, რომ ყველა შერჩევა ასე თუ ისე მაინც მიკერძოებულია (McAdams, D. P., 2006), თუმცა ზოგი უფრო მეტად და ზოგი — უფრო ნაკლებად. ზოგადი წესია, რომ კვლევისთვის ისეთი შერჩევა უნდა ავიღოთ, რომელიც შეესატყვისება შესამოწმებელ ჰიპოთეზას. შესაბამისად, თუ, მაგალითად, კლინიკური დეპრესიის მქონე მოზრდილების შესახებ ვამოწმებთ ჰიპოთეზას, კოლეჯის სტუდენტების შემთხვევითი შერჩევა არ გამოგვადგება. თუ 40-50 წლის ასაკში პრაქტიკულად ჯანმრთელი პიროვნებების განვითარების შესახებ ვამოწმებთ ჰიპოთეზას, მაშინ ისეთი ცდის პირები გვჭირდება, რომელთაც არ ჰქონიათ ფსიქიატრიული აშლილობები. იმისათვის, რომ მოცემული ჰიპოთეზა დადასტურდეს ან უარიყოს, სხვადასხვაგვარ შერჩევაზე სხვადასხვა მკვლევრის მიერ მიღებული შედეგები, დროთა განმავლობაში, მსგავსი უნდა იყოს. ამგვარად, მეცნიერებაში ვერც ერთი ცალკეული კვლევით ვერ დადგინდება „ჭეშმარიტება“, როგორი რეპრეზენტაციული ან დიდი მოცულობის შერჩევაც არ უნდა მონაწილეობდეს მასში.

ჰიპოთეზის შემოწმებისთვის სათანადო შერჩევის აღების შემდეგი ნაბიჯია იმ ცვლადების<sup>7</sup> ოპერაციონალიზაცია, რომელთა კვლევასაც ვაპირებთ. ჩვენს მაგალითში ცვლადებია დაბადების რიგი და კონსერვატიზმი, ვინაიდან თითოეულმა მათგანმა შეიძლება, სულ მცირე, ორი განსხვავებული მნიშვნელობა მიიღოს. მაგალითად, კვლევის მონაწილე შეიძლება იყოს ოჯახში პირველი, მეორე და ა. შ.

<sup>7</sup> გავიხსენოთ, რომ ცვლადი არის ნებისმიერი თვისება ან სიდიდე, რომელმაც ორი ან მეტი მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს. ანუ, ეს არის ნებისმიერი ფენომენი, რომელიც თვისებრივად ან რაოდენობრივად იცვლება (კისი, ჰ., 2008).

შვილი. ასევე, ის, შესაძლოა, იყოს „უკიდურესად კონსერვატიული“, „ზომიერად კონსერვატიული“, „ოდნავ კონსერვატიული“ და ა. შ. (McAdams, D. P., 2006).

ცვლადის ოპერაციონალიზაცია ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაიზომოს ის, ანუ, სხვა სიტყვებით, უნდა დავაკონკრეტოთ „ოპერაცია“, რომლის მეშვეობითაც შევაფასებთ მას. ჩვენს მაგალითში დაბადების რიგი შედარებით ადვილი გასაზომია. შეგვიძლია, უბრალოდ ვკითხოთ კვლევის მონაწილეებს, მერამდენე შვილია თითოეული მათგანი ოჯახში. რაც შეეხება კონსერვატიზმს, აქ უფრო რთულადაა საქმე. კონსერვატიზმის გასაზომად შეიძლება პოლიტიკური ღირებულებების შესაფასებელი უკვე არსებული თვითანგარიშის კითხვარი გამოვიყენოთ; ან მონაწილეებთან ინტერვიუ ჩავატაროთ მათი კონსერვატიული ორიენტაციის ხარისხის განსასაზღვრად; ან სტანდარტული ლაბორატორიული ამოცანის შესრულებისას დავაკვირდეთ „კონსერვატიულ ქცევას“; თუ კონსერვატიზმს დისპოზიციური ნიშნის გამოვლენად მივიჩნევთ, შეიძლება გამოცდილებისადმი ღიაობის გასაზომი კითხვარი მივცეთ. განურჩევლად იმისა, თუ რა მეთოდს გამოვიყენებთ კონსერვატიზმის გასაზომად, ჩვენი მიზანი უნდა იყოს კონსერვატიზმზე დაკვირვებების შედეგების რიცხვების სახით გამოსახვა, რათა შევძლოთ ჩვენი ჰიპოთეზის შეფასება. სხვა სიტყვებით, პიროვნების კვლევაში ცვლადების უმეტესობის ოპერაციონალიზაცია მონაცემების რაოდენობრივი ფორმით წარმოდგენას (კვანტიფიკაციას) საჭიროებს (McAdams, D. P., 2006).

თეორიული მოსაზრებების შეფასების მიზნით ცვლადების ოპერაციონალიზაციის შემდეგ პიროვნების ფსიქოლოგები ორი ძირითადი ფორმატით ანუ სტრატეგიით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) გეგმავენ ჰიპოთეზის შემოწმებაზე ორიენტირებულ კვლევას. ესენია კორელაციური და ექსპერიმენტული დიზაინები, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

კორელაციური და ექსპერიმენტული დიზაინების გარდა, ასევე, მიმოვიხილავთ შემთხვევის შესწავლას, რომელიც განსაკუთრებით ღირებულია თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიაში და, განსაკუთრებით, იდეოგრაფიული ტრადიციის ფარგლებში წარმოებულ კვლევებში.

## ემპირიული კვლევის სამი ძირითადი სტრატეგია პიროვნების ფსიქოლოგიაში

განასხვავებენ პიროვნების ფსიქოლოგების მიერ გამოყენებულ სამი ტიპის ძირითად სტრატეგიას, ესენია კორელაციური მეთოდი, ექსპერიმენტი და შემთხვევის შესწავლა (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007; Хьелл Л., Зиглер Д., 1997). მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მიდგომა მკვეთრად განსხვავდება დანარჩენებისგან, პირველი ორი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ნომოთეტური ტრადიციის ფარგლებში ხორციელდება, მესამე კი — იდეოგრაფიული ტრადიციის. თითოეული სამი სტრატეგიის ფარგლებში მკვლევარი შეიძლება კვლევის სხვადასხვა დიზაინსა და მეთოდს იყენებდეს (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. პიროვნების კვლევაში გამოყენებული დიზაინები და მეთოდები.

დიზაინები	მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> <li>• ლონგიტუდური (განმეორებითი) კვლევა;</li> <li>• ექსპერიმენტი;</li> <li>• ქცევითი გენტიკის დიზაინი;</li> <li>• გამოცდილების შერჩევის მეთოდი;</li> <li>• ფსიქობიოგრაფია და შემთხვევის შესწავლა;</li> <li>• საარქივო ჩანაწერები;</li> <li>• ინტერნეტის გამოყენება პიროვნების კვლევისთვის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თვითანგარიშის კითხვარები;</li> <li>• პიროვნული სკალები;</li> <li>• დამკვირვებლის რეიტინგები;</li> <li>• ქცევაზე დაკვირვება;</li> <li>• ღია კითხვებზე გაცემული პასუხების შინაარსების კოდირება;</li> <li>• პიროვნების შორიდან შეფასება;</li> <li>• იმპლიციტური მოტივების გაზომვა;</li> <li>• კოგნიტური მეთოდები;</li> <li>• ნეიროგამოსახვის მეთოდები;</li> <li>• ფიზიოლოგიური გაზომვები;</li> <li>• ადამიანის გენომის პროექტი და პიროვნება.</li> </ul>



ცხრილი ადაპტირებულია წყაროდან Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პიროვნების კვლევა იმდენად ფართო და მრავალსიმომცველი საქმიანობაა, რომ ის მოიცავს როგორც ექსპერიმენტულ, ისე კორელაციურ კვლევებს (Duke, 1986, წყაროში McAdams, D. P., 2006). შესაბამისად, პიროვნების კვლევაში მრავლად არის როგორც წმინდად კორელაციური მიდგომის მაგალითები, ისე — ექსპერიმენტულისა და შემთხვევის შესწავლის, ზოგი კვლევა კი ამ მეთოდების კომბინაციას წარმოადგენს. ნომოტეტური ტრადიციის ფარგლებში ორივე — კორელაციური და ექსპერიმენტული — სტრატეგია კარგია, სასარგებლოა და უკიდურესად ღირებულია პიროვნების კვლევისას. ამიტომ, როდესაც პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად მეთოდზეა საუბარი, შევდგომა იქნებოდა, რომ უპირატესობა რომელიმე კონკრეტული მეთოდისთვის მიგვენიჭებინა (McAdams, D. P., 2006). სტრატეგიის პრიორიტეტულობას, სულ მცირე, კვლევის მიზანი, შესასწავლი საკითხი და მკვლევრის თეორიული ორიენტაცია განსაზღვრავს.

### სტრატეგია 1: კორელაციური მეთოდი

ემპირიულ კვლევებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ორი ცვლადის ურთიერთმიმართების ხარისხის დადგენას, *კორელაციურ* კვლევებს უწოდებენ (McAdams, D. P., 2006). კორელაცია, თავისთავად, ცვლადებს შორის წრფივი დამოკიდებულების საზომს წარმოადგენს (Field, A., 2005).

ზოგადად, კორელაციური ტექნიკები ორი ცვლადის ანუ მონაცემთა ორი სიმრავლის ურთიერთმიმართების შესახებ სამ კითხვაზე პასუხის გაცემას ემსახურება: (1) „არსებობს თუ არა კავშირი ორ ცვლადს (მონაცემთა ორ სიმრავლეს) შორის?“ თუ ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გვაქვს, მაშინ ჩნდება მეორე და მესამე კითხვაც, კერძოდ, (2) „რა მიმართულება აქვს ამ კავშირს?“ და (3) „რა ზომისაა ანუ რამდენად ძლიერია ეს კავშირი?“ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). აქვე უნდა ითქვას, რომ კავშირში მოიაზრება ორი ცვლადის (ან მონაცემთა სიმრავლის) შეთანხმებულად, გარკვეული კანონზომიერების მიხედვით შეთანხმებული ცვლის ტენდენცია. შესაბამისად, კორელაციურ კვლევაში მკვლევარი სვამს მარტივ კითხვას: „როდესაც ერთი ცვლადის მნიშვნელობა იცვლება, რა ემართება მეორე ცვლადის მნიშვნელობას?“ (McAdams, D. P., 2006).

შეიძლება გვიანტერესებდეს, თუ რა კავშირია შფოთვის დონესა და დავალების შესრულების სიზუსტეს შორის. ამის გასარკვევად შეგვიძლია კორელაციური კვლევის ჩატარება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997), რომლის დროსაც გარკვეული რაოდენობის ადამიანებს გავუზომავთ შფოთვის დონეს (ვთქვათ, შფოთვის დონის საკვლევი კითხვარით); ასევე, გავზომავთ თითოეული მათგანის მიერ დავალების შესრულების სიზუსტეს (მაგალითად, ზედმიწევნით შეესატყვისება ინსტრუქციას). თუ მიღებული შედეგები შეესაბამება სხვა კვლევებში მიღებულ შედეგებს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კვლევის მონაწილეები, რომელთაც შფოთვის დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ, უფრო ზუსტად ასრულებენ მიცემულ დავალებებს. ვინაიდან დავალების შესრულების სიზუსტეზე, სავარაუდოდ, სხვა ისეთი ფაქტორებიც ზემოქმედებენ, როგორცაა, მაგალითად, მსგავსი დავალებების შესრულების გამოცდილება, კვლევის მონაწილის მოტივაცია და ინტელექტი, ამიტომ კავშირი დავალების შესრულების სიზუსტესა და შფოთვის დონეს შორის არ იქნება იდეალური, თუმცა, მაინც უნდა გავითვალისწინოთ.

კორელაციულ კვლევაში ცვლადი შეიძლება იყოს ტესტირების მონაცემები, დემოგრაფიული მახასიათებლები (მაგალითად, ასაკი, დაბადების რიგი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი) თვითანგარიშის კითხვარებით ხასიათის გაზომვის შედეგები, მოტივები, ღირებულებები და დამოკიდებულებები, ფიზიოლოგიური რეაქციები (მაგალითად, პულსის სიჩქარე, არტერიული წნევა და კანის გაღვანური რეაქცია) და ქცევის სტილი (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

კორელაციური მეთოდის გამოყენებისას ფსიქოლოგებს სურთ მიიღონ პასუხები ისეთ კონკრეტულ შეკითხვებზე, როგორცაა, მაგალითად: ახდენს თუ არა უმაღლესი განათლება გავლენას სამომავლო პროფესიულ წარმატებაზე? უკავშირდება თუ არა სტრესი კორონარულ დაავადებებს? არსებობს თუ არა კავშირი თვითშეფასებასა და მარტოობას შორის? არის თუ არა კავშირი მიღწევის მოტივაციასა და

დაბადების რიგს შორის? კორელაციის მეთოდი არამარტო იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ დადებითად ან უარყოფითად ვუპასუხოთ ამ შეკითხვებზე, არამედ, რაოდენობრივი შეფასებაც მივცეთ ერთი ცვლადის მნიშვნელობების შესაბამისობას მეორე ცვლადის მნიშვნელობებთან. ამისათვის ფსიქოლოგები ითვლიან სტატისტიკის ინდექსს ანუ სტატისტიკურ სიდიდეს, რომელსაც კორელაციის კოეფიციენტი ეწოდება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

### რა არის კორელაცია

თუ ორ ცვლადს შორის არსებობს კავშირი, ის შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი (სურ. N1).

როდესაც ორი ცვლადი (ან მონაცემთა სიმრავლე) ერთი და იგივე მიმართულებით იცვლება, ანუ, ერთის მნიშვნელობის ზრდას თან ახლავს მეორეს მნიშვნელობის ზრდა, ან ერთის მნიშვნელობის შემცირებას — მეორეს კლება, მაშინ ვამბობთ, რომ მათ შორის დადებითი ანუ პოზიტიური კავშირი/კორელაცია არსებობს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). დადებითი კორელაციის ილუსტრაცია იქნება ორი ცვლადის — სიმაღლისა და წონის — ურთიერთმიმართება შემთხვევითად შერჩეულ 200 ქართველ მოზრდილთან. ზოგადად, სიმაღლის მატებასთან ერთად წონაც მატულობს, თუმცა, ცხადია, არსებობს გამონაკლისებიც. ამ კონკრეტული შერჩევის შემთხვევაში სიმაღლესა და წონას შორის დადებითი კორელაციის არსებობა გვეუბნება, რომ, საშუალოდ, რაც უფრო მაღლები არიან ადამიანები, მით მეტადაა მოსალოდნელი, რომ ისინი, უფრო დაბლებთან შედარებით, უფრო მეტს იწონიან. ამგვარად, თუ კონკრეტული ინდივიდის შემთხვევაში გვაქვს ინფორმაცია ერთი ცვლადის შესახებ (უფრო მაღალია), საკმაოდ სანდოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის (უფრო დაბალ ინდივიდთან)

სურ. N 1. ცვლადებს შორის კავშირის მიმართულება.



შედარებით მძიმე იქნება (McAdams, D. P., 2006).

უარყოფითი ანუ ნეგატიური კორელაცია ანუ კავშირი გვაქვს მაშინ, როდესაც ერთი ცვლადის მნიშვნელობის მატებას მეორე ცვლადის მნიშვნელობის კლება ახლავს თან და, პირიქით, როდესაც ერთი ცვლადის მნიშვნელობის კლებასთან ერთად მეორეს მნიშვნელობა იმატებს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). უარყოფითი კორელაციის მაგალითი იქნება ორი ცვლადის — ასაკისა და ცერის წოვის ქცევის — ურთიერთმიმართება შემთხვევითად შერჩეულ 400 ქართველ ბავშვში, რომელთა ასაკი 12 თვიდან 12 წლამდე მერყეობს. ზოგადად, ასაკის მატებასთან ერთად იკლებს ცერის წოვის ქცევის სიხშირე:

მოზრდილი ბავშვები, საშუალოდ, უფრო იშვიათად წოვენ ცერს, ვიდრე პატარები (McAdams, D. P., 2006).


როდესაც ორ ცვლადს შორის არანაირი სისტემატური მიმართება არ არსებობს, ვამბობთ, რომ მათ შორის ძალიან მცირე კორელაციაა ანდა მათ შორის კავშირი არ არსებობს. ასეთი შემთხვევის მაგალითია ორი ცვლადის — წონისა და გონიერების — ურთიერთმიმართება შემთხვევითად შერჩეული 1000 მოზრდილ ქართველში. ზოგადად, უფრო მძიმეწონიანი მოზრდილები არც მეტად გონიერები არიან და არც ნაკლებად გონიერები, ვიდრე ნაკლებწონიანი მოზრდილები. შესაბამისად, წონა და გონიერება არ კორელირებენ ერთმანეთთან. სხვა სიტყვებით, მოზრდილი ადამიანის წონის ცოდნა ვერაწარმოებს მინიმუმებს ვერ მოგვცემს მის გონიერებაზე (McAdams, D. P., 2006).

### კორელაციის კოეფიციენტი

ორ ცვლადს შორის კორელაციის ხარისხის რიცხობრივად აღსაწერად გამოითვლება სტატისტიკური სიდიდე — კორელაციის კოეფიციენტი (McAdams, D. P., 2006), რომელიც „r“-ით აღინიშნება (კისი, 2008). ეს არის ერთი რიცხვი, რომელიც ცვლადებს შორის კავშირის ხარისხსა და მიმართულებას ასახავს (კისი, 2008). კორელაციის კოეფიციენტმა შეიძლება მიიღოს რიცხობრივი მნიშვნელობა -1-დან +1-მდე, სადაც კოეფიციენტი „+1“ იდეალურ დადებით კორელაციაზე მიუთითებს, „-1“ — იდეალურ უარყოფით კორელაციაზე, ხოლო როდესაც კორელაციის კოეფიციენტი ნულის ტოლია, ეს ნიშნავს, რომ ცვლადებს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. აქვე უნდა ითქვას, რომ კორელაციის კოეფიციენტის წინ მდგარი ნიშანი მხოლოდ ცვლადებს (ან სიმრავლეებს) შორის კავშირის მიმართულებას ასახავს და არა — კავშირის სიძლიერეს<sup>8</sup> (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ორ ცვლადს შორის მიმართება შეგვიძლია ვიზუალურად გამოვსახოთ ორგანზომილებიან კოორდინატთა სისტემაში, სადაც თითო შეწყვილებული დაკვირვება ერთი წერტილით აღინიშნება. ამ გზით მიღებული წერტილების ერთობლიობას წერტილოვანი გაბნევის დიაგრამა ეწოდება და გაზომილ მახასიათებლებს შორის კავშირის ხარისხის გრაფიკულად შეფასების საშუალებას გვაძლევს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) (იხ. სურ. N2).

სურ. N 2. სხვადასხვა სიდიდის კორელაციის კოეფიციენტების გრაფიკული გამოსახულება.



თითქმის ყველა სხვა სტატისტიკური სიდიდის ანალოგიურად, რომელთაც პიროვნების ფსიქოლოგები იყენებენ, კორელაციის კონკრეტული კოეფიციენტები მათი სტატისტიკური მნიშვნელოვნების მიხედვით ფასდება (McAdams, D. P., 2006). სტატისტიკური მნიშვნელოვნება არის საზომი იმისა, თუ რამდენად შეგვიძლია მივაკუთნოთ მიღებული შედეგი უბრალო შემთხვევითობას (McAdams, D. P., 2006). პიროვნების ფსიქოლოგები, მრავალი სხვა ფსიქოლოგის მსგავსად, შეთანხმებულნი არიან, რომ ცვლადებს შორის მოცემული ეფექტი, კავშირი თუ განსხვავება სტატისტიკურად

მნიშვნელოვანია, თუ მისი შემთხვევით მიღების ალბათობა 5%-ზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ მიღებული შედეგი „მნიშვნელოვანია ალბათობის 0.05 დონეზე“ (Field, A., 2005), რაც ნიშნავს იმას, რომ 5%-ზე ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ ასეთი შედეგი შემთხვევითად მიგველო, ანუ, პირიქით თუ ვიტყვით, 95%-ია ალბათობა იმისა, რომ მიღებული შედეგი არ არის შემთხვევითი (McAdams, D. P., 2006). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 100 შემთხვევიდან მხოლოდ 5-ჯერ შეიძლება ეს კონკრეტული შედეგი შემთხვევითად მივიღოთ, დანარჩენ 95 შემთხვევაში კი მიღებული შედეგი სხვა რამეს უკავშირდება და არა — შემთხვევას.

კორელაციის კოეფიციენტის შემთხვევაში მის სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას კოეფიციენტის აბსოლუტური მნიშვნელობა და იმ მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრავს, რომელთა მონაცემებზე დაყრდნობითაც იქნა გამოთვლილი ეს კოეფიციენტი (McAdams, D. P., 2006). კერძოდ, რაც უფრო დიდია შერჩევის მოცულობა, მით მცირე კორელაციის კოეფიციენტია საკმარისი, რომ კავშირი სტატისტიკურად

<sup>8</sup> ამიტომ თუ გამოსახული კავშირის სიძლიერის მიხედვით ვადარებთ კოეფიციენტებს +0.5-სა და -0.8-ს, მეორე რიცხვი უფრო ძლიერი კორელაციის ამსახველი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ის უარყოფითი რიცხვია და მათემატიკური თვალსაზრისით, უფრო ნაკლებია, ვიდრე +0.5.

მნიშვნელოვანი იყოს და, პირიქით, რაც უფრო პატარაა შერჩევა, მით მაღალი კოეფიციენტი საჭირო, რომ კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ამგვარად, შედარებით ძლიერი უარყოფითი კორელაცია (კოეფიციენტით -0.57) 100 ცდის პირის შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა, 10 ცდის პირზე გამოთვლილი იგივე სიდიდის კოეფიციენტი ვერ იქნება იმდენად მძლავრი, რომ სტატისტიკური მნიშვნელოვნების მინიმალური ზღვარი გადალახოს (McAdams, D. P., 2006).


ზოგადად თუ ვიტყვით, მკვლევარს მიღებული კორელაციის ზომა ანუ სიძლიერე უფრო მეტად აინტერესებს, ვიდრე მიმართულება. კორელაციის სიდიდის გამოთვლის პროცედურები ისეა აგებული, რომ როგორი ორი ცვლადიც არ უნდა ავიღოთ, მათ შორის კავშირი არასოდეს გამოისახება ნულით (ანუ არ იქნება 0.00-ის ტოლი), როგორც, ვთქვათ, სავარაუდოდ, ეს სხეულის წონისა და ინტელექტის შემთხვევაში ხდება. ეს ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის მნიშვნელობა აბსოლუტურად არ უკავშირდება მეორე ცვლადის მნიშვნელობას. თუ ერთი ცვლადის მნიშვნელობა მაღალია, მეორე შეიძლება ასევე მაღალი ან, პირიქით, დაბალი იყოს. იდეალური კორელაციები +1.00 და -1.00 იშვიათად გვხვდება და, როგორც ვნახავთ, სოციალურ კვლევაში კორელაციის კოეფიციენტები დაახლოებით +0.50-ის ტოლი ან უფრო ნაკლებია. კორელაციის კოეფიციენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ერთი მოცემული ცვლადით მეორეს წინასწარმეტყველება (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

**კორელაცია და მიზეზ-შედეგობრიობა**

მიუხედავად იმისა, რომ კორელაციური მეთოდი ფართოდ გამოიყენება კვლევაში და არც ისე რთულია კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა და ინტერპრეტაცია (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), კორელაციური ანალიზისას მკვლევარს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ კორელაცია არ არის

მიზეზობრიობა (McAdams, D. P., 2006), ანუ ორ ცვლადს შორის კორელაციური კავშირის არსებობა არ მოიაზრებს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართების არსებობას. თუ ორი ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად კორელირებს ერთმანეთთან, ეს არ გულისხმობს დაშვებას, რომ პირველი იწვევს მეორეს, ანდა, პირიქით, მეორე იწვევს პირველს. მაგალითად,

სურ. N 3. კორელაციური მეთოდის ნაკლოვანებები



როგორც აღმოჩნდა, დიდი ზომის ფეხის ქონა დადებითად კორელირებს დიდი ზომის ხელის მტევნის ქონასთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ ინდივიდს იმიტომ აქვს დიდი ფეხები, რომ ხელებიც დიდი აქვს; სხვა სიტყვებით, დიდი ფეხების ქონა არ იწვევს დიდი ხელების ქონას (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

რატომ არ ასახავს კორელაცია კაუზაციას? იმიტომ, რომ (1) შეიძლება არსებობდეს მესამე ცნობილი ან უცნობი ცვლადი, რომელიც ორივე ცვლადის მიზეზი იყოს; (2) კორელაცია არ გვიჩვენებს, რომელი ცვლადი რომლის მიზეზია: პირველი იწვევს მეორეს, თუ მეორე — პირველს (კისი, 2008).

### კორელაციური მეთოდის ნაკლოვანი მხარეები

მკვლევართა დიდი ნაწილი საუბრობს კორელაციური მეთოდის ორ სერიოზულ ნაკლზე: (1) კორელაცია არ იძლევა მიზეზ-შედეგობრიობის შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალებას და (2) ყოველთვის არსებობს მესამე ცვლადი, რომელსაც გაუგებრობა და ბუნდოვანება შემოაქვს კვლევაში (იხ. სურ. N3) (კისი, ჰ., 2008).

**კორელაცია vs. კაუზაცია.** უპირველეს ყოვლისა, კორელაციური მეთოდის გამოყენება არ გვაძლევს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვეთის შესაძლებლობას. კორელაციური კვლევა ვერ იძლევა საბოლოო დასკვნას იმის შესახებ, რომ ორი ცვლადი მიზეზ-შედეგობრივად უკავშირდება ერთმანეთს (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). მაგალითად, მრავალ კორელაციურ კვლევაში დადასტურებულია კავშირი ძალადობის სცენების ამსახველი სატელევიზიო პროგრამების ყურებასა და ბავშვებისა და მოზრდილების ნაწილის აგრესიულ ქცევას შორის (Freedman, 1988; Huston, Wright, 1982, წყაროში Хьелл Л., Зиглер Д., 1997). აქედან ერთ-ერთი შესაძლო დასკვნაა, რომ ტელევიზიით ძალადობის სცენების ხანგრძლივად ყურება მაყურებელთა აგრესიული მისწრაფებების ზრდას იწვევს, მაგრამ შესაძლებელია სრულიად საპირისპირო დასკვნაც გავაკეთოთ: იმთავითვე აგრესიული ინდივიდები, ან ისინი, ვისაც აგრესიული ქმედებები განუხორციელებია, უპირატესობას ანიჭებენ ძალადობის სცენების შემცველ სატელევიზიო პროგრამებს.

კორელაციური მეთოდი არ იძლევა იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, თუ ზემოთ გაკეთებული ორი დასკვნიდან რომელია მართებული. ამასთან, კორელაციური კვლევა, რომელშიც ორი ცვლადის მნიშვნელობებს შორის ძლიერი კორელაციური კავშირი ვლინდება, მათ შორის შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის შესახებ აყენებს საკითხს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997). სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ შემდგომმა ექსპერიმენტულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ძალადობის შემცველი პროგრამების ექსპოზიცია ნამდვილად შეიძლება იყოს აგრესიული ქცევის მიზეზი (Eron, 1987, წყაროში Хьელл Л., Зиглер Д., 1997).

**მესამე ცვლადის პრობლემა.** კორელაციური მეთოდის მეორე ნაკლად მესამე ცვლადის მოქმედებით გამოწვეულ დაბნეულობას ასახელებენ. განვიხილოთ დამოკიდებულება მშობლებისა და შვილების მიერ ნარკოტიკების მოხმარებას შორის. რამდენად მოიაზრებს კორელაციური კავშირის არსებობა იმას, რომ როდესაც მოზარდები ხედავენ, რომ მათი მშობლები ნარკოტიკს მოიხმარენ, თავადაც უფრო დიდი რაოდენობით იწყებენ მის მოხმარებას. თუ ეს ნიშნავს იმას, რომ მშობლები შფოთავენ შვილების მიერ ნარკოტიკის მოხმარების გამო და ამიტომ, შფოთვის შემცირების მიზნით, ისინიც იწყებენ მის მოხმარებას? თუ რომელიმე სხვა, მესამე ფაქტორი უბიძგებს მშობლებსა და შვილებს ნარკოტიკის მოხმარებისაკენ? იქნებ ისინი ნარკოტიკს იმიტომ მოიხმარენ, რომ თავიანთ მძიმე მდგომარეობას შეეგუონ და, შესაბამისად, მესამე ფაქტორი ანუ ნარკოტიკის მოხმარების ჭეშმარიტი მიზეზი მათი მძიმე მატერიალური მდგომარეობა აღმოჩნდეს (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

კორელაციური მეთოდით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას არასოდეს უნდა გამოვრიცხოთ შესაძლებლობა იმისა, რომ სწორედ ის მესამე ცვლადი, რომელსაც არ ვზომავთ და რომლის არსებობის შესახებ შეიძლება ვერც კი მივხვდეთ, ახდენს მიზეზობრივ გავლენას ორივე გასაზომ ცვლადზე. მიუხედავად იმისა, რომ კორელაციური მეთოდი არ გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, ეს არ ნიშნავს, რომ კორელაციის არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების არსებობა. ეს განსაკუთრებით მართებულია განმეორებადი (ანუ ლონგიტუდური) კორელაციური კვლევების შემთხვევაში, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ცვლადები, რომლებიც დროის ერთ მომენტშია გაზომილი, კორელირებს სხვა, მათ შემდეგ გამოჩენილ ცვლადებთან. მაგალითისთვის განვიხილოთ კარგად ცნობილი დადებითი კორელაცია თამბაქოს მოწევისა და ფილტვის კიბოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია რომელიმე მესამე უცნობი ცვლადი (მაგალითად, გენეტიკური მიდრეკილება) იყოს როგორც მოწევის, ისე — კიბოს გაჩენის მიზეზი, არავინ აყენებს ეჭვქვეშ, რომ მოწევა კიბოს სავარაუდო მიზეზია, რადგანაც მოწევა წინ უსწრებს ფილტვების კიბოთი დაავადებას.

ამგვარი სტრატეგია (ორი ცვლადის გაზომვა, რომელთა შორის გარკვეული დროის შუალედია) მკვლევრებს მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენის საშუალებას აძლევს იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ექსპერიმენტის ჩატარება. მაგალითად, კლინიკური დაკვირვებების საფუძველზე მრავალი მკვლევარი დიდი ხნის განმავლობაში გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ქრონიკული სტრესი ხელს უწყობს სხვადასხვა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემის გაჩენას. ბოლო პერიოდში ჩატარებულ კვლევებში, რომლებშიც სტრესის ინტენსივობას (თვითშეფასების სკალების მეშვეობით) ზომავდნენ, ამ ვარაუდის შემოწმება კორელაციური მეთოდით გახდა შესაძლებელი (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). მაგალითად, ფიზიოლოგიური დარღვევების შესახებ დაგროვილი მონაცემების თანახმად, სტრესი მნიშვნელოვნად უკავშირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, დიაბეტის, კიბოს და სხვადასხვა ტიპის ინფექციური დაავადების აღმოცენება-განვითარებას. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია არსებობდეს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ხელოვნურად აძლიერებენ სავარაუდო კავშირს სტრესსა და დაავადებას შორის. ამგვარად, მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ორ ცვლადს შორის ძლიერი კორელაციური კავშირის დადგენა თავისთავად გვიბიძგებს მათ შორის მიზეზობრივი მიმართების არსებობის შესახებ დასკვნისკენ, რეალურად მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დადგენა მხოლოდ ექსპერიმენტული გზით არის შესაძლებელი (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## სტრატეგია 2: ექსპერიმენტული დიზაინი

ზოგადად, მიჩნეულია, რომ პიროვნების ფსიქოლოგებს ხელეწიფებათ *ექსპერიმენტირების* გზით ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დადგენა (McAdams, D. P., 2006).

### დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები

ექსპერიმენტული კვლევის არსებითი მახასიათებელი ისაა, რომ მკვლევარი მიზანმიმართულად მანიპულირებს და აკონტროლებს იმ პირობებს, რომლებიც მისთვის საინტერესო მოვლენებს განაპირობებენ, წარადგენს ექსპერიმენტულ ზემოქმედებას ანუ ჩარევას და ზომავს მის მიერ შექმნილ განსხვავებას. ექსპერიმენტი მოიაზრებს ერთი ცვლადის (რომელსაც *დამოუკიდებელ ცვლადს* უწოდებენ) მნიშვნელობის შეცვლას და ამ ცვლილების ეფექტის დაკვირვებას მეორე ცვლადზე, რომელსაც *დამოკიდებული ცვლადი* ჰქვია (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). დამოკიდებული ცვლადი არის ინდივიდის რეაქცია დამოუკიდებელი ცვლადის ექსპერიმენტულ ცვლილებებზე ანუ მანიპულაციაზე (McAdams, D. P., 2006); ესაა კვლევის მონაწილის ქცევის ნებისმიერი ასპექტი, რომელსაც აკვირდებიან ან ზომავენ, როგორც პასუხს დამოუკიდებელი ცვლადის მოქმედებაზე. ამგვარად, დამოკიდებული ცვლადი დამოუკიდებელი ცვლადის ფუნქციაა (McAdams, D. P., 2006): ის დამოკიდებულია იმ ცვლილებებზე, რომელიც გამოწვეულია ექსპერიმენტატორის მიერ დამოუკიდებელი ცვლადით მანიპულაციით (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). სხვა სიტყვებით, დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობის ცვლილება დამოკიდებულია დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობის ცვლილებაზე. ექსპერიმენტში დამოკიდებული ცვლადი პოსტ-ტესტით იზომება, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები გამოცალკევდება და ზედმიწევნით კონტროლდება.

იყენებს რა ფიქსირებულ სქემას, ექსპერიმენტული კვლევა შეიძლება იყოს *დამადასტურებელი* და ნულოვანი ჰიპოთეზის დასაბუთებას ან უარყოფას ცდილობდეს, ან *გამოკვლევითი* და გარკვეული ცვლადების ეფექტების დადგენას ესწრაფვოდეს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

განვიხილოთ უმარტივესი ექსპერიმენტული სქემის მაგალითი (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007): წარმოიდგინეთ, ვართ ლაბორატორიაში, სადაც ახალი სასუქის თვისებები უნდა შევისწავლოთ. ამ სასუქის გამოყენებას ფერმერები მარცვლოვან კულტურასთან, ვთქვათ, სიმინდთან შეძლებენ (Morrison, 1993, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ამ სიტუაციაში მეცნიერი იღებს ერთ ტომარა სიმინდის მარცვალს და შემთხვევითობის წესით ყოფს ორ თანაბარ ნაწილად. ერთ ნაწილს ჩვეულებრივ საარსებო პირობებში გაზრდის, ანუ მხოლოდ ნიადაგის, ტემპერატურის, წყლისა და სინათლის ოდენობას გააკონტროლებს და გაზომავს და არავითარ სხვა ფაქტორს არ შეიტანს პროცესში. ეს იქნება *საკონტროლო*

ჯგუფი. მეორე ნაწილს გაზრდის საკონტროლო ჯგუფის ანალოგიურ — იგივენაირად გაკონტროლებული და გაზომილი რაოდენობის ნიადაგის, ტემპერატურის, წყლისა და სინათლის — პირობებში, მაგრამ დამატებით მიაწვდის ახალ სასუქს. ეს იქნება *ექსპერიმენტული* ჯგუფი. ოთხი თვის შემდეგ შეამოწმებს ორივე ჯგუფს და გაზომავს. აღმოჩნდება, რომ საკონტროლო ჯგუფი ნახევარი მეტრით არის გაზრდილი და სიმინდის ყოველი ტარო ადგილზეა, თუმცა, პატარა მარცვლები აქვს. ამის საპირისპიროდ, ექსპერიმენტული ჯგუფიც ნახევარი მეტრით გაიზარდა, მაგრამ, ყოველ ტაროში გაცილებით დიდი მარცვლები აღმოჩნდა — უფრო დიდი, სავსე და მკვრივი.

მეცნიერი დაასკვნის, რომ ვინაიდან ორივე ჯგუფს მხოლოდ გაზომილი რაოდენობის ნიადაგთან, ტემპერატურასთან, წყალთან და სინათლესთან ჰქონდა შეხება, სხვა ვერაფერი გამოიწვევდა ექსპერიმენტული ჯგუფის ასე გაფურჩქვნას, თუ არა — ახალი სასუქი. ამ ექსპერიმენტში ძირითადი ფაქტორებია:

- მთლიანი ტომრის შიგთავსის შემთხვევითი წესით გადანაწილება ორ თანაზომიერ (საკონტროლო და ექსპერიმენტულ) ჯგუფში, ორივე ჯგუფში შემავალი სიმინდის საწყისი გაზომვა, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ორივე ჯგუფი ერთნაირი იყო (ანუ წინასწარი ტესტირება);
- ძირითადი ცვლადების გამოყოფა (ნიადაგი, ტემპერატურა, წყალი და სინათლე);
- ძირითადი ცვლადების გაკონტროლება (ერთი და იგივე რაოდენობა თითოეულ ჯგუფს);
- ნებისმიერი სხვა ცვლადის გამორიცხვა;
- განსაკუთრებული მოპყრობა (ანუ ჩარევა) ექსპერიმენტული ჯგუფისადმი, ორივე ჯგუფში სხვა ცვლადების მუდმივად შენარჩუნების პირობებში;
- მოსავლისა და ზრდის საბოლოო გაზომვა საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების შესადარებლად და წინასწარი ტესტირების შედეგებისგან განსხვავებების შეფასება (პოსტ-ტესტი);
- ერთი ჯგუფის მეორესთან შედარება;
- განზოგადების ეტაპი: მოცემულ პირობებში ახალი სასუქი აუმჯობესებს მოსავალს და ზრდას.

ეს მოდელი, რომლის წინაპირობაც მიზეზ-შედეგობრიობის დადგენის მიზნით ცვლადების იზოლაცია და კონტროლია, ლაბორატორიულ პირობებში შეიძლება ადეკვატური იყოს, თუმცა, მნელია იმის თქმა, სოციალური სიტუაცია ოდესმე შეძლებს თუ არა ლაბორატორიის დაწმენდილ, ხელოვნურ სამყაროდ გადაქცევას, ან საერთოდ უნდა გადაიქცეს თუ არა ის ასეთ სამყაროდ? ეს ემპირიული და მორალური კითხვებია. ამასთან, გასათვალისწინებელია ადამიანებით მანიპულირების, მათ გაკონტროლების, მათდამი უსულო საგნებით მოპყრობასთან დაკავშირებული ეთიკური დილემები, რაც კვლევის წარმოების და, განსაკუთრებით, ექსპერიმენტირების ეთიკურ საკითხებს აყენებს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### დამატებითი ცვლადები

ასე რომ, თუ გვსურს, რომ ექსპერიმენტმა ვალიდური ინფორმაცია მოგვცეს მიზეზისა და შედეგის შესახებ, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ დამოუკიდებელი ცვლადი *ერთადერთი* ცვლადია, რომლის მნიშვნელობაც სისტემატურად იცვლება. შესაბამისად, კვლევა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ყველა სხვა ცვლადის მნიშვნელობა ერთ დონეზე შენარჩუნდეს, გარდა დამოუკიდებელი ცვლადისა და ეს ისე უნდა მოხდეს, რომ შეგვეძლოს დასკვნა, რომ კვლევის მონაწილეების განსხვავებული რეაქციები (ანუ დამოკიდებული ცვლადი) *მხოლოდ და მხოლოდ* დამოუკიდებელი ცვლადის ვარიაციის ფუნქციაა. სხვა დამატებითი ცვლადები შედეგების „გაჭუჭყიანების“ საფრთხეს ქმნიან, ამიტომ ისინი უნდა გაკონტროლდნენ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სწორედ ამიტომ ტარდება ექსპერიმენტები ისეთ უკიდურესად გაკონტროლებულ გარემოში, როგორცაა, მაგალითად, ლაბორატორიული ოთახები. ასეთ გარემოში ექსპერიმენტატორს შეუძლია კვლევის მონაწილეთათვის წარდგენილი სტიმულების გაკონტროლება და მათ რეაქციებზე გულდასმით დაკვირვება (McAdams, D. P., 2006).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტული მეთოდის ლოგიკა მარტივია, სინამდვილეში ექსპერიმენტის ჩატარების პროცესი საკმაოდ რთულია. კარგად ორგანიზებულ ექსპერიმენტში მრავალი

ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ, რომლებმაც, შესაძლოა, მიღებული შედეგის სიზუსტეზე იმოქმედონ. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ყველა ცვლადი და პირობა (კვლევაში ჩართული დამოუკიდებელი ცვლადის გარდა), რომელსაც რაიმე სახის გავლენის მოხდენა შეუძლია გასაზომ ცვლადზე, გამორიცხული უნდა იყოს, ან სტაბილურად ერთ დონეზე უნდა შენარჩუნდეს მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში. ასეთი გარეშე ცვლადების გამორიცხვის მრავალი ხერხი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია კვლევის მონაწილეების სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობებსა და ჯგუფებში შემთხვევითი წესით გადანაწილება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

შემთხვევითი განაწილება, რომელიც ისეთი გზებით მიიღწევა, როგორცაა კენჭის ყრა და შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენება, იძლევა გარანტიას, რომ ყველა მონაწილეს ნებისმიერ ექსპერიმენტულ პირობაში ან ჯგუფში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ კვლევის მონაწილის ნებისმიერ მახასიათებელს, რომელსაც ექსპერიმენტზე ზემოქმედება (ასაკი, ინტელექტი, ეთნიკური მიკუთვნებულობა ან დაბადების რიგი) შეუძლია, სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობასა თუ ჯგუფში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს. რანდომიზაცია,<sup>9</sup> როგორც ექსპერიმენტული მეთოდის განმსაზღვრელი მახასიათებელი, ეფუძნება ვარაუდს, რომ ცდის ყველა მონაწილე ექსპერიმენტის დასაწყისში ერთნაირია, გარდა ერთი პარამეტრისა: დამოუკიდებელი ცვლადის არსებობა-არარსებობისა. ამიტომ თუ ცდის მონაწილის ქცევა დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობის ცვლილების საპასუხოდ იცვლება, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ მხოლოდ ის არის ქცევაში მომხდარ ცვლილებებზე პასუხისმგებელი. მას შემდეგ, რაც შევცვლით დამოუკიდებელ ცვლადს, ცდის მონაწილის დაკვირვებადი ან შესასწავლი ქცევის ნებისმიერი ასპექტი არ შეიძლება იყოს რომელიმე სხვა ცვლადის მოქმედების შედეგი, რადგან არც ერთი სხვა ცვლადი არ დაიშვება ექსპერიმენტის მსვლელობისას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

კიდევ ერთი დამატებითი ცვლადი შეიძლება იყოს თავად ექსპერიმენტატორი და/ან კვლევის მონაწილეები. ექსპერიმენტში მკვლევარს შეუძლია შედარებით განყენებული იყოს მონაწილეებისგან, რითაც კვლევაში გარკვეული ხარისხის ობიექტურობა შეაქვს (Robson, 2002, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). დამკვირვებლის ეფექტმა შეიძლება დააზარალოს ექსპერიმენტი, მაგალითად, მკვლევრის ჩანაწერები შეიძლება არათანმიმდევრული, არაზუსტი, შერჩევითი ან ნაკლებად გაცნობიერებული იყოს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტის მსვლელობაზე. გარდა ამისა, ექსპერიმენტი შეიძლება მონაწილის ეფექტმაც აზარალოს; მონაწილის ქცევის შესაცვლელად შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს საექსპერიმენტო გარემოში უბრალოდ ყოფნის ფაქტიც კი და არა ის, თუ რეალურად როგორ მოქმედებენ ექსპერიმენტული პირობები და დამოუკიდებელი ცვლადები (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### **ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფები**

ექსპერიმენტის ყველაზე მარტივი დიზაინი მოითხოვს, რომ, სულ მცირე, ორი ჯგუფი დარდებოდეს ერთმანეთს. კვლევის იმ მონაწილეთა ჯგუფს, რომელზეც ახდენენ სპეციალურ ზემოქმედებას (ექსპერიმენტატორის მიერ დამოუკიდებელი ცვლადით მანიპულირება), როგორც უკვე ვიცით, *ექსპერიმენტულ* ჯგუფს უწოდებენ. კვლევის ის მონაწილეები, რომლებზეც არ ახდენენ ამგვარ ზემოქმედებას, ქმნიან *საკონტროლო* ჯგუფს. შემდეგ ერთმანეთს ადარებენ ამ ორ ჯგუფში შემავალი მონაწილეების რეაქციებს, რათა ნახონ, იქონია თუ არა ექსპერიმენტულმა ზემოქმედებამ რაიმე გავლენა არჩეულ დამოკიდებულ ცვლად(ებ)ზე. შედარების საფუძველი, როგორც წესი, საკონტროლო ჯგუფია ხოლმე. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ორ ჯგუფს შორის არსებული ერთადერთი განსხვავება ერთი ფაქტორის მოქმედების შედეგია და ეს ფაქტორი დამოუკიდებელი ცვლადია. ეს არის ექსპერიმენტული მეთოდის ძირითადი ლოგიკა: თუ ორი ჯგუფი იდენტურია ყველა ასპექტით, გარდა დამოუკიდებელი ცვლადის არსებობა-არარსებობისა, მაშინ მათ შორის არსებული ნებისმიერი განსხვავება

<sup>9</sup> Randomization.



დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილებით უნდა იყოს განპირობებული (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

### **ექსპერიმენტის ბაზისური პრინციპები: მაგალითები**

განვიხილოთ რამდენიმე ექსპერიმენტი, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ექსპერიმენტული დიზაინის ძირითად პრინციპებსა და სქემას.

**მაგალითი 1:** დავუშვათ, გვსურს ექსპერიმენტის ჩატარება, რომელშიც შევამოწმებთ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ურთიერთობის პროცესში ადამიანი მომდომარე მოსაუბრეს უფრო ხშირად უღიმის, ვიდრე მას, ვინც ურთიერთობისას არ იღიმება (McAdams, D. P., 2006). კვლევისთვის ავიღეთ 100 სტუდენტისგან შემდგარი შერჩევა. კვლევის თითოეულ მონაწილეს ვთხოვეთ ლაბორატორიაში მოსვლა პირისპირ ინტერვიუს ჩასატარებლად, რომლის ვიდეოჩანაწერი გაკეთდა. მონაწილეები შემთხვევითად გადავანაწილეთ ორ სხვადასხვა — ექსპერიმენტულ და საკონტროლო — ჯგუფში. ეს ნიშნავს, რომ კვლევაში მონაწილე 100 ადამიანიდან 50 შემთხვევით მოხვდა ორიდან ერთ-ერთ პირობაში ანუ ჯგუფში. ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებს დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ვესაუბრებით ღიმილით; ამასთან, ვიღმით წინასწარ დადგენილი რეგულარული ინტერვალებით. საკონტროლო ჯგუფის წევრები იგივე ინტერვიუში მონაწილეობენ, თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: მათ არ ვუღიმით. ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფები იდენტურ პირობებში აღმოჩნდნენ, ერთი ცვლადის გამონაკლისით: ესაა ჩვენი ღიმილი. ამგვარად, ამ კვლევაში დამოუკიდებელი ცვლადია, ვიღმით თუ არა (ანუ ჩვენი ღიმილი), ხოლო დამოკიდებული — რესპონდენტის გაღიმების რაოდენობა, რომელსაც ინტერვიუს ვიდეოჩანაწერზე ვითვლით. ჰიპოთეზა ექსპერიმენტულად დადასტურდება, თუ ექსპერიმენტული ჯგუფის წევრები უფრო ხშირად გაიღიმებენ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წევრები და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იქნება. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ექსპერიმენტში მიგვითითებს იმაზე, რომ ექსპერიმენტულად მანიპულირებადი დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობების ვარიაცია პასუხს აგებს ანუ მიზეზია, იწვევს დამოკიდებულ ცვლადის მნიშვნელობის შეცვლას. სხვა სიტყვებით, ინტერვიუერის ღიმილის რაოდენობა განაპირობებს რესპონდენტის ღიმილის რაოდენობას (McAdams, D. P., 2006).


**მაგალითი 2:** სოციალურმა ფსიქოლოგმა სტენლი შეხტერმა გამოთქვა ვარაუდი (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997), რომ ადამიანები, რომლებიც შიშობენ, რომ უცნობ სიტუაციაში რაიმე მოულოდნელი შეემთხვევათ, ვინმესთან, თუნდაც, სრულიად უცხო ადამიანთან ყოფნას ამჯობინებდნენ და არა — მარტო ყოფნას. სხვა სიტყვებით, მან ივარაუდა, რომ შფოთვის მატებამ შეიძლება სხვების გვერდით ყოფნის სურვილის (ავილაციის ტენდენციის) გაძლიერება გამოიწვიოს. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად მან უფროსკურსელი გოგონები მოიწვია. როდესაც კვლევის მონაწილეები მივიდნენ დანიშნულ ადგილას, მათ თეთრხალათიანი ექსპერიმენტატორი შეეგება, რომელიც სხვადასხვა ელექტრომოწყობილობით იყო გარშემორტყმული. ის მათ ფსიქიატრიული კლინიკის ნევროლოგიის განყოფილების ექიმად გაეცნო და, ასევე, გააცნო კვლევის მიზანი: ელექტროდენის დარტყმის გავლენის შესწავლა გულის კუნთის შეკუმშვის სიხშირესა და წნევაზე. შემდეგ თითოეულ მათგანს ცალკე აუხსნა, რომ მათ ელექტროდენის დარტყმის მოთმენა მოუწევდათ, როდესაც გაუზომავდნენ პულსსა და წნევას. შფოთვის დონის (დამოუკიდებელი ცვლადი) მანიპულირების მიზნით შეხტერმა გამოიყენა ელექტროდენის განმუხტვის მოქმედების ორი სხვადასხვა აღწერა. „მაღალშფოთვიანი“ სიტუაციის შესაქმნელად კვლევის მონაწილეებს მკაცრი, შემამინებელი ტონით აფრთხილებდნენ: „გულწრფელად გეტყვით, რა გელით. დენის დარტყმა ძალიან ძლიერი და მტკივნეულია. ალბათ, გესმით, რომ ამგვარ კვლევებში ყველაფერი უნდა შევისწავლოთ, რაც რეალურად დაეხმარება ადამიანს და ამიტომ უბრალოდ აუცილებელია, რომ დენის დარტყმები ინტენსიური იყოს“. კვლევის მონაწილეთა მეორე ჯგუფს ეუბნებოდნენ, რომ დენის დარტყმები ზომიერი და უმტკივნეულო იქნება. მაგალითად, ასე უხსნიდნენ: „არ შეგამინოთ სიტყვამ ‘დარტყმა’. დარწმუნებული ვარ, ექსპერიმენტი სიამოვნებას მოგანიჭებთ, ეს მსუბუქ ჩქმეტას ან შეღიტიანებას უფრო წააგავს, ვიდრე რაიმე

უსიამოვნოს.“ სინამდვილეში შეხტერის ექსპერიმენტში არავითარი ელექტროდარტყმები არ იყო დაგეგმილი. ინსტრუქცია მხოლოდ სხვადასხვა დონის შფოთვის შექმნას ემსახურებოდა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

მას შემდეგ, რაც კვლევის მონაწილეებს ინსტრუქციის მეშვეობით შეუქმნიდნენ შფოთვის მაღალ და დაბალ დონეს, ექსპერიმენტატორი აცნობებდა, რომ მათ 10 წუთი უნდა მოეცადათ კვლევის დაწყებამდე, რადგან ეს დრო აპარატურის დარეგულირებას სჭირდებოდა. დალოდებისთვის სთავაზობდნენ მოსაცდელ ოთახს, სადაც სხვებთან ერთად შეეძლოთ ყოფნა, ან იზოლირებულ ოთახებს, სადაც მარტო შეიძლებოდა დარჩენა. კვლევის მონაწილეებს ოთახები საკუთარი სურვილით შეეძლოთ აერჩიათ. ამის შემდეგ სათითაოდ ეკითხებოდნენ, როგორ ერჩივნათ ამ 10 წუთის გატარება — მარტო თუ სხვებთან ერთად, თუ სულ ეს ერთი იყო მათთვის. სწორედ ამ შეკითხვაზე მიღებული პასუხები აინტერესებდა შეხტერს — ეს იყო მისი დამოკიდებული ცვლადი. როგორც მოსალოდნელი იყო, მაღალი შფოთვის მქონე მონაწილეები უფრო ხშირად ამჯობინებდნენ სხვებთან ერთად ლოდინს, ვიდრე უფრო დაბალ შფოთვის მქონენი. სხვებთან ერთად დალოდების მსურველების რიცხვი ორჯერ მეტი იყო მაღალი შფოთვის მქონეთა ჯგუფში, ვიდრე — დაბალი შფოთვის მქონეთა ჯგუფში, რაც ნიშნავდა, რომ შფოთვის დონის შეცვლამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ავილაციურ ქცევაზე (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997).

**მაგალითი 3:** კვლევა შეეხებოდა შიშის განპირობებასა და დასწავლას, რომელიც მარტინ სელიგმენს ეკუთვნის და დასწავლილი უმწეობის ცნების დამუშავებას ისახავს მიზნად. სელიგმენმა და მისმა თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ ძაღლებს, რომლებზეც ერთ კონკრეტულ სიტუაციაში მოულოდნელი და არაკონტროლირებადი ელექტროშოკით მოქმედებდნენ, უმწეობის განცდა სხვა ისეთ სიტუაციებშიც გადაჰქონდათ, სადაც შესაძლებელი იყო ელექტროშოკისთვის თავის არიდება. პირველ სიტუაციაში მათ ისეთ პირობებს უქმნიდნენ, რომ რაც არ უნდა მოემოქმედებინათ, დენის მიწოდება მაინც არ წყდებოდა და არც დარტყმების ხანგრძლივობა და ინტენსივობა იცვლებოდა. როდესაც იგივე ძაღლები სრულიად

სურ. N1. სელიგმენის ძაღლი.



განსხვავებულ პირობებში მოათავსეს, სადაც ბარიერზე გადახტომით შეეძლოთ დენის დარტყმის თავიდან არიდება (სურ. N4), ძაღლების უმრავლესობა მაშინვე ნებდებოდა და უდრტყინველად იღებდა ელექტროშოკს. პირველ სიტუაციაში მათ დაისწავლეს, რომ არ შეუძლიათ დენის დარტყმაზე ზემოქმედება და ეს გამოცდილება მეორე სიტუაციაზეც გადაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ასე ხდებოდა ძაღლების უმრავლესობაში (დაახლოებით ორ მესამედთან), მაგრამ არა — ყველასთან, რაც მნიშვნელოვან ინდივიდუალურ განსხვავებებზე მიუთითებდა (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

უმწეობადასწავლილი ძაღლების ქცევა განსაკუთრებით განმაცვიფრებელი იყო იმ ძაღლების ქცევის ფონზე, რომლებიც მანამდე არ იღებდნენ დენის დარტყმებს ანდა იღებდნენ, მაგრამ სხვა პირობებში (Первин Л., Джон О., 2002). სიტუაციებში, რომლებშიც შესაძლებელი იყო თავის გადარჩენა, ეს ძაღლები პანიკურად ეხეთქებოდნენ კედლებს მანამ, სანამ შემთხვევით არ განახორციელებდნენ მოქმედებას (ბარიერზე გადახტომას), რაც გადარჩენდა მათ. ამის შემდეგ ისინი ყოველ ჯერზე უფრო და უფრო ნაკლებ დროს ანდომებდნენ თავის გადარჩენის ქცევის პოვნას, ვიდრე საბოლოოდ არ აღმოაჩენდნენ დარტყმისთვის თავის საერთოდ არიდების გზას. ამ „ჯანმრთელი“ ძაღლებისგან განსხვავებით, უმწეობადასწავლილი ძაღლები წვებოდნენ და წკმუტუნს იწყებდნენ. პროცედურის ყოველი შემდგომი გამეორებისას ისინი უფრო და უფრო სწრაფად ნებდებოდნენ და უფრო და უფრო პასიურად იღებდნენ დარტყმებს. ეს იყო დასწავლილი უმწეობის კლასიკური გამოვლინება. მათი სასოწარკვეთა იმდენად ღრმა იყო, რომ უკიდურესად ძნელი იყო მათი მოლოდინების შეცვლა. ექსპერიმენტატორები შეეცადნენ,

გაემარტივებინათ ძალღებისთვის დენის დარტყმებისგან თავის გადარჩენის შესაძლებლობა და საკვებით მიეტყუებინათ და აეძულებინათ, რომ უსაფრთხო ზონისკენ გადაადგილებულიყვნენ, მაგრამ უშედეგოდ. ყველაზე ხშირად ეს ძაღლები აგრძელებდნენ წოლას (Первин Л., Джон О., 2002).

საინტერესოა, რომ ექსპერიმენტული სიტუაციის მიღმაც განსხვავდებოდა უმწეობაგამომუშავებული ძაღლების ქცევა სხვა ძაღლებისგან: როდესაც ექსპერიმენტატორი შედიოდა გალიაში ე. წ. „ჯანმრთელი“ ძაღლის გამოსაყვანად, ეს არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან ძაღლი ეწინააღმდეგებოდა, გალიის კედელთან იყუჩებოდა და არ ემორჩილებოდა. რაც შეეხება უმწეო ძაღლს, პირიქით, ის აბსოლუტურად დაცემული და „ფარ-ხმალ დაყრილი“ იყო; პასიურად იწვა გალიის იატაკზე, ხანდახან ზურგზე ტრიალდებოდა და დაქვემდებარების პოზას იღებდა. ის არავის ეწინააღმდეგებოდა (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).<sup>10</sup>

### **ექსპერიმენტული დიზაინის შეფასება**

ვინაიდან ექსპერიმენტული დიზაინის ფარგლებში შესაძლებელია მიზეზისა და შედეგის იდენტიფიცირება სტანდარტიზირებულ პირობებში ცვლადების ზედმიწევნით დაგეგმილი მანიპულაციითა და კონტროლით, ზოგიერთი ფსიქოლოგი უპირატესობას ექსპერიმენტს ანიჭებს, კორელაციურ მეთოდთან შედარებით, როგორც ჰიპოთეზების შემოწმებაზე ორიენტირებულ კვლევას. მაგალითად, ერთ-ერთი მკვლევარი ექსპერიმენტს „მეცნიერების ბაზისურ მეთოდად“ მიიჩნევს (Mischel, 1986, გვ. 15, ციტირებულია წყაროში McAdams, D. P., 2006), ზოგიერთები კი მას „პრიორიტეტულს“ (Byrne & Kelly, 1981, წყაროში McAdams, D. P., 2006) ანდა „ყველაზე პრესტიჟულს“ (Singer, 1984, წყაროში McAdams, D. P., 2006) უწოდებენ. ამის საპირისპიროდ, პიროვნების ზოგიერთი ფსიქოლოგი უკიდურესად კრიტიკულია ლაბორატორიული ექსპერიმენტების მიმართ და ამტკიცებს, რომ ექსპერიმენტები ხელოვნური და ტრივიალურია (Carlson, 1971, 1984; Gergen, 1982, წყაროში McAdams, D. P., 2006). ფაქტობრივად, პიროვნების ფსიქოლოგიის ემპირიული საკითხები უგულვებელყოფენ ექსპერიმენტულ კვლევას, ვინაიდან შეუძლებელია კვლევისთვის საინტერესო დამოუკიდებელი ცვლადების სისტემატური ცვლა ცალკეული მონაწილეებისთვის; ისეთი ცვლადებისა, როგორცაა სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, დაბადების რიგი და სხეულის ზომა. იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია დამოუკიდებელი ცვლადების სისტემატურად ცვლა, ასეთი ექსპერიმენტული მანიპულაცია არასანდო და/ან არაეთიკურია. მაგალითად, თუ მეცნიერს სურს იკვლიოს, რა გავლენას ახდენს ბავშვზე განხორციელებული ძალადობა ადამიანის შემდგომ განვითარებაზე, ის ვერც სამართლებრივი და ვერც ეთიკური თვალსაზრისით ვერ შეძლებს ბავშვების ერთ ჯგუფზე ძალადობის განხორციელებას (ექსპერიმენტული ჯგუფი), ხოლო მეორე ჯგუფის ძალადობის გარეშე სიტუაციაში მოთავსებას (საკონტროლო ჯგუფი) და შემდეგ ვერ დააკვირდება ამ მანიპულაციის ეფექტს. ამის ნაცვლად, ბავშვზე ძალადობა რეალურ სამყაროში უნდა იქნას შესწავლილი კორელაციური დიზაინის სხვადასხვა მოდიფიკაციის გამოყენებით (McAdams, D. P., 2006).

### **ექსპერიმენტული დიზაინის ძლიერი და სუსტი მხარეები**

ცხადია, რომ ექსპერიმენტული მეთოდი უძლიერესი ემპირიული სტრატეგიაა. სხვა მიდგომებისაგან განსხვავებით, ის გარკვეული ფენომენების არა მხოლოდ კონტროლისა და წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, არამედ მათი ახსნის მოცემაც შეუძლია. სადაც არ უნდა გამოიყენებოდეს, ამ მეთოდით შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელსაც ვერ მოვიპოვებდით სხვა მეთოდებით (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). ექსპერიმენტული მიდგომის ძალა და უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია შერჩეული ცვლადების მართვა, ტენდენციურობისგან დაცლილი ობიექტური მონაცემების მოპოვება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა (Первин Л., Джон О., 2002).

თუმცა, ექსპერიმენტულ მეთოდსაც აქვს თავისი შეზღუდვები, ყოველ შემთხვევაში პიროვნების ფსიქოლოგიაში მაინც (Первин Л., Джон О., 2002).

<sup>10</sup> სელიგმენისა და მისი თანამშრომლების მიერ წარმოებული შემდგომი კვლევების მიმოხილვისთვის იხ. Первин Л., Джон О., 2002, გვ.73-75.

**ექსპერიმენტული კვლევის ეთიკური საკითხები.** პირველ რიგში, ზოგიერთი პრობლემის შესწავლა ექსპერიმენტული გზით უბრალოდ შეუძლებელია კვლევის არაეთიკურობის გამო, როგორც მარტივად არ უნდა იყოს ოპერაციულ დონეზე განსახორციელებლად (Первин Л., Джон О., 2002). მაგალითად, ფსიქოლოგებს არ აქვთ ისეთი პირობების შექმნის უფლება, რომლებიც პოტენციურ რისკს შეიცავენ კვლევის მონაწილეებისთვის (იქნება ეს რაიმე სახის ზიანის მიყენება თუ სხვა რამ). ვთქვათ, გვინტერესებს, რა გავლენას ახდენს ქრონიკული მარტოობა ბავშვის თვითშეფასებასა და დეპრესიის განვითარებაზე. ეს უდაოდ ემპირიულად მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ეთიკური მოსაზრებების გამო შეუძლებელია 10 წლის ასაკის 100 ბავშვის მოგროვება, რომელთაგან შემთხვევითობის წესით შერჩეულ 50 ბავშვს ისეთ ექსპერიმენტულ პირობებში მოვათავსებდით, რომელშიც მათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა არ ექნებოდათ.

კიდევ ერთი ეთიკური საკითხი კვლევის მონაწილეების მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანას უკავშირდება (APA, 2002). ხშირად კვლევის მონაწილე შეცდომაში შეჰყავთ იმით, რომ არ აცნობენ ექსპერიმენტის ჭეშმარიტ მიზანს, ან არასრულ ინფორმაციას აწვდიან. ამის საილუსტრაციოდ ზემოთ განხილული შეხტერის კვლევაც გამოდგება. წარმოიდგინეთ, რას იგრძნობდით, ამ ექსპერიმენტის მონაწილე რომ ყოფილიყავით და შემთხვევით მაღალი შფოთვის ჯგუფში რომ აღმოჩენილიყავით. შეიძლება იკითხოთ კიდევ: რამდენად გამართლებულია კვლევის მონაწილეების მოტყუება, თუნდაც ეს მეცნიერების მიზნებიდან გამომდინარე კეთდებოდეს? ისინი, ვინც გარკვეულ გამართლებას უძებნის კვლევის მონაწილეთა შეცდომაში შეყვანას, თვლიან, რომ ადამიანის ქცევის მრავალი ასპექტის შესწავლა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა, ექსპერიმენტატორებს კვლევის მონაწილეებისგან კვლევის ჭეშმარიტი მიზნების დაფარვის უფლება რომ არ ჰქონდეთ (Aronson, E., 1995). მეორე მხრივ, ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ სიმართლის დაფარვის ასეთი პრაქტიკა არყვეს ფსიქოლოგიური კვლევის მიმართ ადამიანების ნდობას, რასაც, შესაძლოა, შორს მიმავალი შედეგები ჰქონდეს მაშინაც კი, თუ კვლევის ჭეშმარიტ მიზნებს კვლევის დასრულებისთანავე გავაცნობთ მონაწილეებს (Первин Л., Джон О., 2002).

**ექსპერიმენტის ხელოვნურობა.** ექსპერიმენტული სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა, პერსონოლოგიების თვალსაზრისით, ისაა, რომ ექსპერიმენტი ხშირად ხელოვნურია. მისი შედეგების გადატანა არ ხდება სხვა პირობებსა თუ სიტუაციებზე. ამ პოზიციაზე მდგომი პერსონოლოგების მხრიდან გამოთქმული კრიტიკა მიმართულია იმაზე, რომ ვინაიდან ექსპერიმენტირება ლაბორატორიულ პირობებში ხდება, კვლევის მონაწილეების მიერ განხორციელებული ქცევის აღწერა არ იძლევა სრულ წარმოდგენას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მათი ქცევის შესახებ. ამასთან, ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევები, როგორც წესი, საკმაოდ ხანმოკლე ფენომენების შესწავლით შემოიფარგლება და ამიტომ დიდია ალბათობა, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროცესი მეცნიერების ყურადღების მიღმა დარჩეს. ამიტომ მრავალი პერსონოლოგისთვის პიროვნების რეალურად გაგებისა და შესწავლის ერთადერთი გზა ადამიანების ქცევის იმ ფორმების შესწავლაა, როგორც ეს რეალურ სოციალურ კონტექსტში ხორციელდება (Первин Л., Джон О., 2002).

**სასურველი შედეგების ეფექტი.** ვინაიდან ექსპერიმენტულ კვლევას ადამიანები ახორციელებენ და მასში, ასევე, ადამიანები მონაწილეობენ (პიროვნების ფსიქოლოგიაში მაინც), კვლევის პროცესში ვერ გამოვრიცხავთ ისეთ გავლენებს, რომლებიც ჩვეულია ადამიანების ყოველდღიური ურთიერთობებისთვის. პირველ რიგში, ეს შეიძლება იყოს გაუთვალისწინებელი ფაქტორები, რომლებიც კვლევის მონაწილეთა ქცევაზე ზემოქმედებენ. ეს შეიძლება იყოს თავად ექსპერიმენტულ სიტუაციაში ფარულად მოცემული მინიშნებები მკვლევრის მოლოდინებისა და ჰიპოთეზის შესახებ. ამიტომ კვლევის მონაწილე, „მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარე“, ისე იქცევა, რომ დაადასტუროს მკვლევრის ჰიპოთეზა. ასეთ გავლენებს სასურველი შედეგების ეფექტს უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი სოციალური ურთიერთქმედების ფორმაა, რომელშიც კვლევის მონაწილეები მიმდინარე პროცესს გარკვეულ აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებენ (Orne, 1962; Weber & Cook, 1972, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). კვლევისთვის მინიჭებული აზრი და მნიშვნელობა, შესაძლოა, სხვადასხვა იყოს სხვადასხვა

მონაწილისთვის, რაც არ არის ხოლმე გათვალისწინებული ექსპერიმენტის პროგრამაში და ამით მის ვალიდობასა და სანდოობას ამცირებს (Первин Л., Джон О., 2002).

**ექსპერიმენტატორის მოლოდინის ეფექტი.** ცდის მონაწილისგან მომდინარე შეცდომებისა და მიკერძოებულობის გარდა, არსებობს კვლევაზე განუზრახველი ზემოქმედებისა და შეცდომების მეორე წყარო — თავად ექსპერიმენტატორი. მან თავისდაუნებურად შეიძლება შეცდომები დაუშვას მონაცემების ჩაწერისა და ანალიზისას, კვლევის მონაწილეებს მისცეს მინიშნებები და ამით იმოქმედოს მათ ქცევაზე. ასეთმა გაუცნობიერებელმა, წინასწარ განუზრახველი მოლოდინის ეფექტმა შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ კვლევის მონაწილეები ჰიპოთეზის შესატყვის ქცევებს განახორციელებენ (Rosenthal, 1994, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

### **ექსპერიმენტული დიზაინის კრიტიკოსთა კრიტიკა**

ექსპერიმენტული მიდგომის მრავალი კრიტიკოსი თავად აღმოჩნდა საპასუხო კრიტიკის ობიექტი ექსპერიმენტატორი-ფსიქოლოგების მხრიდან. კერძოდ, გამოითქვა რამდენიმე დებულება ექსპერიმენტული მეთოდის დასაცავად (Первин Л., Джон О., 2002): (1) ექსპერიმენტული კვლევები მიზნულ-შედეგობრივი კავშირების შემოწმების საფუძველს ქმნიან, ხოლო დადგენილი კავშირების ზოგადობის ხარისხი შემდგომი კვლევა-ძიების საგანი შეიძლება იყოს; (2) ზოგიერთ ფენომენს ვერასოდეს აღმოვაჩენდით ლაბორატორიული ექსპერიმენტების გარეშე; (3) ლაბორატორიაში შესაძლებელია იმ ფენომენების შესწავლა, რომლებსაც მწელად თუ შევისწავლით სხვა მეთოდებით (მაგალითად, ექსპერიმენტულ პირობებში ცდის პირებს უფლება აქვთ, იყვნენ აგრესიულები, როდესაც ბუნებრივ პირობებში, საზოგადოებაში აგრესიის გამოვლინებებზე ხშირად საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები არსებობს); (4) ძალიან მწირია ისეთი ემპირიული ფაქტების რაოდენობა, რომლებიც ადასტურებენ, რომ ცდის მონაწილეები, ჩვეულებრივ, ექსპერიმენტატორის ჰიპოთეზის შესატყვისად ცდილობენ მოქცევას, ან რომ სხვა ექსპერიმენტული არტეფაქტების ზემოქმედება ესოდენ ძლიერია. მართლაც, კვლევის ბევრი მონაწილე ექსპერიმენტატორის მიმართ უარყოფითად უფრო არის ხოლმე განწყობილი, ვიდრე — კონფორმულად (Berkowitz & Donnerstein, 1982, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

### **სტრატეგია 3: შემთხვევის შესწავლა**

შემთხვევის შესწავლის კვლევითი მიზნებისთვის გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე რთული და გამოწვევებით აღსავსე წამოწყებაა სოციალურ კვლევაში (Yin, R. K., 2003). შემთხვევის შესწავლა, როგორც კვლევის სტრატეგია, მრავალ სფეროში გამოიყენება და, მათ შორის, პიროვნების ფსიქოლოგიაში.

#### **რა არის შემთხვევის შესწავლა**

შემთხვევის შესწავლის მეთოდები გულისხმობს კონკრეტული პიროვნების, სოციალური სიტუაციის, მოვლენის ან ჯგუფის შესახებ სისტემატური გზით საკმარისი ინფორმაციის მოგროვებას, რომელიც მკვლევარს საშუალებას მისცემს, ეფექტურად ჩაწვდეს/გაიგოს, თუ როგორ ოპერირებს ანუ ფუნქციონირებს ის. შემთხვევის შესწავლა არამარტო მონაცემების შეგროვების ტექნიკაა, არამედ მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც მონაცემების შეგროვების ტექნიკების/მეთოდების ერთობლიობას მოიცავს. მისი შესწავლის საგანი შეიძლება იყოს კონკრეტული ინდივიდი, ჯგუფი ან მთლიანი საზოგადოება; შესაბამისად, კვლევისას შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაცემების შეგროვების მთელი რიგი ტექნიკებისა, როგორცაა, მაგალითად, ცხოვრებისეული ისტორიები, დოკუმენტები, ზეპირი ისტორიები, ჩადრმავებული ინტერვიუები და მონაწილის დაკვირვება (Berg, 2001).

ცხადია, ერთი შემთხვევა შემოსაზღვრული სისტემაა (მაგალითად, ბავშვი, ჯგუფი, კლასი, თემი). ის რეალურ გარემოში, რეალური ადამიანების უნიკალურ მაგალითს იძლევა, რომელიც მკითხველს იდეებისა და მოსაზრებების უკეთ გაგების საშუალებას აძლევს, ვიდრე აბსტრაქტული თეორიების ან პრინციპების უბრალოდ მიწოდება. ფაქტობრივად, შემთხვევის შესწავლის საშუალებით მკითხველმა შეიძლება გაიგოს,

თუ როგორ ერგება ერთმანეთს იდეები და აბსტრაქტული პრინციპები (Watt, 1984, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). შემთხვევის შესწავლას ისეთ სიტუაციებში შეუძლია წვდომა, რომლებიც ყოველთვის არ ექვემდებარება რაოდენობრივ ანალიზს. შემთხვევის შესწავლა ახდენს ანალიტიკურ და არა — სტატისტიკურ განზოგადებას (Robson, 2002, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), ანუ, მისი გამოყენებით იქმნება თეორია, რომელიც მკვლევარებს სხვა მსგავსი შემთხვევების, ფენომენების ან სიტუაციების გაგებაში გაუწევს დახმარებას.

შემთხვევის შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს, დეტალურად შეისწავლოს მონაცემები მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში. შემთხვევათა უმრავლესობას შესწავლის სუბიექტია ერთი კონკრეტული ინდივიდი ან მცირე ჯგუფი და რეალური ცხოვრების ფენომენი შეისწავლება გარკვეული რაოდენობის მოვლენებისა და ვითარებების, მათ შორის ურთიერთმიმართებების დეტალური კონტექსტუალური ანალიზის მეშვეობით (Zainal Z., 2007).

შემთხვევის შესწავლაში შესაძლებელია მიზეზისა და შედეგის დადგენა. ფაქტობრივად, მისი ერთ-ერთი ძლიერი მხარე შედეგებზე რეალურ კონტექსტში დაკვირვება და აღიარებაა, ხოლო კონტექსტი, როგორც მიზეზების, ისე — შედეგების მძლავრი დეტერმინანტია. როგორც ნისბეტი და ვატი (1984, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) აღნიშნავენ, მთლიანი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი. შემთხვევის შესწავლის გამორჩეული მახასიათებელი ისაა (Struman, 1999, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), რომ ადამიანთა სისტემები მთლიანობით ანუ ინტეგრირებულობით ხასიათდებიან, ისინი ნიშნების თავისუფალ კავშირს არ წარმოადგენენ და ეს მთლიანობა სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. გარდა ამისა, კონტექსტები უნიკალური და დანამიკურია, შესაბამისად, შემთხვევის შესწავლა მოვლენების რთული დინამიკური და განვითარებადი ურთიერთქმედებების, ადამიანთა ურთიერთობებისა და სხვა ფაქტორების უნიკალურ, განუმეორებელ მაგალითს იკვლევს კიდევ და თავადაც წარმოადგენს. ჰიკოკი და ჰაგისი (1995, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ შემთხვევის შესწავლა ნაკლებად გამოირჩევა იმ მეთოდოლოგიებით, რომელსაც ის იყენებს, სამაგიეროდ, მეტად გამოირჩევა კვლევის სუბიექტით/ობიექტით. ეს ავტორები, ასევე, თვლიან, რომ შემთხვევის შესწავლის მიდგომა განსაკუთრებით ღირებულია, როდესაც მკვლევარი ნაკლებად აკონტროლებს მიმდინარე მოვლენებს. მათ მიაჩნიათ, რომ შემთხვევის შესწავლა მთელი რიგი ნიშნებით გამოირჩევა (იხ. ცხრილი 4).

#### ცხრილი 4. შემთხვევის შესწავლის ნიშნები.

##### ნიშნები

- დაინტერესებულია შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების მრავალფეროვანი და ხატოვანი აღწერით;
- ქრონოლოგიურად მოგვითხრობს შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;
- შერწყმულად გადმოსცემს მოვლენების აღწერასა და ანალიზს;
- ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ აქტორებზე, ან აქტორთა ჯგუფებზე და მოვლენების მათეული აღქმის გაგებას ცდილობს;
- გამოკვეთს შემთხვევასთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოვლენებს;
- მკვლევარი მთლიანად ჩართულია შემთხვევაში;
- ანგარიშის წერისას შემთხვევის მრავალფეროვნების, სიმდიდრის გადმოცემას ცდილობენ.

ადაპტირებულია წყაროდან Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007.

შემთხვევის შესწავლა ცდილობს აღწეროს, „როგორია“ კონკრეტულ მოცემულ სიტუაციაში ყოფნა, როგორია ახლოდან დანახული რეალობა, ვრცლად გადმოგვცეს (Girtz, 1973ბ, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) მონაწილეების კონკრეტულ სიტუაციასთან დაკავშირებული რეალური გამოცდილება, აზრები და გრძნობები. მასში შემთხვევაზე ან ფენომენზე მისსავე რეალურ კონტექსტში დაკვირვება მოიაზრება და, ჩვეულებრივ, მრავალგვარი მონაცემი გამოიყენება. ეს არის აღწერითი და დეტალური მეთოდი, რომელსაც ვიწრო ფოკუსი აქვს და სუბიექტური და ობიექტური მონაცემების კომბინირებას ახდენს (Dyer, 1995, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). შემთხვევის შესწავლაში მნიშვნელოვანია, რომ მოვლენები და სიტუაციები თავად ლაპარაკობენ საკუთარი თავის შესახებ და არ

ხდება მათი ინტენსიური ინტერპრეტაცია და შეფასება. ამ თვალსაზრისით, შემთხვევის შესწავლა სატელევიზიო დოკუმენტალისტიკას უახლოვდება; თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემთხვევის შესწავლა არასისტემური, ან მხოლოდ ილუსტრაციულია. მისთვის მონაცემები სისტემატურად და სკრუპულოზურად გროვდება (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

შემთხვევის შესწავლაზე დაყრდნობით შესაძლებელია თეორიული მოსაზრებების გამოთქმა, მაგრამ, კვლევისა და ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა სხვა ფორმების მსგავსად, ამ მოსაზრებებს თვალსაჩინო ემპირიული საბუთები უნდა ამყარებდეს. ამისათვის შემთხვევის შესწავლაში განზოგადების საკითხის გარკვევაა საჭირო. განზოგადებამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, მაგალითად: (ა) ერთი კონკრეტული მაგალითიდან იმ შემთხვევების კლასზე, რომელსაც ეს მაგალითი წარმოადგენს; (ბ) ერთი ცალკეული შემთხვევის მახასიათებლებიდან კლასების ერთობლიობაზე, რომელთაც ასეთივე მახასიათებლები აქვთ; (გ) შემთხვევის ერთი ცალკეული მახასიათებლიდან სრული შემთხვევის მახასიათებლებზე (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

პიროვნების ფსიქოლოგიაში შემთხვევის შესწავლა, ძირითადად, ერთ კონკრეტულ ინდივიდზე ხორციელდება, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ბავშვზე ძალადობის ერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც მოზრდილი ადამიანის ცხოვრების ადრეულ პერიოდში მოხდა, მაგრამ მისი გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ამ მოზრდილის გაგების საყრდენი წერტილია. ბავშვმა შეიძლება ერთადერთი კომენტარი გააკეთოს, რომელიც სრულ ფრუსტრაციაზე და მასწავლებლის შიშზე მიუთითებდეს და ის იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. ვინაიდან შემთხვევის შესწავლისას მკვლევარს არ აინტერესებს ხდომილობების სიხშირეები, რადგან შეიძლება თვისებრიობამ და ინტენსივობამ ჩაანაცვლოს და ერთმანეთისგან ქცევის მნიშვნელოვანი ცოტა და არამნიშვნელოვანი ბევრი შემთხვევა გამოიჯნოს. სწორედ მნიშვნელოვნებაა და არა — სიხშირე შემთხვევის შესწავლის ძირითადი მახასიათებელი, რაც მკვლევარს სიტუაციებისა და ადამიანების რეალური დინამიკის წვდომას სთავაზობს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### **შემთხვევის შესწავლის დაგეგმვა და პროცესი**

შემთხვევის შესწავლის დაგეგმვისას მკვლევარი რამდენიმე საკითხს განიხილავს (მაგალითად, Adelman, et. Al., 1980, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007):

- *შემთხვევის კონკრეტულ გარემო* პირობებში შედის: კონკრეტული მონაწილეების შესაძლო დაკარგვა, რაც თან სდევს მონაწილეობას; მონაცემების კუთვნილების და გაცემის შესახებ შეთანხმება;
- *კვლევის წარმოებაში* შედის: პირველადი და მეორადი წყაროების გამოყენება; მონაცემების შემოწმების შესაძლებლობა; ტრიანგულაცია (კოლეგების მიერ შედეგების განხილვის, რესპონდენტების მიერ ვალიდაციისა და რეფლექსიის ჩათვლით); მონაცემების შეგროვების მეთოდები ინტერპრეტაციული პარადიგმის ფარგლებში: შემთხვევის შესწავლა მონაცემების შეგროვების გარკვეული მეთოდებისკენ იხრება, როგორცაა, მაგალითად, ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული ინტერვიუები, თხრობითი ფორმით წარმოდგენილი ანგარიშები და დოკუმენტები, დღიურები, ასევე, შესაძლებელია ტესტები და არა — სხვა მეთოდები, მაგალითად, გამოკითხვები და ექსპერიმენტები. ნისბეტი და უატი (1984) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ინტერვიუების გამოყენებისას შეიძლება ჭკვიანური იყოს უფრო ასაკოვანი ადამიანების მოგვიანებით ინტერვიუება და არა დასაწყისშივე. დისკუსიის დრო მაქსიმალურად სასარგებლოდ რომ გამოიყენოს, მკვლევარი ინტერვიუს ჩატარებამდე უკვე უნდა იყოს სიტუაციის საერთო სურათის ნაწილი. დაბოლოს, კვლევის წარმოება მონაცემების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში, თეორიის გენერირებას და ანგარიშის დაწერას მოიაზრებს. ნისბეტი და უატი (1984) თვლიან, რომ მნიშვნელოვანია დასკვნებისა და მტკიცებულებების ერთმანეთისგან გამოიჯნა, არსებითი მტკიცებულებები ძირითად ტექსტში უნდა იყოს მოცემული და ილუსტრაცია ანალიზითა და განზოგადებით უნდა ბალანსირდებოდეს;

- *კვლევის შედეგები* (მონაწილეებისთვის). აქ შეიძლება შედიოდეს კვლევის გაანონიმურება მონაწილეების დაცვის მიზნით, თუმცა ასეთმა გაანონიმურებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ

შემთხვევის შესწავლის ძირითადი მიზანი განზოგადებაა და არა — უნიკალური შემთხვევის აღწერა, ანუ, ეს შეიძლება შემთხვევის შესწავლის ცენტრალურ მახასიათებელს დაუპირისპირდეს. ანგარიშის გაანონიმურებამ შეიძლება ტკვილგამაყურებელივით იმოქმედოს. ადელმენი და მისი კოლეგები (1980) მიიჩნევენ, რომ დამახინჯება, რომელიც ასეთ გაანონიმურებას ახლავს — შემთხვევა ამოუცნობი გახდა — კვლევის გასაჯაროებისაგან თავის დაცვისათვის ძალიან მაღალი ფასია.

ნისბეტი და უატი (1984, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) შემთხვევის შესწავლის განხორციელების სამ ძირითად ეტაპს გამოყოფენ. ვინაიდან შემთხვევის შესწავლა განვითარებადი სიტუაციების დინამიკას ასახავს, სასურველია ძალიან ფართო ფოკუსით დაწყება, შერჩევითობისა და წინასწარი მსჯელობების გარეშე. შემდგომი ფოკუსის თანდათანობით დავიწროება შექმნის ვიწრო, კონკრეტული ფოკუსის, ანუ შემდგომი კვლევისთვის და მონაცემების შეგროვებისთვის ძირითადი ფოკუსის გამოკვეთის შესაძლებლობას. მესამე ეტაპზე მზადდება ინტერპრეტაციის მონახაზი, რომელიც საბოლოო ფორმის მიღებამდე რესპონდენტთან უნდა გადამოწმდეს. ავტორები არ გვირჩევენ შემთხვევის შესწავლისას ჰიპოთეზის ძალიან ადრეულ ეტაპზე ფორმულირებას. მათ მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია მონაცემების ღიად, თავისუფლად შეგროვება. რესპონდენტის მიერ ვალიდაცია შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს, რადგან მან მოცემული საკითხის გამოხატვის უკეთესი გზა შეიძლება შემოგთავაზოს, ან რაიმეს დამატება ან დაზუსტება სურდეს.

თუმცა, რესპონდენტის მიერ ვალიდაცია გარკვეულ რისკს უკავშირდება, რადგან ის შეიძლება არ დაეთანხმოს მკვლევრის ინტერპრეტაციას. ნისბეტი და უატი (1984) ვეტოს უფლების თაობაზე შეთანხმების საჭიროებაზე მიუთითებენ. ისინი, ასევე, გვირჩევენ, რომ მკვლევარი დაპირდეს რესპონდენტს, რომ ის ანგარიშის იმ ნაწილებს ნახავს, რომელიც პირადად მას ეხება.<sup>11</sup> მკვლევარმა უნდა მიიღოს რესპონდენტის მიერ მიცემული ყველა შეთავაზება და პასუხი და, სადაც შესაძლებელია, შეცვალოს ანგარიში. მკვლევრისა და რესპონდენტის უთანხმოების შემთხვევაში, მკვლევარი უნდა შეპირდეს რესპონდენტს, რომ ის ანგარიშთან ერთად რესპონდენტის კომენტარებსა და კრიტიკულ შენიშვნებსაც გამოაქვეყნებს.

სტურმენი (1997) კონტინუუმზე ალაგებს იმ მონაცემების შეგროვების ბუნებას, ტიპებსა და ანალიზის ტექნიკებს, რომლებიც შემთხვევის შესწავლაში გამოიყენება (იხ. ცხრილი 5).

როგორც მეხუთე ცხრილიდანაც ჩანს, ერთ პოლუსზე არასტრუქტურირებული, ტიპური თვისებრივი მონაცემები გვაქვს, ხოლო მეორეზე — სტრუქტურირებული რაოდენობრივი მონაცემები. მკვლევარებმა, რომლებიც შემთხვევის შესწავლას იყენებენ, უნდა გადაწყვიტონ, მონაცემების შეგროვების რა მეთოდებს, რა ტიპის მონაცემებს და ანალიზის რომელ ტექნიკებს გამოიყენებენ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ცხრილი 5. მონაცემების მოგროვების კონტინუუმი, ტიპები და ანალიზი შემთხვევის შესწავლაში.

მონაცემების შეგროვება		
არასტრუქტურირებული (საველე ჩანაწერები)	(ინტერვიუები — ღიადან დახურული კითხვებისკენ)	სტრუქტურირებული (გამოკითხვები, აღწერის მონაცემები)
მონაცემების ტიპები		
თხრობა (საველე ჩანაწერები)	(კოდირებული თვისებრივი მონაცემები და არაპარამეტრული სტატისტიკები)	რიცხობრივი (შეფარდებების სკალის მონაცემები)
მონაცემების ანალიზი		
ჟურნალისტური (იმპრესიონისტული)	(კონტენტ ანალიზი)	სტატისტიკური (დასკვნითი სტატისტიკა)

წყარო: ადაპტირებულია Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007.

<sup>11</sup> კონფიდენციალობის დაცვის მექანიზმები შემთხვევის შესწავლაში, მაგალითად, სხვების კონფიდენციალობის.



### შემთხვევის შესწავლა პიროვნების ფსიქოლოგიაში

რეი კარლსონმა 1971 წელს სამართლიანად იკითხა: „სად არის პიროვნება პიროვნების კვლევაში?“ (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007). ეს არის კითხვა, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიაში მომუშავე მკვლევრებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც იმ დროისთვის უკვე ძალიან შორის იყვნენ პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მიზნისგან — მთლიანი პიროვნების შესწავლისგან და გადართულნი იყვნენ ცალკეული ნიშნების, მოტივებისა თუ კონსტრუქტების კვლევაზე და, შესაბამისად, კვლევის წარმოებისას შემთხვევის შესწავლა (და ზოგადად იდეოგრაფიული მიდგომა) ნამდვილად არ ჰქონდათ პრიორიტეტული კვლევითი სტრატეგიების ჩამონათვალში. გასული საუკუნის 60-70-იანი წლებისთვის ინდივიდუალური მიდგომა პიროვნების შესწავლისადმი, რომელიც ჯერ კიდევ ფროიდის ნაშრომებში იღებდა სათავეს (Freud, S., 1961), პრაქტიკულად განდევნილი იყო კვლევის მეთოდების არსენალიდან. ოლპორტისა და მარეის რევოლუციური შრომების (Elms, A. C., 1994) ამოსავალი მოსაზრება, რომ კვლევის საგანი პიროვნების ფსიქოლოგიაში ინდივიდუალური პიროვნება უნდა იყოს, ჩანაცვლებული იყო ნომოთეტური ტრადიციებით და გაზომვის ტექნიკების სწრაფი განვითარებით.

ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციის გავლენით, ფსიქოლოგებისთვის ემპირიული კვლევა ასოცირდება ექსპერიმენტირებასთან, პროგნოზთან, კონტროლთან და შედეგების რაოდენობრივ ანალიზთან; შესაბამისად, მეცნიერული ფსიქოლოგიის ფარგლებში ფსიქოლოგები თითქმის უყურადღებოდ ტოვებდნენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც ცალკეული შემთხვევების შესწავლას მოიაზრებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ კვლევისადმი იდეოგრაფიული მიდგომა და, კერძოდ, შემთხვევის შესწავლა, ფსიქობიოგრაფიისა და ნარატიული ფსიქოლოგიის ფარგლებში, ნელ-ნელა შემოდის პიროვნების ფსიქოლოგიის კვლევითი სტრატეგიების არსენალში (Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F., 2007).

პიროვნების ფსიქოლოგიაში შემთხვევის შესწავლა სხვადასხვა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს, ეს შეიძლება იყოს ფსიქოდიანოგოსტიკის სფეროში წარმოებული შემთხვევის შესწავლა, რომლის საბოლოო მიზანი დიაგნოზის დასმაა (ე. წ. ანამნეზის მეთოდი, როგორც მას სამედიცინო სფეროში უწოდებენ); ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის პროცესის მდგენელი, რომელიც პროფესიონალთან მოსული კლიენტის კონკრეტული შემთხვევის შესწავლას გულისმობს; ან ამა თუ იმ გამორჩეული ადამიანის ცხოვრების ფსიქობიოგრაფიული შესწავლა (რაც, შესაძლოა, ან ცხოვრებისეული ისტორიის პათოგენიზაციას ემსახურებოდეს — რომელიმე კონკრეტული ტრავმული/სტრესული გამოცდილებით ხსნიდეს მთელ დანარჩენ ცხოვრებას, ანდა ადამიანის ცხოვრების მანძილზე მოტივებს, მისწრაფებებსა და ქცევებს შორის ლოგიკური კავშირების ძიებას ისახავდეს მიზნად) (McAdams, D. P., 1996).

**კლინიკური შემთხვევის შესწავლა: ანამნეზის მეთოდი.** ადამიანის ქცევის შესწავლას დიდხანს უწოდებდნენ ავადმყოფობის ისტორიის, ანუ ანამნეზის შესწავლას. ეს მიდგომა ხშირად გამოიყენება კლინიკურ მედიცინაში ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით. ექიმები ცდილობენ, გაერკვნენ ავადმყოფის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ქცევის მოდელებში, რისთვისაც იყენებენ მის პირად მოგონებებს, იმ ადამიანებთან საუბრის მასალებს, რომლებიც მას კარგად იცნობენ, ავტობიოგრაფიულ და ბიოგრაფიულ დოკუმენტებს და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც ფსიქოლოგიური ტესტირების შედეგად შეიძლება იქნას მიღებული. ჩვეულებრივ, ექიმი ეძებს საკვანძო მოვლენებს პაციენტის წარსულსა და მომავალში, რათა გაარკვიოს მიმდინარე სირთულეების მიზეზები. თავის მხრივ, ავადმყოფობის ისტორია იძლევა მასალას, რომელიც კლინიციკტებს ემოციური აშლილობების სამკურნალოდ ეფექტური სტრატეგიების შერჩევაში ეხმარება (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

ავადმყოფობის ისტორიებმა, რომლებსაც ექიმები სწავლობდნენ პაციენტებთან მუშაობისას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პიროვნების ზოგიერთი თეორიის შექმნაში და ზოგადად კლინიკური აზროვნების განვითარებაში. ასე მაგალითად, ფროიდის ფსიქოდინამიკური თეორია მხოლოდ ცალკეული

კლინიკური შემთხვევების ინტენსიურ შესწავლას ეფუძნება. ფროიდი და სხვა ფსიქოანალიტიკოსები მრავალი წლის განმავლობაში სიღრმისეულად შეისწავლიდნენ ქცევის ისეთ გამოვლინებებს, როგორცაა ადრეული ბავშვობის მოგონებები, სიზმრები, ფანტაზიები, ფიზიკური დაავადებები და სიყვარული-სიძულვილის დამოკიდებულებები. ფროიდი არამარტო ადამიანის პიროვნების უნიკალობის შესახებ ახალი იდეების გენერირებისთვის იყენებდა კლინიკური შემთხვევების შესწავლას, არამედ ისინი მისი ძირითადი თეორიული დებულებების განმტკიცებასაც ემსახურებოდა. ანალოგიურად, კარლ როჯერსი პიროვნების შესწავლისადმი თავის ფენომენოლოგიურ მიდგომას, ძირითადად, იმ პაციენტების კლინიკურ ისტორიებზე აგებდა, რომლებიც მასთან ფსიქოთერაპიას გადიოდნენ (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფების ისტორიები მხოლოდ ცალკეული კონკრეტული პიროვნების მაქსიმალურად დეტალიზირებულ აღწერას და ანალიზს წარმოადგენენ, მათი შესწავლა არაჩვეულებრივად სასარგებლო კვლევითი სტრატეგიაა. ხანდახან მხოლოდ ერთი კლინიკური შემთხვევის შესწავლა ჰენს ნათელს ადამიანის ქცევის გარკვეულ კანონზომიერებებს, თუმცა, როგორც წესი, ერთხელობრივი შემთხვევა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, რათა მტკიცე საფუძველი გვექმნოდეს ქცევის ზოგადი პრინციპების აღსაწერად. მიუხედავად ამისა, თუ შემთხვევების რაოდენობა საკმარისი აღმოჩნდება კვლევისთვის, მეცნიერი ახერხებს მათ შორის მსგავსების ხარისხის დადგენასა და გარკვეული ზოგადი დასკვნების გამოტანას (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

### შემთხვევის შესწავლა: ფსიქობიოგრაფიული და ნარატიული კვლევა

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ფსიქოლოგიაში ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლა ჯერ კიდევ ფროიდისა (მაგალითად, „ერთი ილუზიის მომავალი“ ლეონარდო და ვინჩის შესახებ) (Freud, S., 1961) და იუნგის ნაშრომებში იღებს სათავეს, ერთი ინდივიდის შემთხვევის კომპლექსური შესწავლის პიონერად ჰენრი მარეი<sup>12</sup> და გორდონ ოლპორტი ითვლებიან.

მარეის მიაჩნდა, რომ ფსიქოდიანამიკოსები მართებულ კითხვებს სვამდნენ, მაგრამ მათზე პასუხების გასაცემად არაადეკვატურ მეთოდებს იყენებდნენ მაშინ, როცა აკადემიური ფსიქოლოგები მეცნიერული სიზუსტით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ტრივიალურ, მარტივ პრობლემებზე მუშაობდნენ. მარეიმ ამ ორი სამყაროს ინტეგრირება და „პერსონოლოგიის“ შექმნა, ანუ ცხოვრებისეული ისტორიების შესწავლისთვის მრავალგვარი ინტეგრირებული მეცნიერული მეთოდების გამოყენება სცადა (Runyan, 2008). მას მიაჩნდა, რომ ადამიანთა ცხოვრებისეული ისტორიების შესასწავლად საჭირო იყო ინტერდისციპლინარული გუნდი, რომლის კვლევის მეთოდების რიცხვში შევიდოდა ლაბორატორიაში ფიზიოლოგიური და ქცევითი დაკვირვებები, თვითანგარიშის კითხვარები, ინტერვიუები, ფსიქოანალიტიკური პროცედურები, ავტობიოგრაფიული სავარჯიშოები, მუსიკალური ტესტები და შემოქმედებითი შეფასება, სოციალური დილემები, მელნის ლაქები და წარმოსახვისა და ფანტაზიის ასამოქმედებელი სხვა მრავალი პროცედურა. მარეი და მორგანი ყველაზე დეტალურად და გამორჩეულად აღწერენ თემატური აპერცეფციის ტესტს (თატ) — პროცედურას, როდესაც ინდივიდები სასტიმლო მასალაზე (ბუნდოვან სურათებზე) მოთხრობებს იგონებენ. მიღებული ისტორიები შეიძლება გაანალიზდეს მოთხოვნილებების, მიმდინარე საფიქრალების, თემების, კონფლიქტების, ღირებულებების, ემოციებისა და ა. შ. მიხედვით (Murray, H., 2008).

მარეი თავის წიგნში (2008) წარმოადგენს მრავალფორმიანი, მრავალმეთოდიანი შეფასების სტრატეგიას, როდესაც ინდივიდები ფართო სპექტრის პროცედურებში მონაწილეობენ, ლაბორატორიული ექსპერიმენტებით დაწყებული, როგორცაა კანის გაღვანური რეაქციები, ავტობიოგრაფიების წერით დასრულებული, ხოლო მკვლევრები ამ სხვადასხვა მეთოდით მიღებულ შედეგებს პერსონოლოგიურ ფორმას აძლევენ და ინდივიდუალური პიროვნების, როგორც ერთი მთლიანის, აღწერას ცდილობენ.

<sup>12</sup> მარეის ერთ-ერთი დიდი ვნება იყო მელვინის („მოზი დიკის“ ავტორი) ცხოვრების კვლევა, რომელსაც თავისი პროფესიული მოღვაწეობის ბევრი წელი მიუძღვნა, თუმცა არ გამოუქვეყნებია ეს ნაშრომი თავის დროზე. სწორედ ამიტომ პირველი სერიოზული ნაშრომი პიროვნების ფსიქოლოგიაში ოლპორტს ეკუთვნის, რომელიც მარეის 1937 წელს გამოსული წიგნიდან ერთ წელიწადში გამოვიდა.

მარეისა და მისი კოლეგების მიერ გამოყენებული მეთოდები მიმართული იყო კვლევის თითოეული მონაწილის ცხოვრების მრავალი ასპექტის შესწავლაზე. ეს საშუალებას იძლეოდა თითოეული მათგანი მთლიანობაში და მისთვის ბუნებრივ პირობებში შეესწავლათ. ცდის პირების აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების უკეთესი შეფასებისათვის მარეიმ შეკრიბა გამოცდილ ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომლებიც ე.წ. „დიაგნოსტიკურ საბჭოზე“ თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ თითოეული მონაწილის შესახებ. დისკუსიის შედეგად ხმათა უმრავლესობით იღებდნენ დასკვნას იმის შესახებ, თუ როგორ იქნებოდა უკეთესი ამ პიროვნების დახასიათება. ჰარვარდის პერსონოლოგების ინტერდისციპლინურმა მიდგომამ დიდი გავლენა მოახდინა მკვლევართა მთელ თაობაზე — მათი მეცნიერული ინტერესი მთლიანი პიროვნებისკენ წარიმართა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

მარეისა და ოლპორტს (Elms, A. C., 1994) მიაჩნდათ, პიროვნების ფსიქოლოგია მოწოდებული უნდა იყოს ინსაიტებით სავსე, თეორიით მართული შემთხვევების შესწავლისთვის, რომელიც აღწერს და ახსნის ინდივიდუალური ცხოვრების კომპლექსურობასა და სირთულეს. მეცნიერება, როგორც წესი, ინდივიდუალური შემთხვევების მიღმა ზოგადის დანახვას, განზოგადებას ცდილობს, თუმცა მარეი და ოლპორტი ცალკეულ შემთხვევებს ანიჭებდნენ უპირატესობას, როდესაც საქმე პიროვნების კონსტრუქტებს და კონკრეტული ინდივიდის ცხოვრებისეული ისტორიის დალაგებას ეხებოდა. ცხადია, ბევრი ფსიქოლოგი აკრიტიკებდა შემთხვევის შესწავლას იმის გამო, რომ სხვა დანარჩენის გვერდით, ამ დროს შეუძლებელია განზოგადება და ადამიანის ქცევის ზოგადი წესების/კანონზომიერებების დანახვა; თუმცა მარეისა და ოლპორტის მიმდევრებმა და ბევრმა სხვა ფსიქოლოგმა წლების მანძილზე აჩვენეს, რომ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი პიროვნების გაგება, თუ მას მთლიანობაში, ცხოვრებისეული ისტორიის კონტექსტში განვიხილავთ (Lilienfeld, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000).

დღესდღეობით ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლა ინტენსიურად გამოიყენება პიროვნების ფსიქოლოგიის ისეთ დარგებში, როგორიცაა ფსიქობიოგრაფია და ნარატიული ფსიქოლოგია.

ფსიქობიოგრაფებს ისეთი გამორჩეული ადამიანების ცხოვრებისეული ისტორიები აინტერესებთ, როგორებიც არიან ხელოვანები (მხატვრები, მწერლები, პოეტები), პოლიტიკური ფიგურები და ცნობილი მეცნიერები (Elms, A. C., 1994).

ნარატიული ფსიქოლოგია დაინტერესებულია ინდივიდუალური ცხოვრებების შესწავლით, რომლებიც არ წყდება ადამიანის სოციალურ და კულტურულ კონტექსტს და განფენილია დროში (McAdams, D. P., 1996).

ორივე ვარიანტში შემთხვევის შესწავლა გამოიყენება არაკლინიკურ გარემოში და მიზნად არ ისახავს პათოლოგიის ძიებას. კვლევა მიმართულია პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლების გამოვლენაზე და მის უნიკალობაზე ხაზგასმას ესწრაფვის.

### **შემთხვევის შესწავლის შესაძლო უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები**

პარადოქსულია, მაგრამ შემთხვევის შესწავლის მონაცემები „ძლიერია რეალობაში“, სამაგიეროდ ძნელად დასაღებელია. ამის საპირისპიროდ, სხვა კვლევის მონაცემები ხშირად „სუსტია რეალობაში“, მაგრამ სწრაფად შეიძლება მათი მოწესრიგება. რეალობაში ასეთი სიმლიერე მოდის იქიდან, რომ შემთხვევის შესწავლა მყარად დგას მიწაზე, თანხვდება მკითხველის გამოცდილებას და ამით განზოგადების „ბუნებრივ“ საფუძველს უზრუნველყოფს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

შემთხვევის შესწავლა კონკრეტული შემთხვევის ან შემთხვევიდან კლასზე განზოგადების საშუალებას იძლევა. მისი უცნაური სიმლიერე შემთხვევის, როგორც ასეთის, ნიუანსებისადმი და კომპლექსურობისადმი ყურადღებაში ძვეს. ის აღიარებს სოციალური ჭეშმარიტებების კომპლექსურობასა და „ჩართულობას“. სოციალური სიტუაციების გულმოდგინე განხილვით შემთხვევის შესწავლას შეუძლია მონაწილეთა მოსაზრებებს შორის არსებული კონფლიქტების ან განსვლების გასაოცრად და მნიშვნელოვნად წარმოდგენა. საუკეთესო შემთხვევის შესწავლას ალტერნატიული ინტერპრეტაციებისთვის გარკვეული მხარდაჭერის შეთავაზება ხელეწიფება.

შემთხვევის შესწავლას, როგორც პროდუქტს, შეუძლია აღწერითი მასალის არქივის შექმნა. ეს არქივი საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება იმისათვის, რომ შემდგომ ხელახალი ინტერპრეტაცია გახდეს შესაძლებელი. (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

შემთხვევის შესწავლა „მოქმედებისკენ გადადგმული ნაბიჯია“. ის თავისი მნიშვნელოვანი წვლილით შედის მოქმედების სამყაროში. მისი წყალობით მიღებული ახალი ცოდნა შეიძლება პირდაპირ აიხსნას და პრაქტიკაში დაინერგოს თანამშრომლების ან თვითგანვითარებისათვის, ინსტიტუტებში უკუკავშირისთვის და ფორმირებადი შეფასებისთვის, ასევე, განათლების პოლიტიკის დაგეგმვაში იქნას გამოყენებული.

შემთხვევის შესწავლა კვლევის ან შეფასების მასალას საზოგადოებას მისთვის უფრო ხელმისაწვდომი სახით აწვდის, ვიდრე კვლევის ანგარიშის სხვა ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღირსებას მას მოცულობა ანიჭებს. პრეზენტაციის სამეტყველო ენა, ტრადიციული კვლევის ანგარიშის ენასთან შედარებით, ნაკლებ ეზოთერულია, ნაკლებ საიდუმლოებით მოცული და სპეციალიზებულ ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული. შემთხვევის შესწავლა შეიძლება რამდენიმე აუდიტორიისთვის იყოს განკუთვნილი. მასში შემცირებულია მკითხველის დამოკიდებულება გამოუთქმელ იმპლიციტურ დაშვებებზე და ხელმისაწვდომს ხდის თავად კვლევის პროცესს. მაშასადამე, შემთხვევის შესწავლას გადაწყვეტილების მიღების პროცესის (და თავად ცოდნის) „დემოკრატიზაციაში“ შეუძლია წვლილის შეტანა. საუკეთესო შემთხვევაში, ის მკითხველს კვლევის პრაქტიკული გამოყენების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას უტოვებს (Adelman, et. al., 1980, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

შემთხვევის შესწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები მოკლედ შეჯამებულია მეექვსე ცხრილში.

#### ცხრილი 6. შემთხვევის შესწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• შედეგები გაცილებით ადვილად ესმის ფართო აუდიტორიას (არააკადემიური სფეროს წარმომადგენლების ჩათვლით), ვინაიდან ისინი ხშირად ყოველდღიური, არაპროფესიული სამეტყველო ენით არის მოცემული;</li> <li>• იმთავთვე გასაგებია; ის საკუთარი თავის შესახებ თავად მეტყველებს;</li> <li>• უნიკალურ მახასიათებლებს აფიქსირებს, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგებოდა დიდი მოცულობის მქონე მონაცემებში (მაგალითად, გამოკითხვებში). ეს უნიკალური თვისებები შეიძლება სიტუაციის გაგების გასაღები იყოს. ძლიერია რეალობაში;</li> <li>• იძლევა სხვა მსგავს სიტუაციებში და შემთხვევებში წვდომის საშუალებას და ამით სხვა მსგავს შემთხვევების ინტერპრეტაციას ეხმარება;</li> <li>• მისი ჩატარება ცალკეულ მკვლევარს შეუძლია. არ არის აუცილებელი კვლევითი ჯგუფის ყოლა;</li> <li>• შეიძლება მოულოდნელ მოვლენებსა და არაკონტროლირებად ცვლადებს მოიცავდეს და მოიაზრებდეს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეიძლება ვერ მოხერხდეს შედეგების განზოგადება იმ შემთხვევების გარდა, როცა სხვა მკითხველები/მკვლევარები მათი გამოყენების გზებს ხედავენ;</li> <li>• არ არის იოლი მათი გადამოწმება, შესაბამისად, შეიძლება სელექციური, მიკერძობებული, პირადი და სუბიექტური იყოს.</li> <li>• რეფლექსიურობის საკითხის მოსაგვარებლად განხორცილებული მცდელობების მიუხედავად, დამკვირვებლის მიკერძობულობისკენაა მიდრეკილი.</li> </ul>

წყარო: ადაპტირებულია Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007

### რომელი სტრატეგიაა უკეთესი?

პერსონოლოგების მიერ გამოყენებული კვლევის ძირითადი სტრატეგიების განხილვა გვიჩვენებს, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). ამასთან, ცხადია, რომ არ არსებობს კვლევის ერთადერთი მეთოდი, რომელიც იდეალური იქნებოდა ყველა შემთხვევისა და საკითხის საკვლევად. სხვადასხვა საკითხი გადაწყვეტის სხვადასხვა სტრატეგიას მოითხოვს. გარდა ამისა, მეთოდი, რომელიც გამოსადეგია რომელიმე საკითხის საკვლევად, შეიძლება სრულიად უსარგებლო იყოს სხვა საკითხისათვის.

ამა თუ იმ თეორიული საკითხის გადაწყვეტისთვის სათანადო მეთოდის შერჩევა და მორგება დიდ ოსტატობასა და შემოქმედებითობას მოითხოვს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პერსონოლოგებს გარკვეული პრიორიტეტები და წარმოდგენები აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იკვლიონ მათთვის საინტერესო ფენომენები. ეს, მეტწილად, განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობა, ჩვეულებრივ, იმ ფენომენებზე ფოკუსირდება, რომელთა შესწავლა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სტრატეგიის გამოყენებითაა შესაძლებელი. ასე მაგალითად, ბუნებრივია, ფსიქოდინამიკური მიმართულებისთვის საინტერესო მოვლენებს (იქნება ეს არაცნობიერი პროცესები თუ ადრეული ბავშვობის განცდები), ძირითადად, კლინიკური შემთხვევის მეთოდით შეისწავლიდნენ და არა — ექსპერიმენტით (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

გარდა ამისა, თეორიის ცენტრალურ საკითხებსა და ამ საკითხების კვლევის პრიორიტეტულ მეთოდებს შორის კავშირში მოიაზრება, რომ პერსონოლოგიაში კვლევის სტრატეგიის არჩევას მეცნიერის ინდივიდუალური შემოქმედებითი მისწრაფებები განაპირობებენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მართალია, პიროვნების კვლევის მიზანი ისეთი ფაქტებისა და კანონზომიერებების დადგენაა, რომელთა გააზრება ფართო თეორიულ კონტექსტებშია შესაძლებელი, მაქსიმალური მიდევნა, ალბათ, მაინც მხოლოდ ნაწილობრივი წვდომა და ეს უკეთესია, ვიდრე სულ არაფერი.

ცხრილი 7 აჯამებს პიროვნების ფსიქოლოგიაში კვლევის სამი სტრატეგიის გამოყენების პრიორიტეტულ და ნაკლოვან მხარეებს.

ცხრილი 7. სამი სტრატეგიის უპირატესი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მეთოდი	უპირატესობა	ნაკლი
კორელაციული მეთოდი	<ul style="list-style-type: none"> <li>ინდივიდუალურ განსხვავებებთან დაკავშირებული ცვლადების ფართო სპექტრის კვლევის საშუალებას იძლევა;</li> <li>ცვლადების რეალური ცხოვრების ბუნებრივ გარემოში შესწავლის საშუალებას იძლევა;</li> <li>საშუალებას იძლევა, განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა ერთი ცვლადის შესახებ ინფორმაციის გამოყენება მომავალში მეორე ცვლადის გამოვლენის (ან ქცევის) პროგნოზირებისთვის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>არ იძლევა ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალებას;</li> <li>შესაძლებელია მესამე ცვლადის ჩარევით გამოწვეული ბუნდოვანება და გაურკვეველობა;</li> <li>თვითმეფასების სკალების სანდოობა და ვალიდობა შეიძლება საეჭვო იყოს.</li> </ul>
ექსპერიმენტული მეთოდი	<ul style="list-style-type: none"> <li>საკუთარი შეხედულებების მიხედვით ცალკეული ცვლადების იზოლირებისა და მათით მანიპულირების საშუალებას იძლევა;</li> <li>ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და მიზეზობრიობის შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა;</li> <li>ობიექტივიზირებულია მონაცემების შეგროვება, ჩაწერა და ანალიზი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ეთიკური მოსაზრებების გამო შეზღუდულია ლაბორატორიულ პირობებში შესასწავლი ფენომენების დიაპაზონი;</li> <li>ხელოვნურმა ლაბორატორიულმა პირობებმა შეიძლება შეზღუდოს ექსპერიმენტულ პირობებში განხორციელებული ქცევის კანონზომიერებების განზოგადება არასატესტო პირობებში განხორციელებულ ქცევაზე;</li> <li>შესასწავლი ცვლადის ცვლილებაზე შეიძლება ექსპერიმენტული არტეფაქტები შემოქმედებდნენ (მაგალითად, სოციალურად სასურველი ან არასასურველი ქცევის შესახებ წარმოდგენები, მოთხოვნილი</li> </ul>

კლინიკური შემთხვევების შესწავლა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ავლენს ინდივიდის უნიკალობასა და სირთულეს;</li> <li>• თავისუფალია ხელოვნული და მოგონილი ლაბორატორიული პირობებისგან.</li> </ul>	<p>მახასიათებლები, ექსპერიმენტატორის მიკერძოებები).</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ იძლევა სანდო საფუძველს ქცევის ზოგადი პრინციპების ფორმულირებისთვის;</li> <li>• შედეგები, შესაძლოა, მკვლევრის ინტერესებსა და პირად მიდრეკილებებს ასახავდეს;</li> <li>• არ იძლევა ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის საშუალებას.</li> </ul>
---------------------------------	--	--

წყარო: *Первин Л., Джон О., 2002.*

## რა მეთოდებით იკვლევენ პიროვნების ფსიქოლოგები: პიროვნების შეფასება

პიროვნების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად პერსონოლოგები შეფასების სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ეს შეიძლება იყოს კითხვარები, პროექციული ტესტები, პირადი საბუთები, საარქივო ჩანაწერები, ქცევაზე დაკვირვება, დახასიათებები და ა. შ. ყველა მეთოდს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია, რომელიც მონაცემების შეგროვების ხერხებს, დათვლასა და ინტერპრეტაციას, ინსტრუმენტების სანდოობისა და ვალიდობის საკითხებს უკავშირდება (Хелл Л., Зиглер Д., 1997).

როგორც უკვე ვთქვით, პიროვნების მკვლევრები, დიდწილად, ადამიანების ქცევასა და გამოცდილებაში არსებული ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლით არიან დაინტერესებულნი. ინდივიდუალური განსხვავებების კვლევისას პერსონოლოგების წინაშე ორი ურთიერთდაკავშირებულ საკითხი დგას: (1) მათ აინტერესებთ ის მრავალი პარამეტრი, რომლითაც ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამის დასტურია იმ თეორიული კონცეფციების სიმრავლე, რომელთაც იყენებენ პერსონოლოგები ინდივიდუალური განსხვავებების აღსაწერად. ისეთი ტერმინები, როგორიცაა ნიშანი, ტიპი, მოტივი, ღირებულება, ტემპერამენტი, ხასიათი, რწმენა და ფაქტორი, გაზომვის კონცეპტუალური ერთეულების ნაკრებს ქმნიან, რომლებიც ადამიანის ქცევის სტაბილური ასპექტების აღსაწერად გამოიყენება; (2) პერსონოლოგებს აინტერესებთ ინდივიდუალური განსხვავებების გაზომვისთვის ანუ შეფასებისთვის გამოსადეგი მეთოდების (საშუალებების) შემდგომი დახვეწა-განვითარება. ამ საკითხის მნიშვნელობაზე ფსიქოლოგიური ტესტების ის უზარმაზარი რაოდენობა მიგვიჩვენებს, რომლებსაც ფსიქოლოგები ქმნიან და იყენებენ ინდივიდის მახასიათებლების, მათ შორის, გრძნობებისა და მოტივაციის, რაოდენობრივი შეფასებისთვის. ამასთან, რაოდენობრივი ინტერპრეტაცია ისე ხორციელდება, რომ ფსიქოლოგებს შეეძლოთ ჩატარებული გაზომვის შედეგების უფრო რიცხვების და არა — სიტყვების სახით (ჩვეულებრივ, ტესტური შეფასების საფუძველზე) წარმოდგენა. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ იკითხოთ: „ფრედი მორცხვი ადამიანია?“ ფსიქოლოგები კითხულობენ: „სხვებთან შედარებით რამდენად უფრო მორცხვია ფრედი?“ არაპროფესიონალების მიერ არასისტემატიზირებული დაკვირვების საფუძველზე გაკეთებული პიროვნების აღწერა თვისობრივად განსხვავდება ფსიქოლოგების მიერ მოცემული შეფასებებისგან მათი ბუნდოვანებისა და განუსაზღვრელობის გამო. მაგალითად, რას ნიშნავს, თუ ვინმეზე ვამბობთ: „ის თამამი და მოუსვენარი ტიპია?“ აქ პრობლემა ისაა, რომ სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულ შინაარსს/აზრს დებს ამ ფრაზაში. ჩემთვის ეს, შესაძლოა, ნიშნავდეს, რომ ის თავხედი, ცვალებადი და არასაიმედო ადამიანია, ხოლო თქვენთვის იგივე აღწერა რისკიანობის, ინიციატივიანობისა და სიახლის მაძიებლის შინაარსის მატარებელი იყოს (Хелл Л., Зиглер Д., 1997).

ასეთი უზუსტო და არაერთმნიშვნელოვანი დახასიათებებისგან თავის დასაღწევად პერსონოლოგები ცდილობენ, რომ ინდივიდის ზუსტი რაოდენობრივი აღწერები წარმოადგინონ. პიროვნების ფორმალური შეფასება არა მხოლოდ ინდივიდუალური განსხვავებების შესახებ მნიშვნელოვანი და ზუსტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, არამედ ამ ინფორმაციას ადამიანებს მკაფიო და ნათლად ჩამოყალიბებული სახით აწვდის (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

კვლევის კონკრეტული მეთოდების განხილვამდე აუცილებელია პიროვნების შეფასებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიმოხილვა, როგორცაა ნორმები, სტანდარტიზაციის, ვალიდობისა და სანდოობის საკითხები.

## პიროვნების კვლევის მეთოდების შეფასების კრიტერიუმები

პიროვნების შეფასების ამა თუ იმ საშუალებას/მეთოდიკას რომ ინდივიდუალური განსხვავებების გაზომვის მეცნიერულად გამართული და მისაღები მეთოდი ვუწოდოთ, ამისათვის ის ოთხი სპეციალური კრიტერიუმით უნდა შემოწმდეს. ეს კრიტერიუმებია: სტანდარტიზაცია, ნორმები, სანდოობა და ვალიდობა.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

### სტანდარტიზაცია

პიროვნული მახასიათებლების გაზომვის საკვანძო ასპექტია *სტანდარტიზაცია*, რაც ტესტირების, ინტერვიუს ან ექსპერიმენტის მონაწილისადმი მოპყრობის ან მონაცემების დაფიქსირების უნიფიცირებულ პროცედურას გულისხმობს (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). მაგალითად, თვითშეფასების სკალების გამოყენებისას, ექსპერიმენტატორი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რათა დარწმუნდეს, რომ კვლევის ყველა მონაწილემ წაიკითხა და გაიგო ინსტრუქცია; ყველა ერთსა და იმავე შეკითხვაზე იძლევა პასუხს და ამას წინასწარ დადგენილ დროში აკეთებენ. სტანდარტიზაცია, ასევე, ითვალისწინებს ისეთი ინფორმაციის არსებობას, როგორცაა, თუ როგორ პირობებში შეიძლება და/ან არ შეიძლება ტესტირების ჩატარება; ვის უნდა და ვის არ უნდა ჩაუტარდეს ტესტირება; ტესტის შედეგების დათვლის პროცედურა და ტესტირების შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის გზები (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### ნორმები

პიროვნების შეფასების მეთოდიკის სტანდარტიზაცია, ასევე, გულისხმობს ისეთი ინფორმაციის არსებობას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორია მოცემული კონკრეტული "ნედლი" (პირველადი) შეფასება და ამავე ტესტში მიღებულ სხვა "ნედლ შეფასებებთან" მიმართებაში, კერძოდ, უფრო დაბალია, საშუალოა თუ მაღალია მასზე (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ამ ტიპის ინფორმაციას *ტესტურ ნორმას* უწოდებენ და სტანდარტად იყენებენ. სხვა სიტყვებით, ტესტურ ნორმას, როგორც წესი, ადარებენ კვლევის ყოველი კონკრეტული მონაწილის მიერ მიღებულ შეფასებას. ჩვეულებრივ, ნედლი ტესტური შეფასებები გადაიყვანება პროცენტული მაჩვენებლებში, რომლებიც გვიჩვენებს კვლევის მონაწილეთა პროცენტულ წილს სტანდარტიზაციის შერჩევიდან, რომელთა პირველადი შეფასება უფრო დაბალი ან ტოლი იყო ამ კონკრეტული მონაწილის პირველად შეფასებასთან მიმართებით (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997). მაგალითად, თუ კვლევაში შფოთვის საზომ 30 დებულებიან სკალას ვიყენებთ და თქვენი პირველადი ტესტური შედეგი 18 ქულაა, ეს ნიშნავს, რომ თქვენს მიერ მოცემული პასუხები 18-ჯერ (18 შემთხვევაში 30-დან) დაემთხვევა კითხვარის პასუხების ფუნციულზე ჩამოთვლილ შფოთვის ნიშნებს. თავისთავად 18 ქულა არაფრის მთქმელია, ვიდრე ამ 18 ქულას არ შეადარებთ ტესტურ ნორმებს და არ ნახავთ, რომ ეს შედეგი 75-ე პროცენტის შესაბამეა. ეს კი, თავის

მხრივ, ნიშნავს, რომ თქვენ უფრო მშფოთვარე ხართ, ვიდრე ნორმატიულ ჯგუფში<sup>13</sup> შემავალ ცდის პირთა 75%.

ამრიგად, ტესტური ნორმები საშუალებას გვაძლევს, ცალკეული ინდივიდების მიერ მიღებული შეფასებები სტანდარტიზაციის ჯგუფის შეფასებებს შევადაროთ და, აქედან გამომდინარე, ვნახოთ, თუ რა ადგილი უკავია ამ კონკრეტული ცდის პირის შეფასებას ნორმატიულ ჯგუფთან მიმართებაში (Хьюел Л., Зиглер Д., 1997).

## სანდობა

სანდობას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაში (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). რაოდენობრივ კვლევაში სანდობა, არსებითად, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ინსტრუმენტის შემთხვევაში და რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფთან გარანტიის, თანმიმდევრულობისა და განმეორების სინონიმია. ის სიზუსტესა და სკრუპულოზურობას ეხება. ზოგიერთი ნიშანი, მაგალითად, სიმადლე, შეიძლება ზუსტად გაიზომოს, სხვები კი, მაგალითად, მუსიკალური უნარი— ვერა. იმისთვის, რომ კვლევა სანდო იყოს, მან უნდა აჩვენოს, რომ რესპონდენტების მსგავს ჯგუფთან მსგავს (ნებისმიერად განსაზღვრულ) კონტექსტში ჩატარების შემთხვევაში, მსგავს შედეგებს ვიღებთ. სანდობის სამი ძირითადი ტიპი არსებობს: სტაბილობა, ეკვივალენტობა და შინაგანი შეთანხმებულობა.

### სანდობა სტაბილობის სახით

სანდობა ამ ფორმით დროში და მსგავს შერჩევებში შეთანხმებას გულისხმობს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). კვლევაში სანდო ინსტრუმენტი სხვადასხვა დროს მსგავსი რესპონდენტებისგან მსგავს მონაცემებს იძლევა. თუ საცობიდან ყოველ დღე ერთი ლიტრი წყალი ჟონავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყალი სანდოდ იჟონება, მაგრამ თუ საცობიდან ზოგჯერ ერთი ლიტრი წყალი იჟონება და ზოგჯერ — ორი, მაშინ ეს არ იქნება სანდოდ გაჟონვა. კვლევის ექსპერიმენტულ და გამოკითხვის მოდელეებში ეს ნიშნავს, რომ თუ ტესტი და რეტესტი (ანუ ხელახალი ტესტირება) სათანდო დროის შუალედში ჩატარდა, მაშინ მსგავსი შედეგები უნდა მივიღოთ. მკვლევარმა უნდა გადაწყვიტოს, დროის რა შუალედია ადეკვატური. ძალიან მცირე დროის შუალედში მონაწილეებს შეიძლება ახსოვდეთ, რა თქვეს, ან რა გააკეთეს პირველი ტესტის დროს; დროის დიდ შუალედში კი გარეშე ფაქტორების ზემოქმედებამ შეიძლება დაამახინჯოს მონაცემები (მაგალითად, მომწიფება სტუდენტებში, მათზე მოქმედი გარეგანი გავლენები). ამ ტიპის სანდობის საჩვენებლად მკვლევარმა სწორად უნდა შეარჩიოს ტესტისა და რეტესტის ვადა, ანუ ის, თუ დროის რა შუალედი იქნება ორ ტესტირებას შორის. შემდეგ გამოითვლება კორელაციის კოეფიციენტები პრეტესტსა და პოსტტესტს შორის, რომელთა გამოსათვლელი ფორმულები პირდაპირ არის მოცემული სტატისტიკის სახელმძღვანელოებსა და ტესტის აღმწერ წიგნებში.

დროში სტაბილობის გარდა, სანდობა, როგორც სტაბილობა, შეიძლება მსგავს შერჩევებს შორის სტაბილობაც იყოს. მაგალითად, თუ ტესტს ან კითხვარს ერთდროულად სტუდენტების ორ ჯგუფს ვაწვდით, რომლებიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს მნიშვნელოვანი მახასიათებლებით (მაგალითად, ასაკით, სქესით, უნარებითა და ა. შ. — რა მახასიათებლებსაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა შედეგებზე), მაშინ შედეგები (ტესტებში) ან პასუხები (კითხვარებში) ურთიერთმსგავსი უნდა მივიღოთ. ტესტ-რეტესტის მეთოდის ამ ფორმის კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა ან მთლიანი ტესტისთვისაა (მაგალითად, პირსონის კორელაციის კოეფიციენტის ან t კრიტერიუმის გამოყენებით) შესაძლებელი, ან — კითხვარის ნაწილებისთვის (მაგალითად, სპირმენის ან პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, შესატყვისობის მიხედვით, ან t კრიტერიუმი). შემდეგ დადგინდება კორელაციის კოეფიციენტის

<sup>13</sup> ანუ ჯგუფი, რომელზეც მოხდა ამ კონკრეტული კითხვარის/ტესტის ნორმების დადგენა.



სტატისტიკური მნიშვნელოვნება, რომელიც 0.05-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს, რომ სანდობა გარანტირებულად ჩავთვალოთ (Field, A., 2005).<sup>14</sup>

ტესტ-რეტესტის მეთოდის გამოყენებისას მოსაფიქრებელი და მოსაგვარებელია (Cooper and Schindler, 2001, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) შემდეგი: (1) ტესტსა და რეტესტს შორის დროის შუალედი არ უნდა იყოს იმდენად დიდი, რომ სიტუაციური ფაქტორები შეიცვალოს; (2) მონაწილეები შეიძლება დაინტერესდნენ საკვლევი სფეროთი და თავად მიადევნონ მას თვალი ტესტსა და რეტესტს შორის დროის შუალედში.

### **სანდობა ეკვივალენტობის სახით**

ამ ტიპის სანდობა ორ ძირითად სახეობას აერთიანებს. პირველ რიგში, სანდობა შეიძლება მიიღწეოდეს ტესტის ან მონაცემების შეგროვების სხვა ინსტრუმენტის ეკვივალენტური ფორმების (ცნობილია, ასევე, როგორც ალტერნატიული ფორმები) გამოყენებით (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). თუ არსებობს ტესტის ან ინსტრუმენტის ეკვივალენტური ფორმები და ისინი მსგავს შედეგებს იძლევიან, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტი აჩვენებს ამ ფორმის სანდობას. მაგალითად, ამ ტიპის სანდობის მქონედ მიჩნეული პრეტესტი და პოსტ-ტესტი ექსპერიმენტში ერთი და იმავე საკითხების გაზომვის ალტერნატიულ ფორმებად გამოიყენება. ასეთი სანდობის ჩვენება მაშინაც არის შესაძლებელი, თუ ტესტის ან სხვა ინსტრუმენტის ეკვივალენტური ფორმები თავსებადი შერჩევებისთვის (მაგალითად, ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფები, ან ორი შემთხვევითი სტრატეგიცირებული შერჩევა გამოკითხვაში) ერთდროულად მიწოდებისას მსგავს შედეგებს იძლევიან. აქ სანდობა შეიძლება გაიზომოს  $t$  კრიტერიუმით, კორელაციის მაღალი კოეფიციენტისა და ორი ჯგუფისთვის მსგავსი საშუალოებისა და სტანდარტული გადახრების ჩვენებით (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ეკვივალენტობის სახით სანდობის მიღწევის მეორე გზა შემფასებელთა შორის თანხმობის მიღებაა. თუ კვლევაში ერთზე მეტი მკვლევარი მონაწილეობს, მაშინ, ვინაიდან ადამიანის მიერ გაკეთებული შეფასება არ არის შეცდომისგან დაზღვეული, შეთანხმების მიღწევა ყველა მკვლევარს შორის უნდა მოხდეს მონაცემების ანალიზის ეტაპზე, თითოეული მათგანის მიერ მონაცემების ერთნაირად დაფიქსირების უზრუნველყოფით. ეს განსაკუთრებით ეხება მკვლევართა გუნდს, რომელიც სტრუქტურირებული დაკვირვების, ან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეშვეობით აგროვებს მონაცემებს; გუნდის თითოეული წევრი უნდა დაეთანხმოს იმას, თუ რომელი მონაცემი რომელ კატეგორიაში შევიდეს. დაკვირვების მონაცემების სანდობის საკითხი გვარდება ტრენინგით, როდესაც მკვლევრები ვიდეომასალაზე მუშაობენ, რათა ნახონ, თუ რამდენად ერთნაირად შეაქვთ მონაცემები (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### **სანდობა შინაგანი შეთანხმების სახით**

მაშინ, როცა სანდობის დემონსტრირების ტესტ-რეტესტის მეთოდი და ეკვივალენტური ფორმების მეთოდი ტესტების ან ინსტრუმენტების ორჯერ გამოყენებას მოითხოვს, შინაგანი შეთანხმებულობის საჩვენებლად ტესტების ან ინსტრუმენტების მიწოდება შუაზე გახლეჩვის მეთოდის გამოყენებით მხოლოდ ერთხელ არის საჭირო (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ვთქვათ, ტესტი სტუდენტების ჯგუფს უნდა ჩავუტაროთ. ამ შემთხვევაში ტესტის დებულებები იყოფა შუაზე ისე, რომ თითოეულ ნახევარში თანაბარი სირთულისა და/ან შინაარსის მქონე დებულებები მოხვდეს. თითოეული ნახევარი დამოუკიდებლად ფასდება. თუ ტესტმა შუაზე გახლეჩვის სანდობა უნდა აჩვენოს, მაშინ თითოეულ ნახევარში მიღებული შეფასებები ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა კორელირებდეს. ნებისმიერი სტუდენტის მიერ ერთ ნახევარში მიღებული შეფასება უნდა შეესაბამებოდეს მის მიერ მეორე ნახევარში მიღებულ შეფასებას. ამის გამოთვლა სპირმენ-ბრაუნის ფორმულით არის შესაძლებელი:

<sup>14</sup> შერჩევებს შორის სანდობის ეს ფორმა განსაკუთრებით გამოსადეგია ტესტებისა და კითხვარების პილოტირებისას.

$$\text{სანდობა} = \frac{2r}{1+r}$$

სადაც  $r$  ინსტრუმენტის ნახევრებს შორის რეალურად არსებული კორელაციაა. ამ ფორმულისთვის საჭიროა კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლა, მაგალითად, სპირმენის რანგული კორელაციის, ან პირსონის შერეული მომენტის კორელაციის კოეფიციენტის (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ვთქვათ, სპირმენ-ბრაუნის ფორმულას ვიყენებთ და გვაქვს კორელაციის კოეფიციენტი 0.85. ამ შემთხვევაში სანდობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

$$\text{სანდობა} = \frac{2 \times 0.85}{1 + 0.85} = \frac{1.70}{1.85} = 0.919$$

იმის გათვალისწინებით, რომ კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა 1.00-ია, ვხედავთ, რომ ამ ინსტრუმენტის სანდობა, გამოთვლილი შუაზე გახლეჩვის სანდობისთვის, ძალიან მაღალია.

სანდობის ეს ტიპი უშვებს, რომ შესაძლებელია ჩასატარებელი ტესტის ორ, თანაბარი ძალის მქონე ნახევრად გახლეჩვა. ბევრ ტესტს აქვს სირთულის გრადიენტი, ან განსხვავებული შინაარსის დებულებები თითოეულ ნახევარში. თუ ეს ასეა, მაშინ მკვლევარს, ტესტის შუაზე გახლეჩვის ნაცვლად, შეუძლია, პირველი ათი დებულება ერთ ნახევარში გააერთიანოს და მეორე ათი (11-დან 20-ის ჩათვლით) — მეორე ნახევარში; ლუწი რიგითი ნომრის მქონე დებულებები ერთ ჯგუფს მისცეს და კენტები — მეორეს. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ ორი ნახევარი ერთმანეთს თანხედებოდეს შინაარსისა და სირთულის კუმულაციის ხარისხით (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

სანდობის, როგორც შინაგანი შეთანხმებულობის, ალტერნატიულ საზომს კრონბახის ალფა კოეფიციენტი წარმოადგენს, რომელსაც ხშირად სანდობის ალფა კოეფიციენტს, ან უბრალოდ ალფას უწოდებენ. კრონბახის ალფა იძლევა დებულებებს შორის კორელაციის კოეფიციენტს, ანუ თითოეული დებულების კორელაციას სხვა რელევანტური დებულებების ჯამთან და გამოსადეგია მრავალდებულებიანი სკალებისთვის. ეს არის დებულებების (და არა, მაგალითად, ადამიანების) შინაგანი შეთანხმებულობის საზომი. ამგვარად ახსნილი სანდობა რამდენიმე დაშვებას აკეთებს, მაგალითად, იმას, რომ ინსტრუმენტები, მონაცემები და შედეგები უნდა კონტროლდებოდეს, პროგნოზირდებოდეს და მეორდებოდეს. ეს გარკვეული სტილის კვლევას გულისხმობს, როგორც წესი, პოზიტივისტური პარადიგმის ფარგლებში. კუმერი და შინდლერი (2001, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) თვლიან, რომ ამ პარადიგმაში სანდობის მიღწევა ვარიაციის ნებისმიერი გარეგანი წყაროს შემცირებით არის შესაძლებელი: იმ პირობების სტანდარტიზებითა და გაკონტროლებით, რომელშიც შეგროვდა და გაიზომა მონაცემები; შეთანხმებულობის (დამკვირვებელთა შორის სანდობის) უზრუნველსაყოფად მკვლევრებისთვის ტრენინგის ჩატარებით; კონკრეტული თემის შესახებ დებულებების რაოდენობის გაზრდით; მონაცემების ანალიზიდან უკიდურესი პასუხების გამორიცხვით (მაგალითად, ცალკე მდგომი მონაცემების გამორიცხვით, რაც SPSS-ში შეიძლება გაკეთდეს) (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### **სანდობა თვისებრივ კვლევაში**

ვინაიდან პიროვნების ფსიქოლოგიაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება კვლევისადმი იდეოგრაფიული მიდგომა ანუ თვისებრივი მიდგომები, განსაკუთრებით საყურადღებოა თვისებრივი კვლევის კონტექსტში სანდობის საკითხის განხილვა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ამ ტერმინის თვისებრივი კვლევისადმი შესატყვისობა საკამათოა (მაგალითად, Winner, 2000; Stenbacka, 2001; Golafshani, 2003, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ლინკოლნი და გუბა (1985) ამჯობინებენ, რომ „სანდობა“ ისეთი ტერმინებით ჩაანაცვლონ, როგორცაა „დამაჯერებლობა“, „ნეიტრალობა“, „დადასტურება“, „სტაბილობა“, „თანმიმდევრულობა“, „გამოყენება“, „ნდობის ღირსი“ და „გადაცემა“ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ლეკომტი და პრეისლი (1993) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სანდობის კანონები, რომლებიც რაოდენობრივი კვლევისთვის გამოიყენება, შეიძლება, უბრალოდ, გამოუსადეგარი იყოს თვისებრივი კვლევისთვის. რაოდენობრივი კვლევა უშვებს გამეორების შესაძლებლობას. თუ ერთი და იმავე შერჩევის

მიმართ ერთი და იგივე მეთოდები გამოიყენება, მაშინ შედეგებიც ერთი და იგივე უნდა იყოს. რაოდენობრივი მეთოდები, როგორც წესი, ფენომენების გარკვეული ხარისხით კონტროლსა და მანიპულაციას საჭიროებენ. ეს არღვევს ფენომენების ბუნებრივ გამოვლინებას. ბუნებრივი კვლევების წინაპირობები სიტუაციების უნიკალურობასა და იდიოსინკრაზულობას მოიცავს იმდენად, რომ შეუძლებელია კვლევის გამეორება და ეს მათი სიძლიერეა და არა — სისუსტე.

მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვისებრივი კვლევა არ უნდა ესწრაფოდეს გამეორებას ანუ რეპლიკაციას კონსტრუქტების გენერირების, დახვეწისა და შედარების მიზნით. ლეკომტი და პრეისლი (1993) ამტკიცებენ, რომ ასეთი რეპლიკაცია შეიძლება მოიცავდეს: მკვლევრის პოზიციის, ინფორმანტების/რესპონდენტების არჩევის, სოციალური სიტუაციებისა და მდგომარეობების და/ან გამოყენებული ანალიტიკური კონსტრუქტებისა და წინაპირობების გამეორებას.

გარდა ამისა, დენზინი და ლინკოლნი (1994) თვლიან, რომ თვისებრივ კვლევაში სანდოობის განმეორებით მიღწევა რამდენიმე გზით არის შესაძლებელი:

- *დაკვირვებების სტაბილურობა*: გააკეთებდა თუ არა მკვლევარი იგივე დაკვირვებებს და ინტერპრეტაციებს, დაკვირვება სხვა დროს ან სხვა ადგილას რომ განეხორციელებინა;
- *პარალელური ფორმები*: გააკეთებდა თუ არა მკვლევარი იგივე დაკვირვებებს და ინტერპრეტაციებს, დაკვირვების დროს სხვა ფენომენისთვის რომ მიექცია ყურადღება;
- *დამკვირვებელთა შორის სანდოობა*: ისეთივე ინტერპრეტაციას გააკეთებდა თუ არა სხვა მკვლევარი იმავე თეორიულ ჩარჩოში იმავე ფენომენს რომ დაკვირვებოდა.

ცხადია, ეს საკამათო საკითხია, ვინაიდან თვისებრივი კვლევისთვის რაოდენობრივი კვლევის სანდოობის კანონების მიყენებას ცდილობს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

თვისებრივ კვლევაში სანდოობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც თანხვედრა მკვლევრის მიერ მონაცემად ჩაწერილსა და ბუნებრივ გარემოში რეალურად მომხდარს შორის, ანუ დაფარვის სიზუსტის და მოცულობის ხარისხი (Bogdan and Biklen, 1992, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ეს არ არის ერთგვაროვნებისკენ სწრაფვა. ორმა მკვლევარმა, ერთი და იმავე გარემოს შესწავლისას, შეიძლება, სრულიად განსხვავებული შედეგები მიიღოს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მონაცემთა ორივე ერთობლიობა სანდო იყოს. ერთ-ერთი ავტორი (Kvale, 1995, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ინტერვიუს შემთხვევაში თვისებრივი მონაცემების იმდენი ინტერპრეტაცია შეიძლება არსებობდეს, რამდენი მკვლევარიცაა. ამის ნათელი მაგალითია ბრიტანეთში ჩატარებული ნისანის საავტომობილო ქარხნის კვლევა. ამ ორგანიზაციაში უიკენსმა (1987) ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკების „სათნო წრე“ აღმოაჩინა, სადაც წარმოდგენილი იყო მოქნილობა, გუნდური მუშაობა და ცნობიერების ხარისხი. გარაჰანმა და სტიუარტმა (1992) კი იმავე პრაქტიკების შესწავლით ექსპლუატაციის, ზედამხედველობისა და კონტროლის „მანკიერი წრე“ აღმოაჩინეს. ერთი და იმავე რეალობის ეს ორი ვერსია იმიტომ თანაარსებობს, რომ რეალობა მრავალშრიანია. ეს ინსტრუმენტების, მკვლევრების, პერსპექტივებისა და ინტერპრეტაციების ეკლექტური გამოყენებით განსაზღვრული სანდოობის ცნების სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტია.

ბროკ-უტნე (1996) ამტკიცებს, რომ თვისებრივი კვლევა, ჰოლისტური ბუნებიდან გამომდინარე, სიტუაციებისა და მოვლენების მრავალგვარი ინტერპრეტაციების, მიზნებისა და მნიშვნელობების დაფიქსირებას ცდილობს. აქ სანდოობის ცნება გაიგება, როგორც საიმედოობა. ამ ავტორისთვის საიმედოობა მოიცავს წევრების გადამოწმებას (რესპონდენტის ვალიდაცია), კოლეგებთან გასაუბრებას, ტრიანგულაციას, ველზე ხანგრძლივად დარჩენას, რეფლექსიის ჟურნალების წარმოებას, ნაგატიური შემთხვევების ანალიზს და დამოუკიდებელ აუდიტს (კვლევის წარმოების მისაღები პროცესების იდენტიფიცირებას ისე, რომ მიღებული შედეგები შეესატყვისებოდეს მონაცემებს). აუდიტორული ცდები კვლევაში შედეგების დადასტურების საკითხის მოგვარებას ემსახურება როგორც პროცესის, ისე პროდუქტის ანუ შედეგის თვალსაზრისით (Golafshani, 2003, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ეს არის დაცვა თვისებრივი მკვლევრებისთვის წაყენებული ბრალდების წინააღმდეგ, კერძოდ, იმ

აზრის წინააღმდეგ, რომ ისინი მხოლოდ „ყველაზე დიდ ხმაურზე და ყველაზე კამკამა სინათლეზე“ რეაგირებენ.

საიმედოობა რესპონდენტის ვალიდაციის მნიშვნელოვან საკითხსაც მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ საიმედოობა მკვლევრებისგან რესპონდენტებთან დაბრუნებასა და შედეგების საიმედოობის მათთან ერთად გადამოწმებას მოითხოვს, მკვლევრებს წინდახედულებაც მართებთ, რომ რესპონდენტთა ინტერპრეტაციები ექსკლუზიური არ აღმოჩნდეს, ვინაიდან, როგორც ჰამერსლი და ატკინსონი (1983) ამბობენ, ისინი არ იმყოფებიან ისეთ პრივილეგიურულ მდგომარეობაში, რომ თავიანთი ქმედებების ერთადერთი ინტერპრეტატორები იყვნენ.

ბლური (1978, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) რესპონდენტის ვალიდაციის მიღწევის სამ საშუალებას გვთავაზობს:

- მკვლევრები ცდილობენ, იწინასწარმეტყველონ, თუ როგორი იქნება სიტუაციების მონაწილეთა მიერ მოწოდებული კლასიფიკაციები;
- მკვლევრები ჰიპოთეტურ სიტუაციებს ამზადებენ და შემდეგ მათზე მონაწილეების სავარაუდო რეაქციებს წინასწარმეტყველებენ;
- მკვლევრებს კვლევის ანგარიში მონაწილეებთან მიაქვთ და ამ ანგარიშზე მათ რეაქციებს იწერენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სანდოობის კრიტერიუმები რაოდენობრივ მეთოდოლოგიებში განსხვავდება ანალოგიური კრიტერიუმებისგან, რომელიც თვისებრივ მეთოდოლოგიებში გამოიყენება. თვისებრივ მეთოდოლოგიებში სანდოობა მოიცავს რეალური ცხოვრების ერთგულებას, სპეციფიკურობას კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით, აუტენტურობას, მრავალმხრივობას, დეტალურობას, პატიოსნებას, პასუხების სიღრმესა და რესპონდენტების გააზრებულობას (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

## ვალიდობა

ვალიდობა ეფექტური კვლევის მნიშვნელოვანი გასაღებია. თუ კვლევა არავალიდურია, მაშინ მას არავითარი ღირებულება არ აქვს. ამგვარად, ვალიდობას მოითხოვს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი, ბუნებრივი კვლევა (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

თუ ვალიდობის ადრინდელი ვარიანტები ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომლის მიხედვით, მნიშვნელოვანი იყო ეჩვენებინა, რომ კონკრეტული ინსტრუმენტი მართლაც ზომავს იმას, რის გაზომვასაც ისახავს მიზნად, შედარებით გვიანდელმა ვალიდობამ მრავალი ფორმა მიიღო. მაგალითად, თვისებრივ მონაცემებში ვალიდობის მიღწევა შესაძლებელია გულწრფელი, ღრმა, მდიდარი და მოცულობითი მონაცემებით; ასევე, შერჩეული მონაწილეებით, ტრიანგულაციის ხარისხით, მკვლევრის მიუკერძოებლობითა და ობიექტურობით (Winter, 2000, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). რაოდენობრივი მონაცემების ვალიდობა შეიძლება გაუმჯობესდეს სწორი შერჩევით, სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებითა და მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული ადეკვატური სტატისტიკური მეთოდებით. შეუძლებელია, რომ კვლევა 100 პროცენტით ვალიდური იყოს, ეს პერფექციონისტის ოპტიმიზმია. რაოდენობრივი კვლევა მოიცავს სტანდარტული შეცდომის საზომს, რომელიც იმთავითვე ჩადებულია მასში და გასათვალისწინებელია. თვისებრივი მონაცემების ტენდენციურობის ხარისხში თავისი წვლილი შეაქვს რესპონდენტების სუბიექტურობას, მათ მოსაზრებებს, დამოკიდებულებებსა და ხედვის კუთხეებს. შესაბამისად, ვალიდობა ფარდობითი და არა — აბსოლუტური მდგომარეობაა, ამიტომ უნდა შეფასდეს მისი არსებობის ხარისხი (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). აქედან გამომდინარე, საუკეთესო შემთხვევაში, არავალიდურობის მინიმუმამდე დაყვანას და ვალიდობის მაქსიმუმამდე ვცდილობთ.

არსებობს ვალიდობის რამდენიმე განსხვავებული სახეობა,<sup>15</sup> თუმცა აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევეჩერდებით, რომელთაც პიროვნების ფსიქოლოგები (და, ზოგადად, ფსიქოლოგები) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ესენია შინაარსის, კრიტერიუმის/კრიტერიალური და კონსტრუქტის/კონსტრუქტული ვალიდობა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997). მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

### **შინაარსის ვალიდობა**

ვალიდობის ამ ფორმის საჩვენებლად ინსტრუმენტმა უნდა აჩვენოს, რომ ის პატიოსნად და ამომწურავად ფარავს იმ სფეროს ან საკითხებს, რომელთა დაფარვასაც ისახავდა მიზნად. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ თითოეული საკითხი სრულად მოგვარდეს იმიტომ, რომ დრო არ არის საკმარისი, ან მონაწილეებს, მაგალითად, გრძელი კითხვარის ბოლომდე შესავსებად არასაკმარისი მოტივაცია აქვთ. ასეთ შემთხვევაში მკვლევარი უნდა დარწმუნდეს, რომ ძირითადი საკვლევი საკითხის ელემენტები კვლევისთვის საინტერესო უფრო ფართო საკითხის სამართლიანი რეპრეზენტაციაა და კვლევისთვის არჩეული ელემენტები ღრმად და ვრცლად არის ნაკვლევი. რეპრეზენტაციულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დებულებების ყურადღებით შერჩევა (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). მაგალითად, თუ მკვლევარს უნდოდა ენახა, რამდენად მორცხვია სტუდენტების ჯგუფი, მან მორცხვობის გასაზომად უნდა გამოიყენოს კითხვარი, რომელიც, თუ შინაარსის მიხედვით ვალიდურია, ისეთი შეკითხვებისგან უნდა შედგებოდეს, რომლებიც რეალურად გამოკვეთს მორცხვობის პიროვნულ (მაგალითად, „შეიძლება ითქვას, რომ მორცხვობა ჩემი პიროვნული დისკომფორტის მთავარი წყაროა“), სოციალურ (მაგალითად, „უხერხულობას განვიციდი, როდესაც დიდი აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა მიწევს“) და კოგნიტურ (მაგალითად, „დარწმუნებული ვარ, რომ გარშემომყოფნი ხშირად მკიცხავენ“) ასპექტებს.

შინაარსის ვალიდობა თითქმის ყოველთვის განისაზღვრება ექსპერტთა შეთანხმების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, რომ ტესტის ყოველი პუნქტი რეალურად ასახავს გასაზომი ცვლადის ანუ პიროვნული თვისების ასპექტებს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### **კონსტრუქტის ვალიდობა**

კონსტრუქტი აბსტრაქტულია. ეს განასხვავებს მას ვალიდობის აქამდე განხილული ტიპებისგან, რომლებსაც რეალობასთან, განსაზღვრულ შინაარსთან აქვთ შეხება. ამ ტიპის ვალიდობის შემთხვევაში თანხმობა უნდა მიიღწეოდეს კონსტრუქტის „ოპერაციონალიზებული“ ფორმების თაობაზე, სადაც გარკვევით უნდა იყოს ნათქვამი, თუ რას ვგულისხმობთ ამ კონსტრუქტის გამოყენებისას. აქედან გამომდინარე, ვალიდობის ამ ფორმაში მნიშვნელოვანია კონსტრუქტის დანაწევრებულად, გასაგებად წარმოდგენა, ან ის, თანხვდება თუ არა კონსტრუქტის მკვლევრისეული ხედვა მის ზოგადად მიღებულ გაგებას. მაგალითად, ვთქვათ, მკვლევარს ბავშვის ინტელექტის შეფასება სურს (მაგალითისთვის დავუშვათ, რომ ეს ერთი თვისებაა) (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ის ამბობს, რომ ინტელექტში გულისხმობს ფანქრის გათლის უნარის გამოვლენას. ინტელექტის რამდენად მისაღები კონსტრუქტია ეს? სხვა არაფერია ინტელექტი (მაგალითად, ის, რაც ინტელექტის ტესტში მაღალი ქულით გამოიხატება)?

კონსტრუქტის ვალიდობის დასადგენად მკვლევარმა უნდა უზრუნველყოს, რომ კონკრეტული საკითხის მისეული კონსტრუქტი თანხვდებოდეს ისეთივე ბაზისური საკითხების, მაგალითად, ინტელექტის, კრეატიულობის, შფოთვის, მოტივაციის სხვა კონსტრუქტებს. ამის მიღწევა შესაძლებელია მოცემული საკითხის სხვა საზომებთან კორელაციებით, ან კონსტრუქტის ლიტერატურის ფართო მიმოხილვაზე დაფუძნებით, საიდანაც ის ამ კონსტრუქტის შინაარსს (ანუ თეორიას იმის შესახებ, თუ რა არის კონსტრუქტი) და მის მდგენელებს იღებს. კონსტრუქტის ვალიდობის ჩვენება არამარტო რელევანტურ ლიტერატურაში მოცემულ კონსტრუქტთა თანხვედრას ნიშნავს, არამედ საპირისპირო

<sup>15</sup> შინაარსის, კრიტერიუმის, კონსტრუქტის, შინაგანი, გარეგანი, ანალოგიის, თვალსაჩინო, პროგნოსტული, სისტემური, კატალიზის, ეკოლოგიური, კულტურული, დესკრიპტული, ინტერპრეტაციული, თეორიული და შეფასებითი ვალიდობა (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

მაგალითების მოძიებასაც, რამაც, შეიძლება, მკვლევრის კონსტრუქტის ფალსიფიცირება მოახდინოს. როდესაც დამადასტურებელი და უარყოფელი მტკიცებულებები დაბალანსებულია, მკვლევარს უკვე შეუძლია აჩვენოს კონსტრუქტის ვალიდობა და წამოაყენოს პირობები გამოყენებული კონსტრუქტის რაგვარობაზე. კონსტრუქტის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციების შემთხვევაში მკვლევარს კონფლიქტური სიტუაციის არსებობის აღიარება და იმ ინტერპრეტაციაზე მითითება მოუწევს, რომელსაც გამოიყენებს.

თვისებრივ (ეთნოგრაფიულ) კვლევაში კონსტრუქტის ვალიდობა უნდა აჩვენებდეს, რომ კატეგორიებს, რომელსაც მკვლევარი იყენებს, თავად მონაწილეებისთვის აქვს აზრი/მნიშვნელობა, ანუ მათში ასახულია ის, თუ მონაწილეები რეალურად როგორ განიცდიან და აგებენ სიტუაციებს კვლევაში; ის, რომ ისინი სიტუაციას აქტორების თვალთ ხედავენ.

კემპბელი და ფისკე (1959), ბროკ-უტენ (1996) და კუპერი და შინდლერი (2001) (წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ კონსტრუქტის ვალიდობა კონვერგენტული და დისკრიმინანტული ტექნიკებით მიიღწევა. კონვერგენტული ტექნიკა გულისხმობს, რომ სხვადასხვა ტექნიკა, რომელიც ერთსა და იმავე კონსტრუქტს იკვლევს, შედარებით მაღალ ინტერკორელაციებს უნდა აჩვენებდეს, ხოლო დისკრიმინაციული მოიაზრებს, რომ სხვადასხვა კონსტრუქტისთვის მსგავსი მეთოდების გამოყენებამ შედარებით დაბალი ინტერკორელაციები უნდა მოგვცეს, ანუ საკვლევი კონსტრუქტი განსხვავდება სხვა პოტენციურად მსგავსი კონსტრუქტებისგან. ასეთი დისკრიმინაციული ვალიდობის მიღება ფაქტორული ანალიზითაც შეიძლება, რომელიც ერთად აჯგუფებს მსგავს საკითხებს და გამოყოფს მათ სხვებისგან.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ შეფასების ნებისმიერი მეთოდიკის ღირსება, საბოლოო ჯამში, მისი კონსტრუქტული ვალიდობით განისაზღვრება. თუ მოცემულ მეთოდიკას არ აქვს კონსტრუქტული ვალიდობის მახასიათებლები, მისი გამოყენებისას შეიძლება ისეთი შედეგები მივიღოთ, რომლებსაც არაფერი ჰქონდეთ საერთო გასაზომ კონსტრუქტთან (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

ქვემოთ განვიხილავთ პერსონოლოგიების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ზოგიერთ მეთოდიკას, კერძოდ, გავცნობით ინტერვიუს, როგორც შეფასების მეთოდს, თვითანგარიშის კითხვარებსა და პროექციულ ტექნიკებს.

## ინტერვიუ

კვლევაში ინტერვიუს გამოყენება მასში მონაწილე ადამიანებისა და მიღებული მონაცემების ხედვის კუთხის შეცვლას ნიშნავს: ცდის პირების, როგორც უბრალოდ მანიპულირებად არსებებად და მონაცემების, როგორც ინდივიდებისთვის უცხოდ, გარეგანად აღქმიდან ცოდნის, როგორც ადამიანებს შორის წარმოქმნილის, ხშირად საუბრის მეშვეობით, ხედვაზე გადასვლას (Kvale, 1996, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). როგორც კვალე შენიშნავს, ინტერვიუ — interview — ორ ან მეტ ადამიანს შორის ორივე (ან მეტი) მხარისთვის საინტერესო თემის შესახებ მოსაზრებების ურთიერთგაცვლის პროცესია. მისთვის ცოდნის შექმნისთვის ცენტრალურია ადამიანთა ურთიერთქმედება და ხაზს უსვამს კვლევის მონაცემების კონკრეტული სოციალური სიტუაციებით განპირობებულობას. ინტერვიუ მონაცემების გენერირებაა (შექმნა) და არა — ამოღება (Lainig, 1967, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ინტერვიუ, როგორც ასეთი, არ არის მხოლოდ სუბიექტური, ან მხოლოდ ობიექტური, ის ინტერსუბიექტურია. ინტერვიუ საშუალებას აძლევს მონაწილეებს, იქნება ეს რესპონდენტი თუ ინტერვიუერი, თავიანთი საარსებო სამყაროს მათეულ ინტერპრეტაციებზე ისაუბრონ და საკუთარი პოზიციიდან გამოთქვან, თუ როგორ ხედავენ სიტუაციებს. ამ თვალსაზრისით, ინტერვიუს არ აინტერესებს მხოლოდ უბრალოდ ცხოვრების შესახებ მონაცემების შეგროვება, ის თავად არის ამ ცხოვრების ნაწილი, და გვერდს ვერ ავუვლით მის ჩართულობას ადამიანების ცხოვრებაში (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ინტერვიუ მონაცემების შეგროვების მოქმედი ინსტრუმენტია, რომელიც მულტიმენსორული არხების გამოყენების საშუალებას ქმნის: ვერბალური, არავერბალური, მეტყველებითი და სმენითი. შესაძლებელია ინტერვიუს მსვლელობის გაკონტროლება და ამ კონტროლის პირობებში მაინც რჩება სივრცე სპონტანურობისთვის; ინტერვიუერს არამარტო სრული პასუხების „ამოღება“ შეუძლია რესპონდენტისგან, არამედ — ღრმა და კომპლექსური თემების შესახებ პასუხებისაც. ერთი სიტყვით, ინტერვიუ მკვლევრების მძლავრი იარაღია. მეორე მხრივ, მკვლევარს, რომელიც ინტერვიუს იყენებს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს: ინტერვიუს დიდი დრო მიაქვს; ის მოწყვლადია ინტერვიუერის მიკერძოებულობისადმი; ინტერვიუერთან რესპონდენტი შეიძლება უხერხულად გრძნობდეს თავს; რესპონდენტის გადაღლა-გამოფიტვამ შეიძლება ჩაშალოს ინტერვიუ და შეიძლება გაძნელებდეს ანონიმურობის უზრუნველყოფა.

ინტერვიუ არ არის ჩვეულებრივი, ყოველდღიური, ყოფითი საუბარი (Dyer, 1995, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). მაგალითად, ყოფითი საუბრისგან განსხვავებით, მას კონკრეტული მიზეზი აქვს, ხშირად ეყრდნობა კითხვებს, რომელთაც ინტერვიუერი სვამს. მხოლოდ ინტერვიუერს შეუძლია არცოდნის გამოვლენა (და არა — რესპონდენტს). პასუხები შეძლებისდაგვარად ნათელი და ხშირად დეტალური უნდა იყოს. ინტერვიუ მოწყობილია და არა — ბუნებრივად შექმნილი სიტუაცია, რაც განასხვავებს მას ყოველდღიური საუბრისგან. მაშასადამე, მკვლევრის მოვალეობაა ინტერვიუსთვის განსხვავებული „თამაშის წესების“ დაწესება და შემდეგ მათი შესრულება.

### ინტერვიუს კონცეფციები

ინტერვიუს, როგორც ემპირიული კვლევის მეთოდის, სამ ძირითად კონცეფციას განიხილავენ.

- პირველი კონცეფციის მიხედვით (Kitwood, 1977, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), ინტერვიუ ინფორმაციის გადაცემის მძლავრი საშუალებაა. კიტვუდი წერს:

თუ ინტერვიუერი კარგად აკეთებს თავის საქმეს (ამყარებს რაპორტს, მისაღები ფორმით სვამს კითხვებს და ა. შ.) და თუ რესპონდენტი გულწრფელი და კარგად მოტივირებულია, მაშინ შესაძლებელია ზუსტი მონაცემების მიღება. ცხადია, ნებისმიერი სახის მიკერძოებულობა შეიძლება შეიპაროს ამ სიტუაციაში, მაგრამ გაწაფულ ინტერვიუერს შეუძლია ამის დიდი ნაწილის აღმოფხვრა. ამ კონცეფციის ყველაზე მკვეთრად გამოხატული პოზიცია თანხვდება ფსიქომეტრიკოსთა პოზიციას, რომელთაც აშკარად სჯერათ, რომ არსებობს პიროვნების შედარებით უცვლელი, მყარი „ბირთვი“, რომლის შესახებ ინფორმაციას პიროვნება გარკვეულ პირობებში მოგვცემს. ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ტყუილი ან სოციალურად სასურველი პასუხების მოცემის ტენდენცია, სადაც შესაძლებელია, უნდა აღმოიფხვრას (Kitwood, 1977).

ინტერვიუს ასეთი ხედვა, როგორც ჩანს, ფართოდაა გავრცელებული.

- ინტერვიუს მეორე კონცეფციის თანახმად, ესაა ურთიერთქმედება (ტრანზაქცია), რომელიც გარდაუვლად მიკერძოებულია და ეს უნდა გაცნობიერდეს და გაკონტროლდეს. კიტვუდი (1977) ამ პოზიციის მიხედვით წერს, რომ ინტერვიუს თითოეული მონაწილე სიტუაციას განსხვავებულად განსაზღვრავს. ამ ფაქტთან გამკლავების საუკეთესო გზა კვლევის დიზაინში კონტროლის ელემენტების შეტანაა, მაგალითად, სხვადასხვაგვარად მიკერძოებული ინტერვიუერები. ინტერვიუ საუკეთესოდ გაიგება მოტივაციის თეორიის ჭრილში, რომელიც აღიარებს ადამიანის ქცევის წარმმართველი მთელი რიგი არარაციონალური ფაქტორების არსებობას, როგორიცაა ემოციები, არაცნობიერი მოთხოვნილებები და ინტერპერსონალური გავლენები. კიტვუდი (1977) მიუთითებს, რომ ინტერვიუს შესახებ ეს ორივე მოსაზრება ინტერპერსონალური ურთიერთქმედების თანდაყოლილ თვისებებს ითვალისწინებს და მათ ხარისხიანი კვლევისთვის პოტენციურ დაბრკოლებებად მიიჩნევს, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას, გაკონტროლდეს ან, სულ მცირე, რაღაცნაირად შეიზღუდოს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

- ინტერვიუს მესამე კონცეფციის თანახმად, ეს არის შეხვედრა, რომელსაც აუცილებლად ბევრი რამ აქვს საერთო ყოველდღიურ ცხოვრებასთან. კიტვუდი (1977) თვლის, რომ ამ მოსაზრების მიხედვით, საჭიროა არა მიკერძოებასთან გამკლავების ტექნიკა, არამედ ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების თეორია, რომელიც ინტერვიუს რელევანტურ ნიშნებს ითვალისწინებს. ეს შეიძლება იყოს როლური თამაში, სტერეოტიპების ფორმირება, აღქმა და გაგება. როგორც უოლფორდი (2001, წყაროში Cohen, L., Manion, L.,

Morrison, K., 2007) შენიშნავს, „ინტერვიუერი და რესპონდენტი ერთობლივად აგებენ ინტერვიუს“. ინტერვიუ სოციალური გამოცდილებაა და არა უბრალოდ ინფორმაციის გაცვლა და კარგი იქნება, თუ მკვლევრებს ეს ყოველთვის ემახსოვრებათ ინტერვიუს წარმოებისას.

## ინტერვიუს მიზნები

პიროვნების ფსიქოლოგიაში ინტერვიუ, როგორც კვლევის დამოუკიდებელი, თავისთავადი ტექნიკა, სამ მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კვლევის მიზნებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების ძირითადი წყარო. როგორც ტუკმენი (Tukman, 1972, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) აღწერს:

ვინაიდან ხელმისაწვდომს ხდის იმას, რაც „პიროვნებას აქვს თავში“, ის შესაძლებელს ხდის იმის შეფასებას, თუ რა იცის ადამიანმა (ცოდნა ან ინფორმაცია), რა მოსწონს ან არ მოსწონს მას (ღირებულებები და პრიორიტეტები) და რას ფიქრობს იგი (დამოკიდებულებები და რწმენები) (Tukman, 1972).

მეორე, მისი გამოყენება ჰიპოთეზის შესამოწმებლად ან ახალი ჰიპოთეზის წამოსაყენებლად შეგვიძლია; ან როგორც ამხსნელი ინსტრუმენტის, რომელიც ცვლადებისა და მიმართებების დადგენაში გვეხმარება.

მესამე, ინტერვიუ შეიძლება სხვა მეთოდებთან ერთად გამოვიყენოთ კვლევაში. ამასთან დაკავშირებით, კერლინგერი (1970, Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) ამბობს, რომ ის შეგვიძლია, მაგალითად, მოულოდნელი შედეგების გასარჩევად, სხვა მეთოდების გადასამოწმებლად ან რესპონდენტების მოტივაციის და მათი სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი პასუხების მიზეზების უფრო ღრმად შესასწავლად გამოვიყენოთ.

ვინაიდან პიროვნების ფსიქოლოგიაში ინტერვიუ აინტერესებთ, როგორც კვლევის მეთოდი და ტექნიკა, ამიტომ აქ ინტერვიუს, როგორც სპეციფიკური კვლევის ინსტრუმენტის, განხილვით შემოვიფარგლებით.

## ინტერვიუს ფორმები

ინტერვიუ შეიძლება იყოს: ფორმალური, როდესაც რესპონდენტს კონკრეტულ კითხვებს უსვამენ და პასუხებს სტანდარტიზებულ ფორმაში იწერენ; ნაკლებად ფორმალური, როდესაც ინტერვიუერს შეუძლია კითხვების თანმიმდევრობისა და ფორმულირების ცვლა, მათი ახსნა და დამატებითი კითხვების დასმა; სრულიად არაფორმალური, როდესაც ინტერვიუერს შეიძლება მხოლოდ ძირითადი განსახილველი საკითხების სია ჰქონდეს, რომლებზეც საუბრის ფორმატით მსჯელობენ, ყოველგვარი წინასწარ მომზადებული კითხვების გარეშე. ამ ჩამონათვალის გარდა არსებობს არადირექტიული ინტერვიუ, რომელშიც ინტერვიუერს მეორეხარისხოვანი როლი აქვს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

კვლევითი ინტერვიუ შეიძლება განისაზღვროს, როგორც „კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად ინტერვიუერის მიერ წამოწყებული ორი ადამიანის საუბარი, რომელსაც ინტერვიუერი კვლევის აღწერის, წინასწარმეტყველების ან ახსნის მიზნებით განსაზღვრული შინაარსისკენ მიმართავს“ (Cannell and Kahn, 1968, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ეს უჩვეულო მეთოდი იმით, რომ მონაცემებს ინდივიდებს შორის უშუალო ვერბალური ურთიერთქმედების მეშვეობით აგროვებს. ამ თვალსაზრისით, ის განსხვავდება კითხვარისგან, სადაც რესპონდენტს მიწოდებულ კითხვებზე თავისი პასუხების ამა თუ იმ სახით ჩაწერა მოეთხოვება.

ვინაიდან ინტერვიუს მაინც აქვს რაღაც საერთო თვითადმინისტრირებად კითხვართან (იხ. ქვემოთ), მათ ხშირად ადარებენ ერთმანეთს. გარკვეული კუთხით, თითოეულს თავისი უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით. კითხვარის უპირატესობები, მაგალითად, ისაა, რომ ანონიმურობის გამო უფრო სანდო შეიძლება იყოს, მეტ გულწრფელობაზე იწვევს რესპონდენტს, მეტად ეკონომიურია, ვიდრე ინტერვიუ, დროისა და ფულის თვალსაზრისით, და შესაძლებელია მისი ფოსტით გაგზავნა. მეორე მხრივ,



კითხვარის ნაკლოვანი მხარეებია ის, რომ ხშირად გაგზავნილი კითხვარების ძალიან მცირე პროცენტი ბრუნდება უკან, ინტერვიუერს არ შეუძლია უპასუხოს კითხვებს ინტერვიუს მიზნისა და ნებისმიერი გაუგებრობების შესახებ, რომელიც წარმოექმნება რესპონდენტს, ეს კი ხშირად ხდება, რადგან ერთსა და იმავე კითხვებს სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. თუ მხოლოდ დახურული კითხვები გამოიყენება, მაშინ კითხვარს ის ნაკლოვანებები ექნება, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. თუ მხოლოდ ღია კითხვები გამოიყენება, მაშინ რესპონდენტებმა, ამა თუ იმ მიზეზით, შეიძლება არ მოისურვონ პასუხების დაწერა. კითხვარები, ასევე, პრობლემებს უქმნიან წერა-კითხვის შეზღუდული უნარების მქონე ადამიანებს; კითხვარები ხშირად ნაჩქარევად ივსება, ხოლო ინტერვიუ შეიძლება რესპონდენტისთვის შესატყვისი ტემპით ჩატარდეს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007)

### ინტერვიუს ტიპები

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ხშირად ინტერვიუს ტიპების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულ ავტორს რა მოცულობის ლიტერატურა აქვს წაკითხული. მაგალითად, ლეკომპტე და პრეისლი (1993) ექვს ტიპს ასახელებენ, ესენია: სტანდარტიზებული, სიღრმისეული, ეთნოგრაფიული, ელიტური და ცხოვრებისეული ისტორიის ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფები. ზოგდანი და ბიკლენი (1992) ამ ჩამონათვალს ამატებენ ნახევრად სტრუქტურირებულსა და ჯგუფურ ინტერვიუებს. ლინკოლნი და გუბა (1985), თავის მხრივ, ამატებენ სტრუქტურირებულ ინტერვიუს, ოპენჰეიმი (1992) — კვლევით ინტერვიუს. პატონი (1980) ინტერვიუს ოთხ ტიპზე საუბრობს: არაფორმალური საუბარი, დაგეგმილი ინტერვიუს მიდგომები, სტანდარტიზებული ღია ინტერვიუ და დახურული რაოდენობრივი ინტერვიუ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

სხვადასხვა ტიპის ინტერვიუს ფორმები, მათი მოკლე აღწერა და ძლიერი და სუსტი მხარეები შეჯამებულია ცხრილში 8.

ცხრილი 8. სხვადასხვა ტიპის ინტერვიუების აღწერა, ძლიერი და სუსტი მხარეები.

ინტერვიუს ტიპი	მახასიათებლები	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
არაფორმალური საუბარი	კითხვები უშუალოდ იქ და იმჟამად არსებული კონტექსტიდან წარმოიქმნება და ბუნებრივად მიმდინარე საუბარში ისმის. წინასწარ არ არის განსაზღვრული კითხვის თემა და ფორმულირება.	ზრდის კითხვების მოქნილობასა და რელევანტურობას; დაკვირვებებზე აიგება და ვითარდება; შეუძლია მოერგოს სიტუაციებსა და ინდივიდებს.	სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. ნაკლებად სისტემური და ყოველმხრივია, თუ გარკვეული კითხვები „ბუნებრივად“ არ გაჩნდა. მონაცემების დალაგება და ანალიზი შეიძლება საკმაოდ რთული იყოს.
დაგეგმილი ინტერვიუს მიდგომები	განსახილველი თემები და საკითხები წინასწარ არის განსაზღვრული გეგმის სახით. ინტერვიუერი პროცესის მსვლელობისას წყვეტს, რა თანმიმდევრობით და ფორმულირებით მიაწოდოს კითხვები რესპონდენტს.	წინასწარ მომზადებული გეგმა ზრდის მონაცემების ყოველმხრივობას და მათ შეგროვებას თითოეული რესპონდენტისგან გარკვეულ სისტემურობას სძენს. მონაცემებში ლოგიკური ჩავარდნები წინასწარ განჭვრეტადია და ჩაკეტილი. ინტერვიუს საკმაოდ აქვს შემორჩენილი საუბრის ფორმა და სიტუაციურობა.	მნიშვნელოვანი და შესამჩნევი თემები შეიძლება უნებლიედ უყურადღებოდ დარჩეს. ინტერვიუს მოქნილობამ კითხვების თანმიმდევრობასა და ფორმულირებაში საბოლოოს განსხვავებული პასუხები შეიძლება მოგვეცეს, რაც ამცირებს მათ შედარებადობას.

სტანდარტიზებული დია ინტერვიუ	კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა წინასწარაა განსაზღვრული. ყველა რესპონდენტს ერთი და იგივე ძირითადი კითხვები უცვლელი თანმიმდევრობით მიეწოდება.	რესპონდენტები ერთსა და იმავე კითხვებს პასუხობენ, რაც ზრდის პასუხების შედარების შესაძლებლობას. ინტერვიუში განხილული თემების შესახებ ყოველი რესპონდენტისგან სრული მონაცემები მიიღება. მცირდება ინტერვიუერის ეფექტები და მიკერძოებულობა, როდესაც რამდენიმე ინტერვიუერი გამოიყენება. მკვლევრებს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტების ნახვისა და გადასინჯვის შესაძლებლობას აძლევს	ნაკლებად მოქნილია კონკრეტულ ინდივიდებთან და გარემოებებთან მიმართებით. კითხვების სტანდარტიზებული ფორმულირებამ შეიძლება შეზღუდოს კითხვებისა და პასუხების ბუნებრიობა.
დახურული რაოდენობრივი ინტერვიუ	კითხვები და მათი სავარაუდო პასუხები წინასწარაა განსაზღვრული. პასუხები დაფიქსირებულია. რესპონდენტი ამ ფიქსირებული პასუხებიდან ირჩევს.	ადვილია მონაცემების ანალიზი. შესაძლებელია პასუხების პირდაპირ შედარება და შეკრება. ბევრი მოკლე კითხვის დასმას შესაძლებელი მოკლე დროში.	რესპონდენტებმა თავიანთი გამოცდილება და გრძნობები მკვლევრის მიერ შეთავაზებულ სავარაუდო პასუხების კატეგორიებს უნდა მოარგონ. შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც უპიროვნო, შეუფერებელი და მექანიკური. რესპონდენტების მიერ ნაგულისხმევი რეალური მნიშვნელობები ან გამოცდილებები შეიძლება დამახინჯდეს სრულიად შეზღუდული პასუხების არჩევანით

წყარო: ადაპტირებულია Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007.

პიროვნების ფსიქოლოგები, ჩვეულებრივ, კვლევით ინსტრუმენტად ოთხი ტიპის ინტერვიუს იყენებენ ხოლმე, ესენია სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული, არადირექტიული და ფოკუსირებული ინტერვიუები.

1. *სტრუქტურირებული* ინტერვიუს შინაარსი და პროცედურები წინასწარ არის დადგენილი, რაც ნიშნავს იმას, რომ კითხვების თანმიმდევრობა და ფორმულირება განსაზღვრულია და ინტერვიუერს პრაქტიკულად არანაირი ცვლილების შეტანის უფლება არ აქვს მასში. თუ ცვლილების შეტანის რაღაც ხარისხის თავისუფლება მაინც აქვს მას, ესეც წინასწარ არის განსაზღვრული. მაშასადამე, ასეთი ინტერვიუ შეგვიძლია დახურულ სიტუაციად მივიჩნიოთ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

2. სრულიად საპირისპირო ვითარება გვაქვს *არასტრუქტურირებული* ინტერვიუს შემთხვევაში. ეს არის ღია, თავისუფალი და მოქნილი სიტუაცია. როგორც კერლინგერი (1970, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინტერვიუს დროს დასმული კითხვები კვლევის მიზნითაა განსაზღვრული, მათი შინაარსი, თანმიმდევრობა და ფორმულირება მთლიანად ინტერვიუერის ხელშია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არასტრუქტურირებული ინტერვიუ უფრო შემთხვევითი წამოწყებაა, მასაც თავისებურად წინასწარ ყურადღებით დაგეგმვა სჭირდება.

3. არადირექტიული ინტერვიუ, როგორც კვლევის ტექნიკა, თერაპიული ანუ ფსიქიატრიული ინტერვიუდან მომდინარებს. მისი ძირითადი თვისებებია მინიმალური მითითებები და კონტროლი ინტერვიუერის მხრიდან და რესპონდენტის პრაქტიკულად სრული თავისუფლება საკუთარი გრძნობების იმდენად თავისუფლად და სპონტანურად გამოხატვისას, რამდენადაც მას სურს ან შეუძლია. მოსერი (1977, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007) ამტკიცებს, რომ რესპონდენტები უნდა წავახალისოთ, რომ ილაპარაკონ საკვლევი თემის (მაგალითად, საკუთარი თავის შესახებ) შესახებ და თავად წაიყვანონ ინტერვიუ, რომელსაც მხოლოდ მცირე ოდენობის წინასწარ განსაზღვრული საკითხი ან ჩარჩო აქვს. ინტერვიუერმა ხელი უნდა შეუწყოს და დაეხმაროს რესპონდენტს საუბარში, აუცილებლობის შემთხვევაში სიზუსტისკენ და ახსნებისკენ, ინტერპრეტაციებისკენ, პერიფრაზირებისკენ და შეჯამებისკენ მიმართოს ის და, ამასთანავე, გადაამოწმოს ნათქვამი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თემა ჩახლართული და ბუნდოვანია.

4. ინტერვიუს სიტუაციაში ინტერვიუერის მხრიდან უფრო მეტი კონტროლის შემოტანას მივყავართ ფოკუსირებულ ინტერვიუმდე. მისი განმასხვავებელი ნიშანია კონკრეტული მოცემული სიტუაციის შესახებ რესპონდენტის სუბიექტურ პასუხებზე ფოკუსირებულობა, რომელშიც რესპონდენტი იმყოფებოდა და ინტერვიუმდე გაანალიზებული აქვს ინტერვიუერს. ამგვარად, ინტერვიუერს შეუძლია ინტერვიუთი მიღებული მონაცემების მანამდე წამოყენებული ჰიპოთეზის დასადასტურებლად ან უარსაყოფად გამოყენება (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### ინტერვიუს მეთოდის ძლიერი და სუსტი მხარეები

ინტერვიუს, გამოცდილი ინტერვიუერის შემთხვევაში, ძალზე სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება შეუძლია ინდივიდის პიროვნებისა და მისი ცხოვრებისეული სიტუაციის შესახებ. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის უნარების, საკუთარი თავისა და მნიშვნელოვანი სხვების აღქმის, შფოთვის დონის, სამომავლო გეგმებისა და სამუშაოთი კმაყოფილების შესახებ.

კარგად დაგეგმილი ინტერვიუ მეცნიერული ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოდგება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც რესპონდენტები თავად არჩევენ თემებს თავიანთი წარსულისა და აწმყოს შესახებ საუბრისას და საშუალება აქვთ, რომ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გადაინაცვლონ ერთი შეკითხვიდან მეორეზე, შესაძლებელია სანდოობისა და ვალიდობის პრობლემები გაჩნდეს. ნამდვილად არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ არასტრუქტურირებული ინტერვიუ უფრო სანდო და ვალიდურია, ვიდრე სტრუქტურირებული. შეკითხვების სტრუქტურირება ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის სანდოობისა და ვალიდობის გაზრდის ერთ-ერთი გზაა. ამიტომაც სტრუქტურირებულ ფორმას უფრო ხშირად ანიჭებენ უპირატესობას კლინიკური ფსიქოლოგები თერაპიული სტრატეგიის განსაზღვრისას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

როგორც უკვე ვთქვით, ინტერვიუ პიროვნების შესახებ ინფორმაციის მდიდარი წყაროა. მიუხედავად ამისა, ინტერვიუერების პროცესში მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია ძალიან სუბიექტური შეიძლება იყოს და ამის მიზეზი, შესაძლოა, თავად ინტერვიუერის მიკერძოებულობა იყოს. გარდა ამისა, ინტერვიუერის პიროვნულმა მახასიათებლებმა შეიძლება სრულიად გაუცნობიერებლად, არაგანზრახ იმოქმედოს იმაზე, თუ რამდენად ღია, გახსნილი და გულწრფელი იქნება რესპონდენტი ინტერვიუს მსვლელობისას. ამას უკავშირდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესაძლო დაფარვა და/ან დამახინჯება. და მაინც, ინტერვიუ, განსაკუთრებით ტრიანგულაციის პირობებში, ანუ როდესაც ინტერვიუთი მიღებული ინფორმაცია სხვა მეთოდებით მიღებული მონაცემებით ივსება და მოწმდება, პიროვნების შეფასების ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი მეთოდია (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

### თვითანგარიშის მეთოდები

თვითანგარიშის მეთოდები ობიექტური გაზომვის მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც პიროვნების და, განსაკუთრებით, ინდივიდუალური განსხვავებების კვლევისთვის, პიროვნების ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა.

არც ერთი ნაშრომი, რომელიც ინდივიდუალური განსხვავებების შეფასებას ეძღვნება, არ იქნება სრული თვითანგარიშის კითხვარების მეშვეობით მიღებული შედეგების განხილვის გარეშე. პიროვნების ფსიქოლოგიაში კითხვარები, ფაქტობრივად, გაცილებით ფართოდ გამოიყენება, ვიდრე პიროვნების შეფასების ნებისმიერი სხვა ფორმა. ამ ტიპის კვლევებში კვლევის მონაწილეებს სთავაზობენ, რომ ზღანკზე წერილობით უპასუხოს შეკითხვებს, რომლებიც მათი ხასიათის თავისებურებებს, ღირებულებებს, განწყობებს, მოტივებს, გრძნობებს, ინტერესებსა და უნარებს შეიძლება შეეხებოდეს. ტერმინი „თვითანგარიში“ ამ შემთხვევაში იმ ინფორმაციის მიღების მეთოდის ამსახველია, რომელსაც სუბიექტი უშუალოდ გვატყობინებს თავისი თავის შესახებ გარკვეულ შეკითხვაზე გარკვეული ფორმის პასუხის გაცემით (Хелл Л., Зиглер Д., 1997).

კითხვარი გამოკითხვისთვის ინფორმაციის შეგროვების, ფართო გამოყენების, სასარგებლო ინსტრუმენტია, რომელიც სტრუქტურირებულ, ხშირად, რიცხობრივ მონაცემებს იძლევა, მისი ჩატარება მკვლევრის დაუსწრებლად შესაძლებელი და გასაანალიზებლად უფრო მარტივია (Wilson and McLean, 1994, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ამ მიმზიდველ მხარეებს აბალანსებს ის დრო, რომელიც კითხვარების შექმნას, პილოტირებასა და დახვეწას სჭირდება, არც თუ ისე ღრმა და შეზღუდული მოცულობის მონაცემები და ნაკლებად მოქნილი პასუხები (თუმცა, როგორც უილსონი და მაკლინი (1994) აღნიშნავენ, ეს მიმზიდველიც შეიძლება იყოს). მკვლევარმა უნდა იმსჯელოს და ისე გადაწყვიტოს, რამდენად შეესაბამება მონაცემების მოგროვებისთვის კითხვარის გამოყენება მის მიზნებს. და თუ გადაწყვეტს, რომ შეესაბამება — რა ტიპის უნდა იყოს ეს კითხვარი (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

## თვითანგარიშის მეთოდებით კვლევის წარმოებასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები

კითხვარი ყოველთვის იქნება რესპონდენტის ცხოვრებაში შეჭრა, იქნება ეს იმ დროის თვალსაზრისით, რომელიც კითხვარის შევსებას სჭირდება, საფრთხის ან კითხვების სენსიტიურობის მხრივ, თუ პირად ცხოვრებაში შესაძლო შეჭრის გამო. კითხვარის რესპონდენტები არ არიან მკვლევრებისთვის მონაცემების პასიური მიმწოდებლები. ისინი კვლევის სუბიექტები არიან და არა — ობიექტები. აქედან გამომდინარეობს რამდენიმე გარემოება (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

რესპონდენტებს ვერ ვაიძულებთ კითხვარის შევსებას. ისინი შეიძლება ძალიან წავახალისოთ, მაგრამ კვლევაში მონაწილეობის გადაწყვეტილებას მაინც თავად იღებენ. ასევე, თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას კვლევიდან გამოთიშვის შესახებ. მათი კვლევაში ჩართულობა შემდეგ ფაქტორებზე შეიძლება იყოს დამოკიდებული:

- მათ ინფორმირებულ თანხმობაზე;
- მათ უფლებაზე, ნებისმიერ დროს გამოეთიშოს კვლევას და არ უპასუხოს კითხვარის კონკრეტულ დებულებებს;
- კვლევის შესაძლებლობაზე, გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა (კეთილდღეობის საკითხი);
- გარანტიაზე, რომ კვლევა მათ არ ავნებს (ზიანის არიდების საკითხის);
- კვლევაში კონფიდენციალურობის, ანონიმურობისა და ამოუცნობლობის გარანტიებზე;
- საფრთხის ან კითხვების სენსიტიურობის ხარისხზე, რამაც რესპონდენტი შეიძლება ჭარბ ან მწირ პასუხებამდე მიიყვანოს (Sudman and Bradburn, 1982, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007);
- ფაქტორებზე, რომლებიც თავად კითხვარშია (მაგალითად, კითხვარის საკითხები; რესპონდენტის სათქმელის მოხელთების უნარი და არა — მკვლევრის პროგრამის განხორციელება), ანუ, კითხვარში მიკერძოებულობის არიდება და ვალიდობისა და სანდოობის უზრუნველყოფა — მეთოდოლოგიური

სიზუსტისა და პატიოსნების საკითხებზე. მეთოდოლოგიური სიზუსტე ეთიკური და არა მხოლოდ ტექნიკური საკითხია (Morrison, 1996c, წყაროში Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), რესპონდენტს უფლება აქვს, ენდობოდეს კითხვარს და მისგან ვალიდობას ელოდოს;

- რესპონდენტის რეაქციებზე, მაგალითად, რესპონდენტებს ექნებათ რეაქცია, თუ დებულებას შეურაცხმყოფელად, სულში ჩამძვრომად, შეცდომაში შემყვანად, მიკერძოებულად, მცდარად, გამაღიზიანებლად, წინდაუხედავად, გაუმართავად ან ძნელად გასაგებად მიიჩნევენ.

ეს ფაქტორები კითხვარის გამოყენების ყოველ ეტაპზე მოქმედებენ, ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს თავად კითხვარს, რესპონდენტებისადმი მიდგომას, მათთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებს, მონაცემების ანალიზსა და მათ წარმოდგენას (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### თვითანგარიშის კითხვარის ტიპები

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სახის კითხვარი არსებობს, წესი მარტივია (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007): რაც უფრო დიდია შერჩევის მოცულობა, მით უფრო სტრუქტურირებული, დახურული და რიცხობრივი უნდა იყოს კითხვარი, ხოლო რაც უფრო მცირეა შერჩევის მოცულობა — მით ნაკლებად სტრუქტურირებული, მეტად ღია და ვერბალიზებული.

მკვლევარს რამდენიმე ტიპის კითხვარის არჩევა შეუძლია: უკიდურესად სტრუქტურირებულიდან არასტრუქტურირებულამდე. თუ დახურული და სტრუქტურირებული კითხვარი გამოიყენება, რომელიც მოდელის დადგენისა და შედარების შესაძლებლობას იძლევა, მაშინ საჭიროა კითხვარის პილოტირება და იმგვარად დახვეწა, რომ საბოლოო ვერსია ყველა იმ სავარაუდო პასუხს მოიცავდეს, რომელთა წინასწარ გათვლაც შესაძლებელია. ასეთი კითხვარით მუშაობა მძიმეა კვლევის დასაწყისში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის ერთხელ გაიმართება, ანალიტიკური სამუშაო შედარებით სწრაფად წარმოებს. მაგალითად, ორი-სამი თვე შეიძლება წაიღოს გამოკითხვისთვის განკუთვნილი კითხვარის გამართვამ, პილოტირებამ, დახვეწამ და იმ ფორმით ჩამოყალიბებამ, რომელიც შესაძლებელს გახდის მიღებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას. თუმცა, ამისი ამონაგები ისაა, რომ მონაცემების ანალიზი საკმაოდ სწრაფად ხდება. ჩვენ უკვე ვიცით პასუხების კატეგორიები, მონაცემების ბუნება და გამოსაყენებელი სტატისტიკები. ეს მხოლოდ და მხოლოდ მონაცემების დამუშავების, ხშირად, კომპიუტერული ანალიზის, საქმეა (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ალბათ, არასწორი იქნება კითხვარზე „არასტრუქტურირებულის“ თქმა, რადგან კითხვარის არსი სწორედ ისაა, რომ რესპონდენტებისგან გარკვეული მოცემული სტრუქტურის მიყოლას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, სრულიად ღია კითხვარსა, რომელიც „დაწერეთ, რაც გსურთ“ შეთავაზებას ჰგავს, და სრულიად დახურულ, სტრუქტურირებულ კითხვარს შორის ისეთი მძლავრი იარაღი თავსდება, როგორც ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუა. აქ მოცემულია კითხვები, დებულებები ან პუნქტები და რესპონდენტმა ისე უნდა უპასუხოს, შეარჩიოს პასუხი ან კომენტარი გააკეთოს, როგორც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ. კითხვარს აქვს ნათელი სტრუქტურა, თანმიმდევრობა და ფოკუსი, მაგრამ ფორმატი ღიაა და რესპონდენტებს თავიანთი სიტყვებით შეუძლიათ პასუხების გაცემა. ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარებს აქვთ პროგრამა, მაგრამ არ აკეთებენ წინასწარ დაშვებებს პასუხების ბუნების შესახებ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

### თვითანგარიშის კითხვარის ფორმები

თვითანგარიშის კითხვარები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენ პიროვნულ მახასიათებელს ზომავს თითოეული მათგანი ერთდროულად. არსებობს ერთ, ორ და მრავალგანზომილებიანი კითხვარები.

ერთგანზომილებიანი კითხვარები, ჩვეულებრივ, ერთი რომელიმე კონკრეტული პიროვნული ნიშნის ან ქცევითი მახასიათებლის შესაფასებლად არის მოწოდებული. ასეთი მეთოდიკის გამოყენებით მიღებული ქულების მიხედვით, მკვლევარი აფასებს, კვლევის მონაწილეები დაბალი, საშუალო თუ

მაღალი ქულებით გამოირჩევიან. ერთგანზომილებიანი კითხვარის გამოყენებისას იგულისხმება, რომ გასაზომი პიროვნული ნიშანი ყველა მონაწილეს ახასიათებს და ამიტომ კვლევაში ყოველმა კონკრეტულმა ინდივიდმა შეიძლება მიიღოს დაბალი, საშუალო ან მაღალი შეფასება; ამასთან, ნებისმიერი მიღებული შეფასება თანაბრად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არის ამ კონკრეტული ნიშნის მიხედვით პიროვნების თავისებურების ასახვა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

ასეთი ერთგანზომილებიანი კითხვარის მაგალითებია სპილბერგერის პიროვნული და სიტუაციური შფოთვის სკალა (Spilberger, et. Al., 1970) და ჯულიან როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა (Rotter, 1966) (მაგალითისთვის იხ. ცხრილი 9). მსგავსი მეთოდიკებით მიღებული შეფასებები, კონკრეტული მახასიათებლის მიხედვით, სავარაუდოდ, შედარებით სტაბილურ ინდივიდუალურ განსხვავებებს ასახავს (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

**ცხრილი 9. სპილბერგერისა და როტერის სკალების დებულებების ნიმუშები.**

სპილბერგერის შფოთვის საზომი სკალის ნიმუში	როტერის კონტროლის ლოკუსის საზომი სკალის ნიმუში
<p style="text-align: center;"><i>სავარაუდო პასუხებია:</i></p> <p><i>თითქმის არასდროს, იშვიათად, ხშირად, თითქმის ყოველთვის.</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განვიცდი სიამოვნებას.</li> <li>• ჩვეულებრივ, სწრაფად ვიღლები.</li> <li>• ადვილად შემიძლია ავტირდე.</li> <li>• მინდა სხვების მსგავსი ვიყო.</li> <li>• ხშირად ვაგებ იმის გამო, რომ არასაკმარისად სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებას.</li> <li>• ჩვეულებრივ, თავს მხნედ ვგრძნობ.</li> <li>• მე მშვიდი, აუღელვებელი და მობილიზებული ვარ.</li> <li>• მოსალოდნელი სიძნელები, როგორც წესი, მაფიქრიანებენ.</li> <li>• ზედმეტად ვნერვიულობ წვრილმანებზე.</li> <li>• მე სრულებით ბედნიერი ვარ.</li> </ul>	<p style="text-align: center;"><i>სავარაუდო პასუხებია: დიახ, არა.</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამსახურში დაწინაურება ბედნიერ შემთხვევაზე უფრო დამოკიდებული, ვიდრე პიროვნების უნარებსა და ძალისხმევაზე.</li> <li>• განქორწინებათა უმრავლესობის მიზეზი ისაა, რომ ადამიანებმა არ ისურვეს ერთმანეთთან შეგუება.</li> <li>• ავადმყოფობა შემთხვევითობის შედეგია; თუ გიწერია, რომ ავად უნდა გახდე, ვერაფერს გააწყო.</li> <li>• ადამიანები მარტოსულნი იმიტომ რჩებიან, რომ თავად არ ავლენენ ინტერესსა და კეთილგანწყობას გარემომყოფთა მიმართ.</li> <li>• ჩემი სურვილების განხორციელება ხშირად არის დამოკიდებული იღბალსა და გამართლებაზე.</li> <li>• უშედეგოა სხვა ადამიანების სიმპათიის მოსაპოვებლად რაიმე ძალისხმევის გაწევა.</li> <li>• სკოლაში ჩემი ნიშნები უფრო ხშირად იყო დამოკიდებული შემთხვევაზე (მაგალითად, მასწავლებლის განწყობილებაზე), ვიდრე ჩემს ძალისხმევაზე.</li> </ul>

არსებობს თვითანგარიშზე დამყარებული მრავალი კითხვარი, რომლებიც ერთდროულად ორ ან რამდენიმე პიროვნულ მახასიათებელს ზომავს. მათ მრავალგანზომილებიანი კითხვარებს უწოდებენ. მრავალგანზომილებიანი კითხვარის უპირატესობა ისაა, რომ ის პიროვნების შესახებ უფრო სრული წარმოდგენის შექმნის საშუალებას გვაძლევს. ასეთი კითხვარები ფართოდ გამოიყენება კლინიკურ კვლევებში, ფსიქოლოგიური კონსულტირების პრაქტიკასა და დაწესებულების პერსონალის შერჩევისას (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997). მრავალგანზომილებიანი კითხვარების მაგალითია MMPI (მინესოტას მრავალფაზიანი პიროვნების საზომი მეთოდიკა), რომლის სრული ვერსია 365 დებულებას მოიცავს. ეს დებულებები ქმნიან შეფასების სამ და ათ კლინიკურ სკალას, როგორცაა, მაგალითად, დეპრესიულობის, აფექტის რიგიდულობისა და სოციალური ინტროვერსიის სკალები (MMPI-ის დებულებების საილუსტრაციოდ იხ. ცხრილი 10).

**ცხრილი 10. MMPI-ის დებულებების ნიმუშები.****სავარაუდო პასუხები: ვეთანხმები, არ ვეთანხმები.**

- მიყვარს ტექნიკური, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების კითხვა.
- კარგი მადა მაქვს.
- ჩვეულებრივ, დილაობით დასვენებული და სიცოცხლით სასვე ვიღვიძებ.
- მგონია, რომ ბიბლიოთეკარის სამუშაო მომეწონებოდა.
- ხმაურზე ადვილად მეღვიძება.
- მიყვარს მომხდარი დანაშაულებებისა და შემთხვევების შესახებ გაზეთებში მოთავსებული ცნობების კითხვა.
- ჩვეულებრივ, ჩემი ზემო და ქვემო კიდურები (ფეხები და ხელები) საკმაოდ თბილია.
- ჩემი ყოველდღიური ცხოვრება შევსებულია ჩემთვის საინტერესო საქმეებით.
- ამჟამად მე დაახლოებით ისეთივე შრომისუნარიანი ვარ, როგორც წინათ ვიყავი.
- ხშირად მეჩვენება, რომ თითქოს ყელში რაღაც მაქვს გაჩხერილი.

**თვითანგარიშის მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები**

ინდივიდუალური განსხვავებების შეფასება პერსონოლოგიის მნიშვნელოვანი ასპექტია. თვითანგარიშზე დაფუძნებულ მეთოდებს, რომლებიც ძირითადად, კითხვარების სახითაა წარმოდგენილი, ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს, ძირითადად, იმიტომ ხდება, რომ თვითანგარიშის კითხვარებით შესაძლებელია პიროვნების შესახებ უფრო სრული და სისტემატიზირებული ინფორმაციის მიღება, ვიდრე ეს მოუწესრიგებელი და არასისტემური ინფორმაციით მიიღწევა. ამ შემთხვევაში მკვლევრის პირად წინასწარ განწყობებსა და/ან თეორიულ მიკერძოებას შედეგების დათვლისა და ანალიზის პროცესის ობიექტურობა აკომპენსირებს. გარდა ამისა, კითხვარებით შედარებით იოლია მუშაობა შედარებით ნაკლებად მომზადებული ადამიანისთვის. თვითანგარიშის მეთოდები, როგორც წესი, მეტი სანდოობით გამოირჩევიან, ვიდრე სხვა მეთოდები (მაგალითად, პროექციული და ინტერვიუს მეთოდები), რაც მათი დიდი უპირატესობაა. ამასთან, მრავალგანზომილებიანი კითხვარების გამოყენებით შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე პიროვნული მახასიათებლის გაზომვა (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არსებობს კითხვარების გამოყენების სუსტი მხარეც. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ თვითანგარიშის მეთოდებით მომუშავე პერსონოლოგები ბევრად არიან დამოკიდებულნი რესპონდენტების მიერ საკუთარი თავის შესახებ ზუსტი და ადეკვატური ინფორმაციის გაცემისადმი მზაობაზე. პრობლემა ისაა, რომ კითხვარებში ხშირად არის ისეთი კითხვები, რომლებიც რესპონდენტს მკვლევრის შეცდომაში შეყვანის საშუალებას აძლევენ. რესპონდენტის მხრიდან განზრახ მოტყუება განსაკუთრებით მოსალოდნელია მაშინ, როდესაც რესპონდენტი დარწმუნებულია ამ გზით სარგებლის მიღებაში (Хьелл Л., Зиглер Д., 1997), მაგალითად, ვაკანსიის დაკავების მსურველმა შეიძლება ტყუილი თქვას და ისე უპასუხოს დასმულ კითხვებს, რომ საკუთარი თავისადმი დადებითად განაწყოს დამქირავებელი. ასევე, შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს და ადამიანმა გარკვეულ შეკითხვებზე განზრახ უპასუხოს უარყოფითად, რათა მის შესახებ შეიქმნას წარმოდგენა, როგორც უფრო სერიოზული და ღრმა დარღვევების მქონე ადამიანზე, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ასეთი პასუხები მოსალოდნელია ექსპერტიზის დროს, როდესაც დამნაშავეს ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებას ითხოვენ (Хьелლ Л., Зиглер Д., 1997).

ამგვარი დამახინჯებებისგან თავის დასაცავად ტესტებში იყენებენ საკონტროლო სკალებს, რომლებიც განზრახ ტყუილის თქმის ტენდენციის გამოსავლენადაა შექმნილი. მაგალითად, MMPI-ში, როგორც უკვე ვთქვით, ჩართულია შეფასების სამი სკალა, რომლებიც გვიჩვენებს, იტყუება თუ არა რესპონდენტი, როდის იყენებს ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმს, ან როდის არიდებს თავს პირდაპირ პასუხს. ასევე, გამოიყენება კითხვარში შემნიღბავი, დამატებითი შეკითხვების შეტანის ტექნიკა იმ მიზნით, რომ კვლევის მონაწილეები ვერ მიხვდნენ, თუ რა მიზანს ემსახურება ესა თუ ის კითხვარი.

ცხადია, ყველა ეს საშუალება მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს პრობლემას, ვინაიდან ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაამახინჯებს კვლევის მონაწილე საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას. სწორედ ამიტომ საკვლევი პროცენტების შესახებ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად არ უნდა დავემყაროთ მხოლოდ თვითანგარიშის კითხვარის შედეგებს (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

თვითანგარიშის კითხვარების კიდევ ერთი სუსტი მხარეა ადამიანის მიდრეკილება ისეთი პასუხების გაცემისკენ, რომ „კარგად გამოიყურებოდეს“, რასაც სოციალური სასურველობის ტენდენციას<sup>16</sup> უწოდებენ (Хьელл Л., Зиглер Д., 1997). ამ დროს კვლევის მონაწილეები შეიძლება სულაც ვერ აცნობიერებდნენ, რომ საკუთარი თავის უკეთ წარმოსაჩენად კორეგირებულ პასუხებს იძლევიან. ასეთი დამახინჯებების თავიდან ასაცილებლად კითხვარი ისეთ კითხვებს მოიცავს ხოლმე, რომლებიც რესპონდენტის მიერ სოციალურად სასურველი პასუხების მიღების ალბათობას ადგენენ. ამ პრობლემის დასაძლევად ალტერნატიული გზაა თავად კითხვარში შემავალი კითხვების შინაარსობრივი ანალიზი იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უბიძგებს ესა თუ ის დებულება მონაწილეს ტენდენციური პასუხების გაცემისკენ. სხვა სიტყვებით, რესპონდენტის პასუხებში არ გვექნება სისტემატური დამახინჯება, თუ ის ვერ მიხვდება კითხვის/დებულების ინტენციას და ერთმანეთთან ვერ დააკავშირებს საკვლევ მახასიათებელსა და სოციალური სასურველობის რომელიმე განზომილებას.

ასევე, აღსანიშნავია კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის ისეთი განსხვავებული ფორმები, როგორცაა, მაგალითად, სტაბილურად დადებითი ან უარყოფითი პასუხების გაცემა და შემთხვევითი პასუხები. უარის ამგვარი ფორმის გამოსავლენას, როგორც წესი, საკმარისია ხოლმე, რომ კითხვარში დაახლოებით თანაბარი ოდენობით იყოს წარმოდგენილი როგორც „პირდაპირი“ (პასუხებით „დიახ“, „ვეთანხმები“, „მართებულია“), ისე — „შებრუნებული“ (პასუხებით „არა“, „არ ვეთანხმები“, „მცდარია“) დებულებები. ასეთ შემთხვევაში ითვლება დამადასტურებელი და უარყოფელი პასუხების თანაფარდობა და თუ ბალანსი მკვეთრად არის დარღვეული, პასუხები არასანდოდ ითვლება და არ ხდება მათი ინტერპრეტაცია (Butcher, J. N., & Williams, C. L., 2000).

## პროექციული მეთოდები

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ პროექციული მეთოდების რაობას, განვითარების ისტორიას, გამოყენების სფეროებს, არსებულ კლასიფიკაციებს და რამდენიმე მაგალითს. ასევე, ვისაუბრებთ პროექციული მეთოდების ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

### რა არის პროექციული მეთოდი

ტერმინი პროექციული მეთოდი ეკუთვნის ლოურენ ფრანკს (Хьელლ Л., Зиглер Д., 1997), რომელიც მან პროცენტების შეფასების გარკვეული ტიპის მეთოდების აღსანიშნად გამოიყენა.

პროექციული ტექნიკების ადეკვატური განსაზღვრება უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ეს მრავალ ავტორს ჰგონია (Lilienfeld, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000). სტრუქტურირებული ანუ ობიექტური პროცენტული საზომების (კითხვარების, ტესტების) საპირისპიროდ, პროექციული ტექნიკების შემთხვევაში რესპონდენტს, ჩვეულებრივ, ისეთი ბუნდოვანი სტიმულები წარედგინება, როგორცაა მელნის ლაქები, აბსტრაქტული ნიმუშები ანდა დაუსრულებელი სურათები (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009) და ამ სტიმულის გამოკვეთა მოეთხოვება. სხვა შემთხვევებში პროექციული ტექნიკები კვლევის მონაწილეებისგან, ღია ინსტრუქციების (მაგალითად, „დახატეთ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გსურთ, რომ დახატოთ“) შესაბამისად, რეაქციას ანუ პასუხს (მაგალითად, ნახატს) მოითხოვენ. ამასთან, პროექციული ტექნიკების უმრავლესობაში რესპონდენტს მნიშვნელოვანი თავისუფლება ეძლევა და საკმაოდ მოქნილია პასუხების ბუნება და ზოგჯერ რაოდენობაც კი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი

<sup>16</sup> ეს ფენომენი არა მხოლოდ თვითანგარიშის კითხვარებით მუშაობისას გვხვდება, არამედ შეფასების სხვა პროცედურების დროსაც.



ავტორი (მაგალითად, იხ. Schweighofer & Coles, 1994) პროექციულ ტექნიკებს განმარტავს, როგორც ინსტრუმენტებს, რომლებიც უკიდურესად დიდი (ზოგჯერ განუსაზღვრელი) რაოდენობის პასუხების (რომელთაც შეგვიძლია ქულები მივანიჭოთ და დავთვალოთ) გენერირების საშუალებას იძლევა, ეს განსაზღვრება ძალზე ფართოა და ბევრის მომცველი. მაგალითად, ამ განსაზღვრების მიხედვით, პროექციული მეთოდების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ინტელექტის მრავალი სტანდარტული ტესტის ლექსიკური მარაგის სუბტესტები, ვინაიდან ასეთ სუბტესტებში შემავალ კითხვებს (მაგალითად, „რას ნიშნავს გავამართლოთ?“), პრინციპში, შესაძლო პასუხთა უსასრულო რაოდენობა შეიძლება ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, პროექციული ტექნიკები შეიძლება განვმარტოთ, როგორც მეთოდიკები, რომლებიც განსხვავდებიან სტრუქტურირებული ანუ ობიექტური ტესტებისგან როგორც სტიმულის, ისე — მასზე მიცემული რეაქციის თვალსაზრისით. ასეთ ტექნიკებში გამოყენებული სტიმულები უფრო ბუნდოვანია, ვიდრე სტრუქტურირებულ ტესტებში, ხოლო ამ სტიმულების საპასუხო რეაქციების ბუნება და რაოდენობა ცვალებადია (Lilienfield, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000).

აღსანიშნავია, რომ (Meehl, 1945, წყაროში Lilienfield, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000) პიროვნების შეფასების პროექციულ და ობიექტურ ინსტრუმენტთა უმრავლესობა კონტინუუმზე შეგვიძლია განვთავსოთ. მაგალითად, სტრუქტურირებული პიროვნული კითხვარების მრავალი დებულებაც კი (ვთქვათ, „ხშირად მტკივა თავი“), შესაძლოა, ბუნდოვანების/ორაზროვნების გარკვეული ხარისხით ხასიათდებოდეს, ვინაიდან შეიცავს ფრაზებს ან სიტყვებს, რომლებიც მრავალგვარად შეიძლება ინტერპრეტირდეს (ჩვენს მაგალითში, სიტყვა „ხშირად“ სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ადამიანისთვის).

### პროექციული მეთოდების განვითარება, გამოყენება და თეორიული საფუძველი

პროექციულ ტექნიკათა უმრავლესობას საფუძვლად უდევს პროექციის ჰიპოთეზა (საილუსტრაციოდ იხ. Frank, 1948; Sundberg, 1977). ამ ჰიპოთეზის მიხედვით, რესპონდენტი, ტესტის არასტრუქტურირებულ სტიმულზე პასუხის გაცემისა და მასში სინათლის/მკაფიოობის შეტანის პროცესში, საკუთარი პიროვნების სხვადასხვა ასპექტს აპროეცირებს<sup>17</sup> მიწოდებულ ბუნდოვან სტიმულზე. შედეგად, პროექციული ტექნიკით მომუშავე მკვლევარი პასუხების ინტერპრეტაციისას „შებრუნებულად“ მოქმედებს: მიწოდებულ სტიმულზე რესპონდენტების რეაქციების/პასუხების ინტერპრეტაციის მეშვეობით მსჯელობს და ასკვნის მისი პიროვნული დისპოზიციების შესახებ (Lilienfield, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000).

პროექციის ცნება სათავეს ფროიდის ნაშრომებში იღებს (Heller, S., 2005). ფროიდისთვის პროექცია დაცვის მექანიზმია, როდესაც ინდივიდი საკუთარ ნეგატიურ პიროვნულ თვისებებსა და იმპულსებს სხვა ადამიანებს მიაწერს (ანუ სხვა ადამიანებზე აპროეცირებს). შესაბამისად, პროექციული შეფასების მიზანია პიროვნების გაუცნობიერებელი კონფლიქტების, შიშებისა და შფოთვის წყაროების გამოვლენა. მართალია, პროექციის ფროიდისეული ცნება (ე.წ. „კლასიკური პროექცია“) არც ისე კარგად დასტურდება ლაბორატორიული კვლევებით (მაგალითად, Holmes, 1978), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროექციული მეთოდიკების საფუძველიც არამყარია. მათი უმრავლესობა მოიაზრებს არა მაინც და მაინც ნეგატიური გამოცდილების პროექცირებას სტიმულზე, არამედ — უფრო „განზოგადებულ“ ანდა „ასიმულაციურ“ პროექციას, კერძოდ, ინდივიდის შედარებით ნაკლებად წინააღმდეგობრივი ტენდენციების — პიროვნული მახასიათებლების, მოთხოვნილებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების — გავლენას ბუნდოვანი სტიმულის ინტერპრეტაციაზე („აპერცეფციაზე“) (Sundberg, 1977, წყაროში Lilienfield, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000).

პროექციულ მეთოდიკებს თავდაპირველად ფსიქოანალიტიკოსები იყენებდნენ, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ეს მათ პაციენტთა არაცნობიერი დინამიკის შესწავლის საშუალებას მისცემდა. ეს მეთოდიკები განსაკუთრებით სასარგებლო და ფართოდ გამოყენებადია პრაქტიკოსი ფსიქოლოგებისთვის,

<sup>17</sup> ანუ ადამიანს ბუნდოვან სტიმულში მეტი გარკვეულობა შეაქვს იმით, რომ თავის სუბიექტურ გრძნობებს, ემოციებს, აზრებსა და გამოცდილებებს მიაწერს მიწოდებულ სტიმულს.

რომლებიც მათ პაციენტების ემოციური აშლილობების ხასიათისა და სირთულის დიაგნოსტიკაში ეხმარებათ. ასევე, საინტერესოა, რომ პიროვნების შეფასებისადმი პროექციული მიდგომა აშშ-ში უფრო ნაკლებად გამოიყენება, ვიდრე, მაგალითად, ჰოლანდიაში, ჰონგ-კონგსა და იაპონიაში (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ტერმინოლოგიას უკავშირდება. პროექციულ მეთოდებზე საუბრისას უფრო კორექტულია ტერმინის პროექციული „ტექნიკების“ ან „ინსტრუმენტების“ გამოყენება და არა — პროექციული „ტესტების“, ვინაიდან ეს ტექნიკები არ აკმაყოფილებენ ფსიქოლოგიური ტესტების არც ერთ ტრადიციულ კრიტერიუმს; კერძოდ, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმ პროექციული ტექნიკების უმრავლესობა, რომელთაც პრაქტიკოსები იყენებენ, არ მოიცავენ (ა) სტანდარტიზებულ სტიმულებსა და ტესტურ ინსტრუქციებს; (ბ) მიწოდებული სტიმულების საპასუხო რეაქციებისთვის ქულების მინიჭების სისტემატურ ალგორითმს; (გ) კარგად განსაზღვრულ და გადამოწმებულ ნორმებს, რომლებსაც უნდა შედარდეს ყოველი კონკრეტული რესპონდენტის პასუხები. აქედან გამომდინარე, საკმაოდ რთულდება გარკვეული პროექციული მეთოდების ინტერპრეტირება, ვინაიდან სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულად იყენებს სტიმულებსა და ქულების მინიჭების სქემას (Lilienfeld, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000).

### პროექციული მეთოდების კლასიფიკაცია

პროექციული მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს, თუმცა ყველაზე გავრცელებული და ამომწურავი ლინდსეის (1959, წყაროში Lilienfeld, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000) ეკუთვნის, რომელიც მათ ხუთ დიდ და ნაწილობრივ ერთმანეთის გადამფარავ კატეგორიად აერთიანებს.

1. *ასოციაციური* მეთოდები, რომლებიც კვლევის მონაწილისგან ითხოვს, რომ სტიმულზე პირველივე თავში მოსული აზრით (ან იმ მომენტში გაჩენილი გრძნობით) უპასუხოს. ასეთია, მაგალითად, „მენინგერის სიტყვათა ასოციაციის ტექნიკა“ (Rapaport, et. Al., 1968) და „რორშახის მელნის ლაქების მეთოდი“ (Rorschach, 1942) (სურ. N5).



სურ. N2. რორშახის მელნის ლაქების შავ-თეთრი და ფერადი ნიმუშები.



2. *კონსტრუქციული* მეთოდები, რომლებშიც მოითხოვება რაიმეს შექმნა ან შეთხზვა. მაგალითად, თემატური აპერცეპციის ტესტში (TAT, Morgan, Murrey, 1935) კვლევის მონაწილეებს წარუდგენენ მარტივი სცენების ამსახველი ბუნდოვანი სურათების სერიას (სურ. N6) და ამ სურათების მიხედვით მოთხოვნების შედგენას სთხოვენ სურათზე გამოსახული სცენის აწმყოს, წარსულისა და მომავლის შესახებ.

3. *დასრულების* მეთოდები კვლევის მონაწილისგან სტიმულის სახით მოცემული დაუსრულებელი აზრის დასრულებას მოითხოვს. სტიმულებად შეიძლება გამოყენებულ იქნას დაუსრულებელი წინადადებები და/ან დაუსრულებელი ისტორიები. ამ კატეგორიის მეთოდებს მიაკუთვნებენ

„როზენცვაიგის ფრუსტრაციის ტესტს“ (Rosenzweig, 1945) (სურ. N7) და „როტერის დაუსრულებელი წინადადებების ტესტს“ (Rotter, Rafferty 1950).

სურ. N3. თატ-ის სურათების ნიმუშები.



4. გამოხატვის/ექსპრესიული მეთოდები რესპონდენტისგან მოითხოვს, რომ ისეთი აქტივობებით გამოხატოს თავისი გრძნობები და სუბიექტური გამოცდილებები, როგორცაა ხატვა ან ფსიქოდრამა. მაგალითად, კარენ მახოვერის მეთოდიკაში „დახატე ადამიანი“ (Machover, 1949) ინდივიდმა უნდა დახატოს ადამიანი და შემდეგ საწინააღმდეგო სქესის ადამიანი.

5. შერჩევის ან თანმიმდევრობით დალაგების მეთოდები ინდივიდისგან სტიმულების შერჩევას ან პრიორიტეტების მიხედვით დალაგებას მოითხოვს. მაგალითად, სონდის მეთოდიკით (Szondi, 1944) მუშაობისას მკვლევარი ინდივიდს სთხოვს, აირჩიოს ადამიანების მიწოდებული გამოსახულებებიდან ისეთები, რომლებიც მოსწონს ან არ მოსწონს.

პროექციული მეთოდების ლინდსეის კლასიფიკაცია შეჯამებულია ცხრილში 11, სადაც წარმოდგენილია თითოეული მათგანის მოკლე აღწერა და ორი საილუსტრაციო ინსტრუმენტი.

სურ. N4. როზენცვაიგის ფრუსტრაციის ტესტის ნიმუში.



ცხრილი 11. პროექციული ტექნიკების ხუთი ძირითადი ტიპი და თითოეულის შესატყვისი ორი მაგალითი.

ტიპი	მაგალითები	აღწერა
ასოციაცია	<p>რორშახის მელნის ლაქების ტესტი (Rorschach, 1921)</p> <p>ხელის ტესტი (მაგ., Wagner, 1962)</p>	<p>რესპონდენტებს აჩვენებენ 10 ცალ სიმეტრიულ მელნის ლაქას, აქედან 5 ფერადია, 5 — შავ-თეთრი და სთხოვენ, აღწერონ, რას ხედავენ ამ მელნის ლაქებში.</p> <p>რესპონდენტს აჩვენებენ მოძრავი ხელის მტყვნის სხვადასხვა სურათს და სთხოვენ, თქვან, "რას შეიძლება აკეთებდეს" თითოეული ხელი.</p>
კონსტრუქცია	<p>"დახატე ადამიანი" (Machover, 1949)</p> <p>თემატური აპერცეფციის ტესტი (Murrey &amp; Morgan, 1938)</p>	<p>რესპონდენტებს აძლევენ სუფთა ფურცელს და სთხოვენ პროცენტების დახატვას. შემდეგ სთხოვენ მეორე პროცენტების დახატვას, რომელიც პირველისგან სქესით განსხვავდება (საპირისპირო სქესისა).</p> <p>რესპონდენტებს აჩვენებენ სოციალური სიტუაციის ამსხველ 20 ბუნდოვან სურათს და სთხოვენ, შეთხზან მოთხრობა თითოეულ სურათზე გამოხატული პერსონაჟების შესახებ.</p>
დასრულება	<p>ვაშინგტონის უნივერსიტეტის წინადადების დასრულების ტესტი (Loevinger, 1976)</p> <p>როზენცვაიგის ფრუსტრაციის სურათები (Rosenzweig, Fleming, &amp; Clark, 1947)</p>	<p>რესპონდენტებს მიეწოდებათ სხვადასხვაგვარი დაუსრულებელი წინადადება (მაგ., "დედაჩემი რომ . . .") და მოეთხოვებათ ფრაზების დასრულება.</p> <p>რესპონდენტებს აჩვენებენ ფრუსტრაციის შემცველ სხვადასხვა სქემატურ სურათებს (მაგ., მიმავალმა მანქანამ გუბეში გაიარა და შემთხვევით შეასხა პერსონაჟს წყალი) და სთხოვენ, სიტყვებით გამოხატონ/აღწერონ, რას მოიმოქმედებდნენ თითოეულ სიტუაციაში.</p>
შერჩევა /დალაგება	<p>სონდის ტესტი (Szondi, 1947)</p> <p>ლუშერის ფერების ტესტი (Luscher &amp; Scott, 1969)</p>	<p>რესპონდენტებს აჩვენებენ სხვადასხვა ფსიქიატრიული აშლილობის მქონე პროცენტების ფოტოებს და სთხოვენ, თქვან, რომელი პაციენტი მოსწონთ ან არ მოსწონთ ყველაზე მეტად.</p> <p>რესპონდენტს სთხოვენ, პრიორიტეტების მიხედვით დაალაგონ სხვადასხვა ფერის ბარათები.</p>
გამოხატვა	<p>სათამაშოებით პროექციული თამაში (მაგ., Woltmann, 1960)</p> <p>ხელნაწერის/კალიგრაფიის ანალიზი (იხ. Beyerstein &amp; Beyerstein, 1992)</p>	<p>ბავშვებს სთხოვენ, რომ სათამაშოების გამოყენებით გაითამაშონ სხვა ადამიანების (მაგ., დედის, მამის) ან საკუთარი თავის როლები.</p> <p>ინდივიდებს სპონტანურად დაწერილი ტექსტის ნიმუშებს სთხოვენ.</p>

წყარო: Lilienfeld, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000

## პროექციული მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები

პროექციული ტექნიკების უმრავლესობის ძირითადი უპირატესობები, სტრუქტურირებულ პროცენტულ კითხვარებთან და ტესტებთან შედარებით, შემდეგია:

- 1) შესაძლებელია რესპონდენტების ცნობიერი დაცვისთვის გვერდის ავლა.
- 2) სასტიმულო მასალის არაპირდაპირი მიწოდების წესი არ იწვევს რესპონდენტების დაცვის მექანიზმების ამოქმედებას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997), ამიტომ კლინიცისტებს ხელი მიუწვდებათ ისეთ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ინფორმაციაზე (მაგალითად, კონფლიქტებზე, იმპულსებზე), რომელთა

შესახებ რესპონდენტმა ცნობიერად არაფერი იცის (Dosajhm. 1996, წყაროში Lilienfield, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N., 2000). აქედან გამომდინარე, პროექციული ტექნიკების მომხრეები ხშირად ამტკიცებენ, რომ ეს მეთოდები დამატებით ვალიდობას სძენენ პიროვნებისა და ფსიქოპათოლოგიის შეფასებას სტრუქტურული საზომებით მუშაობის პროცესში.

3) რესპონდენტისთვის მიწოდებული სტიმულები ბუნდოვანი და არაერთმნიშვნელოვანია. ამიტომ მან უბრალოდ არ იცის, თუ რა ინტერპრეტაციას მისცემენ მის პასუხებს. ვინაიდან აქ მოსალოდნელი პასუხების განუსაზღვრელი რაოდენობა გვაქვს, გამოკვლევის რეალური მიზანი რესპონდენტისთვის უცნობი რჩება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ფალსიფიცირებული ან წინასაწარ განზრახული პასუხების ალბათობას.

პროექციული მეთოდების კრიტიკა ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა მათი არასაკმარისი სტანდარტიზაცია და ჩატარების, მიღებული მასალის შეფასებისა და ინტერპრეტაციის მკაფიო პროცედურის არარსებობა. კერძოდ, მეთოდიკაში მიღებული მაჩვენებლების შეფასება ხშირად კონკრეტული მკვლევრის კლინიკურ გამოცდილებაზე, ინტუიციასა და გაწაფულობაზეა დამოკიდებული, რაც მათ ძალზე არასანდოს ხდის; თუმცა, აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პროექციულ მეთოდებთან მუშაობის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს ინტერპრეტაციებისა და შეფასებების მინაგანი შეთანხმებულობის ხარისხის ზრდას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

უფრო სერიოზული პრობლემაა ამა თუ იმ კონკრეტული მეთოდიკით მიღებული და დათვლილი მაჩვენებლების ინტერპრეტაცია. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკოსი ფსიქოლოგები (დიაგნოსტები, კლინიკოსები, კონსულტანტები), ჩვეულებრივ, საკუთარ გამოცდილებას ეყრდნობიან, თავად პროექციული ტექნიკები ყოველთვის (ყველა სიტუაციასა და ყველა რესპონდენტთან) თანაბრად წარმატებული არ არის. ფაქტია, რომ მათი ინტერპრეტაცია ხშირად კლინიციის გამჭრიახობასა და ინტუიციასა და დამოკიდებული, რაც ხელს არ უწყობს პროექციული მეთოდიკების მეცნიერული ღირებულების მატებას.

და კიდევ ერთი კრიტიკული მოსაზრება: დღემდე არ არსებობს პროექციული ტექნიკების ვალიდობის საკმარისად დამაჯერებელი მტკიცებულებები. ამიტომ ფსიქოლოგები პიროვნების შეფასებისას საბოლოო დასკვნის გამოტანისას ეყრდნობიან არამარტო პროექციული მეთოდებით მიღებულ ინფორმაციას, არამედ სხვა მეთოდებით ცდილობენ მიღებული მასალის გადამოწმებასა და შევსებას,<sup>18</sup> თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ბევრი კლინიკური ფსიქოლოგი წარმატებით იყენებს მათ პიროვნების არაცნობიერი კონფლიქტების, ფანტაზიებისა და მოტივების შესწავლისას (Хьелл Л., Зиглер Д., 1997).

## შეჯამება

პიროვნების ფსიქოლოგების კვლევა სამ განსხვავებულ ასპექტზე ფოკუსირდება, ესენია ინდივიდუალური განსხვავებები, მოტივაცია და ჰოლიზმი. მართალია, დღეისათვის არ არსებობს ფართო თეორია ან კონცეპტუალური სისტემა, რომელიც სრულად მოიცავდა პიროვნების თეორეტიკოსებისა და მკვლევრების მიერ ფორმულირებულ პიროვნების ყველა სასარგებლო და ვალიდურ კონსტრუქტს, თუმცა, კონსტრუქტთა უმრავლესობა შეიძლება სამ ფართო კონცეპტუალურ სფეროდ დაიყოს, ესენია: დისპოზიციური ნიშნები, რომლებიც დიდი ხუთეულის ჩარჩოშია წარმოდგენილი, დამახასიათებელი ადაპტაციები, რომელთა რიცხვში შედის მოტივაციის საკითხები, მიზნები, ინტერესები, ღირებულებები, სტრატეგიები, განვითარების თემები და კონკრეტული პიროვნების ფსიქოლოგიურ ინდივიდუალიზმს უნიკალურ დეტალებს მატებენ და ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიები, რომლებიც წარსულის რეკონსტრუქციასა და მომავლის წარმოსახვას ისახავს მიზნად და ინდივიდის ცხოვრებას ერთიანობას, საზრისსა და მიზანს სძენს.

<sup>18</sup> და ამას ტრიანგულაციას უწოდებენ.

პიროვნების ფსიქოლოგები კვლევის ემპირიულ პარადიგმაზე დგანა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ცვლადებისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ ზუსტი ფაქტების დადგენით არიან დაკავებულნი. ემპირიული კვლევა სამი ეტაპისგან შედგება: არასისტემური დაკვირვება, თეორიის აგება და ვარაუდების შეფასება.

პიროვნების ფსიქოლოგები ემპირიული კვლევის წარმოებისას სამ ძირითად სტრატეგიას იყენებენ, ესენია: კორელაციური მეთოდი, რომელიც ორი ცვლადის ურთიერთმიმართების დადგენისთვის არის მოწოდებული; ექსპერიმენტი, რომელშიც მკვლევარი მანიპულირებს დამოუკიდებელი ცვლადით, აკვირდება ამ მანიპულაციის შედეგად დამოკიდებელი ცვლადის მნიშვნელობის ცვლილებას და მაქსიმალურად გაკონტროლებულ პირობებში მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას ცდილობს; შემთხვევის შესწავლა, რომელიც კონკრეტული პიროვნების, სოციალური სიტუაციის, მოვლენის ან ჯგუფის შესახებ სისტემატური გზით საკმარისი ინფორმაციის მოპოვებას, რაც შესასწავლი სუბიექტის ფუნქციონირების კანონზომიერებების წვდომის საშუალებას მისცევს მკვლევარს.

პიროვნების ფსიქოლოგები კვლევისას მეთოდების სამ ძირითად ჯგუფს იყენებენ: ინტერვიუს, იქნება ეს სტრუქტურირებული, არასტრუქტურირებული თუ ნახევრადსტრუქტურირებული; თვითანგარიშის მეთოდებს, რომლებიც ობიექტური გაზომვის მეთოდიკების რიცხვს მიეკუთვნება და პიროვნების, განსაკუთრებით, ინდივიდუალური განსხვავებების კვლევისთვის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი საშუალებაა; პროექციული მეთოდები, რომლებიც ფსიქოდინამიკურ თეორიულ საფუძველზე აგებული და რამდენიმე სახეობას აერთიანებს, როგორცაა ასოციაციური, კონსტრუქციული, დასრულების, ექსპერიული და შერჩევის ან თანმიმდევრობის დალაგების მეთოდები.

განურჩევლად იმისა, თუ კვლევის რომელ სტრატეგიას და მეთოდს იყენებს პიროვნების ფსიქოლოგი კვლევისას, აუცილებლად დგება ამ მეთოდის ვალიდობის, სანდოობის, სტანდარტიზაციისა და ნორმების საკითხი, რომლებიც მეთოდის შეფასების კრიტერიუმებს წარმოადგენენ.

## ნაწილი 2: სოციალური დასწავლა და კულტურა

ითოეული ადამიანი რომელიმე კონკრეტული კულტურული ტრადიციების მქონე კონკრეტულ სოციალურ გარემოში იზარბება. დროთა განმავლობაში ადამიანები ითვისებენ იმ სამეტყველო ენას, რომელზეც მისი გარემომცვენი საუბრობენ; სწავლობენ ქცევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც მიღებული და მოწონებულია მის მშობლიურ საზოგადოებაში. ადამიანები იმ სოციალური გარემოსა და კულტურის პროდუქტად ყალიბდებიან, რომელშიც მოუწიათ დაბადება და ცხოვრება. სწორედ ასე ფიქრობენ ბიჰევიორისტები და სოციალური დასწავლის თეორეტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ადამიანის პიროვნება გარემოს გავლენის ტერმინებით უნდა აიხსნას, ვინაიდან, მათი აზრით, პიროვნება გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების გზით ყალიბდება.

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, გარემო აყალიბებს, გარემოს ზეგავლენით ფორმირდება, გარემო განაპირობებს. რა არის გარემო და როგორია ის? რა კომპონენტებისგან შედგება და როგორ მოქმედებს ის ჩვენს ქცევაზე? ნებისმიერი ქცევის დასწავლის პროცესში გარემო მისგან მომდინარე ჯილდოებისა და სასჯელების, განმამტკიცებლების, სტიმულების, მისაბაძი მოდელების, მშობლების, მასწავლებლების, თანატოლებისა და სხვა ავტორიტეტული ადამიანების ღირებულებებისა და ქცევების სახით ზემოქმედებს ჩვენზე.

ამ ნაწილში, რომელშიც ოთხი თავია გაერთიანებული, ამ და მსგავს კითხვებზე შევეცდებით პასუხების გაცემას. თავდაპირველად ამერიკულ ფსიქოლოგიაში ბიჰევიორისტული ტრადიციის ჩამოყალიბებაზე ვისაუბრებთ, კერძოდ, განვიხილავთ ამერიკული ენვაირონმენტალიზმისა და ბიჰევიორიზმის ფორმირების საკითხებს, მათ შორის კლასიკური განპირობების თეორიას, კონექციონიზმს, კლასიკურ ბიჰევიორიზმს, დრაივის რედუქციის თეორიასა და ადრეულ კოგნიტურ მიდგომას, რომელიც ქცევისადმი სტიმულ-რეაქციის მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმოადგენდა.

შემდეგ სკინერის რადიკალურ ბიჰევიორიზმს წარმოგიდგინებთ, რომელიც ქცევის ექსპერიმენტული ანალიზით მიღებულ შედეგებზეა აგებული და ოპერანტული განპირობებისა და ქცევაში ცვლილების მიღწევის მექანიზმებზე საუბრობს. გავცნობთ თანამედროვე სოციალურ-კოგნიტური თეორიის განვითარებასა და ძირითად დებულებებს, რომელიც ალბერტ ბანდურას ეკუთვნის და ადამიანის ქცევის ამხსნელ ერთ-ერთ საუკეთესო თეორიას წარმოადგენს. თეორიების განხილვის პარალელურად გავცნობთ ბიჰევიორალური და სოციალური დასწავლის თეორიების ფარგლებში შექმნილ თერაპიულ მიდგომებს, რომლებიც ქცევის მოდიფიკაციისთვისაა მოწოდებული.

ნაწილს ქცევის სოციალური ეკოლოგიის შესახებ საუბრით დავასრულებთ, სადაც მოკლედ მიმოვიხილავთ ქცევის მიკრო და მაკროკონტექსტებს და ქცევის ფორმირებისთვისა და განხორციელებისთვის მათ მნიშვნელობას.

## თავი 3

### ბიჰევიორისტული ტრადიცია

*„მშობლებს უკვირთ წყლის ნაკადის მწარე გემო მაშინ,  
როდესაც თავად მოწამლეს შადრევანი“.*

*„ადამიანები ქამლეონებს ვგავართ: ჩვენი მორალური  
ხასიათი იმ ელფერსა და ტონს იძენს, რაც ჩვენს  
გარემომყოფთ ახასიათებთ“.*

*(ჯონ ლოკი)*

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ცნობილმა ფსიქოლოგმა ბ. ფ. სკინერმა დაწერა რომანი „მეორე ვალდენი“<sup>1</sup>, რომელშიც აღწერილი იყო ბიჰევიორიზმის პრინციპებზე აგებული წარმოსახული უტოპიური საზოგადოება. ეს იყო დაახლოებით 1000 ადამიანისგან შემდგარი თემი, რომლებიც „ერთად ცხოვრობდნენ ყოველგვარი ჩხუბისა და კამათის გარეშე, ნდობის სოციალურ ატმოსფეროში და მათთვის უცხო იყო ეჭვი, მათ გარს ერტყათ სიყვარული და არა — ეჭვიანობა, მათთვის ჩვეული იყო თანამშრომლობა და არა — შეჯიბრი და კონკურენცია“ (Skinner, B. F., 2005, გვ. 301). სკინერის გმირები დაბადებიდანვე ეზიარებოდნენ კარგად დამუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც პოზიტიური ქცევების სისტემატურ განმტკიცებას ითვალისწინებდა. პატარა და უფრო მოზრდილ ბავშვებს ასწავლიდნენ უარყოფითი ემოციების შეკავებას, თვით-კონტროლს და საკუთარ თავსა და სხვებზე ზრუნვას ყოველგვარი ეჭვიანობის, შეჯიბრის, ბრძოლისა და სიამაყის გარეშე. სწავლება ყოველგვარი დამსჯელი ღონისძიებების გარეშე ხორციელდებოდა და მხოლოდ დადებით განმტკიცებას ეფუძნებოდა. სოციალურად სასურველი ქცევის დაჯილდოვების გზით, „ვალდენ მეორეში“ აღწერილი საგანმანათლებლო სისტემის წყალობით, ადამიანები ფრთხილად და თანდათანობით სწავლობდნენ ამ საზოგადოების ყველა წევრისთვის შესაფერისი კარგი ცხოვრების შესატყვის ქცევებს (McAdams, D. P., 2006).

სკინერის რომანში კომპაქტურად არის გადმოცემული ის მძლავრი იმპულსი, რომელიც დასაწყისიდანვე ახასიათებდა ამერიკულ ფსიქოლოგიას: ამერიკელებს სურდათ, დაეჯერებინათ, რომ ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანად დაიბადა. სწორი/სათანადო გარემოს პირობებში ნებისმიერს შეუძლია წინსვლა და საზოგადოებაში, სულ მცირე, პატივსაცემი პოზიციის დაკავება. თუ პიროვნების ქცევა მიუღებელი და პრობლემურია, შესაძლებელია მისი შეცვლა, გაუმჯობესება და სხვებისა და საკუთარი თავის შეცვლა იმ გარემოს ცვლილებით, რომელშიც ვცხოვრობთ. თითქმის მთელი XX საუკუნის განმავლობაში ტრადიციული ამერიკული ფსიქოლოგია აკნინებდა ადამიანებს შორის თანდაყოლილ ანუ ბიოლოგიურად მოცემულ განსხვავებებს და ამის სანაცვლოდ აქცენტს სოციალური გარემოს ძალაზე აკეთებდა, რომელიც აყალიბებს ადამიანის ქცევას. ბიჰევიორისტული ტრადიცია კარგად ასახავს ამერიკელი ფსიქოლოგების პოზიციას პიროვნების განვითარებაში სოციალური კონტექსტისა და დასწავლის როლის თაობაზე. როგორ ჩამოვყალიბდით ისეთ პიროვნებად, როგორებიც ვართ? რითი აიხსნება ის, რასაც ვაკეთებთ? სკინერის მტკიცებით, „ვალდენ მეორეში“ და რეალურ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ, ადამიანის ქცევა და პიროვნებების ცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, კულტურის ფარგლებში მიმდინარე სოციალური დასწავლის შედეგია (McAdams, D. P., 2006).

თუ ადამიანის ინდივიდუალობის გაგების პირველი ფუნდამენტური კონტექსტი ადამიანის თანდაყოლილი ბუნებაა, რომელიც ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა, მეორე მნიშვნელოვან კონტექსტს მისი სოციალური გარემო — ოჯახი, სამეზობლო, თემი, კულტურა და ისტორია — ქმნის (McAdams, D. P., 2006). ამ თავში გავცნობთ ამერიკული ენვაირონმენტალიზმის ფილოსოფიურ წანამძღვრებს,

<sup>1</sup> „Walden Two“ (1948/1962).



ბიჰევიორიზმის ფორმირების ისტორიას და იმ მეცნიერთა ნააზრევს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ბიჰევიორისტული აზრის განვითარებაში.

## ამერიკული ენვაირონმენტალიზმი: ბიჰევიორისტული ტრადიცია

*ბიჰევიორიზმი* ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დიდი მიმართულებაა, რომელშიც დაკვირვებად ქცევას გარემო აყალიბებს და დაასწავლის ადამიანს (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001). ამ მიმართულების ყველაზე ცნობილი და დელიკატური წარმომადგენელი ბ. ფ. სკინერია, თუმცა, ის არ არის ბიჰევიორიზმის ფუძემდებელი. ამერიკაში ბიჰევიორისტული მოძრაობის ოფიციალურ ფუძემდებლად ჯონ ბ. უოტსონი ითვლება, რომელმაც 1913 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალით“. ბიჰევიორიზმი ამერიკული აკადემიური ფსიქოლოგიის ყველაზე გავლენიანი მიმართულება იყო 1920-იანიდან 1950-იან წლებამდე, ხოლო მისი პრინციპები დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელოვან გავლენას. 1950-იან წლებში შეიქმნა სხვადასხვა გავლენიანი ბიჰევიორისტული თეორია, როგორცაა, მაგალითად, კლარკ ჰალის (1943) ბიოლოგიური დრაივის თეორია და ედვარდ ტოლმენის (1948) კოგნიტურად ორიენტირებული „მიზნობრივი ბიჰევიორიზმი“ (McAdams, D. P., 2006).

ჯონ უოტსონი, ბიჰევიორიზმის ფუძემდებელი, არ იყო მორიდებული და უბრალო ადამიანი. მან ერთხელ ისიც კი დაიტრაბახა, რომ შეეძლო სრულიად შემთხვევით აეყვანა ნებისმიერი ახალშობილი და მისგან ნებისმიერი ტიპის სასურველი ადამიანი გაეზარდა. ის ამტკიცებდა, რომ სათანადო გარემოს შექმნის შემთხვევაში, ის, სურვილისამებრ, ნებისმიერ პიროვნებას „გამოძერწავდა“. განურჩევლად ახალშობილის თანდაყოლილი ტენდენციებისა, ნიჭებისა, შესაძლებლობისა თუ რასობრივი მიკუთვნებულობისა, მას ჰქონდა პრეტენზია, რომ შეეძლო მისგან გაეზარდა ექიმი, ადვოკატი, ვაჭარი, დირექტორი და მათხოვარიც კი. უოტსონს მიაჩნდა, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორცაა თანდაყოლილი შესაძლებლობა, ტალანტი, ტემპერამენტი, ფსიქიკური წყობა და ქცევითი მახასიათებლები (Watson, J. B., 1924).<sup>2</sup>

ცხადია, უოტსონის პოზიცია მარგინალური იყო, თუმცა, ადამიანის ცხოვრების შესახებ მისი მოსაზრებები სათავეს ბრიტანელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის ნააზრევში იღებდა, რომელმაც 1690 წელს წამოაყენა *ტაბულა რაზა*<sup>3</sup> ანუ „სუფთა დაფის“ დოქტრინა. ლოკს მიაჩნდა, რომ ადამიანის გონება სუფთა ზედაპირს ან თეთრ ფურცელს წააგავს, რომელზეც ჯერ არაფერი დაწერილა. ის სრულიად სუფთა და ცარიელია. დროთა განმავლობაში გამოცდილება „წერს“ მასზე და გონებას მისთვის დამახასიათებელი შინაარსებით ავსებს. ლოკი უარყოფდა მოსაზრებას შინაგანი იდეების შესახებ და ამტკიცებდა, რომ პიროვნებას *გარემო* აყალიბებს (McAdams, D. P., 2006). თუ ადამიანის გონების საწყისი მდგომარეობა სუფთა დაფაა, მაშინ ყველა ადამიანი ფსიქოლოგიურად თანასწორი იზადება. ამ პოზიციიდან ადამიანებს შორის ინდივიდუალური პიროვნული განსხვავებები სხვადასხვაგვარი გარემოს ფუნქციაა. პიროვნება შექმნილია (გარემოს მიერ) და არა — თანდაყოლილი. როგორც სკინერი ამბობს (1971, წყაროში McAdams, D. P., 2006), „პიროვნება კი არ ზემოქმედებს სამყაროზე, არამედ სამყარო ზემოქმედებს მასზე“ (გვ. 211). მაშასადამე, თუ გარემო აყალიბებს პიროვნებას, მაშინ მხოლოდ ბედნიერი და თანმიმდევრული საზოგადოება შექმნის ასეთივე ბედნიერ და თანმიმდევრულ მოქალაქეებს (McAdams, D. P., 2006).

<sup>2</sup> „მომეცით დუქინი ჯანმრთელი და კარგად განვითარებული ახალშობილებისა და ჩემ მიერ შექმნის სამყაროში გავზრდი. გარანტიას გამძლეობ, რომ ნებისმიერი მათგანი შემთხვევითად რომ ავარციო და გავწვრთნა, ნებისმიერი სასურველი ტიპის სპეციალისტს გამოვზრდი, იქნება ეს ექიმი, ადვოკატი, ვაჭარი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათხოვარი და ქურდიც კი, განურჩევლად მისი ნიჭისა, ტენდენციებისა, მიდრეკილებებისა, უნარებისა, მოწოდებისა თუ წინაპრების რასისა“ (Watson, J. B., 1924).

<sup>3</sup> *Tabula rasa* – თუმცა, ეს ტერმინი არისტოტელეს შრომებში იღებს სათავეს, რომელიც პატარა ბავშვს ცვილით დაფარულ პატარა საწერ დაფას ადარებდა. ამ დაფაზე ცვილის გადასწორებით შესაძლებელია მასზე დაწერილი ტექსტის წაშლა და ახალი ტექსტის დაწერა. სწორედ ასეთივე „სუფთა“ ცნობიერებით იზადება ბავშვი.

როგორ აყალიბებს გარემო ქცევას? ბიჰევიორისტები გვიპასუხებენ, რომ დასწავლის მეშვეობით. თითოეული ჩვენგანი იმიტომ ვართ ისეთი, როგორებიც ვართ, რომ ასე ვისწავლეთ. ბიჰევიორისტების თანახმად, გარემო გვასწავლის, როგორები უნდა ვიყოთ, ამიტომ ის ვართ, რასაც ვსწავლობთ; მაგრამ რა განაპირობებს იმას, თუ რას ვისწავლით? რა გვიქმნის სწავლის *მოტივს*? ბიჰევიორისტები გვიპასუხებენ, რომ ვსწავლობთ იმიტომ, რომ მივიღოთ სიამოვნება და თავი ავარიდოთ ტკივილს.

იდეა, რომ ქცევის ბაზისური დეტერმინანტები სიამოვნება-ტკივილია, ისეთივე ძველია, როგორიც არისტოტელეს სწავლებანი, თუმცა, ეს იდეა პირველად ეპიკურეანიზმის ანტიკური სკოლის წიაღში განვითარდა. ეპიკურე (ჩვ.წ.-ად.-მდე 341-270 წ.წ.) ბერძენი ფილოსოფოსი იყო, რომელიც თვლიდა, რომ კარგი ცხოვრების მანიშნებლები ტკივილისგან თავისუფლება, ზომიერი სიამოვნება და სულიერი სიმშვიდე იყო. ეპიკურეს მიხედვით, ოპტიმალური სიამოვნება და მინიმალური ტკივილი არამარტო აბედნიერებს ადამიანებს, არამედ ეთიკური ქმედების საფუძველსაც ქმნის (McAdams, D. P., 2006).

XVIII-XIX საუკუნეებში *უტილიტარიანისტულმა* ფილოსოფიამ წამოაყენა იდეა, რომ „კარგი“ საზოგადოება მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ადამიანების მაქსიმალური ბედნიერებისთვის ანუ სიამოვნებისთვის უნდა არსებობდეს. ამ მიმართულების წარმომადგენელი ჯონ სტუარტ მილი (1806-1873) ამტკიცებდა, რომ ეს შესაძლებელი იქნება, თუ საზოგადოება უფრო ეგალიტარულად იქნება მოწყობილი. ამგვარად, ეგალიტარისტები ქადაგებდნენ ყველა ადამიანის თანასწორობას, მოითხოვდნენ ადამიანთა დიკრიმინაციის შეწყვეტას რელიგიის, გენდერისა და რასობრივი მიკუთვნებულობის საფუძველზე და, ასევე, საზოგადოებრივი სიკეთის თანაბრად გადანაწილებას (Russell, 1945, წყაროში McAdams, D. P., 2006). ეთიკის ჭრილში უტილიტარისტები პრაგმატულები და არადოგმატურები იყვნენ და ამტკიცებდნენ, რომ პრინციპები მოქნილი უნდა იყოს და ცვალებად ეთიკურ პირობებს ერგებოდეს. თავისი ფილოსოფიური წანამძღვრის მსგავსად, ბიჰევიორიზმი ეგალიტარული, პრაგმატული და გამოკვეთილად ოპტიმისტური იყო, განათლების გზით პიროვნების ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლის შესაძლებლობის თვალსაზრისით; სხვა სიტყვებით, ბიჰევიორისტებს მიაჩნდათ, რომ ქცევის შეცვლა შესაძლებელია სოციალურ კონტექსტში დასწავლის ანუ ტრენინგის/წვრთნის მეშვეობით. საბოლოო ჯამში, დასწავლას სიამოვნება და ტკივილი აყალიბებს, ხოლო დასწავლა, თავის მხრივ, უფრო დიდი რაოდენობით სიამოვნებასა და მინიმალურ ტკივილს ქმნის (McAdams, D. P., 2006). მილისა და სხვა უტილიტარისტების მიხედვით, დასწავლის დიდი ნაწილი წარმოიქმნება იმით, რომ ესა თუ ის მოქმედება დადებით (სასიამოვნო) ან უარყოფით (მტკივნეულ) მოვლენებთან *ასოცირდება*. *ასოციაციონიზმის* დოქტრინის მიხედვით, სხვადასხვაგვარი საგნები და იდეები, რომლებიც ერთმანეთს თანხვედრა დროსა და სივრცეში, ერთმანეთს უკავშირდება ანუ ასოცირდება და შინაარსის/აზრის მქონე ერთობას ქმნიან. დასწავლის მარტივი ფორმები ასოციაციების მეშვეობით ყალიბდება (McAdams, D. P., 2006).

## პიროვნებისა და მეცნიერების ხედვა სოციალური დასწავლის პოზიციიდან

პიროვნებისადმი სოციალური დასწავლის მიდგომა ორ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა: (1) თითქმის ყველა ქცევის ათვისება დასწავლის შედეგად ხდება და (2) წარმატების გადამწყვეტი პირობაა ობიექტურობა და მეცნიერული სიმკაცრე მკაფიოდ ფორმულირებული ჰიპოთეზების შემოწმებისას (იხ. ცხრილი 1) (Первин Л., Джон О., 2002).

### ცხრილი 1. ძირითადი მომენტები, რომლებიც ხაზგასმულია პიროვნებისადმი დასწავლის თეორიების მიდგომაში.

#### ძირითადი დებულებები

- თეორიისა და პრაქტიკის ქვაკუთხედი ემპირიული კვლევაა;
- პიროვნების თეორია და პრაქტიკა დასწავლის პრინციპებზე უნდა აიგებოდეს;
- ქცევა განმარტდებულზე რეაქციაა, რომელიც გარემოშია ლოკალიზებული და ის უფრო სიტუაციურად სპეციფიკური და კონკრეტულია, ვიდრე ამას პიროვნებისადმი სხვა თეორიული მიდგომები (მაგალითად, ნიშნების თეორია და ფსიქოანალიზი) ფიქრობენ;
- უარი სამედიცინო წარმოდგენას ფსიქოპათოლოგიის, როგორც "სიმპტომი-ავადმყოფობის" შესახებ და სანაცვლოდ ორიენტაცია დასწავლის ბაზისურ პრინციპებსა და ქცევის ცვლილებაზე.

თეორიული მიმართულებები, რომლებიც დასწავლის მიდგომის ფარგლებში განიხილება, გამომდინარეობენ მოსაზრებიდან, რომ პიროვნების შესწავლა დასწავლის ზოგადი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი განშტოებაა. მაგალითად, ამ პოზიციიდან ფსიქოპათოლოგია გაიგება, როგორც არაადაპტური ქცევის ათვისება ანდა როგორც მარცხი, წარუმატებლობა ადაპტური ქცევის ათვისების პროცესში. ფსიქოთერაპიაზე საუბრის ნაცვლად, დასწავლის თეორეტიკოსები *ქცევის მოდიფიკაციასა და ქცევით თერაპიაზე* საუბრობენ. მათი აზრით, საჭიროა კონკრეტული მოქმედებების შეცვლა და არა — ამ ქმედებების საფუძვლადმდებარე შინაგანი კონფლიქტების გადაჭრა, ან პიროვნების რეორგანიზაცია. ვინაიდან პრობლემური ქცევის დიდი ნაწილი ოდესღაც იქნა დასწავლილი, შესაძლებელია მათი „გადასწავლა“ ან რამენაირად შეცვლა, რისთვისაც დასწავლის კანონებზე დაყრდნობით აგებული სპეციალური პროცედურები გამოიყენება (Первин Л., Джон О., 2002).

ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად არსებითი ნიშანია ორიენტაცია ობიექტურობასა და სამეცნიერო სიმკაცრეზე, ჰიპოთეზების შემოწმებადობასა და ცვლადების ექსპერიმენტულ კონტროლზე (Первин Л., Джон О., 2002). აქედან გამომდინარე, ქცევის შესწავლის ძირითადი ადგილი ლაბორატორიაა, რთულის ნაცვლად მარტივ დაკვირვებად მოვლენებს ენიჭება უპირატესობა, ცდის პირებად კი ცხოველები (ვირთხები, მტრედები) გამოიყენება. ობიექტური ცვლადების დეტალურად გაწერილ მანიპულაციებზე ორიენტაციის გამო აქცენტი ორგანიზმის გარეგან ძალებზე კეთდება და არა — შინაგანზე. დასწავლის თეორიების მიხედვით, ჩვენ ვმანიპულირებთ გარემოთი და ვაკვირდებით ამ მანიპულაციების შედეგებს, რომელიც ქცევაზე აისახება. თუ ფსიქოდინამიკური თეორიები ორგანიზმში დამალულ მიზეზებზე (მაგალითად, ინსტინქტებზე, დაცვის მექანიზმებზე, მე-კონცეფციაზე) საუბრობენ, დასწავლის თეორიები ხაზს უსვამენ ორგანიზმის გარე სამყაროში არსებულ მიზეზებს. ყურადღების ცენტრში გარეგანი სტიმულები ექცევა, რომლებიც ექსპერიმენტულ პირობებში მანიპულაციას ექვემდებარებიან (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს საკვებით დაჯილდოვება), ისეთი ცნებებისგან/კონსტრუქტებისგან განსხვავებით, რომელთაც ვერ გამოვიყენებთ მანიპულაციისთვის (მაგალითად, მე-კონცეფცია და არაცნობიერი).

ბიჰევიორისტების მიერ გარემოში არსებული დეტერმინანტებისთვის მინიჭებული უპირატესობა ქცევის *სიტუაციურ სპეციფიკურობასაც* მოიაზრებს. სიტუაციათა ფართო დიაპაზონში დაკვირვებადი სტაბილური მახასიათებლების ნაცვლად, რომელთაც ნიშნებისა და ფსიქოდინამიკური თეორიები ეფუძნებიან, ბიჰევიორისტები იმ გარემო პირობების მსგავსებაზე საუბრობენ, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ეს ქმედებები და სწორედ ეს მსგავსება ქმნის ქცევის თანმიმდევრულობას და არა — რაიმე სტაბილური პიროვნული მახასიათებლები (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

## ბიჰევიორიზმის ფორმირება

ამ ქვეთავში ბიჰევიორისტული აზრის განვითარებას გავეცნობით, შემდეგ კი კლასიკური განპირობების პრინციპების პრაქტიკული გამოყენების მაგალითებს განვიხილავთ.

## ივან პავლოვის კლასიკური განპირობების თეორია

ივან პეტრეს ძე პავლოვი (1849-1936) რუსი ფიზიოლოგი იყო, რომელმაც საჭმლის მონელების პროცესის კვლევისას შეიმუშავა ქცევის შესწავლის მეთოდი და დასწავლის პრინციპები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს მთელ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში პავლოვი ძაღვებში კუჭის სეკრეციას სწავლობდა მათ ჯირკვლებსა და საჭმლის მომნელებელ ორგანოებში მილების ჩადგმით (სურ. N1ა,ბ). იგი ამ ტექნიკით გამოყოფილი სეკრეტის (ნერწყვის) რაოდენობის განსაზღვრასა და გაანალიზებას ცდილობდა. სეკრეციის გამოსაწვევად პავლოვის ასისტენტი ძაღლს პირში დამუშავებულ ხორცს უდებდა. ეს პროცედურა გარკვეული რაოდენობით მეორდებოდა (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).




პავლოვი

პავლოვმა შემთხვევით მიაქცია ყურადღება, რომ საკვების რამდენჯერმე მიწოდების შემდეგ ძაღლს ნერწყვი გარკვეულ სტიმულებზე ჯერ კიდევ მანამდე გამოეყოფოდა, სანამ საკვები მის პირში მოხვდებოდა. ნერწყვი გამოეყოფოდა ისეთ სტიმულებზე, როგორც იყო საკვებით სავსე ჯამის გამოჩენა ანდა ის ადამიანი, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, მიჰქონდა საკვები (Первин Л., Джон О., 2002). მეტიც, გარკვეული დროის შემდეგ ძაღლმა მის ფეხის ხმაზეც კი დაიწყო ნერწყვის გამოყოფა. აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი სტიმული, რომელიც სისტემატურად უსწრებდა წინ საჭმლის მიღებას და თავდაპირველად არ იწვევდა არანაირ რეაქციას, შემდგომში ნერწყვის გამოყოფას იწვევდა მხოლოდ იმის გამო, რომ ასოცირდებოდა საკვებთან, რომელიც

სურ. N1. ა-პავლოვის ექსპერიმენტული სიტუაციის სქემატური გამონახატულება.

ბ- პავლოვი და მისი ცნობილი ძაღლი ლაბორატორიაში.



ავტომატურად აიძულებდა ძაღლს ნერწყვის გამოყოფას (Первин Л., Джон О., 2002; გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). ამრიგად, პავლოვმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ დასწავლა ერთმანეთთან ასოცირებული ორი სტიმულის შედეგია.

პავლოვში, როგორც მეცნიერში, ამ ფენომენისადმი ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. მან ყურადღება არ მიაქცია იმ პერიოდისთვის დიდი ფიზიოლოგის სერ ჩარლზ შერინგტონის რჩევას, რომ თავი დაენებებინა ამ სულელური ახირებისთვის. პავლოვმა მიატოვა თავისი კვლევა სეკრეციისა და საჭმლის მონელების შესახებ და ამით სამუდამოდ შეცვალა ფსიქოლოგიური აზროვნების მიმართულება. მან აღმოაჩინა პროცესი, რომელსაც კლასიკური პირობითი რეფლექსის გამოიმუშავება ანუ *კლასიკური განპირობება* ეწოდა


(Первин Л., Джон О., 2002). მთელი დანარჩენი სიცოცხლე ის აგრძელებდა იმ ცვლადების ძებნას, რომლებიც გავლენას ახდენენ კლასიკურად განპირობებულ ქცევაზე.

კლასიკურ განპირობებულობას პავლოვისეულსაც უწოდებენ, ვინაიდან სწორედ მან აღმოაჩინა ეს ფენომენი და 1904 წელს ამისათვის ნობელის პრემიაც მიიღო (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

### კლასიკური განპირობება ანუ პირობითი რეაქცია

მნიშვნელოვანმა კვლევითმა გამოცდილებამ პავლოვს საშუალება მისცა, მარტივი გეგმა აერჩია ძაღლებში ნერწყვის გამოყოფის განპირობებისთვის. ექსპერიმენტის მსვლელობისას ძაღლი საგანგებო მოწყობილობაში იყო მოთავსებული (სურ. N2), რომელშიც თანაბარი ინტერვალებით იღებდა სტიმულს ზარის სახით, რის შემდეგაც გარკვეული რაოდენობის საკვებს აძლევდნენ. აღსანიშნავია, რომ ძაღლისთვის თავდაპირველად არანაირი კავშირი არ არსებობდა ზარსა და საკვებს შორის. ერთადერთი რეაქცია ზარის პირველად გაგონებაზე, საორიენტაციო რეფლექსი იყო – ძაღლმა ყურები დაცქვიტა და თავი მიატრიალა

სურ. N2. პავლოვის ლაბორატორია.



ხმის წყაროსკენ. თუმცა, ზარისა და საკვების განმეორებითმა შეწყვილებულმა მიწოდებამ საორიენტაციო რეფლექსის შეწყვეტა და ნერწყვის გამოყოფა გამოიწვია. ფენომენი, რომელსაც პავლოვი თავის ადრინდელ კვლევებში აკვირდებოდა, შემთხვევითი არ იყო. მისი გამოწვევა გაკონტროლებული პირობებით იყო შესაძლებელი. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ზოგადი ეფექტი იყო, პავლოვმა ზარის გარდა მრავალგვარი სტიმული გამოიყენა, როგორცაა ნათურა, ეჟვანი და მეტრონომი (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).


ამ ფენომენს კლასიკური განპირობება უწოდეს. ესაა დასწავლის მარტივი ფორმა (McAdams, D. P., 2006), რომლის საფუძვლად რეფლექსები უნდა ჩაითვალოს. რეფლექსი არის დაუსწავლელი, უნებლიე პასუხი ანუ რეაქცია (Chiesa, M., 1994), მაგალითად, ნერწყვის გამოყოფა, თვალების ხამხამი და ა. შ. ყველა რეფლექსს ბუნებრივად იწვევს სპეციფიკური სტიმული, რომელიც ბიოლოგიურად აქტუალურია ორგანიზმისთვის. ნებისმიერ სტიმულს, რომელიც ბუნებრივად იწვევს რეფლექსურ ქცევას უპირობო ანუ განუპირობებელი სტიმული ეწოდება, ვინაიდან სწავლა არ არის სტიმულის კონტროლისთვის აუცილებელი პირობა. ქცევა, რომელიც გამოწვეულია უპირობო ანუ განუპირობებელი სტიმულით, უპირობო ანუ განუპირობებელი ქცევაა (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

ამრიგად, კლასიკური განპირობების არსი ისაა, რომ თავდაპირველად ნეიტრალური სტიმული იწვევს რეაქციის გამოწვევას იმის გამო, რომ ასოციაციურად უკავშირდება იმ სტიმულს, რომელიც ავტომატურად (უპირობოდ) იწვევს ასეთსავე ან მსგავს რეაქციას. სხვა სიტყვებით, ძალი ნერწყვს გამოყოფს საკვების პირველივე ულუფაზე, როგორც კი ის პირში ხვდება. ამ შემთხვევაში არანაირი საჭიროება არ არსებობს, რომ რაიმე განპირობებაზე ანდა დასწავლაზე ვისაუბროთ. საკვები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც უპირობო სტიმული, ხოლო ნერწყვის გამოყოფა – უპირობო რეაქცია ანუ უპირობო რეფლექსი (სურ. N1ა), ვინაიდან ნერწყვის გამოყოფა ავტომატური, რეფლექტორული რეაქციაა საკვებზე (Первин Л., Джон О., 2002).

ტიპური კლასიკური განპირობების ექსპერიმენტში

ნეიტრალური სტიმული, მაგალითად, ზარი ან სინათლე, რომელსაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს რეფლექსური ქცევისთვის, რამდენჯერმე მეორდება უშუალოდ საკვების მიწოდების წინ. შედეგად ამ მანამდე ნეიტრალურმა სტიმულმა (ამ შემთხვევაში ზარმა ან სინათლემ) შეიძლება გამოიწვიოს იგივე (ამ შემთხვევაში ნერწყვის გამოყოფის) რეაქცია უპირობო სტიმულის (ამ

სურ. N3. პირობითი ანუ განპირობებული რეაქციის ჩამოყალიბება.




შემთხვევაში საკვების) წარდგენის გარეშე კი. ნეიტრალურ სტიმულს, დაწყვილებულს განუპირობებელ სტიმულთან, პირობითი ანუ განპირობებული სტიმული ეწოდება, რადგან მისი უნარი, გამოიწვიოს ქცევა, დამოკიდებულია განუპირობებელ ანუ უპირობო სტიმულთან ასოციაციაზე. რამდენიმე ცდის შემდეგ განპირობებულ ანუ პირობით სტიმულს მოჰყვება რეაქცია, რომელსაც პირობითი ანუ განპირობებული რეაქცია ეწოდება (სურ. N3). ძალიან ხშირად განპირობებული რეაქცია ჰგავს განუპირობებელ რეაქციას. მაგალითად, პავლოვის ძაღლისთვის ორივე რეაქცია ნერწყვის გამოყოფა იყო. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში განპირობებული ანუ პირობითი რეაქცია ბევრად განსხვავდება განუპირობებელი ანუ უპირობო რეაქციისგან: განპირობებული რეაქცია წარმოადგენს ნებისმიერ პასუხს, რაც, თავის მხრივ, დასწავლის შედეგია (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). კლასიკური განპირობების პროცესი სქემატურად არის წარმოდგენილი სურათზე N4.

ანალოგიურად შეიძლება პირობითი თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება თავდაპირველად ნეიტრალურ სტიმულებზე. განპირობებული თავდაცვითი რეაქციების პირველ კვლევებში ძალს სპეციალურ აღვირს უკეთებდნენ, რათა დაეკავებინათ სადგომზე, თათზე კი ელექტროდებს ამაგრებდნენ. თათზე ელექტროდების მიწოდება (უპირობო სტიმული) იწვევდა თათის გაწევის რეაქციას (უპირობო რეფლექსი), რაც ცხოველის რეფლექსური რეაქცია იყო. თუ უშუალოდ დენის დარტყმის წინ რამდენჯერმე დარეკავდა ზარი, მაშინ ხმა (პირობითი სტიმული) თანდათანობით თავად შეძლებდა თავდაცვითი რეფლექსის გამოწვევას ანუ თათის გაწევას (პირობითი რეფლექსი).

სურ. N4. კლასიკური განპირობება. ნეიტრალური სტიმული პირობითი ხდება უპირობო სტიმულთან ასოცირების ანუ შეწყვილების მეშვეობით და შედეგად პირობითი სტიმული ისეთივე რეაქციას იწვევს, როგორსაც უპირობო სტიმული.

პავლოვის ძაღლის შემთხვევაში ზარი იწვევს ნერწყვის გამოყოფას, ვინაიდან ის სისტემატურად არის შეწყვილებული საკვებთან.



პავლოვის მიერ შემუშავებულმა ექსპერიმენტულმა პროცედურამ, რომელიც მოწოდებულია კლასიკური განპირობების შესწავლისთვის, მას მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფენომენების შესწავლის შესაძლებლობა მისცა. მაგალითად, პირობითი რეფლექსი მხოლოდ კონკრეტულ ნეიტრალურ სტიმულთან ასოცირდება თუ სხვა მსგავს სტიმულსთანაც? პავლოვმა აღმოაჩინა, რომ პირობითი რეფლექსი, რომელიც თავდაპირველად ერთი ნეიტრალური სტიმულის საპასუხოდ წარმოიქმნა, შემდგომში სხვა მსგავს სტიმულსთანაც ასოცირდება. ამ პროცესს *გენერალიზაცია* ეწოდა. სხვა სიტყვებით, ზარის საპასუხოდ ნერწყვის გამოყოფის რეაქცია სხვა ხმებზეც გენერალიზირდება ანუ განზოგადდება. სწორედ ასევე, ზარზე თავდაცვითი რეაქცია გავრცელდება სხვა ხმებზეც, რომლებიც ძაღლს ზარის ხმას აგონებენ.

აქვს თუ არა ასეთ გენერალიზაციას რაიმე საზღვრები? თუ მრავალჯერ განმეორებად ცდებში უპირობო გამღიზიანებელი მხოლოდ ზოგიერთ ნეიტრალურ სტიმულს მოჰყვება, მაშინ ცხოველი არჩევს სტიმულს შორის განსხვავებას და ამ პროცესს დიფერენციაციას ანუ *სტიმულის დისკრიმინაცია*ს უწოდებენ. მაგალითად, თუ მხოლოდ ზოგიერთ ხმას მოჰყვება დენის დარტყმა და თათის რეფლექსური გაწევა, მაშინ ძაღლს შეუძლია დაისწავლოს იმ ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა, რომელსაც მოჰყვება და რომელსაც არ მოჰყვება დენის დარტყმა (Первин Л., Джон О., 2002). ამრიგად, სტიმულის დისკრიმინაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზმი სწავლობს, განსხვავებული რეაქცია ჰქონდეს ერთი და იმავე სახის განსხვავებულ სტიმულზე (მაგალითად, განსხვავება წყალსა და ზეთს შორის). ორგანიზმის მიერ სტიმულის დისკრიმინაციის დასწავლა ექსპერიმენტული პროცესით არის შესაძლებელი, რომლის დროსაც სხვადასხვა ინტენსივობის ზარს აწვდიან, მაგრამ მხოლოდ, ვთქვათ, 1200 ჰერცი სიხშირის ზარს მოჰყვება განუპირობებელი ანუ უპირობო სტიმული, ხოლო სხვები მის გარეშე მეორდებიან. განპირობების პირველ ეტაპზე განპირობებული სტიმულის მსგავსი სტიმული წარმოშობს მსგავს, თუმცა არც ისე ძლიერ, რეაქციას. დისკრიმინაციის ტრენინგის გაგრძელებასთან ერთად, იკლებს სხვა მსგავს სტიმულზე რეაქცია. ორგანიზმი თანდათან სწავლობს, თუ რომელი სტიმული მოასწავებს განუპირობებელ სტიმულს და რომელი – არა (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

ამრიგად, გენერალიზაციის პროცესს მსგავს სტიმულზე რეაქციის შეთანხმებულობისკენ მივყავართ, ხოლო დიფერენციაციის პროცესს – რეაქციების მეტი სპეციფიკურობისკენ (Первин Л., Джон О., 2002). ორგანიზმმა ქცევა რომ ოპტიმალურად, საჭირო დროსა და ადგილზე განახორციელოს, უნდა არსებობდეს ბალანსი სტიმულის დისკრიმინაციასა და განზოგადებას შორის. არ არის საჭირო, ბევრი დრო დაეთმოს სტიმულის დისკრიმინაციას. ამასობაში, შესაძლოა, ცხოველს გამორჩეს მტაცებლის არსებობა. არც ზედმეტი რეაქციაა გამოსადეგი, რათა ყველა ჩრდილი არ აშინებდეს მას. კლასიკური განპირობებულობა ორგანიზმს უზრუნველყოფს მექანიზმით, რომელიც საშუალებას აძლევს მას, შესაბამისად რეაგირებდეს გარემოს პირობებზე (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

გარდა ამისა, თუ პირობით სტიმულს ზოგჯერ მაინც არ მოსდევს უპირობო სტიმული, მაშინ განპირობება თანდათანობით სუსტდება, ანუ სუსტდება კავშირი სტიმულს შორის – იწყება პროცესი, რომელსაც *ჩაქრობას* უწოდებენ. თუ ნეიტრალური სტიმულისა და უპირობო სტიმულის ასოციაციას

პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, მაშინ პირობითი სტიმულის მრავალჯერადი მიწოდება უპირობო სტიმულის გარეშე პირობითი რეფლექსის ჩაქრობას იწვევს. ამიტომ, იმისათვის, რომ ძალმა განაგრძოს ზარზე ნერწყვის გამოყოფა, აუცილებელია, რომ ის დროდადრო მაინც შეწყვილდეს საკვებთან (Первин Л., Джон О., 2002).

მიუხედავად იმისა, რომ განხილული მაგალითები ცხოველებზე ცდებიდან არის აღებული, ეს პრინციპები ადამიანების მიმართაც გამოიყენება. მაგალითად, ავილოთ ბავშვი, რომელიც ძალმა დაკბინა და ძალიან შეაშინა. ბავშვის შიში მოცემული ძალისადმი შეიძლება ყველა ძალზე გავრცელდეს (გენერალიზაციის პროცესი). დაფუძვით, ვინმეს დახმარებით ბავშვმა დაიწყო სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ერთმანეთისგან განსხვავება და ახლა მხოლოდ გარკვეული ჯიშის ძაღლების ემინია. ამ შემთხვევაში შეგვიძლია დიფერენცირების ანუ დისკრიმინაციის პროცესს გავადევნოთ თვალი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბავშვმა შეიძლება შეიძინოს ძაღლებთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილება, რაც შიშის რეაქციის ჩაქრობამდე მიგვიყვანს. ამგვარად, განპირობების კლასიკური მოდელი შეიძლება ძალზე სასარგებლო აღმოჩნდეს მრავალი ემოციური რეაქციის განვითარების, შენარჩუნებისა და გაქრობის გაგებისთვის (Первин Л., Джон О., 2002).

საინტერესოა, რომ კლასიკური განპირობება, ტრადიციულად, დასწავლის უკიდურესად მარტივ და დაბალი დონის ფორმად იყო მიჩნეული, ვინაიდან ორი სტიმული იმიტომ უკავშირდება ერთმანეთს, რომ ერთდროულად ჩნდება (McAdams, D. P., 2006). თუმცა, გასული საუკუნის ბოლო პერიოდის დროინდელ ნაშრომებში ფენომენის ხელახალი გააზრებისას გამოითქვა მოსაზრება, რომ უფრო რთულ და მაღალი დონის პროცესებთან ვაჭვს საქმე. რესკორლა (1988) ამტკიცებს, რომ დროსა და სივრცეში ერთდროულად მოცემულობა არ არის ის, რაც წარმოქმნის პირობით რეაქციას. მას მიაჩნია, რომ კლასიკური განპირობება ორგანიზმს სამყაროს თანმიმდევრული და ადეკვატური რეპრეზენტაციის ფორმირების საშუალებას აძლევს. სტანდარტულ პავლოვისეულ მაგალითში ტონი იმიტომ კი არ წყვილდება საკვებთან, რომ ისინი ძალს პრაქტიკულად ერთდროულად მიეწოდება, არამედ იმიტომ, რომ ერთი სტიმული (ტონი) ინფორმაციას იძლევა მეორეს (საკვების) შესახებ. რესკორლა კლასიკური განპირობების საკუთარ კოგნიტურ ინტერპრეტაციას შემდეგნაირად აჯამებს:

პავლოვისეული განპირობება არ არის მარტივი, სულელური პროცესი, როდესაც ორგანიზმი ნებით თუ უნებლიედ აყალიბებს ასოციაციებს ნებისმიერ ორ სტიმულს შორის, რომელიც მას რაღაც შემთხვევის გამო მიეწოდება. ამის სანაცვლოდ, ორგანიზმი უნდა განვიხილოთ, როგორც ინფორმაციის მამიებელი, რომელიც, სამყაროს დახვეწილი რეპრეზენტაციების შესაქმნელად, მოვლენებს შორის არსებულ ლოგიკურ და პერცეპტულ მიმართებებსა და საკუთარ უკვე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს იყენებს (1988, გვ. 154).

პავლოვისეული ძაღლის შემდეგ ფსიქოლოგებმა მრავალი ემპირიული კვლევის მონაცემი დააგროვეს, რომელიც პიროვნების ზოგიერთი ასპექტის განვითარებაში კლასიკური განპირობების მნიშვნელოვნებას ადასტურებს (McAdams, D. P., 2006). მაგალითად, არსებობს ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ ადამიანები გარკვეული საგნებისა და ადამიანთა ჯგუფებისადმი ზოგიერთ გრძობას და დამოკიდებულებას კლასიკური განპირობების გზით იძენენ (Zimbardo, P. G., & Peippe, M. R., 1991). ასე მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ როდესაც კვლევის მონაწილეებს აჩვენებდნენ სიტყვებს, რომლებიც ვითომდა მათთვის უცნობი ადამიანების ჯგუფების დასახელებებს წარმოადგენდნენ, ისინი მეტად დადებითი რეაქციით პასუხობდნენ და მეტ მოწონებას გამოხატავდნენ იმ ჯგუფების სახელებისადმი, რომლებიც პოზიტიურ სიტყვებთან ასოცირდებოდა (მაგალითად, „ბედნიერი“), ხოლო ნაკლები იყო მოწონება მაშინ, როდესაც ჯგუფის სახელები უარყოფით სიტყვებს (მაგალითად, „სულელი“) უკავშირდებოდა (Lohr & Saat, 1973, წყაროში McAdams, D. P., 2006).

კლასიკური განპირობება, როგორც შემდგომშიც ვნახავთ, გარკვეული ფორმების ფობიების<sup>4</sup> განვითარებაშიც მონაწილეობს. ბიჰევიორისტულად ორიენტირებული თერაპევტები ფობიების მქონე პაციენტების დასახმარებლად ზოგჯერ კლასიკური განპირობების პრინციპებს იყენებენ, რათა მათ

<sup>4</sup> ინტენსიური შიშის რეაქციები გარკვეულ სტიმულებზე.



შიშებთან გამკლავება შეძლონ. თუ ფობია დასწავლილი რეაქციაა, ლოგიკურია, რომ შესაძლებელი იქნება მისი „გადასწავლა“ იმავე ტიპის პროცესების მეშვეობით, რომლითაც ოდესღაც ჩამოყალიბდა ეს რეაქცია (McAdams, D. P., 2006).

## ფსიქოპათოლოგია და ცვლილება

გენერალიზაციის, დისკრიმინაციისა და ჩაქრობის პროცესები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც კლასიკური განპირობების თეორიაში, ისე – დასწავლის სხვა თეორიებში. ამ ფენომენებთან მუშაობის გარდა, პავლოვმა განახორციელა კვლევა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა ისეთი ფენომენების ახსნისთვის, როგორცაა კონფლიქტი და ნევროზების განვითარება. პავლოვის ლაბორატორიაში პირველად აჩვენეს ის, რასაც შემდგომში ცხოველებში ექსპერიმენტული ნევროზი ეწოდა. ძალს გამოუმუშავეს ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსი წრის ფორმის სიგნალზე. შემდეგ გამოუმუშავეს დისკრიმინაცია წრესა და ელიფსს შორის იმით, რომ არ ხდებოდა ელიფსზე რეაქციის განმტკიცება. როდესაც დაიწყო ელიფსის ფორმის თანდათანობით შეცვლა და ნელ-ნელა წრეს დაამსგავსეს, ძალმა ჯერ დიფერენცირება დაიწყო, მაგრამ შემდეგ, როცა უკვე შეუძლებელი იყო წრისა და ელიფსის ერთმანეთისგან გარჩევა, მისი ქცევა სრულიად დეზორგანიზებული გახდა. პავლოვმა ეს მოვლენა ასე აღწერა:

დისკრიმინაციული სტიმულის შემუშავებაზე სამკვირიანი მუშაობის შემდეგ ის კი არ გაუმჯობესდა, არამედ არსებითად გაუარესდა კიდეც და ბოლოს-ბოლოს, საერთოდ გაქრა. მანამდე მშვიდმა ძალმა დაიწყო ღრენა და სადგომიდან აწყვეტას ლამობდა; ცდილობდა, კბილებით გადაედრღნა კანის მექანიკური სტიმულაციისთვის განკუთვნილი მოწყობილობა და მოეკბინა მილები, რომლებიც მის სამყოფს ექსპერიმენტატორთან აკავშირებდა. ასე ის არასოდეს მოქცეულა. მას შემდეგ, რაც ეს ძალი საექსპერიმენტო ოთახში შემოჰყავდათ, ის მრისხანედ იღრინებოდა, რაც, ასევე, არ ჰგავდა მის ჩვეულ ქცევას. ერთი სიტყვით, სახეზე იყო მწვავე ნევროზის ყველა სიმპტომი. (Pavlov, 1927. გვ. 291 ციტირებულია წყაროში Caprara, G. V., & Cervone, D., 2003).

კლასიკური განპირობება, შესაძლოა, საფუძვლად ედოს გარკვეული ნევროტული სიმპტომების განვითარებას, განსაკუთრებით ფობიების შემთხვევაში და, ასევე, უფრო რთული (კომპლექსური) დამოკიდებულებების<sup>5</sup> და ქცევითი სისტემების ონტოგენეზს (McAdams, D. P., 2006). ზოგ შემთხვევაში ასეთი კომპლექსური ასოციაციები უმაღლესი რიგის განპირობებით<sup>6</sup> მიიღწევა. უმაღლესი რიგის განპირობებისას პირობითი სტიმული, რომელიც რეაქციის აღმძვრელ ძალას უპირობო სტიმულთან შეწყვილებით იღებს, სხვა ნეიტრალურ სტიმულთან ასოცირდება, რომელიც თავად იქცევა პირობით სტიმულად ასოციაციის მეშვეობით. ასე მაგალითად, ახალგაზრდა მამაკაცს იმიტომ შეიძლება განუვითარდეს ქალის კონკრეტული ბრენდის სუნამოსადმი ავერსია, რომ სწორედ ამ სუნამოს ისხამდა ხოლმე დედამისი იმ ზაფხულს, როდესაც ეს მამაკაცი მეგობარ გოგონას დაშორდა. სხვა სიტყვებით, ავერსია უმაღლესი რანგის განპირობებული (ანუ პირობითი) რეაქციაა პირობით სტიმულზე, რომელიც მანამდე ნეიტრალური (სუნამო) იყო და შემდგომში ასოცირდა გამოცდილებასთან „დედა იმ ზაფხულს“, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულ (პირობით) სტიმულად იქცა სასიყვარულო ურთიერთობის დასრულების ავერსიულ განუპირობებელ (უპირობო) სტიმულთან შეწყვილების (ასოცირების) გამო. უმაღლესი რიგის განპირობებამ ემოციურად დადებითი ასოციაციებიც შეიძლება შექმნას. იგივე მაგალითს თუ დავუბრუნდებით, დადებითი პირობითი რეაქცია შეიძლება მივიღოთ იგივე სუნამოზე, თუ ის ამ ახალგაზრდა მამაკაცის დას ესხა, როდესაც იგი (ეს მამაკაცი) უნივერსიტეტში საუკეთესო სტუდენტად დაასახელეს (McAdams, D. P., 2006).

<sup>5</sup> Attitudes.

<sup>6</sup> High-order conditioning.

## ედვარდ ლი თორნდაიკის დასწავლის თეორია: კონექციონიზმი



თორნდაიკი

ედვარდ თორნდაიკი (Edward L. Thorndike, 1874-1949) სამართლიანად ითვლება დასწავლის პრობლემატიკის ერთ-ერთ პირველ მკვლევრად და ბიჰევიორიზმის ერთ-ერთ წინამორბედად, თუმცა ის თავის მოსაზრებათა სისტემას *კონექციონიზმს* უწოდებდა. კონექციონიზმი ადამიანისა და ცხოველის დასწავლის ზოგად თეორიას წარმოადგენს.

### ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი თორნდაიკის ბიოგრაფიიდან

ედვარდ ლი თორნდაიკი 1974 წელს დაიბადა აშშ-ში. ის სხვადასხვა დროს იყო:

- პედაგოგიკის ასისტენტ-პროფესორი დასავლეთ რესერვის უნივერსიტეტში (1898);
- მასწავლებელთა კოლეჯის აკადემიური პერსონალის წევრი, კოლუმბიის უნივერსიტეტში (1899-1940);
- ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1912);
- ფსიქომეტრული საზოგადოების მეორე პრეზიდენტი;
- მეცნიერების განვითარების ამერიკული ასოციაციის პრეზიდენტი (1934);
- ლექტორი ჰარვარდის უნივერსიტეტში (1842-1943).

### ძირითადი წვლილი

- 55 წლიანი კარიერის მანძილზე თორნდაიკმა გამოაქვეყნა დაახლოებით 500 წიგნი და სტატია, რომელიც შეეხება დასწავლას თევზებში, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს და ურბანულ ცხოვრებაში ესთეტიკურის ელემენტებს;
- სწავლობდა ცხოველების ინტელექტს (ცნობილია მის „პრობლემურ ყუთში“ კატების ექსპერიმენტები ცდასა და შეცდომებზე);
- იყენებდა ცხოველებს ადამიანის განათლების გამოცდილების შესწავლისთვის. ის პირველი იყო ამ სფეროში;
- შექმნა ბავშვების ხელნაწერების გაზომვის სკალა (1910) და ინგლისური ენის სიტყვების სიხშირეების ცხრილი (1944).

თორნდაიკის გატაცება ფსიქოლოგიით უილიამ ჯემსის მოძღვრებამ განაპირობა. ის ჯემსის ლექციების მოსასმენად ჰარვარდში გაემგზავრა და შემდგომში მისი ნაყოფიერი და ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობა, ძირითადად, სწორედ ჰარვარდისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებს დაუკავშირდა და დასწავლის კანონზომიერებების შესწავლასა და მათ პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვას მიემდგვნა<sup>7</sup> (იმედაძე, ი., 2004). ამ პერიოდით თარიღდება მისი პირველი ექსპერიმენტები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა, ვინაიდან ისინი არ ჩათვალეს მეცნიერულად. ამ ექსპერიმენტებში სკოლამდელი ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ. ექსპერიმენტის არსი ის იყო, რომ ექსპერიმენტატორი ჩაიფიქრებდა სიტყვას, საგანს ან რიცხვს. ბავშვს უნდა გამოეცნო ჩაფიქრებული. სწორი გამოცნობა შოკოლადით ჯილდოვდებოდა. ამ ჯილდოთი ხდებოდა აღქმის ზღურბლის დაწევა ანუ მგრძნობელობის გაზრდა. მას მიაჩნდა, რომ შინაგან აზროვნებას უნდა გამოეწვია ცვლილება სამეტყველო აპარატის კუნთებში, რომელსაც, როგორც წესი, არ აცნობიერებს ინდივიდი და ვერ ამჩნევს გარეშე დამკვირვებელი. თორნდაიკს აინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა აღქმის მგრძნობელობის გაზრდა რაიმე მექანიზმით. კვლევაში ის

<sup>7</sup> თორნდაიკი თანამედროვე განათლების ფსიქოლოგიის ფუძემდებლად ითვლება.

დაინტერესებას ანუ განმტკიცებას იყენებდა. ამრიგად, მან კვლევაში დადებითი განმტკიცების ფაქტორი შემოიტანა (იმედაძე, ი., 2004).

უნივერსიტეტმა თორნდაიკს აუკრძალა ასეთი ექსპერიმენტების ჩატარება. ამის შემდეგ მან ცხოველების კვლევაში გადაინაცვლა. პირველ ექსპერიმენტებს წიწილებზე ატარებდა, რომლებიც ლაბორინტიდან უნდა გამოსულიყვნენ. ლაბორინტი ჯემსის სახლის სარდაფში იყო მოწყობილი (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

თორნდაიკი ჰარვარდიდან კოლუმბიის უნივერსიტეტში გადავიდა ჯემს კეტელთან და კატებსა და ძაღლებზე დაიწყო ექსპერიმენტირება. სწორედ აქ შეიქმნა მისი ცნობილი პრობლემური ყუთი (სურ. N5), რომელზეც უფრო დეტალურად მოგვიანებით ვისაუბრებთ. ამ ყუთში ცხოველების ქცევის გრაფიკული გამოსახულების მრუდის ანალიზით თორნდაიკი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ცხოველი ცდისა და შეცდომის მეთოდით მოქმედებს და წარმატებამდე (ბერკეტზე თათის დაჭერამდე და კარის გაღებამდე) შემთხვევით მიდის. ქცევის მრუდი მკვეთრად არასოდეს ეცემოდა, რაც აფიქრებინებდა მას, რომ ცხოველი აზრს კი არ წვდებოდა, არამედ შემთხვევით გადაწყვეტამდე მიდის (Maddi, 1968).

#### სურ. N5. თორნდაიკის პრობლემური ყუთის სქემა.



1898 წელს თორნდაიკმა დაასრულა მუშაობა სადისერტაციო ნაშრომზე, რომელიც ცხოველთა ინტელექტის ანუ დასწავლის უნარის კვლევას ეძღვნებოდა და რომელშიც მისი სისტემის ძირითადი პრინციპები იყო ჩამოყალიბებული.

კვლევის შედეგები თორნდაიკმა პირველად 1898 წელს გამოაქვეყნა სტატიაში „ინტელექტი ცხოველებთან: ასოციაციური პროცესების კვლევა ცხოველებში“, რომელშიც იგი ისეთ ტერმინებს და ტრადიციულ ცნებებს იყენებს, როგორცაა ინტელექტი, ასოციაციური კავშირი და ა. შ. აქ კონცეპტუალური სისტემა და ცნებები იგივეა, მაგრამ მათში ახალი შინაარსია

ჩადებული (Caprara, G. V., & Cervone, D., 2003).

თავის სისტემას ის დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ხვეწდა. ახალ ექსპერიმენტულ ფაქტებზე დაყრდნობით ცვლიდა ზოგიერთ თეორიულ დებულებას და, რაც მთავარია, ცხოველების კვლევით დადგენილი კანონზომიერებების ადამიანებზე და, კერძოდ, დასწავლის ქცევაზე, გადატანას ცდილობდა. ასეთი გადატანის მართებულობა თორნდაიკში ეჭვს არ იწვევდა, ვინაიდან ვერ ხედავდა თვისობრივ განსხვავებას ცხოველსა და ადამიანში მიმდინარე დასწავლის პროცესებს შორის. ეს მიდგომა, ფაქტობრივად, ზოგადად დამახასიათებელია დასწავლის ბიჰევიორისტული თეორიისათვის, ხოლო ამ თეორიის პირველი ვარიანტი კი სწორედ თორნდაიკს ეკუთვნის (იმედაძე, ი., 2004).


თორნდაიკისთვის ამოსავალი პრინციპი პრობლემური სიტუაცია ანუ გარემო იყო, რომელთან შეგუებისთვის ცხოველს არ გააჩნდა საპასუხო რეაქციების მზა ფორმულა. კავშირი სიტუაციასა და რეაქციას შორის შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: (1) ათვლის წერტილია პრობლემური სიტუაცია; (2) პრობლემურ სიტუაციას უპირისპირდება ორგანიზმი, როგორც ერთი მთლიანი; (3) ცხოველი აქტიურია ძიებისას; (4) დასწავლა ხორციელდება ვარჯიშის გზით.

თუ კარგად დავაკვირდებით, თორნდაიკი დეტერმინიზმისკენ უფრო იხრება, ვიდრე ტელეოლოგიური კონცეფციისკენ, მაგრამ მისი დეტერმინიზმი არ არის მექანიკური. ის უფრო დარვინის ტიპის ალბათური დეტერმინიზმის მომხრე იყო, მაგრამ მისეული „ბუნებრივი შერჩევა ანუ გადარჩევა“ სახეობის ევოლუციისგან განსხვავებულ საფუძვლებს ემყარებოდა (იმედაძე, ი., 2004).

## პრობლემური ყუთი და დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით

უდაოა, რომ თორნდაიკი ცნობილი ყველაზე მეტად მისმა ექსპერიმენტებმა კატებზე და ე. წ. პრობლემურმა ყუთმა გახადა, რომელიც მან თავად ააგო ცდისა და შეცდომის მეთოდით დასწავლის საკვლევად.

სურ. N6. თორნდაიკის პრობლემური ყუთი.



ამ კვლევას ბიძგი მისცა თორნდაიკის უკმაყოფილებამ იმდროინდელი გულუბრყვილო და ანეკდოტური ახსნებითა და მოსაზრებებით იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებდნენ ცხოველები (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001). ეს ახსნები ეყრდნობოდნენ მოსაზრებას, რომ ცხოველები გონიერი არსებები იყვნენ და პრობლემებს მსჯელობითა და მიზანმიმართული განსჯით წყვეტდნენ. თორნდაიკმა მოახერხა ცხოველებში დასწავლის მექანიკური ახსნა, ყოველგვარი მენტალისტური ტერმინების გამოყენების გარეშე.

ტიპურ შემთხვევაში მშვიერი კატა თავსდებოდა ყუთში (სურ. N6), რომელსაც


რამდენიმე სამანიპულაციო დეტალი (ბერკეტი, პედალი, სახელური) ჰქონდა. ეს დეტალები კატას ყუთიდან გამოსვლის (კარის გაღების) და ყუთის კართან იქვე მდგარი საკვების მიღების საშუალებას აძლევდნენ. ჩარაზულ ყუთში პირველად მოხვედრილი კატა სხვადასხვა ქაოტურ ქცევას ახორციელებდა: იჩხაპნებოდა, იკბინებოდა, კნაოდა, კედლებს ეხეთქებოდა და ა. შ. მანამ, სანამ შემთხვევით არ შეეხებოდა და ამოქმედებდა მექანიზმს (მაგალითად, დააწვებოდა ბერკეტს). ამის შემდეგ კატა გამორბოდა ყუთიდან და ეუფლებოდა იქვე მდგარ საკვებს. როდესაც იგივე კატას ყუთში აბრუნებდნენ, ის ისევ იწყებდა სხვადასხვა ქაოტური ქცევის განხორციელებას, რომელთაგან რომელიმე ისევ შემთხვევით ამოქმედებდა საკეტს და კარი ისევ გაიღებოდა (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

თორნდაიკმა შეამჩნია, რომ რამდენიმე თანმიმდევრული ცდის შემდეგ დროის შუალედი კატის ყუთში მოთავსებასა და ყუთიდან გამოსვლას შორის ნელ-ნელა მცირდებოდა. ასეთი განმეორებითი ცდების შედეგად მან მიიღო დასწავლის ტიპური მრუდი, რომელიც ასახავდა დროის შემცირებას ყუთში მოხვედრასა და სწორ რეაქციას (ანუ ყუთიდან თავის დასაღწევად ბერკეტზე თათის დაჭერას) შორის. თორნდაიკმა ივარაუდა, რომ კატა, რომელიც პრობლემურ ყუთში ხვდება, გაქცევის მიზნით რამდენიმე წარუმატებელ რეაქციას ახორციელებს, ვიდრე შემთხვევით არ განახორციელებს სწორ ქცევას. სხვა სიტყვებით, კატა ცდილობს (ცდა) და შეცდომებს უშვებს (შეცდომა) სწორი (შედეგანი) რეაქციის განხორციელებამდე. ამრიგად, თორნდაიკმა დაასკვნა, რომ კატები ცდისა და შეცდომის მეთოდით (ანუ, როგორც თავად, ამბობდა, შერჩევითა და დაკავშირებით) დაისწავლიან სწორ ქცევას (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

## სტიმულ-რეაქციის (S-R) კავშირი

დასწავლის მრუდის (სურ. N7) ფორმამ თორნდაიკი მიიყვანა მოსაზრებამდე, რომ კატამ რეალურად კი არ იცოდა, თუ როგორ უნდა გამოსულიყო ყუთიდან, არამედ დასწავლა თანდათანობით ფილტრავდა სწორ რეაქციებს და გამომხიარავდა მცდარ ქმედებებს.

სურ. N7. დასწავლის მრუდი თორნდაიკის ექსპერიმენტებში.



სწორედ ამ დაფილტვრას მიიჩნევდა თორნდაიკი სტიმულსა (პრობლემურ ყუთსა) და რეაქციას (ბერკეტზე თათის დაჭერას) შორის კავშირის ფორმირებად, რის შედეგადაც იქმნებოდა სტიმულ-რეაქციის კავშირი. რაც უფრო მეტჯერ წარედგინებოდა კატას სტიმული (S) და მეტ სწორ რეაქციას (R) განახორციელებდა ის, შესაბამისად, მით მჭიდრო და ძლიერი იქნებოდა S-R კავშირი. მეტიც, დაფილტვრისა და გამოხშირვის ეს პროცესი ავტომატური იყო (ანუ არ საჭიროებდა ცნობიერების ჩარევას) და ამიტომ ცხოველის ქცევის „მექანიცისტური“ ახსნის შესაძლებლობას ქმნიდა. ბოულერისა და

ჰილგარდის (1981, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001) თანახმად, თორნდაიკის სწავლება დასწავლის სტიმულ-რეაქციის ანუ S-R ფსიქოლოგიას წარმოადგენს (გვ. 21).

### დასწავლის კანონები

თორნდაიკის თანახმად, დასწავლა არის კავშირის დამყარება მოქმედებას (რეაქციას) და სიტუაციას (სტიმულს) შორის.<sup>8</sup> თავად ტერმინი *კავშირის* განსაზღვრება ასეთია: კავშირი სტიმულსა და რეაქციას შორის არსებობს მაშინ, თუ მოცემულ სტიმულზე პასუხის აღმოცენების ალბათობა ნულზე მეტია. იმისათვის, რომ წარმოიქმნას S-R კავშირი, უნდა არსებობდეს გარკვეული პირობები, რომელთაც თორნდაიკი ე. წ. დასწავლის კანონების სახით აყალიბებს. ეს არის სამი კანონი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება აღიწეროს (იმედაძე, ი., 2004).

- *ეფექტის კანონი*. თორნდაიკმა კატებზე პრობლემური ყუთით მიღებული შედეგები მთელ რიგ სხვა სახეობაში და პრობლემური ყუთის სხვადასხვა ვარიაციის გამოყენებით გაიმეორა. ამ სხვადასხვაგვარი ექსპერიმენტის შედეგად, ის მივიდა მოსაზრებამდე, რომ ცხოველების დასწავლა, ძირითადად, მასტიმულირებელ სიტუაციასა და გარკვეულ რეაქციას შორის ასოციაციისგან (კავშირისგან) შედგება. ამ მომენტამდე არაფერი გვითქვამს საკვების როლზე S-R კავშირის დამყარებაში. უოტსონისეული სიხშირის კანონი ამტკიცებს, რომ S-R კავშირი წმინდად გამეორების (ანუ S-სა და R-ის განმეორებითი თანხვედრის) ფუნქციაა. მიუხედავად იმისა, რომ თორნდაიკი მთლიანად არ უარყოფს ამ მოსაზრებას (გავარჯიშების ეფექტს), დასწავლის მისეული პირველი კანონი ცნობილია, როგორც *ეფექტის კანონი* (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001). მარტივად რომ ვთქვათ, თუ რეაქციას ანუ სიტუაციასა და მასზე საპასუხო ქცევას შორის კავშირის დამყარების პროცესს თან სდევს ან ცვლის სიამოვნების ან დაკმაყოფილების მდგომარეობა, მაშინ S-R კავშირის სიმტკიცე იზრდება. თუ რეაქციას თან სდევს ან ცვლის უსიამოვნების მდგომარეობა, მაშინ S-R კავშირი სუსტდება.

თორნდაიკი (1913, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001) ამ მდგომარეობებს ოპერაციულად შემდეგნაირად განსაზღვრავს: „სასიამოვნოა მდგომარეობა, რომელშიც ცხოველი არაფერს აკეთებს სიტუაციისთვის თავის ასარიდებლად და ხშირად ისე იქცევა, რომ შეინარჩუნოს ან განაახლოს ის. უსიამოვნოა მდგომარეობა, რომელშიც ცხოველი არაფერს აკეთებს სიტუაციის შენარჩუნებისთვის და ხშირად ისეთ ქცევებს ახორციელებს, რომ დასრულდეს ან შეიცვალოს ეს სიტუაცია“ (გვ. 2). ამრიგად, ეფექტის კანონის თანახმად, ცდა და შეცდომა თავისთავად კი არ განაპირობებს ქცევას, არამედ ორგანიზმის გარკვეული შინაგანი პოლარული მდგომარეობებით (კომფორტი-დისკომფორტი) ხდება მისი დეტერმინირება (იმედაძე, ი., 2004).

<sup>8</sup> სწორედ აქედან მომდინარეობს სახელი *კონექციონიზმი*.

თორნდაიკმა მოგვიანებით შეცვალა ეფექტის კანონი და სასჯელს (უსიამოვნოს) ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭა, ვიდრე — დაჯილდოვების (დამაკმაყოფილებლის) ეფექტს. უფრო ზუსტად, ჯილდო პირდაპირ/უშუალოდ აძლიერებს S-R კავშირს, ხოლო სასჯელი არაპირდაპირ/გაშუალებულად ასუსტებს მას (Thorndike, 1932, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

- *ვარჯიშის კანონი* ასახავს კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც, S-R კავშირის სიმტკიცე გამეორებათა რაოდენობის პროპორციულად იზრდება, თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კანონზომიერება მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც ყოველ შემდგომ გამეორებას დადებითი ეფექტი ანუ განმტკიცება მოჰყვება.

- *მზაობის კანონი* მიუთითებს იმ კავშირზე, რომელიც დასწავლის სისწრაფესა და ორგანიზმის მოცემულ მდგომარეობას შორის არსებობს. თორნდაიკი ამბობს, რომ ნებისმიერი სახის ფსიქოლოგიური კავშირი აღბეჭდილია ინდივიდუალური ნერვული სისტემით მის სპეციფიკურ მდგომარეობაში. ვარჯიში, თავის მხრივ, ცვლის ორგანიზმის მზაობას, გაატაროს ნერვული იმპულსები. აქ შეინიშნება მინიშნება ფიზიოლოგიურ სუბსტრატზე, თუმცა დასწავლის ფიზიოლოგიური მექანიზმის შემდგომი დაზუსტება არ ხდება (იმედაძე, ი., 2004).

ამგვარად, თორნდაიკის დასწავლისადმი მიდგომა, ძირითადად, დაჯილდოვებას (სასიამოვნო მდგომარეობას), S-R კავშირებს და მოტივაციას (მზაობის კანონი) ეფუძნება.

სამი ძირითადი კანონის გარდა, თორნდაიკი აყალიბებს დასწავლის კერძო კანონებს ანუ პრინციპებს. მათ შორის აღსანიშნავია *ასოციაციის გადანაცვლების* პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, თუ გამდიდრებელთა ერთდროული მოქმედების დროს ერთ-ერთი მათგანი იწვევს რეაქციას, დანარჩენებიც იძენენ ამავე რეაქციის გამოწვევის უნარს.<sup>9</sup>

თორნდაიკმა შემდგომში თავის სისტემაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. მაგალითად, ვარჯიშის კანონი გადაიტანა ეფექტის კანონის შინაარსში, რადგან ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ გამეორება თავისთავად, რამდენჯერაც არ უნდა მოხდეს, არ განამტკიცებს ქცევას, თუ არ არის ცნობილი ამ ქცევის შედეგი. ეს ნიშნავს, რომ ჯილდოს განმამტკიცებელი, „ინფორმაციული“ მნიშვნელობა აქვს. კვლევამ ისიც აჩვენა, რომ დასჯა ანუ უარყოფითი ეფექტი ავტომატურად კი არ ამცირებს S-R კავშირს, არამედ მხოლოდ აფერხებს მის გარეგან გამოვლინებას. უფრო მეტიც, დასჯა ზოგჯერ აძლიერებს კიდევ კავშირს (იმედაძე, ი., 2004).

## ინტელექტი თორნდაიკთან

თორნდაიკი და მისი სტუდენტები ჯერ კიდევ 1903 წელს, ობიექტური საზომების გამოყენებით, ზომავდნენ ადამიანის ინტელექტს. იმ დროისათვის, როდესაც აშშ I მსოფლიო ომში ჩაერთო, მან უნარებისა და მიღწევების ფართო სპექტრის საზომი მეთოდები შეიმუშავა. 1920-იან წლებში შექმნა ინტელექტის ტესტი, რომელიც დასრულების და არითმეტიკული უნარების შესამოწმებელ დავალებებს, ლექსიკონსა და მიმართებების საზომს მოიცავდა. ეს ინსტრუმენტი მოწოდებული იყო აბსოლუტურ სკალაზე ინტელექტუალური დონის გასაზომად. ლოგიკა, რომელსაც ტესტი ეფუძნებოდა, ტესტის დიზაინის იმ ელემენტებს მოიცავდა, რომლებიც შემდგომში ინტელექტის თანამედროვე ტესტების საფუძვლად იქცა (Caprara, G. V., & Cervone, D., 2003).

თორნდაიკმა ერთმანეთისგან განასხვავა ინტელექტუალური ფუნქციონირების სამი ფართო ჯგუფი: (1) ინტელექტის სტანდარტული ტესტები მხოლოდ „აბსტრაქტულ“ ინტელექტს ზომავს. ასევე მნიშვნელოვანი იყო (2) მექანიკური ინტელექტი – ობიექტებს შორის მიმართებების ვიზუალიზაციისა და იმის გაგების უნარი, თუ როგორ მუშაობს ფიზიკური სამყარო; (3) სოციალური ინტელექტი – პიროვნებათშორის ურთიერთობებში წარმატებულად ფუნქციონირების უნარი. თორნდაიკი თვლიდა, რომ საჭიროა ამ სამი ტიპის ინტელექტის გაზომვის ინსტრუმენტების შექმნა (იმედაძე, ი., 2004).

<sup>9</sup> ფაქტობრივად, ამ პრინციპს ეფუძნება პავლოვისეული პირობითი რეფლექსის შემუშავების სქემა და ამის გამო პავლოვის მოძღვრებას ზოგჯერ „ასოციაციის გადანაცვლების“ თეორიასაც უწოდებენ ხოლმე (იმედაძე, ი., 2004).

ის ფიქრობდა, რომ აღქმულ სტიმულსა და წარმოქმნილ რეაქციებს შორის იქმნება ნერვული კავშირები და ამ კავშირების შექმნას ხელს უწყობს ინტელექტი. შედარებით მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებს მეტი კავშირების ფორმირება შეუძლიათ და უფრო მარტივად კმნიან მათ, ვიდრე – უფრო დაბალი ინტელექტის მქონენი. კავშირების ფორმირების უნარი გენეტიკურ პოტენციალში იღებს სათავეს, გენები ზემოქმედებენ ტვინის სტრუქტურაზე, თუმცა ინტელექტის კონკრეტული შინაარსი გამოცდილების ფუნქციას წარმოადგენს. იგი უარყოფდა იდეას, რომ ინტელექტის საზომი დამოუკიდებელი შეიძლება იყოს კულტურული გარემოდან.

მან შემოგვთავაზა აბსტრაქტული ინტელექტის ოთხი ზოგადი განზომილება (Dewsbury, D.A., 1998):

- სიმაღლე – ამოცანების სირთულე ანუ კომპლექსურობა, რომელთა შესრულება შეუძლია ინდივიდს (ყველაზე მნიშვნელოვანი);
- სიგანე – მოცემული სირთულის ამოცანების მრავალფეროვნება;
- ფართობი – სიმაღლისა და სიგანის ფუნქცია;
- სიჩქარე – მოცემულ დროში ინდივიდის მიერ შესრულებული ამოცანების რაოდენობა.

თორნდაიკმა შემოიტანა ქვევის ბიოფსიკური დეტერმინანტი, რომლის გაკონტროლება შესაძლებელი იყო ექსპერიმენტული მეთოდით<sup>10</sup> ანუ მან გააფართოვა ფსიკიკურის სფერო ცნობიერების მიღმა, გავიდა ცნობიერებიდან, მაგრამ არა – არაცნობიერის მიმართულებით, არამედ საერთოდ შეცვალა მიდგომის ორიენტაცია: ფსიკიკის სფეროდ ჩათვალა ორგანიზმისა და გარემოს შორის ურთიერთობა.

## ჯონ ბრაადუს უოტსონის ბიჰევიორიზმი

თუ ბიჰევიორიზმის დამფუძნებელი შეიძლება ეწოდოს რომელიმე ერთ პიროვნებას, ეს აუცილებლად ჯონ ბ. უოტსონი უნდა იყოს. ისტორიკოსები ჰილიქსი და მარქსი წერენ: „უოტსონს სძულდა ინტროსპექცია ექსპერიმენტებისას... საბოლოოდ, მან მკაფიოდ გაწყვიტა კავშირი ფუნქციონალისტურ ტრადიციასთან, რომელიც სწორედ ინტროსპექციით მუშაობას მოითხოვდა. მან ეს საჯაროდ განაცხადა თავის ცნობილ ლექციაზე, რომელიც 1912 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში წაიკითხა და კიდევ უფრო ცნობილ ნაშრომში 1913 წელს. 1914 წლისთვის მან სწრაფად დაიკავა წამყვანი პოზიცია ამერიკულ ფსიქოლოგიაში“ (Hillix, W. A., & Marx, M. H., 1974, გვ. 200).

უოტსონმა ინტროსპექციის მეთოდი თავდაპირველად თავის მცირე მოცულობის ნაშრომში „ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალთ“ (1913) უარყო, ამტკიცებდა რა, რომ ფსიქიკური ცხოვრების, ცნობიერების, შეგრძნებებისა და ა. შ. ფენომენების შესწავლას ფსიქოლოგია ჩიხში შეჰყავდა და ამიტომ ამ მიმართულებაზე დროულად უნდა თქმულიყო უარი, ბიჰევიორალურ კვლევაზე კონცენტრირების სასარგებლოდ; ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, ვიდრე ამ პროცესების შესწავლის უკეთეს მეთოდებს არ გამოიგონებდნენ. მას მიაჩნდა, რომ ქვევის პრინციპები მეცნიერულად, ფსიქიკურ მდგომარეობებზე ყოველგვარი მითითების გარეშე უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რათა ფსიქოლოგია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რიგში ჩამდგარიყო. უოტსონი თვლიდა, რომ ინტროსპექციამ, როგორც ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიამ, ამოწურა საკუთარი თავი და თუ ოდესმე ფსიქოლოგები მიაგნებდნენ ფსიქიკური პროცესებისა (წარმოსახვის, მსჯელობის, აზროვნების, ცნებების ჩამოყალიბების) და შინაგანი მდგომარეობების კვლევის უფრო დახვეწილ ტექნიკებს, შესაძლებელი იქნებოდა კვლევის ამ მიმართულებით წარმართვა, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც უოტსონი მოღვაწეობდა, ამ სფეროების საკვლევი მეთოდოლოგია მწირი და არასაკმარისი იყო. ამიტომ იგი მეცნიერებს სთავაზობდა პრაქტიკულ პროგრამას, რომელიც ინტროსპექციის „ჭაობზე“ უარის თქმას, ფსიქოლოგიური კვლევის სხვა მიმართულებით წარმართვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან მის მიახლოებას მოიაზრებდა (Chiesa, M., 1994).


<sup>10</sup> ამიტომ მოახერხა ფსიქოლოგიამ სხვა ემპირიული მეცნიერებების გვერდით თავის დამკვიდრება.

ამასთან, უოტსონს უსარგებლოდ და უაზროდ მიაჩნდა ისეთი ცნებების რაოდენობრივად შესწავლის მცდელობები, რომელთა ოპერაციული განსაზღვრებაც კი არ არსებობდა (Chiesa, M., 1994). ის თვლიდა, რომ თუ ინტროსპექციონისტის მიერ დასმულ კითხვებს არსაით მივყავართ, მაშინ სხვაგვარი კითხვები უნდა დასმულიყო და ეს სხვაგვარად უნდა მომხდარიყო. ამიტომ უოტსონის შეთავაზება ფსიქოლოგიური საზოგადოებისთვის, რომ ფსიქოლოგიას მანამდე დაეტოვებინა ყურადღების მიღმა შინაგანი მოვლენები, სანამ მათ აღსაწერად და შესასწავლად უკეთესი მეთოდები შეიქმნებოდა, ფსიქოლოგიის პრაქტიკულ განვითარებას ნიშნავდა. ამიტომ ეს შეთავაზება გულწრფელად მიიღეს ფსიქოლოგებმა, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის დამახასიათებელი ექსპერიმენტული კონტროლის შემცველი მეთოდების განვითარებაზე მუშაობდნენ (Chiesa, M., 1994).

უოტსონმა უარყო თორნდაიკის ეფექტის კანონი ანუ დასჯა-წახალისების პრინციპი, ვინაიდან მასში ისეთი ფსიქიკური პროცესებია ჩართული, როგორცაა სიამოვნება-უსიამოვნების განცდა. მან უარყო მზაობის კანონიც, რადგან აქ ნეიროფიზიოლოგიაა ჩარეული. ამავე მიზეზით უოტსონმა პავლოვის ნეიროფიზიოლოგიური შეხედულებებიც უარყო. (Холл К. С., Линдсей Г., 1997).<sup>11</sup> თუმცა, მისი თეორია ანალიზის იგივე ერთეულს იყენებს, რომელსაც პავლოვი — იგივე თანდაყოლილ სტიმულ-რეაქციის კავშირს და ამიტომ ლაპარაკობს პირობით და უპირობო რეფლექსებზე. მასაც აინტერესებს, თუ როგორ ხდება პირობითი რეფლექსების გამომუშავება უპირობო და პირობითი სტიმულების შეწყვილების შემდეგობით (Chiesa, M., 1994).

ამრიგად, ფსიქოლოგიის მიზანს უოტსონი შემდეგნაირად აყალიბებს: „ისეთი მონაცემების მოპოვება და კანონების დადგენა, რომ სტიმულის მოცემულობის პირობებში ფსიქოლოგიამ შეძლოს მასზე რეაქციის პროგნოზირება; ან, პირიქით, რეაქციის ცოდნის პირობებში შესაძლებელი იყოს ეფექტური სტიმულის ბუნების განსაზღვრა“ (Watson, J. B., 1924, გვ. 10).

## ბიოგრაფიული ცნობები და თეორიის ფორმირება



უოტსონი

ჯონ ბრაადუს უოტსონი 1958 წლის 9 იანვარს დაიბადა და გაიზარდა სამხრეთ კაროლინაში. ის სწავლას ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, ფუნქციონალიზმის ერთ-ერთ ცენტრში ჯეიმს ენჯელთან იწყებდა, თუმცა, შემდეგ ფსიქოლოგიაზე გადაერთო. სწავლის წლებში მოისმინა კურსები ნევროლოგიასა და ფიზიოლოგიაში და ცხოველებზე მიმდინარე მრავალ კვლევაში მონაწილეობდა. ზოგიერთი ამ კვლევათაგანი ვირთხების ქცევის გართულებასა და ამასთან დაკავშირებით მათი ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარებას ეძღვნებოდა (Хелл Л., Зиглер Д., 1997).

დოქტორის ხარისხის მიღებამდე ერთი წლით ადრე უოტსონმა გადაიტანა ემოციური სტრესი და მრავალი კვირის მანძილზე უძილობით იტანჯებოდა. ის წერდა, რომ ეს პერიოდი ძალიან სასარგებლო იყო მისთვის, ვინაიდან სწორედ ამან შეუწყო ხელი ფროიდის სწავლების დიდი ნაწილის ათვისებაში (Watson, 1936, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ჩიკაგოში დოქტორანტურაში

სწავლა უოტსონმა 1903 წელს დაასრულა დისერტაციით, რომელიც ცხოველებისთვის სწავლებას ეძღვნებოდა, კერძოდ, შეეხებოდა იმას, თუ რა შეგრძნებების გამოყენება სჭირდება ვირთხას ლაბირინთის გასავლელად. ეს შრომა მან ზოოფსიქოლოგიის მეტრის, რობერტ იერქსის ხელმძღვანელობით შეასრულა და ზოოფსიქოლოგიის პროფესორი გახდა. უოტსონის მასწავლებელი იყო, ასევე, ჟაკ ლიობი – ცხოველთა შესწავლისადმი ობიექტური მიდგომის აღიარებული ლიდერი. მის მასწავლებელთა ჩამონათვალში უნდა

<sup>11</sup> ეს პოზიცია, ფაქტობრივად, ბიჰევიორისტული ტერმინებით იმეორებს კლასიკური ასოციაციონიზმის შეხედულებას.



ადინიზნოს ჯონ დიუიცი, რომელთანაც უოტსონი ფილოსოფიას სწავლობდა. დიუი პრაგმატიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია, თუმცა, როგორც თავად უოტსონი ამბობდა, არასოდეს ესმოდა კარგად, თუ რას ქადაგებდა დიუი (იმედაძე, ი., 2004).

უოტსონის დისერტაცია მისთვის კვლევაში ადამიანების ცდის პირებად გამოყენებისადმი მნიშვნელოვანი განწყობის გაჩენას უკავშირდებოდა. ის წერდა:

ჩიკაგოში პირველად ვცადე ზოგადი კონტურებით მომეხაზა ის, რაც შემდგომში ჩემს პოზიციად იქცა. არასოდეს მდომებია კვლევაში ცდის პირებად ადამიანების გამოყენება. მე თავად ვერ ვიტანდი ცდის პირის როლში ყოფნას. არ მომწონდა მომაბეზრებელი, ხელოვნური ინსტრუქციები, რომლებიც ეძლეოდათ ცდის პირებს. ყოველთვის უხერხულად და არაკომფორტულად ვგრძნობდი თავს და არაბუნებრივად ვიქცეოდი. ცხოველებთან კი თავს ისე ვგრძნობდი, როგორც – სახლში. ვგრძნობდი, რომ მათი შესწავლით მეტად ვუახლოვდებოდი ბიოლოგიას, ბუნებას და მყარად ვიდექი მიწაზე. უფრო და უფრო მეტად მიპყრობდა აზრი: „ნეტავ, არ შემიძლია, რომ მათ ქცევაზე დაკვირვებით მივაგნო რაიმეს ისეთს, რასაც სხვა დოქტორანტები პოულობენ, როდესაც ცდის პირად ადამიანი ჰყავთ?“ (Watson, 1936, გვ. 276 ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

უოტსონის მეცნიერული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე გავლენა, პირველ რიგში, ცხოველთა ფსიქოლოგიამ იქონია, განსაკუთრებით თორნდაიკმა და ობიექტივისტურმა სკოლამ. ამ კვლევებს უოტსონი აფასებდა, როგორც რეაქციას ზოგადად ანთროპომორფიზმზე და არა – ცნობიერების ფსიქოლოგიაზე. ის თავის ფსიქოლოგიას ანუ ბიჰევიორიზმს სამართლიანად მიიჩნევს სწორედ ასეთ ფსიქოლოგიაზე უარყოფით რეაქციად. აქვე შეგვიძლია ვახსენოთ პავლოვისა და ბებტერევის გავლენაც (იმედაძე, ი., 2004).

1908 წელს უოტსონმა დატოვა ჩიკაგო, რათა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში<sup>12</sup> პროფესორად დაეწყო მუშაობა, სადაც 1920 წლამდე იმუშავა. ამ უნივერსიტეტში მუშაობის შეწყვეტა მას მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო სამსახურის გამო მოუწია. სწორედ აქ დაამუშავა უოტსონმა თავისი სწავლება ბიჰევიორიზმის, როგორც ფსიქოლოგიური მიდგომის, შესახებ. მის მოსაზრებებში ხაზგასმული იყო გარეგანი დამკვირვებლისთვის თვალსაჩინო ქცევის შესწავლის მნიშვნელოვნება და კვლევები, რომლებიც გამორიცხავდნენ თვითდაკვირვებას ანუ ინტროსპექციას. მისი მოსაზრებები წარმოდგენილი იყო საჯარო ლექციებზე 1912 წელს და 1914 წელს გამოქვეყნდა მის წიგნში „ქცევა: შესავალი შედარებით ფსიქოლოგიაში“. უოტსონის მოწოდებას, რომ კვლევაში ობიექტური მეთოდები გამოყენებინათ და ბოლო მოეღოთ სპეკულაციებისთვის იმის შესახებ, თუ რა ხდება ადამიანის შიგნით, სამეცნიერო საზოგადოება ენთუზიაზმით შეხვდა. ის 1915 წელს 37 წლის ასაკში ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის<sup>13</sup> პრეზიდენტად აირჩიეს. მოგვიანებით უოტსონმა კარგად დაამუშავა თავისი თეორია რუსი მეცნიერის, პავლოვის შრომების გათვალისწინებით. მისი ეს მოსაზრებები გადმოცემულია მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომში „ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალთ“ (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

უოტსონი ამტკიცებდა, რომ ინტროსპექცია – ადამიანების ვერბალური ანგარიშები მათი განცდების, ხატებისა და შეგრძნებების შესახებ, არ იყო ქცევის შესწავლის მისაღები მეთოდი, მისი ზედმეტად სუბიექტურობის გამო. როგორ უნდა განესაზღვრათ მეცნიერებს ასეთი თვითდაკვირვების სიზუსტე? თუმცა, თუ უარყოფდნენ ინტროსპექციას, მაშინ რაღა რჩებოდა ფსიქოლოგიის საგნად? უოტსონს ამ კითხვაზე ძალზე მარტივი და კონკრეტული პასუხი ჰქონდა: დაკვირვებადი ქცევა. მისი სიტყვებით: „ცნობიერების მდგომარეობები, ე. წ. სპირიტუალიზმის ფენომენი, არ არის ობიექტურად განსაზღვრადი და ამ მიზეზით ვერასოდეს გახდება მონაცემი მეცნიერებისათვის“ (Watson, 1919, გვ. 1, ციტირებულია წყაროში გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). უოტსონმა, ასევე, განსაზღვრა ფსიქოლოგიის ძირითადი მიზანი, როგორც ქცევის კონტროლი და პროგნოზი (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

<sup>12</sup> სწორედ ამ უნივერსიტეტში გაიხსნა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

<sup>13</sup> APA – American Psychological Association. www.apa.org.com

1919 წელს უოტსონი განქორწინდა პირველ ცოლთან და მალევე იქორწინა თავის სტუდენტზე როზალი რეინერზე, რის გამოც იძულებული გახდა დაეტოვებინა პროფესორის თანამდებობა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში და საერთოდ წასულიყო მეცნიერებიდან. ის ისეთ ვითარებაში წავიდა მეცნიერებიდან, რომ იძულებული გახდა სარეკლამო ბიზნესში გადასულიყო და ამით ეცხოვრა. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი მეცნიერის რეპუტაცია ჰქონდა, იძულებული გახდა პოტენციური ბაზრის შესწავლით დაკავებულიყო.

მიუხედავად ყველაფრისა, უოტსონმა აღმოაჩინა, „რომ გაყიდვების მრუდის ზრდაზე დაკვირვება არანაკლებ ამაღლებელი შეიძლება იყოს, ვიდრე ცხოველების ან ადამიანების დასწავლის მრუდები“. (Watson, 1936, p. 280 ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002). უოტსონი 25 წლის განმავლობაში დიდი კომპანიის ვიცე პრეზიდენტი იყო. 1920 წლის შემდეგ ის პერიოდულად ატარებდა საჯარო ლექციებს, დაწერა რამდენიმე პოპულარული სტატია და გამოაქვეყნა წიგნი „ბიჰევიორიზმი“ (1925). ამ წიგნმა გრანდიოზული ინტერესი გამოიწვია მთელ მსოფლიოში, თუმცა ბიჰევიორიზმი, არსებითად, მაინც ამერიკულ მოვლენად და მიმართულებად დარჩა (იმედაძე, ი., 2004). მიუხედავად უოტსონის აქტიური მოღვაწეობისა, მისი, როგორც თეორეტიკოსისა და ექსპერიმენტატორის, კარიერა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტიდან წასვლასთან ერთად დასრულდა (Первин Л., Джон О., 2002).

### უოტსონის პოზიცია: Tabula Rasa

უოტსონისეული კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ფსიქოლოგიის ინტროსპექციონიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ფსიქოლოგია ექსპერიმენტულია, ამავდროულად ინტროსპექციულიცაა. უოტსონს მიაჩნდა, რომ სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ არსებობის 30 წლის მანძილზე ფსიქოლოგიამ, როგორც ექსპერიმენტულმა მეცნიერებამ, ვერ შეძლო თავის დამკვიდრება სხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინების გვერდით. თვითდაკვირვების არასანდოობის გამო ჩვენ ვერ ვიღებთ ერთნაირ, სანდო და უტყუარ მონაცემებს და ამიტომ ვერ ვთანხმდებით ძირითადი საკითხების თაობაზე. თუ ფიზიკასა და ქიმიაში ვერ იღებენ იგივე მონაცემებს, ეს ექსპერიმენტის პირობებს (ან აპარატურის არასაკმარის მგრძობელობას, ან რეაქტივების არასაკმარის სისუფთავეს) მიეწერება, ფსიქოლოგიაში კი ყველაფრის მიზეზი თვითდაკვირვებისთვის ცდის პირის მოუმზადებლობაა.

უოტსონს მიაჩნდა, რომ სანამ ინტროსპექციით ხელმძღვანელობდნენ, ვერ დაადგენდნენ ჭეშმარიტებას. ამიტომ ფსიქოლოგიის მიერ ობიექტური მონაცემების მიღების იმედს ის ისეთი დარგების გამოცდილებაზე ამყარებდა, რომლებშიც არ გამოიყენებოდა ინტროსპექცია და დიდი წარმატებით ვითარდებოდა, ესენი იყო რეკლამის ფსიქოლოგია, იურიდიული ფსიქოლოგია, ტესტოლოგია, პათოფსიქოლოგია და განსაკუთრებით ზოოფსიქოლოგია. უოტსონი ამბობს, რომ ცხოველების შესწავლა გამორიცხავს ინტროსპექციას და აქ გამოყენებული მეთოდების გამოყენება ბავშვებთანაც არის შესაძლებელი. ამიტომ, უოტსონის აზრით, თავი უნდა დავანებოთ თვითდაკვირვებას და გარეგანი დაკვირვებით დავკმაყოფილდეთ. იმას უნდა დავაკვირდეთ, რაც ობიექტურად არის მოცემული. ასეთია მოქმედება, ქცევა. ფსიქოლოგიამ, უოტსონის აზრით, უარი უნდა თქვას ცნობიერების კვლევაზე და შეისწავლოს ქცევა. მას მიაჩნდა, რომ კვლევაში უარი უნდა თქმულიყო მენტალურ ტერმინოლოგიაზე და ხმარებიდან ამოღებულიყო ტერმინები აღქმა, აზროვნება, წარმოდგენა, სურვილი და ა.შ.; უნდა შექმნილიყო ახალი ტერმინოლოგია და ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა ქცევის ისეთი ტერმინებით უნდა აღწერილიყო, როგორცაა სტიმული და რეაქცია, ჩვევების შემუშავება, ინტეგრაცია და ა.შ. (იმედაძე, ი., 2004).

უოტსონმა შექმნა ფსიქოლოგია ფსიქიკის (ანუ ცნობიერების) გარეშე. ის არ უარყოფს მის არსებობას, როგორც ზოგჯერ მიაწერენ ხოლმე, მაგრამ თავს არიდებს ამ საკითხზე მსჯელობას და თვლის, რომ ეს არ უნდა იყოს მეცნიერული შესწავლის საგანი. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ ცნობიერება, ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული მნიშვნელობით, არ შეიძლება სრულყოფილი ექსპერიმენტული შესწავლის ობიექტად იქცეს, ამიტომ ფსიქოლოგიამ ქცევა უნდა შეისწავლოს. ის ამომწურავად აღიწერება S-R (სტიმული-

რეაქციის) წყვილით (იმედაძე, ი., 2004). „ბიჰევიორიზმის მთავარი ამოცანაა, შეკრიბოს ადამიანის ქცევაზე დაკვირვებათა მონაცემები, რათა ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ბიჰევიორიზმს შეეძლოს იმის თქმა, თუ როგორი იქნება რეაქცია, ან, თუ რეაქცია სახეზეა, დაადგინოს, რა სიტუაციამ გამოიწვია ის“ (Watson, 1919, ციტირებულია წყაროში იმედაძე, ი., 2004). ფსიქოლოგიის მიზანს ქცევის წინასწარმეტყველება და მართვა (კონტროლი) წარმოადგენს.

უოტსონისთვის სტიმული მოცემულ მომენტში ორგანიზმზე მოქმედი გამლიზიანებელია, მაგალითად, სხვადასხვა სიგრძის ტალღების სინათლის სხივები, განსხვავებული სიხშირისა და ამპლიტუდის აკუსტიკური ტალღები, ყნოსვის ორგანოებზე მოქმედი ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები და ა.შ. გარდა ამისა, სტიმულის როლი შეიძლება კუნთების შეკუმშვამ, ჯირკვლების სეკრეციამ და სხვა ორგანულმა პროცესებმაც შეასრულოს. ორგანიზმზე, როგორც წესი, სტიმულთა ერთობლიობა მოქმედებს, ამიტომ შესაძლებელია სიტუაციის ზემოქმედებაზე ვილაპარაკოთ. რაც შეეხება რეაქციას, ამ ტერმინით უოტსონი იმ ცვლილებათა ერთობლიობას აღნიშნავს, რომელიც კუნთებისა და ჯირკვლების მოქმედებისას ხდება, ანუ რეაქცია ორგანიზმის მოტორული და სეკრეტორული გამოვლინებაა (იმედაძე, ი., 2004).

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: ეს ყველაფერი ფიზიოლოგიის კომპეტენცია ხომ არ არის? უოტსონი თვლის, რომ ბიჰევიორიზმისა და ფიზიოლოგიის სფეროები სრულიად განსხვავებულია და ის ასე მსჯელობს: ვთქვათ, თვალის რქოვან გარსს შეეხეთ (სტიმული) და თვალის დახუჭვა (რეაქცია) გამოვიწვიეთ. თუ ზუსტად გვაქვს აღწერილი სტიმული და რეაქცია და მათ შორის არსებული მიმართების ფაქტი ემპირიულად სანდოა, მაშინ ბიჰევიორიზმის საქმე შესრულებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ფიზიოლოგიის ამოცანაა შესაბამისი ნერვული კავშირების, მათი მიმართულების, რაოდენობის, ხანგრძლიობის, გავრცელებულობისა და ა. შ. დადგენა. ბიჰევიორიზმის სფერო არც ფიზიკურ-ქიმიურ პრობლემებს შეეხება. კერძოდ, იმას, თუ რა ფიზიკური ან ქიმიური ბუნებისაა ნერვული იმპულსი, რა ენერგეტიკულ დანახარჯებთანაა დაკავშირებული რეაქცია და სხვა. ამრიგად, ყოველ რეაქციას აქვს ბიჰევიორისტული, ნეიროფიზიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური ასპექტი.

უოტსონი უშვებს თანდაყოლილი და შეძენილი რეაქციების არსებობას. აგრეთვე, გამოყოფს ექსპლიციტურ (გარეგან) და იმპლიციტურ (შინაგან) რეაქციებს. მას მიაჩნია, რომ იმპლიციტურმა რეაქციებმა უნდა შეცვალოს ის, რასაც ინტროსპექციული ფსიქოლოგია უწოდებს აზრს, ხატს, იდეას, წარმოდგენას და ა. შ. აზროვნება იმპლიციტური რეაქციის ტიპური ნიმუშია. ის უნდა აღიწეროს არა წარმოდგენებისა და აზრების, არამედ — მოტორული რეაქციების ტერმინებით (იმედაძე, ი., 2004).

იმ დროისთვის ფსიქოლოგიაში უკვე მყარად იყო აღიარებული ფსიქიკური ფუნქციების კავშირი სამოდრო აქტივობასთან; მაგალითად, ცნობილი იყო ვიზუალური აღქმის კავშირი თვალის მოძრაობასთან, ემოციების – სხეულებრივ პროცესებთან, აზროვნების – სამეტყველო აპარატთან და ა. შ. ბიჰევიორისტებისთვის ეს საკმარისი იყო სუბიექტური ფსიქიკური პროცესების ობიექტური მოტორული პროცესების ჩანაცვლებისთვის. ეს ლოგიკა უპირატესად აზროვნებაზე გავრცელდა. უოტსონი ცდილობდა, ექსპერიმენტულად ეჩვენებინა არამართო მეტყველებისა და აზროვნების კავშირი, არამედ მათი იდენტურობაც (იმედაძე, ი., 2004).

უოტსონი რეაქციების ოთხ კლასს გამოყოფს: (1) ექსპლიციტური-შეძენილი – სამოდრო ჩვევები, როგორცაა ცეკვა, ჩოგბურთის თამაში, ჩაცმა და ა.შ.; (2) იმპლიციტური- შეძენილი – შინაგანი მეტყველება ანუ აზროვნება;<sup>14</sup> (3) ექსპლიციტური-თანდაყოლილი – უპირობო რეფლექსები, როგორცაა ცხვირის ცემინება, თვალის დახამხამება, გამოყოფა და ა. შ.; (4) იმპლიციტური-თანდაყოლილი – სეკრეცია, შინაგანი ფუნქციების მოქმედებასთან დაკავშირებული მოძრაობები (იმედაძე, ი., 2004).

უოტსონი ამტკიცებს, რომ, როგორც ბავშვების აქტივობის ბიჰევიორისტულმა კვლევამ აჩვენა, არ არსებობს რთული თანდაყოლილი რეაქციები, რომელთაც ინსტინქტებს უწოდებენ. თანდაყოლილია მხოლოდ მარტივი უპირობო რეფლექსები. ყველა ასე თუ ისე რთული ქცევა შეძენილია. თანდაყოლილ

<sup>14</sup> უოტსონისთვის აზროვნება და მეტყველება ერთი და იგივე ფუნქციაა, მისთვის შინაგანი ანუ გაუხმომავნებელი ვოკალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა აზროვნება (იმედაძე, ი., 2004).

ქცევებთან ანუ ინსტინქტებთან ერთად უგულვებელყოფილია სპეციალური თანდაყოლილი ნიჭიც (მუსიკალური, მხატვრული და სხვა). ამრიგად, ბავშვი თანდაყოლილი მარტივი რეაქციების შეზღუდული რაოდენობით იზადება და გარემოს მიზანმიმართული შეცვლის მეშვეობით შეგვიძლია მისი ფორმირების პროცესის ჩვენი სურვილისამებრ წარმართვა. ქცევა დასწავლის შედეგია. დასწავლის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება (იმედაძე, ი., 2004). სწორედ ამასთან მიმართებით ამბობდა უოტსონი: „მომეცით ათეულობით ბავშვი და სპეციალურ გარემოში მათი აღზრდის შესაძლებლობა. გაძლევთ გარანტიას, რომ შემთხვევით შერჩეული ერთ-ერთი მათგანისგან ნებისმიერი პროფილის სპეციალისტს შევქმნი: ექიმს, ადვოკატს, ბიზნესმენს, მათხოვარსა და ქურდსაც კი, მიუხედავად მისი მიდრეკილებებისა, ნიჭისა, წინაპრების საქმიანობისა და რასობრივი მიკუთვნებულობისა“ (Watson, J. B., 1924).

კიდევ ერთი თეორეტიკოსი, რომელმაც დასწავლის დამუშავებული თეორია შემოგვთავაზა და, ასევე, დაჯილდოვებისა და S-R კავშირების ცნებებს ეყრდნობოდა, იყო კლარკ ჰალი.

## კლარკ ჰალი და დრავის რედუქცია

ჰალის ნაშრომი „ქცევის პრინციპები“ (1943) სკინერის „ორგანიზმების ქცევის“ (1938) გამოქვეყნებიდან ხუთი წლის შემდეგ გამოვიდა (Chiesa, M., 1994). ამ ნაშრომში იგი შეეცადა, მკაცრად მათემატიკური სისტემა შემოეთავაზებინა, რომელიც პოსტულატ-დედუქციურ მეთოდს ეფუძნებოდა. მან კოლეჯში ინჟინერიასა და ფილოსოფიაში მიიღო განათლება, ამიტომ ფსიქოლოგიაში შექმნილი სისტემა ამ დისციპლინების ელემენტების მატარებელია: ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ბუნებასთან დაკავშირებული ფილოსოფიური საკითხები ინჟინერიისთვის დამახასიათებელ მათემატიკურ სიზუსტესთან კომბინირებს.



ჰალი

ჰალისთვის მეცნიერება მკაცრად ფორმალური/ლოგიკური პროცესია; მეცნიერული სისტემა თეორემებიდან მიღებული მათემატიკური ფორმულირებებისგან შედგება, რომლებიც მეცნიერებაში დაკვირვებად ემპირიულ ფაქტებს შეესაბამება. მეცნიერული სისტემა პოსტულატების ერთობლიობიდან იწყება, რომლებიდანაც გამოიყვანება თეორემები, ხოლო საკვლევი მნიშვნელოვანი მიმართებები მათემატიკურად გამოისახება.<sup>15</sup>

ჰალის სისტემა გაცილებით რიგიდული და ფორმალურია, ვიდრე პავლოვის, უოტსონისა და ტოლმენის სისტემები. ის იმდენად ფორმალურია, რომ არ ექვემდებარება მარტივ ახსნას.<sup>16</sup>

ჰალის ძირითადი მიზანი დასწავლილი პასუხის სტიმულ-რეაქციის კავშირის შუალედური ცვლადების თანმიმდევრობად დანაწევრება იყო, რომლებიც აშუალებენ განხორციელებულ რეაქციაზე პირობითი სტიმულის მიზეზობრივ გავლენას (Bower & Hilgard, 1981, გვ. 96,

წყაროში Chiesa, M., 1994). ჰალის სისტემა მედიაციურ, S-O-R მიდგომათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც გამაშუალებელი კონსტრუქტების ისეთი თეორიული ტერმინებით აღიწერება, როგორცაა ჩვევის ძალა, დრავი, განპირობებული შეკავება და რეაქციის გამოფიტვა. ზოგ შემთხვევაში ჰალი, პავლოვის მსგავსად, ნერვული სისტემის თვისებებზეც მიუთითებს, როგორც სტიმულსა და რეაქციას შორის მიზეზობრივი კავშირის განმაპირობებელზე. ჰალის სისტემაში სტიმულ-რეაქციის კავშირები აიხსნება სტიმულის,

<sup>15</sup> თუმცა, ამ საკითხებს აქ არ შევხებით.

<sup>16</sup> ის 16 პოსტულატის სახით არის წარმოდგენილი. თითოეულ პოსტულატს თან ახლავს მათემატიკური განტოლება, რომელიც ასახავს პოსტულატის ძირითად მახასიათებლებსა და ამ მახასიათებლებს შორის ურთიერთმიმართებას, რომლიდანაც მიიღება თეორემები (Chiesa, M., 1994).

ორგანიზმის გარკვეული შინაგანი ასპექტისა და რეაქციის ურთიერთმიმართებით. იგი არ იყენებს ისეთ კოგნიტურ ცნებებს, როგორცაა ცნობიერება, მიზანი, მოლოდინი და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ მის სისტემაში გამაშუალებელი კონსტრუქტები განსხვავდება ტოლმენის სისტემისგან, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი იმავე ლოგიკით აიგება, როგორცაა ტოლმენტან: არსებობს ჰიპოთეტური მოვლენები (O კომპონენტი S-O-R სისტემაში), რომელიც სტიმულსა და რეაქციას შორის იჩენს თავს (Chiesa, M., 1994).

## დრაივის ცნება

1918 წელს ვუდვორტსმა დრაივის ცნება განმარტა, როგორც ქცევის მამოტივირებელი ინტენსიური თანდაყოლილი (შინაგანი) ძალა. ჰალის მოდელი<sup>17</sup> ეფუძნება მოსაზრებას, რომ დრაივი, იქნება ის დასწავლილი თუ თანდაყოლილი, ავტომატურად ახდენს ქცევის მოტივირებას (Hull, 1943, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001). დრაივის დაუსწავლელ ანუ თანდაყოლილ (შინაგან) წყაროებს მიეკუთვნება ისეთი ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნივთიერების დეპრივაცია, როგორცაა საკვები, წყალი და ჟანგბადი. ასეთი დეფიციტი საფრთხეს უქმნის ორგანიზმის ფიზიკურ გადარჩენას და მას ბიოლოგიური სისტემის ნორმალურ ანუ ჰომეოსტაზის მდგომარეობაში დაბრუნებისკენ უბიძგებს. ამიტომ ორგანიზმი მოტივირებულია, რომ შეამციროს დეფიციტი (ანუ დრაივი, აღმძვრელი სტიმული) და ამით აღიდგინოს ჰომეოსტაზი.

დეპრივაციის გარდა, გარემოში მიმდინარე ზოგიერთი ინტენსიური მოვლენა, ასევე, ასრულებს დრაივის თანდაყოლილი წყაროს ფუნქციას. ეს შეიძლება იყოს ელექტრული შოკი ან დიდი ხმაური, რომელიც შინაგანი დრაივის აქტივაციას იწვევს. მართალია, არ არის აუცილებელი, რომ ელექტრული შოკი ან დიდი ხმაური საფრთხეს უქმნიდეს სიცოცხლეს; ისინი შეიძლება ავერსიული იყოს და ორგანიზმს შინაგანი დრაივის რედუქციის მოტივაციას უქმნიდეს. ამგვარად, დრაივი შეიძლება აღძრას ინტენსიურმა გარემოებებმა, რომლებიც ავერსიულია, მაგრამ არა — სიცოცხლისთვის საშიში. გარდა ამისა, ჰალი თვლიდა, რომ დრაივის თანდაყოლილი წყაროების მსგავსად, გარემოდან მომდინარე სტიმულებმა, კლასიკური განპირობების მეშვეობით, შეიძლება თანაზომიერი დრაივის წარმოქმნის უნარი შეიძინონ.

ამ პოზიციის მიხედვით, გარემოში არსებული მანიშნებლები, რომლებიც იმ წინაპირობებთან ასოცირდება, რომლებიც, თავის მხრივ, თანდაყოლილი დრაივის მდგომარეობას წარმოქმნიან, იძენენ უნარს, თავად გამოიწვიონ დრაივის ეს მდგომარეობა. შედეგად, ამ მანიშნებლებს შეუძლიათ შინაგანი აგზნების გამოწვევა და ამით ქცევის მოტივირება, დრაივის გამომწვევი ყოველგვარი თანდაყოლილი სტიმულის მოცემულობის გარეშე (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

## დრაივის რედუქცია და ჩვევის ძალა<sup>18</sup>

როდესაც ორგანიზმი აგზნების მდგომარეობაში იმყოფება, იქნება ეს დრაივის თანდაყოლილი თუ დასწავლილი წყაროებით გამოწვეული აგზნება, ის მოტივირებულია, რომ შეამციროს ეს დრაივი. ჰალის მიხედვით, დრაივის რედუქცია დამაჯილდოვებელია და ნებისმიერი ქცევა, რომელსაც დრაივის რედუქციისკენ მიყვავართ, მოსალოდნელია, რომ ამ დრაივის მდგომარეობასთან ასოცირდეს/დაუკავშირდეს. თუ ქცევა მუდმივად ემსახურება დრაივის რედუქციას, ამ ქცევის განხორციელების ჩვევა უფრო გამყარდება. ჰალი ჩვევის ძალას SHP სიმბოლოთი აღნიშნავს, ხაზს უსვამს რა ჩვევის ძალის S-R ბუნებას. როდესაც ორგანიზმი ისეთ სიტუაციაში ხვდება, რომელშიც დრაივის აღმძვრელი სტიმულია მოცემული, ის გარკვეული რეაქციების განხორციელებას დაიწყებს, რათა სცადოს ამ დრაივის რედუქცირება. თუ განხორციელებული რეაქცია წარმატებული აღმოჩნდება (ანუ შეძლებს

<sup>17</sup> ცნობილია, ასევე, როგორც ჰალი-სპენსის მოდელი.

<sup>18</sup> Habit strength.

დრაივის რედუცირებას), მაშინ სტიმულის შემცველ სიტუაციასა და მასზე რეაქციას შორის კავშირი გაძლიერდება და, შესაბამისად, მოიმატებს ჩვევის ძალაც.

ჰალისთვის ჩვევის ძალა მუდმივად არსებობს: ის მხოლოდ რაოდენობრივად იზრდება და მცირდება. იბადება კითხვა: თუ ჩვევის ძალა მუდმივად არსებული მოცემულობაა, მაშინ როგორ ცვლის ორგანიზმი ქცევას, როდესაც მისი „ჩვეული“ ქცევა უსარგებლო, წარუმატებელი ხდება? ჰალის მიხედვით, წარუმატებელი ქცევა დრაივისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და აქტივობის დათრგუნვას იწვევს. ამ პროცესს ჰალი რეაქტიულ შეკავებას უწოდებს. მას შემდეგ, რაც დრაივის მდგომარეობა ნარჩუნდება და რეაქტიული შეკავება აღარ მოქმედებს, წარუმატებელი ქცევა ისევ იჩენს თავს. როდესაც სისტემატურად ვერ ახერხებს გამომუშავებული ქცევა დრაივის რედუცირებას, ვიღებთ მდგომარეობას, რომელსაც ჰალი განპირობებულ (პირობით) შეკავებას უწოდებს. განპირობებული შეკავება კონკრეტული წარუმატებელი ჩვევის მიმართ მოქმედებს და მისი გამაღიზიანებელი ძალის საწინააღმდეგოდაა მიმართული. განპირობებული შეკავების შედეგად დომინანტურ ჩვევად იქცევა ორგანიზმის ჩვევების იერარქიაში სიძლიერით მეორე რეაქცია. თუ ეს ქცევა წარმატებით შეძლებს დრაივის რედუცირებას, მისი ჩვევის ძალა მოიმატებს და შემდეგში ეს ქცევა იჩენს თავს. თუ მეორე ჩვევაც წარუმატებელი აღმოჩნდება, მაშინ პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ორგანიზმი წარმატებულ რეაქციას არ მიაგნებს (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

### აღმძვრელი მოტივაცია

ჰალის (1943) მოდელში ნავარაუდევია, რომ ჯილდოს ღირებულება გავლენას ახდენს S-R კავშირის სიძლიერეზე: რაც უფრო დიდია ან ღირებულია ჯილდო, მით მეტია დრაივის რედუქცია და, შესაბამისად, მეტია ჩვევის ძალა. მას შემდეგ, რაც ქცევა გამომუშავდება, მისი გამოვლენის ალბათობა დამოკიდებულია ორგანიზმის დრაივის დონეზე და არა — ჯილდოს ღირებულებაზე. ეს დაშვება რამდენიმე კვლევაში შემოწმდა. მათ შორის ყველაზე ცნობილია ქრესპის (Crespi, 1942) კვლევა, რომელშიც დაადგინეს, რომ ჯილდოს მნიშვნელოვნების ცვლილებამ სწრაფად შეცვალა ვირთხის მიერ საკვების ძებნის პროცესში სირბილისას ნაჩვენები შედეგები და ეს ცვლილება იმდენად სწრაფი იყო, რომ ვერ აიხსნებოდა ჩვევის ძალის ცვლილებით. სირბილის სიჩქარის სწრაფი მატება-კლება ჯილდოს მნიშვნელოვნების ცვლილების შედეგია და გვიჩვენებს, რომ ვირთხის ქცევა მოტივაციის და არა — ჩვევის ძალის ცვლილების შედეგად მოდიფიცირდება (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

ამ შედეგებზე დაყრდნობით, ჰალმა (1952, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001) შეცვალა თავისი მოდელი და მასში აღმძვრელი მოტივაციის ცნება შეიტანა, რომელიც ჯილდოს მნიშვნელოვნებას ეფუძნებოდა. აღმძვრელი მოტივაციის მრავალი მახასიათებელი აღწერა ჰალის ახლო მეგობარმა და თანამშრომელმა *კენეთ სპენსმა*.<sup>19</sup> სპენსის მიხედვით (1965, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001), როდესაც ჯილდო მიღებულია, ის ისეთ შინაგან სამიზნე რეაქციას აღძრავს, როგორცაა საკვების შემთხვევაში ნერწყვის გამოყოფა. ეს შინაგანი რეაქცია აღძრავს გარეგანი სტიმულის მდგომარეობას, რომელიც ცხოველის მომხმარებლურ ქცევას (საკვების მიღებას) ამოტივირებს.

ამრიგად, თორნდაიკისა და ჰალის S-R პოზიცია მნიშვნელოვნად ეყრდნობა ჯილდოს ცნებას. ერთ-ერთი კლასიკოსი თეორეტიკოსი, რომელიც უარყოფდა S-R კავშირის დამყარებისთვის ჯილდოს აუცილებლობას, იყო ედვინ გათრი.<sup>20</sup>

<sup>19</sup> 1952 წელს მისი წიგნის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ჰალი გარდაიცვალა.

<sup>20</sup> Edwin Ray Guthrie (1886-1959).

## ედვინ რეი გათრი და თანხვედრის/სიახლოვის საკმარისობა

### დაჯილდოვების აუცილებლობა



გათრი

გათრიმ (1935, 1959) გამოთქვა მოსაზრება (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001), რომ სტიმულისა და რეაქციის თანხვედრა საკმარისია S-R კავშირის დასამყარებლად. მისი აზრით, თუ რეაქცია გარკვეული სტიმულის პირობებში წარმოიქმნება, ისინი ავტომატურად ასოცირდებიან ერთმანეთთან; ჯილდო არ არის აუცილებელი პირობა. სხვა სიტყვებით, თუ რეაქცია გარკვეული სტიმულის პირობებში ხორციელდება, მოსალოდნელია, რომ ის ისევ განმეორდება, როდესაც იგივე სტიმული გამოჩნდება. თუმცა, სხვადასხვა სტიმულის პირობებში მრავალ განსხვავებულ რეაქციას ვახორციელებთ. ამიტომ ჩნდება კითხვა: რომელი რეაქცია ასოცირდება სტიმულთან? გათრის მიხედვით, ბოლოს განხორციელებული რეაქცია, ვინაიდან სწორედ ის ცვლის სტიმულის სიტუაციას იმგვარად, რომ ორგანიზმი განსხვავებული სტიმულის პირობებში აღმოჩნდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჯილდოს არ აქვს ეფექტი, არამედ — იმას, რომ ის არ არის აუცილებელი.

ლოგიკურია, ვიკითხოთ: თუ ჯილდო არ არის აუცილებელი, რატომ ზრდის ის რეაქციის ალბათობას? გათრისთვის საჭირო რეაქციის (ანუ იმ რეაქციის, რომელსაც ჯილდოს მიწოდება სდევს თან) განხორციელების შემდეგ მიღებული ჯილდო ცვლის სტიმულის კონტექსტს (შინაგანს თუ გარეგანს), რომელიც ჯილდომდე იყო მოცემული. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ჯილდოს მიღებას მოჰყვება, ახალი სტიმულის პირობებს დაუკავშირდება (ასოცირდება) და, აქედან გამომდინარე, როდესაც ისევ შეიქმნება ძველი სტიმულის პირობები, ისევ გამოვლინდება დაჯილდოვებული რეაქცია. ფაქტობრივად, ჯილდო S-R კავშირის კი არ აძლიერებს, არამედ ხელს უშლის მოცემულ სტიმულთან სხვა ასოციაციების დამყარებას (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

რას ამბობს გათრი ჯილდოს მნიშვნელოვნების შესახებ? ჯილდოს მნიშვნელოვნების ეფექტის ახსნისას იგი ისევ სტიმულის შენარჩუნების დებულებას უბრუნდება: ქცევა მანამდე განმეორდება, ვიდრე რეაქცია არ შეცვლის სტიმულს, რომელიც ინარჩუნებს მას. მაგალითად, მშვიერი ცხოველი მანამდე მოგვეცემს რეაქციას, სანამ შემანარჩუნებელი სტიმული (შიმშილი) არ შეიცვლება. დიდი ჯილდო მეტად ცვლის ამ სტიმულს, მცირე ჯილდო — შედარებით ნაკლებად.

რა ხდება მაშინ, როდესაც ჯილდო გადავადებულა? გათრის თანახმად, ჯილდო უშუალოდ უნდა მოჰყვებოდეს სათანადო რეაქციას იმისათვის, რომ ეს რეაქცია ისევ განმეორდეს იგივე სტიმულის მიწოდებისას. გადავადებული ჯილდოს შემთხვევაში შესატყვისი რეაქციის შემდგომ, მაგრამ მის თანმდევ ჯილდომდე განხორციელებული ქცევები სტიმულთან ასოცირდება. რეაქციის განხორციელებისთანავე მიწოდებული ჯილდო ხელს უშლის კონკურენტული S-R კავშირების წარმოქმნას. მაგალითისთვის, დავუშვათ, სამსახურიდან სახლში მიხვედით და დააჯილდოვებთ თქვენი ძალი იმისათვის, რომ სახლი სუფთად დაგახვედრათ; თუმცა, სუფთა სახლის ჯილდოსთან დაკავშირების ნაცვლად, ძალი ამ ჯილდოს იმ ნებისმიერ ქცევას (მაგალითად, ძილს) დაუკავშირებს, რომელსაც უშუალოდ ჯილდოს მიწოდების წინ ახორციელებდა. იგივე დებულება იქნება ძალაში, თუ მას ბალიშების დაღეჭვისთვის დასჯით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დასჯა გათრისთვის სხვა თემაა: ცვლის თუ არა სასჯელი სტიმულის პირობებს და იწვევს თუ არა ეს წინმსწრები ქცევის ინტენსივობის ზრდას? (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001)

### დასჯის ფუნქცია

როგორ ხსნიდა გათრი ქცევაზე სასჯელის გავლენას? დასჯა, განმარტების თანახმად, ამცირებს იმის ალბათობას, რომ დასჯილი ქცევა გამეორდება. გათრის აზრით, დასჯა, დაჯილდოვების მსგავსად, ცვლის სტიმულის სიტუაციას, მაგრამ მისი ბიჰევიორალური ეფექტი წინმსწრები ქცევის შემცირებაა და არა —

მატება. გათრი უშვებს, რომ დაჯილდოვებისგან განსხვავებით, დასჯა მოქმედებს, როგორც უპირობო სტიმული, რომელიც დასჯილ ქცევასთან არათავსებად მთელ რიგ რეაქციებს იწვევს. თუ სასჯელით გამოწვეული რეაქცია ამცირებს ან აკავებს ავერსიულ მოვლენას, ის განპირობებული გახდება სტიმულის იმ კონტექსტის მიმართ, რომელშიც მოხდა დასჯა. როდესაც სტიმულის სიტუაცია ისევ შეიქმნება, ისევ განპირობებული რეაქცია იჩენს თავს (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

### დასწავლა: ყველაფერი ან არაფერი

გათრის თანახმად, დასწავლა ერთჯერად ცდაში იჩენს თავს (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001); S-R კავშირი სრული ძალით ვლინდება სტიმულისა და რეაქციის პირველივე შეწყვილებისას. ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით, არ თანხვდება კარგად დადგენილ ფაქტს, რომ ქცევის ეფექტურობა და ძალა მატულობს შემდგომ წარმატებულ გამოცდილებასთან ერთად. გათრი არ უარყოფდა, რომ ქცევა უმჯობესდება წარმატებული გამოცდილების შედეგად; თუმცა, ის არ იზიარებდა ჰალის ანდა თორნდაიკის მოსაზრებას, რომ S-R კავშირის ძალა ნელ-ნელა მატულობს წარმატებულ გამოცდილებასთან ერთად.

გათრი ასახელებს სამ მიზეზს, რომელიც რეაქციის თანდათანობით გაუმჯობესებას უდევს საფუძვლად: (1) საწყისი განპირობებისას მრავალი სტიმულია მოცემული და მხოლოდ ამ სტიმულების ნაწილი აქტიურდება ანუ ხვდება ყურადღების ველში. ამ დროს ცდიდან ცდამდე იცვლება ადამიანის ან ცხოველის რეაქცია. კონკრეტულ ცდაში ყურადღების ველში მოხვედრილი სტიმული წარმოქმნის კონკრეტულ რეაქციას. ამ შემთხვევაში ყურადღების ცვლილება იწვევს ქცევაში ცვლილებას, წინა განპირობების მიუხედავად. ამგვარად, ქცევის ცვლილება ცდიდან ცდამდე ყურადღების პროცესების ანარეკლია და არა — დასწავლის პროცესის; (2) ერთ კონკრეტულ რეაქციასთან მრავალი განსხვავებული სტიმული შეიძლება ასოცირდეს. რაც უფრო მეტი და მეტი სტიმული დაუკავშირდება რეაქციას, მით უფრო გაიზრდება რეაქციის ძალა. ეს მომატებული ინტენსივობა უფრო ძლიერი S-R კავშირის შედეგი კი არ არის, არამედ იმ სტიმულების რაოდენობის ზრდისა, რომელთაც შეუძლიათ ამ რეაქციის გამოწვევა; (3) რთული/კომპლექსური ქცევა მრავალი ცალკეული რეაქციებისგან (მოქმედებებისგან) შედგება. ეს მოქმედებები ერთმანეთთან კომბინირებს და წარმოიქმნება ქცევა (აქტები). აქტი რომ ეფექტური იყოს, მისი მდგენელი თითოეული რეაქცია სტიმულით უნდა იყოს განპირობებული. თუ ეს პროცესი გაგრძელდება, ქცევა უფრო ეფექტური გახდება, შესაბამისად, თვალსაჩინო იქნება ქცევის გაუმჯობესებაც. გათრის მიხედვით, რაც უფრო კომპლექსურია/რთულია ქცევა, მით მეტი პრაქტიკაა (ვარჯიშია) საჭირო ეფექტური ქცევის დასასწავლად (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

ზემოთ განხილული სამი ტრადიციული თეორეტიკოსი დასწავლას მექანიზტურ ფენომენად მიიჩნევდა. არც ერთი მათგანი არ საუბრობდა შესაძლებლობაზე, რომ ორგანიზმი რეალურად იგებს, თუ რა ხდება. თორნდაიკი იმასაც კი ამბობდა, რომ კატებმა არც კი „იცოდნენ“, რომ სწავლობდნენ. S-R კავშირის დაფილტვრა და დამყარება ავტომატური და არაცნობიერი იყო. ედვარდ ტოლმენი, კიდევ ერთი ტრადიციული თეორეტიკოსი, უარყოფდა ამ მოსაზრებას და დასწავლისადმი უფრო კოგნიტურ პოზიციას იკავებდა.

### ედვარდ ტოლმენი და ადრეული კოგნიტური მიდგომა



ტოლმენი

ედვარდ ტოლმენს ხან ბიჰევიორისტს (Hillix, W. A., & Marx, M. H., 1974) უწოდებენ, ხან — ნეობიჰევიორისტს (როგორც, მაგალითად, Smith, 1986) და ხანაც — კოგნიტურ-ორგანიზაციული თეორიების წარმომადგენელს (Bower & Hilgard, 1981, წყაროში Chiesa, M., 1994).

მან დოქტორის ხარისხი ჰარვარდში მიიღო 1915 წელს, უოტსონის ნაშრომის „ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალთ“



გამოქვეყნებიდან ორი წლის შემდეგ. ტოლმენი ამ ნაშრომს 1914 წელს გაეცნო და, როგორც თავად წერს, აღფრთოვანდა მასში აღწერილი მიდგომით (Tolman, 1959, გვ. 94, ციტირებულია წყაროში Chiesa, M., 1994). ტოლმენის ექსპერიმენტული საქმიანობა, უმეტესად, ლაბორინთში ვირთხების ქცევის შესწავლას შეეხებოდა. ამიტომ მისი კვლევის საგანი მჭიდროდ უკავშირდებოდა ადრეულ ბიჰევიორალურ ტრადიციას, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, მას ზოგჯერ კონგიტურ-ორგანიზაციული თეორიების წარმომადგენლადც მიიჩნევენ და ეს იმიტომ ხდება, რომ, ფაქტობრივად, დიდი უფსკრულია მის სისტემასა და რადიკალურ ბიჰევიორიზმს შორის.

Draft

## S-O-R ფსიქოლოგია

უოტსონმა ფსიქოლოგია ინტროსპექციიდან დაკვირვებადი სტიმულ-რეაქციის ურთიერთმიმართებების გაზომვისკენ მოატრიალა. ტოლმენი მისი უკან დაბრუნებით იყო დანტერესებული, ყოველ შემთხვევაში, მცირედით მაინც და ცდილობდა ამ ურთიერთმიმართებაში ორგანიზმის ადგილი გამოემეხნა (Chiesa, M., 1994). სტიმული-რეაქციის ფსიქოლოგიიდან მან სტიმული-ორგანიზმი-რეაქციის ფსიქოლოგიისკენ გადაინაცვლა, ამტკიცებდა რა, რომ კავშირი სტიმული-რეაქცია ვერ ხსნის ვირთხების ქცევას ლაბირინთის გავლის დასწავლის ექსპერიმენტებში.

1922 წელს მან შემოგვთავაზა ახალი ბიჰევიორიზმი, რომელიც ძველ ინტროსპექციულ სკოლასა და ახალ დომინანტურ სტიმულ-რეაქციის ფსიქოლოგიას შორის იდგა. ეს უნდა ყოფილიყო არაფიზიოლოგიური ბიჰევიორიზმი, რომელსაც არ ანტერესებდა სინაფსური კავშირები და ნერვული იმპულსები, რომელთაც ჯერ კიდევ მოემეხნებოდათ ადგილი ინტროსპექციულ ფსიქოლოგიაში. ტოლმენი თვლიდა, რომ „ახალი ბიჰევიორიზმი“ შეძლებს არა მხოლოდ ფსიქიკური ტესტების, მეხსიერების ობიექტური გაზომვებისა და ცხოველთა ფსიქოლოგიის, როგორც ასეთის, დაფარვას, არამედ ყველაფერ იმასაც მოიცავს, რაც ვალიდური იყო ძველ ინტროსპექციულ ფსიქოლოგიაში (Hillix, W. A., & Marx, M. H., 1974). ნაცვლად იმისა, რომ დათანხმებოდა უოტსონს და ბიჰევიორიზმისა და ინტროსპექციის ურთიერთგამომრიცხავობა ელიარებინა, ტოლმენი შეეცადა, ეს ორი მიდგომა ერთმანეთთან დაეახლოვებინა და შეენარჩუნებინა ბიჰევიორიზმის ობიექტური ტონი სტიმულსა და რეაქციას შორის შინაგანი მედიაციის როლის უარყოფის გარეშე. ბიჰევიორიზმის S-R ფორმულა ტოლმენის სისტემაში S-O-R ფორმულამ ჩაანაცვლა (Chiesa, M., 1994).

## მიზნები და მოლოდინები

უკვე ვიცით, რომ დასწავლის ტოლმენისეული ხედვა დიამეტრალურად განსხვავდებოდა მექანისტული (S-R) მოსაზრებისგან. მისთვის ქცევა არ იყო გარემოდან მომდინარე გარკვეულ სტიმულზე ავტომატური რეაქციის ასახვა. მას მიაჩნდა, რომ ქცევას აქვს მიმართულება და მიზანი, რომლებიც გარკვეული სასურველი მიზნის მიღწევის (ან არასასურველი შედეგებისთვის თავის არიდების) ტერმინებით აღიწერება. გარდა ამისა, ორგანიზმებს აქვთ თავიანთი გარემოს სტრუქტურის წვდომის უნარი. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, ტოლმენი ფრთხილად იყენებდა ტერმინებს *მიზანი* და *მოლოდინი*. მას არასოდეს უთქვამს, რომ ორგანიზმები აცნობიერებენ თავიანთ მიზნებს ან მოლოდინებს; ისინი უბრალოდ იქცევიან „ისე, თითქოს“ კონკრეტული მოქმედება კონკრეტულ შედეგამდე ან მიზნამდე მიიყვანს (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

ტოლმენისთვის არამარტო ქცევაა მიზნით მართული, არამედ მოსალოდნელია, რომ კონკრეტული ქცევები კონკრეტულ შედეგებს მოიტანენ. მაგალითად, სპორტის მოყვარული ადამიანი ელოდება, რომ შაბათს შუადღისით დაჯდება ტელევიზორთან და კარგი თამაშით ისიამოვნებს. თუ მიზანი არ იქნება მიღწეული (გადაცემა არ შედგება), მაშინ ეს ადამიანი ნებისმიერ სხვა გადაცემას კი არ უყურებს, არამედ რაიმე სხვა შესატყვისი ალტერნატივის ძებნას დაიწყებს (ეს განსაკუთრებით მართებულია, თუ მას 100-მდე სპორტული არხი აქვს საკაბელო მომსახურების პაკეტში).

გარდა ამისა, გარემოში არსებული გარკვეული კონკრეტული მანიშნებლები ინფორმაციას იძლევიან სხვადასხვა მიზნის ადგილმდებარეობის შესახებ. ტოლმენი თვლიდა, რომ ეს მიზნები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება იქნას მიღწეული, როდესაც ორგანიზმი დაისწავლის გარემოს მანიშნებლებს, რომლებსაც ის ჯილდოსკენ ან სასჯელისკენ მიჰყავთ. ასე მაგალითად, როდესაც ჩვენი საყვარელი კლუბის ადგილმდებარეობა ვიცით, მასთან მისასვლელად გარემოში არსებულ მანიშნებლებს ვიყენებთ (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

ტოლმენი, გათრის მსგავსად, თვლიდა, რომ ჯილდო არ არის აუცილებელი დასწავლისთვის. თუმცა, მოლოდინები არ დადასტურდება, თუ ინდივიდი არ არის მოტივირებული. ტოლმენი მიიჩნევს, რომ მოტივაცია ორ ფუნქციას ასრულებს: (ა) ქმნის დამაბულობის შინაგან მდგომარეობას, რომელიც სამიზნე

ობიექტის მოთხოვნას აჩენს და (ბ) ინდივიდს ფოკუსირებულად წარმართავს გარემოს იმ კონკრეტული მახასიათებლებისკენ, რომლებიც რელევანტურია ამ სასურველი მიზნის მიღწევისთვის. მაგალითად, თუ არ გწყურიათ, ნაკლებად მოსალოდნელია (მწყურვალ ადამიანთან შედარებით), რომ იმის გარკვევა დაიწყოთ, თუ რომელ უახლოეს მაღაზიაში იყიდება წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ დამაბულობის ტოლმენისეული ცნება წააგავს ჰალისეულ აღმძვრელ მოტივაციას, ის არ არის ისეთი მექანიზტური, როგორც ჰალის თეორიაში. ტოლმენის თანახმად, მოლოდინები აკონტროლებენ იმ მიმართულებას, რომლითაც იმოდრავებს ორგანიზმი დამაბულობის მდგომარეობის შესამცირებლად. ამ თვალსაზრისით, ქცევა არ არის რეაქციათა ფიქსირებული, ავტომატური ან სტერეოტიპული მიმდევრობა, რომელიც დრავის (დამაბულობის) რედუქციის მიზნით ხორციელდება, არამედ ეს არის მოქნილი (ფლექსიბური) მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელია მიზნის მიღწევა (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

### კოგნიტური რუკები და ჯილდოს მნიშვნელოვნება

ტოლმენი ნაშრომში „ვირთხებისა და ადამიანების კოგნიტური რუკები“ (1948, წყაროში Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001) ედავება S-R ფსიქოლოგიის წარმომადგენლებს, რომ ვირთხები ლაბირინთის გავლას სტიმული-რეაქციის კავშირის უბრალოდ განმტკიცებით (გამლიერებით) დაისწავლიან. ის S-R პოზიციას აჯამებს და ამბობს, რომ ამ მიდგომის თანახმად, დასწავლა სხვადასხვა სათანადო (სინაფსური) კავშირის გამლიერებისგან და დასუსტებისგან შედგება. ის კავშირები, რომლებსაც ცხოველი სწორ გზამდე მიჰყავთ, შედარებით ღიაა ნერვული იმპულსების გატარებისთვის, ხოლო ისინი, რომელთაც ის ჩიხში შეჰყავთ — ნაკლებად ღია. ტოლმენი გრძნობდა, რომ ეს არ იყო ადეკვატური ახსნა და ლაბირინთში მოძრაობის დასწავლისას მიმდინარე ნერვული პროცესები გაცილებით რთული იყო, ვიდრე ამას ეს ახსნა მოიაზრებდა.

ტოლმენი საკუთარ თავს საველე თეორეტიკოსს უწოდებდა, რომელიც ლაბირინთში მოძრაობის დასწავლას „კოგნიტური რუკის“ ფორმირების პროცესად განიხილავდა. კოგნიტური რუკის დანიშნულებაა, ვირთხას სასურველ მიზნამდე მისასვლელი გზა უჩვენოს (Chiesa, M., 1994). ამრიგად, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ადამიანები და ცხოველები მოელიან, რომ განმამტკიცებელი გარკვეულ ადგილზე იქნება ლოკალიზებული და ისინი მიჰყვებიან „ბილიკს“, რომელიც მათ ამ ადგილამდე მიიყვანს. გარემოს შესწავლის შედეგად ორგანიზმები ქმნიან თავიანთი გარემოს მენტალურ რეპრეზენტაციას ანუ კოგნიტურ რუკას და ამ რუკით ხელმძღვანელობენ გარემოში ჯილდოს ლოკალიზაციის ადგილის ძიებისას (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

ტოლმენთან კოგნიტური რუკა ზედმიწევნით დამუშავებული თეორიული სტრუქტურაა, ამხსნელი ინსტრუმენტი, რომელიც ორგანიზმშია ლოკალიზებული (Chiesa, M., 1994). მას იმთავითვე რთული (კომპლექსური) სტრუქტურა აქვს და კვლევის ერთ-ერთ ამოცანას სწორედ ამ სტრუქტურის ბუნების შესახებ მაქსიმალურად ბევრი ინფორმაციის მოძიება წარმოადგენს. ტოლმენს აინტერესებდა, თუ რამდენად ვიწრო და სწორხაზოვანია ანდა რამდენად ფართო და ამომწურავია ეს რუკები. მას მიაჩნდა, რომ მისი ექსპერიმენტები ვიწროხაზოვანი რუკების არსებობაზე მანიშნებდნენ.

ეს მოსაზრება დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ჰალის მოსაზრებას, რომ გარემოს მანიშნებლები აღძრავენ გარკვეულ მოტორულ რეაქციებს, რომელთაც ორგანიზმი წარსულში მიიყვანეს ჯილდომდე. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ტოლმენი ამბობს: „მიჰყევი ამ გზას“, ხოლო ჰალი — „გაუხვიე მარცხნივ, ისევ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ“. რომელი მინიშნებაა უფრო ზუსტი? ამ კითხვაზე პასუხია: „გააჩნია რა შემთხვევაში“. როდესაც არ არის ხელმისაწვდომი გარემოში არსებული ზოგადი მანიშნებლები, ჰალია მართალი. თუმცა, როდესაც ის მანიშნებლები ხელმისაწვდომია, რომლებიც, უფრო ფართო გაგებით, მიზნის ადგილმდებარეობაზე მიგვანიშნებს, მაშინ მართალია ტოლმენი. საილუსტრაციოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბნელი გამოქვაბულიდან გამოსასვლელი გზის საპოვნელად შეიძლება კონკრეტულ სტიმულზე განხორციელებული კონკრეტული მოძრაობების გახსენება დაგჭირდეთ (გასახვევი

მარცხნივ, ისევ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ). სხვა ისეთ გარემოებებში, სადაც გარემოს უფრო ზოგადი მანიშნებლები ხელმისაწვდომია, მიზნის მისაღწევად, სავარაუდოდ, ზოგად მიმართულებას მიჰყვებით (სავაჭრო ცენტრთან მისასვლელად წადით უნივერსიტეტისკენ და შემდეგ დასავლეთის მიმართულებით იმოდრავით). საინტერესოა, რომ კვლევისას ჰალი დახურულ ლაბირინთებს იყენებდა, ტოლმენი კი — კასკადურს (შეზღუდული რაოდენობის ზოგადი მანიშნებლები და დიდი რაოდენობით ზოგადი მანიშნებლები) (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

რას ამბობდა ტოლმენი ჯილდოს მნიშვნელოვნების გავლენის შესახებ? ის თვლიდა, რომ მიზნის ღირებულება გავლენას ახდენს მოტივაციის ინტენსივობაზე: რაც უფრო ღირებულია ჯილდო, მით მეტია მოტივაცია და, პირიქით, ნაკლებად ღირებული ჯილდოს პირობებში მოტივაციაც მცირეა. ჰალის მსგავსად, ჯილდოს მოტივაციურ თვისებებს ტოლმენიც აღმძვრელ მოტივაციას უწოდებდა. მისი აზრით, ორგანიზმები არამარტო მოტივირებულნი არიან ჯილდოს მიღებით, არამედ ისინი კონკრეტული ჯილდოს მიღებას მოელოან. ისინი არ მიიღებენ ნაკლებ ჯილდოს, როდესაც უფრო სასურველის მიღებას მოელოან.<sup>21</sup>

ამრიგად, ჰალი და თორნდაიკი თავიანთი თეორიების აგებისას, უპირატესად, ჯილდოს ცნებას ეყრდნობოდნენ, ხოლო ტოლმენი და გათრი, პირიქით, აკნინებდნენ მის მნიშვნელობას. კლასიკური განპირობების პრაქტიკული გამოყენების რამდენიმე მაგალითის განხილვის შემდეგ კიდევ ერთ ტრადიციულ ბიჰევიორისტულ პოზიციას გავეცნობით, რომელიც დასწავლის პროცესში პრაქტიკულად მხოლოდ განმამტკიცებლის როლს ეფუძნება. ეს არის სკინერის რადიკალური ბიჰევიორიზმი.

## კლასიკური განპირობების პრინციპების პრაქტიკული გამოყენება

### პირობითი ემოციური რეაქციები

პირობითი რეფლექსების პავლოვისეულ კვლევებზე აგებულ შრომებში მკაფიოდ განისაზღვრა სტიმულები და რეაქციები, რამაც შესაძლებელი გახადა დასწავლის ფენომენების ობიექტური მეთოდით შესწავლა. ამიტომ მათ უდიდესი როლი შეასრულეს, კერძოდ, ისეთი ბიჰევიორისტების აზროვნებაზე მოახდინეს გავლენა, როგორცაა, მაგალითად, უოტსონი (Первин Л., Джон О., 2002). მან მცირეწლოვანი ბავშვების კვლევის პროგრამა შეიმუშავა; უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქცევის პრაქტიკულად ყველა გამოვლინება თანდაყოლილი კი არ არის, არამედ – ცხოვრების მანძილზე შეძენილი.<sup>22</sup> კარგად არის ცნობილი უოტსონის კვლევა, რომელიც ემოციური რეაქციების გამომუშავებას შეეხებოდა. ის სწავლობდა ჩვილის ემოციურ რეაქციებსა და მათ გამომწვევ გამღიზიანებლებს.<sup>23</sup> უოტსონმა თავისი კვლევით აჩვენა,

<sup>21</sup> ეს ნათლად იქნა ნაჩვენები ერთ-ერთ კვლევაში (Tinkelpaugh, 1928): როდესაც მაიმუნებს დაასწავლეს იმ ყუთის არჩევა, რომლის ქვეშაც ბანანი იდო და შემდეგ ბანანი სალათის ფურცლებით (ნაკლებად სასურველი ჯილდოთი) ჩაანაცვლეს, მათ უარი თქვეს სალათის ფურცლების შეჭმაზე და აგრძელებდნენ ბანანის ძებნას; ამასთან, აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდნენ ექსპერიმენტატორების მიმართ (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001).

<sup>22</sup> მაგალითად, იკვლევდა მემარჯვენეობა-მემარცხენეობას. ვინაიდან მან ვერ აღმოაჩინა ამ მოვლენისთვის ვერანაირი ბიოლოგიური საფუძველი და ცდები აჩვენებდა, რომ თავიდან არც ერთი ხელი არ არის დომინირებული. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის ჯერ არ არსებობდა ნეიროფიზიოლოგია და ნეიროფსიქოლოგია, საიდანაც ცნობილია თავის ტვინის ნახევარსფეროების წამყვანობის როლი მემარჯვენეობა-მემარცხენეობის განსაზღვრაში (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

<sup>23</sup> საუბარია ცნობილ ექსპერიმენტზე, რომელიც „პატარა ალბერტის ექსპერიმენტის“ სახელით არის ცნობილი და რომელიც უოტსონმა როზალი რეინერთან (თავის დოქტორანტთან, შემდგომში მეუღლესთან) ერთად ჩაატარა. ეს ექსპერიმენტი დღეისათვის ცნობილია, როგორც ერთ-ერთი პირველი არაეთიკური ექსპერიმენტი (იხ. ბმულები

რომ ემოციები დასწავლის და გადაჩვევის შედეგია. ისინი წარმოიქმნებიან, ქრებიან და იცვლებიან დასწავლის კანონების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ჩვევის შემენის, დასწავლის პროცესი ბიპევიორიზმის მთავარ საკითხს წარმოადგენს (იმედაძე, ი., 2004).

ყველაზე ცნობილ კვლევაში, რომელიც უოტსონსა და რეინერს ეკუთვნის, 11 თვის ალბერტს დასწავლეს ცხოველებისა და ისეთი საგნების შიში, რომლებიც თავდაპირველად სრულიად არ იწვევდა მასში არანაირ შიშს (სურ. N8). მათ აღმოაჩინეს, რომ ლითონის ფირფიტაზე ჩაქუჩის დარტყმაზე ბავშვი გაოცებითა და შიშით რეაგირებდა. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თუ ამ ფირფიტას უშუალოდ ბავშვის თავის უკან შემოჰკრავენ ჩაქუჩს იმ მომენტში, როდესაც ის ლაბორატორიულ თავგამდე ხოხვით ცდილობდა მიწვდენას, მაშინ მას შეეშინებოდა ამ თავგის, თუმცა თავდაპირველად სულადა არ ეშინოდა მისი. ამ პროცედურის რამდენჯერმე გამეორების შემდეგ ექსპერიმენტატორებმა აღმოაჩინეს, რომ ალბერტისთვის საკმარისი იყო თავგის დანახვა (ფირფიტაზე ჩაქუჩის დარტყმის ხმის გარეშე), რომ ტირილი დაეწყო. მას გამოუმუშავდა ის, რასაც დღეს პირობით ემოციურ რეაქციას ვუწოდებთ (Хелл Л., Зиглер Д., 1997).

**სურ. N8. რეინერი და უოტსონი პატარა ალბერტთან ერთად.**



ახლა ალბერტს შემამინებელ ხმასთან ემოციური ასოციაციის გამო ეშინოდა თავგის. გარდა ამისა, ცხადი იყო, რომ ალბერტმა სხვა ისეთი ობიექტების შიშიც გამოავლინა, რომლებიც რაღაცით მაინც ჰგავდნენ თავგს. მიუხედავად ზოგიერთი მონაცემისა იმის შესახებ, რომ ალბერტის ემოციური რეაქცია არც ისე ძლიერი და გენერალიზებული იყო, როგორსაც მოელოდნენ, უოტსონი და რეინერი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მრავალი სხვადასხვაგვარი შიში პირობით ემოციურ რეაქციას წარმოადგენს. ამაზე დაყრდნობით მათ გააკრიტიკეს გართულებული ფსიქონალიტური ინტერპრეტაციები:

როდესაც ფროიდისტები, თუ მათი ჰიპოთეზები არ შეიცვალა, 20 წლის შემდეგ დაიწყებენ იმის გაანალიზებას, თუ რატომ ეშინია ალბერტს ზღვის გოჭის ბეწვიანი ქურქის ...ისინი, ალბათ, მას სიზმრების უამრავჯერ მოყოლას აიძულებენ, რომელთა ანალიზი აჩვენებს, რომ როდესაც სამი წლის იყო, ალბერტი ცდილობდა ეთამამა საკუთარი დედის თმიანი საფარველით და ამის გამო მკაცრად დასაჯეს... თუ ანალიტიკოსი მოახერხებს და დააჯერებს ალბერტს სიზმრის ასეთი ინტერპრეტაციის მართებულობას გარკვეული ობიექტების მიმართ მისი შიშის თვალსაზრისით და თუ ამ ანალიტიკოსს ავტორიტეტი და დარწმუნების უნარი გააჩნია, მაშინ ალბერტმა შეიძლება სავსებით დაიჯეროს, რომ სწორედ მისი სიზმარი ასახავს რეალურ ვითარებას, რომელმაც გამოიწვია არსებული შიშების ჩამოყალიბება (Watson and Rayner, 1920, გვ. 14 ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

## კურდღლის შიშის გადაჩვევა

მრავალი ფსიქოლოგის აზრით, კლასიკური პირობითი ემოციური რეაქციების გამომუშავებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფსიქოპათოლოგიის განვითარებაში და ქცევის შეცვლის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა. ბიპევიორალური თერაპია, რომელიც კლასიკური განპირობების მოდელს ეფუძნება, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაადეკვატური რეაქციების, როგორცაა განპირობებული შიშების,

ჩაქრობას, ისე – ახალი რეაქციების გამომუშავებას იმ სტიმულებზე, რომლებიც ადრე არასასურველ რეაქციებს, მაგალითად, შფოთვას, იწვევდნენ (Первин Л., Джон О., 2002).

ამ მიდგომის გამოყენების პირველი მცდელობა, რომელიც უოტსონისა და რენერისეულ პატარა ალბერტის ექსპერიმენტს მოჰყვა, ჯონსს (1924) ეკუთვნის. ის შიშის მოხსნას ლაბორატორიულ პირობებში შეეცადა (Первин Л., Джон О., 2002). ამ კვლევაში, რომელიც ერთ-ერთ პირველად ითვლება, ჯონსი შეეცადა 2 წლისა და 10 თვის პიტერი მოჭარბებული შიშის გამოვლინებებისგან განეკურნა. პიტერი, საერთო ჯამში, ჯანმრთელი, კარგად ადაპტირებული ბავშვი იყო, რომელსაც თეთრი ვირთხების ემინოდა და ეს შიში კურდღლებზე, ქურქებზე, ბუმბულებსა და ბამბაზე ვრცელდებოდა. ჯონსმა დეტალურად აღწერა შიშის რეაქციის თავისებურებები და ის პირობები, რომლებიც ყველაზე მეტ შიშს იწვევდა. შემდეგ დასვა კითხვები: შესაძლებელია თუ არა რომელიმე ერთ სტიმულზე შიშის პირობითი რეაქციის მოხსნა და გავრცელება თუ არა ეს სხვა სტიმულებზე?

ექსპერიმენტისთვის ჯონსმა აირჩია კურდღლის შიში, ვინაიდან ის ყველაზე ძლიერად გამოიყურებოდა, ვირთხების შიშზე მეტად ძლიერად. მან შეიმუშავა შემდეგი პროცედურა: პიტერი სათამაშოდ შეჰყავდათ ოთახში, სადაც მას ხვდებოდა კურდღელი და სამი სხვა ბავშვი, რომლებსაც საერთოდ არ ემინოდათ კურდღლის. კურდღლის დანახვაზე სრული შეძრწუნებიდან პიტერი თანდათანობით მასზე დადებითი რეაქციის მდგომარეობაში გადავიდა. ეს ეტაპები მოცემულია ცხრილში 2.

#### ცხრილი 2. პიტერის კურდღლის შიშის მდგომარეობების თანმიმდევრობა.

N	პიტერის თანმიმდევრული მდგომარეობები
1	გალიაში ჩასმული კურდღელი პიტერში შიშს იწვევს ნებისმიერი მანძილიდან.
2	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიიდან 3.5 მ-ის მანძილზე.
3	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიიდან 1.2 მ-ის მანძილზე.
4	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიიდან 1 მ-ის მანძილზე.
5	კურდღელი ატანადად აღიქმება გალიის სიახლოვეს.
6	ატანადი რეაქცია იმაზე, რომ კურდღელი თავისუფლად დარბის ოთახში.
7	პიტერს შეუძლია ხელით შეეხოს კურდღელს, როცა ის ხელში უჭირავს ექსპერიმენტატორს.
8	პიტერს შეუძლია ხელით შეეხოს კურდღელს, როცა ის თავისუფლად დარბის ოთახში.
9	იწვევს კურდღელს: აფურთხებს მას, ესერის სხვადასხვა საგნებს, აჯავრებს მას.
10	კურდღელს უფლებას აძლევს მის წინ მაგიდაზე იჯდეს, რომელიც მიმაგრებულია მაღალ საბავშვო სკამზე.
11	კურდღლის გვერდით ზის მისგან თავის დაცვის გარეშე.
12	ექსპერიმენტატორს ეხმარება კურდღლის გალიამდე მიყვანაში.
13	კურდღელს მუხლებზე იჩერებს.
14	კურდღელთან ერთად მარტო რჩება ოთახში.
15	კურდღელს უფლებას აძლევს, რომ მასთან ერთად იყოს სათამაშო მოედანზე.
16	უზომოდ უყვარს კურდღელი.
17	კურდღელს უფლებას აძლევს, რომ მისი თითები ჰქონდეს პირში.

ადაპტირებულია წყაროდან: Первин Л., Джон О., 2002.

პიტერის წინსვლა ამ ეტაპებზე არ იყო მარტივი და უწყვეტი და, საბედნიეროდ, ჯონსი დეტალურად აღწერს ამ მოვლენების თანმიმდევრობას. პიტერს უკვე გავლილი ჰქონდა პირველი ცხრა ეტაპი, როდესაც ის ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში წაიყვანეს. როდესაც ორთვიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა ლაბორატორიაში, პიტერის შიშის რეაქცია ისევ საწყის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ჯონსმა ამ რეციდივის მიზეზები შემდეგნაირად აღწერა (Первин Л., Джон О., 2002):

ყველაფერს ნათელი მოჰფინა ექთნის მონათხრობმა, რომელმაც პიტერი საავადმყოფოდან მოიყვანა. როდესაც საავადმყოფოს კართან ტაქსში სხდებოდნენ, მათ თავს დაესხათ დიდი ძაღლი, რომელმაც იქვე გაირბინა. პიტერსაც და ექთანსაც ძალიან შეეშინდათ... ეს საკმარისად დამაჯერებელ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ წინა მდგომარეობაში ასეთი უცაბედი დაბრუნებისთვის. შეგაშინოს დიდმა ძაღლმა, როდესაც ავად ხარ და უცხო

გარემოში იმყოფები შენსავით შემინებულ მოზრდილთან – ეს ყველაფერი შიშის გამომწვევი სიტუაციაა, რომლისთვისაც ჩვენი ტრენინგი ვერ მოამზადებდა მას (1924, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

ამიტომ პიტერის დაბრუნების შემდეგ ჯონსმა ყველაფერი თავიდან დაიწყო, თუმცა ამჯერად თერაპიის სხვა მეთოდი – „პირდაპირი განპირობება“ – გამოიყენა. ამ ეტაპზე პიტერს საბავშვო სკაშზე სვამდნენ და საყვარელ საჭმელს აძლევდნენ, ხოლო ექსპერიმენტატორს თანდათანობით სულ უფრო და უფრო ახლოს მოჰყავდა გალიაში ჩასმული კურდღელი. სასიამოვნო სტიმულის (გემრიელი საჭმლის) წყალობით ყოველთვის, როდესაც კურდღელი ჩნდებოდა, შიში თანდათანობით დადებით რეაქციას უთმობდა ადგილს. სხვა სიტყვებით, საკვებთან ასოცირებული დადებითი გრძნობები თავდაპირველად საშიშ კურდღელზე (კონტრგანპირობება) გადაიტანებოდა. გარდა ამისა, ტრენინგის შემდგომ სენსიბილურობა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ბავშვების გავლენას, რომლებსაც არ ეშინოდათ კურდღლის.

საინტერესოა, ამ დროს რა ხდებოდა სხვა შიშებთან დაკავშირებით. ჯონსი აღნიშნავს, რომ კურდღლის შიშის მოხსნის შემდეგ პიტერს სრულიად მოეხსნა სხვა შიშებიც, კერძოდ, მას აღარ ეშინოდა ქურქების, ბუმბულებისა და ბამბის. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდით, თუ რატომ ეშინოდა პიტერს კურდღლის, აღმოჩნდა, რომ შიშის მოხსნის პროცედურა წარმატებით მუშაობს და დადებითი ეფექტი სხვა ანალოგიურ სტიმულებზეც გავრცელდა (გენერალიზირდა) (Первин Л., Джон О., 2002).

## კლასიკური განპირობების გამოყენების სხვა მაგალითები

ბიპევიორისტული მიდგომის განვითარების პირველ ეტაპებზე შემუშავებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცედურა ბავშვებში ღამის ენურეზის მკურნალობაზეა მიმართული (Mowrer & Mowrer ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002). როგორც წესი, ღამის ენურეზი იმიტომ ხდება, რომ ბავშვი დროულად არ რეაგირებს შარდის ბუშტის სიგნალებზე, ვერ ასწრებს გაღვიძებასა და ტუალეტამდე მისვლას. ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად მკვლევრებმა შეიმუშავეს საშუალება, რომელიც კლასიკური პირობითი რეფლექსის მოდელს ეფუძნება. ეს არის პატარა, მაღვიძარას მსგავსი ელექტრული მოწყობილობა, რომელიც მაგრდება ბავშვის საწოლში და სველ ზეწარზე რეაგირებს. თუ ბავშვი ჩაისველებს, მოწყობილობა რთავს ზარს და ეს ხმა აღვიძებს ბავშვს. შარდის ბუშტის სიგნალები თანდათანობით ასოცირდება გაღვიძების რეაქციასთან. დროთა განმავლობაში ეს რეაქცია წინ უსწრებს ჩასველებას და სველი ზეწრების პრობლემა სრულიად იხსნება.

კლასიკური პირობითი რეფლექსის გამომუშავების პროცედურა ალკოჰოლიკების მკურნალობაშიც გამოიყენებოდა. მაგალითად, რომელიმე უსიამოვნო სტიმული – დენის დარტყმა ან ღებინების გამომწვევი საშუალება – უშუალოდ ალკოჰოლის მიღების შემდეგ მიეწოდება. უსიამოვნო გამღიზიანებელი მოქმედებს, როგორც უპირობო სტიმული და ალკოჰოლზე არიდების პირობითი რეაქცია ყალიბდება (Nathan, 1985 ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

## სისტემური დესენსიტიზაცია

დღეისათვის ამ სფეროში ყველაზე შთაბეჭედავ მიღწევად ითვლება სისტემატური დესენსიტიზაციის მეთოდი, რომელიც ჯოზეფ ვოლპეს (1915-1997) ეკუთვნის (Первин Л., Джон О., 2002). საინტერესოა, რომ ეს მეთოდი შეიმუშავა ფსიქიატრმა (და არა ფსიქოლოგმა), რომელმაც პრაქტიკაში მუშაობა ფსიქონალიტური ტრადიციით დაიწყო. თუმცა, რამდენიმე წლიანი პრაქტიკის შემდეგ ვოლპე გაეცნო პავლოვისა და ჰალის შრომებს, რომლებმაც მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. ის მივიდა მოსაზრებამდე, რომ ნევროზი არის მდგრადი, არაადეკვატური, შეძენილი რეაქცია, რომელიც თითქმის ყოველთვის ასოცირდება შფოთვისთან. აქედან გამომდინარეობს, რომ თერაპია კონკურენტული (საპირისპირო) რეაქციის კონტრგანპირობებით შფოთვის დამუხრუჭებას უნდა წარმოადგენდეს. სხვა სიტყვებით, თერაპია ნიშნავს ისეთი პირობითი რეაქციების გამომუშავებას, რომლებიც აქრობენ ან



ვოლპე

აჩერებენ შფოთვას. თუმცა, ფსიქოთერაპევტების ყურადღება ყველაზე მეტად ერთ-ერთმა მეთოდმა მიიპყრო – ეს არის ღრმა კუნთური რელაქსაცია. სისტემატური დესენსიტიზაციის პროცესის საშუალებით პაციენტი სწავლობს გარკვეულ, თავდაპირველად შფოთვის გამომწვევ სტიმულებზე რელაქსაციის ახალი პირობითი რეფლექსით რეაგირებას (Первин Л., Джон О., 2002).

სისტემატური დესენსიტიზაცია რამდენიმე ეტაპს ანუ ფაზას მოიცავს (Wolpe, 1961 ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002). პირველი ფაზა პაციენტის თერაპიული მოთხოვნილებების დეტალურ, დაწვრილებით დიაგნოსტიკას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ პაციენტის პრობლემა სისტემატური დესენსიტიზაციით შეიძლება მოგვარდეს, თერაპევტი მას რელაქსაციას

ასწავლის. დეტალურად არის გაწერილი მთელი პროცედურა იმისათვის, რომ დავებმართო პაციენტს მოადუნოს სხეულის ჯერ ერთი ნაწილი და შემდეგ თანმიმდევრობით ყველა სხვა ნაწილი. თუ დასაწყისში პაციენტები სირთულეებს აწყდებიან კუნთური დამაბულობის მოხსნისას, ექვსი სეანსის შემდეგ ადამიანთა უმრავლესობა რამდენიმე წაშში ახერხებს მთელი სხეულის მოდუნებას. მკურნალობის შემდეგ ფაზაზე შფოთვის იერარქიის დადგენა ხდება. ეს არის პროცედურა, როდესაც თერაპევტი ცდილობს, პაციენტისგან მიიღოს სტიმულების ჩამონათვალი, რომლებიც მასში შფოთვას იწვევენ. ეს შფოთვის გამომწვევი სტიმულები თემატურად ჯგუფდება, მაგალითად, სიმაღლის შიში ანდა შიში იმისა, რომ უარყოფენ. თითოეულ თემატურ ჯგუფში გაერთიანებული სტიმულები მათ მიერ გამოწვეული შფოთვის ინტენსივობის კლების მიხედვით ლაგდება – ყველაზე დამანგრეველიდან ყველაზე ნაკლებად შემამინებლამდე. მაგალითად, კლასტროფობიის თემაში (ჩაკეტილი სივრცის შიში) შეიძლება შედიოდეს ლიფტში გაჭედვის შიში (ამით იწყება ჩამონათვალი), მატარებლით მგზავრობის შიში (თავსდება სადღაც ჩამონათვალის შუაში) და შიში, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც მიწის ქვეშ ჩარჩენილი მალაროელების შესახებ კითხულობს (მოთავსებულია ჩამონათვალის ბოლოში). სიკვდილის თემა შეიძლება აერთიანებდეს იმის შიშს, რომ დამარხავენ (შფოთვის გამომწვევი ყველაზე ძლიერი სტიმული), თავად სიტყვა სიკვდილი, როგორც საკმაო შფოთვის მატარებელი სტიმული და სასაფლაოს დანახვა, როდესაც მანქანით გვერდით ჩაუვლის, როგორც ყველაზე სუსტი ბიძგი შფოთვისკენ. პაციენტს შეიძლება ბევრი ან მცირე რაოდენობის თემა ჰქონდეს და თითოეულ თემაში ბევრი ან ცოტა სახეობის შიში ერთიანდებოდეს (Первин Л., Джон О., 2002).

მას შემდეგ, რაც შფოთვის იერარქია აიგება, პაციენტი მზად არის დესენსიტიზაციისთვის. მან უკვე ისწავლა საკუთარი თავის დამშვიდება რელაქსაციის დახმარებით, ხოლო თერაპევტმა დაადგინა შფოთვების იერარქია. ახლა თერაპევტი სთხოვს პაციენტს, რომ მიაღწიოს ღრმა რელაქსაციის მდგომარეობას და შემდეგ წარმოადგინოს შფოთვათა იერარქიაში ყველაზე სუსტი სტიმული. თუ პაციენტს შეუძლია წარმოსახვაში ამ სტიმულის აღდგენა შფოთვის განცდის გარეშე, მაშინ მას სთხოვენ, წარმოადგინოს შემდეგი სტიმული იერარქიიდან და, ამასთან, დარჩეს რელაქსირებულ მდგომარეობაში. ხდება რელაქსაციის და შფოთვის გამომწვევი სტიმულის წარმოდგენის რელაქსაციასთან კომბინაციის მონაცვლეობა. თუ პაციენტი სტიმულის წარმოსახვისას შფოთავს, მას სთხოვენ, რომ რელაქსირდეს და შედარებით სუსტი სტიმულის წარმოდგენას დაუბრუნდეს. საბოლოოდ, ის ახერხებს იერარქიაში მოცემული ყველა სტიმულის წარმოდგენასა და, ამავდროულად, რელაქსირებული მდგომარეობის შენარჩუნებას. სტიმულების წარმოსახვისას რელაქსირებულობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ სტიმულებთან ურთიერთობაზე გენერალიზირდება. „მყარად არის დადგენილი, რომ თუ რელაქსაციის მდგომარეობის ყოველ ეტაპზე წარმოსახული სტიმულები არ იწვევენ შფოთვას, მაშინ ეს სტიმულები არც მაშინ გამოიწვევენ შფოთვას, როდესაც რეალურად გამოჩნდებიან“ (Wolpe, 1961. გვ. 191 ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002).



მრავალმა კლინიკურმა და ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სისტემატური დესენსიტიზაცია თერაპიის კარგი საშუალება შეიძლება იყოს. ასეთმა წარმატებულმა შედეგებმა ვოლპესა და სხვა მკვლევრებს უბიძგეს, რომ ექვ კვემ დაეყენებინათ ფსიქოანალიტიკოსების მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სანამ ხელუხლებელი რჩება შფოთვის საფუძვლადმდებარე კონფლიქტი, პაციენტი მიდრეკილი იქნება გამძვინვარებული სიმპტომის ნაცვლად ახალი სიმპტომების ფორმირებისკენ (სიმპტომის ჩანაცვლებისკენ) (Lazarus, 1965, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

ბიჰევიორალური თერაპიის თანახმად, არც ერთ სიმპტომს არ იწვევს არაცნობიერი კონფლიქტები. ეს მხოლოდ დასწავლილი (ათვისებული) არაადაპტური რეაქციაა და როგორც კი ეს რეაქცია თავიდან არის მოშორებული, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მის ადგილას სხვა არაადაპტური რეაქცია გაჩნდეს (Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

## პატარა ჰანსის შემთხვევის ინტერპრეტაცია

ვოლპე და რექმენი (1960, წყაროში Первин Л., Джон О., 2002) შეეცადნენ კრიტიკულად შეეფასებინათ, ბიჰევიორალური თვალსაზრისით გაეაზრებინათ და თავიანთი ინტერპრეტაცია მოეცათ ფროიდის მიერ აღწერილი ცნობილი შემთხვევისთვის, რომელიც პატარა ჰანსის ცხენების ფობიას ეხებოდა.

პატარა ჰანსის შემთხვევა ფსიქოანალიზის კლასიკაა. ამ მაგალითით ფროიდმა გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვური სექსუალობა და ოიდიპოსის კომპლექსი ცხენების მიმართ ფობიის ანუ შიშის განვითარებაში. ვოლპე და რექმენი მკაცრად აკრიტიკებენ მონაცემების მიღებისადმი ფროიდისეულ მიდგომასა და მის დასკვნებს; კერძოდ, მათი ძირითადი შენიშვნები ასე გამოიყურება:

- არსად არ არის მითითებული არც ერთ დამამტკიცებელ საბუთზე, რომ ჰანსს სურდა დედასთან სექსობრივი კავშირის დამყარება;
- ჰანსი არასოდეს გამოხატავდა მამისადმი შიშს ან სიძულვილს;
- ჰანსი მუდმივად უარყოფდა რაიმე კავშირის არსებობას ცხენსა და მამას შორის;
- ბავშვებში ფობიები შეიძლება წარმოიქმნებოდეს, როგორც მარტივი პირობითი რეფლექსი და სულაც არ არის საჭირო მათი ახსნა კონფლიქტების თეორიით ანდა შფოთვის თეორიითა და მასთან დაკავშირებული დაცვის მექანიზმებით. მოსაზრება, რომ ნევროზებს რაღაც მიზანი აქვს, უკიდურესად საეჭვოა;
- არ არსებობს მტკიცებულებები, რომ ჰანსის ფობია გაქრა ოიდიპოსის კომპლექსის გადაჭრის შემდეგ. ანალოგიურად, არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ მოხდა ინსაიტი, ან რომ ჰანსის ინფორმირებას რაიმე თერაპიული ღირებულება ჰქონდა.

ვოლპესა და რექმენს გაუჭირდათ ფობიის საკუთარი ინტერპრეტაციის მოცემა, ვინაიდან მონაცემები ფსიქოანალიტიკური მიდგომის ფორმატით იყო შეგროვილი. თუმცა მათ მაინც სცადეს ამ შემთხვევის ახსნა. ფობია განიხილებოდა, როგორც შფოთვის პირობითი რეაქცია. პატარაობაში ჰანსს ესმოდა და ხედავდა, როგორ აფრთხილებდა მის მეგობარს მამა, რომ არ მიახლოვებოდა თეთრ ცხენს, რათა მას არ ეკბინა. ამ შემთხვევამ მოამზადა ნიადაგი ცხენების შიშისთვის (მოხდა ჰანსის სენსიტიზაცია). გარდა ამისა, იყო შემთხვევა, როდესაც ჰანსი დაშავდა და სისხლი წამოუვიდა სათამაშო ცხენით თამაშისას. ბოლოს, ჰანსი მგრძობიარე ბავშვი იყო და განაწყენდა, როდესაც კარუსელზე დამტვრეული ცხენები ნახა. ამ ფაქტორებმა შექმნეს პირობები შემდგომში ფობიის განვითარებისთვის. თავად ფობია წარმოიქმნა, როგორც შიშის შედეგი, რომელიც ჰანსმა ქუჩაში წაქცეული ცხენის დანახვისას განიცადა. თუ ფროიდი თვლიდა, რომ ეს ინციდენტი მხოლოდ საბაზი იყო იმისათვის, რომ შინაგანი კონფლიქტი ფობიის სახით გამოვლენილიყო, ვოლპესა და რექმენს მიაჩნდათ, რომ სწორედ ეს შემთხვევა იქცა ფობიის ჭეშმარიტ მიზეზად (Первин Л., Джон О., 2002).

ვოლპემ და რექმენმა აქ დაინახეს მსგავსება უოტსონისეულ პატარა ალბერტთან შიშის განპირობებასთან. ჰანსი შეშინდა იმით, რაც დაემართა ცხენს და შემდეგ გადაიტანა (გენერალიზაცია მოახდინა) თავისი შიში ყველა საგანზე, რომელიც ჰგავდა ცხენს ანდა რამენაირაც უკავშირდებოდა მას.

ფობიისგან თავის დაღწევა მოხდა არა ინსაიტის, არამედ – ან ჩაქრობის, ან კონტრგანპირობების შედეგად. ზრდასთან ერთად, ჰანსი ახალი ემოციური რეაქციების გამოცდილებას იძენდა, რომლებიც ამუხრუჭებდნენ შიშის რეაქციას. სხვა ვარიანტის სახით ავტორები გვთავაზობენ ასეთ ახსნას: შესაძლებელია, მამის მხრიდან ცხენის მუდმივი მოხსენიება უსაფრთხო კონტექსტში დაეხმარა ჰანსს შიშის რეაქციის ჩაქრობაში (Первин Л., Джон О., 2002).

## თეორიის შემდგომი განვითარება

ნაშრომთა დიდი ნაწილი კლასიკურ განპირობებაში შედარებით მარტივი რეფლექტორული მექანიზმების კვლევაზე იყო მიმართული, რომლებიც ერთნაირად მოქმედებს ადამიანებსა და ცხოველებში. თუმცა, პავლოვი აღიარებდა მეტყველებისა და აზროვნების უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც მეორად სასიგნალო სისტემას უწოდებდა. მეორადი სასიგნალო სისტემის ცნება სტიმულებისა და რეაქციების უფრო რთული სტრუქტურების გააზრების საშუალებას გვაძლევს. რეზრენისეული (Razran, 1939, წყაროში Первин Л., Джон О., 2002) სემანტიკური განპირობების კვლევა ამ ცნების მნიშვნელოვნების ილუსტრაციას წარმოადგენს.

ამ კვლევაში ცდის პირები ადამიანები იყვნენ. რეზრენი მათ ერთდროულად აწოდებდა დაწერილ (ვიზუალიზირებულ) სიტყვებს *სტილი*, *ურნა*, *ყინვა*, *მოქცევა* და განმამტკიცებელს საკვების სახით, რასაც სიტყვებზე ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსის გამომუშავება სდევდა თან. შემდეგ ამოწმებდა, განზოგადდებოდა თუ არა ეს პირობითი რეფლექსი ერთნაირი ქლერადობის მქონე სიტყვებზე,<sup>24</sup> ანდა იმ სიტყვებზე, რომლებიც განსხვავებულად ჟღერს, მაგრამ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ.<sup>25</sup> რა უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი – გენერალიზაცია ქლერადობაზე თუ სიტყვის მნიშვნელობაზე? რეზრენმა აღმოაჩინა, რომ პირობითი რეფლექსების გენერალიზაცია სიტყვების აზრის შემთხვევაში უფრო გამოკვეთილია, რაც გვაფიქრებინებს, რომ პირობითი რეფლექსების ფორმირებაზე შეიძლება მოქმედებდეს სიტყვის სემანტიკა ანუ მნიშვნელობა. თავად პავლოვი შედარებით ნაკლებად იყო დაკავებული მეორადი სასიგნალო სისტემის შესწავლით, თუმცა ეს მიმართულება დიდხანს იყო რუსული ფსიქოლოგიის პრიორიტეტული საკვლევი მიმართულება, განპირობების პროცესზე მოქმედი ფაქტორების ასაკობრივი ცვლილებების კვლევის ჩათვლით.

პირობითი ემოციური რეაქციებისა და მეორადი სასიგნალო სისტემის ცნებებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს წარმოდგენები ადამიანის ქცევაში რეფლექსის კლასიკური განპირობების როლის შესახებ. მაგალითად, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანები პოზიტიური და ნეგატიური გრძნობების სტიმულებთან (სიმბოლოების ჩათვლით) დაკავშირების გზით დაისწავლიან მიზნებსა და მოტივებს (Pervin, 1983, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

ინტერესი კლასიკური პირობითი რეფლექსისადმი გარკვეული პერიოდით გაქრა პიროვნების ფსიქოლოგიაში, თუმცა ბოლო პერიოდში იმატა კლასიკური განპირობების თეორიასთან დაკავშირებული ცნებებისა და მეთოდოლოგიური პროცედურების პოტენციური ღირებულების გაცნობიერებამ. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კლასიკური განპირობების პროცედურების გამოყენება იმის საჩვენებლად, რომ ადამიანებს შეუძლიათ, არაცნობიერად განავითარონ შიშები და დამოკიდებულებები გარშემომყოფებისადმი (Ohman & Soares, 1993, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). მაგალითად, დადებითი ან უარყოფითი ემოციების გამომწვევი ფოტოს მიწოდება შესაძლებელია ქვეზღურბლოვან დონეზე (ანუ გაცნობიერების ზღურბლს ქვემოთ) სხვა სტიმულთან, მაგალითად, სხვა სრულიად უწყინარ ფოტოსთან, კომბინაციაში. შედეგად ადამიანს აღარ მოეწონება ეს მეორე ფოტო, თუ ის

<sup>24</sup> Style (სტილი) – stile (ტურნიკეტი), urn (ურნა) – earn (გამომუშავება), freeze (ყინვა) – frieze (ბორდიური), surf (მოქცევა) – serf (მონა).

<sup>25</sup> სტილი – მოდა (fashion), ურნა – ლარნაკი (vase), ყინვა – სიცივე (chill), მოქცევა – ტალღა (wave).

არაცნობიერად ასოცირდება ნეგატიურ ემოციებთან და, პირიქით, მოეწონება, თუ ის არაცნობიერად პოზიტიურ ემოციებს დაუკავშირდება.

საინტერესოა, რომ თუ პირობითი რეფლექსების გენერალიზირება იოლად ხდება სხვა კონტექსტებზეც, მათი ჩაქრობა ძალზე მყარად არის მიბმული კონტექსტზე. ასე მაგალითად, შეიძლება დავისწავლთ შიში და ზიზღი ერთ კონტექსტში და ეს გრძნობები მარტივად გავრცელდეს სხვა უამრავ სიტუაციაზე, მაგრამ ზოგიერთი რეაქციის ჩაქრობა ერთ კონტექსტში არ ნიშნავს, რომ ეს ისეთივე წარმატებით ჩაქრება სხვა სიტუაციებშიც. ადამიანმა, რომელმაც ერთ კონტექსტში დაისწავლა ძალაუფლების მქონე ფიგურების შიში, შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ეს შიში სხვა კონტექსტებზეც გავრცელდა. თუმცა, თუ ის ამ შიშისგან თავს დააღწევს ერთ კონტექსტში, მან შეიძლება გაოცებულმა აღმოაჩინოს, რომ შიში შენარჩუნდა სხვა კონტექსტებში. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ფართოდ გენერალიზირებული პირობითი არაადაპტური რეაქციების ჩაქრობა (რაც ფსიქოთერაპიის მიზანს წარმოადგენს) შეიძლება ერთობ რთულ საქმედ იქცეს (Первин Л., Джон О., 2002).

თანამედროვე კვლევებში კლასიკური განპირობების გამოყენების კიდევ ერთ მცდელობას იმ პირობითი რეფლექსების შესწავლა წარმოადგენს, რომლებიც ჯანმრთელობას უკავშირდება (მაგალითისთვის იხ. Ader & Cohen, 1993). მაგალითად, კიბოთი დაავადებულ ადამიანებს, რომლებსაც არაერთხელ უწევთ ქიმიოთერაპიის გავლა, ხშირად იმუშავენ გულისრევის შეგრძნებისა და გულისრევის კლასიკურ პირობით რეაქციას. გულისრევის შეგრძნება და გულისრევა თავდაპირველად ჩნდება, როგორც ქიმიოთერაპიის შედეგი, ხოლო შემდგომში პირობით რეაქციად იქცევა იმ სტიმულებზე, რომლებიც ქიმიოთერაპიასთან ასოცირდება. აქ შეინიშნება წინმსწრები გულისრევის შეგრძნება და გულისრევა, ზუსტად ისევე, როგორც პავლოვის ძაღლის შემთხვევაში.<sup>26</sup>

ამ სფეროდან კიდევ ერთი მაგალითია იმუნური სისტემის კლასიკური განპირობების კვლევა. აქ დგება საკითხი: შესაძლებელია თუ არა ორგანიზმის უპირობო დაცვითი რეაქციები ავადმყოფობის წინააღმდეგ რაიმე სხვა სტიმულებით იქნას განპირობებული. არსებობს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს შესაძლებელია; რაც, თავის მხრივ, ზრდის ორგანიზმის იმუნური სისტემის მოქმედების გაუმჯობესების მიზნით კლასიკური უპირობო რეფლექსის პრაქტიკული გამოყენების პოტენციალს. ამრიგად, კლასიკური განპირობების პროცედურები გამოიყენება სოციალური ქცევისა და ორგანიზმის ჯანმრთელი ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ასპექტების საკვლევად (Первин Л., Джон О., 2002).

## შეჯამება

ბიჰევიორიზმი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დიდი მიმართულებაა, რომელიც თვლის, რომ დაკვირვებად ქცევას გარემო აყალიბებს და დაასწავლის ადამიანს. პიროვნებისადმი სოციალური დასწავლის მიდგომა ორ ძირითად პოსტულატს ეყრდნობა: თითქმის ყველა ქცევის ათვისება დასწავლის შედეგად ხდება და წარმატების გადამწყვეტი პირობაა ობიექტურობა და მეცნიერული სიმკაცრე მკაფიოდ ფორმულირებული ჰიპოთეზების შემოწმებისას. აქედან გამომდინარე, ბიჰევიორისტული კვლევა ემპირიული ხასიათისაა და მკაცრად გაკონტროლებულ ექსპერიმენტულ პირობებში, უპირატესად, ცხოველებზე მიმდინარეობს.

ბიჰევიორიზმის ფუძემდებელია ჯონ უოსტონი, რომელიც თვლიდა, რომ აბსოლუტურად ყველა ქცევა და, მეტიც, ემოციური რეაქციების სრულად ექვემდებარება დასწავლას, ვინაიდან ადამიანი იზადება, როგორც „სუფთა დაფა“ და ის, თუ რა დაიწერება ამ დაფაზე მთლიანად გარემოს ფუნქციას. ამასთან, ფსიქოლოგიის შესწავლის ერთადერთი საგანი, უოტსონის აზრით, დაკვირვებადი ქცევა უნდა ყოფილიყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სხვა რამის შესწავლის მეთოდოლოგიური აპარატი უბრალოდ არ არსებობდა იმ დროისათვის. თუმცა, მეცნიერულ სარბიელზე მის გამოჩენამდე ბიჰევიორიზმის ფორმალურად ჩამოყალიბების საფუძველი შეამზადეს პავლოვმა თავისი კლასიკური განპირობების

<sup>26</sup> გავიხსენოთ, რომ ძაღლი საკვებით სტიმულაციამდე გაგონილი ზარის ხმაზე გამოყოფდა ნერწყვს.

თეორიით, თორნდაიკმა თავის კონექციონიზმით და ცდისა და შეცდომის დასწავლის ფენომენის კვლევისას პრობლემური ყუთით წარმოებულმა ექპერიმენტებმა. თორნდაიკსვე ეკუთვნის დასწავლის კანონების ფორმულირება. ასევე, დასწავლის ერთ-ერთი დამუშავებული თეორია კლარკ ჰალს ეკუთვნის, რომელიც, სხვა ბიჰევიორისტების მსგავსად, დაჯილდოვებისა და სტიმულ-რეაქციის კავშირების ცნებებს ეყრდნობა. იყვნენ თეორეტიკოსები, რომლებიც თვლიდნენ, რომ სტიმულსა და რეაქციას შორის კავშირის დასამყარებლად სხვა არაფერია საჭირო, თუ არა ამ ორის დროსა და სივრცეში თანხვედრა და არ არის აუცილებელი განმამტკიცებლის მიწოდება, როგორც ამას სხვა ბიჰევიორისტები თვლიდნენ.

თუ უოტსონმა ფსიქოლოგია ინტროსპექციიდან დაკვირვებადი სტიმულ-რეაქციის ურთიერთმიმართებების გაზომვისკენ მოატრიალა, ტოლმენი ამ ტრადიციის უკან დაბრუნებით იყო დაინტერესებული, შესაბამისა, ბიჰევიორიზმის წიაღშივე ჩაისახა მისეული ადრეული კოგნიტური მიდგომა, ე. წ. ახალი ბიჰევიორიზმი, რომელსაც არ აინტერესებდა სინაფსული კავშირები და ნერვული იმპულსები და რომელმაც სტიმულსა და რეაქციას შორის ორგანიზმული ცვლადი შეიტანა ქცევის აღმოცენების პროცესში. ტოლმენი ოპერირებდა ისეთი ცნებებით, როგორიცაა მიზნები, მოლოდინები და კოგნიტური რუკები.

პავლოვისეული კლასიკური განპირობების პრინციპებს თერაპიულ საქმიანობაში მოეძებნა პრაქტიკული გამოყენება, კერძოდ, ფობიებზე მუშაობისას. ასევე, ვოლკემ შექმნა სისტემატური დესენსიტიზაციის პროცედურა, რომლის საშუალებითაც პაციენტი სწავლობს თავდაპირველად შიშის ან შფოთვის გამომწვევ სტიმულებზე რელაქსაციის ახალი პირობითი რეფლექსით რეაგირებას.

Draft

## თავი 4

### ფ. ბ. სკინერი და რადიკალური ბიჰევიორიზმი

*აშშ-ის პედაგოგების გამოკითხვის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სკინერი დასახელდა თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველაზე გამოჩენილ ფიგურად (New-york Times Magazine, 1984, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001)*

*მეცნიერი, ყველა სხვა ორგანიზმის მსგავსად, უნიკალური ისტორიის პროდუქტია. არჩეული სამოქმედო არეალი, რომელიც მისთვის ყველაზე პრიორიტეტულია, ნაწილობრივ, მის პირად ბიოგრაფიაზე იქნება დამოკიდებული (Skinner, 1959, გვ. 379, ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002)*

*„მე რადიკალური ბიჰევიორისტი ვარ იმ თვალსაზრისით, რომ მეცნიერული ანალიზის სისტემაში ვერ ვხედავ მენტალურის ადგილს“ (Skinner, 1964, გვ. 106)*

მრავალი წლის მანძილზე ფ. ბ. სკინერი (1904-1990) აშშ-ში ყველაზე ცნობილი ფსიქოლოგი იყო, თუმცა მისი შრომების გავლენა გაცილებით დიდია, ვიდრე პროფესიული ფსიქოლოგიის ფარგლები. არასასიამოვნო მიუღებლობამ და უნდობლობამ, რომელსაც სკინერი განიცდიდა ყველაფრისადმი, რაც მენტალური და სუბიექტური იყო, აიძულა ის, რომ მთელი თავისი ყურადღება ქცევის გარეგან ფორმებზე გადაეტანა და ჩამოეყალიბებინა ადამიანებისა და ცხოველების ქცევაზე დაკვირვების, გაზომვის, წინასწარმეტყველებისა და გაგების მეთოდები (Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეცნიერებს შორის ფროიდის შემდეგ არავინ გაუკრიტიკებიათ და არავინ უღიარებიათ ისე, როგორც სკინერი. არავისი ნაშრომების ციტირება არ მოუხდენიათ და არავისი აზრი არ დაუმახინჯებიათ ისე ხშირად, როგორც სკინერის. ამასთან, სკინერს მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებდა ოპონენტებთან დებატები. მისი უკიდევანო პიროვნული მომხიბვლელობა და ნებისმიერი საკუთარი მოსაზრების (რომელიც საკუთარი დასკვნების ფუნდამენტურობაში აბსოლუტური, ურყევი რწმენით იყო განმტკიცებული) გარჩევსადმი მზაობამ ხელი შეუწყო იმას, რომ სკინერი თანამედროვე ფსიქოლოგიის ცენტრალურ ფიგურად იქცა.

ფროიდი საკუთარი კრიტიკოსების შესახებ წერდა, რომ თავდასხმების ემოციურობით მათ ფსიქონალიტური თეორიის ძირითადი პოსტულატების ჭეშმარიტება დაამტკიცეს, რომელსაც ასე ალტკინებით აკრიტიკებდნენ. ზუსტად ასევე, სკინერისთვის მისი მოწინააღმდეგეების მოქმედება მხოლოდ იმ აზროვნების არამეცნიერულობისა და მცდარობის დადასტურება იყო, რომლის გამოსწორებასაც იგი ცდილობდა. ორივე მეცნიერი, მიუხედავად მათი თეორიების მკაცრი კრიტიკისა, აღიარებულია პიროვნებად, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ადამიანის ბუნების შესახებ ალტერნატიული მოსაზრებების განვითარებასა და დაცვაში (Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

### ბიოგრაფიული ცნობები

ბერეს ფრედერიკ სკინერი (B. F. Skinner) დაიბადა 1904 წლის 20 მარტს პენსილვანიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პატარა ქალაქ სუსქეჰანაში ადვოკატის ოჯახში. ის თვლიდა, რომ მამამისი იყო ადამიანი, რომელსაც ძალიან სჭირდებოდა შექება და აღიარება, დედა კი მკაცრი მორალური სტანდარტების მქონე ქალი იყო, რომელმაც ყოველთვის იცოდა, რა იყო „სწორი“. სკინერის ბავშვობამ, როგორც თავად აღწერდა, მშვიდ, თბილ და სტაბილურ ოჯახურ გარემოში გაიარა. ბავშვობიდანვე



სკინერი

ასწავლიდნენ მორჩილებას, თავშეკავებულობას, მოწესრიგებულობასა და „სწორად“ მოქცევას. სახლს, სადაც ბავშვობის წლები გაატარა, სკინერი იხსენებს, როგორც თბილ და სანდო ადგილს. მას ბავშვობიდან იტაცებდა მექანიკა და კონსტრუირება, რამაც დიდი როლი შეასრულა შემდგომში დაკვირვებადი ქცევის მოდელირებისადმი ინტერესის ფორმირებასა და ექსპერიმენტირებისას. ლაბორატორიული მოწყობილობებისადმი ასეთი ინტერესი პრაქტიკულად არ ახასიათებთ კლინიკურ ფსიქოლოგებს (Nye, R. D., 2000; Первин Л., Джон О., 2002).

ჩემი მოგონილი ზოგიერთი მოწყობილობა პირდაპირ უკავშირდებოდა ადამიანის ქცევას. არ მაძლევდნენ მოწვევის უფლებას, ამიტომ პულვერიზატორის ფლაკონიდან გავაკეთე მოწყობილობა, რომლითაც ჯანმრთელობისთვის ყოველგვარი ზიანის გარეშე ვახერხებდი „მოწვევას“ და რგოლების გამოშვებას. ერთხელ დედაჩემმა წამოიწყო „კამპანია“, რომელიც მიმართული იყო იმაზე, რომ ჩემთვის საღამურის თავის ადგილზე ჩამოვიდებოდა ესწავლებინა. ყოველ დილით, საუზმის დროს ის ადიოდა ჩემ ოთახში, ნახულობდა დაუდევრად მიგდებულ საღამურს და მეძახდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირა. როდესაც ეს ვითარება აუტანელი გახდა, მოვიფიქრე მექანიკური მოწყობილობა, რომელმაც გადაჭრა ჩემი პრობლემა. კარადაში გავაკეთე სპეციალური კაუჭი; ის თოვით იყო მიერთებული კარის თავზე დაკიდებულ პატარა დაფასთან. როდესაც საღამური კაუჭზე ეკიდა, დაფა ზემოთ იყო აწეული და არ ფარავდა შესასვლელს. თუ საღამური არ ეკიდა კაუჭზე, მაშინ დაფა პირდაპირ კარის ჭრილზე ეშვებოდა და მეუბნებოდა: „ჩამოვიდე საღამური!“ (1967a, გვ. 396, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

იმ დროისათვის, როცა სკინერი კოლეჯში წავიდა სასწავლებლად, მისი უმცროსი ძმა გარდაიცვალა. ის აღნიშნავდა, რომ ამან დიდად არ იმოქმედა მასზე და დანაშაულის განცდა აწუხებდა ამის გამო. სკინერი შევიდა ჰამილტონის კოლეჯში (ნიუ იორკის შტატი), სადაც მისი სპეციალიზაცია ინგლისური ლიტერატურა იყო. ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ დაბრუნდა სახლში და სცადა, მწერალი გამხდარიყო.

მანსარდაში პატარა კაბინეტი მოვაწყვე და სამუშაოდ დავჯექი. შედეგები საცოდავი იყო. უმიზნოდ ვვლანგავდი დროს. უმიზნოდ ვკითხულობდი, ვაწყობდი გემების მოდელებს, ვუკრავდი პიანინოზე, ახლადგამოგონილ რადიოს ვუსმენდი, რაღაცებს ვეჭდავდი ადგილობრივი გაზეთის იუმორისტულ სვეტში, მაგრამ პრაქტიკულად აღარაფერს ვწერდი და სერიოზულად ვფიქრობდი, ფსიქიატრთან ჩავეწერილიყავი მიღებაზე (1967a, p. 394, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

საბოლოოდ, სკინერმა შეწყვიტა ეს ექსპერიმენტი და ნიუ იორკში წავიდა, სადაც ექვსი თვე გრინ ვილიჯში<sup>1</sup> ცხოვრობდა. სწორედ ამ პერიოდში წაიკითხა პავლოვის ნაშრომი „პირობითი რეფლექსები“ და ბერტრან რასელის სტატიების სერია უოტსონის ბიჰევიორიზმის შესახებ. რასელი თვლიდა, რომ მან სრულიად გაანადგურა უოტსონი, თუმცა სინამდვილეში სწორედ ამან გაუღვიძა სკინერს ბიჰევიორიზმისადმი ინტერესი.

მიუხედავად იმისა, რომ მანამდე არაფერი უსწავლია ფსიქოლოგიაში, სკინერი ჰარვარდის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიიღეს. ის თავად ასე ხსნის ინტერესის ცვლას: „მწერალს შეუძლია ადამიანის ქცევის აღწერა, მაგრამ სწორედ ამიტომ არ შეუძლია მისი ახსნა. ადამიანისადმი ინტერესი ისევ მქონდა, მაგრამ ლიტერატურული მიდგომა არ გამომივიდა. ამიტომ ვარჩიე, მეცნიერულისთვის მიმემართა“ (Skinner, 1967, გვ. 395, ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ფსიქოლოგია შესატყვისი მეცნიერება აღმოჩნდა. გარდა ამისა, სკინერს ბავშვობიდან აინტერესებდა ცხოველების ქცევა. მეტიც, გაუჩნდა შესაძლებლობა, მექანიკური მოწყობილობების კონსტრუირებისადმი სიყვარული პრაქტიკაში გამოეყენებინა (Первин Л., Джон О., 2002).


<sup>1</sup> Green Village – რაიონი ნიუ იორკის ცენტრში, სადაც ცხოვრობს ბოჰემა და შემოქმედებითი ელიტა. ამასთან, სკინერის დროს ეს უბანი შედარებით იაფი იყო საცხოვრებლად, სადაც სტუდენტები სახლდებოდნენ ხოლმე.

თავის ბიოგრაფიაში დოქტორანტურაში სწავლის წლებს შემდეგნაირად აღწერს:

დილით 6 საათზე ვიღვიძებდი, საუზმემდე ვმეცადინებოდი, მივდიოდი ლექციებზე, დროს ვატარებდი ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკებში, დღისით მხოლოდ 15 წუთი მქონდა თავისუფალი დრო, შემდეგ ისევ ვმეცადინებოდი საღამოს 9 საათამდე და ვიძინებდი. არ ვუყურებდი ფილმებს, სპექტაკლებს, იშვიათად დავდიოდი კონცერტებზე, თითქმის არ დავდიოდი წვეულებებზე და არაფერს ვკითხულობდი ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიაში შექმნილი შრომების გარდა (1967a, გვ. 397-398, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ჰარვარდში სწავლის პერიოდში სკინერმა გაიღრმავა ინტერესი ცხოველების ქცევისადმი და ნერვული სისტემის მოქმედების ჩართვის გარეშე ამ ქცევის ახსნისადმი. პავლოვის ნაშრომების შესწავლის შემდეგ ის არ დაეთანხმა მტკიცებას, რომ ქცევის ასახსნელად უნდა გავიაროთ ჯაჭვი „ნერწყვის გამოყოფის რეფლექსიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში ორგანიზმის მნიშვნელოვან ქმედებებამდე“; თუმცა, სკინერი თვლიდა, რომ პავლოვმა ქცევის გასაგებად საჭირო გასაღები მისცა. „გაკონტროლეთ გარემო პირობები და

დაინახავთ წესრიგს!“ (Skinner, 1959, ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002).



სკინერი ლაბორატორიაში, 1936 წელი.

სწავლისა და შემდგომ წლებში სკინერმა ჩამოაყალიბა თავისი სამეცნიერო მეთოდოლოგიის რამდენიმე პრინციპი (Первин Л., Джон О., 2002): (1) როდესაც რაიმე საინტერესოს ხვდებით, დაანებეთ თავი სხვა ყველაფერს და მხოლოდ ამ საინტერესოთი დაკავდით; (2) კვლევის ერთი მეთოდი უფრო მარტივია, ვიდრე მეორე. მექანიკური მოწყობილობები ხშირად აიოლებენ კვლევას; (3) მოწყობილობის რაღაც დეტალი ფუჭდება.

ეს ქმნის პრობლემებს, მაგრამ ამან შეიძლება მიგვიყვანოს (4) ინსაიტამდე – იპოვოთ ერთი, როცა ეძებთ მეორეს.

სკინერის სადოქტორო ნაშრომი რეფლექსის ცნების ისტორიას შეეხებოდა და ცხოველებში დასწავლის საკუთარ ექსპერიმენტებს მოიცავდა (Blackman, D. E., 2005). დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ მან 5 წელი იმუშავა ჰარვარდის სამედიცინო სკოლაში, სადაც ცხოველების ნერვული სისტემის შესწავლით იყო დაკავებული. 1936 წელს სკინერმა დაიკავა პედაგოგის ადგილი მინესოტის უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციებს ფსიქოლოგიის შესავალსა და ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში. ის სიამაყით აღნიშნავდა, რომ მისმა მაშინდელმა ზოგიერთმა სტუდენტმა დოქტორანტურაში ჩააბარა და თავიანთი მრწამსით ბიჰევიორისტებად ჩამოყალიბდნენ (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ამ პერიოდში სკინერი ცხოველების დახვეწილ გამწვრთნელად იქცა. მას შეეძლო ცხოველები აეძულებინა, გარკვეულ დროს გარკვეული მოქმედებები შეესრულებინათ. ვირთხებიდან სკინერი მტრედებთან მუშაობაზე გადაერთო. მან აღმოაჩინა, რომ ცალკეული კონკრეტული ცხოველის ქცევა აუცილებლობით არ ასახავს დასწავლის საშუალო სურათს, რომელიც დიდი რაოდენობით ცხოველების შერჩევაზე დაყრდნობით არის მიღებული. ამიტომ დაინტერესდა ცხოველის ინდივიდუალური ქცევის მართვითა და კონტროლით. როგორც თავად აღნიშნავდა, მისი საკუთარი ქცევა დადებითი შედეგებით წარიმართა, რომლებსაც იგი „მისი კონტროლის ქვეშ მყოფი“ (სურ. N1) ცხოველებისგან იღებდა (Первин Л., Джон О., 2002).

1938 წელს სკინერმა გამოაქვეყნა წიგნი „ორგანიზმების ქცევა“, რომელშიც აღწერილი იყო მისი საკუთარი ცდები ლაბორატორიულ პირობებში ცხოველების ქცევის შეცვლის შესახებ. ამ წიგნმა მას ბრწყინვალე თეორეტიკოსის სტატუსი მოაპოვებინა და შემდგომი სამეცნიერო შრომების საფუძვლად იქცა. პრაქტიკულად, 1930 წლის შემდეგ გამოსული ყველა მისი შრომა შეიძლება იმ იდეების განვითარებად, გადამუშავებად და კრისტალიზირებად განვიხილოთ, რომლებიც ამ პირველ წიგნში მოხაზა.

**სურ. N 1.** „იცით, იმ კაცს პირობითი რეფლექსი გამოვუმუშავე! ყოველ ჯერზე.“




სკინერი ჰარვარდში 1936 წლამდე მუშაობდა. შემდეგ ცხრა წელიწადი მინესოტას უნივერსიტეტში გაატარა სხვადასხვა პოზიციაზე და სამი წელიწადი ინდიანას უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე დაჰყო (Blackman, D. E., 2005). 1948 წელს ჰარვარდში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ მუშაობდა.

პედაგოგიური მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ სკინერი აგრძელებდა წერას. მის გვიანდელ პუბლიკაციათა რიცხვში შედის სამტონიანი ავტობიოგრაფია (Skinner, 1976b, 1979a, 1984a); პოპულარული წიგნი, რომელიც ხანშიშესულთა პრობლემებს ეხება (Skinner & Vaughan, 1985), სტატიები ფსიქოლოგიაში და რამდენიმე ესე, რომლებშიც გაკრიტიკებულია ტრადიციული ფსიქოლოგია, რომელიც, სკინერის აზრით, აცდა სწორ გზას (Skinner, 1987a, 1989,

1990a, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

აგრძელებდა რა ცხოველების ქცევის კვლევას, სკინერი პოულობდა დროსა და ენერგიას, რომ თავისი გამომგონებლური ნიჭი სხვა სფეროებშიც გამოეყენებინა. 1945 წელს მან ააგო საბავშვო ვენტლირებადი საწოლი (სურ. N2) – მოწყობილობა, რომელმაც ის მთელ ქვეყანაში ცნობილი გახადა. ეს იყო შემინული საწოლი, რომელშიც რეგულირდებოდა ჰაერის ტემპერატურა. შიგნით ბავშვს თავისუფლად შეეძლო გადაადგილება ყოველგვარი საფენებისა და ზედმეტი ტანსაცმლის გარეშე. წყლის შთანმთქავი ფსკერი იოლად იცვლებოდა დაბინძურების შემდეგ. ასეთი საწოლის პირველმა გამოჩენამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბავშვი მინის კედლის მიღმა უნდა ყოფილიყო და არა – ჩვეულებრივი საწოლივით უბრალოდ მოაჯირის მიღმა, ძალზე ეწინააღმდეგებოდა არსებულ სტერეოტიპებს.

**სურ. N 2.** სკინერის საბავშვო საწოლი.



მიუხედავად იმისა, რომ სკინერმა წარმატებით გამოიყენა ასეთი საწოლი ერთ-ერთი საკუთარი შვილისთვის, ის მაინც ვერ გახდა პოპულარული.<sup>2</sup>

იმ მიზეზებზე მსჯელობისას, რომელმაც ასეთი საწოლის გამოგონებამდე მიიყვანა, სკინერი წერდა:

უნდა ვაღიარო, რომ გარკვეული ინტერესი მამომრავებდა. თუ, როგორც მრავალი ადამიანი ამტკიცებს, ბავშვის ცხოვრების პირველი წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაშინ ძალიან გულდასმით უნდა ვაკონტროლოთ ბავშვის ქცევა ამ პერიოდში, რითიც

გამოვავლენთ ძირითად ცვლადებს (1979, გვ. 290, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

სკინერის შემდეგი გამოგონება საკუთარი შვილისთვის იყო მუსიკალური დამის ქოთანის, რომელიც ვერ რეალიზირდა პრაქტიკაში (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). მასვე ეკუთვნის ისეთი გამოგონებები,

<sup>2</sup> „ამერიკელ მწარმოებლებთან ურთიერთობის გამოცდილება საკმაოდ უსიამოვნოა. მათგან ვერც ერთმა მაინც ვერ გაიგო ჩემს მიერ გამოგონილი საწოლის უპირატესობა“ (Skinner in Goodell, 1977, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).



როგორცაა მანქანა-მასწავლებლები, რომლებიც ჯილდოს იყენებდნენ ბავშვებისთვის სკოლის საგნების სწავლებაში; ასევე, შეიმუშავა პროცედურა, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა საომარი მოქმედებებისას იმისათვის, რომ მტრედებისთვის ესწავლებინათ საბრძოლო რაკეტების მიზანში ამოღება (Первин Л., Джон О., 2002).

1948 წელს გამოვიდა მისი წიგნი *Walden Two* („მეორე ვალდენი“). ეს არის რომანი, რომელიც რამდენიმე წლით ადრე შექმნა და აღწერს უტოპიას, რომელიც ბიჰევიორიზმის ძირითად პრინციპებზეა აგებული: ეს იყო სკინერისეული ლაბორატორიული აღმოჩენების ადამიანთა საზოგადოებაზე გადატანის პირველი მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი გამოჩენისთანავე დიდი მოთხოვნით არ სარგებლობდა, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა, მგზნებარე დისკუსიებს იწვევდა და დღეისათვის 3 მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული. თავად სკინერისთვის რომანის შექმნა მნიშვნელოვანი გამოცდილება იყო. „ჩემი უტოპია შვიდ კვირაში დაწერე. დილით თავის მოკლე მონახაზს ვაკეთებდი, მაშინვე ვკრეფდი საბეჭდ მანქანაზე და უმნიშვნელოდ ვარედაქტირებდი... ზოგიერთი ნაწილები ისეთ ემოციურ ფონზეა დაწერილი, როგორც მანამდე არანაირ სიტუაციაში არასოდეს განმიცდია... ეს, უეჭველად, რისკიანი წამოწყება იყო – თვითნაალიზი, რომლის დროსაც საკუთარი ქცევის ორი მხარის ჰარმონიაში მოყვანას ვცდილობდი, წარმოვადგენდი რა მათ ორი მთავარი გმირის სახით“ (1979a, გვ. 197-198; 403, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). „მეორე ვალდენის“ შექმნა არსებითად განსხვავდებოდა სკინერის მუშაობის ჩვეული სტილისგან: „საერთოდ, ძალიან ნელა ვწერ. თითოეული სიტყვისთვის ორი წუთი მაინც მჭირდება და ეს დღემდე ასეა. 3-4 საათის ყოველდღიური მუშაობის შემდეგ, საბოლოო ჯამში, მხოლოდ რამდენიმე ასეული გამოსადეგი სიტყვა თუ მიგროვდება“ (1967a, გვ. 403, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

იმის მიხედვით, თუ რა თანმიმდევრობით გამოდიოდა სკინერის წიგნები, იოლად შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როგორ იცვლებოდა მისი იდეოლოგიური პრინციპები კვლევების მიმდინარეობის პარალელურად. აღსანიშნავია ისეთი ნაშრომები, როგორცაა „მეცნიერება და ადამიანის ქცევა“ (1953), „სწავლების ტექნოლოგია“ (1968), „დაკვირვებების შეჯამება“ (1959, 1961), „თავისუფლებისა და ღირსების მიღმა“ (1971), „ბიჰევიორიზმის შესახებ“ (1974), „ფიქრები ბიჰევიორისტულ საზოგადოებაზე“ (1978a). მის ყველაზე ავტობიოგრაფიულ წიგნებს შორის შეიძლება დავასახელოთ „ჩემი ცხოვრების დეტალები“ (1976b), „ბიჰევიორისტის ფორმირება“ (1979a), „უბის წიგნაკები“ (1980).

სკინერი ყოველთვის ღია იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობისთვის, რამაც მის იდეებს დიდი პოპულარობა მოუტანა. ის მთელი ცხოვრება წერდა, ბოლო სტატიის რედაქტირება 86 წლის ასაკში სიკვდილამდე ერთი დღით ადრე დაასრულა. სკინერი 1990 წელს, კემბრიჯში (მასაჩუსეტსი, აშშ) მწვავე ლეიკემიით გარდაიცვალა (Nye, R. D., 2000).

## იდეური წანამძღვრები

სკინერი აღიარებდა, რომ გზის დასაწყისში მასზე ძლიერი გავლენა მოახდინა ინგლისელი მეცნიერისა და ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის (1561-1626) იდეებმა, რომლის ნაშრომებსაც ახალგაზრდობაში გაეცნო. იგი წერდა, რომ მის პროფესიულ ცხოვრებას ბეკონის სამი პრინციპი განაპირობებდა. მან ამ პრინციპებს ასეთი ფორმა მისცა: (1) შევისწავლიდი ბუნებას და არა – წიგნებს; (2) იმისათვის, რომ მართო ბუნება, უნდა დაემორჩილო მას; (3) საუკეთესო სამყარო შესაძლებელია, მაგრამ ის არ ჩნდება უცაბედად და შემთხვევით. ის გულდასმით უნდა დაიგეგმოს და შეიქმნას ამ გეგმის შესაბამისად, ძირითადად, მეცნიერების დახმარებით (1984a, გვ. 406-412, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

სკინერი საკუთარი თავის შესახებ ამბობდა: „თავად ორგანიზმს უფრო მეტ კითხვებს ვუსვამდი, ვიდრე

**სურ N 3.** „ბიჰევიორიზმი საშუალებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის ადამიანის ქცევის შესწავლისთვის ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებას... ბიჰევიორიზმის თეორიის ბევრი ასპექტი, ალბათ, შემდგომ კვლევას საჭიროებს, მაგრამ არ ღირს ამ თეორიის სისწორეში ეჭვის შეტანა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოო ჯამში, ის თავის ადგილს იპოვის“ (1984a, გვ. 412, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).



იმას, ვინც შეისწავლიდა ამ ორგანიზმს“ (1967a, გვ. 409, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). ასეთი მიდგომის შედეგად სკინერი აქცენტს აკეთებდა დეტალურად გაწერილ ლაბორატორიულ ექსპერიმენტებსა და ქცევის შესახებ გაზომვადი მონაცემების შეგროვებაზე (სურ. N3). თუ მხედველობაში მივიღებთ ადამიანის პიროვნების მთელ მრავალფეროვნებას, მაშინ ასეთი მიდგომა ძალზე შეზღუდულად გამოიყურება, თუმცა მაინც ის საფუძველია, რომელზეც მყარად დგას სკინერის ყველა თეორია.

## დარვინიზმი და ეკონომიურობის კრიტერიუმი

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცხოველების შესწავლით შესაძლებელია ადამიანის ქცევის შესწავლის გაიოლება, დარვინის კვლევებისა და ევოლუციური თეორიის შემდგომი განვითარების არაპირდაპირი შედეგია. მრავალი ფსიქოლოგი, სკინერის ჩათვლით, თვლიდა, რომ ადამიანები თავისი არსით არ განსხვავდებიან ცხოველებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოსაზრება უკიდურეს პოზიციად არის მიჩნეული და მეცნიერთა შორის არც ისე დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, სწორედ ის აიღო სკინერმა თავისი კვლევების საფუძველად.

ცხოველების ქცევის შესწავლის პირველი მცდელობები მათი სააზროვნო შესაძლებლობების

გამოვლენაზე იყო მიმართული. ფაქტობრივად, ეს იყო მცდელობა, აეყვანათ ცხოველები მოაზროვნე არსებების სიმაღლეზე.

ბიჰევიორისტები ამტკიცებენ, რომ ჩვენ იმაზე მეტად ვგავართ ცხოველებს, ვიდრე გვინდა და ვაღიარებთ. თუმცა, ორი ცნობილი ფსიქოლოგის – ლოიდ მორგანისა და ედვარდ თორნდაიკის – მიერ წარმოებულმა კვლევებმა არ დაადასტურა ცხოველებში უმაღლესი სააზროვნო პროცესების არსებობა. მორგანმა შემოგვთავაზა ეკონომიურობის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, არსებული ორი შესაძლო ახსნიდან მეცნიერმა ყოველთვის უფრო მარტივი უნდა აირჩიოს. თორნდაიკის კვლევებმა აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ცხოველებს აქვთ აზროვნება, მაინც შესაძლებელია მათი ქცევის, როგორც უბრალოდ შემეცნებითი პროცესების შედეგის, ახსნა (Skinner, 1964, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). შესაბამისად, იცვლება აქცენტები. გარდა ამისა, მკვლევრებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ შესაძლებელია ისეთი აუხსნელი მოვლენის, როგორცაა ცნობიერება, იგნორირების გზით, ადამიანის ქცევის ინტერპრეტირება ეკონომიურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით.

## უოტსონი

უოტსონი თვლიდა, რომ ფსიქოლოგია უნდა იყოს მეცნიერება ქცევის და არა — გონების შესახებ (Hillix, W. A., & Marx, M. H., 1974). მისთვის სრულიად მიუღებელი იყო ინტროსპექციის ტექნიკები, რომლებსაც ფსიქოლოგები ცნობიერების მდგომარეობების საკვლევად იყენებდნენ. ის, ასევე, აკრიტიკებდა ადამიანის ქცევის ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციის სირთულესა და ბუნდოვანებას. მიაჩნდა, რომ ადამიანების შესწავლის მიზნით ფსიქოლოგები დაკვირვებად მდგომარეობებზე უნდა ფოკუსირდებოდნენ და არ უნდა იკარგებოდნენ გონების შინაგანი, დაუკვირვებელი მდგომარეობების შესახებ სპეკულაციებში. ფსიქოლოგია ობიექტური უნდა იყოს და უნდა ერიდებოდეს სუბიექტურ მიდგომებს (Nye, R. D., 2000).

უოტსონი ამტკიცებდა, რომ ისეთი ცნება, როგორცაა ცნობიერება, საერთოდ არ არსებობს, მთელი ცოდნა გარეგან პირობებზეა დამოკიდებული, ხოლო ადამიანთა მთელი ქმედება ამ პირობებით არის განპირობებული და განსაზღვრული და სრულიად არ არის დამოკიდებული გენეტიკურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებზე. თავის დროზე უოტსონი ძალზე პოპულარული იყო და მის მოსაზრებებსაც დიდი წონა ჰქონდა. სკინერზე დიდი გავლენა მოახდინა უოტსონის ნაშრომების ფილოსოფიური ბაზის დასაბუთებულობამ, თუმცა არ ეთანხმებოდა მის ყველაზე რადიკალურ მოსაზრებებს. მაგალითად, უოტსონის ერთ-ერთ პოპულარულ წიგნში, რომელიც ბავშვების აღზრდას ეხებოდა, მოცემულია ასეთი რჩევა: „არასოდეს ჩაეხუტოთ და აკოცოთ ბავშვს, არ ჩაისვით კალთაში. თუ საჭიროა, შეგიძლიათ დღეში ერთხელ აკოცოთ, როდესაც დასაძინებლად აწვეთ. დილაობით ხელი ჩამოართვით ხოლმე“ (1928b, გვ. 81-82, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

სკინერი აკრიტიკებდა უოტსონს იმის გამო, რომ ის არ აღიარებდა გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობას და არასაკმარისი ექსპერიმენტული მონაცემების პირობებში ფართო განზოგადებებისკენ ისწრაფვოდა.

შეიძლება ითქვას, რომ მისი ახალი მეცნიერება დროზე ადრე დაიბადა. ქცევის შესახებ მწირი მეცნიერული მონაცემები, განსაკუთრებით ადამიანის ქცევის შესახებ – აი, უოტსონის მთელი ექსპერიმენტული ბაზა. ახალი მეცნიერებისთვის ფაქტების არასაკმარისობა ყოველთვის პრობლემაა, ხოლო უოტსონის აგრესიულ პროგრამას, რომელიც ისეთი ყოვლისმომცველი პრობლემის შესწავლაზეა მიმართული, როგორცაა ადამიანის ქცევა, ამ უკმარისობამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა. გაცილებით მდიდარი ფაქტობრივი ბაზა იყო საჭირო, ვიდრე უოტსონს ჰქონდა და არაფერია იმაზე გასაკვირი, რომ ბევრი რამ მისი ნათქვამიდან ზედმეტად გამარტივებულად და გულუბრყვილად გამოიყურება (Skinner, 1974, გვ. 6).

სკინერი უოტსონს, ძირითადად, იმის გამო აკრიტიკებდა, რომ მას არ ჰქონდა ექსპერიმენტული მონაცემები დასკვნებისთვის და არა — მისი მუშაობის მეთოდებისა და იმ მიმართულების გამო, რომლითაც ის მუშაობდა (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

## პავლოვი

რუსმა ფიზიოლოგმა ივან პავლოვმა (1849-1936) პირველმა განახორციელა თანამედროვე მნიშვნელოვანი კვლევა ქცევის შესწავლაში. მისმა ცდებმა აჩვენეს, რომ ავტომატური ფუნქციები შეიძლება განპირობებულ იქნას. პავლოვმა აჩვენა, რომ ნერწყვის გამოყოფის გამოწვევა საკვებისგან განსხვავებული სტიმულებითაც არის შესაძლებელი. ასეთი სტიმულატორი შეიძლება იყოს, მაგალითად, ეყვანის ხმა. პავლოვი არამარტო აკვირდებოდა და წინასწარმეტყველებდა მისთვის საინტერესო ქცევას, არამედ საკუთარი სურვილისამებრ შეეძლო მისი მოდელირება. მიუხედავად ამისა, როგორც მიუთითებს სკინერი, პავლოვის კვლევებს გამოყენების ძალზე ვიწრო არეალი ჰქონდა. პავლოვს გაუმართლა იმ თვალსაზრისით, რომ ნერწყვის გამოყოფა მართლაც ერთ-ერთი მარტივად განპირობებადი ავტომატური ფუნქციაა (Cohen, 1977, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

მაშინ, როდესაც ყველა სხვა დანარჩენი ცხოველებთან მომუშავე ექსპერიმენტატორი მხოლოდ სტატისტიკური შედეგებით კმაყოფილდებოდა, რომლებიც ამა თუ იმ სახის ქცევის გამოვლენის

ალბათობაზე მიუთითებდა, პავლოვის აღმოჩენამ, რომელიც სცილდებოდა წინასწარმეტყველებას და კონტროლზე გადადიოდა, ალაფრთოვანა სკინერი. პავლოვის ნაშრომებმა მას ცხოველებზე ზედმიწევნით გაკონტროლებული და ფიქსირებული ექსპერიმენტებისკენ უბიძგა. ცხოველის გარემო პირობების შეზღუდვის გზით სკინერმა გაარკვია, რომ სხვადასხვა სახეობაში შეუძლია პრაქტიკულად აბსოლუტურად იდენტური შედეგების მიღება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ინდივიდუალური განსხვავებების წარმატებით მოშორება, შედეგად კი აღმოჩენილ იქნა ქცევის კანონი, რომელიც მოცემული სახეობის ყველა წარმომადგენლისთვის მოქმედებს. სკინერი ამტკიცებდა, რომ თუ ასეთ მეთოდებს გამოვიყენებთ, მაშინ, საბოლოო ჯამში, შესაძლებელი იქნება, რომ ფსიქოლოგიური კვლევის შედეგები ალბათურიდან ზუსტ შედეგებად იქცნენ (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

## მეცნიერების ფილოსოფია

სკინერზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფილოსოფიური მეცნიერების ისეთი წარმომადგენლების იდეებმა, როგორებიც იყვნენ პერსი ბრიჯმენი, ერნსტ მაქსი და ჟიულ ანრი პუანკარე. ამ მეცნიერებმა შექმნეს ამხსნელი აზროვნების ახალი მოდელი, რომელიც არ იყო დამოკიდებული მეტაფიზიკურ საფუძველზე. სკინერის მიხედვით, ბიჰევიორიზმი „არის არა მეცნიერება ადამიანის ქცევის შესახებ, არამედ – ამ მეცნიერების ფილოსოფია“ (1974, გვ. 3). ბიჰევიორიზმი კითხვების იმდენად ნათლად ფორმულირების საშუალებას იძლევა, რომ შესაძლებელი ხდება მათზე ერთმნიშვნელოვანი პასუხების გაცემა.

## სკინერის რადიკალიზმი

სკინერის თეორიას რადიკალურ ბიჰევიორიზმს უწოდებენ. ის, ამასთან, რადიკალური დეტერმინისტიც არის (Nye, R. D., 2000).

### რადიკალური ბიჰევიორიზმი

მიუხედავად იმისა, რომ სკინერი, უოტსონის მსგავსად, ობიექტური ბიჰევიორალური მიდგომის მომხრეა, მას მიაჩნია, რომ უოტსონის მეტად უკიდურესმა განცხადებებმა ბიჰევიორიზმის შესახებ მცდარი წარმოდგენები შექმნა. როგორც სკინერი ამბობს (Skinner, B. F., 1974), თანამედროვე რადიკალური ბიჰევიორიზმი (1) განიხილავს გრძნობებს, აზრებსა და სხვა შინაგან მოვლენებს, თუმცა, არ მიიჩნევს მათ ქცევის მიზეზებად; (2) აღიარებს ქცევის ზოგიერთი ასპექტის დეტერმინაციაში გენეტიკური თანდაყოლილი თვისებების მნიშვნელოვნებას; (3) განიხილავს ისეთ თემებს, როგორცაა ცოდნა საკუთარი თავის შესახებ და კრეატულობა, თუმცა, ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებულად.

მართალია, თვლის, რომ ადამიანები გრძნობებისა და აზრების მქონე ორგანიზმები არიან, სკინერი არ ეძებს ქცევის მიზეზებს ადამიანის ფსიქიკაში და უარყოფს *ახსნის მიზნით* ცნობიერების მდგომარეობების ან შინაგანი მოტივების პოსტულირების აუცილებლობას. ალბათ, სწორედ ამიტომ, სრულიად დამსახურებულად, შეგვიძლია სკინერის ბიჰევიორიზმს „რადიკალური“ ვუწოდოთ. მისი მიდგომა იმიტომაც არის რადიკალური, რომ იგი ერთი და იგივე ტიპის ანალიზს იყენებს როგორც ღია, საზოგადოდ დაკვირვებადი ქცევების, ისე — „კანქვეშ“ მიმდინარე ფარული ქცევების (ანუ გრძნობების, აზრების და ა. შ.) ანალიზისთვის (Nye, R. D., 2000).

სკინერი აქცენტს აკეთებდა გარემოს მდგომარეობებსა და ქცევებს შორის *ფუნქციური კავშირების* (სხვა სიტყვებით, „მიზეზისა და შედეგის კავშირების“) დადგენის მნიშვნელოვნებაზე (Nye, R. D., 2000). ის თვლიდა, რომ ჩვენი გარემოს სოციალური და ფიზიკური მდგომარეობები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქცევების დეტერმინაციისთვის. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ქცევის კონტროლი, დიდწილად, დაკვირვებადი ფაქტორებით ხორციელდება, რომელთა იდენტიფიცირება და გამიჯვნა შესაძლებელია

ობიექტური და დეტალური ტერმინებით. სკინერისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს კონტროლი ისევე ვრცელდება გრძნობებისა და აზროვნების შინაგან ქცევებზე, როგორც გარეგან მოქმედებებზე.

ქცევაზე გარემო პირობების ზემოქმედების კვლევის პროცესში სკინერმა და მისმა კოლეგებმა დახვეწილი კვლევითი ტექნიკები შეიმუშავეს, დიდი რაოდენობით მეცნიერული მონაცემი შეაგროვეს და მთელი რიგი ბიჰევიორალური ცნებები და კონცეფციები შექმნეს. რადიკალურ ბიჰევიორისტებს მნიშვნელოვანი სიზუსტით შეუძლიათ იმ სხვადასხვაგვარი დაკვირვებადი ფაქტორების აღწერა, რომლებიც გავლენას ახდენენ დასწავლაზე და, შესაბამისად, განმტკიცებაზე. შესაძლებელია მათი მტკიცებულებების, რომ ადამიანის ქცევას სხვადასხვა გზით აკონტროლებს გარემო პირობები, ობიექტურად დაკონკრეტება და მათით მანიპულირება (Nye, R. D., 2000).

სკინერის თეორიის შეჯამება პიროვნების ფსიქოლოგიისთვის საინტერესო ასპექტების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. სკინერის თეორიის მოკლე შეჯამება.

ასპექტი	აღწერა
ინდივიდუალური განსხვავებები	ინდივიდები განსხვავებული ქცევებით ხასიათდებიან განმამტკიცებლების განსხვავებული ისტორიების გამო.
ადაპტაცია და შეგუება	ცნებების "ჯანმრთელი" ან "დაავადებული" ნაცვლად, უპრიანია იმის დაკონკრეტება, თუ რომელი ქცევები უნდა აღმოიფხვრას და რომლები — მეტად განმტკიცდეს, რაც (ქცევის ცვლილება) დასწავლის თერაპიების ანუ ქცევის მოდიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება.
კოგნიტური პროცესები	ფსიქიკური ფუნქციების შესწავლა რთულია, ვინაიდან მეცნიერებს არ მიუწვდება ხელი მათზე. პრინციპში, ფსიქიკური პროცესები ქცევითი ტერმინებით შეიძლება აიხსნას. სკინერის რადიკალური ბიჰევიორიზმის მიხედვით, პრაქტიკაში არც კი ღირს ამისათვის თავის შეწუხება. ამის ნაცვლად, დაკვირვებად ქცევაზე უნდა მოხდეს ფოკუსირება.
საზოგადოება	საზოგადოება უზრუნველყოფს დასწავლის პირობებს და, მამასადამე, ახდენს პიროვნების ფორმირებას. ბიჰევიორალური პრინციპები გვაფიქრებინებენ, რომ შესაძლებელია საზოგადოების ზოგიერთი ასპექტის (მაგალითად, განათლების) გაუმჯობესება; შესაძლებელია უკეთესი, უფრო პროდუქტული და ბედნიერი საზოგადოების შექმნა და ამისთვის ჯილდოები უნდა გამოვიყენოთ და არა — სასჯელი.
ბიოლოგიური გავლენა	სახეობებს შორის არსებული განსხვავებები გავლენას ახდენენ სხვადასხვა განმამტკიცებლის ეფექტურობასა და რეაქციის შესაძლებლობებზე.
ბავშვის განვითარება	ბავშვები სწავლობენ, თუ რომელ ქცევებს მიჰყავთ ისინი განმამტკიცებისკენ და რომელს — დასჯისკენ და ამის შესატყვისად რეაგირებენ. სტიმულის კონტროლი და განმამტკიცებელთა ცხრილები გავლენას ახდენენ დასწავლის ამ პროცესზე.
მოზრდილის განვითარება	მოზრდილის განვითარება იმავე პრინციპებით აიხსნება, რომლითაც ბავშვის განვითარება და ადრეულ დასწავლას ეფუძნება.

წყარო: ადაპტირებულია Cloninger, S. C., 2004.

## რადიკალური დეტერმინიზმი

იყო რა წმინდად ბიჰევიორისტი, სკინერი, ამასთანავე, რადიკალური დეტერმინისტიც იყო (Nye, R. D., 2000). მისი დეტერმინიზმის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია მუდმივი შეურიგებლობა ქცევის მენტალისტური ახსნებისადმი და დაშვებებისადმი, რომ გონებას ხელეწიფება ქცევის წარმოქმნა. მისთვის ქცევის დეტერმინანტები გარემოსა და გენეტიკური ცვლადებია.

სკინერი აღიარებს ფროიდის წვლილს დასავლური ფსიქოლოგიის დეტერმინისტულ აზროვნებაში: ფროიდი თვლიდა, რომ ადამიანის ქცევა კანონზომიერია და არა — შემთხვევითი; რომ ყველაფერს, რასაც

ვაკეთებთ, თავისი მიზეზები აქვს. სკინერი ეთანხმებოდა ამ პოზიციას, თუმცა, ის აკრიტიკებდა კიდევ ფროიდს, მიუთითებდა რა, რომ ფსიქონალიტური თეორიის მიერ შემოთავაზებული ახსნები ხშირად დამაბნეველია, ქცევასა და მის წინმსწრებ მიზეზობრივ მოვლენას შორის გარკვეული მენტალისტური ცნების ჩასმის გამო. მაგალითად, მამამ რომ სასტიკად დასაჯოს ვაჟიშვილი მასტურბაციის გამო, მან შემდგომში, შესაძლოა, ვაჟიშვილის სექსუალურ ქცევაში პრობლემები გამოიწვიოს. სკინერის მიხედვით, მიზეზ-შედეგობრივი მიმართება მხოლოდ დამსჯელი მოვლენისა და პათოლოგიური სექსუალური ქცევის აღწერას საჭიროებს. რატომ უნდა დავუკავშიროთ სექსუალური პრობლემა დანაშაულის განცდას ან შფოთვას? რას გვამღევეს ასეთი ცნებების შემოტანა? თუ მაინც შემოგვაქვს, მაშინ უნდა ავხსნათ კიდევ. სხვა სიტყვებით, საიდან მოდის ეს დანაშაულის განცდა ანდა შფოთვა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გარემოს მოვლენებს უნდა მივუბრუნდეთ (Nye, R. D., 2000).

სკინერი თვლიდა, რომ მენტალისტური ცნებები მხოლოდ გვაბნევენ და შეცდომაში შეყვავრთ, გადააქვთ რა ჩვენი ყურადღება ისეთი რეალური მიზეზებისგან, როგორცაა დასჯა. სკინერი მის ფსიქოლოგიაში ვერ ხედავდა მენტალისტური ახსნების ადგილს. მას მკაცრად დეტერმინისტული პოზიცია ეკავა, რაც ქცევის დაკვირვებადი მიზეზების მუდმივ ძიებას განაპირობებდა.

სკინერის აზრით, მეცნიერულ ფსიქოლოგიაში არც ისეთი დაშვებებისთვის მოიძებნება ადგილი, როგორცაა ის, რომ ადამიანის ქცევას „ინდივიდუალური არჩევანი“ წარმართავს. ის არ ეთანხმებოდა პიროვნების, როგორც თავისუფლად მოქმედი აგენტის, განსაზღვრებას, რომელიც თავად ქმნის თავის ბედს. მისთვის ინდივიდის ქცევა („პიროვნება“) ობიექტურ სამყაროში წარსულსა და აწმყომი მიმდინარე მოვლენებით არის განპირობებული.<sup>3</sup>

სკინერი აღიარებდა, რომ ქცევის სხვადასხვა ასპექტის ფორმირებაში შინაგანი, თანდაყოლილი ფაქტორებიც მონაწილეობენ. მაგალითად, გენეტიკური მოცემულობა განსაზღვრავს იმ რეაქციების ზოგად დიაპაზონს, რომელთა განხორციელებაც შეგვიძლია; ასევე, გავლენას ახდენს იმაზე, რომ გარკვეული შედეგები აძლიერებენ ჩვენს ქცევებს. იგი მიუთითებდა, რომ თუ გენეტიკური მემკვიდრეობის ახსნაზე მიდგება საქმე, ისევე გარემომდე მივდივართ, რომელმაც შექმნა ასეთი მემკვიდრეობა: „გადარჩენისთვის ხელსაყრელი, შესატყვისი პირობები“ განსაზღვრავენ, რა არის თანდაყოლილი მოცემული სახეობისთვის, ანუ გარემო შეარჩევს, თუ რომელი ქცევები უნდა განვახორციელოთ გადარჩენისთვის. თუ გარემოს პირობები საკმარისად უცვლელი რჩება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაშინ სახეობის ის წევრები გადარჩებიან, რომლებიც გადარჩენისთვის ხელსაყრელ ქცევებს ახორციელებენ. სწორედ ასე იძენენ სახეობები გარკვეულ გენეტიკურ მახასიათებლებს. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გარემო მუდმივად აკონტროლებს ამ პროცესს (Nye, R. D., 2000).

მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებდა გენეტიკური მოცემულობის მნიშვნელოვნებას ქცევის დეტერმინაციაში, სკინერი გვაფრთხილებდა, რომ არ უნდა ვიქჩაროთ ამა თუ იმ ქცევის „ინსტიქტებისთვის“ მიწერა, ანდა პიროვნების ქცევის გენეტიკური ფაქტორებით ახსნა. ამ შემთხვევებში ყურადღების მიღმა გვრჩება გარემოს ეფექტები და ის კონკრეტული პირობები, რომელშიც ადამიანი დიდ დროს ატარებს ცხოვრების განმავლობაში.

სკინერის ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინდივიდის ცხოვრების გზაზე სხვადასხვა მოვლენის გამოჩენის ეფექტებს. ის უშვებს, რომ ასეთ მოვლენებსა და შედეგად მიღებულ ქცევას შორის ურთიერთმიმართების შესახებ ინფორმაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფუნქციონირების ადეკვატურად ახსნისთვის. ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ თუ შეგვიძლია გენეტიკური ფაქტორების მკაფიოდ გამოკვეტა და დეტალურად ვიცით ნეიროფიზიოლოგიური პროცესები, ეს არ გამორიცხავს ქცევაზე მოქმედი მიმდინარე გარემოს ფაქტორების მეცნიერული ანალიზის აუცილებლობას. სკინერის აზრით, გარემოთი მანიპულაცია ადამიანის ქცევის

<sup>3</sup> რელევანტურ წარსულ მოვლენებში მოიაზრება არა მარტო პიროვნების ცხოვრების ისტორია, არამედ ის ევოლუციური პროცესებიც, რომლებმაც წვლილი შეიტანეს მისი გენეტიკური მემკვიდრეობის შექმნაში (Nye, R. D., 2000).

გაუმჯობესების გასაღებია.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკინერი ინდივიდის ქცევაზე პასუხისმგებლად მიიჩნევდა როგორც გენეტიკურ მოცემულობას, ისე — პიროვნულ ისტორიას, თუმცა, ყურადღებას ამ უკანასკნელზე ამხვილებდა, ხაზს უსვამდა რა ინდივიდის გარემოს ობიექტური, დაკვირვებადი პირობების ზეგავლენას. მას მიაჩნდა, რომ ფაქტორების ამ ორი ნაკრების (გენეტიკური მემკვიდრეობისა და პიროვნული ისტორიის) სრულად ცოდნა აუცილებელია ადამიანის ქცევის სრულად ასახსნელად (Nye, R. D., 2000).

## ქცევის მეცნიერული ანუ ექსპერიმენტული ანალიზი

სკინერი წერდა: „დარწმუნებული ვარ, ქცევის მეცნიერულმა ანალიზმა მოცემულობად უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ ქცევა გარეგანი ფაქტორებისა და გენეტიკური სტრუქტურის განუზომლად დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება და არა – თავად ადამიანისა და მისი შინაგანი მდგომარეობებისა“ (1974). ქცევა, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად რთულია ის, შეიძლება ისევე გამოვიკვლიოთ, როგორც ყურადღების ღირსი ნებისმიერი სხვა ფენომენი.

მეცნიერებას საქმე უნდა ჰქონდეს ფაქტებთან და ისინი უნდა იკვლიოს და არ ისმინოს, თუ ვინ რას ამბობს მის შესახებ... ეს არის ბუნებრივ მოვლენებს შორის წესრიგის, ერთგვაროვნების, კანონზომიერებების ძიება. ყოველი ჩვენგანი ცალკეული ეპიზოდების დაკვირვებით ვიწყებთ; აქედანვე იწყებს მეცნიერება, მაგრამ მის მიერ წარმოებული დაკვირვების შედეგები წესების, შემდეგ კი მეცნიერული კანონის ფორმულირების საშუალებას გვაძლევს (Skinner, 1953, გვ. 12-13, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ანალიზის მიზანი ქცევის ნებისმიერი გამოვლინების შესწავლაა. სკინერისთვის ამაში შედის ყველაფერი, რაც წინ უძღვის ქცევას, რაც არის მასზე რეაქცია და რეაქციის ყველა შედეგი. სკინერი ქცევას უწოდებს ყველაფერს, რასაც ახორციელებს ორგანიზმი იმ პირობით, რომ ეს ქმედება თვალსაჩინოა (Skinner, 1938, გვ. 6, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). ქცევის ამომწურავი ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს ორგანიზმის გენეტიკურ მემკვიდრეობითობასაც და ყველა მანამდე განხორციელებული ქცევის მოდელს, რომელთაც შესასწავლ ქცევასთან აქვს რაიმე მიმართება.

მეცნიერული ანალიზი მთლიანიდან ცალკეული ნაწილების გამოდიფერენცირებით იწყება, რაც მათ უკეთ გაგებას ისახავს მიზნად. სკინერის ექსპერიმენტული კვლევები მთლიანად მიჰყვებოდა ამ პროცედურას.

სკინერმა აითვისა თორნდაიკის შეხედულება, რომ გარემოში მოცემული შედეგები ძლიერ ეფექტს ახდენენ ქცევაზე. მან შეიმუშავა კვლევის პროგრამა, რომლის მიზანი იყო სტიმულის განპირობებულობის სისტემატური ვარიაციების მეშვეობით იმ მექანიზმის მიგნება, რომელიც განაპირობებს გარკვეული ქცევის გამოვლენის დიდ ალბათობას სხვადასხვა გარემო პირობებში.

ბუნებრივი მონაცემები ქცევის მეცნიერებაში განსაზღვრული ქცევის გამოვლინებაა განსაზღვრულ დროს. ექსპერიმენტული ანალიზი იკვლევს ალბათობას სიხშირის ან რეაქციის ხარისხის ტერმინებით. ექსპერიმენტული ანალიზის ამოცანაა, აღმოაჩინოს ყველა ის ცვლადი, რომელზეც დამოკიდებულია რეაქციის სიხშირე (Skinner, 1966, გვ. 213-214, ციტირებულია წყაროში გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

სკინერის ანალიზი უფრო ექსპერიმენტული იყო, ვიდრე თეორიული. თეორეტიკოსები ხელმძღვანელობენ

დერივაციებითა და წინასწარმეტყველებებით საკუთარი თეორიებიდან, მაგრამ ისეთი ემპირისტები,




სკინერი ლაბორატორიაში.

როგორც იყო სკინერი, მხოლოდ რეალურ, კონკრეტულ მონაცემებს ეყრდნობიან. ისინი ექსპერიმენტის პირობებში მონაცემების შეგროვებით იწყებენ და არ არიან მიჯაჭვულნი რომელიმე თეორიას (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

## მონაცემების წყაროები

სკინერის იდეები ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში ჩამოყალიბდა, განვითარდა და განმტკიცდა. ის და მისი კოლეგები კვლევას კვლევაზე ატარებდნენ გულდასმით გაკონტროლებულ ლაბორატორიულ სურ. N 4. „სკინერის ყუთი“ ანუ ოპერანტული კაბინა. დილაკზე დაჭერით ვირთხას საკვები მიეწოდება.



პირობებში და განმტკიცების პროცესებისთვის რელევანტური მონაცემების შეგროვებისთვის, ჩვეულებრივ, ვირთხებს ან მტრედებს იყენებდნენ. სკინერისეულ აზროვნებასთან ასოცირებული ქცევის ცნებები სწორედ ამ კვლევებში იღებს სათავეს. მათში მუდმივად კეთდებოდა აქცენტი ზუსტი რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებაზე.

რადიკალური ბიჰევიორიზმის ძირითადი გაკონტროლებული დაკვირვების ერთ-ერთ საშუალებას ე. წ. „სკინერის ყუთი“<sup>4</sup> (სურ. N4) წარმოადგენს. ეს არის პატარა ყუთი/კაბინა, რომელშიც შესაძლებელია ცხოველის გარემოსგან იზოლირება და ექსპერიმენტატორის მიერ სპეციალურად შექმნილ პირობებში მოთავსება. ქცევა, რომელიც, ჩვეულებრივ, შეისწავლება ამ მოწყობილობით, მტრედის ან ვირთხის მიერ ბერკეტზე/დილაკზე დაჭერაა. მათი რეაქციები

ელექტრომექანიკურად იწერება. სხვადასხვა პირობაში განხორციელებული რეაქციები საკვლევი ქცევის შესახებ იძლევიან მონაცემებს. მაგალითად, ექსპერიმენტატორს შეიძლება აინტერესებდეს ცვლილებები ქცევის სიხშირეში, როდესაც იცვლება რომელიმე განმამტკიცებლის (მაგალითად, საკვების) წარდგენის დრო, ან როდესაც ცხოველის ქცევას ავერსიული სტიმული (როგორცაა ელექტრული შოკი) მოჰყვება (Nye, R. D., 2000; გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

შეიძლება იკითხოთ: „რა საერთო აქვს ასეთ კვლევებს ადამიანის ქცევასთან?“ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არ ვართ იზოლირებული რეალური სამყაროსგან და ჩვენი უმნიშვნელოვანესი და ყველაზე საინტერესო ქცევები არ გულისხმობენ ბერკეტზე დაჭერას ანდა სხვა მსგავსი მარტივი რეაქციების განხორციელებას. ამ კითხვაზე პასუხის პოვნა შესაძლებელია მაშინ, როდესაც უმდაბლეს ცხოველებზე ჩატარებულ შედარებით „ხელოვნური“ ლაბორატორიული ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ კონცეფციებს ადამიანებს მივუსადაგებთ. ასეთ პრაქტიკულ გამოყენებებს სხვადასხვა სახელს არქმევენ, მათ შორისაა „ქცევის მოდიფიკაცია“, „ქცევის ინჟინერია“ და „ქცევის გამოყენებითი ანალიზი“. სკინერისეული ცნებები და კონცეფციები ეფექტურად გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორცაა მოსწავლეების აკადემიური მოსწრება; აუტიზმის მქონე ბავშვების, განვითარებაში შეფერხების მქონე პიროვნებებისა და ფსიქოტური აშლილობის დიაგნოზის მქონე ინდივიდების მკურნალობა; ინდუსტრიული მენეჯმენტი და პრობლემური ქცევების ბიჰევიორალური თერაპია (Nye, R. D., 2000).

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც შეიძლება გაჩნდეს: „რატომ უბრალოდ ადამიანების კვლევით არ დავიწყებთ ვირთხებისა და მტრედების შესწავლის ნაცვლად?“ მთელი რიგი კვლევებისა ადამიანებზეა ჩატარებული: ფუნდამენტური ბიჰევიორალური კონცეფციების შესაქმნელად ბიჰევიორისტები არ შემოფარგლულან უმდაბლესი ცხოველებით. თუმცა, მათი შედარებითი სიმარტივისა და იმ ფაქტის გამო,

<sup>4</sup> ეს ტერმინი არ ეკუთვნის სკინერს, ის თავად ოპერანტულ კაბინას უწოდებდა ამ მოწყობილობას.



რომ მათი გარემოს გაკონტროლება უფრო მეტად შეუძლია ექსპერიმენტატორს, ვიდრე ადამიანების შემთხვევაში, ძირითად კვლევით პროექტებში მკვლევრები ხშირად ცხოველების გამოყენებას ამჯობინებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ექსპერიმენტულად შესაძლებელია სკინერის ძირითადი ბიჰევიორალური ცნებების ადამიანის ქცევისადმი მისადაგება, ზოგჯერ რთულდება მისი ზოგიერთი განზოგადების შემოწმება. ამის მაგალითად სოციალური სტრუქტურის გაუმჯობესების იდეა შეიძლება დასახელებდეს, რომელიც სკინერს „მეორე ვალდენში“ აქვს აღწერილი და რომლის პრაქტიკაში შემოწმებაც სცადა ადამიანთა ჯგუფმა (სკინერი არ მონაწილეობდა) 1967 წელს. მათ შექმნეს პატარა თემი (Twin Oaks, new Lousia, VIrginia), რომელმაც, სხვადასხვა მოდიფიკაციით, შეძლო გადარჩენა, თუმცა, ამ მოდიფიკაციების გამო ამ ექსპერიმენტს ვერ მივიჩნევთ სკინერის მოსაზრებების რეალურ გადამოწმებად (Nye, R. D., 2000).

## ქცევის ტიპები სკინერთან

ამ თავში განვიხილავთ ცნებებს, რომლებსაც სკინერი ქცევის ანალიზისას იყენებდა. ის განასხვავებს ქცევის ორ დიდ კატეგორიას: *რესპონდენტულ* და *ოპერანტულ* ქცევას. სკინერის ფსიქოლოგიაში ეს უკანასკნელი გაცილებით მნიშვნელოვანია.

### რესპონდენტული ქცევა

ტერმინი „რესპონდენტული“ მოიზარებს *კონკრეტული სახის ქცევას, რომელიც კონკრეტული სახის სტიმულის საპასუხოდ აღმოცენდება* (Nye, R. D., 2000; Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001). ის მიგვითითებს რეფლექსის ტიპის რეაქციაზე და იმაზე, რომ სტიმული წინ უსწრებს ქცევას. მაგალითად, თვალის გუგა ვიწროვდება კაშკაშა სინათლეზე, ჰერის ნაკადის სწრაფი მოძრაობის შედეგად თვალი ხამხამს იწყებს, გარემოს ტემპერატურის მომატების საპასუხოდ სხეული ოფლიანდება, ხოლო სახსარზე რაიმეს მოხვედრისას მუხლი ავტომატურად იხრება. ასეთი რეაქციების კიდევ ერთი მაგალითია პავლოვის მიერ აღმოჩენილი კლასიკური განპირობების<sup>5</sup> პროცესი, რომელსაც ყველა ფსიქოლოგი და მრავალი არაფსიქოლოგი იცნობს.

როგორც ვიცით, პავლოვმა გაარკვია, რომ შესაძლებელია გარკვეული რეფლექსური პროცესების განპირობება. ის თავის კლასიკურ ექსპერიმენტში ძალში ნერწყვის გამოყოფას ზარისა და საკვების მიწოდების შეწყვილებით იწვევდა. ბუნებრივ პირობებში ძალღებს ნერწყვის გამოყოფა მხოლოდ საკვების დანახვაზე ან მის სუნზე ეწყებათ (უპირობო რეფლექსი, რომელსაც სკინერი რესპონდენტულ ქცევას უწოდებდა). მას შემდეგ, რაც პავლოვმა შეაწყვილა საკვების მიწოდება და ზარის ხმა, ნერწყვის გამოყოფა უკვე ხმოვან სიგნალზე იწყებოდა ყოველგვარი საკვების არსებობის გარეშე. ქცევის ასეთი ცვლილება უკვე აღინიშნებოდა რამდენიმე მიწოდების შემდეგ. ცხოველის ქცევა განპირობებულ იქნა გამლიზიანებლით, რომელიც მანამდე არანაირ რეაქციას არ იწვევდა (Mowrer, R. R. & Klein, S. B., 2001). ამგვარად, მოხდა რესპონდენტული განპირობება. თუ მხოლოდ ზარის ხმა, საკვებთან შეწყვილების გარეშე, რამდენჯერმე მიეწოდება ძალს, ნერწყვის გამოყოფის რეაქცია თანდათანობით შემცირდება და საბოლოოდ გაქრება. ამ პროცესს, როგორც ვიცით, *ჩაქრობა* ეწოდება (Nye, R. D., 2000).

პავლოვის ძალღის ანალოგიურად, ჩვენი ნერწყვის გამოყოფა შეიძლება გამოწვეული იყოს რესტორანში შესვლით ანდა სადილის მანიშნებელი გონგის ხმის გაგონებით. რესპონდენტული ქცევა შეიძლება საკმარისად მარტივად შევისწავლოთ და ვაჩვენოთ. ეკრანზე მიმზიდველი ადამიანისა და

<sup>5</sup> პავლოვი იყენებდა ტერმინს „კლასიკური განპირობება“, ხოლო სკინერმა იგივე ფენომენს „რესპონდენტული განპირობება“ უწოდა. სკინერისეულ ტერმინს იყენებენ მისი მომხრეები, ხოლო პავლოვისეულ ტერმინს — ყველა სხვა დანარჩენი მეცნიერი (Nye, R. D., 2000).

გარკვეული პროდუქტის ერთმანეთთან დაკავშირებით რეკლამის მწარმოებლები მაყურებელში მათ შორის ასოციაციის შექმნასა და გულდასმით დაგეგმილი რეაქციის გამოწვევას ცდილობენ. ისინი გათვლას იმაზე აკეთებენ, რომ ასეთი შეწყვილების შედეგად მომხმარებლებს პოზიტიური რეაქცია ექნებათ ამ პროდუქტზე (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ამრიგად, შესაძლებელია რესპონდენტული ქცევის გამომუშავება ანუ განპირობება.

სკინერისთვის მისაღები იყო განპირობების ეს ტიპი, როდესაც პირობითი (ანუ განმაპირობებელი) სტიმული წინ უძღვის პირობით (ანუ განპირობებულ) სტიმულს; თუმცა, მიაჩნდა, რომ უმნიშვნელოვანესი და ყველაზე კომპლექსური ქცევები არ წარმოადგენენ კონკრეტულ სტიმულებზე უბრალოდ განპირობებულ მარტივ რეფლექსურ რეაქციებს. მისთვის ეს რეაქციები არის „გამოსხივებული“ (emitted), აღმოცენებული ქცევები, რომლებიც თავად ქმნიან შედეგებს. მას აქტიური ორგანიზმი უფრო მეტად აინტერესებდა, ვიდრე შედარებით პასიური ორგანიზმი, რომელიც რესპონდენტულ განპირობებაში ფიგურირებს. სკინერისა და უოტსონის თეორიების ერთ-ერთი განმასხვავებელი ისაა, რომ უოტსონი, სკინერისგან განსხვავებით, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდა რეფლექსურ, სტიმულ-რეაქციის ურთიერთმიმართებებს (Nye, R. D., 2000).

## ოპერანტული ქცევა

ვინაიდან სკინერს უფრო აქტიური ორგანიზმი და მისი ქცევა აინტერესებდა, მის თეორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოზიცია უკავია ოპერანტული ქცევის ცნებას და მის სისტემას ოპერანტული განპირობების თეორიასაც უწოდებენ ხოლმე.

ინსტრუმენტული (McAdams, D. P., 2006) ანუ *ოპერანტულია* ქცევა, რომელიც *გარემოზე ზემოქმედებს გარკვეული შედეგების შექმნის მიზნით* (Cloninger, S. C., 2004). სხვა სიტყვებით, ის შეგვიძლია დავახასიათოთ იმ კონკრეტული გავლენით, რომელსაც გარემოზე ახდენს (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). სკინერისთვის ასეთი აღმოცენებული რეაქციებისა და მათი შედეგების შესწავლა ქმნის ფსიქოლოგიის ძირითადი კვლევის საგანს. თუ რესპონდენტულ ქცევას უშუალოდ მისი წინაპირობები (ანუ წინმსწრები სტიმულები, ვითარებები, მოვლენები) აკონტროლებენ, ოპერანტული ქცევა ორგანიზმის მიერ ყოველგვარი მარტივად იდენტიფიცირებადი აღმძვრელი სტიმულის გარეშე ხორციელდება და თავისივე შედეგებით (ანუ მის მიერ მოტანილი შედეგებით) კონტროლდება (Nye, R. D., 2000).

ამგვარად, ოპერანტული ქცევა არ აღმოცენდება განსაზღვრული სტიმულის საპასუხოდ, როგორც ეს კლასიკურ განპირობებულობაშია. მტრედები კენკავენ, ვირთხები ეძებენ საკვებს, ბავშვები ტირიან, ზოგი ადამიანი ლაპარაკისას ხელებს იყენებს, ზოგს კი ენა ებმის. ამ ქცევათა განხორციელების ალბათობა მომავალში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს იმ შედეგების მიხედვით, რაც მათ მოჰყვება. მაგალითად, თუ ბავშვი ღულუნით აჩქარებს მშობელთან სასურველ კონტაქტს, სამომავლოდ იგი უფრო მეტს იღულუნებს. ასე რომ, ოპერანტული განპირობებულობა ცვლის სხვადასხვა ოპერანტული ქცევის ალბათობას იმდენად, რამდენადაც ისინი, ფაქტობრივად, გარემო შედეგების ფუნქციებად გვევლინებიან (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

რესპონდენტული ქცევები, როგორცაა თვალების ხამხამი, მუხლის სახსარში მოხრა, ნერწყვის გამოყოფა და გარკვეული შიშის რეაქციები, ისეთ ოპერანტულ ქცევებს შეგვიძლია დავუპირისპიროთ, როგორცაა კითხვა, წერა, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, დანა-ჩანგლით ჭამა და მანქანის ტარება. ოპერანტული ქცევები შეადგენენ იმ მნიშვნელოვან რეაქციებს/პასუხებს, რომლებიც ჩვენ ინდივიდებად გვაქცევს. ინდივიდები ერთმანეთისგან ქცევებით განსხვავდებიან (თითოეულ ინდივიდს თავისი „პიროვნება“ აქვს), ოპერანტული განპირობების კონცეფცია კი გვეხმარება ამ განსხვავებების ახსნაში (Nye, R. D., 2000).

სკინერი წერს: „ოპერანტული ქცევა ძლიერდება ან მცირდება იმ მოვლენებით, რომლებიც მოჰყვება მას. თუ რესპონდენტული ქცევა წინმსწრები მოვლენებით განისაზღვრება, ოპერანტული ქცევა მის შემდგომ მოვლენებზეა დამოკიდებული“ (1966, გვ. 3, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

რაიმე ქმედების განპირობება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება ამ ქმედების დასრულების შემდეგ. სკინერი პირდაპირ მოხიბლული იყო ოპერანტული ქცევით, ვინაიდან ხედავდა, რომ ის გაცილებით რთულ პროცესებს უკავშირდებოდა, ვიდრე რესპონდენტული ქცევა. მან დაასკვნა, რომ ადამიანის ან ცხოველის პრაქტიკულად ნებისმიერი ბუნებრივად აღმოცენებადი ქცევა შეგვიძლია ხელოვნურად გამოვიწვიოთ; შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ ის უფრო ხშირად და უფრო მკაფიოდ გამოვლინდეს და სხვადასხვა მიმართულებით წარიმართოს.

ოპერანტული განპირობება არ ნიშნავს ადამიანის მარიონეტით მართვას. ოპერანტული განპირობება სამყაროს კლასიფიკაციაა, რომელშიც ინდივიდი ახორციელებს ქმედებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ სამყაროზე. ეს სამყარო კი, თავის მხრივ, ზემოქმედებს ადამიანზე (Skinner, 1972b, გვ. 69, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

შემდეგი მაგალითი ოპერანტული ქცევის ზოგიერთი ასპექტის ილუსტრაციას წარმოადგენს. შვილს უყვარს წყალში ყოფნა, მაგრამ არ უნდა, ან ეშინია თავის დასველების და ამიტომ თავს არიდებს წყლის ქვეშ ჰაერის ამოსუნთქვას. ეს მნიშვნელოვნად უშლის ხელს ცურვის სწავლას. მამა შვილს კანფეტს ჰპირდება იმ შემთხვევაში, თუ ის სახეს ჩაყოფს წყალში. როგორც კი ის სახეს ისველებს და იღებს კანფეტს, მამა ცვლის პირობას და კანფეტს იმ შემთხვევაში ჰპირდება, თუ შვილი მთელ თავს დაისველებს. როდესაც შვილი ამასაც აკეთებს და ისევ იღებს კანფეტს, მამა ახალ პირობას აყენებს კანფეტის მისაღებად – ამოსუნთქვა წყალქვეშ. შვილი ნაბიჯ-ნაბიჯ შეცვლის თავის ქცევას მოსალოდნელი ჯილდოს გავლენით და შედეგად ცურვას ისწავლის (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ამრიგად, *ოპერანტული განპირობება* – ეს არის ქცევის კონკრეტული პატერნის, რომელიც ამავე პატერნის შედეგებიდან გამომდინარეობს, ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესი. მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ის, თუ რა უძღვოდა ქცევას წინ, არამედ, ძირითადად, ის, თუ რა მოსდევს მას. მამა-შვილის შემთხვევაში მამა იმით აპირობებდა შვილის ქცევას, რომ განხორციელებული გარკვეული მოქმედებების შემდეგ ტკბილეულს აძლევდა. კანფეტები ბავშვის გარკვეული ქცევის უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდა. „თუ გარკვეულ ქცევას გარკვეული შედეგები მოჰყვება, მაშინ დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს ქცევა კიდევ გამოვლინდება, ხოლო მისგან გამომდინარე ერთსა და იმავე შედეგებს ნამდვილად შეგვიძლია ვუწოდოთ განმტკიცებები“ (Skinner, 1971, გვ. 25, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

სწორედ ოპერანტული ქცევის საკვლევად შექმნა სკინერმა ოპერანტული კაბინა, ე. წ. „სკინერის ყუთი“ (იხ. სურ. N6). ეს მექანიზმი მკვლევარს იმ ცვლადების შესწავლის საშუალებას აძლევს, რომლებიც გავლენას ახდენენ დასწავლაზე ან დაუსწავლელობაზე. მაგალითად, თუკი ღილაკის დაჭერით ვირთხა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს საკვებს, როდესაც კაბინას შემოუვლის, ის სწრაფად ისწავლის, რომ ღილაკის დაჭერამდე კაბინას უნდა შემოუაროს (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ე., 2009).

ოპერანტულ ქცევაზე მოქმედი ფაქტორების ფართო კვლევებს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ:

1. *განპირობება* შეიძლება მოხდეს, როდესაც არც კი გვაქვს ეჭვი, რომ ის ხდება. ურიცხვმა ცდამ დაადასტურა, რომ ის, რასაც ვაცნობიერებთ, დიდწილად არის დამოკიდებული ჩვენს წარსულ

სურ. N 5. ეიმსის ილუზია.



შეგრძნებებზე, რომლებიც სინამდვილეში, ასევე, ნაწილობრივ განპირობებულია. მაგალითად, ოპტიკური ილუზიის ჩვენეული აღქმა, რომელიც ეიმსმა აჩვენა, მხედველობითი ფიზიოლოგიის ფუნქციად ითვლება. თუმცა, როდესაც „მართკუთხედს“ (სურ. N5) იმ კულტურის წარმომადგენელ ადამიანებს აჩვენებდნენ, რომელთა საცხოვრებლის კედლები და ფანჯრები, ჩვეულებრივ, არ იყო მართკუთხედი, ისინი ვერ ამჩნევდნენ ამ ილუზიას. აღქმა, ნაწილობრივ,

კულტურით არის განპირობებული.

2. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადამიანებში განპირობება შეიძლება მოხდეს „ძილის, გაღვიძების მდგომარეობაში ანუ იმ დროს, როდესაც სუბიექტი ვერ აცნობიერებს, რომ რეაგირებს გამოჩენილ გამღიზიანებელზე“ (Berelson & Steiner, 1964, გვ. 138, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

3. *განპირობება* რეალურად ხორციელდება მაშინაც კი, როდესაც ვიცით მის შესახებ. იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ ჩვენი ქცევა მაშინაც კი შეიძლება განპირობებული იყოს, როდესაც ვიცით, რომ ეს პროცესი მიდის და ამას ვეწინააღმდეგებით, უხერხულობასა და უცნაურ განცდას ბადებს. ერთ-ერთი ექსპერიმენტატორი ცდის მონაწილეებს აიძულებდა, გარკვეული ბგერის, რომელიც ტკივილის შოკთან იყო შეწყვილებული (თითზე ელექტროდენი მიეწოდებოდათ) გაგონებაზე თითი აეწიათ. ცდის მონაწილენი მას შემდეგაც აგრძელებდნენ თითის აწევას, რაც უთხრეს, რომ ელექტრომოკი აღარ ემუქრებათ. ისინი ადრინდელივით წევდნენ თითებს მაშინაც კი, როდესაც ექსპერიმენტატორი სპეციალურად სთხოვდა, რომ ეს არ გაეკეთებინათ. მხოლოდ ელექტროდების მოხსნის შემდეგ დაიწყეს ცდის პირებმა საკუთარი, ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ განპირობებული ქცევის კონტროლი (Lindley & Moyer, 1961, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

4. *განპირობება* უფრო ეფექტურია, როდესაც ადამიანმა იცის მის შესახებ და ეწყობა მას, იწყებს თანამშრომლობას (Goldfried & Merbaum, 1973, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). ეფექტური განპირობება – ეს არის თანამშრომლობა. არასტაბილურობა გარდაუვალია იმ შემთხვევებში, როდესაც განპირობება ინდივიდის მხრიდან „თანამშრომლობის“ გარეშე ხდება.

## დასწავლის პრინციპები

სკინერმა შემოგვთავაზა ქცევის თეორია, რომელიც განმტკიცების პრინციპებს ეფუძნება და აღწერს, თუ როგორ ზემოქმედებს ქცევაზე მისი შედეგები, რომელთაც იგი დაჯილდოვებასა და დასჯას უწოდებს (Cloninger, S. C., 2004).

რა შედეგებმა შეიძლება აღმოაცენოს, განაპირობოს ქცევა? რომელი ცვლადები მოგვცემს იმის პროგნოზირების საშუალებას, განახორციელებს ორგანიზმი კონკრეტულ ქცევას თუ არა? რა ცვლადები უნდა გავაკონტროლოთ, რათა მივიღოთ სასურველი შედეგი/რეაქცია? (Skinner, B. F., 2005a).

## განმტკიცება და განმამტკიცებლები: საპასუხო ქცევის/რეაქციის სიხშირის მატება

სკინერისეულ ქცევის ანალიზში ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთი შედეგია *განმტკიცება*. თუ ქცევა *განმტკიცდა*, ის გაძლიერდება ანუ გაიზრდება ალბათობა იმისა, რომ ამ ტიპის ქცევა კვლავ განმეორდება მომავალში მსგავსი პირობების შექმნის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზუსტად იგივე ქცევა გამეორდება. შესაძლოა, გამოვლინდეს მოცემული ეფექტის მქონე მსგავსი ქცევა. განმამტკიცებლით მყარდება/ძლიერდება ქცევათა გარკვეული კლასი ანდა ნაკრები და არა — რომელიმე ერთი კონკრეტული ქცევა (Nye, R. D., 2000).

## პირობითი განმტკიცება

*პირობითი* განმტკიცება არის მყარი კავშირი რეაქციასა და გარემოს იმ ცვლილებას შორის, რომელსაც ეს რეაქცია იწვევს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ექსპერიმენტი, რომელშიც მტრედის მიერ ფირფიტის კენკვას (რეაქციას) მოჰყვება მარცვლების მიწოდება (შესაბამისი ცვლილება გარემოში). ეს მყარი კავშირი ანუ პირობითი განმტკიცება, ჩვეულებრივ, კენკვის ინტენსივობის გაზრდას იწვევს. იმისათვის, რომ

გავზარდოთ მხოლოდ კენკვის ქცევის სიხშირე, მარცვლები უნდა მივაწოდოთ მხოლოდ კენკვის შემდეგ. მიწოდება უნდა მოხდეს მკაცრად კენკვის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ და არა — თავის მიტრიალებისა და დახრის ქცევების შემდეგ (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

სკინერის შრომაზე დაყრდნობით, თანამედროვე ბიჰევიორალური ანალიზი ცდილობს, ქცევა პირობითი განმტკიცების კონტექსტში ახსნას.

### განსხვავება განმტკიცებასა და დაჯილდოვებას შორის

აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან „განმტკიცება“ (განმამტკიცებელი) და „დაჯილდოვება“ (ჯილდო). ქცევა, რომელიც *განმტკიცდა*, გაძლიერდება, ხოლო ქცევა, რომელიც *დაჯილდოვდა*, შეიძლება გაძლიერდეს ან არ გაძლიერდეს.

სკინერი წერს, რომ რაღაც მხოლოდ მაშინ არის *განმამტკიცებელი*, როდესაც ის რეალურად აძლიერებს იმ ქცევას, რომელიც წარმოქმნის მას. სხვა სიტყვებით, განმამტკიცებლებს მათ მიერ მოხდენილი ეფექტები განსაზღვრავენ. ის, თუ რა იქნება განმამტკიცებელი, დამოკიდებულია პიროვნებაზე, ქცევასა და სიტუაციაზე. ჯილდოს ცნება თავისთავად არ მოიაზრებს ქცევის გაძლიერების ეფექტს, როგორც ეს განმამტკიცებლის შემთხვევაში გვაქვს.

ისეთი ჯილდოები, როგორცაა პრიზები, ფული და ა. შ. ზოგჯერ აძლიერებენ ქცევებს, რომელთაც ისინი მოჰყვებიან (ამ შემთხვევაში ისინი განმამტკიცებლებიც არიან), მაგრამ მათ ყოველთვის არ აქვთ ასეთი ეფექტი. ასევე, სკინერი მიუთითებს, რომ ჯილდო, როგორც წესი, ეფექტური განმამტკიცებლისგან განსხვავებით, არ არის უშუალოდ ქცევის შესატყვისად ალბათური (contingent). ზოგადად, ჩვენ ვსაუბრობთ სასურველი ქცევისთვის „პიროვნების დაჯილდოვებაზე“, ხოლო სკინერი — იმ „ქცევის განმტკიცებაზე“, რომელიც სასურველია. ამ უკანასკნელში ხაზგასმულია კონკრეტული ქცევის უშუალოდ თანმდევი შედეგის მნიშვნელოვნება (Nye, R. D., 2000).

### განმამტკიცებლები

*განმამტკიცებელი* არის ნებისმიერი სტიმული, რომელიც მყარად არის ქცევასთან დაკავშირებული, მოსდევს მას და ზრდის ან ინარჩუნებს კონკრეტულად ამ ქცევის შემდგომში გამოვლენის ალბათობას (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). მამა-შვილის ზემოთ განხილულ მაგალითში (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001) განმამტკიცებელი იყო ტკბილეული, რომელსაც მამა კონკრეტული დავალების სწორად და წარმატებით შესრულების შემდეგ აძლევდა შვილს. სკინერის ექსპერიმენტებში საკვები იყო *განმამტკიცებელი*, ხოლო სასურველი რეაქციის აღმოცენების შემდეგ საკვების მიწოდებით ხდებოდა ამ რეაქციის *განმტკიცება* (Skinner, B. F., 2005a).

განმამტკიცებლები ყოველთვის ემპირიულად არის განსაზღვრული იმ ეფექტის მიხედვით, რომელსაც ისინი ქცევის სიხშირის ალბათობაზე ახდენენ. თუ გადახედავთ ირგვლივ სამყაროს, აღმოაჩენთ სტიმულთა სამ კლასს: (1) სტიმულები, რომელთა მიმართ ნეიტრალურად ხართ განწყობილნი; (2) სტიმულები, რომლებიც გიზიდავთ და (3) სტიმულები, რომლებიც ავერსიულია, ანუ ცდილობთ, თავი აარიდოთ მათ. ცხადია, რომ ამ სტიმულთა კლასების შემადგენლობა განსხვავებული იქნება თითოეული ინდივიდისთვის. ის, თუ რა არის მიმზიდველი და რა – ავერსიული, ინდივიდუალური ორგანიზმის ქცევით განისაზღვრება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მარწყვი ზოგადად გემრიელად ითვლება, ზოგიერთი ადამიანი მას საჭმელად უვარგისად თვლის. თუ ასეთ ადამიანს შესთავაზებთ მარწყვს, კონკრეტულ ქცევაზე პასუხად პრინციპულად განსხვავებულ შედეგს მიიღებთ, ვიდრე მაშინ, მარწყვის მოყვარულს რომ შესთავაზოთ ის (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

რელევანტური განმამტკიცებლების აღმოსაჩენად ვერ ჩავატარებთ უბრალო გამოკითხვას და ვერ ვკითხავთ ადამიანებს, თუ რა განმამტკიცებს მათ ქცევას. მათ შეიძლება გარკვეული პასუხი ჰქონდეთ ამ კითხვაზე, თუმცა, ის ვერ იქნება მეცნიერისთვის დამაკმაყოფილებელი. არ არის აუცილებელი, რომ ინდივიდს თვალსაჩინოდ ეძლეოდეს გამოცდილებაში ის განმამტკიცებელი ფუნქციური კავშირი,

რომელიც განამტკიცებს მის ქცევას. ხშირად მხოლოდ რეტროსპექციულად არის შესაძლებელი იმაზე მსჯელობა, რომ ქცევის შემდგომი ესა თუ ის მოვლენა განმამტკიცებლად მოქმედებდა მოცემული ქცევის ფორმირებასა და შენარჩუნებაში. სკინერი იმასაც კი წერს (Skinner, B. F., 2005a), რომ ეს კავშირი შეიძლება ვერასოდეს დაინახოს თავად ინდივიდმა, როგორც ცხადიც არ უნდა იყოს ის სხვა გარეშე დამკვირვებლებისთვის.

განმტკიცება და განმამტკიცებელი, რომელიც ოპერანტული განპირობების არსს ქმნიან, შესაძლოა, ძალიან მარტივად გეჩვენებოდეთ, თუმცა, მათ შორს მიმავალი და დრამატული შედეგები აქვთ. ფაქტობრივად, სკინერისთვის ახალშობილი ბავშვი ქცევის გენერატორია და ზრდასთან ერთად იძენს ფართო სპექტრის ქცევების განხორციელების უნარს. ზოგიერთ ამ ქცევათაგანს აქვს განმამტკიცებელი შედეგი, ზოგს კი — არა. მაგალითად, ზოგიერთი ქცევა წარმატებული იქნება და საშუალებას მოგვცემს, ვმართოთ ველოსიპედი, ზოგი კი წარუმატებელი იქნება. ამიტომ პირველი განმტკიცდება, ხოლო მეორე — არა. მრავალი ქცევა (მაგალითად, ლაპარაკი, ჭამა, სათანადოდ ჩაცმა) განმტკიცებულია მშობლების, მასწავლებლების, თანატოლებისა და სხვების მხრიდან მოწონებითა და ჯილდოთი. ეს სოციალური განმამტკიცებლები ძალიან მნიშვნელოვანია ქცევის განპირობებისას.

მოკლედ რომ ვთქვათ, რეაქციები, რომლებიც განმტკიცებულია, შემდგომში განმეორების, მომატებული სიხშირისა და პიროვნების ქცევით რეპერტუარში ტიპური რეაქციების სახით დაფუძნების ტენდენციით ხასიათდებიან. ასეთი რეაქციები ქმნიან *განპირობებულ* ქცევას (Nye, R. D., 2000).

### განმამტკიცებლის სახეები: პირველადი და მეორადი განმამტკიცებლები

განმტკიცების მოქმედების მექანიზმის გაგება გაცილებით რთულია, თუ უფრო რთული ანდა უფრო აბსტრაქტული სიტუაციის გაანალიზებას დავიწყებთ. რომელ განმამტკიცებლებს მივყავართ საკვების გადაჭარბებული მიღებისკენ? რომელი განმამტკიცებლები მოქმედებენ ადამიანის ნებაყოფლობით გადაწყვეტილებაზე — დაკავდეს საქმით, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს? რა აიძულებს სტუდენტებს მაშინაც კი იმეცადინონ, როდესაც სრულიად არ აინტერესებთ მოცემული საგანი? (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ადამიანის ქცევის ფართო დიაპაზონის ასახსნელად, რომელსაც განმამტკიცებლები აკონტროლებენ, სკინერს პირველადი და მეორადი ანუ პირობითი (განპირობებული) განმამტკიცებლის ცნებები შემოაქვს.

*პირველადი* განმამტკიცებლებია საკვები, ჰაერი, წყალი და ა. შ. (Cloninger, S. C., 2004), ხოლო ისეთი განმამტკიცებლები, როგორცაა ფული, აკადემიური შეფასება, ყურადღება, მოწონება და ემოციური დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ იძენენ განმამტკიცებლის ფუნქციას, რაც ინდივიდი დაისწავლის მათ ღირებულებას. ასეთ განმამტკიცებლებს სკინერი *მეორად* ანუ *განპირობებულ* განმამტკიცებლებს უწოდებს. ამ ფუნქციის შექმნა პირველად განმამტკიცებლებთან თავდაპირველად ნეიტრალური გამღიზიანებლების შეწყვილებით ხდება<sup>6</sup> (Cloninger, S. C., 2004). ასე მაგალითად, ფული მრავალი საჭიროების (პირველადი განმამტკიცებლების) დაკმაყოფილებასთან ასოცირდება; უნივერსიტეტში მიღებული ნიშნები, მართალია, შედარებით ნაკლებად პირდაპირ, მაგრამ მაინც ასოცირდება პირველადი განმამტკიცებლების მიღებასთან (დამაკმაყოფილებელი ნიშნების მიღებას ინდივიდი მიჰყავს დიპლომამდე, რომელსაც მიჰყავს სამსახურამდე, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ ინდივიდს შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა და ეს დამოუკიდებლობის წინაპირობად იქცევა, რაც მას აძლევს საშუალებას, იყიდოს საკვები და სხვა აუცილებელი ნივთები, ასევე, მიიზიდოს სასურველი პარტნიორი) (Nye, R. D., 2000).

ყურადღება, მოწონება და აფექტური დამოკიდებულება სხვების მხრიდან იმიტომ იქცევა განპირობებულ ანუ მეორად განმამტკიცებლებად, რომ ისინი სხვა ადამიანების მხრიდან პირველადი განმამტკიცებლების მიწოდების უზრუნველყოფასთან ასოცირდებიან. მაგალითად, მშობლები, რომლებიც შვილების მიმართ მოწონებასა და ემოციურ დამოკიდებულებას ავლენენ, მათ ისეთი პირველადი

<sup>6</sup> როგორც ეს, ფაქტობრივად, პავლოვის ძაღლის შემთხვევაში ხდებოდა.

განმამტკიცებლებითაც უზრუნველყოფენ, როგორცაა საკვები, სითბო, ჩახუტება და ა. შ. ასევე, ყურადღების, მოწონებისა და ემოციური დამოკიდებულების ნიშნების გამოვლენა საწინააღმდეგო სქესის ადამიანისგან მეტად სავარაუდოა, რომ სექსუალურ კონტაქტთან ასოცირდებოდეს. აქ მთავარი იდეა ისაა, რომ სტიმულთა ფართო სპექტრს შეუძლია განმამტკიცებლის ძალის შექმნა პირველად განმამტკიცებლებთან შეწყვილების/ასოცირების მეშვეობით და ამ გზით განპირობებულ განმამტკიცებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ფუნქციონირება და ქცევის გაკონტროლება.

ფულის, როგორც განმამტკიცებლის, ეფექტურობა არ შემოიფარგლება ადამიანის რასით. ცდებმა აჩვენეს, რომ შიმპანზეებს შეუძლიათ ქეტონებისთვის მუშაობა. მათ ასწავლეს ქეტონების აპარატში ჩაშვება, რომელიც ბანანებს იძლეოდა ანდა ქეტონების გამოყენება სხვა სახის ჯილდოს მისაღებად. მას შემდეგ, რაც აუკრძალეს ავტომატთან მიახლოება, ისინი აგრძელებდნენ მუშაობას და მიღებულ ქეტონებს მანამდე ინახავდნენ, სანამ მათ ისევ არ მისცეს ავტომატთან მიახლოების უფლება (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

მასწავლებლებმა და ექსპერიმენტატორებმა დაადგინეს, რომ მეორადი ანუ პირობითი განმამტკიცებელი უფრო მარტივი გამოსაყენებელია და გაცილებით ეფექტურიცაა, ვიდრე პირველადი განმამტკიცებელი. ვინაიდან: (ა) რამოდენიმე პირველადი განმამტკიცებელი ყოველთვისაა კლასში მაშინ, როცა ნებისმიერი სტიმულის გამოვლენა, რომელსაც მასწავლებელი აკონტროლებს, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პირობითი განმამტკიცებლად; (ბ) სწრაფად შეიძლება მათი გაცემა; (გ) ისინი ადვილად გადასატანია; (დ) მათი განმტკიცების ეფექტი უფრო სწრაფია, რადგან ის დამოკიდებულია განმამტკიცებლის მიღებაზე და არა ბიოლოგიურ განპირობებულობაზე, როგორც ეს პირველადი განმამტკიცებლის დროსაა (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

ზოგიერთ დაწესებულებაში, მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან ნარკოლოგიურ დისპანსერში, ქეტონების ეკონომიკა ამ პრინციპებს ემყარება. სასურველი ქცევები (მაგალითად, მედიკამენტის მიღება) კარგად განიმარტება და როცა ეს ქცევა გამოვლინდება, პაციენტს მომსახურე პერსონალი ქეტონის სახით აძლევს საზღაურს. მოგვიანებით, ეს ქეტონები პაციენტმა შეიძლება გადაცვალოს სხვა ტიპის ჯილდოზე ან პრივილეგიაზე (Kazdin, 1994; Martin & Pear, 1999, წყაროში გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). განმამტკიცებელთა ეს სისტემა განსაკუთრებით ეფექტურია პაციენტის ქცევის მოდიფიცირებისთვის თავის მოვლის ქცევის ჭრილში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი პოზიტიური სოციალური ურთიერთობების გაზრდის თვალსაზრისით.

განმამტკიცებლები, რომლებზეც ვსაუბრობთ, *განზოგადებული* განმამტკიცებლებია, ანუ ისინი ერთზე მეტ პირველად განმამტკიცებელთან ასოცირდებიან.<sup>7</sup>

ძალიან მნიშვნელოვანი განმამტკიცებელი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის ქცევაზე, არის წარმატება გარემოთი მანიპულირებაში. სკინერი მიუთითებს, რომ უბრალოდ ისიც კი განამტკიცებს ქცევას, რომ ის „ეფექტურია“ ან „მართებულია/სწორია“. იგი თვლის, რომ ადამიანის შესაძლებლობა, ამგვარად განმტკიცებული ქცევები განახორციელოს, ევოლუციურ თეორიაში იღებს სათავეს (Skinner, B. F., 1974).

## განმამტკიცებლების პიროვნული ისტორია

სკინერის ფსიქოლოგიაში „პიროვნება“, უპირატესად, ინდივიდის *განმამტკიცებლების პიროვნული*

<sup>7</sup> აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ საკამათო ხდება ყურადღების, მოწონებისა და ემოციური დამოკიდებულების ბუნება; თვლიან, რომ ისინი უფრო მეტია, ვიდრე განპირობებული განმამტკიცებლები, რადგან, შესაძლოა, პირველადი განმამტკიცებლების გარკვეული მახასიათებლების მატარებელნიც იყვნენ და ამიტომ ბაზისურ ბიოლოგიურ ფაქტორებს განეკუთვნებოდნენ (Nye, R. D., 2000).

ისტორიის შედეგია (Nye, R. D., 2000).<sup>8</sup> შეადარეთ მოჩხუბარი და ფიზიკური ძალადობისკენ მიდრეკილი ადამიანი ადამიანს, რომელიც ძალიან მეგობრული და არაძალადობრივია. როგორ მოხდა, რომ ამ ორი ადამიანის ქცევა ესოდენ განსხვავდება ერთმანეთისგან? სკინერის თეორია ვარაუდობს, რომ მათ შორის განსხვავების კრიტიკული/გადამწყვეტი ფაქტორი განმტკიცების განსხვავებული ისტორიებია (Skinner, B. F., 2005a). პირველი ინდივიდის აგრესიული ქცევები, შესაძლოა, მშობლებისა და თანატოლების მხრიდან წახალისდა და დაჯილდოვდა (დადებითად განმტკიცდა) (იხ. შემდეგი ქვეთავი); ასევე, იმ გარემოში, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს და საქმიანობს, ასეთი ქცევები, ალბათ, წარმატებული და, მაშასადამე, დადებითად განმტკიცებული ადაპტაციებია. ამასთან, უარყოფითი განმტკიცება, სავარაუდოდ, მისი აგრესიული ქცევის გაზრდაზე მუშაობდა, სხვა სიტყვებით, აგრესიული ქცევა მას ეფექტურად არიდებდა თავიდან არაკომფორტულ ან საშიშ სიტუაციებს.

არააგრესიული, მეგობრული ადამიანის გამოცდილება, პირიქით, სავარაუდოდ, ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ წახალისებუდიყო და განმტკიცებუდიყო სასიამოვნო, არააგრესიული ქცევები და მისი აწმყო გარემოც აგრძელებს ასეთი ქცევის განმტკიცებას. სკინერისეული ფსიქოლოგიის დაშვებაა, რომ ამ ორივე ადამიანს (თუ გამოვრიცხავთ მნიშვნელოვანი გენეტიკური განსხვავებების ან დეფექტების არსებობას) წარსულში შეეძლებოდათ ქცევათა ამ ორი ნაკრებიდან ნებისმიერის ათვისება. განსხვავებულ განმამტკიცებელთა კრებულმა შედეგად მოგვცა ის ქცევები, რომლებიც ტიპური გახდა თითოეული მათგანისთვის (Nye, R. D., 2000).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ოპერანტული ქცევის განმამტკიცებლები ხშირად ძალიან ნატიფი და მოუხელთებელია. სხვა სიტყვებით, ყოველთვის არ არის ადვილი პიროვნების ცხოვრებისეულ ისტორიაში მნიშვნელოვანი განმამტკიცებელი მოვლენების პოვნა (Nye, R. D., 2000).<sup>9</sup> მაგალითად, ერთ ოჯახურ გარემოში გაზრდილი იდენტური ტყუპები შეიძლება სრულიად განსხვავებული ქცევის მქონე მოზრდილებად ჩამოყალიბდნენ. როგორ ხდება, რომ ისინი ესოდენ განსხვავებულები აღმოჩნდნენ, თითქოსდა ერთი და იგივე მშობლების, გარემოსა და მიმდინარე მოვლენების პირობებში? ამ კითხვაზე პასუხს ვერ მივიღებთ, თუ პასუხის გაცემას მხოლოდ განმამტკიცებლების ისტორიის ზოგად მახასიათებლებზე ფოკუსირებით ვეცდებით. თუ ბიპევიორალური განსხვავებების გაგება გვსურს, აუცილებელია დეტალური ინფორმაციის მოძიება. ასეთი დეტალური ინფორმაციის ქონის პირობებში პიროვნულ ისტორიაში უამრავ შემთხვევას აღმოვაჩენთ, როდესაც ერთი ტყუპისცალის ქცევები და ამ ქცევების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მეორისგან. შეუძლებელია ისეთი შემთხვევის წარმოდგენა, როდესაც ორი ადამიანი, იდენტური ტყუპებიც კი, ზუსტად ერთნაირ ქცევას ახორციელებენ ზუსტად იგივე შედეგებით. შესაბამისად, ორ ადამიანს ვერ ექნება ზუსტად ერთი და იგივე „პიროვნება“, მიუხედავად იმისა, რომ მათ, შესაძლოა, ბევრი რამ ჰქონდეთ მსგავსი, განმამტკიცებლების ძალიან მსგავსი ისტორიების გამო (Nye, R. D., 2000).

აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომა განმამტკიცებლების პიროვნული ისტორიების შესწავლისადმი და დებულება, რომ ორ ადამიანს ვერ ექნება ზუსტად ერთნაირი ისტორია, პიროვნების შესწავლის იდეოგრაფიულ მიდგომას შეესატყვისება (Cloninger, S. C., 2004).

## დადებითი და უარყოფითი განმტკიცება

ქცევა, რომელიც ადაპტურია მოცემულ გარემოში, ძლიერდება. სკინერის კვლევა გვიჩვენებს, რომ ქცევის უშუალო, ხანმოკლე შედეგები უფრო ძლიერად ზემოქმედებენ ამ ქცევაზე, ვიდრე ნებისმიერი დროში გადავადებული, მომავალში პოტენციურად მოცემული შედეგი. რეალურ სამყაროში ხშირად

<sup>8</sup> მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკური მოცემულობაც ასრულებს თავის როლს, განმამტკიცებლები განაპირობებენ იმ კონკრეტულ ქცევებს, რომელთა ფორმირება და შენარჩუნება ხდება და რომლებიც ტიპურია მოცემული ინდივიდისთვის (Nye, R. D., 2000).

<sup>9</sup> იმის გასარკვევად, ესა თუ ის მოვლენა არის თუ არა განმამტკიცებელი მოცემული ორგანიზმისთვის მოცემულ პირობებში, აუცილებელია მათზე უშუალო დაკვირვება და შემოწმება (Skinner, B. F., 2005a).



ხდება, რომ ქცევის უშუალო შედეგები განსხვავდება ხანგრძლივი შედეგებისგან. მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარებას უშუალოდ თანმდევი ხანმოკლე სიამოვნება მოაქვს, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს ქცევა წარუმატებელი საქმიანობის მიზნის შეიძლება გახდეს (Cloninger, S. C., 2004).

მოვლენები, რომლებსაც განმამტკიცებელი ეფექტი აქვთ, ორგანიზმის შეიძლება იყოს (Skinner, B. F., 2005a): ზოგიერთი განმამტკიცება სტიმულის მიწოდებას ანუ სიტუაციაში რაღაცის დამატებას (მაგალითად, საკვების, წყლის ან სექსუალური კონტაქტის) გულისხმობს. მათ სკინერი დადებით განმამტკიცებლებს უწოდებს. არის შემთხვევები, როდესაც ვაშორებთ სტიმულს ანუ სიტუაციას აკლდება რაღაც, მაგალითად, დიდი ხმაური, კაშკაშა სინათლე, ყინვა ან სიცხე. მათ სკინერი უარყოფით განმამტკიცებლებს უწოდებს (Skinner, B. F., 2005a).

პროცესს, როდესაც ქცევას სასარგებლო სტიმულის მიწოდება მოყვება, დადებითი განმამტკიცება ეწოდება. ვირთხა შემოუვლის ყუთს, თუკი ამ ქცევის შედეგი საკვების მიწოდება იქნება. ადამიანები კვლავაც მოყვებიან ანეკდოტებს, თუ ამის შედეგად მსმენელთა სიცილსა და აღფრთოვანებას მიიღებენ, რაც, თავის მხრივ, მათ სიამოვნებას ანიჭებს.

პროცესს, როდესაც ქცევას ავერსიული/უსიამოვნო სტიმულის ჩამოშორება მოჰყვება, უარყოფითი განმამტკიცება ეწოდება. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც მარწყვი არ უყვარს, განახორციელებს ქცევას, რომელიც მას თავიდან აარიდებს მარწყვის ჭამას. ქოლგის გამოყენება წვიმის დროს იმისათვის, რომ არ დავსველდეთ, უარყოფითი განმამტკიცების ეფექტის კლასიკური მაგალითია. ამ შემთხვევაში ავერსიული სტიმულია დასველება, ქოლგის გამოყენებით კი თავიდან ვიცილებთ ავერსიულ სტიმულს. მანქანის უსაფრთხოების ღვედის სიგნალიც, ერთგვარად, უარყოფითი განმამტკიცებლის ფუნქციას ასრულებს. მისი შემაწუხებელი ხმის გაჩერება ღვედის გადაჭრით არის შესაძლებელი (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

დადებითი განმამტკიცება ზრდის იმ ქმედების გამეორების ალბათობას, რომლის შემდეგაც ჩნდება ის: ჭიქა წყალი დადებითი განმამტკიცებაა იმ შემთხვევაში, თუ გვწყურია, ვინაიდან თუ ამ დროს ავიღებთ და დავლევთ, მაშინ დიდია ალბათობა, რომ მსგავს სიტუაციაში იგივეს გავაკეთებთ. უარყოფითი განმამტკიცება აძლიერებს იმ ქცევას, რომელიც ამცირებს ან აკრობს ასეთი განმამტკიცების გამოჩენის ალბათობას: როდესაც ვიხდით ფეხსაცმელს, რომელიც ფეხს გვტკენს, შევბას ვგრძნობთ და დიდია ალბათობა იმისა, რომ შემდგომშიც ასევე მოვიქცევით, ანუ ისევ გავიხდით მას (Skinner, 1974, გვ. 46).

იმისათვის, რომ კარგად გავარჩიოთ ერთმანეთისგან დადებითი და უარყოფითი განმამტკიცება, დავიმახსოვროთ შემდეგი კანონზომიერება: ორივე – დადებითი და უარყოფითი განმამტკიცება – ზრდის იმ რეაქციის ალბათობას, რომელიც წინ უსწრებს მათ. დადებითი განმამტკიცება ზრდის რეაქციის ალბათობას სასარგებლო სტიმულის მიწოდებით, ხოლო უარყოფითი განმამტკიცება იგივეს აკეთებს, ოღონდ საპირისპირო მექანიზმით – ავერსიული სტიმულის ჩამოცილებით, შემცირებით ან შეფერხებით (Nye, R. D., 2000; Skinner, B. F., 2005a). უარყოფითი განმამტკიცება, პრაქტიკულად, ქცევას განმამტკიცებს იმით, რომ მას არ მოსდევს თან უარყოფითი განმამტკიცებელი (მაგალითად, სასურველი ქცევის განხორციელებას არ მოსდევს ხმაური, არ სდევს თან კაშკაშა სინათლე, არ მიეწოდება ელექტროშოკი) (Skinner, B. F., 2005a).

უარყოფითი განმამტკიცებელი თავისი არსით არასასურველია ადამიანისთვის. ის სწორედ ის სტიმულია, რომლის თავიდან არიდებასაც ესწრაფვის ორგანიზმი. დადებითი და უარყოფითი შედეგები არეგულირებენ ქცევას. ეს არის სკინერის თეორიის საფუძველი. მან ივარაუდა, რომ ნებისმიერი ქცევა შეიძლება გავიგოთ, როგორც დადებითი და უარყოფითი განმამტკიცებლებით განპირობებული. გარდა ამისა, სკინერი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია ნებისმიერი ქცევის ახსნა, თუ ვიცით ყველა წინმსწრები განმამტკიცებლის შესახებ (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი განმამტკიცებელი განსხვავდება დასჯისგან (Cloninger, S. C., 2004). მართალია, ორივე ავერსიულია, მაგრამ ქცევაზე განსხვავებულად მოქმედებენ. უარყოფითი განმამტკიცება, როგორც ვიცით, ზრდის ქცევის სიხშირეს, დასჯის შედეგი კი ქცევის შემცირებაა (იხ. ქვემოთ).

### **სკინერისეული ტერმინები „დადებითი“ და „უარყოფითი“**

სკინერის ტერმინები „დადებითი“ და „უარყოფითი“ არ უნდა გავიგოთ იმ მნიშვნელობით, რომლითაც

მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვიყენებთ (Nye, R. D., 2000). მაგალითად, სასურველი ადამიანის მხრიდან უარყოფა („ხელის კვრა“), როგორც წესი, უარყოფითად აღიქმება, მაგრამ ეს ფაქტი, შესაძლოა, ურთიერთობის დამყარების უფრო ხშირი და ინტენსიური მცდელობების წინაპირობად იქცეს. თუ უარყოფა ურთიერთობის დამყარების მცდელობების მატების წინაპირობა ხდება, მაშინ ის დადებით განმამტკიცებლად განიხილება.

ანალოგიურად, უარყოფითი განმამტკიცებელი ყოველთვის არ არის მოვლენა, რომელიც ზოგადად, „უარყოფითად“ არის მიჩნეული. მაგალითად, ტინეიჯერი ვაჟიშვილის მიმართ მშობლის მხრიდან სიყვარულის ღიად, დაკვირვებადი ქცევით (მაგალითად, ჩახუტებითა და კოცნით) გამოხატვა, შესაძლოა, უარყოფითი განმამტკიცებელი იყოს (განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მისი მეგობრების თვალწინ ხდება). შესაბამისად, შეიძლება ვაჟიშვილს განუმტკიცდეს მშობლის შეურაცხმყოფელი ქცევა, თუ ის ამ ქცევით თავიდან აირიდებს მშობლის მხრიდან სიყვარულის გამომხატველ თვალსაჩინო ქცევებს.

ამრიგად, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ განმამტკიცებელი დადებითია თუ უარყოფითი, მათი მოქმედების შედეგებით განისაზღვრება და არა — მათი საზოგადოდ მიღებული მნიშვნელობებით.

რადაცას ვერ ვუწოდებთ დადებით ან უარყოფით (ავერსიულ სტიმულს) განმამტკიცებელს მანამ, სანამ არ დავაკვირდებით მის ეფექტს. ვიდრე რაიმეს დადებით განმამტკიცებელს დავარქმევთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ სიტუაციაში მისი დამატება/შეტანა გაზრდის სასურველი რეაქციების ალბათობას. ანალოგიურად, უარყოფითი განმამტკიცებლის შემთხვევაში უნდა დავრწმუნდეთ, რომ სიტუაციიდან მისი ამოღება/მოშორება, ასევე, გაზრდის სასურველი რეაქციის განხორციელების ალბათობას (Nye, R. D., 2000).

ამგვარი ექსპლიციტური სახელდება თავიდან აგვარიდებს დაბნეულობასა და გაურკვევლობას ქცევის პროგნოზირებისა და გაკონტროლებისას.

## დასჯა და ოპერანტული ჩაქრობა: საპასუხო ქცევის/რეაქციის სიხშირის შემცირება

არსებობს ქცევის მოდიფიცირების მეორე გზა, რომელიც, ერთი შეხედვით, შესაძლოა, ძნელი გასარჩევი იყოს და ემსგავსებოდეს განმტკიცების პროცესს, თუმცა, რეალურად, არსებითად განსხვავდება მისგან. ეს არის დასჯა, რომლის შედეგადაც ხდება ქცევის სიხშირის ან ინტენსივობის შემცირება. ძირითადი განმსხვავებელი განმტკიცებისა და დასჯის პროცესებში ისაა, რომ თუ განმტკიცების შემთხვევაში, იქნება ეს დადებითი (სიტუაციაში სტიმულის შეტანა) თუ უარყოფითი (სიტუაციიდან სტიმულის მოშორება), შედეგად იზრდება სამიზნე რეაქციის სიხშირე/ინტენსივობა, დასჯის შემთხვევაში სამიზნე ქცევის სიხშირე/ინტენსივობა იკლებს. დასჯა არის დამსჯელის მიწოდება, რასაც მოჰყვება რეაქცია დამსჯელის წინმსწრები ქცევის მომავალში გამოვლენის ალბათობის შემცირების სახით.

შესაბამისად, დამსჯელია ნებისმიერი სტიმული, რომელიც დროთა განმავლობაში ამცირებს ამა თუ იმ რეაქციას (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

## დადებითი და უარყოფითი დასჯა

ქცევის გაკონტროლების ალტერნატიულ გზას სკინერი, როგორც უკვე აღინიშნა, დასჯას უწოდებს. მას მიაჩნია, რომ ამ ტექნიკის ეფექტურობა შეზღუდულია და, ზოგადად, კონტროლის არასასურველი საშუალებაა (Nye, R. D., 2000). სკინერი დასჯას განმარტავს, როგორც სიტუაციაში უარყოფითი სტიმულის შეტანას ან დადებითი სტიმულის მოშორებას (Skinner, B. F., 2005a). დასჯის უშუალო ეფექტი ოპერანტული ქცევის სიხშირის შემცირებაა. სკინერის ყუთში მოთავსებული ცხოველი სწრაფად დაისწავლის ნებისმიერი ქცევის შეწყვეტას, თუ ამ ქცევას ელექტროშოკით დასჯისკენ მიჰყავს. დასჯა ემოციურ რეაქციებსაც (მათ შორის, შიშსა და შფოთვის) იწვევს, რომლებიც მას შემდეგაც ნარჩუნდება, რაც არასასურველი ქცევა შეწყდება. ეს ემოციები ხშირად სხვა სიტუაციებზეც გენერალიზდება, მაგალითად, სექსუალური ძიების გამო დასჯილმა ბავშვმა შემდგომში ისეთ სიტუაციებშიც კი შეიძლება განიცადოს შფოთვა, როდესაც

სექსუალური ქცევა სრულიად ადეკვატურია. მშობლებისთვის სიტყვის შებრუნების გამო დასჯილმა ბავშვებმა შეიძლება მაშინაც იშფოთონ, როდესაც საკუთარი მოსაზრების გამოთქმის აუცილებლობა შეექმნებათ, ანუ როდესაც სასურველი და მოსალოდნელია, რომ ილაპარაკონ (Cloninger, S. C., 2004).

დასჯა ხშირად ეფექტურია ქცევის მცხდარი და ხანმოკლე დროის განმავლობაში შემცირების თვალსაზრისით, თუმცა, ეფექტი მხოლოდ მანამდე გრძელდება, სანამ მაკონტროლებელი აგენტი თავს ახსენებს ინდივიდს; უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში თუ განვიხილავთ, დასჯილი ქცევა ხშირად უკან ბრუნდება და ისევ იჩენს თავს (Cloninger, S. C., 2004). სწორედ ამიტომ მიიჩნევა სკინერი დასჯას ქცევის კონტროლის ნაკლებად ეფექტურ და სასურველ საშუალებად. დასჯის ნაცვლად ის გვთავაზობდა არასასურველი ქცევის სხვა, ალტერნატიული ქცევით ჩანაცვლებას ამ უკანასკნელის განმტკიცების გზით. ეს საშუალებას მოგვცემს, დასჯის გამოუყენებლად არასასურველი ქცევა ჩანაცვლდეს მისი არათავსებადი, მეტად სასურველი ქცევით (Cloninger, S. C., 2004) (იხ. ქვემოთ).

ამრიგად, სკინერი განსაზღვრავს ორი სახის დასჯას, რომელიც ქცევის შედეგის სახით ჩნდება. ერთ შემთხვევაში რეაქციას მოჰყვება უარყოფითი (ავერსიული) განმამტკიცებლის წარდგენა, ხოლო მეორე შემთხვევაში — დადებითი განმამტკიცებლის ჩამოშორება (Nye, R. D., 2000; Skinner, B. F., 2005a); შესაბამისად, გვაქვს ორი სახის დასჯა (განმტკიცების ანალოგიურად): დადებითი დასჯა და უარყოფითი დასჯა. დადებითი დასჯის შემთხვევაში ხდება ქცევის შემდეგ ავერსიული ანუ უარყოფითი სტიმულის წარდგენა/მიწოდება (სიტუაციას ემატება რაღაც და ამიტომაც პროცესი „დადებითი“), ხოლო უარყოფითი დასჯის შემთხვევაში ქცევას მოყვება დადებითი ანუ სასურველი სტიმულის ჩამოშორება (სიტუაციას აკლდება რაღაც და ამიტომაც პროცესი „უარყოფითი“).

დადებითი დასჯის ანუ ქცევის შემცირების მიზნით უარყოფითი განმამტკიცებლის მიწოდების მაგალითებია ისეთი გავრცელებული სიტუაციები, როგორცაა (Nye, R. D., 2000): ბავშვისთვის შენიშვნის მიცემა ცუდად მოქცევის გამო, მუშისთვის საყვედურის გამოცხადება სამუშაო ადგილზე დაშვებული შეცდომის გამო, მძღოლის დაჯარიმება სიჩქარის გადაჭარბების გამო.

უარყოფითი დასჯის ანუ ქცევის შემცირების მიზნით დადებითი განმამტკიცებლის ჩამოშორების მაგალითებია ისეთი სიტუაციები, როგორცაა (Nye, R. D., 2000): ტინეიჯერისთვის საპასუხო პოზიციის დაფიქსირების უფლების ჩამორთმევა, გაკვეთილზე ლაპარაკის გამო ბავშვის სხვა მერხთან, მეგობრისგან მოშორებით გადასმა, სამსახურში დაგვიანების გამო თანამშრომლებისთვის ხელფასიდან გარკვეული თანხის დაქვითვა, ჩვენთვის უინტერესო თემაზე მოსაუბრე ადამიანის მარტო დატოვება.

მიუხედავად იმისა, რომ დასჯა და განმტკიცება ძალიან ახლოს მდგომი ცნებებია, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამაზე, პირველ რიგში, ის მიგვანიშნებს, რომ მათ სხვადასხვა ტერმინით აღვნიშნავთ. განსაზღვრების მიხედვით, დასჯა ყოველთვის ამცირებს ქცევას, განმტკიცება კი ყოველთვის ზრდის მას. მაგალითად, ზოგიერთ ადამიანს აწუხებს თავის მწვავე ტკივილი კოფეინიანი სასმელის მიღების შემთხვევაში. თავის ტკივილი არის სტიმული, რომელიც დადებითად სჯის ყავის დალევის ქცევას.<sup>10</sup> თუმცა, თავის ტკივილის დროს ტკივილის გასაყუჩებლად ადამიანები ხშირად მიმართავენ წამლებს. წამლის ეფექტი არის სტიმული, რომელიც უარყოფითად განმამტკიცებს წამლის მიღებას (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

### სკინერისეული ტერმინი „დასჯა“

ტერმინი „დასჯა“ მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართებულიად გამოყენებული, თუ ცნობილი უარყოფითი განმამტკიცებელია წარდგენილი, ან ცნობილი დადებითი განმამტკიცებელია ჩამოშორებული. არ არის საკმარისი უბრალოდ დაშვება იმისა, რომ რომელიმე მოვლენა დამსჯელი იქნება.

<sup>10</sup> ანუ „დასჯა“ იმიტომ, რომ თუ ვიცით, რომ ყავის დალევის შემთხვევაში თავი აგვტკივდება, ყავას აღარ დავლევთ; სხვა სიტყვებით, შემცირდება ალბათობა იმისა, რომ მომავალში დავლევთ ყავას (იმის შიშით, რომ თავი არ აგვტკივდეს). „დადებითი“ იმიტომ, ყავის დალევის მოჰყვება თავის ტკივილი (ანუ ავერსიული სტიმული), რომლის თავიდან არიდების მიზნით, აღარ ვსვამთ ყავას და ქცევა მცირდება.

დასჯის ზოგადი შედეგია იმ ქცევის *დათრგუნვა* (ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც), რომელიც მას უშუალოდ უსწრებს წინ; თუმცა, მრავალი *განზრახული* დასჯა ვერ აღწევს თავის მიზანს. მაგალითად, გაკვეთილზე ლაპარაკის გამო განმარტოებით გადასმული მოსწავლე მაინც აგრძელებს ლაპარაკს, დანაშაულის გამო ციხეში ყოფნის შემდეგ კრიმინალი ისევ სჩადის დანაშაულს, სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაჯარიმებული მძღოლი ისევ დიდი სიჩქარით მოძრაობს. ამ შემთხვევებში „დასჯად“ წოდებული მოქმედებები რეალურად არაეფექტურია და, მამასადამე, ვერ იწოდება დასჯად.

ხშირ შემთხვევაში, საზოგადოდ, დასჯად წოდებული სიტუაციები არასასურველ ქცევაზე, ფაქტობრივად, განმამტკიცებლის სახით მოქმედებენ. გაკვეთილზე არასათანადო ქცევის გამო სკოლის დირექტორთან გაგზავნილმა მოსწავლემ, შესაძლოა, თანაკლასელთა მოწონება და აღტაცება დაიმსახუროს სიმამაცისა და გამორჩეულობის გამო, რაც გაზრდის მსგავსი ქცევის განმეორების ალბათობას.

ასევე, აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ, ერთი მხრივ, დასჯა, როდესაც უარყოფითი ანუ ავერსიული სტიმულის მიწოდებით ან დადებითი სტიმულის ჩამოშორებით *მცირდება* ქცევის მომავალში განხორციელების ალბათობა, ან, სულ მცირე, დროებით მაინც *ითრგუნება* ის და, მეორე მხრივ, უარყოფითი განმტკიცება, როდესაც უარყოფითი სტიმულის ჩამოშორებით *იზრდება* მოცემული ქცევის მომავალში განხორციელების ალბათობა. ქცევის გაკონტროლების ეს ორი ტექნიკა ხშირად შეიძლება ერთმანეთში აგერიოთ და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ტერმინი „უარყოფითი განმტკიცება“ უბრალოდ „არგანმტკიცების“ სიტუაციად აღიქმება; თუმცა, როგორც უკვე ვიცით, სკინერისეულ ფსიქოლოგიაში ეს ასე არ არის (Nye, R. D., 2000).

### **ავერსიული კონტროლი და დასჯის ალტერნატივები**

„ავერსიული კონტროლი“ ძალიან პოპულარული მეთოდია იმის მისაღწევად, რომ ადამიანები ჩვენთვის სასურველად იქცეოდნენ. ამ შემთხვევაში პირობები იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ინდივიდები იმ ქცევებს ახორციელებენ, რომლებსაც სხვები მოელიან მათგან და ამით თავიდან ირიდებენ ავერსიულ (არასასურველ) შედეგებს. მთავრობები, ეკლესიები, სკოლები, დიდი ორგანიზაციები და სხვა სოციალური ინსტიტუტები ხშირად იყენებენ ამ მეთოდს მოქალაქეების, წევრების, სტუდენტებისა და თანამშრომლების ქცევის გასაკონტროლებლად (Nye, R. D., 2000).

ავერსიის გზით ადამიანებიც აკონტროლებენ ერთმანეთის ქცევას. ასე მაგალითად, ქმარმა შეიძლება ეკონომიური მდგომარეობის კონტროლის მეშვეობით აიძულოს ცოლი, რომ დამყოლი და დამჯერი იყოს. თუ ცოლი ისე არ მოიქცევა, როგორც ქმარს სურს, მან, შესაძლოა, ფულის მიცემაზე უთხრას ცოლს უარი. თუ ცოლს შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო არ გააჩნია, ეს ქმრის მხრიდან განხორციელებული კონტროლის ძალიან ეფექტური საშუალება იქნება. ამ სახის კონტროლი ხშირად ძალზე შეუმჩნეველი, ნატიფი და უთქმელი გზით მოქმედებს. ორივე პიროვნების ქცევას, შესაძლოა, მიმდინარე სიტუაცია აკონტროლებდეს, მაგრამ რეალური სიტუაცია არასოდეს გამოაშკარავდეს და მის შესახებ არაფერი ითქვას ხმამაღლა. ავერსიული კონტროლი ხშირად ახასიათებს მშობლისა და შვილის ურთიერთობებს. შვილები შეიძლება იმიტომ იქცეოდნენ „სათანადოდ“, რომ მშობლებმა არ შეწყვიტონ ჯიბის ფულის მიცემა; და, პირიქით, მშობლები ზოგჯერ შეიძლება „დანებდნენ“ შვილის მოთხოვნას, რათა მან შეწყვიტოს ტირილი, სლუკუნი, ფეხების ბაკუნი და განუწყვეტელი თხოვნები, ან ნებისმიერი სხვა ქცევა, რომელიც ავერსიულია მშობლისთვის. ამ შემთხვევაში ბავშვი იყენებს ავერსიულ კონტროლს მშობლის ქცევის გასაკონტროლებლად.

როგორც უკვე ვთქვით, სკინერი ეწინააღმდეგებოდა ავერსიული კონტროლის ადამიანთა ურთიერთობებსა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიზნებისთვის გამოყენებას. მას მიაჩნდა, რომ დადებითი განმტკიცება ქცევის გაკონტროლების გაცილებით ეფექტური საშუალებაა და, ძირითადად, იმიტომ, რომ მისი შედეგები გაცილებით მეტად პროგნოზირებადია და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დადებითი განმტკიცების დროს არასასურველი ქცევა ჩამოყალიბდეს. ავერსიული კონტროლის შესაძლო არასასურველი შედეგის ილუსტრაციაა, მაგალითად, სტუდენტი, რომელიც მასწავლებლის მუქარაზე (რაც სწავლის გაუმჯობესებისთვისაა მოწოდებული) გაკვეთილის გაცდენით, კურსის მიტოვებით,

ვანდალიზმის აქტებით, ან აპათიურობითა და გულგრილობით რეაგირებს.

სკინერს მიაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში არც დასჯას მოაქვს უკეთესი შედეგი. ზოგადად, სკინერი დასჯის წინააღმდეგეცაა. სკინერის თანახმად, ავერსიული კონტროლი მოწოდებულია მოსალოდნელი ქცევის ხელშესაწყობად და გასაზრდელად, ხოლო დასჯა არასასურველი ქცევის დათრგუნვას ისახავს მიზნად. ამასთან, სკინერის მიხედვით, დასჯა (რეაქციის შემდეგ ავერსიული სტიმულის მიწოდება ან დადებითი სტიმულის ჩამოშორება) არ არის განმტკიცების საპირისპირო პროცესი. ის არ ასუსტებს რეაქციის განხორციელების ზოგად ტენდენციას, მიუხედავად იმისა, რომ მან, შესაძლოა, დროებით დათრგუნოს გარკვეული ქცევები. ავერსიული კონტროლის მსგავსად, დასჯასაც ხშირად აქვს არასასურველი შედეგები;<sup>11</sup> მაგალითად, (ა) ადამიანმა შეიძლება თავი აარიდოს დასჯის სიტუაციების მსგავს სიტუაციებს; (ბ) დასჯილი პიროვნების „ცუდი“ ქცევა შეიძლება მხოლოდ დამსჯელის თანდასწრებით დაითრგუნოს; (გ) თუ დასჯა პერიოდულად ხდება, შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტი რეაქციის განხორციელებასა და მის შეკავებას შორის; (დ) თუ ადამიანს ხელი არ მიუწვდება დასჯილი ქცევის ალტერნატიულ ქცევებზე, ის „გარიყული“ ან „ურეაქციო“ გახდება (Nye, R. D., 2000).

თუ ვამბობთ, რომ დასჯა ზოგადად სუსტი ტექნიკაა, მაშინ არასასურველი ქცევისგან თავის დაღწევის სხვა რა მეთოდები არსებობს? არასასურველი ქცევისგან თავის დასაღწევად (Nye, R. D., 2000) ზოგჯერ შესაძლებელია (ა) იმ პირობების მოდიფიცირება, რომლებიც ამ არასასურველ ქცევებს განაპირობებენ (გამოცდაზე ჩურჩულის აღსაკვეთად შესაძლებელია „გადაშლილი წიგნის“ გამოყენება, შეფასების სისტემაში აქცენტების შეცვლა, საგამოცდო გარემოს იმგვარად ორგანიზება, რომ შეუძლებელი იყოს საუბარი); (ბ) არასასურველი ქცევის იგნორირება და ამით ჩაქრობა. თუ ქცევას არ მოჰყვება განმამტკიცებელი (როგორცაა „ყურადღების მიქცევა“), ქცევის სიხშირე შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამ ფორმით ქცევის ჩაქრობის სირთულე მისი ხანგრძლივობაა. მეორე პრობლემა ისაა, რომ განმამტკიცებლის შეკავების პირობებში, შესაძლოა, ემოციურ „ამოფრქვევას“ ჰქონდეს ადგილი. ამ რეაქციებს, როგორც წესი, „ბრაზს“ ან „ფრუსტრაციას“ უწოდებენ. ისინი შეიძლება ძალიან ავერსიული იყოს და ზოგჯერ ძნელია ასეთი ქცევის იგნორირება; (გ) არასასურველი ქცევის არათავსებადი ქცევით ჩანაცვლება. მაგალითად, თუ ბავშვი აგრესიულად იქცევა, შესაძლებელია აგრესიული ქცევების იგნორირება (ჩაქრობა) და სასურველ, პოზიტიურ ქცევებზე ყურადღების გამახვილება (დადებითი განმტკიცების მიწოდება). ამ ტექნიკის გამოყენებით შედეგებს უფრო სწრაფად მივიღებთ, ვიდრე მხოლოდ ჩაქრობის გამოყენებით.

ავერსიული კონტროლისა და დასჯის ამ ალტერნატივებს შედარებით იშვიათად იყენებენ, ვინაიდან მათი განხორციელება გაცილებით რთულია და ეფექტის მისაღებად მეტი დროა საჭირო. ამიტომ სხვების ქცევის კონტროლის უფრო მარტივი და სწრაფი საშუალება მუქარის ან სასჯელის გამოყენებაა. ამ მეთოდების გამოყენებას ერთადერთი წინაპირობა სჭირდება და ეს ძალაუფლებაა; თუმცა, ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს შეიძლება ცუდად შემოუბრუნდეს ადამიანს (Nye, R. D., 2000).

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ მართალია, სკინერი, ზოგადად, დასჯის წინააღმდეგი იყო, მოგვიანებით მან დააზუსტა, რომ ხანმოკლე და ფორსირებული ავერსიული სტიმულაცია შეიძლება ეფექტური იყოს აუტიზმის მქონე ბავშვების შემთხვევაში თვითდაზიანების ქცევაზე მუშაობისას (Nye, R. D., 2000).

## ოპერანტული ჩაქრობა

გავიხსენოთ, რომ კლასიკურ განპირობებულობაში თუ უპირობო სტიმული აღარ მოგვეწოდება, პირობითი ანუ განპირობებული რეაქცია თანდათან ქრება. იგივე კანონზომიერება ძალაში რჩება ოპერანტული განპირობებულობის შემთხვევაშიც: თუ განმამტკიცებელი მცირდება ან საერთოდ ჩამოცილებულია, ხდება *ოპერანტული ჩაქრობა*. ამრიგად, თუ ქცევა აღარ იწვევს მოსალოდნელ ეფექტსა

<sup>11</sup> ძლიერმა დასჯამ შეიძლება პერმანენტულად დათრგუნოს ქცევები, მაგრამ მან, ასევე, უკიდურესი „ემოციური“ რეაქციებიც შეიძლება გამოიწვიოს, რაც სერიოზულად შეაფერხებს შემდგომ დასწავლას. როგორი სასჯელიც არ უნდა გამოვიყენოთ, ყოველთვის არის „ემოციური გვერდითი ეფექტის“ წარმოქმნის ალბათობა (Nye, R. D., 2000).

და შედეგს, ის ბრუნდება იმ დონეზე, რომელზეც ოპერანტულ განპირობებულობამდე იყო.

საკუთარ თავზე დაკვირვებისას არ არის მწელი, აღმოვაჩინოთ ქცევები, რომლებიც გარკვეული პერიოდი განმტკიცებული იყო და შემდეგ ჩაქრა. გქონიათ შემთხვევა, რომ ტელეფონის აპარატში ფულის ჩაგდებისას მონეტა გაჭედო, ვერ გილაპარაკიათ და დაგირტყამთ ავტომატისთვის? თუკი ამ დროს ფული ჩავარდება ავტომატში, თქვენ სხვა დროსაც გაიმეორებთ იგივე ქცევას, რადგან მან ერთხელ უკვე მოიტანა შედეგი, მაგრამ მომავალში თუ თქვენი ცდა უშედეგოდ დასრულდა, ეს ქცევაც ჩაქრება (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009).

ამრიგად, როდესაც განმამტკიცებელი აღარ მოსდევს განხორციელებულ ქცევას, ანუ ხდება ამ ქცევის იგნორირება, ის აღარ გაძლიერდება და თანდათანობით მოიკლებს ამ ქცევის აღმოცენების სიხშირე. ბავშვი აღარ იმეცადინებს, თუ მისი მცდელობები აღარასოდეს განმტკიცდება ჯილდოთი ან უფროსების ყურადღებით; სტუდენტი თავს დაანებებს საკუთარი ინოვაციური იდეების თანაჯგუფელებისთვის შეთავაზებას, თუ მათი მხრიდან არანაირ დაინტერესებას არ დაინახავს (Nye, R. D., 2000). ამ პროცესს სკინერი (2005) *ოპერანტულ ჩაქრობას* უწოდებს. თუ მტრედს საკვებს აღარ მივაწოდებთ, ის შეწყვეტს ღილაკზე ნისკარტის შეხებას. ზოგადად, როდესაც ისეთ ქცევას ვახორციელებთ, რომელიც აღარ იძლევა ამონაგებს (უსარგებლო ხდება), ჩვენ უფრო და უფრო ნაკლებად გვხვალისება ამ ქცევის განხორციელება. თუ დავკარგეთ კალამი, რომელიც, ჩვეულებრივ, მარჯვენა ჯიბეში გვედო, უფრო და უფრო ნაკლებად წავიღებთ ხელს ამ ჯიბისკენ კალმის ამოსაღებად. თუ ნაცნობთან დარეკვისას ის არ გვპასუხობს ზარზე, უფრო და უფრო იშვიათად დაფურეკავთ მას (Skinner, B. F., 2005a).

ოპერანტული ჩაქრობა გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ოპერანტული განპირობება (Skinner, B. F., 2005a), ამიტომ ის უფრო მარტივია განსახორციელებლად. ქცევის მრუდი უფრო გლუვია და ჩაქრობის დინამიკის აღმოჩენა, ძირითადად, მხოლოდ ქცევის ჩაწერის პირობებშია შესაძლებელი.

ზოგ სიტუაციაში ოპერანტული ჩაქრობის მრუდის ჩვეულ ფორმას ემოციური ეფექტი არღვევს. რეაქციის შემდგომ მოსალოდნელი განმამტკიცებლის არარსებობას არა მხოლოდ ოპერანტულ ჩაქრობამდე მივყავართ, არამედ — ფრუსტრაციის ან რისხვის რეაქციებამდეც. სკინერის მტრედი, რომელიც ველარ იღებს საკვებს სასურველი ქცევის შემდეგ, ზურგს აქცევს საკვებისთვის განკუთვნილ ჭურჭელს, ფრთებს შლის, ღულუნებს და სხვა ემოციურ ქცევებს ავლენს. ადამიანის ორგანიზმიც ავლენს მსგავს ორმაგ ეფექტს. თუ პატარა ბავშვი ველოსიპედის პედლებზე დაჟინებული დაწოლით მაინც ვერ აამუშავებს და ადგილიდან ვერ დაძრავს ველოსიპედს, ის არამარტო წყვეტს პედლებზე ფეხის დაჭერას, არამედ ბრაზდება და, სავარაუდოდ, ფეხს არტყამს ველოსიპედს (Skinner, B. F., 2005a). ყავის ავტომატში ფულის ჩაგდების შემდეგ თუ ყავა არ ჩამოისხა, შეიძლება გაბრაზებულემა მუშტიც მივარტყათ მას და უწმაწური სიტყვებიც მივაყოლოთ.

ჩაქრობის დროს აღმოცენებული ქცევა მანამდე განხორციელებული განპირობების შედეგია და, ამ თვალსაზრისით, ჩაქრობის მრუდი დამატებით ინფორმაციას იძლევა განმტკიცების ეფექტის შესახებ. ზოგადად, რაც უფრო ნაკლები რაოდენობის რეაქციები იქნა განმტკიცებული, მით სწრაფად ჩაქრება ქცევა, თუმცა, ჩაქრობისადმი წინააღმდეგობის ინტენსივობას ვერ ვიწინასწარმეტყველებთ ნებისმიერ მოცემულ მომენტში დაკვირვებადი ქცევის გამოვლენის ალბათობის მიხედვით. ამისათვის განმამტკიცებლების ისტორიას უნდა ვიცნობდეთ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ახალ რესტორანში მისვლის ქცევა განგვიმტკიცდა გემრიელი საჭმელით, ერთხელ შეხვედრილი უგემური კერძის გამო შეიძლება საერთოდ აღარ შევიდეთ ამ რესტორანში, ხოლო თუ რომელიმე სხვა რესტორანში წლების მანძილზე უგემრიელეს კერძებს მივირთმევთ, იქ შემოთავაზებული რამდენიმე არც თუ ისე გემრიელი კერძი (სხვა თანაბარ პირობებში) არ იქნება საკმარისი, რომ იქ აღარ მივიდეთ (Skinner, B. F., 2005a).

## ქვეთავის შეჯამება

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ოპერანტული ქცევა „გამოსხივებული“, გენერირებულია და თავისივე შედეგების ზემოქმედებას განიცდის. ოპერანტული ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია

განმამტკიცებელი (დადებითი ან უარყოფითი), რომელიც აძლიერებს ქცევას. ამ პროცესს ოპერანტული განპირობება ეწოდება. ამ გზით განპირობებული ქცევები შეადგენენ ჩვენი ქცევითი რეპერტუარის ტიპურ რეაქციებს. ჩვენს მრავალ რეაქციას არ მოსდევს განმამტკიცებელი, რაც შედეგად მათ შემცირებას და საბოლოოდ ჩაქრობას იწვევს. ჩვენი უნიკალური „პიროვნებები“, ძირითადად, განმამტკიცებლების ინდივიდუალური ისტორიისა და გენეტიკური მემკვიდრეობის კომბინაციის შედეგია.

სურ. N 6. ქცევის დასწავლისა და კონტროლის მექანიზმები.



სკინერი ქცევის კონტროლის ორ ძირითად მექანიზმს აღწერს: ესენია განმტკიცება და დასჯა. განმტკიცების შედეგად ყოველთვის მატულობს ქცევის სიხშირე/ინტენსივობა, ხოლო დასჯის შედეგად — ყოველთვის იკლებს. გარდა ამისა, სკინერმა განსაზღვრა (ა) დადებითი და უარყოფითი განმტკიცება და (ბ) დადებითი და უარყოფითი დასჯა. აქ სიტყვა „დადებითი“ აღნიშნავს შემთხვევებს, როდესაც რაღაც ემატება სიტუაციას, ხოლო

„უარყოფითი“ — შემთხვევებს, როდესაც რაღაც ჩამოცილება სიტუაციას.

დადებითი განმტკიცების შემთხვევაში სიტუაციას ემატება სასიამოვნო სტიმული, ხოლო დადებითი დასჯის შემთხვევაში — უსიამოვნო სტიმული. უარყოფითი განმტკიცების შემთხვევაში სიტუაციას ჩამოშორდება უარყოფითი სტიმული, ხოლო უარყოფითი დასჯის შემთხვევაში — სასიამოვნო სტიმული (იხ. სურ. N6).

## ცვლილებები ქცევაში

### დისკრიმინაციული სტიმული და განზოგადება

როდესაც რესპონდენტულ ქცევაზე ვსაუბრობდით, ვთქვით, რომ რესპონდენტულ განპირობებაში ქცევა გარკვეული სტიმულის საპასუხოდ აღმოცენდება და შემდეგ ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს ასე არ ხდება ოპერანტული განპირობების შემთხვევაში, ვინაიდან ოპერანტული ქცევა, ასე ვთქვათ, „გამოსხივდება“ (შედეგიდან). მიუხედავად ამისა, ოპერანტულ ქცევაზე მაინც ზემოქმედებენ გარკვეული სტიმულები. მაგალითად, ექსპერიმენტში სკინერის ყუთში მოთავსებული მტრედის მიერ განხორციელებული აკენკვის ქცევა მხოლოდ მაშინ განმტკიცდება, როდესაც ნათურა ანთია. როდესაც ნათურა ქრება, კენკვას არ მოჰყვება განმამტკიცებელი. შესაბამისად, მტრედი მხოლოდ მაშინ აკენკვას, როდესაც ნათურა ანთებულია. ასევე, ანთებული ნათურა შედეგად მოგვცემს აკენკვის ქცევას (Nye, R. D., 2000). ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მტრედმა იმაზე მეტი უნდა დაისწავლოს, ვიდრე საკუთარი ქცევისა და მისი თანმდევი განმამტკიცებლის თანმიმდევრობაა.

ამრიგად, ოპერანტული განპირობება უფრო მეტია, ვიდრე გარკვეული ქცევების სიხშირის მატება განმტკიცების მეშვეობით და სხვა ქცევების სიხშირის შემცირება დასჯის ან იგნორირების (განმამტკიცებლის არმიწოდების) გზით. ორგანიზმებმა ისიც უნდა დაისწავლონ, როდის და სად უნდა განახორციელონ ან თავი შეიკავონ გარკვეული ქცევებისგან. მაგალითად, ჩუმად ყოფნა შეიძლება განმტკიცდეს გაკვეთილზე, მაგრამ არა — სათამაშო მოედანზე. სკოლის მოსწავლემ შეიძლება დაისწავლოს ამ ორი გარემოს ერთმანეთისგან გარჩევა და თითოეულ მათგანში სათანადო ქცევის განხორციელება.

ამრიგად, საკლასო ოთახი, მერხები და მასწავლებელი მისთვის შეიძლება დისკრიმინაციულ სტიმულად იქცეს: როდესაც ეს სტიმულები მოცემულია გარემოში, მოსალოდნელია, რომ გარკვეული ქცევები (კითხვა, წერა, ჩუმიად ყოფნა) განმტკიცდეს, ხოლო სხვა ქცევები (სირბილი, ბურთით თამაში) — არა, ან დაისაჯოს კიდევ (Nye, R. D., 2000). სკინერის მტრედის შემთხვევაში, სინათლე იქცევა დისკრიმინაციულ სტიმულად და ამით აკონტროლებს აკენკვის ქცევას. სტიმულსა და რეაქციას შორის ასეთი ურთიერთმიმართების დამყარება არ არის იგივე, რაც რესპონდენტული განპირობებისას ხდება. აკენკვა დასაწყისშივე არ იყო „გამოსხივებული“ ქცევა; ის არ აღმოცენდება რომელიმე კონკრეტული სტიმულის საპასუხოდ. მხოლოდ მას შემდეგ დაუკავშირდა ის სინათლის სტიმულს, რაც მტრედმა „გამოსხივა“ აკენკვის ქცევა და ის განმტკიცდა ანთებული ნათურის ფონზე. ამგვარად, როდესაც იმიტომ არის მოსალოდნელი რეაქციის განხორციელება გარემოში გარკვეული სტიმულის მოცემულობის პირობებში, რომ ამ დროს შესაძლებელია განმტკიცების მიღება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოხდა დისკრიმინაცია.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ქცევითი პატერნები, შესაძლოა, გარემო პირობების ფართო დიაპაზონში იქნას განმტკიცებული. ამ შემთხვევაში გენერალიზაციასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ბავშვი შეიძლება დავაჯილდოვოთ სიმართლის თქმისთვის სახლში, სკოლასა და სათამაშო მოედანზე. იდეალურ შემთხვევაში, ის დაისწავლის, რომ ასეთი ქცევა (სიმართლის თქმა) პრაქტიკულად ყოველთვის მისაღებია და, შესაბამისად, სტიმულთა ფართო დიაპაზონის მოცემულობის პირობებში უნდა განხორციელდეს (McAdams, D. P., 2006).

## შეიპინგი: ქცევის ფორმირება

სკინერი ოპერანტული განპირობების მეშვეობით ქცევის ფორმირებას ქანდაკების გამოკვეთის პროცესს ადარებს. ოპერანტული ქცევები, როგორცაა, მაგალითად, სკინერის ყუთში ბერკეტზე დაჭერა საკვების მისაღებად, ან მოსწავლეების მიერ გაკვეთილზე კითხვა და წერა, ერთბაშად არ ჩნდება ჩამოყალიბებული, დასრულებული სახით. ისინი ფორმირდებიან, ფორმას იძენენ თანდათანობით, თანმიმდევრული ეტაპების გავლით. ტერმინი „შეიპინგი“ თანმიმდევრული

სურ. N 7. შეიპინგის შედეგის ილუსტრაცია.



მიახლოებების დიფერენციალურ განმტკიცებას მოიაზრებს; სასურველ რეაქციასთან უფრო და უფრო მიახლოებული რეაქციები საჭირო განმამტკიცებლის მისაღებად ხორციელდება. მაგალითად, როდესაც ბავშვი ლაპარაკს სწავლობს, დასაწყისში განმტკიცდება ნებისმიერი მიახლოება სიტყვებთან. მოგვიანებით ასეთ ქცევას აღარ მოჰყვება განმამტკიცებელი და განმამტკიცებლის მისაღებად უფრო მეტად მიახლოებული გამოთქმებია საჭირო. საბოლოოდ, მხოლოდ ზუსტი გამოთქმა იქნება განმტკიცებული.

ამრიგად, შეიპინგის პროცესი გულისხმობს საბოლოო სამიზნე ქცევის უფრო მცირე ეტაპებად (მოქმედებებად) დაყოფას და თითოეულ ეტაპზე დასახული მიზნის მიღწევას, რაც ამ მიზანთან წარმატებული მიახლოების განმტკიცებით ხორციელდება. ამ გზით, პრაქტიკულად, შესაძლებელია ნებისმიერი ქცევის ფორმირება ცხოველებსა და ადამიანებში (მაგ., იხ. სურ. N7).

შეიპინგი მრავალი სასურველი ქცევის გამომუშავების საშუალებაა, როგორცაა, მაგალითად, სწორად მეტყველებისა და ლამაზად წერის სწავლა, წარმატებული სპორტსმენობა, მანქანის ფრთხილად ტარება და უაღრესად დახვეწილი პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენა. თუმცა, შეიპინგის შედეგად არასასურველი ქცევებიც შეიძლება იქნას დასწავლილი. მაგალითად, მშობელი შეიძლება აიგნორებდეს



შვილის მიერ დაბალ ხმაზე დასმულ შეკითხვებს, მაგრამ მაშინ უპასუხოს (მიაწოდოს განმამტკიცებელი), როდესაც ბავშვი ყვირილზე გადავა (Nye, R. D., 2000).

სკინერის მიხედვით, შეიპინგი სამ ძირითად ეტაპს მოიცავს, ესენია *პრაიმინგი* (priming), *შეხსენება* (prompting) და *გაქრობა* (vanishing). პრაიმინგი გულისხმობს, რომ ადამიანებს გარკვეული ქცევები განვხორციელებინოთ, რათა შესაძლებელი იყოს განმტკიცების მიწოდება. ხშირად ეს ვერბალური ინსტრუქციების მიწოდებით ან ჩვენებით, დემონსტრირებით ხდება. როდესაც ქცევა ხორციელდება, განმამტკიცებელი (თუ შესაძლებელია, უშუალოდ) უნდა მოსდევდეს მას, რათა მოხდეს დასწავლა. ამ დროს ხშირად აუცილებელია შეხსენება, რაც გულისხმობს ქცევის განხორციელების პარალელურად ინსტრუქციების ან ვიზუალური დემონსტრაციების განმეორებას, რათა ქცევა სწორად განხორციელდეს და განმტკიცდეს. ბოლოს, როდესაც ქცევა საკმარისად მყარია, შეხსენება წყდება, ან თანდათანობით ქრება (Nye, R. D., 2000).

## ქცევის შენარჩუნება

განმამტკიცებლები უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე ქცევის ფორმირებაა (Nye, R. D., 2000). ისინი დასწავლილი ქცევის *შენარჩუნებასაც* უზრუნველყოფენ. შენარჩუნების პროცესის გასაგებად აუცილებელია განმამტკიცებელთა მიწოდების რეჟიმებისა და სხვადასხვა სახის ცხრილების განხილვა.

### განმტკიცების რეჟიმი: უწყვეტი და პარციალური განმტკიცება


ქცევის დასწავლისას განმამტკიცებლის მიწოდების ორი რეჟიმი შეიძლება იქნას გამოყენებული, ესენია უწყვეტი და პარციალური განმტკიცების რეჟიმები (Nye, R. D., 2000; Skinner, B. F., 2005a).

*უწყვეტი განმტკიცება* გვაქვს, როდესაც განმამტკიცებლის მიწოდება ხდება იმდენჯერ, რამდენჯერაც სასურველი ქცევა განხორციელდება, ანუ სასურველი ქცევის ყოველ გამოჩენას თან სდევს შესატყვისი განმამტკიცებლის მიწოდება. უწყვეტად განმტკიცებული ქცევები ხშირად ის ქცევებია, რომლებიც ფიზიკური გარემოს ნაწილს შეადგენენ, მაგალითად, კარის შეღებვასა და გამოღებას ყოველთვის მოსდევს კარის გაღება და დახურვა, ონკანის გარკვეული მიმართულებით გადატრიალებას ყოველთვის მოსდევს წყლის ნაკადის წამოსვლა. ეს მარტივი მაგალითებია იმ შემთხვევებისა, როდესაც ყოველთვის ვიღებთ გარკვეულ შედეგებს (განმამტკიცებლებს), როდესაც გარკვეულ ქცევას ვახორციელებთ. უწყვეტი განმტკიცება გაცილებით რთული ფიზიკური აქტივობების შენარჩუნების საშუალებასაც იძლევა. გარკვეულ რეაქციებს ყოველთვის მოჰყვება წარმატებული წერა, ცურვა, მანქანის ტარება, ყინულზე სრიალი, თხილამურებით დაშვება და ა.შ. ამიტომ ჩვენ ვაგრძელებთ ამ მიღწევების შესატყვისი ქცევების განხორციელებას.

თუ, უწყვეტი განმტკიცების პირობებში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ განხორციელდა ჩვეული მიმართება რეაქციასა და განმამტკიცებელს შორის, ეს „უცნაური“, „მაფრუსტრირებელი“ და ზოგჯერ „სასაცილოც“ კი შეიძლება იყოს.

უწყვეტი განმტკიცების რეჟიმით შენარჩუნებული ქცევები საკმაოდ სწრაფად ჩაქრება, როდესაც განმამტკიცებელი აღარ იქნება ხელმისაწვდომი. ჩაქრობა გაცილებით ნელა მოხდება, თუ განმამტკიცებლის მიწოდება ყოველი სწორად განხორციელებული ქცევის შემდეგ არ მოხდება. განმამტკიცებლის მიწოდების რეჟიმს, როდესაც განმამტკიცებელი არათანმიმდევრულად, ერთი შეხედვით, შემთხვევითად მიეწოდება, *პარციალურ* განმტკიცებას უწოდებენ (Nye, R. D., 2000). პარციალური განმტკიცების რეჟიმს უკავშირდება ტერმინი „განმამტკიცებლის ცხრილები“ და ამ ცხრილების ნაირსახეობები (იხ. ქვემოთ).

სურ. N 8. პარციალური განმტკიცების ცხრილების ტიპები.



წარმოებული კვლევები აჩვენებენ, რომ უწყვეტი განმტკიცება აჩქარებს ახალი ქცევის დამახსოვრებას, ხოლო პარციალური ანუ არარეგულარული განმტკიცება უფრო სტაბილურ ქცევას ქმნის ანუ ქცევას, რომელიც იმის შემდეგაც კი გამეორდება, რაც განმამტკიცებელი შეწყვეტს მოქმედებას, ანდა ძალზე იშვიათად იმოქმედებს. ამრიგად, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ქცევის შენარჩუნებისთვის ან შეცვლისთვის განმამტკიცებელთა რეჟიმი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე – თავად განმამტკიცებელი (Kimble, 1961, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен

Дж., 2001). სათამაშო აპარატი, მაგალითად, დისკრეტული განმამტკიცებლის მსგავსად მოქმედებს. ის მოთამაშეს სრულიად არარეგულარულად, მაგრამ საკმაოდ ხშირად აჯილდოვებს, რათა თავად ავტომატზე თამაში სწრაფად დაიმახსოვროს და, ამასთან, გაუჭირდეს თამაშის გაგრძელებაზე უარის თქმა.

**განმამტკიცებლის ცხრილები**

„განმამტკიცებლის ცხრილები“ გულისხმობს განმამტკიცებლის მიწოდების გარკვეულ პატერნს ან წესს. პარციალური განმამტკიცებლების მიწოდების ცხრილის ორი ნაირსახეობა არსებობს, ესენია ინტერვალისა და სიხშირის ცხრილები (სურ. N8).

განმამტკიცებლის სიხშირის ცხრილები განმტკიცებული და არგანმტკიცებული რეაქციების თანაფარდობას ასახავს. ფიქსირებული სიხშირის ცხრილი კონკრეტული, უცვლელი რაოდენობის რეაქციებს საჭიროებს, რათა განმამტკიცებელი მიეწოდოს. განმამტკიცებლის ცვალებადი სიხშირის ცხრილის შემთხვევაში ორგანიზმ ინტერვალის ცხრილები დაფუძნებულია გარკვეული დროის გასვლაზე, მაგალითად, სკინერის ყუთში მოთავსებული მტრედი დისკის აკენკვის შემდეგ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იღებს საკვებს (განმამტკიცებელს). დროის ინტერვალი რეაქციასა და განმამტკიცებელს შორის შეიძლება იყოს უცვლელი, ან ვარიირდეს გარკვეული საშუალო მნიშვნელობის ირგვლივ. თუ ინტერვალი უცვლელია (მაგალითად, ერთწუთიანი), მაშინ ცხრილს ფიქსირებული ინტერვალის ცხრილი ეწოდება. თუ ინტერვალის ვარიირება (მაგალითად, ზოგჯერ ეს შეიძლება 50 წამი იყოს, ზოგჯერ — 70 წამი და ა. შ.), მაშინ ცხრილს ცვალებადი ინტერვალის ცხრილი ეწოდება.

ორგანიზმმა სხვადასხვა ოდენობის (გარკვეული საშუალო ოდენობის ირგვლივ ვარიირებადი) ქცევები უნდა განახორციელოს, რომ მან განმამტკიცებელი მიიღოს. მაგალითად, ფიქსირებული სიხშირის ცხრილის გამოყენებით დასწავლისას სკინერის ყუთში მოთავსებულ ვირთხას საკვების ყოველი ულუფის მისაღებად შეიძლება ბერკეტზე 20-ჯერ დასჭირდეს დაჭერა. თუ ამავე ქცევას ცვალებადი სიხშირის ცხრილით ვასწავლით, მაშინ ბერკეტზე დაჭერათა საშუალო რაოდენობა შეიძლება იყოს 20, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვირთხა განმამტკიცებელს (საკვებს) იღებდეს 2, 16, 40, 20 და ა. შ. დაჭერის შემდეგ (Nye, R. D., 2000).

ცხრილში 2 შეჯამებულია განმამტკიცებელთა ცხრილების ორი ტიპის აღწერა.

### ცხრილი 2. განმამტკიცებელთა ცხრილები.

განმამტკიცებლის ცხრილის ტიპი	აღწერა
ინტერვალის ცხრილი	<p>რეაქციების საერთო სიხშირე, ზოგადად, დაბალია სიხშირის ცხრილებთან შედარებით. რაც უფრო გრძელია ინტერვალი, მით დაბალია რეაქციის სიხშირე.</p> <p>თუ ინტერვალები ფიქსირებულია, მაშინ განმამტკიცებელს უშუალოდ მოჰყვება პაუზა, შემდეგ სახეზეა რეაქციის სიხშირის თანდათანობითი მატება და შემდეგ შემდგომი განმამტკიცებლის მიწოდების დროის მოახლოებასთან ერთად რეაქცია უმჯობესდება.</p> <p>თუ ინტერვალები ცვალებადია, მაშინ პაუზა აღარ გვაქვს და უფრო მუდმივი რეაქცია იჩენს თავს.</p>
სიხშირის ცხრილი	<p>რეაქციების სიხშირე, ზოგადად, მაღალია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიხშირე ძალიან მაღალია).</p> <p>თუ სიხშირე ფიქსირებულია, როგორც წესი, განმამტკიცებელს უშუალოდ მოჰყვება პაუზა და შემდეგ ერთბაშად რეაქციების მაღალი სიხშირე. ძალიან დიდი სიხშირის შემთხვევაში განმამტკიცებლის შემდეგ პაუზა შეიძლება უფრო ხანგრძლივი იყოს.</p> <p>ცვალებადი სიხშირის შემთხვევაში შესაძლებელია განმამტკიცებლის მიწოდების შემდგომი პაუზის ამოღება და, ზოგადად, რეაქციათა მდგრად, მაღალ სიხშირეს ვიღებთ.</p>

წყარო: ადაპტირებულია Nye, R. D., 2000.

## ბიჰევიორალური თერაპიული მოდელი და ქცევის ანალიზი

სკინერის რადიკალური ბიჰევიორიზმი ბიჰევიორალური თერაპიის არსია, თუმცა მისი პოზიციის არსებითმა ლიბერალიზაციამ ბიჰევიორალური თერაპია ფსიქოთერაპიის ყველაზე სწრაფად განვითარებად მიმართულებად აქცია ინგლისურენოვან სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ სკინერი დასახელდა კოგნიტური ფსიქოლოგიის პირველ აღმომჩენად, ეს პატივი მას ყოველთვის აზინებდა (Skinner, 1978c, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

სკინერის რადიკალური განცხადებებისა და მიუხედავად, ადამიანთა უმრავლესობას და, მათ შორის, ბიჰევიორისტებს მყარად სწამთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია სტანდარტული მეთოდებით გაზომვა, აზროვნება მაინც ყოველმხრივად უნდა იქნას შესწავლილი. კოგნიტური თეორიის მომხრე ბიჰევიორისტი თერაპევტის ამოცანაა ქცევისა და ემოციების გამოხატვის გზების შეცვლა, მაგრამ ეს ყველაფერი პაციენტის აზროვნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

### ქცევის დიაგნოსტიკა

სიტუაციის გარკვეულ მახასიათებლებთან დაკავშირებული კონკრეტული მოქმედებების შესწავლა უდევს საფუძვლად იმას, რამაც ქცევის დიაგნოსტიკის სახელი მიიღო. სკინერის იდეების ძლიერი ზეგავლენის გამო, დიაგნოსტიკისადმი ბიჰევიორისტული მიდგომა სამ ძირითად მომენტს გამოყოფს: (1) სპეციფიკური მოქმედებების იდენტიფიკაცია, რომლებსაც ხშირად სამიზნე მოქმედებებს ანუ სამიზნე რეაქციებს უწოდებენ; (2) გარემოს სპეციფიკური ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც იწვევენ სამიზნე ქცევას, განამტკიცებენ მას ან იძლევიან მისი განხორციელების სიგნალს; (3) გარემოს სპეციფიკური

ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომელთა მანიპულაციაც შესაძლებელია, რათა შევცვალოთ ქცევა.

ასე მაგალითად, ბავშვის რისხვის შედეგების ქცევითი დიაგნოსტიკა უნდა მოიცავდეს: ბავშვის ფეთქებადი ქცევის მკაფიო, ობიექტურ აღწერას; იმ სიტუაციის სრულ აღწერას, რომელსაც მივყავართ ასეთ აფეთქებებამდე; მშობლებისა და სხვა ადამიანების რეაქციების სრულ აღწერას, რომლებიც შეიძლება განამტკიცებდნენ ქცევას; ისეთი მოქმედებების წარმოქმნისა და განმტკიცების შესაძლებლობების ანალიზს, რომლებიც არ მოიცავენ რისხვის გამოვლინებას (Kanfer & Saslow, 1965; O'Leary, 1972, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ქცევის ეს ფუნქციონალური ანალიზი, რომელიც ქცევის მარეგულირებელი გარემო პირობების იდენტიფიკაციას ისახავს მიზნად, ქცევას გარემოს კონკრეტული მოვლენების ფუნქციად მიიჩნევს. ამ მიდგომას ABC<sup>12</sup> დიაგნოსტიკას უწოდებენ: ჩვენ ვაფასებთ ქცევის წინმსწრებ პირობებს, თავად ქცევას და ამ ქცევის შედეგებს (Первин Л., Джон О., 2002).

## ზოგადი პრინციპები

ქცევის დიაგნოსტიკა, ჩვეულებისამებრ, მჭიდროდ უკავშირდება თერაპიის ამოცანებს (Первин Л., Джон О., 2002). სკინერი თერაპიას განიხილავდა, როგორც კონტროლის სფეროს, რომელსაც თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს. ამიტომ თერაპევტი გარშემომყოფთა თვალში არის ის, ვინც დიდი ალბათობით ამსუბუქებს ტანჯვასა და ტკივილს. ნებისმიერი დაპირებული და რეალურად განხორციელებული დახმარება მოქმედებს, როგორც დადებითი განმტკიცება და აძლიერებს თერაპევტების გავლენას.

ვინაიდან სკინერის თეორიაში არ მოიძებნება ადგილი „პიროვნებისთვის“, როგორც ეს ადამიანთა უმრავლესობას ესმის, მკურნალობის მიზანი ვერ იქნება პაციენტის თვითშეგრძნების გაუმჯობესება, ანდა საკუთარი თავის უკეთესი გაგების მიღწევა. ბიჰევიორიზმის პოზიციიდან, თერაპიის მიზანი უნდა იყოს არსებული ქცევის პატერნების შეცვლა ან ახლის ფორმირება. სხვა სიტყვებით, არასასურველი ქცევის აღმოფხვრა და ისეთი პირობების შექმნა, რომლებშიც სასურველი ქცევა შეძლებისდაგვარად ხშირად გამოვლინდება.

ამ წინაპირობიდან გამომდინარე, ბიჰევიორისტი თერაპევტები საკმაოდ წარმატებით მუშაობენ ისეთ პრობლემებთან, რომლებსაც ვერ უმკლავდებოდა ფსიქოდინამიკური თერაპია. ბიჰევიორალური თერაპიის ფართო მიმოხილვაში (Rachman & Wilson, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997) აღწერილია მკურნალობის მთელი რიგი გულდასმით დამუშავებული მეთოდებისა, რომელთაც, საერთო ჯამში, დადებითი შედეგი ჰქონდა. წარმატებულ თერაპიას ექვემდებარებოდნენ ისეთი პრობლემების მქონე პაციენტები, როგორიცაა სექსუალური დისფუნქციები, სექსუალური გადახრები, ოჯახური კონფლიქტები, ფსიქიკური აშლილობები, ჭარბწონიანობა, ცუდი ჩვევები, ალკოჰოლიზმი და ნიკოტინზე დამოკიდებულება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიჰევიორალურ თერაპიაში რამდენიმე განსხვავებული მიდგომა არსებობს, საზოგადოდ, მიღებულია, რომ ბიჰევიორისტი თერაპევტს, ძირითადად, რეალური ქცევა აინტერესებს და არა – პაციენტის შინაგანი მდგომარეობები ანდა ქცევის წარსულში წარმოქმნილი მიზეზები. ბიჰევიორიზმის თვალსაზრისით, თავად სიმპტომი არის დაავადება და არა – სადღაც შიგნით მიმალული დაავადების მანიშნებელი. მაგალითად, ნაადრევი ეაკულაცია, ქრონიკული ალკოჰოლიზმი ანდა ხალხმრავლობის შიში – ეს ყველაფერი სწორედ ისაა, რაც უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს მკურნალობას. სიმპტომები არ გამოიყენება, როგორც პაციენტის ბავშვობის მოგონებების ან ეგზისტენციალური პერსპექტივების მანიშნებლები.

პაციენტისთვის თერაპევტი საფრთხის მომტანი მსმენელი არ არის. ამიტომ, ბიჰევიორალური ტერმინებით, პაციენტი თავისუფალია ქცევის გამოვლინებაში, რომელსაც ადრე თრგუნავდა. ეს შეიძლება იყოს ტირილი, მტრული გრძნობები ანდა სექსუალური ფანტაზიები. თუმცა, ასეთი გამოვლინებებისას ბიჰევიორისტი თერაპევტი დაუყოვნებლივ შეგნებულად იკავებს თავს განმამტკიცებლების

<sup>12</sup> A – Antecedents – წინმსწრები მოვლენა, B – Behavior – თავად ქცევა, C – consequences – ქცევის შემდგომი მოვლენა ანუ მისი შედეგი.

შემოტანისგან. თერაპევტი დაინტერესებულია ქცევის ისეთი ფორმების სწავლებაში, გავარჯიშებასა და სტიმულაციაში, რომლებიც ეფექტურად შეძლებენ დისკომფორტის შემქნელი ან ცხოვრებაში ხელისშემშლელი ქცევისთვის კონკურენციის გაწევას, შემდეგ კი სულაც აღმოფხვრიან მას. მაგალითად, შესაძლებელია პროგრესირებადი რელაქსაციის სწავლება, რომელიც შეამცირებს სპეციფიკურ შფოთვით რეაქციებს, ხოლო საკუთარ თავში დარწმუნებულობის სტიმულაცია დაეხმარება პაციენტს, გადააბიჯოს მორიდებულობას ან მორცხვობას (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

სკინერი თვლიდა, რომ უმჯობესია იმ გარემო პირობების მოდიფიცირება, რომელშიც ცხოვრობს ინდივიდი, ვიდრე ამ ადამიანის დადანაშაულება და დასჯა მის მიერ ნორმიდან გადახრილი ქცევის განხორციელებისთვის. თუ ქცევა ნამდვილად შერჩევითი განმტკიცების შედეგია, მაშინ ნორმიდან გადახრილი ქცევა გარემო პირობების ფუნქციას წარმოადგენს. გამოყენებით ბიჰევიორალურ ანალიზში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პაციენტის საერთო გარემოცვას და არა – ნორმიდან გადახრილი ქცევის ფსიქოდინამიკას.

სკინერმა იმის შესწავლას ჩაუყარა საფუძველი, თუ როგორ იცვლება ადამიანის ქცევა საზოგადოებრივი ინსტიტუტების პირობებში. მან გვიჩვენა, რომ მას, ვისაც შეუძლია გარემოცვის კონტროლი, საკუთარი ქცევის კონტროლიც ხელეწიფება (Lindsley, Skinner, Solomon, 1953; Skinner, 1984b, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

თუ განმამტკიცებლები ისე იცვლება, რომ დევიანტური ქცევა აღარ მტკიცდება, მაშინ ქცევის მოცემული მოდელი უნდა გამოირიცხოს ადამიანის ქცევითი რეპერტუარიდან და აღარასოდეს გამოჩნდეს. გარდა ამისა, გარემოებები შეიძლება მხოლოდ გარკვეული სახის ქცევის მიღწევის მიზნით შეიცვალოს, რომელიც განსაკუთრებით სასურველად ითვლება (Goodall, 1972a, 1972b, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). ქცევის მოდიფიკაციაში უმთავრესია იმ ქცევითი პატერნების „განადგურება“, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ ნორმიდან გადახრას, ან მივეყვართ ნორმიდან გადახრილი, სავარაუდოდ, კრიმინალურ, შედეგებამდე. ეს იდეები როგორც წარსულში, ისე – ახლა აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო და ინსტიტუციურ დაწესებულებებში, როგორცაა საავადმყოფოები, საპატიმროები, არასრულწლოვანთა კოლონიები და სკოლები (Gilbert and Gilbert, 1991, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ქვემოთ მოცემულია დებულებები, რომლებშიც განსაზღვრულია ბიჰევიორალური თერაპიის სპეციფიკური ბუნება და ის, რაც საერთო აქვს მას მკურნალობის სხვა მეთოდებთან (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

1. ბიჰევიორალური თერაპია ეხმარება ადამიანებს, რომ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე მათი რეაქციები მათთვის ყველაზე ადეკვატური მეთოდით ხორციელდებოდეს. ამაში შედის ინდივიდის სასურველი ქცევის, აზრებისა და გრძნობების გამეორების სიხშირის გაზრდა ან/და სპექტრის გაფართოვება; ასევე, არასასურველი ქცევის, აზრებისა და გრძნობების შემცირება ან სრულად აღმოფხვრა.

2. ბიჰევიორალური თერაპია არ ისწრაფვის ურთიერთობების ემოციური საფუძვლის ან ინდივიდის შინაგან სამყაროში არსებული გრძნობების შეცვლისკენ.

3. ბიჰევიორალური თერაპია ამტკიცებს, რომ პოზიტიური ურთიერთობა თერაპევტთან ეფექტური ფსიქოთერაპიის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა.

4. ბიჰევიორალურ თერაპიაში პაციენტის ჩვილები ფსიქოთერაპიული მკურნალობის ძირითად მომენტს წარმოადგენენ. ისინი განიხილება არა როგორც სიმპტომები, არამედ – როგორც თავად დაავადება.

5. ბიჰევიორალურ თერაპიაში პაციენტი და თერაპევტი პრობლემის ნათელ და ამომწურავ გაგებამდე მიდიან, რომელიც პაციენტის რეალური ქცევის აღწერით არის გამოხატული (ანუ ქმედებებით, აზრებითა და გრძნობებით). ისინი ერთობლივად სახავენ მკურნალობის გარკვეულ მიზნებს, რომლებსაც იმდენად მკაფიოდ აყალიბებენ, რომ თერაპევტიც და პაციენტიც აფიქსირებენ ამ მიზნების მიღწევას (Jacks, 1973, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

## ბიჰევიორალური თერაპია: მაგალითი

განვიხილოთ შემთხვევა, რომელიც მიზნად ისახავს დახმარების გაწევას დედისთვის, რომელიც ვერ უკმლავდებოდა 4 წლის ვაჟიშვილის აგრესიულობის შეტევებს და მუდმივ სიჯიუტეს. ამის გამო დახმარებისთვის მან კლინიკას მიმართა (Hawkins et al., 1966, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ფსიქოლოგებმა, რომლებმაც ამ საქმეს მოკიდეს ხელი, დიაგნოსტიკისადმი და მკურნალობისადმი საკმაოდ ტიპური ბიჰევიორისტული მიდგომა გამოიყენეს. პირველ რიგში, განხორციელდა დედასა და შვილზე დაკვირვება სახლში იმ მიზნით, რომ განესაზღვრათ არასასურველი ქცევები; დრო, როდესაც ეს ქცევები იჩენდნენ თავს; განმამტკიცებლები, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობდნენ ხელს ასეთი ქცევის განმტკიცებას. შედეგად დადგინდა ცხრა მოქმედება, რომელიც არასასურველი ქცევების ძირითად სიაში მოხვდა:

- 1) კბენს საკუთარი პერანგის სამაჯურს ან ხელს;
- 2) ენას ყოფს;
- 3) ურტყამს ან კბენს საკუთარ თავს, სხვებს ან ნივთებს;
- 4) საგნებს ან ადამიანებს შეურაცხყოფელ სიტყვებს ეძახის;
- 5) ტანსაცმელს იგლეჯს ან იმუქრება, რომ ასე მოიქცევა;
- 6) ხმამაღლა და მომთხოვნად ყვირის „არა!“
- 7) იმუქრება, რომ გატეხს რამეს ან სცემს ვინმეს;
- 8) ისვრის საგნებს;
- 9) ხელს კრავს თავის დას.

დედა-შვილის ურთიერთქმედებაზე დაკვირვებამ აფიქრებინა ფსიქოლოგებს, რომ არასასურველ ქცევას დედის ყურადღება განამტკიცებდა. მაგალითად, ის ხშირად ცდილობდა შვილის ყურადღების გადატანას სათამაშოს ან საჭმლის შეთავაზებით.

თერაპიის პროგრამა იმის ქცევითი ანალიზით დაიწყო, თუ რამდენად ხშირად ახორციელებდა ბავშვი ერთ-ერთ არასასურველ ქცევას ერთსაათიანი სეანსის დროს, რომელიც მათ სახლში ტარდებოდა კვირაში ორ-სამჯერ. სანდობის მაღალ ხარისხში დარწმუნებულობის მისაღწევად, არასასურველ ქცევას ორი ფსიქოლოგი აკვირდებოდა. ეს პირველი ფაზა, რომელსაც ბაზისური პერიოდი ეწოდება, 16 სეანსი გრძელდებოდა. ამ პერიოდის განმავლობაში დედა-შვილი ისე იქცეოდნენ, როგორც ყოველთვის. არასასურველი ქცევის დეტალური დიაგნოსტიკის შემდეგ, რომელიც ამ ბაზისურ პერიოდში განხორციელდა, ფსიქოლოგებმა დაიწყეს პროცესში ჩარევა ანუ თერაპიული პროგრამის განხორციელება. ახლა დედას სთხოვდნენ, რომ შვილისგან მოეთხოვა არასასურველი ქცევის შეწყვეტა, ანდა შვილი ყოველ ჯერზე ოთახში მარტო დაეტოვებინა ყოველგვარი სათამაშოს გარეშე, როდესაც ის ისევ არასასურველად იქცეოდა. გარდა ამისა, დედას აძლევდნენ ინსტრუქციას, რომ შვილისთვის ყურადღება მიექცია და კმაყოფილება გამოეხატა, როცა ის კარგად იქცეოდა. სხვა სიტყვებით, ფსიქოლოგები ცუდი ქცევის დადებითი განმტკიცების აღმოფხვრასა და სასურველი ქცევის დადებითი განმტკიცების უზრუნველყოფას ცდილობდნენ. ამ პერიოდში, რომელსაც პირველი ექსპერიმენტული პერიოდი ეწოდება, ისევ იზომებოდა არასასურველი ქცევის სიხშირე და აღინიშნებოდა მისი სიხშირის შესამჩნევი შემცირება. ბაზისურ პერიოდში არასასურველი ქცევის სიხშირე 18-დან 113-მდე მერყეობდა, პირველ ექსპერიმენტულ პერიოდში კი თითოეულ სეანსზე მხოლოდ 1-დან 8 ქცევამდე მოდიოდა.

პირველი ექსპერიმენტული პერიოდის დასრულების შემდეგ დედას სთხოვეს, რომ დაბრუნებოდა ადრინდელ ქცევას, რათა ენახათ, მართლაც მისმა განმამტკიცებელმა ზემოქმედებამ გამოიწვია თუ არა ცვლილება შვილის ქცევაში. ამ მეორე ბაზისური პერიოდის მანძილზე შვილის არასასურველი ქცევები ერთ სეანსზე 2-დან 24 რეაქციას შორის მერყეობდა. ამგვარად, ასეთი რეაქციების რაოდენობა რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ არ დაუბრუნდა წინანდელ ბაზისურ (საწყის) დონეს. თუმცა, დედამ თქვა, რომ მას გაუჭირდა რეაგირების თავდაპირველ მეთოდთან დაბრუნება, რადგან ახლა ის უფრო მეტად იყო დარწმუნებული საკუთარ თავში. ასე მაგალითად, ის ამ პერიოდის განმავლობაშიც უფრო მყარ მითითებებს აძლევდა შვილს, იშვიათად ნებდებოდა მოთხოვნის შესრულებაზე უარის მიღებისას და მეტი სიმპათიით რეაგირებდა შვილის დადებით ქცევაზე, ვიდრე ადრე. ამის შემდეგ დედას სთხოვეს, ისევ

დაბრუნებოდა სასურველი ქცევის დადებით განმტკიცებას და არასასურველი ქცევის არ განმტკიცებას, რის შედეგადაც არასასურველი ქცევის სიხშირე ისევ შემცირდა (მეორე ექსპერიმენტული პერიოდი).<sup>13</sup> აღმოჩნდა, რომ არასასურველი მოქმედებების დაბალი დონე შენარჩუნდა 24 დღის შემდეგაც (შედეგების პერიოდი) და დედამ თქვა, რომ დადებითი ცვლილებები გრძელდებოდა (Первин Л., Джон О., 2002).

## შეჯამება

სკინერი ბიჰევიორიზმის ყველაზე ქარიზმატული და ცნობილი წარმომადგენელია, რომლის თეორიას რადიკალურ ბიჰევიორიზმს უწოდებენ, ხოლო თავად სკინერს — რადიკალურ დეტერმინისტს. თანამედროვე რადიკალური ბიჰევიორიზმი არ უარყოფს გრძნობებს, აზრებსა და სხვა შინაგან მოვლენებს, თუმცა არ მიიჩნევს მათ ქცევის მიზეზებად; აღიარებს ქცევის ზოგიერთი ასპექტის დეტერმინაციაში გენეტიკური თანდაყოლილი თვისებებისა და განმამტკიცებლების პიროვნული ისტორიის მნიშვნელოვნებას და ინტერესდება ისეთი თემებით, როგორცაა ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, კრეატიულობა, მაგრამ ამას ტრადიციული მიდგომებისგან განსხვავებულად აკეთებს.

სკინერისთვის არსებობს გარემოს მდგომარეობებსა და ქცევებს შორის ფუნქციური კავშირები, რის შესწავლასაც მოანდომა მთელი პროფესიული საქმიანობა, მისთვის შესწავლა და კვლევა-ძიება კი ქცევის მეცნიერულ ანუ ექსპერიმენტულ ანალიზს წარმოადგენდა. ქცევის შესწავლაში იგულისხმება ქცევის ნებისმიერი გამოვლინების შესწავლა, ანუ ქცევის წინამორბედი მოვლენები და სიტუაციები, რომლებზე რეაქციასაც წარმოადგენს სამიზნე ქცევა და ამ ქცევის ყველა თანმდევი შედეგი. ამასთან, სკინერი ქცევას უწოდებდა ორგანიზმის ნებისმიერ ქმედებას, თუ ის თვალსაჩინო იყო გარეშე დამკვირვებლისთვის.

სკინერი საუბრობს ორი სახის ქცევაზე, ესენია: რესპონდენტული ქცევა, როდესაც კონკრეტული სახის ქცევა კონკრეტული სტიმულის საპასუხოდ აღმოცენდება და ოპერანტული ანუ ინსტრუმენტული ქცევა, როდესაც ქცევა გარემოზე ზემოქმედებს გარკვეული შედეგების შექმნის მიზნით, ანუ ქცევის განხორციელებას მოსდევს შედეგი, რომელიც განამტკიცებს ან, პირიქით, ასუსტებს ამ ქცევის შემდგომში განხორციელების ალბათობას. სწორედ ქცევის ეს სახე იყო სკინერისთვის განსაკუთრებით საინტერესო.

სკინერს ეკუთვნის განმტკიცების პრინციპებზე დაფუძნებული თეორია, რომელიც დეტალურად აღწერს როგორ და რა მექანიზმებით ხდება ქცევის დასწავლა, გენერალიზება, ჩაქრობა და სიხშირის შემცირება. სკინერს შემოაქვს პირობითი განმტკიცების ცნება, რომელიც არის კავშირი რეაქციასა და გარემოს იმ ცვლილებას შორის, რომელსაც ეს რეაქცია იწვევს. განმამტკიცებელი არის ნებისმიერი სტიმული, რომელიც მყარად უკავშირდება ქცევას, მოსდევს მას და ზრდის ან ინარჩუნებს კონკრეტულად ამ ქცევის შემდგომში გამოვლინის ალბათობას. განმამტკიცებლები ემპირიულად განისაზღვრება ყოველი კონკრეტული ცდის პირის შემთხვევაში. გარდა ამისა, არსებობს პირველადი (საკვები, ჰაერი, წყალი და ა. შ.) და მეორადი განმამტკიცებლები (შექება, ფული, ყურადღება და ა. შ.).

ასევე, სკინერი განასხვავებს დადებით და უარყოფით განმტკიცებას. განმტკიცება ყოველთვის მიზნად ისახავს ქცევის სიხშირის მატებას, განურჩევლად იმისა, დადებითია ის თუ უარყოფითი. დადებითი განმტკიცება სიტუაციაში სასიამოვნო სტიმულის დამატებას ჰქვია, უარყოფითი განმტკიცება კი — უსიამოვნო სტიმულის სიტუაციიდან ჩამოშორებას. განმტკიცების გარდა სკინერი საუბრობს დასჯასა და

<sup>13</sup> მთელ ამ პროცედურას ABA ექსპერიმენტული დიზაინი ეწოდება, როდესაც დამოუკიდებელი ცვლადის მოქმედება ორ ჯგუფზე კი არ მოწმდება (ანუ არ ხდება ჯგუფთაშორისი შედარება), არამედ ერთი ჯგუფის შიგნით (ანუ ჯგუფშიდა შემოწმება), როდესაც ერთი და იგივე ცდის პირია კვლევის ყველა ეტაპის მონაწილე. სხვა სიტყვებით, დამოუკიდებელი ცვლადის მოქმედებამდე იზომება არსებული ბაზისური მდგომარეობა, შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიეწოდება დამოუკიდებელი ცვლადი (ამ შემთხვევაში თერაპიული ჩარევა) და ამის შემდეგ ისევ იხსნება დამოუკიდებელი ცვლადი და ისევ ხდება საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ამ ეტაპზე მოწმდება, რამდენად ჰქონდა ეფექტი დამოუკიდებელი ცვლადის მოქმედებას. ბოლოს კი ისევ მიეწოდება დამოუკიდებელი ცვლადი. თითოეულ ეტაპზე ხდება ქცევის დეტალურად ჩაწერა და მისი გრაფიკული ანალიზი.

ოპერანტულ ჩაქრობაზე, რისი მიზანი ყოველთვის ქცევის სიხშირის შემცირებაა. დასჯაც ორი სახის არსებობს: დადებითი და უარყოფითი. დადებითია დასჯა, როდესაც სიტუაციას უსიამოვნო სტიმული ემატება, ხოლო უარყოფითია, როდესაც სიტუაციას სასიამოვნო სტიმული აკლდება. როდესაც ქცევის განხორციელების შემდეგ ნელ-ნელა მცირდება ან საერთოდ ქრება განამამტკიცებელი, ადგილი აქვს ამ ქცევის ოპერანტულ ჩაქრობას, ანუ როდესაც ქცევა აღარ იწვევს მოსალოდნელ შედეგს, ის უბრალოდ აღარ განხორციელდება.

გარდა ამისა, სკინერს შემოაქვს ცნებები დისკრიმინაციული სტიმული და ქცევის განზოგადება. როდესაც ორგანიზმი სწავლობს მსგავს სტიმულებზე პრაქტიკულად ერთი და იმავე ქცევის განხორციელებას, საქმე გვაქვს ქცევის გენერალიზირებასთან ანუ განზოგადებასთან, ხოლო როდესაც ის სტიმულთა სპექტრიდან გარკვეულ დიაპაზონზე იძლევა რეაქციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზმმა დისკრიმინაციული სტიმულის გარჩევა ისწავლა.

ოპერანტული განპირობების გამოყენებით ქცევის ფორმირების ერთ-ერთ მეთოდს შეიპინგი ეწოდება, როდესაც ორგანიზმს სასურველ ქცევას მცირე ულუფებით დაასწავლიან, ანუ საბოლოო ქცევა თანდათანობით, ყველა ეტაპის გავლით იძენს საბოლოო ფორმას. ცხადია, დასწავლილ ქცევას შენარჩუნება სჭირდება, რაც განამამტკიცებლების რეჟიმის (უწყვეტის ან პარციალურის) შერჩევითა და მიწოდებით მიიღწევა.

ბიჰევიორიზმი თერაპიულ მიდგომასაც გვთავაზობს, რომელსაც ქცევის მოდიფიკაცია ეწოდება და აწმყოში არაადაპტური ქცევების დასწავლის პრინციპების გამოყენებით ჩანაცვლებას ან „გადასწავლას“ მოიაზრებს. ბიჰევიორისტებს მიაჩნიათ, რომ თავად ქცევა არის პრობლემა და არ წარმოადგენს რაიმე უხილავი პრობლემის სიპტომს. ამიტომ სწორედ ქცევის კორექციაზე ფოკუსირდება. ამისათვის ახორციელებენ ქცევის წინაპირობების, თავად ქცევისა და მისი შედეგების დეტალურ ანალიზს და შემდეგ წინაპირობებისა და შედეგების მანიპულირებით ცდილობენ ქცევაში ცვლილების მიღწევას.



## თავი 5

# ალბერტ ბანდურა და სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

*„ადამიანები არ იქცევიან ფლუგერებივით — მუდმივად არ იცვლიან მოქმედების მიმართულელებას იმის მიხედვით, თუ რომელი სოციალური გავლენის ქვეშ იმყოფებიან მოცემულ მომენტში“ (Bandura, 1955b, გვ. 350)*

*იმის გაგება, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები, ნიშნავს, გავიგოთ, როგორ ვითარდებიან და მოქმედებენ მისი მნიშვნელოვანი ქვეფუნქციები (Bandura, A., 1974)*

სოციალურ-კოგნიტური თეორიის ფესვები დასწავლის ტრადიციულ თეორიაში მიდის. თავდაპირველად მას სოციალური დასწავლის თეორიას უწოდებდნენ და პიროვნების ფსიქოლოგიაში განიხილებოდა, როგორც ერთ-ერთი მიდგომა პიროვნებისადმი დასწავლის თეორიის ფარგლებში. თუმცა, დროთა განმავლობაში თეორია განვითარდა, უფრო მეტად გამოიკვეთა კოგნიტური პროცესების მნიშვნელობა ადამიანის ფუნქციონირებაში და უფრო სისტემატური გახდა. დღეისათვის ის ცნობილია, როგორც სოციალურ-კოგნიტური თეორია და დასწავლის სხვა თეორიებისგან ცალკე განიხილება (John, O. P., Robins, R. W., Pervin, L. A., 2008).

სოციალურ-კოგნიტური თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქცევის სოციალურ მიზეზებს და კოგნიტური პროცესების მნიშვნელობას ადამიანის ფუნქციონირების ყველა ასპექტში, იქნება ეს მოტივაცია, ემოცია თუ ქმედება.

სოციალურ-კოგნიტური თეორიის წარმომადგენლები მთელ რიგ საკითხებში აკრიტიკებდნენ სხვა თეორიებს. მაგალითად, ალბერტ ბანდურა (1989) აკრიტიკებს ფსიქოანალიტურ პოზიციას შინაგან ინსტინქტებსა და არაცნობიერ ძალებზე აქცენტის გამო, რომლებიც არ ექვემდებარებიან სისტემატურ შესწავლას. სოციალურ-კოგნიტური თეორიის კიდევ ერთი წარმომადგენელი, უოლტერ მიშელი (Mischel, W., & Shoda, Y., 1995) აკრიტიკებს ნიშნების ტრადიციულ თეორიასა და ფსიქოანალიზს შინაგან დისპოზიციებზე ხაზგასმის გამო, რომლებიც, ამ თეორიების მომხრეთა თანახმად, სხვადასხვა სიტუაციაში შეთანხმებულ, თანმიმდევრულ ქცევას განაპირობებენ. ამის ნაცვლად, მიშელი საუბრობს ქცევის ვარიაბილურობაზე/ცვალებადობაზე, რომლითაც ადამიანი რეაგირებს გარემო პირობების შეცვლაზე (Первин Л., & Джон О., 2002).

სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, ქცევა სიტუაციურად სპეციფიკურია და ადამიანებს სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის განსხვავებული პატერნები აქვთ (Shoda, Y., Mischel, W., & Wright, J. C., 1994). ითვლება, რომ ეს დამახასიათებელი სიტუაციურ-ქცევითი პატერნები უფრო მეტად განსაზღვრავენ პიროვნებას, ვიდრე აგრეგირებული (დაგროვილი) კროს-კულტურული განსხვავებები, რომელთაც უპირატესობას ანიჭებს ნიშნის თეორია. მაგალითად, სოციალურ-კოგნიტური თეორიის ავტორები თვლიან, რომ უფრო მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რომელ სიტუაციებში იქცევა ადამიანი, როგორც ექსტრავერტი და რომლებში – როგორც ინტროვერტი, ვიდრე მისი ექსტრავერსია-ინტროვერსიის ზოგადი დონის მაჩვენებელი სხვა ადამიანებთან მიმართებაში. ცდილობენ რა გავიდნენ ქცევის შინაგანი და გარეგანი დეტერმინანტების შესახებ ტრადიციული დებატების მიღმა, სოციალურ-კოგნიტური თეორეტიკოსები აცხადებენ, რომ ორგანიზმსა და მის ირგვლივ არსებულ გარემოს შორის ყოველთვის არის უწყვეტი ურთიერთქმედება.

გარდა ამისა, სოციალურ-კოგნიტური მიმართულების წარმომადგენლები ცდილობენ, გვერდი აუარონ პიროვნების ფსიქოლოგიის ტრადიციულ დაყოფას ადამიანის შესახებ ბიჰევიორისტულ და „მის

საწინააღმდეგო“ ჰუმანისტურ წარმოდგენებად. ისინი ბიჰევიორისტები არიან იმით, რომ ადამიანის ქცევის სისტემატური კვლევისკენ ისწრაფვიან, მაგრამ ჰუმანისტებიც არიან იმით, რომ ხაზს უსვამენ ადამიანის შესაძლებლობას, გავლენა მოახდინოს საკუთარ ბედზე და განვითარდეს მისთვის დადგენილ ბიოლოგიურ საზღვრებში. „განმტკიცების გზით დასწავლის“ ტრადიციულ თეორიასთან მათი განსხვავებულობა იმით გამოიხატება, რომ ისინი აღიარებენ კოგნიტური პროცესების როლს და ამბობენ, რომ დასწავლა ჯილდოს არარსებობის პირობებშიც შეიძლება მოხდეს. სოციალურ-კოგნიტური თეორიის ძირითადი მახასიათებლები შეჯამებულია ცხრილში 1 (Первин Л., & Джон О., 2002).

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ წრეებში სოციალურ-კოგნიტური თეორია პიროვნების ყველაზე პოპულარული თეორიაა, ბოლო პერიოდში კი მისი მომხრეთა რაოდენობა კლინიკურ ფსიქოლოგთა შორისაც მატულობს. ეს თეორია ეკუთვნის ალბერტ ბანდურას, თუმცა, აღსანიშნავია უოლტერ მიშელის როლი მის ფორმირებაში (John, O. P., Robins, R. W., Pervin, L. A., 2008). შესაბამისად, ქვემოთ, ძირითადად, ალბერტ ბანდურას შესახებ ვისაუბრებთ, თუმცა, მიშელის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც იქნება წარმოდგენილი.

### ცხრილი 1. სოციალურ-კოგნიტური თეორიის მახასიათებლები.

1. ადამიანები მოქმედებენ, როგორც აქტიური აგენტები;
2. გამოკვეთილია კოგნიტური პროცესების (აზროვნების) მნიშვნელობა;
3. ქცევა სიტუაციურად სპეციფიკურია;
4. მნიშვნელოვანია სისტემატური კვლევის წარმოება;
5. შესაძლებელია ქცევის რთული პატერნების ათვისება ჯილდოს ან განმტკიცების მიწოდების გარეშე.

წყარო: ადაპტირებულია Первин Л., Джон О., 2002.

უოლტერ მიშელი და ალბერტ ბანდურა პიროვნებას დასწავლის თეორიის ტრადიციის ფარგლებში აანალიზებენ (Cloninger, S. C., 2004) და განსაკუთრებით ფოკუსირდებიან კოგნიტურ ცვლადებზე, ვინაიდან მათთვის ცენტრალურია ადამიანის აზროვნების უნარი. თეორიაში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის უნარს, იაზროვნოს და შეიმეცნოს და გაცილებით ნაკლებად, ვთქვათ, სკინერთან შედარებით, არის საუბარი გარემოს ფაქტორებზე. ბანდურა ხაზს უსვამს იმასაც, რომ განმტკიცება შეიძლება არაპირდაპირი ანუ გაშუალებული იყოს. სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია სწავლისკენ სწრაფვა იმითიც განგვიმტკიცდეს, თუ ვხედავთ, რომ ვიღაც ამისთვის ჯილდოს იღებს. ბანდურას თეორია რადიკალურ ბიჰევიორიზმს შორდება განმტკიცებისა და აზროვნების საკითხებში (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

რადიკალური ბიჰევიორისტებისგან განსხვავებით, ალბერტ ბანდურა თვლის, რომ პიროვნებას აყალიბებს ადამიანის ქცევა, მისი ინდივიდუალური მახასიათებლები (აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოგნიცია) და გარემოს ზეგავლენა და ყველა ეს ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს, დასწავლა კი აუცილებლობით არ მოიაზრებს ჯილდოს. ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, ჩვენ სხვა ადამიანებზე დაკვირვებითაც შეგვიძლია სწავლა. მაგალითად, ვუყურებთ, თუ როგორ აკეთებს ვიღაც ქაღალდის თვითმფრინავს და მერე ვცდილობთ, გავიმეოროთ იგივე ქცევა. ცხადია, დასწავლა, პირველ რიგში, იმისთვის გვჭირდება, რომ რაღაც ვაკეთოთ (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

თუ სკინერს მიაჩნდა, რომ დასწავლა შეუძლებელია განმტკიცების გარეშე, ბანდურა ამტკიცებს, რომ არ არსებობს განმტკიცება შემეცნების წინმსწრები უნარის გარეშე. იმისათვის, რომ რაიმემ განგვიმტკიცოს განზრახვები, საჭიროა წარმოდგენა გვქონდეს მოქმედებებსა და მათ შედეგებს შორის არსებულ კავშირებზე. ამგვარად, განპირობებულობა არა მხოლოდ გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების უშუალო შედეგია, არამედ ამ პროცესში აზროვნებისა და შემეცნების უნარის მნიშვნელოვან ჩართულობასაც მოიაზრებს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

მიუხედავად იმისა, რომ მიშელისა და ბანდურას თეორიულ პოზიციებს ბევრი რამ აქვთ საერთო და ისინი თანამშრომლობდნენ კიდევ (Bancuda, A., & Mischel, 1965, წყაროში Cloninger, S. C., 2004), მათი ძირითადი ფორმალური თეორიული განვითარება და კვლევა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოებდა. მიშელის სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში მეტად არის აქცენტირებული ნიშნების

ალტერნატიული ინტერპრეტაცია, ხოლო ბანდურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, თუ როგორ ზემოქმედებს კოგნიცია (განსაკუთრებით, ინდივიდის მიზნებისა და შესაძლებლობების შესახებ მოსაზრებები) ქცევაზე.

მიშელისა და ბანდურას თეორიებში გამოთქმული მოსაზრებები პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების შესახებ შეჯამებულია ცხრილში 2. ეს თეორიები მუდმივად მიმდინარე, განვითარებადი კვლევის კონტექსტში ჩამოყალიბდა, რომელშიც ბევრი სხვა მკვლევარი მონაწილეობდა. კარგად არის განსაზღვრული თეორიის ბაზისური პრინციპები: დასწავლის პროცესი და ქცევისთვის კოგნიციის რელევანტურობა (Cloninger, S. C., 2004).


ცხრილი 2. მიშელისა და ბანდურას თეორიების ძირითადი მომენტები.

კომპონენტი	აღწერა
ინდივიდუალური განსხვავებები	ინდივიდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ქცევით და კოგნიტური პროცესებით და ამ განსხვავების მიზეზი დასწავლაა.
ადაპტაცია და შეგუება	ახალი თერაპიული ტექნიკები იყენებენ მოდელირებასა და სხვა მეთოდებს ფობიებისა და სხვა ფსიქოლოგიური აშლილობების სამკურნალოდ და მათი გამოყენება ეფექტიანია. ასევე, ეფექტურია თვითეფექტურობის მომატების ტექნიკები.
კოგნიტური პროცესები	კოგნიტური პროცესები (მოლოდინებისა და თვითეფექტურობის ჩათვლით) ცენტრალურია პიროვნებისთვის.
საზოგადოება	მოდელირების ძირითადი გამოყენება საზოგადოებაში ხდება, ტელევიზიით ნაჩვენები ძალადობის ჩათვლით, რაც აგრესიის პოპულარიზაციას ემსახურება.
ბიოლოგიური გავლენები	მიუხედავად იმისა, რომ თეორია არ ფოკუსირდება ბიოლოგიურ ფენომენებზე, ბანდურამ აღმოაჩინა, რომ თვითეფექტურობა აუმჯობესებს იმუნური სისტემის ფონქციონირებას ფობიების მქონე ინდივიდებთან.
ბავშვის განვითარება	ბავშვები, ძირითადად, მოდელირების მეშვეობით სწავლობენ, როგორც ეს ბავშვებზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა.
მოზრდილის განვითარება	დასწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში ხდება. მოლოდინები და დასწავლის სხვა კოგნიტური ცვლადები შეიძლება შეიცვალოს გამოცდილებასთან ერთად.

წყარო: Cloninger, S. C., 2004.

## მოლოდინები და ღირებულებები

ერთ-ერთი პირველი ფსიქოლოგი, რომელმაც ადამიანის პიროვნების ბიჰევიორისტულ ახსნაში კოგნიცია შეიტანა, **ჯულიან როტერი** იყო. როტერის ეკლექტურმა თვალსაზრისმა გააფართოვა ბიჰევიორიზმის ტრადიციული საზღვრები დასწავლის იმ გარკვეული ასპექტების ახსნის თვალსაზრისით, რომლებიც მხოლოდ ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი. როტერისთვის (1954, 1972) პიროვნება აქტიურად ახდენს საკუთარი რეალობის კონსტრუირებას და არა — უბრალოდ პასიურად რეაგირებს მასზე. ამასთან, მისთვის ადამიანის მიერ განხორციელებული დასწავლის დიდი ნაწილი სოციალურ კონტექსტში ხდება და ამიტომ ისინი სწავლობენ, რომ წინასწარ განჭვრიტონ სხვების მოსალოდნელი ქცევები და ამის მიხედვით დაგეგმონ საკუთარი ქმედებები.



როტერი

როტერის სოციალური დასწავლის თეორია ორ ძირითად ცნებაზეა აგებული (McAdams, D. P., 2006). ეს ცნებებია *მოლოდინი* და *განმამტკიცებლის ღირებულება*.

*მოლოდინი* არის სუბიექტური აღბათობა იმისა, რომ კონკრეტულ ქცევას შედეგის სახით კონკრეტული განმამტკიცებელი მოჰყვება. დროთა განმავლობაში და სხვადასხვა სიტუაციაში

თითოეული ჩვენგანი დაისწავლის, რომ გარკვეული ქცევები განმტკიცდება გარკვეულ სიტუაციებში, სხვა ქცევები კი — არა. მაგალითად, სტუდენტი შეიძლება მოელოდეს, რომ ფსიქოლოგიაში ბევრი მეცადინეობის შედეგად გამოცდაზე უმაღლეს შეფასებას დაიმსახურებს. მეორე მხრივ, ის, ასევე, შეიძლება მოელოდეს, რომ მეგობარ ყმაწვილთან ურთიერთობის დარეგულირებაზე დახარჯული იმდენივე ძალისხმევა არ მოუტანს იმდენივე დაკმაყოფილებას. ამ შემთხვევაში მას ძალზე განსხვავებული სუბიექტური მოლოდინები აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგს მოიტანს „ძალისხმევის გაწევა“ ორ სხვადასხვა სიტუაციაში (McAdams, D. P., 2006). გარდა ამისა, ადამიანები დროთა განმავლობაში ანვითარებენ *განზოგადებულ მოლოდინებს*, ზოგადად, სამყაროში არსებული განმამტკიცებლების ბუნების შესახებ.<sup>1</sup>

როტერის თეორიაში მეორე ძირითადი ცნებაა *განმამტკიცებლის ღირებულება*, რომელშიც მოიაზრება კონკრეტული განმამტკიცებლის სუბიექტური მიმზიდველობა (McAdams, D. P., 2006). მაგალითად, იგივე სტუდენტისთვის ურთიერთობის დარეგულირების განმამტკიცებლის ღირებულება გაცილებით მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე ფსიქოლოგიაში უმაღლესი შეფასებისა. შესაბამისად, მან, შესაძლოა, ძალისხმევა არ დაიშუროს ურთიერთობის მოწესრიგებაზე და სულაც დაანებოს თავი ფსიქოლოგიის კურსს, მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები საწინააღმდეგო მიმართულებით ქცევის შემთხვევაში მეტ „წარმატებას“ პროგნოზირებენ. იმისათვის, რომ ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორ მოიქცევა ესა თუ ის ადამიანი, მხედველობაში უნდა მივიღოთ კონკრეტული პიროვნების შემთხვევაში მოლოდინისა და განმამტკიცებლის ღირებულების კონკრეტული კომბინაცია, კონკრეტული მიზნით მართული ქცევისთვის, რომელიც კონკრეტულ დროსა და სიტუაციაში ხორციელდება. როტერის ტერმინებით რომ ვთქვათ, ქცევის პოტენციალი ( $BP$ ) ანუ ალბათობა იმისა, რომ კონკრეტული პიროვნება განახორციელებს კონკრეტულ ქცევას, მოლოდინისა ( $E$ ) და ამ ადამიანისთვის მოცემული ქცევის განმამტკიცებლის ღირებულების ( $RV$ ) კომბინაციის ტოლია:  $BP=E+RV$ . ადამიანებისგან ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი იმ მიზნების მისაღწევად მოქმედება, რომლებიც მათი მოლოდინით, (ა) განმტკიცდება (მაღალი  $E$ ) და (ბ) მაღალი ღირებულების მქონე განმამტკიცებლების მიწოდების წინაპირობას წარმოადგენენ (მაღალი  $RV$ ). მათგან ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი ისეთი მიზნებისკენ სწრაფვა, რომლებისთვისაც (ა) ისინი არ ელოდებიან განმტკიცებას (დაბალი  $E$ ) და (ბ) მოსალოდნელ განმამტკიცებლებს არ გააჩნიათ განსაკუთრებული ღირებულება (დაბალი  $RV$ ) (McAdams, D. P., 2006).



მიშელი

**უოლტერ მიშელმა<sup>2</sup>** (1973, 1979) *კოგნიტური სოციალური დასწავლის პიროვნული ცვლადების* შეტანით გააფართოვა როტერისეული კონცეფცია. ამ ცვლადებს ასე იმიტომ უწოდა, რომ ისინი კოგნიციიდან და სოციალური დასწავლის კონცეფციიდან მომდინარეობენ. მათ

შემოკლებით კოგნიტურ პიროვნულ ცვლადებსაც უწოდებენ ხოლმე (Cloninger, S. C., 2004). ისინი სიტუაციებისადმი მიდგომის სტილებს ანუ დამახასიათებელ სტრატეგიებს წარმოადგენენ და ითვლება, რომ იმ წარსული გამოცდილებიდან ფორმირდებიან, რომელიც ინდივიდს სხვადასხვა სიტუაციაში და ჯილდოსთან შეხვედრების შედეგად უგროვდება. მოლოდინებისა და ღირებულებების გარდა, მიშელი სხვა ისეთ კოგნიტურ და სოციალური დასწავლის ცვლადებს აღწერს, როგორცაა კომპეტენციები, კოდირების სტრატეგიები, თვითრეგულატორული სისტემები და გეგმები.

*კომპეტენციებში* მოიაზრება ის (McAdams, D. P., 2006), თუ რა იცის პიროვნებამ და რისი გაკეთება შეუძლია. კომპეტენციები პიროვნების კოგნიტური და ბიჰევიორალური კონსტრუქტია (Cloninger, S. C.,

<sup>1</sup> სწორედ ერთ-ერთი ასეთი განზოგადებული მოლოდინია როტერისეული კონტროლის ლოკუსის ცნება, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

<sup>2</sup> მიშელის მასწავლებლები იყვნენ ჯორჯ კელი და ჯულიან როტერი.

2004). თითოეული ადამიანი სიტუაციას საკუთარი უნარ-ჩვევებით ანუ კომპეტენციებით უდგება. ერთ ადამიანს, შესაძლოა, განსაკუთრებით კარგად შეემლოს სხვებისადმი ემპათიის გამოხატვა, მეორე ძალზე გაწაფული იყოს სოციალური პრობლემების ცივი და მიუკერძოებელი გონებით განხილვაში, მესამეს კი ლაკონურად საუბარი ეხერხებოდეს. თითოეული უნარი გავლენას მოახდენს იმაზე, თუ რეალურად რას მოიმოქმედებს ესა თუ ის ადამიანი მოცემულ სიტუაციაში.

*კოდირების სტრატეგიები* (McAdams, D. P., 2006) გულისხმობს სტილს, რომლითაც ადამიანები ინფორმაციის ინტერპრეტაციას ახდენენ. ეს სტრატეგიები მოიცავენ ცნებებსა და კონცეფციებს სიტუაციებისა და მოვლენების აღსაწერად. დასწავლის განსხვავებული ისტორიებიდან გამომდინარე (Cloninger, S. C., 2004), ყოველი ინდივიდი კონკრეტულ სიტუაციას საკუთარი გადმოსახედიდან უყურებს, შესაბამისად, განსხვავებული იქნება ამ სიტუაციის მისეული ხედვა. მაგალითად, დავუშვათ, სასწავლო წლის დასაწყისში ძალიან მეგობრული და ლოიალური ლექტორი უეცრად „აფეთქდა“, იყვინა ლექციაზე და განრისხებულმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან უმკაცრესად შეაფასებდა სტუდენტების ნაშრომებს. ერთი სტუდენტისთვის ეს ქცევა ამ ლექტორის, როგორც სასიამოვნო ადამიანის, ხედვის დასასრული შეიძლება აღმოჩნდეს; მეორემ იფიქროს, რომ ლექტორმა გაითამაშა რისხვა, რათა სტუდენტებმა მოუმატონ მეცადინეობას; მესამემ კი იფიქროს, რომ ამ ადამიანს უბრალოდ მძიმე დღე ჰქონდა, ემოციების გაკონტროლება ვეღარ შეძლო და სტუდენტებზე იყარა ჯავრი. ნათელია, რომ თითოეული სტუდენტი მისეულ ინტერპრეტაციას აძლევს ერთსა და იმავე ქცევას, რომელიც, შესაძლოა, თავად ლექტორისთვის სრულიად სხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ამრიგად, ადამიანები მოცემული სიტუაციის მათეული ინტერპრეტაციების ანუ ინფორმაციის კოდირების სტილის მიხედვით აგებენ საკუთარ ქცევას (McAdams, D. P., 2006). სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ქცევაზე გარეგანი, გარემოდან მომდინარე სტიმულაცია ზემოქმედებს, ქცევის ფორმირებისთვის, ფაქტობრივად, ამ სტიმულის პიროვნებისეული უნიკალური ინტერპრეტაციაა მნიშვნელოვანი და არა — სიტუაციისა და სტიმულის ობიექტური მახასიათებლები (Cloninger, S. C., 2004).

*თვითრეგულატორულ სისტემებსა და გეგმებში* (McAdams, D. P., 2006) მოიაზრებენ გზებს, რომლითაც თითოეული ჩვენგანი ახდენს საკუთარი ქცევის რეგულირებასა და წარმართვას ჩვენს მიერვე დასახული მიზნებისა და სტანდარტების მეშვეობით. მაგალითად, თუ თქვენი მიზანია უნივერსიტეტის დამთავრება, მაგისტრატურაში საზღვარგარეთ სწავლა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ საკუთარი საკონსულტაციო სააგენტოს გახსნა, ასეთი გეგმები და მიზანი უეჭველად მოახდენს გავლენას თქვენს ამჟამინდელ ქცევაზე: გულდასმით იმეცადინებთ, წაიკითხავთ ბევრს, ეცდებით მაქსიმალური ქულებით დაასრულოთ თითოეული კურსი და პარალელურად ეძებთ სწავლის გაგრძელების პერსპექტივები უცხოეთის უნივერსიტეტებში. გეგმები ჩვენს ცხოვრებას სახელმძღვანელო პრინციპებსა და დღის წესრიგს უწესებენ. ისინი გვკარნახობენ, თუ როგორ შეგვიძლია დასახული მიზნების მიღწევა და გვეხმარებიან იმის გარკვევაში, თუ რისი გაკეთება ღირს და რისი — არა მოცემულ დროსა და სიტუაციაში.

## სიტუაციების გარჩევა და პიროვნების შეთანხმებულობა

სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, ინდივიდები ერთმანეთისგან სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის პატერნებით განსხვავდებიან. ისინი ქმნიან „თუ...მაშინ“ ტიპის მოლოდინებს: თუ შეხვდებით ამ ტიპის სიტუაცია, მაშინ მოხდება ასე. შედეგად მათ უყალიბდებათ სიტუაცია-ქცევის კავშირის მყარი პატერნები. იზადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ასეთი სიტუაციურ-ქცევითი კავშირების მყარი პროფილებით ადამიანის აღწერა? ამ კითხვაზე პასუხს მიშელისა და მისი კოლეგების მიერ წარმოებული კვლევა იძლევა (Первин Л., & Джон О., 2002).

კვლევა, რომელშიც თვითანგარიშის მონაცემებს იყენებდნენ, ნათლად ადასტურებს, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად გრძნობენ და მოქმედებენ სიტუაციათა სხვადასხვა ჯგუფში (Pervin, 1976, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ისინი აჯგუფებენ სიტუაციებს და იმ გრძნობებსა და ქმედებებს, რომლებსაც უკავშირებენ სიტუაციათა ამ ჯგუფებს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ


ინდივიდები განირჩევიან ერთმანეთისგან სიტუაციურ-ქცევითი კავშირების პროფილებით, რომლებსაც მეცნიერები ქცევით ავტოგრაფებს უწოდებენ (Первин Л., & Джон О., 2002). ამ დაშვების თანახმად, ნიშნების თეორიისგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს აკეთებს სიტუაციათა ერთობლიობაში აგრეგირებულ (დაგროვილ) ქცევაზე, ქცევის პატერნებისა და ორგანიზაციის სწორედ ასეთი ინტრანდივიდუალური სტაბილობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიროვნების ფსიქოლოგიაში, რომელიც მოწოდებულია ინდივიდუალური ფუნქციონირების უნიკალობის შემჩნევისა და წვდომისთვის (Shoda, Y., Mischel, W., & Wright, J. C., 1994, გვ. 683).

## ალბერტ ბანდურა: სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია

დასწავლის თეორიის (Хьелл Л., & Зиглер Д., 1997) სფეროს მიღწევებმა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი ჰიპოთეტური შინაგანი ძალებიდან გარემოს ზემოქმედებისკენ გადაანაცვლეს, როგორც ეს სკინერის ოპერანტული დასწავლის შემთხვევაში მოხდა. ამ თვალსაზრისით, როგორც ვიცით, ადამიანის ქცევა სოციალური სტიმულებისა და განმამტკიცებლების ტერმინებით აიხსნება, რომლებიც იწვევენ ქცევას და ამ ქცევის განმამტკიცებელი შედეგები ინარჩუნებენ მას.

დღესდღეობით ყველაზე გავლენიანი სოციალური დასწავლის თეორეტიკოსი ალბერტ ბანდურა თვლის, რომ ქცევის ამგვარად ახსნა „წყლისთვის ბავშვის გადაყოლების“ ტოლფასია (Bandura, A., 1989). ასეთი შინაგანი „ბავშვი“, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, ბანდურას აზრით, დამოუკიდებელი კოგნიტური პროცესებია. სხვა სიტყვებით, თუ რადიკალური ბიჰევიორიზმი უარყოფდა ქცევის შინაგანი კოგნიტური პროცესებიდან მომდინარე დეტერმინანტებს, ბანდურასთვის ინდივიდი არ არის არც

ბანდურა შვილობილებთან ერთად.



თვითმოქმედი სისტემა და არც უბრალო მექანიკური გადამცემი, რომელსაც გარემო სტიმულაცია აცოცხლებს. მისთვის ინდივიდი ფლობს უმაღლეს უნარებს, რომლებიც მას საშუალებას აძლევენ, წინასწარ განჭვრიტოს მოვლენების არსებობა და შექმნას იმ მოვლენებსა თუ პირობებზე კონტროლის საშუალებები, რომლებიც ზემოქმედებენ მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით ბანდურამ შექმნა სოციალური დასწავლის განსაკუთრებით მოცულობითი და კარგად ფორმულირებული თეორია (McAdams, D. P., 2006), რომელშიც მნიშვნელოვნად არის გაფართოებული დასწავლის სფერო და დაკვირვებით სწავლასა და კოგნიტურ პროცესებს მოიცავს. ამასთან, ბანდურას თეორია განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა იმ კომპლექსურ (რთულ) და რეკურსიულ გზებს, რომლითაც პიროვნული ცვლადები, გარემოს ცვლადები და თავად ქცევა ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთზე.

ბანდურა, ასევე, თვლის, რომ ადამიანებს არც ინტრაფსიქიკური ძალები მართავენ და არც გარემოზე რეაგირებენ მექანიკურად. მისთვის ადამიანის ფუნქციონირების მიზეზები გარემოს, კოგნიტური სფეროსა

და ქცევის მუდმივი ურთიერთქმედების პროცესში ძვეს (Хьелл Л., & Зиглер Д., 1997).

## ბიოგრაფიული ცნობები

ალბერტ ბანდურა 1925 წლის 4 დეკემბერს დაიბადა ჩრდილოეთ კანადის ალბერტის პროვინციის პატარა ქალაქ მუნდარაში (Ewen, R. B., 2003), სადაც მხოლოდ ერთი სკოლა იყო. მას ხუთი უფროსი და ჰყავდა. ქალაქის ერთადერთ სკოლაში ბანდურას მხოლოდ ორი მასწავლებელი ჰყავდა, თუმცა, მან, პრაქტიკულად, სარგებელი მიიღო ასეთი რთული სიტუაციიდან: მას განუვითარდა მასალის სწრაფად ათვისების უნარი, რომლითაც იგი ხშირად თავის მასწავლებლებსაც კი სჯობნიდა; ასევე, ჩამოუყალიბდა საკუთარი თავის წარმართვის უნარი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და გამოადგა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ბანდურამ ზაფხული ალასკაზე გაატარა, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს ალასკისა და აშშ-ის ძირითადი ტერიტორიის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობაზე მუშაობდა. ის აღმოჩნდა მუშებს შორის, რომელთა რიცხვშიც მრავლად იყვნენ აშკარად ფსიქიკური ნორმის მიღმა მყოფი ადამიანები. მართალია, მათზე დაკვირვებამ ბანდურას ფსიქოპათოლოგიისადმი ინტერესი გაუღვიძა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება — ფსიქოლოგი გამხდარიყო, ვანკუვერში ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ მიიღო (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ბანდურას არჩევანი, წასულიყო ფსიქოლოგიაში, ნაწილობრივ, შემთხვევითი იყო. მას სტუდენტობის პერიოდში ხშირად უწევდა სხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მატარებლით მგზავრობა, რომელთაც მასზე ადრე ეწყობოდათ მეცადინეობები. ამიტომ დილის საათების უქმად ფლანგვის ნაცვლად ის ფსიქოლოგიის ახლადგახსნილ კურსზე ჩაეწერა. ის იმდენად გაიტაცა ამ სფერომ, რომ გადაწყვიტა, ძირითად სპეციალიზაციად აერჩია (Ewen, R. B., 2003).

ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი ბანდურამ 1949 წელს ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო (Ewen, R. B., 2003). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან ისეთი უმაღლესი სასწავლებლის ძებნა დაიწყო, რომელსაც კარგი თეორიული პროგრამა ექნებოდა ფსიქოლოგიაში. სამეცნიერო ხელმძღვანელმა მას აიოვას უნივერსიტეტი ურჩია, რომელიც ცნობილი იყო დასწავლის ბრწყინვალე კვლევებით (Первин Л., Джон О., 2002; Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001). ასე გადასახლდა ის კანადიდან ამერიკაში. მისთვის უნივერსიტეტი ცოცხალი და მომთხოვნი ადგილი იყო, სადაც ძირითად თეორიულ საკითხებს გატაცებით განიხილავდნენ და იკვლევდნენ (Ewen, R. B., 2003). მას ამ დროისთვის უკვე აინტერესებდა კლინიკური ფენომენების შემთხვევაში დასწავლის თეორიის პრაქტიკული გამოყენების საკითხი. მას სურდა კლინიკური ფენომენების კონცეპტუალიზაცია, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი სისტემატური ექსპერიმენტული შემოწმება. ამის მიზანი იყო ის, რომ ადამიანები მხოლოდ მას შემდეგ ჩართულიყვნენ თერაპიის პროცესში, რაც დანამდვილებით იქნებოდა ცნობილი, თუ როგორ მოქმედებდა მათზე ეს პროცესი (Первин Л., & Джон О., 2002).

ბანდურამ 1951 წელს აიოვას უნივერსიტეტში მიიღო ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხი, შემდეგ წელს კი დოქტორის ხარისხი კლინიკურ ფსიქოლოგიაში (McAdams, D. P., 2006). აიოვაში ბანდურაზე დიდი გავლენა მოახდინა კენეტ სპენსმა<sup>3</sup> (კლარკ ჰალის მოსწავლემ) და დეტალურ კონცეპტუალურ ანალიზსა და მკაცრ სამეცნიერო ექსპერიმენტებზე აქცენტმა, რაც ასე პრიორიტეტული იყო უნივერსიტეტში. ამავე პერიოდში გაეცნო მილერისა და დოლარდის შრომებსაც (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). სწავლის დასრულების შემდეგ ერთი წელიწადი სტაჟორად მუშაობდა უიჩიტის (არკანზასი) საკონსულტაციო ცენტრში, 1953 წელს კი პედაგოგის პოზიცია დაიკავა სტენფორდის უნივერსიტეტში. ის 1964 წელს გახდა სრული პროფესორი, 1974 წელს კი უვადოდ დაიკავა ეს პოზიცია. ბანდურა მისვლის დღიდან (თუ არ ჩავთვლით ერთწლიან პაუზას) დღემდე სტენფორდში მუშაობს (Ewen, R. B., 2003; McAdams, D. P., 2006).

სტენფორდში გადასვლის შემდეგ ბანდურა ფსიქოთერაპიაში ინტერაქციული პროცესების კვლევით დაკავდა. მას, ასევე, აინტერესებდა ოჯახური ურთიერთქმედების პატერნები, რომლებსაც ზავშევი

<sup>3</sup> დღესდღეობით აიოვას უნივერსიტეტში სპენსის სახელობის ფსიქოლოგიური ლაბორატორია არსებობს.

აგრესიულ ქცევამდე მიჰყავდათ. აგრესიის ოჯახური პირობების კვლევამ, რომელსაც იგი რიჩარდ უოლტერსთან<sup>4</sup> ერთად ატარებდა, ბანდურა პიროვნების განვითარებაში მოდელირების (სხვების ქცევაზე დაკვირვების გზით დასწავლის) წამყვანი როლის აღმოჩენამდე მიიყვანა, რომლის შედეგები და მოდელირებული პროცესების შემდგომი სისტემატური ლაბორატორიული კვლევები აისახა წიგნებში „მოზარდთა აგრესია“ (1959) და „სოციალური დასწავლა და პიროვნების განვითარება“ (1963) (Первин Л., & Джон О., 2002).

აიოვაში სწავლის პერიოდში ბანდურამ ვირჯინია ვარნსზე იქორწინა. მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ. პიროვნულად ბანდურას, ჩვეულებისამებრ, აღწერენ, როგორც გამორჩეულად ენერგიულ, სიცოცხლით აღსავსე, გადამდებად ოპტიმისტურ და საკუთარ იდეებში, რომ ინდივიდებსა და საზოგადოებებს შესწევთ სრულყოფის მიღწევის უნარი, თავდაჯერებულ ადამიანს (Maddux, 1998, წყაროში Ewen, R. B., 2003).

ბანდურას თითქმის ყველა ადრეული პუბლიკაცია კლინიკური ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება და, ძირითადად, რორმახის ტესტს ეძღვნება, თუმცა პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომელზეც ის წერდა, ხშირად სტუდენტებთან და დოქტორანტებთან ერთად. მისი ყველაზე მონუმენტური ნაშრომი „აზრისა და ქმედების სოციალური საფუძვლები“ 1986 წელს გამოვიდა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001), რომელშიც ადამიანის ქცევის ყოვლისმომცველი თეორიის ჩამოყალიბების მცდელობაა განხორციელებული. ადამიანის უნარებისადმი და შესაძლებლობებისადმი განსაკუთრებული ყურადღება პიროვნების განვითარებისადმი და თერაპიული ცვლილებისადმი ინტერესს უკავშირდება. მისი ბოლო შრომები ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის ადამიანის მოტივაციასა და თვითეფექტურობის (კომპეტენტურობის) გრძნობის მნიშვნელობას ეძღვნება. გარდა ამისა, მისი სულ ბოლო ნაშრომი ეხება იმას, თუ საზოგადოების მახასიათებლები, კერძოდ, ეკონომიკური და სოციალური პირობები, როგორ ზემოქმედებენ ადამიანის რწმენაზე, რომ მას შეუძლია მიმდინარე მოვლენებზე ზემოქმედება (Bandura, A., 1997).

ბანდურას გამოქვეყნებული აქვს შვიდი წიგნი და უამრავი საჟურნალო სტატია; მიღებული აქვს დიდი რაოდენობით პრემიები და ჯილდოები, მათ შორის რამდენიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და გამორჩეულია (Ewen, R. B., 2003). ეს არის, მაგალითად, გუგენჰეიმის სტიპენდია 1972 წელს. იმავე წელს მიიღო ჯილდო „მეცნიერებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის“ აფა-ის მე-12 (კლინიკური) სექციისგან. 1974 წელს აირჩიეს ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტად, 1977 წელს კი ჯეიმს მაკკინ კატელის სახელობის პრემია მიიღო. 1980 წელს ამერიკის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრად აირჩიეს და ამავე წელს მიიღო ჯილდო აგრესიის კვლევის საერთაშორისო საზოგადოებისგან „განუზომელი მიღწევებისთვის“ შემდეგი ფორმულირებით: „მკვლევარს, მასწავლებელსა და თეორეტიკოსს მიბადვის უნაკლო მაგალითის შექმნისათვის“ (Первин Л., Джон О., 2002; Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

დღესდღეობით ბანდურა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორია, ხელმძღვანელობს ფსიქოლოგიის მიმართულებას საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტზე დევიდ სტარ ჯორდანის კოლეჯში (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001)

## მოსაზრებები ადამიანის შესახებ

ბანდურა აცნობიერებს, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ადამიანის შესახებ ზოგად მოსაზრებებსა და პიროვნების თეორიას შორის. იგი აღნიშნავს, რომ „ზოგადი მოსაზრებები ადამიანის ბუნების შესახებ გავლენას ახდენს იმაზე, თუ ფსიქოლოგიური ფუნქციონირების რომელი ასპექტების შესწავლა ხდება ყველაზე ღრმად და დეტალურად და რომელი რჩება შესწავლის გარეშე. ანალოგიურად, თეორიული კონცეფციები განსაზღვრავენ კვლევის სქემებს, რომლითაც გროვდება ფაქტები; ეს ფაქტები კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ თეორიის ფორმულირებაზე“ (Bandura, A., 1977, გვ. vi). სხვა სიტყვებით,

<sup>4</sup> Richard Walters, ბანდურას პირველი დოქტორანტი.



ადამიანის ბუნების შესახებ მოსაზრებებს, კვლევის პროგრამასა და პიროვნების თეორიას შორის არსებობს რეციპროკული ანუ ურთიერთშებრუნებული კავშირები.

თანამედროვე სოციალურ-კოგნიტური თეორია ადამიანს აქტიურ არსებად მიიჩნევს, რომელიც კოგნიტურ პროცესებს იყენებს იმისათვის, რათა წარმოიდგინოს მოვლენები, იწინასწარმეტყველოს მომავალი, შეარჩიოს მოქმედების მიმართულება და ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ადამიანებთან (Mischel, W., & Shoda, Y., 1995). უარყოფილია ალტერნატიული მოსაზრებები ადამიანის, როგორც არაცნობიერი იმპულსების პასიური მსხვერპლის, შესახებ. უარყოფილია ის პიროვნების თეორიებიც, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ შინაგან ფაქტორებს, გარემოს სრულიად გამორიცხვამდე კი, გარემოს ცვლილებებისადმი ინდივიდის რეაქტიულობის უგულვებლყოფის გამო (Shoda, Y., Mischel, W., & Wright, J. C., 1994). ამასთან, უარყოფილია ის თეორიებიც, რომლებიც მხოლოდ გარეგან ფაქტორებს ანიჭებენ უპირატესობას, შინაგანი ფაქტორების სრულ გამორიცხვამდე, ვინაიდან ისინი არ ითვალისწინებენ ქცევაში კოგნიტური ფუნქციების როლს.

უარყოფს რა როგორც წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ადამიანებს მხოლოდ შინაგანი ძალები ამოძრავებთ, ისე – მოსაზრებას, რომ ადამიანები მუდმივად გარემოს დარტყმების ქვეშ იმყოფებიან, სოციალურ-კოგნიტური თეორია ვარაუდობს, რომ ქცევა ადამიანისა და მისი გარემოცვის ურთიერთქმედების ტერმინებით შეიძლება ავხსნათ – პროცესით, რომელსაც ბანდურა რეციპროკულ დეტერმინიზმს უწოდებს. ადამიანებზე ზემოქმედებს გარემო პირობები და, ამავე დროს, ისინი თავად ირჩევენ ზემოქმედების საშუალებებს. ადამიანი ერთდროულად რეაგირებს სიტუაციაზე და აქტიურად ქმნის კიდევ სიტუაციას მასზე ზემოქმედებით. ადამიანები არჩევენ სიტუაციებს და თავად ფორმირდებიან მათი ზემოქმედების შედეგად. ისინი ურთიერთქმედებენ ადამიანების ქცევასთან და თავად ფორმირდებიან ამ სხვა ადამიანების ქცევის გავლენით (Первин Л., & Джон О., 2002).

## მოსაზრებები მეცნიერების შესახებ

ბანდურა ახორციელებს როგორც თეორიულ სამუშაოს, ისე – ემპირიულ კვლევებს. ის ცდილობს, რომ ცნებები მკაფიოდ იყოს ფორმულირებული და სისტემატურ დაკვირვებებს ეყრდნობოდეს. თეორიები, რომლებიც წინა პლანზე წევნ მოტივაციურ ძალებს მოთხოვნილებების, ლტოლვებისა და იმპულსების სახით, მის კრიტიკას იმსახურებენ ზუსტად იმიტომ, რომ ისინი ბუნდოვანია და მათგან ნაკლები სარგებელია ქცევის პროგნოზირებისა და შეცვლის თვალსაზრისით.

თუ რადიკალური ბიჰევიორიზმი უარს ამბობს კოგნიტური პროცესების შესწავლაზე, ვინაიდან არ ენდობა ინტროსპექციის მონაცემებს, ბანდურა თვლის, რომ ასეთი პროცესები აუცილებლად უნდა შეისწავლებოდეს და ამ მიზნით კანონიერი და სასურველიცაა ზოგიერთი ტიპის თვითანგარიშის მეთოდის გამოყენება. ის თვლის, რომ კონკრეტული თვითანგარიშები, რომლებიც გარეგანი შეფასებისგან არის მიღებული თავისუფალ პირობებში, შეიძლება საკვებით ღირებული მასალა იყოს კოგნიტური პროცესების გასაგებად.

ამრიგად, სოციალურ-კოგნიტური თეორია გამოირჩევა როგორც ადამიანის ქცევის ფორმებისა და ასპექტების მრავალფეროვნებით, ისე – მეცნიერული სიმკაცრით. მას აინტერესებს როგორც მნიშვნელოვანი შინაგანი პროცესები, ისე – სისტემატური დაკვირვებები გარეგან ქმედებებზე. ადამიანის მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი ინტერესისა და მეცნიერული რესპექტაბელობის სწორედ ასეთი კომბინაციით შეიძლება ავხსნათ თეორიის ასეთი პოპულარობა (Первин Л., & Джон О., 2002).

## სოციალური დასწავლის თეორიის ძირითადი პოზიცია

ბანდურასთან პრაქტიკულად არ განიხილება ბიოლოგიური ფაქტორების როლი პიროვნების ფორმირებაში. ის თვლის, რომ ადამიანი დასწავლის შედეგია, რომლის დროსაც მას შეუძლია სხვადასხვაგვარი ქცევითი პატერნების დასწავლა.

ცნობიერების პლასტიურობის გარდა, რომელიც ქცევის სტილის შეცვლის შესაძლებლობას გვაძლევს,

მნიშვნელოვან ადამიანურ თვისებას წარმოადგენს აზროვნება (კოგნიცია), რომელიც გარე სამყაროს შეცნობისა და ქცევის გააზრებისთვის სიმბოლური სტრუქტურების, მაგალითად, ენის გამოყენების საშუალებას გვაძლევს.

თუმცა, ადამიანის ქმედებას მხოლოდ შინაგანი იმპულსები არ განაპირობებენ, როგორცაა ინსტინქტები, მოთხოვნილებები ან განზრახვები, ანდა, როგორც თვლიდა სკინერი, მხოლოდ გარეგანი ძალები. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის პიროვნება და ქცევა დამოკიდებულია გარე სამყაროს მოვლენებზე, ისინი უპირობოდ არ არიან ამ მოვლენებით განპირობებულნი. ჩვენს ქმედებას განაპირობებს არა თავისთავად გარე სამყარო, არამედ გარე სამყაროს მოვლენების ჩვენეული აღქმა. სწორედ ესაა ქცევაზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორი. მოცემულ ფარგლებში ადამიანებს შეუძლიათ ქცევის ისეთი სტილის არჩევა, რომელიც გაზრდის პროგნოზირებად პასუხს გარე სამყაროს მხრიდან. აქედან გამომდინარე, ქცევა არის არა მარტო ფუნქცია, არამედ დამოუკიდებელი ცვლადიც, რომელიც გავლენას ახდენს გარემოზე და პიროვნებაზეც. ბანდურამ შემგვთავაზა რეციპროკული დეტერმინიზმის სამმაგი მოდელი, რომლის თანახმადაც, ადამიანის ქცევა წარმოადგენს პიროვნული ფაქტორების, მათ შორის აზროვნებისა და შემეცნების უნარის (კოგნიციის), გარე სამყაროს მოვლენებისა და თავად ადამიანის მოქმედების ურთიერთქმედების შედეგს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## რეციპროკული დეტერმინიზმი

მრავალი ფსიქოლოგიური მიდგომა ურთიერთმოქმედი მიზეზების კომპლექსური/რთული ქსელის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს განიხილავს, როდესაც ქცევაზე სიტუაციების გავლენას აღწერენ (ბიჰევიორიზმის შემთხვევაში), ან როდესაც პიროვნული ნიშნების მიერ ქცევის დეტერმინაციაზე საუბრობენ (როგორც ნიშნების მიდგომები აკეთებენ) (Cloninger, S. C., 2004). ბანდურამ (Bandura, A., 1977) გააფართოვა ეს შედარებით შეზღუდული მიზეზ-შედეგობრივი მოდელები და მასში რეციპროკული დეტერმინიზმის ცნება შეიტანა.

რეციპროკული დეტერმინიზმი სამკომპონენტო კონცეფციაა, რომელიც პიროვნების, გარემოსა და ქცევის ურთიერთგავლენაზე საუბრობს (Cloninger, S. C., 2004). ამ კონცეფციის თანახმად, ადამიანის ქცევა ამ სამი ცვლადის ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. ამასთან, ქცევა ნაწილობრივ გარემოს ფუნქციაც არის, გარემო კი ნაწილობრივ დამოკიდებულია ქცევაზე. ქცევაზე მოქმედი მესამე ფაქტორი – პიროვნება, რომელშიც ბანდურა, პირველ რიგში, შინაგან მახასიათებლებს, მაგალითად, აზროვნებას (კოგნიციას), მოვლენების დამახსოვრებისა და პროგნოზირების უნარს, გულისხმობს. ადამიანის აზროვნება განსაზღვრავს, თუ გარემოს რომელ მოვლენებთან მოუწევს მას შეხვედრა, რა შეფასებას მისცემს ამ მოვლენებს და როგორ მოახდენს მათ ორგანიზებას შემდგომი გამოყენებისთვის (Bandura, A., 1977).


ამრიგად, რეციპროკული დეტერმინიზმი თანხვედბა ბიჰევიორიზმს იმ თვალსაზრისით, რომ მასშიც გარემო გავლენას ახდენს ქცევაზე (მაგალითად, ბიბლიოთეკა კითხვისკენ გვიბიძგებს, რესტორანი კი — არა). ასევე, ის თანხვედბა ნიშნების მიდგომას იმით, რომ მიიჩნევს, რომ პიროვნება გავლენას ახდენს ქცევაზე (მაგალითად, პატიოსანი სტუდენტები მეტს მეცადინეობენ). თუმცა, მესამე კომპონენტით რეციპროკული დეტერმინიზმი უფრო შორს მიდის, როდესაც მიუთითებს, რომ ქცევაც იწვევს ცვლილებას გარემოსა (მაგალითად, თუ სტუდენტი მეცადინეობას უფრო მეტ დროს უთმობს, ვიდრე წვეულებებზე სიარულს, დროთა განმავლობაში იკლებს მეგობრების მიერ ასეთ წვეულებებზე დაპატიჟების სიხშირე) და ინდივიდში (მაგალითად, მეცადინეობა აამაღლებს მის აკადემიურ თვითდარწმუნებულობას). გარემო არამარტო იწვევს ქცევას, არამედ ამ ქცევის გავლენის ქვეშაც ექცევა. ერთ-ერთი გზა, რომლითაც პიროვნება გავლენას ახდენს სიტუაციებზე ისაა, რომ ადამიანები განსხვავებულად ირჩევენ სიტუაციებს და ეს განსხვავება მათი პიროვნული განსხვავებულობიდან მომდინარეობს (Emmons, Diener, & Larsen, 1985, წყაროში (Cloninger, S. C., 2004).

სამ რეციპროკულ ფაქტორს განსხვავებული ძალა აქვს და სხვადასხვა ოდენობის წვლილი შეაქვს ქცევის დეტერმინაციაში. ქცევის, გარემოსა და პიროვნების ფარდობით გავლენას განაპირობებს ის, თუ

ტრიადის რომელი ფაქტორია ძლიერი მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში (Bandura, 1982a, წყაროში Фрейдджер, Р.Фейдимен Дж., 2001).

რეციპროკული დეტერმინიზმის უკვე კლასიკური მაგალითია მამა-შვილის ინტერაქცია: ბავშვი მამას ნამცხვრის ყიდვას სთხოვს. მამის პოზიციიდან ეს გარემოს მოვლენაა. თუ მამა ავტომატურად (გაუაზრებლად) უყიდის ნამცხვარს, მაშინ ეს ორი ფაქტორი სკინერის მოდელის მიხედვით იმოქმედებდა ერთმანეთზე. მამის ქცევას განაპირობებდა გარემო და, თავის მხრივ, ქცევა მოახდენდა გავლენას გარემოზე – შვილზე. თუმცა, ბანდურას თეორიის თანახმად, მამას აქვს უნარი, გააზროს შედეგები, რომელსაც მიიღებს იმის შესაბამისად, დააჯილდოვებს შვილს, თუ უყურადღებოდ დატოვებს მის ქცევას. მამამ შეიძლება იფიქროს: „თუ ნამცხვარს ვუყიდი, ის დროებით შეწყვეტს ტირილს, მაგრამ დიდია ალბათობა, რომ შემდეგ ჯერზე ისევ იჯიუტოს მანამ, სანამ არ მივცემ იმას, რასაც მოითხოვს. ამიტომ ამჯერად არ ვუყიდი ნამცხვარს“. ამგვარად, მამა ზემოქმედებს როგორც გარემოზე (ბავშვზე), ისე – საკუთარ ქცევაზე (უარს ამბობს ბავშვის თხოვნის შესრულებაზე). ბავშვის შემდგომ ქცევას – მამის გარემოს – წვლილი შეაქვს

სურ. N 1. ბანდურას რეციპროკული დეტერმინიზმი.



მისი აზროვნებისა და ქცევის ფორმირებაში. თუ ბავშვი შეწყვეტს ტირილს და ნამცხვრის მოთხოვნას, მამამ შეიძლება ასე შეაფასოს თავისი ქცევა: „სწორად მოვიქეცი, ამიტომ კარგი მამა ვარ“. გარდა ამისა, ცვლილებები გარემოში მას სხვაგვარად მოქცევის შესაძლებლობას აძლევს. ამგვარად, მამის შემდგომ ქცევას განაპირობებს გარემოს რეციპროკული ზემოქმედება, აზროვნება და შემდგომი ქცევა.

რეციპროკული დეტერმინიზმის მოდელი მოცემულია სურათზე N1, სადაც ქცევაში (B) იგულისხმება საკუთრივ თვალსაჩინო, დაკვირვებადი ქცევა; გარემოს თვისებებში (E) – ადამიანისთვის

გარეგანი გარემო; ხოლო პიროვნების მახასიათებლებში (P) – წარმოდგენილია პიროვნება მისი ისეთი ბიოლოგიური მახასიათებლების ჩათვლით, როგორიცაა სქესი, სიმაღლე და ფიზიკური მიმზიდველობა, ასევე, ფსიქიკა, აზროვნების, მეხსიერების, განსჯის უნარის, პროგნოზირების უნარისა და ა.შ. ჩათვლით (Cloninger, S. C., 2004; Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ზემოთ მოტანილი მაგალითი ამ დიაგრამის გამოყენებით შეგვიძლია განვიხილოთ. პირველ რიგში, ბავშვის თხოვნა ზემოქმედებს მამის ქცევაზე ( $E \rightarrow B$ ) და, ნაწილობრივ, განაპირობებს მამის აზროვნებას ( $E \rightarrow P$ ), მამის ქცევა ხელს უწყობს ბავშვის ქცევის ანუ გარემოს ფორმირებას ( $B \rightarrow E$ ), მისი ქცევა ზემოქმედებს მის შემდგომ აზრებზეც ( $B \rightarrow P$ ), ხოლო მისი აზროვნება, ნაწილობრივ, განაპირობებს მის ქცევას ( $P \rightarrow B$ ). ციკლის დასასრულებლად აუცილებელია, რომ P (პიროვნება) ზემოქმედებდეს E-ზე (გარემოზე). როგორ არის შესაძლებელი, რომ მამის აზროვნება უშუალოდ, ქცევაში გამოვლენის გარეშე, ცვლიდეს გარემოს? მას არ შეუძლია ამის გაკეთება. თუმცა P არ ნიშნავს მხოლოდ აზროვნებას, ის მთლიან პიროვნებას აღნიშნავს. ამ შემთხვევაში მამა, თავისი ნებისა და მშობლის სტატუსის წყალობით და, შესაძლებელია, სიმაღლითა და ფიზიკური ძალით, ბავშვზე გადაჭრით მოქმედი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. ამგვარად, დასრულებულია საბოლოო განაპირობება ( $P \rightarrow E$ ) (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

პიროვნების სრულად გაგებისთვის აუცილებელია პიროვნებას, სიტუაციასა და ქცევას შორის არსებული ყველა ურთიერთგავლენის შესწავლა (Cloninger, S. C., 2004).

## დეტერმინიზმი და შემთხვევითობა

გარდა რეციპროკული დეტერმინიზმისა, ბანდურა საუბრობს შემთხვევითობის როლზე ქცევის დეტერმინაციაში (Cloninger, S. C., 2004).

ბანდურას მიერ ტერმინი *დეტერმინიზმის* გამოყენებამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. მის

თეორიაში დეტერმინირებულ სისტემად მიიჩნევა ის სისტემა, რომელშიც მდგომარეობების ცვლის ფუნქცია და საწყისი მდგომარეობისა და განსაზღვრული მდგომარეობების შემდგომი თანმიმდევრობის ფუნქცია ერთმნიშვნელოვნად განაპირობებენ ახალ მდგომარეობებსა და გადასვლებს. ასეთი კიბერნეტიკული პოზიციიდან, ადამიანის ქცევა, ბანდურას აზრით, დეტერმინირებული სისტემაა; თუმცა, სკინერისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის ნებისმიერი აქტივობის მიზეზს გარემოს მოვლენებში ხედავდა, ბანდურა არასოდეს ყოფილა აბსოლუტური დეტერმინისტი და არ ჩაუთვლია დეტერმინიზმი და ქცევის თავისუფლება არათავსებად ცნებებად. ის არც აბსოლუტური ნების პოზიციაზე დგას და, სხვა თეორეტიკოსებისგან განსხვავებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შემთხვევით მოვლენებს, კერძოდ, შემთხვევით შეხვედრებს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

რეციპროკული ტრიადის ნებისმიერი ფაქტორი, იქნება ეს ქცევა, პიროვნება თუ გარემო, შემთხვევითი მოვლენის შედეგად შეიძლება არაპროგნოზირებადად შეიცვალოს დროის ნებისმიერ მომენტში და ადამიანი, შესაბამისად, თავისი პლასტიურობის წყალობით, ასევე შეიცვლება.

ამგვარად, ადამიანის ქცევა არის არა დეტერმინირებული, არამედ სტოქასტური<sup>5</sup> სისტემა და ეს პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ზუსტ წინასწარმეტყველებას. მიუხედავად ამისა, შემთხვევითი შეხვედრები ადამიანებზე რეციპროკული დეტერმინიზმის სქემის მხოლოდ E კომპონენტში მოქმედებენ და ამიტომ თავიანთ ზემოქმედებას პიროვნების მრავალრიცხოვან ურთიერთქმედებას, მის ქცევასა და გარემოს. ამ თვალსაზრისით, ისინი ისევე მოქმედებენ ჩვენზე, როგორც დაგეგმილი მოვლენები. როგორც კი შემთხვევითი შეხვედრა ხდება, ადამიანი ახალი ნაცნობობის შესატყვისად იწყებს ქცევის აგებას წინა განმტკიცებების გამოცდილებაზე, ამ ნაცნობობისგან მოლოდინებსა და მასზე სხვა ადამიანების რეაქციებზე დაყრდნობით (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). მაგალითად, კონფერენციაზე პროფესორმა მხოლოდ იმიტომ დაიკავა კონკრეტული სკამი, რომ ის ცარიელი დახვდა. მის გვერდით სკამზე აღმოჩნდა ქალბატონი, რომელიც შემდგომში მისი მეუღლე გახდა (Bandura, A., 1977).

## ქცევის თვითრეგულაცია: „მე“-ს სისტემა

ადამიანებს მნიშვნელოვანწილად შეუძლიათ საკუთარი ქცევის კონტროლი. ცხადია, სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულია ამ კონტროლის ეფექტიანობა. ზოგჯერ ისინი გადაავადებენ, გვერდზე გადადებენ ხოლმე გასაკეთებელ საქმეებს, ზოგჯერ კი თავად უშლიან საკუთარ თავს ხელს იმით, რომ რთული გზებით ცდილობენ დასახული მიზნების მიღწევას (ამის მაგალითი იქნება სტუდენტი, რომელიც დაჟინებით ცდილობს მეცადინეობას ხმაურიან ბარში, სადაც უამრავი მრავალფეროვანი დისტრაქტორია) (Lay, Kinsh, & Zanatta, 1992, წყაროში Cloninger, S. C., 2004). ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ადამიანი მაქსიმალურად იყენებს საკუთარ შესაძლებლობებს. ნიჭიერი სტუდენტების კვლევამ აჩვენა, რომ ისინი მეტად იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლა-განათლებაზე. მაგალითად, ცნობილია, რომ თომას ედისონმა (თუ მის ჩანაწერებს ვენდობით) ადგილობრივ ბიბლიოთეკაში პრაქტიკულად ყველა წიგნი წაიკითხა (Cloninger, S. C., 2004).

ამ ქვეთავში ბანდურას თეორიის ისეთ მნიშვნელოვან ცნებებს განვიხილავთ, როგორცაა „მე“-ს სისტემა და თვითრეგულაცია.

### „მე“-ს სისტემა

ვინაიდან ბანდურა ბიჰევიორისტია და, პირველ რიგში, ადამიანის ქცევა აინტერესებს, ის არ განიხილავს პიროვნების რთულ ცნებებს და ამტკიცებს, რომ მხოლოდ თვით-მითითებების ცალკეული ელემენტები არსებობს. სკინერის მსგავსად, ის უარს ამბობს ჩვენში ავტონომიური აგენტის არსებობის აღიარებაზე, რომელიც ისე აყალიბებს ჩვენს ქცევას, რომ ის ჩვენი მე-ს საწყის კონცეფციას შეესატყვისებოდეს. მიუხედავად ამისა, რომ ადამიანს არ აქვს დამოუკიდებელი „მე“, რომელსაც შეუძლია

<sup>5</sup> შემთხვევითი, ქაოტური.

გარემოს მანიპულირება ნებისყოფის გამოყენებით, მას მაინც აქვს თვითრეგულაციის უნარი.

რეფლექტორული აზროვნების გამოყენებით მას შეუძლია გარემოს მოვლენების მართვა და საკუთარი ქმედებებით გარკვეული შედეგების მიღება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნული მახასიათებლები, გარკვეულწილად, დასწავლის შედეგია და შეიძლება საკმარისად რთული და მრავალფეროვანი იყოს, ერთ პიროვნებაში, მის მეტყველებაში, თვითგამოხატვაში, ქცევის მახასიათებლებში არსებობს გარკვეული თანმიმდევრულობა, რომლის ახსნაც მწელია მხოლოდ გარემოს პირობებით (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ტრადიციული ბიჰევიორისტული მოდელისგან განსხვავებით, რომელშიც ინდივიდი უბრალოდ რეაგირებს გარემოზე, ბანდურა ადამიანის აგენტობაზე საუბრობს (Cloninger, S. C., 2004). ამ თვალსაზრისით, ადამიანები მიზანმიმართულად მოქმედებენ. ისინი წინასწარ იაზრებენ მოქმედებებს და თვითრეაქტიულები და თვითრეფლექტორულები არიან (Bandura, A., 2001b). ადამიანები ცნობიერი არსებები არიან და მიზანმიმართულად, ინტენციურად მოქმედებენ გარკვეული კონკრეტული შედეგის მიღწევის სურვილით (თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთი ინტენციური მოქმედება არ იძლეოდეს ისეთ შედეგს, როგორსაც ვგეგმავდით და მოველოდით). მომავლის ანტიციპაციის<sup>7</sup> და მიზნების დასახვის მეშვეობით ადამიანები, ფაქტობრივად, თვითწარმართვადნი ხდებიან. მიზანთან მიახლოების პროცესში ისინი თვალს ადევნებენ პროგრესს, აფასებენ საკუთარი ქმედებების წარმატებულობას და შესაბამისი კორექტივები შეაქვთ აღებულ კურსში. ამ პროცესში პიროვნული ღირებულებები და იდენტობა მონაწილეობს (Cloninger, S. C., 2004).

აღწერილი პროცესები კოგნიტურია თავისი ბუნებით და მათ ერთობლივად *მე-სისტემა*<sup>8</sup> უწოდებენ. ბანდურას განმარტებით (1978, გვ. 344, ციტირებულია წყაროში Cloninger, S. C., 2004), „სოციალური დასწავლის თეორიაში მე-სისტემა კოგნიტურ სტრუქტურებსა და ქვეფუნქციებს გულისხმობს, რომლებიც მოწოდებულია ქცევის აღქმის, შეფასებისა და რეგულაციისთვის. ეს არ არის ფსიქიკური აგენტი, რომელიც აკონტროლებს მოქმედებას“. ეს კოგნიტური პროცესები შეჯამებულია სურათზე N5. აღსანიშნავია, რომ თვითრეგულაცია უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდისთვის განმამტკიცებლის მიწოდება, რომელიც, ცალკე აღებული, არც ისე ეფექტურად მუშაობს (Sohn & Lamal, 1982, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

ბანდურას მიხედვით (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001), მე-სისტემა საშუალება გვაძლევს, დავინახოთ და სიმბოლოებით გამოვხატოთ ჩვენი ქცევა; ასევე, შევაფასოთ ის როგორც წარსულში განმტკიცებულ ან განუმტკიცებელ ქცევებზე, ისე — სავარაუდო მომავალ შედეგებზე დაყრდნობით. ასეთი შეფასების შემდეგ, კოგნიტური პროცესების გამოყენებით, გარკვეულწილად, შესაძლებელია საკუთარი თავის მართვა და რეგულაცია. სწორედ თვითრეგულაცია და თვითეფექტურობაა ის უმნიშვნელოვანესი შინაგანი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანის ქცევაზე.

## თვითრეგულაცია

ბანდურას მიხედვით, *თვითრეგულაცია* ადამიანის პიროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც ქცევაზე ზემოქმედებს. რეციპროკული დეტერმინიზმის ფარგლებში ადამიანები *რეაქტიულად* ცდილობენ შეამცირონ განსვლა თავიანთ მიღწევებსა და დასახულ მიზნებს შორის და ამ განსვლის აღმოფხვრით *პროაქტიულად* ისახავენ ახალ, უფრო მაღალ, შორეულ მიზნებს.

ადამიანები საკუთარ თავს მოქმედებისკენ უბიძგებენ და საკუთარ ქმედებებს პროაქტიული კონტროლის მეშვეობით მართავენ, ისახავენ რა მიზნებს, რომლებიც ქმნიან წონასწორობის მდგომარეობას, შემდეგ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალისხმევის მობილიზირებას იმის წინასწარი შეფასების საფუძველზე, თუ რა არის საჭირო ამ მიზნების მისაღწევად (Bandura, A., 1994, გვ. 73).

<sup>6</sup> Human agency – ტერმინი, რომელიც გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში აქტიურად მოქმედი სუბიექტის აღსანიშნად.


<sup>7</sup> წინასწარ განჭვრეტა, წინასწარ გრძნობა.

<sup>8</sup> Self-system.

თვითრეგულაციაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია მიზნების შერჩევა. კვლევა აჩვენებს (Phillips & Gully, 1997, წყაროში Cloninger, S. C., 2004), რომ უფრო მაღალი მიზნები უკეთეს ქცევას განაპირობებენ. ამ მიმართულებით წარმოებულ კვლევაში ყველაზე ხშირად განმეორებადი შედეგია, რომ ადამიანები, რომლებიც უფრო მაღალ მიზნებს ისახავენ, უკეთესადაც ფუნქციონირებენ, ვიდრე ნაკლებად ამბიციური მიზნების მქონენი. ადამიანები ხშირად თავად ისახავენ მიზნებს. ქცევის პროდუქტულობას, როგორც წესი, ზრდის ქვემიზნების დასახვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ საბოლოო მიზნისკენ მავალ გზაზე ქვემიზნების ვარიანტების, მეტი მოქნილობის საშუალება გვაქვს (Kirschenbaum, 1985, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

ბანდურა თვლის, რომ ადამიანებს ისევე შეუძლიათ თავიანთი ემოციების რეგულირება, როგორც ქცევის. არ არის საკამათო, რომ ცხოვრებისეულ მოვლენებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ემოციებში, იქნება ეს სიხარული თუ მწუხარება, მაგრამ ჩვენ, თვითრეგულაციის შინაგანი პროცესების წყალობით, განსხვავებულად შეგვიძლია ვიგრძნოთ. მაგალითად, ლაბორატორიულ პირობებში ადამიანებს უსიამოვნო განცდები ეუფლებოდათ, როდესაც ატომური აფეთქებების ჩანაწერებს უყურებდნენ, მაგრამ მათ შეეძლოთ ამ ბუნებრივად აღმოცენებული უსიამოვნო განცდების სასიამოვნო მოგონებებით ბლოკირება (Boden & Baumeister, 1997, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

სურ. N 2. ქცევის თვითრეგულაციის კომპონენტური პროცესი (Bandura, 1978).



ბანდურამ (1977) თვითრეგულაციის ურთიერთგავლენის მქონე ფაქტორთა ორი ჯგუფი გამოყო: გარეგანი და შინაგანი. პირველ რიგში, ჩვენ გვაქვს იმ გარეგანი ფაქტორებით გარკვეულწილად მანიპულირების უნარი, რომლებიც ჩართულია რეციპროკული დეტერმინიზმის სქემაში. მეორე, ჩვენ შეგვიძლია, თვალი ვადევნოთ საკუთარ ქცევას და შევაფასოთ ის ხანმოკლე და გრძელვადიანი მიზნების თვალსაზრისით.

თვითრეგულაციის გარეგან ფაქტორებში ბანდურა გამოყოფს სტანდარტებს, რომლითაც შეიძლება ვაფასებდეთ ქცევას. ამ სტანდარტებს არ ქმნიან მხოლოდ გარეგანი ძალები. გარემოს მოვლენები ურთიერთქმედებენ პიროვნების თვისებებთან და ქმნიან შეფასების ინდივიდუალურ სტანდარტებს (სურ. N2). მშობლებისა და მასწავლებლების დარიგებებიდან ვიგებთ პატიოსანი და მეგობრული ქცევის

ღირებულებას. უშუალო გამოცდილების გზით ვსწავლობთ, მეტად დავაფასოთ სიტბო და სიმშრალე, ვიდრე – სიცივე და ნესტი. სხვებზე დაკვირვებით ვიქმნით სტანდარტებს საკუთარი ქცევის შეფასებისთვის. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ის, თუ რომელი სტანდარტის მიხედვით ვისწავლით ქცევას, დამოკიდებულია როგორც პიროვნულ მახასიათებლებზე, ისე – გარემო პირობების გავლენებზე.

გარდა ამისა, თვითრეგულაციის გარეგან ფაქტორებს მიეკუთვნება ადამიანის ქმედების განმტკიცება. შინაგანი დაჯილდოვება არ არის ყოველთვის საკმარისი, ჩვენ ზოგჯერ იმაზე უფრო ძლიერი გარეგანი სტიმულებიც გვესაჭიროება, ვიდრე თვითკმაყოფილებაა. ამ თვალსაზრისით, ბანდურა განმტკიცებას განიხილავს, როგორც საზოგადოების მხრიდან მიღებულს (მატერიალური მხარდაჭერა ანდა წახალისება გარშემომყოფთა მხრიდან), ისე – პატარ-პატარა ჯილდოების სახით მოწოდებულს, რომელსაც ადამიანი თავად აძლევს საკუთარ თავს შუალედური მიზნების მიღწევის შემდეგ. თუმცა, თუ ადამიანი თავს არაადეკვატური მოქმედებებისთვის იჯილდოვებს, ამას, ჩვეულებრივ, გარემოს მხრიდან სანქციებამდე მივყავართ. როცა ის, რასაც ვაკეთებთ, არ შეესატყვისება შინაგან სტანდარტებს, მიდრეკილნი ვართ თვითდაჯილდოვებისგან თავის შეკავებისკენ.

თვითრეგულაციის შინაგან ანუ პიროვნულ ფაქტორებს ბანდურა უფრო დეტალურად განიხილავს და სამ აუცილებელ პირობას გამოყოფს, ესენია: თვითდაკვირვება, მსჯელობის პროცესი და საკუთარ თავზე აქტიური რეაქცია.

1. *თვითდაკვირვება* ქცევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ჩვენ შერჩევითად გამოვყოფთ საკუთარი ქცევის ზოგიერთ მხარეს და დანარჩენებს ყურადღების მიღმა ვტოვებთ. ის, რასაც ვხედავთ, დამოკიდებულია ჩვენს ინტერესებსა და საკუთარი თავის შესახებ არსებულ წარმოდგენებზე. სიტუაციებში, როდესაც საჭიროა რაიმეს გაკეთება ან მიღწევა, ყურადღებას ვაქცევთ ჩვენი მუშაობის ხარისხს, მოცულობას, სიჩქარეს ან ორიგინალურობას, ხოლო პიროვნებათმორის სიტუაციებში ჩვენთვის მნიშვნელოვანია კომუნიკაბელურობა და საზოგადოებრივი მორალისადმი ჩვენი ქცევის შესატყვისობა (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

2. *მსჯელობის პროცესი* აზროვნების გამოყენებით ქცევის რეგულაციაში გვებმარება. ჩვენ შეგვიძლია არამარტო რეფლექტორულად ვიაზროვნოთ, არამედ ვიმსჯელოთ და დავასკვნათ ჩვენი ქცევების ღირებულების შესახებ დასახულ მიზნებზე დაყრდნობით. ეს პროცესი დამოკიდებულია პირად სტანდარტებზე, შედარების ნიმუშებზე, მოცემული ქმედების ღირებულებაზე და იმაზე, თუ რას მივიჩნევთ მიღწევის მიზეზად. თვითრეგულაცია დამოკიდებულია იმის შეფასებაზე, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენი ქცევა ჩვენთვის ღირებულ სტანდარტებს; რამდენად ახლოსაა ის იმასთან, რასაც აკეთებენ სხვები და რამდენად ღირებულია ეს ქცევა თავად ჩვენთვის (თუ სახლის დალაგება არაა ღირებული, ბევრ დროს არ დავხარჯავთ ამ უნარის განვითარებაზე). გარდა ამისა, თვითრეგულაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვთვლით საკუთარი ქცევის მიზეზად. თუ, მაგალითად, გვჯერა, რომ წარმატების მიზეზი ჩვენი ძალისხმევაა, მაშინ ვიამაყებთ განხორციელებული ქცევით და ვეცდებით, უკეთ ვიმუშაოთ, რათა მივაღწიოთ მიზნებს; მაგრამ თუ გარემო პირობებს მივაწერთ კარგ შედეგს, მაშინ ნაკლებ სიამოვნებას მივიღებთ მიღწევისგან და, სავარაუდოდ, დიდ ენერგიას არ დავხარჯავთ უკეთესი შედეგისთვის (Bandura, A., 1986).

3. *საკუთარ თავზე რეაქციის აქტივაცია* თვითრეგულაციის მესამე ფაქტორია. ჩვენ დადებითი ან უარყოფითი ემოციები გვაქვს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენი ქცევა ჩვენს პირად სტანდარტებს. ჩვენ ვადგენთ სტანდარტებს, რომლებიც, თუ ჩვენი ქცევა შეესატყვისება მათ, არეგულირებენ ქცევას ისეთი თვითწარმოებადი ჯილდოებით, როგორცაა სიამაყე და თვითდაკმაყოფილება. როდესაც ვერ ვახერხებთ საკუთარ სტანდარტებთან შესაბამისობაში ყოფნას, მაშინ ქცევა დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ბადებს და საკუთარი თავის გაკიცხვას გვაიძულებს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### **შერჩევითი აქტივაცია და შინაგანი კონტროლის გამორთვა**

მას შემდეგ, რაც ადამიანები შეიმუშავებენ საზოგადოებრივ და მორალურ სტანდარტებს, ისინი

საკუთარ ქცევას ორი ძირითადი ტიპის სანქციით არეგულირებენ: (1) საზოგადოებრივი სანქციებით და (2) საკუთარი შინაგანი სანქციებით (Bandura, A., 1994). საზოგადოებრივი სანქციები ადამიანებს ნაკლებად მიდრეკილს ხდიან ქცევის წესების დარღვევისკენ, ვინაიდან ისინი საზოგადოების მხრიდან გაკიცხვას და სხვა არასასიამოვნო გარეგან შედეგებს უფრთხიან. საკუთარი შინაგანი სანქციები (ანუ ინტერნალიზირებული თვით-სანქციები) აღკვეთენ პირად სტანდარტებთან შეუსაბამო ქმედებებს როგორც შერჩევითი აქტივაციის (ჩართვის), ისე – შინაგანი კონტროლის გამორთვის მეშვეობით.

ბანდურა ამტკიცებს, რომ „ადამიანები არ უშვებენ გასაკიცხ ქცევას მანამდე, სანამ მორალურ გამართლებას არ მოუძებნიან საკუთარ ქმედებებს“ (1994, გვ. 72). მიუხედავად ამისა, ადამიანს მაინც არ გააჩნია ავტომატური შინაგანი მაკონტროლებელი აგენტი, როგორცაა ცნობიერება ან სუპერეგო. თვითრეგულაციის ფუნქციები მოქმედებენ არა ავტომატურად, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ჩართულია. ამ ფუნქციას ბანდურამ *შერჩევითი აქტივაცია* უწოდა. ის, რასაც ადამიანი სათანადოდ მიიჩნევს ერთი სიტუაციისთვის, მეორეში შეიძლება უადგილოდ ჩათვალოს. როგორ და როდის რთავენ ადამიანები თავიანთ რეგულატორულ უნარებს, დამოკიდებულია როგორც მათ თვითშეფასებაზე, ისე – გარემოს პირობებზე. როდესაც ადამიანს ნათლად ესმის, რომ რაღაც მოქმედებები არ შეესაბამება თვითშეფასების მისეულ სტანდარტებს, ანდა შეიძლება გარშემომყოფებისთვის საზიანო იყოს, ის ქცევის სხვა მეთოდს ირჩევს. სხვა სიტუაციაში ადამიანმა იგივე მოქმედებები შეიძლება სათანადოდ და სხვებისთვის უსაფრთხოდ მიიჩნიოს და შესაბამისად მოიქცეს. ამგვარად, ადამიანები შერჩევითად რთავენ ქცევის სხვადასხვა ვარიანტს სიტუაციის თავისეული გაგების მიხედვით (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ქცევის თვითრეაქტიულობის მეორე მექანიზმს ბანდურა *შინაგანი კონტროლის გამორთვას* უწოდებს. როდესაც ორაზროვან სიტუაციას ვხვდებით, რომელიც არც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს პიროვნულ სტანდარტებთან და არც ძალიან შეესატყვისება მას, მაშინ შეგვიძლია ჩვენი ქცევა ცნობიერებაში გავმიჯნოთ მისი ნეგატიური შედეგებისგან. შინაგანი კონტროლის გამორთვა, შერჩევითი აქტივაციის მსგავსად, საშუალებას გვაძლევს, განვხორციელოთ ისეთი ქცევები, რომლებიც მიუღებელია საზოგადოების და მორალის თვალსაზრისით და, ამავე დროს, შევინარჩუნოთ ჩვენი მორალური სტანდარტები. ასეთი ქცევა სარგებლიანია თავად ადამიანისთვის, მაგრამ საზიანოა სხვებისთვის.

შინაგანი კონტროლის გამორთვის პროცესი არის არა არაცნობიერი და ავტომატური, არამედ – ცნობიერად გაშუალებული. ის არ იცავს პიროვნებას არც ინსტინქტების მოთხოვნებისგან და არც გარეგანი საფრთხეებისგან. ამის ნაცვლად, ის საშუალებას გვაძლევს, ბუნდოვან სიტუაციებში შევამციროთ პასუხისმგებლობა, ან თავი ავარიდოთ მას იმით, რომ საკუთარ თვალში გავამართლოთ თვითშეფასების ჩვენი სტანდარტებისთვის უცხო ჩვენივე ქცევა. თვითშენახვის ტენდენციებისგან განსხვავებით, ეს მოქმედებები არ არის პირდაპირ მიმართული სხვა ადამიანებისკენ, არამედ ისეთი ქცევის გასამართლებლად ხორციელდება, რომელიც სხვა პირობებში უაზროდ და სამარცხვინოდ მოგვეჩვენებოდა (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001)

ბანდურა თვითკონტროლის გამორთვისა და შერჩევითი ჩართვის შემდეგ მექანიზმებს (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001) აღწერს:

- *ქცევის ხელახლა განსაზღვრა* ანუ რედეფინიცია, როდესაც საკუთარ თვალში ვამართლებთ სხვა შემთხვევებში დაუშვებელ ქცევას იმით, რომ ცნობიერებას გადავაწყობთ და შევამცირებთ, ანდა სულაც თავს ავარიდებთ მასზე პასუხისმგებლობას. ეს შეიძლება იყოს მორალური გამართლება, როდესაც სხვა შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევა ფასდება, როგორც თავდაცვისთვის ან ღირსების დაცვისთვის აუცილებელი. გარდა ამისა, ეს შეიძლება იყოს გამამართლებელი შედარება, როდესაც ადამიანი სარგებელს იღებს საკუთარი ქცევისა და სხვისი, უფრო მეტად დანაშაულებრივი ქცევის შედარებისგან. ქცევის რედეფინიციის კიდევ ერთი საშუალებაა ვერბალური იარაღების გამოყენება, როდესაც მიუღებელ მოქმედებებს ფორმალური ფრაზებითა და ტერმინებით აღნიშნავენ, მაგალითად, როდესაც მკვლელი საკუთარ ქცევას „კონტრაქტის შესრულების“ აუცილებლობით ამართლებს.

- *პასუხისმგებლობის გადატანა ან გაბუნდოვნება*. პასუხისმგებლობის გადატანის შემთხვევაში



ცნობიერებაში კნინდება ქცევის შედეგების მნიშვნელობა იმით, რომ პასუხისმგებლობა გარე პირობებზე გადაგვაქვს. მსგავსი მექანიზმია დიფუზური პასუხისმგებლობა, როდესაც პასუხისმგებლობა ბევრ ადამიანზე ნაწილდება და ცალკეული ინდივიდი მშვიდად გადააბარებს საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობას სხვებს.

- *საკუთარი ქმედებების შედეგების დამახინჯება და იგნორირება.* საკუთარი ქცევის შედეგების დამახინჯება გულისხმობს ქცევასა და მის ზიანის მომტან შედეგებს შორის კავშირის დამახინჯებას. ბანდურა აქ სამ სხვადასხვა მექანიზმს ასახელებს. ეს შეიძლება იყოს საკუთარი ქცევის შედეგების დაკნინება-შემცირება („არ გატეხილა, მხოლოდ გაიზარა“), ვერ შემჩნევა ანუ იგნორირება და არასწორად ინტერპრეტირება (მამა, რომელიც იარებამდე სცემს შვილს, ამბობს, რომ ბავშვს დისციპლინა სჭირდება, რათა წესიერ ადამიანად გაიზარდოს).

- *მსხვერპლის დადანაშაულება.* აქ იგულისხმება მსხვერპლის დეჰუმანიზაცია (ჰიტლერულ გერმანიაში ებრაელი არ იყო ადამიანი და შეიძლებოდა მასთან ისე მოპყრობა, როგორც ეპყრობოდნენ) და დადანაშაულება („ისე გამომწვევად იქცეოდა, რომ შემომაკვდა“).

## თვითეფექტურობა

ბანდურას თეორიაში ძირითადი, ცენტრალური ცნებაა *თვითეფექტურობა* (Bandura, A., 1989).

ეფექტური პიროვნული ფუნქციონირების წინაპირობა არ არის მარტო იმის ცოდნა, თუ რა უნდა გავაკეთოთ და ამის გაკეთებისთვის საჭირო მოტივაციის არსებობა. ეფექტურობა არც ფიქსირებული უნარია, რომელიც ინდივიდს აქვს ან არ აქვს ქცევის რეპერტუარში; ისევე, როგორც, მაგალითად, ლინგვისტური ეფექტურობა არ არის მხოლოდ სიტყვათა მარაგი ან წარმოთქმული წინადადებების ნაკრები. ეფექტურობა ბანდურასთან გენერაციული შესაძლებლობაა, რომელშიც კოგნიტური, სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ორგანიზება და სინქრონული მართვა უნდა განხორციელდეს, რაც უამრავი მიზნის მიღწევას ემსახურება.

ბანდურა (1997) ერთმანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, უნარების ფლობას და, მეორე მხრივ, იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანმა ამ უნარებს თავი მოუყაროს საჭირო მიმართულებით მოქმედების განსახორციელებლად და რთულ ვითარებებში გამოეყენოს. ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ ოპტიმალურად ფუნქციონირებას, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად იციან, რა უნდა გააკეთონ და საჭირო უნარ-ჩვევებსაც ფლობენ (Schwartz & Gottman, 1976, წყაროში Bandura, A., 1997). საკუთარ თავზე მიმართული აზრები იმ კოგნიტური, მოტივაციური და აფექტური პროცესების აქტივაციას ახდენენ, რომლებიც ცოდნისა და უნარების ეფექტიან ქცევად გარდაქმნის პროცესს წარმართავენ. მოკლედ რომ ვთქვათ, აღქმული თვითეფექტურობა შეეხება არა იმ უნარების ოდენობას, რომელსაც ვფლობთ, არამედ იმას, თუ რა გვგონია, რისი გაკეთება შეგვიძლია ამ უნარების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციაში.

ეფექტურობის რწმენები ბანდურასთან (1977) ადამიანის კომპეტენციების გენერაციული სისტემის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. შესაბამისად, მსგავსი უნარების მქონე სხვადასხვა ადამიანი, ან ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა ვითარებაში, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად მოქმედებდეს; კერძოდ, მისი მოქმედება იყოს უშედეგო, ადეკვატური ან ექსტრაორდინალური და ეს პიროვნული ეფექტურობის რწმენის რხევებზე იქნება დამოკიდებული.

ბანდურა თვლის, რომ ეფექტური ფუნქციონირება მოითხოვს ორივეს — სათანადო უნარებს და რწმენას, რომ შეგვიძლია ამ უნარების ეფექტურად გამოყენება. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ ახალ სიტუაციაში, ცვალებად გარემოში ადამიანი უწყვეტად ახდენს ქვეუნარების იმპროვიზირებულ კომბინაციას. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან ცვალებადი გარემოს მუდმივად ცვალებადი სიტუაციები ხშირად ბუნდოვან, არაპროგნოზირებად და ხშირად სტრესულ ელემენტებს მოიცავს.

ამრიგად, ბანდურა *თვითეფექტურობას* განმარტავს, როგორც ინდივიდის რწმენას, რომ მას შეუძლია მოცემული მიმართულების მქონე ქმედების დაგეგმვა და განხორციელება, რაც საჭიროა მომავალ სიტუაციებთან გასამკლავებლად. სხვა სიტყვებით, ეს არის რწმენა იმისა, რომ ინდივიდს შეუძლია

მომავალში პოტენციურად არსებულ სიტუაციებთან წარმატებით გასამკლავებლად საჭირო ქცევების განხორციელება, რომლებიც მრავალ ბუნდოვან, გაუთვალისწინებელ და ხშირად სტრესულ ელემენტს მოიცავენ (Bandura, A., 1989). თვითეფექტურობა არის ჩვენი რწმენა, რომ მოცემულ სიტუაციაში შეგვიძლია კომპეტენტური ქცევის განხორციელება (McAdams, D. P., 2006).


თვითეფექტურობის შესახებ მსჯელობა გვეხმარება იმის განსაზღვრაში, განვხორციელებთ თუ არა საერთოდ ამა თუ იმ ქცევას (Cloninger, S. C., 2004). ბანდურა წერს: „ადამიანის რწმენა თვითეფექტურობის შესახებ გავლენას ახდენს იმაზე, თუ მოქმედების რა მეთოდს მიმართავს ის, რა ძალისხმევას გაიღებს, რამდენ ხანს გააგრძელებს მიზნის მიღწევის მცდელობას დაბრკოლებებისა და წარუმატებლობებისა მიუხედავად და რამდენად მოქნილი, პლასტიური იქნება ამ სირთულეების წინაშე“ (Bandura, A., 1986).

თვითეფექტურობა არ არის გლობალური ცნება. ის სიტუაციიდან სიტუაციაში იმ უნარებისა და მიხედვით იცვლება, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა ქმედების განსახორციელებლად; სხვა ადამიანების ყოფნა-არყოფნის მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ჩვენზე მეტად დახელოვნებულებად მივიჩნევთ; ჩვენი წინასწარი მზაობის მიხედვით, რომ მარცხს უფრო უნდა ველოდოთ, ვიდრე წარმატებას; ასევე, ჩვენი ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით, განსაკუთრებით მაშინ, როცა დადლილები ვართ, ვშფოთავთ, აპათიურები ანდა დათრგუნულები ვართ.

თვითეფექტურობა არ ეხება ისეთი ძირითადი მამომრავებელი ფუნქციების შესრულების უნარს, როგორცაა სიარული, მიწვდომა ანდა ტაცება. ასევე, თვითეფექტურობა არ გულისხმობს, რომ ჩვენ მართლაც შეგვიძლია მოცემული ქმედებების შფოთვის, შიშის ანდა დეპრესიის გარეშე განხორციელება. ის მხოლოდ მოსაზრებაა იმის შესახებ, თუ რამდენად შეგვიძლია საჭირო მოქმედებების შესრულება. და ბოლოს, მოსაზრებები ეფექტურობის შესახებ არ არის იგივე, რაც სურვილი ანდა მისწრაფება (Bandura, 1982c, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

მაღალი ან დაბალი თვითეფექტურობა გარემოს ხელსაყრელ ან არახელსაყრელ პირობებთან კომბინაციაში წინასწარმეტყველების ოთხი შესაძლო ვარიანტის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს (Bandura, 1982c, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001): (1) როდესაც თვითეფექტურობა მაღალია და გარემოს პირობები ხელსაყრელია, ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი წარმატებული შედეგი; (2)

სურ. N 3. ეფექტურობისა და შედეგის მოლოდინებს შორის განსხვავების საილუსტრაციო დიაგრამა.



წყარო: ადაპტირებულია Bandura, A., 1977.

როდესაც დაბალი თვითეფექტურობა ხელსაყრელ პირობებთან კომბინირებს, მაშინ ადამიანი შეიძლება დეპრესიული გახდეს, ვინაიდან ხედავს, როგორი წარმატებულები არიან სხვები იმ საქმეში, რომელიც მას თავად ზედმეტად რთულად ეჩვენება; (3) როდესაც მაღალი თვითეფექტურობის მქონე ადამიანები არახელსაყრელ პირობებში ხვდებიან, როგორც წესი, ისინი აორმაგებენ ძალისხმევას, რათა სცადონ გარემო პირობების შეცვლა.

მათ შეიძლება გამოიყენონ პროტესტი, სოციალური აქტიურობა და ძალაც კი საჭირო ცვლილებების მისაღწევად, მაგრამ თუ მათი მცდელობები უშედეგოდ მთავრდება, მაშინ, როგორც ბანდურა ვარაუდობს, ისინი ან უარს იტყვიან მოქმედების თავისეულ გზაზე და ახალს იპოვიან, ან უფრო ხელსაყრელი გარემოს ძებნას შეუდგებიან; (4) როდესაც დაბალი თვითეფექტურობა არახელსაყრელ გარემო პირობებთან კომბინირებს, მაშინ ადამიანი აპათიური ხდება, საკუთარ თავს უმწეოდ მიიჩნევს და მიდრეკილია ამ მდგომარეობასთან შეგუებისკენ. მაგალითად, დაბალი თვითეფექტურობის მქონე წვრილი მოხელე, რომელმაც იცის, თუ რამდენად ძნელია კომპანიის პრეზიდენტად გახდომა, იყოყმანებს, არ ისურვებს და

ვერ შეძლებს რაიმე რეალური მცდელობების განხორციელებას ანალოგიური, თუმცა ნაკლები მიზნების მისაღწევად.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენები თვითეფექტურობის შესახებ მძლავრ გავლენას ახდენს ჩვენს აქტიუობაზე, მაინც ვერ ჩავთვლით, რომ ქცევას მხოლოდ ეს წარმოდგენები განაპირობებენ. თვითეფექტურობა გარემო პირობებთან, წინა ქცევებთან და პიროვნების სხვა მახასიათებლებთან, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოლოდინები საკუთარი ქმედებების შედეგების შესახებ, ერთად განაპირობებს ჩვენს აწყო ქცევას.

რეციპროკული დეტერმინიზმის სამკომპონენტო მოდელში თვითეფექტურობა პიროვნების მახასიათებელთა რიცხვში შედის (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### განსხვავება თვითეფექტურობასა და შედეგის მოლოდინს შორის

ბანდურა (მიშელის მსგავსად) ერთმანეთისგან განასხვავებს თვითეფექტურობასა და შედეგის მოლოდინს (სურ. N3). როგორც უკვე ვიცით, თვითეფექტურობა არის ინდივიდის რწმენა იმისა, რომ მას შეუძლია მოცემული ქცევის განხორციელება, ხოლო შედეგის მოლოდინი გულისხმობს, რომ კონკრეტული ქმედება მოცემულ სიტუაციაში კონკრეტულ შედეგს მოიტანს; სხვა სიტყვებით, ეს არის რწმენა იმისა, რომ თუ ქცევა წარმატებით განხორციელდება, ეს სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს (Cloninger, S. C., 2004; McAdams, D. P., 2006). დადებითი შედეგის მოლოდინი გულისხმობს, რომ მჯერა, რომ ქცევა სასურველ შედეგს მომიტანს; უარყოფითი შედეგის მოლოდინი გულისხმობს, რომ ვფიქრობ, რომ ქცევა არ მომიტანს სასურველ შედეგს. მამასადაძე, თეორიულად შესაძლებელია, რომ მოცემულ სიტუაციაში მქონდეს მაღალი თვითეფექტურობის, მაგრამ დაბალი შედეგის მოლოდინი. მაგალითად, შეიძლება სრულიად დარწმუნებული ვიყო, რომ ნამდვილად შემიძლია, მეგობარს ლოგიკურად და დამაჯერებლად ავუხსნა, რომ არ უნდა გამორდეს ცოლს (მაღალი თვითეფექტურობა), მაგრამ, ამასთანავე, სავსებით დარწმუნებული ვიყო იმაშიც, რომ რაც არ უნდა მოვიმოქმედო და ვთქვა, ეს შედეგს არ გამოიღებს (დაბალი შედეგის მოლოდინი) (McAdams, D. P., 2006)

### თვითეფექტურობა და მიზნებისკენ სწრაფვა

სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა მიზანია ღირებული, იქნება ეს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, უნივერსიტეტის დიპლომი თუ სხვა რამ, თუმცა, მათ შორის საერთოა ის, რომ მიზნებისკენ სწრაფვა საერთო ადამიანური მახასიათებელია და ის პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჩვენს ემოციურ კეთილდღეობასთან (Austin & Vancouver, 1996, წყაროში Cloninger, S. C., 2004). თვითეფექტურობა ხელს უწყობს მიზნებისკენ სწრაფვას. მაღალი თვითეფექტურობის რწმენის მქონე სტუდენტები უფრო დაბეჯითებულნი არიან აკადემიურ სამუშაოში და უკეთეს შედეგებს აღწევენ. თვითეფექტურობა პროფესიული საქმიანობის არჩევანზეც ზემოქმედებს (Cloninger, S. C., 2004).

თვითეფექტურობის შეგრძნება გვამლევს ძალას, რომ შევეწინააღმდეგოთ დაბრკოლებებსა და წარუმატებლობებს, რაც, თავის მხრივ, უცილობლად მეტი წარმატების წინაპირობას წარმოადგენს (Wood & Bandura, 1989b, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

ეფექტურობა მატულობს, თუ ინდივიდი თანდათანობით აუმჯობესებს მოცემული საქმიანობის/ამოცანის შესრულებას. ეს ეფექტურობა, თავის მხრივ, აუმჯობესებს მომავალში გადაწყვეტილების მიღების პროცესს (Bandura & Jourden, 1991, წყაროში Cloninger, S. C., 2004). ზოგიერთ შემთხვევაში დიდი, კომპლექსური ამოცანის ქვემიზნებად დანაწევრება ნამდვილად აუმჯობესებს შესრულების ხარისხს, ვინაიდან ამით მატულობს ეფექტურობის განცდა. გარდა ამისა, თვითეფექტურობის რწმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამოცანის შესრულების დასაწყისში. მიზანთან მიახლოებასთან ერთად თავად ქცევა ხდება კოგნიტურ ცვლადებზე მეტად ღირებული.

თვითეფექტურობისა და მიზნების ურთიერთმიმართებაზე საუბრისას ბანდურა ასახელებს სამ ვითარებას, რომელიც არ უნდა დაგვავიწყდეს და აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ: იგი

გვავრთხილებს, რომ (1) ეფექტურობის მოლოდინები გამოცდილებას უნდა ეფუძნებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დიდხანს ვერ იარსებებენ; (2) შეიძლება არარეალისტურად მაღალი ეფექტურობის მოლოდინები გვექონდეს, რაც საზიანოა. მაგალითად, თუ მოველით, რომ შევძლებთ ცუდი ჩვევისთვის თავის დანებებას და ამ დროს არ ვართ მზად ამისათვის (Litt, 1988, წყაროში Cloninger, S. C., 2004). არარეალურად მაღალი თვითეფექტურობის მოლოდინმა შეიძლება ისეთი ქმედებისკენ გვიბიძგოს, რომლებსაც უბრალოდ არ ჰყოფნის ჩვენი შესაძლებლობები და, შესაბამისად, საშიში ან საფრთხის შემცველი იყოს, როგორცაა, მაგალითად, თხილამურებით მთიდან დაშვება, თუ საერთოდ არ ვიცით თხილამურებზე დგომა; (3) მაღალი თვითეფექტურობის მოლოდინი არასასურველი ქცევის შემთხვევაში (როგორცაა, მაგალითად, აგრესიულობა), ხელს შეუწყობს ამ ქცევის განხორციელებას Crick & Dodge, 1994, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

მაღალი თვითეფექტურობის მოლოდინები მაშინ გვეხმარება, თუ ისინი რეალისტურია და სასურველი ქცევის განხორციელებაზეა ორიენტირებული.

### თვითეფექტურობის ფაქტორები

თვითეფექტურობა წარმოიქმნება, იზრდება ან მცირდება ქვემოთ მოცემული ოთხიდან ერთი ფაქტორის ან მათი კომბინაციის შესაბამისად. ბანდურა თვლის, რომ საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შესახებ ამ წყაროებით მიღებულ ინფორმაციას გადაამუშავებს ცნობიერება და წარსული გამოცდილების მოგონებებთან ერთად იმოქმედებს თვითეფექტურობის შესახებ წარმოდგენებზე. გარდა ამისა, თვითეფექტურობაზე ზემოქმედებს ქცევის შინაგანი სტანდარტები. ეს ფაქტორები მოკლედ არის შეჯამებული ცხრილში 3 და უფრო დეტალურადაა განხილული ქვემოთ (Bandura, 1982c, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001):

1. *უშუალო მოქმედების გამოცდილება.* თვითეფექტურობაზე ყველაზე ძლიერ გავლენას უშუალო მოქმედების გამოცდილება ანუ იმის მოგონება ახდენს, რომ ჩვენ მოგვიწია ამის გაკეთება წარსულში. როგორც

ცხრილი 3. თვითეფექტურობის ოთხი წყარო ანუ ფაქტორები.

ფაქტორი	აღწერა
უშუალო მოქმედების გამოცდილება	თვითეფექტურობის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგულატორია იმ წარმატებებისა და წარუმატებლობების გამოცდილება, რომელიც ინდივიდს მიზნებისკენ სწრაფვისას შეხვდა.
არაპირდაპირი გამოცდილება	სხვა ადამიანების წარმატებებსა და წარუმატებლობებზე დაკვირვება ინდივიდს აძლევს შედარების საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ის აფასებს საკუთარ პიროვნულ კომპეტენციებს მსგავს სიტუაციებში.
ვერბალური დარწმუნება	სხვების მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ინდივიდს შეუძლია ან არ შეუძლია მოცემული ამოცანის შესრულება, ზრდის ან ამცირებს თვითეფექტურობას, თუმცა ასეთი დარწმუნების ეფექტი, როგორც წესი, საკმაოდ სუსტია.
ემოციური აგზნება	თვითეფექტურობის განცდაზე გავლენას ახდენს იმ ემოციური აგზნების ინტენსივობა და ხარისხი, რომელიც ინდივიდს მოცემულ სიტუაციაში მოცემული ამოცანის შესრულებისას აქვს. განცდილი შფოთვის დონე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ რამდენად რთულად, სტრესულად და ძნელად მისაღწევად აღიქვამს ინდივიდი მოცემულ ამოცანას. ძალიან მაღალი შფოთვა მიანიშნებს ინდივიდს, რომ ის ძალიან გაუწაფავია იმ საქმიანობაში, რომლითაც არის დაკავებული.

წყარო: McAdams, D. P., 2006

წესი, წარმატებული ქმედებები ზრდიან თვითეფექტურობას, ხოლო წარუმატებლობა ამცირებს. ამ მტკიცებიდან ექვსი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: (1) ამოცანის წარმატებით შესრულება მისი სირთულის პირდაპირპროპორციულად ზრდის თვითეფექტურობას. ვირტუოზი პიანისტისთვის კიდევ ერთი წარმატებით ჩატარებული კონცერტი დიდად არ გაზრდის მის თვითეფექტურობას, მაგრამ

დამწყებისთვის იგივე ზომის წარმატება თვითეფექტურობის მეტად მომატების საწინდარი შეიძლება გახდეს. (2) დამოუკიდებლად მიღწეულ წარმატებას მეტი ძალა აქვს, ვიდრე – სხვების დახმარებით მიღწეულს. გუნდური წარმატება ნაკლებ გავლენას მოახდენს სპორტსმენის თვითეფექტურობაზე, ვიდრე – ინდივიდუალური. (3) წარუმატებლობა ყველაზე მეტად მაშინ ამცირებს თვითეფექტურობას, როცა ვიცით, რომ საუკეთესო მცდელობისას განვიცადეთ მარცხი. ძალების დაზოგვით რაიმეს გაკეთებისას მარცხი ნაკლებად იმოქმედებს თვითეფექტურობაზე, სულით და გულით გაკეთებულში დამარცხებასთან შედარებით. (4) თუ წარუმატებლობისას აღელვებული ვართ და ვშფოთავთ, ეს უფრო ნაკლებად იმოქმედებს თვითეფექტურობაზე, ვიდრე ის, თუ მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებულნი ვართ. (5) წარუმატებლობა უფრო ნაკლები სიმძაფრით განიცდება იმ ასაკში, როცა ადამიანს უკვე აქვს მყარი წარმოდგენები საკუთარი თავისა და შესაძლებლობების შესახებ, ვიდრე ადრეულ ბავშვობაში. (6) შემთხვევითი წარუმატებლობები არ ახდენენ დიდ გავლენას თვითეფექტურობაზე, განსაკუთრებით იმ ადამიანებთან, რომლებიც დარწმუნებულნი არიან წარმატებაში.

2. *არაპირდაპირი გამოცდილება* თვითეფექტურობის შეცვლის მეორე მიზეზია, რომელსაც ადამიანი რთულ სიტუაციებზე დაკვირვებით იღებს. როდესაც ვხედავთ, როგორი წარმატებულები არიან სხვები, ჩვენი თვითეფექტურობა მატულობს (Bandura, Adams, Hardy, & Howell, 1980, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001), ხოლო როდესაც ვიგებთ, რომ ჩვენნაირი უნარებისა და მომზადების მქონე ვიღაც წარუმატებელი აღმოჩნდა, ჩვენი თვითეფექტურობა მცირდება (Bandura, & Inouye, 1978 ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). არაპირდაპირ გამოცდილებას არ აქვს დიდი გავლენა, თუ მოდელი, რომელსაც ვაკვირდებით, არ გვგავს ჩვენ. როგორც წესი, სხვებზე დაკვირვება არც ისე არსებითია თვითეფექტურობის ამაღლებისთვის, როგორც საკუთარი გამოცდილება, მაგრამ მან შეიძლება მძლავრი გავლენა იქონიოს თვითეფექტურობის შემცირების სიტუაციაში. როდესაც მოცურავე ხედავს, რომ დაახლოებით მისივე შესაძლებლობების სხვა მოცურავემ ვერ შეძლო ადიდებული მდინარის გადაცურვა, დიდია ალბათობა, რომ ის თავს შეიკავებს ანალოგიური მცდელობისგან. ასეთი არაპირდაპირი გამოცდილების შედეგები შეიძლება მთელ ცხოვრებაზე ახდენდეს გავლენას.

3. *საზოგადოების აზრი* ანუ *ვერბალური დარწმუნება* შეიძლება, ასევე, ამცირებდეს ან ზრდიდეს თვითეფექტურობას (Bandura, A., 1989). მიუხედავად ამ წყაროს შესაძლებლობების შეზღუდულობისა, სხვების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს ადამიანის თვითეფექტურობა (Chambless & Murray, 1979, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). პირველ რიგში, უნდა გვჯეროდეს იმ ადამიანის, ვინც გამოთქვამს თავის მოსაზრებას. ჩვენთვის სანდო ადამიანის კრიტიკას ან ქებას უფრო მეტი გავლენა ექნება, ვიდრე – არასანდოსას. მეორე აუცილებელი პირობა საზოგადოებრივი წახალისების გზით თვითეფექტურობის მომატებისთვის, არის ის, რომ ქმედებები, რომელთა განხორციელებისკენაც უბიძგებენ ადამიანს, მისი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა შედიოდეს ანუ უნდა შეეძლოს მათი განხორციელება. ვერანაირი საზოგადოებრივი აზრი ვერ აიძულებს ადამიანს, რომ ხუთმეტრიან ღობეზე გადახტომა სცადოს. გარდა ამისა, ბანდურას მიაჩნია, რომ მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანის სტატუსსა და ავტორიტეტს, ვინც გამოთქვამს მოსაზრებას მეორე ადამიანის ქცევისა და შესაძლებლობების შესახებ (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

4. *ადამიანის ფიზიკური და ემოციური აგზნება*. ძლიერი ემოციები, როგორც წესი, ხელს უშლის მოქმედებას. როცა ადამიანი ძალიან შემინებულია, შფოთავს ან სტრესულ მდგომარეობაშია, მისი თვითეფექტურობის რწმენა მცირდება; თუმცა ზოგჯერ, ზოგიერთ სიტუაციაში მსუბუქი ემოციური დამაბულობა ქცევის ეფექტურობის მომატებასთან არის დაკავშირებული. ფსიქიატრებისთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ შფოთვის შემცირება ან ფიზიკური მოძრაობის მომატება აიოლებს დავალების შესრულებას. ემოციური დამაბულობის გავლენა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორებია: (1) დამაბულობის დონე – ჩვეულებრივ, რაც უფრო ძლიერია დეღვა, მით ნაკლებია თვითეფექტურობა. (2) ადამიანის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენად უკავშირდება მისი ემოციები რეალობას. თუ ადამიანმა იცის, რომ მის შემფოთებას რეალური საფუძველი აქვს, მაშინ მისმა თვითეფექტურობამ შეიძლება მოიმატოს (ალპინისტმა იცის, რამდენად საშიშ გზაზე მიდის); თუმცა, თუ ადამიანი

აგნობიერებს საკუთარი ფობიის აბსურდულობას (მაგალითად, ეშინია ღია სივრცის), მაშინ მისი დედა ამცირებს თვითფექტურობას. (3) თავად ამოცანის ბუნება – ემოციური დაძაბულობა გვეხმარება რაღაც მარტივის შესრულებაში, მაგრამ, როგორც წესი, ხელს გვიშლის რთული ამოცანების გადაწყვეტაში.

### თვითფექტურობა და ქმედების წარმატებულობა

აქ მოკლედ შევხებით საკითხს თვითფექტურობის როლის შესახებ, როდესაც საქმე სტრესულ სიტუაციებს შეეხება. კვლევა აჩვენებს, რომ (Schwarzer, 1992, წყაროში Первин Л., Джон О., 2002) თვითფექტურობის რწმენა მოქმედებს იმაზე, თუ როგორ უმკლავდებიან ადამიანები სტრესს თავიანთი ცხოვრებისეული მიზნების განხორციელების გზაზე. როგორც წესი, კვლევა გვიჩვენებს, რომ მოვლენებზე საკუთარი კონტროლის განცდა ეხმარება ადამიანს. თვითფექტურობის რწმენა ასეთი კონტროლის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და მრავალმხრივად მოქმედებს მოტივაციის პროცესებზე. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ეს მოქმედება გამოიხატება შემდეგში (Первин Л., Джон О., 2002):

- შერჩევა. თვითფექტურობის რწმენა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა მიზნებს ისახავს ადამიანი. მაგალითად, მაღალი თვითფექტურობის მქონე ინდივიდები უფრო რთულ, რისკიან მიზნებს ისახავენ, ვიდრე – დაბალი თვითფექტურობის მქონენი.
- ძალისხმევა, დაბეჯითებულობა, წარმატებულობა. მაღალი თვითფექტურობის რწმენის მქონე ინდივიდები უფრო მეტ ძალისხმევას ავლენენ და მეტი დაბეჯითებით გამოირჩევიან და დავალებებს უკეთ ასრულებენ, ვიდრე – დაბალი თვითფექტურობის მქონე ინდივიდები.
- ემოციები. მაღალი თვითფექტურობის მქონე ინდივიდები დავალების შესრულებას უკეთესი განწყობით უდგებიან (ანუ ნაკლები დეპრესიითა და შფოთვით), ვიდრე – დაბალი თვითფექტურობის მქონე ინდივიდები.
- სიტუაციის ფლობა. მაღალი თვითფექტურობის მქონე ინდივიდები უკეთ ახერხებენ სტრესთან და იმედგაცრუებასთან გამკლავებას, ვიდრე – დაბალი თვითფექტურობის მქონე ინდივიდები.

### დაკვირვებით სწავლა და მოდელირება

დღესდღეობით იმდენია ცნობილი ქცევის დასწავლაში კარგი მოდელის მნიშვნელობის შესახებ, რომ იოლად შეიძლება უყურადღებოდ დაგვრჩეს ის თეორიული წინსვლა, რომელიც დასწავლის თეორიის

სურ. N 4. ზანდურას კლასიკური ექსპერიმენტი



პარადიგმაში მოდელირების ცნების შემოტანიდან დღემდე მოხდა. რადიკალური დასწავლის თეორია, სკინერის ტრადიციების ფარგლებში, ამტკიცებს, რომ რეაქციების დასასწავლად საჭიროა მათი განხორციელება და განმტკიცება. მილერისა და დოლარდის (1941) თეორიული ინოვაციაც კი უშვებდა, რომ რეაქციები აუცილებლად უნდა განმტკიცდეს, თუ მიზნად მათ დასწავლას ვისახავთ. ლაბორატორიული ვირთხები და მტრედები ქანცის გამოცლამდე ვარჯიშობდნენ სკინერის ყუთში სასურველი ქცევების გამომუშავებისთვის. თუ ასეთი მარტივი ქცევების გამომუშავებისთვის გულდასმით შემუშავებული პროცედურების გამოყენებაა საჭირო, რაღა უნდა ვთქვათ გაცილებით რთული და კომპლექსური ქცევების შესახებ, რომლებსაც მუდმივად ვაწყდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომლებიც პიროვნების ფორმირების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ?

ადამიანები სხვებზე დაკვირვებით სწავლობენ. ასეთ მარტივ ახსნას გვთავაზობს ბანდურა (McAdams, D. P., 2006). ინტუიტურად, ცხადია, ეს ასეა, თუმცა დაკვირვებით სწავლა არღვევს და უგულებელყოფს დასწავლის თეორიის ტრადიციულ დაშვებას: დასწავლა მხოლოდ განმამტკიცებლის წარდგენის პირობებში ხდება. ბანდურა ამტკიცებს, რომ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დასწავლა და დასწავლილი ქცევის შესრულება. განმამტკიცებელი ქცევის შესრულებას შეიძლება აძლევდეს ბიძგს, თუმცა თავად დასწავლისთვის მისი არსებობა არ არის აუცილებელი.

ცვლილებას ქცევაში, რომელიც მოდელის მიზანმიმართულ ხდება, მოდელირებას, მიზანმიმართულ სწავლას, დაკვირვებით სწავლას ანდა გაშუალებულ სწავლას უწოდებენ. ბანდურა ყველა ამ ტერმინს სინონიმებად იყენებს. ის გაშუალებულს უწოდებს დასწავლას, როდესაც

სხვების მიერ განხორციელებულ ქცევასა და ამ ქცევის განმამტკიცებელ შედეგებზე დაკვირვების შედეგად ხდება ახალი რეაქციების შექმნა, ან რეაქციის არსებული პატერნის მახასიათებლების მოდიფიცირება ისე, რომ დამკვირვებელი ღიად არ იმეორებს მოდელირებულ ქცევებს მოდელზე დაკვირვების დროს (Bandura, 1965c, გვ. 3, ციტირებულია წყაროში (Cloninger, S. C., 2004).

მოდელირებისადმი ბანდურას ინტერესი სხვა თეორიულ ტრადიციაში იღებს სათავეს. ფსიქოანალიტიკური მიდგომა საუბრობს მშობელთან იდენტიფიკაციაზე, როგორც პიროვნების განვითარების ძირითად საფუძველზე. კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები იმის გამო შეიძლება იდენტიფიცირდნენ მშობელთან, რომ მათ აქვთ ძალა (აკონტროლებენ ჯილდოებს ანუ ისინი ჯილდოების მაკონტროლებელი არიან) ანდა სტატუსი (როგორც ჯილდოების მიმღებნი) (Cloninger, S. C., 2004).

იდენტიფიკაციის ამ მიზეზების შესახებ მოსაზრების შესამოწმებლად ბანდურამ ლაბორატორიული ექსპერიმენტი ჩაატარა (სურ. N4), რომელშიც სკოლამდელი ასაკის ბავშვები სხვადასხვაგვარი მოდელის ქცევას უყურებდნენ. ზოგიერთ მათგანს *მაკონტროლებელი მოდელი* უწოდეს (ვინაიდან ისინი ყველაზე სასურველ სათამაშოებზე წვდომას აკონტროლებდნენ), ზოგს კი — *მომხმარებელი მოდელი* (ვინაიდან იღებდნენ

ჯილდოს). ამის შემდეგ ბავშვები თამაშობდნენ სათამაშოებით და მკვლევარი ითვლიდა ყოველი მოდელის ყურების შემდეგ ქცევის პატერნების გამეორებას. აღმოჩნდა, რომ ბავშვები მაკონტროლებელი მოდელის ქცევას უფრო იმეორებენ, ვიდრე მომხმარებლების. სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ის მოდელი უფრო მეტ გავლენას ახდენენ ბავშვების ქცევაზე, რომლებიც ჯილდოს გასცემენ, ვიდრე ისინი, რომლებიც არაფერს იძლევიან ქცევის სანაცვლოდ (Grusec & Mischel, 1966, წყაროში Cloninger, S. C., 2004). გარდა ამისა, მოდელს ბავშვებში ქცევის სტანდარტების ჩამოყალიბებაზეც შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (Mischel, 1966, წყაროში Cloninger, S. C., 2004). აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მოდელირებით დასწავლა არ შემოიფარგლება ბავშვობის პერიოდით და ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობენ ერთმანეთისგან და ერთმანეთზე დაკვირვებით.

ბანდურა განიხილავს დასწავლის ორ ძირითად ტიპს: გათამაშებით სწავლასა და დაკვირვებით სწავლას (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### გათამაშებით ანუ გამეორებით სწავლა

გათამაშებით სწავლა დასწავლის ყველაზე პრიმიტიული მეთოდია, რომელიც ახასიათებს არამარტო ადამიანს, არამედ ცხოველთა უმრავლესობას. დასწავლის სწორედ ამ ტიპს განიხილავს ბიჰევიორიზმი. ნებისმიერ ქმედებას, რომელსაც ახორციელებს ორგანიზმი, თან სდევს რაიმე შედეგები. ამ შედეგებიდან ზოგიერთი სასიამოვნოა, ზოგიერთი – არა, ზოგიერთი კი სულაც არ შეიგრძნობა ან არ ცნობიერდება და ამიტომ არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა.

თუ ბიჰევიორისტები ამტკიცებენ, რომ ქცევის შედეგები ავტომატურად არის დამოკიდებული დადებით ან უარყოფით განმტკიცებაზე, ბანდურა უარყოფს ასეთ ხედვას. მას მიაჩნია, რომ ადამიანის რთული ქცევა ცნობიერ გააზრებას საჭიროებს, რათა შედეგებმა გავლენა მოახდინონ პიროვნებაზე.

იმისათვის, რომ სიტყვიერმა განმამტკიცებელმა იმოქმედოს, ადამიანმა, პირველ რიგში, უნდა მოუსმინოს მას და გაიგოს. ამასთან, განმტკიცების მიმდებარე მიერ აღქმული მნიშვნელობა შეიძლება განსხვავებული იყოს იმისგან, რა მნიშვნელობასაც განმტკიცების მიმცემი დებს მასში.

გათამაშების გზით დასწავლის კონცეფციის მიხედვით, ქცევის შედეგები, სულ მცირე, სამ მიზანს ემსახურება (Bandura, A., 1977):

1) გვაწვდის ინფორმაციას – ჩვენი რეაქციების შედეგები გვამლევინ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ეფექტი შეგვიძლია გამოვიწვიოთ ჩვენი ქმედებებით. ჩვენ შეგვიძლია, შევინახოთ ეს ინფორმაცია და შემდგომი ქცევისას ვიხელმძღვანელოთ მისით.

2) ახდენს მომავალი ქცევის მოტივირებას – ადამიანს შეუძლია სიმბოლურად წარმოიდგინოს მომავალი შედეგები და შესაბამისად იმოქმედოს. არ არის აუცილებელი, რომ სიცივესთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნო განცდა პირადად განიცადოს ადამიანმა იმისათვის, რომ ცივ ამინდში გარეთ გასვლის წინ თბილი ქურთუკი ჩაიცვას. ამის ნაცვლად ის წინასწარ წარმოიდგენს სიცივის მოქმედებას და შესაბამისად ჩაიცვამს. დისკომფორტის სიმბოლური წარმოდგენა იმის სტიმულია, რომ იფიქროს თბილი ქურთუკის ჩაცმაზე და, ასევე, ზრდის იმის ალბათობას, რომ ის მართლა ჩაიცვამს თბილ ქურთუკს.

3) განამტკიცებს აწმყო ქცევას – ეს ფუნქცია დეტალურად აღწერეს სკინერმა და განტკიცების თეორიის სხვა მომხრეებმა. ბანდურა არ ეთანხმება მათ და აცხადებს, რომ მოქმედებები შეიძლება ზოგჯერ არაცნობიერი და ავტომატური იყოს, მაგრამ ქცევის რთული პატერნების ათვისება არსებითად მარტივდება ცნობიერების ჩართვით. ის ამტკიცებს, რომ დასწავლა გაცილებით ეფექტურია, როცა ადამიანი ცნობიერად არის ჩართული მომავალ სიტუაციაში და მას ესმის, თუ რომელი ქცევა მოუტანს სასურველ შედეგებს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### დაკვირვებით სწავლა

ბანდურას მიაჩნია, რომ დასწავლის მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი და შედარებით რთული მეთოდი არის დაკვირვების გზით სწავლა. ის თვლის, რომ დაკვირვება საშუალებას გვამლევს, ვისწავლოთ ყოველგვარი მოქმედებების განხორციელების გარეშე. ჩვენ ვაკვირდებით ბუნების მოვლენებს, მცენარეებს, ცხოველებს, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობას და ა.შ., მაგრამ სოციალურ-კოგნიტიური თეორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის მოსაზრება, რომ ჩვენ ვსწავლობთ სხვა ადამიანებზე დაკვირვებით. აქ ბანდურა შორდება სკინერს, რომელიც თვლიდა, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითადი მასალა რეალურად განხორციელებული ქცევაა.

ბანდურა იმითიც განსხვავდება სკინერისგან, რომ, მისი აზრით, განმტკიცება არ არის აუცილებელი ქცევის დასწავლისთვის. ის ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმტკიცება აიოლებს დასწავლას, ის არ არის დასწავლის აუცილებელი პირობა. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, ვუყუროთ, თუ როგორ იღებენ სხვა ადამიანები განმამტკიცებელს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

სხვებზე დაკვირვება თავიდან გვაცილებს უამრავი მოქმედების განხორციელების საჭიროებას, რომელთაც განმამტკიცებელი და სასჯელი მოჰყვება. ამით დაკვირვებით სწავლა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე უშუალო გამოცდილებით სწავლა.

### დაკვირვებით სწავლაზე მოქმედი პროცესები

ბანდურასთვის დასწავლა გაცილებით მეტია, ვიდრე რეაქციების ავტომატური „ამორჩევის“ პროცესი, რომელიც განმამტკიცებლების მიწოდებით იმართება. მისი კვლევები აჩვენებენ, რომ ბავშვები აგრესიულ ქცევას უბრალოდ მოდელის ქცევაზე დაკვირვებითაც კი დაისწავლიან, ყოველგვარი განმამტკიცებლების გარეშე. ამ ფენომენს ახალი თეორიული ახსნა ესაჭიროებოდა, რომელიც ბანდურამ (1986) შემოგვთავაზა: ის აღწერს თეორიულ ცნებათა ერთობლიობას, რომლებიც ადამიანებში მიმდინარე რთული მოვლენების გაგებაში დაგვეხმარება. იგი ოთხ ძირითად პროცესზე საუბრობს: ინდივიდი უნდა დააკვირდეს ქცევას, დაიმახსოვროს ის, შეეძლოს მისი გამეორება და სურდეს ამის გაკეთება (მოკლე შეჯამებისთვის იხ.



ცხრილი 4). განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

**ყურადღების პროცესები: ქცევაზე დაკვირვება**

ვერაფერს ვისწავლით, თუ ყურადღება არ მივაქციეთ და არ დავაკვირდით (Cloninger, S. C., 2004). დაკვირვებით სწავლაში ჩართული პირველი პროცესია ყურადღება. მანამ, სანამ სხვას მივბაძვდეთ, ჯერ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ ადამიანს. რა ფაქტორები მართავენ ყურადღებას?

მოდელის გარკვეული მახასიათებლები ზრდიან მისი შემჩნევის ალბათობას (McAdams, D. P., 2006). ვინაიდან უფრო მეტი საშუალება გვაქვს, დავაკვირდეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ხშირად ვხვდებით, მოსალოდნელია, რომ, პირველ რიგში, ყურადღებას ამ ადამიანებს მივაქცევთ. მეორე, მიმზიდველ მოდელებს უფრო შევამჩნევთ, ვიდრე – არამიმზიდველს: ტელევიზიაში, სპორტში ანდა კინოში პოპულარული ფიგურები ხშირად უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ. თავად ქცევის ბუნებაც მოქმედებს ჩვენს ყურადღებაზე – ვამჩნევთ ქცევას, რომელსაც ჩვენთვის მნიშვნელოვნად მივიჩნევთ და რომლიდანაც სარგებლის მიღებას ველით (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ეს ყველაფერი ყურადღების პროცესებია. გარდა დასახელებული ფაქტორებისა, დამკვირვებლის ისეთი თვისებებიც მოქმედებენ ყურადღებაზე, როგორცაა სენსორული შესაძლებლობები, აგზნების დონე, მოტივაცია, პერცეპტული განწყობა და წარსული განმამტკიცებლების გამოცდილება (Cloninger, S. C., 2004).

**შეკავების/შენახვის პროცესები: დამახსოვრება**

თითოეულმა თქვენგანმა იცის, რომ ლექციაზე ნათქვამიდან ყველაფერი არ გამახსოვრდებათ. მოდელის ქცევაზე დაკვირვება არ იქნება ეფექტური, თუ ადამიანმა არ დაიმახსოვრა ის. დასწავლისთვის ინდივიდს უნდა შეეძლოს ნანახის კოდირება, დამახსოვრება და ნანახიდან აზრის გამოტანა (McAdams, D. P., 2006).

ცხრილი 4. დაკვირვებით სწავლისა და მიბაძვის პროცესები.

N	პროცესის აღწერა
1.	ყურადღების პროცესები: მოდელის ქცევის შემჩნევა მოდელი: განმასხვავებელი აფექტური ვალენტობა, კომპლექსურობა, გავრცელებულობა, ფუნქციური ღირებულება დამკვირვებელი: სენსორული შესაძლებლობები, აგზნების დონე, მოტივაცია, პერცეპტული სეტი (განწყობა), წარსული განმამტკიცებელი
2.	ქცევის დამახსოვრება/მეხსიერებაში გადატანა სიმბოლური კოდირება, კოგნიტური ორგანიზაცია, სიმბოლური გამეორება, მოტორული გამეორება
3.	ქცევის მოტორული რეპროდუქციის შესაძლებლობა ფიზიკური შესაძლებლობები, კომპონენტური რეაქციების ხელმისაწვდომობა, რეპროდუქციაზე თვითდაკვირვება
4.	მოტივაციური პროცესები გარეგანი განმტკიცება, არაპირდაპირი განმტკიცება, თვითგანმტკიცება

წყარო: Bandura, A., 1986.

იმისათვის, რომ დაკვირვებამ ქცევის ახალი პატერნების შექმნამდე მიგვიყვანოს, ეს პატერნები სიმბოლურად უნდა იქნან წარმოდგენილი მეხსიერებაში. ბანდურასთვის დახსომების ანუ ინფორმაციის შეკავების/შენახვის პროცესი წარმოსახვითი რეპრეზენტაციებისა და ვერბალური კოდირების მეშვეობით ხდება. ის გამოყოფს დახსომების ორ ძირითად მეთოდს: ხატოვან და ვერბალურ კოდირებას. სიმბოლური წარმოდგენა აუცილებლობით არ უნდა იყოს სიტყვიერი, ვინაიდან ზოგიერთი დაკვირვების შენახვა ხატების სახით ხდება, რომელთა გამოწვევაც შესაძლებელია მოდელის ფიზიკურად იქ არყოფნის შემთხვევაში. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვობის ასაკში, როცა მეტყველების უნარი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

ვერბალური კოდირება მნიშვნელოვნად აჩქარებს დაკვირვებით

სწავლას. ენის დახმარებით სიტყვიერად შეგვიძლია შევაფასოთ ქცევა, რომელსაც ვაკვირდებით და

გადავწყვიტოთ, რას უარვყოფთ და რას ვცდით. ვერბალური კოდირება ქცევის სიმბოლურად გამეორებაშიც გვეხმარება ანუ კიდევ გავუმეოროთ საკუთარ თავს, როგორ გავაკეთებთ რაღაცას, როცა ეს დაგვჭირდება. ამ რეპეტიციებს მართლაც შეიძლება მოჰყვეს დასწავლილი მოქმედებების რეალურად შესრულება; ამასთან, ასეთი გამეორებები ხელს უწყობს დახსოვნის პროცესს (Cloninger, S. C., 2004; Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

გარდა დასახელებული პროცესებისა, ინფორმაციის შენახვას ხელს უწყობს კოგნიტური ორგანიზაცია, სიმბოლური და მოტორული გამეორებები (Cloninger, S. C., 2004).

### **მოტორული რეპროდუქციის პროცესები: კეთება**

მოტორული რეპროდუქციის პროცესი სწავლის შემდეგი ეტაპია (Cloninger, S. C., 2004) და არავერბალურ ხატებში ან სიტყვებში სიმბოლურად კოდირებული ინფორმაციის შესაბამის ქცევაში გადატანას გულისხმობს. მას შემდეგ, რაც ყურადღება მივაქციეთ მოდელს და დავისხომეთ დანახული, თავად აღვადგენთ ამ ქცევას. აზრობრივი წარმოდგენების შესატყვის მოქმედებებად გარდაქმნის პროცესში საკუთარ თავს რამდენიმე შეკითხვა უნდა დავუსვათ იმ ქცევის შესახებ, რომელსაც აღვადგენთ. თავდაპირველად ვკითხულობთ: „როგორ უნდა გავაკეთო ეს?“ სიმბოლური რეპეტიციებით ვიღებთ პასუხს და ვცდილობთ, ახალი ქცევა რეალობად ვაქციოთ. ამ დროს ვაკონტროლებთ საკუთარ თავს და ვსვამთ კითხვას: „რას ვაკეთებ?“ ბოლოს ვაფასებთ საკუთარ ქმედებას კითხვით: „სწორად ვაკეთებ თუ არა?“ ამ ბოლო კითხვაზე ყოველთვის იოლი არ არის პასუხის გაცემა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ის ეხება მამოძრავებელ უნარებს, როგორცაა, მაგალითად, წყალში ხტომა, ბალეტი; როცა ნამდვილად არ შეგვიძლია საკუთარი თავის გვერდიდან დანახვა. საინტერესოა, რომ კეროლმა და ბანდურამ აღმოაჩინეს, რომ ვიდეოჩანაწერით საკუთარი თავის კონტროლი აიოლებს მამოძრავებელი უნარების დასწავლას (Bandura, 1982, 1985, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ვერანაირ ქცევას ვერ განვახორციელებთ, თუ ამისთვის საჭირო სათანადო უნარები და შესაძლებლობები არ გავაჩნია. რთული ქცევების განხორციელება შესაძლებელია მასში შემავალი შედარებით მარტივი ქცევითი ელემენტების კომბინირებით, თუ, ცხადია, ისინი ცნობილია ჩვენთვის (Cloninger, S. C., 2004).

### **მოტივაციური პროცესები: კეთების სურვილის ქონა**

ბანდურა ერთმანეთისგან მიჯნავს დასწავლასა და დასწავლილი ქცევის შესრულებას (Cloninger, S. C., 2004). ქცევის რეალურად განხორციელების მოტივის არარსებობის პირობებში ინდივიდი არ გაიმეორებს მას. მას უნდა სურდეს დაკვირვებული ქცევის მიბადება (McAdams, D. P., 2006). ეს მოტივაცია ისეთი გარეგანი განმამტკიცებლებიდან მომდინარეობს, როგორცაა, მაგალითად, ჯილდოს დაპირება. ქცევის გამეორების მოტივატორი არაპირდაპირი განმამტკიცებელიც შეიძლება იყოს, მაგალითად, მოდელისთვის მიცემული ჯილდო (Cloninger, S. C., 2004).

უკვე ვთქვით, რომ მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი იმისა, მოხდება თუ არა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში მოდელირებით სწავლა, დამოკიდებულია დაკვირვებად ქცევაზე – იმაზე, თუ რა განმამტკიცებელი მიიღო მოდელმა. მეორე მხრივ, დაკვირვებით სწავლა ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ქცევის დამსწავლელს აქვს ქცევის აღდგენის რაიმე მიზეზი. ყურადღება და წარმოდგენა შეიძლება სასარგებლო იყოს დასწავლისას, ხოლო ქმედებაზე გადასვლა იოლდება, როცა ქცევის კონკრეტული მოცემული ვარიანტის აღდგენის მიზეზი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სხვაზე დაკვირვებამ შეიძლება გვასწავლოს, როგორ გავაკეთოთ რაღაც, შეიძლება არ გვინდოდეს აუცილებელი ქმედებების განხორციელება. ადამიანი შეიძლება უყურებდეს, როგორ სრიალებს ვიღაც ყინულზე ანდა როგორ გვის ცოცხით იატაკს, მაგრამ ამ ქცევებიდან რაიმეს გამეორების არანაირი საჭიროება არ ჰქონდეს.

თუმცა, როდესაც ვხედავთ და ვიმახსოვრებთ მოდელის მიერ მიღებულ განმამტკიცებელს, მაშინ სიტუაცია ძირფესვიანად იცვლება. ასე მაგალითად, თუ ვხედავთ, რომ ვიღაც დაისაჯა მოცემული ქცევისთვის, შემცირდება ალბათობა იმისა, რომ თავად ვცდით იმავე ქცევის გამეორებას.

ამგვარად, მოდელირებით სწავლა შესაძლებელი ხდება სათანადო ქმედებაზე დაკვირვებით, რომელიც შეესატყვისება მეხსიერებაში მოვლენების კოდირებას, ამ კოდირებული ქცევის რეალურად გამეორებით და საკმარისი მოტივაციით (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## ფსიქოპათოლოგია

სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, არაადაპტური ქცევა დისფუნქციური დასწავლის შედეგია. ნებისმიერი სხვა რეაქციის მსგავსად, არაადაპტური რეაქციები შეიძლება ათვისებულ იქნას პირადი გამოცდილების ან არაადეკვატური, „დაავადებული“ მოდელების დაკვირვების შედეგად.

ბანდურა თვლის, რომ ფსიქოპათოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი მიზეზობრივი ფაქტორი ხშირად ხდება ის, რომ თავად მშობლები წარმოადგენენ შვილებისთვის დამახინჯებული ქცევის მოდელებს. და კიდევ: არ არის საჭირო დაფარული კონფლიქტებისა და ადრეულ ბავშვობაში გადატანილი ტრავმული ინციდენტების ძიება. არც განმამტკიცებლების ისტორიის შესწავლაა საჭირო იმის გასარკვევად, თუ როგორ იქნა თავდაპირველად ათვისებული ქცევის პათოლოგიური ფორმები. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, სულ სხვაგვარად ხდება: ქცევის ეს ფორმები თავდაპირველად ათვისება დაკვირვებით სწავლის შედეგად და მხოლოდ ამის შემდეგ (რაც მეტად ალბათურია) შენარჩუნდება და განმტკიცდება პირდაპირი ან გაშუალებული განმტკიცებით. ამრიგად, თეორიაში ითვლება, რომ დაკვირვებით სწავლით და გაშუალებული განპირობებით შეიძლება აიხსნას ადამიანთა შიშებისა და ფობიების დიდი ნაწილი (Первин Л., & Джон О., 2002).

## თერაპია

ბანდურა (1961, წყაროში Cloninger, S. C., 2004) აკრიტიკებს მხოლოდ საუბარზე დაფუძნებულ თერაპიას, როდესაც დასწავლის ცნობილი პრინციპების გამოყენებით შესაძლებელია შედეგების გაუმჯობესება. მისი ეს პოზიცია ფართოდ არის მიღებული: თერაპიისადმი კოგნიტურ-ბიჰევიორალური მიდგომების ციტირების ინდექსი სწრაფად იზრდება ბოლო წლებში (Killgore, 2000, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

თერაპია, რომელიც სოციალური დასწავლის ისეთ პრინციპებს იყენებს, როგორცაა მოდელირება, წარმატებულია ფობიების მქონე მოზრდილებთან და ბავშვებთან მუშაობისას, ფობიების ყოველგვარი სიმბოლური ინტერპრეტაციების გარეშე (მაგალითისთვის იხ. Bandura, Adams & Beyer, 1977). სხვა კვლევები (მაგალითისთვის იხ. Bandura, Adams, Hardy, & Howells, 1980) ადასტურებენ, რომ დასწავლის პრინციპებზე დაფუძნებული თერაპიები ეფექტურია ისეთ ფობიებთან მუშაობისას, როგორცაა აგორაფობია. ეს შედეგები წინააღმდეგობაში მოდის ფსიქონალიტური თეორიის პროგნოზთან, რომ მხოლოდ ღრმად ფესვგამდგარი არაცნობიერი კონფლიქტების გადაჭრით არის შესაძლებელი ფობიისგან თავის დაღწევა. ბანდურა (1961, წყაროში Cloninger, S. C., 2004) ამტკიცებს, რომ ფსიქოთერაპიას უნდა მივუდგეთ, როგორც დასწავლის პროცესს. დასწავლის პრინციპების (დაჯილდოვების, ჩაქრობისა და დისკრიმინაციის დასწავლის ჩათვლით) უფრო მეტად სისტემატური გამოყენებით შესაძლებელია თერაპიული შედეგების გაუმჯობესება.

ბანდურას (1977) მიაჩნია, რომ თვითეფექტურობის მოლოდინების ცვლილება წარმატებული თერაპიის გასაღებია, როდესაც საქმე შიშსა და არიდების ქცევას ეხება. ის თვლის, რომ ფობიები დაბალი თვითეფექტურობის მოლოდინის შედეგია და არა — დაბალი შედეგის მოლოდინისა. ამბობს, რომ „ყველაზე ეფექტური მკურნალობა უფლებამოსილების მოდელზეა აგებული. თუ მართლაც გასურთ ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, მიეცით მათ კომპეტენციები, შეუქმენით საკუთარი თავის ძლიერი რწმენა და ამ კომპეტენციების გამოყენების შესაძლებლობები“ (R. I. Evans, 1989, გვ. 16, ციტირებულია წყაროში Cloninger, S. C., 2004). თერაპია წარმატებულად ჩაითვლება, თუ გაიზრდება თვითეფექტურობა.

ცხრილი 5. ეფექტურობის მოლოდინის ცვლილება თერაპიული გზით.

ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები და ძირითადი წყაროები, რომლითაც მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი მუშაობს.

წყარო	მოპყრობის ფორმა
უმუშალო მოქმედების გამოცდილება	მონაწილის მოდელირება ქცევის დესენსიტიზაცია ქცევის ექსპოზიცია თვითინსტრუქტირებადი ქცევა
არაპირდაპირი გამოცდილება	ცოცხალი/რეალურ ცხოვრებაში მოდელირება სიმბოლური მოდელირება
ვერბალური დარწმუნება	შეთავაზება მოწოდება თვითინსტრუქტირება ინტერპრეტაციული მკურნალობა
ემოციური აგზნება	ატრიბუცია რელაქსაცია, ბიოუკუკავშირი სიმბოლური დესენსიტიზაცია სიმბოლური ექსპოზიცია

წყარო: A. Bandura (1977). *Self-efficacy: Toward a unifying theory of behavioral change.* Psychological Review, 84, 191-215.

ტექნიკები, შესაძლოა, ასევე ეფექტური იყოს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ეფექტურობის მოლოდინების გაზრდას ემსახურებიან. სიღრმისეულ ფსიქოანალიზსაც კი ხელეწიფება დისფუნქციური მოლოდინების შეცვლა, მაგრამ ის ამას ძალიან ნელა აკეთებს. მხოლოდ მრავალი თვის ან წლის შემდეგ შეიძლება გაუჩნდეს პაციენტს მოლოდინი, რომ მისი ამჟამინდელი ცხოვრება დალაგდება და გაუმჯობესდება მას შემდეგ, რაც ის ბავშვობისდროინდელ გადაუჭრელ კონფლიქტებსა და პრობლემებს მოაგვარებს. თვითეფექტურობის გაზრდაზე ორიენტირებული ზოგიერთი თერაპიული ალტერნატივა წარმოდგენილია ცხრილში 5.

ზოგჯერ ეფექტურობის გაზრდა მარტივია, მაგრამ ეფექტური, თუმცა, ეფექტურობის მოლოდინების მოდიფიცირება ხშირად გაცილებით მეტ ძალისხმევას და ინტენსიურ თერაპიულ ჩარევას საჭიროებს (Cloninger, S. C., 2004).

### პიროვნებს და სოციალური გარემო

ჩვენს მიერ გამოყენებული ბევრი ტერმინი, როგორცაა, მაგალითად, „მე“ და „მიზნები“, შესაძლოა, თვითკმარი, ეგოისტური მიზნებისკენ მავალი ინდივიდის ხატს გვიქმნიდეს, რომელსაც არ აინტერესებს სხვები და არ ფიქრობს მათზე. ეს მცდარი წარმოდგენა, ალბათ, იმ კულტურის (ამერიკული) მოჭარბებული ინდივიდუალიზმის შედეგია, რომელშიც შეიქმნა ბანდურას თეორია. ფაქტობრივად, ბანდურას სამკომპონენტური რეციპროკული დეტერმინიზმი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე მხოლოდ ინდივიდუალური მიღწევებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ეს არის საზოგადოების ადგილი, მიზნებითა და ღირებულებებით, რომლებიც საერთოა, საზიაროა ჩვენთვის და სხვებისთვის. ასევე, აქ საუბარია სოციალურ პასუხისმგებლობაზე, სადაც ჩვენი ეფექტურობა და შესაძლებლობები სხვების კეთილდღეობას შეიძლება მოხმარდეს. ამიტომ ინდივიდუალურ ეფექტურობასთან ერთად ბანდურა კოლექტიური ეფექტურობის განცდაზეც საუბრობს (Cloninger, S. C., 2004).

### კოლექტიური ეფექტურობა

როდესაც თეორიამ განვითარების საკმარის ხარისხს მიაღწია, ბანდურა, ფროიდის, ადლერის, სკინერის, როჯერსისა და პიროვნების სხვა თეორეტიკოსების მსგავსად, გლობალური საზოგადოებრივი და ნაციონალური პრობლემებით დაინტერესდა. ეს ინტერესი ნაწილობრივ აისახა კოლექტიური

ბანდურა თვლის, რომ სხვადასხვა თერაპიული ტექნიკა, საუბრის თერაპიის ჩათვლით, ერთი საერთო მიზნის გამოა ეფექტური: ისინი ცვლიან დისფუნქციურ მოლოდინებს. ადამიანები თავს არიდებენ ისეთ მოქმედებებს, რომელთა განხორციელება, მიაჩნიათ, რომ აღემატება მათ შესაძლებლობებს (Bandura, A., 1989). ბანდურას თანახმად, თვითეფექტურობის მომატების ყველაზე ეფექტური და შედეგიანი გზა ბიპევიორალური თერაპიებია და, მამასადამე, ფობიების სამკურნალოდ საუკეთესო არჩევანია. სხვა

ეფექტურობის კონცეფციაში. კოლექტიური ეფექტურობა ეხება ადამიანების დარწმუნებულობას, რომ მათი ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სოციალური ცვლილებების მიღწევა. ის მომდინარეობს არა კოლექტიური „ცნობიერებიდან“, არამედ ერთად მომუშავე მრავალი ადამიანის პირადი ეფექტურობებიდან (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). შესაბამისად, კოლექტიური ეფექტურობის განცდა მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანთა ჯგუფს სჯერა, რომ მათ, როგორც ჯგუფს, შეუძლია იმის გაკეთება, რაც გასაკეთებელია (R. I. Evans, 1989, წყაროში Cloninger, S. C., 2004). ერთად მუშაობით ისინი ქმნიან კოლექტიურ აგენტობას, ინდივიდუალური აგენტობის საპირისპიროდ (Bandura, A., 2001b). ცხადია, რომ რაც უფრო მეტია კოლექტიური ეფექტურობის განცდა, მით მეტად არის ჯგუფი მობილიზებული მიზნებისკენ სწრაფვაზე და დაბრკოლებებისთვის წინააღმდეგობის გაწევაზე და მეტად აღწევს დასახულ მიზანს (Bandura, 2000, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

ამრიგად, ბანდურა თვლის, რომ ადამიანები საკუთარ ცხოვრებას მართავენ არამარტო ინდივიდუალური თვითეფექტურობის მეშვეობით, არამედ – კოლექტიური ეფექტურობითაც. მას, ასევე, მიაჩნია, რომ ინდივიდუალური და კოლექტიური ეფექტურობა არ გამორიცხავს ერთმანეთს და არ არის წინააღმდეგობრივი ცნებები. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება მოწევას დაანებოს თავი საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნების მოტივით და ეს ინდივიდუალური თვითეფექტურობის მატებაზე მოქმედებდეს, მაგრამ, ამავე დროს, დაბალი იყოს მისი კოლექტიური ეფექტურობის შეგრძნება გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლასთან მიმართებით.

ბანდურა (1995a, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001) ასახელებს კოლექტიურ ეფექტურობაზე ნეგატიურად მოქმედ რამდენიმე ფაქტორს. ეს ფაქტორებია: (1) ჩვენ ტრანსნაციონალურ სამყაროში ვცხოვრობთ და დედამიწის ერთ ადგილზე მომხდარი მოვლენა შეიძლება გავლენას ახდენდეს სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებზე, რომელთაც არ შეუძლიათ იმ მოვლენის კონტროლი; (2) უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც გაუგებარია და არ ექვემდებარება ჩვენს კონტროლს, შეიძლება ამცირებდეს კოლექტიურ ეფექტურობას; (3) საზოგადოებაში არსებული რთული ბიუროკრატიული ქსელი, რომელიც ბარიერს წარმოადგენს ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მასშტაბური ცვლილებისთვის; (4) პრობლემების სიდიდე და მასშტაბურობა, რომელთან შეჯახებაც უწევს კაცობრიობას. ასეთი გლობალური პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება ომები, შიმშილი, დასახლების სიმჭიდროვის მაღალი მაჩვენებელი, დანაშაულებები და ბუნებრივი კატასტროფები.

ბანდურა (1990b, 1991b, წყაროში Cloninger, S. C., 2004) ამბობს, რომ ინდივიდები ხშირად ვერ ახერხებენ თავიანთი ქცევის იმგვარად რეგულირებას, რომ ის მაღალ მორალურ სტანდარტებს შეესატყვისებოდეს. ისინი ახდენენ სხვების ექსპლუატაციას, ახორციელებენ აგრესიულ აქტებს, აბინძურებენ ატმოსფეროს და მრავალი სხვა ისეთი მოქმედებით არიან დაკავებულნი, რომელიც არღვევს მორალურ სტანდარტებს. ეს *მორალური გამოთიშვის/ჩაურთველობის* პრობლემაა (Bandura, A., 2001b), რომელზეც უკვე ვისაუბრეთ.<sup>9</sup> ფსიქოანალიზის ფარგლებში აღწერილი დაცვის მექანიზმების მსგავსად, ეს მანევრები დანაშაულის განცდისგან თავის დაცვის საშუალებებია, თუმცა, ბანდურას თეორიის სოციალური სენსიტიურობა ასახავს მოსაზრებას, რომელიც არ გვხვდება ინტრაფსიქიკურ ფსიქოანალიტურ თეორიაში: მორალური ჩაურთველობის მექანიზმები ხელს უწყობს ამორალური ქცევის განხორციელებას. მორალური ჩაურთველობის საზომების (მაგალითად, დათანხმება დებულებაზე „თუ ადამიანები უყურადღებოდ ტოვებენ ნივთებს, მათი ბრალია, თუ ვინმე ამ ნივთებს მოიპარავს“) მეშვეობით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ადამიანები კიდევ უფრო მეტ გაუმართლებელ ქცევას ჩაიდენენ (Bandura, Caprara, Barbaranelli, Pastorelli, & Regalia, 2001, წყაროში Cloninger, S. C., 2004). ბანდურა ამტკიცებს, რომ საზოგადოებებმა სოციალური კონტროლი უნდა დააწესონ ინდივიდის დაუცველი მორალური თვითკონტროლის დასახმარებლად.

საბედნიეროდ, არ არსებობს კონფლიქტი ინდივიდის ეფექტურობასა და მორალურ პასუხისმგებლობას შორის. ფაქტობრივად, ბანდურა (2001b) აღნიშნავს, რომ მაღალი ეფექტურობის მაჩვენებლის მქონე

<sup>9</sup> იხ. ქვეთავი შერჩევითი აქტივაცია და შინაგანი კონტროლის გამორთვა.

ბავშვები უფრო (და არანაკლებ) ოპერატიულები და დამხმარენი არიან სხვების მიმართ, ვიდრე სხვები.

## შეჯამება

სოციალურ-კოგნიტური თეორია სათავეს დასწავლის ტრადიციულ თეორიაში იღებს. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქცევის სოციალურ მიზეზებს და კოგნიტური პროცესების მნიშვნელობას ადამიანის ფუნქციონირების ყველა ასპექტში, იქნება ეს მოტივაცია, ემოცია თუ ქმედება. უოლტერ მიშელი და ალბერტ ბანდურა პიროვნებას დასწავლის თეორიის ტრადიციის ფარგლებში აანალიზებენ და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კოგნიტურ ცვლადებს, ვინაიდან მათთვის ცენტრალურია ადამიანის აზროვნების უნარი. თეორიაში დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის უნარს, იაზროვნოს და შეიმეცნოს და გაცილებით ნაკლებად, ვთქვათ, სკინერთან შედარებით, არის საუბარი გარემოს ფაქტორებზე. სოციალურ-კოგნიტური თეორია გამოირჩევა როგორც ადამიანის ქცევის ფორმებისა და ასპექტების მრავალფეროვნებით, ისე – მეცნიერული სიმკაცრით. მას აინტერესებს როგორც მნიშვნელოვანი შინაგანი პროცესები, ისე – სისტემატური დაკვირვებები გარეგან ქმედებებზე. რადიკალური ბიჰევიორისტებისგან განსხვავებით, ბანდურა თვლის, რომ პიროვნებას აყალიბებს ადამიანის ქცევა, მისი ინდივიდუალური მახასიათებლები და გარემოს ზეგავლენა და ყველა ეს ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს, დასწავლა კი აუცილებლობით არ მოიაზრებს ჯილდოს. სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, ჩვენ სხვა ადამიანებზე დაკვირვებით და მოდელირებითაც შეგვიძლია სწავლა.

თანამედროვე სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში ადამიანი აქტიური არსებაა, რომელიც კოგნიტური პროცესების გამოყენებით წარმოიდგენს მოვლენებს, პროგნოზირებს მომავალს, არჩევს საკუთარი მოქმედების მიმართულებას და ურთიერთობს ადამიანებთან. ბანდურასთვის ადამიანი არ არის არც არაცნობიერი იმპულსებით მართული და არც გარემოდან მომდინარე სტიმულებზე მექანიკურად მორეაგირე არსება. მისთვის ქცევა ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედების ტერმინებით აიხსნება, რასაც ის რეცეპტორულ დეტერმინიზმს უწოდებს, ანუ ადამიანის ქცევა მოქმედებს გარემოზე, რომელს, თავის მხრივ, მოქმედებს ქცევასა და პიროვნებაზე, რაც ისევ მოქმედებს გარემოზე. ერთი სიტყვით, ადამიანები ერთდროულად რეაგირებენ კიდევ სიტუაციებზე და თავადაც ქმნიან მათ. ისინი არჩევენ სიტუაციებს და თავად ფორმირდებიან მათი ზემოქმედების შედეგად. ისინი ურთიერთქმედებენ სხვა ადამიანების ქცევასთან და თავად ფორმირდებიან ამ სხვა ადამიანების ქცევის გავლენით. ბანდურას, ასევე, შემოაქვს შემთხვევითობის ცნება, რაც რეცეპტორული დეტერმინიზმის პროცესს სრულიად არაპროგნოზირებადად აქცევს.

ქცევის რეგულაციის მიმართულებით ბანდურა საუბრობს მე-სისტემაზე, რაც ფაქტობრივად, კოგნიტური პროცესების ერთობლიობას წარმოადგენს და პიროვნულ ღირებულებებსა და იდენტობასაც მოიცავს. მე-სისტემა საშუალება გვაძლევს, დავინახოთ და სიმბოლოებით გამოვხატოთ ჩვენი ქცევა; ასევე, შევაფასოთ ის როგორც წარსულში განმტკიცებულ ან განუმტკიცებელ ქცევებზე, ისე – სავარაუდო მომავალ შედეგებზე დაყრდნობით. ასეთი შეფასების შემდეგ, კოგნიტური პროცესების გამოყენებით, გარკვეულწილად, შესაძლებელია საკუთარი თავის მართვა და რეგულაცია. თვითრეგულაცია და თვითეფექტურობაა ის უმნიშვნელოვანესი შინაგანი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანის ქცევაზე.

თვითრეგულაცია პიროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამახასიათებელია, რომელიც ქცევაზე მოქმედებს და მოიაზრებს მიზნების შერჩევას, ემოციების რეგულაციას და პროაქტიულად მოქმედებას. თვითრეგულაციაზე გავლენას ახდენს გარეგანი (ქცევის შეფასების დასწავლილი სტანდარტები) და შინაგანი ანუ პიროვნული ფაქტორები. შინაგანი ფაქტორების მოქმედების აუცილებელი პირობებია თვითდაკვირვება, მსჯელობის პროცესი და საკუთარ თავზე რეაქციის აქტივაცია. გარდა ამისა, ბანდურა საუბრობს ქცევის რეგულაციის საზოგადოებრივ და შინაგან სანქციებზე. ის დეტალურად განიხილავს

შინაგან სანქციებს და რამდენიმე მათგანს განიხილავს, ესენია: შერჩევითი აქტივაცია და შინაგანი კონტროლის გამორთვა. ეს არის ცნობიერად გაშუალებული პროცესი და არა — ავტომატური ან არაცნობიერი. თვითკონტროლის გამორთვისა და შერჩევითი ჩართვის მექანიზმებიდან ბანდურა აღწერს ქცევის ხელახალ განსაზღვრას, პასუხისმგებლობის გადატანას ან გაბუნდოვნებას, საკუთარი ქმედებების შედეგების დამახინჯებასა და იგნორირებას და მსხვერპლის დადანაშაულებას.

თვითეფექტურობა ბანდურას თეორიის ცენტრალური ცნებაა. ეს არ არის ფიქსირებული უნარი, სიტყვათა მარაგი ან წარმოთქმული წინადადებების კრებული. აღქმული თვითეფექტურობა შეეხება არა იმ უნარების რაოდენობას, რომელიც გვაქვს, არამედ იმას, თუ რა გვგონია, რისი გაკეთება შეგვიძლია ამ უნარების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციაში. ეფექტურობის რწმენა ადამიანის კომპეტენციების გენერაციული სისტემის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. ბანდურასთვის ეფექტური ფუნქციონირება მოითხოვს როგორც სათანადო უნარებს, ისე რწმენას, რომ შეგვიძლია ამ უნარების მართებულად და ეფექტურად გამოყენება. ამრიგად, ის თვითეფექტურობას განმარტავს, როგორც ინდივიდის რწმენას, რომ მას შეუძლია სიტუაციასთან გასამკლავებლად მოცემული მიმართულების ქცევის დაგეგმვა და განხორციელება. ეს არ არის გლობალური ცნება და სიტუაციიდან სიტუაციაში იმ უნარების მიხედვით იცვლება, რომელს სხვადასხვა ქცევის განხორციელებას სჭირდება. თვითეფექტურობა რეციპროკული დეტერმინიზმის სამკომპონენტთან მოდელში პიროვნული მახასიათებლების რიცხვში შედის.

ბანდურა თვითეფექტურობის ფაქტორებსაც აღწერს, ესენია: უშუალო მოქმედების გამოცდილება, არაპირდაპირი გამოცდილება, საზოგადოების აზრი ანუ ვერბალური დარწმუნება, ადამიანის ფიზიკური და ემოციური აგზნება.

ბანდურა თვლის, რომ ადამიანები რთულ ქცევებს დაკვირვებით, გამეორებით და მოდელირებით დაისწავლიან. ამას მისი ცნობილი კლასიკური ექსპერიმენტებიც ადასტურებენ. დაკვირვებით სწავლაზე ისეთი პროცესები მოქმედებენ, როგორცაა ყურადღების პროცესები ანუ ქცევაზე დაკვირვება, შეკავების/შენახვის პროცესები ანუ დამახსოვრება, მოტორული რეპროდუქციის პროცესები ანუ კეთება და მოტივაციური პროცესები ანუ კეთების სურვილის ქონა.

## თავი 6

### ადამიანის ქვევის ეკოლოგია

*როგორ არის შესაძლებელი, რომ ინდივიდი ერთდროულად საზოგადოების მიზეზიც იყოს და შედეგიც? (Allport, 1968, p. 9)*

*„თუ ადამიანი სიტუაციას რეალურად მიიჩნევს, ამ სიტუაციის შედეგებიც სავსებით რეალურია მისთვის“ (Thomas, W. I., & Thomas, D. S., 1928, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997)*

რა არის ადამიანის ქვევის ეკოლოგია? ადამიანი ქვევის ეკოლოგია ევოლუციური თეორიის პრინციპების გამოყენებით ადამიანების ქვევისა და კულტურული მრავალფეროვნების შესწავლის ოპტიმიზაციას ახდენს. ქვევის ეკოლოგიას აინტერესებს ნიშნების, ქვევისა და ცხოვრებისეული ისტორიების ადაპტური სტრუქტურა, რომელიც მოცემულ ეკოლოგიურ კონტექსტში იქმნება. ქვევის ეკოლოგიას ბევრი საერთო აქვს ევოლუციურ ფსიქოლოგიასთან, ადამიანის ან კულტურულ ეკოლოგიასთან, ბიოდემოგრაფიასთან და გადაწყვეტილების მიღების თეორიასთან. ადამიანის ქვევის თანამედროვე ეკოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ ზემოქმედებენ და აყალიბებენ ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორები ქვევის მოქნილობას და რამდენად მსგავსი ან განსხვავებულია ამ ნიშნის მიხედვით ადამიანების ქვევი ერთი კულტურის ფარგლებში და სხვადასხვა კულტურაში. ქვევის ეკოლოგიის კიდევ ერთი მიზანია ქვევის, როგორც ადაპტური გადაწყვეტილებების, ცვალებადობა, რომელიც ზრდის, განვითარების, რეპროდუქციის, მშობლიური ზრუნვისა და ცხოვრების თანამგზავრის შექმნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას მიიღება. ამრიგად, მეცნიერები ინტერესდებიან, თუ როგორ აყალიბებს (ბიოლოგიური, სოციალური, კულტურული, ისტორიული და ა. შ.) და ზემოქმედებს გარემო მასში მცხოვრებ პიროვნებაზე.

ამ თავში ადამიანის ქვევის სოციალურ ეკოლოგიას გაგაცნობთ. ასევე, წარმოგიდგენთ გარემოსა და სოციალური კონტექსტის ცნებას, მათ კლასიფიკაციებს, მიკრო და მაკრო კონტექსტის მოკლე მიმოხილვას. გარდა ამისა, გაეცნობით ბრონფენბრენერის ეკოლოგიურ თეორიას, რომელიც ადამიანის განვითარების ეკოლოგიურ მოდელზე საუბრობს.

### ადამიანის ქვევის სოციალური ეკოლოგია

ბიჰევიორისტები და სოციალური დასწავლის თეორეტიკოსები ადამიანის ქვევას, ტრადიციულად, პიროვნებაზე გარემოს გავლენის ტერმინებით განიხილავენ, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვევას ჩვენს ირგვლივ არსებულ სამყაროსთან უერთიერთქმედების გზით ვსწავლობთ. კლასიკური განპირობების, ოპერანტული განპირობებისა და დაკვირვებით სწავლის მეშვეობით ვიქმნით ქვევას რეპერტუარს, რომელიც მეტ-ნაკლებად ასახავს დასწავლის იმ ისტორიას, რომელიც გამოცდილებაში გვაქვს. როგორ ქვევასაც არ უნდა ვსწავლობდეთ, იქნება ეს დესტრუქციული და აგრესიული ქვევა, თუ სოციალიზაციის საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად მისაღები სტანდარტები, ჩვენ ვსწავლობთ, ვინ ვართ და, ასევე, რა, როგორ და რატომ უნდა გავაკეთოთ. ამ ყველაფრის დასწავლას ირგვლივ არსებული გარემოს მოწყობის მიხედვით ვახორციელებთ: გარემოს მოწყობაში მოიაზრება სხვადასხვა სიტუაციაში გარემოდან მომდინარე ჯილდოები და სასჯელები, განმამტკიცებელთა ალბათობები, გარემოდან მომდინარე სტიმულების ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ასოციაციები, მისაბამი მოდელები, მშობლებისგან, მასწავლებლებისგან, თანატოლებისგან და სხვებისგან მიღებული გაკვეთილები და ა. შ. ბიჰევიორისტები და სოციალური დასწავლის თეორეტიკოსები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ იმაზე,




თუ რამდენად არის თითოეული ჩვენგანი საკუთარი გარემოს ანარეკლი — რამდენად არის ჩვენი ქცევა და, საერთოდ, მთელი ცხოვრება ჩართული და განსაზღვრული ჩვენს ირგვლივ არსებული სამყაროთი (McAdams, D. P., 2006).

## რა არის გარემო

როგორია ის გარემო, რომელიც ისეთებად გვყალიბებს, როგორებიც ვართ? გარემოს რომელი კონტექსტები ზემოქმედებენ ჩვენს ქცევაზე და გვქმნიან ასეთებად? ეს, ერთი შეხედვით, მარტივი კითხვებია. შეიძლება ვთქვათ, რომ ნებისმიერ მოცემულ მომენტში ჩვენი „გარემო“ ის სიტუაციაა, რომელშიც ვიმყოფებით. მაგალითად, როდესაც ამ აზრს ვწერ, ვზივარ ოფისში, მაგიდასთან, უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მეშვიდე სართულზე, თბილისში. ოთახში თბილა, გარეთ სიცივა და ქარი ქრის. აქვე მყოფი ადამიანები საუბრობენ, ყურთსასმენებში მუსიკა ისმის, — ეს ყველაფერი ჩემი ამჟამინდელი სიტუაციის მდგენელებია. როდესაც ამ აზრს კითხულობთ, სავარაუდოდ, სახლში ან სადმე კაფეში იმყოფებით, ჭიქა ყავით ხელში; ან მეგობართან ერთად მეცადინეობთ. შეიძლება სადამოა ან გვიანი ღამე და მეორე დღისთვის სემინარი გაქვს მოსამზადებელი. ყველა ეს ფაქტორი თქვენი მიმდინარე სიტუაციის ფაქტორებია.

თუმცა, თუ ჩვენს სიტუაციებზე დავფიქრდებით, მიხვდებით, რომ თითოეული ჩვენგანი სხვადასხვა სიტუაციის ან კონტექსტის ფარგლებში და მათ შესატყვისად ვმოქმედებთ. ისინი განსაზღვრავენ

სურ. N1. სოციალური ეკოლოგიის სქემატური ასახვა.



თითოეული ჩვენგანის გარემოს. მაგალითად, ჩემთვის ასეთი სიტუაცია შეიძლება იყოს ის, რომ სამი დღეში უნდა დავასრულო ამ ტექსტზე მუშაობა, თუმცა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩავეტევი დადგენილ ვადებში. ეს ვითარება ჩემი მიმდინარე სიტუაციის ნაწილია ისევე, როგორც ის, რომ ვარ ფსიქოლოგი, მყავს მეუღლე და ორი შვილი და ვმუშაობ უნივერსიტეტში. ცხადია, თქვენ თქვენი საკუთარი მსგავსი ვითარება გექნებათ. ეს ყველაფერი, გარკვეულწილად, ის კონტექსტია, რომელშიც ამჟამად არსებობთ და რომელიც განსაზღვრავს თქვენს გარემოს.

როდესაც ბიოლოგიურ მეცნიერებებში „გარემოს“ შეისწავლიან, ბუნების კომპლექსურ „ეკოლოგიაზე“ საუბრობენ. ეკოლოგიაში

მოიაზრება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული სისტემებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ბუნებრივ სამყაროს მოცემულ დროსა და სივრცეში. ანალოგიურად შეგვიძლია განვმარტოთ სოციალური ეკოლოგია (Moen, P., Elder, G. H., Jr., & Luscher, K., 1995) და მასში ის სხვადასხვა გარემო მოვიაზროთ, რომელშიც ადამიანის ქცევა ხორციელდება (სურ. N1). სოციალური ეკოლოგია შედგება მრავალი განსხვავებული კონტექსტისგან, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე და აყალიბებს მას. სოციალური ეკოლოგია მოიცავს იმ უშუალო და ახლომდებარე კონტექსტებს, როგორცაა კონკრეტული სოციალური სიტუაცია, რომელშიც იმყოფება ინდივიდი დროის მოცემულ მომენტში. ბიპვეიორალურ და სოციალური დასწავლის თეორიებში მომუშავე პიროვნების ფსიქოლოგებს ის უშუალო სიტუაციური ფაქტორები აინტერესებთ, რომლებიც გავლენას ახდენენ და აყალიბებენ ინდივიდის ქცევას მოცემულ დროსა და ადგილზე. სხვა სიტყვებით, მათ სოციალური ეკოლოგიის მიკროკონტექსტი — ქცევაზე უშუალო გარემოს გავლენები — აინტერესებთ.

თუმცა, ასეთი უშუალო სიტუაციების მიღმა არსებობს ქცევის უფრო ფართო და დამორებული კონტექსტები, როგორცაა, მაგალითად, ოჯახი, სამეზობლო, უბანი, სკოლა და ეკლესია. ასე მაგალითად,

ოჯახმა ქცევისთვის, სულ მცირე, ორი სხვადასხვა ტიპის კონტექსტის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს. პირველ შემთხვევაში პიროვნება შეიძლება განსხვავებულად იქცეოდეს იმის მიხედვით, ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფება თუ არა. ფსიქოლოგები, რომლებიც ოჯახის სისტემებს შეისწავლიან, საუბრობენ იმაზე, თუ როგორ ხდება ოჯახის თითოეული წევრის მიერ გარკვეული როლის მორგება და ამ როლის შესატყვისი ქცევის დემონსტრირება (Minuchin, S., 1974). ჩემს ოჯახში, შესაძლოა, ავტორიტეტული ფიგურა ვიყო, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს და გეგმავს ოჯახის სხვა წევრების საქმიანობას. სხვა კონტექსტში, სავარაუდოა, რომ ასეთი როლი ნაკლებად მოვირგო. მეორე შემთხვევაში ოჯახი შეიძლება ის კონტექსტი იყოს, რომელშიც ინდივიდი ოდესღაც მისთვის ჩვეული ქცევის პატერნებსა და ღირებულებებს დაისწავლის და მათ ხანდახან თავისი ცხოვრების სხვა სფეროებზეც ავრცელებს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ ამჟამად ამ ტექსტის დამუშავებით ვარ დაკავებული და არ ვიმყოფები დასასვენებლად რომელიმე ზღვისპირა ქალაქში, ნაწილობრივ, იმით არის განპირობებული, რომ ერთ დროს ოჯახში მასწავლეს, რომ პატიოსანი მოსწავლე უნდა ვიყო და ბევრი უნდა ვიმეცადინო. ამიტომ ოჯახში ნასწავლი ეს ღირებულება ჩემს მიმდინარე გარემოშიც აქტუალურია და აწმყო ქცევას განმისაზღვრავს.

ქცევის ყველაზე შორეულ და მრავლის მომცველ კონტექსტებს *მაკროკონტექსტებს* უწოდებენ. მათში შედის სოციალური კლასი, გენდერი, რასა, კულტურა და ის ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ვცხოვრობთ. დროის ნებისმიერ მომენტში პიროვნების ცხოვრება კონტექსტების იერარქიაშია ლოკალიზებული, უშუალო სოციალური სიტუაციის მიკროკონტექსტით დაწყებული და კლასის, კულტურისა და ისტორიის მაკროკონტექსტით დამთავრებული.

ინდივიდისა და მისი ნებისმიერი თვალსაჩინო, დაკვირვებადი ქცევის სრულად გასაგებად აუცილებელია, რომ ქცევა და თავად პიროვნების ცხოვრება იმ მრავალ ურთიერთგადამფარავ (მიკრო და მაკრო კონტექსტების ფართო დიაპაზონში) კონტექსტში განვიხილოთ, რომელშიც ის იმყოფება. მამასადამე, ჩვენი ქცევის გარემოს განსაზღვრა საკმაოდ ამბიციური და არც ისე მარტივად შესასრულებელი ამოცანაა, ვინაიდან გარემო მრავალი განსხვავებული კომპონენტისგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა დონეზე ერთდროულად ოპერირებენ (McAdams, D. P., 2006).

## მიკროკონტექსტი: სოციალური სიტუაცია

რა არის სიტუაცია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

### სიტუაციის კლასიფიკაციები

არსებობს მთელი რიგი კლასიფიკაციებისა, რომლებიც ადამიანის სოციალური სიტუაციების სხვადასხვა სახეობას აერთიანებს თანაბარი კატეგორიების, იერარქიებისა თუ განზომილებების სახით.

რუდოლფ მუსი (Moos, R. H., 1986) თავის ტაქსონომიაში ექვს ზოგად კატეგორიას გამოყოფს და იმ სხვადასხვაგვარ მახასიათებელზე საუბრობს, რომელიც შეგვიძლია გავითვალისწინოთ კონკრეტული სიტუაციის აღწერისას. მუსი ასახელებს შემდეგ ექვს კატეგორიას, ესენია: ფიზიკური ეკოლოგიის განზომილებები, ქცევის ვითარებები/გარემო ანუ ეპიზოდები, ორგანიზაციული სტრუქტურა, სიტუაციაში მყოფი პიროვნებების მახასიათებლები, ორგანიზაციული კლიმატი და ფუნქციონალური და განმამტკიცებელი თვისებები. მუსის კლასიფიკაცია მოკლედ არის შეჯამებული ცხრილში 1.

## ცხრილი 1. ადამიანის გარემოს ექვსი ზოგადი კატეგორია მუსის მიხედვით.

კატეგორია	მაგალითი
ფიზიკური ეკოლოგია	კლიმატი, გეოგრაფია, საცხოვრებელი შენობის ტიპი, გარემოს ფიზიკური მახასიათებლები
ქცევის პირობები	ეკლესია, საფეხბურთო მატჩი, სამზარეულო, საკლასო ოთახი
ორგანიზაციული სტრუქტურა	ორგანიზაციაში პოპულაციის სიმჭიდროვე, ორგანიზაციის ფართობი და ადგილმდებარეობა, იერარქიული სტრუქტურირებულობის ხარისხი, სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეების რაოდენობის თანაფარდობა.
სიტუაციაში მყოფთა მახასიათებლები	გარემოში მყოფი ადამიანების ასაკი, სქესი, შესაძლებლობები, ნიჭი და ა. შ.
ორგანიზაციული კლიმატი	პიროვნებათშორისი ურთიერთობების სოციალური მორალი, ბუნება და ინტენსიურობა
ფუნქციონალური თვისებები	მოცემულ სიტუაციაში კონკრეტული ქცევის თანმდევი განმამტკიცებლები, როგორცაა, მაგალითად, აგრესიული ქცევის თანმხლები განმამტკიცებელი ან სასჯელი.

წყარო: Moos, R. H., 1973.

ბარბარა კრაჰე (Krahe, B., 1992) სიტუაციური მახასიათებლების განსხვავებულ განლაგებას გვთავაზობს — იგი მათ იერარქიაში ათავსებს:

ყველაზე ქვედა დონეზე მის იერარქიაში განლაგებულია სიტუაციური სტიმულები — ცალკეული ობიექტები ან აქტები, რომლებიც სიტუაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და თავიანთი დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ. მაგალითად, სიტუაციაში „სემესტრის ბოლოს გამოცდის ჩაბარება“ სიტუაციური სტიმულები იქნება მაგიდებისა და სკამების გარკვეული განლაგება, საგამოცდო ფურცლები და კალმები, იმავე საგამოცდო ოთახში მყოფი ჯგუფელები და ა. შ.

მეორე დონეზე შეგვიძლია განვიხილოთ სიტუაციური მოვლენები ანუ ეპიზოდები. გამოცდის მაგალითში ეს შეიძლება იყოს „გამოცდის დასაწყისის შესახებ შეტყობინების მოსვლა“ და „გამოცდის დასასრულისკენ ღია კითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა“.

მესამე დონეზე მოვლენები ინტეგრირდებიან და ერთ მთლიან სურათს ანუ ერთიან სიტუაციას ქმნიან. ეს ერთიანი სიტუაცია არის უნიკალური ხდომილება დროის მოცემულ მომენტში და მოცემულ ადგილზე. ეს გამოცდა შეიძლება პირველი გამოცდა იყოს, რომელსაც სტუდენტი უნივერსიტეტში მისვლის შემდეგ აბარებს; ან გამოცდა, რომელიც ფსიქოლოგიის კურსის ბოლოს უნდა ჩააბაროს.

მეოთხე დონეზე სიტუაციები განზოგადებული ტერმინებით განისაზღვრება, როგორცაა, მაგალითად, „ზოგადად გამოცდა“. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი გამოცდა თავისებურად უნიკალური და განუმეორებელია, მათ უმრავლესობას გააჩნია საერთო მახასიათებლები, რომლებიც ამ მოვლენის „გამოცდაობას“ განსაზღვრავენ.

და ბოლოს, მეხუთე და ყველაზე მრავლისმომცველი დონეზე შეგვიძლია ცხოვრებისეულ სიტუაციებზე ვისაუბროთ. კრაჰეს (1992) მიხედვით, ეს არის „სოციალური და ფიზიკური ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ზემოქმედებს პიროვნებაზე და რომელზეც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ამ პიროვნების მოქმედებები განვითარების გარკვეულ ეტაპზე“ (გვ. 196). უნივერსიტეტის გამოცდის ზემოთ განხილულ მაგალითში ასეთი ცხოვრებისეული სიტუაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც „ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტად ყოფნა“ და ეს განსაზღვრება მოიცავს ყველა იმ სპეციფიკურ და კონკრეტულ ვითარებას, რომელიც ცხოვრების ამ ეტაპთან ასოცირდება (McAdams, D. P., 2006).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვინაიდან სიტუაციები გარემოში „სადაც აქვია“, იოლია მათი კლასიფიცირება იმ ობიექტური მახასიათებლების ტერმინებით, რომლებიც გარს გვაკრავს, იქნება ეს ჰაერის ტემპერატურა, ოთახის ზომა თუ მასში მყოფი ადამიანების რაოდენობა. თუმცა, საინტერესოა, რომ როდესაც ფსიქოლოგები ადამიანებს სოციალური სიტუაციების კლასიფიცირებას სთხოვენ, თავიანთი მოლოდინებისგან სრულიად განსხვავებულ პასუხებს იღებენ — ადამიანები, როგორც წესი, საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას გარემოს ასეთ გარეგან ნიშან-თვისებებს. ადამიანები სიტუაციებს *ფსიქოლოგიური*

ტერმინებით უფრო აღიქვამენ, ვიდრე ფიზიკური ტერმინებით (Krahe, B., 1992). სიტუაციები, როგორც ასეთი, ისევე არიან მოცემულნი დამკვირვებელთა გონებაში, როგორც თავად გარეგან/ექსტერნალურ გარემოში. ერთ-ერთი განსაზღვრების (Ball, D. W., 1972) მიხედვით, სიტუაცია შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც აქტორის პოზიციიდან ყველა ცნობილი ინფორმაციის ჯამი, რომელიც იმგვარად შეესატყვისება მის მიერ საკუთარი თავისა და სხვების ლოკალიზაციას, რომ მას თავად შეუძლია მოქმედებისა და ურთიერთქმედების მიმართულების განსაზღვრა.

კონკრეტულ ცალკეულ სიტუაციებს ადამიანები ხშირად მათი ფსიქოლოგიური *შესაძლებლობების* ტერმინებით ახასიათებენ: ქვევისა და გამოცდილების რა შესაძლებლობებს სთავაზობს სიტუაცია მასში მყოფი ადამიანს (Dworkin & Goldfinger, 1985, წყაროში (McAdams, D. P., 2006).

ფორგასი (1978) გამოყოფს ოთხ განზომილებას, რომელზეც ლაგდება 15 განსხვავებული ინტერპერსონალური გარემო. ეს განზომილებებია: იმ შფოთვის ოდენობა, რომელსაც იწვევს სიტუაცია; ის, თუ რამდენად გრძნობს პიროვნება თავს სიტუაციაში ჩართულად; მთლიანობაში სიტუაციის სიკარგე ან სიცუდე და ის, თუ რამდენად გულისხმობს სიტუაცია ამოცანების შესრულებას ან სოციოემოციურ ინტერაქციას.

აღსანიშნავია, რომ სხვა კვლევებით სხვა განზომილებების იდენტიფიცირება შესაძლებელი და ასეც მოხდა. არსებობს განზომილებათა უზომოდ დიდი რაოდენობა, რომლის მიხედვითაც შეიძლება უშუალო სიტუაციების ერთმანეთთან შედარება. ცხადია, არ არსებობს ერთსულოვანი შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რომელი განზომილება ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველხარისხის (McAdams, D. P., 2006).

## სიტუაციაში სუბიექტური-ობიექტურის გამიჯვნის პრობლემა

თუ სიტუაციების საუკეთესოდ განსაზღვრა ამ სიტუაციებიდან ადამიანების მიერ სუბიექტური ფსიქოლოგიური მოლოდინების ტერმინებით არის შესაძლებელი, მაშინ უკიდურესად გართულდება სიტუაციაში „რეალურის“ და პიროვნებაში „რეალურის“ ერთმანეთისგან გამიჯვნა. გარდა ამისა, თუ ინდივიდის აღქმებს მისი პიროვნება აყალიბებს, მაშინ პიროვნების შინაგანი ცვლადების გარეგანი სიტუაციებისგან გამიჯვნაც გაგვიჭირდება, ვინაიდან პიროვნული მახასიათებლები შეიძლება განაპირობებდნენ იმას, თუ როგორ ახდენს მოცემული პიროვნება გარემოს ინტერპრეტაციას (McAdams, D. P., 2006).

ამ იდეის მხარდაჭერის სახით ფორგასმა (1983) აღმოაჩინა, რომ ინტროვერტირებული ადამიანები სიტუაციების შესახებ ინფორმაციის ორგანიზებას უფრო მეტად თვითდარწმუნებულობის განზომილების ტერმინებით ახდენენ, ხოლო ექსტრავერტები, პირიქით, სიტუაციების კატეგორიზაციას იმის მიხედვით ახორციელებენ, თუ რამდენად სასიამოვნო იყო ესა თუ ის სიტუაცია და რამდენად იძლეოდა ის ინტერპერსონალურ ურთიერთობებში ჩართვის შესაძლებლობას. მარტივად რომ ვთქვათ, ინტროვერტები და ექსტრავერტები, ჩვეულებრივ, განსხვავებულ (მათი სუბიექტური აღქმების თვალსაზრისით) სიტუაციებში იმყოფებიან მაშინაც კი, როდესაც გარედან ეს სიტუაციები იდენტურად აღიქმება.

## სიტუაციური პროტოტიპები

განურჩევლად ექსტრავერტობა-ინტროვერტობისა, საშუალო სტატისტიკურ ადამიანს, როგორც ჩანს, „ფართო და მრავალფეროვანი გამოცდილება და ცოდნა აქვს სიტუაციების შესახებ“ (Cantor, N., Mischel, W., Schwartz, J. C., 1982, გვ. 70), რომელიც შეიძლება ჩავიწეროთ და ქვევითი მითითებების ფორმით წარმოვადგინოთ.

სიტუაციების გაგებისადმი ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით (Cantor, N. et. al, 1982), ადამიანებს შეუძლიათ, რეგულარულად შექმნან დახვეწილი პერსონალური ტაქსონომიები, რომლითაც განსაზღვრავენ *სიტუაციურ პროტოტიპებს*. სიტუაციური პროტოტიპი არის სიტუაციათა მოცემული კლასის თვისებათა აბსტრაქტული ერთობლიობა/ნაკრები. ეს არის სამუშაო მოდელი პიროვნებისთვის, რომელიც ატყობინებს მას, თუ რას უნდა ელოდოს კონკრეტული ტიპის სიტუაციებიდან და როგორ უნდა

მოიქცეს, როდესაც ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდება. სიტუაციური პროტოტიპი შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას სიტუაციის ფიზიკური გარემოს, მასში ჩართული ადამიანების ფიზიკური მახასიათებლებისა და ამ ადამიანების მიერ განხორციელებული ტიპური ქცევების შესახებ.

მაგალითად, სიტუაციაში „წვეულება“ შეიძლება მოვიაზროთ დიდი რაოდენობით მახასიათებლები, რომლებიც, ჩვეულებრივ, წვეულებებთან ასოცირდება. პროტოტიპული წვეულება, სავარაუდოდ, იმართება საღამოს, სამუშაო საათების შემდეგ, აერთიანებს ბევრ ადამიანს, რომლებიც გარკვეულ ადგილზე იკრიბებიან არაფორმალურად ჩაცმულნი, სვამენ და ჭამენ, გაცხოველებულად საუბრობენ, იცინიან, უსმენენ მუსიკას და ცეკვავენ. ცხადია, სხვადასხვაგვარი წვეულება არსებობს და ყოველი ცალკეული წვეულება განმსაზღვრელი თვისებების საკუთარი კომბინაციით ხასიათდება. თუმცა, ჩვენი გამოცდილებიდან შეგვიძლია „წვეულების“ ძირეული მახასიათებლების გამოყოფა, რომლებიც წვეულების „საუკეთესო მაგალითს“ ან „იდეალურ წვეულებას“ აღწერენ და ამა თუ იმ სიტუაციას განსაზღვრავენ, როგორც „წვეულებას“. აქედან გამომდინარე, ყოველი წვეულება, რომელზეც მოგვიწევს ყოფნა, შეგვიძლია, ამ იმპლიციტური კატეგორიზაციის მიხედვით შევაფასოთ (McAdams, D. P., 2006).

## მაკროკონტექსტი: სოციალური სტრუქტურა

დედამიწაზე არ არსებობს ადამიანთა იდეალური ეგალიტარული საზოგადოება. ყველა საზოგადოებაში და ადამიანებისგან შემდგარ პრაქტიკულად ყველა ჯგუფში არათანაბრად არის გადანაწილებული ძალაუფლება და რესურსები. ჩვენ ვბჭობთ, თუ რატომ არის ასე და ყოველთვის ასე იყო თუ არა, მაგრამ უდავოა, რომ დღესდღეობით საზოგადოებაში ზოგიერთ ადამიანს, სხვებთან შედარებით, უფრო მეტად მიუწვდება ხელი ყველაზე ღირებულ რესურსებზე. დასავლურ საზოგადოებებში ასეთი რესურსები, პირველ რიგში, ფულსა და განათლებას გულისხმობს და თითოეული მათგანი პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება პრესტიჟს, სტატუსსა და ძალაუფლებას.

რესურსების არათანაბარი განაწილება საფუძვლად უდევს საზოგადოების წევრებს შორის რთულ ურთიერთობებს და პერვერსიულად მოქმედებს იმაზე, თუ როგორ ვითარდებიან ადამიანები დროთა განმავლობაში, რისთვის იბრძვიან და რისკენ ისწრაფვიან, როგორ აღიქვამენ და რას ფიქრობენ საკუთარი თავისა და სამყაროს შესახებ. მაშასადამე, ტერმინი *სოციალური სტრუქტურა* მოიაზრებს საზოგადოებაში არსებულ იმ პირობებს, რომელიც ადამიანებს ძალაუფლებისა და რესურსების თვალსაზრისით მიჯნავს ერთმანეთისგან. სოციალური სტრუქტურა ქმნის ადამიანის ქცევის მაკროკონტექსტს (Pettigrew, T. F., 1997). ამ მაკროკონტექსტის პიროვნებაზე გავლენას ნათლად დავინახავთ, თუ პიროვნებისა და სოციალური კლასის ურთიერთმიმართებას დავაკვირდებით.

სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური სტრატეფიკაციის კვლევების კლასიკურ მიმოხილვაში ინკელესი (1960, წყაროში McAdams, D. P., 2006) აღწერს, რომ მაღალი სოციოეკონომიკური კლასის წარმომადგენლები (ისინი, ვისაც მაღალი ანაზღაურება აქვთ, პროფესიული საქმიანობით არიან დაკავებულნი და უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული) დამოკიდებულებებისა და ქცევების პატერნებით განსხვავდებიან იმ ადამიანებისგან, რომლებიც შედარებით დაბალ სოციალურ კლასს მიეკუთვნებიან. მაგალითად, მან აღმოაჩინა, რომ მაღალი კლასის წარმომადგენელი ინდივიდები სამსახურით კმაყოფილების უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან, ვიდრე შედარებით დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლები. სოციალური კლასი სამსახურისადმი და ადამიანის ბუნებისადმი დამოკიდებულებებსაც<sup>1</sup> უკავშირდება. მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენლები მეტად არიან დაინტერესებულნი, რომ მათი სამსახური უბრალოდ შემოსავლის წყარო კი არ იყოს, არამედ საინტერესო და დაკმაყოფილების მომტანიც. მათ, ასევე, სჯერათ, რომ ადამიანს შეუძლია უკეთესობისკენ შეცვლა. ამის საპირისპიროდ, დაბალი სოციალური

<sup>1</sup> Attitude.

კლასის წარმომადგენლებისთვის, პირველ რიგში, ღირებულია გარანტირებული სამუშაო, უსაფრთხოება სამსახურში და მეტად ფატალისტული და პესიმისტური დამოკიდებულება აქვთ ადამიანის ბუნებისადმი.

ბოლო 35 წლის განმავლობაში განხორციელდა გავლენიანი კვლევების სერია, რომელშიც სოციალური სტრუქტურისა და პიროვნების ურთიერთმიმართებას შეისწავლიდნენ (მაგალითისთვის, იხ. Kohn & Schooler, 1969, 1973; Kohn, Naoi, Schoenbach, Schooler, & Slomczynski, 1990, წყაროში McAdams, D. P., 2006). კონი ამტკიცებს, რომ სოციალური კლასის გავლენა პიროვნებაზე ორ სხვადასხვა ჭრილში შეიძლება დავინახოთ, ესაა სამუშაო ადგილის მოთხოვნები და ოჯახის დინამიკა.

პროფესიონალური, მაღალი კლასის საქმიანობები მნიშვნელოვან კოგნიტურ მოთხოვნებს უყენებენ დასაქმებულებს. მასწავლებლებისგან, ექიმებისგან, იურისტებისგან და სხვა მსგავსი ინტელექტუალური სამუშაოთი დაკავებული სპეციალისტისგან სამსახურში უფრო მეტად მოელიან ინიციატივანობასა და დამოუკიდებელ მსჯელობას, ვიდრე შედარებით დაბალი სტატუსის სამუშაოთი დაკავებული ინდივიდებისგან და მუშებისგან. შესაბამისად, მაღალი სტატუსის მქონე მუშაკებისთვის მეტად მისაღები და დამახასიათებელია თვითწარმართვის, თვითმიმართულობის შედარებით მაღალი დონე. ამის საპირისპიროდ, დაბალი სტატუსის მქონე მუშაკებს მათი სამსახური ნაკლებად აყენებს კოგნიტური გამოწვევების წინაშე და ნაკლებად ეძლევათ ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობები; ასევე, როგორც წესი, ისინი უნდა დაემორჩილონ უფროსების მითითებებსა და ბრძანებებს. აქედან გამომდინარეობს, რომ დაბალი სტატუსის მქონე მუშაკებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სოციალური ღირებულება, როგორცაა ავტორიტეტისადმი დაქვემდებარება (McAdams, D. P., 2006).

საინტერესოა, რომ მაღალი კლასის თვითწარმართულობისა და დაბალი კლასის დაქვემდებარებულობის ტენდენციები მათ ოჯახურ ცხოვრებაზეც ვრცელდება. კონმა (1969, წყაროში McAdams, D. P., 2006) აჩვენა, რომ ამერიკასა და იტალიაში საშუალო კლასის წარმომადგენელი მშობლები უფრო ხშირად აკეთებდნენ აქცენტს მიზანდასახულობასა და თვითწარმართულობაზე, ხოლო დაბალი და მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის ოჯახში პრიორიტეტული ავტორიტეტისადმი მორჩილება იყო. ასევე, შვილები მშობლებში გამოკვეთილი ტენდენციების გამეორებით ხასიათდებიან. კერძოდ, თუ მშობელი შედარებით მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელია, შვილებიც მიდრეკილნი იყვნენ უფრო მაღალი მიზნების დასახვისკენ და უკეთესი სამუშაო მოძიებისკენ.

საინტერესოა, რომ სოციალურ კლასებს შორის განსხვავება სამეტყველო ენაშიც აისახება, ვინაიდან ენა ასახავს იმ კონტექსტს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ. განსხვავებები ვერბალურ ქცევაში ასახავს სამყაროს აღქმის სისტემებს შორის არსებულ განსხვავებებს და, აქედან გამომდინარე, იმ განსხვავებულ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა განვიხილოთ ქცევა, თუ მისი გაგება და ახსნა გვსურს (McAdams, D. P., 2006).

## ბრონფენბრენერის ეკოლოგიური თეორია

ეკოლოგიური მოდელები თეორიისა და კვლევის მზარდ ერთობლიობას წარმოადგენენ, რომელიც იმ პროცესებსა და პირობებზე ფოკუსირდება, რომლებიც ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე განვითარებას წარმართავენ იმ რეალურ გარემოში, სადაც ის არსებობს. ამ მიმართულებით სისტემატური თეორიული მოდელი, ძირითადად, ბრონფენბრენერს ეკუთვნის, თუმცა, აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ მისი შრომები რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სხვადასხვა დისციპლინაში წარმოებული ემპირიული კვლევა-ძიების საფუძველზეა აგებული (Bronfenbrenner, U. , 1994).<sup>2</sup>

<sup>2</sup> ერთ-ერთი ასეთ პირველი კვლევა ბერლინში ჩატარდა 1870 წელს და ბავშვების მიერ ცნებების შემუშავებაზე სამეზობლოს გავლენას შეისწავლიდა (Bronfenbrenner, U. , 1994).



ბრონფენბრენერი

ბრონფენბრენერმა თავისი ეკოლოგიური პარადიგმა პირველად 1970-იან წლებში წარმოადგინა და ეს, ფაქტობრივად, განვითარების ფსიქოლოგების მიერ წარმოებული კვლევის ძალზე ვიწრო თეორიული ჩარჩოს წინააღმდეგ გალაშქრება იყო. 1977 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მან წარმოადგინა კონცეპტუალური და ოპერაციონალური ჩარჩო,<sup>3</sup> რომელიც სასარგებლო ბაზისა და მიმართულებას მისცემდა დარგის განვითარებას. ამავე დროს ბრონფენბრენერმა კიდევ ორი სტატია გამოაქვეყნა (Bronfenbrenner, U. , 1994), რომლებშიც ეკოლოგიური მიდგომის საინტერესო გამოყენება იყო წარმოდგენილი ბავშვისა და ოჯახის პოლიტიკისადმი (1974) და საგანმანათლებლო პრაქტიკისადმი (1976). მისმა მოდელმა საბოლოო სახე 1990-იანი წლების პუბლიკაციებში მიიღო, სადაც თეორიული პარადიგმის

დამუშავების შედეგად მიღებული ზოგადი ეკოლოგიური მოდელია წარმოდგენილი.

## ზოგადი ეკოლოგიური მოდელი

ზოგადი ეკოლოგიური მოდელი ორ ძირითად მოსაზრებაზე აიგება (Bronfenbrenner, U. , 1994). პირველის თანახმად, ცხოვრების განმავლობაში (და განსაკუთრებით ადრეულ ფაზებზე) ადამიანის განვითარება ადამიანის აქტიურ, მზარდ ბიოფსიქოლოგიურ ორგანიზმსა და მის უშუალო გარემოში არსებულ პიროვნებებს, საგნებსა და სიმბოლოებს შორის პროგრესირებადად კომპლექსური რეციპროკული ურთიერთქმედების პროცესების მეშვეობით ხორციელდება. ეს ურთიერთქმედება რომ ეფექტური იყოს, დროის ხანგრძლივ პერიოდში რეგულარულად უნდა ხდებოდეს. უშუალო გარემოში მიმდინარე ურთიერთქმედების ასეთ განგრძობილ ფორმებს ბრონფენბრენერი *პროქსიმალურ პროცესებს* უწოდებს. პროქსიმალური ხანგრძლივი პროცესების კარგი მაგალითებია მშობელი-შვილი ან ბავშვი-ბავშვი წყვილების აქტივობები, ჯგუფური ან განცალკევებული თამაში, კითხვა, ახალი უნარების ათვისება, სწავლა, სპორტული აქტივობები და რთული ამოცანების შესრულება.

მეორე განმსაზღვრელ მოსაზრებაში ამ დინამიკური პროცესის სამი წყაროა აღწერილი და ამტკიცებს, რომ განვითარებაზე მოქმედი პროქსიმალური პროცესების ფორმა, ძალა, შინაარსი და მიმართულება სისტემატურად ვარირებს განვითარების პროცესში მყოფი პიროვნების მახასიათებლების, ამ პროცესების მიმდინარეობის გარემოს (უშუალო და უფრო შორეულის) თავისებურებებისა და განვითარების შედეგების ბუნების მიხედვით (Abdul-Adil, J., Tolan, P. H., & Guerra, N., 2009).

ეს ორი მოსაზრება თეორიულად ურთიერთდამოკიდებულია და ემპირიულ გადამოწმებას<sup>4</sup> ექვემდებარება. კვლევის დიზაინი, რომელიც მათი ერთობლივი გადამოწმების საშუალებას იძლევა, პროცესი-პიროვნებს-კონტექსტის მოდელის სახელით არის ცნობილი.<sup>5</sup>

## გარემო, როგორც განვითარების კონტექსტი: გარემოს ხუთი სისტემა

ეკოლოგიურ მოდელში უადრესად დიფერენცირებულია განვითარებაში მყოფი პიროვნების პოზიციიდან დანახული გარემო (Bronfenbrenner, U. , 1994; Tudge, J., Gray, J.T., & Hogan, D. M., 1996/2010). ეყრდნობა რა ლევინის ფსიქოლოგიური ველის თეორიას (იხ. თავი 14), ბრონფენბრენერი ეკოლოგიურ გარემოს ჩაშენებულ სტრუქტურებად მიიჩნევს, როდესაც ერთი სტრუქტურა მეორეშია ჩაშენებული

<sup>3</sup> რომელსაც ზურგს ხელთ არსებული, შედარებით მცირე რაოდენობის რელევანტური კვლევა უმაგრებდა.

<sup>4</sup> კვლევა (Bronfenbrenner, U. , 1994; Christensen, J., 2010) აჩვენებს, რომ პროქსიმალური პროცესების გავლენა გაცილებით ძლიერია, ვიდრე იმ გარემოს კონტექსტებისა, რომელშიც ისინი ჩნდებიან.


<sup>5</sup> დეტალებისთვის და მაგალითებისთვის იხ. Bronfenbrenner, U. , 1994, გვ. 38-39.

(რუსული „მატრიოშკას“ მსგავსად). ბრონფენბრენერი ხუთ ასეთ გარემოს აღწერს (Santrock, J. W., 2006) ამრიგად, ეკოლოგიური თეორია გარემოს ხუთი სხვადასხვა სისტემისგან შედგება, ახლო პიროვნებათშორისი ურთიერთქმედებებიდან დაწყებული და კულტურის ფართომასშტაბიანი გავლენებით დასრულებული. ეს ხუთი სისტემაა მიკროსისტემა, მეზოსისტემა, ეგზოსისტემა, მაკროსისტემა და ქრონოსისტემა (სურ. N1). ის აღწერას ყველაზე შიდა შრიდან იწყებს და ნელ-ნელა ამოდის ზედაპირზე.

### 1. მიკროსისტემები

მიკროსისტემა არის აქტივობების, სოციალური როლებისა და პიროვნებათშორისი ურთერთობების პატერნი. ეს პატერნი განვითარებაში მყოფ პიროვნებას გამოცდილებაში ეძლევა მოცემულ პირისპირ არსებულ, კონკრეტული ფიზიკური, სოციალური და სიმბოლური მახასიათებლების მქონე, გარემოში, რომელიც უბიძგებს, უფლებას აძლევს ან უკრძალავს მას სტაბილურ და პროგრესულად მზარდი სირთულის ურთიერთობებში ჩართვას ან მოქმედების განხორციელებას უშუალო გარემოში (Abdul-Adil, J., Tolan, P. H., & Guerra, N., 2009). მიკროსისტემა ის გარემოა, რომელშიც ინდივიდი თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს. ეს შეიძლება იყოს სტუდენტის ოჯახი, მეგობრები, უნივერსიტეტი და

სურ. N 1. ბრონფენბრენერის განვითარების ეკოლოგიური თეორია, რომელშიც ხუთი განსხვავებული გარემოს სისტემაა აღწერილი: მიკროსისტემა, მეზოსისტემა, ეგზოსისტემა, მაკროსისტემა და ქრონოსისტემა.



ფოტო აღებულია წყაროდან Santrock, J. W., 2006.

, 1994) დოკუმენტირებული. პროქსიმალური პროცესების ყველაზე რელევანტური კვლევები ოჯახზე ფოკუსირდება და მათი მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი შეეხება განვითარებისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებს, როგორცაა საკლასო ოთახები და სკოლები. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავ გამოწვევის წარმოადგენს სტრუქტურისა და მისი კოლეგების შრომა (იხ. Stevenson, H. W., & Stinger, J. W., 1994).

### 2. მეზოსისტემები

მეზოსისტემა იმ კავშირებსა და პროცესებს მოიცავს, რომელიც განვითარებადი პიროვნების ორ ან მეტ გარემოს შორის არსებობს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ურთიერთობა სახლსა და სკოლას, სკოლასა და სამუშაო ადგილს შორის. სხვა სიტყვებით, მეზოსისტემა მიკროსისტემების სისტემაა. ერთ-ერთი ყველაზე

უზანია. ასეთ მიკროსისტემებში ინდივიდი უშუალოდ ურთიერთქმედებს მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანატოლებთან და სხვებთან. ბრონფენბრენერი თვლის, რომ სტუდენტი გამოცდილების პასიური მიმღები კი არ არის, არამედ ის რეციპროკულად ურთიერთქმედებს სხვებთან და ამით მიკროსისტემის კონსტრუირებაში მონაწილეობს (Santrock, J. W., 2006).

სწორედ მიკროსისტემის უშუალო გარემოში მოქმედებენ პროქსიმალური პროცესები, რომლებიც ქმნიან და ინარჩუნებენ განვითარებას, თუმცა, როგორც ზემოთ მოცემული განმარტება გვიჩვენებს, ის, თუ რამდენად ხელეწიფებთ ამ პროცესებს განვითარების პროცესის ინიცირება, მიკროსისტემის შინაარსსა და სტრუქტურაზეა დამოკიდებული. კონკრეტული ჰიპოთეზები ამ შინაარსისა და სტრუქტურის თაობაზე და, ასევე, მცირე რაოდენობის კვლევებით მოპოვებული მონაცემები ბრონფენბრენერის შრომებშია (1986a, 1986b, 1988, 1989, 1993, წყაროში Bronfenbrenner, U.



მნიშვნელოვან მეზოსისტემას სკოლებსა და ოჯახებს შორის კავშირი წარმოადგენს. ათასი მერვეკლასელის ერთ-ერთ კვლევაში (Epstein, 1983a, 1983b, წყაროში Santrock, J. W., 2006) მოსწავლეების დამოკიდებულებებსა და მიღწევებზე ოჯახსა და სკოლაში მიღებული გამოცდილებების ერთობლივ გავლენას შეისწავლიდნენ. კვლევამ აჩვენა, რომ ის მოსწავლეები, ვისაც კომუნიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა სახლსა თუ სკოლაში, მეტად ინიციატივიანები იყვნენ და უკეთეს ნიშნებსაც იღებდნენ სკოლაში. ამასთან, ოჯახსა და სკოლაში მიმდინარე პროცესების გავლენა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სოციოეკონომიკური სტატუსის ან რასობრივი კუთვნილების (Bronfenbrenner, U. , 1994).

### 3. ეგზოსისტემები

*ეგზოსისტემა* მოიცავს კავშირებს და პროცესებს, რომლებიც ორ ან მეტ გარემოს შორის არსებობს. ამასთან, სულ მცირე, ერთი გარემო არ მოიცავს განვითარებად პიროვნებას, მაგრამ მასში მიმდინარე მოვლენები არაპირდაპირ ზემოქმედებენ პიროვნების უშუალო საცხოვრებელ გარემოში მიმდინარე პროცესებზე. მაგალითად, ბავშვისთვის ეგზოსისტემა შეიძლება იყოს სახლსა და მშობლის სამსახურს შორის ურთიერთობა (Bronfenbrenner, U. , 1994). ასევე, ეგზოსისტემის მაგალითია სკოლებისა და პარკების ზედამხედველობის სამსახურების ურთიერთქმედება. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლების, პარკების, სარეკრეაციო საშუალებებისა და ბიბლიოთეკების ხარისხის განსაზღვრაში და, აქედან გამომდინარე, მიღებული გადაწყვეტილებებით ხელს უწყობენ ან აფერხებენ ბავშვის განვითარებას (Santrock, J. W., 2006).

1980-იან წლების დასაწყისიდან მოყოლებული, კვლევა განსაკუთრებით სამ ეგზოსისტემაზე ფოკუსირდებოდა, რომლებიც გამორჩეულ არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ბავშვისა და მოზარდის განვითარებაზე იმით, რომ ზემოქმედებენ ოჯახზე, სკოლასა და თანატოლების ჯგუფზე. ეს არის მშობლების სამსახური, ოჯახის სოციალური ქსელები და სამეზობლო-თემის კონტექსტები (Bronfenbrenner, U. , 1994).

### 4. მაკროსისტემები

*მაკროსისტემა* მოცემული კულტურის ან სუბკულტურის მიკრო, მეზო და ეგზოსისტემების მახასიათებლების გამაერთიანებელ პატერნს წარმოადგენს, რომელიც ამ უფრო ფართო სისტემაში რეალიზირებულ რწმენების სისტემებს, ცოდნას, მატერიალურ რესურსებს, ადატ-წესებს, ცხოვრების სტილებს, შესაძლებლობის სტრუქტურებს, პოტენციურ რისკებსა და ცხოვრების გზის ვარიანტებს ეფუძნება. მაკროსისტემა ერთგვარი სოციალური გეგმაა კონკრეტული კულტურისთვის ან სუბკულტურისთვის (Bronfenbrenner, U. , 1994). ამრიგად, მაკროსისტემა უფრო ფართო კულტურას მოიცავს. კულტურა ფართო ტერმინია და ბავშვის განვითარებაში ეთნიკური კუთვნილების როლსა და სოციოეკონომიკურ ფაქტორებს აერთიანებს. ეს ყველაზე მრავლისმომცველი კონტექსტია, საზოგადოების ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების ჩათვლით, რომელშიც, მაგალითად, მასწავლებლები და მოსწავლეები ცხოვრობენ (Santrock, J. W., 2006).

მაკროსისტემის დონეზე იმ გაცილებით სპეციფიკური სოციალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც, საბოლოო ჯამში, მაკროსისტემის კონკრეტულ პირობებსა და პროცესებზე ზემოქმედებენ, მაკროსისტემის ასეთი ფორმულირება ისეთი მარტივი იარაღების მიღმა გასვლის აუცილებლობაზე მიგვითითებს, როგორცაა სოციალური კლასი და კულტურა (Bronfenbrenner, U. , 1994).<sup>6</sup>

კვლევები (Cole, 2006; Shweder & others, 2006, წყაროში Santrock, J. W., 2006) აჩვენებს, რომ ზოგიერთ კულტურაში (როგორცაა ისლამურ ქვეყნებში, მაგალითად, ეგვიპტეში ან ირანში), მაგალითად, მეტად

<sup>6</sup> მეტი დეტალებისთვის იხ. Bronfenbrenner, 1986a, 1986b, 1988, 1989, 1993.

ტრადიციული გენდერული როლებია გამოკვეთილი, სხვა კულტურებში (მაგალითად, აშშ-ში) კი შედარებით მრავალფეროვანი გენდერული როლებია მიღებული. ისლამური ქვეყნების უმრავლესობაში განათლების სისტემები მამაკაცის დომინირებას უწყობენ ხელს მაშინ, როდესაც შეერთებული შტატების სკოლებში უფრო და უფრო მეტად მკვიდრდება ქალებისთვის და მამაკაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის ღირებულება.

## 5. ქრონოსისტემები

ბოლო სისტემის პარამეტრები გარემოს მესამე განზომილებამდე აფართოვენ. ადამიანის განვითარების ტრადიციულ კვლევებში დროის მსვლელობა ქრონოლოგიური ასაკის სინონიმად განიცილებოდა. თუმცა, 1970-იანი წლების დასაწყისიდან უფრო და უფრო მეტი მკვლევარი იყენებდა კვლევის ისეთ დიზაინებს, რომელშიც დრო უბრალოდ მზარდი ადამიანის თვისებას კი არ წარმოადგენდა, არამედ ირგვლივ არსებული გარემოს მახასიათებელიც და არამარტო ცხოვრების გზასთან მიმართებაში, არამედ ისტორიული დროის ჭრილშიც (Baltes, P. B., Lindenberger, U., & Staudinger, U. M., 2006).

*ქრონოსისტემა* მოიცავს არამარტო პიროვნების მახასიათებლების დროთა განმავლობაში მიმდინარე ცვლილებებს ან კონსისტენტურობას, არამედ იმ გარემოს მახასიათებლების ცვლილება-უცვლელობასაც, რომელშიც ეს პიროვნება ცხოვრობს (მაგალითად, ცხოვრების წინსვლასთან ერთად იცვლება ოჯახის სტრუქტურა, სოციოეკონომიკური სტატუსი, დასაქმებულობა, საცხოვრებელი ადგილი, ყოველდღიური ცხოვრების ტემპი). ქრონოსისტემის დიზაინის კარგი მაგალითია ელდერის კლასიკური ნაშრომი „დიდი დეპრესიის ბავშვები“ (1974/1999). კვლევა მოიცავდა ოჯახების ორი ჯგუფის შედარებას, რომლებიც იმით განსხვავდებოდნენ (სხვა ყველა თანაბარ პირობაში) ერთმანეთისგან, რომ 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შედეგად სრულიად დაკარგეს ან 35%-ით შეუმცირდათ შემოსავალი თუ არა. განმეორებით<sup>7</sup> კვლევების მონაცემებმა შესაძლებელი გახადა ამ პერიოდის განვითარებაზე გავლენის შეფასება ბავშვობაში, მოზარდობასა და მოზრდილობაში. ასევე, იმ ფაქტმა, რომ ერთ შერჩევაში გაერთიანებული ბავშვები რვა წლით ადრე იყვნენ დაბადებულნი, ვიდრე მეორე შერჩევაში მყოფნი, შესაძლებელი გახადა უმცროსი ასაკის მონაწილეებზე, რომლებიც მოზარდები იყვნენ, როდესაც მათი ოჯახებს ეკონომიკურად გაუჭირდათ, დეპრესიის გავლენის შედარება იმ გავლენასთან, რომელიც დიდმა დეპრესიამ იმ პერიოდში პატარა ბავშვებზე მოახდინა (Bronfenbrenner, U., 1994).

ორი ჯგუფის შედარებამ დრამატული განსხვავებები გამოავლინა. პარადოქსული იყო, რომ კვლევის იმ მონაწილეების შემდგომ განვითარებაზე (განსაკუთრებით საშუალო ფენაზე), რომლებიც დეპრესიის წლებში მოზარდები იყვნენ, ოჯახების ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, დადებითად იმოქმედა. ისინი, არადეპრეზირებულბთან ანუ მათთან შედარებით, ვის ოჯახსაც დეპრესიის დროს არ შეცვლია სოციოეკონომიკური სტატუსი, მეტად გამოთქვამდნენ კარიერული მიზნების მიღწევის სურვილს და უფრო მკაფიოდ ხედავდნენ საკუთარ მიზნებს. შეჭირვებული ოჯახებიდან გამოსული ბიჭები და გოგონები მეტად კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით როგორც საკუთარი, ისე საზოგადოებრივი სტანდარტების მიხედვით. ინტერვიუების ანალიზმა და დაკვირვებებმა ელდერს იმის იდენტიფიცირების საშუალება მისცა, რასაც ის განვითარების ამ ტრანექტორიის შესწავლაში კრიტიკულ ფაქტორს უწოდებდა: ეკონომიკური დაცულობის დაკარგვამ აიძულა ოჯახი, რომ საკუთარი ადამიანური რესურსების მობოლიზება მოეხდინა და ამ საქმეში ტინეიჯერებიც ჩაერთო, რომლებსაც საკუთარ თავზე ახალი როლებისა და პასუხისმგებლობების აღება მოუხდათ სახლში და გარეთ. ამ გამოცდილებამ კი ეფექტურად გაავარჯიშა მათი ინიციატივა, პასუხისმგებლობა და თანამშრომლობის უნარი (Bronfenbrenner, U., 1994; Elder, G. H., Jr., 1974/1999).

<sup>7</sup> ანუ ლონგიტუდური.

## შეჯამება

ბიჰევიორისტები და სოციალური დასწავლის თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმის შესწავლას, თუ რამდენად არის თითოეული ჩვენგანი საკუთარი გარემოს ანარეკლი — რამდენად არის ჩვენი ქცევა და, საერთოდ, მთელი ცხოვრება ჩართული და განსაზღვრული ჩვენს ირგვლივ არსებული სამყაროთი. როგორია ეს გარემო, რომელიც ასეთებად გვაყალიბებს? გარემოს რომელი კონტექსტები ზემოქმედებენ ჩვენს ქცევაზე და ასეთებად გვქმნიან? დღესდღეობით, როდესაც სოციალური მეცნიერების ფარგლებში გარემოს გავლენებზე საუბრობენ, იყენებენ ტერმინს სოციალური ეკოლოგია, რომელშიც ის სხვადასხვაგვარი გარემო მოიაზრება, რომელშიც ადამიანის ქცევა ხორციელდება. სოციალურ ეკოლოგიას მრავალი განსხვავებული კონტექსტი ქმნის, რომელიც ზემოქმედებს ინდივიდის ქცევაზე და აყალიბებს მას. ის მოიცავს როგორც უშუალო და ახლომდებარე კონტექსტებს, როგორცაა კონკრეტული სოციალური სიტუაცია, ისე — უფრო ფართო კონტექსტებსა და სისტემებს. პირველს მიკროკონტექსტს უწოდებენ, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიების ინტერესის საგანს შეადგენს, ხოლო მეორეს — მაკროკონტექსტს, რომელიც ისეთი დაშორებული და ფართო კონტექსტებია, როგორცაა, მაგალითად, სამეზობლო, უბანი, სკოლა, სოციალური კლასი, გენდერი, რასა, კულტურა და, ბოლოს, ის ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ვცხოვრობთ.

სხვადასხვა ავტორი სოციალური სიტუაციების განსხვავებულ კლასიფიკაციას გვთავაზობს. არსებობს მუსის, კრაჰესა და ფორგასის კლასიფიკაციები. სოციალურ სიტუაციაზე საუბრისას აუცილებლობით დგება მასში სუბიექტური-ობიექტურის გამიჯვნის პრობლემა. კენტორის თეორიის მიხედვით, ადამიანები რეგულარულად ქმნიან დახვეწილ პერსონალურ ტაქსონომიებს, რომელსაც სიტუაციურ პროტოტიპებს უწოდებენ. ეს არის სიტუაციათა მოცემული კლასის თვისებების აბსტრაქტული ნაკრები, ერთგვარი სამუშაო მოდელი პიროვნებისთვის, რომელიც ატყობინებს მას, თუ რას უნდა ელოდოს (ან არ ელოდოს) კონკრეტული ტიპის სიტუაციებიდან და როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდება. პროტოტიპული სიტუაცია, შესაძლოა, მოიცავდეს ინფორმაციას სიტუაციის ფიზიკური გარემოს, მასში მონაწილე ადამიანების ფიზიკური მახასიათებლებისა და მათ მიერ განხორციელებული ტიპური ქცევების შესახებ.

სოციალური სტრუქტურა მოიაზრებს საზოგადოებაში არსებულ იმპირობებს, რომელიც ადამიანებს ძალაუფლებისა და რესურსების მიხედვით განასხვავებს ერთმანეთისგან. ის ქმნის ადამიანის ქცევის მაკროკონტექსტს, რომლის პიროვნებაზე გავლენის დასაწახად პიროვნებისა და სოციალური კლასის ურთიერთმიმართებაზე დაკვირვებაც საკმარისია.

ბრონფენბრენერი ადამიანის ქცევის ეკოლოგიური მოდელს გვთავაზობს, რომელიც ორ დაშვებაზე აიგება და ადამიანის განვითარების გარემოს ხუთ სისტემას აღწერს. ეს დაშვებებია: (1) ცხოვრების განმავლობაში (და განსაკუთრებით ადრეულ ფაზებზე) ადამიანის განვითარება ადამიანის აქტიურ, მზარდ ბიოფსიქოლოგიურ ორგანიზმსა და მის უშუალო გარემოში არსებულ პიროვნებებს, საგნებსა და სიმბოლოებს შორის პროგრესირებადად კომპლექსური რეციპროკული ურთიერთქმედების პროცესების მეშვეობით ხორციელდება; (2) განვითარებაზე მოქმედი პროქსიმალური პროცესების ფორმა, ძალა, შინაარსი და მიმართულება სისტემატურად ვარირებს განვითარების პროცესში მყოფი პიროვნების მახასიათებლების, ამ პროცესების მიმდინარეობის გარემოს (უშუალო და უფრო შორეულის) თავისებურებებისა და განვითარების შედეგების ბუნების მიხედვით. ბრონფენბრენერი აღწერს მიკროსისტემას, მეზოსისტემას, ეგზოსისტემას, მაკროსისტემასა და ქრონოსისტემას, როგორც ადამიანის განვითარების უშუალო და მეტ-ნაკლებად დაშორებულ კონტექსტებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედებენ მასზე.

## ნაწილი 3: დისპოზიციური ნიშნები და ქცევის წინასწარმეტყველება

როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს ან უახლოეს მეგობარს რამდენიმე სიტყვით? ალბათ, იმ თვისებების და/ან ქცევის თვისებებების ჩამოთვლას დაიწყებდით, რომელიც ყველაზე თვალსაჩინოდ აღწერს თქვენს ან თქვენი მეგობრის პიროვნებას. ამ ჩამონათვალში შევიდოდა ისეთი ზედსართავის სახელები, როგორცაა, მაგალითად, კომუნიკაბელური, მხიარული, გულღია, ზარმაცი, ერთგული, მშვიდი, ფეთქებადი, მოუთმენელი და ა. შ.

ამ და კიდევ ბევრ ასეთი თვისებას პიროვნების ფსიქოლოგები ნიშნებს უწოდებენ. როდესაც ახალ ადამიანს ხვდებით, მისი პიროვნების შესახებ შთაბეჭდილებას, თავდაპირველად, ალბათ, სწორედ ასეთი რამდენიმე, კარგად გამოკვეთილი და თვალში საცემი ნიშანი გიქმნით. ამ ნიშნების ცოდნა მეტ-ნაკლებად საკმარისი საფუძველია ხოლმე ადამიანებისთვის, რომ სხვა ადამიანების სამომავლო ქცევის შესახებ იმსჯელონ და წინასწარ განსაზღვრონ, სავარაუდოდ, როგორ მოიქცევა ან არ მოიქცევა ესა თუ ის პიროვნება ამა თუ იმ სიტუაციაში.

დისპოზიციური ნიშნების მიმართულება პიროვნების ფსიქოლოგიაში სწორედ ამ საკითხებით არის დაინტერესებული. ნიშნების მიდგომის წარმომადგენლები ცდილობენ, ემპირიული კვლევა-ძიების მეშვეობით, ისეთ კითხვებზე გასცენ პასუხები, როგორცაა: რამდენი და რომელი ნიშნებია აუცილებელი და საკმარისი პიროვნების აღსაწერად? რამდენად მდგრადი ან ცვალებადია ნიშნები სხვადასხვა სიტუაციაში და დროში? შესაძლებელია თუ არა ნიშნების მიხედვით პიროვნების სამომავლო ქცევის წინასწარმეტყველება? რამდენად თანხვედრა ერთმანეთს ადამიანის მიერ საკუთარი თავის და მისი გარშემომყოფების მიერ მოწოდებული შეფასებებები?

ამ ნაწილში განხილული მიდგომები, რომლებიც ხუთ თავშია გაერთიანებული, ამ კითხვებზე პასუხების გაცემის მცდელობას წარმოადგენს. თავდაპირველად ნიშნების მიდგომის ძირითად ცნებებსა და ფორმირების ისტორიას გავეცნობით. შემდეგ გორდონ ოლპორტის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას წარმოგიდგენთ, რომელიც კარდინალურ, ცენტრალურ და მეორად ნიშნებზე საუბრობს და თვლის, რომ პიროვნების აღსაწერად სრულიად საკმარისია ხუთიდან ათამდე ცენტრალური ნიშანი.

მეცხრე თავი აიზენკის სამფაქტორიან თეორიას ეძღვნება, რომელიც ბიოლოგიური ბაზისის მქონე სამ სუპერფაქტორზე — ექსტრავერსია-ინტროვერსიაზე, ნევროტიზმსა და ფსიქოტიზმზე — აგებს პიროვნებას. კეტელი კიდევ უფრო შორს მიდის, უარყოფს რა ოლპორტისეული ათამდე და აიზენკისეულ სამ ნიშანს და თვლის, რომ პიროვნება გაცილებით მეტი ნიშნით უნდა აღიწეროს. ამიტომ ის ჯამში 35 ნიშანზე საუბრობს, თუმცა, 16 მათგანს მიიჩნევს ყველაზე კარგად გამოკვეთილად და ემპირიულად დასაბუთებულად და სწორედ ეს 16 ნიშანი ანუ ფაქტორი შეაქვს თავის ცნობილ 16-ფაქტორიან პიროვნების საკვლევ კითხვარში.

ნიშნების მიდგომის განხილვას დღესდღეობით ყველაზე ინტენსიურად ნაკვლევ და ემპირიულად დასაბუთებული თეორიის განხილვით გავასრულებთ, რომელიც ხუთფაქტორიანი მოდელის ანუ დიდი ხუთეულის სახელით არის ცნობილი.

ყველა ამ მიდგომას, განურჩევლად გამოყოფილი ფაქტორების თუ ნიშნების რაოდენობისა, ერთი რამ აერთიანებთ: ყველა მათგანი (ოლპორტის გარდა) ნიშნების იდენტიფიცირებისთვის ფაქტორულ ანალიზს იყენებს. ამიტომ ამ ნაწილში ფაქტორული ანალიზის, ერთ-ერთი ძირითადი სტატისტიკური მეთოდის, განხილვასაც გთავაზობთ.

## თავი 7

### ნიშნების კონცეფცია: ძირითადი ცნებები და საკითხები

„პიროვნული ნიშნების იდეა ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანების სამეტყველო ენა“  
(Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009)

„ყოველდღიურ ცხოვრებაში არავის, მათ შორის ფსიქოლოგებს, ეპარება ეჭვი, რომ მოზრდილი პიროვნების ქცევას მისთვის დამახასიათებელი დისპოზიციები ანუ ნიშნები უდევს საფუძვლად“ (Allport, G. W., 1937).

### პიროვნების შესწავლის დისპოზიციური მიმართულება

პიროვნებისადმი ნიშნების პოზიციიდან მიდგომა პიროვნების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ საკითხზე ფოკუსირდება (Cloninger, S. C., 2004): როგორ უნდა აღვწეროთ ადამიანები? რა ბაზისური ერთეულებისგან შედგება პიროვნება? პიროვნების ასეთი ბაზისური და ფართო განზომილებების მოძიება მრავალი მკვლევრის მოტივატორი გახდა. არსებობს რამდენიმე წამყვანი თეორია, რომელიც პიროვნებას ნიშნების ტერმინებით აღწერს და ხსნის, კერძოდ, ოლპორტის, აიზენკისა და კეტელის თეორიები. ამასთან, დღესდღეობით განსაკუთრებით პოპულარულია ე. წ. დიდი ხუთეულის მოდელი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი პიროვნების აღწერა ხუთი ბაზისური და მრავლისმომცველი განზომილებით არის შესაძლებელი.

ნიშნების თეორიები (Cloninger, S. C., 2004) პიროვნების ბაზისური განზომილების აღსაწერად იყენებენ თეორიულ კონსტრუქტს, რომელსაც *ნიშნის უწოდებენ* და ხაზს უსვამენ ნიშნების მიხედვით ადამიანთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებებს და პიროვნების შესწავლის მიზნით ამ ნიშნების გაზომვის (უპირატესად, თვითანგარიშის კითხვარებით) მნიშვნელოვნებას.

პიროვნების შესწავლის ნიშნების ანუ დისპოზიციური მიმართულება ორ ზოგად იდეას ეფუძნება (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

1) ადამიანები სხვადასხვა სიტუაციაში რეაგირების წინასწარი მზაობების დიდი ნაკრებით (ანუ პიროვნული ნიშნებით) ხასიათდებიან. ეს ნიშნავს, რომ ისინი, გარკვეულწილად, სტაბილური არიან ქცევების, აზრებისა და ემოციების მხრივ, განურჩევლად დროის, მოვლენებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებისა. ფაქტობრივად, პიროვნების არსს ის მიდრეკილებები განსაზღვრავს, რომლებიც ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოარჩევენ სხვებისგან, მათი კუთვნილებაა და განუყოფელი ნაწილია.

2) არ არსებობს ორი იდენტური, აბსოლუტურად ერთნაირი ადამიანი.

დისპოზიციური მიმართულება პიროვნების ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მიმართულებაა როგორც თეორიული, ისე — კვლევითი თვალსაზრისით (გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ., 2009). როგორც უკვე ვთქვით, მიმართულების ბაზისური დაშვებაა, რომ ადამიანები გარკვეული გზით რეაგირების წინასწარი მზაობებით ხასიათდებიან. სწორედ ამ მზაობებს უწოდებენ *ნიშნებს* (Первин Л., & Джон О., 2002). სხვა სიტყვებით, ადამიანები შეიძლება აღიწერონ იმის ალბათობის ტერმინებით, რომ ისინი გარკვეული სტილით მოიქცევიან, იგრძნობენ და იფიქრებენ; მაგალითად, კეთილგანწყობილნი და

ურთიერთობისთვის ღია იქნებიან, ან ნევროტულად და აფორიაქებულად იგრძნობენ თავს, ანდა, ძირითადად, პროექტის ან იდეის ესთეტიურ მხარეზე იფიქრებენ. ადამიანებს, რომლებსაც სწორედ ასე და ამგვარად მოქცევის გამოკვეთილი ტენდენცია ახასიათებთ, შეგვიძლია ამ ნიშნების მიხედვით მაღალი ქულები მივანიჭოთ, მაგალითად, მაღალი ქულები „ექსტრავერსიის“ ნიშნის მიხედვით, ხოლო ადამიანები, რომელთაც ასეთი ქცევა ნაკლებად ახასიათებთ, შესაბამისად, დაბალ ქულას მიიღებენ ამ ნიშნების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა ავტორი ადამიანის პიროვნების განმსაზღვრელი ნიშნების გამოვლენის სხვადასხვა მეთოდს ანიჭებს უპირატესობას, ყველა თანხმდება, რომ ნიშნები პიროვნების ფუნდამენტური საშენი ერთეულებია. გარდა ამისა, ისინი თანხმდებიან, რომ შესაძლებელია ადამიანის ქცევისა და პიროვნების იერარქიულად ორგანიზება (Первин Л., & Джон О., 2002).

## ნიშნების კონცეფციები

ყოველდღიურ მეტყველებაში ნიშნის გაგება და კონცეფცია რადიკალურად განსხვავდება ნიშნის იმ განსაზღვრებებისგან და კონცეფციებისგან, რომლებსაც მეცნიერულ ფსიქოლოგიაში იყენებენ თეორეტიკოსები და მკვლევრები.

### ნიშნების კონცეფცია ყოველდღიურ ცხოვრებაში

პიროვნების ნიშნის ცნება ისეთივე ძველია, როგორც ადამიანთა სამეტყველო ენა (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). ჯერ კიდევ ჩვ. წ.-ად.-მდე მეოთხე საუკუნეში წერდა არისტოტელე (384-322 წ. ჩვ. წ.-ად.-მდე) თავის „ეთიკაში“ ისეთი დისპოზიციების შესახებ, როგორცაა პატივმოყვარეობა, თავმდაბლობა და მხდალობა და მათ მორალური და ამორალური ქცევის ძირითად დეტერმინანტებად მიიჩნევდა. იგი ამ დისპოზიციების მიხედვით ინდივიდუალურ განსხვავებებზეც საუბრობდა და ხშირად მიუთითებდა თითოეული მათგანის მოჭარბებულ, ნაკლებ ან ზომიერ ოდენობაზე. მისმა მოსწავლემ თეოფრასტემ (371-287 წ. ჩვ. წ.-ად.-მდე) დაწერა წიგნი, რომელშიც პიროვნების 30 „ხასიათს“ ანუ ტიპს აღწერს. ბერძნული ტექსტის მთარგმნელი აღნიშნავს, რომ თეოფრასტეს მიერ გამოყენებული სიტყვის საუკეთესო თარგმანია სიტყვა „ნიშანი“ (Diggle, J., 2004). ამ ნაშრომის ძირითადი იდეაა, რომ შესაძლებელია ინდივიდის ხასიათის ცალკეული კარგი თუ ცუდი ნიშნების იზოლირება და ცალკე შესწავლა.

თანამედროვე სამეტყველო ენაში უხვად მოიპოვება პიროვნების თვისებების აღმწერი ზედსართავი სახელები. მაგალითად, ცხრილში 1 მოკლედ არის შეჯამებული ინგლისურენოვანი სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (Anderson, 1968, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009), რომელიც აჩვენებს, რომ კვლევის მონაწილეები პიროვნების აღმწერი 555 ტერმინიდან ყველაზე ხშირად და ეფექტურად ცხრილში წარმოდენილ ხუთ სიტყვას იყენებენ.<sup>1</sup>

პიროვნების ნიშნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული კონცეფციები ორ დაშვებას აკეთებენ (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009):

პირველი, ნიშნები დროში სტაბილურია. ადამიანთა უმრავლესობა უშვებს, რომ ინდივიდის ქცევა, გარკვეულწილად, ბუნებრივად ვარირებს ერთი შემთხვევიდან მეორეში, მაგრამ ინარჩუნებს გარკვეულ ღერძულ თანმიმდევრულობას, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის „ჭეშმარიტ ბუნებას“, როგორც, მაგალითად, ზებრის გარეგნობის არსის უცვლელი განმსაზღვრელია თეთრი და შავი ზოლები. სხვა სიტყვებით, ინდივიდები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ეს განსხვავებები თვალნათლივ ჩანს სხვადასხვაგვარ სიტუაციებში. დროში სტაბილურობა განასხვავებს ნიშნებს პიროვნების ისეთი შედარებით წარმავალი მახასიათებლებისგან, როგორცაა დროებითი გუნება-განწყობილება.

<sup>1</sup> ცხრილში ჩამონათვალში სიტყვების თანმიმდევრობა პირობითია.

ცხრილი 1. სასურველი, ნეიტრალური და არასასურველი ნიშნების მოწონების რეიტინგი.

სასურველი ნიშნები		ნეიტრალური ნიშნები		არასასურველი ნიშნები	
ნიშანი	რეიტინგი	ნიშანი	რეიტინგი	ნიშანი	რეიტინგი
გულწრფელი	5.73	წყნარი	3.11	არაგულწრფელი	0.41
პატიოსანი	5.55	იმპულსური	3.07	სასტიკი	0.40
გამგები	5.49	ცვალებადი	2.97	ანგარებიანი	0.37
ლოალური	5.47	კონსერვატიული	2.95	ყალბი	0.27
მართალი	5.45	მერყევი	2.90	მატყუარა	0.26

შენიშვნა: თითოეული სიტყვა ვასდებოდა 0-6 სკალაზე 100 ამერიკელი სტუდენტის მიერ.  
წყარო: Anderson, 1968.

მეორე, ზოგადად, ადამიანებს სჯერათ, რომ ნიშნები უშუალოდ ზემოქმედებენ ქცევაზე. თუ პიროვნება სპონტანურად იწყებს სიმღერას, ეს ქცევა, შესაძლოა, იმით

„ავსნათ“, რომ ის ბედნიერების დისპოზიციით ხასიათდება. ცხადია, ასეთ გულუბრყვილო ახსნებს არ გააჩნიათ მყარი საფუძველი. არისტოტელე უფრო დახვეწილ, რეციპროკული მიზეზობრიობის ჰიპოთეზას ვითავაზობს: დისპოზიციები მოქმედებების მეშვეობით ვითარდებიან, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მოქმედებებზე (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### ნიშნების მეცნიერული თეორია

ნიშნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პიროვნების შინაგანი თვისებების გამოიყვანა თვალსაჩინო ქცევებისგან და მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების შესწავლა (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). ამ დროს მნიშვნელოვანია ნიშნების საფუძვლადმდებარე ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური საფუძვლების იდენტიფიცირება, რომლებიც ქცევაზე რეალურ/ჭეშმარიტ კაუზალურ<sup>2</sup> გავლენას ახდენენ.

### ნიშნების მეცნიერული თეორიის შექმნის ეტაპები

ნიშნების მეცნიერული თეორიის შესაქმნელად აუცილებელია მინიმუმ სამი ეტაპის გავლა.

პირველი ეტაპია ნიშნების გაზომვა და კლასიფიკაცია (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). პიროვნების გაზომვის უმარტივესი გზაა, რომ პიროვნებას უბრალოდ ვთხოვთ, გააკეთოს გარკვეული ნიშნების რაჩეირება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ნიშანი მას. ასევე, შეგვიძლია დავვავთ კითხვები იმ ქცევების შესახებ, რომლებიც, ჩვენი აზრით, უკავშირდება პიროვნებას. მაგალითად, ისეთი ნიშნის საზომები, როგორცაა ექსტრავერსია-ინტროვერსია, როგორც წესი, მოიცავს კითხვებს იმის შესახებ, ინდივიდი სიამოვნებით დადის თუ არა წვეულებებზე, ხვდება სხვა ადამიანებს და ერთვება სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში. გარდა ამისა, შეგვიძლია გავესაუბროთ ადამიანს, რომელიც კარგად იცნობს რესპონდენტს და ვთხოვთ ნიშნების რეიტინგის გაკეთება. ეს შეიძლება იყოს მისი მეუღლე ან ახლო მეგობარი. საინტერესოა, რომ არ არის აუცილებელი ნიშნების მხოლოდ ვერბალური ანგარიშის მეშვეობით გაზომვა: შესაძლებელია რეალურ სამყაროში და ლაბორატორიაში განხორციელებული ქმედებების შეფასებაც (Cattel, 1973, წყაროში Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). მაგალითად, მოსალოდნელია, რომ ექსტრავერტი ადამიანი მრავალი კლუბისა და საზოგადოების წევრი იქნება. ამასთან, შესაძლებელია ექსპერიმენტული სიტუაციების მოდელირება, ვთქვათ, ექსტრავერტისთვის ტიპური ქცევების გამოსაწვევად, როგორცაა, მაგალითად, ხუმრობაზე გაცინებების რაოდენობა და პასუხის გაცემის სურვილის ინტენსივობა. თუმცა, ფაქტობრივად, პიროვნების ობიექტურ ქცევით ტესტებზე დაყრდნობით განხორციელებული გაზომვა მხოლოდ შეზღუდული წარმატებით გამოირჩევა და მათი მხოლოდ მცირე ნაწილია ვალიდიზებული (მაგალითისთვის, იხ. Kline, 1993). პიროვნების მკვლევრები ვერბალურ ანგარიშებს ანიჭებენ უპირატესობას.

გარდა ამისა, ვინაიდან პიროვნების აღსაწერად უამრავი სიტყვა გამოიყენება და მათ შორის ბევრი სინონიმია, ასეთი შემთხვევების გაერთიანებისა და უფრო ზოგადი კატეგორიების შექმნის საჭიროება

<sup>2</sup> მიზეზ-შედეგობრივ.

ჩნდება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი საკითხი: რამდენი ასეთი ფართო განზომილება თუ ჯგუფია საკმარისი ნებისმიერი ცალკეული პიროვნების ძირითადი ელემენტების აღსაწერად? ნიშნების თეორიაში მომუშავე მკვლევრების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას სწორედ პიროვნების ფუნდამენტური განზომილებების საკლასიფიკაციო სისტემების შექმნა წარმოადგენს. ასეთი განზომილებების რიცხვი სამიდან ოცდაათამდე მერყეობს (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

მეორე ეტაპია იმის შემოწმება, თუ რამდენად შეესატყვისება და უკავშირდება ესა თუ ის ნიშანი ამა თუ იმ ქცევას, ვინაიდან არ გვაქვს ადამიანების თვითანგარიშების სიზუსტის გარანტია. ცხრილში 2 მოკლედ არის შეჯამებული ზოგიერთი კვლევის შედეგი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად შეესატყვისება ერთმანეთს პიროვნების ნიშნები და ობიექტურად შეფასებული ქცევები. ეს არის ემპირიულად მიღებული კორელაციები და თითოეულ შემთხვევაში მონაცემები გვიჩვენებენ, რომ პიროვნების თვითანგარიშის კითხვარის პასუხები ნაწილობრივ მაინც არის სწორი. ნიშნები პრაქტიკული საქმიანობისთვისაც შეიძლება გამოგვადგეს, მაგალითად, პიროვნების სამსახურებრივ საქმიანობაში, ან თერაპიაზე პაციენტის მდგომარეობის პროგრესის პროგნოზირებისთვის. ნიშნისა და ქცევის ურთიერთშესატყვისობის საკითხს უკავშირდება სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის კონსისტენტურობის (შეთანხმებულობის, ერთგვაროვნების) საკითხი. ნიშნების მიდგომის იმპლიციტური დაშვებაა, რომ ადამიანები, ფაქტობრივად, მიდრეკილნი არიან, რომ სხვადასხვა გარემოში კონსისტენტურად (შეთანხმებულად, ერთგვაროვად) იქცევიან.

**ცხრილი 2. ექსპერიმენტული კვლევა: ნიშნებსა და ობიექტურ ქცევით საზომებს შორის კორელაცია.**

კვლევა	ნიშანი	ქცევის საზომი
Carment, Miles and Cervin (1965)	ექსტრავერსია	ლაპარაკში გატარებული მეტი დრო
Edman, Schalling and Levander (1983)	იმპულსურობა	რეაქციის ნაკლები დრო, უფრო სწრაფად რეაგირებს
Dejulio and Duffy (1977)	ნევროტიზმი	ექსპერიმენტატორისგან უფრო დაშორებული პოზიციის არჩევა
Ganzer (1968)	გამოცდებთან დაკავშირებული შფოთვა	ტესტირებისას უფრო მეტ ხანს იყურება აქეთ-იქით
Newman, Patterson and Kosson (1987)	ფსიქოპათია	როდესაც მუდმივად აგებს, მაინც დაჟინებით აგრძელებს თამაშს
Mehl, Gosling and Pennebaker (2006)	ექსტრავერსია თანხმობისადმი მზაობა პატიოსნება	მეტ დროს ატარებს საუბარში ნაკლებად იყენებს უცენზურო სიტყვებს ნაკლებ დროს ატარებს სახლში და მეტად არის საკლასო ოთახში
Rhodes and Smith (2006)	ექსტრავერსია და პატიოსნება	მეტი ფიზიკური აქტივობა

წყარო: Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009

ექსტრავერსია შეიძლება ცენტრალური ნერვული სისტემის ისეთ მარტივ თვისებებს უკავშირდებოდეს, როგორცაა ცალკეული ნეირონების აგზნებადობა; ეს, ასევე, შეიძლება იყოს ინფორმაციის გადამუშავების სტილი, ან შეძენილი სოციალური ცოდნა და რწმენები. ჩვენ მხოლოდ ამ ფართო შესაძლებლობების ერთმანეთისგან განსხვავება შეგვიძლია. ამისათვის კონკრეტული ჰიპოთეზების ფორმირების შრომატევადი მეცნიერული მეთოდები უნდა გამოვიყენოთ და გულდასმით შევადაროთ ექსპერიმენტირებითა და დაკვირვებით მიღებულ მტკიცებულებებს (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

მესამე და ბოლო ეტაპია პიროვნების ნიშნების შესახებ დამაკმაყოფილებელი თეორიის ფორმირება. შესაძლოა, მოვახერხოთ ადამიანების ექსტრავერსიისა და სხვა ნიშნების გამოკვეთილობის დონის შეფასება და ვაჩვენოთ, რომ ამ შეფასებებით შესაძლებელია ქცევის გარკვეული ასპექტების პროგნოზირება, მაგრამ ეს დაკვირვებები თავისთავად არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რატომ წინასწარმეტყველებენ პიროვნების განზომილებები ქცევას. ერთ-ერთი სირთულე ისაა, რომ პიროვნების კონტურების მოხაზვა ფსიქოლოგიური აღწერის სხვადასხვა დონეზეა შესაძლებელია. მაგალითად,



## ნიშნების თეორიის დაშვებები და კონცეპტუალური პრობლემები

არსებობს რიგი კონცეპტუალური პრობლემებისა, რომლებიც უნდა დაიძლიოს ნიშნების თეორიაში. პირველ რიგში, დგება საკითხი: საერთოდ შესაძლებელია კი ნიშნების ზოგადი მეცნიერული თეორიის შექმნა? პიროვნებისადმი იდეოგრაფიული მიდგომა გულისხმობს, რომ პიროვნების ყველა ასპექტი ფუნდამენტურად უნიკალურია და თითოეული პიროვნების იდიოსინკრაზული (Lindzey, G., & Runyan, W. M., 2007); ასე რომ, შეუძლებელია განზოგადებული თეორიული დებულებების ჩამოყალიბება.

ამ პრობლემის დაძლევა ნიშნებთან მიმართებით არც ისე რთულია; მხოლოდ თეორიული პარადიგმის შეცვლაა საჭირო: იდეოგრაფიული მიდგომის უარყოფა და ნომოტეტური პოზიციის დაკავება, რომლის ფარგლებში, ნორმალური მეცნიერული მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია სტაბილური ინდივიდუალური განსხვავებების შესახებ ზოგადი ჰიპოთეზების ფორმირება. ცხადია, არავის აქვს მოლოდინი, რომ ასეთი ჰიპოთეზები ადამიანის ყველა ქცევის ან მისი უდიდესი ნაწილის პროგნოზირების საშუალებას მოგვცემს და, ასევე, ინდივიდის უნიკალურობაც დაცული იქნება (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

ნიშნის ტრადიციული თეორია ორ ძირითად დაშვებას ემყარება; ესაა მიზეზ-შედეგობრიობის პრიორიტეტულობა და შინაგანი ლოკუსი. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

### მიზეზ-შედეგობრიობის პრიორიტეტულობა

არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია ნიშნების მიზეზობრივი სტატუსის თაობაზე. დავუშვათ, მოცემულ პიროვნებას მაღალი მაჩვენებელი აქვს ნეიროტიციზმის სკალაზე და მსუბუქი დეპრესიის კლინიკურ სიმპტომებსაც ავლენს. რას ვიტყვი: ნეიროტიციზმმა გამოიწვია დეპრესია, დეპრესიამ განაპირობა ნეიროტიციზმის განვითარება, თუ ორივეზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებს რაღაც სხვა, მესამე მიზეზობრივი ფაქტორი, როგორცაა, მაგალითად, სტრესული ცხოვრებისეული მოვლენა? ნიშნების თეორეტიკოსთა ტრადიციული დაშვება ნიშნების მიზეზ-შედეგობრივი მიმართების პრიორიტეტულობას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც არისტოტელე ვარაუდობდა, არსებობს რეციპროკული მიზეზობრივი გავლენა ქცევებსა და ნიშნებს შორის, ხშირად ფიქრობენ, რომ მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დომინანტური მიმართულება ნიშნიდან ქცევისკენაა; სხვა სიტყვებით, ნიშანი უფრო შეიძლება იყოს ქცევის მიზეზი, ვიდრე პირიქით. მაგალითად, ბროდი (1994, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) თვლის, რომ პიროვნების ნიშნები კაუზალურია. ისინი გენოტიპურად ზემოქმედებენ პიროვნების ფარულ (ლატენტურ) მახასიათებლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორი რეაქციები ექნება მას იმ სოციალურ სამყაროზე, რომელთანაც მოუწევს შეხვედრა. ნიშნების ისეთი საზომი, როგორც კითხვარში მიღებული ქულაა, თავად არ არის მიზეზობრივი აგენტი, მაგრამ ის სანდოდ მიგვითითებს საფუძვლადმდებარე ფიზიოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ სტრუქტურებზე, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ქცევაზე. ნიშნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პიონერი გორდონ ოპლორტი (1937) ნიშანს ორგანიზებულ მენტალურ სტრუქტურად მიიჩნევდა, რომელიც პიროვნებიდან პიროვნებამდე იცვლებოდა და ქცევის ინიციატორი და წარმმართველი იყო.

ამ ზოგადი პრინციპის ორი მნიშვნელოვანი შეფასება არსებობს: (1) როგორც ჰეტემა და დეარი (1993, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) მიუთითებენ, ქცევის ახსნა ანალიზის სხვადასხვა დონეს საჭიროებს, მათ შორის გენეტიკას, ფიზიოლოგიას, დასწავლასა და სოციალურ ფაქტორებს. ოპლორტის მოსაზრება, რომ ნიშნების ყველა მრავალფეროვანი მანიფესტაცია „მენტალური სტრუქტურის“ ერთი დონით შეიძლება აიხსნას, ძალიან მარტივია. აქედან გამომდინარე, ნიშნის მოქმედების მიზეზ-შედეგობრივი დონეები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ანალიზის რომელ დონეზე ხორციელდება კვლევა, თუმცა, კვლევის საბოლოო მიზანი ნიშნის ისეთი თეორიის შექმნაა, რომელიც სხვადასხვა დონის ურთიერთმიმართებასაც მოიცავს. (2) ქცევაზე ნიშნების კაუზალური გავლენა შეიძლება არაპირდაპირი ანუ გაშუალებული იყოს. ცნობილია, რომ ნიშნები ურთიერთქმედებენ სიტუაციურ ფაქტორებთან და შედეგად წარმოიქმნება წარმავალი/დროებითი შინაგანი მდგომარეობები, რომლებიც ზოგჯერ ნიშნებზე

მეტად უშუალოდ, პირდაპირ ზემოქმედებენ ქცევაზე. მაგალითად, შფოთვა, როგორც პიროვნული ნიშანი, შეიძლება ურთიერთქმედებდეს საფრთხის შემცველ აწმყო სიტუაციასთან და სიტუაციური შფოთვის დროებით მდგომარეობას ქმნიდეს, რომელიც, თავის მხრივ, აზროვნებს ინფორმაციის გადამუშავების პროცესს და აუარესებს განსახორციელებელ მოქმედებას (Spielberger, 1966, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### **შინაგანი ლოკუსი**

ნიშნების თეორიის მეორე ტრადიციული დაშვება ნიშნების შინაგან ლოკუსს შეეხება. დაშვებულია, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი ნიშნები, როგორცაა ექსტრავერსია და ნეიროტიციზმი<sup>3</sup>, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება პიროვნების ფუნდამენტურ თვისებას, რომელზეც, შესაძლოა, არსებითად ზემოქმედებდნენ გენეტიკური ფაქტორები (McCrae, R. R., Costa, P. T., Ostendorf, F. et al., 2000). იმ თეორიებმაც კი შეიტანეს გარკვეული ცვლილებები ნიშნების შესახებ ბაზისურ წარმოდგენებში, რომლებიც ნიშნებისადმი ტრადიციული მიდგომისადმი სიმპათიით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, კეტელი და კლანი (1977) განასხვავებენ „ზედაპირულ“ ნიშნებს, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული თვალსაჩინო, ღია რეაქციების ერთობლიობებია და „პირველად“ (სიდრმისეულ) ნიშნებს, რომლებიც პიროვნების უფრო ღრმა თვისებებს წარმოადგენენ და ქცევაზე მიზეზობრივად მოქმედებენ. ტრადიციული თეორიის თანამედროვე კვლევების მიზანია ქცევის თანმიმდევრულობის/შეთანხმებულობის საფუძვლადმდებარე წყაროების/მიზეზების იდენტიფიცირება და ახსნა, განურჩევლად იმისა, ამ მიზეზებს გენეტიკური ბუნება ექნებათ, ფიზიოლოგიური თუ კოგნიტური (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### **მიზეზ-შედეგობრიობის პრიორიტეტულობისა და შინაგანი ლოკუსის ალტერნატივები**

ნიშნების ტრადიციული თეორიის ორივე დაშვება — მიზეზ-შედეგობრიობის პრიორიტეტულობა და შინაგანი ლოკუსი — რადიკალურად დადგა ეჭვქვეშ. მიზეზ-შედეგობრიობის პრიორიტეტულობის ალტერნატივას წარმოადგენს მოსაზრება, რომ ნიშნები მხოლოდ კონსტრუქტებია, ყოველგვარი დამოუკიდებელი კაუზალური სტატუსის გარეშე. მაგალითად, ბასი და კრაიცი (1983, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) ამტკიცებენ, რომ ნიშნები უბრალოდ აქტების ბუნებრივი კატეგორიების აღწერებს წარმოადგენენ. ვრაიტი და მიშელი (1987) ნიშნებს ახასიათებენ, როგორც სიტუაცია-ქცევის თანხვედრით განპირობებულ დებულებებს. გარდა ამისა, სიტუაციის სოციალური დინამიკის მიხედვით (Hampson, S. E., 1988), ნიშნებს შეიძლება ერთობლივად ქმნიდეს რამდენიმე ადამიანი სოციალური ურთიერთქმედების პროცესში.

ნიშნებისადმი სოციალური ფსიქოლოგიის მიდგომები შინაგანი ლოკუსის დაშვებასაც უგულვებელყოფენ. მაშინაც კი, თუ ნიშნები რეალურ ფსიქოლოგიურ სტრუქტურებს წარმოადგენენ, ეს სტრუქტურები შეიძლება მეტი არაფერი იყოს, თუ არა ზედაპირული ნიღაბი, რომელსაც პიროვნება წარუდგენს გარე სამყაროს, რათა სხვების თვალში საკუთარი თავის სოციალურად სასურველი ხატი შექმნას.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ცხადი ხდება, რომ არ არსებობს ნიშნების ერთი და ყველასთვის მისაღები განსაზღვრება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ნიშნის აღწერა არ უნდა მივიღოთ, როგორც თავისთავად არსებული ღირებულება. ასევე, არსებობს თვითანგარიშისა და ქცევების ურთიერთშეთანხმებულობის თვისობრივად განსხვავებული ახსნები (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

<sup>3</sup> უარყოფითი ემოციების განცდის ზოგადი ტენდენცია.

## ნიშნების მოკლე ისტორია

ნიშნების მეცნიერული შესწავლა პიროვნების შესახებ სადი აზრის დისკურსის ორი ასპექტის დამუშავებას მოიაზრებს (Wright, J. C. and Mischel, W., 1987). პირველ რიგში, ის ახდენს ბუნებრივი სამეტყველო ენის ტენდენციის — ინდივიდები ნიშნების აღმნიშვნელი დესკრიპტორებით აღწეროს — ფორმალიზებას. მეორე, ის ახდენს პოპულარული მოსაზრების ფორმალიზებას, რომ არსებობს პიროვნების ისეთი ზოგადი მახასიათებლები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მსგავსი დისპოზიციის მქონე ადამიანების დაჯგუფება. ამ ტენდენციას ხალხურ ფსიქოლოგიაშიც შეგვიძლია გავადევნოთ თვალი.<sup>4</sup>

ნიშნები ხალხური ფსიქოლოგიიდან, მედიცინიდან და სამეტყველო ენიდან წარმოიქმნებიან. ნიშნების ისტორია სხვადასხვაგვარად შეიძლება გადმოვცეთ: თვალი გავადევნოთ ექსტრავერსიისა და ინტროვერსიის ურთიერთდაპირისპირებასა და შედარებას სხვადასხვა ეპოქაში (Eysenck, 1981, წყაროში Wright, J. C. and Mischel, W., 1987), ან ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ განვითარდა და ჩამოყალიბდა პიროვნების დღესდღეობით დომინანტური (Goldberg, L. R., 1993) ხუთფაქტორიანი მოდელი.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ნიშნების განვითარების ისტორიის სამ ძირითად ასპექტს: კლასიკური აზროვნების გავლენას, ადრეულ მეცნიერულ ნაშრომებსა და პიროვნების თანამედროვე მოდელების ფორმირებას.

### კლასიკური აზროვნების გავლენა: ჰუმორული<sup>5</sup> თეორია

თანამედროვე ნიშნების თეორიის ანტიკური წანამდღვრებიდან უკვე ვახსენეთ არისტოტელესა და თეოფრასტეს ნაშრომები და ვთქვით, რომ ჩვ.წ.-ად.-მდე IV საუკუნეში თეოფრასტემ დასავლეთ ცივილიზაციაში ნიშნების ერთ-ერთი პირველი ტაქსონომია ჩამოაყალიბა. მან შექმნა ხასიათების ნახევრად იუმორისტული სკეტჩების სერია. თითოეულ მათგანში სხვადასხვა ტიპის ადამიანი იყო აღწერილი, რომელსაც ანტიკური ათენის სოციალურ ცხოვრებაში ყოველდღე შეხვდებოდით. თითოეულ სკეტჩში ნიშნის პერსონიფიკაცია (Anderson, 1970, წყაროში McAdams, D. P., 2006) მოცემული და ცნობად, თუმცა გაზვიადებულ, კარიკატურას წარმოადგენს. ყოველი სკეტჩის გმირს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნიშანი ახასიათებს მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც პრაქტიკულად ყველა მის მოქმედებაზე ახდენს გავლენას.<sup>6</sup>

პიროვნული ნიშნების ყველაზე ცნობილი ანტიკური სისტემა ჰიპოკრატესა (460-377 ჩვ.წ.-დ.-მდე) და ბერძენ ექიმს გალენს (ჩვ.წ.-ად.-ით 130-200) ეკუთვნით. ფიზიკური დაავადებების ეტიოლოგიის ჰიპოკრატესეული კონცეფცია ჰუმორულ თეორიას — მომღვრებას სხეულებრივი სითხეების შესახებ — ეფუძნებოდა. ჰიპოკრატე სხეულებრივ სითხეებში სისხლს, ფლეგმას, შავ და ყვითელ ნაღველს მოიაზრებდა. გალენმა განავითარა ეს მოსაზრება. სწორედ მის ნაშრომებშია გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ოთხი სითხე ადამიანის ტემპერამენტს უდევს საფუძვლად. გალენის მიერ შემოტანილი ტემპერამენტის ტიპების აღმნიშვნელი ტერმინები — მელაქოლიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი და სანგვინიკი — თანამედროვე მეტყველებაშიც გამოიყენება (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

<sup>4</sup> იქნება ეს ასტროლოგია, რომელიც ზოდიაქოს ნიშნებით ცდილობს ადამიანების აღწერას, თუ ჩინური კალენდარი, რომელშიც ყოველ წელიწადს რომელიმე ცხოველი შეესატყვისება და იმ წელიწადს დაბადებული ადამიანები საერთო მახასიათებლებით გამოირჩევიან.

<sup>5</sup> Humour – ქსოვილის, სხეულის სითხე.

<sup>6</sup> მის მიერ აღწერილი მუნწი ადამიანის შესახებ სკეტში შეგიძლიათ ნახოთ წყაროში McAdams, 2006, გვ. 118.

სურ. N 1. XIV საუკუნის ხელნაწერიდან აღებული სურათი, რომელიც პიროვნების გალენისეული ოთხი ტემპერამენტის ილუსტრაციაა. საათის ისრის მიმართულებით ზედა მარცხენა კუთხიდან, ფლეგმატიკი, სანგვინიკი, მელანქოლიკი და ქოლერიკი. (Courtesy of Historical Collections & Services, Claude Moore Health Sciences Library, University of Virginia, USA).



სისხლი სანგვინიკურ პიროვნებასთან ასოცირდებოდა. პიროვნება, რომელშიც სისხლი ჭარბობდა, საკუთარ თავში დარწმუნებული და ძლიერი, მყარი, მტკიცე ტემპერამენტის მქონე ადამიანი იყო. *შავი ნაღველი* მელანქოლიურ ტიპთან ასოცირდებოდა. სისტემაში ძალიან დიდი რაოდენობით შავი ნაღველის არსებობა დეპრესიულ, მშფოთვარე, პესიმისტურ და მოსაწყენ პიროვნებას ქმნის. *ყვითელი ნაღველი* ქოლერიკულ პიროვნებას შეესატყვისება, რომელიც მოუსვენარია, გაღიზიანებულია და ბრაზის ამოხეთქვას ცდილობს. *ფლეგმატური* პიროვნება, რომელიც იმდენად უბედურია, რომ მის ორგანიზმში ამდენი ფლეგმაა დაგროვილი, ინდიფერენტული, გარიყული, აპათიური, ცივი, ზანტი და „უმარილოა“ (სურ. N1). მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, სანგვინიკური ტემპერამენტი ანუ ნიშანი საუკეთესოა, გალენი ამტკიცებს, რომ დაბალანსებული იდეალური ტემპერამენტი ოთხი სითხის ჰარმონიული ნაზავის შედეგს წარმოადგენს. ნიშნების ოპტიმალური ნაზავი ბადებს პიროვნებას, რომელიც „თავისი სულით... სიმამაცესა და თავმდაბლობას, გულგრილობასა და თავხედობას, თანაგრძნობასა და შურს შორისაა. ის ენერგიული, მოსიყვარულე, ქველმოქმედი და კეთილგონიერია“ (Stelmack & Stalicas, 1991, გვ. 259,

ციტირებულია წყაროში McAdams, D. P., 2006).

თუ ოთხი სითხის დაბალანსებული შემცველობა გაწონასწორებულ და ჰარმონიულ პიროვნებას ქმნიდა, მათი თანაფარდობის დარღვევა არამარტო ფიზიკურ დაავადებას გამოიწვევდა, არამედ ფსიქიკურ აშლილობასაც (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

შუა საუკუნეებში მეცნიერებმა ყურადღების მიღმა დატოვეს და დაივიწყეს იდეა იმის შესახებ, რომ სხეულებრივი სითხეები უშუალოდ ვლინდებოდნენ და ხორციელდებოდნენ პიროვნულ ნიშნებში, მაგრამ ოთხ სითხესთან ასოცირებული ქცევითი აღწერები ძალაში რჩებოდა და დღესაც მიუთითებენ ხოლმე მათზე; ეს ტერმინები დღესდღეობით მხოლოდ აღწერითი მეტაფორებია და მათი ეტიოლოგიური ღირებულება სრულიად დაკარგულია.

XVIII საუკუნეში იმანუელ კანტმა გადაამუშავა ტემპერამენტის ოთხი ტიპი, მეტად გამოკვეთა მათი ფსიქოლოგიური ბუნება და აქტივობისა და გრძნობების განზომილებებზე განათავსა: ქოლერიკები ძლიერი აქტივობით ხასიათდებიან, ფლეგმატიკები — სუსტით; სანგვინიკებს ძლიერი გრძნობები აქვთ, მელანქოლიკებს — სუსტი.

ჰუმორული ტერმინები თანამედროვე ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, ვილჰელმ ვუნდტის ნაშრომებშიც გვხვდება. ის ტემპერამენტის ოთხ ტიპს ორი განზომილებაში განიხილავს: ტემპერამენტი ემოციური სიძლიერიდან და ემოციური ცვალებადობიდან იღებს სათავეს (McAdams, 2006; Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).


ანტიკური რწმენის, რომ სხეულებრივი ფორმები და განსხვავებები პიროვნულ ნიშნებს უკავშირდება, ყველაზე ცნობილი გადასინჯვა ერნსტ კრეჩმერსა (1921) და უილიამ შელდონს (1940) ეკუთვნით, რომლებმაც კონსტიტუციური ფსიქოლოგიის თეორია შექმნეს. დღესდღეობით რამდენიმე სოციალური მეცნიერი თუ დგას კონსტიტუციური ფსიქოლოგიის პოზიციაზე,<sup>7</sup> მაგრამ XX საუკუნის დასაწყისისთვის კრეჩმერმა და შელდონმა ნამდვილად მიიქციეს მნიშვნელოვანი ყურადღება. მათ სხეულის კონსტიტუცია

<sup>7</sup> ამ თეორიის ბევრი დებულება გაბათილებულ და დისკრედიტირებულ იქნა შემდგომი კვლევებით.

გარკვეულ პიროვნულ მახასიათებლებს დაუკავშირეს. შელდონმა უამრავი კვლევა ჩაატარა, რომელშიც ცდილობდა, რომ მამაკაცების სხეულის ტიპის (შიშველი ადამიანების ფოტოების გაზომვით დადგენილი) ამავე ადამიანების დამკვირვებლების მიერ აღწერილ პიროვნულ მახასიათებლებისთვის შეესაბამებინა. კვლევის შედეგად მან სხეულის სამი ტიპი გამოყო (ენდომორფი, ექტომორფი და მეზომორფი) და ნიშნების შესატყვისი პროფილებიც აღწერა. საინტერესოა, რომ მთელი კონსტიტუციური ფსიქოლოგია მხოლოდ მამაკაცების შესწავლაზეა ფოკუსირებული და მასში არ არის ქალების ადგილი (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## ნიშნების მეცნიერების დასაწყისი: პირველი ემპირიული კვლევები

ნიშნების მეცნიერული კვლევის დასაწყებად სამი წინაპირობა იყო საჭირო (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009): (ა) მონაცემების სისტემატური შეგროვება, (ბ) სტატისტიკური ტექნიკები მონაცემების ანალიზისთვის და (გ) შემოწმებადი თეორიების განვითარება. ეს პრერეკვიზიტები მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისისთვის გახდა ხელმისაწვდომი. გადამწყვეტი როლი კორელაციის ახალი ტექნიკის შექმნამ და, მოგვიანებით, ფაქტორული ანალიზის განვითარებამ შეასრულა (Kline, P., 1994). ფაქტორული ანალიზის გამოგონებამდე არ არსებობდა დიდი რაოდენობით ნიშნების შედარებით მცირე რაოდენობით ფართო, მაგრამ მართვად განზომილებებზე დაყვანის ობიექტური მეთოდი. ტურსტონის მიერ შემოთავაზებული მრავალჯერადი ფაქტორული ანალიზი განსაკუთრებით გავლენიანი აღმოჩნდა და ფაქტორული ანალიზის სისტემატური გამოყენებით პიროვნების კვლევაში ახალი, თანამედროვე ეპოქა დაიწყო (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).



გალტონი

ნიშნების პირველი მეცნიერული კვლევა XIX საუკუნის მიწურულს განხორციელდა. ადრეული კვლევებისთვის ნედლი მასალა მკვლევრებმა ლექსიკონებიდან აიღეს (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). სერ ფრენსის გალტონი (1884) პირველი მეცნიერულად ორიენტირებული ფსიქოლოგი იყო, რომელმაც ემპირიული ყურადღება მიაპყრო ინდივიდუალურ განსხვავებებს. გალტონს ეკუთვნის იდეა, რომ პიროვნებებს შორის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებები სამეტყველო ენიდან შეიძლება შეირჩეს.<sup>8</sup> ყველა ენაში მრავლად მოიპოვება ადამიანებს შორის განსხვავებების აღმწერი ზედსართავი სახელები. გალტონმა ივარაუდა, რომ ამ სიტყვების კვლევა ნიშნების ბუნების გასაღები შეიძლებოდა ყოფილიყო.

პიროვნების ემპირიული კვლევის პიონერთა რიცხვში შედიან დანიელი ფსიქოლოგები ჰეიმენსი და უიერსი (1906). მათ 1906-1909 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სერიაში დიდი რაოდენობით სუბიექტების ხასიათების რეიტინგები წარმოადგინეს და მათ მცირე რაოდენობის ფაქტორებზე ანუ განზომილებებზე დაყვანას შეეცადნენ. ავტორებმა გამოიყენეს სტატისტიკური მეთოდი, რომელიც, თავისი არსით, ფაქტორულ ანალიზს წარმოადგენდა, თუმცა გაცილებით მოუხეშავი იყო. ამ პროცედურის გამოყენებით მათ სამი ფაქტორი მიიღეს. XX საუკუნის შუა პერიოდში ჰანს აიზენკმა გამოყო ემოციურობის პირველი განზომილება და შემდეგ — ინტროვერსია-ექსტრავერსიის განზომილება (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

სპირმენის (1904, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) ეპოქალური ნაშრომის შემდეგ გონებრივი შესაძლებლობების შესახებ, რომელშიც წარმოდგენილი იყო ზოგადი გონიერების ცნება და ჩანასახოვანი ფორმით ფაქტორული ანალიზი, მისი სუპერვიზიით განხორციელდა რიგი კვლევებისა, რომლებშიც მსგავსი ტექნიკები გამოიყენეს. 1915 წელს ვებმა შეაგროვა 194 სტუდენტისა და 140 მოზარდი ბიჭის გონებრივი მახასიათებლების დეტალური აღწერები. მათ შორის იყო მონაცემები ინტელექტის, ემოციების, სოციალურობის, აქტივობისა და პიროვნული თვისებების შესახებ. ვებმა მონაცემების

<sup>8</sup> ეს იდეა შემდგომში დისპოზიციურ მიმართულებაში ლექსიკური ჰიპოთეზის სახელით შევიდა.

დასამუშავებლად ისეთი სტატისტიკური ტექნიკები გამოიყენა, რომლებიც ზოგადი გონიერებისა და ხასიათის ორი ზოგადი ფაქტორის იდენტიფიცირების საშუალებას მისცემდა. ვების ნაშრომის გამოქვეყნებიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ მოხდა ამ ნაშრომის გადასინჯვა (Eysenck, 1970, წყაროში Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). ამომწურავმა ხელახალმა ანალიზმა აჩვენა, რომ ვების მონაცემებში ხუთი ან ექვსი ფაქტორი არსებობდა. ნიშნების მკვლევრები თვლიან, რომ ეს ფაქტორები ძალზე ახლოს დგას პიროვნების თანამედროვე განზომილებებთან (Deary, 1996, წყაროში Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

## პიროვნების თანამედროვე მოდელების წარმოქმნა: ნიშნის თეორიის საწყისები

ნიშნებთან მუშაობისთვის განკუთვნილი მეტ-ნაკლებად ადეკვატური სტატისტიკური პროცედურებისა და ნიშნების წყაროების შესახებ მოსაზრებების ფორმირების პარალელურად ვითარდებოდა ნიშნების ფსიქოლოგიის თეორიული ასპექტები. თეორიულ განვითარებას, ნაწილობრივ, ბიძგს აძლევდა იმის ცოდნა, რომ ნიშნების ფსიქოლოგია, ნებით თუ უნებლიედ, ყოველდღიურ მეტყველებაში მიღებული ტერმინების საფუძველზე იყო აგებული. ოლპორტი (1937) წერდა, რომ არ უნდა გვეშინოდეს ამ ტერმინების გამოყენების მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ ჩვეულებრივი ადამიანები; უბრალოდ ისინი ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ.

ქარისა და კინგსბურის სტატიაში (Carr & Kingsbury, 1938, წყაროში Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) ნიშნების ფსიქოლოგიის მრავალი კონცეპტუალური საკითხია წარმოდგენილი. ისინი ხაზს უსვამენ ნიშნების პრედიქტორულ ღირებულებას, ანუ თუ გვეცოდინება ინდივიდის პიროვნული ნიშნები, შევძლებთ მისი სავარაუდო სამომავლო ქცევის პროგნოზირებას. გარდა ამისა, სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეუძლებელია ნიშნების პირდაპირ, უშუალოდ დაკვირვება — მათ შესახებ მხოლოდ ქცევის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ. ავტორები, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავენ ნიშნების სკალების შექმნის საჭიროებას, რათა შესაძლებელი იყოს მოცემული მახასიათებლის მიხედვით ინდივიდების ერთმანეთთან შედარება.

მიუხედავად ქარისა და კინგსბურის სტატიის მნიშვნელოვნებისა, ნიშნების ფსიქოლოგიის კონცეპტუალურ (და საერთოდ პიროვნების ფსიქოლოგიის) განვითარებაში განსაკუთრებული და გამორჩეული წვლილი შეიტანა გორდონ ოლპორტის (1997) ფუნდამენტურმა ნაშრომმა „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“. თანამედროვე ნიშნების ფსიქოლოგიის დიდი ნაწილი ამ ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული მოსაზრებების ემპირიულ დასაბუთებას წარმოადგენს.

ოლპორტის ნაშრომში ზოგად ნიშნებზე (ნომოთეტური მიდგომის ილუსტრაცია) მითითების გარდა, წარმოდგენილია ინდივიდებისთვის უფრო მეტად სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც არ არიან პოპულაციაში ნორმალურად განაწილებულნი (ეს კი უკვე იდეოგრაფიული კვლევის საჭიროებაზე მითითებაა) (Allport, G. W., 1937). აღსანიშნავია, რომ ნიშნების ოლპორტისეული ხედვა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომების კომბინირების საშუალებას იძლევა.

ნიშნების ფსიქოლოგიის განვითარების კონტექსტში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჰენრი მარეის ნაშრომი (Murray, 1938/2008), რომელშიც ის „მოთხოვნილებებზე“ საუბრობს და ისეთი ნიშნების კონცეპტუალიზაციას ახდენს, როგორცაა, მაგალითად, მიღწევის მოთხოვნილება. მარეის ნაშრომი ე. წ. სიღრმის ფსიქოლოგიის<sup>9</sup> თეორიულ ჩარჩოშია შესრულებული და ბიოგრაფიული ინტერვიუებისა და პროექციული ტესტების მეშვეობით მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

<sup>9</sup> თანამედროვე დინამიკური ფსიქოლოგია.

## პიროვნული ნიშნები

პიროვნების ფსიქოლოგიაში *ნიშნის* ცნება ქცევის, კერძოდ, ექსპრესიული ანუ სტილისტური ქცევის, კონსისტენტური (თანმიმდევრული, შედარებით მდგრადი) პატერნების აღსანიშნად გამოიყენება (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008). ნიშნების თეორეტიზაცია და კვლევა, ძირითადად, მათი რაოდენობის, ბუნებისა და ე. წ. „ბაზისური“ ნიშნების ორგანიზაციის საკითხებზე ფოკუსირდება და სამ ძირითად სტრატეგიას იყენებს. პოპულარობის მიხედვით თუ დავაღაგებთ, ეს სტრატეგიებია: (1) ფაქტორული ანალიზი და მასთან დაკავშირებული მათემატიკური ტექნიკები; როგორც წესი, გამოიყენება ნომოტეტურ კვლევაში ზოგადად ადამიანებისთვის დამახასიათებელი ნიშნების განზომილებების გამოსავლენად; (2) რაციონალური ანუ აპრიორი თეორეტიზაცია; ხშირად მოიცავს ადამიანთა ზოგიერთი ჯგუფისთვის (ქვეჯგუფისთვის) მისადაგებული ტიპოლოგიების კონსტრუირებას; (3) იდეოგრაფიული კვლევა, რომელიც, ფაქტობრივად, უარს ამბობს „ბაზისური“ ნიშნების ძიების მცდელობებზე და კონკრეტული ინდივიდების უნიკალურ ნიშნებზე ან ნიშანთა პატერნებზე ფოკუსირდება (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

ამ ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ, თუ რა არის პიროვნული ნიშანი, როგორ განსაზღვრავენ მას პიროვნების ფსიქოლოგები, რა ნიშნებით ხასიათდება თავად ნიშანი, ნიშნებთან დაკავშირებულ რომელ საკითხებზე თანხმდებიან და რა იწვევს დავასა და წინააღმდეგობებს ნიშნების მკვლევრებს შორის. ასევე, შევეცდებით პიროვნების აღწერისთვის აუცილებელი და საკმარისი ნიშნების რაოდენობის საკითხს და შევეცდებით, განვსაზღვროთ, თუ რომელი ნიშნებია ის უმთავრესი და ძირითადი ერთეულები, რომლითაც უნდა აღიწეროს პიროვნება. გარდა ამისა, განვიხილავთ ნიშნების იდენტიფიცირებისა და გაზომვის ტექნიკებს.

### ნიშანი, როგორც ანალიზის ერთეული

ყოველ მეცნიერებას აქვს თავისი ნომენკლატურა, რომელიც აღწერს და განსაზღვრავს მისი კვლევის სფეროს (Johnson, J. A., 1997). ასე მაგალითად, ბირთვული ფიზიკოსები სუბატომურ ნაწილაკებზე საუბრობენ, ქიმიკოსები მოლეკულებისა და ელემენტების ანალიზით არიან დაკავებულნი, ხოლო ევოლუციურ ბიოლოგებს გენები, პოპულაციები და სახეობები აინტერესებთ. რა ტერმინებით ოპერირებენ ფსიქოლოგები პიროვნების აღწერისა და ახსნისას?

მათ მიერ გამოყენებული ანალიზის ერთეულების ჩამონათვალი საკმაოდ გრძელი და მრავალფეროვანია. აქ შეგიძლია ნახოთ კოგნიტური სტილები, კომპლექსები, მიმდინარე საფიქრალეები, დისპოზიციები, ხალხური ცნებები, მიზნები, ინსტინქტები, ინტერესები, მოტივები, მოთხოვნილებები, პიროვნული პროექტები, გეგმები, პიროვნული კონსტრუქტები, მისწრაფებები, სენტიმენტები, თემები, ტიპები, ღირებულებები და ა. შ. (Emmos, R. A., 1997). ამ ჩამონათვალის მრავალფეროვნება და მოცულობა გვიჩვენებს, რომ ფსიქოლოგების პრობლემა კონცეპტუალური ერთეულების ორგანიზება და გამარტივება უფროა, ვიდრე მათ შორის არჩევანის გაკეთება.

ნიშნების ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ ანალიზის ყველა შემოთავაზებული ერთეულის მიღმა, შენიღბული სახით, საფუძვლადმდებარე ერთეული დგას, რომელსაც *ნიშანი* შეგვიძლია ვუწოდოთ (Allport, G. W., 1937). ამ მიმართულების წარმომადგენლები თვლიან (Johnson, J. A., 1997), რომ პიროვნების სისტემატური გაგებისთვის უბრალოდ აუცილებელია ნიშნის კონცეფციის გამოყენება, ვინაიდან ნებისმიერ მეცნიერებას ესაჭიროება თანმიმდევრული და მდგრადი პატერნების იდენტიფიცირება და ახსნა (Hanson, 1958, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). წარმოიდგინეთ ქიმიის მეცნიერების სტრუქტურის აგების სირთულე, ქიმიურ ელემენტებსა და ნაწილაკებს სტაბილური თვისებები რომ არ ჰქონდეთ. თუმცა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ნიშანი, რამდენი და რომელი ნიშნებია ის აუცილებელი და საკმარისი მახასიათებლები, რომლითაც აღიწერება პიროვნება.

## პიროვნების ნიშნის ცნება, როგორც თეორიული კონსტრუქტი

პიროვნების ნიშნის ცნება მოიაზრებს აზრების, გრძნობების ან მოქმედებების თანმიმდევრულ, მდგრად პატერნებს, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებენ (Johnson, J. A., 1997). ამ დეფინიციის ალსანიშნავია სამი ძირითადი მომენტი. პირველი, ნიშნები შეიძლება შეეხებოდეს აზრებს, გრძნობებს ან ქცევებს. ეს ხშირად უყურადღებოდ რჩება, ვინაიდან ზოგიერთი ფსიქოლოგი პიროვნებას მხოლოდ თანმიმდევრული/მდგრადი ქცევების ტერმინებით განსაზღვრავს. მეორე, ნიშნის მიკუთვნება თავისთავად, გარდაუვლად გულისხმობს ადამიანების ურთიერთშედარებას. თუ ვიტყვით, რომ გიორგი ობსესიურობა-კომპულსურობით ხასიათდება, ვგულისხმობთ, რომ მის შემთხვევაში უფრო მეტად არის გამოვკეთილი აკვიატებული აზრები და დანაშაულის განცდა და ეს ადამიანი უფრო მეტ რიტუალურ ქცევას ახორციელებს, ვიდრე სხვები. მესამე, ნიშნები, ადამიანებს შორის განსხვავებების აღწერასთან ერთად, გარკვეულ კონსისტენტობასაც უნდა ასახავდნენ. თუ გიორგის ობსესიური გამოცდილებებისა და კომპულსური (იძულებითი) მოქმედებების სიხშირე იმდენად შემცირდება, რომ ზოგადად პოპულაციისთვის დამახასიათებელ ოდენობას გაუტოლდება, მაშინ ისინი ამ ნიშნით აღარ გამოარჩევენ გიორგის დანარჩენი ადამიანებისგან.

ნიშნის, როგორც პიროვნების აღმწერი თეორიული კონსტრუქტის, შესახებ მრავალი დავა და წინააღმდეგობა არსებობს, თუმცა, ნიშნების მკვლევრები ორ საკითხზე თანხმდებიან (Pervin, L. A., 2003): (1) ნიშანი შეეხება კანონზომიერებებს ანუ ადამიანების ქცევაში ფართო ქცევით კონსისტენტურობას (მდგრადობას). შესაბამისად, ნიშნები ფუნქციონირებაში ინდივიდუალური განსხვავებების ბაზისურ კატეგორიებს წარმოადგენენ. (2) წარმოადგენენ რა ფუნქციონირებაში ასეთი ფართო განსხვავებების დესკრიპტორებს, შესაძლებელია ნიშნების პიროვნების ბაზისურ ერთეულებად გამოყენება. აქედან გამომდინარე, პიროვნების ფსიქოლოგების ამოცანაა პიროვნების ბაზისური ნიშნების აღმოჩენა, მათი გაზომვის მეთოდების შექმნა, ნიშნების განვითარების შესწავლა და შემდეგ იმის განსაზღვრა, იძლევა თუ არა ეს ცნება სიტუაციითა ფართო დიაპაზონში ფუნქციონირებაში ინდივიდუალური განსხვავებების დამაკმაყოფილებელ ახსნას (Pervin, L. A., 2003).

### რა არის ნიშანი

პიროვნების ნიშნის ცნება სათავეს სალი აზრიდან და ყოველდღიური საუბრებიდან იღებს (McAdams, D. P., 2006). ნიშნის ფსიქოლოგები, როგორც მეცნიერები, ნიშნების ყოველდღიური მნიშვნელობის მიღმა გასვლას ცდილობენ, თუმცა, მათ შორის საუკეთესონი, როგორცაა, მაგალითად, გორდონ ოლპორტი (1973, წყაროში McAdams, D. P., 2006), ნიშნების ბუნებრივი სამეტყველო ენის წვლილსაც სათანადოდ აღიარებენ და აფასებენ. ადამიანები ათასწლეულების მანძილზე ცდილობენ ერთმანეთის გაგებასა და აღწერას და სრულიად გულუბრყვილო იქნება იმის დაშვება, რომ ფსიქოლოგებმა ამის გაკეთება მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეძლეს. ნიშნების მკვლევრებმა ყოველდღიური სალი აზრისთვის დამახასიათებელი სისტემა ორი თვალსაზრისით აიღეს თავიანთ კვლევაში: პირველი, პიროვნების ნიშნების ტერმინებით აღწერა ხშირად იმ დაშვებების გამოთქმის მცდელობით იწყება, რომლებიც ამ ნიშნების ამსახველი სიტყვების მიღმა დგას და, მეორე, ნიშნების გაზომვა ნიშნების ენის უშუალოდ/პირდაპირობის სხვადასხვა ხარისხს ეფუძნება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა (McCrae, R. R., Costa, P. T., Ostendorf, F. et al., 2000).

როდესაც სხვა ადამიანების ქცევას ვუყურებთ და მის გაგებას ვცდილობთ, აუცილებლად შევამჩნევთ ერთი პიროვნების ქცევის თანმიმდევრულობას და შეთანხმებულობას და სხვადასხვა პიროვნებას შორის განსხვავებას. მაგალითად, ვამჩნევთ, რომ ანა ხშირად უღიმის ადამიანებს და მეგობრულად ესაუბრება სხვადასხვა სიტუაციაში — აუდიტორიაში, სავარჯიშო დარბაზში, სადილის დროს თუ ბიბლიოთეკაში მეცადინეობისას. ეკა, თავის მხრივ, იშვიათად იღიმება და ელაპარაკება სხვებს. თუ ანა თითქმის ყოველთვის თბილი და მეგობრულია, ეკა, ერთი შეხედვით, ცივი და გარიყული ადამიანის



შთაბეჭდილებას ტოვებს. ცხადია, ისეც ხდება, რომ ანაც საკმაოდ ცივად იქცევა ხოლმე და ეკა ზოგიერთ სიტუაციაში უკიდურესად თბილი და მეგობრულია, მაგრამ ზოგადად, ანა უფრო მეგობრული ჩანს, ვიდრე ეკა (McAdams, D. P., 2006).

პიროვნების ფსიქოლოგები ისეთი პიროვნებულნი ნიშნების სხვადასხვა ასპექტს სწავლობენ, როგორცაა, მაგალითად, „მეგობრულობა“, „კეთილგანწყობა“, „ჩაკეტილობა“ და ა. შ.

### რაზე ვერ თანხმდებიან ნიშნების ფსიქოლოგები

ნიშნების მკვლევრები მრავალ საკითხზე ვერ თანხმდებიან, თუმცა, ამ საკითხთა შორის გამოირჩევა ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია (Pervin, L. A., 2003):

(1) ნიშანი განხორციელებული ქცევაა თუ ამ ქცევის განხორციელების პრედიკტორია? სხვა სიტყვებით, შეგვიძლია თუ არა, რომ ნიშანი ვუწოდოთ გარკვეული სახით რეაგირებისკენ ლატენტურად (ფარულად) მოცემულ მიდრეკილებას, რომელიც მხოლოდ ძალზე შეზღუდულ პირობებში შეიძლება გამოვლინდეს? და, პირიქით, გარკვეული სახით რეაგირებისკენ წინასწარმზაობა აუცილებლად უნდა გამოვლინდეს თვალსაჩინო ქცევაში სიტუაციათა ფართო სპექტრში რომ მას ნიშნის სტატუსი მიენიჭოს? თუ ნიშნების განხილვისა და გაზომვისადმი მიდგომებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საქმე გვაქვს მეორე შემთხვევასთან: როგორც ჩანს, ნიშნის ცნება თვალსაჩინო, ღია ქცევას უკავშირდება.

(2) პიროვნების ფუნქციონირების რომელ ასპექტებს მოიაზრებს ნიშნის ცნება? მხოლოდ თვალსაჩინო ქცევას უკავშირდება თუ გრძნობებს, აზრებსა და ღირებულებებსაც მოიცავს? მიუხედავად იმისა, რომ ნიშნების ადრეული თეორიები მათ თვალსაჩინო ქცევების კატეგორიების ტერმინებით აღწერდნენ, დიდი ხუთეულის მხარდამჭერები ცნებაში გრძნობებისა და მოტივების ჩართვასაც აუცილებლად მიიჩნევენ. თუ ცნება პიროვნების იმ ყველა ასპექტს მოიცავს, რომლითაც იგი შეიძლება სტაბილურად განსხვავდებოდეს სხვებისგან, მაშინ რაღა რჩება პიროვნების ცნებისგან განსხვავებული და განსაკუთრებული ნიშნის ცნებაში?

### რაზე თანხმდებიან ნიშნების ფსიქოლოგები

პირველ რიგში, ნიშნების ფსიქოლოგებისთვის ნიშნები *შინაგანი (ინტერნალური)* დისპოზიციებია (McAdams, D. P., 2006), რომლებიც შედარებით სტაბილურია დროში და სხვადასხვა სიტუაციაში. თუ ვასკვნით, რომ მაკა კეთილსინდისიერების გამოკვეთილი ნიშნით ხასიათდება, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ის პრაქტიკულად ყოველთვის კეთილსინდისიერია სხვადასხვა სიტუაციაში (სამსახურში, უნივერსიტეტში, მეგობრებთან ურთიერთობაში და საკუთარ ოჯახში) და დროთა განმავლობაში (მოზარდობაში, ახალგაზრდობასა და მოწიფულ ასაკში).

მეორე, ნიშნები, როგორც წესი, *ბიპოლარული* ტერმინებია. მეგობრულობა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კონტინუუმი, რომელიც ორ პოლუსს შორის — „უკიდურესად მეგობრულიდან“ „უკიდურესად არამეგობრულამდე“ — თავსდება. მაშასადამე, მეტყველებაში ნიშნები ხშირად ანტონიმებით გამოიხატება: მეგობრულობა-არამეგობრულობა, ექსტრავერსია-ინტროვერსია, დომინანტურობა-დაქვემდებარებულობა. თითოეული ადამიანი შეგვიძლია ნიშნის გამოხატულობის ინტენსივობის მიხედვით შედარებით ნორმალურ განაწილებაში<sup>10</sup> მოვათავსოთ.

მესამე, სხვადასხვა ნიშანი, ზოგადად, *ერთმანეთის შემავსებელი* და *ერთმანეთისგან დამოუკიდებელია*. მაგალითად, გვანცა უკიდურესად კეთილგანწყობილი, ორგანიზებული და შედარებით რბილია შეფასებებისას, ასევე, ნაკლებად ახასიათებს რისკისკენ მიდრეკილებას. ეს ოთხი ნიშანი მისი პიროვნების ოთხ დამოუკიდებელ „ინგრედიენტს“ წარმოადგენს. თუ ჩვენ თითოეული ამ ნიშნის გამოკვეთილობის სათანადო ოდენობა გვეცოდინება, შევძლებთ მისი ქცევის პროგნოზირებას და იმის

<sup>10</sup> განაწილება, რომელშიც ადამიანთა დიდი ნაწილი (დაახლოებით 68%) კონტინუუმის შუა ნაწილში (როგორცაა „ზომიერად მეგობრული“, ან „ზომიერად არამეგობრული“), ხოლო მცირე ნაწილი — განაწილების ბოლოებისკენ განთავსდება (Field, A., 2005).

აღწერას, თუ როგორ და რამდენად განსხვავდება იგი სხვა ადამიანებისგან, ანუ სხვა პიროვნული ნიშნების პროფილის მქონეთაგან.

მეოთხე, პიროვნული ნიშნები, როგორც წესი, *სოციომოციურ ფუნქციონირებაში* უფრო ზოგად/ფართო ინდივიდუალურ განსხვავებებს მოიაზრებენ. როგორც ქონლი (Conley, 1985a, გვ. 94, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006) წერს: „პიროვნული ნიშნები ემოციური ტენდენციების საპასუხოდ ძალიან განზოგადებულ ქცევით პატერნებს აყალიბებენ“. შესაბამისად, პიროვნული ნიშნები შეგვიძლია განვასხვავოთ სხვა ცვლადებისგან, რომლებიც ნაკლებად სოციომოციურია და მეტად კოგნიტურია თავისი ბუნებით, როგორცაა, მაგალითად, ღირებულებები, დამოკიდებულებები, მსოფლმხედველობები და სქემები (Conley, 1985a; McClelland, 1951, წყაროში McAdams, 2006). ფაქტობრივად, განსხვავება, ერთი მხრივ, სოციომოციურ პიროვნულ ნიშნებსა და, მეორე მხრივ, კოგნიტურ ცვლადებს შორის, სულ მცირე, ფილოსოფოს იმანუელ კანტამდე (1724-1804) მიდის, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს „ტემპერამენტს“ (ნიშნებს) და „ხასიათს“ (სქემებს).

ამრიგად, როგორც ზემოთაც ვთქვით, პიროვნული ნიშნები მოიაზრებს ადამიანებს შორის ინდივიდუალურ განსხვავებებს მათთვის დამახასიათებელი აზრების, გრძნობებისა და ქცევების მიხედვით. ფსიქოლოგები ნიშნის ცნებას ერთი სიტუაციიდან მეორეზე ქცევის კონსისტენტურობის (თანმიმდევრულობის/მდგადობის) ასახსნელად იყენებენ (McAdams, D. P., 2006). მაგალითად, ანა კონსისტენტურად მეგობრულია ერთი სიტუაციიდან მეორეში (თუმცა, ცხადია, ყოველთვის ვერ იქნება მეგობრული), ხოლო ეკა — კონსისტენტურად ნაკლებად მეგობრული. ნიშნები, ჩვეულებისამებრ, განიხილება, როგორც პიროვნებაში არსებული, შედარებით ზოგადი, გლობალური და სტაბილური დისპოზიციები. ეს დისპოზიციები, როგორც წესი, ნორმალურადაა განაწილებული ნებისმიერი ნიშნის წრფივ კონტინუუმზე ერთი უკიდურესობიდან მეორემდე. შესაბამისად, ადამიანთა უმრავლესობა ნებისმიერი ნიშნის მიხედვით, განაწილების შუა ნაწილში ხვდება. შესაძლებელია ადამიანების ერთმანეთთან შედარება და დაპირისპირება მათი ნიშნების მიხედვით. მაშასადამე, ნიშნები თითქმის ყოველთვის შედარებითი (კომპარატიული) განზომილებებია და ერთი კონკრეტული ადამიანის პოზიცია მოცემული ნიშნის კონტინუუმზე ყოველთვის შედარებითა/ფარდობითა სხვების პოზიციებთან. ნიშნების თვალსაზრისით, ყოველი პიროვნების დახასიათება შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ სად დგას შედარებით დამოუკიდებელი განზომილებების მიხედვით, რომლებიც ერთად მის ნიშანთა პროფილს ქმნიან. პიროვნული ნიშნები, ინტელექტის ნიშნებისგან განსხვავებით, როგორც წესი, სოციალურ ურთიერთქმედებასთან და ცხოვრების სოციომოციურ ასპექტებთან დაკავშირებული აზრების, გრძნობებისა და ქცევების კონსისტენტურობას შეეხება (McAdams, D. P., 2006).

### ნიშნის ბუნება: განსხვავებული პოზიციები

ფსიქოლოგებს ბევრი აქვთ ნაკამათევი იმის შესახებ, თუ რას მოიაზრებს ნიშნის ცნება და რამდენად გამოსადეგი შეიძლება იყოს ის. წლების განმავლობაში, სულ მცირე, ოთხი განსხვავებული პოზიცია დაფიქსირდა ამასთან დაკავშირებით (იხ. ცხრილი 3) (McAdams, D. P., 2006).

პირველი პოზიცია ისაა, რომ ნიშნები პირდაპირ, უშუალოდ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში არსებობენ. მათ გორდონ ოლპორტი (1937) „ნეიროფსიქიკურ სტრუქტურებს“ უწოდებდა. ფსიქოფიზიოლოგიის ასეთი ჰიპოთეტური პატერნები, ვთქვათ, ტვინში არსებული გარკვეული სქემა ან ნეიროგადამცემთა გზები მიზეზ-შედეგობრივად მოქმედებს ქცევაზე და ხსნის მის კონსისტენტურობას დროსა (სხვადასხვა დროს) და სივრცეში (სხვადასხვა სიტუაციაში).

## ცხრილი 3. ნიშნების ბუნებისადმი ოთხი განსხვავებული მიდგომა.

ნიშანი არის	აღწერა	თეორეტიკოსები
ნეიროფსიქოლოგიური სუბსტრატი	ნიშნები ბიოლოგიური პატერნებია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, რომლებიც ქცევის განხორციელებას იწვევენ და ხსნიან კონსისტენტურობას ანუ თანმიმდევრულობას სოციომოციურ ფუნქციონირებაში ერთი სიტუაციიდან მეორეში და დროთა განმავლობაში.	ოლპორტი (1937) აიზენკი (1967) გრეი (1982) კლონინგერი (1987) ცუკერმანი (1991)
ქცევითი დისპოზიცია	ნიშნები კონსისტენტურად მოქმედების, აზროვნების ან გრძნობის ტენდენციებია, რომლებიც ურთიერთქმედებენ ისეთ გარეგან გავლენებთან, როგორებიცაა კულტურული ნორმები და სიტუაციური ცვლადები, და გავლენას ახდენენ პიროვნების ფუნქციონირებაზე. ნიშნების გამოყენება შეიძლება როგორც ქცევის აღსაწერად, ისე -- მისი მიზეზშედეგობრივი (კაუზალური) ან გენერაციული მექანიზმების შესახებ დაშვებების გასაკეთებლად.	კეტელი (1957) ვიგინსი (1973) ჰოგანი (1986) მაკკრაი და კოსტა (1990)
აქტების/მოქმედებების სიხშირე	ნიშნები ქცევითი აქტების დესკრიპტული (აღწერითი) შემაჯამებელი კატეგორიებია. აქტები, რომლებიც ერთი და იგივე ფუნქციური თვისებებით ხასიათდებიან, შეიძლება ერთად დაჯგუფდნენ და ამ ჯგუფებში ზოგიერთი მათგანი მახასიათებელთა ამ ჯგუფისთვის უფრო პროტოტიპული ანუ რეპრეზენტაციული იქნება, ვიდრე -- სხვები.	ბასი და კრაიკი (1983)
ლინგვისტური კატეგორია	ნიშნები ადამიანების მიერ შექმნილი მოხერხებული ფაქტორებია ადამიანის მრავალფეროვანი ქცევისა და გამოცდილების გასაგებად და კატეგორიზირებისთვის. ნიშნები არ არსებობდენ დამკვირვებლის გონების გარეთ და, აქედან გამომდინარე, მათ ვერ ექნებათ მიზეზშედეგობრივი გავლენა. ადამიანები ნიშნების აღმნიშვნელ ტერმინებს სოციალური ინტერაქციებისა და დისკურსის მეშვეობით ანიჭებენ შინაარსს.	მიშელი (1968) შვედერი (1975) ჰამპსონი (1988) ჰარი და ჯილეტი (1994)

წყარო: McAdams, 2006.

მეორე პოზიცია არაფერს ამბობს ფსიქოფიზიოლოგიური სუბსტრატის შესახებ, მაგრამ ამტკიცებს, რომ ნიშნები დისპოზიციების სახით არსებობენ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევაზე. მამასადამე, ორივე ეს პოზიცია ნიშანს განიხილავს, როგორც ადამიანის ფუნქციონირების მიზეზ-შედეგობრივ (კაუზალურ) მექანიზმს. ნიშნები, იქნება ეს ნეიროფსიქიკური სტრუქტურები თუ ქცევითი დისპოზიციები, რეალურად იწვევენ ქცევის განხორციელებას და, შესაბამისად, გამოდგება სხვადასხვა სიტუაციასა და დროში ქცევის კონსისტენტურობის ასახსნელად.

ამის საპირისპიროდ, მესამე და მეოთხე პოზიციები ამტკიცებენ, რომ ნიშნები რეალურად არ იწვევენ ქცევას, არამედ ისინი არსებობენ, როგორც მოსახერხებელი კატეგორიები, რომლებიც ადამიანების მიერ გამოვლენილი ქცევების აღსაწერადაა მოწოდებული.

მესამე პოზიცია ბასსა და კრაიკს (Buss and Craik, 1983, 1984, წყაროში McAdams, 2006) ეკუთვნით და ისინი თავიანთ მოსაზრებებს პიროვნებისადმი აქტების სიხშირის მიდგომის ჩარჩოში აყალიბებენ. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნიშნები უბრალოდ ენობრივი კატეგორიებია, რომლებიც დისკრეტული ქცევითი აქტების ორგანიზებისთვისაა მოწოდებული. ასე განსაზღვრული ნიშნები თავისთავად ვერ მოახდენენ ქცევაზე გავლენას. მათთვის ნიშნები ქცევებია. მაგალითად, ექსტრავერსიის ნიშანი იმ აქტებისგან შედგება, რომლებიც ქმნიან ექსტრავერსიას, როგორიცაა „მე ვიცეკვე შეკრებილი საზოგადოების წინაშე“ და „უცნობ ადამიანებთან გავაბი საუბარი“. აქტები შეიძლება დავაჯგუფოთ ნიშნების ოჯახების სახით, რომლებშიც ზოგიერთი აქტი უფრო პროტოტიპული ანუ რეპრეზენტაციული იქნება, ვიდრე — სხვები (McAdams, D. P., 2006).

მეოთხე პოზიცია უშვებს, რომ ნიშნები არ არსებობენ არანაირი ობიექტური თვალსაზრისით, აქტების კატეგორიების ფორმითაც კი. ამის ნაცვლად, ამ პოზიციის წარმომადგენლებისთვის ნიშნები უბრალოდ მოსახერხებელი ფიქციაა, რომლებიც ადამიანებმა (და პიროვნების ფსიქოლოგებმა) გამოიგონეს სოციალური ცხოვრების გაგების მცდელობისას (Shweder, 1975, წყაროში McAdams, 2006). მე და თქვენ ისეთი ნიშნების ტერმინებს, როგორცაა, მაგალითად, „მეგობრული“ და „კეთილსინდისიერი“, რეალობის გასამარტივებლად და ორგანიზებისთვის ვიყენებთ, მაგრამ ეს ტერმინები მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. მათ არანაირი შინაარსი და მნიშვნელობა არ გააჩნიათ ჩვენი საერთო სოციალური კონსტრუქციის მიღმა. მაშასადამე, ამ პოზიციიდან, არანაირი აზრი არ აქვს ქცევის ახსნას ნიშნების ტერმინებით. მაგალითად, იმის თქმა, რომ ანა ბევრს იმიტომ იღიმება, რომ ის შედარებით მეგობრული ადამიანია, იგივეა, თუ ვიტყვით, რომ ანა იმიტომ არის მეგობრული, რომ მეგობრულია. იარლიყი არაფერს გვიხსნის. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ანას ღიმილის მიზეზებს პიროვნებაში კი ვერ ვიპოვით, არამედ — იმ გარემოში, სადაც ეს პიროვნება არსებობს. ფსიქოლოგები, რომლებიც არ მიიჩნევენ ნიშნებს მოსახერხებელ ფიქციებად, როგორც წესი, ქცევის კონსისტენტურობის მიზეზებს გარემოს სიტუაციებში ეძებენ (Mischel, W., 1979).

დამაჯერებელი არგუმენტების მოტანა ოთხივე დასახელებული პოზიციის სასარგებლოდ არის შესაძლებელი. თითოეული მათგანი ნიშნის იდეის მნიშვნელოვან ასპექტს გამოკვეთს. პირველი პოზიცია გვეუბნება, რომ ნიშნები ბიოლოგიური რეალობაა. მეორე მათ დისპოზიციურ ბუნებაზე მიგვითითებს. მესამე გვთავაზობს, რომ ნიშნები ფუნქციურად მსგავს ქცევებს აკავშირებენ ერთმანეთთან. მეოთხე ამბობს, რომ ნიშნების დასახელებები გამოსადეგია ყოველდღიურ სოციალურ კოგნიციაში. ამავე დროს, ოთხივე პოზიცია ეწინააღმდეგება ერთმანეთს ბევრი თვალსაზრისით. წინააღმდეგობა ყველაზე მეტადაა გამოკვეთილი პირველ და მეოთხე პოზიციებს შორის: ლოგიკურია, რომ ნიშნები ვერ იქნება ნეიროფსიქიკური სტრუქტურები, რომლებიც იწვევენ აქტორების ქცევას (პირველი პოზიცია), თუ, ამავე დროს, ისინი უბრალოდ დამკვირვებლის გონებაში წარმოქმნილი მოსახერხებელი ფიქციებია (მეოთხე პოზიცია) (McAdams, D. P., 2006).

მიუხედავად აზრთა ასეთი სხვადასხვაობისა, პიროვნების ბევრმა ფსიქოლოგმა, როგორც ჩანს, მიიღო ბუნდოვანი, მაგრამ რაციონალურად კომპრომისული მოსაზრება, რომელიც, ალბათ, ყველაზე ახლოს ზემოთ აღწერილ მეორე პოზიციასთან დგას. თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგთა უმრავლესობა ნიშნებს დისპოზიციებად მიიჩნევს, რომლებიც გარკვეულ მიზეზობრივ გავლენას ახდენენ ქცევებზე, თუმცა ეს კომპლექსური გავლენებია და სიტუაციურ ფაქტორებთან ინტერაქციაში არსებობს. მათთვის ნიშნები უფრო მეტია, ვიდრე აქტების კატეგორიების აღწერების უბრალო შეჯამება, თუმცა, იმასაც აღიარებენ, რომ ნიშნები ზოგიერთ პროგნოზირებად აქტებს (მესამე პოზიცია) უთანაბრდებიან. მეტიც, პიროვნების ფსიქოლოგები ზოგადად ღია არიან იმ შესაძლებლობისთვისაც, რომ დისპოზიციურ ნიშნებს, შესაძლოა, ნეიროფიზიოლოგიური თანხლებაც ჰქონდეთ (პირველი პოზიცია), მაგრამ იმასაც აცნობიერებენ, რომ დისპოზიციები სოციალურად დეტერმინირებული მნიშვნელობების/შინაარსების მქონე ენის კატეგორიებია (შეესატყვისება მეოთხე პოზიციას). ნიშნის შინაარსი/აზრი, ნაწილობრივ, მისი კულტურული კონტექსტითაა დეტერმინირებული. მაშასადამე, მეგობრულობა შეიძლება სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს და განსხვავებული ფორმა მიიღოს. სხვადასხვა კულტურას, შესაძლოა, მეგობრულობის სხვადასხვა წესები ან შეთანხმებები ჰქონდეს. გარკვეული სახის ღიმილი, ან მეორე ადამიანთან შეხების გარკვეული ფორმა, შესაძლოა, მეგობრული ქცევა იყოს ერთ კულტურაში, მეორეში კი უხეში და შეურაცხყოფელი აღმოჩნდეს (McAdams, D. P., 2006).

### პიროვნული ნიშნის განსაზღვრება

ნიშნები შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც *აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების კონსისტენტური კატერნების ტენდენციების მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების განზომილებები* (McCrae R. R., Costa, P. T., 2003). ეს ფენოტიპური განსაზღვრებაა, ანუ გვეუბნება, თუ

როგორ გამოიყურებიან ნიშნები და როგორ შეიძლება მათი ცნობა. ისეთი ნიშნების დახასიათება, როგორცაა მორცხვობა და მიმნდობლობა, როგორც ინდივიდუალური განსხვავებების განზომილებებისა, ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია ადამიანების რანჟირება ამ ნიშნების გამოხატულების ხარისხის მიხედვით. ზოგი ადამიანი ძალიან მიმნდობია, უმრავლესობა — საშუალოდ მიმნდობი, ძალიან ცოტა კი — საკმაოდ უნდობი. ფაქტობრივად, ყველა ნიშანი ყველა ადამიანში სხვადასხვა ხარისხითაა გამოხატული და მათი გამოხატვის განაწილება ნორმალურს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პიროვნების თეორია აღწერს ტიპებს — ნიშნების უნიკალური კონფიგურაციის მქონე ადამიანების გარკვეულ ჯგუფს — თანამედროვე კვლევები აჩვენებენ, რომ ასეთი ე. წ. ტიპების უმრავლესობა უბრალოდ უკიდურესი ქულების ნაკრებია ნიშნების უწყვეტად განაწილებულ განზომილებებზე (McCrae & Costa, 1989b; Widiger & Frances, 1985, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

რაც უფრო მეტად აქვს ადამიანს მოცემული ნიშანი, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ის იმ ქცევას გამოავლენს, რომლისკენაც ეს ნიშანი განაწილებს და, ამგვარად, უფრო ხშირადაც გამოვლინდება ის. ანალოგიურად, რაც მეტად ახასიათებს ადამიანს ნიშანი, მით უფრო ინტენსიურად იქცევა და რეაგირებს ის რელევანტურ სიტუაციებში. ძალიან სოციალურ ადამიანს ნამდვილად უყვარს ადამიანების წრეში ყოფნა და ხშირადაც არის ასეთ სიტუაციაში. სათანადო მოქმედებებისა და გრძნობების სიხშირე და ინტენსივობა ის ძირითადი მანიშნებლებია, რომელთა მიხედვითაც ვასკვნით ნიშნის არსებობის ხარისხზე.

ზემოთ მოცემულ განსაზღვრებაში სიტყვა „ტენდენციები“ ხაზს უსვამს ფაქტს, რომ ნიშნები მხოლოდ დისპოზიციებია და არა — აბსოლუტური დეტერმინანტები. კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ქცევის განხორციელებას ბევრი სხვა ფაქტორიც განაპირობებს. კომუნიკაბელურ ადამიანებს უყვართ ლაპარაკი, მაგრამ ისინი, როგორც წესი, ჩუმად არიან და ხმას არ იღებენ წირვის დროს. კარგად ადაპტირებული ადამიანები არ შფოთავენ ბევრს, მაგრამ ზოგჯერ მათაც ეუფლებათ შფოთვა, როდესაც სამედიცინო შემოწმების პასუხებს ელოდებიან, ან სამსახურისთვის გასაუბრებაზე მიდიან. ჩვენს მიერ შესრულებული სოციალური როლების მოთხოვნები, არსებული/მიმდინარე სიტუაციის ფაქტები, მოცემულ მომენტში დომინანტური გუნება-განწყობილება, წარსულში შექმნილი უნარ-ჩვევები და ქცევის ნორმები — ყველაფერი ერთად აყალიბებენ კონკრეტული განსახორციელებელი მოქმედების, სიტყვის ან ემოციური რეაქციის არჩევანს (McCrae, R. R., Costa, P. T., Ostendorf, F. et al., 2000).

ეს გადაწყვეტი მომენტია, ვინაიდან ამის გამო ერთ დროს კინაღამ საერთოდ უარი თქვას ნიშნების მიდგომაზე. 1968 წელს მიშელმა გამოაქვეყნა ლიტერატურის ძალზე შთამბეჭდავი მიმოხილვა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ნიშნები ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული რეალური ქცევის მხოლოდ 5-10%-ს ხსნიდნენ. ეს იმედგამაცრუებლად მცირე რიცხვი გვაფიქრებინებს, რომ ნიშნების თეორიის მთლიანი წამოწყება დროის ფლანგვა და „წყლის ნაყვ“ იყო; თუმცა, სინამდვილეში ეს ის მაჩვენებელია, რომელსაც ნიშნების გონიერი თეორეტიკოსი უნდა მოელოდეს. დავუშვათ, სხვებისადმი თბილი დამოკიდებულების ნიშანს ვიყენებთ იმის პროგნოზირებისთვის, ინდივიდი გაუღიმებს თუ არა ოთახში შემოსულ უცხო ადამიანს (Costa & McCrae, 1998b, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003). ვინაიდან ვიცით, რომ ნიშნები ალბათობის საფუძველზე ოპერირებენ, ადამიანები ყოველი ნიშნის მიხედვით დაბალიდან მაღალ მაჩვენებელამდე ნაწილდებიან და უმრავლესობა ზარისებრი განაწილების შუა ნაწილში ხვდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველაზე ცივი ადამიანების 10% გაიღიმებს, როდესაც ლაბორატორიაში უცნობი შემოვა, ხოლო ყველაზე თბილი ადამიანების 90% განახორციელებს იგივე ქცევას. დანარჩენები სადღაც შუაში აღმოჩნდებიან. თუ რეალურად ასეთი რიცხვები მივიღეთ, შეიძლება გახარებულები დავრჩეთ იმით, თუ რამდენად კარგად პროგნოზირებს ნიშნის თეორია ქცევას; თუმცა, ამ შემთხვევაში სხვებისადმი სითბოსა და ღიმილს შორის კორელაცია მხოლოდ 0.41-ს უდრის, რაც ნიშნავს იმას, რომ ღიმილის ქცევის მხოლოდ 16% აიხსნება ცდის პირის მიერ მოცემული ნიშნის ფლობის ხარისხით. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ ნიშნები ასეთი სუსტია ქცევის პროგნოზირებისთვის, მაშინ რა ხიბლი აქვს ამ თეორიას და რაში გვჭირდება? როგორც ეფშტეინმა (1979) აჩვენა, ამ კითხვაზე პასუხი ისაა, რომ იშვიათად ვართ დაინტერესებულნი ერთი ცალკეული ქცევის პროგნოზირებით. ჩვენ, როგორც წესი, გვსურს, ვიცოდეთ, ზოგადად როგორ იქცევიან ადამიანები და თუ ბევრ შემთხვევაში გამოვლენილ ქცევებს

გავასაშუალოებთ, საკმაოდ მაღალი ალბათობითა და სიზუსტით შევძლებთ მოცემული ქცევის პროგნოზირებას (McCrae, R. R., Costa, P. T., Ostendorf, F. et al., 2000).

„აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების პატერნებში“ იგულისხმება მითითება ნიშნების სიფართოვესა და ზოგადობაზე. ნიშნები უნდა განვასხვავოთ უბრალო ჩვევებისგან ანუ ისეთი განმეორებადი, მექანიკური ქცევებისგან, როგორცაა მოწევა, მანქანით სწრაფად სიარული ან ყოველი წინადადების მერე „ხო გესმის“-ის თქმა. ჩვევები სპეციფიკური/კონკრეტული დასწავლილი ქცევებია; ნიშნები განზოგადებული დისპოზიციებია, რომლებიც სხვადასხვა სპეციფიკურ/კონკრეტულ აქტში ვლინდება. ჩვევები ადრე დასწავლილი ქცევის გაუაზრებელი გამორებაა, ნიშნები კი ადამიანებს ხშირად სრულიად ახალი ქცევების ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს და ზოგჯერ ეს ხანგრძლივი ფიქრისა და დაგეგმვის შემდეგ ხდება. მანქანის სწრაფად ტარება შეიძლება უბრალო ჩვევა იყოს, რომელიც, ალბათ, მეგობრების ან მშობლების მიბაძვითაა დასწავლილი, მაგრამ თუ ადამიანი მანქანით სწრაფად დადის, ხმამაღალი მუსიკა და მასშტაბური ატრაქციონებიც უყვარს და არც მსუბუქ ნარკოტიკზე ამბობს უარს, შესაძლოა, ზოგადი პატერნის კონტურების გარჩევა დავიწყოთ, რომელსაც პირობითად აგზნებების და მძაფრი შთაბეჭდილებების ძიება შეიძლება ვუწოდოთ (Zuckerman, 1979, წყაროში (McCrae R. R., Costa, P. T., 2003)). ნიშანი, ბევრი თვალსაზრისით, მოტივს უფრო წააგავს, ვიდრე ჩვევებს და ხშირად არც ისე ნათელია, ისეთ დისპოზიციას, როგორცაა მძაფრი შთაბეჭდილებების ძიება, ნიშანი უნდა ვუწოდოთ თუ მოტივი. როგორც ჩანს, ნიშანი უფრო ფართო, ბევრის მომცველი ტერმინია და ადამიანის თანმიმდევრულობის მოტივაციურ, სტილისტურ და სხვა ასპექტებზე მიუთითებს.

ფრაზა „კონსისტენტური პატერნები“ გვიჩვენებს, რომ ნიშნები უნდა განვიხილოთ, როგორც დროში (დროში განფენილად), ისე — სიტუაციიდან სიტუაციაში (სხვადასხვა სიტუაციაში). ეს ნიშნავს იმას, რომ ნიშნები უნდა განვასხვავოთ წარმავალი გუნება-განწყობილებებისგან, ცნობიერების ხანმოკლე მდგომარეობებისგან და დროებითი სტრესისა და დამაბულობებისგან. თუ ინდივიდი მშფოთვარე და მტრულია დღეს, მაგრამ — გაწონასწორებული და კეთილგანწყობილია ხვალ, ამ ემოციებს სიტუაციას მივაწერთ, სავარაუდოდ, სამსახურის ზეწოლას ან მეუღლესთან ჩხუბს. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ნიშნის მოქმედების შესახებ დასკვნის გაკეთება, როდესაც ემოციები, დამოკიდებულებები ან სტილი მდგრადად ნარჩუნდება გარემო პირობების ნებისმიერი ცვლილებებისდა მიუხედავად. პიროვნული ნიშნების საზომებმა მაღალი რეტესტული სანდოობა უნდა აჩვენონ, როდესაც სხვადასხვა დღეს ან რამდენიმე კვირის შუალედით ხდება მათი ადმინისტრირება, ვინაიდან ნიშნები სიტუაციების, წელიწადის დროების ან დღის დროს მახასიათებელი კი არ არის, არამედ — ინდივიდის, მისი ცხოვრების კონკრეტულ მონაკვეთში (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## სიტუაციური გავლენა ქცევაზე და ნიშნის ცნება

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების შესახებ მეცნიერება კონსისტენტურობების (თანმიმდევრულობების, მდგრადი მახასიათებლების) შესწავლაზეა დამოკიდებული, ნიშნების არსებობა ეჭვ ქვეშ დადგა გასული საუკუნის შუა წლებიდან (მაგალითისთვის იხ. Kenrick & Funder, 1988) და ამაში, ძირითადად, ბიჰევიორისტული ორიენტაციის ავტორებს მიუძღვით წვლილი, რომელთაც ეჭვი შეიტანეს ნიშნების არსებობაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქცევა სოციალურ კონტექსტზეა დამოკიდებული და ამიტომ ქცევის კონსისტენტურობა იმის გვერდითი შედეგია, რომ პიროვნება მსგავს სიტუაციებში ხვდება. S→R ბიჰევიორიზმი (Skinner, B. F., 1974) სტაბილური სტიმულ-რეაქციის კავშირების კანონზომიერებების დადგენით უფრო არის დაინტერესებული, ვიდრე პიროვნების სტაბილური თვისებების კვლევით.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქცევა სიტუაციურ მანიშნებლებზეა დამოკიდებული, თანხვდება საზოგადოებაში გავრცელებულ საღ აზრს. ჩვენ განსხვავებულად ვიქცევით ქორწილში და წირვაზე; განსხვავებულია ჩვენი ქცევა იმ სოციალური როლის მიხედვითაც, რომელსაც მოცემულ მომენტში ვასრულებთ, იქნება ეს მასწავლებლის, მშობლის თუ მეუღლის როლი. ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ასეთი მაგალითები ადასტურებს და შეესატყვისება მოსაზრებას, რომ სოციალური სიტუაციები

განსაზღვრავენ ჩვენს ქცევას. ბიჰევიორისტებმა უამრავი დაკვირვებით და ექსპერიმენტით დაასაბუთეს ეს ლაბორატორიებში, როდესაც აჩვენებდნენ, რომ ადამიანების მიერ განხორციელებული ქცევა ექსპერიმენტული პირობების ანუ მანიპულაციების შესატყვისად წარმართება (Buss, A. H., 1989). ამასთან, ნიშნების კრიტიკოსები ხშირად მიმართავენ მიშელის (1968) ზემოთ ხსენებულ ნაშრომს, სადაც ის წერს, რომ პიროვნული ტესტების ქულებსა (რომელიც, დაშვების თანახმად, ასახავს ნიშნებს) და ქცევით კრიტერიუმებს შორის გამოვლენილი კორელაცია იშვიათად აღემატება 0.30-ს.

მიუხედავად ბიჰევიორისტული არგუმენტის ინტუიტიური მართებულობისა, არსებობს ხუთი არგუმენტი, რომლითაც ნიშნების კონცეფციის წარმომადგენლები ნიშნების არსებობას ასაბუთებენ.

### **1. სანდო სიტუაციურმა გავლენამ უნდა გამოავლინოს გავლენის მოხდენის უნარის დროში მდგრადობა**

თუ სიტუაცია სანდოდ აკონტროლებს ქცევას, მაშინ ადამიანებს უნდა შეეძლოთ სიტუაციურ მანიშნებლებზე რეაგირება; სხვა სიტყვებით, ეს არის ნიშანი სიტუაციებზე რეაგირებადობა.<sup>11</sup> ამას ნიშნების ყველაზე მწვავე კრიტიკოსებიც კი აღიარებენ (მაგალითად, Ross, 1977, გვ. 176, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

### **2. ინდივიდები ერთსა და იმავე სიტუაციაში განსხვავებულად რეაგირებენ**

ყველაზე გავლენიან სიტუაციებშიც კი, როგორცაა, მაგალითად, აშის პერცეპტული კონფორმულობის კვლევის ექსპერიმენტული სიტუაცია, სიტუაციაზე ადამიანების რეაქცია განსხვავებული იქნება მათი პიროვნებიდან გამომდინარე, ანუ ყველაზე მძლავრ სოციალურ სიტუაციებში ინდივიდის რეაქცია მაინც მისი პიროვნების ფუნქციაა (Baron, 1953, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). ამ მოსაზრებასაც აღიარებენ ნიშნების კრიტიკოსები.

### **3. ნიშნის ქონა ერთსა და იმავე სიტუაციაში და არა — სხვადასხვა სიტუაციაში — კონსისტენტურად რეაგირებას ნიშნავს**

ის ფაქტი, რომ პიროვნება არაკონსისტენტურია (არათანმიმდევრულია) სხვადასხვა სიტუაციაში, სრულიად არ შეესატყვისება ნიშნის ცნების ვალიდობას (Johnson, J. A., 1997). ეს მომენტი თავად ნიშნების დამცველების ყურადღების მიღმაც კი რჩება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ნიშანი უბრალოდ „კროს-სიტუაციური კონსისტენტობაა“. ნიშნის კროს-კულტურული მდგრადობის დებულებაში გასარკვევად ანალოგია შეგვიძლია გამოვიყენოთ: არ არის აუცილებელი, რომ მარლი მართლა გავხსნათ ბენზინში, რომ ის წყალში ხსნადად აღვწეროთ. ანალოგიურად, არ არის საჭირო, რომ პიროვნებამ იდენტური ქცევები განახორციელოს სხვადასხვა გარემოში, რათა ვთქვათ, რომ მას აქვს ესა თუ ის ნიშანი. ნიშნის ცნებაში მოიაზრება დროთა განმავლობაში შექმნილ მსგავს სიტუაციებში განხორციელებული კონსისტენტური რეაქციები და არა — კონსისტენტური რეაქციები, რომლებიც დროის ერთ პერიოდში სხვადასხვა სიტუაციაში იჩენენ თავს. თუ ვინმეზე ვამბობთ, რომ ამა და ამ ნიშნით ხასიათდება, ეს ავტომატურად გულისხმობს შესატყვისი ტიპის სიტუაციასაც. მაგალითად, „თანამშრომლობითი“ გულისხმობს რაციონალობის ფარგლებში მიღებული თხოვნების გათვალისწინებას და მათზე მუშაობას და არა — განურჩევლად ყველას თხოვნის შესრულებას, როგორც აბსურდული და შეუძლებელიც არ უნდა იყოს ეს თხოვნა (Johnson, J. A., 1997).

### **4. ნიშნის ქონა არ ნიშნავს, რომ რეაქციები აბსოლუტურად კონსისტენტური იქნება**

ქცევა რომ დროში კონსისტენტური (დროში უწყვეტი) იყოს, არ არის აუცილებელი, რომ ის იდენტური იყოს ყოველ რელევანტურ სიტუაციაში. მაგალითად, *აღვირაბსნილი* ინდივიდი ხელიდან არ უშვებს მეორე ადამიანთან სექსუალური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას და უფრო ხშირად ამყარებს ასეთ ურთიერთობებს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ადამიანი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ყოველ

<sup>11</sup> Trait if being responsive to situations.

შემხვედრთან ეცდება სქესობრივი კავშირის დამყარებას (Johnson, J. A., 1996, წყაროში Johnson, J. A., 1997). შესაბამისად, ნიშნის გაზომვით მიღებული მაჩვენებელი ქცევის გაშუალებული ტენდენციის მაჩვენებელია და არ გვაძლევს საშუალებას, ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ, თუ კონკრეტულად რას მოიმოქმედებს ამა თუ იმ ნიშნის მქონე კონკრეტული პიროვნება კონკრეტულ მოცემულ სიტუაციაში (Johnson, J. A., 1997).

### 5. ქცევის არაკონსისტენტურობა არ გამოირიცხავს ნიშნის შინაგან კონსისტენტურობას

დროში ქცევის კონსისტენტურობის არარსებობით არ გამოირიცხება ემოციური ან კოგნიტური ნიშნების არსებობა (Johnson, J. A., 1997). ემოციური ნიშანი, მაგალითად, იშვიათად შეიძლება გამოვლინდეს, სხვა ემოციურ ნიშნებთან კონფლიქტის გამო. პიროვნებას, შესაძლოა, მუდმივად სურდეს წვეულებებზე სიარული, მაგრამ რეალურად იშვიათად დადიოდეს ასეთი თავშეყრის ადგილებზე უბრალოდ იმიტომ, რომ ძალიან უნდოდეს დაწყებული საქმის სწრაფად დასრულება (Alson, 1975, წყაროში Johnson, J. A., 1997). შესაძლებლობის არარსებობაც შეიძლება იყოს ემოციური ან კოგნიტური ნიშნის გამოვლენის დამაბრკოლებელი. მამაცი ადამიანი დამლევს შიშს და საფრთხის პირობებში განახორციელებს სათანადო ქცევას, თუმცა, ამისათვის ის, პირველ რიგში, უნდა აღმოჩნდეს ასეთ სიტუაციაში. თუ სათანადო სიტუაცია არ შეექმნა, მან მთელი ცხოვრება შეიძლება ისე იცხოვროს, რომ ეს ნიშანი არ გამოვლინდეს დაკვირვებად ქცევაში. ანალოგიურად, კოგნიტური პიროვნული ნიშნები შეიძლება მანამდე იყოს შეუმჩნეველი, სანამ პიროვნებას მათი დემონსტრირების შესაძლებლობა არ მიეცემა.

გარდა ამისა, ალსტონი (1975, წყაროში Johnson, J. A., 1997) მიუთითებს, რომ ზოგიერთი მოთხოვნილება (მაგალითად, შიმშილი) ციკლურია.

### ფენოტიპური და გენოტიპური ნიშნები

ტრადიციულად, განასხვავებენ ნიშნების ორ ფორმას (Allport, G. W., 1937): (ა) გარეგან ნიშნებს, რომლებსაც შეგვიძლია უშუალოდ, პირდაპირ დავაკვირდეთ (ქცევითი ნიშნები) და (ბ) შინაგან ნიშნებს (ემოციურ და კოგნიტურ ნიშნებს), რომელთა არსებობის შესახებ უნდა დავასკვნათ. ნიშნების ამ ორი ფორმის ერთმანეთისგან განსასხვავებლად მეჰლი (1856, წყაროში Johnson, J. A., 1997) ბიოლოგიიდან იღებს ტერმინებს „ფენოტიპური“ და „გენოტიპური“. სხვა ავტორები (Wiggins, J. S., 1997) ამისათვის ლინგვისტურ მეტაფორებს იყენებენ: ქცევითი ნიშანი წინადადების ზედაპირული სტრუქტურის ანალოგია, რომლის მნიშვნელობაც გაშუალებულია, ხოლო შინაგანი ნიშნები ასახავენ იმ მისწავლებებს ან ღრმა სტრუქტურას, რომელიც გასაგებს ხდის (ხსნის) ქცევის მნიშვნელობას.

აღსანიშნავია ორი დაშვება ნიშნების ორი ფორმის შესახებ: (1) გარეგანი ნიშნები იმ ქცევის დესკრიპტორებია (აღმწერებია), რომელიც ახსნას საჭიროებს, ხოლო შინაგანი ნიშნები — ის მიზეზები, რომლითაც აიხსნება გარეგანი ნიშნები. (2) დაშვებულია, რომ დამკვირვებლებს ხელი მიუწვდებათ გარეგან ნიშნებზე, აქტორებს კი — შინაგან ნიშნებზე. ასევე, დაშვებულია, რომ ეს წვდომა, თავის მხრივ, ზემოქმედებს დამკვირვებლის რეიტინგების ვალიდობაზე (ორი ტიპის ნიშნების თვითრეიტინგის საპირისპიროდ). მიუხედავად იმისა, რომ ორივე დაშვებას აქვს თავისი ღირსება, ჯონსონი (1997) თვლის, რომ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ არის მართებული.


### ნიშნები, როგორც აღმწერები (დესკრიპტორები) და როგორც ამხსნელები

ნიშნების მიდგომების განხილვისას აუცილებლად დგება ნიშნის ახსნითი სტატუსის საკითხი: ნიშანი აღწერს თუ ხსნის გამოვლენილ ქცევით კანონზომიერებებს? ამ კონტექსტში საკითხის დაყენების ყველაზე მარტივი ფორმა იქნება, თუ ვიკითხავთ: ნიშნები „რეალურია“ თუ „მოსახერხებელი ფიქცია“ რომლითაც ვურთიერთობთ? (Briggs, 1989, გვ. 251, ციტირებულია წყაროში Pervin, L. A., 2003). ხშირად მათ დესკრიპტორად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე ქცევის ამხსნელად (Weimer, 1984, წყაროში Johnson, J. A., 1997). აიზენკი (1992, წყაროში Pervin, L. A., 2003) თვლიდა, რომ სათანადო თეორიის გარეშე ჩაკეტილ წრეზე



სიარულს ემსგავსება ნიშნებზე საუბარი და ეს ნიშნების ერთ-ერთი ძირითადი კრიტიკის საგანია. აქ იგულისხმება ის, რომ ნიშნის ცნებას იმ ქცევის ასახსნელად ვიყენებთ, რომლის მიხედვითაც ვასკვნით ამ ნიშნის არსებობის შესახებ: ადამიანები „იმიტომ“ იქცევიან ექსტრავერტირებულად, რომ ისინი ექსტრავერტები არიან, მაგრამ მათი ექსტრავერტობის შესახებ მათივე ექსტრავერტული ქცევის მიხედვით ვასკვნით (Pervin, L. A., 2003). თუმცა, რიგი ავტორებისა (Wiggins, J. S., 1997) თვლის, რომ ქცევითი ნიშნის მაგალითით ილუსტრირება მოქმედების ვალიდური ახსნაა. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ გიორგიმ იმიტომ დაარტყა დავითს, რომ ის აგრესიული ადამიანია, ვიგულისხმებთ, რომ გიორგის ქცევა არ არის მისთვის უჩვეულო და უცხო; შესაბამისად, ადარ საჭიროებს შემდგომ ახსნა-განმარტებას. მრავალ ჩვეულებრივ ადამიანს, არამეცნიერს სრულიად აკმაყოფილებს ისეთი ახსნები, როგორცაა „ეს ჩვეულია მისთვის“, ან „ესეთია ბუნებით“ (Young, 1975, წყაროში Johnson, J. A., 1997). ჩვეულებისამებრ, ადამიანები მხოლოდ მაშინ იწყებენ ქცევის უფრო სიღრმისეული ახსნების ძიებას, როდესაც ეს ქცევა არ ზის ადამიანის ხასიათში, ან მისთვის ჩვეულ ქცევათა დიაპაზონს სცილდება.

ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, ფსიქოლოგებს ნორმალური ქცევითი ნიშნების ახსნა სურთ. **სურ. N 2. შინაგანი და გარეგანი ნიშნების ურთიერთმიმართება.**



ერთ-ერთი მიდგომა იმ შინაგანი ემოციური და კოგნიტური ნიშნების შესახებ ჰიპოთეზების გამოთქმას გულისხმობს, რომლებიც წარმოქმნიან ქცევით ნიშნებს. მრავალ ასეთ ახსნაში სწორედ ეს შინაგანი ნიშნები ქმნიან თეორიული ახსნის ბაზისურ დონეს, როგორც ეს წარმოდგენილია სურათზე N2.

ვეიმერის (1984, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997) მოდელში „ახსნილი არაამხსნელი“ არის ცაკლეული მოვლენები, რომლებსაც

სჭირდებათ ახსნა, მაგრამ თავად არაფერს ხსნიან. ამ კატეგორიაში შედის ცალკეული ქცევითი აქტები. „ახსნილი ამხსნელი“ ემპირიული რეგულარობები ანუ კანონებია, რომლებიც ცალკეული მოვლენების ასახსნელად გამოიყენება, მაგრამ თავადაც საჭიროებენ ახსნას. ამ კატეგორიაში შედის ზოგადი ქცევითი ნიშნები. „აუხსნელი ამხსნელი“ მეტათეორიული დაშვებებია არავერიფიცირებადი,<sup>12</sup> სტრუქტურული ერთეულების შესახებ, რომლებიც ხსნიან ემპირიულ კანონებს, მაგრამ თავად არ ექვემდებარებიან ახსნას. ამ მეტათეორიულ ერთეულებს განეკუთვნებიან არადაკვირვებადი ფსიქიკური სტრუქტურები.

დებულება იმის შესახებ, რომ ემოციური და კოგნიტური ნიშნები საფუძვლად უდევს და ხსნის ქცევით ნიშნებს, ფაქტობრივად, საღი აზრის დონეზეც არსებობს და „ბავშვობიდან ნაცნობია ჩვენთვის“ (Alston, 1975, გვ. 24, ციტირებულია წყაროში Johnson, J. A., 1997). ამასთან, ემოციურ ნიშნებში ფსიქოლოგები ხშირად მოიაზრებენ ხოლმე მოტივებს, ხოლო კოგნიტურ ნიშნებში — რწმენებს (Averill, J. R., 1997).

ნიშნების კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ნიშნების მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების წყაროების ბიოლოგიურ ფუნქციონირებაში ძიება (Pervin, L. A., 2003). თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს კორელაციები ანუ ასოციაციებია და ვერ დავასკვნით, რომ ასოცირებული ბიოლოგიური ცვლადები იწვევენ ნიშნებში ან თვალსაჩინო ქცევებში არსებულ ინდივიდუალურ განსხვავებებს. ისეთი ფსიქოლოგიური ცვლადების, როგორცაა ნიშნები, მიმართება ისეთ ბიოლოგიურ ცვლადებთან, როგორცაა, მაგალითად, ნეიროტრანსმიტერები, ძალზე კომპლექსურია და მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს. ნათელია, რომ არსებობს ყველა ფსიქოლოგიურ პროცესის შესატყვისი ბიოლოგიური პროცესი, თუმცა, ზოგიერთი ფსიქოლოგი ამტკიცებს, რომ ფსიქოლოგიური

<sup>12</sup> ის, რაც არ ექვემდებარება შემოწმებას.

პროცესები ვერ დაიყვანება ანდა ვერ აიხსნება ბიოლოგიური პროცესებით და, მამასადამე, ისინი ანალიზის მათთვის განკუთვნილ დონეზე უნდა იქნან განხილულნი (Bandura, A., 2001b).

### რამდენი ნიშანია საკმარისი და რომელია ეს ნიშნები

ნიშნების ფსიქოლოგიაში არ არსებობს შეთანხმებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენი ბაზისური ნიშანია საკმარისი პიროვნების აღსაწერად (Pervin, L. A., 2003). ოლპორტი ბევრ ნიშანს ასახელებდა, კეტელი — მხოლოდ 16 ძირითადს, აიზენკი კი სულაც სამ ფაქტორზე ჩერდებოდა. ხუთფაქტორიანი მოდელის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ამ მოდელის ფარგლებში მიღწეულ იქნა შეთანხმება, თუმცა, სამფაქტორიანი მოდელსაც ჰყავს თავისი მომხრეები. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სამფაქტორიანი მოდელი ხუთფაქტორიანი მოდელით შეიძლება აიხსნას, თუმცა, სხვები არ ეთანხმებიან ამ პოზიციას. მეტიც, სამფაქტორიანი და ხუთფაქტორიანი მოდელების ფარგლებშიც კი ვერ თანხმდებიან სრულად ძირითადი ფაქტორების ბუნების თაობაზე (Pervin, L. A., 2003).

გარდა ამისა, რასაც არ უნდა ზომავდნენ ეს ნიშნები პიროვნებაში, მაინც რჩება საკამათო საკითხები. პირველ რიგში, რიგი მკვლევრებისა ამტკიცებენ, რომ ყველა ფაქტორი არ არის წარმოდგენილი და მოდელი ჯერ კიდევ შესავსებია. მაგალითად, ამბობენ, რომ მოდელში უნდა შევიდეს ისეთი ფაქტორები ანუ ნიშნები, როგორცაა *რელიგიურობა, ნორმებისადმი მორჩილება, მანიპულატორულობა და მაცდუნებლობა* (MacDonald, წყაროში Pervin, L. A., 2003). მეორე, ნიშნები მხოლოდ პიროვნების მახასიათებლებს აღწერენ თუ პიროვნების უფრო სიღრმისეული ანალიზისთვისაც გამოდგება? მაკადამის (1996) სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს *უცნობის ფსიქოლოგიაა*. პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ შეუძლებელია ამ მოდელით პიროვნების სრულად აღწერა და სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ მასში ისეთი ცნებებიც უნდა შევიდეს, როგორცაა მე-კონცეფცია და დამახასიათებელი ადაპტაციები (McCrae, R.R., & Costa, P. T., Jr., , 1999).

და მაინც, რამდენი ბაზისური ნიშნით შეგვიძლია აღვწეროთ პიროვნება? მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თეორეტიკოსები და მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ ადამიანის მახასიათებელთა ნებისმიერი რაოდენობა ერგება ნიშნების დეფინიციას (McAdams, 2006). არსებობს ფიზიკური ნიშნები (მაღალი, ჯანმრთელი), უნარების ნიშნები (ინტელექტი, მუსიკალური) და სოციალური ნიშნები (მდიდარი, ცნობილი). ჩვენ ის პიროვნული ნიშნები გვანტერესებს, რომლებიც ემოციურ, ინტერპერსონალურ, გამოცდილების, დამოკიდებულებებისა და მოტივაციურ სტილებს აღწერენ. პიროვნული ნიშნების დიაპაზონისა და მრავალფეროვნების შესახებ წარმოდგენის შექმნის ერთ-ერთი გზა ლექსიკონში ჩახედვაა. ბუნებრივი სამეტყველო ენა<sup>13</sup> აბნევს ნიშნების ფსიქოლოგს ნიშნების აღწერისთვის გამოყენებული სიტყვების სიმდიდრით. იმდენად მნიშვნელოვანია ადამიანების აღწერები, რომ ენაში ათასობით ტერმინი არსებობს, რომლებიც უმცირეს ელფერებსაც კი განასხვავებენ ყოველი კონკრეტული ნიშნის შემთხვევაში, რაც ახარებს პოეტს და აბნევს ემპირიკოს მკვლევარს. პირველისადმი ერთ-ერთი ძირითადი მიდგომა სწორედ ბუნებრივ ენაში არსებული ნიშნების აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზზე ფოკუსირდება (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

უფრო გავრცელებული ალტერნატივაა ფსიქოლოგიური თეორიითა და გამოცდილი კლინიკოსებისა და მკვლევრების ინსაიტებით დაწყება. როგორც ქიმიკოსებისგან ან ანატომებისგან არ ველით, რომ თავიანთ კლასიფიკაციებს ყოველდღიური მეტყველებიდან აღებული ტერმინოლოგიით ააგებენ, ასევე, ბევრი ფსიქოლოგი ექვის თვალთ უყურებს ნიშნების ყოველდღიურ ლექსიკონს.

კონკრეტული მახასიათებლების შესახებ თეორიებს ხშირად მივყავართ ნიშნების საზომების შექმნამდე. ასობით სკალა შეიქმნა ასე. მაგალითად, როკიჩმა (Rokeach, 1960, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) შექმნა კითხვარი დოგმატიზმის ცნების გასაზომად, კრენდელმა კი (Crandall, 1981, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) პრიორიტეტების ჩამონათვალი შემოგვთავაზა ალფრედ ადლერისეული

<sup>13</sup> ორიგინალურ წყაროში საუბარია ინგლისურ ენაზე, რომელზეც შეიქმნა ნიშანთა თეორია და, შესაბამისად, მეცნიერებმა მუშაობა ინგლისური ენის ლექსიკონის ანალიზით დაიწყეს.

სოციალური ინტერესის ცნების შესაფასებლად. ათობით სკალა არსებობს, რომლებიც მოწოდებულია დეპრესიისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა ისეთი ცნებების გასაზომად, როგორცაა მარტობა და უიმედობა. ამ სკალათა დიდი ნაწილი ტექნიკურად ბრწყინვალედ გამართული ინსტრუმენტია, მაგრამ მათი აურაცხელი რაონოდენობა ართულებს პიროვნული ცვლადების სრულად მოცვას.

სფეროში გარკვეული წესრიგის შემოტანის მიზნით, მკვლევრები გვთავაზობენ ნიშნების სისტემებს, ზოგჯერ დახვეწილ თეორიაზე, ზოგჯერ კი — მსჯელობაზე დაყრდნობით არჩეულ ნიშნებზე დაფუძნებულს. ბევრმა მათგანმა შექმნა ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც ერთდროულად ზომავენ სისტემაში გაერთიანებულ ყველა ნიშანს და, ამგვარად, პიროვნების შედარებით სრულ პროფილს იძლევიან, ვიდრე — ნებისმიერი ცალკეული სკალა (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

აღსანიშნავია, რომ იუნგის მიერ შემოთავაზებული ფსიქოლოგიური ტიპების თეორია ბევრი ინსტრუმენტის საფუძველი გახდა. კერძოდ, ორი იუნგიანული ნიშნის — ინტროვერსიისა და ექსტრავერსიის — საზომი ძალიან სწრაფად გახდა პოპულარული.

პიროვნების კვლევაში ფაქტორული ანალიზის ერთ-ერთი ადრეული გამოყენება გილფორდსა და გილფორდს ეკუთვნით, რომლებმაც ინტროვერსია-ექსტრავერსიის საზომების ანალიზი განახორციელეს და აღმოაჩინეს, რომ აქ რამდენიმე განსხვავებული ნიშანი იყო წარმოდგენილი. ჯ. პ. გილფორდმა განაგრძო პიროვნების კვლევაში ფაქტორული ანალიზის გამოყენება და 10 ნიშნის საზომი ინსტრუმენტი შექმნა, რომელიც გილფორდ-ციმერმანის ტემპერამენტის კითხვარის (1976) სახელით არის ცნობილი (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

ჰანს აიზენკი, ფაქტორული ანალიზით მომუშავე ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსი, აღნიშნავდა, რომ ექსტრავერსია ორი ფუნდამენტური განზომილებიდან ერთ-ერთია, რომელიც მრავალი პიროვნული კითხვარის ანალიზისას ისევ და ისევ ჩნდება. მეორე განზომილება ემოციური არასტაბილობა ანუ არადაპტირებულობაა. ვინაიდან ეს მახასიათებელი, ტრადიციულად, ნევროზის დიაგნოზის მქონე ინდივიდებში ჩანდა ყველაზე კარგად, მას ნევროტიზმი (ანუ ნეიროტიციზმი) უწოდა. მოგვიანებით მან აღნიშნულ ორს მესამე განზომილება — ფსიქოტიციზმი — დაამატა (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

ინტროვერსია-ექსტრავერსიის გარდა, იუნგიანული ფსიქოლოგია ყურადღებას უთმობს ორ სხვა კონტრასტულ მახასიათებელს: შერძნება-ინტუიციას და აზროვნება-გრძნობას. სწორედ ამ მახასიათებლებს ზომავს მაიერ-ბრიგის ტიპის ინდიკატორი (Myers & McCaulley, 1985, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003); ასევე, ამატებს მსჯელობა-აქტის კონტრასტულ წყვილს.

ჰენრი მარეი, როგორც ფსიქოდინამიკოსი, პიროვნების გასაღებად მოტივაციას მიიჩნევდა (Murray, 2008). მან და მისმა კოლეგებმა ჰარვარდის ფსიქოლოგიურ კლინიკაში მოთხოვნილებების ანუ მოტივების ჩამონათვალი შექმნეს, რომლებიც ინდივიდის პიროვნების საკმარისად სრულად აღსაწერად აუცილებლად იქნა მიჩნეული. მარეის მიერ დასახელებულ 20 მოთხოვნილებას შორისაა მიღწევის, ავილაციისა და ზრუნვის მოთხოვნილებები. მრავალი ინსტრუმენტი შეიქმნა ამ მოთხოვნილებების გასაზომად, რომელთა შორის საუკეთესო, ალბათ დუგლას ჯექსონის (1984) პიროვნების კვლევის ფორმაა (McAdams, D. P., 2006).

ჯეკ ბლოკი (1961) დინამიკურად ორიენტირებული ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების კიდევ ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, რომელმაც პიროვნების აღწერისთვის მოწოდებული სტანდარტული ენა შეიმუშავა. კონკრეტული თეორიის პოზიციის დაკავების ნაცვლად, ამ ჯგუფის მიერ შექმნილი დებულებები აღწერის თეორიულად ნეიტრალური სტანდარტული ენის შექმნას ისახავდა მიზნად, რომელიც ნებისმიერი სკოლის წარმომადგენელ მკვლევარსა თუ კლინიკოსს გამოადგებოდა (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

ფსიქიატრმა ჰარი სტაკ სალივანმა ფსიქიატრიის ინტერპერსონალური თეორია შექმნა, რომელმაც ნიშნების ორ მნიშვნელოვან სისტემაზე იქონია ზეგავლენა. ინტერპერსონალური ქცევის კურსის სტუდენტებმა (Leary, 1957; Wiggins, 1979, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) აღმოაჩინეს, რომ ნიშანთა უმრავლესობა, რომლებიც სხვებთან ურთიერთქმედების (ინტერაქციის) სტილებს აღწერენ, წრიულად შეიძლება დალაგდნენ ორი ღერძის — *სიყვარულის* ანუ ავილაციის და *სტატუსის* ანუ დომინანტობის —

გასწვრივ. ინტერპერსონალური ინტერაქციების (ანუ პიროვნებათშორისი ურთიერთქმედებების) კონცეფციები, ასევე, მთავარ როლს ასრულებს პიროვნული აშლილობების ფორმულირებაშიც და 1994 წელს ისინი DSM-IV-შიც კი ჩართეს. ეს პიროვნული აშლილობები შეიძლება გავიგოთ, როგორც ნორმალური პიროვნული ნიშნების არაადაპტური ვარიანტები (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენი ნიშანი გვჭირდება ამა თუ იმ პიროვნების აღსაწერად და რამდენად სრული იქნება ეს აღწერა, იმ თეორიულ ჩარჩოზე დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც ვცდილობთ შეფასების განხორციელებას. ასევე, განსხვავებული იქნება ის სიღრმე თუ დიაპაზონი, რომელსაც მოვიცავთ პიროვნების აღწერისას.

## ნიშნების იდენტიფიცირება და გაზომვა

ამ ქვეთავში განვიხილავთ, თუ რა ძირითად მიდგომებს იყენებენ ნიშნების ფსიქოლოგები პიროვნული ნიშნების გამოვლენისა და გაზომვისთვის; ასევე, მოკლედ მიმოვიხილავთ ნიშნების საზომის აგების პროცედურებს, კარგი საზომის მახასიათებლებსა და იმ ზოგიერთ კონკრეტულ ინსტრუმენტს, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება პიროვნების მახასიათებლების საკვლევად.

დისპოზიციურ ფსიქოლოგიაში მომუშავე მკვლევრები ნიშნების შესწავლას რამდენიმე ძირითადი მიდგომის გამოყენებით ცდილობენ, ესენია: ფსიქომეტრული მიდგომა ფაქტორული ანალიზის გამოყენებით, თეორიული და რაციონალური კონსტრუქტების შექმნა და იდეოგრაფიული კვლევა.

### ცნებებიდან მონაცემებამდე

მეცნიერებაში ყველაზე ძნელი იდეებისა და რეალობის ერთმანეთთან მორგებაა და ამისათვის ყოველთვის რაღაც უნდა გავზომოთ. შეიძლება ვვარაუდობდეთ, რომ გაყიდვების მენეჯერი ექსტრავერტი უნდა იყოს, მაგრამ ამის დასამტკიცებლად უნდა შეგვეძლოს ექსტრავერსიის გაზომვა და სხვა ადამიანების დარწმუნება, რომ ეს გაზომვა წარმატებულია. თუ ამის გაკეთებას მოვახერხებთ, მაინც საფიქრალი იქნება ჩვენი შერჩევის რეპრეზენტაციულობა, აღმოჩენილი განსხვავებების სიდიდე და მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას წამოიჭრება.

პიროვნების ნიშნის თეორიები, მრავალი თვალსაზრისით, ყველაზე ადვილად ოპერაციონალიზირებადია.<sup>14</sup> ვინაიდან ნიშნები განზოგადებული დისპოზიციებია, ვიცით, რომ სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის ან რეაქციების კონსისტენტური პატერნების დამადასტურებელი საბუთები უნდა ვეძებოთ. ნიშნები დროში განფენილად არსებობენ, ამიტომ ვიცით, რომ საზომი დაახლოებით ერთნაირ შედეგებს უნდა გვამლევდეს დროის ორ სხვადასხვა მომენტში (რამდენიმე კვირის ან თვის შუალედით) მიწოდებისას. ვინაიდან ინდივიდები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რამდენადაც მათ ახასიათებთ მოცემული ნიშანი, ვიცით, რომ საზომი ქულები განაწილებას ანუ შეფასებათა გარკვეულ დიაპაზონს უნდა მოიცავდეს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

მიუხედავად იმისა, რომ საზომის გამოყენების ყველა პირობა შეიძლება დავიცვათ, მაინც დგება ობიექტურობისა და სიზუსტის საკითხი, რაც წლების მანძილზე ფსიქოლოგთა დავის საგანს წარმოადგენდა. ბოლო 20 წელიწადში ეს დავა ფსიქოლოგთა უმრავლესობისთვის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად გადაწყდა. დღეისათვის დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ გაზომვის ნებისმიერი ცალკეული მეთოდი, კითხვებზე პასუხების ნებისმიერი წყარო აუცილებლად გარკვეული სახის შეცდომის მატარებელია და, შესაბამისად, ყველაზე მეტად იმ შედეგებში შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულნი, რომლებსაც რამდენიმე განსხვავებული მეთოდით ვიღებთ, როგორც ეს ჯერ კიდევ კემპბელმა და ფისკემ მიუთითეს 1959 წელს. თუმცა, ნელ-ნელა იმის საბუთებიც გროვდება, რომ სწორად

<sup>14</sup> ოპერაციონალიზაცია, როგორც ჩვენთვის საინტერესო თეორიული ცნებებისთვის სათანადო საზომების პოვნა.

გამოყენებულმა ბევრმა მეთოდმა კი მხოლოდ სიმართლესთან მიახლოებული შედეგი შეიძლება მოგვცეს. ამასთან, კვლევების მზარდი რაოდენობა აჩვენებს, რომ სხვადასხვა მეთოდს ადამიანების შესახებ ერთსა და იმავე დასკვნამდე მიყვავართ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## პიროვნების განზომილებების იდენტიფიცირება: ფსიქომეტრიული მიდგომა

### კითხვარების აგება და ფსიქომეტრიკა

ნიშნების თანამედროვე ხედვა მჭიდროდ უკავშირდება გაზომვისა და შეფასების პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია პიროვნების ბაზისური განზომილებების იდენტიფიცირებისთვის. როგორც წესი, ნიშნების მკვლევარს წინასწარ აქვს გარკვეული ჰიპოთეზა ძირითადი განზომილებების რაოდენობისა და ბუნების შესახებ და მათ გასაზომად ქმნის კითხვარს. შემდეგ იკვლევს, თუ რამდენად რეალურად მოქმედი ინსტრუმენტია მის მიერ შექმნილი კითხვარი და დებულებებს კვლევის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების შესაბამისად ცვლის (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

ნიშნების გასაზომი დამაკმაყოფილებელი კითხვარის შექმნა არ არის იოლი საქმე. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს დებულებების შემადგენლობა: ისინი ადვილად გასაგები, არაორაზროვანი, ყველა რესპონდენტისათვის გამოყენებადი უნდა იყოს და შეურაცხყოფას არ უნდა აყენებდეს მათ (იხ. Angleitner and Wiggins, 1986). ასევე,

### ერთსკალიანი კითხვარის ფსიქომეტრიკა

ნებისმიერი ერთსკალიანი კითხვარი სამ არსებით კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს, ესენია სანდობა, სტაბილობა და ვალიდობა (დაწვრილებით იხ. Anastasi & Urbina, 1997; Jensen, 1980; Kaplan & Saccuzzo, 2008).

#### სანდობა

სანდობა შეეხება იმას, თუ რამდენად ზუსტად ზომავს კითხვარი მოცემულ თვისებას. სანდობის შეფასება ერთი და იგივე შერჩევისთვის მოცემული ნიშნის შესაფასებელი ალტერნატიული საზომების მიცემით და მათ შორის კორელაციის გამოთვლით არის შესაძლებელი. თუ კორელაცია მაღალია, მაშინ ნიშანი კონსისტენტურად ფასდება და სკალა სანდო ანუ შინაგანად შეთანხმებულია. თუ კოეფიციენტი არ არის მაღალი, მაშინ ეს ორი, სავარაუდოდ ეკვივალენტური ფორმა არ აფასებს ერთსა და იმავე თვისებას და სკალა არ არის სანდო. ამ შემთხვევაში გადასასინჯია მასში შემავალი დებულებები.

დებულებათა ერთი ჯგუფისთვის ხშირად კრონბახის ალფა გამოითვლება, რომელიც, ფაქტობრივად, ტესტის საკუთარ თავთან კორელაციის საზომს წარმოადგენს. ზოგადად, ალფას მნიშვნელობა დებულებებს შორის კორელაციის და კითხვარში შემავალი დებულებების რაოდენობის მატებასთან ერთად იზრდება (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

#### სტაბილობა

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სანდობა და სტაბილობა, რომელიც დროის მოცემულ შუალედში ტესტ-რეტესტულ კორელაციას წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ პიროვნება ასაკის მატებასთან ერთად ნელ-ნელა იცვლება, მაგრამ, ასევე, მოსალოდნელია, რომ ნიშნების საზომების სტაბილურობა საკმაოდ მაღალი იქნება დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუ ჩვენს ხელთ არსებული სკალა სანდოა, მაგრამ დაბალი ტესტ-რეტესტული კორელაციით ხასიათდება, შესაძლოა, გუნება-განწყობილებას ან რომელიმე სხვა ცვლელად თვისებას ვაფასებდეთ და არა — ჭეშმარიტ ნიშანს (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### ვალიდობა

პიროვნული კითხვარის მესამე არსებითი თვისება ვალიდობაა. ის უნდა აჩვენებდეს, რომ მართლაც იმას ზომავს, რის გაზომვასაც ისახავს მიზნად. სკალა შეიძლება სანდო იყოს, მაგრამ არავალიდური. მაგალითად, მკითხავმა შეიძლება უაღრესად კონსისტენტური მეთოდი გამოიყენოს პიროვნების მომავლის ხელის გულის მიხედვით წინასწარმეტყველებისთვის, მაგრამ ტექნიკის კონსისტენტურობა ვერ იქნება მისი პროგნოზების სიზუსტის გარანტი (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### მრავალსკალიანი კითხვარის ფსიქომეტრიკა: ფაქტორული ანალიზი

მეთოდები, რომლებიც ისეთი ცალკეული ნიშნის დამაკმაყოფილებლად გასაზომად გამოიყენება, როგორცაა, მაგალითად, ექსტრავერსია ან თანხმობისდმი მზაობა, ვერ მოგვცემს პიროვნების დამაკმაყოფილებელ მოდელს უბრალოდ ცალ-ცალკე ნიშნების შესახებ მიღებული მონაცემების დაგროვების შედეგად. გვერდს ვერ ავუვლით ფაქტს, რომ ზოგიერთი ნიშანი დადებითად კორელირებს ერთმანეთთან. ამიტომ დარწმუნებით ვერ ვიტყვი ნიშნები მართლაც რეალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თუ უბრალოდ რომელიღაც უნიტარული ნიშნის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენენ. მრავლობითი ნიშნების ერთდროულად იდენტიფიცირებისთვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ტექნიკა, რომელსაც ფაქტორულ ანალიზს უწოდებენ (Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### ნიშნების ფაქტორულ-ანალიტიკური შესწავლა

ყოველი ინდივიდი . . . მრავალგანზომილებიანი საერთო ფაქტორული სივრცის ერთი წერტილია. მისი პოზიცია უნიკალურია და ვერც ერთ სხვა ინდივიდს ვერ ექნება სხვადასხვა ფაქტორის ზუსტად იგივე კომბინაცია (Guilford, 1936, გვ. 675, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

ფაქტორები . . . მხოლოდ საშუალო ტენდენციებს ასახავენ. ჯერ არ ვიცით, არის თუ არა ფაქტორი *ორგანული* დისპოზიცია ნებისმიერი ინდივიდის ცხოვრებაში. მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ დარწმუნებით, რომ ფაქტორი *საშუალო* პიროვნების ემპირიულად წარმოებული კომპონენტია, საშუალო პიროვნება კი სრული აბსტრაქცია (Allport, G. W., 1937, გვ. 244).

ნიშნების თეორიაში (John, O. P., Naumann, L. P., Soto, C. J., 2008) მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კეტელის (1943) მცდელობა, ოლპორტისა და ოდბერტის (1936) 4500 ნიშნიანი სია შედარებით მცირე რაოდენობის კლასტერებზე ანუ ფაქტორებზე დაეყვანა. თუმცა, პიროვნების ფაქტორების ძიება, როგორც ვიცით, გაცილებით ადრე დაიწყო, როდესაც ვებმა (1915) ხასიათის ზოგადი ფაქტორის გამოსავლენად ფაქტორული ანალიზისმაგვარი მეთოდი გამოიყენა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ფსიქოლოგები განსაკუთრებით დაინტერესდნენ პიროვნების ფაქტორული ანალიზის გზით შესწავლით (Odbert, 1936, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008). ამ მიდგომის მომხრეთა (მაგალითად, იხ. Guilford, 1936) და კრიტიკოსთა (მაგალითისთვის იხ. Allport & Odbert, 1936) დისკუსიამ საფუძველი ჩაუყარა დღემდე მიმდინარე დავას პიროვნების აღწერისთვის საკმარისი ფაქტორების რაოდენობისა და ცალკეული პიროვნებებისთვის ფაქტორთა ჯგუფის მიყენების შესაძლებლობის თაობაზე.

1990-იანი წლებისთვის პიროვნების მრავალი ფსიქოლოგი შეთანხმდა, რომ ნიშნების სფერო, უზოგადეს და ყველაზე აბსტრაქტულ დონეზე, სულ მცირე ხუთი ორთოგონალური<sup>15</sup> ფაქტორით ანუ ნიშანთა კლასტერით აღიწერება (იხ. John, O. P., Naumann, L. P., Soto, C. J., 2008; McCrae, R. R., and Costa, P. T., Jr., 2008), რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიზომოს. ეს ფაქტორებია ექსტრავერსია, პატიოსნება, თანხმობისთვის მზაობა, ნევროტიზმი და გამოცდილებისადმი ღიაობა. მიუხედავად ამისა, აიზენკი და მისი მიმდევრები (Eysenck & Eysenck, 1985, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008) აგრძელებდნენ იმის მტკიცებას, რომ პიროვნების აღსაწერად სამი ფაქტორიც (ექსტრავერსია, ნევროტიზმი და ფსიქოტიზმი) კი საკმარისია.

<sup>15</sup> ანუ მათ შორის არ არის კორელაცია.

ბლოკმა (1995, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008) საერთოდ ექვ ქვემ დააყენა დაშვებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ზოგადად ფაქტორულ-ანალიტურ ტექნიკებს. შესაბამისად, ექვი შეიტანა თავად ხუთფაქტორიან მოდელშიც.

მიუხედავად ამისა, ფაქტორული ანალიზი ისევ და ისევ რჩება ერთ-ერთ ძირითად მეთოდად, რომლითაც მკვლევრები ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენენ (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

### **რა არის ფაქტორული ანალიზი**

ფაქტორული ანალიზი იმ ცვლადების დაჯგუფების მეთოდია (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), რომლებსაც რაღაც აქვთ საერთო. ეს არის პროცესი, რომელიც მკვლევარს გარკვეული რაოდენობის ცვლადების მცირე რაოდენობის ძირითად ფაქტორებამდე დაყვანის საშუალებას აძლევს, რომლებითაც, შეძლებისდაგვარად, ბევრი ცვლადი აიხსნება. ის ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების სტრუქტურასა და საერთო მახასიათებლებს ავლენს. ამგვარად, ფაქტორული ანალიზის გამოყენებით მკვლევარს საშუალება ეძლევა, გამოავლინოს სხვადასხვა ცვლადის საფუძვლადმდებარე ცნებები. მაგალითად, ერთი ცვლადი შეიძლება სანტიმეტრებით ზომავდეს სიმაღლეს, მეორე — დიუიმებით. საფუძვლადმდებარე ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ორივე ცვლადს, სიმაღლეა. ეს ლატენტური ფაქტორია, რომელზეც ორი ცვლადი მიუთითებს.

ფაქტორული ანალიზის ორი ძირითადი ფორმა არსებობს: *კვლევითი* და *დამადასტურებელი*. პირველი ფაქტორული ანალიზი (კერძოდ, პირველადი კომპონენტების ანალიზის) ცვლადების მანამდე უცნობი დაჯგუფებების, ძირითადი პატერნების/ტენდენციების, კლასტერებისა და ჯგუფების შესწავლისთვის არის მოწოდებული. ამის საპირისპიროდ, დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი უფრო მკაცრია და დადგენილი ფაქტორების დაჯგუფებებისა და მიმართებების ჰიპოთეტურ მოდელთან შესატყვისობას ამოწმებს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

## **ნიშნების ალტერნატიული ანალიზი**

### **რაციონალურად და თეორიულად შექმნილი კონსტრუქტები**

არსებითი ნიშნების იდენტიფიცირებისთვის ფაქტორული ანალიზის გამოყენების ნაცვლად, პიროვნების ზოგიერთი მკვლევარი პიროვნების ისეთ ნიშნებს ან ნიშნისმაგვარ მახასიათებლებს შეისწავლის, რომლებიც პიროვნების თეორიებიდან ან ხალხში არსებული ცნებებიდან მომდინარეობს. ხშირ შემთხვევებში ისინი პიროვნების კითხვარებს ქმნიან, რომლებშიც პიროვნების მნიშვნელოვანი ერთეულების მათეული ხედვა და კონცეპტუალიზაცია აისახება. მაგალითად, გოფმა (Gough, 1957, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008) კონტრასტული ჯგუფები გამოიყენა CPI-ის სკალების ასაგებად, რომლებიც ისეთი „ხალხური“ ცნებების გაზომვას ისახავდა მიზნად, როგორცაა „მიღწევა“, „სოციაბელურობა“ ან „დომინანტობა“. მოგვიანებით მან, დაჯგუფების ტექნიკების მეშვეობით, ააგო სამი „ვექტორი“, რომელიც ახლოს იდგა აიზენკისეულ სამ ფაქტორთან (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

### **ტიპოლოგიები**

პიროვნების ზოგიერთი ფსიქოლოგი კონკრეტულ ტიპებს ანუ ნიშნისმაგვარი მახასიათებლების თანმიმდევრულად ორგანიზებულ ნაკრებებს იყენებს მათთვის საინტერესო პატერნების აღსაწერად. მაგალითად, მაიერს-ბრიგის ტიპის ინდიკატორი (1962) დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებად პიროვნულ ტესტს წარმოადგენს და „დამოკიდებულებების“ (ექსტრავერსია-ინტროვერსია) და „ფუნქციების“ (აზროვნება, გრძნობა, შეგრძნება და ინტუიცია) იუნგისეულ (1923/1971) ტიპოლოგიურ კომბინაციას ეფუძნება.

დაშვებულია, რომ იუნგის ტიპოლოგია და გოფის ვექტორები ყველა ადამიანს მოიცავენ. სხვა ტიპები და ტიპოლოგიები შედარებით ნაკლებად გამოიყენება და, ძირითადად, საინტერესო შემთხვევების ფორმალიზებისთვის ან მონაცემთა რთული პატერნების შეჯამებისთვის არის მოწოდებული (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

### იდეოგრაფიული კვლევა

ფაქტორული ანალიზის პოპულარობისა და პრესტიჟულობის მიუხედავად, საკმაოდ აქტიური და სიცოცხლისუნარიანია იდეოგრაფიული კვლევა, რომელიც უარს ამბობს საფუძვლადმდებარე „ბაზისური“ ნიშნების ძიებაზე. ეს მიდგომა მდიდარ ლექსიკონს ეყრდნობა, რომელშიც, ყოველი კონკრეტული პიროვნების შემთხვევაში, მოიძებნება ნებისმიერი ნიშნის აღმწერი ზედსართავი სახელი (Winter, 1996, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

ამ მიდგომით მომუშავე მკვლევრები (მაგალითად, ოლპორტი) შეიძლება დაკავებულნი იყვნენ იმით, რომ იმ ინდივიდუალურ ნიშნებს ან ნიშანთა კომბინაციებს ეძებდნენ, რომლებიც ყველაზე მეტად შეესატყვისება მოცემულ პიროვნებას; ავლენდნენ ინდივიდის ცხოვრების ცენტრალურ თემებს; აღწერდნენ მისი პიროვნული ნიშნების ბუნებას ან ორგანიზაციის სტრუქტურას, ან ასეთ პატერნებს ამ ინდივიდის ქცევის პროგნოზირებისთვის იყენებდნენ.

ინდივიდის მიერ საკუთარი თავისა და მისი სხვების მხრიდან გაკეთებული შეფასებების კვლევა (მაგალითად, Cervone, 2005; Grice et al., 2006, წყაროში John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008) აჩვენებს, რომ დიდი ხუთეული სრულად არ მოიცავს ნიშნების იმ მრავალფეროვნებას, რომელიც იდეოგრაფიული რანჟირების პროცესში ვლინდება.

### ნიშნების საზომის აგება: ფსიქომეტრული მიდგომა

პიროვნების ფსიქოლოგთა უმრავლესობა, ვინც ნიშნებს სწავლობს, უშვებს, რომ ადამიანებს შეუძლიათ გარკვეული სიზუსტით ნიშნების შესახებ მსჯელობა (Funder, 1995, წყაროში McAdams, 2006). აქედან გამომდინარე, მეთოდები, რომლებიც ნიშნების შესაფასებლად გამოიყენება, შედარებით სწორხაზოვანი და მარტივია. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია თვითანგარიშის კითხვარები და რეიტინგული სკალები. პიროვნების ამ ობიექტურ საზომებში ინდივიდს თავისი ქცევის შესახებ უშუალო ანგარიშგება მოეთხოვება და ეს, როგორც წესი, „დიახ“ და „არა“ პასუხების მქონე დებულებებზე პასუხების გაცემით, ან რეიტინგების შედგენით (მაგალითად, 1-დან 7-მდე სკალაზე შეფასებით) ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნული ნიშნების გასაზომად მოწოდებული თვითანგარიშის კითხვარები მარტივი და იოლად გასაკეთებელია იმ ადამიანის თვალსაზრისით, ვინც კითხვებზე პასუხობს, სანდო და ვალიდური სკალის აგება არ არის მარტივი საქმე (McAdams, D. P., 2006).

ფსიქოლოგიაში ტესტის აგებისადმი რამდენიმე მიდგომა არსებობს (Wiggins, 1973, წყაროში McAdams, 2006), თუმცა, პიროვნების ფსიქოლოგთა უმრავლესობა ტესტის აგებისადმი *კონსტრუქტის მიდგომას*<sup>16</sup> იყენებს (Jackson, 1971; Jackson & Paunonen, 1980; Loewinger, 1957; Wiggins, 1973, წყაროში McAdams, 2006).

კონსტრუქტის მიდგომა ჩვენთვის საინტერესო ნიშნის კონცეპტუალური განსაზღვრებით იწყება, რომელიც, ჩვეულებრივ, უფრო ფართო თეორიის ნაწილს წარმოადგენს. ნიშნის განსაზღვრის შემდეგ ვიწყებთ დებულებების დაწერას, რომლებიც მომავალი ინსტრუმენტის კითხვები ანუ დებულებები იქნება. თითოეულ დებულებაზე რესპონდენტი „დიახ“-ს ან „არა“-ს პასუხობს. „დიახ“ იქნება ჩვენი ნიშნის არსებობის ინდიკატორი და ყოველი „დიახ“ ერთი ქულით შეფასდება. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც, განურჩევლად შინაარსისა, „დიახ“-ის, ან „არა“-ს თქმის ტენდენციით ხასიათდებიან, ამიტომ კითხვარში უნდა ჩავართოთ როგორც დადებითად (სადაც ნიშნის მაჩვენებელი პასუხი „დიახ“ იქნება), ისე — უარყოფითად (სადაც ნიშნის მაჩვენებელი პასუხი „არა“ იქნება) ფორმულირებული დებულებები

<sup>16</sup> Construct approach.



(McAdams, 2006).

დებულებების დაწერის მიზანია დებულებების ნაკრების შექმნა, რომელიც სრულად დაფარავს ჩვენთვის საინტერესო ნიშნის სფეროს (განსაზღვრებაში მოცემულ აღწერას). აქედან გამომდინარე, მიზნად უნდა დავისახოთ დიდი რაოდენობით დებულებების ჩამოწერა, რათა სრულად მოვიცვათ ჩვენი თეორიის მიხედვით განსაზღვრული ნიშნის სხვადასხვა გამოვლინება (მანიფესტაცია).

ტესტის ზოგიერთი თეორეტიკოსი გვთავაზობს, რომ კითხვარში ისეთი დებულებებიც ჩავრთოთ, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო საკვლევ ნიშანთან, ანუ ისეთები, რომლებიც არ ერგებიან ნიშნის აღწერას. იმაზე ფართო მოცულობის შინაარსის დაფარვისას, ვიდრე ჩვენი ნიშნისთვის წარმოგვედინა, ვამცირებთ რელევანტური დებულებების მოულოდნელად გამორიცხვის ალბათობას და ვზრდით იმის შესაძლებლობას, რომ ზუსტად ვიცოდეთ, სად გადის ჩვენი ნიშნის საზღვრები; სხვა სიტყვებით, ვარკვევთ, კონკრეტულად რას გულისხმობს კონკრეტული ნიშანი და რას — არა (Loevinger, 1957; Wiggins, 1973, წყაროში McAdams, 2006).

ტესტის აგების შემდეგ ეტაპზე არსებულ დებულებებს ბევრ ადამიანს ვაწვდით და ვნახულობთ შედეგებს იმის განსასაზღვრად, თუ რომელი დებულებები უნდა დარჩეს კითხვარის საბოლოო ვერსიაში. ამ ეტაპზე მიღებული ემპირიული მონაცემების დამუშავების ბევრი სტატისტიკური პროცედურა არსებობს. მაგალითად, სავარაუდოდ, განვხორციელებთ დებულებების ანალიზს, რომლის მეშვეობითაც განვსაზღვრავთ, თუ რა წვლილი შეაქვს თითოეულ მათგანს სკალაზე. ამისათვის თითოეულ დებულებაზე მიღებული ქულა სკალის ჯამურ ქულასთან კორელირდება. ის დებულებები, რომლებსაც უმნიშვნელო წვლილი შეაქვთ (ანუ მიიღება დაბალი კორელაცია) საბოლოო ქულაში, გაიცხრილება და მხოლოდ მაღალი კორელაციის მქონე დებულებები დარჩება.

ამ მონაცემების დამუშავებისთვის ფაქტორული ანალიზის გამოყენებაც შეიძლება და ეს მაშინ შეგვიძლია გავაკეთოთ, როდესაც ყოველი ცალკეული დებულება თითოეულ სხვა დებულებასთან კორელირდება, მათი ემპირიული კლასტერების განსაზღვრის მიზნით. ვთქვათ, საბოლოო სკალაზე 30 დებულება გვაქვს. ეს სკალა 500 რესპონდენტს შეგვიძლია მივაწოდოთ და მიღებულ შედეგებზე ფაქტორული ანალიზი განვხორციელოთ იმის სანახავად, თუ რომელი დებულებები ერთიანდებიან კლასტერებში. ფაქტორულმა ანალიზმა შეიძლება დებულებების ორი დამოუკიდებელი კლასტერი ანუ ფაქტორი მოგვცეს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ნიშნის ორ ასპექტს, მხარეს წარმოადგენს. შესაძლოა, 10 დებულება ჩვენი ნიშნის სამსახურეობრივ მხარეს შეეხებოდეს და ერთ ფაქტორად ერთიანდებოდეს, დანარჩენი 12 დებულება კი — მორალურ მსჯელობებს და მეორე ფაქტორს ქმნიდეს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთლიანობაში სკალა, ფაქტორივად, ორ ცალკეულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს ზომავს. თუმცა, შესაძლოა, ისიც ვიფიქროთ, რომ ეს ორი ასპექტი რეალურად ურთიერთდამოუკიდებელი ნიშნებია, რომლებსაც ბევრი არაფერი აქვთ საერთო ერთმანეთთან (McAdams, D. P., 2006).

კითხვარის აგების ბოლო ეტაპზე ვნახულობთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ ნიშნით ქცევის პროგნოზირება. მაგალითად, შეიძლება დავგეგმოთ კვლევა, სადაც ადამიანები ამ ნიშნის საზომი სკალის დებულებებს უპასუხებენ და შემდეგ ლაბორატორიულ ექსპერიმენტში მიიღებენ მონაწილეობას, რომელშიც სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის არჩევანის შესაძლებლობა მიეცემათ. ამის ალტერნატივაა ჩვენი ნიშნის მიხედვით მიღებულ ქულებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ ნიშნის შესატყვის ქცევას შორის ურთიერთმიმართების კვლევა; ანდა, შეგვიძლია ვნახოთ კორელაცია ადამიანების თვითანგარიშის კითხვარის შედეგებსა და საკვლევი ნიშნის მიხედვით სხვების მიერ მოცემულ შეფასებებს შორის და შევაფასოთ, რამდენად თანხვდება ეს შეფასებები ჩვენს პროგნოზებს (McAdams, D. P., 2006).

ნიშნის საზომის შექმნისას მკვლევარებმა იციან არამარტო ის, თუ რას ზომავს მოცემული სკალა, არამედ ისიც, რას არ ზომავს ის. აქედან გამომდინარე, ნიშნის საზომზე მიღებული ქულები დადებითად უნდა კორელირებდეს ამავე ნიშნის სხვა საზომებზე მიღებულ ქულებთან. ერთი და იგივე ნიშნის სხვადასხვა საზომს შორის დადებითი მიმართების არსებობა კონვერგენციულ ვალიდობას ქმნის: ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ ორი საზომი თანხვდება ერთმანეთს მოცემული ნიშნის მიხედვით (Campbell & Fiske, 1959,

წყაროში McAdams, 2006). გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერესო ნიშნის საზომზე მიღებული ქულები არ უნდა კორელირებდეს აშკარად სხვა ნიშნის საზომზე მიღებულ ქულებთან. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ ნიშნის საზომი არ კორელირებს კონცეპტუალურად განსხვავებული ნიშნების საზომთან, ჩვენი საზომის დისკრიმინაციული ვალიდობის განმამტკიცებელია (Campbell & Fiske, 1959, წყაროში McAdams, 2006).

## ნიშნების საზომი კარგი ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმები

### ვალიდობა

პიროვნული ნიშნის საზომის შექმნისადმი კონსტრუქტული მიდგომა ლოგიკურად გამომდინარეობს ზოგადად პიროვნების ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი — კონსტრუქტული ვალიდობის — იდეიდან. ძალიან ზოგადად რომ ვთქვათ, კონსტრუქტული ვალიდობა შეეხება იმას, თუ რამდენად ზომავს საზომი იმას, რის გაზომვაც აცხადებს პრეტენზიას. თუმცა, დეფინიციში უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კონსტრუქტული ვალიდობა მეცნიერული პროცესია. ეს არის ტესტისა და ამ ტესტით გაზომილი კონსტრუქტის ერთდროული ვალიდაცია. კრონბახმა და მილმა (1955, წყაროში McAdams, 2006) კონსტრუქტული ვალიდობის ცნება პიროვნების ფსიქოლოგიაში გავრცელებული და უსიამოვნო პრობლემის მოსაგვარებლად შემოიტანეს: საიდან ვიცით, რომ შექმნილი საზომი მართლა და თან კარგად ზომავს იმას, რისი უშუალოდ დაკვირვებაც არ შეგვიძლია? ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ შეგვიძლია მეგობრული ქცევის დაკვირვება, თავად „მეგობრულობას“ ვერ დავაკვირდებით. მეგობრულობის ნიშანი აბსტრაქციაა, რომელსაც უშუალოდ ვერ დავინახავთ, გავიგონებთ, შევხვებით, ვიყნოსავთ და გემოს გავუსინჯავთ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ყველა სხვა პიროვნულ ნიშანზე და, ფაქტობრივად, ბევრ სხვა ისეთ ცნებაზე ზოგადად ფსიქოლოგიაში, როგორცაა, მაგალითად, ინტელექტი, ცრურწმენა, რელიგიური მრწამსი და იდენტობა. ამ აღუწერელ, გამოუთქმელ აბსტრაქციებს კონსტრუქტებს უწოდებენ. ნიშნების სკალები სწორედ ასეთ კონსტრუქტებს ზომავენ (McAdams, 2006).

კონსტრუქტული ვალიდობის პროცესი თავად კონსტრუქტით იწყება, რომელიც, ჩვეულებრივ, პიროვნების ფუნქციონირების უფრო ფართო თეორიის ნაწილია. კონსტრუქტის თეორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ფსიქოლოგი გულდასმით ქმნის კონსტრუქტის საზომს და შემდეგ აკვირვება, ეს საზომი რამდენად იძლევა ემპირიულ შედეგებს — დაკვირვებად ქცევებს, რომლებიც შეესატყვისება არსებულ თეორიას.

კონკრეტული პიროვნული ტესტით მიღებულ ყოველ ახალ ემპირიულ შედეგს თავისი წვლილი შეაქვს ამ ტესტით გაზომილი კონსტრუქტის ნომოლოგიურ ბადეში.<sup>17</sup> ნომოლოგიური ბადე არის ემპირიულად მხარდაჭერილი პროპოზიციების (მტკიცებების) ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელიც ავსებს თეორიას მოცემული კონსტრუქტის შესახებ ცოდნით. ამ პროპოზიციებით დაკონკრეტებულია, თუ როგორ უნდა უკავშირდებოდნენ კონკრეტული არატესტური, უშუალოდ დაკვირვებადი თვალსაჩინო ქცევები ტესტის შესრულებას. კონკრეტული ნიშნის საზომით მიღებული შედეგები ცვლიან ნომოლოგიურ ბადეს და ახალ პროპოზიციებს აყალიბებენ ამ ნიშნის შესახებ, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, უფრო ფართო თეორიაც შეცვალოს (McAdams, 2006).

ამრიგად, კონსტრუქტული ვალიდობა შეეხება კონსტრუქტის ნომოლოგიურ ბადეში არსებული პროპოზიციებისთვის მოპოვებული ემპირიული მხარდაჭერის ოდენობას. კონსტრუქტები და მათი საზომები, რომელთაც დიდი რაოდენობით ემპირიული დასაბუთება მოეპოვებათ ნომოლოგიურ ბადეში მრავალფეროვანი პროპოზიციებისთვის, მაღალი კონსტრუქტული ვალიდობით ხასიათდებიან. თუმცა, კონსტრუქტული ვალიდობა არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რამ: კონკრეტული კონსტრუქტისა და მისი საზომის გამოყენებით წარმოებული ყოველი ახალი კვლევა უცილობლად უკავშირდება ნომოლოგიურ ბადეს და, ამგვარად, თავისი წვლილი შეაქვს მასში კონსტრუქტული

<sup>17</sup> Nomological network

ვალიდობისთვის გარკვეული სახის — მხარდამჭერი ან არამხარდამჭერი — მტკიცებულების სახით. კონსტრუქტული ვალიდობის ზოგადი კატეგორია ვალიდობის რამდენიმე სხვა ფორმას მოიცავს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007), რომელიც ქვემოთ ცხრილის სახითაა წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. ვალიდობის ფორმები პიროვნების შეფასებისას.

ვალიდობის სახე	აღწერა
კონსტრუქტის	ის, თუ რამდენად ზომავს ტესტი კონსტრუქტს, რომლის გასაზომდაც არის თეორიულად მოწოდებული. კონსტრუქტული ვალიდობა მატულობს კონსტრუქტის ნომოლოგიურ ბადეში არსებული სხვადასხვა პროპოზიციის სასარგებლოდ ემპირიული საბუთების მატებასთან ერთად. კონსტრუქტული ვალიდობა ვალიდობის ყველაზე ბაზისური და მრავლისმომცველი ფორმაა და ვალიდობის სხვა ფორმები მისგან წარმოებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ.
შინაარსის	რამდენად ფარავნს ტესტის დებულებები კონსტრუქტის მთლიან შინაარსს/სფეროს და არ ერევიან სხვა შინაარსს.
კონვერგენციული	რამდენად უკავშირდება ერთი და იმავე კონსტრუქტის სხვადასხვა საზომი ერთმანეთს.
კრიტერიუმის	რამდენად უკავშირდება ტესტი იმ თვალსაჩინო დაკვირვებად ქცევას, რომლის პროგნოზირებისთვისაც არის ის მოწოდებული. როდესაც ტესტი მომავალში მოსალოდნელი კრიტერიალური ქცევების პროგნოზირებას ცდილობს, "პრედიქტულ ვალიდობაზე" ვსაუბრობთ, ხოლო როდესაც კრიტერიალური ქცევები აწმყოში მიიღება — "კონკურენტულ ანუ მიმდინარე ვალიდობაზე".
დისკრიმინანტული	რამდენად არ უკავშირდება ერთმანეთს სხვადასხვა კონსტრუქტის გასაზომად მოწოდებული სხვადასხვა საზომი.
ზედაპირული	რესპონდენტის თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, რამდენად ზომავს ტესტის დებულებები იმას, რის გამოზვასაც ისახავს მიზნად. ზედაპირული ვალიდობა შეეხება იმას, თუ რამდენად მიაჩნია რესპონდენტს, რომ ტესტი ადეკვატური და სამართლიანია მოცემულ პირობებში.

წყარო: D. N. Jackson & S. V. Paunonen, 1980, "Personality Structure and Assessment" ჟურნალში Rosenzweig and L. W. Porter (Eds.), *Annual Review of Psychology: Vol. 31* (გვ. 503-552), Palo Alto, CA: Annual Review, Inc. ცხრილი მოტანილია წყაროდან McAdams, 2006.

## სანდობა

კონსტრუქტული (და მისი სხვა ფორმების) ვალიდობის გარდა, ნიშნების საზომების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სანდობა. *სანდობა* პიროვნების კონკრეტული საზომის კონსისტენტურობას (თანმიმდევრულობას) შეეხება (McAdams, D. P., 2006). თვითანგარიშის კითხვარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანდობის ორი სახე. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007):

*ტესტ-რეტესტული სანდობის* შემთხვევაში ფსიქოლოგები ტესტის დროში კონსისტენტურობას აფასებენ, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ პიროვნებამ დღეს მაღალი ქულები მიიღო მოცემული საზომის მიხედვით, მან დაახლოებით ისეთივე მაღალი ქულები უნდა მიიღოს, ვთქვათ, რამდენიმე თვის შემდეგაც. ანალოგიურად, თუ პირველი ტესტირებისას ინდივიდს დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა, მეორე ჯერზეც შესაბამისი ქულა უნდა მიიღოს. ყველაზე მაღალი ტესტ-რეტესტული სანდობის მქონე კითხვარების შემთხვევაში, კორელაციის კოეფიციენტი, როგორც წესი +0.80-სა და მეტს შეადგენს დროის შედარებით მცირე მონაკვეთებში (რამდენიმე თვეში).

*შუაზე გახლეჩვის მეთოდის სანდობის* შემთხვევაში ფასდება ტესტის შინაგანი შეთანხმებულობა იმით, რომ კონკრეტული ტესტი ორ თანაზომიერ ნაწილად იყოფა და ერთ ნახევარში მიღებული ქულები დარდება მეორეში მიღებულ ქულებს. თუ ტესტი შინაგანად შეთანხმებულია (კონსისტენტურია), მაშინ მისი ორივე ნაწილი მსგავს შედეგს იძლევა. ფაქტობრივად, მიჩნეულია, რომ ტესტის თითოეულ დებულებას ჰომოგენური ინფორმაცია შეაქვს მოცემული ნიშნის აღწერაში (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

## სარგებლიანობა და ეკონომიურობა

ვალიდობისა და სანდოობის გარდა, პიროვნების ფსიქოლოგები ტესტის სარგებლიანობისა და ღირებულების კიდევ რამდენიმე კრიტერიუმს გამოყოფენ (McAdams, 2006). სარგებლიანობა ხშირად გამოყენებული კრიტერიუმია და გულისხმობს, თუ რამდენად იძლევა ტესტი კონკრეტული მიზნებისთვის გამოსადეგ პრაქტიკულ ინფორმაციას.

ასევე, აღნიშნავენ ხოლმე ტესტის ეკონომიურობასა და მიწოდების სიმარტივეს — ყველა სხვა თანაბარ პირობაში მოკლე ტესტი სჯობს გრძელს (ეკონომიურობა) და ადვილად ინტერპრეტირებადი შედეგების მომცემი ტესტი უკეთესია, ვიდრე რთული და ბუნდოვანი ინტერპრეტაციების მქონე.

გარდა ამისა, პიროვნების ფსიქოლოგების ნაწილი ამტკიცებს, რომ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ ნიშნის საზომი შეძლებისდაგვარად თავისუფალი უნდა იყოს სოციალური არასასურველობით გამოწვეული ტენდენციურობისგან (Edwards, 1957; Jackson & Messick, 1958, წყაროში McAdams, 2006). ეს ნიშნავს, რომ ნიშნების კარგ საზომზე არ უნდა ზემოქმედებდეს პიროვნების სურვილი, საუკეთესო ან სოციალურად სასურველი მხრიდან გამოჩნდეს. არსებობს ასეთი ტენდენციურობის შესამცირებელი გზები, მაგრამ ვინაიდან მრავალი ნიშანი თავისთავად არის შეფასებითი ელემენტის მომცველი, პიროვნების ფსიქოლოგებმა, ძირითადად, ისწავლეს თვითანგარიშის სკალების ტენდენციურობასთან შეგუება და მასთან თანაარსებობა (McAdams, D. P., 2006).

## ნიშნების საკვლევი ინსტრუმენტები

პიროვნების კვლევასა და კლინიკურ მუშაობაში ხშირად გამოსადეგია ბევრი განსხვავებული ნიშნის ერთდროულად შეფასება. ამისათვის ფსიქოლოგები ომნიბუსურ პიროვნულ კითხვარებს იყენებენ, რომლებიც ბევრი ნიშნის საზომ სკალას მოიცავენ და თითოეული სკალა ვრცელი კითხვარის გარკვეულ დებულებებს მოიცავს (McAdams, D. P., 2006).

არსებობს ნიშნების საკვლევი რამდენიმე ფართოდ გავრცელებული და ხშირად გამოყენებადი მეთოდები, მათ შორისაა:

- MMPI — მინესოტის მრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარი, რომელიც ფსიქოლოგმა ჰათავემ და ფსიქიატრმა მაკკინლიმ მინესოტის უნივერსიტეტში შექმნეს 1930-იანი წლების ბოლოს და ათ კლინიკურ სკალას მოიცავს. ეს მეთოდიკა დღესდღეობით პიროვნების საკვლევ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლინიკურ ფსიქოლოგიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

1990-იან წლებში MMPI საფუძვლიანად გადაისინჯა (Butcher, J. N., & Williams, C. L., 2000) და შედეგად MMPI-2 იქნა მიღებული. ახალი ვერსიის დებულებებში შეტანილია გარკვეული ცვლილებები, თუმცა, უმთავრესი ცვლილება სტანდარტიზაციის შერჩევას ეხება. ვინაიდან ფსიქოლოგიური მახასიათებლები არ წარმოადგენენ ხისტ, მხოლოდ გენეტიკურად აღბეჭდილ მოცემულობას და მათი ნორმატიული შინაარსი იცვლება განსხვავებულ კულტურებსა თუ ისტორიულ პერიოდებში, აუცილებელი გახდა იმ შერჩევის განახლება, რომლის მიხედვითაც დადგინდა MMPI-2-ის ნორმები. სწორედ ამიტომ არის, რომ კითხვარის ინტერპრეტაციისას შედეგების მთლიანობითი პატერნი გაცილებით მნიშვნელოვანი და ინფორმაციულია, ვიდრე რომელიმე ცალკეულ დებულებაზე გაცემული კონკრეტული პასუხი.

- CPI — კალიფორნიის ფსიქოლოგიური კითხვარი, რომელიც ჰარისონ გოჰმა შექმნა 1950-იან წლებში და 20 სხვადასხვა ნიშნის შესაფასებლადაა მოწოდებული. ის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტია პიროვნების ხასიათის თავისებურებათა კვლევაში. ასევე, მას ფართოდ იყენებენ როგორც კლინიკაში, ისე — პროფესიული შერჩევის დროს. გამოყენების პროცესში დაგროვილი მონაცემები მის ვალიდობასა და სანდოობაზე მეტყველებს.

- PRF — პიროვნების საკვლევი ფორმა, რომელიც დუგლას ჯექსონმა დაამუშავა 1960-იან წლებში. კითხვარი აგებისა და ფორმატის იმ სიახლეებს მოიცავს, რაზეც არ მიუწვდებოდათ ხელი MMPI-სა და CPI-ის ავტორებს. მასშიც არის 20 სკალა და 320 დებულება.

- NEO-PI-R — პოლ კოსტასა და რობერტ მაკკრისის (1985, 1992) მიერ შექმნილი თვითანგარიშის

კითხვარი, რომელიც დიდი ხუთეულის საკვლევადაა მოწოდებული. ეს კითხვარი ერთ-ერთია იმ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის საფუძველზეა შექმნილი. მისი ავტორების მიხედვით (Costa & McCrae, 1992, წყაროში McCrae, R. R., & Costa, P. T., Jr., , 1999), ეს მეთოდი მოდელის პირველადი საზომია, პიროვნების შეფასების სისტემაა და მის ამხსნელ ჩარჩოდ გამოდგება. ამიტომ ამ ხუთი ზოგადი ფაქტორის გაზომვა პიროვნების შეფასები საწყის და არა — ბოლო ეტაპად უნდა მივიჩნიოთ.

არსებობს მეთოდის ორი ვერსია: S-ფორმა თვითშეფასებისთვის და R-ფორმა დამკვირვებლის მიერ შეფასებისთვის. ორივე ფორმა 240 დებულებისგან შედგება და ხუთიდან თითო ნიშნის ექვსი ასპექტს ზომავს. მათ შორის მხოლოდ დებულებების ფორმულირებაშია განსხვავება: პირველში დებულებები პირველ პირშია მოცემული, მეორეში კი — მესამე პირში.

## შეჯამება

პიროვნებისადმი ნიშნების პოზიციიდან მიდგომა ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ უნდა აღვწეროთ ადამიანები? რა ბაზისური ერთეულებისგან შედგება პიროვნება? ნიშნების თეორიები პიროვნების ბაზისური განზომილების აღსაწერად იყენებენ თეორიულ კონსტრუქტს, რომელსაც ნიშნის უწოდებენ და ხაზს უსვამენ ნიშნების მიხედვით ადამიანთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებებს და პიროვნების შესწავლის მიზნით ამ ნიშნების გაზომვის მნიშვნელოვნებას. პიროვნების შესწავლის ნიშნების ანუ დისპოზიციური მიმართულება ორ ზოგად იდეას ეფუძნება: პირველი, ადამიანები სხვადასხვა სიტუაციაში რეაგირების წინასწარი მზაობების დიდი ნაკრებით (ანუ პიროვნული ნიშნებით) ხასიათდებიან და, მეორე, არ არსებობს ორი იდენტური ადამიანი. ნიშნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას თვალსაჩინო ქცევებისგან პიროვნების შინაგანი თვისებების გამოჯენა და მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების შესწავლა წარმოადგენს. ნიშნების ტრადიციული თეორია ორ ძირითად — პრიორიტეტულობისა და შინაგანი ლოკუსის — დაშვებას ემყარება.

ნიშნების მეცნიერული თეორიის შექმნა მინიმუმ სამ ეტაპს მოიცავს: ნიშნების გაზომვასა და კლასიფიკაციას; მოცემული ნიშნის ქცევისადმი შესატყვისობისა და დაკავშირებულობის შემოწმება; ნიშნების შესახებ დამაკმაყოფილებელი თეორიის ფორმირება.

თანამედროვე ნიშნების თეორია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს. ყველაზე ცნობილი ანტიკური სისტემები ჰიპოკრატესა და ბერძენ ექიმს გალენს ეკუთვნით, თუმცა, პირველი ემპირიული მეცნიერული კვლევები ამ მიმართულებით XIX საუკუნის მიწურულს განხორციელდა და გალტონის სახელს უკავშირდება. ნიშნებს მეცნიერული კვლევის დასაწყებად სამი წინაპირობის შექმნა იყო საჭირო: მონაცემების სისტემატური შეგროვება, სტატისტიკური ტექნიკები მონაცემების ანალიზისთვის და შემოწმებადი თეორიების განვითარება, რაც მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისისთვის გახდა შესაძლებელი.

პიროვნების ფსიქოლოგიაში ნიშნის ხნება ქცევის, კერძოდ, ექსპერიული ანუ სტილისტური ქცევის, კონსისტენტური პატერნების აღსანიშნად გამოიყენება. ნიშნების თეორეტიზაცია და კვლევა, ძირითადად, მათი რაოდენობის, ბუნებისა და ე. წ. „ბაზისური“ ნიშნების ორგანიზაციის საკითხებზე ფოკუსირდება და სამ ძირითად სტრატეგიას იყენებს: ფაქტორული ანალიზი და მასთან დაკავშირებული მათემატიკური ტექნიკები, რაციონალური ანუ აპრიორი თეორეტიზაცია და იდეოგრაფიული კვლევა.

ნიშნის ბუნების შესახებ ოთხი ძირითადი მოსაზრება არსებობს, კერძოდ, ნიშანი განიხილება, როგორც ნეიროფსიქოლოგიური სუბსტრატი, ქცევითი დისპოზიცია, მოქმედებების სიხშირე და ლინგვისტური კატეგორია.

ნიშნის კონცეფციის წარმომადგენლებს გააჩნიათ რიგი არგუმენტებისა, რომლითაც ასაბუთებენ ნიშნების არსებობას, ეს არგუმენტებია: სანდო სიტუაციურმა გავლენამ უნდა გამოავლინოს გავლენის მოხდენის უნარის დროში მდგრადობა, ინდივიდები ერთსა და იმავე სიტუაციაში განსხვავებულად

რეაგირებენ, ნიშნის ქონა ერთსა და იმავე სიტუაციაში და არა — სხვადასხვა სიტუაციაში — კონსისტენტურად რეაგირებას ნიშნავს, ნიშნის ქონა არ ნიშნავს, რომ რეაქციები აბსოლუტურად კონსისტენტური იქნება და ქცევის არაკონსისტენტურობა არ გამორიცხავს ნიშნის შინაგან კონსისტენტურობას.

ტრადიციულად განასხვავებენ ფენოტიპურ და გენოტიპურ ნიშნებს. ამასთან, ისინი შეიძლება აღწერდნენ ან ხსნიდნენ ქცევას, თუმცა, არ არის ერთიანი შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რამდენი ნიშანია საკმარისი. ასე მაგალითად, აიზენკი სამ ნიშანზე საუბრობდა, ოლპორტი ხუთადან ათამდე ცენტრალური ნიშნის საჭიროებას ხედავდა, ხოლო კეტელი 16 ნიშანს გამოყოფდა.

მეთოდები, რომლითაც ნიშნების ფსიქოლოგები მუშაობენ, ძირითადად, თვითანგარიშის კითხვარებს წარმოადგენენ, იქნება ეს ერთსკალიანი თუ მრავალსკალიანი კითხვარები, რომლებიც აუცილებლად ფასდება ვალიდობის, სანდოობის, სარგებლიანობისა და ეკონომიურობის მიხედვით. მიღებული მონაცემები, უმეტესწილად, ფაქტორულ ანალიზს ექვემდებარება, თუმცა, შესაძლებელია ნიშნების ალტერნატიული ანალიზიც, როგორცაა კონსტრუქტების რაციონალურად და თეორიულად შექმნა, ტიპოლოგიები დაიფეოგრაფიული კვლევა.

Draft

## თავი 8

# ნიშნების პერსონოლოგიური თეორია: ინდივიდუალობის ფსიქოლოგია

„მეოცე საუკუნის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა პიროვნების აღმოჩენა“ (Allport, G. W., 1937)

ადამიანის ფსიქოლოგიური შესწავლის მრავალი გზა არსებობს, თუმცა, სრულად შესწავლა მისი, როგორც ინდივიდის, კვლევაა. ადამიანი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვევების ნაკრები; მეტი, ვიდრე აბსტრაქტული განზომილებების ერთობლიობა; მეტი, ვიდრე სახეობის წარმომადგენელი. ის მეტია, ვიდრე სახელმწიფოს მოქალაქე და მეტი, ვიდრე კაცობრიობის გიგანტური მოძრაობების უბრალო კონკრეტული შემთხვევა. ის სცდება ამ ყველაფერს და მათ მიღმაა. საკუთარი ინტეგრირებულობისთვის მებრძოლი ინდივიდი სოციალური ცხოვრების მრავალი ფორმით არსებობს, იქნება ეს ბატონყმობის, ფეოდალური თუ კაპიტალისტური ხანა. ის ჩაგვრის პირობებშიც კი იბრძვის, ყოველთვის იმედოვნებს, რომ დადგება უკეთესი დემოკრატია და გვემებს იმ დროისთვის აწყობს, როდესაც თითოეული პიროვნების ღირსება და ზრდა, სხვა ყველაფერთან ერთნად, დაჯილდოვებულ იქნება (Allport, G. W., 1937, pp. 565-566).

გასულ საუკუნეში ათწლეულების მანძილზე ფსიქოლოგები ან კვანტიფიკაციის სენით იყვნენ დაავადებულნი, ან გულწრფელად ცდილობდნენ არაცნობიერი მოტივაციისთვის თვალის გადევნებას და მისი ფარული სათავეების პოვნას. ამასობაში გორდონ ოლპორტი აუღელვებლად მიუყვებოდა საკუთარ გზას და ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლისა და ცნობიერი მოტივაციის როლის მნიშვნელობას ამტკიცებდა (Холл К. С., Линдсей Г., 1997). თანამედროვეთა მსგავსად აზროვნებაზე ასეთი უარი ვლინდებოდა იმით, რომ ოლპორტის ფორმულირებები, ერთი შეხედვით, არქაული და ძველმოდული იყო, თუმცა, ზოგ შემთხვევაში იგი ახალი და აღმაშფოთებლად რადიკალური იდეების მომხრედ გამოიყურება. მიუხედავად ყველაფრისა, ოლპორტი (და, ალბათ, ნებისმიერ სხვა თეორეტიკოსზე მეტად) მაინც რჩება ტრადიციული ფსიქოლოგიური აზრისა და პიროვნების თეორიის სინთეზის კარგ მაგალითად.

საინტერესოა, რომ გორდონ ოლპორტი იყო პირველი პიროვნების ფსიქოლოგი აკადემიურ წრეებში, რომელმაც დაიწყო პიროვნების ფსიქოლოგიის კურსის სწავლება აშშ-ში და ამ კურსისთვის სახელმძღვანელოც დაწერა (Cloninger, S. C., 2004). 1937 წელს გამოსული წიგნის წინასიტყვაობაში (Allport, G. W., 1937) ის წერს, რომ პიროვნების შესწავლა ახალი და მზარდი ინტერესის სფეროა ფსიქოლოგებისთვის, ამიტომ აუცილებელია ისეთი ტექსტის არსებობა, რომელშიც განსაზღვრული იქნება ეს ახალი სფერო, მისი მიზნები, ამოცანები, ფორმულირებული იქნება სტანდარტები და კვლევაში მიღწეული პროგრესის შემოწმების/გაზომვის საშუალებები (Allport, G. W., 1937).

გორდონ ოლპორტის თეორია ადამიანის ქცევის შესწავლისადმი ჰუმანისტური და ინდივიდუალური მიდგომების გაერთიანებას წარმოადგენს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001) და ის საკუთარ თეორიას „პერსონოლოგიურს“ უწოდებს. ამ ტერმინით ხაზს უსვამს პიროვნების, როგორც უნიფიცირებული და ცნობიერი მთლიანობის, განვითარებას.<sup>1</sup> ოლპორტი, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიაში ფორმალური ჰუმანისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო (Cloninger, S. C., 2004) და, როგორც რიი დეკარვალო (1991a, წყაროში Cloninger, S. C., 2004) აღნიშნავს, ის იყო პირველი ავტორი, რომელმაც გამოიყენა ტერმინი *ჰუმანისტური ფსიქოლოგია*. ოლპორტი მოუწოდებდა პიროვნების ფსიქოლოგებს, მხედველობაში მიეღოთ ადამიანების (ცხოველებისგან განსხვავებული) უნიკალური შესაძლებლობები და ხაზი გაესვათ ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის (Cloninger, S. C., 2004). მის საკუთარ თეორიაში სწორედაც რომ ფსიქიკურად ჯანმრთელი ინდივიდების უნიკალობაა ხაზგასმული, რომლებიც პროაქტიულად

<sup>1</sup> ეს თემა ჰუმანისტურ მოძრაობაშიც პოპულარულია.

ისწრაფვიან თავიანთი ცნობიერად დასახული მიზნებისკენ. ოლპორტი პიროვნების არსებულ თეორიებს იმის გამო აკრიტიკებდა, რომ მათ ყურადღების მიღმა რჩებოდათ ნორმალური, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი და ზედმეტად დიდ ყურადღებას უთმობდნენ არაცნობიერად წოდებულ პროცესებს.

ოლპორტის მიზანი იყო, კი არ ჩაენაცვლებინა, არამედ შეეცაო ფსიქონალიზის, სტიმულ-რეაქციის თეორიის, ოპერანტული განპირობებისა და სოციალური ფსიქოლოგიის აღმოჩენები (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). მის ეკლექტურ მიდგომაში ფსიქოლოგიის სხვადასხვა სკოლის მოსაზრებებმა შეიტანეს წვლილი (Cloninger, S. C., 2004). ის თვლიდა, რომ პიროვნების ამომწურავი თეორია ფსიქონალიზის, დასწავლის თეორიის, სოციალური ფსიქოლოგიისა და ნიშნების თეორიის მიღწევების გაერთიანებას და, ასევე, მის საკუთარ *ინდივიდუალობის თეორიას*<sup>2</sup> უნდა ეფუძნებოდეს (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001), ვინაიდან ცალკე ფსიქონალიზი და ცალკე დასწავლის თეორია არასაკმარისია პიროვნების გაგებისა და ახსნისთვის. თუ ფსიქონალიზი გადაჭარბებულად მნიშვნელოვნად აღიქვამს არაცნობიერს და საკმარის ყურადღებას არ უთმობს ცნობიერ მოტივაციას, დასწავლის თეორია უყურადღებოდ ტოვებს უნიკალურად ადამიანურ თვისებებს, რომელთაც ვერ გავიგებთ ცხოველებზე მორგებული მოდელით (Cloninger, S. C., 2004).

აღსანიშნავია, რომ მრავალი პერსონოლოგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების აღწერას კონკრეტული ინდივიდისთვის დამახასიათებელი გარკვეული მიდრეკილებების ან ტენდენციების ტერმინებით. ოლპორტი მათ შორის ერთ-ერთი პირველი და წამყვანი თეორეტიკოსი იყო. ის თვლიდა, რომ ყოველი პიროვნება უნიკალურია და ამ უნიკალურობის გაგება ყველაზე კარგად პიროვნების კონკრეტული ნიშნების განსაზღვრით არის შესაძლებელი. თუმცა, პიროვნების უნიკალობაზე აქცენტირება მისი თეორიული პოზიციის მხოლოდ ერთი მხარეა. თეორიაში დიდი ყურადღება ეთმობა იმასაც, თუ როგორ მოქმედებენ კოგნიტური და მოტივაციური პროცესები ადამიანის ქცევაზე. ამასთან, ვინაიდან ოლპორტის თეორია პიროვნებისადმი ჰუმანისტური და ინდივიდუალური მიდგომების გაერთიანებაა, მისი ჰუმანისტურობა ვლინდება იმით, რომ ის ადამიანის ყველა ასპექტის გამოვლენას ცდილობს, პიროვნული ზრდის პოტენციალის, საკუთარი თავის დამღევის/გადაღახვისა და თვითრეალიზაციის ჩათვლით. ინდივიდუალური მიდგომა აისახება ოლპორტის სწრაფვაში, გაიგოს და იწინაწარმეტყველოს კონკრეტული რეალური პიროვნების განვითარება (Allport, 1968b, წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

ოლპორტი, მნიშვნელოვანწილად, შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ეკლექტური თეორეტიკოსი, რომელიც ფილოსოფიის, რელიგიის, ლიტერატურისა და სოციოლოგიის სფეროებიდან აღებული ცნებების ნაზავს გვთავაზობს. მისი ეს წარმოდგენები ჩართულია ადამიანის პიროვნების მთელი სირთულისა და სიმდიდრის აღწერაში. ოლპორტის თეორიული ორიენტაციის განმასხვავებელი ნიშანია მისი დარწმუნებულობა, რომ ადამიანის ქცევა ყოველთვის არის პიროვნულ ნიშანთა ამა თუ იმ კონფიგურაციის შედეგი (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ოლპორტის თეორიული ორიენტაციის დახასიათებისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ნაშრომები ინდივიდის ქცევის სირთულისა და უნიკალობის მუდმივი აღიარების ნიშნებია. მიუხედავად ინდივიდის უკიდურესი სირთულისა, ადამიანის ბუნების ძირითადი ტენდენციები ბაზისური კონგრუენტულობით ანუ ერთიანობით ხასიათდება. ამასთან, ოლპორტისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქცევის ცნობიერ დეტერმინანტებს, ყოველ შემთხვევაში, ჯანმრთელი ადამიანის შემთხვევაში. ქცევის კონგრუენტულობისა და ცნობიერი მოტივაციის აღიარებამ ოლპორტი მიიყვანა ფენომენამდე, რომელიც ხშირად აღინიშნება ტერმინებით „მე“ (self) და „ეგო“. გონების ფაქტორებისადმი ყურადღება შეესატყვისება ოლპორტის მოსაზრებას, რომ ადამიანი, დიდწილად, აწმყოს შედეგია და არა — წარსულის. „ფუნქციური ავტონომიის“ მისეული ცნება, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, წარმოადგენს მცდელობას, გაათავისუფლოს თეორეტიკოსი და მკვლევარი ორგანიზმის ისტორიით დაკავების აუცილებლობისგან. მის პოზიციამ, მთლიანობაში, ხაზგასმულია მოტივაციის პოზიტიური, ცნობიერი ელემენტები, ქცევა კი

<sup>2</sup> Psychology of Individual.



შინაგანად შეთანხმებულად და აწმყოს ფაქტორებით დეტერმინირებულად მიიჩნევა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტის მიხედვით (Холл К. С., Линдсей Г., 1997), არსებობს განსვლა ნორმასა და პათოლოგიას შორის. არსებობს განსხვავება ბავშვსა და მოზრდილს, ცხოველსა და ადამიანს შორის. ფსიქოანალიზის მსგავსი თეორიები შეიძლება უაღრესად ეფექტური იყოს დარღვეული ანუ პათოლოგიური ქცევის წარმოსადგენად, მაგრამ მათ დიდი ვერაფერი სარგებელი მოაქვთ ნორმალური ქცევის განხილვისას. ანალოგიურად, თეორიები, რომლებიც ჩვილობის ან ადრეული ბავშვობის აბსოლუტურად ადეკვატურ კონცეპტუალიზაციას იძლევიან, არაადეკვატურნი აღმოჩნებიან მოზრდილის ქცევის რეპრეზენტაციისას. გარდა ამისა, ოლპორტი თანმიმდევრულად ეწინააღმდეგებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან ცნებების ექსტენსიურ აღებას. იგი დარწმუნებულია, რომ ამ მეცნიერებებისთვის გამოსადეგი კვლევის მეთოდები და თეორიული მოდელები მხოლოდ დაგვაშორებენ ადამიანის რთული ქცევის შესწავლისგან. მისი ეს პოზიცია ყველაზე მკაფიოდ ფსიქოლოგიური თეორეტიზაციისას სხვადასხვა ტიპის პოპულარული მოდელების განხილვის კონტექსტშია გადმოცემული (Allport, 1947, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997). ის განიხილავს მექანიკურ, ცხოველურ და ბავშვის მოდელებს და ასკვნის, რომ არც ერთი მათგანი არ იძლევა ადეკვატურ საფუძველს, რომელზეც აიგებოდა ადამიანის ქცევის გამოსადეგი თეორია. ცნებების აღებისადმი უნდობლობას თანხვედბა ოლპორტის მოსაზრება, რომ ოპერაციონალიზმისთვის, გაზომვის პროცედურების დეტალური განხილვისთვის, რასაც მოიაზრებს ნებისმიერი ემპირიული მოსაზრება, ნაადრევი ყურადღება, შესაძლოა, აფერხებდეს ფსიქოლოგიის პროგრესს. პოზიტივიზმი, რომელსაც უმინაარსო ორგანიზმის შესახებ წარმოდგენებისკენ მივყავართ, შესაძლოა, „წმინდა აბსურდი“ იყოს. ანალოგიურად, ის ეჭვის თვლით უყურებს „არაზომიერ ემპირიზმს“ და მკაცრად აკრიტიკებს პიროვნების ფაქტორულ კვლევებს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტს მუდმივად და ღრმად აინტერესებდა „განწყობის“ (set) სფეროში, ზოგიერთი არასასურველი სოციალური პირობის გასაუმჯობესებლად გამოყენებული, ფსიქოლოგიური მეთოდისა და აღმოჩენის გამოყენება. ის მრავალი წლის განმავლობაში კიცხავდა ფსიქოლოგიის ჩაკეტილობას ლაბორატორიის კედლებში და მისი შრომა ცრურწმენებისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების სფეროში სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ფსიქოლოგიის გამოყენების ნათელი მაგალითია. აღსანიშნავია, რომ ბევრი სხვა თეორეტიკოსის მსგავსად, ოლპორტი პესიმისტურად არის განწყობილი ადამიანის ქცევის საიდუმლოებების გახსნაში ფსიქოლოგიური მეთოდისა და თეორიის შესაძლებლობების მიმართ. ამოცანა, რომელიც ინდივიდის სირთულის გამო შეიქმნა, ძალიან დიდია, რათა სრულად იქნას გაგებული ფსიქოლოგიის პრაგმატული მეთოდებისა და კონცეფციების საფუძველზე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ოლპორტი აღიარებს ფსიქოლოგიური პრობლემებისადმი ექსპერიმენტული მიდგომის მნიშვნელოვნებას და მისი გამოყენების გარდაუვლობას, მაინც ფრთხილად საუბრობს ასეთი მცდელობების საბოლოო წარმატების შესახებ (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტის მოსაზრებების კრებული მისსავე ნაშრომებშია წარმოდგენილი, თუმცა, ის თავად არ თვლიდა, რომ რაღაც სისტემა შექმნა. ის აცხადებს, რომ მისი შრომა ყოველთვის ემპირიულ პრობლემებზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე თეორიული ან მეთოდოლოგიური ერთიანობის მიღწევაზე. ის აღიარებს პიროვნების ღია და არა — მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული თეორიის კანონიერებას. ის საკუთარ თავს პლურალისტად მიიჩნევს, რომელიც სისტემური ეკლექტიზმის ჩარჩოში მუშაობს. ოლპორტი წერს, რომ „პლურალისტი ფსიქოლოგიაში ის მოაზროვნეა, რომელიც ადამიანის ბუნებიდან არ გამორიცხავს არც ერთ ატრიბუტს, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენება“ (1964, გვ. 75, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

1966 წელს ოლპორტმა პიროვნების კვლევის ეპისტემოლოგიური პოზიცია წამოაყენა, რომელსაც „ევრისტიკული რეალიზმი“ უწოდა. ეს პოზიცია „აიგება სალი აზრიდან მომდინარე დაშვებაზე, რომ ადამიანები რეალური არსებები არიან, ყოველ მათგანს აქვს რეალური ნეიროფსიქიკური ორგანიზაცია, ხოლო ჩვენი საქმე ამ ორგანიზაციის შეძლებისდაგვარად გაგებაა“ (Allport, G. W., 1966, გვ. 8). მისთვის პიროვნება გამოცანაა, რომელიც მაქსიმალურად ადეკვატურად უნდა ამოიხსნას გასული საუკუნის შუა

წლებში ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით. ასე რომ, მან სხვა პრობლემებიც წამოაყენა: ჭორები, რადიო, ცრურწმენები, რელიგიის ფსიქოლოგია, დამოკიდებულებების ბუნება და ა. შ. ის ყველა ამ სფეროს მიმართ ცნებებს ეკლექტიურად და პლურალისტურად იყენებს, ესწრაფვის რა, მაქსიმალურად ადეკვატურად განიხილოს ისინი ხელთ არსებული თანამედროვე ცოდნის დონეზე. ამგვარად, მისთვის არც ისე მნიშვნელოვანია მისი თეორიის ფორმალური ადეკვატურობის საკითხები (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

გორდონ ოლპორტის ეკლექტიზმი არსად ისე არ ვლინდება, როგორც იმ ცნებათა მრავალფეროვნებაში (Холл К. С., Линдсей Г., 1997), რომელსაც იგი ადამიანის ქცევის აღსაწერად იყენებს. ის განიხილავს ისეთ ვიწრო ცნებებს, როგორცაა სპეციფიკური რეფლექსები და ისეთ ფართო ცნებებს, როგორცაა კარდინალური ნიშნები ან პროპრიუმი და ყველა ამ ცნებას ქცევის გაგებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამასთან, ოლპორტისთვის, ამ ცნებების შესატყვისი პროცესები ორგანიზმში იერარქიულად მოქმედებენ ისე, რომ უფრო ზოგადები, როგორც წესი, დომინირებენ უფრო კერძოებსა და სპეციფიკურებზე. ოლპორტი თავად წერს (1937), რომ გამოსადეგია თითოეული ცნება: პირობითი რეფლექსი, უნარი, ნიშანი, „მე“ (self) და პიროვნება.

**ცხრილი 1. ოლპორტის თეორიის მოკლე შეჯამება.**

ასპექტი	აღწერა
ინდივიდუალური განსხვავებები	ინდივიდები ერთმანეთისგან პიროვნების დომინანტური ნიშნებით განსხვავდებიან. ზოგიერთი ნიშანი საერთოა (ყველა ადამიანს ახასიათებს), ზოგი კი — უნიკალური (მხოლოდ ერთ კონკრეტულ პიროვნებას აქვს).
ადაპტაცია და შეგუება	ფსიქოლოგია შეცდომაში შედის, როდესაც, უპირატესად, დაავადებებზე ფოკუსირდება. ოლპორტი ასახელებს ჯანმრთელი პიროვნების რამდენიმე მახასიათებელს.
კოგნიტური პროცესები	ადამიანების მოსაზრებები საკუთარი თავის შესახებ თავისთავადი ღირებულების მატარებელია.
საზოგადოება	საზოგადოებისადმი ადაპტაციას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება. ოლპორტმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ცრურწმენების, ჭორის გავრცელებისა და რელიგიის კვლევაში.
ბიოლოგიური გავლენები	ნებისმიერ ქცევაზე, გარკვეულწილად, ზემოქმედებს მემკვიდრეობითობა, თუმცა, ოლპორტი არ აკონკრეტებს რა მექანიზმებით ხდება ეს.
ბავშვის განვითარება	პროპრიუმი (ეგო ანუ მე) სტადიურად ვითარდება, თუმცა, ოლპორტი მხოლოდ ამ სტადიების აღწერით შემოიფარგლება და ღრმად არ იკვლევს.
მოზრდილის განვითარება	მოზრდილის განვითარება ადრეული განვითარების ინტეგრირებას წარმოადგენს.

წყარო: Cloninger, S. C., 2004.

მიუხედავად იმისა, რომ აღიარებულია ეს ცნებები და მათი მნიშვნელობა, ოლპორტის თეორიაში ძირითადი აქცენტი ნიშნის ცნებაზე კეთდება. თითქმის თანაბარი სტატუსი აქვთ დამოკიდებულებებსა და ინტენციებს. ოლპორტის თეორიას ხშირად უწოდებენ „ნიშნების თეორიას“, რადგან ამ თეორიაში ნიშნები ძირითადი მოტივაციური კონსტრუქტის ადგილს იკავებენ. ოლპორტისთვის ნიშანი იგივეა, რაც მარეისთვის მოთხოვნილება და ფროიდისთვის — ინსტინქტი/ლტოლვა (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997; Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტი კვლევასაც აწარმოებდა და თეორიულ იდეებსაც აყალიბებდა; ამასთან, იმედოვნებდა, რომ ფსიქოლოგიის მეცნიერება უფრო და უფრო გამოსადეგი იქნებოდა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესში. ის ამტკიცებდა, რომ შეცდომაა, როდესაც მეთოდოლოგია შინაარსზე მეტად მნიშვნელოვანი ხდება, თუმცა, თავად პროგნოზირებდა (და აბსოლუტურად სწორად), რომ პიროვნების ფსიქოლოგიის მომავალი მეთოდოლოგიის დომინირება იქნებოდა შინაარსზე (Cloninger, S. C., 2004).

ოლპორტის თეორიის ძირითადი ასპექტები მოკლედ არის შეჯამებული ცხრილში 1, ხოლო ცხრილში 2 წარმოდგენილია ის ძირითადი ცნებები, რომლითაც ის თეორიის აგებისას ოპერირებს.

## ცხრილი 2. ოლპორტის თეორიის მნიშვნელოვანი ტერმინოლოგია.

ცნება	აღწერა
ზოგადი ნიშანი	პიროვნების სტრუქტურული და მოტივაციური ასპექტი, რომელიც იწყებს და წარმართავს ქცევის კონსისტენტურ ფორმებს, როგორცაა მეგობრულობა, ამბიციურობა და ა. შ. ზოგადი ნიშნები ხელს უწყობენ ადამიანთა ნომოთეტურ ურთიერთშედარებას, მაგრამ მხოლოდ უხეში მიახლოებაა იმასთან, რასაც ნებისმიერი ინდივიდის უნიკალური პიროვნება ჰქვია.
ფუნქციური ავტონომია	მოზრდილი მოტივების მიზნის დამოუკიდებლობა მათი ბავშვობისდროინდელი ანალოგებისგან. ეს არის საშუალება და შედეგი საკუთარი თავის დასრულებულობის შეგრძნებისა, რომელიც მას შემდეგაც ახდენს გავლენას ქცევაზე, რაც ორიგინალური (პირველსაწყისი) მოტივები უკვე აღარ არსებობენ.
იდეოგრაფიული მიდგომა	ცალკეული შემთხვევების შესწავლა, რათა დადგინდეს ის ფაქტორები, რომლებიც მოცემულ ინდივიდს უნიკალურად აქცევენ.
ნომოთეტური მიდგომა	(ჩვეულებრივ) ადამიანთა ჯგუფის შესწავლა, რათა დადგინდეს ადამიანის ქცევის ზოგადი პრინციპები.
ინტენცია	ემოციური სურვილისა და ამ სურვილის დაკმაყოფილების გეგმის შერწყმა, რომელიც გარკვეულ სამომავლო მიზანზეა მიმართული.
პიროვნული დისპოზიცია (პიროვნული ნიშანი)	განმარტებით გავს ზოგად ნიშანს, მაგრამ უნიკალურია კონკრეტული ინდივიდისთვის. ერთი ცალკეული კარდინალური პიროვნული დისპოზიცია შეიძლება ინდივიდის პრაქტიკულად ყველა ქცევაზე ახდენდეს გავლენას. თუმცა, ჩვეულებრივ, ქცევას 5-10 ცენტრალური პიროვნული დისპოზიცია წარმართავს. პიროვნება, ასევე, მრავალ, ნაკლებად გავლენიან მეორად პიროვნულ დისპოზიციას მოიცავს.
პროპრიუმი	პიროვნების გამაერთიანებელი ბირთვი. ჰგავს "მე"-ს ან "ეგო"-ს, მაგრამ უფრო მრავლისმომცველი და ამომწურავია; მოიცავს სხეულებრივი მე-ს შეგრძნებას, უწყვეტი თვითიდენტობის შეგრძნებას, თვითპატივისცემას, თვითგაფართოებას, მე-ხატს, მე-ს, როგორც რაციონალურ აქტორს, პროპრიეტულ მისწრაფებებსა და სუბიექტურ პიროვნებას ანუ მე-ს, როგორც ცოდნის მფლობელს (გამცნობიერებელს).
ღირებულება (ღირებულებითი ორიენტაცია)	გამაერთიანებელი ფილოსოფია, რომელიც ინდივიდის ცხოვრებას საზრისს სძენს. მნიშვნელოვანი ღირებულებებია თეორიული, ეკონომიკური, ესთეტიკური, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური.

წყარო: Ewen, R. B., 2003.

## ბიოგრაფიული ცნობები

გორდონ ვილიარდ ოლპორტი დაიბადა 1897 წლის 11 ნოემბერს ქალაქ მონტესუმაში, ინდიანას შტატში, აშშ. ის ჯონ ოლპორტისა და ნელი ვეისის ოთხშვილიანი ოჯახის მეოთხე შვილი იყო. ოჯახი მეთოდისტური ტრადიციებით ცხოვრობდა და შვილებსაც ასე ზრდიდა (Nicholson, I. A. M., 2003). მისი მამა ოდესღაც ბიზნესმენი იყო, მაგრამ გორდონის დაბადებისთვის უკვე გავლილი ჰქონდა გადამზადება და ექიმად მუშაობდა. ვინაიდან სხვა სათანადო ადგილი არ ჰქონდა, ოლპორტის მამას სახლში ჰქონდა მოწყობილი პატარა საავადმყოფო, სადაც მუდმივად იმყოფებოდნენ პაციენტები და სამედიცინო პერსონალი. ოლპორტი თავის ავტობიოგრაფიაში წერდა, რომ მისი ადრეული ბავშვობა „თანაბარი პროტესტანტული კეთილგონიერებისა და პატიოსნების ელფერს ატარებდა“ (Allport,



ოლპორტი

1967, გვ. 4, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). მისი ძმა ფლოიდი, ასევე, საკმაოდ ცნობილი ფსიქოლოგი, წერდა, რომ მათი დედა უკიდურესად პატიოსანი ადამიანი იყო, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიას. დედამ, წარსულში სკოლის მასწავლებელმა, შეასწავლა პატარა გორდონს სწორი მეტყველებისა და წესიერი ქცევის ღირსებები და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო რწმენის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხების ძიება.

როდესაც ოლპორტი 6 წლის იყო, ოჯახმა უკვე მეოთხეჯერ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და საბოლოოდ კლივლენდში, ოჰაიოს შტატში დასახლდა. ახალგაზრდა ოლპორტმა ადრე გამოავლინა ინტერესი ფილოსოფიური და რელიგიური საკითხებისადმი და ლაპარაკი უფრო უყვარდა, ვიდრე თამაში. ის საკუთარ თავს აღწერს, როგორც „იზოლირებულ“ პიროვნებას, რომელიც თავად განსაზღვრავდა საქმიანობის დიაპაზონს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა 100 მოსწავლეს შორის რეიტინგით მეორემ დაამთავრა, არ თვლიდა, რომ დიდი ენთუზიაზმით სწავლობდა.

1915 წლის შემოდგომაზე ოლპორტმა ჰარვარდში ჩააბარა, მიჰყვა რა უფროსი ძმის, ფლოიდის კვალს, რომელმაც ორი წლით ადრე დაამთავრა ეს უნივერსიტეტი და იმ დროისთვის ფსიქოლოგიის კათედრაზე ასისტენტად მუშაობდა. ამ პერიოდისთვის მან უკვე ბევრი რამ იცოდა ამ უნივერსიტეტის, მისი რეპუტაციის, სხვადასხვა წესისა და იქ მომუშავე პიროვნებების შესახებ, თუმცა, ამით არ გაადვილებულა საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან შეგუების პერიოდი (Nicholson, I. A. M., 2003). თავის ავტობიოგრაფიაში ოლპორტი წერდა: „პრაქტიკულად, ერთ დამეში შეიცვალა ჩემი სამყარო. ჩემი ძირითადი მორალური ღირებულებები, ექვგარეშეა, სახლში შევიძინე. ჩემთვის ახალი იყო მეცნიერებისა და კულტურის მოვლენების ფართო დიაპაზონი, რომელიც ახლა უნდა შემესწავლა“ (Allport, 1967, გვ. 5, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ჰარვარდში ყოფნის პერიოდი არ იყო იოლი ხანა ოლპორტის ცხოვრებაში, ვინაიდან იმდროინდელი ტრადიციები — კლუბური საუნივერსიტეტო ცხოვრება — არ აძლევდა მას საკუთარი თავის ამ გზით დამკვიდრების საშუალებას მისი შუადასავლური წარმომავლობის გამო. თუმცა, ჰარვარდის უკიდურესად ინდივიდუალისტურმა კულტურამ მანინც მისცა საშუალება, ყოველგვარი მოდური კლუბების წევრობის გარეშე განვეითარებინა მიკუთვნებულობისა და სხვებთან დაკავშირებულობის განცდა (Nicholson, I. A. M., 2003).

ჰარვარდში შესვლით დაიწყო ოლპორტის 50-წლიანი თანამშრომლობა უნივერსიტეტთან, რომელიც მხოლოდ ორი ხანმოკლე პაუზით შეწყდა. 1919 წელს მან მიიღო ბაკალავის ხარისხი სპეციალობით „ფილოსოფია და ეკონომიკა“, თუმცა ჯერ ისევ არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება მომავალი კარიერის შესახებ. მან მოისმინა კურსები ფსიქოლოგიასა და სოციალურ ეთიკაში და ორივე საგანმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. სწავლის პერიოდში ის აქტიურად მონაწილეობდა მოხალისეთა სამსახურის რამდენიმე პროექტის დამუშავებაში (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). როდესაც საშუალება მიეცა, თურქეთში წასულიყო პედაგოგიურ პრაქტიკაზე, მან ეს მასწავლებლობის ცდის შანსად აღიქვა და ერთი აკადემიური წელი ევროპაში გაატარა — 1919-1920 წლებში ინგლისურსა და სოციოლოგიას ასწავლიდა სტამბულის რობერტსის კოლეჯში (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

თურქეთში ყოფნისას ოლპორტმა თავისი უფროსი ძმისგან, ფაიეტისგან მიიღო მიწვევა ვენაში, სადაც ის ამერიკულ სავაჭრო მისიაში მუშაობდა. ვენაში ყოფნის პერიოდში ოლპორტი შეხვდა ფროიდს და ამ შეხვედრამ ღრმა კვალი დატოვა მის პიროვნებაში და მთლიანად გადაატრიალა ის (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). საინტერესოა, რომ თავად ოლპორტი ხშირად ყვებოდა ამ ამბავს; იმდენად ხშირად, რომ მონათხრობის რამდენიმე ჩაწერილი, აუდიო და ვიდეო ვერსია პრაქტიკულად იდენტურია და სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთმანეთს (Elms, A. C., 1994). 22 წლის ოლპორტმა საკმაოდ თამამად მისწერა ფროიდს და შეხვედრა სთხოვა. საინტერესოა, რომ ამ ერთადერთმა შეხვედრამ ბევრი რამ განაპირობა ოლპორტის მოსაზრებებში პიროვნების შესახებ (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). ის ამ შეხვედრას „განვითარების ტრავმულ ეპიზოდად“ მოიხსენიებდა (1968, გვ. 383, წყაროში Ewen, R. B., 2003)

ამრიგად, ჩემს სიჭაბუკეში მივწერე ფროიდს, რომ ვენაში ვიმყოფებოდი და მას უეჭველად გაუხარდებოდა ჩემი ნახვა. მისგან ხელნაწერი წერილი მივიღე, რომელშიც თავის ოფისში მეპატიჟებოდა გარკვეულ დროსა და

ადგილზე. მივედი ცნობილი წითელი ტილოთი მოწყობილ ოთახში, სადაც კედლებზე სიზმრების სურათები ეკიდა. მან კარი გამიღო, შიგნით შემიპატიჟა და ჩუმად დაჯდა. შეიძლება არ დამიჯეროთ, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ არ ვიყავი მზად ამ დუმბილისთვის. ვგრძნობდი, რომ რაღაც უნდა მეთქვა, ამიტომ ვიფიქრე და რაც გამახსენდა, ის ვუამბე, კერძოდ, მასკენ მომავალს გზაში ტრამვაიში შემჩნეული ეპიზოდი.

მე ვნახე დაახლოებით ოთხი წლის პატარა ბიჭუნა, რომელსაც აშკარად ჭუჭყის ფობია უყალიბდებოდა. ის დედასთან ერთად იყო. დედა „გაკრახმალებული“ დიასახლისი იყო, რომელიც უკიდურესად სუფთად და მიზანმიმართულად გამოიყურებოდა. პატარა ბიჭი ამბობდა: „არ მინდა იქ დაჯდომა! არ დასვათ ჩემთან, ის ჭუჭყიანია“. ის (ფროიდი) დუმდა მთელი ამ ხნის განმავლობაში და ვიფიქრე, შესაძლოა, საინტერესო ყოფილიყო მისთვის, თუ რამდენად ადრე შეიძლება ჭუჭყის ფობიის განვითარება. მან მომისმინა, მომპყრო თავისი თერაპიული მზერა და მკითხა: „... და ის პატარა ბიჭი თქვენ იყავით?“ სიმართლე გითხრათ, ის მე არ ვიყავი, მაგრამ თავი მაინც დამნაშავედ ვიგრძენი (Allport, 1962, გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, ციტირებულია წყაროში Elms, 1994).

როგორც ელმსი წერს (1994), ოლპორტის ჯიუტი უარყოფა ყოველ შესაძლო შემთხვევაში, რომ თავად არ იყო ის ბიჭი, კიდევ უფრო ამძაფრებს ვარაუდს, რომელიც მისი ბავშვობისდროინდელი მოგონებებით მყარდება, რომ სწორედაც რომ თავად იყო ეს ბიჭი.<sup>3</sup> მან ჰარვარდში მიაგნო ოლპორტის ქვრივისთვის ჰენრი მარეის მიერ მიწერილ წერილს, სადაც იგი ოლპორტთან მეგობრობის სხვადასხვა ასპექტს განიხილავს და ახსენებს, რომ ოლპორტი სწორედაც რომ ის პატარა ბიჭი იყო, რომელზეც ფროიდმა მიუთითა (Elms, A. C., 1994).

საინტერესოა, რომ ოლპორტი უამრავჯერ ყვებოდა ამ ეპიზოდს და არაფერს ამბობდა იმის შესახებ, თუ რა მოხდა ამ ეპიზოდის შემდეგ, ფროიდთან შეხვედრის დანარჩენ დროს. ჰარვარდის საცავში ინახება ამ შეხვედრის ერთადერთი ოლპორტისეული წერილობითი ჩანაწერი, სადაც ის ფროიდთან შეხვედრის დანარჩენ ნაწილზე საუბრობს (Elms, A. C., 1994; Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ის წერს, რომ ესმოდა რა, რომ ფროიდი მისგან პროფესიული რჩევის კითხვას ელოდებოდა, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ვერ იტანდა ქიშმიშს.

ვუთხარი მას, რომ ვთვლიდი, რომ ეს იმის გამო ხდებოდა, რომ როცა სამი წლის ვიყავი, ჩემმა ძიძამ ქიშმიშებს ერთხელ „ტარაკნები“ დაუმახა. ფროიდმა მკითხა: „როდესაც ეს ეპიზოდი გახსენდებათ, ეს სიძულვილი ქრება?“ მე ვთქვი: „არა“. მაშინ მან მომიგო: „ესე იგი, ჯერ კიდევ ვერ მიგიღწევიათ საფუძვლამდე“ (Elms, A. C., 1994, გვ. 77).

ამ დისკუსიის შემდეგ ოლპორტმა „ჩემი ასაკის ახალგაზრდებისთვის ჩვეული სექსუალური პრობლემების შესახებ“ (Elms, A. C., 1994, გვ. 77) ჩამოაგდო სიტყვა. ბოლოს მან სთხოვა ფროიდს, ვინმესთვის გაეწია რეკომენდაცია ამერიკაში ფსიქოანალიზის გასავლელად. მან ბრილი (ფროიდის ერთ-ერთი ძველი მოსწავლე და მთარგმნელი) დაუახსელა. ოლპორტი წერდა, რომ „ფროიდისადმი აშკარა პატივისცემისა და სიმპათიის გრძნობებით დატოვა იქაურობა, თუმცა ხანმოკლე ურთიერთობის დასაწყისში მათი მიზნები არ თანხვდებოდა ერთმანეთს“ (Elms, A. C., 1994, გვ. 77).

ჰარვარდში დაბრუნების შემდეგ ოლპორტმა მალევე დაამთავრა სწავლა და 1922 წელს 24 წლის ასაკში ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხი მიიღო. ჰარვარდმა მას ორწლიანი სტიპენდია შესთავაზა, რომელიც ევროპაში გამგზავრებას გულისხმობდა. ამიტომ ოლპორტმა შემდგომი ორი წელიწადი ბერლინის, ბონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში გაატარა. ის ჯერ ბერლინსა და ბონში სწავლობდა ისეთ დიდ გერმანულ ფსიქოლოგებთან, როგორებიც იყვნენ მაქს ვერთჰაიმერი, ვოლფგანგ კოჰლერი, ვილიამ შტერნი, ჰაინც ვერნერი და სხვები, შემდეგ კი კემბრიჯში იყო, სადაც გერმანიაში ნასწავლის გააზრების შესაძლებლობა მიეცა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ამ პერიოდში ინტენსიურმა აკადემიურმა ცხოვრებამ უცხოეთის სამეცნიერო წრეებში, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მის ინტერესზე, რომელიც მკვეთრად იყო გამოხატული ოლპორტის მოღვაწეობის შემდგომი 30 წლის განმავლობაში. ამან ის შედეგიც გამოიღო, რომ ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე ოლპორტი გერმანული ფსიქოლოგიის მთავარი ინტერპრეტატორი იყო ამერიკაში (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

<sup>3</sup> ოლპორტი განსაკუთრებული სისუფთავით და ჭუჭყისადმი ზიზღით გამოირჩეოდა.

1924 წელს ის ისევ დაბრუნდა ჰარვარდში და სოციალური ეთიკის დეპარტამენტის პროფესორის თანამდებობა დაიკავა (Холл К. С., Линдсей Г., 1997), სადაც, სხვა კურსებთან ერთად, პიროვნების ფსიქოლოგიის ახალ კურსსაც კითხულობდა. ორი წლის შემდეგ ფსიქოლოგიის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა შესთავაზეს დარტმუტის კოლეჯში, სადაც 4 წელი იმუშავა. შემდეგ ისევ ჰარვარდიდან მიიღო მიწვევა, სადაც მუშაობდა კიდევ სიკვდილამდე (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

1925 წელს ოლპორტმა ადელ ლუფკინ გოულდზე იქორწინა, რომელიც მასთან ერთად ფსიქოლოგიის მიმართულეობაზე სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში და შემდგომში კლინიკური ფსიქოლოგი გახდა. მათი ვაჟიშვილი რობერტი მომავალში პედიატრი გახდა. ამგვარად, ოლპორტი ორი თაობის ექიმების გარემოცვაში აღმოჩნდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს ფაქტი მას, გარკვეულწილად, სიამოვნებდა კიდევ.

1936 წელს ოლპორტმა დაწერა პიროვნების ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წიგნი, რომელიც პირველი სახელმძღვანელო იყო ამ სფეროში და არა უბრალოდ პირველი, არამედ, როგორც სალავტორე მადი (Maddi, 1968/2002) და პოლ კოსტა (Elms, A. C., 1994) აღნიშნავენ, „ეს იყო წიგნი, რომელმაც სიღრმისეული გავლენა მოახდინა სფეროზე და პრაქტიკულად მრავალი წლით განსაზღვრა, თუ რა უნდა ყოფილიყო და რა არ უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი პიროვნების შესწავლისას“ (Elms, A. C., 1994, გვ. 78). წიგნი 1937 წელს გამოვიდა სახელწოდებით „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“ (Allport, G. W., 1937).

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოვიდა 1961 წელს სახელწოდებით „პიროვნების პატერნები და ზრდა“. 1937 და 1961 წლებს შორის პერიოდში ოლპორტმა მთელი რიგი კონცეპტუალური და ტერმინოლოგიური ცვლილებები შეიტანა თავის თეორიაში (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტი 70 წლის ასაკში, 1967 წელს ფილტვის კიბოსგან გარდაიცვალა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).<sup>4</sup>

საინტერესოა, რომ ოლპორტი ინტერდისციპლინარული მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო, რომლის შედეგად ჰარვარდის უნივერსიტეტში სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტის ჩამოყალიბება გახდა. ეს იყო ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინტეგრაციის მცდელობა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის ფონზე არც არის გასაკვირი, რომ ოლპორტის მრავალი პროფესიული ნაშრომი გამოკვეთილად დიდაქტიკური ხასიათისაა. ბევრი ავტორისგან განსხვავებით, რომელთა ამოცანაც ისეთი დებულებების შემუშავებაა, რომლებსაც ვერაფერს დააკლებ და უნაკლოდ გამოიყურება, ოლპორტი ამა თუ იმ აზრის გამოკვეთილად და, გარკვეულწილად, გამომწვევად გამოხატვით უფრო იყო დაინტერესებული. ზოგჯერ ამას ის ერთი საკითხის გაზვიადებულად წარმოჩენისკენ და სხვების დაკნინებისკენ მიჰყავდა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოლპორტი არის ერთ-ერთი ყველაზე მწვავედ გაკრიტიკებადი თეორეტიკოსი ფსიქოლოგი, თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ წამოწეული თემები, როგორც წესი, მალევე ხვდებოდნენ ფსიქოლოგთა საყოველთაო ყურადღების ცენტრში (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტს თავისი კარიერის მანძილზე უამრავი ჯილდო და აღიარება ჰქონდა მიღებული (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). მან პრაქტიკულად ყველა პროფესიული ჯილდო მოიპოვა, რაც კი შეიძლება ფსიქოლოგმა მიიღოს. ის 1939 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (აფა) პრეზიდენტად აირჩიეს, 1963 წელს მიიღო ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის ოქროს მედალი, 1964 წელს კი — აფა-ის ჯილდო „მეცნიერებაში განუზომელი წვლილის შეტანისთვის“. 1966 წელს პირველმა მიიღო სოციალური ეთიკის საპატიო პროფესორის წოდება (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტის მეცნიერული შრომის მრავალფეროვნება და ფართო დიაპაზონი ასახულია ათეულობით წიგნსა და უთვალავ მონოგრაფიაში, სტატიაში, წინასიტყვაობასა და მიმოხილვაში, რომელსაც ის ხშირად წერდა სხვა ფსიქოლოგებთან ერთად (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

<sup>4</sup> ოლპორტი გამოუსწორებელი მწვეელი იყო და დიდი რაოდენობით ეწეოდა სიგარებს.

მისი ყველაზე ცნობილი პუბლიკაციებია (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992): „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“ (1937), „ადამიანი და მისი რელიგია“ (1950), „ჩამოყალიბება: პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები“ (1955), „პიროვნება და სოციალური კონფლიქტები“ (1960), „პიროვნების სტილი და განვითარება“ (1961) და „ჯენის წერილები“ (1965).

ის, ასევე, ორი ფართოდ გამოყენებადი პიროვნული კითხვარის თანავტორია: A-S რეაქციის შესწავლა (ფ.კ. ოლპორტთან ერთად, 1928) და ღირებულებების კვლევა (პ.ე. ვერნონთან ერთად, 1931. გადაამუშავა ლინდსეიმ 1951 და 1960 წლებში).

ოლპორტის ავტობიოგრაფია მოცემულია მეხუთე ტომში გამოცემისა „ფსიქოლოგიის ისტორია ავტობიოგრაფიებით“ (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

## ოლპორტის შრომების ძირითადი თემები

ოლპორტმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა იმ საკითხების შერჩევაზე, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში პიროვნების ფსიქოლოგიის სამუშაო თემებად იქცა. ამ თავში მოკლედ მიმოვიხილავთ ამ თემებს. ეს არის პიროვნების კონსისტენტურობა, სოციალური გავლენა, მე-ს ცნება და პიროვნების ურთიერთქმედება სოციალურ გავლენასთან.

### პიროვნების კონსისტენტურობა

დროსა და სიტუაციებში პიროვნების კონსისტენტურობის (ერთიანობის, თანმიმდევრულობის) ცნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს პიროვნების ფსიქოლოგიაში. ოლპორტი (1937) დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ჩვილობიდან მოყოლებული, ადამიანები კონსისტენტურები ანუ „მნიშვნელოვანწილად ცნობადები“ არიან მაშინაც კი, როდესაც ისინი სიტუაციიდან სიტუაციაში და დროთა განმავლობაში იცვლებიან.

### სოციალური გავლენა

ოლპორტი, რომელიც საკმარისად აცნობიერებდა, რომ ადამიანები სოციალურ გარემოში არსებობენ და ეს გარემო მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მათზე, სპეციფიკურ სოციალურ საკითხებს განიხილავდა. მაგალითად, მან დაწერა ნაშრომი ცრურწმენების შესახებ (Allport, 1954, წყაროში Cloninger, S. C., 2004), რომელიც კლასიკურ ტექსტად იქცა. ასევე, ის იკვლევდა ჭორის გავრცელებას (Allport & Postman, 1947, წყაროში Cloninger, S. C., 2004). მაშინ, როდესაც რადიო ჯერ ისევ სიახლედ და უცნაურობად ითვლებოდა, ოლპორტმა და მისმა ყოფილმა სტუდენტმა დაწერეს წიგნი „რადიოს ფსიქოლოგია“ (Cantril & Allport, 1935, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

### მე-ს ცნება

მაშინ, როდესაც ფსიქოლოგიურ მიდგომათა დიდი ნაწილი რედუქციონისტული იყო, ოლპორტისთვის მნიშვნელოვანი იყო მე-ს, როგორც პიროვნული ზრდის ძირითადი ფოკუსის, იდეა. დღესდღეობით მე-ს ცნება პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიული ცნებაა და ფსიქოლოგიის დარგების ფართო დიაპაზონში გამოიყენება: ჰუმანისტური კლინიკური ფსიქოლოგიიდან დაწყებული, კოგნიტური სოციალური ფსიქოლოგიით დამთავრებული (Cloninger, S. C., 2004).

### პიროვნების ურთიერთქმედება სოციალურ გავლენასთან

არ არის გასაკვირი, რომ ფსიქოლოგი, რომელიც პიროვნების ფსიქოლოგიც იყო და სოციალური ფსიქოლოგიც, ცალკე-ცალკე ან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არ განიხილავდა პიროვნებასა და სიტუაციას. ოლპორტს ამ ორის ერთობლივი ფუნქციონირება და მათი ერთობლივი გავლენა აინტერესებდა.

სიტუაციები ზემოქმედებენ ადამიანებზე, მაგრამ ეს გავლენა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა პიროვნების შემთხვევაში, როგორც ამას პიროვნებისადმი ინტერაქციონალისტური მიდგომა აღიარებს. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, მას არ შეუქმნია პიროვნებისა და გარემოს ურთიერთქმედების შესახებ ვრცელი თეორია. ის აღიარებდა, რომ პიროვნულ ნიშნებზე განსაკუთრებულად ფოკუსირების გამო ვერ შეძლო იმ ცვალებადობისთვის სათანადო ყურადღების დათმობა, რომელსაც ეკოლოგიური, სოციალური და სიტუაციური ფაქტორები იწვევენ (Allport, 1966b, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

## იდეური წანამდღვრები

ოლპორტის სისტემატური პოზიცია, ნაწილობრივ, გემტალტფსიქოლოგიიდან, უილიამ შტერნის, უილიამ ჯემსისა და უილიამ მაკ-დაუგოლის თეორიებიდან აღებული იდეების დისტილაციასა და დამუშავებას წარმოადგენს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მან გემტალტთეორიიდან და შტერნიდან აიღო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის ჩვეული ანალიტიკური ტექნიკებისადმი უნდობლობა და ინდივიდის უნიკალობისადმი და მისი ქცევის კონგრუენტულობისადმი ღრმა ინტერესი.

ჯემსის ნაშრომებმა ასახვა ჰპოვეს არამარტო წერის ოლპორტისეულ ბრწყინვალე სტილში, ადამიანის ქცევის განხილვისადმი მის ჰუმანიტარულ ორიენტაციასა და მე-სადმი ინტერესში, არამედ გარკვეულ ექვებშიც, რომელიც ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ადეკვატურად და სრულად არის შესძლებელი ადამიანის ქცევის წარმოდგენა და ბუნების საიდუმლოების ამოხსნა.

მაკ-დაუგოლის პოზიციასთან ოლპორტს მოტივაციური ცვლადებისადმი ყურადღება და „ეგო“-წარმოდგენების გამოყენება აახლოვებს.

დასახელებული ავტორების გავლენების გარდა, ოლპორტის ნაშრომებში იგრძნობა, რომ იგი დიდ პატივს სცემს წარსულს და მუდმივად ავლენს იმ კლასიკური პრობლემების სრულად და სიღრმისეულად ცოდნას, რომელთაც წლების მანძილზე ებრძოდნენ ფსიქოლოგები ლაბორატორიებსა თუ მათ ფარგლებს გარეთ, და პატივს სცემს მათ (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## ოლპორტის მიდგომა პიროვნების შესწავლისადმი

პიროვნების შესწავლისადმი ოლპორტის მიდგომა რამდენიმე ძირითადი ცნებით შეიძლება დახასიათდეს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001): (1) ცნობიერი მოტივაცია; (2) ფსიქიკურად ჯანმრთელი ინდივიდები; (3) ეკლექტური დამოკიდებულება სხვა თეორიებისადმი.

ოლპორტი, პიროვნების ნებისმიერ სხვა თეორეტიკოსზე მეტად, უსვამდა ხაზს ცნობიერი მოტივაციის მნიშვნელობას. ჯანმრთელი, მოზრდილი ადამიანები, როგორც წესი, აცნობიერებენ, რას და რატომ აკეთებენ. ოლპორტის მიერ ცნობიერი მოტივაციის გამოყოფის სათავეები ფროიდთან მისი შეხვედრის ცნობილ ისტორიამდე და ფროიდის ცნობილ კითხვაზე („და ის პატარა ბიჭი თქვენ იყავით?“) ემოციურ რეაქციამდე მიდის. ფროიდის კითხვა თავის თავში მოიცავს დაშვებას, რომ 22 წლის სტუმარი, რომელიც ტრამვაში ნანახი, სისუფთავით შეპყრობილი ოთხი წლის ბიჭუნას ამბავს ყვებოდა, არაცნობიერად საკუთარი სისუფთავის ფეტიშზე ლაპარაკობდა. ოლპორტი (1967, წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001), თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ მისი მოტივაცია სრულიად ცნობიერი იყო — მას უბრალოდ იმის გაგება უნდოდა, თუ რას ფიქრობდა ფროიდი ასეთ პატარა ბიჭთან ჭუჭყის ფობიის შესახებ.

ოლპორტი წერდა: „ამ შემთხვევამ მასწავლა, რომ სიღრმის ფსიქოლოგია, ყველა თავისი ღირსებისდა მიუხედავად, ზოგჯერ ზედმეტად ღრმად იქექება. ფსიქოლოგმა ადამიანს საკუთარი მისწრაფებების



გამოვლენის სრული შესაძლებლობა უნდა მისცეს მანამ, ვიდრე მისი არაცნობიერის ზონდირებას დაიწყებს“ (1967, გვ. 8, წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). ოლპორტი თვლიდა, რომ ადამიანთა უმრავლესობას აწმყოში არსებული მისწრაფებები ამომრავებთ და არა — წარსულის მოვლენები; ისინი აცნობიერებენ, რას აკეთებენ და გარკვეული წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ რატომ აკეთებენ ამას.

ფსიქოლოგია და, მათ შორის, პიროვნების თეორიები, ფსიქიატრიის საფუძველზე იქმნებოდა, რომელიც დაავადებულ ადამიანებს შეისწავლიდა. ოლპორტი, შესაძლოა, პიროვნების პირველი თეორეტიკოსი იყო, რომელიც ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს სწავლობდა. ჯერ კიდევ 1937 წელს, გაცილებით ადრე, ვიდრე პოპულარული გახდებოდა მასლოუსეული თვითაქტუალიზაციის ცნება, გორდონ ოლპორტმა აღწერა მოწიფული პიროვნების ძირითადი ნიშნები. მისი რწმენით, ფსიქიკურად ჯანსაღ ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუძლიათ ქცევის ახალი პატერნების დასწავლა და ზრდა. მათ ახასიათებთ პროაქტიული ქცევა, ანუ ჯანმრთელი ადამიანი არამარტო რეაგირებს გარეგან სტიმულაციაზე, არამედ შეუძლია თავის გარემოზე ცნობიერად იმოქმედოს ახალი, წინასწარ გამოუცდელი მეთოდებით და აიძულოს გარემო, მათზე მოახდინოს რეაგირება. პროაქტიული ქცევა უზრალოდ დამაბულობის შემცირებაზე კი არ არის მიმართული, არამედ ახალ დამაბულობასაც ქმნის (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

არ ეთანხმებოდა რა კეტელისა და აიხენკის ფაქტორულ თეორიებს, რომლებიც ინდივიდუალური ქცევის ზოგად ნიშნებამდე დაყვანის ტენდენციით ხასიათდებიან, ოლპორტი ინდივიდუალობის უნიკალურობის პოზიციაზე იდგა. ფაქტობრივად, ოლპორტი თავად არის უნიკალური პიროვნების თეორეტიკოსებს შორის თავისი დაბეჯითებული მტკიცებით, რომ თითქოს ყოველი პიროვნება გარკვეული გზით არ ჰგავს სხვას. ზოგადი ნიშნების ტერმინებით ადამიანის აღწერის ნებისმიერი მცდელობა მას ართმევს ამ უნიკალობას. ოლპორტის აზრით, ადამიანის შესახებ თუ ვიტყვით, რომ ის გულუხვია, ეს პრაქტიკულად არაფრის თქმას ნიშნავს. ერთი ადამიანის გულუხვობა განსხვავდება მეორის გულუხვობისგან, ხოლო ის გზები, რომლითაც ერთი ადამიანის გულუხვობა ურთიერთქმედებს მის ექსტრავერსიასთან, არც ერთ სხვა ადამიანთან არ მეორდება.

ფსიქოლოგთა დიდი ნაწილის მიერ გამოყენებული ნომოთეტური მეთოდების საპირისპიროდ, ოლპორტი ყოველი ცალკეული ინდივიდის შესწავლისკენ ისწრაფოდა. მან ადამიანის ასეთ შესწავლას *მორფოგენული* მეცნიერება უწოდა. მორფოგენული მეთოდები ერთი ადამიანისგან აგროვებენ მონაცემებს, ნომოთეტური მეთოდები კი — ადამიანთა ჯგუფებისგან. მორფოგენული მეთოდით შესაძლებელია ერთი ადამიანის შესახებ დიდი რაოდენობით ინფორმაციის მოძიება, რომელიც შემდგომში შეიძლება სხვა ადამიანებზე განზოგადდეს, ნომოთეტური მეთოდები კი ადამიანების ჯგუფების შესახებ გვაძლევს ინფორმაციას, რომელსაც მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული ინდივიდისთვის. საინტერესოა, რომ ერთხელ, პირად საუბარში ცნობილ ბრიტანელ ფაქტორულ ანალიტიკოსთან, ჰანს აიხენკთან, რომელიც ნომოთეტური მეთოდების მომხრე იყო, ოლპორტმა თქვა, რომ ის (აიხენკი) ერთხელაც ავტობიოგრაფიას დაწერდა. ისე მოხდა, რომ აიხენკმა მართლაც გამოსცა ავტობიოგრაფია, რომელშიც აღიარებდა, რომ ოლპორტი მართალი იყო და ისეთი მორფოგენული მეთოდები, როგორცაა ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების აღწერა, მისაღები და სანდოა (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

იყო რა პარტიკულარიზმის და ისეთი თეორიების წინააღმდეგი, რომლებიც მხოლოდ ერთადერთ მიდგომას აღიარებდნენ, ოლპორტი აფრთხილებდა მეცნიერებს, რომ არ დაევიწყებინათ ის, რასაც უარყოფდნენ. ამგვარად, ის თეორიის აგებისადმი ეკლექტური მიდგომის მომხრე იყო. მისი აზრით, არც ერთი თეორია არ არის სრულად ამომწურავი და თითოეული მათგანი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ ადამიანის ბუნების დიდი ნაწილი ვერც ერთ ცალკეულ თეორიაში ვერ მოთავსდება. ოლპორტი აღიარებდა ფროიდის, კეტელის, სკინერისა და სხვების მიღწევებს, მაგრამ თვლიდა, რომ მათ თეორიებს არ ხელეწიფებთ მზარდი, ცვალებადი პიროვნების ქცევის ახსნა. მასლოუსა და როჯერსის ზრდის თეორიებმა და თავად ოლპორტის თეორიამ თავიანთი ხედვა დაამატეს ფსიქონალიზისა და დასწავლის თეორიის მიერ შექმნილ საფუძველს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის თვითკმარი. ამიტომ ოლპორტი (1968,

წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001) თვლიდა, რომ ეკლექტიზმი სჯობს პარტიკულარიზმს, რადგან ის ნაკლებად ზღუდავს და მთლიანი, უნიკალური პიროვნების გაგების მეტ იმედს გვიტოვებს. უფრო ფართო თეორიები, რომც არ გვთავაზობდნენ განზოგადებულ შემოწმებად ჰიპოთეზებს, უკეთესია, ვიდრე შედარებით ვიწრო თეორიები.

ამრიგად, ოლპორტის, როგორც ნიშნების თეორეტიკოსის, პოზიცია შემდეგნაირად შეგვიძლია შევაჯამოთ (Pervin, L. A., 2003):

1) ის კრიტიკულად იყო განწყობილი ინდივიდუალური განსხვავებების გაზომვაზე ორიენტირებული ფსიქოლოგებისადმი, ვინაიდან ამ დროს ყურადღების მიღმა რჩებოდა ინდივიდის, როგორც ერთი მთლიანის, ორგანიზაცია. ეს პოზიცია თანხვედრა მის მიერ ფაქტორული ანალიზის, როგორც პიროვნების შესწავლის მეთოდის, უარყოფას. ოლპორტი თვლიდა, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი იყო პიროვნებისთვის უნიკალური ნიშნებისა და პიროვნებაში ამ ნიშნების ორგანიზაციის თავისებურებების ცოდნა, ვიდრე იმის გარკვევა, თუ რა მიმართებაშია ეს პიროვნება სხვებთან გარკვეული ზოგადი ნიშნების გამოკვეთილობის მიხედვით. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ის ხაზს უსვამდა იდეოგრაფიული კვლევის მნიშვნელობას, რომელიც ინდივიდის ფუნქციონირების პატერნებისა და ორგანიზაციის სიღრმისეულ შესწავლას მოიცავდა. ასეთი მიდგომა განსხვავდებოდა ნომოთეტური კვლევისგან, რომელიც რამდენიმე სტანდარტული პიროვნული საზომის მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობდა ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლას (Pervin, L. A., 2003).

2) ოლპორტი სრულად აცნობიერებდა ქცევის ცვალებადობასა და სირთულეს, მაგრამ მიაჩნდა, რომ ადამიანები კონსისტენტურად (თანმიმდევრულად/შეთანხმებულად) მოქმედებენ და ნიშნის ცნება ამ მოქმედებების აღსაწერად/ასახსნელად არის მოწოდებული. ამასთანავე, აღიარებდა, რომ ადამიანებზე სიტუაციებიც ზემოქმედებენ და ქცევათა დიდი ნაწილი რამდენიმე ნიშნის ზემოქმედებით ყალიბდება. ამასთან, ფიქრობდა, რომ ყოველ პიროვნებას აქვს თავისი კონფლიქტი, რომელიც ანტაგონისტური დისპოზიციების არსებობით გამოიხატება. ამგვარად, კონსისტენტურობა ფარდობითი ცნებაა და „არავისგან მოელიან სრულყოფილი და მდგრადი შინაგანი შეთანხმებულობის გამოვლენას“ (Allport, G. W., 1937გვ. 332).

3) ოლპორტს აფიქრებდა მოტივისა და ნიშნის ცნებების ურთიერთმიმართების საკითხი. ის იკვლევდა, თუ რა ახდენს ორგანიზმის აქტივაციას და რა წარმართავს სტიმულზე განხორციელებულ რეაქციას. ამასთან მიმართებით, ის ერთმანეთისგან განასხვავებდა მოტივაციასა და რეაგირების სტილს (Allport, G. W., 1937გვ. 323). ამასთან, პიროვნებას მოტივაციური ტერმინებით განიხილავდა, თუმცა, უარყოფდა იმ პერიოდისთვის ტრადიციული მოთხოვნილებებისა და მოტივების კონცეფციებს, პიროვნების გამოვლინებების აღწერის თვალსაზრისით მათი შეზღუდულობის გამო. არსებულ პოზიციებს მთელი მოტივაცია რამდენიმე (მაგალითად, სექსისა და აგრესიის) მოტივის მოქმედებაზე დაჰყავდათ. ოლპორტი თვლიდა, რომ ასეთი მარტივი ახსნა არ გამოდგებოდა პიროვნების მრავალფეროვანი ფუნქციონირების აღსაწერად და ასახსნელად. ამგვარად, ის უარყოფდა მოტივების ტრადიციული ხედვას და ცდილობდა, მოტივების ცნება ნიშნების სფეროსთვის მოერგო. გარდა ამისა, იგი თვლიდა, რომ ყველა მოტივი არ არის ნიშანი და ყველა ნიშანი ვერ იქნება მოტივი (Pervin, L. A., 2003).

## ადამიანის ბაზისური ბუნება ოლპორტის სისტემაში

ოლპორტისთვის პიროვნება ინდივიდში არსებობს. ის წერს: „რა თქმა უნდა, ჩვენ სხვებზე ვახდენთ შთაბეჭდილებას და მათი რეაქციები მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ ჩვენი პიროვნებების ჩამოყალიბებაში . . . მაგრამ რას ვიტყვით განდევნილების, გარიყულების შესახებ . . . როგორც რობინზონ კრუზო იყო მანამ, სანამ პარასკევას იპოვიდა? ასეთი ყოფა განა ართმევს მას პიროვნებას და მხოლოდ იმიტომ, რომ ის არავიზე ახდენდა გავლენას? ვთვლი, რომ ასეთ გამონაკლის არსებებს არანაკლებ მიმზიდველი თვისებები აქვთ, ვიდრე ადამიანთა საზოგადოებაში მცხოვრებ ინდივიდებს . . . იმიტომ რაღაც

უნდა გვეკონდეს 'კანს შიგნით', რაც ჩვენს 'ჭეშმარიტ' ბუნებას ქმნის" (Allport, 1961, გვ. 24, ციტირებულია წყაროში Ewen, R. B., 2003).

ოლპორტს ჰქონდა საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს პიროვნება და როგორ განიმარტება ის. პიროვნების ოლპორტისეულ განსაზღვრებაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

## ინსტინქტური აღმძვრელები (დრაივები)

ყოველი ჩვენგანი ისწრაფვის ისეთი შინაგანი აღმძვრელების რედუცირებისკენ, როგორცაა შიმშილი, წყურვილი, სექსი, გამოყოფა, ჟანგბადის საჭიროება და ძილის მოთხოვნილება. „თუ ადამიანს შია, იხუთება უპაერობისგან, წყურვილით კვდება ან საშინლად გადაღლილია და დასვენება ესაჭიროება, ყველა სხვა მოტივი უკანა პლანზე გადადის მანამ, ვიდრე ეს აღმძვრელები არ დაკმაყოფილდებიან“ (Allport, 1961, გვ. 205, ციტირებულია წყაროში Ewen, R. B., 2003).

ინსტინქტური აღმძვრელები ანუ დრაივები მთელი ცხოვრების განმავლობაში აქტიურნი არიან და სრულად დომინირებენ პატარა ბავშვების მოტივაციურ სფეროში, რომელთაც ოლპორტი „არასოციალიზირებულ საშინელებებს“ (1961) უწოდებს. ისინი უკიდურესად მომთხოვნი, მოუთმენლები, დესტრუქციულები და უსინდისოები არიან. მაშასადამე, ფროიდისა და ფრომის მსგავსად, ოლპორტი ასკვნის, რომ ჩვენ, ადამიანებმა უნდა ვისწავლოთ თანდაყოლილი ნარცისიზმის დაძლევა. ის წერს, რომ „საკუთარი თავის სიყვარული აშკარად პოზიტიურია და ყოველთვის აქტუალურია. (ჩემი) თეორია მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეს მოთხოვნილება ყოველთვის არ არის დომინანტური“ (Allport, 1955, გვ. 28, 30, ციტირებულია წყაროში Ewen, R. B., 2003).

## მოზრდილის მოტივების ფუნქციური ავტონომია

ოლპორტის მიხედვით (Ewen, R. B., 2003), მოზრდილი ადამიანის მოტივები ოთხი ძირითადი მახასიათებლით განსხვავდება ბავშვის მოტივებისგან. ქვემოთ მოკლედ გავეცნობთ თითოეულ მახასიათებელს.

### აღმძვრელის მატება

ინსტინქტები მოზრდილობის პერიოდშიც აგრძელებენ მოქმედებას და ჩვენთვის მნიშვნელოვანია აღმძვრელის რედუცირების ისეთი სასიამოვნო აქტივობების განხორციელება, როგორცაა ჭამა, სმა, ძილი და სექსუალური აქტივობა; თუმცა, მოზრდილის მოტივთა დიდი ნაწილი შედარებით დამოუკიდებელია ამ ბიოლოგიური აღმძვრელებისგან, განსხვავებულია სხვადასხვა ინდივიდთან და ხშირად ინარჩუნებს და ზოგჯერ ზრდის კიდევ დამაბულობას, რათა შედარებით შორეული მიზნები იქნას მიღწეული (Ewen, R. B., 2003). მაგალითად, სტუდენტების ნაწილი უარს ამბობს სასიამოვნოდ დროის გატარებაზე და საათობით მეცადინეობს დასახული მიზნების მისაღწევად; ჯარისკაცები სიცოცხლეს სწირავენ სამშობლოსთვის. ასეთი მაგალითები ოლპორტს აფიქრებინებს, რომ მოზრდილის ქცევის დიდი ნაწილი ვერ აიხსნება დრაივის/აღმძვრელის რედუქციით ან ფროიდისეული სიამოვნების პრინციპით.

### მრავალფეროვნება და უნიკალურობა

ზემოთ მოტანილი მაგალითები იმაზეც მეტყველებენ, რომ მოზრდილი ადამიანის მოტივები მნიშვნელოვნად ვარიირებს ინდივიდიდან ინდივიდზე. მაშასადამე, შეუძლებელია პიროვნების ახსნა მხოლოდ რამდენიმე უნივერსალურ აღმძვრელზე დაყრდნობით. ოლპორტს მიაჩნდა, რომ მოზრდილის უამრავი სხვადასხვაგვარი მოტივი არსებობს და თითოეული მათგანი უნიკალურია მოცემული პიროვნებისთვის (1961, წყაროში Ewen, R. B., 2003).

ამიტომ ოლპორტი ამტკიცებს, რომ პიროვნების თეორიას ცალკეული შემთხვევები უნდა აინტერესებდეს. ფსიქოლოგიური კვლევა, ჩვეულებისამებრ, ადამიანთა ჯგუფებზე (შერჩევებზე) ტარდება

და ადამიანის ქცევის ზოგადი პრინციპების დადგენას ცდილობს, თუმცა, ოლპორტი იმ იდიოსინკრაზულობების შესწავლას ამჯობინებს, რომლებიც მოცემულ ინდივიდს ყველა სხვა დანარჩენისგან განასხვავებენ (ე. წ. იდეოგრაფიული მიდგომა) (Ewen, R. B., 2003).

## ტელეოლოგია

იუნგისა და ადლერის მსგავსად, ოლპორტი ასკვნის, რომ ადამიანის ქცევის დიდი ნაწილი არ არის დეტერმინირებული წარსულში არსებული მიზეზებით. ამის ნაცვლად, მას მიაჩნია, რომ ჩვენ ხშირად ჩვენი *ინტენციები* გვამართავენ. მოტივაციის ასეთი ტელეოლოგიური<sup>5</sup> ფორმა მოიცავს როგორც ემოციურ სურვილებს, ისე — ამ სურვილების დაკმაყოფილების გეგმას, რომელიც გარკვეულ მომავალ მიზანზეა მიმართული, როგორცაა, მაგალითად, ახალი მიწების აღმოჩენა ან ფსიქოლოგად ჩამოყალიბება. ოლპორტი თვლის, რომ იმის გასაგებად, თუ რა არის პიროვნება, ყოველთვის აუცილებელია იმაზე მითითება, თუ რა/როგორი სურს მას, რომ იყოს მომავალში. პიროვნება დროის ნებისმიერ მომენტში მის სამომავლო შესაძლებლობებზე მითითებით შეიძლება აღიწეროს (Allport, 1955, წყაროში Ewen, R. B., 2003).

## ფუნქციური ავტონომია

თეორეტიკოსების დიდი ნაწილი ბავშვისა და მოზრდილის ქცევას ერთი და იგივე ბაზისური მოტივების (როგორცაა სექსუალობა და აგრესიულობა ფროიდიანულ ფსიქოანალიზში, ან დომინირებისკენ სწრაფვა ადლერისეულ თეორიაში) სხვადასხვაგვარ გამოხატულებად მიიჩნევს. ამის საპირისპიროდ, ოლპორტი ამტკიცებს, რომ მოზრდილის მოტივები ხშირად, მიზნის თვალსაზრისით, *ფუნქციურად ავტონომიური* ანუ დამოუკიდებელი ხდება მათი ბავშვობისდროინდელი ან მოზარდობისდროინდელი საწყისებისგან (Ewen, R. B., 2003).<sup>6</sup>

ვინაიდან მოზრდილი ადამიანის მოტივების უმეტესობა ფუნქციურად ავტონომიურია,<sup>7</sup> ოლპორტი ვერ ხედავს ქცევის ბავშვობისდროინდელი მიზეზების კვლევა-ძიების აუცილებლობას. ის წერს: „ფუნქციურად ავტონომიური მოტივი არის პიროვნება . . . ჩვენ არ გვჭირდება და არც შეგვიძლია უფრო 'ღრმად' ჩახედვა“ (Allport, 1961, გვ. 244, 238-243, ციტირებულია წყაროში Ewen, R. B., 2003).

## ღირებულებები

ოლპორტისთვის, იუნგისა და ფრომის მსგავსად, ადამიანებს ერთიანი ფილოსოფია გვჭირდება, რომელიც ჩვენს ცხოვრებას აზრს სძენს და პასუხს გვაძებნინებს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორცაა ტანჯვა და სიკვდილი. ოლპორტი ასკვნის, რომ ადამიანებს ექვსი მნიშვნელოვანი *ღირებულება* (*ღირებულებითი ორიენტაცია*) აქვთ (Cloninger, S. C., 2004; Ewen, R. B., 2003):

- *თეორიული*: ინტელექტუალური სურვილი, დაადგინოს ჭეშმარიტება და მოახდინოს (ინდივიდის) ცოდნის ორგანიზება, როგორც ამას მეცნიერი ან ფილოსოფოსი აკეთებს;
- *ეკონომიკური*: ბიზნესისმაგვარი საფიქრალი სასარგებლო და პრაქტიკულის შესახებ;
- *ესთეტიკური*: აქცენტი ფორმით, მშვენიერებითა და ხელოვნებით ტკბობაზე;
- *სოციალური*: სხვა ადამიანების სიყვარულის მოპოვებასა და მათდამი სიყვარულზე ზრუნვა;
- *პოლიტიკური*: ძალაუფლების სიყვარული, რომელიც აუცილებლობით არ უკავშირდება პოლიტიკის სფეროს;
- *რელიგიური*: გარკვეულ უმაღლეს რეალობასთან ერთიანობის მისტიკური სურვილი.

ეს კლასიფიკაცია, ნაწილობრივ, ნომოთეტურია, ვინაიდან ის ზოგადად ადამიანებს შეეხება. თუმცა, იდეოგრაფიულიცაა, ვინაიდან ღირებულებათა სისტემა ექვსი შესაძლებლობის უნიკალურ კომბინაციას

<sup>5</sup> მომავალზე ორიენტირებული.

<sup>6</sup> ფუნქციური ავტონომიის ცნებას კიდევ დაუზრუნდებით პიროვნების განვითარების განხილვისას.

<sup>7</sup> აქ ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია ინსტინქტური დრაივების რედუცირება.

წარმოადგენს. ერთ ადამიანს შეიძლება თეორიული და ესთეტიკური აინტერესებდეს, მაგრამ სრულიად გულგრილი იყოს პოლიტიკურისა და რელიგიურის მიმართ, ხოლო მეორეს სრულიად საპირისპირო ინტერესები ჰქონდეს.

ოლპორტი ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსია, ვინც წერილობითი კითხვარი შექმნა ისეთი კონსტრუქტების გასაზომად, როგორცაა ღირებულებები (Ewen, R. B., 2003).

## ცნობიერება და კონკრეტულობა

ოლპორტის დამოკიდებულება არაცნობიერისადმი, გარკვეულწილად, ამბივალენტურია (Ewen, R. B., 2003). ერთი მხრივ, ის იზიარებს ფსიქოანალიტურ რწმენას, რომ პიროვნებაში მიმდინარე მოვლენების დიდი ნაწილი არაცნობიერში ხდება, ინფანტილურია ბუნებით და დაფარულია ინდივიდისგან. მეორე მხრივ, ასკვნის, რომ ჯანმრთელი ადამიანი, უპირატესად, ცნობიერი იმპულსებითა და კონფლიქტებით არის მოტივირებული და ფროიდისეულ აქცენტს არაცნობიერ პროცესებზე ფსიქოპათოლოგიისადმი მოჭარბებულ ყურადღებას მიაწერს. ოლპორტი წერდა (Allport, 1961, გვ. 140, 150, 152, 155, წყაროში Ewen, R. B., 2003), რომ ფროიდი კლინიკისტი იყო, რომელიც წლიდან წლამდე აშლილობების მქონე ადამიანებთან მუშაობდა, ამიტომ მისი ინსაიტები ასეთ შემთხვევებს უფრო შეესატყვისება, ვიდრე ჯანსაღად ფუნქციონირებად ადამიანებს, რომელთაც უფრო ავტონომიური ეგო აქვთ.

გარდა ამისა, ოლპორტისთვის პრიორიტეტულია ადამიანის მოტივაციის კონკრეტული ასპექტების ხაზგასმა. ჩვენ პირდაპირ არ და ვერ დავისახავთ მიზნად სიამოვნების მიღებას; ამის ნაცვლად ისეთ კონკრეტულ მიზნებზე ვფოკუსირდებით, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტულ ადამიანზე დაქორწინება, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოპოვება, ან მატერიალური უზრუნველყოფის მიღწევა (Ewen, R. B., 2003).

ვინაიდან ჯანსაღი მოზრდილი ადამიანის მოტივებს უპირატესად ცნობიერად და კონკრეტულად მიიჩნევს, ოლპორტი ამტკიცებს, რომ პიროვნების მნიშვნელოვანი ასპექტები უშუალო კვლევა-ძიებით შეიძლება იქნას გამოვლენილი. ამასთან დაკავშირებით ცნობილია მისი პოზიცია: „თუ რაიმეს გაგება გვინდა პიროვნებაზე, რატომ არ ვკითხვით მას ამის შესახებ?“ (Allport, 1942, 1961, გვ. 224-225, ციტირებულია წყაროში Ewen, R. B., 2003).

## პიროვნების ოლპორტისეული განსაზღვრება

ოლპორტის აზრით (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001), ადამიანის პიროვნების ყველაზე ზოგადი განსაზღვრება ერთ წინადადებაზე დადის: „ადამიანი ობიექტური რეალობაა“. თუმცა, ისეთ გამოყენებით მეცნიერებას, როგორც ფსიქოლოგიაა, ტერმინოლოგიური სიზუსტე სჭირდება. ამიტომ ოლპორტმა კოლოსალური შრომა გასწია პიროვნების განმარტების ფორმულირებისთვის, რაც დღესდღეობით ამ თემაზე წარმოებული კვლევის კლასიკურ ნიმუშად ითვლება. მან თავის პირველ წიგნში „პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია“ (1937) სიტყვა „პერსონას“ ეტიმოლოგიას ანტიკურ საფუძვლებამდე გაადევნა თვალი, ძველბერძნული, ლათინური და ეტრუსკული მნიშვნელობების ჩათვლით. სიტყვა „პიროვნება“, შესაძლოა, წარმოშობილიყო სიტყვა „პერსონა“-დან, რაც თეატრალურ ნიღაბს ნიშნავდა, რომელსაც ჩვ. წ.-ად.-მდე პირველ საუკუნეში რომაელი მსახიობები ანტიკური ბერძნული დრამების წარმოდგენისას იყენებდნენ (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

ოლპორტმა თავდაპირველი ზოგადი განმატებიდან გადაინაცვლა შემდეგზე: „პიროვნება — ეს არის რაღაც, რომელიც რაღაცას აკეთებს. პიროვნება არის ის, რაც თავად ინდივიდის შიგნით ძვეს კონკრეტული ქცევების მიღმა“ (Allport, G. W., 1937, გვ. 48). ოლპორტი თავს არიდებდა პიროვნების, როგორც სავსებით ჰიპოთეტური ცნების, განსაზღვრებას და ამტკიცებდა, რომ ეს რეალური არსია, რომელიც ინდივიდს განეკუთვნება. აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორია ამ რაღაცის ბუნება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად

ოლპორტმა პიროვნების შესახებ არსებული დიდძალი ლიტერატურა დაამუშავა, შეკრიბა ფსიქოლოგიაში, თეოლოგიაში, ფილოსოფიაში, სამართალში, სოციოლოგიასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული 49 სხვადასხვა განსაზღვრება, მოახდინა მათი კლასიფიკაცია (Cloninger, S. C., 2004) და შემდეგ 50-ე, საკუთარი ამომწურავი განსაზღვრება შემოგვთავაზა (Allport, G. W., 1937), რომლის მიხედვითაც, ადამიანი ერთდროულად პროდუქტივ არის და პროცესიც; ის გარკვეული სტრუქტურითაა ორგანიზებული, მაგრამ, ამავე დროს, შეცვლის უნართაც ხასიათდება.

პიროვნება — ეს არის ინდივიდში ფსიქოფიზიკური სისტემების დინამიკური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მის უნიკალურ შეგუებას გარემოსთან (Allport, G. W., 1937, გვ. 48).

ეს განსაზღვრება მაინც არ არის უნივერსალური და არ არის მიღებული ყველა თეორეტიკოსის მიერ, ვინაიდან მოიცავს დაშვებებს, რომელთაც პიროვნების ყველა ფსიქოლოგი არ იზიარებს (Cloninger, S. C., 2004).

თითქმის 25 წლის შემდეგ, როდესაც თავის მეორე ძირითად წიგნზე მუშაობდა („პიროვნების სტილი და განვითარება“, 1961), ოლპორტმა ფრაზის ბოლო ნაწილი ჩაანაცვლა ფრაზით „განსაზღვრავს მისთვის დამახასიათებელ ქცევასა და აზროვნებას“ (Allport, 1961; გვ. 28, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ეს ცვლილება საყურადღებოა და სიზუსტისადმი ოლპორტის სწრაფვას ასახავს. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისთვის მას ესმოდა, რომ ფრაზა „გარემოსთან შეგუება“ შეიძლება ისე იქნას გაგებული, თითქოს ადამიანები უბრალოდ ადაპტირდებიან გარემო პირობებთან. ოლპორტი შედარებით გვიანდელ განსაზღვრებაში გამოთქვამს იდეას, რომ ქცევა ადაპტური და ექსპრესიულია. ადამიანები უბრალოდ კი არ ეგუებიან თავიანთ გარემო პირობებს, არამედ იაზრებენ მას და ურთიერთქმედებენ მასთან იმგვარად, რომ გარემო, თავის მხრივ, იძულებული ხდება, შეეგუოს მათ (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტისთვის პიროვნება არც უბრალოდ დამკვირვებლის კონსტრუქტია და არც რაღაც ისეთი, რომელიც მხოლოდ მასზე მორეაგირე მეორე ადამიანის იქ ყოფნის მომენტში არსებობს. პირიქით, პიროვნებას რეალური არსებობა აქვს, ნერვული და ფიზიოლოგიური თანმხლები პირობების ჩათვლით (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება მრავალფუნქციურია (Jordan, M. E., 2011). მისი გამოყენება შესაძლებელია არამარტო გამოყენებით ფსიქოლოგიაში, არამედ ფილოსოფიასა და ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროებში. ამ ფორმულირების შექმნის მომენტიდან სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელი უამრავი თეორეტიკოსი და მკვლევარი რეგულარულად იყენებს მას. ოლპორტის აზრით, პიროვნება საკუთარ თავში მოიცავს ყველაფერს: ფსიქიკას, ფიზიოლოგიას, დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომ თვალსაჩინო ქცევას და დაფარულ აზრებს. ის არამარტო არის რაღაც, არამედ აკეთებს კიდევ რაღაცას. პიროვნება — ეს არის არსი და ცვლილება, პროდუქტი და პროცესი, სტრუქტურა და ზრდა (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ამრიგად, ოლპორტის საბოლოო განსაზღვრება ასეთია: პიროვნება არის ინდივიდის შიგნით არსებული ფსიქოფიზიკური სისტემების დინამიკური ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს მის უნიკალურ ქცევასა და აზროვნებას (Allport, 1961, გვ. 28, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

რას ნიშნავს ოლპორტის მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება? ოლპორტი თავადვე განმარტავს ხუთ ძირითად ცნებას, რომელთაც პიროვნების განსაზღვრებაში იყენებს.

## დინამიკური ორგანიზაცია

ოლპორტი (1937) პიროვნების „დინამიკური ორგანიზაციით“ ხაზს უსვამს „აქტიურ ორგანიზაციას“ (გვ. 48). ჯანმრთელი ადამიანები ინტეგრირებულები და „აკრეფილები“ არიან. დინამიკური ორგანიზაცია განვითარების პროცესში ყალიბდება, ხოლო წარუმატებელი ინტეგრაცია ფსიქოპათოლოგიის ნიშანია (Cloninger, S. C., 2004). პიროვნება პატერნებით ორგანიზირდება და აიგება, თუმცა ეს სტრუქტურა ყოველთვის ექვემდებარება ცვლილებას, ამიტომაც იყენებს იგი სიტყვას „დინამიკური“ (Фрейджер, Р. &

Фейдимен Дж., 2001). ამრიგად, ქცევა მუდმივად ევოლუციონირებს და იცვლება. პიროვნება არ არის სტატიკური არსება, თუმცა გარკვეული საფუძვლამდებარე სტრუქტურა არსებობს, რომელიც პიროვნების განსხვავებულ ელემენტებს აერთიანებს და მათ ორგანიზებას ახდენს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ყველა თეორეტიკოსი არ იზიარებს ორგანიზაციის ანუ ერთიანობის თემას. ამის ნაცვლად, ტრადიციული დასწავლის თეორია დისკრეტულ ქცევით ერთეულებზე ან სტიმულ-რეაქციის კავშირებზე ფოკუსირდება; ხოლო ფსიქოანალიზი ადამიანებს კონფლიქტურ ერთეულებად ანაწევრებს. ოლპორტს მიაჩნდა, რომ ფსიქოანალიზს შეზღუდული წარმოდგენა აქვს პიროვნებაზე, ვინაიდან ის კლინიკური პოპულაციის და იმ ადამიანების შესწავლაზე აიგება, რომლებმაც ვერ მიაღწიეს სრულ ინტეგრაციას; რომელთა სიმპტომები არ ერგება მათ დანარჩენ პიროვნებას. ამის საპირისპიროდ, ჯანმრთელი პიროვნება ორგანიზებულ და თვითრეგულირებად მთლიანად ყალიბდება (Cloninger, S. C., 2004).

## ფსიქოფიზიკური სისტემები

მითითება „ფსიქოფიზიკურ სისტემებზე“ ხაზს უსვამს პიროვნების აღწერისას როგორც ფსიქიკური (გონების), ისე ფიზიკური (სხეული) ასპექტების/ელემენტების მნიშვნელოვნებას (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ოლპორტისთვის პიროვნება ექვემდებარება როგორც ბიოლოგიურ, ისე — ფსიქოლოგიურ ზეგავლენებს. სხეული და გონება განუყოფელია ერთმანეთისგან (Cloninger, S. C., 2004).

პიროვნების რამდენად მნიშვნელოვანი დეტერმინანტია მემკვიდრეობითობა? ოლპორტი უშვებს, რომ ის ყოველთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, ნებისმიერ ქცევაზე და მახასიათებელზე გამოცდილებაც მოქმედებს (Cloninger, S. C., 2004).

## განსაზღვრავს

ტერმინის „განსაზღვრავს“ გამოყენება ოლპორტის ფსიქოფიზიკური მიდგომის/ორიენტაციის ლოგიკური შედეგია. არსებითად, ეს ნიშნავს, რომ პიროვნება მოიცავს განსაზღვრულ ტენდენციებს, რომლებიც შესატყვისი სტიმულების გამოჩენისას ქცევის იმპულსებს იძლევა, რომლებშიც ვლინდება ინდივიდის ჭეშმარიტი ბუნება. სხვა სიტყვებით, პიროვნება არ არის უბრალოდ ნიღაბი, რომელსაც ვატარებთ და არ არის მხოლოდ ქცევა, რომელსაც თვალსაჩინოდ ვახორციელებთ. პიროვნება მოიაზრებს ადამიანს, რომელიც თვალსაჩინო, გარეგანი ქცევების მიღმა იმალება; ორგანიზმს, რომელიც ამ მოქმედებების მიღმა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ზოგიერთი თეორეტიკოსისთვის პიროვნების ცნება სასარგებლო პრედიქტორია, მაგრამ თავად არ არის რეალურად არსებული. ოლპორტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და სიტყვას „განსაზღვრავს“ სწორედ იმის ხაზგასასმელად იყენებს, რომ პიროვნება ქცევის მიზეზია. მან თქვა (1937), რომ ეს ტერმინი ბიოლოგიური ხედვის ბუნებრივი შედეგია, ვინაიდან ნიშანი რეალურია ფიზიკური თვალსაზრისით.

## უნიკალური

ოლპორტისთვის ნიშნები უკიდურესად ინდივიდუალიზირებული ანუ უნიკალურია. ის ღიად არ ეთანხმება იმ თეორეტიკოსებს, რომლებიც უშვებენ, რომ ერთი ან რამდენიმე მოტივი ან ინსტინქტი საკმარისია ყველა ადამიანის ქცევის ასახსნელად.<sup>8</sup> ოლპორტისთვის ადამიანები სხვადასხვაგვარი ნიშნებით არიან მოტივირებულნი, რომლებიც მათი დასწავლის განსხვავებული გამოცდილების ასახვას წარმოადგენენ (Cloninger, S. C., 2004).

<sup>8</sup> როგორც ამას, მაგალითად, ფროიდი აკეთებს და ძირითად ამხსნელად აგრესიულობისა და სექსუალობის მოტივები შემოაქვს.

ტერმინი „უნიკალური“ ოლპორტის განსაზღვრებაში იმ პირველხარისხოვან მნიშვნელობას ასახავს, რომელსაც იგი ნებისმიერი ადამიანის უნიკალობას ანიჭებს, ვინაიდან მის პერსონოლოგიურ სისტემაში არ არსებობს ორი მსგავსი ადამიანი (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

## შეგუება გარემოსთან

ოლპორტი (1937) ხაზს უსვამს პიროვნების ადაპტურ, დამღევის ფუნქციებს. მისთვის პიროვნება ცენტრალური ნერვული სისტემის მიერ უსაფრთხოებისა და კომფორტის მიღწევის მცდელობის შედეგია, რომელსაც უნდა მიაღწიოს აფექტურ მისწრაფებებსა და გარემოს მკაცრ მოთხოვნებს შორის გახლეჩილმა ინდივიდმა (გვ. 118). ოლპორტს გაცილებით მეტად აინტერესებდა ის, რასაც ფსიქონალიტიკოსები ეგოს ფუნქციებს უწოდებენ, ვიდრე ადაპტაციის ხელისშემშლელი შინაგანი კონფლიქტები, რომლებიც ფსიქიკურად არაჯანმრთელ ადამიანებს ახასიათებთ. ეს ადაპტაციები უნიკალურია ყოველი კონკრეტული ინდივიდისთვის, ვინაიდან განსხვავებულია (და უნიკალური) მათი მემკვიდრეობა და გარემო (Cloninger, S. C., 2004).

## პიროვნება, ხასიათი, ტემპერამენტი

ამ კონცეპტუალურ განსაზღვრებასთან ერთად, ოლპორტი აღნიშნავდა, რომ ტერმინები „ხასიათი“ და „ტემპერამენტი“ ხშირად გამოიყენებოდა პიროვნების სინონიმებად. ის ხსნის, რომ საკმაოდ ადვილია თითოეული მათგანის განსხვავება საკუთრივ პიროვნებისგან (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები „პიროვნება“ და „ხასიათი“ ხშირად ურთიერთშემცვლელად გამოიყენება, სიტყვა „ხასიათი“; ტრადიციულად, ქცევის პირობითი აღნიშვნის გარკვეულ სისტემას აღნიშნავს, რომლის ტერმინებითაც ფასდება ინდივიდი და მის მიერ განხორციელებული აქტები. სხვა სიტყვებით, ხასიათი გარკვეულ მორალურ სტანდარტთან ანუ ღირებულებათა სისტემასთან ასოცირდება, რომლის ჭრილშიც ხდება პიროვნების ქცევების შეფასება. მაგალითად, თუ გვეხმის, რომ ვიღაცას „კარგი ხასიათი“ აქვს, ვფიქრობთ, რომ მისი პიროვნული თვისებები სოციალურად და/ან ეთიკურად სასურველია/მისაღებია. ამგვარად, ხასიათი, ფაქტობრივად, ეთიკური ცნებაა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Холл К. С., Линдсей Г., 1997). ოლპორტის სიტყვებით თუ ვიტყვით, ხასიათი შეფასებული პიროვნებაა, ხოლო პიროვნება — შეუფასებელი ხასიათი (1961, გვ. 32, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997). აქედან გამომდინარე, ხასიათი არ უნდა განვიხილოთ, როგორც პიროვნების შიგნით არსებული გამიჯნული სფერო (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ასევე, ხშირად ურევნ ერთმანეთში პიროვნებასა და *ტემპერამენტს*, თუმცა არსებობს ამ ორი ტერმინის ყოველდღიურ მეტყველებაში განსხვავების საფუძველი. ტემპერამენტი, როგორც წესი, დისპოზიციებს შეესატყვისება, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ დეტერმინანტებს და, შესაბამისად, ნაკლებად იცვლებიან განვითარებასთან ერთად. აქ, ბუნებრივია, რომ მემკვიდრეობითობის როლი გაცილებით მეტია, ვიდრე პიროვნების სხვა ასპექტების შემთხვევაში. ტემპერამენტი, გონებრივ შესაძლებლობებთან (ინტელექტთან) და კონსტიტუციასთან (ფიზიკურ აღნაგობასთან) ერთად, ის ნედლი მასალაა, რომლისგანაც აიგება პიროვნება (Холл К. С., Линдсей Г., 1997). ოლპორტი თვლიდა, რომ ცნება „ტემპერამენტი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდის ემოციური ბუნების მემკვიდრეობითი ასპექტების განხილვისას, როგორცაა, მაგალითად, იოლად აგზნებადობა, გუნება-განწყობილების დომინანტური ფონი, გუნება-განწყობილების რხევები და ემოციების ინტენსივობა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

წარმოადგენს რა პიროვნების გენეტიკური მემკვიდრეობის ერთ-ერთ ასპექტს, ტემპერამენტი გარკვეულ ფარგლებს უდგენს ინდივიდუალობის განვითარებას. ოლპორტის მიხედვით, ფიგურალურად რომ ვთქვათ, „ღორის ყურისგან აბრეშუმის საფულე არ გამოვა“. ამგვარად, პიროვნების სხვა კარგი განსაზღვრების მსგავსად, ოლპორტის კონცეფციაში მკაფიოდ არის ფორმულირებული, თუ რას წარმოადგენს ის და რას არ უკავშირდება არანაირად (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).



## პიროვნების სტრუქტურა და დინამიკა

ფროიდისა და იუნგისგან განსხვავებით, ოლპორტი ერთმანეთისგან მკვეთრად არ მიჯნავს პიროვნების მოტივაციურ (ანუ დინამიკის) და სტრუქტურულ ასპექტებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეთავში განხილული კონსტრუქტები არსებითად სტრუქტურულია, ისინი ქცევის დეტერმინაციაშიც (ანუ მოტივაციურ, დინამიკურ სფეროშიც) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (Ewen, R. B., 2003).

გორდონ ოლპორტმა შექმნა პიროვნების თეორია, რომელშიც ხაზგასმულია ფსიქიკურად ჯანმრთელი ინდივიდების უნიკალურობა, რომლებიც პროაქტიულად ისწრაფვიან თავიანთი ცნობიერად დასახული მიზნებისკენ. ოლპორტის თეორიის თანახმად, პიროვნების ორი ძირითადი მდგენელია *პიროვნული დისპოზიციები* და *პროპრიუმი*.<sup>9</sup> ამ სტრუქტურების შესწავლა საშუალებას იძლევა, ინდივიდუალური მახასიათებლების ტერმინებით აღიწეროს პიროვნება. პიროვნების მესამე მდგენელია *გამცნობიერებელი მე ანუ სუბიექტური პიროვნება*.

### პიროვნების ნიშნის კონცეფცია: რა არის პიროვნული ნიშანი

ოლპორტის თეორიის მიხედვით, არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთნაირი ადამიანი. ნებისმიერი ადამიანი ქცევა გარკვეული მუდმივობით ხასიათდება და ეს მუდმივობა განსხვავებულია სხვებისგან. სწორედ ამ ვითარების ამხსნელია ოლპორტისეული „ნიშნის“ კონცეფცია (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ოლპორტის მიხედვით (1937), პიროვნების ბაზისური და ვალიდური ერთეულია *ნიშანი*. ინდივიდის ნიშნების აღწერით მის პიროვნებას აღვწერთ. ნიშანი გვჭირდება იმის შესასწავლად, თუ რას წარმოადგენენ ადამიანები და როგორ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან თავიანთი ქცევით (Cloninger, S. C., 2004). ოლპორტი პიროვნებას ისეთი სწორხაზოვანი ნიშნებით აღწერს, როგორცაა, მაგალითად, მეგობრულობა, ამბიციურობა, ერთგულება და ა. შ. (Ewen, R. B., 2003). მაგრამ რას წარმოადგენენ თავად ეს მნიშვნელოვანი ერთეულები? როგორ განმარტავს მათ თავად ოლპორტი?

#### ნიშნის განმარტება

ოლპორტი თვლიდა, რომ მორცხვი ან ენაწყლიანი ადამიანი ყველა სიტუაციაში არ მოიქცევა ასე. ქცევა შეიძლება ატიპური იყოს, ვინაიდან იცვლება გარემო, სხვა ადამიანების გავლენა/ზეწოლა და შინაგანი კონფლიქტები. ასე რომ, ოლპორტის აზრით, ნიშნების ვერც ერთი თეორია ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, თუ ის არ იძლევა პიროვნების ქცევის ცვალებადობის ახსნის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ოლპორტი საჭიროდ თვლის ნიშნის ცნების მნიშვნელოვნების აღიარებას, რადგან ის ინდივიდის პიროვნების მრავალ შედარებით მუდმივ (მდგრად) ასპექტს წარმართავს (Ewen, R. B., 2003).

... და მაინც, რა არის პიროვნული ნიშანი? ოლპორტი (1937) ასე განმარტავს მას:

ნიშანი არის ნეიროფსიქიკური სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია მრავალი ფუნქციონალურად ეკვივალენტური სტიმულის გარდაქმნა, ასევე, ადაპტური და ექსპრესიული ქცევის ეკვივალენტური (მნიშვნელოვანი ხარისხით, მდგრადი) ფორმების სტიმულირება და გარდაქმნა (Allport, 1961, გვ. 347, ციტირებულია წყაროებში Ewen, R. B., 2003; Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001; Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტი ნიშნის განმარტებაში პიროვნების განმარტებიდან იღებს თემებს, როგორცაა, ფსიქოფიზიკური აქცენტი, ინდივიდის უნიკალურობა, ადაპტაციაზე ფოკუსირებულობა და ნიშნის ცნება, როგორც მადეტერმინირებელი ერთეული. ნიშნები დროთა განმავლობაში, გამოცდილებასთან ერთად

<sup>9</sup> არისტოტელეს მოძღვრებაში: სახეობის ყველა წევრისთვის საერთო პროგნოზირებადი თვისება, რომელიც არ არის ამ სახეობის განმსაზღვრელი ნაწილი. სხვა სიტყვებით, თვისება, მახასიათებელი, რომელიც არ არის არსებითი მოცემული სახეობისთვის, მაგრამ ზოგადია და სპეციფიკურად ამ სახეობის წარმომადგენლებს ახასიათებთ.

ვითარდება. ისინი შეიძლება შეიცვალონ მაშინ, როდესაც ინდივიდი ახლებურად ქცევას სწავლობს გარემოსთან ადაპტირებისთვის (Cloninger, S. C., 2004). ოლპორტი ნიშნებს ნეიროფსიქიკურ ერთეულებს უწოდებს, ვინაიდან, ფროიდისა და სალივანის მსგავსად, მიაჩნია, რომ სრულიად შესაძლებელია პიროვნების ელემენტების კონკრეტულ ფიზიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირება (Ewen, R. B., 2003).

მარტივად რომ ვთქვათ, ნიშანი — ეს არის სიტუაციათა ფართო დიაპაზონში მსგავსად მოქმედებისთვის წინასწარი მზაობა, პრედისპოზიცია. მაგალითად, თუ ვიღაც თავისი არსით მორცხვია, ის მიდრეკილი იქნება იმისკენ, რომ მრავალ სხვადასხვა სიტუაციაში მშვიდი და თავშეკავებული იყოს, იქნება ეს საკლასო ოთახი, საუბრე კაფეში, ბიბლიოთეკაში მეცადინეობა თუ მეგობრებთან ერთად საყიდლებზე სიარული. მეორე მხრივ, თუ ადამიანი, ძირითადად, კომუნიკაბელურია, ის იგივე სიტუაციებში უფრო აქტიური და ენაწყლიანი იქნება. ოლპორტის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევა შედარებით სტაბილურია დროთა განმავლობაში და სხვადასხვა სიტუაციაში (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

როგორც ოლპორტი წერს (1937), ნიშნები ფსიქოლოგიური თავისებურებებია, რომლებიც მრავალგვარ სტიმულს გარდაქმნიან და მრავალ ეკვივალენტურ საპასუხო რეაქციას განაპირობებენ. ნიშნის ასეთი გაგება ნიშნავს, რომ სხვადასხვაგვარ სტიმულს ერთნაირი საპასუხო რეაქციების გამოწვევა შეუძლია ისევე, როგორც სხვადასხვა რეაქცია (გრძნობები, შეგრძნებები, ინტერპრეტაციები, მოქმედებები), შესაძლოა, ერთნაირი ფუნქციონალური მნიშვნელობის მატარებელი იყოს (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ოლპორტს გამოგონილი მისტერ მაკკარლის მაგალითი მოჰყავს, რომლის ძირითადი ფსიქოლოგიური მახასიათებელია „კომუნიზმის შიში“<sup>10</sup> (Allport, 1961, წყაროში Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ეს ნიშანი ადამიანისთვის თანაბარ მნიშვნელოვნად ხდის ისეთ „სოციალურ სტიმულებს“, როგორცაა რუსები, მეზობელი აფრო-ამერიკელები და ებრაელები, ლიბერალები, კოლეჯის მასწავლებელთა დიდი ნაწილი, მშვიდობისთვის მებრძოლი ორგანიზაციები, გაერო და ა. შ. იგი ყველა დასახელებულ „სტიმულს“ „კომუნიზმის“ იარლიყს აწებებს. მისტერ მაკკარლი შეიძლება მხარს უჭერდეს რუსებთან ბირთვული ომის დაწყებას, ადგილობრივ გაზეთში მტრულ წერილებს წერდეს შავკანიანთა შესახებ, არჩევნებში ხმას აძლევდეს ექსტრემისტულ პოლიტიკურ კანდიდატებსა და მემარჯვენეებს, მიემხროს კულკლუს კლანს, გააკრიტიკოს გაერო და/ან მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ მსგავს მტრულ აქტივობაში. მისი ქცევების შესაძლებლობების დიაპაზონი სქემატურად არის წარმოდგენილი სურათზე N1 (ადაპტირებულია Allport, 1961, გვ. 322, მოცემულია წყაროში Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

ცხადია, რომ ადამიანი შეიძლება მონაწილეობდეს ასეთ აქციებში, მაგრამ აუცილებლობით არ ხასიათდებოდეს კომუნიზმისადმი უკიდურესად მტრული განწყობით ან შიშით. გარდა ამისა, ნებისმიერი, ვინც არჩევნებში ხმას აძლევს მემარჯვენე კანდიდატებს ანდა გაეროს წინააღმდეგია, აუცილებლობით არ ხვდება იგივე პიროვნულ კატეგორიაში. თუმცა, ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ პიროვნული ნიშნები მსგავსების გაცნობიერების საფუძველზე ფორმირდება და ვლინდება. სხვა სიტყვებით, არსებობს მრავალი სიტუაცია, რომელსაც ადამიანი ერთნაირი მნიშვნელობის მქონედ, თანაზომიერად აღიქვამს, რაც გარკვეული ნიშნის განვითარებას აძლევს ბიძგს, რომელიც შემდეგ, თავის მხრივ, სხვადასხვა სახის ქცევის ინიცირებას და აგებას იწყებს, რომელიც თავისი გამოვლინებებით ამ ნიშნის ეკვივალენტურია. სწორედ ნიშნით გაერთიანებული და გაშუალებული სტიმულისა და რეაქციის ეკვივალენტობის ეს კონცეფცია ოლპორტის პიროვნების თეორიის ძირითადი მდგენელი (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ოლპორტის თანახმად, პიროვნული ნიშნები არ უკავშირდებიან მცირე რაოდენობის სპეციფიკურ სტიმულებს ან რეაქციებს; ისინი გენერალიზირებული და მდგრადია. უზრუნველყოფენ რა მრავალრიცხოვან სტიმულებზე მსგავს პასუხებს, პიროვნული ნიშნები ქცევას მნიშვნელოვან მუდმივობას სძენენ. პიროვნული ნიშანი ეს ისაა, რაც განაპირობებს ჩვენი ქცევის მუდმივ, მდგრად, სხვადასხვაგვარი თანაზომიერი (ერთნაირი მნიშვნელობის მქონე) სიტუაციებისთვის ტიპურ თავისებურებებს. ეს „პიროვნული სტრუქტურის“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მდგენელია. ამასთანავე, პიროვნული ნიშანი შეიძლება ადამიანის ქცევის პატერნის განმსაზღვრელიც იყოს. მაგალითად, დომინირება, როგორც


<sup>10</sup> არ დაგვავიწყდეს, რომ ოლპორტის ორი ძირითადი ნაშრომი 1937 და 1961 წლებში გამოვიდა და ის ამერიკელი იყო.

პიროვნული თავისებურება, შეიძლება მხოლოდ მაშინ გამოვლინდეს, როდესაც ადამიანი მნიშვნელოვანი სხვების თანდასწრებითაა, იქნება ეს მისი შვილები, მეუღლე თუ ახლო მეგობარი. თითოეულ ამ შემთხვევაში ის მაშინვე ლიდერად იქცევა. თუმცა, დომინირების ნიშანი არ აქტივირდება სიტუაციაში, როდესაც ეს ადამიანი ათლარიან ბანკნოტს პოულობს მეგობრის სახლის კართან. ასეთი სტიმული პატიოსნების (ან, პირიქით, უპატიოსნობის) გამოვლენას უფრო გამოიწვევს და არა — დომინირების. ამგვარად, ოლპორტი აღიარებს, რომ ინდივიდუალურ თავისებურებებს სოციალური სიტუაციები განამტკიცებენ და ამატებს: „ნებისმიერი თეორია, რომელიც პიროვნებას განიხილავს, როგორც რაღაც სტაბილურს, ფიქსირებულსა და უცვლელს, იმთავითვე მცდარია“ (Allport, 1961, გვ. 175, ციტირებულია წყაროში Hjelle, L. & Ziegler, D., 1992). ზუსტად ასევე, წყალმა შეიძლება მიიღოს სითხის, მყარი სხეულის (ყინული) ან თოვლის, სეტყვის, თოვლ-ჭყაპის ფორმა და სტრუქტურა, ანუ მის ფიზიკურ ფორმას გარემოს ტემპერატურა განაპირობებს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ პიროვნული ნიშნები არ თვლემენ გარეგანი სტიმულების მოლოდინში. ადამიანები, ფაქტობრივად, აქტიურად ეძებენ სოციალურ სიტუაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი თავისებურებების გამოვლენას. ადამიანი, რომელიც გამოკვეთილად კომუნიკაბელურია, არამარტო კარგი თანამოსაუბრეა კომპანიაში ყოფნისას, არამედ კონტაქტების ძიების ინიციატორიცაა, როდესაც მარტო რჩება. სხვა სიტყვებით, ადამიანი არ არის პასიური „რესპონდენტი“ სიტუაციაზე, როგორც ამას სკინერი იტყოდა, არამედ, პირიქით, სიტუაციები, რომლებშიც ადამიანი ყველაზე ხშირად ხვდება, ეს ის სიტუაციებია, რომლებში მოხვედრასაც იგი აქტიურად ესწრაფვის. ეს ორი მდგენელი ფუნქციონალურად ურთიერთდაკავშირებულია. ადამიანის დისპოზიციებსა და სიტუაციურ ცვლადებს შორის ურთიერთქმედების ხაზგასმით ოლპორტის თეორია მნიშვნელოვანწილად უახლოვდება ბანდურასა და როტერის სოციალური დასწავლის თეორიებს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნიშანი (მაგალითად, მორცხვობა) გაცილებით ზოგადია, ვიდრე ჩვევა (მაგალითად, საუბრისას თვალებში ყურებისთვის მუდმივად თვალის არიდება). ნიშნები ხშირად ურთიერთდაკავშირებულია, მაგალითად, როდესაც მეგობრული ინდივიდი ენაწყლიანიც არის (Ewen, R. B., 2003).

სურ. N1. ნიშნების ოლპორტისეული მაგალითის ვიზუალიზაცია.



შიდიღება ითქვას, რომ ოლპორტის სისტემაში თავად პიროვნული ნიშნები ხასიათდებიან „ნიშნებით“ (Jordan, M. E., 2011), ანუ განმსაზღვრელი მახასიათებლებით. ოლპორტმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნა სტატია (Allport, G. W., 1966, გვ. 1), რომელშიც შეაჯამა ყველა მონაცემი, რომელიც პასუხს სცემდა კითხვაზე: რა არის პიროვნული ნიშანი? ამ სტატიაში ოლპორტი გვთავაზობს ნიშნის განსაზღვრის რვა ძირითად კრიტერიუმს (Allport, 1966, გვ. 1). ქვემოთ წარმოდგენილია თითოეული მათგანის მოკლე დახასიათება (Allport, 1966, წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

**პიროვნული ნიშანი არ არის მხოლოდ ნომინალური აღნიშვნა**

პიროვნული ნიშანი არ არის გამონაგონი. ეს ნებისმიერი ადამიანის არსებობის სრულიად რეალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი თავის შიგნით ეს „განზოგადებული სწრაფვები მოქმედებისკენ“. „კომუნიზმის შიშის“ გარდა შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი აშკარად ცნობადი პიროვნული ნიშნები, როგორცაა „აგრესიულობა“, „მორიდებულობა“, „გულწრფელობა“, „მოუწესრიგებლობა“, „ინტროვერსია“ და „ექსტრავერსია“. აქ ოლპორტი ძირითად აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ ეს პიროვნული მახასიათებლები რეალურია: ისინი მართლაც არსებობენ ადამიანებში და არ წარმოადგენენ მხოლოდ თეორიულ მსჯელობას (Allport, G. W., 1937).

**პიროვნული ნიშანი უფრო ზოგადი თვისებაა, ვიდრე ჩვევა**

პიროვნული ნიშნები ჩვენი ქცევის შედარებით უცვლელ და ზოგად თავისებურებებს განაპირობებენ. მდგრადი ჩვევები უფრო სპეციფიკურ ტენდენციებს განეკუთვნებიან და ამიტომ ნაკლებად განზოგადებულია როგორც იმ სიტუაციასთან მიმართებაში, რომელიც მათ ამოქმედებას იწვევს, ასევე მათით განპირობებული ქცევითი რეაქციების მიმართ. მაგალითად, ბავშვი დღეში ორჯერ შეიძლება იხეხავდეს კბილებს და ამას ისევ და ისევ აკეთებდეს, რადგან მშობლები წახალისებენ ამ ქცევას. ეს ჩვევაა. თუმცა, დროთა განმავლობაში ის შეიძლება მიეჩვიოს თმის დავარცხნას, ტანსაცმლის რეცხვასა და თავისი ოთახის დალაგებას. ყველა ამ ჩვევამ, ერთად აღებულია, შეიძლება ჩამოაყალიბონ ისეთი ნიშანი, როგორცაა მოწესრიგებულობა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **პიროვნული ნიშანი ქცევის მამოძრავებელი, სულ მცირე, განმსაზღვრელი ელემენტია**

როგორც უკვე ითქვა, ნიშნები არ თვლემენ იმ გარეგანი სტიმულების მოლოდინში, რომლებიც მათ გააღვიძებენ. ისინი ადამიანებს ისეთი ქცევისკენ უბიძგებენ, რომელშიც მოცემული პიროვნული ნიშნები ყველაზე სრულად/კარგად ვლინდებიან. მაგალითად, თუ კოლეჯის სტუდენტს მნიშვნელოვნად გამოკვეთილი აქვს ისეთი ნიშანი, როგორცაა „კომუნიკაბელურობა“, ის უბრალოდ კი არ ზის წვეულებების მოლოდინში, რათა ადამიანებს ეკონტაქტოს, არამედ აქტიურად ეძებს ასეთ სიტუაციებს და ამგვარად გამოხატავს თავის კომუნიკაბელურობას. ასე რომ, პიროვნული ნიშნები ქმნიან ინდივიდის მოქმედებების მიმდევრობას (Хьелл Л., & Зиглер Д., 1997).

### **პიროვნული ნიშნების არსებობის დადგენა ემპირიულად არის შესაძლებელი**

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულ ნიშნებს უშუალოდ ვერ დავაკვირდებით, ოლპორტი მიუთითებდა მათი არსებობის დადასტურების შესაძლებლობაზე (Allport, G. W., 1937). დასაბუთების მიღება შესაძლებელია ადამიანის ქცევაზე ხანგრძლივად დაკვირვებით, ავადმყოფობის ისტორიის ან ბიოგრაფიის შესწავლით, ასევე, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრავენ ერთსა და იმავე მსგავს სტიმულებზე ცალკეული რეაქციების თანხვედრის ხარისხს.

### **პიროვნული ნიშანი მხოლოდ ფარდობითად არის დამოუკიდებელი სხვა ნიშნებისგან**

ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს თუ გავაკეთებთ (Allport, G. W., 1966), „არც ერთი ნიშანი არ არის კუნძული“. არ არსებობს მკვეთრი საზღვარი, რომელიც ერთ ნიშანს მეორესგან გამოყოფდა. პიროვნება ურთიერთგადამდარავი ნიშნების გარკვეული ნაკრები უფროა, რომლებიც მხოლოდ შედარებით დამოუკიდებელია ერთმანეთისგან. ამის საილუსტრაციოდ ოლპორტს მაგალითად მოჰყავს კვლევა, რომელშიც ისეთი ნიშნები, როგორცაა გამჭრიახობა და იუმორის გრძნობა უკიდურესად კორელირებენ ერთმანეთთან (Allport, 1960, წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992). ცხადია, რომ ეს განსხვავებული ნიშნებია, მაგრამ ისინი მაინც რაღაცნაირად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ვინაიდან კორელაციური ანალიზის შედეგები არ იძლევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, შეგვიძლია ვივარაუდოთ: თუ ადამიანს ძალიან აქვს განვითარებული გამჭრიახობა, მაშინ მეტად ალბათურია, რომ ის ადამიანის ცხოვრების აბსურდული ასპექტების შემჩნევას შეძლებს, რასაც იუმორის გრძნობის განვითარებამდე მივყავართ. თუმცა, ოლპორტის მიხედვით, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ნიშნები თავიდანვე ფარავენ ერთმანეთს, ვინაიდან ადამიანი მოვლენებზე რეაგირების განზოგადებული ფორმით ხასიათდებიან (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **პიროვნული ნიშანი არ არის მორალური ან სოციალური შეფასების სინონიმი**

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მრავალი ნიშანი (მაგალითად, გულწრფელობა, ერთგულება, სიძუნწე) კონვენციურ სოციალურ შეფასებას ექვემდებარება, ისინი მაინც ინდივიდის ჭეშმარიტ თავისებურებებს წარმოადგენენ. იდეალურ ვარიანტში მკვლევარმა ჯერ გარკვეული ნიშნების არსებობა უნდა დაადგინოს ცდის პირთან, შემდეგ კი მათ აღსანიშნად ნეიტრალური და არა შეფასებითი სიტყვები მოძებნოს. ოლპორტის აზრით, პერსონოლოგებმა პიროვნება უნდა შეისწავლონ და არა — ხასიათი (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **ნიშნის განხილვა შეიძლება ან პიროვნების კონტექსტში, რომელთანაც აღმოჩნდა ის, ან საზოგადოებაში მისი გავრცელებულობის კონტექსტში**

საილუსტრაციოდ განვიხილოთ მორცხვობის მაგალითი. პიროვნების ნებისმიერი სხვა ნიშნის მსგავსად, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც უნიკალობის, ისე — უნივერსალობის ასპექტში. პირველ შემთხვევაში მოცემული კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაზე მორცხვობის გავლენას შევისწავლით. მეორე შემთხვევაში ამ ნიშანს „უნივერსალურად“ შევისწავლით. ამისათვის ავაგებთ „მორცხვობის“ სანდო და ვალიდურ სკალას და ინდივიდუალურ განსხვავებებს მორცხვობის პარამეტრის მიხედვით განვსაზღვრავთ (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **ის, რომ ქცევები და ჩვევებიც კი არ თანხვდება პიროვნულ ნიშანს, არ არის იმის დასტური, რომ ეს ნიშანი არ არსებობს**

საილუსტრაციოდ ნენსი სმიტის შემთხვევა განვიხილოთ, რომელიც მოწესრიგებულობისა და აკურატულობის მაგალითს წარმოადგენს. მისი უნაკლო გარეგნობა და ჩაცმულობა უდაოდ მიუთითებენ ისეთ ნიშანზე, როგორც აკურატულობაა. თუმცა ამ ნიშნის არსებობას ვერც კი ვიქცევდით, თუ მის სამუშაო მაგიდას, სახლს ანდა მანქანას ვნახავდით. თითოეულ ამ შემთხვევაში ვნახავდით, რომ მისი პირადი ნივთები მიმოფანტულია, მოწესრიგებლად ყრია, მოუვლელი და მიგდებულია. რა იწვევს ასეთ წინააღმდეგობრიობას? ოლპორტის მიხედვით, ამ ფაქტს სამი შესაძლო ახსნა აქვს:

პირველ რიგში, ნიშნები ყველა ადამიანთან ერთნაირად ინტეგრირებული არ არის. ნიშანი, რომელიც მთავარია ერთთან, შეიძლება მეორეხარისხოვანი იყოს მეორესთან, ანდა სულაც არ ჰქონდეს. ნენსის შემთხვევაში მოწესრიგებულობა შეიძლება მხოლოდ მისი საკუთარი პერსონით შემოიფარგლებოდეს.

მეორე, ერთსა და იმავე პიროვნებას შეიძლება წინააღმდეგობრივი ნიშნები ჰქონდეს. ის ფაქტი, რომ ნენსი თანმიმდევრულია გარეგნობასთან მიმართებაში და გულგრილად, უყურადღებოდ ეპყრობა საკუთარ ნივთებს, მის ცხოვრებაში მოწესრიგებულობის, აკურატულობის შეზღუდულ გამოვლენაზე გვაფიქრებინებს.

მესამე, არის შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივი პირობები გაცილებით მეტად არიან ამა თუ იმ ქცევის პირველხარისხოვანი მამოძრავებლები, ვიდრე პიროვნული ნიშნები. თუ ნენსი, მაგალითად, თვითმფრინავზე მისასწრებად გარბის, მან შეიძლება საერთოდ არ მიაქციოს ყურადღება იმას, რომ ვარცხნილობა დაეშალა, ანდა კაბა დაეჭმუჭნა. ამიტომ მაგალითები, რომ ნენსის ყველა ქცევა არ შეესატყვისება მის მიდრეკილებას მოწესრიგებულობისკენ, არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ მას საერთოდ არ ახასიათებს ეს მიდრეკილება (Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

## **ნიშნების ტიპები: ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები**


თითოეულ ჩვენგანს განსხვავებული ნიშნები აქვს? თუ ყველას ერთი და იგივე ნიშნები გვაქვს, ოღონდ სხვადასხვა ოდენობით? მკვლევართა უმრავლესობა მეორე ალტერნატივაზე აფუძნებს თავის ნაშრომებს, თუმცა ოლპორტი არც ერთ ამ პოზიციასთან არ ეთანხმება (Cloninger, S. C., 2004). ეყრდნობა რა გერმანელი ფილოსოფისების უინდელბანდისა და სტემის (Hermans, 1988, წყაროში Cloninger, S. C., 2004) ნაშრომებს, ოლპორტი ადრეულ ნაშრომებში ერთმანეთისგან განასხვავებს ზოგად და ინდივიდუალურ ნიშნებს (Allport, G. W., 1937).

**ზოგადი ნიშნები**, რომელთაც გაზომვადს ანუ დაკანონებულსაც უწოდებს, მოიცავს ნებისმიერ მახასიათებლებს, რომლებიც მოცემული კულტურის ფარგლებში გარკვეული რაოდენობის ადამიანებს ახასიათებთ. მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგიერთი ადამიანი უფრო დაბეჯითებული და მიმწოლია, ვიდრე სხვები, ანდა — უფრო ზრდილობიანი. ზოგადი ნიშნების არსებობის შესახებ მსჯელობის ლოგიკა ასეთია: გარკვეული კულტურის წევრებზე მსგავსი ევოლუციური და სოციალური ფაქტორები ზემოქმედებენ და ამიტომ მათ ადაპტაციის მსგავსი მოდელები უფითარდებათ. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ენის გამოყენების უნარი, პოლიტიკური და/ან სოციალური განწყობები, ღირებულებები,

შფოთვა და კონფორმიზმი. ჩვენს კულტურაში შესაძლებელია ამ ზოგადი პარამეტრების მიხედვით ადამიანების ერთმანეთთან შედარება (Cloninger, S. C., 2004; Ewen, R. B., 2003; Pervin, L. A., 2003).

ოლპორტის თანახმად, ამა თუ იმ ზოგადი ნიშნის მიხედვით ინდივიდების ასეთი შედარების შედეგად მიიღება ნორმალური განაწილების მრუდი, ანუ როდესაც პიროვნული ნიშნის გამოხატულობის მაჩვენებლები გრაფიკულად გამოისახება, ვიღებთ ზარისებრ მრუდს (სურ. N2), რომლის ცენტრისკენ თავსდება ტიპური, საშუალო მაჩვენებლების მქონე ინდივიდები, ბოლოებისკენ კი მცირდება კვლევის იმ მონაწილეთა რაოდენობა, რომელთა მაჩვენებლებიც უკიდურეს მნიშვნელობებს უახლოვდება. ამგვარად, ზოგადი ნიშნების გაზომვადობა პერსონოლოგს ერთი ადამიანის მეორესთან შედარების შესაძლებლობას აძლევს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პარამეტრების მიხედვით (როგორც ეს ხდება ისეთი ზოგადი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა წონა და სიმაღლე).

**სურ. N2. დომინანტობა-დაქვემდებარებულობის ტესტის მაჩვენებლის განაწილება.**



თვლიდა რა შედარების ასეთ პროცედურას დასაბუთებულად და სასარგებლოდ, ოლპორტს მიაჩნდა, რომ პიროვნული ნიშნები არასოდეს არის ერთნაირად გამოხატული ორ ადამიანთან (Allport, 1968a, წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992). ასე მაგალითად, ანასთან დომინანტობა ყველა დონეზე ვლინდება და, ამ

თვალსაზრისით, მოცემული ნიშნის მისთვის დამახასიათებელი გამოხატულება უნიკალურია. ამ მხრივ, ანას დომინანტობას რეალურად ვერ შევადარებთ გიორგის დომინანტობას.

ინდივიდუალური ნიშნები, რომელთაც მორფოლოგიურსაც უწოდებენ, ინდივიდის ისეთ მახასიათებლებს აღნიშნავენ, რომლებიც არ უშვებენ სხვა ადამიანებთან შედარებას. ეს არის პიროვნების რეალური მდგენელები (Ewen, R. B., 2003), „ჭეშმარიტი ნეიროფსიქიკური ელემენტები, რომლებიც მართავენ, წარმართავენ და ამოტივირებენ გარკვეული სახის ადაპტირებულ ქცევას“ (Allport, 1968a, გვ. 3, ციტირებულია წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992). ნიშნების ეს კატეგორია, რომელიც უნიკალურად ვლინდება თითოეულ კონკრეტულ ადამიანთან, ყველაზე ზუსტად ასახავს მის პიროვნულ სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, ოლპორტის თანახმად, პიროვნების ადეკვატურად აღწერა მხოლოდ მისი ინდივიდუალური ნიშნების გაზომვით არის შესაძლებელი, ინფორმაციის ისეთი წყაროების გამოყენებით, როგორცაა მოცემული შემთხვევის კლინიკური აღწერა, დღიური, წერილები და სხვა მსგავსი პირადი დოკუმენტები. ამგვარად, დომინანტობა, როგორც ზოგადი ნიშანი, შეიძლება წარმატებით იქნას შესწავლილი ანას, გიორგისა და სხვა ნებისმიერი ადამიანის შედარების გზით, რომელიმე მნიშვნელოვანი კრიტერიუმის მიხედვით (მაგალითად, დომინანტობის ტესტით, ან დომინირების სკალით). თუმცა, დომინანტობა, როგორც ინდივიდუალური ნიშანი, მხოლოდ ანასთან, გიორგისთან და სხვა ნებისმიერ ადამიანთან მისი უნიკალური გამოვლინებების შესწავლით შეიძლება იქნას გაგებული. ოლპორტი თვლიდა, რომ უნიკალობის გაგების ერთადერთი გზა ინდივიდუალურ ნიშნებზე ყურადღების ფოკუსირება (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების განსხვავება ოლპორტმა 1937 წელს გამოსულ პირველ წიგნში აღწერა, თუმცა, ამან გაურკვევლობა და ორაზროვნება შემოიტანა ტერმინოლოგიაში. ამიტომ 1961 წლის წიგნში მან გარკვეული ცვლილებები შეიტანა ტერმინოლოგიურ აპარატში და ნომინალურად გამოიწინა ერთმანეთისგან ეს ორი სახის ნიშანი. კერძოდ, ტერმინი „ნიშანი“ აღნიშნავს ზოგად ნიშნებს და მათ ოლპორტი პიროვნულ ნიშნებს უწოდებს, ხოლო „ინდივიდუალურ ნიშნებს“ პიროვნული დისპოზიციები

უწოდა, რომელთაც, როგორც უკვე ითქვა, მორფოგენულ ნიშნებადაც მოიხსენიებს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

პიროვნულ დისპოზიციას ანუ მორფოგენულ ნიშანს ოლპორტი განსაზღვრავს, როგორც

გენერალიზებულ ნეიროფსიქიკურ სტრუქტურას (რომელიც ინდივიდს ეკუთვნის), რომელსაც შეუძლია მრავალი სტიმულის ფუნქციონალურად ეკვივალენტურად გარდაქმნა და, ასევე, ადაპტური და სტილისტური ქცევის შეთანხმებული (ეკვივალენტური) ფორმების/პატერნების ინიცირება და მართვა (Allport, 1961, გვ. 373, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, პიროვნული ნიშნისა და პიროვნული დისპოზიციის განსაზღვრებებს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ნიშნები, პიროვნული დისპოზიციებისგან განსხვავებით, არ განიმარტება, როგორც ინდივიდისთვის მიკუთვნებული. მიუხედავად ამისა, ნიშანიც ინდივიდშია მოცემული ისევე, როგორც დისპოზიცია. ერთიც და მეორეც ნეიროფსიქიკური სტრუქტურაა და შეუძლია მრავალი სტიმულის ფუნქციონალურად ეკვივალენტურად გადაქცევა და ქცევის შეთანხმებული პატერნების მართვა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა საჭიროა ორი განსაზღვრება? პასუხი ისაა, თუ როგორ გამოიყენება ისინი ემპირიულ კვლევაში. ზოგადი ნიშნის ცნების გამოყენებით შესაძლებელია იმის განხორციელება, რასაც ოლპორტი სხვადასხვა ადამიანთან ან ინდივიდთა ჯგუფებში ერთი და იგივე ნიშნის შედარებით შესწავლას უწოდებს. პიროვნული დისპოზიციების ცნების გამოყენებით შესაძლებელია ადამიანის შესწავლა და იმის განსაზღვრა, რასაც ოლპორტი ადამიანის „უნიკალურად პატერნირებულ ინდივიდუალობას“ უწოდებდა. ერთი მიდგომა ფსიქომეტრულად ორიენტირებული დიფერენციალური ფსიქოლოგიის ტრადიციას თანხვდება, მეორე — კლინიკური ფსიქოლოგიის ტრადიციას. ოლპორტი საკუთარ და თავისი მოსწავლეების კვლევებში ორივე მიდგომას იყენებდა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მიუხედავად იმისა, რომ ნიშნები და პიროვნული დისპოზიციები რეალურად არსებობენ ადამიანში, შეუძლებელია მათი უშუალოდ დაკვირვება და ამიტომ მათ შესახებ ქცევის მიხედვით უნდა დავასკვნათ. ოლპორტი წერს:

სპეციფიკური აქტი ყოველთვის ბევრი დეტერმინანტის პროდუქტია და არა — მხოლოდ ხანგრძლივი განწყობების, არამედ ადამიანსა და სიტუაციაში ხანმოკლე დამაბულობებისაც. მხოლოდ იგივე მნიშვნელობის მქონე აქტების (ეკვივალენტური რეაქციების) გამეორება, რომლებიც სტიმულების გარკვეულ რიგს სდევს თან და პიროვნული მნიშვნელობა (სტიმულების ეკვივალენტობა) აქვთ, ხდის აუციელებელს, რომ ნიშნების და პიროვნული დისპოზიციების შესახებ დავასკვნათ. ეს ტენდენციები ყოველთვის არ არის აქტიური, მაგრამ მაინც განაგრძობენ არსებობას ლატენტურ მდგომარეობაში და აგზნების დაბალი ზღურბლით ხასიათდებიან (1961, გვ. 374, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

### ნიშნები და უნარები, დამოკიდებულებები, ტიპები: მათ შორის განსხვავება

აუცილებელია არამარტო იმის გაგება, თუ რას განეკუთვნებიან ნიშნები და დისპოზიციები, არამედ მათი განსხვავება/გამიჯვნა მონათესავე ცნებებისგან. *უნარებიც* მადეტერმინირებული ტენდენციებია, მაგრამ ნიშნები და დისპოზიციები უფრო ზოგადი ხასიათისაა როგორც მათთვის შესატყვისი სიტუაციების, ისე რეაქციების თვალსაზრისით, რომლისკენაც მივყავართ მათ. ფაქტობრივად, ნიშანი, გარკვეულწილად, ორი ან მეტი უნარის კომბინაციისა და ინტეგრაციის შედეგია (Первин Л., Джон О., 2002).

უფრო რთულია ნიშნის ან დისპოზიციისა და *დამოკიდებულების* ერთმანეთისგან გარჩევა. დამოკიდებულებაც პრედისპოზიციანია. ისიც შეიძლება იყოს უნიკალური. მასაც შეუძლია ქცევის წამოწყება (ინიცირება) და მართვა. მიუხედავად ამისა, ამ ორ ცნებას შორის მაინც არსებობს გარკვეული განსხვავება. პირველ რიგში, დამოკიდებულება მიბმულია გარკვეულ ობიექტზე ან ობიექტთა კლასზე, ნიშანი და დისპოზიცია — არა. ამგვარად, ნიშნის განზოგადებულობა ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე — დამოკიდებულების. არსებითად, ობიექტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რომელსაც შეესატყვისება დამოკიდებულება, ის უფრო მეტად გვაგონებს ნიშანს. დამოკიდებულება შეიძლება ვარირებდეს



განზოგადებულობის მიხედვით ძალიან სპეციფიკურიდან შედარებით განზოგადებულობამდე, ხოლო ნიშანი და დისპოზიცია ყოველთვის განზოგადებულია. მეორე, დამოკიდებულება ყოველთვის მოიაზრებს ობიექტის შეფასებას (მიღებას ან უარყოფას), ხოლო ნიშანი — არა. ოლპორტი აჯამებს და წერს:

ორივე ცნება — დამოკიდებულება და ნიშანი — აუცილებელია ფსიქოლოგიაში. ისინი ფარავნად დისპოზიციების ძირითად ტიპებს, რომლებთანაც აქვს საქმე პიროვნების ფსიქოლოგიას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ცნება „დამოკიდებულება“ გარემოს გარკვეული ასპექტებისადმი (მათ შორის ადამიანები, კულტურა, საზოგადოება) ადამიანების ორიენტაციას უკავშირდება, ის პრიორიტეტულია *სოციალური ფსიქოლოგიისთვის*. პიროვნების ფსიქოლოგიაში კი ადამიანის სტრუქტურა გვანტერესებს და ამიტომ პრიორიტეტულია ცნება „ნიშანი“ (1961, გვ. 348, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტი, ასევე, ერთმანეთისგან განასხვავებს ნიშნებს ანუ პიროვნულ დისპოზიციებს და ტიპებს იმის მიხედვით, რომ ერთიც და მეორეც ინდივიდზეა მიბმული. ადამიანზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას აქვს ესა თუ ის ნიშანი, მაგრამ არა — ტიპი. ტიპები არის დამკვირვებლის იდეალური კონსტრუქტები, რომლებსაც ინდივიდი მხოლოდ მისი განმასხვავებელი იდენტობის დაკარგვის ფასად შეიძლება მივაკუთვნოთ. პიროვნული დისპოზიცია შეიძლება წარმოადგენდეს (რეპრეზენტაციას ახდენდეს) ადამიანის უნიკალობას, ხოლო ტიპები — ხელოვნულ განსხვავებებს, რომლებიც არც ისე დიდად გვაგონებენ რეალობას; ნიშნები კი ჭეშმარიტი ასახვაა იმისა, რაც რეალურად არსებობს. ოლპორტი აღიარებს, რომ ტიპების პოსტულირებამ შეიძლება კვლევის სტიმულირება მოახდინოს, თუმცა მათი შედეგი რთული ნიშნების გამოყოფაა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## ნიშნების შესახებ დასკვნების გაკეთება

საიდან ვიცით, თუ რა ნიშნები აქვს პიროვნებას? ოლპორტი პიროვნების ნიშნების შესახებ დასკვნის რამდენიმე მეთოდს გვთავაზობს. ის ყოველდღიური ცხოვრებისეული სიბრძნით იწყებს.

### ნიშნების შესახებ დასკვნა ბუნებრივი ენიდან: ლექსიკონის შესწავლა

გორდონ ოლპორტმა და ჰენრი ოდბერტმა (1936, წყაროში Cloninger, S. C., 2004) განახორციელეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც მათ 1925 წლის ვებსტერის ახალი საერთაშორისო ლექსიკონიდან პიროვნების ნიშნის აღმნიშვნელი 17953 სიტყვა ამოკრიფეს. ეს იყო ლექსიკონში მოცემულ სიტყვათა 4.5%. მათ ეს სიტყვები ოთხ კატეგორიაში გააერთიანეს:

1. პიროვნული ნიშნების აღმნიშვნელი ნეიტრალური ტერმინები (მაგალითად, „არტისტული“, „ასერტიული“);
2. ტერმინები, რომლებიც უპირატესად დროებით გუნება-განწყობილებას ან აქტივობებს აღნიშნავდნენ (მაგალითად, „გალიზიანებული“, „შერცხვენილი“);
3. შეწონილი ტერმინები, რომლებიც პიროვნების ქცევის შესახებ სოციალურ ან ქარაქტეროლოგიურ შეფასებას მოიცავენ, ან აღნიშნავენ სხვებზე გავლენას (მაგალითად, „მომზიბლავი“, „ბრიყვი“);
4. შერეული: აღნიშნავენ ფიზიკურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებსა და განვითარების მდგომარეობებს, მეტაფორული და საექვო/ბუნდოვანი ტერმინები (მაგალითად, „მარტო“, „ანგლიკანელი“).

ავტორები თვლიდნენ, რომ პირველი, წმინდად აღწერითი ჯგუფი ყველაზე მეტად გამოადგებოდათ პიროვნების ფსიქოლოგებს, როგორც მდგრადი ნიშნების არაშეფასებითი ტერმინების კომპილაცია (Cloninger, S. C., 2004).

### ნიშნების შესახებ დასკვნა ქცევის მიხედვით

ნიშნების შესახებ ქცევის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ; მაგალითად, ადამიანებს, რომლებიც მუდმივად ვარჯიშობენ, ათლეტებს ვუწოდებთ. ოლპორტი თვლის, რომ პიროვნების გაგების კარგი გასაღებია მისი *ინტერესები*. ქცევითი დაკვნები ბუნებრივ გარემოში შეგვიძლია გამოვიტანოთ. მაგალითად,

ბავშვებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგვიძლია დავაკვირდეთ დროის მომენტის შერჩევის მეთოდის გამოყენებით (Allport, G. W., 1937). მეორე შესაძლებლობაა ექსპერიმენტული გარემოს შექმნა, როდესაც ცდის პირს სხვადასხვაგვარ ამოცანებს ვაძლევთ.

### ნიშნების შესახებ დასკვნა დოკუმენტების მიხედვით: ჯენის წერილები

ნიშნების შესახებ მრავალი დოკუმენტიდან ან ჩანაწერიდან შეიძლება დავასკვნათ, სადაც მოცემულია ადამიანების ცხოვრების შესახებ ცნობები, იქნება ეს დღიურები, წერილები, საჯარო განცხადებები და ა. შ. ზოგჯერ არსებული დოკუმენტები არ არის კონკრეტულად კვლევითი მიზნებისთვის შექმნილი და უჩვეულოდ მდიდარია ინფორმაციით (Cloninger, S. C., 2004). ასეთი კვლევის კარგი მაგალითია ოლპორტისა და მისი კოლეგების მიერ წლობით ნაკვლევი ცნობილი ჯენის წერილები (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997), რომელზეც ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

### ნიშნების შესახებ დასკვნის გაკეთება პიროვნების გაზომვიდან: ღირებულებების

#### კვლევა

ნიშნების შესახებ პიროვნული კითხვარებიდან შეგვიძლია ინფორმაციის მიღება. ოლპორტის კვლევების ნაწილი ნომოთეტურია; ის ამბობს (1937, გვ. 227-228), რომ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელთა შორის, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებენ, არის ღირებულებები — ის, რისკენაც ისინი ისწრაფვიან. კოლეგებთან ერთად მან შექმნა ღირებულებების<sup>11</sup> საზომი სკალა, რომლის (გადასინჯულ ვარიანტს) ოლპორტ-ვერნონ-ლინდსეის ღირებულებების საკვლევი სკალა ეწოდა.

### პიროვნული დისპოზიციები

რამდენად ფართოდ ვრცელდება ცალკეული ნიშნის გავლენა? ეს გავლენა ცვალებადია. მაგალითად, შეიძლება გქონდეთ ნიშანი „უკოფეინო ყავის მსმელი“, მაგრამ ის მხოლოდ ხანდახან იქნება შესამჩნევი, როდესაც სვამთ ან ყიდულობთ ყავას. თუმცა, თუ თქვენი ნიშანია „თავდაჯერებულობა“, ის თქვენს ცხოვრებაზე უფრო მეტად მოახდენს გავლენას: სხვებთან მოქცევაზე, რისკების შერჩევაზე და ა. შ. (Cloninger, S. C., 2004).

ოლპორტი (Cloninger, S. C., 2004) ნიშნების რამდენიმე კატეგორიას გამოყოფს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ექსტენსიურად ზემოქმედებენ ისინი პიროვნებაზე. ის განასხვავებს შემდეგ კატეგორიებს ანუ დონეებს: *კარდინალურ დისპოზიციებს*, *ცენტრალურ დისპოზიციებს* და *მეორად დისპოზიციებს* (Allport, G. W., 1937; Cloninger, S. C., 2004; Ewen, R. B., 2003; Pervin, L. A., 2003). გარდა ამისა, ქცევაზე მოქმედების ხარისხის მიხედვით, ოლპორტი პიროვნულ დისპოზიციებს ჰყოფს *მოტივაციურ* და *სტილისტურ* დისპოზიციებად. ყოველ ადამიანს დაახლოებით ათამდე დისპოზიცია აქვს, რომლებიც ამ პიროვნებისთვის ცენტრალურია და ასობით — ნაკლებად მნიშვნელოვანი, მეორადი და სტილისტური (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტი იმდენად იყო გატაცებული ინდივიდუალური ანუ პიროვნული დისპოზიციების შესწავლით, რომ დროთა განმავლობაში მისთვის ცხადი გახდა, რომ ყველა ინდივიდუალური დისპოზიცია ერთნაირი ხარისხით არ ახასიათებს ადამიანს და ყველა მათგანი არ არის დომინანტური (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). სწორედ ამიტომ გვთავაზობს დისპოზიციათა აღნიშნულ სამდონიან სტრუქტურას (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). ოლპორტი უამრავ პიროვნულ დისპოზიციას განიხილავდა, დაწყებული ყველაზე ცენტრალურიდან და დამთავრებული ისეთებით, რომლებსაც ადამიანისთვის პერიფერიული მნიშვნელობა აქვს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნული დისპოზიციების დასახელებული სამი დონე მხოლოდ პირობითად აღებული წერტილებია უწყვეტ სკალაზე, რომელიც ყველა პიროვნულ ნიშანს

<sup>11</sup> აქ საუბარია იმ ექვს ღირებულებაზე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

მოიცავს — მოცემული ადამიანისთვის ყველაზე დამახასიათებელიდან ყველაზე ნაკლებად დამახასიათებელამდე. ყველაზე რელიეფურად გამოკვეთილი კარდინალური დისპოზიციები არც ისე დომინირებულ, მაგრამ პიროვნების უნიკალობის განმსაზღვრელ ცენტრალურ დისპოზიციებში გადადიან. ცენტრალური დისპოზიციები, რომლებიც პიროვნების ადაპტური და სტილისტური ქცევის დიდ ნაწილს მართავენ, თანდათან გადაედინებიან მეორად დისპოზიციებში, რომლებიც უკვე არც ისე კარგად აღწერენ პიროვნებას. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ერთი ადამიანის მეორადი დისპოზიცია ნაკლებად ინტენსიურია, ვიდრე მეორის ცენტრალური დისპოზიცია. პიროვნული დისპოზიციები არ არიან მოწოდებულნი სხვადასხვა ადამიანის მახასიათებლების შესადარებლად და ასეთი შედარების ყოველი მცდელობა პიროვნულ დისპოზიციებს ზოგად ნიშნებად აქცევს (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### კარდინალური დისპოზიციები

ყველაზე მძლავრი, მოტივაციის თვალსაზრისით (და იშვიათად შეხვედრადი), დისპოზიციაა ე. წ. *კარდინალური დისპოზიცია*. ზოგიერთ ადამიანს მკვეთრად გამოხატული მახასიათებელი ანუ მთავარი სწრაფვა/ვნება აქვს, რომელიც იმდენად სჭარბობს, რომ მთელ მის ცხოვრებაზე დომინირებს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). კარდინალური დისპოზიცია იმდენად მსჭვალავს ადამიანს, რომ მისი თითქმის ყველა ქცევის ახსნა ამ დისპოზიციის გავლენით არის შესაძლებელი. ეს უკიდურესად გენერალიზებული დისპოზიცია ვერ დარჩება დაფარული, თუ ეს ისეთი ნიშანი არაა, როგორცაა ჩაკეტილობა (ამ ნიშნის მფლობელი განდევილი შეიძლება გახდეს და მაშინ უკვე ვედარავინ გაიგებს მისი მიდრეკილების შესახებ). სხვა ასეთი კარდინალური დისპოზიციის ანუ მთავარი სწრაფვის შემთხვევაში მისი მფლობელი შეიძლება თავისებურად ცნობილ ფიგურად იქცეს. ადამიანის ცხოვრება ამ ერთი დისპოზიციის, ნიშნის ირგვლივ ტრიალებს. ოლპორტი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ მცირე რაოდენობის ადამიანებს აქვთ ასეთი კარდინალური დისპოზიციები და ის ყველას არ ახასიათებს (Allport, G. W., 1937).

კარდინალური დისპოზიციის საილუსტრაციოდ ოლპორტი (1937) ისტორიულ პიროვნებებსა და ლიტერატურულ პერსონაჟებს ასახელებს, რომლებიც ისეთი გამოკვეთილი დისპოზიციით ხასიათდებოდნენ, რომ მათი სახელები ზოგად სახელებად იქნენ და ახლი სიტყვები წარმოქმნეს. სიტყვები „დონკიხოტური“, „შოვინისტური“, „სადისტური“, „მაზოხისტური“, „დონჟუანი“ და ა. შ. ასეთი კარდინალური დისპოზიციების მაგალითებს წარმოადგენენ, ვინაიდან პიროვნული დისპოზიციები ინდივიდუალურია და არავისთან სხვასთან არ მეორდება; მხოლოდ დონ კიხოტი იქცეოდა დონ კიხოტურად, მხოლოდ ნარცისი იყო აბსოლუტურად ნარცისული და მხოლოდ მარკიზ დე სადს ჰქონდა სადიზმის კარდინალური დისპოზიცია. როდესაც ეს დასახელებები სხვა ადამიანების თავისებურებების აღსაწერად გამოიყენება, ისინი ზოგად ნიშნებად გადაიქცევიან (Cloninger, S. C., 2004; Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Хьелл Л., & Зиглер Д., 1997).

### ცენტრალური დისპოზიციები

ადამიანის არც ისე ყოვლისმომცველ, მაგრამ მაინც საკმარისად მკვეთრ მახასიათებლებს ოლპორტმა (1937) *ცენტრალური დისპოზიციები* უწოდა. ეს არის, ასე ვთქვათ, ინდივიდუალობის საშენი ბლოკები; ნიშნები, რომლებიც შეიძლება ზუსტი აღწერისას ანდა სარეკომენდაციო წერილში ჩამოვთვალოთ, მაგალითად, პუნქტუალობა, ყურადღებიაზობა, პასუხისმგებლიანობა და ა. შ. ცენტრალური დისპოზიციები ადამიანის ქცევის ისეთი ტენდენციებია, რომლებსაც იოლად ამჩნევენ გარშემომყოფები (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Холл К. С., Линдсей Г., 1997).

რამდენი ცენტრალური დისპოზიცია შეიძლება ჰქონდეს საშუალო ადამიანს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ოლპორტმა გამოკითხვა ჩაატარა თავის სტუდენტებში. ის სთხოვდა მათ, „ეფიქრათ რომელიმე ადამიანზე, რომელსაც კარგად იცნობდნენ“ ან „ისიმ სიტყვებით, ფრაზებით ან წინადადებებით აღწერათ, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე კარგად და ზუსტად ასახავდნენ ამ პიროვნების არსებით

მახასიათებლებს“ (Allport, 1961, გვ. 366, ციტირებულია წყაროში Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Холл К. С., Линдсей Г., 1997). სტუდენტების 90%-მა სამიდან ცხრამდე არსებითი მახასიათებელი დაასახელა, საშუალო რაოდენობა იყო 7.2. ამგვარად, ოლპორტმა დაასკვნა, რომ ცენტრალური დისპოზიციების რაოდენობა, რომლითაც შესაძლებელია ინდივიდის აღწერა, გასაოცრად მცირე: შესაძლოა, მათი რიცხვი ხუთიდან ათამდე მერყეობდეს. ასე რომ, ჩვეულებრივ, ადამიანს ხუთიდან ათამდე ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელი აქვს, რომლის ირგვლივაც კონცენტრირდება მისი ცხოვრება (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). თავად ადამიანის თვალსაზრისით, ცენტრალური დისპოზიციების რაოდენობა მართლაც არ არის ბევრი. მაგალითად, ჰერბერტ უელსმა ერთხელ თქვა, რომ მის ცხოვრებაში მხოლოდ ორი ძირითადი თემა: მოწესრიგებული მსოფლიო საზოგადოებისკენ სწრაფვა და გენდერის პრობლემა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### მეორადი დისპოზიციები

ნაკლებად შესამჩნევ, განზოგადებულ, მდგრად და ამის გამო პიროვნების დასახასიათებლად ნაკლებად გამოსად ნიშნებს ოლპორტმა *მეორადი დისპოზიციები* უწოდა. ოლპორტი წერს, რომ მეორადი ნიშნები „ნაკლებად შესამჩნევი, განზოგადებული, კონსისტენტური და გავლენიანია, ვიდრე ცენტრალური დისპოზიციები“ (1937, გვ. 338).

მეორადი დისპოზიცია შეიძლება იყოს პრიორიტეტები მუსიკის, ჩაცმის სტილისა და საკვების მხრივ, განსაკუთრებული განწყობები და ადამიანის სიტუაციურად განპირობებული მახასიათებლები. ყოველ ადამიანს უამრავი მეორადი დისპოზიცია აქვს, რომლებიც არც ისე მნიშვნელოვანია პიროვნების აღწერისთვის, მაგრამ მაინც ვლინდებიან გარკვეული რეგულარობით და პასუხისმგებელნი არიან მრავალ სპეციფიკურ მომენტზე ადამიანის ქცევაში (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). მაგალითად, ადამიანი შეიძლება არასოდეს იყოს დამჯერი და დამყოლი გარდა ისეთი სიტუაციებისა, რომლებშიც პოლიციის ოფიცერი მას გაფრთხილებას აძლევს სიჩქარის გადაჭარბებით მანქანით მოძრაობის გამო. ოლპორტი აღნიშნავს, რომ ძალიან კარგად/ახლოს უნდა ვიცნობდეთ ადამიანს, რომ მისი მეორადი დისპოზიციები დაეინახოთ (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

### მოტივაციური და სტილისტური დისპოზიციები

ოლპორტის თეორიაში პიროვნული დისპოზიციების კონცეფცია არ ამოიწურება ვერტიკალური იერარქიით (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). ის ნიშნებთან და დისპოზიციებთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც განიხილავს. ნიშნების როლი ქცევის მართვით შემოიფარგლება, თუ ქცევის წამოწყებაშიც მონაწილეობენ? ამ კითხვაზე არ არსებობს მარტივი პასუხი. ზოგიერთ ნიშანს აშკარად აქვს ბიძგის მიმცემი აღმძვრელის ძალა და უფრო დიდ როლს ასრულებს მოტივაციაში, ვიდრე სხვები. ამგვარად, ნიშნებს შორის არსებობს განსხვავება იმის მიხედვით, თუ რამდენად ზემოქმედებენ ინდივიდზე მისი მართვის თვალსაზრისით (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

გარდა ამისა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყოველთვის არსებობს წინმსწრები სტიმულაცია, რომელიც ნიშნის აქტივირებას უკავშირდება, მაგალითად, ნიშნის ამოქმედებას ყოველთვის უნდა უსწრებდეს წინ გარეგანი სტიმული ან შინაგანი მდგომარეობა. თუმცა, ცხადია, რომ ნიშანთა უმრავლესობა არ წარმოადგენს გარეგანი სტიმულების უდიდეს ასახვას/ანარეკლს. ფაქტობრივად, ინდივიდი აქტიურად ეძებს სტიმულებს, რომლებიც ნიშნის მოქმედებას სიტუაციისთვის შესატყვისად აქცევს. კომუნიკაბელურობის კარგად გამოხატული ნიშნის მქონე ადამიანი არ ელოდება ამ ნიშნის გამოვლენისთვის ხელსაყრელ სიტუაციას; ის თავად ქმნის ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც ადამიანებთან ურთიერთობას შეძლებს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტის მიხედვით, ყველა პიროვნული ნიშანი დინამიკურია იმ თვალსაზრისით, რომ მათ მოტივაციური ძალა აქვთ, ანუ ქცევის მოტივირება შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანი უფრო ძლიერად განიცდება, ვიდრე სხვები. ოლპორტმა ასეთ ყველაზე ინტენსიურად გრძნობად

დისპოზიციებს *მოტივაციური დისპოზიციები* უწოდა. ეს მკვეთრად გამოვლენილი დისპოზიციები მოტივაციას ძირითადი მოთხოვნილებებიდან და აღმძვრელებიდან იღებენ (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ოლპორტი საუბრობდა დისპოზიციებზე, რომლებიც ნაკლები ძალით შეიგრძნობიან და მათ *სტილისტურ დისპოზიციებს* უწოდებდა, მაშინაც კი, თუ მათ გარკვეული მოტივაციური ძალა აქვთ. სტილისტური დისპოზიციები ხელმძღვანელობენ, წარმართავენ მოქმედებებს, ხოლო მოტივაციური — აღძრავენ, წამოიწყებენ მათ (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). სტილისტური დისპოზიციის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ადამიანის უნაკლო გარეგნული მხარე განვიხილოთ. ტანსაცმლის ტარების მოტივი წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილებას, იყოს სითბოში; სხვადასხვა ადამიანისთვის დამახასიათებელი ჩაცმის მანერას კი მათი სტილისტური პიროვნული დისპოზიციები განსაზღვრავენ (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ზოგიერთი დისპოზიცია აშკარად სტილისტურია, ზოგიერთი კი მკვეთრად შერძნებად მოთხოვნილებას ეფუძნება და, ამგვარად, მოტივაციურს უნდა მივაკუთვნოთ. მოტივაციურ და სტილისტურ დისპოზიციებს შორის შეუძლებელია მკვეთრი საზღვრის გავლება, ვინაიდან გარკვეული მოტივაციური ძალა ერთსაც აქვს და მეორესაც. თუმცა, ცხადია, რომ, მაგალითად, ზრდილობიანობა სტილისტური დისპოზიციაა, საკვები — უფრო მოტივაციური. ის, თუ როგორ მიირთმევს (მისი სტილი) ადამიანი საჭმელს, ნაწილობრივ მაინც, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მშვიდია ის და, ასევე, მისი სტილისტური დისპოზიციების ძალაზე. ჩვეულებრივ ზრდილობიანმა, მაგრამ მშვიდმა ადამიანმა შეიძლება დაივიწყოს კარგი მანერები, როდესაც მარტო მიირთმევს საკვებს და სხვა დამსწრე არ ჰყავს, მაგრამ თუ ზრდილობიანობის დისპოზიცია საკმარისად ძლიერია მასში და მის გვერდით სხვა ადამიანები არიან, მაშინ მან, შესაძლოა, დაიცვას ეტიკეტი და ზრდილობიანი ქცევის წესები მაშინაც კი, თუკი ძალიან მშვიდია (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

დისპოზიციები, მოტივაციურიც და სტილისტურიც, რომლებიც პიროვნების ცენტრში იმყოფებიან, ადამიანის მიერ განიცდება, როგორც მისი მე-ს მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ისაა, რაზეც ადამიანი ამბობს: „ეს მე ვარ“, ან „ეს ჩემია“. მახასიათებლები, რომლებსაც ადამიანი „სწორედაც რომ ჩემი“-ს უწოდებს, ოლპორტის მიხედვით, პროპრიუმის ცნებას განეკუთვნებიან (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001), რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

### ნიშნებისა და დისპოზიციების დამოუკიდებლობა და შეთანხმებულობა

ოლპორტი ნიშნების (დისპოზიციების) დამოუკიდებლობაზე საუბრობს. რამდენად არსებობენ ისინი, როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედი ქცევის სისტემები? რომელიმე ცალკეული ნიშნის მოქმედება ყოველთვის განპირობებულია თუ არა სხვა ნიშნებით და მათი მდგომარეობებით და უკავშირდება თუ არა მათ? ოლპორტი ამტკიცებს, რომ ნიშნის იდენტიფიცირება შესაძლებელია არა მისი რიგიდული დამოუკიდებლობით, არამედ — მისი ფოკალური თვისებით. მას აქვს ტენდენცია, ჰქონდეს ცენტრი, რომლის ირგვლივაც ხორციელდება გავლენა, თუმცა ქცევა, რომლამდეც მივყავართ მას, აშკარად სხვა ნიშნების ერთდროული ზემოქმედებითაც არის განპირობებული. არ არსებობს მკვეთრი საზღვარი, რომელიც ერთ ნიშანს მეორესგან გამოყოფდა. სხვადასხვა ნიშნის ურთიერთგადაფარვა, ნაწილობრივ, პასუხისმგებელია იმაზეც, რომ შეუძლებელია ნიშნების ამომწურავი კლასიფიკაციის შექმნა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ცხადია, ნიშნების იდენტიფიკაციისას გაკეთებული დასკვნები მათ შეთანხმებულობას მოიაზრებს. განსაზღვრების მიხედვით, დისპოზიციის ამოცნობა არ ხდება მხოლოდ ინდივიდის ქცევის გარკვეული თანმიმდევრულობით ანდა შეთანხმებულობით. ოლპორტი მიუთითებს, რომ ნიშნების მისეული თეორია აუცილებლობით არ გულისხმობს სრულ შეთანხმებულობას. აშკარა ფაქტი, რომ ერთდროულად ბევრი ურთიერთგადაფარავი ნიშანია აქტივირებული, გულისხმობს, რომ საკმაოდ ხშირად უნდა ველოდოთ, რომ ორგანიზმი აშკარად არათანმიმდევრულ ქცევას განახორციელებს. ამასთან, ის ფაქტი, რომ

დისპოზიციები უნიკალურია და ინდივიდუალური ორგანიზაციით ხასიათდებიან, გვაფიქრებინებს, რომ მათში შეიძლება ისეთი ელემენტები იყოს ჩართული, რომლებიც არ შეესატყვისება ნორმატიულ ან გარემოს თვალსაზრისებს. ამგვარად, ქცევაში შესაძლებელია თვალსაჩინო განსვლებისა და შეთანხმებულობის შემჩნევა, რაც სინამდვილეში უნიკალურად ორგანიზებული შინაგანი შეთანხმებულობის ასახვას წარმოადგენს. ოლპორტის თეორიაში მოიაზრება არა იმდენად ქცევაში ზუსტი შეთანხმებულობის ან თანმიმდევრულობის აღმოჩენა, არამედ ნატიფი კონგრუენტულობის (რისი დანახვაც ხშირად ძალიან ძნელია) არსებობა, რომელიც ინდივიდის სხვადასხვა ქცევით გამოვლინებას აერთიანებს. თუმცა, თეორია არ გულისხმობს, რომ თითოეული (როგორც არ უნდა იყოს ის) პიროვნება სრულიად ინტეგრირებულია. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება არსებობდეს დისოციაცია ან განდევნა, მაგრამ შეთანხმებულობა, ჩვეულებრივ, უფრო მეტია ხოლმე, ვიდრე ამას ფსიქოლოგიური კვლევის ჩვეულებრივი მეთოდები აჩვენებენ (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## ინტენციები

ოლპორტისთვის (Холл К. С., Линдсей Г., 1997) ორგანიზმის წარსულის ანუ ისტორიის შესწავლაზე გაცილებით მნიშვნელოვანია უბრალოდ კითხვის დასმა იმის შესახებ, თუ რისი კეთების განზრახვა აქვს ადამიანს, ანდა რისი კეთებისკენ ისწრაფვის იგი მომავალში. ადამიანის იმედები, სურვილები, ამბიციები, პრეტენზიები, გეგმები — ყველაფერი ერთი სახელწოდების ქვეშ ერთიანდება და ესაა *ინტენცია*. ეს არის ოლპორტისა და პიროვნების სხვა მისი თანამედროვე უმრავლესი თეორეტიკოსის ერთ-ერთი მკვეთრად განმასხვავებელი მომენტი.

მისი თეორიის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო მტკიცებაა, რომ ის, რის გაკეთებასაც ცდილობს ინდივიდი (და, ამასთან, ითვლება, რომ ადამიანს შეუძლია ამის შესახებ საუბარი) ყველაზე მნიშვნელოვანი გასაღებია აწმყოში მისი მიმდინარე ქცევის გაგებისთვის. თუ სხვა თეორეტიკოსები ასეთ გასაღებად, რომელიც აწმყო ქცევის საიდუმლოს ამოხსნის შესაძლებლობას მოგვცემს, წარსულს მიიჩნევენ, ოლპორტი ყურადღებას აპყრობს იმას, თუ რის გაკეთებას აპირებს, განიზრახავს ადამიანი მომავალში. ამ თვალსაზრისით, აშკარაა მისი პოზიციის მსგავსება ალფრედ ადლერისა და კარლ იუნგის მოსაზრებებთან, თუმცა, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მათ ოლპორტზე უშუალო გავლენა იქონიეს.

## პროპრიუმი

მიუხედავად იმისა, რომ ოლპორტს ეგო-ფსიქოლოგს და „მე-ს (self) ფსიქოლოგსაც“ კი უწოდებდნენ, ეს მახასიათებელი მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. 1943 წელს ნაშრომში „ეგო თანამედროვე ფსიქოლოგიაში“ და 1955 წელს წიგნში „ჩამოყალიბება: პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მოსაზრებები“ მან თანამედროვე ფსიქოლოგიაში ცნებების „ეგო“ და „მე“ (self) ძირითადი მნიშვნელობები მიმოიხილა. თავის პირველ ძირითად ტექსტში (1937) ოლპორტი, ძირითადად, თავს არიდებდა ამ ცნებებთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც მივიდა პრინციპულ კითხვასთან და პირდაპირ დასვა კიდევ ის: „საჭიროა კი 'მე'-ს (self) ცნება?“ მისი პასუხი ამ კითხვაზე ზომიერი და თავშეკავებულია. გაუბოძა რა ამ ტერმინების აღრევას, ოლპორტი გვთავაზობს, რომ ეგოსა და მე-ს ყველა აღწერილი ფუნქცია საკუთრივ პიროვნების ფუნქციებად მივიჩნიოთ. ყველა ეს ფუნქცია (სხეულებრივი შეგრძნებები, თვითიდენტობა, თვითპატივისცემა, თვითგანფენილობა, მე-ს შეგრძნება, რაციონალური აზროვნება, მე-ს ხატი, საკუთარი მისწრაფებები, კოგნიტური სტილი და შემეცნების ფუნქცია) პიროვნების რეალური და სასიცოცხლო ნაწილებია. მათ აქვთ საერთო ფენომენალური „სითბო“ და „მნიშვნელოვნების განცდა“. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთად ფარავენ, შემოფარგლავენ „საკუთარს“ ანუ, როგორც ოლპორტი უწოდებს, *პროპრიუმს*. სწორედ პიროვნების ამ რეგიონში ვპოულობთ იმ შეთანხმებულობის სათავეებს, რომელიც დამოკიდებულებებს, ინტენციებსა და შეფასებებს ახასიათებთ. პროპრიუმი არ არის თანდაყოლილი, ის დროთა განმავლობაში ვითარდება (Cloninger, S. C., 2004; Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ამრიგად, ოლპორტი, სხვა პერსონოლოგების მსგავსად, თვლის, რომ პიროვნება არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული დისპოზიციების უბრალო ნაკრები. მისთვის პიროვნების ცნება ინდივიდუალობის ყველა ასპექტის გარკვეულ ერთიანობას, სტრუქტურასა და ინტეგრაციას გულისხმობს. ამიტომ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ არსებობს გარკვეული პრინციპი, რომლითაც ერთი მთლიანის სახით ორგანიზდება განწყობები, შეფასებები, მოტივები, შეგრძნებები და მიდრეკილებები. ოლპორტის მიხედვით, პიროვნების ბუნების შემეცნებისა და აღწერისთვის აუცილებელია ზოგადობის ისეთი დონის მქონე კონსტრუქტები, როგორცაა ეგო ან ცხოვრების სტილი, თუმცა, ყველა ეს ტერმინი ძალიან ბევრ არაერთმნიშვნელოვან თანმხლებ მნიშვნელობასა და სემანტიკურ ბუნდოვანებას მოიცავს. სწორედ ამიტომ შემოაქვს ოლპორტს ტერმინი *პროპრიუმი* (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ოლპორტი პროპრიუმს უწოდებს ქცევის ტიპებსა და მახასიათებლებს, რომლებსაც ჩვენ საკუთარ ცხოვრებასთან ახლოდ, ცენტრალურად და მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. პროპრიუმი, როგორც პიროვნების ცენტრი, მოიცავს პიროვნების იმ მხარეებს, რომლებიც თვითიდენტიფიკაციის და თვითგაუმჯობესების განცდისთვის მნიშვნელოვნად არის მიჩნეული (Allport, 1955, წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). აქ შედის ადამიანის ღირებულებები და ცნობიერების ის ნაწილი, რომელიც კონკრეტული პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი და მოზრდილი ადამიანის მოსაზრებებს შეესატყვისება. ოლპორტის აზრით, პროპრიუმი არის ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი პოზიტიური, შემოქმედებითი, ზრდისკენ და განვითარებისკენ სწრაფვის თვისება. ეს არის თვისება, რომელიც „ცნობიერდება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და ცენტრალური“ (Allport, 1968a, გვ. 4, ციტირებულია წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992). პრაქტიკულად ეს არის სუბიექტური გამოცდილების ის ნაწილი, რაც „ჩვენია“ ანუ ეს არის „მე“.

ის თვლიდა, რომ პროპრიუმი პიროვნების ყველა ასპექტს მოიცავს, რომელიც ხელს უწყობს შინაგანი ერთიანობის გრძნობის ფორმირებას. იგი პროპრიუმს ადამიანის მუდმივობის მნიშვნელობით მისი დისპოზიციების, განზრახვებისა და პერსპექტიული მიზნების ჭრილში განიხილავდა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ამასთანავე, არ თვლიდა პროპრიუმს ჰომონკულუსად ანუ „პატარა კაცუნად, რომელიც პიროვნების შიგნით ცხოვრობდა“ და ყველაფრის ორგანიზებას ახდენდა, მაგებს ამომრავებდა და პიროვნების სისტემას მართავდა. ოლპორტი აღიარებს ყველა ფსიქოლოგიური ფუნქციის მნიშვნელოვნებას, რომელიც „მე“-ს ან ეგოს მიეწერება და ყველანაირად ცდილობს, თავი აარიდოს თეორიას, რომელშიც უფლებამოსილი ყმა ან პროვოკატორი ჩნდება. მისთვის „მე“ ანუ ეგო, როგორც ცნება, შეიძლება გამოყენებულ იქნას საკუთარ ფუნქციებზე მისათითებლად პიროვნული სფეროს ფარგლებში (სხვა სიტყვების თავსართად), მაგრამ თვლის, რომ ეს ტერმინები არ უნდა გამოვიყენოთ, როგორც დამოუკიდებელი არსებითი სახელები. არ არსებობს ეგო ან „მე“, რომელიც იმოქმედებდა, როგორც დანარჩენი პიროვნებისგან განსხვავებული არსება (Холл К. С., Линдсей Г., 1997). პროპრიუმი განუყოფელია ადამიანისგან, როგორც ერთი მთლიანისგან. ეს არის გარკვეული მარგანიზებული და გამაერთიანებელი ძალა, რომლის დანიშნულება ადამიანის ცხოვრების უნიკალობის ფორმირებაა (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

ოლპორტის მტკიცებით, ახალშობილს არ გააჩნია პროპრიუმი და პიროვნება (Ewen, R. B., 2003), ვინაიდან მას ჯერ არ აქვს ქცევისა და აზროვნების არანაირი მოდელი. ამგვარად, ახალშობილი მხოლოდ პოტენციური პიროვნებაა, რომელიც მომავალში შეიძლება აიგოს მისი გენეტიკური მონაცემების საფუძველზე. ფსიქოლოგთა უმეტესობისგან განსხვავებით, ოლპორტი ადამიანის სიცოცხლის პირველ წელს ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, შეგრძნება დაბადებიდან მოზრდილობის წლებამდე ვითრდება და რამდენიმე, ნაწილობრივ, ურთიერთგადამფარავ და ერთიან რიგში მოცემულ სტადიას გაივლის (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტი პროპრიუმის შვიდ ასპექტს განიხილავს, რომელიც პიროვნების ფორმირების თანმიმდევრულ სტადიებზე ვლინდება (იხ. ცხრილი 3). ეს, ე. წ. პროპრიატული ფუნქციები ნელა ევოლუციონირდება და მათი საბოლოო კონსოლიდაციის შედეგად ყალიბდება „მე“, როგორც სუბიექტური შემეცნებისა და შეგრძნების ობიექტი (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ცხრილი 3. პროპრიუმის განვითარების ასპექტები ოლპორტის მიხედვით.

სტადია	ასპექტი	განსაზღვრება
1	სხეულის შეგრძნება	სხეულებრივი შეგრძნებების გაცნობიერება
2	თვითიდენტობა	”მე“-ს უცვლელიობა და უწყვეტობა, მიმდინარე ცვლილებებისგან დამოუკიდებლად
3	თვითპატივისცემა	სიამაყე საკუთარი მიღწევებით
4	”მე“-ს გაფართოვება	”მე“ იწყებს სოციალური და ფიზიკური გარემოცვის მნიშვნელოვანი ასპექტების მოცვას.
5	მე-ს ხატი	ინდივიდის მიზნებსა და მისწრაფებებში მნიშვნელოვანი სხვა ადამიანების მოლოდინების ასახვა იწყება
6	რაციონალური პიროვნება	აბსტრაქტული არგუმენტაცია და ლოგიკის გამოყენება ყოველდღიური პრობლემების გადაჭრისას
7	პროპრიაციული (საკუთარი) მისწრაფებები	”მე“-ს მთლიანობითი განცდა და პერსპექტიული მიზნების დაგეგმვა

ოლპორტი ამ ასპექტებს მათი განვითარების თანმიმდევრობის მიხედვით განიხილავს. სიცოცხლის პირველი სამი წლის მანძილზე ვითარდება სამი ასპექტი: საკუთარი სხეულის შეგრძნება, უწყვეტი თვითიდენტობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ოთხიდან ექვს წლამდე ასაკში კიდევ ორი ასპექტი იჩენს თავს, ესენია „მე“-ს გაფართოვება და „მე“-ს ხატი. ექვსიდან თორმეტ წლამდე ბავშვთან იმდენად ვითარდება რაციონალური პიროვნება, რომ მას შეუძლია პრობლემებთან გამკლავება რაციონალურ აზროვნებაზე დაყრდნობით. გარდატეხის ასაკში უკვე ვითარდება ინტენციები, ხანგრძლივი გეგმები და ცალკეული მიზნები, რომლებიც პროპრიაციული ანუ საკუთარი მისწრაფებების სახელით ერთიანდება. „მე“-ს ეს შვიდივე ასპექტი ერთად ქმნის პროპრიუმს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

პროპრიუმის განვითარების ცალკეული ასპექტები უფრო დაწვრილებით არის განხილული პიროვნების განვითარების ნაწილში (იხ. ქვემოთ).

### მოტივაცია

გორდონ ოლპორტის პიროვნების თეორია მოტივაციის ორმაგი სისტემის იდეაზეა აგებული. ადამიანებს ერთდროულად ამომრავებთ თავიანთ გარემო პირობებთან შეგუების მოთხოვნილება და ზრდისკენ ანუ უფრო და უფრო მეტი თვითაქტუალიზაციის მიღწევისკენ სწრაფვა. შეგუების და ზრდის მოთხოვნილებები გვერდიგვერდ არსებობენ ერთსა და იმავე ადამიანში და პიროვნების ნებისმიერი ადეკვატური თეორია, ამბობდა ოლპორტი, უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ ადამიანები რეაქტიული არსებებიც არიან და პროაქტიულებიც (Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

ვინაიდან ოლპორტმა პროპრიუმის კონცეფციაში ისეთი ასპექტი შეიტანა, როგორცაა საკუთარი მისწრაფებები, მოტივაციის მისეული თეორია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განსხვავებას საკუთარ მისწრაფებებსა და პერიფერიულ მოტივებს შორის. პერიფერიული მოტივები ისაა, რაც ამცირებს მოთხოვნილებას, ხოლო საკუთარი/პროპრიაციული მისწრაფებები დამაბულობისა და უწონასწორობის შექმნის სურვილით არის ნაკარნახევი. მოზრდილი ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს როგორც რეაქტიული, ისე — პროაქტიული და მოტივაციის ადეკვატურ თეორიას ორივეს ახსნა უნდა შეეძლოს.

ოლპორტს სრულიად არ აკმაყოფილებდა მოტივაციის არსებული თეორიები, ვინაიდან თითქმის ყველა მათგანი ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ ადამიანები უბრალოდ რეაგირებენ თავიანთ გარემოზე და პრაქტიკულად არ ახდენენ მის ფორმირებას. ოლპორტის აზრით, პიროვნება მზარდი სისტემაა, რომელიც მუდმივად რთავს საკუთარ თავში ახალ ელემენტებს და იცვლება ამის გამო, პიროვნების მანამდე არსებული თეორიები კი არ უშვებენ ზრდის შესაძლებლობას (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ფსიქონალიზი და დასწავლის თეორიები, ძირითადად, ჰომეოსტატიკური ანუ რეაქტიული თეორიებია: ისინი ადამიანის პიროვნებას რეაქტიულად მიიჩნევენ, ანუ თვლიან, რომ ადამიანები, უპირატესად, დამაბულობის შემცირებით და წონასწორობის მდგომარეობაში დაბრუნებით არიან



მოტივირებულნი. უცვლელი მოტივების ყველა ეს თეორია არასრულია, ვინაიდან მათი გამოყენება რეაქტიული ქცევის შესწავლით არის შეზღუდული. თუმცა, მოზრდილი, მოწიფული პიროვნება არა მხოლოდ ეძებს სიამოვნებას ან ტკივილის შემცირებას, არამედ მოტივაციის ახალი სისტემების, თავდაპირველი მოტივებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელი სისტემების შემენისკენაც ისწრაფვის. აღიარებს რა, რომ ზოგიერთი მოტივი მართლაც არაცნობიერია, დანარჩენები კი დამაბულობის მოხსნის სწრაფვის შედეგად ჩნდებიან, ოლპორტი მიიჩნევდა, რომ ვინაიდან ქცევა შეიძლება ფუნქციურად ავტონომიური იყოს, უცვლელი მოტივების თეორიები არაადეკვატურია (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### მოტივაციის ადეკვატური თეორიის კრიტერიუმები

ოლპორტმა დაასახელა ოთხი მოთხოვნა, რომელსაც, მისი აზრით, უნდა აკმაყოფილებდეს მოტივაციის ადეკვატური თეორია:

- მოტივაციის ადეკვატური თეორია აღიარებს მოტივების დროში შეთანხმებულობას, სხვა სიტყვებით, „ის, რაც გვამომრავებს, გვამომრავებს ახლა“; მისთვის წარსულის მოტივები არაფერს ხსნიან, თუ ისინი აწმყო მოტივებიც არ არიან (Allport, 1961, გვ. 220, წყაროში). წარსული არც ისე მნიშვნელოვანია. პიროვნების ისტორიას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც ის აწმყო მოტივაციაზე მოქმედებს.

- თეორია პლურალისტური უნდა იყოს, ანუ უშვებდეს სხვადასხვა ტიპის მოტივებს (Allport, 1961, გვ. 221, წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ოლპორტი ამ პოზიციიდან აკრიტიკებდა ორი ძირითადი ლტოლვის ფროიდისეულ თეორიას, წარმატების მიღწევისკენ ერთადერთ სწრაფვას ადღერისეულ თეორიაში და ყველა თეორიას, რომელიც თვითაქტუალიზაციას პირველხარისხოვან მოტივად მიიჩნევდა. ოლპორტი მგზნებარედ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის მთელი მოტივაციის ერთ წამყვან იმპულსზე დაყვანას. იგი ამტკიცებდა, რომ მოზრდილი ადამიანების მოტივები არსებითად განსხვავდებიან ბავშვების მოტივებისგან და ნევროტულ პიროვნებას ჯანმრთელისგან განსხვავებული მოტივაცია აქვს. ამასთან, ზოგიერთი მოტივი ცნობიერია, ზოგიერთი — არაცნობიერი, ზოგი წარმავალია, ზოგი კი კიდევ და კიდევ მეორდება, ზოგი ამცირებს დამაბულობას, ზოგი კი ქმნის მას. ერთი შეხედვით განსხვავებული მოტივები მართლაც განსხვავებულია და არამარტო ფორმით, არამედ არსებითადაც. „მოტივები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძნელია მათი საერთო მახასიათებლის პოვნა“ (Allport, 1961, ვ. 221, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

- უნდა აღიარებდეს კოგნიტური პროცესების დინამიკურ ძალას; როგორც თავად ამბობს, „ის დინამიკურ ძალას აზროვნების პროცესებს ანუ დაგეგმვასა და განზრახვებს უნდა მიაწერდეს“ (Allport, 1961, გვ. 222, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ოლპორტი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარი მომავალი ცხოვრებით არის დაკავებული, თუმცა ბევრი ფსიქოლოგიური თეორია „მათი წარსულში დაბრუნებითაა დაკავებული და როდესაც ყოველი ჩვენგანი თვლის, რომ სპონტანურად აქტიურნი ვართ, უამრავი ფსიქოლოგი გვეუბნება, რომ ჩვენ მხოლოდ რეაქტიულები ვართ“ (გვ. 206). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი განზრახვები ნებისმიერ სიტუაციაში ერევან, ეს მესამე მოთხოვნა, ძირითადად, ხანგრძლივ მოტივებს შეეხება. მაგალითად, გოგონა უარს ამბობს კინოში წასვლაზე იმის გამო, რომ ანატომია უნდა იმეცადინოს. ეს პრიორიტეტი შეესაბამება მის მიზანს, კოლეჯი კარგი ნიშნებით დაამთავროს და სამედიცინო სკოლაში ჩააბაროს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ექიმი გახდეს. ჯანმრთელი ადამიანების ცხოვრება მომავალზეა ორიენტირებული, სადაც შედის მათი პრიორიტეტები, მიზნები, გეგმები და განზრახვები. ცხადია, ეს ყოველთვის არ არის რაციონალური პროცესები, როგორც მაშინ, როდესაც, მაგალითად, რისხვას გეგმებსა და განზრახვებზე დომინირების საშუალებას ვაძლევთ (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

- მოტივაციის ადეკვატური თეორია „უშვებს კონკრეტული მოტივების უნიკალობას“ (Allport, 1961, ვ. 225, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). კონკრეტული უნიკალური მოტივი განსხვავდება აბსტრაქტული განზოგადებული მოტივისგან. ეს უკანასკნელი თავდაპირველ თეორიულ

ვარაუდებს ეფუძნება და არა — რეალური ადამიანის ქმედით მოტივაციას. კონკრეტული უნიკალური მოტივის მაგალითად ავიღოთ ადამიანი, რომელსაც ლახტის თამაშის სწავლა უნდა. მისი მოტივი კონკრეტულია, გაუმჯობესების მიღწევის მეთოდიც უნიკალურია მისთვის. მოტივაციის ზოგიერთი თეორია ამ ადამიანის ქცევას აგრესიულ ტენდენციებს მიაწერს, სხვები — დათრგუნულ სექსუალურ ლტოლვებს, კიდევ სხვები კი — მეორად აგზნებას, რომელიც პირველადი აგზნების საფუძველზე დასწავლილი. ოლპორტი უბრალოდ იტყოდა, რომ მას იმიტომ სურს ამ თამაშის სწავლა, რომ უბრალოდ სურს სწავლა. ეს უნიკალური, კონკრეტული და ფუნქციურად ავტონომიური მოტივია (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

დაისახა რა მიზნად ადეკვატური თეორიის შექმნა, რომელიც ყველა ამ კრიტერიუმს დააკმაყოფილებდა, ოლპორტმა პროაქტიული ქცევის ახსნის უნარის მქონე მოტივაციის ორიგინალური კონცეფცია დაამუშავა. ამ თეორიაში ადამიანები ცნობიერად ზემოქმედებენ თავიანთ გარემო პირობებზე ისე, რომ მათ ზრდისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისკენ სწრაფვის საშუალება ეძლევათ. ფუნქციური ავტონომიის კონცეფციაში ოლპორტი შეეცადა, გაეზრებინა და შეეკრიბა რეაქტიული თეორიების ახსნები და, ამასთან, ყურადღების მიღმა არ დარჩენოდა პროაქტიული თეორიები, რომლებიც ცვლილებებსა და ზრდას უსვამენ ხაზს (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

## პიროვნების ერთიანობა

„დავალაგეთ და დავანაწევრეთ“ რა ადამიანი ნიშნებად და დისპოზიციებად, დამოკიდებულებებად და უნარებად, ღირებულებებად, ინტენციებად და მოტივებად, დგება დაშლილი მთლიანობის საკითხი. ოლპორტი, აღიარებდა რა ამ ამოცანის სირთულეს, დაბეჯითებით და ენერგიულად ეძებდა გამოსავალს. მან, ფაქტობრივად, რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული იდეა შემოგვთავაზა.

ადამიანებს ადრეულ ბავშვობაში უკიდურესად დინამიკური ერთიანობა გვაქვს, რომელიც თანდათანობით დიფერენციაციას უთმობს ადგილს. ოლპორტის მიხედვით (1937), მოწიფულობასთან ერთად პიროვნების ინტეგრირებულობა ანუ უნიფიკაციაც მოდის. იგი ამას „დაყოფისა და გაერთიანების დიალექტიკას“ უწოდებს. ჰომეოსტაზური მექანიზმი, რომლითაც აღჭურვილია ორანიზმი, იცავს ამ ერთიანობას, უკიდურეს შემთხვევაში, წონასწორობას (ფუნდამენტურს, მაგრამ სტატიკურს, არაგანვითარებადს) მაინც. ქცევის ინტეგრირებული ხაზის განხორციელებისთვის საჭირო ენერჯის მობილიზაცია (კონვერგენციის პრინციპი) უნიფიკაციის ფორმაა, თუმცა, ის დროებითი და ვიწროდ ფოკუსირებულია. კარდინალური დისპოზიცია, განმარტების მიხედვით, პიროვნებას ერთიანობას ანიჭებს, ისევე, როგორც ნიშნებისა და დისპოზიციების ურთიერთდამოკიდებულების აღიარება. აღიარებს რა პიროვნების უნიფიკაციაში (გაერთიანებაში) თითოეული ამ პრინციპის წვლილს, ოლპორტი მთავარ როლს მაინც პროპრიეტულ ფუნქციებს ანიჭებს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

საიდან მოდის ეს მთლიანობა, ინტეგრირებულობა? ოლპორტისთვის პასუხი პიროვნებაში ძვეს, რომელიც თუ ჯანმრთელია, ამ მთლიანობისკენ შიგნიდან მიილტვის, ვინაიდან მას ვერ მივიღებთ გარანტირებულად საზოგადოებიდან ან მოცემული ინდივიდის პიროვნული ისტორიიდან. ინტეგრაცია ძირითადი ელემენტების ფორმირების მეშვეობით ხორციელდება (Allport, G. W., 1937, გვ. 191). ეს შეიძლება იყოს რელიგიური ან არარელიგიური ცხოვრებისეული ფილოსოფიები, რომლებიც პიროვნების ღერძულ მთლიანობას უზრუნველყოფენ.


## სინდისი

ოლპორტი იზიარებდა ფროიდის მოსაზრებას (Ewen, R. B., 2003), რომ მორალურის განცდა არ არის შინაგანი და ბავშვი მშობლებისგან ითვისებს, თუ რა არის კარგი და ცუდი. თუმცა, ამტკიცებს, რომ მოზრდილის სინდისი განსხვავდება ბავშვობისდროინდელი სინდისისგან. სხვა სიტყვებით, ბავშვის შიშნარევი განცდა იმისა, თუ რა „უნდა გაკეთდეს“ და რა „არ უნდა გაკეთდეს“ შემდგომში უფრო მოწიფულ „საჭიროა“-„არ არის საჭირო“-დ ვითარდება და ეს უკვე ინდივიდის საკუთარ სტანდარტებს ეფუძნება.

ოლპორტი წერს, რომ მოწიფულობის პერიოდის სინდისი იშვიათად უკავშირდება დასჯის შიშს, იქნება ეს გარედან მომდინარე სასჯელი თუ თვითდასჯა. ეს ვალდებულების განცდა უფროა; გრძნობა იმისა, რომ ინდივიდმა არჩეულ გზას უნდა მისდიოს (Allport, 1961, წყაროში Ewen, R. B., 2003).

### პიროვნების ინტეგრაციის დონეები

სურ. N3. პიროვნების ინტეგრაციის დონეები.



კარდინალური, ცენტრალური და მეორადი დისპოზიციები არ არსებობენ დისკრეტულად და არ წარმოადგენენ სამ ცალკეულ ტიპს. ისინი გავრცელებულობის კონტინუუმზე ვლინდებიან (Allport, G. W., 1937, გვ. 338). ოლპორტისთვის ეს სხვადასხვა ნიშანი პიროვნების ასპექტების უფრო ფართო სპექტრის კონტექსტში არებობს, რომელიც ნაკლებად გავრცელებულ გავლენებსა (რეფლექსებსა და ჩვევებს) და ინტეგრაციის უმაღლეს დონეებს (მე-ს) მოიცავს. პიროვნება იერარქიულ სტრუქტურად არის ორგანიზებული (სურ. N3). ინტეგრაციის უმაღლეს დონეზე მარტივი განპირობებული (პირობითი) რეფლექსებია, რომლებიც დროთა განმავლობაში ერთმანეთთან ასოცირდებიან და აყალიბებენ ჩვევებს.

ინტეგრაციის უმაღლეს დონეზე განთავსებულია მე-ს იდეა ანუ, როგორც ზოგჯერ სოციოლოგები უწოდებენ, ქვეიდენტობა, მაგალითად, ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, როგორც შვილის, დედის, მეგობრის განცდა. ის ფაქტი, რომ ყოველ ჩვენგანს მრავალგვარი „მე“ აქვს, გვაფიქრებინებს, რომ ინტეგრაცია უფრო მაღალ დონეზე ხდება. ზოგიერთ ადამიანს ინტეგრაციის კიდევ უფრო მაღალი დონე აქვს და ეს არის „პიროვნების სრულიად გამაერთიანებელი სისტემა, რომელიც პირამიდის თავში მდებარეობს“ (გვ. 142).

### პიროვნების განვითარება

აქამდე პიროვნების მდგენელებსა და სტრუქტურაზე ვსაუბრობდით და ფართო ჭრილში განვიხილავდით ქცევის გამააქტივირებელ დისპოზიციებს. ახლა განვიხილავთ, თუ როგორ ჩნდება ეს სტრუქტურები და როგორ არის წარმოდგენილი ინდივიდის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე.

როგორც უკვე ვიცით, ფუნქციური ავტონომიის განხილვისას, ოლპორტის თეორიაში საუბარია ბავშვობასა და მოზრდილობას შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებზე (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

### ბავშვი

დავიწყოთ ინდივიდის დაბადების მომენტიდან. ოლპორტი, ასეთი რადიკალური მოზრდილის ქცევის განხილვისას, ზეკონსერვატიულია ბავშვის ქცევის განხილვისას. არსებითად, მისი მოსაზრებები ბავშვის ცხოვრების პირველი ორი წლის შესახებ არც ისე ღირებულია. მხოლოდ თვითიდენტობის გაჩენის შემდეგ იძენს სიტუაცია ახალ და მოულოდნელ შინაარსს. თუმცა, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორ უყურებს ოლპორტის თეორია ახალშობილს.

ოლპორტი თვლის, რომ ახალშობილი თითქმის მთლიანად მემკვიდრეობითობის, პრიმიტიული იმპულსებისა და რეფლექსების პროდუქტია. მას ჯერ კიდევ არ აქვს განვითარებული განმსახვავებელი ნიშნები, რომლებიც მოგვიანებით ჩნდება გარემოსთან ურთიერთქმედების შედეგად. ოლპორტის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ახალშობილს არ გააჩნია პიროვნება. ბავშვს დაბადებიდან აქვს გარკვეული

კონსტიტუციური და ტემპერამენტის თვისებები, მაგრამ მათში არსებული პოტენციალის რეალიზაცია მხოლოდ ზრდა-განვითარებასთან და მომწიფებასთან ერთად არის შესაძლებელი. გარდა ამისა, მას მხოლოდ ძალიან სპეციფიკური რეფლექსების (მაგალითად, წოვის და ყლაპვის) მეშვეობით შეუძლია რეაგირება ძალზე შეზღუდული დიაპაზონის სტიმულაციაზე. და ბოლოს, ის ზოგად არადიფერენცირებულ რეაქციებს ავლენს, რომლებშიც ჩართულია კუნთური აპარატის დიდი ნაწილი (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორ აქტივირდება და მოტივირდება ბავშვი? ოლპორტი უშვებს, რომ თავდაპირველად არსებობს აქტივობის ზოგადი ნაკადი. იგივე ნაკადი მოტივირებული ქცევის საწყისი, ორიგინალური წყაროც არის. განვითარების ამ მომენტში ბავშვი, უპირატესად, სეგმენტური/ფრაგმენტული დამაბულობებისა და ტკივილის და სიამოვნების განცდების პროდუქტია. ბავშვის ცხოვრების ადრეული წლების შესახებ მსჯელობისას გამოსადეგია ქცევის ბიოლოგიური მოდელები ანდა თეორიები, რომლებიც, ძირითადად, ჯილდოს მნიშვნელოვნებას, ეფექტის კანონს ანდა სიამოვნების პრინციპს მიიჩნევენ მნიშვნელოვნად. ამგვარად, ბავშვი ტკივილის მინიმუმაციის მოთხოვნილებით მოტივირებული და სიამოვნების მაქსიმუმაციისკენ სწრაფვით ვითარდება, რაც, ძირითადად, კონკრეტული ვისცერალური დამაბულობის რედუქციითაა დეტერმინირებული (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მიუხედავად იმისა, რომ დაბადებისას ინდივიდს არ გააჩნია განმასხვავებელი თვისებები, რომლებიც შემდგომში მის პიროვნებას ჩამოაყალიბებენ, სიტუაცია ძალიან ადრევე იწყებს შეცვლას და ეს ცვლილება თანდათანობით ხდება. ოლპორტის მიხედვით, უკვე სიცოცხლის პირველ წელს ბავშვი იწყებს განმასხვავებელი თვისებების გამოვლენას, ვლინდება განსხვავებები მამოძრავებელ სფეროსა და ემოციების გამოხატვაში, რომლებიც შენახვისა და შეგუების შემდგომში შეძენილ, უფრო რთულ ფორმებთან შერწყმის ტენდენციით ხასიათდებიან. ამგვარად, ბავშვის ქცევის ზოგიერთი ფორმა მომავალი პიროვნული პატერნების წანამდგრებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ოლპორტი ასკვნის, რომ სიცოცხლის პირველი წლის მეორე ნახევრიდან მაინც ბავშვი იწყებს განმასხვავებელი თვისებების გამოვლენას, რომლებიც, როგორც ჩანს, პიროვნების მდგრად, მუდმივ ატრიბუტებს წარმოადგენენ. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ „ცხოვრების პირველი წელი ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია პიროვნებისთვის იმ პირობით, რომ არ ექმნება სერიოზული საფრთხე მის ჯანმრთელობას“ (1961, გვ. 78, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## ბავშვის ტრანსფორმაცია

განვითარების პროცესი სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. ოლპორტი თვლის, რომ ბავშვობასა და მოზრდილობას შორის მიმდინარე ცვლილებების აღსაწერად სხვადასხვა პრინციპი და მექანიზმია გამოსადეგი. ის განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა დიფერენციაცია, ინტეგრაცია, მომწიფება, იმიტაცია, დასწავლა, ფუნქციური ავტონომია და „მე“-ს გაფართოვება. ის ფსიქოანალიტური მექანიზმებისა და ტრავმების ახსნით როლსაც კი აღიარებს, თუმცა ეს მოვლენები არ იკავებენ ცენტრალურ ადგილს იმაში, რასაც იგი ნორმალურ პიროვნებას უწოდებს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

დასწავლის თეორიასთან მიმართებით ოლპორტი აბსოლუტურად ეკლექტურია. ის ემხრობა მოსაზრებას, რომ მკვლევრების მიერ წარმოებული დაკვირვებები, მათ მიერ გაკეთებული ყველა დასკვნა და დასწავლის ყველა თეორია, გარკვეულწილად, მართალია. ასე მაგალითად, განპირობება, განმტკიცების თეორია და უნარ-ჩვევების იერარქია ვალიდური პრინციპებია, რომლებიც განსაკუთრებით გამოყენებადია ცხოველებისა და ახალშობილების დასწავლისადმი და შემთხვევითი დასწავლისადმი. თუმცა, ისინი არაადეკვატურია პროპრიეტული დასწავლის განხილვისას, რომელიც ისეთ პრინციპებს გულისხმობს, როგორიცაა იდენტიფიკაცია, ჩაკეტვა, კოგნიტური ინსაიტი, მე-ს ხატი და აქტიური ეგო-სისტემების სუბსიდირება. თავად ოლპორტს არანაირი სისტემატური წვლილი არ შეუტანია დასწავლის თეორიაში. მან შემოვთავაზა, რომ ფუნქციური ავტონომია განგვეხილა, როგორც ადამიანის მოტივაციის ბაზისური

ფაქტორი, რომელიც (მართალია, ჯერ არ არის ადეკვატურად კოორდინირებული უფრო ფართო თეორიულ სქემაში) გარდაუვლად უნდა იქნას განხილული დასწავლის პრინციპების პოზიციიდან. შესაძლოა, ოლპორტის ყველაზე დიდი წვლილი ამ სფეროში დასწავლის თეორიების მწვავე კრიტიკა (მაგალითად, Allport, 1946) (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ამრიგად, რა გვაქვს მოცემული მომენტისთვის: ორგანიზმი, რომელიც დაბადებისას ბიოლოგიურია, ტრანსფორმირდება ინდივიდად, მზარდი ეგოთი, ნიშნების გაფართოვებადი სტრუქტურით, რომელშიც მომავალი მიზნები და პრეტენზიები ვითარდება. ამ ტრანსფორმაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფუნქციური ავტონომია. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ის, რაც თავდაპირველად ბიოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა, ავტონომიურ მოტივად იქცევა, რომელიც თავდაპირველი აღმძვრელის (დრაივის) ძალით წარმართავს ქცევას.

ინდივიდის ადრეულ და გვიანდელ მოტივაციურ სტრუქტურებს შორის ასეთი წყვეტის გამო, არსებითად, პიროვნების ორი თეორია გვაქვს. ერთი მათგანი დამაბულობა-რედუქციის ბიოლოგიურ მოდელს წარმოადგენს და ახალშობილისთვის არის ადეკვატური. ეს თეორია, თვითცნობიერების განვითარებასთან ერთად, თანდათანობით კარგავს ადეკვატურობას მანამ, სანამ ინდივიდს არ უჩნდება მოტივები, რომლებიც არ არიან მჭიდრო კავშირში იმასთან, რაც მანამდე ახდენდა ქცევის მოტივირებას. ამ მომენტიდან, თუ ადეკვატურად გვსურს ინდივიდის წარმოდგენა, აუცილებელია ორიენტაციის შეცვლა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## მოზრდილი ანუ მოწიფული პიროვნება

ბევრი სხვა პერსონოლოგისგან განსხვავებით, რომელთა თეორიები არაჯანმრთელი ან უმწიფარი პიროვნებების შესწავლაზეა აგებული, ოლპორტს არასოდეს ჰქონია ფსიქოთერაპიული პრაქტიკა და არ თვლიდა, რომ პიროვნების თეორიის შექმნისას აუცილებელია კლინიკური დაკვირვებების გამოყენება. ის უბრალოდ უარს ამბობდა, დაეჯერებინა, რომ მოწიფულ და არამოწიფულ ადამიანებს მართლაც ბევრი რამ აქვთ საერთო. იგი აცნობიერებდა, რომ ბევრი მისი თანამედროვე პერსონოლოგი ვერც კი განსაზღვრავდა ჯანმრთელ პიროვნებას და, რაც კიდევ უარესი იყო, არაფერს აკეთებდა მის აღსაწერად. ამიტომ ოლპორტმა დაიწყო ხანგრძლივი მუშაობა, რათა ადეკვატურად აღწერა ჯანმრთელი პიროვნება ანუ ის, რასაც ის „მოწიფულ პიროვნებას“ უწოდებდა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ოლპორტი თვლიდა, რომ ადამიანის მომწიფება ჩამოყალიბების უწყვეტი, მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე პროცესია (1961, წყაროში Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ის თვისებრივ განსხვავებას ხედავდა მომწიფებულ და მოუმწიფებელ ანუ ნევროტულ პიროვნებებს შორის. მოწიფული სუბიექტების ქცევა ფუნქციურად ავტონომიურია და გაცნობიერებული პროცესებითაა მოტივირებული. მოუმწიფებელი ინდივიდების ქცევა კი, პირიქით, უპირატესად, არაცნობიერი მოტივებით იმართება, რომლებიც ბავშვობისდროინდელი განცდებიდან მომდინარეობენ (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ამრიგად, მოზრდილ ინდივიდში ვხედავთ პიროვნებას, რომლის ქცევის დეტერმინანტები ორგანიზებული და კონგრუენტული ნიშნების სისტემას წარმოადგენს. ეს ნიშნები სხვადასხვაგვარად წარმოიქმნენ ახალშობილის გაფანტული/ზოგადი მოტივაციიდან. ამ ტენდენციების განვითარების ზუსტი გზა არ არის დიდად საინტერესო, ვინაიდან ისინი, ფუნქციური ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, უკვე აღარ იღებენ მოტივაციურ ენერჯიას პრიმიტიური წყაროებიდან, როგორც არ უნდა იყოს ეს წყაროები. როგორც ოლპორტი ამბობს, „ის, რაც მართავს ქცევას, მართავს ახლა“ და მისი მოქმედების გასაგებად არ გვჭირდება აღმძვრელის ისტორიის ცოდნა. ამ ნიშნების ფუნქციონირება, მნიშვნელოვანწილად, გაცნობიერებული და რაციონალურია. ნორმალურმა ინდივიდებმა, როგორც წესი, იციან, რას აკეთებენ და რატომ. ეს ქცევა კონგრუენტულ პატერნს შეესატყვისება და ამ პატერნის ცენტრში ის ფუნქციებია, რომლებსაც ოლპორტმა პრიორიტეტული უწოდა. მოზრდილის სრულად გაგება შეუძლებელია მისი მიზნებისა და პრეტენზიების ცოდნის გარეშე. ყველაზე მნიშვნელოვანია მოტივები — არა წარსულის გამოძახილი, არამედ მზერა მომავალში. შემთხვევათა დიდ ნაწილში ადამიანის შესახებ უფრო მეტი ვიცით,

თუ ვიცით მისი ცნობიერი გეგმების და არა — განდევნილი მოგონებების შესახებ (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტი აღიარებს, რომ ზემოთ აღწერილი სურათი იდეალიზირებული ხატია. ყველა მოზრდილი ვერ აღწევს სრულ მოწიფულობას. ისინი გაზრდილი ინდივიდები არიან, რომელთა მოტივაციას ჯერ კიდევ დაჰკრავს ბავშვობის ელფერი. ყველა მოზრდილი ვერ მართავს საკუთარ ქცევას ნათელ, რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით. მიუხედავად ამისა, ის, თუ რამდენად გაურბიან ისინი არაცნობიერ მოტივაციას და რამდენად დამოუკიდებელია მათი ნიშნები თავიანთი ბავშვური ორიგინალებისგან, მათი ჯანმრთელობისა და მოწიფულობის ხარისხზე მიგვითითებს. მხოლოდ სერიოზული დარღვევების შემთხვევაში გვყავს მოზრდილი, რომელმაც არ იცის, რას აკეთებს და რომლის ქცევა ბავშვობაში მომხდარ მოვლენებს უფრო მჭიდროდ უკავშირდება, ვიდრე აქ და ამჟამად მიმდინარეს, ანდა მომავალში მოსახდენს (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

### ფსიქოლოგიურად მოწიფული პიროვნების კრიტერიუმები

პიროვნების თეორეტიკოსთა დიდი ნაწილისგან განსხვავებით, რომელთა ყურადღება, ძირითადად, რეგულაციის უარყოფით მხარეზეა ფოკუსირებული, ოლპორტი ბევრს ლაპარაკობს იმაზე, რაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ „ადეკვატური“ ანდა „ნორმალური“ რეგულაცია (1961, თავი 12). ოლპორტის მიხედვით, ფსიქოლოგიურად მოწიფებული ანუ ჯანმრთელი ადამიანი ექვსი ნიშნით ხასიათდება (Allport, G. W., 1937):

#### *მე-ს საზღვრების გაფართოება: მე-ს გაფართოებული განცდა*

განვითარებულ პიროვნებას მრავალფეროვანი ავტონომიური ინტერესები აქვს. სხვა სიტყვებით, მას შეუძლია თავით გადაეშვას სამუშაოში, დასვენებაში, სხვებისადმი ლოიალურობაში (Allport, G. W., 1937). მოწიფულ ინდივიდებს შეუძლიათ საკუთარ თავს „გარედან“ შეხედონ. მე-ს გაფართოებულ საზღვრებში შედის სხვადასხვა ავტონომიური ინტერესის ქონა (Elms, A. C., 1994). ისინი აქტიურად მონაწილეობენ შრომით, ოჯახურ და სოციალურ ურთიერთობებში, აქვთ ჰობი, აინტერესებთ პოლიტიკური და რელიგიური საკითხები და ყველაფერი, რასაც მნიშვნელოვნად თვლიან. ასეთი აქტივობები ადამიანის ჭეშმარიტი ეგოს მონაწილეობასა და ნამდვილ გატაცებას მოითხოვს. ოლპორტის მიხედვით, საკუთარი თავის სიყვარული ყოველი ადამიანის ცხოვრებაში აუცილებელი ფაქტორია, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ის მისი ცხოვრების სტილის განმსაზღვრელი იყოს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

ასეთი ადამიანის ცხოვრება არ უნდა იყოს მიბმული უშუალო მოთხოვნილებებსა და ვალდებულებებზე. მას უნდა შეეძლოს სხვადასხვაგვარი აქტივობების ფართო დიაპაზონში მონაწილეობა და ამით სიხარულის განცდა. დაკმაყოფილებები და ფრუსტრაციები სხვადასხვაგვარი და მრავალგვარი უნდა იყოს და არა — მცირერიცხოვანი და სტერეოტიპული. „მე“-ს ფართო საზღვრების მნიშვნელოვანი ნაწილია მომავალში პროექცია ანუ გეგმები და იმედები (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

#### *თბილი ადამიანური ურთიერთობები*

ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია თბილი, გულითადი ადამიანური ურთიერთობების დამყარება. სოციალური ურთიერთქმედებები გულწრფელია და მეგობრულია და არ ექვემდებარება რიგიდულ როლებსა და მოლოდინებს (Cloninger, S. C., 2004).

არსებობს თბილი პიროვნებათმორისი ურთიერთობების ორი ნაირსახეობა, რომელიც ამ კატეგორიაში ხვდება: მეგობრული ინტიმურობა და თანაგრძნობა. თბილი ურთიერთობების მეგობრულ-ინტიმური ასპექტი ვლინდება ადამიანის უნართ, ძალიან უყვარდეს ოჯახი და ახლო მეგობრები, ყოველგვარი მესაკუთრული გრძნობებისა თუ ეჭვიანობის გარეშე. თანაგრძნობა აისახება ადამიანის უნარში, იყოს მომთმენი მასა და სხვა ადამიანებს შორის არსებული განსხვავებებისადმი (ღირებულებებსა და/ან დამოკიდებულებებში), რაც სხვებისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატვის და მათი პოზიციის აღიარების

შესაძლებლობას უქმნის, ასევე, ყველა ადამიანთან ერთიანობის განცდას უზრუნველყოფს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **ემოციური დაცულობა (საკუთარი თავის მიმდებლობა)**

ჯანმრთელი ადამიანი ემოციურად დაცულია, საკუთარი თავის მიმდებლობით და მაღალი თვითშეფასებით ხასიათდება (Cloninger, S. C., 2004). ის სიმშვიდით გამოირჩევა. მოწიფულ ადამიანებს დადებითი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე და ამიტომ შეუძლიათ მოთმინებით მოეპყრონ როგორც იმედის გამაცრუებელ ან გამადიზიანებელ მოვლენებს, ისე — საკუთარ ნაკლოვანებებს ისე, რომ შინაგანად არ გაბოროტდნენ და გასასტიკდნენ. მათ საკუთარ ემოციურ მდგომარეობებთან (მაგალითად, დათრგუნულობასთან, რისხვასთან ან დანაშაულის განცდასთან) გამკლავებაც შეუძლიათ ისე, რომ ეს ხელს არ უშლის გარშემომყოფთა კეთილდღეობას. მაგალითად, თუ მათ ცუდი დღე აქვთ, თავიანთ აგრესიას პირველივე შემხვედრზე არ აფრქვევენ. მეტიც, საკუთარი მოსაზრებებისა და გარძნობების გამოხატვისას ითვალისწინებენ იმას, თუ რა გავლენას მოახდენს ეს სხვებზე (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **რეალისტური აღქმა, უნარები და პრეტენზიები**

ჯანმრთელი ადამიანი რეალისტურად აღიქვამს სამყაროს. მისგან შორსაა როგორც არარეალისტური ოპტიმიზმი (მაგალითად, ის, რომ ლატარიის ერთი ბილეთით მილიონს მოიგებს), ისე — არარეალისტური პერსიმიზმი (მაგალითად, ყველა წამოწყება გარდაუვალი მარცხით დასრულდება) (Cloninger, S. C., 2004).

ამრიგად, მოწიფული ადამიანი რეალისტური აღქმით, გამოცდილებითა და პრეტენზიებით ხასიათდება. ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანები საგნებს ისე ხედავენ, როგორც არის და არა ისე, როგორებადაც სურთ, რომ დაინახონ. მათ რეალობის ჯანმრთელი გრძნობა აქვთ: ისინი არ აღიქვამენ მას დამახინჯებულად, არ ცვლიან ფაქტებს თავიანთი ფანტაზიისა და მოთხოვნილებების შესატყვისად. მეტიც, ჯანმრთელ ადამიანებს შესაბამისი კვალიფიკაცია და ცოდნა აქვთ მოღვაწეობის თავიანთ სფეროში. მათ შეუძლიათ, დროებით უკანა პლანზე გადაწიონ პირადი სურვილები და იმპულსები მანამ, ვიდრე დაწყებულ მნიშვნელოვან საქმეს არ დაასრულებენ (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

სიმწიფის ამ ასპექტის არსის გადმოსაცემად ოლპორტს ცნობილი ნეიროქირურგის ჰარვეი კუმინგის ციტატა მოჰყავს: „სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი მეთოდი აუცილებლად შესასრულებელი ამოცანის დასახვაა“ (Allport, 1961, გვ. 290, ციტირებულია წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992). ამგვარად, მოზრდილი ადამიანები სხვა ადამიანებს, ობიექტებსა და სიტუაციებს ისეთებად აღიქვამენ, როგორებიც ისინი რეალურად არიან. მათ საკმარისი გამოცდილება და უნარი აქვთ, რომ რეალობასთან დაიჭირონ საქმე. ისინი პიროვნულად მნიშვნელოვანი და რეალისტური მიზნების მიღწევისკენ ისწრაფვიან (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **თვითობიექტივაცია: ინსაიტი და იუმორი**

მოწიფულ ადამიანებს შეუძლიათ საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარი თავის ობიექტურად, გარედან დანახვა, ხშირად იუმორის თანხლებითაც კი (Cloninger, S. C., 2004).

სოკრატე ამბობდა, რომ იმისათვის, რომ სრულყოფილი ცხოვრებით ვიცხოვროთ, ერთი პირველხარისხოვანი წესი არსებობს: „შევიცნოთ საკუთარი თავი“. ოლპორტმა ამას „თვითობიექტივაცია“ უწოდა. აქ მას მხედველობაში ჰქონდა, რომ მოწიფულ ადამიანებს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე ზუსტი/მკაფიო წარმოდგენა აქვთ (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

თვითობიექტივაციის ორი ძირითადი კომპონენტია *იუმორი* და *ინსაიტი*. ცხადია, ინსაიტში იგულისხმება ინდივიდის უნარი, ესმოდეს საკუთარი თავის, თუმცა, არც ისე გასაგებია, როგორ უნდა გამოვიმუშაოთ ინდივიდის წარმოდგენების შეფასების ადეკვატური სტანდარტი.

იუმორის გრძნობა არამარტო ჩვეულებრივ სიტუაციებში სასიხარულოსა და სასაცილოს დანახვას გულისხმობს, არამედ საკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულების ქონისა და საყვარელ ადამიანებთან დადებითი ურთიერთობების დამყარების უნარსაც (და, ამავდროულად, ამასთან

დაკავშირებული არაკონგრუენტობებისა და აბსურდის ელემენტების დანახვის უნარსაც) (Холл К. С., Линдсей Г., 1997). ოლპორტის მიხედვით, იუმორი ყველაზე საყვარელ რამეზე (საკუთარი პიროვნების ჩათვლით) გაცინების და მისი მაინც დაფასების უნარია (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

### **ერთიანი ცხოვრებისეული ფილოსოფია**

მოწიფულ ადამიანს ერთიანი ცხოვრებისეული ფილოსოფია გააჩნია (Allport, G. W., 1937), რაც მას საშუალებას აძლევს, საკუთარი თავი უფრო ფართო, დიდ კონტექსტში დაინახოს (Elms, A. C., 1994). ბევრი ადამიანისთვის ეს ცხოვრების რელიგიური ფილოსოფიაა, თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ ეს ასე იყოს (Cloninger, S. C., 2004).

საკუთარ ცხოვრებაში მნიშვნელოვანის ნათლად, სისტემატურად და თანმიმდევრულად გამოყოფის დახმარებით მას შეუძლია მთლიანობითი სურათის დანახვა. ოლპორტი თვლიდა, რომ არ არის აუცილებელი, რომ არისტოტელე ვიყოთ და ცხოვრებისეული საზრისის ინტელექტუალური თეორია ჩამოვყალიბოთ. ამის ნაცვლად, ადამიანს უბრალოდ ღირებულებათა სისტემა სჭირდება, რომელშიც მოცემულია მთავარი მიზანი ანდა თემა და სწორედ ეს აქცევს მას მნიშვნელოვანად. სხვადასხვა ადამიანს შეიძლება განსხვავებული ღირებულებები ჩამოუყალიბდეს, რომლის ირგვლივაც მიზანმიმართულად აიგება მათი ცხოვრება. მათ შეუძლიათ, აირჩიონ ჭეშმარიტებისკენ, სოციალური კეთილდღეობისკენ, რელიგიისკენ ან კიდევ რაიმესკენ სწრაფვა.

ოლპორტის აზრით, არ არსებობს საუკეთესო მიზანი ან ფილოსოფია. იგი ფიქრობს, რომ მოზრდილ პიროვნებას ადამიანში ღრმად ფესვგადგმული ღირებულებების სისტემა გააჩნია და სწორედ ეს სისტემაა მისი ცხოვრების გამაერთიანებელი საფუძველი. ამიტომ ცხოვრების გამაერთიანებელი ფილოსოფია გარკვეულ დომინირებულ ღირებულებით ორიენტაციას გვაძლევს და საზრისს სძენს ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **პიროვნების ანუ პროპრიუმის განვითარების სტადიები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროპრიუმი თანდათანობით ვითარდება ცხოვრების განმავლობაში (Cloninger, S. C., 2004). ოლპორტის (1937) მიხედვით, „ახალშობილს არ გააჩნია პიროვნება, ვინაიდან ის ჯერ არ შეხვედრია სამყაროს, რომელშიც მოუწევს ცხოვრება და არ განუვითარებია შეგუების გამორჩეული გზები და უნარი, რომელიც მოგვიანებით მის პიროვნებას შეადგენს. ის თითქმის მხოლოდ თანდაყოლილი მოცემულობის შედეგია“ (გვ. 107). პიროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი მექვიდრეობით მოცემული საფუძველი, რომელიც ჩვილობის ასაკში შეინიშნება, *აქტივობის დონე* (მომრავობა) და *ემოციურობა* (ტემპერამენტი) (გვ. 129). ამ თანდაყოლილ საფუძველზე, გარემოსთან ურთიერთქმედების მეშვეობით, ვითარდება პიროვნება.

ოლპორტისთვის (1937) პიროვნების განვითარება პროპრიუმის ასპექტების თანმიმდევრული განვითარების ტოლფასია. ის თვლის, რომ თეორიულად გამოყოფილი სტადიები ძალიან პირობითია, ვინაიდან ყოველი კონკრეტული ინდივიდის შემთხვევაში მისთვის უნიკალური, ერთადერთი ცხოვრება არსებობს. ოლპორტს არ უწარმოებია განვითარების კვლევა, რათა შეემოწმებინა ჰიპოთეტურად ფორმირებული სტადიების რეალურად არსებობა და დასახელებული თანმიმდევრობით გამოვლენა რეალობაში. ამ მოდელის თეორიული ღირებულება მე-ს ხაზგასმაში მდგომარეობს (Cloninger, S. C., 2004).

### **საკუთარი სხეულის შეგრძნება**

პიროვნების ცენტრალური ასპექტებიდან ყველაზე ადრეული საკუთარი *სხეულის შეგრძნება* (Allport, 1961, წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ის პირველი ვლინდება ახალშობილთან ცხოვრების პირველი წლის მანძილზე, როდესაც იგი მრავალი შეგრძნების გაცნობიერებას იწყებს, რომლებიც კუნთებიდან, მყესებიდან, სახსრებიდან, შინაგანი ორგანოებიდან და ა. შ. მომდინარეობენ. ეს განმეორებადი შეგრძნებები ქმნიან სხეულებრივ „მე“-ს (self) და მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში სხეული მას



საკუთარი თავის გაცნობიერებისთვის საჭირო მასალით უზრუნველყოფს. შედეგად ახალშობილები საკუთარი თავის სხვა ობიექტებისგან გამოიჯვანას იწყებენ (Хьелл Л., & Зиглер Д., 1997). თუ ხელი გავიჭერი, ვიცი, რომ სისხლი და ტკივილი „სწორედაც რომ ჩემია“. ისინი სხვას არავის ეკუთვნის, არც ერთ სხვა ადამიანს და მე საკუთარი თავის სხეულებრივ შეგრძნებას მაძლევენ (Фрейдджер, Р. & Фейдимენ Дж., 2001).

ოლპორტი თვლიდა, რომ სხეულებრივი „მე“ მთელი ცხოვრების მანძილზე თვითცნობიერების საყრდენის ფუნქციას ასრულებს, თუმცა, მოზრდილთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს მას მანამდე, სანამ ტკივილი ან ავადმყოფობა არ გაჩნდება, მაგალითად, ჩვეულებრივ, ვერ ვგრძნობთ ჩვენს ნეკა თითს, ვიდრე კარში არ მოვიყოლებთ მას (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### თვითიდენტობა

პროპრიუმის განვითარების მეორე ადრეული ასპექტია *თვითიდენტობა* (Cloninger, S. C., 2004), რომელიც განსაკუთრებით კარგად ჩანს მაშინ, როდესაც მეტყველების მეშვეობით ბავშვი საკუთარ თავს გარკვეულ და მუდმივ მნიშვნელოვან პერსონად აცნობიერებს. უდაოა, რომ „მე“-ს მთლიანობისა და უწყვეტობის უმნიშვნელოვანეს საყრდენ წერტილად დროთა განმავლობაში ბავშვის საკუთარი სახელი იქცევა. დაისწავლის რა საკუთარ სახელს, ბავშვი თანდათან ხვდება, რომ ის ერთი და იგივე ადამიანია განურჩევლად ყველა ცვლილებისა სიმაღლეში და გარე სამყაროსთან ურთიერთქმედებისა. ტანსაცმელი, სათამაშოები და ბავშვის კუთვნილი სხვა საყვარელი ნივთები აძლიერებენ იდენტობის გრძნობას (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

გაგება იმისა, რომ თუ ვინ არის „მე“, მოიცავს ჩემს აზრებსა და გრძნობებს, ასევე, ჩემს მოგონებებს მათ შესახებ და ყველაფერ ამის, როგორც ჩემის, აღქმას. ადრეულ ასაკში თვითიდენტობის გრძნობა სუსტადაა განვითარებული და ამიტომ პატარებმა წარმოსახული მახასიათებლები შეიძლება ისევე თავისად მიიჩნიონ, როგორც მათი რეალურად არსებული თვისებები. მათი თვითიდენტობა, ნივთების გარდა, მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ გარემოს, განსაკუთრებით კი ოჯახს — „ეს ჩემი სახლია“, ან „ეს ჩემი ველოდიპედია“. პატარების მეტყველებაში სჭარბობს სიტყვები „მე“ და „ჩემი“ (Фрейдджер, Р. & Фейдимენ Дж., 2001).

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თვითიდენტობა არ მყარდება ერთ მომენტში. მაგალითად, ორი წლის ბავშვს არ შეუძლია იმის გაცნობიერება, რომ სცივა, დაიღალა ან ტუალეტში უნდა. ერიკსონის მსგავსად, ოლპორტიც თვლიდა, რომ თვითიდენტობა უწყვეტად ვითარდება მანამ, ვიდრე არ სტაბილიზირდება მოზრდილობაში (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### თვითპატივისცემა

სიცოცხლის მესამე წელს ჩნდება პროპრიუმის შემდეგი ფორმა — *თვითპატივისცემა* (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимენ Дж., 2001). თვითპატივისცემა, რომელიც შეიძლება პოზიტიური მიმართულებითაც განვითარდეს და ნეგატიურითაც, პროპრიუმის თვისებაა, რომელიც ბაღებს სიამაყეს, ეგოიზმს, ნარცისიზმს და სხვა მოქმედებებსა თუ გრძნობებს, რომლებიც საკუთარი „მე“-ს აღზევებს უკავშირდება.

ამრიგად, ოლპორტის თანახმად, თვითპატივისცემა სიამაყის გრძნობაა, რომელსაც ბავშვი მაშინ განიცდის, როდესაც რაღაცას დამოუკიდებლად აკეთებს. ამგვარად, ის დამოუკიდებელია ბავშვის მიერ რაღაც დავალებების წარმატებით შესრულებაზე. მშობლები ამას ხშირად ნეგატივიზმად მიიჩნევენ, ვინაიდან ბავშვი უფროსების ყველა შეთავაზებას ეწინააღმდეგება, აღიქვამს რა მათ საკუთარ მთლიანობასა და ავტონომიურობაზე თავდასხმად. ოლპორტი კი ამტკიცებდა, რომ თუ მშობლებს მინიმუმამდე დაჰყავთ ბავშვის სწრაფვა, დამოუკიდებლად იურთიერთოს გარს არსებულ ნივთებთან, მაშინ თვითპატივისცემის გრძნობა შეიძლება სირცხვილისა და გაღიზიანების გრძნობამ განდევნოს და ჩაანაცვლოს.

მოგვიანებით, 4-5 წლის ასაკში თვითპატივისცემა შეჯიბრიანობის ელფერს იღებს, რაც გამოიხატება თამაშისას ბავშვის ალტაცებულ შემახილში „მე მოგიგე!!!“ ანალოგიურად, თანატოლების აღიარება

თვითშეფასების ამაღლების მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა ბავშვობის მთელ პერიოდში (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### „მე“-ს გაფართოება

4-დან 7 წლამდე ბავშვები უკიდურესად ეგოცენტრულები არიან. ამ პერიოდში საკუთარი სხეულის შეგრძნება, თვითიდენტობა და თვითპატივისცემა აგრძელებს განვითარებას და, ამასთან ერთად, გამოვლენას იწყებს პროპრიუმის ფორმირების მეოთხე და მეხუთე სტადიები (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

დაახლოების 4-6 წლის ასაკიდან ადამიანის პროპრიუმი „მე“-ს საზღვრების გაფართოების მეშვეობით ვითარდება. ოლპორტის მიხედვით, ბავშვები ამ გამოცდილებას იმის გაცნობიერებასთან ერთად იძენენ, რომ მათ არა მხოლოდ თავიანთი ფიზიკური სხეული ეკუთვნით, არამედ გარე სამყაროს გარკვეული მნიშვნელოვანი ელემენტებიც, ადამიანების ჩათვლით. ამ პერიოდში ბავშვები სწავლობენ სიტყვის „ჩემი“ მნიშვნელობას. ამასთან, აღინიშნება ექვიანი შეჯიბრებაც, მაგალითად, „ეს ჩემი ბურთია“, „თოჯინების სახლი მარტო ჩემია და მე მეკუთვნი“. ჩემი დედა, ჩემი და, ჩემი სახლი, ჩემი ძალი, — ყველაფერი ეს განიხილება, როგორც „მე“-ს შემადგენელი ნაწილები და აუცილებელია, რომ ისინი არ დაიკარგონ და დაცულები იყვნენ, განსაკუთრებით სხვა ბავშვების თვალისგან და ხელისგან (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### „მე“-ს ხატი

პროპრიუმის მეხუთე ფორმა (Cloninger, S. C., 2004) სადღაც 5-6 წლის ასაკში ვითარდება. ეს არის დრო, როდესაც ბავშვი იმის გამოცნობას იწყებს, თუ რას მოელიან მისგან მშობლები, ნათესავები, მასწავლებლები და სხვა ადამიანები, როგორი უნდათ, რომ დაინახონ ის. სწორედ ამ პერიოდში იწყებს ბავშვი „კარგ მე-სა“ და „ცუდ მე-ს“ შორის განსხვავების გაგებას. და მაინც, მას ჯერ კიდევ არასაკმარისად აქვს განვითარებული ცნობიერება და არც იმის შესახებ აქვს წარმოდგენა, ვინ იქნება, როცა გაიზრდება. როგორც ოლპორტი ამბობდა: „ბავშვობაში ფიქრი საკუთარ თავზე, როგორი ხარ, როგორი გინდა, რომ იყო და როგორი უნდა იყო, მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფება“ (Allport, 1961, ვ. 123, ციტირებულია წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

„მე“-ს ხატში გამოიხატება ბავშვის მიერ მოცემულ მომენტში საკუთარი შესაძლებლობების, სტატუსისა და როლის ხედვა; აქვე შედის მისი მისწრაფებები და მომავალი მიზნებიც. ამ ასაკში „მე“-ს ხატი, ძირითადად, შედგება ბავშვის წარმოდგენებისგან საკუთარი თავის, როგორც „კარგის“ ან „ცუდის“ შესახებ, ამ ტერმინების ფროიდისეული ანუ ეგო-იდეალისა და სინდისის გაგებით (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, P. Фейдимен Дж., 2001).

### რაციონალური პიროვნება

6-დან 12 წლამდე ასაკში თვითიდენტობა, თვითპატივისცემა და „მე“-ს ხატი რეალური სინამდვილისა და თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის ზემოქმედებით იცვლება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, ვინაიდან ბავშვი ოჯახის ფარგლებს გარეთ გადის (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). სწორედ ამ დროს იწყებს ის იმის გაგებას, რომ შეუძლია ცხოვრებისეული პრობლემებისთვის რაციონალური გადაწყვეტების მოძებნა და რეალობის მოთხოვნებთან ეფექტურად გამკლავება (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ამ სტადიაზე ვითარდება რაციონალურად ახსნისა და უარყოფის, ასევე, კორექტულად მსჯელობისა და გადაწყვეტების პოვნის უნარები (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). ჩნდება რეფლექტორული და ფორმალური აზროვნება და ბავშვი თავად აზროვნების პროცესზე იწყებს ფიქრს, თუმცა, ჯერ ისევ არ ენდობა საკუთარ თავს იმდენად, რომ მორალურად დამოუკიდებელი იყოს. ის დოგმატურად ვარაუდობს, რომ მისი ოჯახი, რელიგია და თანატოლების ჯგუფი ყოველთვის მართალია.

პროპრიუმის განვითარების ეს სტადია ძლიერ მორალურ და სოციალურ კონფორმიზმს ასახავს (Хелл Л., & Зиглер Д., 1997) და აბსტრაქტულ და რეფლექტორულ აზროვნებასა და საკუთარი მოთხოვნილებების

გარე სამყაროს მოთხოვნებისადმი მორგებაზე პასუხისმგებელი (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

### პროპრიატული მისწრაფებები

მოზარდობის ასაკში წარმოიქმნება პრიპრიუმის მეშვიდე და ბოლო ასპექტი, კერძოდ, *საკუთარი* ანუ *პროპრიატული მისწრაფებები* (Cloninger, S. C., 2004). პიროვნების, როგორც ობიექტის, განვითარების ამ ეტაპზე ადამიანი უკვე რეალურად უნიკალური ინდივიდია, ნათელი წარმოდგენებით საკუთარი თავის შესახებ და განვითარებული პროპრიუმით, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა სხვა დანარჩენ ექვს ასპექტს. პროპრიატული მისწრაფებები მოქმედებებისა და აზროვნების გარკვეული თანმიმდევრულობის მიზეზსაც წარმოადგენენ და ადამიანს საშუალებას აძლევენ, დაისახოს მიზნები, შექმნას დამაბულობა და არა — უბრალოდ შეამციროს ის (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტი ამტკიცებდა, რომ მოზარდობის ცენტრალური პრობლემა კარიერის ან სხვა ცხოვრებისეული მიზნების არჩევაა (Allport, 1961, წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992). მოზარდმა იცის, რომ მომავალი უნდა დაგეგმოს და, ამ თვალსაზრისით, ის იძენს მე-ს განცდას, რომელიც სრულიად არ ჰქონდა ბავშვობაში. პერსპექტიული მიზნების დასახვა, დასახული ამოცანების გადაწყვეტის გზების დაბეჯითებული მიება და განცდა იმისა, რომ ცხოვრებას აქვს აზრი — ესაა პროპრიატული მისწრაფების არსი. თუმცა, სიჭაბუკესა და ადრეულ მოზრდილობაში ეს მისწრაფება არ არის სრულად განვითარებული, ვინაიდან თვითიდენტობის მიების ახალი ეტაპი იწყება. როგორც ერისკონი ამბობდა თავის ეგო-იდენტურობის კონცეფციაში, ოლპორტიც თვლიდა, რომ თვითსრულყოფისკენ სწრაფვის რეალიზაცია მე-ს (self) განზოგადებულ გრძნობას/განცდას საჭიროებს და ის მხოლოდ მოზრდილობაში მოდის, როდესაც „მე“-ს ყველა ასპექტი უკვე ჩამოყალიბებულია (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

პროპრიატული მისწრაფებები, ოლპორტის მიხედვით, ადამიანისთვის ახლობელი მისწრაფებებია, ანუ ისინი, რომლებსაც იგი „სწორედ თავისად“ აღიქვამს. ისინი წარსული გამოცდილების მოგონებებს ეფუძნებიან, მაგრამ მომავლის შესახებ აზრებსაც მოიცავენ რეალისტური დაგეგმვისა და განზრახვების სახით. ცხოვრების თანამგზავრის არჩევის ან კარიერის შერჩევის ამოცანა მხოლოდ პროპრიატული მისწრაფებების დახმარებით შეიძლება გადაწყდეს, თუმცა ასეთი არჩევანის წინაშე ბევრი ადამიანი ყოველგვარი დასახული მიზნების გარეშე დგება. თუ ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას უბრალოდ მიჰყვება დინებას, მაშინ მის მისწრაფებებს „ოპორტუნისტული“ ჰქვია, ვინაიდან ისინი არ არიან პროპრიუმის ნაწილი და მხოლოდ პიროვნების პერიფერიაში არსებობენ (Allport, 1961, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001). საკუთარი მისწრაფებებით დასახული მიზნები რეალურად მიღწევადია, რადგან ადამიანებს სურთ, მუდმივად შექმნან ახალი დამაბულობა და ესწრაფონ მიზნებს, რომლებსაც, შესაძლოა, ვერასოდეს მიაღწიონ (Allport, 1955, წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

პიროვნება და პროპრიუმით არ არის სინონიმები, რადგან პიროვნების ცნება თავის თავში მოიცავს მრავალრიცხოვან ჩვევებს, ემოციებს, ნიშნებს, საზოგადოდ მიღებულ წეს-ჩვეულებებს, ოპორტუნისტულ მისწრაფებებს, შეგუების პატერნებს და შემთხვევით ფაქტორებს, რომლებიც არ არიან ადამიანისთვის ახლობელი და ცენტრალური. ზოგიერთი უნარი, როგორცაა, მაგალითად, ტექსტის ბეჭდვა კომპიუტერზე, ან ავტომატური ტარება, შეიძლება თავდაპირველად პროპრიატული/საკუთარი იყოს და პროპრიუმს განეკუთვნებოდეს, მაგრამ შემდეგ კარგავს ცენტრალურ მნიშვნელობას და ოპორტუნისტული ხდება. სხვები, მაგალითად, მშობლიურ ენაზე ლაპარაკის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, არ არის საკუთარი/პროპრიატული, მაგრამ თუ ადამიანს ეკრძალება ამ უნარის გამოვლენა, ან მისი რეალიზაციის გზაზე დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდება, მაშინ ის პროპრიუმის ნაწილად იქცევა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ცენტრალური მახასიათებლებისა და ქცევის ტიპების გარდა, ოლპორტი გამოყოფს ქცევის ე. წ. არასაკუთარ, არაპროპრიატულ ტიპებს. მათ რიცხვში შედის: (1) ძირითადი აღმძვრელებით ნაკარნახევი ან ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართული მოქმედებები, რომლებიც, როგორც წესი,

ყოველგვარი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ხორციელდება; (2) საზოგადოდ მიღებული წეს-ჩვეულებები, როგორცაა, მაგალითად, მისალმება შეხვედრისას, ტანსაცმლის ტარება და მარჯვენა მოძრაობა ქუჩაში; (3) ჩვევები, როგორცაა მოწევა ანდა კბილების გაწმენდა — მოქმედებები, რომლებიც ავტომატურად სრულდება და არ არის გადამწყვეტი ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, განცდისათვის. განზოგადებული ცნობიერებაც (მოცემული კულტურის წარმომადგენელი უმრავლესი ადამიანისთვის დამახასიათებელი აზრები და გრძნობები) შეიძლება პერიფერიული იყოს ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, გაგების მიმართ და, ამგვარად, პროპრიუმის ფარგლებს გარეთ მდებარეობდეს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### გამაცნობიერებელი „მე“ ანუ სუბიექტური პიროვნება

პიროვნების ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი ასპექტის გარდა, რომელიც პროპრიუმს ქმნის, ოლპორტი (Cloninger, S. C., 2004) კიდევ ერთ, მერვე ასპექტს აღწერს, რომელსაც *გამაცნობიერებელ პიროვნებას* (Self as knower) ანუ *სუბიექტურ პიროვნებას* უწოდებს. ის ამტკიცებს, რომ ეს ასპექტი ყველა დანარჩენზე ზემოთ დგას და მათ სინთეზირებას ახდენს. მისი აზრით, საკუთარი თავის გაცნობიერება „მე“-ს სუბიექტური მხარეა, მაგრამ ისეთი, რომელიც აცნობიერებს ობიექტურ „მე“-ს. განვითარების ბოლო ეტაპზე პროპრიუმი შეესატყვისება ადამიანის თვითშემეცნებისა და თვითცნობიერების უნიკალურ უნარს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

გამაცნობიერებელი პიროვნება არის „მე“, რომელიც აცნობიერებს „საკუთარ თავს“, როგორც ობიექტს. როდესაც საკუთარ პიროვნებაზე ვფიქრობ, მხოლოდ ჩემს საკუთარ ობიექტურ პიროვნებაზე ფიქრი შემიძლია, ანუ ჩემს ფიზიკურ მხარეზე, რეპუტაციაზე, საკუთარი მე-ს ხატსა და ა. შ. (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### ფუნქციური ავტონომია

ურიცხვი ადამიანური მოტივის ასახსნელად, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ აიხსნება მხოლოდ ჰედონისტური პრინციპით ანდა აღმძვრელი ძალით გამოწვეული დამაბულობის შემცირების პრინციპით, ოლპორტმა *ფუნქციური ავტონომიის* კონცეფცია შექმნა (Cloninger, S. C., 2004). ფუნქციური ავტონომიის თეორია არის ცვალებადი და არა — უცვლელი მოტივების თეორია და ის ოლპორტისეული მოტივაციის თეორიის საყრდენ ქვაკუთხედს წარმოადგენს (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ფუნქციური ავტონომია ოლპორტის მიერ შემოთავაზებული ყველაზე ცნობილი და წინააღმდეგობრივი ცნებაა. ის, მრავალი თვალსაზრისით, ცენტრალურია სისტემისთვის, ვინაიდან ოლპორტისეული თეორიის მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნები ბუნებრივად, ლოგიკურად უკავშირდებიან მას. ფუნქციური ავტონომიის პრინციპი უბრალოდ ამტკიცებს, რომ მოცემული აქტივობა ან ქცევის ფორმა შეიძლება თავად გახდეს შედეგი ან მიზანი, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად რაღაც სხვას „ემსახურებოდა“. ნებისმიერ ქცევას, რთულსა თუ მარტივს, განურჩევლად იმისა, რომ თავდაპირველად შეზღუდულ ანუ სემენტირებულ დამაბულობასთან მიმართებით წარმოიქმნა, შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა ყოველგვარი ბიოლოგიური განმამტკიცებლის არსებობის გარეშე (Холл К. С., Линдсей Г., 1997). ამ მოსაზრებას ოლპორტი ასე აყალიბებს:

ფუნქციური ავტონომიის პრინციპი მოწიფულ მოტივებს განიხილავს, როგორც ერთდროულად არსებულ თვითშემნახველ მრავალფეროვან სისტემებს, რომლებიც მათი წინმსწრები სისტემებისგან წარმოიქმნებიან, მაგრამ მათგან ფუნქციურად დამოუკიდებელნი არიან (1961, გვ. 227, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ამრიგად, ოლპორტი ფუნქციურ ავტონომიას განსაზღვრავდა, როგორც „მოტივაციის ნებისმიერ შემენილ სისტემას, რომელშიც მასში ჩართული დამაბულობები განსხვავდებიან მათი წინამორბედი დამაბულობებისგან, რომლისგანაც წარმოიქმნა ეს შემენილი სისტემა“ (1961, გვ. 229, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). სხვა სიტყვებით, ის, რაც იწყება, როგორც ერთი მოტივი, შეიძლება შემდგომში სხვა მოტივში გადაიზარდოს, რომელიც ისტორიულად აგრძელებს საწყის მოტივს,

მაგრამ ფუნქციურად დამოუკიდებელია მისგან. მაგალითად, ადამიანმა თავიდან საკვების ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეიძლება გააშენოს ბაღი, მაგრამ შემდეგ მეზალოვამ გაიტაცოს და ამ საქმეს უბრალოდ სიამოვნებისთვის მიჰყოს ხელი.

აუცილებლად ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ფუნქციური ავტონომიის პრინციპის განსხვავებას ჩვეული იდეისგან იმის შესახებ, რომ მოცემული ქცევა შეიძლება გრძელდებოდეს მოტივთან დაკავშირებით, რომელიც განსხვავდება იმ მოტივისგან, რომელმაც ბიძგი მისცა მოცემულ ქცევას, მაგალითად, მონადირე თავდაპირველად იმიტომ ნადირობდა, რომ ეჭამა, მაგრამ როდესაც საკვები საკმარისი რაოდენობით აქვს, ის იმიტომ ნადირობს, რომ თანდაყოლილი აგრესია გამოხატოს. ასეთი ფორმულირება ქცევას უფრო პრიმიტიულ წინმსწრებ, მანამდე არსებულ მოტივთან აზრუნებს და სწორედ ამისთვის თავის არიდებას ცდილობს ოლპორტი. ფუნქციური ავტონომია ნიშნავს, რომ მონადირე ყოველგვარი ინსტრუმენტული მნიშვნელობის არარსებობის პირობებშიც განაგრძობს ნადირობას, ანუ მაშინაც კი, თუ ეს აქტი (ნადირობა) არ მოემსახურება აგრესიას, ან რაიმე სხვა ბაზისურ მოთხოვნილებას. მონადირეს შეიძლება უბრალოდ „მოსწონდეს“ ნადირობა (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

საკუთარი პოზიციის წარმოდგენისას ოლპორტი (1937) მიუთითებს, რომ ის ზოგიერთ ადრეულ მოსაზრებას უახლოვდება, მაგალითად, ვუდვორტის (Woodworth, 1918, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997)) ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ მექანიზმები შეიძლება დრავებად (აღმძვრელ იმპულსებად, ბიძგებად) ტრანსფორმირდნენ; შტერნის (Stern, 1935, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997) მტკიცებას, რომ ფენომოტივები შეიძლება გენომოტივებად იქცნენ და ტოლმენის (Tolman, 1935, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997) აზრებს, რომ „ობიექტი-საშუალებები“ შეიძლება „საკუთარ უფლებებში გამყარდნენ“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისეთი ცნებები, როგორცაა „მანიპულაციური დრავი“ (Harlow, 1950, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997) და „ნაწილობრივი შეუქცევადობა“ (Solomon & Wynne, 1954, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997), იმ ფენომენებს შეესატყვისება, რომლებიც ძალიან ჰგვანან მათ, რომელთაც ფუნქციური ავტონომიის ცნებამდე მიიყვანეს ოლპორტი (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

პიროვნების სხვადასხვა თეორია ხშირად ადამიანის ქცევის მოჩვენებითი ამოუცნობლობის ახსნაზეა მიმართული. ოლპორტის აზრით, თუ აღმძვრელი, მისწრაფება ფუნქციურად ავტონომიურია, ის არის კიდევ ქცევის ახსნა და არ არის საჭირო მის მიღმა დაფარული ანდა პირველადი მიზეზების ძებნა. სხვა სიტყვებით, თუ ფულის დაგროვება ფუნქციურად ავტონომიური მოტივია, მაშინ ძუნწი ადამიანის ქცევა არ მომდინარეობს ბავშვობის განცდებიდან, რომელიც ტულეტიის ტრენინგს ან წახალისებასა და სასჯელს უკავშირდება. ძუნწს უბრალოდ უყვარს ფული და ეს ერთადერთი აუცილებელი ახსნაა. ესაა იდეა იმის შესახებ, რომ ჩვენი მოქმედებების დიდი ნაწილი აწმყო დროში არსებულ ინტერესებსა და ცნობიერ პრიორიტეტებზეა დაფუძნებული, რაც შეესატყვისება მრავალი ადამიანის ჯანსაღ დარწმუნებულობას, რომ რასაც აკეთებენ, უბრალოდ იმიტომ აკეთებენ, რომ მოსწონთ ამის კეთება (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ზოგადად რომ ვთქვათ, ფუნქციური ავტონომიის კონცეფცია ისაა, რომ ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა, ადამიანური მისწრაფება ფუნქციურად დამოუკიდებელია ქცევაზე პასუხისმგებელი საწყისი მოტივებისგან. ფუნქციური ავტონომია არის პასუხი იმ თეორიებისთვის, რომლებსაც ოლპორტმა უცვლელი მოტივების თეორიები უწოდა, კერძოდ, ფროიდის სიამოვნების პრინციპის და დამაბულობის შემცირების ჰიპოთეზას, რომელიც „სტიმულ-რეაქციის“ ფსიქოლოგიას ეკუთვნის. ოლპორტი თვლიდა, რომ ორივე თეორიას ისტორიულ ფაქტებთან აქვს საქმე ნაცვლად იმისა, რომ ფუნქციური ფაქტებით იყოს დაკავებული. ის თვლიდა, რომ მოზრდილი ადამიანების მოტივები, პირველ რიგში, ცნობიერ, თვითკმარ, აწმყო დროისთვის შესაბამის სისტემებზე აიგება. ფუნქციური ავტონომია წარმოადგენს მცდელობას, დააფუძნოს ცნობიერი, თვითკმარი, დროის შესატყვისი მოტივაცია. ფუნქციურად ავტონომიური მოტივები თანამედროვე და თვითკმარია და უფრო ადრეული მოტივებიდან მომდინარეობენ, თუმცა ფუნქციურად დამოუკიდებელი არიან მათგან.

ფუნქციური ავტონომიის ძირითადი კრიტერიუმი ასეთია: არსებული მოტივი ფუნქციურად ავტონომიურია მანამ, სანამ ის ახალ მიზნებს ეძებს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია ძველებურად

მოიქცეს მაშინაც კი, თუ მისი მოტივაცია შეიცვალა. მაგალითად, ბავშვები, სავარაუდოდ, თავდაპირველი მოტივის შედეგად სწავლობენ სიარულს, რომელიც განვითარებისკენ უბიძგებს, მაგრამ შემდეგ შეიძლება მხოლოდ იმიტომ იარონ, რომ მოძრაობა განავითარონ, ან საკუთარ თავში დარწმუნებულობის ხარისხი აიმაღლონ. ანალოგიურად, მეცნიერი შეიძლება რთულ კითხვებზე პასუხების მოძიებით იყოს გატაცებული და ის თავად ძიების პროცესით უფრო იღებდეს სიამოვნებას, ვიდრე მოძიებული გადაწყვეტით და ძიების მისეული მეთოდი მის ყურადღების ველში მოხვედრილი პრობლემის შესატყვისად შეიძლება ვარირებდეს. როდესაც ერთი ამოცანა გადაჭრილია, თავისი ძალების გამოყენებისთვის მეცნიერი სხვა სფეროს ეძებს და, ამასთან, მოღვაწეობის ეს ახალი სფერო შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს იმისგან, რითიც ადრე იყო დაკავებული. ახლად წარმოქმნილი დამაბულობები განსხვავდება და ავტონომიურია იმ დამაბულობებისგან, რომლებიდანაც ისინი წარმოიქმნენ. ყოველ ახალ აღმოჩენას მივყავართ როგორც გატაცებულობის ხარისხის მომატებამდე, ისე — ახალი მიზნების დასახვამდე (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ნათელია, რომ ფუნქციური ავტონომიის ცნების განხილვისას ოლპორტი იმ დაკვირვებების მრავალფეროვნებაზე საუბრობს, რომლებიც მიუთითებენ ორგანიზმის ტენდენციაზე, შეინარჩუნოს გარკვეული რეაქცია მაშინაც კი, თუ უკვე აღარ არსებობს მისი გამომწვევი ორიგინალური/საწყისი მიზეზი. ის მიუთითებს ბავშვის ქცევისა და მოზრდილების ნევროტული ქცევის ცირკულარულობაზე (ანუ წრიულობაზე), ზეიგარნიკის ეფექტზე,<sup>12</sup> ხშირად დაკვირვებად დროით (ტემპორალურ) რეგულაციაზე ანდა ცხოველებისა და ადამიანების ქცევის რიტმებზე, იმ შეძენილი ინტერესებისა და ღირებულებების მამოტივირებელ ძალაზე, რომლებიც არ მომდინარეობენ ფუნდამენტური მოტივებიდან. არსებობს შედარებითი ფსიქოლოგიიდან მიღებული მონაცემებიც. კვლევამ (1929) აჩვენა, რომ როდესაც თავგებს ყურებში უცხო ნივთიერებას უდებდნენ, ისინი განუწყვეტლივ იფხანდნენ ყურებს, ცდილობდნენ რა უცხო სხეულის მოშორებას. როდესაც ეს ნივთიერება ამოცალეს, თავგები კარგა ხნის განმავლობაში, როდესაც არანაირი გაღიზიანება არ ჰქონდათ კანზე, მაინც აგრძელებდნენ ფხანას, ქცევის ინტენსივობის შემცირების გარეშე. ამგვარად, ფხანა, რომელიც ფიზიკურ სიტუაციასთან გამკლავების მცდელობის სახით წარმოიქმნა, საკმარისი რაოდენობით გამეორების შემდეგ ორგანიზმის ქცევის ინტეგრირებულ ნაწილად გადაიქცა, თუმცა აღარანაირ ბიოლოგიურ ფუნქციას აღარ ასრულებდა. სელიესა და მისი თანამშრომლების (Selye, 1952, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997) მიერ ჩატარებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი კვლევა ადასტურებს, რომ ზოგიერთი ადაპტური რეაქცია შეიძლება დამოუკიდებლად შენარჩუნდეს მაშინაც კი, თუ ეს ზიანს აყენებს ორგანიზმს.

მას შემდეგ, რაც ოლპორტმა (1937) პირველად ჩამოაყალიბა ეს პრინციპი, ის მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბეტოციმ (Betocchi, 1940, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997), რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა. უპირველეს ყოვლისა, ის კითხულობს: მართალია, რომ ნებისმიერი ქცევა, რომელიც საკმარისი რაოდენობით გამეორდება, ავტონომიური ხდება? არ არსებობს რაიმე შეზღუდვები ან პირობები, რომელიც უნდა დავაწესოთ ასეთი განზოგადებისთვის? მეორე, თუ ქცევის ნებისმიერ ფორმას პოტენციურად შეუძლია მუდმივ მოტივად გადაქცევა, მაშინ რა შეუშლის ხელს იმას, რომ ინდივიდში თავისებური ფსიქოლოგიური ანარქია წარმოიქმნას, როდესაც ორგანიზმში ურთიერთსაწინააღმდეგო და მოკონფლიქტე მოტივები მოიყრიან თავს, რომლებიც ინდივიდს ნაწილებად ხლეჩენ?

ის ფაქტი, რომ პრიპრიუმი პრიმიტიული მდგომარეობებისა და წარსული გამოცდილების საფუძველზე განვითარებადი ფენომენია, თითქოს მიუთითებს მის პირდაპირ კავშირზე წარსულთან, მიუხედავად ფუნქციური ავტონომიისა. ვინაიდან ქცევის ფორმები, რომლებიც ავტონომიური გახდება, ორგანიზმის წარსულთან საკმაოდ დაკავშირებული ორგანიზაციით განისაზღვრება, ისე ჩანს, თითქოს წარსული ინარჩუნებდეს ცენტრალურ როლს. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, ინარჩუნებს თუ არა ეს მოწიფული მოტივაცია ფუნქციურ კავშირს თავის სათავეებთან. მართალია, ფუნქციური ავტონომიის

<sup>12</sup> ზეიგარნიკის ეფექტი: დაუმთავრებელი დავალებები უკეთ გვამახსოვრდება, ვიდრე — დამთავრებული.

ცნების ზუსტი სტატუსი მაინც ორაზროვანია, ოლპორტი ამტკიცებს, რომ მოზრდილთა მოტივების დიდი ნაწილისთვის არ არსებობს არანაირი ფუნქციური კავშირი ისტორიულ ფესვებთან (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

შემდეგი კითხვა, რომელიც ხშირად ისმის ამ პრინციპთან მიმართებით, ასეთია: ყველა მოზრდილი მოტივი ფუნქციურად ავტონომიურია თუ არა? ოლპორტი ამბობს, რომ არა. არსებობს ისეთი აღმძვრელები (დრაივები), როგორცაა შიშშილი, სუნთქვა, გამოყოფა, რეფლექტორული აქტები (ცემინება, ხველა), კონსტიტუციური შესაძლებლობები, მაგალითად, სხეულებრივი ძალა, უნარები, რომლებიც სულაც არ არის მოტივები და არიან ინსტრუმენტული აქტები, ინფანტილიზმები და ფიქსაციები, ზოგიერთი ნევროზი და ფსიქოზი, სუბლიმაციები. გარდა ამისა, მოზრდილის აქტივობის ბევრი ფორმა შენარჩუნებისთვის პირველადი განმტკიცების გაგრძელებას საჭიროებს. და მაინც, ის, თუ რამდენად ავტონომიური იქნება ინდივიდის მოტივები, ამ ინდივიდის მოწიფულობის საზომს წარმოადგენს<sup>13</sup> (Ewen, R. B., 2003).

ასეთმა კითხვებმა აიძულეს ოლპორტი, მეტი განმარტება მოეცა და გაეფართოვებინა თავისი პოზიცია. მან გამოყო ფუნქციური ავტონომიის ორი დონე (Allport, 1961, წყაროებში Hjelle, L & Ziegler, D, 1992; Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001; Холл К. С., Линдсей Г., 1997): *პერსევერაციული* (მდგრადი) ფუნქციური ავტონომია და *პროპრიეტული* (საკუთარი) ფუნქციური ავტონომია (Hjelle, L & Ziegler, D, 1992; Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001; Холл К. С., Линдсей Г., 1997).

### პერსევერაციული ფუნქციური ავტონომია

გახანგრძლივებული მოქმედების პერსევერაციული ფუნქციური ავტონომია ახასიათებს როგორც ადამიანებს, ისე — ცხოველებს და მარტივ ნევროლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. ოლპორტმა გამოიყენა ცნება „გახანგრძლივებული მოქმედება“ (პერსევერაცია), რაც ნიშნავს შთაბეჭდილების უნარს, ზემოქმედება მოახდინოს შემდგომ შთაბეჭდილებებზე. ფუნქციური ავტონომიის ასეთი ელემენტარული დონის მაგალითად გამოდგება თავვი, რომელმაც საკვების მისაღებად ისწავლა ლაბირითის გავლა და ლაბირინთში სირბილს მაშინაც კი აგრძელებდა, როდესაც მადლარი იყო. რატომ აგრძელებს ის ამ ქცევის განხორციელებას? ოლპორტი იტყობდა, რომ თავვი უბრალოდ იმიტომ დარბის ლაბირინთში, რომ მას ეს სახალისოდ ეჩვენება (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

პერსევერაციული ფუნქციური ავტონომია მოიცავს ჩვევებს, ცირკულარულ მექანიზმებს, განმეორებად აქტებსა და სტერეოტიპებს. მათი პერსევერაცია ისეთი ტერმინებით აღიწერება, როგორცაა გადავადებული ჩაქრობა, თვითდამკვიდრებადი ციკლები ნერვულ სისტემაში, ნაწილობრივი განმტკიცება და მრავალჯერადი დეტერმინანტების თანაარსებობა (Холл К. С., Линдсей Г., 1997). ავტონომიის ეს ფორმა ნერვულ სისტემაში უკუკავშირის მექანიზმებს უკავშირდება. ეს ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები არ იცვლება დროთა განმავლობაში და ორგანიზმს ფუნქციონირებადი მდგომარეობის შენარჩუნებაში ეხმარება. ადამიანების აშკარა მიდრეკილება საკუთარი მოთხოვნილებების ცნობილი და ჩვეული გზებით დაკმაყოფილებისკენ (მაგალითად, ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს სადილობა და დამინება) ამ ტიპის ფუნქციური ავტონომიის ილუსტრაციაა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). გარდა ამისა, ამავე პოზიციიდან განიხილავდა ოლპორტი ზოგიერთ „ცუდ ჩვევას“ — მოწევას, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარებას, როდესაც არ არსებობს მათი მოხმარების არანაირი ფიზიოლოგიური

<sup>13</sup> და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც შეიძლება დავსვათ ნებისმიერ ცნებასთან მიმართებით, არის კითხვა იმის შესახებ, თუ რას აძლევს ეს ცნება მოხმარებელს. ფუნქციური ავტონომიის ცნების გამოყენების შედეგი გასაგებია და, ამ თვალსაზრისით, ყოველი კონკრეტული ფსიქოლოგი თავად წყვეტს, გამოიყენებს თუ არა მბას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ის უშვებს ფარდობით განსვლას ორგანიზმის წარსულთან. თუ არსებული მოტივები მთლიანად არის დამოკიდებულნი ბაზისურ ანუ პირველად მოტივებზე, მაშინ მკვლევარი კანონზომიერად დატოვებს ყურადღების მიღმა ინდივიდის წარსულს და მის აწმყოსა და მომავალზე ფოკუსირდება. ინდივიდის ისტორია შედარებით უინტერესო თემად იქცევა, ვინაიდან აწმყომი სურვილები და ინტენციები წამყვანი, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელია იმისგან, თუ რა ახდენდა ინდივიდის მოტივირებას ცხოვრების წინა ეტაპებზე.

მოთხოვნილება. ალკოჰოლიკი აგრძელებს სმას, თუმცა მისი მიმდინარე მოტივაცია ფუნქციურად დამოუკიდებელია მისი თავდაპირველი მოტივისგან.

როგორც უკვე აღინიშნა, პერსევერაციული ფუნქციური ავტონომია ადამიანის ნერვულ სისტემაში უკუკავშირის მექანიზმებზეა დაფუძნებული. ამის კარგი ილუსტრაციაა ე. წ. დაუსრულებელი ამოცანების ფენომენი. ერთხელ დაწყებული საქმე, რომელიც დასრულებამდე შეწყდა, ზემოქმედებს ადამიანზე და ახალ დაძაბულობას ქმნის, რომელიც მას დაწყებულის დასრულებისკენ უბიძგებს. ეს ახალი დაძაბულობა განსხვავდება თავდაპირველი მოტივაციისგან (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### პროპრიატული ფუნქციური ავტონომია

პერსევერაციული ავტონომიისთვის დამახასიათებელი განმეორებადი მოქმედებების საპირისპიროდ, პროპრიატული ანუ საკუთარი ფუნქციური ავტონომია მოიაზრებს ადამიანის შეძენილ ინტერესებს, ღირებულებებს, გრძნობებს, პიროვნულ დისპოზიციებს, მე-ს ხატებს, ცხოვრებისეულ სტილს, განწყობებსა და განზრახვებს. ეს მოტივაციის მთავარი სისტემაა, რომელიც, მისი შინაგანი მე-ს ხატის შესატყვისად, ადამიანის მისწრაფებების მუდმივობას და სიმწიფისა და პიროვნული ზრდის უფრო მაღალი დონის მიღწევას უზრუნველყოფს. პროპრიატული ავტონომია იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანებს არც სჭირდებათ მუდმივი ჯილდო იმისათვის, რომ ძალისხმევას არ იშურებდნენ (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

ოლპორტის მიხედვით, პროპრიატული ფუნქციური ავტონომია მოტივაციის უმაღლესი, მხოლოდ ადამიანის პიროვნებისთვის დამახასიათებელი მოტივაციის სისტემაა. ის პროპრიუმში შემავალ თვითკმარ მოტივებს განეკუთვნება და ამით მოტივაციის წამყვანი სისტემა ხდება, რომელიც პიროვნებას მთლიანობას ანიჭებს. თავსატეხების ამოხსნა და ალკოჰოლის მოხმარება არც ისე ხშირად მიიჩნევა „სწორედ რომ ჩემად“. ეს მოტივები არ არიან პროპრიუმის ნაწილი, ისინი პიროვნების პერიფერიაზე არსებობენ. მეორე მხრივ, პროფესიული საქმიანობები, ჰობი და ინტერესები უფრო ახლოს არიან პიროვნების ბირთვთან და მათთან დაკავშირებული მრავალი მოტივი ფუნქციურად ავტონომიური ხდება. მაგალითად, ადამიანი მისთვის უინტერესო სამუშაოზე მხოლოდ ფულადი დაინტერესების გამო იწყებს მუშაობას და რამდენიმე წლის შემდეგ მას ეს სამუშაო უკვე ძალიან მიზიდავლად ეჩვენება, ის დასვენების დღეებშიც მიდის სამსახურში და, შესაძლოა, კიდევ რაიმე ჰობის პოულობს, რომელიც ახლოს დგას მის ძირითად საქმიანობასთან (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ამრიგად, პროპრიატული ფუნქციური ავტონომია წინ გადადგმული ნაბიჯია „ადამიანის უბრალოდ არსებობისგან“. ეს არის მიზნებისკენ და ღირებულებებისკენ სწრაფვა, სამყაროს აღქმა ამ მიზნებისა და ღირებულებების ჭრილში და, ასევე, საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

ოლპორტი ამბობს, რომ არ არის ადვილი იმის ახსნა, თუ როგორ წარმოიქმნება ფუნქციური ავტონომიის ეს ტიპი. პირველ რიგში, ის ფიქრობს, რომ ამას თვითსტრუქტურირება მოითხოვს, მაგალითად:

ახალგაზრდა ადამიანს განზრახული აქვს გახდეს ექიმი, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი ან განდევნილი. არც ერთი ეს ამბიცია არ არის თანდაყოლილი. ყველა მათგანი შეძენილი ინტერესია. ჩვენ არ ვეთანხმებით აზრს, რომ ისინი ახლა არ არსებობენ გადავადებულ განმტკიცებასთან კავშირში. ისინი არსებობენ, ვინაიდან თანდათან ფორმირდებიან და კონკრეტულად ამ მოტივაციურ ფოკუსს მოითხოვენ (1961, გვ. 252, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

შემდეგ იგი სვამს კითხვას, ხსნის თუ არა „მე“ (self) პროპრიატულ ფუნქციურ ავტონომიას და თავადვე პასუხობს, რომ არა, რადგან ეს მოიაზრებდა „შიგნით მყოფ ადამიანს“, რომელიც ფორმას აძლევს მოტივებს. ოლპორტი ეწინააღმდეგება ახსნებს, რომლებიც განცალკევებულ „მე“-ს ეყრდნობა, ვინაიდან აქ ჭარბად შემოდის ადამიანის ბედის მმართველი „სულის“ იდეა. აბა, რა აგებს პასუხს პროპრიატულ მოტივებსა და კოჰერენტულ და შეთანხმებულ პატერნად მათ ორგანიზაციაზე? ოლპორტი ამბობს, რომ ეს ადამიანის



არსებით ბუნებაში ძვეს: მოტივების ცვლილება და ზრდა ცხოვრების მანძილზე და მათი გაერთიანება<sup>14</sup> (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ფუნქციური ავტონომიის კონცეფცია სერიოზული თავდასხმებისა და წინააღმდეგობების ობიექტად იქცა. მან მნიშვნელოვნად შეაშფოთა ფსიქოანალიტიკოსები და ბიჰევიორისტები, სხვა თეორიული მიმართულებების წარმომადგენლები კი დაინტერესდნენ, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს მოცემული კონცეფცია მისგან ბუნებრივად გამომდინარე კითხვებს. მაგალითად, როგორ ევოლუციონირებს, როგორ ვითარდება საკუთარი ავტონომია? კონკრეტულად როგორ ხდება მოტივის ჩამოშორება ბავშვობაში არსებული საწყისიდან და, ამასთან, მისი, როგორც აქტუალური მოტივის, შენარჩუნება? როგორ ვითარდება თავად მოტივი? ოლპორტმა უპასუხა ყველა ამ შეკითხვას, აღნიშნა რა, რომ ფუნქციური ავტონომიის ფენომენის გაგება შეუძლებელია მანამ, სანამ ყველაფერი არ გვეცოდინება მასში მონაწილე ნეიროფიზიოლოგიური პროცესების შესახებ. მიუხედავად ამისა, მან შემოგვთავაზა აზრი, რომ პრიპრიატული ფუნქციური ავტონომიის პროცესები სამ ფსიქოლოგიურ პრინციპს ემორჩილება (Хелл Л., & Зиглер Д., 1997).

1. *ენერგეტიკული დონის ორგანიზაციის პრინციპი*. ეს პრინციპი ამტკიცებს, რომ საკუთარი ავტონომია იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ენერჯის დონე, რომელიც ადამიანს აქვს, აჭარბებს გადარჩენისა და შეგუების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ენერჯის ოდენობას. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პენსიონერი, რომელიც თავის ენერჯის ახალი ინტერესებისკენ და საქმიანობებისკენ წარმართავს.
2. *დაძლევისა და კომპეტენციის პრინციპი*. ოლპორტის თანახმად, მოზრდილ ადამიანებს შინაგანად ახასიათებთ დაძლევისა და გარე სამყაროდან გამოცდილების მიღების და, ასევე, დასახული მიზნების რეალიზაციის მოტივაცია. აქედან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი ქცევა, რომელსაც ინდივიდის კომპეტენციის დონის აწევისკენ მივყავართ, ჩართული იქნება საკუთარი მოტივაციის ფარგლებში.
3. *პროპრიატული სისტემის აგების პრინციპი*. ეს პრინციპი მიუთითებს, რომ ყველა საკუთარი/პროპრიატული მოტივი სათავეს ინდივიდის „მე“-ში (პროპრიუმში) იღებს. შედეგად ადამიანი საკუთარი ცხოვრების ორგანიზებას, „მე“-ს გაძლიერების მიზნით, პროპრიუმის ირგვლივ ახდენს, უარყოფს რა ყველაფერს დანარჩენს. პროპრიატული სისტემის აგება პიროვნების შიგნით გამაერთიანებელ ტენდენციას წარმოადგენს და ამ იდეაში ჩანს პიროვნების, როგორც უწყვეტი ცვლილებისა და ჩამოყალიბების პრიცესში მყოფი არსების, ოლპორტისეული ხედვა.

## ფუნქციური ავტონომიის საზღვრები

ისევე, როგორც პროპრიუმი მხოლოდ ერთი ნაწილია პიროვნებისა, ვერც ფუნქციური ავტონომია ახსნის ადამიანის ქცევის ყველა მოტივს. ოლპორტი ასახელებს რვა პროცესს, რომელიც არ შედის ფუნქციურად ავტონომიურ პროცესთა რიცხვში (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

- 1) ბიოლოგიური იმპულსები, როგორიცაა კვება და ძილი;
- 2) უშუალოდ ძირითად იმპულსებთან, აღმძვრელებთან დაკავშირებული მოტივები;
- 3) რეფლექტორული მოქმედებები, როგორიცაა, მაგალითად, სუნთქვა და თვალის ხამხამი;
- 4) თანდაყოლილი თვისებები — სხეულის აღნაგობა, ინტელექტუალური შესაძლებლობები და ტემპერამენტი;
- 5) ფორმირების პროცესში მყოფი ჩვევები;
- 6) ქცევის პატერნები, რომლებიც პირველად განმტკიცებას საჭიროებენ;
- 7) ქცევის პატერნები, როგორიცაა, მაგალითად, იძულებითი მოქმედებები, ფიქსაცია და რეგრესია;
- 8) სუბლიმაცია, რომელიც შეიძლება ბავშვური სექსუალური სურვილებით იყოს აღძრული.

<sup>14</sup> აქ იუნგიაწილი „მოლიანობის არქეტიპის“ გამომახილი შეგვიძლია დავინახოთ.

ფსიქიკის დარღვევებით გამოწვეული იძულებითი მოქმედებები გახანგრძლივებული მოქმედების ფუნქციურ ავტონომიას ჰგავს, მაგრამ ისინი არ არიან თვითკმარნი და შესაძლებელია მათი აღკვეთა ქცევის მოდიფიკაციით ან სხვა თერაპიული მეთოდებით. მრავალი სიმპტომის სათავეები შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ადრეული ბავშვობის განცდებში. ამიტომ ეს სიმპტომები ფუნქციურად არ არის ავტონომიური. თუმცა, ყველა პათოლოგიური სიმპტომი არ არის ფუნქციურად არაავტონომიური. ზოგიერთი მათგანი ადამიანის ცხოვრების თანამედროვე (აწმყო) სტილს ემსახურება და მოცემული მომენტისთვის დამოუკიდებელია მათი წინმსწრები ტრავმისგან, რომელიც, შესაძლოა, პათოლოგიის მიზეზი გახდა. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ფუნქციურად ავტონომიური სიმპტომების ფსიქოთერაპიული ზემოქმედებით აღკვეთა; ისინი არ იცვლებიან იცვლება ადამიანის მიერ საკუთარი თავის ხედვასთან ერთად.

ოლპორტი არ უარყოფდა არაცნობიერი პროცესების არსებობას და მათ მნიშვნელოვნებასაც კი. ის თვლიდა, რომ, მაგალითად, სიმპტომატური მოქმედებების დიდი ნაწილი ავტომატური გამეორებებია, რომლებიც, როგორც წესი, თვითდამანგრეველია და არაცნობიერი ტენდენციებით არიან მოტივირებულნი. ისინი ხშირად პაციენტის ბავშვობიდან მომდინარეობენ და მოზრდილი ადამიანის ცხოვრებაში ბავშვური შტრიხები შეაქვთ.

აღიარებდა რა ფუნქციური ავტონომიის გარკვეული საზღვრების არსებობას, ოლპორტი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ *ნორმალური ქცევა ფუნქციურად ავტონომიურია და ცნობიერი პროცესებითაა მოტივირებული, რომლებიც არა მხოლოდ გამოცალკევებულია არაცნობიერი მოტივაციისგან, არამედ საკუთარი მამოძრავებელი და შემანარჩუნებელი ენერგიაც აქვთ. ჯანმრთელ ადამიანებთან ცნობიერება აკონტროლებს ქცევას.* ფსიქოლოგიურად მოწიფული ადამიანები, ძირითადად, თავიანთი ცნობიერი აზრებით არიან მოტივირებულნი, არაცნობიერი პროცესები კი მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებენ მათ ქცევაში (Freud, P. & Фейдимен Дж., 2001).

## უწყვეტობა და ცვლილება პიროვნების განვითარებაში

ოლპორტი (1937, გვ. 143) ამბობდა, რომ ადამიანის პიროვნება მცირედით თუ იცვლება 30 წლის შემდეგ. ამით ის ეთანხმებოდა მის კარგად ცნობილ თანამედროვეებს, როგორებიც იყვნენ კონ უოტსონი და უილიამ ჯემსი. ზოგიერთი სხვა მიდგომისგან (მაგალითად, ფროიდის) განსხვავებით, ოლპორტი არ ამტკიცებდა, რომ განვითარების ადრეული ეტაპები უცილობლად ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პიროვნების ფორმირებისთვის. მისთვის ადრეული სტადიები პიროვნების ახალ ინტეგრაციად ტრანსფორმირდება, თუმცა ზოგჯერ ისინი შედარებით უცვლელნი რჩებიან, იზოლირებული „არქაული“<sup>15</sup> კომპონენტების სახით (Allport, 1955, გვ. 28, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

ოლპორტის შემდეგ მრავალი მკვლევარი მუშაობდა პიროვნებაში უწყვეტობისა და ცვლილების საკითხების შესწავლაზე. განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევებით მიღებული მონაცემები აჩვენებენ კონსისტენტურობასაც და ცვლილებასაც. ლოგიკურია, რომ კონსისტენტურობის ხარისხი იკლებს, როდესაც ორ გაზომვას შორის დიდი დროა გასული. ასევე, კონსისტენტურობა გაცილებით ნაკლებია ახალგაზრდა ასაკში და დროთა განმავლობაში მატულობს ისე, რომ ადამიანები 50 წლის ასაკისთვის მეტად კონსისტენტურები არიან, ვიდრე 40 ან 20 წლის ასაკში (Roberts & DelVecchio, 2000, წყაროში Cloninger, S. C., 2004).

პიროვნების კონსისტენტურობის ძირითადი მიზეზები შეჯამებულია ცხრილში 4.

<sup>15</sup> ფროიდის თქმით, „ფიქსირდებიან“.

## ცხრილი 4. პიროვნების კონსისტენტურობის ფაქტორები.

ფაქტორი	აღწერა
გარემო	სტაბილური გარემო, როგორცაა მდგრადი სამსახურებრივი მოთხოვნები და სტაბილური ოჯახური გავლენები.
გენები	უცვლელი გენეტიკური გავლენა მთელი ცხოვრების განმავლობაში.
ფსიქოლოგიური ფაქტორები	შეგუების სხვადასხვა კომპონენტი და ეგოს მოქნილობა, რაც კონსისტენტურობას ბადებს; კომპეტენტურობა, ემოციური სტაბილობა.
პიროვნებისა და გარემოს ურთიერთქმედებები	პიროვნებისა და გარემოს „კარგი შეთანწყობა“, „ურთიერთმორგება“. <i>რეაქტიული ტრანსაქციები:</i> ინდივიდის მიერ საკუთარი გამოცდილების ინტერპრეტაცია შეესატყვისება პიროვნებას. <i>ადმძრავი ტრანსაქციები:</i> სხვების მიერ წამოწყებულ რეაქციებს იწვევს პიროვნების მახასიათებლები და ეს რეაქციები, თავის მხრივ, ზემოქმედებენ პიროვნებაზე. <i>პროაქტიული ტრანსაქციები:</i> პიროვნება იმ გარემოსა და როლებს ირჩევს, რომლებიც შეესატყვისება მის პიროვნებას. <i>მანიპულატორული ტრანსაქციები:</i> პიროვნება ცდილობს გარემოს შეცვლას, რათა მოიწოდოს ის საკუთარ პრიორიტეტებზე.
იდენტობის სტრუქტურები	ძლიერი იდენტობა; სხვებისგან მიღებული კონსისტენტური შეტყობინებები ინდივიდის იდენტობას ეფუძნება.

წყარო: ადაპტირებულია Cloninger, S. C., 2004.

## ცალკეული ინდივიდის შესწავლა

ოლპორტი აღნიშნავდა, რომ მკვლევარმა უნდა გააკეთოს არჩევანი: ქცევა ზოგადი პრინციპების, უნივერსალური ცვლადების, დიდი რაოდენობით სუბიექტების თვალსაზრისით შეისწავლოს, თუ ყურადღება ინდივიდუალურ შემთხვევებზე გამახვილოს და ამ დროს ისეთი მეთოდები და ცვლადები გამოიყენოს, რომლებიც ყოველი ადამიანის უნიკალობას შეესაბამებინ. ქცევის შესწავლისადმი ამ ორი მიდგომის აღსანიშნად ოლპორტმა აიღო გერმანელი ფილოსოფოსის ვინდელბანდის მიერ შემოთავაზებული ცნებები *იდეოგრაფიული* (ინდივიდუალური) და *ნომოთეტური* (უნივერსალური) (Pervin, L. A., 2003; Холл К. С., Линдсей Г., 1997). თუმცა, ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, 1968 წელს მან ახალი ტერმინოლოგია შემოგვთავაზა: „გაზომვითი“ ნომოთეტურის და „მორფოგენული“ იდეოგრაფიულის ნაცვლად (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## მორფოგენული მიდგომა

ოლპორტს მიაჩნდა, რომ ფსიქოლოგიაში ორივე მიდგომისთვის იყო ადგილი; თუმცა, ფიქრობდა, რომ ვინაიდან (განსაკუთრებით) ამერიკულ ფსიქოლოგიაში ნომოთეტური მეთოდები დომინირებდნენ, საჭირო იყო ორიენტაციის განახლება. ორიენტაციის ასეთი განახლების მნიშვნელოვნებას განაპირობებდა ის, რომ მორფოგენული მიდგომა უკეთ პროგნოზირებისა და გაგების საშუალებას იძლევა. ფაქტობრივად, მაშინ შეგვიძლია იმის პროგნოზირება, თუ კონკრეტულად რას გააკეთებს ადამიანი მოცემულ სიტუაციაში, თუ ადამიანს, როგორც ამ კონკრეტულ ადამიანს, ისე ვიცნობთ (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მორფოგენულ მიდგომაზე აქცენტი ლოგიკურად გამომდინარეობს ოლპორტის თეორიული პოზიციის თავისებურებებიდან. უპირველეს ყოვლისა, ყოველი ადამიანის უნიკალობაზე ხაზგასმა მკვლევრისგან კვლევის ისეთი მეთოდების არჩევას მოითხოვს, რომლებიც არ დაფარავენ და გააზუნდოვანებენ ამ უნიკალობას. მეორე (რაც მჭიდროდ უკავშირდება პირველს), პიროვნული დისპოზიციების (ინდივიდუალური ნიშნების), როგორც ქცევის პირველადი დეტერმინანტების, მნიშვნელოვნების ხაზგასმა.

თუ ეს დისპოზიციები პიროვნების „რეალური“ ერთეულებია და მხოლოდ ცალკეულ ადამიანს ახასიათებენ, მაშინ სრულიად გასაგებია, რომ ქცევის შესწავლისადმი ყველაზე ეფექტური მიდგომა ინდივიდის შესწავლაა.

ოლპორტი აღიარებს ინდივიდუალური შემთხვევების შესასწავლად ვალიდური მეთოდების შექმნის მნიშვნელობას, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ მან და სხვა თეორეტიკოსებმა მხოლოდ სათავე დაუდეს მათ შემუშავებას.<sup>16</sup> (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ოლპორტმა გარკვეული რაოდენობის მეთოდები ჩამოთვალა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მორფოგენულ ფსიქოლოგიაში. ზოგიერთი დასახელებული მეთოდი სრულიად მორფოგენულია, ზოგი კი — ნაწილობრივ.

სრულად მორფოგენული, ინდივიდუალური მეთოდების მაგალითებია (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001) სიტყვიერი ჩანაწერები, მათ შორის, საუბრები, სიზმრები და აღიარებები, დღიურები და წერილები, პერსონალიზებული კითხვარები და პიროვნული სკალები; ასევე, ექსპრესიული და პროექციული დოკუმენტები, მათ შორის, წერილობითი ნაშრომები, მხატვრული შემოქმედება, ავტომატური წერა და ნახატები, ხელის ჩამორთმევა, ლაპარაკის მანერა, ქესტები, კალიგრაფია, სიარულის მანერა და ავტობიოგრაფია.

ნახევრად მორფოგენულ მეთოდებს განეკუთვნება (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001) თვითშეფასების სკალები, როგორცაა განმსაზღვრელი შესამოწმებელი ჩამონათვალი, სტანდარტიზებული ტესტები, რომელშიც გამოიყენება მეთოდიკა, როდესაც ადამიანებს საკუთარ თავს ადარებენ და არა — ნორმატიულ ჯგუფს, ოლპორტის, ვერნონისა და ლინდსის „ღირებულებების კვლევა“ და სტეფენსონის (1953) Q-სორტირების ტექნიკა.

ოლპორტი ამბობდა, რომ „ძალიან ხშირად უყურადღებოდ გვრჩება მონაცემების მდიდარი წყარო, კერძოდ, ის, თუ რა იცის სუბიექტმა საკუთარი თავის შესახებ“ (1962, გვ. 413, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ბევრი სხვა ფსიქოლოგისგან განსხვავებით, ოლპორტს ერჩივნა, რომ ექსპერიმენტების მონაწილეთა ნათქვამები საკუთარი თავის შესახებ სიმართლედ ჩაეთვალა. ის თვლიდა, რომ ფსიქოლოგი, რომელსაც ადამიანების პერსონალური დინამიკის შესწავლა სურს, უბრალოდ უნდა ეკითხებოდეს მათ, თუ რას ფიქრობენ ისინი საკუთარი თავის შესახებ. პირდაპირ კითხვებზე მიღებული პასუხები სანდო ინფორმაციად უნდა იქნას მიჩნეული, მაშინაც კი, თუ რესპონდენტი პატარა ბავშვი, ფსიქოტიკი ანდა დაცვითი რეაქციებისკენ მიდრეკილი პიროვნებაა.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ოლპორტი, თავის თეორიული პოზიციის შესატყვისად, მოითხოვდა, რომ ფსიქოლოგებს უფრო მეტი დრო და ენერჯია დაეთმოთ ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლისთვის. საინტერესოა, რომ ამ მოთხოვნამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰპოვა თანამედროვე ფსიქოლოგთა ნაწილში. ასე რომ, ერთ დროს დევიანტური პოზიცია დღესდღეობით ფართოდ მისაღები და გამოყენებადია (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

## მორფოგენული მიდგომის მაგალითი: ჯენის წერილები

კონკრეტული ადამიანის პიროვნული დისპოზიციების გამოვლენისთვის მორფოგენური მიდგომის მნიშვნელობის საუკეთესო ილუსტრაციაა ოლპორტის ცნობილი „ჯენის წერილები“<sup>17</sup> (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

1940-იან წლებში ოლპორტმა მოიპოვა შუა ხნის ქალბატონის, ჯენი მასტერსონის (ფსევდონომი) 301 წერილი, რომელსაც იგი 12 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სწერდა ახალგაზრდა წყვილს (Elms, A. C., 1994). ოლპორტმა ეს პირადი წერილები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიიჩნია და

<sup>16</sup> საინტერესოა, რომ ოლპორტი თავის ნაშრომებში გაზომვით მეთოდებს უფრო იყენებდა, ვიდრე — მორფოგენულს

<sup>17</sup> *Letters from Jenny*, 1965, შემოკლებული სახით ეს წერილები 1946 წელს ანონიმურად გამოქვეყნდა ჟურნალში "Journal of Abnormal and Social Psychology" (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მრავალი წლის მანძილზე იყენებდა პიროვნების ფსიქოლოგიის სწავლებისას ჯგუფური დისკუსიების სტიმულირებისთვის (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

ჯენი მასტერსონის წერილებში მოთხრობილია ასაკოვანი ქალისა და მისი ამბივალენტური, სიძულვილი-სიყვარულის მხურვალე გრძნობების ისტორია ვაჟიშვილ როსისადმი. 1926 წლის მარტიდან (როდესაც ჯენი 58 წლის იყო) 1937 წლის ოქტომბრის ჩათვლით (როდესაც გარდაიცვალა), ჯენიმ 301 წერილი მისწერა როსის ოთახის ყოფილ მეზობელ გლენსა და მის მეუღლეს იზაბელს.<sup>18</sup>

ოლპორტმა ამონარიდები წერილებიდან პირველად 1946 წელს გამოაქვეყნა სახელწოდებით „უცნობი ქალის წერილები“,<sup>19</sup> შემდეგ კი კიდევ ერთხელ დაიბეჭდა უფრო დეტალურად<sup>20</sup> და არაერთხელ ყოფილა გამოყენებული სასწავლო პროცესში (Elms, A. C., 1994; Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ჯენი (Elms, A. C., 1994) შვიდშვილიან ოჯახში უფროსი შვილი იყო, მას ხუთი უმცროსი და და ერთი ძმა ჰყავდა. 18 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა და იძულებული გახდა, სკოლისთვის თავი დაენებებინა და მუშაობა დაეწყო. როდესაც პატარა დები და ძმა გაიზარდნენ და უკვე შეეძლოთ საკუთარი თავის მოვლა, ჯენი, რომელსაც ყოველთვის ჯანყისკენ და დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილად იცნობდნენ, ცოლად გაჰყვა ცოლთან გაშორებულ მამაკაცს. ამით ახალგაზრდა ქალი კიდევ უფრო გაუცხოვდა თავისი კონსერვატიული რელიგიური ოჯახისგან.

ორწლიანი ოჯახური ცხოვრების შემდეგ ჯენის მეუღლე გარდაიცვალა, ერთი თვის შემდეგ კი დაიბადა როსი. შემდეგი 17 წლის განმავლობაში ჯენი სრულიად კმაყოფილი იყო თავისი ოჯახური ცხოვრებით. მისი სამყარო ვაჟიშვილის ირგვლივ იყო აგებული და ბევრს და ინტენსიურად მუშაობდა, ვინაიდან უნდოდა, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მის შვილს ყველაფერი ჰქოდა, რაც უნდოდა. ის ეუბნებოდა როსს, რომ ხელოვნების გარდა, მთელი სამყარო უდიდესად ადგილია და მისი (ჯენის) მოვალეობაა, საკუთარი თავი მსხვერპლად შესწიროს შვილს იმიტომ, რომ ის პასუხისმგებელია მის არსებობაზე (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

როდესაც როსი კოლეჯში სასწავლებლად წავიდა, ჯენი აგრძელებდა ეკონომიურად ცხოვრებას, რათა ყველა გადასახადი დაეფარა. თუმცა, როგორც კი როსმა ქალებით დაინტერესება დაიწყო, მაშინვე დასრულდა დედა-შვილის იდილიური ურთიერთობა. ისინი ხშირად და მწვავედ კამათობდნენ და ჩხუბობდნენ როსის ნაცნობი გოგონების გამო. ჯენი ყველას მეძავს ეძახდა, მათ შორის იმ გოგონასაც, რომელზეც როსმა იქორწინა. ქორწილის შემდეგ ჯენიმ და როსმა დროებით შეწყვიტეს ურთიერთობა.

დაახლოებით ამ დროს დაიწყო ჯენმა გლენტან და იზაბელასთან (გორდონთან და ადასთან) მიმოწერა, რომელიც თითქმის 12 წელიწადს გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ჯენიმ ბევრი რამ მოყვა საკუთარი ცხოვრებისა და თავის შესახებ. პირველ წერილებში კარგად ჩანს მისი დაკავებულობა ფულის, სიკვდილისა და როსის ქცევის საკითხებით. ის გრძნობდა, რომ როსი უმადურია მის მიმართ და სხვა ქალის, თანაც მეძავის, გამო მიატოვა იგი. ის მანამდე ბრაზობდა როსზე, სანამ როსი და მისი მეუღლე არ გაშორდნენ ერთმანეთს. წყვილის განქორწინების შემდეგ ჯენიმ როსთან ახლოს, მეზობლად იშოვა ბინა და რაღაც დროის მანძილზე ბედნიერი იყო. თუმცა, როსმა მალე ისევ დაიწყო ქალებთან შეხვედრა და ჯენი, ცხადია, აუცილებლად პოულობდა ამა თუ იმ ნაკლს თითოეულ მათგანში. ამ პერიოდის წერილები ისევ სავესტა როსზე განაწყენებით, ეჭვიანობითა და სხვებისადმი ცინიკური დამოკიდებულებით, ცხოვრებისადმი დრამატული მიდგომით.

სამწლიანი მიმოწერის შემდეგ როსი მოულოდნელად გარდაიცვალა. შვილის სიკვდილის შემდეგ ჯენი უფრო მომთმენი გახდა მის მიმართ წერილებში. ახლა მას როსი აღარავისთან ჰყავდა გასაყოფი. ახლა ის უსაფრთხოდ იყო — აღარანაირი მეძავები აღარ ემუქრებოდნენ.

<sup>18</sup> 1993 წელს დევიდ ვინტერმა წარმოადგინა ამომწურავი მტკიცებულებები იმისა, რომ „გლენი“ და „იზაბელი“ სინამდვილეში გორდონ და ადა ოლპორტები იყვნენ და, შესაძლოა, ამ წერილების შესწავლამ უზიარა ოლპორტს იდეისკენ მორფოგენული მასალის მნიშვნელოვნების შესახებ (Elms, A. C., 1994).

<sup>19</sup> Anonimouse, 1946.

<sup>20</sup> Allport, 1965.

შემდგომი რვა წლის განმავლობაში ჯენი ისევ წერდა გლენსა და იზაბელს და ისინიც რეგულარულად პასუხობდნენ. თუმცა, ისინი უბრალო ნეიტრალური მსმენელები უფრო იყვნენ, ვიდრე — მრჩეველები. ჯენის ადრინდელივით აფიქრებდა ფულისა და სიკვდილის საკითხები. ის უფრო და უფრო მეტად ადანაშაულებდა სხვებს თავის სიღარიბეში და დიდი ეჭვიანობითა და მტრულობით უყურებდა ყველას, ვისაც მისი დახმარება სურდა. ჯენის სიკვდილის შემდეგ იზაბელმა (აღამ) თქვა, რომ სიცოცხლის ბოლოს ჯენი „ისეთივე იყო, როგორც ადრე, და კიდევ უფრო ისეთი“ (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტისთვის და მისი სტუდენტებისთვის „ჯენის წერილები“ მრავალი წლის განმავლობაში გულდასმითი ანალიზისა და შესწავლის საგანი იყო, რომლებიც ცალკეული პიროვნების სტრუქტურის დანახვას ცდილობდნენ, ამ პიროვნებისთვის ცენტრალური პიროვნული დისპოზიციების გამოვლენის გზით (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

მათ ანალიზის რამდენიმე ტექნიკა გამოიყენეს (Холл К. С., Линдсей Г., 1997). ოლპორტის ერთ-ერთმა სტუდენტმა ალფრედ ბოლდუინმა (Alfred Baldwin, 1942, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997) შეიმუშავა ტექნიკა, რომელსაც *პიროვნული სტრუქტურული ანალიზი* უწოდა და წერილების დაახლოებით მესამედის გასაანალიზებლად გამოიყენა. ამ ტექნიკის მიზანი იყო ჯენის პიროვნების სტრუქტურის გამოვლენა წერილებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ინფორმაციის მოსაგროვებლად ბოლდუინმა ორი წმინდად მორფოგენული პროცედურა გამოიყენა: სიხშირეებისა და კომბინაციების ანალიზი. პირველი ნიშნავს მკვლევრისთვის საინტერესო საგნის (თემის, საკითხის) დასამუშავებელ ტექსტში ხსენების სიხშირის დაფიქსირებას. მაგალითად, რამდენად ხშირად ახსენებს ჯენი როსს, ფულს ან საკუთარ თავს. კომბინაციების ანალიზი გულისხმობს გასაანალიზებელ ტექსტში ორი საგნის (თემის, საკითხის) ერთდროულად, ერთ აზრობრივ ერთეულში გამოჩენის სიხშირეების დათვლას. მაგალითად, რა სიხშირითაა ნახსენები ჯენის წერილებში კატეგორია „როსი-უმადური“ კომბინაციაში კატეგორიასთან „თავად ჯენი-თავგანწირვა“. ფრიდი და სხვა ფსიქოანალიზიკოსები ინტუიტურად იყენებდნენ კომბინაციების სიხშირეების ანალიზს, როდესაც პაციენტის არაცნობიერში ორ ცნებას შორის ასოციაციის გამოვლენას ცდილობდნენ. ბოლდუინმა ისინი სტატისტიკურად გამოთვალა, განსაზღვრა რა ის კომბინაციები, რომლებიც იმაზე უფრო ხშირად ჩნდებიან, ვიდრე ეს შემთხვევითად შეიძლებოდა ყოფილიყო (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ბოლდუინის კვლევის შესახებ ოლპორტი წერს, რომ „ერთიანი პიროვნების სტრუქტურის კვანტიფიკაცია შესაძლებელია კონტენტ ანალიზში გამოყენებადი სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით“ (1965, გვ. 199, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ჯენის წერილებში, პერსონალური სტრუქტურული ანალიზის გამოყენებით, ბოლდუინმა გამოყო კატეგორიათა სამი ჯგუფი. პირველი შეეხება როსს, ქალებს, წარსულსა და თავად მას — მის თავგანწირვას. მეორე ჯენის მიერ სამსახურის ძებნას აღწერს, მესამე კი ფულთან და სიკვდილთან მის ურთიერთობაზე ფოკუსირდება. ეს სამი ჯგუფი დამოუკიდებელია ერთმანეთისგან, თუმცა ცალკეული ცნებები, როგორცაა, მაგალითად, ფული, შეიძლება სამივე მათგანში გვხვდებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ოლპორტი კეთილგანწყობილი იყო ბოლდუინის კვლევის შედეგებისადმი, მაინც აღნიშნავდა, რომ მისთვის უცნობი იყო, მატებს თუ არა რაიმეს ახალს კლასტერების კლასიფიკაციის ასეთი შრომატევადი პროცედურა იმ ინტერპრეტაციას, რომელიც უბრალო სად აზრზე დაყრდნობითაა გაკეთებული. ბოლდუინის მიერ გამოყოფილი ჯგუფები, ცხადია, გვაგონებენ ჯგუფებს, რომლებიც ფაქტორული ანალიზით შეგვიძლია გამოვყოთ. მართლაც, ჯეფრი პეიჯმა (Jeffrey Paige, 1966, წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001), ოლპორტის კიდევ ერთმა სტუდენტმა, მოგვიანებით გამოაქვეყნა ჯენის წერილების ფაქტორულ-ანალიტური კვლევა. მან გამოყო და აღწერა რვა ფაქტორისგან შემდგარი სტრუქტურა, ესენია: აგრესია, ძალაუფლებიანობა, მიჯაჭვულობა, ავტონომიურობა, ოჯახის მხრიდან აღიარების მოთხოვნილება, სექსუალობა, მგრძნობელობა და მსხვერპლად გაღება. პეიჯის შედეგები ძალიან ჰგავს თავად ოლპორტის (1965) შედეგებს, რომლებიც სადი აზრის საფუძველზე იყო მიღებული.

1965 წელს ოლპორტმა ჯენის წერილების კონტენტ ანალიზი განახორციელა. მან მოიწვია 36 მკვლევარი, რომლებმაც ჩამოთვალეს ის ნიშნები, რომლებიც არსებითად მიიჩნიეს ჯენის პიროვნების

დახასიათებისთვის. მათ ჩამოწერეს 198 განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი, რომელთაგან ბევრი სინონიმი ან მნიშვნელობით მსგავსი აღმოჩნდა. მკვლევრები მნიშვნელოვანწილად თანხმდებოდნენ იმაზეც, რომ ჯენისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნები იყო ექვიანობა, საკუთარ თავზე ცენტრირებულობა (ანუ ეგოიზმი) და ავტონომია (Холл К. С., Линдсей Г., 1997). მიღებული ჩამონათვალი ოლპორტმა რვა ჯგუფში გააერთიანა (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. ჯენის მახასიათებლები  
ოლპორტის მიხედვით.

N	მახასიათებლები
1	ჯიჯღინა-ექვიანი
2	ეგოისტური
3	დამოუკიდებელი-ავტონომიური
4	გაზვიადებისკენ-დრამატიზაციისკენ მიდრეკილი
5	ესთეტიურ-მხატვრული ნატურა
6	აგრესიული
7	ცინიკური, ავადმყოფურად წყენია
8	სენტიმენტალური

ამგვარად, ჯენის წერილებიდან ნათელი ხდება, რომ მას დაახლოებით რვა ცენტრალური ნიშანი აქვს, რომელიც ახასიათებდა მისი ცხოვრების ბოლო 12 წელიწადს (თუ მთელ ცხოვრებას არა). ის იყო აგრესიული, ექვიანი, ძალაუფლების მოყვარული, ესთეტიური, სენტიმენტალური, ეგოისტური, ავადმყოფურად მალე წყინდა ყველაფერი და დრამატიზაციისკენ იყო მიდრეკილი. ეს ცენტრალური დისპოზიციები იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ისინი დაახლოებით ერთნაირი სიტყვებით აღწერეს იზაბელამაც (რომელიც კარგად იცნობდა ჯენის) და დამოუკიდებელმა მკვლევრებმაც, რომლებიც წერილებს სწავლობდნენ (Allport, 1965, წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

მიუხედავად ამისა, ოლპორტი აღიარებს, რომ ნიშნების ჩამონათვალი არ წარმოადგენს სტრუქტურას. „ცხადია, მისი პიროვნება არ არის უბრალოდ რვა ან ცხრა ცალკეული ნიშნის უბრალო მექანიკური ჯამი“ (1965, გვ. 195, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997). ამიტომ მან სთხოვა მკვლევრებს, მოეძებნათ რაიმე გამაერთიანებელი თემა, რომელიც ჯენის პრაქტიკულად ყველა ვერბალურ ქცევაში იქნებოდა წარმოდგენილი და იმდენად მრავალფეროვანი პასუხები მიიღო, რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა რაიმე დასკვნის გაკეთება ჯენის კარდინალური ნიშნის შესახებ. ოლპორტი იმასაც უშვებდა, რომ ფსიქოანალიტიკოსები გააკრიტიკებენ მას ნიშნების ასეთი ანალიზის გამო, ვინაიდან ის არ გადის ჯენის ქცევის დინამიკაზე (მოტივაციაზე). თუმცა, იგი საკუთარ პოზიციას ჯენის ქცევის შეთანხმებულობაზე (კონსისტენტურობაზე) მითითებით იცავს — შესაძლებელია მის მიერ მომავალში განხორციელებული ქცევის პროგნოზირება იმაზე დაყრდნობით, რასაც ის წარსულში აკეთებდა.

კვლევის კონტენტ ანალიზზე აგების ოლპორტისეული შეფასება მოკლედ არის გადმოცემული შემდეგ დებულებაში: „კონტენტ ანალიზი (ჩვეულებრივი, „ხელით“ გაკეთებული ანდა ავტომატიზირებული) არ იძლევა უნივერსალურ გასაღებს ჯენის ამოსახსნელად; თუმცა, საღ აზრზე დაყრდნობით მიღებული შთაბეჭდილებების ობიექტივაციას, კვანტიფიკაციას ახდენს და, გარკვეულწილად, ასუფთავებს/წმენდს მათ. ის გვაახლოვებს მონაცემებთან (ჯენის საკუთარ სიტყვებთან) და აშკარად ცხადით გატაცებისგან გვიცავს. ზოგჯერ ის ჩვენს ყურადღებას უმწეო საღი აზრის მიღმა არსებულ აღმოჩენებისკენ მიაპყრობს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მეთოდი ცენტრში ჯენის ფენომენოლოგიურ სამყაროს ათავსებს და საშუალებას გვაძლევს, უფრო სანდო პირველადი დასკვნები გავაკეთოთ პიროვნების სტრუქტურის შესახებ, რომელიც მისი ეგზისტენციალური გამოცდილების უკან დგას“ (1965, გვ. 204, ციტირებულია წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

აღსანიშნავია, რომ საღ აზრზე დაფუძნებული კლინიკური მიდგომის, „პერსონალური სტრუქტურული ანალიზის“ და ფაქტორულ ანალიზის შედეგების ასეთი შესატყვისობა არ არის თითოეული ამ მეთოდის

სანდოობის დამამტკიცებელი. მიუხედავად ამისა, ეს აჩვენებს, რომ ინფორმაციის მოსაგროვებლად შესაძლებელია მორფოგენული მეთოდების გამოყენება. ფსიქოლოგებმა შეიმღება ერთი და იგივე პიროვნება გაანალიზონ და მსგავსი ცენტრალური დისპოზიციები გამოავლინონ მაშინაც კი, თუ ისინი სხვადასხვა პროცედურას იყენებენ (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## შეჯამება

გორდონ ოლპორტის თეორია ადამიანის ქცევის შესწავლისადმი ჰუმანისტური და ინდივიდუალური მიდგომების გაერთიანებას წარმოადგენს და, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიაში ფორმალური ჰუმანისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია. მის ნაშრომებში რამდენიმე ძირითადი თემაა წარმოდგენილი: პიროვნების კონსისტენტურობა, ანუ დროსა და სიტუაციებში ადამიანები კონსისტენტურები ანუ მნიშვნელოვნად ცნობადნი არიან მაშინაც კი, როდესაც სიტუაციიდან სიტუაციაში და დროთა განმავლობაში იცვლებიან, ისინი 30 წლის შემდეგ მცირედით თუ იცვლებიან; ასევე, ის თვლიდა, რომ ადამიანები სოციალურ გარემოში არსებობენ და გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მათზე; ოლპორტთან წარმოდგენილია მე-ს ცნება, როგორც პიროვნული ზრდის ძირითადი ფოკუსის, იდეა; ამასთან, მიაჩნდა, რომ პიროვნება და სოციალური სიტუაციები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, თუმცა ეს გავლენა განსხვავებულია სხვადასხვა პიროვნების შემთხვევაში.

ოლპორტის მიდგომა პიროვნებისადმი სამი ფრაზით შეიძლება აღიწეროს: ცნობიერი მოტივაცია, ფსიქიკურად ჯანმრთელი ინდივიდები და ეკლექტური დამოკიდებულება სხვა თეორიების მიმართ. ამასთან, მიაჩნდა, რომ პიროვნების შესწავლისას ეკლექტიზმი სჯობს პარტიკულარიზმს, რადგან ის ნაკლებად გვზღუდავს და მთლიანი, უნიკალური პიროვნების გაგების მეტ იმედს გვიტოვებს, შესაბამისად, პიროვნების შესწავლის იდეოგრაფიულ პოზიციაზე იდგა.

ის თვლიდა, რომ ყოველი ჩვენგანი ისწრაფვის ისეთი შინაგანი აღმძვრელების რედუცირებისკენ, როგორცაა შიშშილი, წყურვილი, სექსი, გამოყოფა, ჟანგბადის საჭიროება და ძილის მოთხოვნილება. ეს აღმძვრელები მთელი ცხოვრების განმავლობაში აქტიურნი არიან და სრულად დომინირებენ პატარა ბავშვების მოტივაციურ სფეროში. ოლპორტი თვლიდა, რომ მოზრდილი ადამიანის მოტივები ისეთი მახასიათებლებით განსხვავდება ბავშვის მოტივებისგან, როგორცაა აღმძვრელის მატების უნარი, მრავალფეროვნება და უნიკალობა, მოტივები ტელეოლოგიურია და მომავალზეა მიმართული, ანუ მოიცავს როგორც ემოციურ სურვილებს, ისე — ამ სურვილების დაკმაყოფილების გეგმას, რომელიც გარკვეულ მომავალ მიზანზეა მიმართული. და ბოლოს, მისთვის მოზრდილის მოტივები ფუნქციურად ავტონომიურია, ხოლო ავტონომიური მოტივი არის კიდევ პიროვნება.

ოლპორტი ღირებულებებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ცხოვრებისთვის აზრის მიმცემი ერთიანი ფილოსოფია ექვს მნიშვნელოვან ღირებულებაზე აიგება, ესენია: თეორიული, ეკონომიკური, ერთეტიკური, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური.

ოლპორტის დამოკიდებულება არაცნობიერისადმი ერთგვარი ამბივალენტური ხასიათისაა. ერთი მხრივ, ის იზიარებს ფსიქოანალიტურ პოზიციას, რომ პიროვნებაში მიმდინარე მოვლენების დიდი ნაწილი არაცნობიერში ხდება, ინფანტილურია ბუნებით და დაფარულია ინდივიდისგან. მეორე მხრივ, ასკვნის, რომ ჯანმრთელი ადამიანი, უპირატესად, ცნობიერი იმპულსებითა და კონფლიქტებით არის მოტივირებული და ფროიდისეულ აქცენტს არაცნობიერ პროცესებზე ფსიქოპათოლოგიისადმი მოჭარბებულ ყურადღებას მიაწერს.

ოლპორტი პიროვნების აღსაწერად ნიშნების ცნებას იყენებს და სამი სახის ნიშანს ანუ, როგორც მოგვიანებით უწოდა, დისპოზიციას გამოყოფს. ყველაზე ზოგადი, რომელიც არ ახასიათებს ყველა ადამიანს, კარდინალური ნიშანია; ნაკლებად ზოგადია ცენტრალური ნიშანი, რომლებიც საკმაოდ ზუსტად აღწერენ ამა თუ იმ პიროვნებას და ამისათვის ხუთიდან ათამდე ასეთი ნიშანია საჭირო; მეორადი ნიშნები, რომლებიც პიროვნების სიტუაციური მახასიათებლების უფროა და ნაკლებად მიგვითითებენ მისი



პიროვნების განმსაზღვრელ მახასიათებლებზე. ამასთან, ის ამბობს, რომ არსებობს ზოგადი ნიშნები, რომლებიც გაზომვადი და დაკანონებულია და მოცემული კულტურის ფარგლებში გარკვეული რაოდენობის ინდივიდებს ახასიათებთ, და ინდივიდუალური ნიშნები, რომელთაც მორფოლოგიურსაც უწოდებენ და ინდივიდის ისეთ მახასიათებლებს აღნიშნავენ, რომლებიც არ უშვებენ სხვა ადამიანებთან შედარებას. ეს არის პიროვნების რეალური მდგენელები, ნეიროფსიქიკური ელემენტები, რომლებიც მართავენ, წარმართავენ და ამოტივირებენ გარკვეული სახის ადაპტირებულ ქცევას.

ოლპორტი ნიშნების დახასიათებასაც გვაძლავს და ნიშნების ნიშნებს განსაზღვრავს: პიროვნული ნიშანი არ არის მხოლოდ ნომინალური აღნიშვნა; ის უფრო ზოგადი თვისებაა, ვიდრე ჩვევა და ქცევის მამოძრავებელი, სულ მცირე, განმსაზღვრელი ელემენტია. გარდა ამისა, პიროვნული ნიშნების დადგენა ემპირიულად არის შესაძლებელი. ისინი მხოლოდ ფარდობითად არიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელი. პიროვნული ნიშანი არ არის მორალური ან სოციალური შეფასების სინონიმი, ის ან იმ პიროვნების კონტექსტში განიხილება, რომელთანაც აღმოჩნდა, ან საზოგადოებაში გავრცელებულობის კონტექსტში. ის ფაქტი, რომ ქცევები და ჩვევები არ თანხვდება პიროვნულ ნიშანს, არ არის იმის დასტური, რომ ნიშანი არ არსებობს.

ნიშნების შესახებ ცოდნის მოპოვების წყაროებია პიროვნების გაზომვა, ლექსიკონის ანალიზი, ქცევები და დოკუმენტები, იქნება ეს დღიურები, წერილები, საჯარო განცხადებები და ა. შ.

ოლპორტს ორგანიზმის წარსულზე მეტად ის აინტერესებს, თუ რისი კეთების განზრახვა აქვს ადამიანს, ანდა რისი კეთებისკენ ისწრაფვის იგი მომავალში. ადამიანის იმედები, სურვილები, ამბიციები, პრეტენზიები, გეგმები — ყველაფერი ერთი სახელწოდების ქვეშ ერთიანდება და ესაა ინტენცია.

ოლპორტი პროპრიუმს უწოდებს ქცევის ტიპებსა და მახასიათებლებს, რომლებსაც ჩვენ საკუთარ ცხოვრებასთან ახლოდ, ცენტრალურად და მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. პროპრიუმი, როგორც პიროვნების ცენტრი, მოიცავს პიროვნების იმ მხარეებს, რომლებიც თვითიდეტიფიკაციის და თვითგაუმჯობესების განცდისთვის მნიშვნელოვნად არის მიჩნეული. აქ შედის ადამიანის ღირებულებები და ცნობიერების ის ნაწილი, რომელიც კონკრეტული პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი და მოზრდილი ადამიანის მოსაზრებებს შეესატყვისება. ოლპორტის აზრით, პროპრიუმი არის ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი პოზიტიური, შემოქმედებითი, ზრდისკენ და განვითარებისკენ სწრაფვის თვისება.

ოლპორტი პიროვნების განვითარების პროცესს განიხილავს, როგორც ბავშვის მოზრდილად ტრანსფორმაციას და პიროვნების ანუ პროპრიუმის განვითარების თანმიმდევრულ სტადიებს (იგივეა, რაც პიროვნების ასპექტების განვითარება) აღწერს: საკუთარი სხეულის შეგრძნება, თვითიდეტიფიკაცია, თვითპატივისცემა, მე-ს გაფართოება, მე-ს ხატი, რაციონალური პიროვნება, პროპრიატული მისწრაფებები და გამაცნობიერებელი „მე“ ანუ სუბიექტური პიროვნება.

მოზრდილი ანუ მოწიფული პიროვნების კრიტერიუმებსაც ასახელებს, ესენია: მე-ს გაფართოებული გაცდა; თბილი ადამიანური ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების უნარი; ემოციური დაცულობა ანუ საკუთარი თავის მიმღებლობა; რეალისტური აღქმა, უნარები და პრეტენზიები; თვითობიექტივაცია, ანუ ინსაიტების განცდის უნარი და იუმორის გრძნობა; ერთიანი ცხოვრებისეული ფილოსოფია.

## თავი 9

# ჰანს აიზენკი და ნიშნების ბიოლოგიური სამფაქტორიანი თეორია

პიროვნებისადმი ბიოლოგიური მიდგომის განვითარების თანამედროვე ეპოქა გერმანული წარმოშობის ინგლისელი მეცნიერის ჰანს აიზენკის პიონერულ ნაშრომებში იღებს სათავეს, რომლებიც გასული საუკუნის 40-იან წლებშია შესრულებული. პიროვნების სტრუქტურის მისი ორიგინალური თეორია (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997) ფსიქოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც ადამიანის პიროვნების ოთხდონიანი იერარქიული მოდელი და რამდენიმე ფსიქომეტრული ინსტრუმენტით მიღებული შედეგების ფაქტორულ ანალიზს ეფუძნება.

აიზენკის მრავალი მიღწევა ნიშნების ფსიქოლოგიაში კეტელის მიგნებების პარალელურია (Pervin, L. A., 2003). ის, კეტელის მსგავსად, მოდელის აგებისას ფაქტორული ანალიზის მათემატიკური აპარატით სარგებლობდა, თუმცა, მისი მიდგომა რამდენიმე საკითხში განსხვავდებოდა კეტელის მიდგომისგან, კერძოდ: (1) პირველ რიგში, ის მასალის დამუშავებისთვის, ფაქტორულ ანალიზამდე, ჯერ ჰიპოთეტურ-დედუქციურ მეთოდს იყენებდა; (2) მან გამოყო არა 35 ნიშანი, არამედ მხოლოდ სამი ბაზისური ტიპი; (3) მისთვის ფაქტორული ანალიზი პიროვნების თეორიებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების გაცემის მხოლოდ ერთ-ერთი მეთოდი იყო (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

აიზენკს, კეტელის მსგავსად, უზომოდ ფართო სპექტრის ინტერესები ჰქონდა. ეს იყო ბაზისური ნიშნების აღმოჩენა, პიროვნული კითხვარების შექმნა, პიროვნების გენეტიკური დეტერმინანტებისა და ბიოლოგიური საფუძვლების კვლევა და კრეატულობის შესწავლა (Eysenck, 1990, 1993, წყაროში Pervin, L. A., 2003).

აიზენკი ეთანხმება კეტელს, რომ ფსიქოლოგიის მიზანი ქცევის წინასწარმეტყველებაა. ასევე, ეთანხმება, რომ ფაქტორული ანალიზით შესაძლებელია პიროვნების მთლიანობითი სურათის აღწერა, თუმცა, ამ მეთოდს კეტელისგან რამდენადმე განსხვავებულად იყენებს. აიზენკის მიხედვით, კვლევის სტრატეგია მკვლევრისთვის საინტერესო ძირითადი ნიშნის შესახებ საკმარისი საფუძვლის მქონე ჰიპოთეზით უნდა იწყებოდეს, რასაც თან უნდა სდევდეს იმ ყველაფრის ზუსტად გაზომვა, რაც ახასიათებს ამ ნიშანს. ამის საპირისპიროდ, კეტელი აცხადებს, რომ პიროვნების ძირითადი შემადგენელი ელემენტები ტესტების ბატარეის გამოყენებისა და მიღებული მონაცემების შემდგომი დამუშავების გზით ვლინდება. ამგვარად, აიზენკის მიდგომა უფრო მეტად არის შეზღუდული თეორიის ფარგლებით, ვიდრე კეტელის. მისგან განსხვავებით, აიზენკს, ასევე, მიაჩნია, რომ ადამიანის ქცევითი გამოვლინებების დიდი ნაწილისთვის აუცილებელია არაუმეტეს სამი *სუპერნიშნის* (რომელთაც ის *ტიპებს* უწოდებს)<sup>1</sup> (Холл К. С., Линдсей Г., 1997).

გარდა ამისა, აიზენკი ინდივიდის განვითარებაში გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს გენეტიკურ ფაქტორებს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ უარყოფს ადამიანზე სიტუაციურ ზემოქმედებებს ან გარემოს გავლენას, მაგრამ დარწმუნებულია, რომ პიროვნების ნიშნები და ტიპები, უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობითობით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი გენეტიკის გავლენა ქცევაზე, უფრო და უფრო მეტი ფსიქოლოგი ფიქრობს, რომ, შესაძლოა, ამ საკითხში აიზენკი მართალია (Loehlin et al., 1988, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

<sup>1</sup> როგორც ვიცით, კეტელი, სულ მცირე, 16 ნიშანს ანუ ფაქტორს ასახელებს, რომლებიც ქმნიან პიროვნების სტრუქტურას (იხ. შემდეგი თავი).


აიზენკის პოზიცია ორ ფუნდამენტურ საკითხში არ თანხვდება კეტელის პოზიციას (Pervin, L. A., 2003): პირველ რიგში, ის მხოლოდ სამ ფაქტორზე საუბრობდა და მისი კვლევა ტიპების დონეზე მიმდინარეობდა, რომლებიც საფუძვლად უდევს კეტელის მიერ გამოყოფილ ფაქტორებს ანუ ნიშნებს. მეორე, ის გულდასმით ცდილობდა ნიშნებში ინდივიდუალური განსხვავებების ბიოლოგიურ ფუნქციონირებაში არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებას (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008).

აიზენკის პოპულარულობა განპირობებულია არამარტო მისი თეორიული მოსაზრებებითა და ფსიქიატრიაში მნიშვნელოვანი მიღწევებით, არამედ პოლემიკისკენ მისი მიდრეკილებითაც. კამათისთვის მისი მზაობა ლეგენდად იქცა. გასული საუკუნის 50-იან წლებში აიზენკმა დააბნია და თავზარი დასცა ბევრ ფსიქოლოგსა და სხვა სპეციალისტს ექიმს განცხადებით, რომ არ არსებობს არანაირი საბუთი იმისა, რომ მაღალეფექტური ფსიქოთერაპია უფრო ეფექტურია, ვიდრე სპონტანური რემისია. სხვა სიტყვებით, ადამიანები, რომლებიც არანაირ მკურნალობას იღებენ, არანაკლებ ხშირად გამოჯანმრთელდებიან, ვიდრე ისინი, ვინც ძვირადღირებულ, მტკივნეულ და ხანგრძლივ ფსიქოთერაპიას გადიან კვალიფიცირებულ ფსიქოლოგებთან და ფსიქოთერაპევტებთან (Eysenck, 1952, წყაროში Фрейдджер, П. Фейдимен Дж., 2001).

აიზენკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ პიროვნების ნიშნები და ტიპები, უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობითობით არის განპირობებული. გასული საუკუნის 70-იან წლებში მან მონაწილეობა მიიღო ცნობილ დისკუსიაში ინტელექტის მემკვიდრეობითობის შესახებ და ართურ ჯენსენის მხარე დაიჭირა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) მიზანმიმართული სოციალური ზემოქმედების შედეგად კი არ მატულობს, არამედ, დიდწილად, გენეტიკურად არის წინასწარ განსაზღვრული. აიზენკის წიგნი *The IQ Argument* (1971) იმდენად არ შეესატყვისებოდა საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებებს, რომ აშშ-ში „წიგნით მოვაჭრეები შიშობდნენ, რომ მათ მაღაზიებს გადაწვავდნენ, თუ გაბედავდნენ ამ წიგნის გაყიდვას, ცნობილი 'ლიბერალური' გაზეთები უარს ამბობდნენ მის ხსენებაზე და ამის შედეგად სიტყვის თავისუფლების ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი გახდა ამ წიგნის არსებობის შესახებ გაგება ანდა მისი ყიდვა“ (Eysenck, 1980, გვ. 175, ციტირებულია წყაროში წყაროში Фрейдджер, П. & Фейдимен Дж., 2001)

## ბიოგრაფიული ცნობები

ჰანს იურგენ აიზენკი დაიბადა ბერლინში 1916 წლის 4 მარტს. დედა, რუთ ვერნერი, ნიჭიერი მსახიობი იყო და შემდგომში მუნჯი კინოს ვარსკვლავი გახდა. მამა, ანტონ ედვარდ აიზენკი, ასევე, მსახიობი და მომღერალი იყო (Hjelle, L & Ziegler, D, 1992; Фрейдджер, П. & Фейдимен Дж., 2001). მშობლები შვილის მომავალს შოუ ბიზნესში ხედავდნენ და რვა წლის ასაკში აიზენკმა ერთ-ერთ ფილმში უმნიშვნელო როლიც კი ითამაშა. მოგვიანებით მეცნიერი იხსენებდა, რომ ნაკლებ ყურადღებას გრძნობდა მშობლების მხრიდან, რომლებიც ადრევე გაშორდნენ ერთმანეთს (როდესაც ჰანსი 2 წლის იყო) და დიდად არ ანებივრებდნენ შვილს თბილი გრძნობებით, რაზეც ისიც ასეთივე დამოკიდებულებით პასუხობდა. მშობლების განქორწინების შემდეგ ჰანსი დედის მხრიდან ბებიასთან დარჩა საცხოვრებლად (Hjelle, L & Ziegler, D, 1992). ბებიაც ოდესღაც თეატრში მუშაობდა, მაგრამ მისი მომავალი ბრწინვალე კარიერა ხმის ტრაგიკულად დაკარგვის გამო შეწყდა. აიზენკი წერდა, რომ ბებია „თავდადებული, მზრუნველი, უანგარო და, საერთოდ, ზედმეტად კარგი ადამიანი იყო ამ სამყაროსთვის“ (Eysenck, 1990c, გვ. 12, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, П. & Фейдимен Дж., 2001). ბებია კათოლიკე იყო, მაგრამ აიზენკის მშობლები არ იყვნენ რელიგიურები და თავად ჰანსიც ყოველგვარი ფორმალური რელიგიური ხელმძღვანელობის გარეშე გაიზარდა.



აიზენკი

ბავშვობის გახსენებისას აიზენკი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავისუფლებას, რომელიც ჰქონდა. არც ერთი მშობელი არ აკონტროლებდა მის მოქმედებებს, ბებიაც საკმაოდ რბილი იყო. ასეთი თავისუფალი აღზრდის საილუსტრაციოდ ორი მაგალითიც საკმარისია: ჰანსს მამამ ველოსიპედი უყიდა და მისი მართვის სწავლებას დაპირდა. მან ბიჭი გორაკზე აიყვანა და უთხრა, რომ უნდა დამჯდარიყო და პედლებისთვის ფეხი დაეჭირა, შემდეგ კი თავის საქმეებზე წავიდა და შვილი საკუთარ თავს მიანდო — მას თავად უნდა ესწავლა ველოსიპედის მართვა. მეორე ასეთი დასამახსოვრებელი შემთხვევა იყო, როდესაც მოზარდმა ჰანმა განუცხადა ბებიას, რომ სიგარეტის ყიდვას აპირებდა და ელოდა, რომ ბებია აუკრძალავდა ამის გაკეთებას, ბებიამ კი უპასუხა: „თუ მოგწონს, ისე მოიქეცი, როგორც გინდა“ (გვ. 14, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ნახევრად ბოჰემური თავისუფლების პირობებში გაზრდილი ახალგაზრდა ჰანსი ვერ იტანდა ტოტალიტარიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. ის ხშირად აღიზიანებდა თავის მასწავლებლებს, განსაკუთრებით მათ, ვინც განათლება სამხედრო სასწავლებლებში მიიღო. აიზენკი ძალზე სკეპტიკურად იყო განწყობილი იმ ცოდნისადმი, რომლის მიცემაც ამ მასწავლებლებს შეეძლოთ მისთვის და ყოველთვის იყენებდა შესაძლებლობას, მათთვის ეჯობნა ცოდნაში. ის შემდგომში წერდა, რომ პედანტი და სნობი იყო, რომელიც ვერ იტანდა სულელებს (და უბრალოდ ჩვეულებრივ ადამიანებსაც კი) (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

I მსოფლიო ომის შემდგომი მძიმე დრო, უქონლობა, ასტრონომიული ინფლაცია, მასობრივი უმუშევრობა და შიმშილის საფრთხე ჰიტლერის მთავრობაში მოსვლით, ერთი შეხედვით, თითქოს წარსულს ჩაბარდა. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა დაიწყო, საჭირო გახდნენ მეცნიერები და სპეციალისტები. თუმცა, როდესაც ნიჭიერმა ახალგაზრდამ სკოლის დაამთავრების შემდეგ ფიზიკის სასწავლებლად ბერლინის უნივერსიტეტში ჩაბარება განიზრახა, დადგა ფაქტის წინაშე, რომ უნივერსიტეტში მიღებისთვის აუცილებელი პირობა იყო ნაცისტურ საიდუმლო პოლიციაში შესვლა. ეს იდეა იმდენად ამაზრზუნად მოეჩვენა, რომ აიზენკმა ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა. ამის შესახებ იგი მოგვიანებით წერდა: „ვიცოდი, რომ ჩემთვის არ არსებობდა მომავალი ჩემს უბედურ ქვეყანაში“ (Eysenck, 1982, გვ. 289, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ვაშიზმთან შეტაკებამ და მემარცხენე რადიკალებთან შემდგომმა დაპირისპირებებმა აიზენკი მიიყვანა აზრამდე, რომ აზროვნების სიმკაცრის ანუ ავტორიტარიზმის ნიშანი პოლიტიკური სპექტრის ორივე ბოლოს ერთნაირად ახასიათებს. შემდგომში მან ამ ჰიპოთეზას მეცნიერული დასაბუთება მოუძებნა: ერთ-ერთ თავის კვლევაში აღმოაჩინა, რომ, მართალია, კომუნისტები რადიკალები არიან, ხოლო ფაშისტები — კონსერვატორები, პიროვნების ერთ-ერთი მახასიათებლის, კერძოდ, აზროვნების სიმკაცრის/მომთმენობის ანუ ტოლერანტობის თვალსაზრისით, ეს ორი ჯგუფი ჰგავს ერთმანეთს. ორივე მათგანი ავტორიტარიზმის, სიმკაცრისა და სხვათა აზრის მიმართ არატოლერანტობის უფრო მაღალ დონეს ავლენს, ვიდრე — საკონტროლო ჯგუფი (Eysenck, 1954, წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

18 წლის ასაკში აიზენკმა დატოვა გერმანია, ერთი წელიწადი საფრანგეთში გაატარა (Hjelle, L & Ziegler, D, 1992) და საბოლოოდ ინგლისში დამკვიდრდა, სადაც ლონდონის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. მან 1938 წელს მიიღო ბაკალავრის, 1940 წელს კი — დოქტორის ხარისხი (Hjelle, L & Ziegler, D, 1992). აიზენკის უნივერსიტეტში მოხვედრა ჭეშმარიტად ანეგდოტურ ამბავს უკავშირდება. სპეციალობა მან ბერლინშივე აირჩია და ეს იყო ფიზიკა, თუმცა, შემთხვევითობამ რადიკალურად შეცვალა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება და მოგვიანებით — მთელი ფსიქოლოგიის ისტორიაც. უნივერსიტეტში მოსახვედრად საჭირო იყო მისაღები გამოცდის ჩაბარება, რომლისთვისაც აიზენკი, კომერციულ კოლეჯში სწავლისას, მთელი წელიწადი ემზადებოდა. ჩააბარა რა ეს გამოცდა 1935 წელს, დარწმუნებული იყო, რომ უნივერსიტეტში ფიზიკის განყოფილებაზე მიიღეს. თუმცა, მოგვიანებით გამოირკვა, რომ მას შეცდომით სულ სხვა გამოცდა ჰქონია ჩაბარებული და არ ჰქონდა ფიზიკის კურსის მოსმენის უფლება. ერთი წლის ლოდინის ნაცვლად, ის დაინტერესდა, არსებობდა თუ არა რაიმე სხვა კურსი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა მისთვის. როდესაც უთხრეს, რომ ფსიქოლოგიის მოსმენის

უფლება ჰქონდა, მან სხვათა შორის იკითხა: „საერთოდ რა არის ეს ფსიქოლოგია?“ (Eysenck, 1982, გვ. 290, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

1940 წელს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მიღების დროისთვის აიზენკი უკვე ორი წლის დაქორწინებული იყო კანადელ მარგარეტ დევისზე, რომელმაც ლონდონის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ამ დროისათვის იგი „მტრული უცხოელის“ პოზიციაში აღმოჩნდა. ის არ იქნა ინტერნირებული, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისთვის საძულველი ფაშიზმის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება. ამის ნაცვლად, ყოველგვარი ფსიქიატრიული და პრაქტიკული კლინიკური მომზადების გარეშე, მან მილ-ჰილის ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა, სადაც სხვადასხვა ფსიქიატრიული სიმპტომის, მათ შორის შფოთვის, დეპრესიისა და ისტერიის, მქონე პაციენტები ჰყავდა (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). მისი პაციენტები ომის სტრესით გამოწვეული პრობლემების მქონე სამხედროებიც იყვნენ (Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

უნდა ითქვას, რომ აიზენკს არ აკმაყოფილებდა კლინიკური დიაგნოსტიკის იმჟამად არსებული ტრადიციული კატეგორიები. ფაქტორული ანალიზის გამოყენებით მან აღმოაჩინა, რომ ყველა ტრადიციული დიაგნოსტიკური ჯგუფი ორი ძირითადი პიროვნული ფაქტორით შეიძლება აღიწეროს: ნევროტიზმითა და ექსტრავერსია/ინტროვერსიით. ამ თეორიულმა ძიებებმა იგი პირველი წიგნის „პიროვნების განზომილებები“<sup>2</sup> გამოქვეყნებამდე მიიყვანა. ომის შემდეგ აიზენკი მოდსლის საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილების დირექტორი გახდა, ცოტა მოგვიანებით კი (1946 წლიდან) ლონდონის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ლექციების წაკითხვაც დაიწყო (Hjelle, L & Ziegler, D, 1992; Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). ამასთანავე, ის აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტის კონსულტანტ-ფსიქოლოგის თანამდებობაზეც მუშაობდა (Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

მიაჩნდა რა, რომ ბრიტანული კლინიკური ფსიქოლოგიის დონეს არასაკმარისად მაღალი იყო, აიზენკი 1949 წელს აშშ-სა და კანადის ფსიქოლოგიური პროგრამების გასაცნობად ჩრდილოეთ ამერიკაში გაემგზავრა. 1949-1950 წლებში პენსილვანიის უნივერსიტეტში მოწვეული პროფესორის თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა, ამ პერიოდში დროის დიდი ნაწილი აშშ-სა და კანადაში მოგზაურობას და კლინიკურ ფსიქოლოგიაში არსებული პროგრამების გაცნობას დაუთმო, რომლებიც, მისი შეფასებით, სრულიად არამეცნიერული იყო (Eysenck, 1980, 1990c, წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

ინგლისში დაბრუნების შემდეგ აიზენკი გაეყარა ცოლს და 1950 წელს მეორეჯერ იქორწინა სიბილ როსტალზე, ფსიქოლოგზე, ცნობილი მევიოლინის ქალიშვილზე, რომელიც ფილადელფიაში მოზაურობისას გაიცნო. ჰანს და სიბილ აიზენკებს სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ. მათ რამდენიმე ერთობლივი წიგნიც გამოსცეს (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

ლონდონის უნივერსიტეტში აიზენკმა კლინიკური ფსიქოლოგიის განყოფილება დააარსა, 1955 წლიდან გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდამდე ფსიქიატრიის ინსტიტუტის პროფესორი იყო. გარდა ამისა, თითქმის პენსიაზე გასვლამდე (1983 წ.) მოდსლის სამეფო ჰოსპიტლის და ბედლამის ცნობილი ფსიქიატრიული კლინიკის მთავარი ფსიქიატრის თანამდებობა ეკავა. 1983 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ სიკვდილამდე აიზენკი ლონდონის უნივერსიტეტში პროფესორ-ემერიტუსის სტატუსით მუშაობდა. ბოლო წლებში აიზენკს ადრინდელივით აინტერესებდა პიროვნების ფსიქოლოგიის სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, შემოქმედება და შემოქმედებითი უნარები (Eysenck, 1993, 1995, წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001), ასევე, ქცევის გავლენა სიმსივნურ და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებაზე (Eysenck & Grossarth-Maticek, 1991, წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001). ამავე პერიოდში დაწერა ავტობიოგრაფია და ბევრ დროს უთმობდა თავის საყვარელ საქმიანობას — ჩოგბურთს (Hjelle, L & Ziegler, D, 1992). აიზენკი 1997 წლის 4 სექტემბერს კიბოთი გარდაიცვალა.

ჯერ კიდევ აშშ-ში ყოფნისას დაიწყო აიზენკმა თავის ყველაზე ცნობილ წიგნზე „ადამიანის პიროვნების სტრუქტურა“<sup>3</sup> მუშაობა, რომელშიც დასაბუთებულად წარმოადგინა ფაქტორული ანალიზის, როგორც

<sup>2</sup> Dimensions of Personality, 1947.

<sup>3</sup> The Structure of Human Personality, 1952b.

პიროვნების შესახებ ცნობილი ფაქტების წარმოდგენის საუკეთესო მეთოდის, დასაბუთება. მთლიანობაში, გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის მიხედვით, აიზენკმა კეტელსაც კი აჯობა. 800-მდე საჟურნალო სტატიისა და წიგნებში ცალკეული თავების გარდა, მან 75-ზე მეტი წიგნი დაწერა, რომელთაგან ზოგიერთი თვალში საცემი, პუბლიკაზე გათვლილი სახელწოდებებით დაიბეჭდა, როგორცაა, მაგალითად, „ფსიქოლოგიის სარგებელი და ზიანი“ (*Uses and Abuses of Psychology*, 1953), „ფსიქოლოგიის აზრი და უაზრობა“ (*Sense and Nonsense in Psychology*, 1956), „ფაქტი და გამონაგონი ფსიქოლოგიაში“ (*Fact and Fiction in Psychology*, 1965), „ფსიქოლოგია — მეცნიერება ადამიანების შესახებ“ (*Psychology Is About People*, 1972b), „თქვენ და ნევროზი“ (*You and Neurosis*, 1977 b), „სექსი, ძალადობა და მედია“ (*Sex, Violence and the Media*, 1978, თანავტორთან, დ. კ. ბ. ნაისერთად ერთად), „მოწევა, პიროვნება და სტრესი“ (*Smoking, Personality and Stress*, 1991 c) და „გენიოსი: კრეატიულობის ბუნებრივი ისტორია“ (*Genius: The Natural History of Creativity*, 1995) (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

აიზენკი ფსიქოლოგიაში საკმაოდ წინააღმდეგობრივი ფიგურაა. ეს განპირობებულია, ნაწილობრივ, მისი ცენტრალური როლით ორ ყველაზე ცხარე მეცნიერულ დისკუსიაში. ესენია ინტელექტის მემკვიდრეობითობისა და ფსიქოთერაპიის შესახებ დისკუსიები. იგი ამტკიცებდა, რომ (ა) ინტელექტი, მნიშვნელოვანწილად, განპირობებულია მემკვიდრეობითობით და (ბ) ვერბალური თერაპიის ტრადიციულ ფორმებს (განსაკუთრებით ფსიქოანალიზს) მინიმალური მნიშვნელობა აქვთ, ან საერთოდ არაეფექტურია ფსიქიკური აშლილობების მკურნალობისას. ორივე ეს პოზიცია ფსიქოლოგიურმა საზოგადოებამ, მსუბუქად რომ ვთქვათ, თავშეკავებით მიიღო, რის გამოც აიზენკმა აღიარა: „მე, ჩვეულებრივ, წინააღმდეგი ვარ მეაბოხეთა სასარგებლო ისტებლიშმენტის. ვთვლი, რომ ამ პუნქტებთან დაკავშირებით უმრავლესობა ცდება, მე კი მართალი ვარ“ (Eysenck, 1982, გვ. 298, ციტირებულია წყაროში Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

## იდეური წანამძღვრები

აიზენკის პიროვნების თეორიაზე ყველაზე დიდი გავლენა სამმა მეცნიერმა მოახდინა: სირილ ბერტმა, ჩარლზ სპირმენმა და ივან პავლოვმა. ბერტმა, რომელიც მისი პროფესორი იყო და სპირმენმა, რომლის ლექციებსაც ესწრებოდა, აჩვენეს, რომ ფსიქომეტრული მეთოდები პიროვნული თვისებების კვლევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ. პავლოვისგან, რომელსაც პირადად არასოდეს შეხვედრია, აიზენკმა მიიღო ცოდნა პიროვნული სტრუქტურების ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ (Cohen, 1977, წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ასე რომ, აიზენკის თეორიაში მძლავრად არის წარმოდგენილი ფსიქომეტრული და ბიოლოგიური კომპონენტები (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ამრიგად, აიზენკის პროფესიულ ფორმირებაზე გავლენა მოახდინა სტატისტიკაში ფაქტორული ანალიზის აღმოჩენამ, ისეთი ევროპელი მეცნიერების ტიპოლოგიურმა მიდგომებმა, როგორებიც არიან იუნგი და კრეჩმერი; ასევე, ბერტის მიერ მემკვიდრეობითობის სფეროში წარმოებულმა კვლევებმა, პავლოვის ექსპერიმენტებმა და კლარკ ჰალის დასწავლის ამერიკულმა თეორიამ. მიუხედავად იმისა, რომ აიზენკის კვლევებში მონაწილეობდნენ როგორც ჯანმრთელი, ისე — დარღვეული ფსიქიკის მქონე ცდის პირები, მისი ნაშრომების ძირითადი ნაწილი მოდსლის ფსიქიატრიულ კლინიკაშია (ინგლისი) შექმნილი (Первин Л., & Джон О., 2002).

## აიზენკის შეხედულება მეცნიერებაზე

აიზენკი მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა მეცნიერულ კვლევა-ძიებას და დიდ ყურადღებას უთმობდა კონცეპტუალურ სიცხადესა და გაზომვას. ამის გამო ის ყოველთვის იყო ფსიქოანალიზის ერთ-ერთი მედგარი და თანმიმდევრული კრიტიკოსი. მართალია, აიზენკი იზიარებდა ნიშნების თეორიის ძირითად

იდებებს, ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო ნიშნების გაზომვის უფრო ადეკვატური მეთოდების შემუშავება და ისეთი თეორიის შექმნა, რომელიც შემოწმებადი და ფალსიფიცირებადი იქნებოდა (Первин Л., & Джон О., 2002).

მისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ყოველი ნიშნის მიღმა ბიოლოგიური საფუძვლის მოძიება. ეს ყველაფერი, აიზენკის აზრით, საჭიროა, რათა დაირღვეს ახსნების ჩაკეტილი წრე, როდესაც ნიშანს იყენებენ ქცევის ასახსნელად, რომელიც თავად მონაწილეობს ამ ნიშნის განსაზღვრებაში. მაგალითად, გიორგი იმიტომ ლაყბობს მეგობრებთან, რომ მას მაღალი ქულა აქვს „კომუნიზმურობის“ ნიშნის მიხედვით, მაგრამ დასკვნას იმის თაობაზე, რომ მას მაღალი ქულა აქვს ამ ნიშნის მიხედვით, იმ დაკვირვებებზე დაყრდნობით ვაკეთებთ, რომ ის ბევრ დროს ატარებს მეგობრებთან ლაყბობაში (Первин Л., & Джон О., 2002).

აიზენკი მეცნიერული კვლევის დედუქციურ მეთოდს იყენებდა, ანუ თეორიული კონსტრუქტებით იწყებდა და შემდეგ აგროვებდა მონაცემებს, რომლებიც ლოგიკურად შეესატყვისებოდა ამ თეორიას. როგორც ვიცით, აიზენკის თეორია ფაქტორული ანალიზის გამოყენებას ეფუძნება. თუმცა, ის თავად ამტკიცებდა, რომ ადამიანის პიროვნებისთვის დამახასიათებელი თვისებების სტრუქტურის გასაზომად არ არის საკმარისი მხოლოდ აბსტრაქტული ფსიქომეტრული კვლევა-ძიება და ფაქტორულ-ანალიტური მეთოდების მეშვეობით მიღებული ნიშნები და ტიპები ძალზე სტერილურია, მათ ვერანაირ მნიშვნელობას ვერ მივაწერთ მანამ, სანამ მათი ბიოლოგიური არსებობა არ დასაბუთდება (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## ნიშნების გაზომვა: ფაქტორული ანალიზი

ნიშნების გაზომვის მეთოდებისა და კლასიფიკაციის შექმნისას აიზენკი სტატისტიკურ ტექნიკას, კერძოდ, ფაქტორულ ანალიზს იყენებდა, რომლის პირველი პრინციპები ჯერ კიდევ 1905 წელს ჩამოაყალიბა სპირმენმა (Первин Л., & Джон О., 2002). ფაქტორულ-ანალიზურ კვლევაში დიდი როდენობით ცდის პირებს წარედგინებათ მრავალი ტესტური შეკითხვა, რომელთაც ისინი უნდა დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ. როგორც უკვე ვიცით, ფაქტორული ანალიზი არის ტექნიკა, რომლითაც შესაძლებელია იმ ჯგუფების (კლასტერების ანუ ფაქტორების) გამოყოფა, რომლებშიც ერთმანეთთან დაკავშირებული ნიშნები. მაგალითად, ფაქტორი, რომელიც იქმნება ორ ისეთ დებულებაზე დათანხმებით, როგორიცაა „მიყვარს ადამიანებთან დროის გატარება“ და „მიყვარს ხმაურიან წვეულებებზე სიარული“ და, ამასთანავე, ისეთ დებულებაზე არდათანხმებით, როგორიცაა „ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, სახლში დარჩენას ვამჯობინებდი ხმაურიან წვეულებებზე წასვლას“, წარმოქმნილია ადამიანებისკენ სწრაფვის ორი ნიშნითა და ჩაკეტილობის ერთი ნიშნით („მინუს“ ნიშნით), რაც ნიშნავს, რომ პარამეტრი, რომელიც აზრობრივად ახლოს დგას კომუნიკაბელურობის არსთან, საერთოა ამ სამი ნიშნისთვის (Первин Л., & Джон О., 2002).

ნიშნების თეორიის თანახმად, პიროვნების შიგნით არსებობენ ბუნებრივი სტრუქტურული ერთეულები და ფაქტორული ანალიზი მათი აღმოჩენის საშუალებას იძლევა. თუ გარკვეული მოვლენები (მაგალითად, ცვლადები ანდა ტესტის კითხვების პასუხები) ერთობლივად ვარიირებენ, ანუ ერთობლივად, ერთად ჩნდებიან და ქრებიან, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ რაღაც საერთო საფუძველი აქვთ, ანუ პიროვნული ფუნქციონირების ერთსა და იმავე ასპექტს მიეკუთვნებიან. ფაქტორული ანალიზი სწორედაც რომ იმ იდეას ეფუძნება, რომ მოქმედებები, რომლებიც ერთობლივად ვარიირებენ მრავალი ინდივიდის შემთხვევაში, ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ამგვარად, ფაქტორული ანალიზი სტატისტიკური მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ, რომელი მოქმედებები უკავშირდებიან ერთმანეთს და, ასევე, რომლები არიან ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი. ამ გზით შესაძლებელია პიროვნების სტრუქტურის ერთეულების ანუ ბუნებრივი ელემენტების ფიქსირება. ამ ერთეულებს *ფაქტორებს* უწოდებენ (Первин Л., & Джон О., 2002).

ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული ფაქტორები პიროვნების ნიშნებს წარმოადგენენ. შესაძლებელია ამ ფაქტორების ინტერპრეტირება და მათთვის სახელწოდებების მოფიქრება, მაგალითად, „კომუნიკაბელურობა“, რომელიც იმ საერთო შინაარსს ასახავს, რომელიც ამ ფაქტორთან დაკავშირებულ ნიშნებს აერთიანებს.

ფაქტორული ანალიზის განმეორებითი გამოყენებით („მეორადი“ ფაქტორული ანალიზი) აიზენკმა განსაზღვრა ბაზისური პარამეტრები, რომლებიც საფუძვლად უდევს თავდაპირველ („პირველად“) ფაქტორებს ანუ ნიშნებს, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ანალიზის პირველ ეტაპზე. ეს პარამეტრები მეორად ფაქტორებს ანუ *სუპერფაქტორებს* წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ნიშნები „კომუნიკაბელურობა“, „იმპულსურობა“, „აქტიურობა“, „მკვირცხლობა“, „აგზნებადობა“ შეიძლება გავაერთიანოთ მათი ზემდგომი ცნებით „ექსტრავერსია“. ამგვარად, სუპერფაქტორი არის პარამეტრი, რომელსაც ორი პოლუსი აქვს — ინტროვერსია და ექსტრავერსია, ხოლო ადამიანები ამ პოლუსებს შორის წერტილებზე შეგვიძლია განვალაგოთ (Первин Л., & Джон О., 2002).

ფაქტორული ანალიზის სფეროში აიზენკის მიერ შემოტანილი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ინოვაციაა კრიტერიალური ანალიზის ტექნიკა, რომელშიც ანალიზისას ფაქტორი იმგვარად ზუსტდება, რომ მაქსიმალურად გამოცალკევდეს კონკრეტული კრიტერიალური ჯგუფი. ასე მაგალითად, ნევროტიზმის ფაქტორის განსაზღვრისას აიზენკმა ისე გამოიყვანა ფაქტორი, რომ მაქსიმალურად მკაფიოდ განესხვავებინა ერთმანეთისგან ნევროტული და არანევროტული ჯარისკაცები (Eysenck, 1952, წყაროში Холл К. С., Линдсей Г., 1997).

მიუხედავად იმისა, რომ აიზენკიც, კეტელის მსგავსად, კითხვარით გაზომილი მრავალი ნიშნის შედარებით მცირე ოდენობის ბაზისურ განზომილებებზე დასაყვანად ფაქტორულ ანალიზს იყენებდა (McAdams, D. P., 2006), ისინი ვერ თანხმდებოდნენ ამ მეთოდის კონკრეტული სახეობის პრიორიტეტულობის შესახებ. მარტივად რომ ვთქვათ, აიზენკს მიაჩნდა,<sup>4</sup> რომ შედეგიანი ნიშნების ფაქტორების მიღება ფაქტორული ანალიზის შედეგად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ეს ფაქტორები ერთმანეთისგან სტატისტიკურად დამოუკიდებელია; ეს ნიშნავს იმას, რომ ფაქტორები იმგვარად უნდა დალაგდნენ, ანუ ისეთი როტაცია უნდა მოხდეს, რომ მათ შორის არ არსებობდეს კორელაცია. სხვა სიტყვებით, მიღებული ფაქტორები ორთოგონალური<sup>5</sup> უნდა იყოს. მეორე მხრივ, კეტელი ამტკიცებდა, რომ არ არის აუცილებელი ორთოგონალური ფაქტორული ანალიზის, როგორც პრიორიტეტული სტატისტიკური მეთოდის, გამოყენება და შეიძლება, რომ ფაქტორები კორელირებდნენ ერთმანეთთან. შესაბამისად, ის *გადახრილი* ფაქტორული ანალიზის გამოყენების მომხრეა. სხვა სიტყვებით, ამ მეთოდით მიღებული ფაქტორები აუცილებლობით არ არიან ერთმანეთისადმი მართი კუთხით განლაგებულნი ანუ მათ შორის შეიძლება არსებობდეს კორელაცია.

სწორედ ფაქტორების მიღების მეთოდისადმი განსხვავებული მიდგომის გამო განხვავდება ასე რადიკალურად კეტელისა და აიზენკის მიერ გამოყოფილი ფაქტორების რაოდენობა. როგორც ვიცით, კეტელისთვის ეს იყო 16 ძირითადი ფაქტორი, აიზენკისთვის კი — მხოლოდ სამი (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

## ნიშნების სამფაქტორიანი იერარქიული მოდელი

აიზენკის თეორიის ბირთვს მის მიერ შემუშავებული კონცეფცია შეადგენს, რომლის მიხედვითაც, პიროვნების ელემენტები იერარქიულად არიან განლაგებულნი. აიზენკმა ქვევის ორგანიზაციის

<sup>4</sup> ამავე პოზიციას იზიარებდა ნიშნების ფსიქოლოგიის იმდროინდელი ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ჯ. გილფორდიც (1959).


<sup>5</sup> ერთმანეთისადმი მართი კუთხით (90°-ით) უნდა განლაგდნენ.



ოთხდონიანი იერარქიული სისტემა შექმნა (სურ. N1) (Pervin, L. A., 2003; Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

აიზენკი გამოყოფდა შემდეგ დონეებს (John, O., Robins, R. W., & Pervin, L. A., 2008): (1) სპეციფიკური

სურ. N1. პიროვნების ორგანიზაციის დიაგრამული რეპრეზენტაცია აიზენკის მიხედვით (Pervin, L. A., 2003).



ქცევები ან აზრები; (2) ჩვეული აქტები ან აზრები; (3) ნიშნები ანუ პიროვნული დისპოზიციები და (4) ტიპები ანუ სუპერფაქტორები. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

პირველი, ყველაზე ქვედა დონეა *სპეციფიკური მოქმედებები/ქცევები ან კოგნიციები* (აზრები) — მოქმედების ინდივიდუალური გზები ანდა აზრები, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს ან არ ახასიათებდეს პიროვნებას. მაგალითად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სტუდენტი, რომელიც მაშინ იწყებს რეგულში გეომეტრიული ფიგურების ხატვას, როდესაც ვერ ახერხებს დავალების შესრულებას. თუ მისი კონსპექტები არ არის თავიდან ბოლომდე მოხატული, ვერ ვამტკიცებთ, რომ ასეთი მოქმედება მისთვის პირველადი გახდა.

მეორე დონეა *ჩვეული მოქმედებები ან კოგნიციები* (აზრები) — რეაქციები, რომლებიც მეორდება გარკვეულ პირობებში. თუ სტუდენტი მუდმივად გულმოდგინედ მუშაობს დავალებაზე მანამდე, ვიდრე არ მიაგნებს ამოხსნას, ასეთი ქცევა მის ჩვეულ რეაქციად იქცევა. სპეციფიკური რეაქციებისგან განსხვავებით, ჩვეული რეაქციები საკმარისად რეგულარულად უნდა ჩნდებოდნენ ან თანმიმდევრულნი უნდა იყვნენ. *ჩვეული რეაქციები სპეციფიკური რეაქციების ფაქტორული ანალიზით გამოიყოფა.*

მესამე დონეა *ნიშანი*. აიზენკი ნიშანს განმარტავს, როგორც „მნიშვნელოვან, ნაწილობრივ მუდმივ პიროვნულ თვისებას“ (Eysenck, 1981, გვ. 3, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ნიშანი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ჩვეული რეაქციისგან ფორმირდება. მაგალითად, თუ სტუდენტს ჩვევად აქვს, რომ კლასში ყველა დავალება შეასრულოს და სხვა ნებისმიერ სამუშაოსაც არ ტოვებს დაუმთავრებლად, შეიძლება ითქვას, რომ იგი დაბეჯითებულობის ნიშნით ხასიათდება. ნიშნების დონის ქცევითი მახასიათებლები ჩვეული რეაქციების ფაქტორული ანალიზით მიიღება, ხოლო ნიშნები „ჩვეული ქცევის სხვადასხვა ვარიანტს შორის მნიშვნელოვანი კორელაციების არსებობით განისაზღვრება“ (Eysenck, 1990, გვ. 244, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). კეტელის მიერ გამოყოფილი 35 ნორმალური და პათოლოგიური პირველადი ძირითადი ფაქტორის დიდი ნაწილი ქცევის ორგანიზაციის მესამე (ანუ ნიშნების) დონეს მიეკუთვნება, რითიც აიხსნება ის ფაქტი, რომ კეტელმა გაცილებით მეტი ფაქტორი გამოყო, ვიდრე აიზენკმა.

მეოთხე, ქცევის ორგანიზაციის უმაღლესი დონეა *ტიპების ანუ სუპერფაქტორების* დონე. ტიპს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ნიშანი ქმნის. მაგალითად, დაბეჯითებულობა შეიძლება

უკავშირდებოდეს საკუთარი არასრულფასოვნების გრძობას, ცუდ ემოციურ შეგუებულობას, სოციალურ მორცხვობას და კიდევ რამდენიმე ნიშანს, რომელიც ერთად ინტროვერტირებულ ტიპს ქმნიან (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

პიროვნების აიზენკისეული იერარქიული მოდელის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ აქ ტერმინი „ტიპი“ კონტინუუმზე პარამეტრების მნიშვნელობების ნორმალურ განაწილებას გულისხმობს. ამიტომ, მაგალითად, ცნება ექსტრავერსია ზედა და ქვედა საზღვრების მქონე დიაპაზონს წარმოადგენს, რომლის შიგნითაც ადამიანები ამ თვისების გამოხატულობის მიხედვით თავსდებიან. ამგვარად, ექსტრავერსია დისკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებელი კი არ არის, არამედ გარკვეული კონტინუუმი. სწორედ ამიტომ იყენებს აიზენკი ამ შემთხვევაში ტერმინს „ტიპი“ (Hjelle, L & Ziegler, D, 1992).

## სუპერნიშნები ანუ ტიპები

ადრეულ ნაშრომებში აიზენკი პიროვნების მხოლოდ ორ ბაზისურ პარამეტრს, ზოგად ტიპს ანუ სუპერფაქტორს გამოყოფდა (McAdams, D. P., 2006; (McCrae, R. R. and Costa, P. T. JR., 2006): ექსტრავერსია-ინტროვერსიას (E) და ნევროტიზმის (N) (ემოციური სტაბილობა-ლაბილობა).


პიროვნების ამ ორი ბაზისური პარამეტრის კავშირი ტემპერამენტის ოთხ ტიპთან და პიროვნული მახასიათებლების უფრო ფართო სპექტრთან, წარმოდგენილია სურათზე N2.

აიზენკმა მოახდინა ორი განზომილების — ექსტრავერსიისა და ნევროტიზმის — კომბინირება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი წრეზე გამოსახვა. აიზენკის მიხედვით, წრის თითოეული სექტორი წარმოადგენს ჰიპოკრატეს მიერ გამოყოფილი პიროვნების ტიპებიდან ერთ-ერთს. თუმცა, აიზენკის თეორია ამ კატეგორიებში ვარიაციების შესაძლებლობას ქმნის. ინდივიდი შეიძლება წრის ნებისმიერ წერტილში აღმოჩნდეს, ძალიან ინტროვერტირებულიდან ძალიან ექსტრავერტირებულამდე და ძალიან ლაბილურიდან (ნევროტულიდან) ძალიან სტაბილურამდე. წრეზე წარმოდგენილი ნიშნები ადამიანებს ამ ორი განზომილების კომბინაციების ტერმინებით აღწერს (McAdams, D. P., 2006). მაგალითად, ძალიან ექსტრავერტირებული და მეტ-ნაკლებად ლაბილური ადამიანი მოსალოდნელია, რომ იმპულსური იყოს (გერიგი & ზიმბარდო ფ., 2009; Hjelle, L & Ziegler, D, 1992; Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ამრიგად, აიზენკის მიხედვით, მელანქოლიკი ტიპი არის ინტროვერტი, რომელიც მაღალი ნევროტიზმით ხარიათდება (E-N+). ფლეგმატური ტიპია ინტროვერტი დაბალი ნევროტიზმით (E-N-). ქოლერიკი მათალი ნევროტიზმის მქონე ექსტრავერტია (E+N+). სანგვინიკს კი დაბალი ნევროტულობის მქონე ექსტრავერტი ქმნის (E+N-) (Cloninger, 2004) (იხ. ცხრილი 1).

მხოლოდ მას შემდეგ, რას პიროვნების ორ ბაზისურ პარამეტრზე დაფუძნებული ტიპოლოგია შექმნა, აიზენკმა დაამატა მესამე პარამეტრი, მესამე ტიპი *ფსიქოტიზმი* (P) (ცხრილი 2), თუმცა, არ უარყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ სისტემაში კიდევ შეიტანდა ცვლილებებს (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001; Первин Л., Джон О., 2002). ამ პარამეტრის მიხედვით მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანები მიდრეკილები არიან მარტოობისკენ, უგრძობლობისკენ და სხვებისადმი უყურადღებობისკენ და ქცევის დადგენილი ნორმების წინააღმდეგნი არიან.

სურ. N2. პიროვნების ფაქტორული ანალიზით მიღებული ორი ბაზისური პარამეტრის შესატყვისობა ტემპერამენტის ტრადიციულ ოთხ ტიპთან (Eysenck, 1973, წყაროში McAdams, D. P., 2006).



აიზენკის მიერ გამოყოფილი პირველი ორი ფაქტორი შედარებით ნორმალური ფუნქციონირების მქონე პიროვნების მახასიათებლებს შეეხება, ხოლო ფსიქოტიზმი ისეთი ფუნქციონირების განზომილებაა, რომელიც, ჩვეულებრივ, ფსიქოტურობასთან და ფსიქოტურ ქცევასთან ასოცირდება, როგორცაა, მაგალითად, ბოღვითი აზრები, მოჭარბებული სისასტიკე და ანტისოციალური ქცევა (McAdams, D. P., 2006).

აიზენკის მიერ იდენტიფიცირებული სამი განზომილების აღსანიშნად გამოიყენება აკრონიმი PEN. საინტერესოა, რომ პირველი ორი განზომილება (E, N) გავს იმას, რასაც მივიღებთ, თუ კეტელის მიერ გამოყოფილ 16 ფაქტორს შემდგომ ფაქტორულ ანალიზს დავუქვემდებარებთ, ხოლო მესამე განზომილება (P) უფრო წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა (McAdams, D. P., 2006).

აიზენკი და ლონგი (1986, წყაროში Первин Л., Джон О., 2002) აღნიშნავენ, რომ ამ სამი პარამეტრის არსებობის დამადასტურებელი მრავალი საბუთი არსებობს. ისინი აღმოჩენილია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ინდივიდების კვლევისას და არსებობს მტკიცებულებები, რომ ყოველ პარამეტრში წარმოდგენილია მემკვიდრეობის კომპონენტი (Первин Л., & Джон О., 2002). აიზენკი სამივე ამ პარამეტრს ანუ ტიპს პიროვნების ნორმალური სტრუქტურის ნაწილებად მიიჩნევდა. სურათზე N3 წარმოდგენილია აიზენკის მიერ გამოყოფილი P, E და N ფაქტორების იერარქიული სტრუქტურა.

ცხრილი 1. აიზენკის ფაქტორები და ძველბერძნული ტემპერამენტები.

ბერძნული სიტყვები	ბერძნული ტემპერამენტები	აღწერა	აიზენკის ფაქტორები
ყვითელი ნაღველის სიჭარბე	ქოლერიკი	გაღიზიანებადი	არასტაბილური (მაღალი ნევროტიზმი) ექსტრავერტი (მაღალი ექსტრავერსია)
შავი ნაღველის სიჭარბე	მელანქოლიკი	დეპრესიული	არასტაბილური (მაღალი ნევროტიზმი) ინტროვერტი (დაბალი ექსტრავერსია)
სისხლის სიჭარბე	სანგვინიკი	ენერგიული, ოპტიმისტური	სტაბილური (დაბალი ნევროტიზმი) ექსტრავერტი (მაღალი ექსტრავერსია)
ფლეგმის სიჭარბე	ფლეგმატიკი	აპათიური	სტაბილური (დაბალი ნევროტიზმი) ინტროვერტი (დაბალი ექსტრავერსია)

შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილი შესატყვისობები აღებულია ნაშრომიდან Eysenck & Eysenck, 1975 და Clark & Watson, 1999, წყაროში Cloninger, 2004.

სამივე ტიპი ბიპოლარულია და თუ E ფაქტორის ერთ ბოლოში ექსტრავერსიაა განთავსებული, მაშინ საწინააღმდეგო პოლუსზე ინტროვერსია იქნება. ანალოგიურად, N ფაქტორი მოიცავს ნევროტიზმს ერთ პოლუსზე და სტაბილურობას მეორე პოლუსზე, ხოლო P ფაქტორის ერთ პოლუსზე ფსიქოტიზმია, მეორეზე — სუპერ ეგოს ძალა. აიზენკის ფაქტორების ბიპოლარობა არ გულისხმობს ადამიანთა უმრავლესობის ერთი ან მეორე პოლუსისადმი მიკუთვნებულობას. ყოველი ტიპისთვის ჩვეული მახასიათებლების განაწილება ბიომოდალური უფროა, ვიდრე უნიმოდალური.

მაგალითად, ექსტრავერსიის განაწილება, ინტელექტისა და სიმაღლის განაწილების მსგავსად, ძალიან უახლოვდება ნორმალურს. ადამიანთა უმრავლესობა ზარისებრი განაწილების შუა ნაწილში ხვდება. ამგვარად, აიზენკი (1994c წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001) არ თვლიდა, რომ შესაძლებელია ადამიანების რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიად დაყოფა.

ცხრილი 2. აიზენკის სამი სუპერფაქტორი.

ფაქტორი	აღწერა
ნეიროტიციზმი	მშფოთვარე, დეპრესიული, დანაშაულის განცდა, დაბალი თვითშეფასება, დამაბული, გაღიზიანებული, მორცხვი, მოღუშული, ემოციური
ექსტრავერსია	სოციალური, სიცოცხლის მოყვარული, ასერტიული, განცდების მაძიებელი, უდარდელი, დომინანტური, თავგადასავლების მოყვარული, დინამიური-მოძრავი
ფსიქოტიზმი	აგრესიული, ცივი, უემოციო, ეგოცენტრული, უსახური, ანტისოციალური, იმპულსური, არაემპათიური, კრეატული, ხისტი აზროვნების

წყარო: Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009.

### ინტროვერსია-ექსტრავერსია

ინტროვერსია-ექსტრავერსიის განზომილება მოიაზრებს განსხვავებებს სოციაბილურობასა და იმპულსურობაში (Pervin, L. A., 2003). ტიპური ექსტრავერტი სოციაბილურია, უყვარს წვეულებები, ჰყავს ბევრი მეგობარი, ესწრაფვის აგზნებებს და მოცემული მომენტის მიხედვით მოქმედებს. ინტროვერტი, ამის საპირისპიროდ, სიმშვიდის მოყვარული, ინტროსპექციული, თავმეკავებული და რეფლექსიურია; არ ენდობა იმპულსურ გადაწყვეტილებებს და კარგად მოწესრიგებულ ცხოვრებას ანიჭებს უპირატესობას (მოულოდნელობებითა და რისკებით სავსესთან შედარებით).


დიდი რაოდენობით კვლევა მიუთითებს ინტროვერტისა და ექსტრავერტის ფუნქციონირებას შორის არსებულ ფუნდამენტურ განსხვავებებზე (McAdams, D. P., 2006; Pervin, L. A., 2003): ინტროვერტები, ექსტრავერტებთან შედარებით, უფრო მგრძობიარენი არიან ტკივილის მიმართ, უფრო ადვილად იღლებიან, აგზნება ამცირებს მათ პროდუქტულობას, კარგად სწავლობენ სკოლაში, თავისუფალი დროის მარტოობაში გატარებას ამჯობინებენ, ნაკლებად ახვევენ სხვებს თავიანთ მოსაზრებებს და ნაკლებად

სექსუალურად აქტიური არიან, იქნება ეს სიხშირისა თუ პარტნიორების მრავალფეროვნების თვალსაზრისით (Eysenck, 1990, წყაროში Pervin, L. A., 2003).

აიზენკის (1991, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) კვლევები აჩვენებს, რომ ტიპურ ექსტრავერტს უყვარს პრაქტიკული ხუმრობები, ყოველთვის არ არის სანდო და დროდადრო შეიძლება წონასწორობიდანაც გამოვიდეს. ტიპური ინტროვერტი უპირატესობას ანიჭებს წიგნებს (და არა ადამიანებს), სერიოზულია, აკონტროლებს საკუთარ ემოციებს, სანდოა და მაღალი ეთიკური სტანდარტებით გამოირჩევა.

აიზენკი თვლის, რომ პიროვნებებს შორის ინდივიდუალური განსხვავებები ბიოლოგიური ფუნქციონირების განსხვავებულობის ასახვაც არის. ამიტომ მიაჩნდა, რომ ინტროვერტებს, ექსტრავერტებთან შედარებით, უფრო ადვილად ადაგზნებენ მოვლენები და უადვილდებათ სოციალური აკრძალვების დასწავლა. შედეგად, ინტროვერტები მეტად შეზოგადები და შეზღუდულები არიან. არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ სწავლის პროცესში ინტროვერტებზე დასჯა უფრო მეტ გავლენას ახდენს, ხოლო ექსტრავერტები წახალისებას უფრო მეტად რეაგირებენ (Eysenck, 1990, წყაროში Pervin, L. A., 2003).

სურ. N3. ფსიქოტიზმის, ექსტრავერსია-ინტროვერსიისა და ნეიროტიციზმის იერარქიული სტრუქტურა (Pervin, L. A., 2003).



### ნეიროტიციზმი

ნეიროტიციზმის მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანები ხასიათდებიან ემოციური ლაბილობით, ხშირი შფოთვითა და სხეულებრივი ჩივილებით, როგორცაა, მაგალითად, თავის ტკივილი, მუცლის

პრობლემები, თავბრუსხვევები. მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ, ნერვიულობისკენ, ცუდად სძინავთ და ფსიქოსომატური დაავადებების განვითარების ტენდენციით ხასიათდებიან; ემოციები გავლენას ახდენენ მსჯელობაზე, ნერვიულობენ იმაზე, რომ მოვლენები შეიძლება არასწორად განვითარდნენ. ნევროტულობის დაბალი მაჩვენებლების მქონე ინდივიდები სწრაფად რეაბილიტირდებიან უარყოფითი ემოციური გამოცდილების შემდეგ და ზოგადად მშვიდი და გაწონასწორებული ბუნებით გამოირჩევიან (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009; Pervin, L. A., 2003).

აიზენკი თვლის, რომ მოუხედავად ნევროტიზმთან, როგორც კლინიკურ მდგომარეობასთან, აშკარა კავშირის არსებობის შესაძლებლობისა, ნეიროტიციზმის განზომილება შეიძლება მხოლოდ პიროვნული ნიშანი იყოს და აუცილებლობით არ ასოცირდებოდეს პათოლოგიურ მდგომარეობასთან. ის გვთავაზობს ამ ნიშნის არაკლინიკურ ალტერნატიულ დასახელებას *ემოციურობას* (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

## ფსიქოტიზმი

მიუხედავად იმისა, რომ (Pervin, L. A., 2003) ფსიქოტიზმის განზომილება, ექსტრავერსია-ინტროვერსიასთან შედარებით, მეტად ბუნდოვანია, დიდწილად, აგრესიულობის, ემოციური სიცივის, ეგოცენტრულობის, უსახურობის, არასოციალიზირებულობისა და არაკონვენციონალობის ტენდენციებს უკავშირდება.

აიზენკის (1991, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009)) კვლევა აჩვენებს, რომ ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები ზოგჯერ სასტიკნი, პრობლემურები, არაემპათიურები და აგრესიულები არიან; გამოირჩევიან უჩვეულო გემოვნებით. ეს განზომილება ნაწილობრივ ფარავს ისეთ ცნებებს, როგორცაა შიზოიდური და ანტისოციალური პიროვნული აშლილობები.

ეს ტერმინი, გარკვეულწილად, არამომგებიანია, ვინაიდან გვაფიქრებინებს, რომ ფსიქოპათოლოგიას მოიაზრებს, რომელსაც ფსიქოზს ვუწოდებთ; თუმცა, ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ნიშანი შეიძლება ფსიქოზისკენ პრედისპოზიციაზე მიუთითებდეს, ამ განზომილებაზე არსებული ინდივიდუალური განსხვავებები ნორმალური განაწილების მრუდზე ლაგდება, რაც, ასე თუ ისე, არ უკავშირდება ფსიქოზის კლინიკურ მდგომარეობას. ასევე, მართალია, ნიშნის აღმწერი მახასიათებლების უმეტესობა უარყოფითი სოციალური ღირებულების მატარებელია, აიზენკი (1993) ფსიქოტიზმის მაღალ ქულას კრეატულობასთან აკავშირებდა. სავარაუდოდ, აქ მნიშვნელოვანია არატრადიციულად აზროვნების უნარი, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კრეატულობისთვის, თუმცა, მხოლოდ ეს არ არის შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის საკმარისი წინაპირობა (Pervin, L. A., 2003).


აიზენკი გვთავაზობს ფსიქოტიზმის, როგორც ნიშნის, არაკლინიკურ ეკვივალენტს *აზროვნების სიხისტე-სუპერეგოს კონტროლი*.

## ფაქტორების იდენტიფიკაცია

აიზენკი (1993, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) აღნიშნავს, რომ მის მიერ იდენტიფიცირებული განზომილებები ნომოლოგიურ ბადეში არსებობენ, რაც ქმნის კიდევ მათ ვალიდობას. ეს ბადე უნდა უზრუნველყოფდეს განზომილების ფსიქომეტრულ თვისებებს, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ საფუძველს, კულტურულ რელევანტურობას, სოციალურ ქცევასთან და დაავადებასთან მიმართებასა და მის როლს ფსიქოლოგიურ კვლევაში.

აიზენკის გვთავაზობს პიროვნების ნიშნების ანუ მის მიერ იდენტიფიცირებული სუპერფაქტორების კვლევისა და თეორეტიზაციის სქემას, რომელიც დიაგრამის სახით არის წარმოდგენილი სურათზე N4.

სურ. N4. პიროვნების ნებისმიერი მიზეზ-შედეგობრივი თეორიის შექმნის ხუთი ეტაპის სქემატური რეპრეზენტაცია: P- ფსიქოტიზმი, E - ექსტრავერსია, N - ნეიროტიციზმი.



### კრიტერიუმები

აქედან გამომდინარე, აიზენკმა ფაქტორების იდენტიფიკაციის რამდენიმე კრიტერიუმი გამოყო (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001):

- უნდა მომხდარიყო ფაქტორის არსებობის *ფსიქომეტრული დასაბუთება*. ამ კრიტერიუმიდან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ ფაქტორი სტატისტიკურად სანდო და შემოწმებადი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით, დამოუკიდებელი ლაბორატორიების წარმომადგენელ სხვა მკვლევრებსაც უნდა შეეძლოთ ამ ფაქტორის მიღება.

- ფაქტორი *მემკვიდრეობითობით* უნდა ხასიათდებოდეს და დადგენილ გენეტიკურ მოდელს აკმაყოფილებდეს. ეს კრიტერიუმი გამორიცხავს ისეთი დასწავლილი მახასიათებლების განხილვის საჭიროებას, როგორცაა, მაგალითად, ცნობილი ადამიანების ხმების მიბაძვა ანდა პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები.

- ფაქტორს *აზრი უნდა ჰქონდეს თეორიის თვალსაზრისით*. სხვა სიტყვებით, შესაძლებელი უნდა იყოს ფსიქოლოგიურ კვლევაში მისი ჩართვა.

- ფაქტორის *სოციალური შესატყვისობა/რელევანტურობა*, ანუ უნდა ვაჩვენოთ, რომ მათემატიკურად გამოყვანილი ფაქტორი გარკვეულ (არა აუცილებლად მკაცრად მიზეზ-შედეგობრივ) მიმართებაშია სოციალურ მოვლენებთან, მაგალითად, ისეთთან, როგორცაა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, უსიამოვნო სიტუაციებში მოხვედრისკენ მიდრეკილება, განსაკუთრებული მიღწევები სპორტში, ფსიქოტური ქცევა, დანაშაული და ა. შ.

### აიზენკის სამი ფაქტორის შესატყვისობა დასახელებულ კრიტერიუმებთან

აიზენკი ამტკიცებდა, რომ მის მიერ გამოყოფილი თითოეული ტიპი აკმაყოფილებდა პიროვნული მახასიათებლების იდენტიფიკაციის ამ ოთხ კრიტერიუმს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

პირველ რიგში, არსებობს თითოეული ფაქტორის არსებობის ფსიქომეტრული დასაბუთება. ეს განსაკუთრებით ფაქტორებს E-სა და N-ს ეხება. ფაქტორი P აიზენკის ნაშრომებში მოგვიანებით ჩნდება და

მისთვის ჯერ კიდევ ვერ მოიძებნა ასეთი სანდო დასაბუთება. ექსტრავერსია და ნევროტიზმი (ანუ შფოთვა) პიროვნების თითქმის ყველა ფაქტორულ-ანალიტური კვლევის ძირითადი ტიპები ანუ სუპერფაქტორებია. მაგალითად, როისმა და პაუელმა აიზენკის E და N ფაქტორები კეტელის მეორე რიგის ნიშნებს შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ აიზენკისეული ფაქტორი E (ექსტრავერსია) კეტელისეულ QI (ექსვია/ინვია) ფაქტორს შეესატყვისება, ხოლო ფაქტორი N (ნევროტიზმი) ძალიან ჰგავს კეტელის QII (შფოთვა) ფაქტორს.

მეორე, აიზენკი ამტკიცებდა, რომ თითოეულ სუპერფაქტორს მკაცრი ბიოლოგიური საფუძველი აქვს. ამასთანავე, აცხადებდა, რომ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა თანხმობისადმი მზაობა და პატიოსნება, რომლებიც „დიდ ხუთეულში“ შედიან, არ გააჩნიათ ბიოლოგიური საფუძველი.

მესამე, სამივე ტიპს, განსაკუთრებით E-სა და N-ს, თეორიული აზრი გააჩნიათ. იუნგი, ფროიდი და სხვა თეორეტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ექსტრავერსია-ინტროვერსია და შფოთვა-ემოციური სტაბილობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქცევაზე. ნეიროტიციზმი და ფსიქოტიზმი არ ახასიათებს მხოლოდ პათოლოგიურ ინდივიდებს, თუმცა, ფსიქიკურად დაავადებულებს ნამდვილად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ამ ორი ფაქტორის საზომ სკალაზე, ვიდრე ნორმალურ ადამიანებს. აიზენკი გვთავაზობდა P ფაქტორის თეორიულ დასაბუთებას, რომელიც აგებული იყო ჰიპოთეზაზე, რომ ადამიანთა ძირითად მასაში ფსიქიკური ჯანმრთელობის მახასიათებლები უწყვეტადაა განაწილებული. ზარისებრი განაწილების ერთ ბოლოში აბსოლუტურად ჯანმრთელი თვისებებია განთავსებული, როგორიცაა ალტრუიზმი, კარგი სოციალური ადაპტაცია და თანაგანცდა, მეორეზე კი — ისეთი თვისებები, როგორიცაა მტრულობა, აგრესიულობა და შიზოფრენიული რეაქციებისკენ მიდრეკილება. ადამიანი თავისი მახასიათებლებით ამ უწყვეტი სკალის ნებისმიერ წერტილში შეიძლება იმყოფებოდეს და არავინ აღიქვამს მას ფსიქიკურად დაავადებულად. თუმცა, აიზენკმა შეიმუშავა ფსიქიკური დაავადების წარმოქმნის *დიათეზის-სტრესის მოდელი*, რომლის თანახმადაც, ზოგიერთი ადამიანი უფრო მოწყვლადია დაავადების მიმართ, ვინაიდან მათ გარკვეული გენეტიკური ან შეძენილი სისუსტე აქვთ, რაც მათ უფრო მეტად მიდრეკილს ხდის ფსიქიკური დაავადებისადმი. წინასწარი მზაობა (დიათეზისი), სტრესულ სიტუაციასთან ერთად, ფსიქოტურ მოვლენებს უდებს სათავეს. აიზენკი ფიქრობს, რომ ადამიანებთან, რომელთა მახასიათებლებიც P სკალის ჯანმრთელი ბოლოსკენ თავსდება, ძლიერი სტრესის პერიოდებშიც კი მდგრადები იქნებიან ფსიქოტური ჩავარდნების მიმართ. მეორე მხრივ, მათთან, ვინც ამავე სკალის არაჯანმრთელი ბოლოსკენ თავსდებიან, მინიმალურმა სტრესმაც კი შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოტური რეაქცია. სხვა სიტყვებით, რაც მეტია ფსიქოტიზმის მაჩვენებელი, მით ნაკლები სტრესული ზემოქმედებაა (ანუ ნაკლებად ინტენსიური სტრესორი) საჭირო ფსიქოტური რეაქციების წარმოქმნისთვის (Freidjher, P. & Фейдимен Дж., 2001).

მეოთხე, აიზენკმა არაერთხელ აჩვენა, რომ მისი სამი ტიპი ისეთ სოციალურ საკითხებს უკავშირდება, როგორიცაა ნარკოტიკები (Eysenck, 1983), სექსუალური ქცევა (Eysenck, 1976), დანაშაული (Eysenck, 1964; Eysenck & Gudjonsson, 1989), კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა (Eysenck, 1991b, 1991c; Grossart-Maticek, Eysenck, & Vetter, 1988) და შემოქმედება (Eysenck, 1993).

## ნიშნების გაზომვა კითხვარების გამოყენებით

აიზენკმა შეიმუშავა ოთხი პიროვნული კითხვარი, რომელიც სუპერფაქტორების გასაზომად იყო მოწოდებული. პირველი მათგანია *მოდსლის პიროვნული კითხვარი*,<sup>6</sup> რომელიც მხოლოდ E და N ფაქტორების შეფასების საშუალებას იძლევა და მათ შორის გარკვეულ არანულოვან კორელაციასაც იძლეოდა. ამიტომ აიზენკმა შეიმუშავა მეორე ინსტრუმენტი, *აიზენკის პიროვნული კითხვარი*.<sup>7</sup> ამ კითხვარში ცალკეა მოცემული სიცრუის სკალა (L), რათა გამოირიცხოს მიზანმიმართული ტყუილი, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ამ კითხვარით მიღებული ნევროტიზმისა და ექსტრავერსიის ფაქტორები დამოუკიდებელი გამოდის, მათ შორის კორელაცია ახლოს არის ნულთან. EPI ჯერ კიდევ ორფაქტორიანი

<sup>6</sup> Maudsley Personality Inventory – MPI.

<sup>7</sup> Eysenck Personality Inventory – EPI.



კითხვარი იყო, ამიტომ აიზენკმა შემდგომში (1975) გამოაქვეყნა მესამე პიროვნული კითხვარი (McCrae, R. R. and Costa, P. T. JR., 2006), კერძოდ, *აიზენკის ახალი პიროვნული კითხვარი*,<sup>8</sup> რომელიც EPI-ს გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენდა და ფსიქოტიზმის (P) სკალასაც მოიცავდა. ფსიქოტიზმის სკალის კრიტიკამ კითხვარის კიდევ ერთ რედაქციამდე მიიყვანა აიზენკი, რომელსაც *აიზენკის გადასინჯული პიროვნული კითხვარი*<sup>9</sup> ეწოდა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

აიზენკის კითხვარის მიხედვით, ტიპური ექსტრავერტი დადებით პასუხებს იძლევა ისეთ კითხვებზე, როგორცაა „ადამიანები სიცოცხლის მოყვარულ ადამიანად გთვლიან?“, „იგრძნობდით თავს უბედურად, დროის უმეტეს ნაწილს ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე რომ ატარებდით?“, „ხშირად გსურთ ემოციური აგზნების განცდა?“ და, პირიქით, ტიპური ინტროვერტი დადებითად უპასუხებდა კითხვებს: „როგორც წესი, სახლში დარჩენასა და წიგნის კითხვას ამჯობინებთ ხმაურთან წვეულებებზე წასვლას?“, „როცა ადამიანებთან გიწევთ ყოფნა, ჩუმიად, წყნარად ყოფნას ამჯობინებთ?“, „ამჯობინებთ, რომ ჯერ დაფიქრდეთ და შემდეგ იმოქმედოთ?“ (Первин Л., & Джон О., 2002). კითხვარის ზოგიერთი დებულების მაგალითი წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილი 3. აიზენკის კითხვარის დებულებების ნიმუშები.

N	დებულებები	დიახ	არა
1	ჩვეულებრივ, ახალი ნაცნობების შექმნის ინიციატივას საკუთარ თავზე იღებთ?	—	—
2	ხდება ისე, რომ თავში დიდხანს გიტრიალებთ აზრები და ვერ იძინებთ?	—	—
3	საზოგადოებაში, როგორც წესი, ჩრდილში ყოფნა გირჩევნიათ?	—	—
4	ხანდახან იცინით უცნაურო ხუმრობებზე?	—	—
5	მიდრეკილნი ხართ თუ არა სასოწარკვეთისკენ?	—	—
6	ძალიან მოგწონს კარგად მომზადებული საჭმელი?	—	—
7	როდესაც რაღაცაზე განაწყენდით, გაგიჩნდათ სურვილი, რომ ვინმესთან, თქვენდამი კეთილად განწყობილთან გესაუბრათ ამაზე?	—	—
8	ბავშვობაში ყოველთვის აკეთებდით იმას, რასაც მშობლები გეუბნებოდნენ, გადაუდებლად და წუწუნის გარეშე?	—	—
9	ჩვეულებრივ, ყველაფერს საკუთარ თავში ინახავთ და არავის ეუბნებით, უახლოესი მეგობრების გარდა?	—	—
10	ხშირად ხდება, რომ კარგი გადაწყვეტა ძალიან გვიან მოგდით თავში?	—	—

შენიშვნა: ზემოთ მოცემული კითხვები შემდგენიანად მუშავდება: ექსტრავერსია : 1 - დიახ, 3 - არა, 6 - დიახ, 9 - არა.

ნევროტიზმი: 2 - დიახ, 5 - დიახ, 7 - დიახ, 10 - დიახ. სიცრუის სკალა: 4 - არა, 8 - არა.

წყარო: ადაპტირებულია Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009; Первин Л., & Джон О., 2002.

მე-3 ცხრილში წარმოდგენილი კითხვები ნევროტიზმსა და ექსტრავერსია-ინტროვერსიას უკავშირდება. ასევე, მოცემულია სიცრუის სკალაც, რომელიც მოწოდებულია ისეთი ინდივიდების გამოსავლენად, რომლებიც პასუხების შელამაზებას ცდილობენ, რათა უკეთ გამოიყურებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ პასუხების შინაარსი და შეფასება თვალსაჩინოა, ეს ყოველთვის მაინც არ არის ასე. ასეთი კითხვარების გარდა, სასურველია გაზომვის სხვა ობიექტური მეთოდების გამოყენებაც. მაგალითად, არსებობს ვარაუდი, რომ „ლიმონის წვეთის“ ტესტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტროვერტებისა და ექსტრავერტების განსასხვავებლად. ამ ტესტში ცდის პირს ენაზე აწვეთებენ ლიმონის წვენის წვეთების მკაცრად განსაზღვრულ რაოდენობას. ინტროვერტები და ექსტრავერტები ერთმანეთისგან წვენის დაწვეთების შემდეგ გამოყოფილი ნერწყვის რაოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან (Первин Л., & Джон О., 2002).

<sup>8</sup> Eysenck Personality Questionnaire – EPQ.

<sup>9</sup> Eysenck Personality Questionnaire-Revised.

## ფაქტორების ბიოლოგიური ბაზისი: აიზენკის ბიოლოგიური მოდელი

აიზენკი ამტკიცებდა (McAdams, D. P., 2006), რომ არსებობს მყარი კავშირი ფაქტორების მიხედვით ფუნქციონალურ განსხვავებებსა და ბიოლოგიურ ფუნქციონირებაში არსებულ განსხვავებებს შორის. მას სურდა, რომ იდენტიფიცირებული ფაქტორები (ექსტრავერსია-ინტროვერსია და ემოციურობა) ბიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებინა (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

ჰანს აიზენკმა (1967; Eysenck & Eysenck, 1985, წყაროში Cloninger, 2004) პიროვნების ბიოლოგიური მოდელი სუსტი და ძლიერი ნერვული სისტემების პავლოვისეულ ანალიზზე ააგო (Strelau, 1997, წყაროში Cloninger, 2004). თავდაპირველად ის თვლიდა (1947, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997), რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიის საფუძველს აგზნებისა და შეკავების პავლოვისეული კონსტრუქტები ქმნიდნენ. პავლოვის ლაბორატორიული ძაღლის მსგავსად, თითოეული პიროვნების ნერვულ სისტემაში აგზნებისა და შეკავების პროცესები მიმდინარეობს, რომლითაც იგი (შესაბამისად) რეაგირებს/პასუხობს შემომავალ სტიმულს, ან თავს იცავს მისგან. ამ განსხვავებების გასაზომად გამოყენებულ იქნა ისეთი ფიზიოლოგიური საზომები, როგორცაა სინათლის ან ბგერის ცვლილების შესატყვისად ტვინის აქტივობის ჩანაწერები (Buckingham, 2002, წყაროში Cloninger, 2004). განსხვავებები/ვარიაციები აგზნება-შეკავების პროცესებში საინტერესოდ აისახება პიროვნებაში (Cloninger, 2004), კერძოდ, ინტროვერტები აგზნების ზოგად ტენდენციას ავლენენ, ხოლო ექსტრავერტები — შეკავების ზოგად ტენდენციას. ეს ახსნა ტვინის ფიზიოლოგიის მეტაფორული მოდელიდან მომდინარეობს, რომელიც, ძირითადად, პავლოვს ეკუთვნის და ექსტრავერსია-ინტროვერსიას არ უკავშირებს რაიმე კონკრეტულ ანატომიურ ან ფიზიოლოგიურ პროცესს (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

აიზენკი წერდა: „ადამიანს გენეტიკურად მემკვიდრეობით აქვს მიღებული გარკვეულ სიტუაციებში მოხვედრისას გარკვეული სახით ქცევისკენ წინასწარი მიდრეკილება ანუ მზაობა“ (Eysenck, 1982, გვ. 29, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ის თვლიდა, რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიის განზომილების მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებები თავის ტვინის რეტიკულარული სისტემის აქტივობიდან მომდინარეობს, რომელიც, თავის მხრივ, აგზნების დონის ცვლილებაში მონაწილეობს. ამასთან, მან ივარაუდა, რომ ნეიროტიციზმის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებები, შესაძლოა, ტვინის ლიმბური სისტემის ფუნქციონირების ვარიაციებიდან მომდინარეობდეს, რომელიც, როგორც ცნობილია, ემოციების რეგულაციაში მონაწილეობს (McAdams, D. P., 2006).

აიზენკის მიხედვით, სამივე სუპერფაქტორი — ექსტრავერსია, ნევროტიზმი და ფსიქოტიზმი, დიდწილად, იდენტიფიცირებად გენეტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული (McAdams, D. P., 2006; Pervin, L. A., 2003). მათ შორის არსებული განსხვავებები ნეიროფიზიოლოგიურ განსხვავებებს ასახავს (Первин Л., & Джон О., 2002). ის (1990a) ამტკიცებდა, რომ თითოეული სუპერფაქტორის ვარიაციის დაახლოებით სამი მეოთხედი მემკვიდრეობით აიხსნება, ხოლო ¼ — გარემო პირობებით. მან უამრავი საბუთი მოაგროვა პიროვნების ფორმირებაში ბიოლოგიური კომპონენტის მნიშვნელოვნების დასამტკიცებლად.

პირველ რიგში, თითქმის იდენტური ფაქტორები იქნა აღმოჩენილი მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ადამიანებთან, „უგანდიდან და ნიგერიიდან იაპონიამდე და კონტინენტურ ჩინეთამდე, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებიდან და ამერიკის კონტინენტიდან აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებამდე, როგორცაა საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და იუგოსლავია“ (Eysenck, 1990a, გვ. 245-246, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

მეორე, დამტკიცებულია, რომ ადამიანის მდებარეობა ამ სამი სუპერფაქტორის მიმართ ხანგრძლივი დროის მანძილზე უცვლელობის ტენდენციით ხასიათდება.

მესამე, ტყუპების შესწავლამ აჩვენა, რომ ერთი სქესის ჰომოზიგოტური ტყუპები გაცილებით ახლოს მდგომ მახასიათებლებს ავლენდნენ, ვიდრე ერთად გაზრდილი ჰეტეროზიგოტული ტყუპები, რაც

ადამიანებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების გენეტიკური ფაქტორების განმსაზღვრელი როლის დადასტურება შეიძლება იყოს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

აიზენკის თანახმად, ნეიროფიზიოლოგიური განსხვავებები განაპირობებენ, რომ ინტროვერტები, პრინციპში, უფრო ადვილად დაისწავლიან სოციალურ აკრძალვებს, ვიდრე ექსტრავერტები. შედეგად ინტროვერტები უფრო თავშეკავებულნი, შეზღუდულნი და შეკავებულნი არიან (Первин Л., & Джон О., 2002).

მიუხედავად გენეტიკურ ფაქტორებზე ხაზგასმისა, აიზენკს მიაჩნია, რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებები დამოკიდებულია არამარტო გენეტიკურ ფაქტორებზე, არამედ გარემოს ფაქტორებზეც.

როგორც უკვე ვთქვით, ჰომოზიგოტური და ჰეტეროზიგოტული ტყუპების რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ მემკვიდრეობითობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პარამეტრის მიხედვით არსებულ განსხვავებებში (Loehlin, 1992; Plomin, 1994; Plomin, Chipuer & Loehlin, 1990, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ის, რომ პარამეტრი ექსტრავერსია-ინტროვერსია მყარად მეორდება სხვადასხვა კულტურაში, ინდივიდუალური განსხვავებები სტაბილურია დროში და ამ განსხვავებებში დიდ როლს ასრულებს გენეტიკური ფაქტორი, ამ პარამეტრის ძლიერ ბიოლოგიურ საფუძვლებზე მეტყველებს. და მართლაც, ამ დასკვნის მხარდასაჭერად ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციონირების მაჩვენებლების (მაგალითად, ტვინის აქტივობის, გულის რიტმის, ჰორმონების დონის, ოფლის ჯირკვლების მუშაობის და ა. შ.) მრავალრიცხოვანი გამოკვლევის მოტანა შეგვიძლია (Eysenck, 1990, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

პიროვნების ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლების კვლევამ მნიშვნელოვნად წაიწია წინ აიზენკის პუბლიკაციასთან ერთად (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997), რომელიც 1967 წელს გამოვიდა სახელწოდებით „პიროვნების ბიოლოგიური ბაზისი“. წიგნში აიზენკი გადასინჯულ თეორიას წარმოადგენს და კვლევის დიზაინსაც მიმოიხილავს, რომელიც ახალი მიდგომის ქცევით და ფიზიოლოგიურ დონეზე შემოწმებისთვის იყო მოწოდებული. თეორიის ამ ახალ ვერსიაში ექსტრავერსია-ინტროვერსია და ნეიროტიციზმი განიხილება, როგორც თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ბირთვების ფუნქცია. თეორიის ძირითადი კონსტრუქტია *ზოგადი აგზნება* — ორგანიზმის ძირითადი საპასუხო სისტემების დიფუზური ენერგიზაცია, რომელიც დაკვირვებად ფიზიოლოგიურ აქტივობასთან კორელირებს (მაგალითად, კანის გალვანური რეაქცია, ქერქული აქტივაცია, კარდიოვასკულარული აქტივობა და ა. შ.).

აიზენკი თვლიდა, რომ *ზოგადი აგზნება* არასპეციფიკური აქტივობაა, რომელიც აღმავალი რეტრულარული აქტივაციის სისტემაში (არას) მიმდინარეობს. შესაბამისად, ექსტრავერტებს არას-სთვის შედარებით მაღალი ზღვრული ჰქონდათ, რის შედეგადაც, თანაბარი სტიმულაციის პირობებში, ისინი შედარებით ნელა აღწევდნენ გარკვეული დონის აგზნებას, ვიდრე ინტროვერტები. არას-ის აქტივაციას ახდენს როგორც გარეგანი სტიმული, ისე — ლიმბური სისტემის აღმავალი და დაღმავალი გზები. ამგვარად, *ზოგადი აგზნების* მიზეზი შეიძლება იყოს როგორც გარეგანი სტიმულაცია, ისე — პიროვნების შიგნით აღძრული ემოციური აქტივობა.

აიზენკის გადასინჯულ თეორიაში ნეიროტიციზმი ლიმბური სისტემის აქტივობაში ინდივიდუალური განსხვავებების ტერმინებით განიხილება, რაც სტრესულ ან შემამინებელ სიტუაციებზე ემოციური აგზნების რეაქციებში ვლინდება. აიზენკმა (1967) საბოლოოდ ექსტრავერსია-ინტროვერსია და ქცევა ერთმანეთთან *აგზნების ოპტიმალური დონის* ცნებით დააკავშირა:<sup>10</sup> ექსტრავერტები მაღალი აგზნების გამომწვევი აქტივობებით კავდებიან და უპირატესობას ანიჭებენ კომპლექსურ და აღმგზნებ სტიმულაციას, რათა აგზნების სასურველ საშუალო დონეს მიაღწიონ (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

აიზენკის ბიოლოგიური მოდელის შედარებით გვიანდელ მოდიფიკაციაში (მაგალითად, Grey, 1981, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997) ნათქვამია, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის ორი ურთიერთსაპირისპირო მაკონტროლებელი ცენტრი მოქმედებს: ქცევის აქტივაციის სისტემა და ქცევის შეკავების სისტემა. თუ მეორე პასიურ განრიდებას აკონტროლებს, პირველის ფუნქცია აქტიური

<sup>10</sup> ეს იდეა საკმაოდ პოპულარული იყო გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში.

განრიდების კონტროლია და ჯილდოს ან არასასჯელის სიგნალებით აქტივირდება. მაშასადამე, აქტიური განრიდება მოტივირებულია არა შიშით ან შფოთვით, რომლებიც ქცევის შემაკავებელ სისტემასთან ასოცირდებიან, არამედ აღმძვრელით/სტიმულით. გრეი თვლის, რომ ინტროვერსიის ფიზიოლოგიური საფუძველი იმ ნერვული ცენტრების აქტივობის მაღალი დონეა, რომლებიც ქცევის შეკავების სისტემას ქმნიან. შესაბამისად, ინტროვერტები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან სტიმულაციის მიმართ, რომლებიც სასჯელის ან მაფრუსტრირებელ წახალისების არ მიღების სიგნალებს იძლევიან. ექსტრავერტები, მეორე მხრივ, მეტად მგრძობიარენი არიან წახალისებისა და სასჯელის არ მიღებისადმი (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

## დეტალიზაცია: სამი სუპერფაქტორი ანუ ტიპი

ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ აიზენკის მიერ გამოყოფილი სამი ტიპი ანუ სუპერფაქტორი, როგორც თავად უწოდებდა მათ.

### ექსტრავერსია-ინტროვერსია

პირველი ტიპი ანუ სუპერფაქტორი, რომელსაც აიზენკი გამოყოფს, როგორც უკვე ვიცით, *ექსტრავერსია-ინტროვერსია*. ტერმინს „ექსტრავერსია“, მის საპირისპირო ტერმინთან „ინტროვერსიასთან“ ერთად, სხვადასხვა თეორეტიკოსთან არაერთგვაროვანი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, იუნგი პიროვნების ორ საკმარისად ფართო ტიპს გამოყოფდა, რომელთაც „ექსტრავერტობას“ და „ინტროვერტობას“ უწოდებდა. ამ კატეგორიების იუნგისეული განსაზღვრება რამდენადმე განსხვავდება საზოგადოდ მიღებული გაგებისგან. იუნგი ექსტრავერტებად მიიჩნევდა ადამიანებს, რომელთაც საგნების შესახებ ობიექტური და მიუკერძოებელი მოსაზრებები ჰქონდათ, ხოლო ინტროვერტები მის თეორიაში იყვნენ ისინი, ვისაც სამყაროს სუბიექტური ანუ ინდივიდუალური აღქმა ახასიათებდათ. ექსტრავერსია/ინტროვერსიის აიზენკისეული კონცეფცია საზოგადოდ მიღებულს უფრო უახლოვდება. ექსტრავერტირებული ტიპი, პირველ რიგში, კომუნიკაბელურობითა და იმპულსურობით ხასიათდება, თუმცა, მას სიმსუბუქე, სიცოცხლისუნარიანობა, გონებამახვილობა, ოპტიმიზმი და კიდევ სხვა ნიშნებიც ახასიათებს, რომელიც ჩვეულია ისეთი ადამიანებისთვის, ვინც სხვებთან ურთიერთობით იღებს სიამოვნებას (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ინტროვერტები ექსტრავერტების საპირისპირო ნიშნებით ხასიათდებიან. ისინი შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც ჩუმი, პასიური, არაკომუნიკაბელური, დახურული, ჩაფიქრებული, პესიმისტური, მშვიდობისმოყვარე, სადად მოაზროვნე და ქცევის კარგად მაკონტროლირებული ადამიანები. თუმცა, აიზენკის თანახმად (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001), ექსტრავერტებსა და ინტროვერტებს შორის პრინციპული განსხვავება არა ქცევითია, არამედ — ბიოლოგიური ანუ გენეტიკური.

აიზენკი თვლის, რომ ექსტრავერტებსა და ინტროვერტებს შორის განსხვავების მთავარი მიზეზი *თავის ტვინის ქერქის აგზნებადობის დონეა*, ხოლო ფსიქოლოგიური ფაქტორი, ძირითადად, მემკვიდრეობითია და არა — დასწავლილი (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ამრიგად, ექსტრავერსიასა და ინტროვერსიას შორის სხვაობა ბიოლოგიური პროცესების — აგზნება-შეკავების — ბალანსის ასახვაა, რაც ნათლად აისახება პიროვნებაზე. ე. წ. „ძლიერი“ ნერვული სისტემის მქონე პიროვნება, რომელსაც სწრაფად შეუძლია სტიმულის შეკავება, შედარებით ინტენსიური სტიმულების, მათ შორის, სოციალური ინტერაქციებიდან მომდინარე სტიმულების, მიღება-დამუშავების უნარით ხასიათდება, ყოველგვარი გადატვირთვის გარეშე. ვინაიდან ისინი სწრაფად „გადაეწყობიან“ სოციალური სიტუაციებიდან მომდინარე სტიმულების შესატყვისად, მათ ბევრი აქტივობის განხორციელება და ირგვლივ ბევრი ადამიანის ყოფნის ატანა შეუძლიათ. ფაქტობრივად, ისინი ესწრაფვიან და ეძებენ კიდევ ასეთ სტიმულაციას, ანუ მოქმედებენ, როგორც ექსტრავერტები (Cloninger, 2004). სხვა

სიტყვებით, ექსტრავერტებს თავის ტვინის აქტივობის დონე უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე ინტროვერტებს, ამიტომ მათი შეგრძნების ზღურბლი უფრო მაღალია და, შესაბამისად, ნაკლებად მგრძობიარენი არიან სენსორული სტიმულაციის მიმართ (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ამის საპირისპიროდ, ინტროვერტებს „სუსტი“ ნერვული სისტემა აქვთ, რომელიც სწრაფად და ადვილად გადაიტვირთება ინტენსიური სტიმულაციის პირობებში. სხვა ადამიანების გარემოცვაში მოხვედრისას ისინი იმაზე მეტად სტიმულირებულნი აღმოჩნებიან, ვიდრე შეუძლიათ მოთმენა და ადეკვატურად/კარგად ფუნქციონირება, ამიტომ ისინი ისე იქცევიან, რომ გააკონტროლონ ეს (მათთვის) მოჭარბებული სტიმულაცია, მაგალითად, განერიდებიან ზედმეტად სტიმულირებულ გარემოს. ეს შეიძლება იყოს სხვა ადამიანების მხრიდან მომდინარე მოჭარბებული სიტუაციებიდან გაქცევა. შესაბამისად, ეს ადამიანები ინტროვერტები არიან (Cloninger, 2004). სხვა სიტყვებით, ინტროვერტებს თავის ტვინის აგზნების უფრო მაღალი დონე ახასიათებთ და, შესაბამისად, უფრო დაბალი შეგრძნების ზღურბლი აქვთ, ამიტომ მძაფრად რეაგირებენ სენსორულ სტიმულაციაზე. სტიმულაციის ოპტიმალური დონის მისაღწევად ინტროვერტები, რომელთა სენსორული ზღურბლი დაბადებიდან დაბალია, გაურბიან სიტუაციებს, რომლებსაც ძალზე ძლიერი აგზნების გამოწვევა შეუძლიათ. ამიტომ ისინი ცდილობენ, არ მიიღონ მონაწილეობა ხმაურის სოციალურ მოვლენებში, არ უყვართ ისეთი აქტივობები, როგორცა თხილამურებით მაღალი მთიდან დაშვება, დელტაპლანის მართვა, სპორტული შეჯიბრებები, არ უყვართ საზოგადოების ხელმძღვანელობა და მეგობრებზე ხუმრობა (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

მეორე მხრივ, ვინაიდან ექსტრავერტებს თავის ტვინის ქერქის შედარებით დაბალი აგზნებადობა ახასიათებთ, მათთვის ოპტიმალურია სენსორული სტიმულაციის უფრო მაღალი დონე. ამიტომ ექსტრავერტები უფრო ხშირად მონაწილეობენ აღმგზნებ და მასტიმულირებელ საქმიანობებში. მათ შეუძლიათ სიამოვნების მიღება ისეთი აქტივობებისგან, როგორცაა ალპინიზმი, დელტაპლანით ფრენა, ავტომობილით სწრაფად სიარული, დალევა ანდა მარიხუანას მოწვევა. ამასთან, აიზენკი თვლიდა, ექსტრავერტები, ინტროვერტებისგან განსხვავებით, უფრო ადრე იწყებენ სექსუალურ ცხოვრებას, უფრო ხშირად აქვთ სექსუალური კონტაქტები, უფრო ხშირად იცვლიან პარტნიორებს, უფრო თავისუფლები არიან სექსუალური ქცევის მრავალფეროვნების არჩევაში და ინტიმურ ურთიერთობებში უფრო ხანგრძლივი პრელუდიისკენ არიან მიდრეკილნი. ვინაიდან თავის ტვინის ქერქის აგზნების დონე ექსტრავერტებთან უფრო დაბალია, ვიდრე ინტროვერტებთან, ისინი სწრაფად ეჩვევიან ძლიერ (სექსუალურს თუ სხვა სახის) სტიმულებს, ხოლო ინტროვერტები ნაკლებად არიან მიდრეკილნი მოწყენილობისა და ინტერესის დაკარგვისკენ ერთსა და იმავე ადამიანთან ურთიერთობისას (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

### ექსტრავერსია-ინტროვერსიის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები

აიზენკი საუბრობს თავის ტვინის აღმავალ რეტვიკულარულ გამააქტივირებელ სისტემაზე, რომელიც, როგორც სენსორული შეგრძნებების გამტარი, თავის ტვინის ღეროდან მომდინარე სენსორულ აგზნებას ტვინის უმაღლეს დონეებს გადასცემს. ამ სისტემის ფუნქციონირების თავისებულება, აიზენკის თვალსაზრისით, განაპირობებს ინტროვერტებისა და ექსტრავერტების განსხვავებას ბიოლოგიურ (და არა — ქცევით) დონეზე, რაც ლაბორატორიული დაკვირვებებითაც დასტურდება (Eysenck, 1967; Stelmack, 1997, წყაროში Cloninger, 2004).

აუდიალური<sup>11</sup> სტიმულაციის ერთ-ერთ კვლევაში ცდის პირების რეაქციებს აკვირდებოდნენ. ბგერის გაგონება ტვინში ავტომატურად აღძრავს ნერვულ რეაქციას, რომელსაც ექსპერიმენტატორი ცდის პირის თავზე მოთავსებული ელექტროდების საშუალებით იწერს. ჩანაწერების კომპიუტერული ანალიზი ტვინის სპეციფიკურ რეაქციებზე ფოკუსირდებოდა, რომლებიც თავის ტვინის ღეროს აქტივაციაზე მიუთითებდა (რომელსაც აიზენკის თეორიაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება). ცდის პირები, რომლებიც პიროვნული კითხვარების მიხედვით, ექსტრავერტები იყვნენ, მიწოდებულ აუდიალურ სტიმულაციაზე უფრო ნელა

<sup>11</sup> სმენითი.

რეაგირებდნენ (ანუ უფრო ხანგრძლივი რეაქციის დრო ჰქონდათ) და ტვინის აქტივობის ტალღებიც უფრო გრძელი იყო (ანუ უფრო დიდი იყო პიკებს შორის ინტერვალი). სხვა სიტყვებით, ექსტრავერტები ნაკლებად რეაქტიულები იყვნენ მიწოდებულ სტიმულზე (Swickert & Gilliland, 1998, წყაროში Cloninger, 2004).

ეს შედეგები აიზენკის თეორიის მხარდაჭერას წარმოადგენს, რომელიც ამბობს, რომ ექსტრავერტებს მეტი სტიმულაცია სჭირდებათ აგზნების მისაღწევად. ამ თეორიას განამტკიცებს კვლევაც, რომელშიც ცდის პირებს ექსპერიმენტულ სიტუაციაში ხმაურის არჩევა ევალუბოდათ. ექსტრავერტებმა უფრო მეტი ხმაური აირჩიეს, ვიდრე ინტროვერტებმა; ამასთან, ისინი უკეთ ფუნქციონირებდნენ უფრო მეტ ხმაურში (Green, 1997, წყაროში Cloninger, 2004).

როდესაც ამოცანის შესრულება ინტენსიურ ყურადღებას მოითხოვს, მაგალითად, შედარებით იშვიათი სტიმულებისთვის თვალის დევნება მათზე პასუხის გაცემის მიზნით, ექსტრავერტები ნაკლებად წარმატებულები იყვნენ, ვიდრე ინტროვერტები, რომელთაც უკეთ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნება დაბალი დონის სტიმულაციაზე (Brebner, 2000, წყაროში Cloninger, 2004).

თავის ტვინის ფუნქციონირების მონიტორინგის კვლევებმა აჩვენა, რომ ინტროვერტებს (განსაკუთრებით შფოთვის მქონე ინტროვერტებს) საფეთქლის წილში უფრო მეტად მიეწოდებათ სისხლი, ვიდრე ექსტრავერტებს (Stenberg, Risber, Warkentin, & Rosen, 1990; Stenberg, Wendt, & Risbers, 1993, წყაროში Cloninger, 2004). ექსტრავერტები ვიზუალურ ამოცანებზე მარჯვენა თავის ტვინის ნახევარსფეროში P300 ტალღების უფრო დიდი ამპლიტუდით რეაგირებენ (Stenberg, 1994, წყაროში Cloninger, 2004). თავის ტვინის ტალღური აქტივობის სხვა პატერნები აქტიურად უკავშირდება იმპულსურობას (Stenberg, 1992, წყაროში Cloninger, 2004). რამსაიერი (Rammsayer, 1998, წყაროში Cloninger, 2004) აღნიშნავს, რომ გარკვეული დოფამინური რეცეპტორების დამბლოკავი ნივთიერებების ზემოქმედებისას ინტროვერტები მეტ გაუარესებას აჩვენებენ რეაქციის დროსთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებისას, ვიდრე ექსტრავერტები, რაც ადასტურებს, რომ ინტროვერტები და ექსტრავერტები განსხვავებებით ხასიათდებიან დოფამინურ სისტემაში, რაც გავლენას ახდენს ქცევაზე (Cloninger, 2004).

## ნევროტიზმი-სტაბილობა

აიზენკის მოდელში მეორე ფაქტორია *ნევროტიზმი*<sup>12</sup>. ექსტრავერსია-ინტროვერსიის მსგავსად, ფაქტორ N-ს ძლიერი მემკვიდრეობითი მდგენელი აქვს. ლიბურის სისტემის უფრო მეტი აქტივობა ზოგ ადამიანს უფრო მეტად ალაგზნებს ემოციურად, ვიდრე სხვებს, როდესაც მათ ეშინიათ, ან სტრესულ სიტუაციებში ხვდებიან. ამ ადამიანებს მაღალი მაჩვენებლები აქვთ ნევროტიზმის ფაქტორის მიხედვით. ისინი, ვისაც დაბალი მაჩვენებელი აქვთ ამ ფაქტორზე, ნაკლებად ემოციურნი იქნებიან იგივე სიტუაციაში. უფრო მაღალი ემოციური აგზნება, თავის მხრივ, შესაძლოა, დაცვის მექანიზმების ამოქმედებას იწვევდეს. აქედან მომდინარეობს ტერმინი „ნევროტიზმი“<sup>13</sup>. თვითანგარიშის პიროვნულ კითხვარებში მაღალი ნევროტულობის მაჩვენებლების მქონე ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათ ნაკლებად ადეკვატური თვითშეფასება აქვთ, ვიდრე დაბალი მაჩვენებლების მქონენი (McCroskeu, Heisel, & Richmond, 2001, წყაროში Cloninger, 2004).

აიზენკს რამდენიმე კვლევის შედეგი მოაქვს, რომლითაც დასტურდება ისეთი ნევროტული ნიშნების გენეტიკური წარმომავლობა, როგორიცაა შფოთვა, ისტერია და აკვიატებული ქმედებები. ამასთან, მან აღმოაჩინა, რომ ქცევის ისეთი ანტისოციალური და ასოციალური ვარიანტებისადმი მიდრეკილების მიხედვით, როგორიცაა დელიკვენტობა, ბავშვთა ქცევითი დარღვევები, ალკოჰოლიზმი და ჰიმოსექსუალიზმი, იდენტური ტყუპები გაცილებით ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვიდრე ჰეტეროზიგოტული ტყუპები (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).


<sup>12</sup>ქართულში ურთიერთშემცვლელ ფორმებად გამოიყენება *ნევროტიზმი* და *ნეიროტიციზმი*.

<sup>13</sup> ყურადღება მიაქციეთ, რომ ექსტრავერსია-ინტროვერსიის ფაქტორი თავის ტვინის ქერქის აგზნებას შეესაბამება, ხოლო ნევროტიზმის შემთხვევაში მიზეზი ემოციური აგზნებაა (Cloninger, 2004).

ნევროტიზმის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები, როგორც აღინიშნა, უფრო მძაფრად ემოციურად რეაგირებენ სტიმულებზე და ძნელად უბრუნდებიან ნორმალურ მდგომარეობას. ისინი ხშირად უჩივიან ისეთ ფიზიკურ პრობლემებს, როგორცაა თავის ან ზურგის ტკივილი, ასევე, საკმაოდ ზოგად ფსიქოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა დეღვა და შფოთვა. თუმცა, ნევროტიზმი აუცილებლობით არ გულისხმობს ნევროზს, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ადამიანს შეიძლება ნევროტულობის მაღალი მაჩვენებლი ჰქონდეს და სრულიად თავისუფალი იყოს ნებისმიერი შემასუსტებელი ნევროტული სიმპტომატიკისგან. მიუხედავად ამისა, აიზენკისეული *დიათეზის-სტრესის მოდელის* მიხედვით, მაღალი N ფაქტორის მქონე ადამიანები უფრო მოწყვლადნი არიან სტრესულ სიტუაციაში ფსიქოლოგიური აშლილობის განვითარებისადმი, ვიდრე ამავე ფაქტორის დაბალი მნიშვნელობის მქონენი (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

ვინაიდან ნევროტიზმის სხვადასხვა დონე შეიძლება ექსტრავერსიის სკალის სხვადასხვა მაჩვენებელთან კომბინირებდეს, ნევროტული ქცევა ვერ აღიწერება რომელიმე ერთი ცალკეული სინდრომის ტერმინებით. აიზენკის ფაქტორულ-ანალიტური ტექნიკა მოიაზრებს ტიპების დამოუკიდებლობას, ანუ ნევროტიზმის ღერძი ექსტრავერსიის ღერძისადმი მართი კუთხითაა განლაგებული (ანუ მათ შორის კორელაცია ნულის ტოლია). ამიტომ სხვადასხვა ადამიანს, შესაძლოა, ერთნაირი მაჩვენებელი ჰქონდეთ N სკალაზე, მაგრამ, ამასთანავე, სრულიად განსხვავებული სიმპტომებით ხასიათდებოდნენ იმისდა მიხედვით, თუ რა მაჩვენებელი აქვთ ექსტრავერსიის/ინტროვერსიის სკალაზე. სურათზე N5 გამოსახულია ექსტრავერსია/ინტროვერსიის ღერძი, რომელიც მართი კუთხით არის განლაგებული ნევროტიზმის ღერძის მიმართ და ამ ფაქტორებს შორის კორელაცია ნულის ტოლია. დაეუშვათ, A, B და C-ს ნევროტიზმის ერთნაირი მნიშვნელობები აქვთ, მაგრამ სამი განსხვავებული პოზიცია უკავიათ ექსტრავერსიის სკალაზე. A-სთვის, ინტროვერტირებული ნევროტიკისთვის, დამახასიათებელია შფოთვა, დეპრესია, ფობიები და იძულებითი ქცევის სიმპტომები; B არც ინტროვერტია და არც ექსტრავერტი, მას, ალბათ, ისტერია (ნევროტული აშლილობა, რომელიც ემოციურ არასტაბილობას უკავშირდება), შთაგონებადობა და სომატური სიმპტომები უფრო ახასიათებს; C ექსტრავერტი ნევტორიკია,

სურ. N5. ორგანოზომილებიანი დიაგრამა, რომელზეც წარმოდენილია აიზენკის E და N სკალების რამდენიმე უკიდურესი მნიშვნელობა.



რომლისგანაც მოსალოდნელია ისეთი ფსიქოპათური თვისებების დემონსტრირება, როგორცაა კრიმინალური მიდრეკილებები და გადახრები ქცევაში. განვიხილოთ A, D და E-ც, რომლებიც ერთნაირად ინტროვერტირებულნი არიან, მაგრამ ერთმანეთისგან ემოციური სტაბილობით ხარისხით განსხვავდებიან. A ზემოთ აღწერილი ინტროვერტირებული ნევროტიკია; D-ც ინტროვერტია, მაგრამ არ არის არც მკაფიოდ გამოკვეთილი ნევროტიკი და არც სრულიად სტაბილური პიროვნება; E უკიდურესად ინტროვერტირებული და ემოციურად მდგრადია (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

სურათზე N5 გამოსახულია პიროვნული თვისებების კომბინაციის რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან თითოეულში, სულ მცირე, ერთ მდგენელს უკიდურესი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, ადამიანთა


უმრავლესობის მახასიათებლები დიაგრამის ცენტრთან თავსდება და დიაგრამის კიდეებისკენ გადაადგილებასთან ერთად უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი განთავსდება მოცემულ წერტილებში (ნორმალური განაწილების პრინციპის მიხედვით) (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

### ფსიქოტიზმი-სუპერეგო

აიზენკის მესამე ფაქტორი (Cloninger, 2004) ნონკონფორმიზმის ანუ სოციალური დევიაციის ტენდენციას შეეხება (Zuckerman, Kuhlman, & Camac, 1988, წყაროში Cloninger, 2004). აიზენკი ამ ფაქტორს *ფსიქოტიზმს* უწოდებს.<sup>14</sup> ის ფსიქოტიზმს ხედავს, როგორც უნიტარულ კონცეფციას, ისეთი ცალკეული და დამოუკიდებელი ფსიქიკური დაავადებებისგან განსხვავებით, როგორცაა შიზოფრენია, ბიპოლარული აშლილობა და ა. შ. ამასთან, ფსიქოტიზმი/სუპერეგო უწყვეტი ცვლადია, რომლის მნიშვნელობათა განაწილება ნორმალურს უახლოვდება (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

P სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანები ხშირად არიან ეგოცენტრულები, ცივები, აგრესიულები, იმპულსურები, მტრულად განწყობილნი გარშემო მყოფებისადმი, ეჭვიანები, ანტისოციალურები, უყვართ კამათი. ფსიქოტიზმის დაბალი მაჩვენებლის (ანუ უფრო ძლიერი სუპერეგოს) მქონენი მიდრეკილნი არიან სხვებზე ზრუნვისკენ, თანაგანცდისკენ, თანამშრომლობისკენ და კარგი სოციალური ადაპტაციით ხასიათდებიან (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). აიზენკის მიხედვით, კრეატული ადამიანები ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლების ტენდენციით გამოირჩევიან (1993, 1994, წყაროში Cloninger, 2004). მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოტურ პაციენტებს მაღალი ქულა აქვთ ამ ფაქტორზე, კრეატული ადამიანებიც ანალოგიური მაჩვენებლებით ხასიათდებიან, თუმცა, მათ არანაირი აშლილობა არ

სურ. N6. აიზენკის თეორიაში პიროვნების სამი განზომილების საილუსტრაციო სამგანზომილებიანი სქემა.



აქვთ. ერთ-ერთმა კვლევამ, რომელშიც კოლეჯის სტუდენტების ფსიქოტიზმს ზომავდნენ, აჩვენა, რომ მაღალი მაჩვენებელი არ უკავშირდებოდა ფსიქოზის განვითარების რისკს (Chapman, Chapman, & Kwapi, 1994, წყაროში Cloninger, 2004). ზოგადად თუ ვიტყვით, ფსიქოტიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები ისეთი მახასიათებლებით გამოირჩევიან, რომლებიც მათ დევიაციური ქცევის განხორციელების რისკის წინაშე აყენებს: ისინი, როგორც უკვე ითქვა, უფრო იმპულსურები, მტრულები, სადისტურები და არაემპათიურები არიან, ვიდრე დაბალი მაჩვენებლის მქონენი (Eysenck & Eysenck, 1991, წყაროში Cloninger, 2004). კვლევა აჩვენებს, რომ ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლის მქონენი უპირატესობას ანიჭებენ ძალადობის შემცველი ვიდეოების ყურებას, რასაც

უფრო მეტად მიიჩნევენ გასართობად და სასაცილოდ, ვიდრე დაბალი ქულის მქონენი. მათი ფიზიოლოგიური რეაქციები ძალადობაზე უფრო სწრაფი დესენსიტიზაციით ხასიათდება (Bruggemann & Barry, 2002, წყაროში Cloninger, 2004). ფიზიკურად ფსიქოტიზმის ქულები კუჭ-ნაწლავის სისტემას

<sup>14</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ წარუმატებელი ტერმინია, ვინაიდან აზვიადებს პათოლოგიის მნიშვნელობას (Cloninger, 2004).



უკავშირდება. ერთსა და იმავე სტიმულებზე მაღალი ქულის მქონე ინდივიდებს უფრო მეტი ნერწყვი გამოეყოფათ და ნაკლებად არიან მიდრეკილნი ზღვის დაავადების განვითარებისკენ (Gordon et al., 1994, წყაროში Cloninger, 2004).

ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები გენეტიკურად მეტად მოწყვლადნი არიან, ვიდრე — შედარებით დაბალი ქულის მქონენი. სხვა სიტყვებით, ფსიქოტიზმის მაღალი დონის მქონე ადამიანი აუცილებლად არ იტანჯება ფსიქოზით, მაგრამ სტრესულ სიტუაციებში ფსიქოტური აშლილობების განვითარებისადმი ძლიერი წინასწარი მზაობა ახასიათებს. მნიშვნელოვანი სტრესების არარსებობის პირობებში ასეთი ადამიანები სრულიად ადეკვატურად, ნორმალურად იქცევიან, მაგრამ ძლიერი სტრესისა და მათი მომატებული მოწყვლადობის კომბინაციამ ფსიქოტურ შეტევამდე შეიძლება მიიყვანოს (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ფსიქოტიზმის/სუპერეგოს ფაქტორი (P) დამოუკიდებელია როგორც E-სგან, ისე — N-სგან. სურათზე N6 მოცემულია სამივე ფაქტორული ღერძი, რომლებიც ერთმანეთისადმი მართი კუთხით არიან განლაგებულნი.<sup>15</sup> ამგვარად, აიზენკის პიროვნების თეორია საშუალებას გვაძლევს, ყოველ ადამიანთან სამი დამოუკიდებელი ფაქტორი გავზომოთ და მისი პიროვნული თვისებები სამგანზომილებიან კოორდინატა სისტემაში წერტილის სახით გამოვსახოთ. მაგალითად, სურათზე N6 F წერტილით აღნიშნულ ადამიანს აქვს ძლიერი სუპერეგო, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ექსტრავერსიის ღერძზე და ნულთან მიახლოებული მაჩვენებელი ნევროტიზმი/სტაბილობის ღერძზე. ანალოგიურად შეგვიძლია ნებისმიერი ადამიანის პიროვნული მახასიათებლების სიმბოლური წერტილით გამოსახვა სამგანზომილებიან კოორდინატა სისტემაზე (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

## აიზენკის თეორიით სტიმულირებული ზოგიერთი შემდგომი კვლევა

აიზენკის თეორიამ ათასობით კვლევას დაუდო სათავე (Green, 1997, წყაროში Cloninger, 2004). მრავალი მათგანი ყურადღების ღირსია, ვინაიდან დადგინდა ბიოლოგიურ ცვლადებსა და პიროვნებას შორის მნიშვნელოვანი მიმართებების არსებობა. მაგალითად, კოფეინის ზემოქმედებით ადამიანები უფრო ინტროვერტებივით იქცევიან, სუსტი ნერვული სისტემის მქონეთა მსგავსად, ხოლო ექსტრავერტები უფრო სწრაფად იღლებიან/იფიტებიან და ისეთი დავალებების შესრულებისას უშვებენ შეცდომებს, რომლებიც ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვენ (Pickering, 1997, წყაროში Cloninger, 2004).

ნევროტიზმის მაღალი ქულები ლიმბური სისტემის უფრო მაღალ აქტივობასთან კორელირებს, ხოლო ექსტრავერსიის დაბალი ქულები (ანუ ინტროვერსია) — კორტექსის (თავის ტვინის ქერქის) აგზნების მაღალ დონესთან (Cloninger, 2004).

## ფსიქოპათოლოგია და ქცევის შეცვლა

პიროვნების აიზენკისეული თეორია მჭიდროდ უკავშირდება მის თეორიას ფსიქოპათოლოგიისა და ქცევის შეცვლის შესახებ. სიმპტომების ანუ ფსიქოლოგიური სირთულეების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ადამიანთან, ბაზისურ პიროვნულ მახასიათებლებსა და ნერვული სისტემის მოქმედების მექანიზმებს უკავშირდება. აიზენკის მიხედვით, ადამიანთან ნევროტული სიმპტომები

<sup>15</sup> შეუძლებელია სამგანზომილებიანი სივრცის ზუსტად ასახვა სიბრტყეზე. ამიტომ შეეცადეთ, წარმოიდგინოთ, რომ ერთიანი ხაზები ოთახის კუთხეა, სადაც კედლები იატაკს უერთდება. თითოეული ხაზი დანარჩენების მიმართ მართი კუთხითაა განლაგებული (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ბიოლოგიური სისტემისა და იმ გამოცდილების ერთობლივი მუშაობის შედეგად ვითარდება, რომელსაც ის შიშის გამომწვევ სტიმულებზე ძლიერი ემოციური რეაქციების ფორმირებამდე მიჰყავს. ასე მაგალითად, ნევროტული აშლილობების მქონე პაციენტთა დიდი ნაწილი ნევროტიზმის მაღალი და ექსტრავერსიის დაბალი დონით გამოირჩევიან (Eysenck, 1982, წყაროში Первин Л., Джон О., 2002). ამის საპირისპიროდ, დამნაშავეები და ანტისოციალური პიროვნებები, ჩვეულებრივ, ნევროტიზმის, ექსტრავერსიისა და ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან. ისინი ძნელად დაისწავლიან სოციალურ ნორმებს (Первин Л., & Джон О., 2002).

ასეთი აშლილობების წარმოქმნასა და შენარჩუნებაში ძლიერი გენეტიკური მდგენელის მიუხედავად, აიზენკი თვლის, რომ არ უნდა ვიყოთ პესიმისტურად განწყობილნი მკურნალობის მიმართ. ის წერს: „ის ფაქტი, რომ გენეტიკური ფაქტორები უდიდეს როლს ასრულებენ ნევროტული აშლილობების წარმოქმნასა და შენარჩუნებაში, ასევე, კრიმინალურ აქტივობაში, ბევრ ადამიანს არ მოსწონს. ისინი თვლიან, რომ ასეთი პოზიცია გარდაუვლად მიგვიყვანს თერაპიულ ნიჰილიზმამდე. თუ მემკვიდრეობითობა ასე მნიშვნელოვანია, ამბობენ ისინი, მაშინ უეჭველია, რომ ნებისმიერი სახის ქცევის მოდიფიკაცია უბრალოდ შეუძლებელია. ეს სრულიად მცდარი ინტერპრეტაციაა. გენეტიკურად დეტერმინირებულია მხოლოდ ადამიანის წინასწარი მზობა, გარკვეული სახით იმოქმედოს და ირეაგროს, როდესაც გარკვეულ სიტუაციებში მოხვდება“ (Eysenck, 1982, გვ. 29, ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002). შესაბამისად, ადამიანს აქვს შესაძლებლობა, თავი აარიდოს ზოგიერთ პოტენციურად ტრავმულ სიტუაციას; ასევე, „გადაისწავლოს“ შიშის ზოგიერთი დასწავლილი რეაქცია, ან, პირიქით, დაისწავლოს სოციალური ქცევის სწორი ნორმები. ამგვარად, ხაზს უსვამს რა გენეტიკური ფაქტორების მნიშვნელოვნებას, აიზენკი, ამავდროულად, ქცევითი თერაპიის ანუ, დასწავლის თეორიის პრინციპების შესატყვისად, ნორმიდან გადახრილი ქცევის სისტემატური მკურნალობის მთავარ მომხრედ გვევლინება (Первин Л., & Джон О., 2002).

თერაპიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აიზენკი მუდმივად და ღიად ეწინააღმდეგებოდა ფსიქოანალიტურ თეორიასა და თერაპიას. ის ფსიქოანალიზს შემდეგი ძირითადი პოზიციების გამო აკრიტიკებდა:

- ფსიქოანალიზი არ არის მეცნიერული თეორია, ვინაიდან შეუძლებელია მისი გადამოწმება და უარყოფა;
- ნევროტული და ფსიქოტური აშლილობები სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით ნორმიდან გადახრა და არა — ფსიქიკური გადახრების ერთი და იგივე კონტიმუმის სხვადასხვა წერტილი;
- პათოლოგიური ქცევა ადამიანის მიერ ათვისებული არაადეკვატური რეაქციებია და არა — არაცნობიერი კონფლიქტების შენიღბული გამოვლენა;
- ნებისმიერი თერაპია ასე თუ ისე დასწავლის კანონების გამოყენებაა, განურჩევლად იმისა, განზრახ აკეთებს ამას თერაპევტი თუ არა. კერძოდ, ნევროტული ქცევის თერაპია გულისხმობს, რომ ადამიანი უნდა გადაეჩვიოს ამ ქცევის განხორციელებას, ან უნდა ჩაქრეს მის მიერ ადრე ათვისებული რეაქციები (Eysenck, 1979, წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

აიზენკის თანახმად, ფსიქოანალიზი საერთოდ არ არის მკურნალობის ეფექტური მეთოდი და მხოლოდ იმიტომ ვითარდება, რომ ფსიქოანალიტიკოსები, ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე, ხშირად სრულიად შემთხვევით იყენებენ ქცევითი თერაპიის მეთოდებს (Первин Л., & Джон О., 2002).

## შეჯამება

ჰანს აიზენკის ტიპების თეორია ფაქტორული ანალიზის მათემატიკური აპარატის საფუძველზეა შექმნილი. ეს მეთოდი გულისხმობს, რომ ადამიანებს განსხვავებული, შედარებით მდგრადი პიროვნული თვისებები ანუ ნიშნები გააჩნიათ. აიზენკი იყენებს მეცნიერული კვლევის დედუქციურ მეთოდს, იწყებს რა თეორიული სტრუქტურებით და შემდეგ აგროვებს ამ თეორიის ლოგიკურად შესატყვის მონაცემებს.

აიზენკმა ფაქტორების იდენტიფიკაციის ოთხი კრიტერიუმი გამოყო: მიღებულ უნდა იქნას ფაქტორის არსებობის ფსიქომეტრული დადასტურება; ფაქტორს მემკვიდრეობითობა უნდა ახასიათებდეს და დადგენილ გენეტიკურ მოდელს აკმაყოფილებდეს; ფაქტორს აზრი უნდა ჰქონდეს თეორიის თვალსაზრისით; ფაქტორი სოციალურად რელევანტური უნდა იყოს, ანუ უნდა ვაჩვენოთ, რომ მათემატიკურად გამოყვანილი ფაქტორი სოციალურ მოვლენებს უკავშირდება (არა აუცილებლად მკაცრად მიზეზ-შედეგობრივად).

აიზენკმა ადამიანის პიროვნების ოთხდონიანი იერარქიული მოდელი ჩამოაყალიბა. მოდელის ქვედა დონეზე განლაგებულია სპეციფიკური მოქმედებები ან აზრები, ანუ ქცევის ან აზროვნების ინდივიდუალური მეთოდი, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს ან არც ახასიათებდეს ადამიანს; მეორე დონეა ჩვეული მოქმედებები ან აზრები, რომლებიც გარკვეულ პირობებში მეორდებიან; მესამე დონეა პიროვნების ნიშნები, ხოლო ქცევის ორგანიზაციის მეოთხე, უმაღლეს დონეს ტიპები ანუ სუპერფაქტორები ქმნიან.

თუ კეტელმა 35 პირველი რიგის ნიშანი გამოყო, აიზენკი თავის ტიპთა თეორიას მხოლოდ სამ ფართო ბიპოლარულ სუპერფაქტორზე აგებს. ეს ფაქტორებია ექსტრავერსია/ინტროვერსია, ნევროტიზმი/სტაბილობა და ფსიქოტიზმი/სუპერეგო. კეტელის ნიშნებს პირდაპირ ვერ შევადარებთ აიზენკის სამ ტიპს, ვინაიდან მისი ნიშნები იერარქიული სტრუქტურის მესამე დონეს მიეკუთვნებიან, აიზენკის ტიპები კი — მეოთხეს.

ექსტრავერსია კომუნიკაბელურობითა და იმპულსურობით ხასიათდება, ინტროვერსია — პასიურობითა და ჩაფიქრებულობით, ნევროტიზმი — შფოთვითა და იძულებითი ქცევებით, სტაბილურობა — ასეთი თვისებების არქონით, ფსიქოტიზმი ანტისოციალური ქცევით გამოირჩევა, ხოლო სუპერეგოს თანაგანცდა და თანამშრომლობა ახასიათებს.

აიზენკი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა პიროვნების ბიოლოგიური მდგენელის მნიშვნელობას. მისი თეორიის მიხედვით, გარემოს ზემოქმედება პრაქტიკულად უმნიშვნელოა პიროვნების ფორმირებისას. გენეტიკური ფაქტორები გაცილებით მეტ გავლენას ახდენენ მოზრდილის ქცევაზე, ვიდრე ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები.

პიროვნების ნიშნების თეორიის შესაბამისად, რომლის მიმდევარიც იყო აიზენკი, მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მაჩვენებლები, მთლიანობაში, თანმიმდევრულია. თეორიის ყველაზე პოზიტიურ მხარეებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ: (ა) აიზენკმა განუზომელი წვლილი შეიტანა ცოდნის სხვადასხვა სფეროს განვითარებაში. ინდივიდუალური განსხვავებებისადმი და ქცევითი ცვლილებებისადმი მუდმივი ინტერესის გარდა, მან წარმატებას მიაღწია კრიმინოლოგიის, განათლების, ესთეტიკის, შემოქმედების, გენეტიკის, ფსიქოპათოლოგიისა და პოლიტიკური იდეოლოგიის კვლევაში. მისი პიროვნული კითხვარები მრავალ ენაზეა ნათარგმნი და მთელ მსოფლიოში გამოიყენება კვლევისათვის; (ბ) აიზენკი მუდმივად უსვამდა ხაზს როგორც ექსპერიმენტული კვლევის, ისე — კორელაციური ანალიზის ღირებულებას; (გ) აიზენკმა პიროვნების მის მიერ აღმოჩენილი პარამეტრები დაუკავშირა გაზომვის მეთოდებს, ნერვული სისტემის ფუნქციონირებასა და დასწავლას, ასევე, ფსიქოპათოლოგიისა და ქცევის ცვლილების თეორიას. მისი თეორია უბრალო აღწერაზე მეტია და შესაძლებელია მისი შემოწმება; (დ) ისტორიული თვალსაზრისით თუ გავადევნებთ თვალს მეცნიერებაში მის მიერ განვლილ გზას, აიზენკი ყოველთვის მზად იყო დინების საწინააღმდეგო ცურვისა და კამათისთვის, იცავდა რა თავის არაპოპულარულ მოსაზრებებს.

## თავი 10

### რაიმონდ კეტელი და ნიშნების ფაქტორული თეორია

*„პიროვნების აღწერის შესახებ მეცნიერების იდეალური ვარიანტი მისი ნიშნების აგებაა, რომელიც ობიექტურ ტესტურ გაზომვაზე ეფუძნება, როგორც ეს ინტენსიურად განხორციელდა უნარების ანალიზის შემთხვევაში“*  
(Cattell, 1946, p. 210 in John, O. P., Naumann, L. P., Soto, C. J., 2008)).

ნიშნების ფაქტორულ ანალიტიკური თეორიები (Cloninger, S. C., 2004), თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მონაცემების ანალიზის მეთოდების განვითარებასთან ერთად, უფრო და უფრო პოპულარული გახდა. ეს მიდგომები მონაცემების სისტემატურად შესწავლისა და მარტივად გადმოცემისთვის და ორგანიზებისთვის კომპიუტერს იყენებენ. ფაქტორული თეორიების განვითარების წამყვანი მეცნიერი რაიმონდ კეტელი ამტკიცებდა, რომ პიროვნების შესწავლამ ორი ადრეული ფაზა გაიარა მანამ, სანამ თანამედროვე მეცნიერულ სტატუსს მოიპოვებდა. ის თვლიდა, რომ პირველი ეტაპი ბიბლიური პერიოდიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდებოდა, რომელიც ლიტერატურაში ინტუიტიური ინსაიტების ფორმით გადმოიცემოდა და ისეთი გენიოსების სახელებს უკავშირდებოდა, როგორებიც იყვნენ პლუტარქე, ბეკონი და გოეთე. მეორე ეტაპი კლინიკურად ორიენტირებული თეორეტიკოსების — ფროიდის, ადლერისა და იუნგის — ეპოქას მოიცავდა, როდესაც მხოლოდ მცირე მოცულობით თუ ხორციელდებოდა ექსპერიმენტური კვლევა (იუნგი და მაკდაუგოლი). I მსოფლიო ომის შემდეგ პიროვნების შესწავლა მესამე, ექსპერიმენტულ და რაოდენობრივ ფაზაში გადავიდა, რომელსაც კეტელი საკუთარ თავსაც მიაკუთვნებდა. მიაჩნდა, რომ მისი ნაშრომები მის წინამორბედთა თეორიების ღირებულ ინსაიტებზე იყო აგებული, თუმცა, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მათზე დაყრდნობით დამოუკიდებელ დასკვნებს აკეთებდა.

რაიმონდ კეტელმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ადამიანის პიროვნების შესაძლო თვისებების სრული რუკის შედგენას მიუძღვნა. მან მიზნად დაისახა ცხოვრების ყველა სფეროში ინდივიდუალური განსხვავებების ახსნა და ამისათვის უნარების, მოტივაციის, პიროვნებისა და გუნება-განწყობილების ფსიქომეტრულად მართებულ საზომებს იყენებდა (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). სწორედ მან მოგვცა ნორმალური და პათოლოგიური ტემპერამენტული თუ სტრუქტურული ნიშნების პრაქტიკულად ამომწურავი ჩამონათვალი, შემდეგ კი პიროვნების დინამიკის გაზომვას შეუდგა. ამ პროცესში აღმოაჩინა ნიშნები, რომელთაც მოტივაციური ნიშნები უწოდა. კეტელის აზრით, თუ ვიცით პიროვნების სტრუქტურა და დინამიკა, მაშინ წარმატებით შევძლებთ კონკრეტული ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველებას.

კეტელი უარს ამბობს პიროვნების შედარებით ადრინდელი თეორიების კლინიკურ მეთოდებზე, რადგან მათ არამეცნიერულად მიიჩნევს და თვლის, რომ ისინი ეყრდნობიან არა მყარ მონაცემებს, არამედ — არაფრით გამყარებულ სპეკულაციებს. პიროვნების ანალიზისას ის ინდუქციურ მეთოდს იყენებს, ოლპორტის დედუქციური მსჯელობებისგან და თავისი წინამორბედების ჰიპოთეტურ-ინდუქციური მეთოდისგან განსხვავებით. მკვლევარს, რომელიც ჰიპოთეტურ-ინდუქციურ მეთოდს იყენებს, მონაცემების მოროვებამდე უკვე აქვს გარკვეული ჰიპოთეზა ან თეორია. კეტელის ინდუქციური მეთოდი კი გულისხმობს, რომ მკვლევარს წინასწარ არანაირი ჰიპოთეზა აქვს და ისე იწყებს დიდი რაოდენობით მონაცემების შეგროვებას. შემდეგ მათ ფაქტორულ ანალიზს უქვემდებარებს და მხოლოდ მას შემდეგ გამოთქვამს ჰიპოთეზებს, რაც ამ ანალიზის შედეგები ხდება ცნობილი. ამის შემდეგ კი წამოყენებული ჰიპოთეზების შემოწმებას იწყებს (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

რაიმონდ კეტელი ნიშნების ფსიქოლოგიის ის წარმომადგენელი იყო, რომელიც 1940-იანი წლებიდან მოყოლებული, ხაზს უსვამდა კვლევაში მკაფიო კვანტიფიკაციისა და სტატისტიკური ანალიზის მნიშვნელოვნებას, რაც ხელს შეუწყობდა ქცევის პროგნოზირების გაუმჯობესებას. თავად კეტელისთვის პიროვნება ქცევის წინასწარმეტყველების ტერმინებით განისაზღვრება. ის ამბობს, რომ პიროვნება არის ის, „რაც საშუალებას გვაძლევს, ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რას მოიმოქმედებს მოცემული ინდივიდი მოცემულ სიტუაციაში“ (1950, გვ. 2, წყაროში McAdams, D. P., 2006). ქცევის პროგნოზირებაში ჩართულ მრავალ ცვლადს შორის კეტელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადი იყო ნიშნები. მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდა ამა თუ იმ პიროვნებისთვის უნიკალური ნიშნების არსებობას,<sup>1</sup> მისი კვლევა ფოკუსირდებოდა იმაზე, რასაც ოლპორტი ზოგად ნიშნებს უწოდებდა, ანუ ნიშნებზე, რომლებიც მრავალ სხვადასხვა ადამიანს შორის ინდივიდუალურ განსხვავებებს ასახავენ (McAdams, D. P., 2006).

კეტელის ინტერესები და წვლილი ფსიქოლოგიაში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პიროვნული ნიშნებისადმი ფაქტორული ანალიზის გამოყენებითა და პიროვნების შეფასებით, არამედ ის ისეთი მიმართულებითაც (სხვა დანარჩენთან ერთად) მუშაობდა, როგორცაა ინტელექტი და პიროვნების მემკვიდრეობითობა (Pervin, L. A., 2003).

შეუძლებელია პიროვნების ფსიქოლოგიაზე რაიმონდ კეტელის გავლენის გადაფასება. მისი ნაშრომების ციტირების რაოდენობა 8900-ს სცილდება. მისი პროდუქტულობა გასაოცარი იყო: ბაზისური სტატიის დაწერამდე (Cattell, 1946b) 18 წლის განმავლობაში უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა, სულ ცოტა, 62 სტატია და წიგნი. სწორედ ამ სტატიაში დასახა კვლევის ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომელიც პიროვნების სტრუქტურის გამოვლენასა და გაზომვას ისახავდა მიზნად. იმავე წელს დაამუშავა იდეები, რომლებიც შემდომ 55 წიგნს ეყო (Revelle, W., 2009).


ამრიგად, ფაქტორულ ანალიზზე დაყრდნობით კეტელმა (1946, 1950, წყაროში McAdamas, D. P., 1997) პიროვნების ამომწურავი სისტემა შექმნა, რომელიც მაკდაუგოლის, ფროიდის, ლევინის, მარეისა და აუპორტოს<sup>2</sup> კონცეპტუალიზაციების სხვადასხვა მახასიათებელს აერთიანებს. მისთვის პიროვნების ფსიქოლოგიის ცენტრალურ პრობლემას ქცევის პროგნოზირება წარმოადგენდა. ფაქტობრივად, მან პიროვნება საკმაოდ ზოგადად განსაზღვრა, როგორც ის, რაც მოცემულ სიტუაციაში ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას იძლევა. თუ გვსურს, რომ ეს წინასწარმეტყველება ზუსტი იყოს, უნდა შევავროვოთ რაოდენობრივი ინფორმაცია სხვადასხვა დონეზე მრავალი ცვლადის შესახებ, შევწონოთ და მოვახდინოთ მისი სკალირება, შემდეგ კი ეს ინფორმაცია სპეციფიკაციის განტოლებაში შევიტანოთ. ეს განტოლება არის გარკვეული ნიშნების, როლებისა და მდგომარეობების რაოდენობრივი ინდექსების წრფივი კომბინაცია, რომლებიდანაც თითოეული შეწონილია კონკრეტულ განსახილველ სიტუაციაში მოცემულობის შესატყვისად. ამგვარად, ქცევის ინტერაქციული ბუნება — ის, რომ ქცევა გარემოსთან ურთიერთქმედებაში მყოფი პიროვნების ფუნქციაა — მათემატიკურად არის მოცემული. აუპორტის მსგავსად, კეტელისთვის ნიშანი ძირითადი პიროვნული ცვლადი იყო. ის ნიშანს განსაზღვრავდა, როგორც მენტალურ სტრუქტურას, რომლის შესახებაც დაკვირვებადი ქცევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რათა ავხსნათ ქცევის კანონზომიერება და კონსისტენტურობა. ზედაპირული ნიშნები მანიფესტირებული ცვლადების კლასტერებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთდროულად იჩენენ თავს; სიღრმისეული ნიშნები ის საფუძვლადმდებარე ფაქტორებია, რომლებიც მრავალჯერად ზედაპირულ მანიფესტაციებს განაპირობებენ. ნიშნები შეიძლება სამ ზოგად კატეგორიადაც დაიყოს მათი შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით: დინამიკური ნიშნები, რომლებიც ინდივიდს მიზნისკენ მავალ მოქმედებაში განიხილავენ; უნარების ნიშნები, რომლებიც ინდივიდის მიერ მიზნის მიღწევის ეფექტურობას შეეხება და ტემპერამენტის ნიშნები, რომლებიც რეაგირების ისეთ სტილისტურ ასპექტებს მოიაზრებენ, როგორცაა სიჩქარე, ენერჯია და ემოციური რეაქტიულობა (McAdamas, D. P., 1997).

<sup>1</sup> რასაც, როგორც ვიცით, ოლპორტი პიროვნულ დისპოზიციებს უწოდებდა, ხოლო კეტელმა უბრალოდ უნიკალური ნიშნები უწოდა.

<sup>2</sup> AUport და არა Allport. ეს სხვა ავტორია.

## ბიოგრაფიული ცნობები

რაიმონდ ბერნარდ კეტელი (Cloninger, S. C., 2004) დაიბადა 1905 წლის 20 მარტს ინგლისის ქალაქ სტაფორდშირში შეძლებული ინჟინრის ოჯახში. მას ორი ძმა ჰყავდა. როდესაც კეტელი 6 წლის იყო, ოჯახი საცხოვრებლად დევონში გადავიდა. პატარა კეტელი I მსოფლიო ომის ნგრევისა და საშინელებების მოწმე გახდა.



კეტელი

კეტელი კოლეჯში ზუსტ მეცნიერებებს სწავლობდა და ქიმიის ბაკალავრის ხარისხიც მიიღო, თუმცა ლონდონის უნივერსიტეტის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე გადაწყვიტა, რომ სწორედ ფსიქოლოგია იყო ის სფერო, რომელიც ნამდვილად აინტერესებდა. მან სწავლა იმავე უნივერსიტეტში<sup>3</sup> განაგრძო და 1929 წელს, 23 წლის ასაკში ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხიც მოიპოვა (Cloninger, S. C., 2004). ქიმიურმა განათლებამ თავისი კვალი დაამჩნია კეტელის ფსიქოლოგიურ თეორიას: ფსიქოლოგიაში მოსვლის შემდეგ მისი მიზანი იყო პიროვნების ნიშნების ისეთი ტაქსონომიის შექმნა, რომელიც მენდელეევის ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის ანალოგი იქნებოდა (Pervin, L. A., 2003). ფსიქოლოგიის მიმართულებით სწავლის პერიოდში მან აითვისა სპირმენის ფაქტორული ანალიზი — მათემატიკური პროცედურა, რომელიც

ინტელექტის შესასწავლად შეიქმნა, თუმცა, კეტელმა ის მოგვიანებით პიროვნების კვლევაშიც გამოიყენა.

იმდროინდელ ინგლისში ძალიან მცირე იყო პროფესორის პოზიციის მოპოვების შანსები. კეტელი ავტობიოგრაფიაში წერს, რომ ქვეყანაში მხოლოდ ექვსი ასეთი პოზიცია არსებობდა და ექვსივე ისეთ ადამიანს ეკავა, რომელიც სავსებით ჯანმრთელნი იყვნენ და არ აპირებდნენ თანამდებობის დატოვებას. ასე რომ, კეტელმა პრაქტიკოსი ფსიქოლოგის პოზიცია დაიკავა და ლესტერში ფსიქოლოგიური სერვისის სკოლის დაფუძნების შეთავაზება მიიღო. კლინიკური მუშაობის ხუთი წლის შესახებ, რომელიც ამ სკოლაში გაატარა, მოგვიანებით წერდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თავი შარლატანი ეგონა, ამ წლებმა პიროვნების კვლევამდე მიიყვანეს. ამავე პერიოდში, 1930 წელს, მან მონიკა როჯერსზე იქორწინა, რომელთანაც ერთი შვილი ჰყავდა (Cloninger, S. C., 2004).

1937 წლამდე აშშ-ში გამგზავრებამდე კეტელმა, უამრავი ადმინისტრაციული საქმის გარდა, განახორციელა მთელი რიგი კვლევებისა პიროვნების სფეროში და ბავშვებთან კლინიკური მუშაობის გამოცდილებაც მიიღო (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). ის, ერთი მხრივ, ინტელექტსა და, მეორე მხრივ, ოჯახის ზომასა და სოციალურ სტატუსს შორის კავშირებს იკვლევდა. იმავე პერიოდში შექმნა პროექციული ტესტი, როდესაც მარეიმ, რომელსაც, ტრადიციულად, მიიჩნევენ ამ ტიპის ტესტირების სტრატეგიის შემქმნელად. კეტელი ამბობდა, რომ ის თავად იყო პირველი, ვინც გამოიყენა ტერმინი „პროექციული ტესტი“. ეს მძიმე წლები იყო მისთვის, ვინაიდან ბევრს მუშაობდა და მცირე ანაზღაურებაზე უწევდა ცხოვრება. ასეთი დამაბული რეჟიმის ფონზე მას ჯანმრთელობის (საჭმლის მომნელებელ სისტემაში) პრობლემები შეექმნა და ცოლმაც მიატოვა (Cloninger, S. C., 2004).

1937 წელს კეტელმა თორნდაიკის შეთავაზება მიიღო, რომ ნიუ იორკში ერთი წლის განმავლობაში სოციალურ ფსიქოლოგიაში ემუშავა. იმ დროისთვის აბრაჰამ მასლოუც თორნდაიკის თანამშრომელი იყო. აშშ-ში ერთწლიანი მუშაობა კეტელისთვის, ფაქტობრივად, პერმანენტულ ემიგრაციად იქცა. თორნდაიკთან გატარებული ერთი წლის შემდეგ მან კლარკის უნივერსიტეტში მიიღო პროფესორის თანამდებობა, სადაც კულტურისთვის რელევანტური ინტელექტის ტესტების შექმნაზე მუშაობდა.

<sup>3</sup> The University of London, King's Collage.

1941 წელს გორდონ ოლპორტის მიწვევით (ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია, 1997, წყაროში Cloninger, 2004) კეტელმა ჰარვარდის უნივერსიტეტში ლექტორის პოზიცია დაიკავა. მისი სამუშაო კაბინეტი ოლპორტის კაბინეტის გვერდით იყო (Cattell, 1984, გვ. 141, ციტირებულია წყაროში Cloninger, 2004) და, როგორც იგი თავად აღნიშნავდა, „პიროვნების თეორიაში მე და ოლპორტი სრულიად განსხვავებულ ენებზე ვსაუბრობდით . . . და ეს ძალიან მძიმე იყო სტუდენტებისთვის“. ეს წლები მძიმე გამოდგა კეტელისთვისაც: გამუდმებით მუშაობდა ყოველგვარი დასვენების გარეშე და პრაქტიკულად სამსახურში ცხოვრობდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს მას, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოუწია კვლევის შეწყვეტა და პრაქტიკულ სამუშაოში დაბრუნება, რასაც იმ დროს მოელოდნენ პროფესიონალებისგან (Cloninger, S. C., 2004). ის თავდაცვის სამინისტროსთვის მუშაობდა პერსონალის შერჩევისთვის განკუთვნილი ობიექტური პიროვნებულის ტესტების შედგენაზე, სადაც გუნდში მუშაობა უწყვედა, რაც ძალზე განსხვავებული იყო საუნივერსიტეტო გარემოსგან და მუშაობის სტილისგან.

აშშ-ში გადასვლის შემდეგ კეტელი მუშაობდა კოლუმბიის უნივერსიტეტში, ჰარვარდში, კლარკისა და დიუკის უნივერსიტეტში (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

1945 წელს კეტელი ილინოისის უნივერსიტეტში გადავიდა სამუშაოდ, სადაც მკვლევრის თანამდებობა დაიკავა. ამით ის სრულიად გათავისუფლდა პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის აუცილებლობისგან. ამავე დროს იქორწინა კარენ შუეტლერზე — მათემატიკოსზე, რომელსაც ჰარვარდში შეხვდა. მათ ოთხი შვილი შეეძინათ (Cloninger, S. C., 2004).

შემდგომი წლები უაღრესად პროდუქტული გამოდგა სხვა საქმიანობებისგან (აკადემიური და პრაქტიკული) თავისუფალი კეტელისთვის, რომელსაც (იმ დროისათვის) ახალ და მძლავრ კომპიუტერზე მიუწვდებოდა ხელი. ის ისევ ბევრს მუშაობდა და იმდენად გვიანობამდე რჩებოდა სამსახურში, რომ ფიქრებში ჩაფლული მხოლოდ იმიტომ ახერხებდა თავისი მანქანის პოვნას, რომ ავტოსადგომზე მხოლოდ ისდა იდგა ხოლმე (Cattell, 1974, გვ. 75, ციტირებულია წყაროში Cloninger, 2004).

მის მიერ შექმნილი უამრავი ტესტის გასავრცელებლად კეტელმა 1949 წელს კერძო ორგანიზაცია დააფუძნა. ეს იყო პიროვნებისა და შესაძლებლობების ტესტირების ინსტიტუტი,<sup>4</sup> რომელიც დღესაც ფუნქციონირებს და დაინტერესებულ მკვლევრებს შეუძლიათ კეტელის ტესტებისა და სახელმძღვანელოების შექმნა. მან მულტივარიაციული ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საზოგადოებაც დააარსა 1960 წელს, რომელიც მეცნიერულად განვითარებული პიროვნების თეორიისთვის აუცილებელი კვლევის ხელშეწყობას ემსახურებოდა (Cloninger, S. C., 2004).

1973 წელს კეტელმა დატოვა დაკავებული თანამდებობა და ბაულდერში (კოლორადო) გადასახლდა, სადაც მორალისა და ადაპტაციის კვლევითი ინსტიტუტი ჩამოაყალიბა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). საბოლოოდ ის კოლორადოდანაც გადავიდა, სამეცნიერო საქმიანობას თავი დაანება და პენსიაზე გასვლის შემდეგ ჰავაიზე გადასახლდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც განაგრძობდა მუშაობას და თეორიის განვითარებაში სტატისტიკური მიდგომის მხარდაჭერას (Cattell, 1990a, წყაროში Cloninger, 2004). მან ამ პერიოდში შექმნა პიროვნების კვლევის კომპიუტერული მეთოდები (McArdle & Cattell, 1994, წყაროში Cloninger, 2004) და ამ საქმიანობით იყო დაკავებული სიკვდილამდე, 1998 წლამდე.

1997 წელს ამერიკის ფსიქოლოგიურმა ასოციაციამ კეტელი ცხოვრებაში მიღწეული წარმატებებისთვის დააჯილდოვა. მისი შრომისადმი მიძღვნილ ტექსტში წერია: „კეტელს ბადალი არ მოეპოვებოდა ინდივიდუალური განსხვავებების უნიფიცირებული თეორიის შექმნაში, რომელიც აერთიანებდა პიროვნების ინტელექტუალურ, ტემპერამენტულ და დინამიკურ სფეროებს, გარემოსა და მემკვიდრეობის გავლენების კონტექსტში“ (American Psychological Association, 1997, გვ. 797, ციტირებულია წყაროში Cloninger, 2004).

მთლიანობაში კეტელს 400-ზე მეტი წიგნი და სტატია აქვს გამოქვეყნებული. მის ნაშრომებს შორის ყველაზე პოპულარულია „პიროვნების აღწერა და გაზომვა“,<sup>5</sup> „პიროვნება: სისტემატური, თეორიული და

<sup>4</sup> Institute of Personality and Ability Testing – IPAT.

<sup>5</sup> Description and Measurement of Personality, 1946.

ფაქტორული კვლევა“<sup>6</sup>, „პიროვნების მეცნიერული ანალიზი“<sup>7</sup> და „პიროვნებისა და უნარების მემკვიდრეობითობა“<sup>8</sup>. კეტელის თეორიული მოსაზრებები ყველაზე სრულად გადმოცემულია წიგნში „პიროვნებისა და მოტივაციის სტრუქტურა და გაზომვა“<sup>9</sup>.

მისი ნაშრომები არაერთხელ აღიარა სამეცნიერო საზოგადოებამ: კეტელი იყო დარვინის საზოგადოების პრემიის ლაურეატი, მიიღო ვენერ გრენის პრემია, რომელსაც ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემია ანიჭებს და, ასევე, ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის ჯილდო „გაზომვის სფეროში განუზომელი წვლილისათვის“ (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

რაიმონდ კეტელის მეცნიერული მოღვაწეობა მეცნიერების უანგარო მსახურის იდეალს გავს. ჯერ კიდევ ლონდონის უნივერსიტეტში სწავლისას კეტელმა დაისახა გეგმა, რომელიც მისი მოღვაწეობის შემდგომ 30 წელს (1930-1960) შეეხებოდა და მოიცავდა კონკრეტულ მისაღწევ მიზნებს. კეტელის გეგმა, რომლის შექმნასაც მხოლოდ ერთი წელი მოანდომა, მოიაზრებდა პიროვნების სტრუქტურის გაზომვასა და ობიექტურად აღწერას დაკვირვების სამი მეთოდის გამოყენებით, ეს მეთოდები იყო: ადამიანის ქცევის რეგისტრაცია ცხოვრების მანძილზე, კითხვარებისა და ობიექტური ტესტების მონაცემები და მოტივაციური მახასიათებლები. 1993 წელს კეტელი წერდა, რომ პიროვნული და მოტივაციური ნიშნების მის მიერ ამ დროისთვის წარმოებული გაზომვები „კრავდნენ მრავალი წლის წინ დაწყებული სტრუქტურული კვლევების წრეს“ (Cattell, 1993, გვ. 108, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

## იდეური წანამძღვრები

კეტელის მეცნიერულ აზროვნებასა და შრომაზე რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა გავლენა (Первин Л., & Джон О., 2002; Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

პირველ რიგში, მისი ინტერესი პიროვნების კვლევაში ფაქტორული ანალიზის გამოყენებისადმი და პიროვნების ორგანიზაციის იერარქიული მოდელის შექმნაში შეიძლება ორი ცნობილი ინგლისელი ფსიქოლოგის სახელს უკავშირდებოდეს, რომლებმაც აიზენკზეც იქონიეს გავლენა. ესენი არიან სპირმენი (სწორედ სპირმენს ეკუთვნის ფაქტორული ანალიზის იდეა) და ბერტი.

გარდა ამისა, კეტელის შეხედულებები მოტივაციის შესახებ ბრიტანელი ფსიქოლოგის უილიამ მაკდაუგოლის თეორიის გავლენით ჩამოყალიბდა.

მესამე ფაქტორი შეიძლება ის წლები გამხდარიყო, რომელიც კეტელმა პიროვნების კვლევასა და ბავშვებთან კლინიკურ მუშაობას დაუთმო. ამ წლებში მან ცხადად დაინახა კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. და ბოლოს, მისმა ქიმიურმა განათლებამაც შეიტანა წვლილი ფსიქოლოგიაში თეორიული მოსაზრებების ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, 1869 წელს მენდელეევის მიერ შექმნილმა ქიმიური ელემენტების პერიოდულმა სისტემამ კეტელს პიროვნების ექსპერიმენტული კვლევისთვის ცვლადების კლასიფიკაციის შექმნისკენ უბიძგა. კეტელი იმედოვნებდა, რომ ფაქტორული ანალიზის გამოყენებით ფსიქოლოგიაში შესაძლებელი იქნებოდა ელემენტების მისი საკუთარი პერიოდული სისტემის შექმნა.

<sup>6</sup> Personality: A Systematic, Theoretical and Factual Study, 1950.

<sup>7</sup> The Scientific Analysis of Personality, 1965.

<sup>8</sup> The Inheritance of Personality and Ability, 1982.

<sup>9</sup> Personality and Motivation Structure and Measurement, 1957.



## კეტელის შეხედულება მეცნიერებაზე

ვინაიდან პიროვნება კომპლექსურია, მისი მხოლოდ მცირე რაოდენობის ცნებებით ახსნა მისი გამარტივების ტოლფასი იქნებოდა, თუმცა პიროვნების ფსიქოლოგიაში წარმოებული კვლევების დიდი ნაწილი იმ დროისათვის სწორედ ასე მიმდინარეობდა. კეტელი ასეთი მიდგომის წინააღმდეგი იყო, რადგან ცხოვრება რთულია და მულტივარიანტული. ამასთან, ყველა თეორეტიკოსი თანხმდება, რომ ადამიანებზე ერთდროულად ბევრი რამ მოქმედებს და არა — მხოლოდ ერთი-ორი ცალკეული ცვლადი (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ამიტომ კეტელი პიროვნების შესწავლის სამ მეთოდს განსხვავებს (Первин Л., & Джон О., 2002): ბივარიანტულს, მულტივარიანტულსა და კლინიკურს. ტიპური *ბივარიანტული* ექსპერიმენტი, რომელიც ფიზიკური მეცნიერებების ექსპერიმენტის კლასიკურ სქემას იმეორებს, ორ ცვლადს მოიცავს: დამოუკიდებელ ცვლადს, რომლითაც მანიპულირებს ექსპერიმენტატორი და დამოკიდებულ ცვლადს, რომელიც იცვლება ექსპერიმენტატორის მანიპულირების შედეგად.

ბივარიანტული მეთოდისგან განსხვავებით, *მულტივარიანტული* მეთოდი ერთდროულად მრავალი ცვლადის ურთიერთმიმართებას სწავლობს. გარდა ამისა, მულტივარიანტულ ექსპერიმენტში მკვლევარი არ მანიპულირებს ცვლადებით. ის ცხოვრებას უთმობს ექსპერიმენტირების პრივილეგიას და შემდეგ სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ცდილობს არსებულ რეალობაში მნიშვნელოვანი პარამეტრების გამოყოფასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენას. მულტივარიანტული მეთოდის კარგი მაგალითია ფაქტორული ანალიზი (Первин Л., & Джон О., 2002).

აღსანიშნავია, რომ მულტივარიანტული კვლევა შეუძლებელი იყო თანამედროვე კომპიუტერების შექმნამდე. კომპიუტერს შეუძლია მრავალი ზუსტი გამოთვლის ერთდროულად წარმოება და შედეგების ფორმალურ, მათემატიკურ მოდელში წარმოდგენა, სადაც მრავალი ცვლადი უკავშირდება ერთმანეთს და შესაძლებელი ხდება ამ ცვლადებით ქცევის პროგნოზირება. მულტივარიანტული კვლევები კეტელმა წამოიწყო, როდესაც ის ქცევის პროგნოზირებისთვის ერთდროულად რამდენიმე ცვლადს იყენებდა (Cloninger, S. C., 2004).

ბივარიანტულ და მულტივარიანტულ მეთოდებს მეცნიერული სიმკაცრის პრეტენზია აქვთ. მათ შორის განხვავება ის არის, რომ ბივარიანტულ მეთოდში მკვლევარი რამდენიმე ცვლადით შემოიფარგლება, რომელთაც ასე თუ ისე აკონტროლებს, მულტივარიანტულ კვლევაში კი მკვლევრებს მრავალ ცვლადთან აქვთ საქმე, რომლებიც ბუნებრივ, არაექსპერიმენტულ გარემოში იცვლებიან (Первин Л., & Джон О., 2002).

კეტელი საკმაოდ კრიტიკულად უყურებს ბივარიანტულ მეთოდს (Pervin, L. A., 2003). პირველ რიგში, ამტკიცებს, რომ ორი ცვლადის ურთიერთკავშირის შესწავლა გამარტივებული და ფრაგმენტული მიდგომაა. ადამიანის ქცევა გაცილებით რთულია და მრავალი ცვლადის ურთიერთკავშირის ასახავს. ორ ცვლადს შორის კავშირის შესწავლის შემთხვევაში ვდგებით პრობლემის წინაშე: როგორ უკავშირდებიან ეს ცვლადები სხვა უამრავ ცვლადს, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია ქცევის დეტერმინაციაში. მეორე, ის ფაქტი, რომ ბივარიანტულ კვლევაში ექსპერიმენტატორები დამოუკიდებელი ცვლადით მანიპულირებას ცდილობენ, ნიშნავს, რომ ისინი იძულებულნი არიან, უგულვებელყონ ფსიქოლოგებისთვის მნიშვნელოვანი მრავალი მატერია. ვინაიდან შეუძლებელია ყველაზე მნიშვნელოვანი ემოციური სიტუაციებით მანიპულირება და ამიტომ შეუძლებელია მათი გამეორება კონტროლირებად ექსპერიმენტებში, ბივარიანტული მიდგომით მომუშავე მკვლევარი იძულებულია, ტრივიალური საკითხებით დაკავდეს, ანდა პასუხები ვირთხების ქცევაში ან ფიზიოლოგიაში ეძიოს (Первин Л., & Джон О., 2002).

ბივარიანტული მეთოდისგან განსხვავებით, *კლინიკურ* მეთოდს ის უპირატესობა აქვს, რომ მკვლევარს შეუძლია, ადამიანისთვის მნიშვნელოვანი ქცევა ბუნებრივ პირობებში შეისწავლოს და ორგანიზმის, როგორც მთლიანის, ფუნქციონირების კანონზომიერებები ეძიოს. ამგვარად, მეცნიერული მიზნების თვალსაზრისით და ფილოსოფიური მოსაზრებებით, კლინიკური და მულტივარიანტული მეთოდები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან და განსხვავდებიან ბივარიანტულისგან. მკვლევარი, რომელიც

კლინიკურ მეთოდს იყენებს, ისევე, როგორც მკვლევარი, რომელიც მულტივარიანტულ მეთოდს იყენებს, გლობალური საკითხებით არის დაინტერესებული. ორივე ქცევის რთული პარამეტრების შესწავლით არის დაკავებული, ვინაიდან თვითონ არაფერს ცვლიან მოვლენებში, პიროვნების, როგორც ერთი მთლიანის, გაგებას ცდილობენ და არ აინტერესებთ იზოლირებული პროცესები ან ხელოვნურად დანაწევრებული ფრაგმენტები. ამ მკვლევარებს შორის განსხვავება ის არის, რომ პირველი ცვლადების დიაგნოსტიკისთვის ინტუიციას იყენებს და მოვლენების შესანახად — მესხიერებას, ხოლო მეორე სისტემატურ კვლევას და სტატისტიკურ ანალიზს ამჯობინებს. ასე რომ, კეტელის მიხედვით, „კლინიციუსს გული ადგილზე აქვს, მაგრამ თავში მსუბუქი ნისლი უტრიალებს“ (Cattell, 1959, გვ. 45, ციტირებულია წყაროში Первин Л., Джон О., 2002).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კეტელი მიდის დასკვნამდე, რომ კლინიკური მეთოდი იგივეა, რაც მულტივარიანტული, მაგრამ მეცნიერული სიმკაცრის მოთხოვნის გარეშე. ის მულტივარიანტულ მეთოდს ბივარიანტული და კლინიკური მეთოდების საუკეთესო თვისებების კომბინაციად მიიჩნევს (John, O. P., Naumann, L. P., Soto, C. J., 2008). კეტელისთვის მულტივარიანტულ კვლევაში ყველაზე მნიშვნელოვანი სტატისტიკური ტექნიკა *ფაქტორული ანალიზია* (Cloninger, S. C., 2004; Первин Л., & Джон О., 2002), რომელზეც ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

კეტელი ფსიქოლოგიაში ცნობილია, როგორც მულტივარიაციული ტექნიკით მომუშავე მკვლევარი (John, O. P., Naumann, L. P., Soto, C. J., 2008).

## ნიშნების გაზომვა

ამ ქვეთავში მიმოვიხილავთ მეთოდებს, რომლებსაც კეტელი ნიშნების დადგენისა და გაზომვისთვის იყენებდა; ასევე, გავცნობით მონაცემთა სახეებს, რომელთაც აგროვებდა ის. ნიშნების კლასიფიკაციის განხილვის შემდეგ კეტელის მიერ შექმნილ ნიშნების გაზომვისთვის მოწოდებულ მეთოდიკას გავცნობით.

### ფაქტორული ანალიზი

თეორიის შექმნისას კეტელი ნიშნების იდენტიფიკაციისთვის *ფაქტორულ ანალიზს* იყენებდა, რომლის პირველი პრინციპები ჯერ კიდევ 1905 წელს ჩამოაყალიბა მისმა მასწავლებელმა სპირმენმა (Pervin, L. A., 2003; Первин Л., & Джон О., 2002).

### რა არის ფაქტორული ანალიზი

ფაქტორული ანალიზი საერთო ნიშნის მქონე ცვლადების დაჯგუფების მეთოდია. ეს არის პროცესი, რომელიც მკვლევარს გარკვეული რაოდენობის ცვლადების მცირე რაოდენობის ძირითად ფაქტორებამდე დაყვანის საშუალებას აძლევს, რომლებითაც შეძლებისდაგვარად, ბევრი ცვლადი აიხსნება. ის ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების სტრუქტურასა და საერთო მახასიათებლებს ავლენს. ამგვარად, ფაქტორული ანალიზის გამოყენებით მკვლევარს საშუალება ეძლევა, სხვადასხვა ცვლადის საფუძვლად მდებარე ფაქტორები გამოავლინოს (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007).

ფაქტორული ანალიზი, რომელსაც კეტელი იყენებს, ახლოს დგას ინდუქციურ პროცედურასთან. ის ამომწურავი ინფორმაციის მიღებას ცდილობს ადამიანის ქცევის შესახებ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, პასუხი გავცეთ კითხვას, თუ რომელი მახასიათებლებია ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნების აღსაწერად (Maddi, 1968/2002).

კვლევის პირველ ეტაპზე ხდება მრავალ ადამიანზე სპეციფიკური დაკვირვება (Фрейдджер, П. & Фейдимен Дж., 2001). შემდეგ მონაცემები გარკვეული გზით რაოდენობრივ მახასიათებლებში გადადის, მაგალითად, სიმალე სანტიმეტრებში იზომება, წონა — კილოგრამებში, უნარები რიცხვებით გამოისახება, რომლებიც ტესტების შესრულებით მიიღება, პროფესიული მიდრეკილებები — სპეციალური შეფასების

სკალით და ა. შ. შემდეგი ნაბიჯია იმის გამოვლენა, თუ ამ ცვლადებს (ანუ სიდიდეებს) შორის რომლები უკავშირდებიან ერთმანეთს და როგორ. ამისათვის გამოითვლება თითოეულ ცვლადსა და დანარჩენ სიდიდეებს შორის კორელაციის კოეფიციენტი (მონაცემთა ორ ჯგუფს შორის კავშირის სიძლიერის მაჩვენებელი). გამოთვლების შედეგები ინტერკორელაციების ცხრილს ანუ მატრიცას ქმნიან, რომელსაც ერთნაირი რაოდენობის სტრიქონები და სვეტები აქვს. ამ ცხრილში შემავალი ზოგიერთი კორელაცია დადებითი იქნება, ზოგიერთი ახლოს იქნება ნულთან, ზოგიერთი კი უარყოფითი აღმოჩნდება. მაგალითად, შეიძლება მაღალი დადებითი კორელაცია აღმოვაჩინოთ სიმაღლესა და ფეხის ზომას შორის, ვინაიდან ამ ორი სიდიდიდან ერთი მეორის მდგენელია. ასევე, შეიძლება შევამჩნიოთ მაღალი კორელაცია ლიდერულ უნარებსა და გაწონასწორებულობის მაჩვენებლებს შორის. ამ კავშირის მიზეზი ისაა, რომ ორივე თვისება ერთი და იმავე ფაქტორის — საკუთარ თავში დარწმუნებულობის — სხვადასხვა მხარეა.

ფაქტორული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დიდი რაოდენობით ცვლადები ნაკლები რაოდენობის უფრო ფუნდამენტურ სიდიდეებზე დავიყვანოთ (Cohen, L., Manion, L., Morrison, K., 2007). ჩვენს შემთხვევაში ასეთ ფუნდამენტურ სიდიდეებს *ნიშნები* (იხ. ქვემოთ) ჰქვიათ, ანუ ეს არის ფაქტორები, რომლებშიც ერთიანდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცვლადები. მაგალითად, აღმოვაჩინეთ მაღალი დადებითი ინტერკორელაცია ალგებრის, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიისა და არითმეტიკის შეფასებებს შორის. ამგვარად, აღმოვაჩინეთ სიდიდეების ჯგუფი, რომელიც შეიძლება აღინიშნოს, როგორც ფაქტორი M — მათემატიკური უნარები. ანალოგიურად, ფაქტორული ანალიზის დახმარებით, შეგვიძლია რამდენიმე სხვა ფაქტორის ანუ პიროვნების ძირითადი თვისების გამოყოფა. ცხადია, ფაქტორების რაოდენობა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე დაკვირვებების საწყისი რაოდენობა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

შემდეგი ნაბიჯი იქნება თითოეული სიდიდის ფაქტორული წონის ანუ ფაქტორთან თითოეული სიდიდის კორელაციის განსაზღვრა. მაგალითად, თუ ალგებრის, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიისა და არითმეტიკის ცოდნის შეფასებებს დიდი წვლილი შეაქვთ M ფაქტორის ფორმირებაში, მაგრამ არა — სხვა ფაქტორებში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სიდიდეებს M ტიპის დიდი ფაქტორული წონა აქვთ. ფაქტორული წონა სხვადასხვა ფაქტორის სიწმინდის ინდიკატორია და გასაგები ფსიქოლოგიური მახასიათებლების ტერმინებით ფაქტორების ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა.

ფსიქოლოგიური ფაქტორების მათემატიკურად გამოსათვლელად ღერძები, რომლებზეც გადაზომილია თითოეული ცვლადის მნიშვნელობა, გარკვეული წესით ტრიალდება ანუ ექვემდებარება ბრუნვას, თუმცა ამ დროს სიდიდეებს შორის ნარჩუნდება გარკვეული სპეციფიკური მათემატიკური მიმართებები. ბრუნვა შეიძლება იყოს როგორც ორთოგონალური (როდესაც ღერძები ერთმანეთისადმი მართი კუთხით არიან განლაგებულნი და ბრუნვისას ინარჩუნებენ ამ კუთხეს), ისე — გადახრილი (ამ დროს დაშვებულია ღერძებს შორის არსებული მართი კუთხის დარღვევა). ფაქტორულ ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი პირველს — ორთოგონალურ ბრუნვას — ანიჭებს უპირატესობას, რომელიც გულისხმობს, რომ ფაქტორებს შორის კორელაცია ნულის ტოლია ანუ ისინი დამოუკიდებელია ერთმანეთისგან. კეტელი იყო პირველი, ვინც ნიშნების ანალიზისას გადახრილი ბრუნვის მეთოდის გამოყენება დაიწყო (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

გადახრილი ბრუნვის მეთოდი უშვებს ცვლადებს შორის გარკვეულ დადებით ან უარყოფით კორელაციას, ღერძები განლაგებულია 90 გრადუსზე მეტი ან ნაკლები კუთხით. ორთოგონალური ბრუნვის შედეგად, ჩვეულებრივ, მცირე რაოდენობის მნიშვნელოვანი ნიშნები მიიღება, გადახრილი ბრუნვის გამოყენება კი შედარებით მეტ ნიშანს იძლევა. ამით, ნაწილობრივ, აიხსნება ის ფაქტი, რომ კეტელი უფრო მეტ ნიშნებს გამოყოფს, ვიდრე, მაგალითად, აიზენკი, მაგრამ ამ ნიშნების ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას პირდაპირ ვერ შევადარებთ ორთოგონალური ანალიზით მიღებულ ნიშნებს.

ვინაიდან კეტელის მიერ გამოყოფილი ნიშნები ერთმანეთთან კორელირებენ (გადახრილი ღერძების გამო), შესაძლებელი ხდება პირველადი ფაქტორული ანალიზის შედეგებზე შემდგომი ფაქტორული ანალიზის განხორციელება. ამგვარად უფრო მაღალი რიგის ფაქტორებს ვიღებთ. გამოიყენა რა ეს

შესაძლებლობა, კეტელმა გამოყო მეორე, მესამე და მეოთხე რიგის ფაქტორებიც კი. ყოველი შემდეგი განმეორებითი ანალიზისას ფაქტორების რაოდენობა მცირდება, მაგრამ უფრო ბევრის მომცველი ხდება.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტორული ანალიზის შედეგად მიღებული ნიშნები უნიპოლარული ან ბიპოლარული შეიძლება იყოს. უნიპოლარული ნიშნები ნულიდან გარკვეულ დადებით მნიშვნელობამდე დიაპაზონში იცვლება, ბიპოლარული ნიშნები კი — ერთი პოლუსიდან მეორემდე და ნული საშუალო მნიშვნელობას აღნიშნავს. ბიპოლარული ნიშნის მაგალითად შეიძლება ისეთი ნიშნები დავასახელოთ, როგორც არის, მაგალითად, ინტროვერსია-ექსტრავერსია და ლიბერალიზმი-კონსერვატიზმი (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## ფაქტორული ანალიზის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორული ანალიზი მკაცრად და მკაფიოდ გაწერილი სტატისტიკური პროცედურაა და მათემატიკურ აპარატს ეფუძნება, არ შეიძლება მისი უკრიტიკოდ მიღება. ფაქტორული ანალიზის გამოყენებისას (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) აუცილებლად უნდა განვიხილოთ შემდეგი სამი საკითხი:

### 1. ნამდვილად გამოდგება თუ არა მონაცემები ფაქტორული ანალიზისთვის?

რამდენად შეესატყვისება ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები და ფაქტორული ანალიზის ტექნიკა ერთმანეთს? სხვა სიტყვებით, ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემები არის თუ არა ისეთი მონაცემები, რომლებზეც შესაძლებელია ფაქტორული ანალიზის წარმოება?

ვინაიდან მოცემული ტექნიკა პირსონის კორელაციას ეფუძნება, მისი ვალიდობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია საწყისი კორელაციები. მაგალითად, თუ კორელაცია არ გვიჩვენებს არაწრფივი ურთიერთმიმართებების ვალიდობას; გარდა ამისა, კორელაციები შემცირდება, თუ საზომები არ არის სანდო, ან ცვლადის მნიშვნელობები მცირე რაოდენობით გვაქვს<sup>10</sup> (Jense, 1980, წყაროში Matthews G., Deary, I. J., Whitman, M. C., 2009).

მნიშვნელოვანია, რომ ჰიპოთეტურად ნავარაუდევია თითოეული პიროვნული განზომილების „აღსანიშნად“ (ანუ მასთან დაკავშირებული) საკმარისი რაოდენობის დებულებები გვქონდეს. ფაქტორული ანალიზი დიდი ზომის შერჩევასაც საჭიროებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიდი რაოდენობით დებულებები გვაქვს და მოსალოდნელია, რომ ამ დებულებების ფაქტორული წონები მცირე იქნება.

### 2. რამდენად არის შედეგები დამოკიდებული ანალიზის კონკრეტულ მეთოდებზე?

ფაქტორული ანალიზი ნამდვილად არის ურთიერთდაკავშირებული ტექნიკების ნაკრები და ამ ნაკრებიდან კონკრეტული მეთოდის არჩევამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მიღებულ შედეგზე. „ორთოგონალური“ როტაციის/ბრუნვის გამოყენების შემთხვევაში ფაქტორებს ვუბიძგებთ, რომ ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი იყვნენ, ანუ მათ შორის არ არსებობდეს კორელაცია. თუმცა, თუ უფრო მარტივ სტრუქტურას მოგვცემს, შეგვიძლია „გადახრილი“ როტაცია გამოვიყენოთ, რომელიც ფაქტორებს შორის კორელაციის არსებობის საშუალებას იძლევა.

ფაქტორული ანალიზის კონკრეტული მეთოდის არჩევის გარდა უნდა განვსაზღვროთ ისიც, თუ რამდენი ფაქტორის მიღება გვინდა. არსებობს მთელი რიგი წესებისა, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოთ, რამდენი ფაქტორი უნდა მივიღოთ დებულებების მოცემული რაოდენობის შემთხვევაში, თუმცა არც ერთი ასეთი წესი არ არის დადგენილი კანონი (Thompson, 2004; Velicer, Eaton and Fava, 2000, წყაროში Matthews G., Deary, I. J., Whitman, M. C., 2009).

<sup>10</sup> ანუ ხელთ არსებული მონაცემების რაოდენობა არ არის საკმარისი.

### 3. რეალურად რას ნიშნავს მიღებული შედეგები?

ეს ფაქტორულ ანალიზთან დაკავშირებული ყველაზე რთული საკითხია. ფაქტორული ანალიზის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ალტერნატიული ფაქტორული გადაწყვეტების მათემატიკური ეკვივალენტები ყველაფერს ექვემდებარება აყენებენ. ასეთი კრიტიკა, ალბათ, გადაჭარბებულია.

როგორც ვნახავთ (კეტელთან, აიზენკთან, დიდ ხუთეულში და ა. შ.) როტაციისთვის მარტივი სტრუქტურის კრიტერიუმის გამოყენება რეალურ პროგრესს იძლევა მეცნიერულად გამოსადეგი პიროვნული საზომების იდენტიფიცირების მიმართულებით. მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ ფაქტორული ანალიზი მხოლოდ ცვლადების ჯგუფებს შორის სტრუქტურულ ურთიერთმიმართებებზე მიგვითითებს. კონსტრუქტული ვალიდობა ზუსტად ისევე უნდა დადგინდეს ფაქტორული განზომილებებისთვის, როგორც ცალკეული სკალებისთვის, ანუ ფაქტორული განზომილებების გარეგან/ექსტერნალურ კრიტერიუმებთან შესაბამისობით და შემოწმებადი მეცნიერული თეორიის შექმნით (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009).

### მონაცემთა სახეები

მეცნიერების განვითარება ახალი ხელსაწყოების, გაზომვის ახალი მოწყობილობების/საშუალებების შექმნას უკავშირდება (Cloninger, S. C., 2004). მაგალითად, ფიზიოლოგიის განვითარება ისეთი დახვეწილი პროცედურების შექმნას უკავშირდება, როგორცაა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, ასტრონომიის წინსვლა კი გიგანტური ტელესკოპის აგებას უკავშირდება. ანალოგიურად, პიროვნების კვლევამ დიდად წაიწია წინ გაზომვის გაუმჯობესებული მეთოდების შექმნის შედეგად.

ერთ-ერთი ძველი ტექნიკა, რომელსაც კეტელი (1957) უარყოფდა, იყო ინტერვიუ, რომელიც, მისი აზრით, ფსიქოლოგიაში ანაქრონიზმის წყაროს წარმოადგენდა და მისი, როგორც შეფასების მეთოდის, გამოყენებას, მრავალი თავის სამართლებელი აქვს, მაგრამ არა — გამართლება. ინტერვიუს ნაცვლად, კეტელი ისეთ ტესტებს ანიჭებდა უპირატესობას, როგორც იყო, მაგალითად, მისეული მოტივაციის ანალიზის ტესტი. კვლევების ანალიზმა, რომელიც რობინ დეივისის (Robyn Dawes, 1994, წყაროში Cloninger, 2004) ეკუთვნის, დაადასტურა კეტელის პესიმიზმი კლინიკური დიაგნოსტიკებისთვის მოწოდებული ინტერვიუს ქცევის პროგნოზირებისთვის ვარგისიანობის თაობაზე. დეივისის მიხედვით, ინტერვიუ შეიძლება გამოსადეგი იყოს მონაცემების შეგროვებისთვის, მაგრამ პროგნოზისთვის უმჯობესია კომპიუტერულ მოდელს ვენდოთ. კეტელი კი ამ მეთოდის გამოყენების პიონერი იყო (Cloninger, S. C., 2004).

### პიროვნული ტესტები

პიროვნების კვლევაში კეტელის მიერ შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილია პიროვნების სისტემატური აღწერა. ის ამტკიცებდა, რომ ასეთ აღწერას, ინდივიდუალური განსხვავებების ტაქსონომიას არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიზეზების კვლევის დაწყებამდე. აღწერა გაზომვას საჭიროებს. ამიტომ კეტელმა და მისმა კოლეგებმა დიდი რაოდენობით პიროვნული ტესტები (კითხვარები, როგორც ის თავად უწოდებდა) შექმნეს.

მთლიანად პოპულაციაში პიროვნული განსხვავებების შესაფასებლად კეტელმა მისი საყოველთაოდ ცნობილი 16 ფაქტორიანი პიროვნული კითხვარი (16 PF) შექმნა, რომელსაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ. „პიროვნული ფაქტორი“ არის ტერმინი, რომელსაც ის ფართოდ იყენებს თეორიაში მნიშვნელოვანი ნიშნების აღსანიშნად. გარდა ამ კითხვარისა, კეტელს ეკუთვნის რამდენიმე ტესტი, რომელიც კლინიკური გამოყენებისთვის არის მოწოდებული, მათ შორის ნეიროტიციზმის სკალა, კლინიკური ანალიზის კითხვარი, ოჯახური კონსულტირების ანგარიში და შფოთვისა და დეპრესიის საზომები. კეტელმა ინტელექტის სხვადასხვაგვარი ტესტიც შექმნა (Cloninger, S. C., 2004).

## პიროვნული ტესტების მიღმა

კეტელი პიროვნების განზომილებების მთელი დიაპაზონის აღსაწერად საჭირო სამი სახის მონაცემებს (ცხრილი 1) გამოყოფს, რომლებზეც შემდგომში ფაქტორული ანალიზი ხორციელდება (Cloninger, S. C., 2004; McAdams, D. P., 2006; Первин Л., & Джон О., 2002).

ცხრილი 1. პიროვნების შესახებ მონაცემთა კლასიფიკაცია კეტელის მიხედვით.

მონაცემის ტიპი	აღწერა	მაგალითი
L-მონაცემები	დამკვირვებლის რეიტინგებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც გროვდება ინდივიდის მეტ-ნაკლებად ბუნებრივ ცხოვრებაზე დაკვირვებითა და თავის ბუნებრივ გარემოს ინდივიდის შეფასებით.	<ul style="list-style-type: none"> <li>მასწავლებლის მიერ ბავშვების შეფასება დაწყებით კლასებში;</li> <li>შვილების ტემპერამენტის მშობლების მიერ მოცემული შეფასება;</li> <li>პიროვნების შეფასება თანატოლების მიერ;</li> <li>ოჯახური ინტერაქციების რეიგინგები.</li> </ul>
Q-მონაცემები	ინფორმაცია თვითდაკვირვებისა და ინდივიდის მიერ საკუთარი ქცევის, ემოციებისა და პიროვნული მახასიათებლების შეფასების გზით მიიღება.	<ul style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვაგვარი თვითანგარიშის სკალები და სტანდარტიზებული პიროვნული კითხვარები, მაგალითად, MMPI, ექსტრავერსიის, ნევროტიზმისა და გამოცდილების ღიაობის ნიშნების საზომი მეთოდიკები.</li> </ul>
T-მონაცემები	ინფორმაცია მიიღება ისეთ სტრუქტურირებულ და გაკონტროლებულ პირობებში, როგორცაა ლაბორატორია.	<ul style="list-style-type: none"> <li>ექსპერიმენტები, რომლებშიც ხორციელდება დაკვირვებები, მაგალითად, აგრესიულ, ალტრუისტულ ან კონფორმულ ქცევებზე სხვადასხვა ვარიანტად და გაკონტროლებულ პირობებში.</li> </ul>

წყარო: McAdams, D. P., 2006.

- ობიექტური, ცხოვრებისეული მონაცემები ანუ *L-მონაცემები* (L-data, სიტყვიდან Life): აქ შედის მონაცემები რეალური, ყოველდღიური სიტუაციების შესახებ, როგორცაა სკოლაში სწავლა ან კოლეგებთან ურთიერთობა. ეს შეიძლება იყოს გარკვეული მოქმედებების პირდაპირი დათვლა, მაგალითად, 10 წლის მანძილზე სამუშაო ადგილების რაოდენობა, ან ქცევაზე დაკვირვების შედეგად გაკეთებული შეფასებები (McAdams, D. P., 2006).

- კითხვარების მონაცემები ანუ *Q-მონაცემები* (Q-data, სიტყვიდან Questionnaire): მოიცავს თვითანგარიშებს ანუ კითხვარებზე პასუხებს, რომელსაც ადამიანები თავად იძლევიან. ამ დროს ადამიანებს შეუძლიათ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ კითხვარში მოცემულ დებულებებს იმაზე დაყრდნობით, რაც იციან საკუთარი თავის შესახებ. პიროვნების კითხვარების უმეტესობა, რომელსაც ფსიქოლოგები იყენებენ, სწორედ Q-მონაცემებს იძლევიან. ვინაიდან Q-მონაცემი ის არის, რაც ადამიანმა იცის და რასაც ყვება საკუთარი თავის შესახებ, ის შეიძლება მცდარი და არაზუსტი იყოს, რადგან ადამიანი შეგნებულად თუ შეუგნებლად შეიძლება იტყუებოდეს. ამიტომ ეს მონაცემები აუცილებლად უნდა კორელირებდნენ რესპონდენტთა რეალური ქცევის მონაცემებთან. მხოლოდ რეალურ ქცევასთან შედარებით გადამოწმებული მონაცემები შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ Q-მონაცემებად.

- ექსპერიმენტული მონაცემები ანუ *T-მონაცემები* (T-data, სიტყვიდან Test): ეს არის ობიექტური ტესტებით ანუ ისეთი ტესტებით მიღებული ინფორმაცია, რომლებშიც ტყუილის თქმა შეუძლებელია ან კითხვარის მიზანი დაფარულია რესპონდენტისგან. მაგალითად, ასე იზომება გონებრივი შესაძლებლობები, რეაქცია, იუმორის გრძნობა, მითითებების მიყოლის უნარი და ბევრი სხვა მახასიათებელი, რომელიც სწორედ თვისებების შესახებ გვამღვეს ინფორმაციას და არა იმის შესახებ, თავად ადამიანი ან სხვები რას ფიქრობენ ამ თვისებების თაობაზე. ამისათვის ადამიანს მიეწოდება მცირე ქცევითი სიტუაციები, რომლებშიც ცდის მონაწილე ვერაფერს ხვდება რეაქციასა და გასაზომ მახასიათებელს შორის კავშირის შესახებ.

კეტელის მიხედვით, თუ მულტივარიანტულ, ფაქტორულ-ანალიტურ კვლევას მართლაც შეუძლია პიროვნების ბაზისური სტრუქტურის გამოვლენა, მაშინ ერთი და იგივე ფაქტორები ანუ ნიშნები სამივე სახის მონაცემებით უნდა მივიღოთ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი, ლოგიკური და აუცილებელი მოთხოვნაა (Cloninger, S. C., 2004).

კეტელი თვლის, რომ სამივე წყაროდან მიღებული მონაცემების კომბინირებით არის შესაძლებელი, რომ მკვლევარმა პიროვნების ნიშნების შესახებ მეტად ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს და ქცევის პროგნოზირება შეძლოს (McAdams, D. P., 2006).

იდეალურ შემთხვევაში, თუ L, Q და T მონაცემების შეროვების ტექნიკები სრულიად სანდოა, მაშინ თითოეული მათგანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზუსტად იმ ფაქტორებზე უნდა მიგვითითებდეს, რომელზეც დანარჩენი ორი. პრაქტიკაში, ცხადია, არ არსებობს ასეთი აბსოლუტურად სანდო გასაზომი მეთოდები, თუმცა კეტელმა აღმოაჩინა, რომ სხვადასხვა მეთოდით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებულ შედეგებს საკმაოდ ბევრი აქვთ საერთო. განსაკუთრებით კარგად შეესატყვისება ერთმანეთს ფაქტორები, რომლებიც L და Q მონაცემების მეშვეობით არის მიღებული.

მონაცემების სამი სხვადასხვა წყაროს გამოყენება კეტელის სამეცნიერო შრომის სამ დამოუკიდებელ ნაწილად გახლეჩილობის ილუზიას ქმნის, თუმცა თუ დაკვირვებით შევხედავთ, ნათელი გახდება, რომ დაკვირვების ეს სამი მეთოდი მხოლოდ პიროვნების თვისებების გაგებისადმი და გაზომვისადმი სამი სხვადასხვა მიდგომაა (Первин Л., & Джон О., 2002).

### ნიშნების გამოვლენა ემპირიული გზით

პიროვნების სირთულის გამოსახატად და კვლევის მრავალდონიანი სტრატეგიის შესაქმნელად კეტელი აუცილებლად მიიჩნევდა მონაცემების სხვადასხვა წყაროს გამოყენებას. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს დროის მოცემულ მომენტში პიროვნების პარამეტრების სხვადასხვაგვარ გამოვლინებას, თუმცა მკვლევარს არ აძლევს ცვლადებით მანიპულირების საშუალებას. კეტელი ამტკიცებს, რომ თუ ისეთ მრავალდონიან ანუ მულტივარიანტულ კვლევას, როგორც ფაქტორული ანალიზია, შეუძლია სანდოდ განსაზღვროს პიროვნების ფუნქციონალური ბლოკები, მაშინ იგივე ფაქტორების ანუ სიღრმისეული ნიშნების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს ზემოთ აღწერილი სამივე ტიპის მონაცემით. ეს ლოგიკური მტკიცება გულისხმობს, რომ მონაცემების თითოეული წყარო, ფაქტორივად, პიროვნების საყოველთაოდ გავრცელებულ და საფუძვლადმდებარე ნიშნებს ზომავს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

თავდაპირველად კეტელი მხოლოდ L-მონაცემებს უქვემდებარებდა ფაქტორულ ანალიზს, რის შედეგადაც 15 ფაქტორი აღმოაჩინა, რომელიც, მისი აზრით, საუკეთესოდ ხსნიდა ადამიანის ინდივიდუალობას. შემდეგ კოლეგებთან ერთად შეეცადა, ენახა, იგივე ფაქტორები მიიღებოდა თუ არა Q-მონაცემების საფუძველზე. ამისათვის შემუშავებულ იქნა ათასი დებულება კითხვარისთვის, რომელიც დიდი რაოდენობით ადამიანებს მიეწოდათ. მიღებული მონაცემები, თანმხვედრი დებულებების გამოვლენის მიზნით, ფაქტორიზაციას დაექვემდებარა.<sup>11</sup> მთლიანობაში Q-მონაცემებით გამოვლენილი ფაქტორები დაემთხვა L-მონაცემების გამოყენებით მიღებულ ფაქტორებს; მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აღმოჩნდა განუმეორებელი ორივე სახის მონაცემისთვის. კერძოდ, მეორე ცხრილში წარმოდგენილი პირველი 12 ფაქტორი სახეზე იყო როგორც Q-მონაცემებში, ისე — L-მონაცემებშიც, ხოლო ბოლო ოთხი ფაქტორი, რომელიც Q-მონაცემებიდან იქნა მიღებული, არ შეესატყვისებოდა L-მონაცემებს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### მატრიცის შექმნის ტექნიკები

XX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისისთვის კორელაციების მატრიცის შედგენის ყველაზე გავრცელებული მეთოდი ე. წ. R-ტექნიკა იყო, როდესაც ერთსა და იმავე სიტუაციაში მრავალი ადამიანი

<sup>11</sup> სწორედ ამ კოლოსალური კვლევების შედეგი იყო 16PF, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ერთსა და იმავე რამდენიმე ტესტს აკეთებს. ამ ტექნიკით წარმოებული ფაქტორულ-ანალიტიკური კვლევების შედეგები მხოლოდ იმ ნიშნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც საერთოა მრავალი ადამიანისთვის (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

ოლპორტის კრიტიკამ, რომელიც აქტიურად იცავდა ინდივიდუალური ანუ უნიკალური ნიშნების კონცეფციას, კეტელს ცალკეული შემთხვევების სრულად და ობიექტურად შესწავლის მეთოდების შემუშავებისკენ უბიძგა. ამის შედეგად შეიქმნა P-ტექნიკა, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი და იგივე ადამიანი პასუხობს ორ ან მეტს ტესტს სხვადასხვა სიტუაციაში და ამ მონაცემებით იქმნება კორელაციური მატრიცა. კეტელისეული P-ტექნიკის გამოყენება 30 ან მეტი ცვლადის მიღების საშუალებას გვაძლევს, რომელიც 100-ზე მეტ სხვადასხვა სიტუაციაში ერთ ადამიანს ეკუთვნის. ახალი ტექნიკის გამოცდა კეტელმა საკუთარ მეუღლეზე დაიწყო, რომელიც, ცხადია, სრულიად გადაიღალა ცხრა კვირიანი ყოველდღიური ტესტირებით „სხვადასხვა მოუხერხებელ სიტუაციაში, რომელსაც ექსპერიმენტი ითხოვდა“ (Cattell, 1974b, გვ. 106, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

თუ მხოლოდ P-ტექნიკას გამოვიყენებთ, დიდია ალბათობა იმისა, რომ არასწორად შევარჩიოთ გამოსაკვლევი ადამიანები, ამიტომ ამ მეთოდის დამატების სახით კეტელმა შეიმუშავა დიფერენცირებული dR-ტექნიკა, რომლის გამოყენების დროს კორელაციურ მატრიცაში შედის ცვლადები, რომლებიც ორ სხვადასხვა სიტუაციაში დიდი რაოდენობით ადამიანების ტესტირებით არის მიღებული. P-ტექნიკა კარგი მეთოდია ცალკეული შემთხვევის შესწავლისთვის, მაგრამ ფაქტორები, რომლებიც ამ მეთოდის გამოყენებით ვლინდება, მხოლოდ ერთ ადამიანს ეკუთვნის. ამიტომ შეუძლებელია ტესტირების შედეგების განზოგადება. მეორე მხრივ, dR-ტექნიკა უშვებს ასეთ განზოგადებას, თუმცა, აქ მხოლოდ დროის ორი მომენტი გამოიყენება, რომლიდანაც ერთში მაინც არის შესაძლებელი რაიმე არაორდინალური მოვლენის ზემოქმედება, ანუ dR-ტექნიკა არ არის დაზღვეული შეცდომისგან სიტუაციის შერჩევისას. P და dR ტექნიკები ერთად უნდა გამოვიყენოთ ზოგადი მდგომარეობების ან გუნება-განწყობილების პატერნების დასადგენად (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

სხვადასხვა ფაქტორის საკვლევად სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებაა აუცილებელი. ასე მაგალითად, ცნება *მდგომარეობა* ქცევაში დროში მიმდინარე ცვლილებებს შეეხება, რომლებიც გარემოში მიმდინარე ცვლილებების შედეგად მიიღება. ფსიქოლოგიური მდგომარეობების მაგალითებია სიხარული, რისხვა, შიში, შფოთვა. ფიზიოლოგიურ მდგომარეობებში შედის გულისცემის რიტმი, სხეულის ტემპერატურა და სისხლის წნევა. ამ ქცევითი და ფიზიოლოგიური მდგომარეობების ცვლილებების გამოთვლა ყველაზე სანდოდ P და dR ტექნიკების გამოყენებით არის შესაძლებელი. მეორე მხრივ, *ნიშანი* არის შედარებით მდგრადი, უცვლელი თვისება ანუ მიდრეკილება, ან, როგორც განმარტავს კეტელი (1979-1980), „ის, რაზეც დამოკიდებულია, თუ რას გააკეთებს ადამიანი კონკრეტულ მოცემულ სიტუაციაში“ (ტომი 1, გვ.14, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001), ამიტომ ნიშნების გამოვლენა უკეთ არის შესაძლებელი ტრადიციული R-ტექნიკით.

## ნიშნების კლასიფიკაცია და გაზომვა

კეტელი პიროვნების ნიშნებს განსაზღვრავს, როგორც „იმას, რაც მოცემულ სიტუაციაში ადამიანის მოქმედების პროგნოზირების საშუალებას გვაძლევს“ (1950, გვ. 2, ციტირებულია წყაროში Cloninger, 2004). ეს პროგნოზი რომ უფრო ზუსტი იყოს, კეტელის მიხედვით, უნდა გაიზომოს და აღიწეროს ძირითადი ნიშნები. სწორედ ეს ნიშანია მისთვის პიროვნების ბაზისური სტრუქტურა, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მიდრეკილება. ნიშნის ცნება გულისხმობს, რომ ქცევა გარკვეულ პატერნს მიყვება და მდგრადია დროსა და სხვადასხვა სიტუაციაში (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

როგორც ვიცით, ოლპორტი და ოდბერტი ემბრობოდნენ ჰიპოთეზას (Pervin, L. A., 2003), რომ ის ინდივიდუალური განსხვავებები, რომლებიც ადამიანების ცხოვრებაში ყველაზე მეტად არის გამოკვეთილი და სოციალურად რელევანტური, საბოლოოდ მათ ენაში იქნება კოდირებული. რაც უფრო მნიშვნელოვანია



განსხვავება მათ შორის, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ეს ინდივიდუალური მახასიათებელი ენაში ცალკე სიტყვით იქნას აღნიშნული.<sup>12</sup> სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე, ოლპორტმა და ოდბერტმა (1936, წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001) ლექსიკონიდან ამოწერილი ნიშნების დაახლოებით 18 ათასი დასახელება 4500 დასახელებამდე შეამცირეს. კეტელმა სწორედ ეს 4500 სიტყვიანი ჩამონათვალი გამოიყენა პიროვნების ნიშნების ფაქტორული ანალიზის საწყის წერტილად. მასში შემავალი მრავალი ნიშანი ერთმანეთთან არის კავშირში ანუ, როგორც წესი, ერთად ვლინდებიან ჯგუფის სახით. თუ რამდენიმე ზედაპირული ნიშანი ამკარად უკავშირდება ერთმანეთს, უნდა არსებობდეს რაღაც ძირითადი თვისება, რომელიც ერთად აკავებს მათ (Первин Л., & Джон О., 2002).

კეტელმა სხვადასხვა დონის ნიშნების მრავალმხრივი და საკმაოდ ამომწურავი კლასიფიკაცია მოგვცა. მან ნიშნები მემკვიდრეობითობა-შემენილობის, მოქმედების არეალისა და შესრულებული ფუნქციების მიხედვით გამოყო.

## ზედაოურული და ძირითადი ანუ სიღრმისეული ნიშნები

კეტელი (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997) ერთმანეთისგან განასხვავებს ზედაპირულ (პიროვნების თვისებების ბუნებრივ სამეტყველო ენაში არსებულ აღწერებს) და სიღრმისეულ ანუ ძირითად (საფუძვლადმდებარე გენერაციულ მექანიზმებს, რომლებიც ბუნებრივ სამეტყველო ენაში კლასიფიცირებულ ქცევაზე აგებენ პასუხს) ნიშნებს. ეს კლასიფიკაცია უკავშირდება იმ დონეს, რომელზეც ვაკვირდებით ქცევას.

### ზედაპირული ნიშნები

კეტელმა პიროვნების მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო ანუ ზედაპირული ნიშნების აღსაწერად ფაქტორული ანალიზი გამოიყენა.

ტერმინი ზედაპირული მიუთითებს, რომ მართალია ნიშანი „ზედაპირზე“ მოცემული, არ არსებობს არანაირი საბუთი იმისა, რომ ის მართლაც ნიშანია ნებისმიერი თვალსაზრისით (Cloninger, S. C., 2004). კეტელის სისტემაში ზედაპირული ნიშნები არც თუ ისე მნიშვნელოვანია. მათ მხოლოდ კვლევის საწყისი პუნქტის ან ძირითადი ნიშნების ინდიკატორების ფუნქცია აქვთ (Первин Л., & Джон О., 2002).

ზედაპირულ ნიშნებთან ნაწახი კორელაციების პატერნი შეიძლება არ განმეორდეს სხვადასხვა სიტუაციაში, მაგალითად, სხვადასხვა პოპულაციაში, ტესტურ პირობასა თუ დროს (Cloninger, S. C., 2004).

ზედაპირული ნიშნები ქცევის თავისებურებებს ასახავენ, რომლებიც ზედაპირული განხილვისას ერთმანეთთან დაკავშირებულად გვეჩვენება, თუმცა სინამდვილეში ყოველთვის არ იცვლებიან ერთდროულად და სულაც არ არის აუცილებელი, რომ საერთო მიზეზი ჰქონდეთ (Первин Л., & Джон О., 2002).

### სიღრმისეული ნიშნები

მრავალი კვლევის მეშვეობით კეტელმა გარკვეული კორელაციური კლასტერები გამოყო (Revelle, W., 2009), რომლებიც საკმაოდ „მყარია“ ანუ კიდევ და კიდევ იჩენენ თავს. ისინი ჩნდებიან პოპულაციაში, ტესტურ სიტუაციებსა და ა. შ. არსებული განსხვავებებისდა მიუხედავად. კეტელი ამტკიცებდა, რომ ასეთ მყარ პატერნებს დისპერსიის მხოლოდ ერთი წყარო/მიზეზი უნდა ჰქონოდათ. ეს პატერნი პიროვნებაში არსებულ ერთ „მიზეზს“ უნდა შეესატყვისებოდეს. ასეთ მყარ ნიშნებს კეტელი ფაქტორული ანალიზით ეძებდა და მათ სიღრმისეულ ნიშნებს უწოდებდა (Cloninger, S. C., 2004). ასეთი ნიშნები, ზედაპირულისგან განსხვავებით, ქცევის იმ თავისებურებებს შორის კავშირს ასახავენ, რომლებიც მართლაც ერთდროულად იცვლებიან და პიროვნების ერთიან, დამოუკიდებელ პარამეტრს ქმნიან (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

<sup>12</sup> ამ დებულებას ლექსიკური ჰიპოთეზა ეწოდა.

თუ ზედაპირული ნიშნების გამოვლენა სუბიექტური მეთოდებით არის შესაძლებელი, მაგალითად, იმით, რომ თვითონ ადამიანებს ვკითხვით, მათი აზრით, რა პიროვნული მახასიათებლები იცვლებიან მათ შემთხვევაში ერთდორულად, სიღრმისეული ნიშნების აღმოსაჩენად ისეთი დახვეწილი სტატისტიკური პროცედურებია საჭირო, როგორც, მაგალითად, ფაქტორული ანალიზია. კეტელთან სიღრმისეული ნიშნები ის ბლოკებია, რომლითაც აიგება პიროვნება (Первин Л., & Джон О., 2002).

### **კონსტიტუციური და გარემოს მიერ ფორმირებული ნიშნები**

კეტელის თანახმად, სიღრმისეული ნიშნები, მათი წყაროს მიხედვით, ორ ქვესახეობად — კონსტიტუციურ და გარემოს მიერ ფორმირებულ — ნიშნებად შეიძლება დაიყოს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

*კონსტიტუციური ნიშნები* ინდივიდის ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მონაცემებიდან ვითარდება, მაგალითად, კოკაინისადმი მისწრაფებისგან გამოჯანმრთელება შეიძლება უეცრად წარმოქმნილი გაღიზიანებადობის, დათრგუნულობისა და აფორიაქებულობის მიზეზი იყოს. კეტელი იტყობდა, რომ ასეთი ქცევა ადამიანის ფიზიოლოგიის ცვლილების შედეგია და, ამგვარად, კონსტიტუციურ სიღრმისეულ ნიშნებს ასახავს.

*გარემოს მიერ ფორმირებული ნიშნები*, პირიქით, სოციალური და ფიზიკური გარემოდან მომდინარე გავლენებით არის განპირობებული. ეს ნიშნები ქცევის მახასიათებლებსა და სტილებს ასახავენ, რომლებიც დასწავლის პროცესში აითვისა ადამიანმა და გარემოს მიერ პიროვნებაში აღბეჭდილ პატერნს ქმნიან. ამიტომ, მაგალითად, ფერმაში გაზრდილი ადამიანი არ იქცევა ისე, როგორც ქალაქის გარეუბანში გაზრდილი (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

### **უნარების, ტემპერამენტისა და მოტივაციური (დინამიკური) ნიშნები**

სიღრმისეული ნიშნების კლასიფიცირება შესაძლებელია იმ მოდალობის მიხედვით, რომლითაც ხდება მათი გამოხატვა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). შესაბამისად, კიდევ ერთი კლასიფიკაცია, რომელსაც გვთავაზობს კეტელი, ნიშნებს სამ ჯგუფად ყოფს, ესენია: უნარები, ტემპერამენტისა და მოტივაციური ანუ დინამიკური ნიშნები (Первин Л., & Джон О., 2002).

*უნარების ნიშნები* შესძლებლობებსა და უნარებს ახასიათებს, რომლებიც ადამიანს ეფექტურად ფუნქციონირების საშუალებას აძლევენ და სასურველი მიზნის მიღწევისას მის ეფექტურობას განაპირობებენ. ასეთი ნიშნის მაგალითად შეიძლება ინტელექტი, მუსიკალური უნარები და ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია დასახელდეს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Первин Л., & Джон О., 2002).

*ტემპერამენტის ნიშნები* ადამიანის ემოციურ ცხოვრებას და ქცევის სტილის თავისებურებებს განეკუთვნებიან. მაგალითად, ადამიანს სწრაფად მუშაობა შეუძლია თუ ნელა, ემოციებს ჭარბად ავლენს თუ თავშეკავებულია, იმპულსურად მოქმედებს თუ შეუძლია წინასწარ ცივი გონების მსჯელობა, — ეს ყველაფერი ტემპერამენტის თავისებურებებს უკავშირდება, რომლითაც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კეტელი ტემპერამენტის ნიშნებს კონსტიტუციურ სიღრმისეულ ნიშნებად მიიჩნევს, რომლებიც ადამიანის ემოციურობას განაპირობებენ.

*მოტივაციური ანუ დინამიკური ნიშნები* ახასიათებს მისწრაფებებს, ინდივიდის მოტივაციურ ცხოვრებას, მისთვის მნიშვნელოვანი მიზნების თავისებურებებს (Первин Л., & Джон О., 2002). ეს არის ნიშნები, რომლებიც ადამიანის ქცევის მოტივაციურ ელემენტებს ასახავენ და მას კონკრეტული მიზნების მიმართულებით აქტიურებენ და წარმართავენ. ასე მაგალითად, პიროვნება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ამბიციური, ძალაუფლებისთვის მებრძოლი ანდა მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებით დაინტერესებული (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

კეტელი თვლის, რომ უნარების, ტემპერამენტისა და მოტივაციის უნარები პიროვნების ყველა ძირითად სტაბილურ ელემენტს მოიცავენ (Первин Л., & Джон О., 2002).

ტემპერამენტისა და დინამიკურ ნიშნებს კიდევ მივუბრუნდებით და უფრო დეტალურად განვიხილავთ.

## ზოგადი და უნიკალური ნიშნები

კეტელი, ოლპორტის მსგავსად, ერთმანეთისგან განასხვავებს ზოგად და უნიკალურ ნიშნებს. ზოგადია ნიშანი, რომელიც სხვადასხვა ხარისხით ერთი და იგივე კულტურის ყველა წარმომადგენელს ახასიათებს, მაგალითად, თვითშეფასება, ინტელექტი და ინტროვერსია ზოგად ნიშნებს მიეკუთვნებიან (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ამის საპირისპიროდ, უნიკალურია ნიშანი, რომელიც კონკრეტული ადამიანისთვის ან მცირე რაოდენობის ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი. კეტელი თვლის, რომ უნიკალური ნიშნები განსაკუთრებით ინტერესებისა და განწყობების სფეროში იჩენენ თავს. მაგალითად, სალი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც 1930 წელს შედედეთსა და კანადაში ბავშვების სიკვდილიანობის შესახებ მოაგროვა მონაცემები. ძალიან ცოტა იქნება ისეთი ადამიანი (თუ საერთოდ იქნება), რომელიც გაიზიარებს ამ ინტერესს.

კეტელის პრაქტიკულად ყველა კვლევა ზოგადი ნიშნების შესწავლას ეძღვნება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ის უნიკალური ნიშნების არსებობას აღიარებდა, ადამიანების განუმეორებელი უნიკალობის ხაზგასმის საშუალებას იძლევა. ის, ასევე, თვლის, რომ ზოგადი ნიშნების ორგანიზაცია ყოველთვის უნიკალურია პიროვნებაში; თუმცა, არ უნდა გავაზვიადოთ კეტელის მიერ ყოველ კონკრეტულ ადამიანში ნიშნების კომბინაციის უნიკალურობის აღიარება, ვინაიდან სინამდვილეში მას ქცევის ზოგადი პრინციპები უფრო აინტერესებდა, ვიდრე კონკრეტული ინდივიდის პიროვნება (Хьелл Л., & Зиглер Д., 1997).

## პიროვნული ნიშნები და მათი საკვლევი 16 ფაქტორიანი კითხვარი

ნიშნების გასაზომად კეტელმა 16 ფაქტორიანი კითხვარის რამდენიმე ვარიანტი შექმნა (Pervin, L. A., 2003). კითხვარის პირველი ვერსია 1950 წელს გამოქვეყნდა. არსებობს მოზრდილებისთვის განკუთვნილი კითხვარის ორი ძირითადი ეკვივალენტური ფორმა (A და B, ამასთან, A ითვლება სტანდარტულ ფორმად). თითოეული მათგანი 187 დებულებისგან შედგება. ცდის პირმა უნდა აირჩიოს პასუხებიდან „კი“, „არა“, „არ ვიცი“ (ან „ა“, „ბ“, „გ“). ამასთან, მას აფრთხილებენ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად აირჩიოს პასუხი „არ ვიცი“. მიღებული შედეგები გამოისახება სტენების სკალაზე, მინიმალური 0 ქულიდან მაქსიმალურ 10 ქულამდე. საშუალო ქულაა 5,5. საბოლოოდ იგება პიროვნების პროფილი (მაგალითისთვის იხ. სურ. N1), რომლის ინტერპრეტაციისას მკვლევარი თითოეული ფაქტორის გამოკვეთილობით, ფაქტორთა ურთიერთქმედების თავისებურებებითა და ნორმატიული მონაცემებით ხელმძღვანელობს (Первин Л., & Джон О., 2002).

კეტელმა თავდაპირველად L-მონაცემების ანალიზით დაიწყო და 15 ფაქტორი მიიღო, რომელიც, როგორც ჩანდა, პიროვნული მახასიათებლების დიდ ნაწილს მოიცავდა. შემდეგი ამოცანა იყო იმის განსაზღვრა, მიიღებოდა თუ არა შესატყვისი ფაქტორები Q-მონაცემების საფუძველზე. მოგონილ იქნა ათასობის კითხვა, რომლებიც დიდი რაოდენობით ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებს წარედგინათ. მრავალჯერ განხორციელდა ფაქტორული ანალიზი, რათა ჯგუფებად გაერთიანებული კითხვები მოძებნილიყო. ამ ტიტანური შრომის საბოლოო ვარიანტი იყო კითხვარი, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც „პიროვნების 16 ფაქტორიანი კითხვარი (16PF)“.<sup>13</sup>

ფაქტორების სახელებად კეტელი ნეოლოგიზმებს იგონებდა, როგორცაა, მაგალითად, „surgency“ (კეტელთან აღნიშნავს დინამიზმს). მან ბუნებრივი სამეტყველო ენა ისეთ ტერმინებში გადაიტანა, როგორც

<sup>13</sup> ნიშნების გასაზომად კეტელმა 16PF კითხვარის რამდენიმე ვარიანტი შეიმუშავა: პიროვნების კითხვარი სკოლამდელი ბავშვებისთვის, რომელიც განკუთვნილია 4-6 წლის ბავშვებთან სამუშაოდ; პიროვნების კითხვარი უმცროსი კლასის მოსწავლეებისთვის ანუ 6-8 წლის ბავშვებისთვის; ბავშვების პიროვნების კითხვარი, 12-18 წლის მოზარდებთან სამუშაოდ. ამ კითხვარებში ბავშვებსა და მოზარდებს წარედგინებათ ალტერნატივები, მაგალითად: „ისევე კარგად წერ კარნახს, როგორც სხვა ბავშვები, თუ სხვები შენზე უკეთ წერენ?“ ან „სათამაშოებით თამაში გირჩევნია თუ სხვა ბავშვებთან?“ დამატებით იქნა შემუშავებული კლინიკური ალტერნატიული კითხვარი (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

არის „ჰარია“, „პრესემსია“, „ალაქსია“ და „პროტენსია“<sup>14</sup> (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997). ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ დასახელებები ნეიტრალური ყოფილიყო და ჩვეულებრივი სიტყვების მნიშვნელობებს შეცდომაში არ შეეყვანათ ადამიანები. მთლიანობაში Q-მონაცემების საფუძველზე აღმოჩენილი ფაქტორები თანხვედრა L-მონაცემების ფაქტორებს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ერთი ტიპის მონაცემებში გვხვდება (Pervin, L. A., 2003; Первин Л., & Джон О., 2002).

კეტელი აქტიურად იყენებდა კითხვარებს, განსაკუთრებით ფაქტორული ანალიზის შედეგად შექმნილებს, როგორცაა თავად მისი 16PF. ამასთან, მას აღეგებდა კითხვარზე გაცემულ პასუხებში მოტივაციურ დამახინჯებებთან და თვითმოტყუებასთან დაკავშირებული პრობლემები. ის, ასევე, თვლიდა, რომ კითხვარის სარგებელი განსაკუთრებით საეჭვოა, თუ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებთან გვაქვს საქმე. იმის გამო, რომ L და Q მონაცემებთან დაკავშირებით პრობლემები იყო, ხოლო საწყისი საკვლევი სტრატეგია ისეთ კვლევებს ითხოვდა, რომლებიც T-მონაცემებზე იქნებოდა დაფუძნებული, კეტელმა თავისი ძალისხმევა შემდგომში პიროვნების იმ სტრუქტურისკენ წარმართა, რომელიც T-მონაცემებით მიიღებოდა. სწორედ ობიექტურ ტესტებში სიღრმისეული ანუ საფუძვლადმდებარე ნიშნების გამოვლენა წარმოადგენდა პიროვნების კვლევის მყარ საფუძველს.

L და Q-მონაცემებით მიღებული შედეგები მინიატურული ტესტური სიტუაციების შემუშავებისთვის გამოიყენებოდა, ანუ მიზანი ის იყო, რომ ისეთი ობიექტური ტესტები შეექმნათ, რომლითაც L და Q-მონაცემებით უკვე დადგენილი სიღრმისეული ნიშნები გაიზომებოდა (Первин Л., & Джон О., 2002). ასე მაგალითად, მიზანდასახულობისკენ მიდრეკილება შეიძლება გამოხატული ყოფილიყო ისეთი მოქმედებებით, როგორც არის ქალაქის ლაბირინთში გავლილი გრძელი გზა, მხარის მოძრაობის მაღალი ტემპი და ასობის შედარების დავალების შესრულების სწრაფი ტემპი. შეიქმნა 500-ზე მეტი ტესტი, რათა პიროვნების ყველა ჰიპოთეტური პარამეტრი ჩართულიყო კვლევაში. ეს ტესტები ცდის პირთა დიდ რაოდენობას მიეწოდებოდა და, საბოლოო ჯამში, ამ მინისიტუაციებით (T-მონაცემებით) მიღებული მონაცემების მრავალჯერადი ფაქტორიზაციით მიღებულ იქნა 23 სიღრმისეული ანუ საფუძვლადმდებარე ნიშნისგან შემდგარი ფაქტორული სტრუქტურა (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

<sup>14</sup> თუმცა, ამ ტერმინების ისევე უკან თარგმნა გახდა საჭირო, უფრო კონკრეტულად ზოგადი ნიშნების ენაზე გადმოტანა მოხდა, რათა გამოსადეგი ყოფილიყო პრაქტიკოსებისთვის (IPAT Staff, 1979, წყაროში Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

სურ. N1. პიროვნების პროფილი 16PF-ის მიხედვით (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ნორმალური პიროვნული ნიშნები

		Отрицательный полюс			Средние значения		Положительный полюс							
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	РЯД	СТЭН	
A	სკრტინობა, отстраненность, отуждение	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	А: ДОБРОСЕРДЕЧНОСТЬ	9	5
B	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 კონკრეტული მსოფლივი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	В: ИНТЕЛЛЕКТ	7	6
C	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 легко расстраивается, эмоциональность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	С: ЭМОЦИОНАЛЬНАЯ СТАБИЛЬНОСТЬ	13	7
E	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 კონფორმობა, приспособляемость	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Е: ДОМИНАНТНОСТЬ	12	8
F	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 предусмотрительность, здравомыслие, серьезность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Ф: ИМПУЛЬСИВНОСТЬ	11	7
G	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 пренебрежение к правилам	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Г: СОБЛЮДАЕТ ПРАВИЛА	7	3
H	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 застенчивость, робость, чувствительность к угрозам	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Н: СМЕЛОСТЬ	10	7
I	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 здравомыслие, холодность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	И: ЧУВСТВИТЕЛЬНОСТЬ	10	6
L	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 доверие к другим, умение сотрудничать	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Л: ПОДОЗРИТЕЛЬНОСТЬ	12	8
M	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 практичность, «приземленность»	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	М: МЕНТАТЕЛЬНОСТЬ	13	8
N	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 прямота, простые вкусы	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Н: ИСКУССТВЕННОСТЬ	5	3
O	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 уверенность в себе	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	О: НЕУВЕРЕННОСТЬ	9	6
Q <sub>1</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 консервативность, уважение к традициям	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Q <sub>1</sub> : РАДИКАЛИЗМ	12	9
Q <sub>2</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 привязанность к группе	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Q <sub>2</sub> : САМОДОСТАТОЧНОСТЬ	13	8
Q <sub>3</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 недисциплинированность, слабый самоконтроль	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Q <sub>3</sub> : ДИСЦИПЛИНИРОВАННОСТЬ	6	3
Q <sub>4</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 ненапряженность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	Q <sub>4</sub> : НАПРЯЖЕННОСТЬ	8	6

კლინიკური ფაქტორები

D <sub>1</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Не жаждет на здоровье	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>1</sub> : ипохондрия	0	2
D <sub>2</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Удовлетворенность жизнью	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>2</sub> : суицидальная депрессия	0	2
D <sub>3</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Сдержанность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>3</sub> : возбужденность	15	8
D <sub>4</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Уравновешенность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>4</sub> : тревожная депрессия	6	5
D <sub>5</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Энергичность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>5</sub> : энергетическая депрессия	5	5
D <sub>6</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Спокойствие, уверенность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>6</sub> : вина и обида	4	4
D <sub>7</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Интерес к окружающим людям	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	D <sub>7</sub> : скука и отчуждение	10	8
P <sub>a</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Разумное отношение к миру	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	P <sub>a</sub> : паранойя	9	8
P <sub>p</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Законопослушность	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	P <sub>p</sub> : психопатические отклонения	22	10
S <sub>c</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Живет в реальном мире	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	S <sub>c</sub> : шизофрения	5	6
A <sub>s</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Отсутствуют вынужденные привычки	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	A <sub>s</sub> : похвастания	7	6
P <sub>s</sub>	1 2 3 4 5 6 7 8 9 10 Уверенность в собственной ценности и компетентности	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	P <sub>s</sub> : психологическая неадекватность	6	6

კეტელის მიერ გამოყოფილი საკმაოდ დიდი რაოდენობით ფაქტორებიდან კითხვარში მხოლოდ 16 ფაქტორია შესული, რომელიც Q-მონაცემების დამუშავებით არის მიღებული (Maddi, 1968/2002).

პიროვნების ფაქტორები კითხვარში ლათინური ასოებით აღინიშნება, ამასთან “Q” გამოიყენება მხოლოდ იმ ფაქტორებთან, რომლებიც Q-მონაცემების საფუძველზეა მიღებული. ფაქტორებს აქვთ „ყოველდღიური“ და „ტექნიკური“ დასახელებები. პირველი ყველასთვის გასაგები დასახელებებია და არაპროფესიონალურზეა ორიენტირებული, მაგალითად, ფაქტორი A — „გულსხმიერება, სიკეთე — განცალკევებულობა, გარიყულობა“ მეორე კი სპეციალისტებისთვისაა განკუთვნილი და მჭიდროდ უკავშირდება ფაქტორის მეცნიერულად დადგენილ მნიშვნელობას. ამასთან, გამოიყენება ხელოვნულად შექმნილი დასახელებები. იგივე A ფაქტორი განისაზღვრება, როგორც „აფექტოთიმია-სიზოთიმია“. როგორც ყოველდღიური, ისე ტექნიკური დასახელებები ბიპოლარული ფორმითაა მოცემული, რათა თავიდან იქნას აცილებული ორაზროვნება მათი შინაარსის განსაზღვრისას. თითოეული ფაქტორის აღწერა მოიცავს: (ა) ინდექსს, რომელიც ლათინური ასოთი გამოიხატება; (ბ) ტექნიკურ და ყოველდღიურ დასახელებას; (გ) L-

მონაცემებში ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლების ჩამონათვალს; (დ) ფაქტორის ინტერპრეტაციას (Первин Л., & Джон О., 2002).


სურათზე N2 სქემატურად არის წარმოდგენილი კითხვარის შემუშავებისას გამოყენებული კვლევითი სტრატეგია.

სურ. N2. 16PF-ის შემუშავების კვლევითი სტრატეგია.



### სიღრმისეული ანუ ძირითადი ნიშნები

სურ. N3. სამ ზედაპირულ ნიშანს აერთიანებს ძირითადი ნიშანი "მეგობრულობა".



როგორც უკვე აღვნიშნეთ და მოკლედ მიმოვიხილეთ კიდევ, ძირითადმა ფაქტორმა, რომელიც პასუხისმგებელია ზედაპირულ ფაქტორებს შორის მაღალ კორელაციაზე, კეტელის თეორიაში ძირითადი ანუ სიღრმისეული ნიშნის სახელი მიიღო. ძირითადი, საფუძვლადმდებარე ნიშნები შედარებით მცირე რაოდენობისაა, ვიდრე — ზედაპირული, მაგრამ ისინი გაცილებით უკეთ იძლევიან ქცევის პროგნოზირების საშუალებას. სურათზე N3 გამოსახულია სამი ზედაპირული ნიშანი — იუმორის გრძნობა, ურთიერთობებში ღიაობა და ალტრუიზმი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთ ჯგუფში, ვინაიდან მათ შორის

მაღალი დადებითი კორელაციაა.

რა აკავებს ამ ზედაპირულ ნიშნებს ერთად, ანუ რა აიძულებს მათ, რომ ერთდროულად გამოჩნდნენ? თუ ზედაპირული ნიშნები ყოველთვის ჯგუფის სახით ჩნდებიან, ეს ნიშნავს, რომ რაღაც საერთო ნიშანი, რომელიც სურათზე გამუქებულად არის წარმოდგენილი, ყველა ამ ნიშნის საფუძველს წარმოადგენს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნიშანს *მეგობრულობა* შეგვიძლია ვუწოდოთ (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

კეტელი წერდა: „ძირითადი ნიშნები, როგორც ჩანს, რეალური სტრუქტურული ძალებია, რომლებიც პიროვნების უკან დგანან და აუცილებელია, ვიცოდეთ მათ შესახებ, რათა გავუმკლავდეთ განვითარების, ფსიქოსომატიკის, დინამიკური ინტეგრაციის პრობლემებს . . . როგორც კვლევები აჩვენებენ, ეს საფუძვლადმდებარე ნიშნები რეალურ უნიტარულ ძალებს შეესატყვისებინან: ფიზიოლოგიურ, ტემპერამენტულ ფაქტორებს, დინამიკური ინტეგრაციის ხარისხებს და სოციალური ინსტიტუტებისადმი დიაბასს“ (Cattell, 1950, გვ. 27, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### ტემპერამენტის ნიშნები

ტემპერამენტის ნიშნები შეეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს, როგორ იქცევა ადამიანი. მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე კეტელმა და მისმა კოლეგებმა *ტემპერამენტის 35 პირველადი* ნიშნის ანუ პირველი რიგის ნიშნის იდენტიფიცირება მოახდინეს (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 199; McCrae, R.R., & Costa, P. T., Jr., 1999). მათგან 23 ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო დანარჩენი 12 პათოლოგიურ გადახრებს მიეკუთვნება. ტემპერამენტის ნიშნების გამოსავლენად კეტელმა L და Q-მონაცემები გამოიყენა, რომელიც შეგროვდა როგორც მოზრდილებისგან, ისე — ბავშვებისგან შემდგარ შერჩევაში (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

### ნორმალური ნიშნები

კეტელის მიხედვით, ნორმალური პიროვნების სრულ სურათს, ყოველ შემთხვევაში, ტემპერამენტის თვალსაზრისით, 23 ნიშანი ქმნის (იხ. ცხრილი 2). ნორმალური ადამიანების — მოზრდილების და ბავშვების — ტემპერამენტის თავისებურებების როგორც კეტელის ლაბორატორიაში განხორციელებული, ისე სხვა მკვლევრების მიერ ჩატარებული გაზომვები, გვაძლევს თვისებებს, რომლებიც 23 ნორმალური ნიშნიდან რომელიმეს შეესატყვისება. სხვა სიტყვებით, შესაძლებელია, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი ნიშანი უკვე განსაზღვრული იყოს კეტელისა და მისი კოლეგების მიერ. თავად კეტელი გარკვეული დროის წინ წერდა, რომ „პრაქტიკულად დასრულებულია პირველი გზამკვლევის როლი ადამიანის პიროვნების ძირითადი სტრუქტურის შესწავლის გზაზე“ (Cattell, 1974a, გვ. 86, წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001). კეტელის შემდგომი მუშაობა მოიცავდა ნიშნების შედარებას, რომლებიც სამი სხვადასხვა ტიპის მონაცემებიდან მიიღებოდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და კულტურაში, ასევე, ის დაკავებული იყო 23-დან თითოეული ნიშნის ფსიქოლოგიური აზრის დაზუსტებით.

ნორმალური ნიშნებიდან ყველაზე ვრცლად 16 პიროვნული ფაქტორია შესწავლილი, რომლებიც შევიდა 16PF-ში. ვინაიდან კეტელის 16PF პიროვნული კითხვარია, ბუნებრივია, რომ 16-ვე ნიშანი Q-მონაცემებით არის მიღებული. შვიდი დამატებითი ფაქტორის მისაღებად, რომლებიც ასევე მიეკუთვნება იმ 23 ნორმალურ ნიშანს, ჩვეულებრივ, L-მონაცემებს იყენებენ, თუმცა ზოგიერთი ფაქტორის მიღება (მაგალითად, J — ზეპია და K — სოციალური უდარდებლობის ფაქტორების) Q-მონაცემების ზედმიწევნით გაზომვითაც არის შესაძლებელი (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

როგორც უკვე ვთქვით, კეტელი უცნაურ დასახელებებს იყენებდა ნიშნების აღსანიშნად, ვინაიდან სურდა, რომ ნიშნები დასახელებების ჩვეული მნიშვნელობებისგან დამოუკიდებლად ყოფილიყვნენ განხილულნი. მან მუშაობა ნიშნების რაოდენობისა და დასახელებების შესახებ ყოველგვარი წინასწარი მოსაზრებების გარეშე დაიწყო და სურდა, რომ სხვებსაც ასევე მიუკერძოებლად აღექვათ ეს ნიშნები.

## ცხრილი 2. ნორმალური პირველადი ძირითადი ნიშნები.

ფაქტორი	უარყოფითი პოლუსი	დადებითი პოლუსი
A	<b>სიზოთიმია</b> დახურული, განცალკევებულად უჭირავს თავი, არ აინტერესებს სხვების საქმეები.	<b>აფექტოთიმია</b> გულისხმიერი, ღია, უდარდელი, მონაწილეობს სხვა ადამიანის საზრუნავებში.
B	<b>დაბალი ინტელექტი</b> <sup>1</sup> დაბალი გონებრივი შესაძლებლობები, გონებრივი სიზარმაცე, სულები.	<b>მაღალი ინტელექტი</b> მაღალი გონებრივი შესაძლებლობები, გამჭრიახი, დაბეჯითებული.
C	<b>სუსტი „მე“</b> ემოციური, იოლად წყინს, ცვალებადი ქცევა	<b>ძლიერი „მე“</b> ემოციურად სტაბილური, რეალისტური, მშვიდი.
D	<b>ფლეგმატური ტემპერამენტი</b> <sup>2</sup> თავშეკავებულად იქცევა, დეტალურად იაზრებს საკუთარ ქმედებებს, ნაკლებად აქტიურია, უკანმოუხედავი.	<b>აღზნებადობა</b> აღზნებადი, მოუთმენელი, მომთხონი, ჰიპერაქტიური, თავშეუკავებელი.
E	<b>კონფორმულობა</b> დამჯერი, მორიდებული, სხვებს უფლებას აძლევს უხელმძღვანელონ, ემორჩილება გარემოებებს, ადვილად ადაპტირდება.	<b>დომინანტობა</b> დაბეჯითებული, აგრესიული, ჯიუტი, მიდრეკილია მოქიშპოვებისკენ.
F	<b>დესურგესტია</b> საღად მოაზროვნე, მდუმარე, სერიოზული.	<b>სურგესტია</b> ენტუზიასტი, უყურადღებო, უდარდელი.
G	<b>სუპერ-ეგოს სისუსტე</b> იგნორირებას უკეთებს საზოგადოების წესებსა და მორალურ სტანდარტებს, მიჰყვება საკუთარ სურვილებს.	<b>სუპერ-ეგოს სიძლიერე</b> სინდისიანი, დაბეჯითებული, მაღალმორალური, საღად მოაზროვნე.
H	<b>ტრეპტია</b> მორცხვი, მორიდებული, თავშეკავებული, მგრძნობიარე მუქარებისადმი	<b>პარმია</b> თავდაგასავლების მამიებელი, „სქელკანიანი“, თამამი ადამიანებთან ურთიერთობაში.
I	<b>ჰარია</b> რეალისტი, არ ექვემდებარება ილუზიებს.	<b>პრემსია</b> მეოცნებე, მგრძნობიარე, დამოკიდებული, ფრთხილი.
J	<b>ცეპია</b> <sup>2</sup> უხარია სიცოცხლე, უყვარს საზოგადოებაში ყოფნა.	<b>ქოასთენია</b> ფრთხილი რეალისტი, რეფლექსიისკენ მიდრეკილი, შინაგანად შეკავებული.
K	<b>სოციალური უდარდელობა</b> <sup>2</sup> სოციალურად მოუმზადებელი, უდარდელი, გაუზრდელი.	<b>სოციალური ჩართულობა</b> სოციალურად მოწიფული, წინდახედული, დისციპლინირებული.
L	<b>ალექსია</b> მიმნდობი, ცხოვრებას იღებს ისე, როგორც არის.	<b>პროტენზია</b> იჭვნეული, ეჭვიანი, დოგმატური.
M	<b>პრაქსერნია</b> პრაქტიკული, დაკავებულია „მიწიერი“ პრობლემებით.	<b>აუტია</b> მეოცნებე, ბოჰემური, დაბნეული.
N	<b>უგემოვნობა</b> პირდაპირი, ღია, უბრალო გემოვნება.	<b>გემოვნებიანი</b> გამჭრიახი, დახვეწილი, ზრდილობიანი, იცის, თუ როგორ მოიქცეს.
O	<b>ჰიპერთიმია</b> თავდაჯერებული, აუღელვებელი, კმაყოფილია საკუთარი თავით.	<b>ჰიპოთიმია</b> მფრთხალი, არ არის დარწმუნებული, საზრუნავებით დატვირთული, მიდრეკილია საკუთარი თავის დადანაშაულებისკენ.
P	<b>ფრთხილი უმოქმედობა</b> <sup>2</sup> მელანქოლიური, ფრთხილი, გაურბის რისკს.	<b>სანგვინისტური მიდრეკილება რისკისკენ</b> სანგვინიკი, უყვარს გარისკვა, დამოუკიდებელი.
Q <sub>1</sub>	<b>კონსერვატიზმი</b> არ უყვარს ცვლილებები, პატივს სცემს ტრადიციულ ღირებულებებს.	<b>რადიკალიზმი</b> უყვარს ექსპერიმენტირება, თავისუფლად მოაზროვნე, არაფერს იჯერებს მხოლოდ რწმენით დასაბუთების გარეშე.
Q <sub>2</sub>	<b>ჯგუფზე დამოკიდებულება</b> კომპანიური, უსმენს გარშემომყოფთა აზრს.	<b>თვითკმარობა</b> თვითკმარი, გამომგონებლური, უპირატესობას ანიჭებს საკუთარ გადაწყვეტილებებს.



<b>Q3</b>	<b>იმპულსურობა</b> დაბალი თვითკონტროლი, ხელმძღვანელობს საკუთარი სურვილებით.	<b>სურვილების კონტროლი</b> აკონტროლებს საკუთარ ქცევას, აქვს ნებისყოფის ძალა, დისციპლინირებულია, ყურადღებას აქცევს თავის იმიჯს.
<b>Q4</b>	<b>არაფრუსტრირებადობა</b> არადაძაბული, მშვიდი, არაფრუსტრირებადობა.	<b>ფრუსტრირებადობა</b> დაძაბული, ფრუსტრირებული, აღზნებადი, არ შეუძლია მშვიდად ჯდომა, გაღიზიანებადი.
<b>Q5</b>	<b>სოციალური დაუინტერესებლობა</b> <sup>2</sup> არ არის მიდრეკილი სოციალური საქმიანობისკენ, თავს არ თვლის დავალებულად, თვითკმარია.	<b>ჯგუფზე მიჯაჭვულობა და საკუთარი არაადეკვატურობის გრძნობა</b> გატაცებულია სოციალური სამუშაოთი, გრძნობს, რომ არასაკმარისად ირჯება, მონაწილეობს სოციალურ ღონისძიებებში.
<b>Q6</b>	<b>არაფრისმეტყველი ქცევა</b> <sup>2</sup> ჩუმი, არ არის მიდრეკილი აფექტური ქესტებისკენ.	<b>სოციალური სილადე</b> გრძნობს, რომ უსამართლოდ ექცევიან, უყვარს ეფექტები, მკვეთრ ანტისოციალურ განცხადებებს აკეთებს.
<b>Q7</b>	<b>თვითგამოხატვის სუსტი მოთხოვნილება</b> <sup>2</sup> ჩუმი და არაკონტაქტური კომპანიამი.	<b>თვითგამოხატვის ძლიერი მოთხოვნილება</b> უყვარს ლაპარაკი, დრამატულ წარმოდგენებში მონაწილეობა, მიყვება მოდულ იდეებს.

<sup>1</sup> – ფაქტორი B (ინტელექტი) მიეკუთვნება უნარებს და არა - ტემპერამენტის უნარებს.

<sup>2</sup> – ერთ-ერთი „შვიდი მოკლებული ფაქტორიდან“, რომელთაც ასე იმიტომ ეწოდათ, რომ არ შედიან 16PF-ში.

წყარო: R.B. Cattell, *Personality and Learning Theory*, Vol. 1. 1979. Copyright © 1979 Springer Publishing Company, Inc. New-York, NY 10012. ადაპტირებულია (McAdams, D. P., 2006; Первин Л., Джон О., 2002).

L და Q-მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებული ფაქტორები აღინიშნება ლათინური ასოებითა და ნომრებით A-დან Q7-მდე. ნიშნები ანბანური თანმიმდევრობითაა განლაგებული და თითოეული ნიშნის ადგილი მის სიდიდეს შეესაბამება. სხვა სიტყვებით, ფაქტორი A (სიზოთიმია/აფექტოთიმია) ყველაზე მსხვილი ფაქტორია, ანუ ყველაზე მკაფიოდ იდენტიფიცირდება ფაქტორულ-ანალიტიკური მეთოდებით და ქცევის ყველაზე მეტი რაოდენობის ვარიაციას პასუხობს. ამ ფაქტორის ზომა, რომელიც კეტელმა და მისმა კოლეგებმა მათემატიკური ოპერაციების გამოყენებით განსაზღვრეს, კლინიკური პრაქტიკისა და ყოველდღიური დაკვირვებების მონაცემებს შეესატყვისება, რომელთა თანახმადაც, ადამიანის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი გარე სამყაროსადმი მისი დახურულობა (სიზოთიმია) ან გახსნილობა (აფექტოთიმია). ანალოგიურად, ფაქტორი B (ინტელექტი) არსებული და მარტივად გაზომვადი ფაქტორია. ის მიეკუთვნება უნარებს, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი პირველადი ძირითადი ნიშანი, უპირატესად, ტემპერამენტის ნიშნებია. ვინაიდან ყოველი შემდგომი ფაქტორი უფრო და უფრო ბუნდოვანი და ძნელად იდენტიფიცირებადი ხდება, N-დან Q7-მდე ფაქტორები საკმაოდ პირობითი ნიშნებია, რომლებიც ქცევის შედარებით ნაკლები რაოდენობის ვარიაციებზე აგებენ პასუხს. ეს ბოლო ფაქტორები მნიშვნელოვნად სუსტია ჩამონათვალის სათავეში განლაგებულ ფაქტორებთან შედარებით და მათი გამოვლენა უფრო ძნელია ფაქტორული ანალიზით (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

### პათოლოგიური ანუ ანომალური ნიშნები

ფსიქიატრიასთან დაკავშირებული კლინიკური გამოცდილების საფუძველზე კეტელი მივიდა მოსაზრებამდე (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001), რომ ორი სახის პათოლოგია არსებობს. ერთია ნორმალური ფუნქციების დისბალანსი, მეორე — განსაკუთრებული და მკაფიოდ განსაზღვრული ავადმყოფური პროცესები. პათოლოგიურ ინდივიდებს იგივე ნიშნები აქვთ, რაც ნორმალურებს, მაგრამ ისინი დამატებით ზოგიერთ ანომალურ ანუ პათოლოგიურ ნიშანსაც ავლენენ. ამასთან, ნორმალურ და პათოლოგიურს ნიშნებს შეიძლება ბევრი რამ ჰქონდეთ საერთო. მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორცაა სუსტი „მე“, ან ჰომოთიმია (დანაშაულის განცდისკენ მიდრეკილება), ძალზე დამახასიათებელია ნევროტული და ფსიქოტური პიროვნებებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები 23 ნორმალური ფაქტორის რიცხვში შედის. პათოლოგიის პირველი ტიპის შეთხვევაა,

მაგალითად, როდესაც ნორმალური ფაქტორის აფექტოტიმიის (ფაქტორი A) უკიდურეს ფორმას მანიაკალურ-დეპრესიულ აშლილობასთან მივყავართ.

ანომალური ანუ პათოლოგიური ნიშნების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 3. ეს ნიშნები მიეკუთვნებიან მეორე კატეგორიას ანუ პათოლოგიურ ნიშნებს, როგორც ცალკეულ ფაქტორებს. პირველი შვიდი ფაქტორი, რომელიც ლათინური ასო D-თი არის აღნიშნული, დეპრესიული ნიშნებია. ბოლო ხუთი (Pa, Pp, Sc, As, Ps) არა მხოლოდ უფრო სერიოზულია კლინიკური თვალსაზრისით, არამედ მათი იდენტიფიცირება უფრო იოლია, ვიდრე — დეპრესიული ნიშნების.

პათოლოგიური ფაქტორების გამოსაყოფად კეტელი ანომალური ანუ პათოლოგიური ქცევის სასწავლო აღწერებით ხელმძღვანელობდა, რომელშიც მას და მის კოლეგებს მუშაობის პროცესში თავიანთი შესწორებები და დამატებები შეჰქონდათ. ცდის მონაწილეთა ჯგუფში შედიოდნენ როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელი, ისე — ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები. საინტერესოა, რომ ჯანმრთელ ადამიანებზე ფაქტორულ-ანალიზური მეთოდების გამოყენებამ, რომელიც ანომალური ფაქტორების გამოვლენაზე იყო მიმართული, იგივე 23 ნორმალური ფაქტორი მოგვცა, რაც ჩვეულებრივი ტესტების გამოყენებით იქნა მიღებული. დაავადებულ ადამიანებთან კი ამ 23 ნიშანთან ერთად, კიდევ 12 პათოლოგიური ფაქტორი გამოვლინდა. ეს, ნაწილობრივ, ადასტურებს ცნობილ ჰიპოთეზას, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები ჯანმრთელებისგან, პირველ რიგში, იმით განსხვავდებიან, რომ დამატებითი პათოლოგიური ნიშნებით ხასიათდებიან (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ცხრილი 3. პათოლოგიური ანუ ანომალური პირველადი ძირითადი ნიშნები.

ფაქტორი	უარყოფითი პოლუსი	დადებითი პოლუსი
D1	<b>დაბალი იპოქონდრია</b> მხიარული, კარგი მეხსიერება, საღად მსჯელობს, დიდად არ ავლენს ჯანმრთელობის მდგომარეობით შეწუხებულობას.	<b>მაღალი იპოქონდრია</b> მოჭარბებულად წუხს საკუთარ ჯანმრთელობაზე.
D2	<b>სიცოცხლისმოყვარეობა</b> კმაყოფილია საკუთარი ცხოვრებითა და გარემოცვით, არ ავლენს სიკვდილის სურვილს.	<b>სუიციდური დეპრესია</b> განიცდის ზიზღს ცხოვრებისადმი, ფიქრობს თვითმკვლელობაზე ან ახორციელებს თვითმკვლელობის მცდელობებს.
D3	<b>დაუკმაყოფილებლობის სუსტი ზეწოლა</b> გაურბის სახიფათო და რისკიან საქმიანობებს, არ აქვს აგზნების გამომწვევი შთაბეჭდილებების განცდის მოთხოვნილება.	<b>დაუკმაყოფილებლობის ძლიერი ზეწოლა</b> ემებს აგზნების გამომწვევ შთაბეჭდილებებს, მშფოთვარე, ახორციელებს რისკიან მცდელობებს, ემებს სიახლეს.
D4	<b>სუსტი შფოთვიანი დეპრესია</b> მშვიდია კრიტიკულ სიტუაციებში, თავს დაჯერებულად გრძნობს, გაწონასწორებულია.	<b>ძლიერი შფოთვიანი დეპრესია</b> ხედავს მშფოთვარე სიზმრებს, არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული, მოუქნელი, დამაბული, იოლად წყინს.
D5	<b>ენერგეტიკული ეიფორია</b> ავლენს ენთუზიაზმს მუშაობაში, ენერგიულია, კარგად სძინავს.	<b>ენერგეტიკული დეპრესია</b> განიცდის დაღლილობას, ნერვიულია, უძლურია ცხოვრებისეულ სიტუაციებთან გამკლავებაში.
D6	<b>დანაშაულისა და წყენის სუსტი გრძნობა</b> არ იტანჯება საკუთარი დანაშაულის განცდით, შეუძლია მშვიდად ძილი მაშინაც კი, როცა ყველაფერი არ აქვს გაკეთებული.	<b>დანაშაულისა და წყენის ძლიერი გრძნობა</b> განიცდის დანაშაულის ძლიერ გრძნობას, საკუთარ თავს იდანაშაულებს გარე სამყაროს ყველა უბედურებაში, კრიტიკულია საკუთარი თავის მიმართ.
D7	<b>სუსტი დეპრესია (მოწყენილობა)</b> არ არის დამაბული, ყურადღებიანია გარემომყოფების მიმართ, კეთილგანწყობილია.	<b>ძლიერი დეპრესია (მოწყენილობა)</b> გაურბის სხვა ადამიანებთან კონტაქტს და მათ საქმეებში მონაწილეობას, ისწრაფვის განმარტოებისკენ, სხვა ადამიანების გარმოცვაში დისკომფორტს გრძნობს.
Pa	<b>პარანოიის სუსტი გამოხატულება</b> ენდობა ადამიანებს, არ არის ეჭვიანი, არ შურს სხვების.	<b>პარანოიის ძლიერი გამოხატულება</b> სჯერა, რომ თვალს ადევნებენ, უნდათ მისი მოწამვლა, ჯაშუშობენ მასზე, უსამართლოდ ექცევიან ანდა გარეშე ძალები მართავენ მას.

<b>Pp</b>	<b>ფსიქოპათიური დევიაციის არქონა</b> გაურბის უცნობ ან ამორალურ ქმედებებს, მგრძობიარება.	<b>ძლიერი ფსიქოპათიური დევიაცია</b> ვერ ითმენს ანტისოციალურ ქცევას, იქნება ეს საკუთარი თუ სხვა ადამიანების, უგრძობია კრიტიკისადმი, უყვარს ბრბოში ყოფნა.
<b>Sc</b>	<b>შიზოფრენიის სუსტი გამოხატულება</b> რეალისტურად მსჯელობს საკუთარი თავისა და სხვების შესახებ, ემოციურად გაწონასწორებულია, ქცევაში არ ავლენს რეგრესიის ტენდენციებს.	<b>შიზოფრენიის ძლიერი გამოხატულება</b> ესმის უცნობი წყაროებიდან მომდინარე ხმები ან ბგერები, გაურბის რეალობას, არაკონტროლირებადი და იმპულსური ქცევა.
<b>As</b>	<b>დაბალი ასთენია</b> არ იტანჯება უსიამოვნო და არასასურველი აზრებისგან ან იდეებისგან, არ ახორციელებს იძულებით ქმედებებს.	<b>მაღალი ასთენია</b> იტანჯება მუდმივად გამეორებადი აზრებისგან, ან აქვს მოთხოვნილება, მუდმივად იმეოროს გარკვეული (არარაციონალური) ქმედებები.
<b>Ps</b>	<b>დაბალი ფსიქოლოგიური არაადეკვატურობა</b> საკუთარ თავს ისეთივე კარგ, სანდო და სიმპათიურ ადამიანად თვლის, როგორც ადამიანთა უმეტესობა.	<b>მაღალი ფსიქოლოგიური არაადეკვატურობა</b> აქვს საკუთარი არასრულფასოვნებისა და უმნიშვნელობის განცდა, მორიდებულია და ადვილად კარგავს თავს.

წყარო: *The Manual for the Clinical Analysis Questionnaire (CAQ)*. Copyright © 1975 Institute for Personality and Ability Testing, Inc.

## მეორე რიგის ნიშნები

როგორც უკვე ვიცით, სხვა მკვლევრებისგან განსხვავებით, კეტელმა ე.წ. ფაქტორების გადახრილი ანუ არაორთოგონალური სისტემა გამოიყენა (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). ეს ნიშნავს, რომ მის მიერ გამოყოფილი ფაქტორები, გეომეტრიული თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ არ არიან მართი კუთხით განლაგებულნი ანუ ერთმანეთთან კორელირებენ. ამის გამო შესაძლებელი ხდება საწყისი, პირველი ფაქტორული ანალიზის შედეგების ფაქტორული ანალიზის განხორციელება და იმის გარკვევა, თუ პირველი რიგის რომელი ნიშნები ხასიათდებიან ჯგუფებში გაერთიანების ტენდენციით.

ამ მეთოდის გამოყენებით კეტელმა გამოყო მეორე რიგის რვა ნიშანი (Cloninger, S. C., 2004) და მიახლოებით მოხაზა კიდევ შვიდი. ვინაიდან ეს შვიდი ნიშანი შემდგომ დამუშავებას საჭიროებს, მათ არ შევხებით და მხოლოდ კარგად დადგენილ მეორე რიგის პირველ რვა ფაქტორს და იმ პირველად ფაქტორებს განვიხილავთ, რომელთაც ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ მათ ფორმირებაში. მეორე რიგის ფაქტორები აღნიშნება ლათინური Q-თი, რადგან ისინი Q-მონაცემებიდან (პიროვნული კითხვარების გამოყენებით მოგროვილი მონაცემებიდან) მიიღება, და რომაული ციფრებით.

ცხრილში 4 მოცემულია კეტელის მიერ გამოყოფილი მეორე რიგის ფაქტორები და პირველადი ფაქტორები, რომლებიც თითოეულ მათგანს ქმნიან; ასევე, წარმოდგენილია ამ პირველადი ფაქტორების შესაბამისი თვისებები. მაგალითად, მეორე რიგის ფაქტორში Q1 (ექსვია)ოთხი პირველადი ფაქტორი შედის. პირველადი ფაქტორები A, F და H დადებითად კორელირებენ Q1-სთან, ხოლო პირველადი ფაქტორ Q2-სა (ჯგუფზე დამოკიდებულება) და Q1 მეორად ფაქტორს შორის უარყოფითი კორელაცია ფიქსირდება. ფაქტორს „ექსვია“ (ექსტრავერსია), ცხადია, საპირისპირო პოლუსიც აქვს, რომელსაც „ინვია“ (ინტროვერსია) ეწოდება და აქ იქნება უკუკავშირი A, F და H ფაქტორებთან და პირდაპირი კავშირი Q2-თან.

მეორე რიგის ფაქტორები, პირველი რიგის ფაქტორების მსგავსად, მათი ზომის შემცირების მიხედვით არის დალაგებული. ასე მაგალითად, Q1 (ექსვია/ინვია) და QII (შფოთვა) ყველაზე ძლიერი და იოლად იდენტიფიცირებადი ფაქტორებია.<sup>15</sup>

<sup>15</sup> აიზენკმა, რომელიც განსხვავებულ ფაქტორულ-ანალიტიკურ ტექნიკას იყენებდა, გამოყო ფაქტორი ექსტრავერსია-ინტროვერსია და ფაქტორი შფოთვა, რომელსაც „ნევროტიზმი“ უწოდა (Фрейдджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ცხრილი 4. მეორე რიგის ძირითადი ნიშნები.

ფაქტორი	დასახელება	პირველადი ფაქტორები	თვისებები
QI	ექსვია (ექსტრავერსია)	A აფექტოთიმია F სურგენსია H პარმია Q2 ჯგუფზე დამოკიდებულება	ღიაობა ურთიერთობებში ენტუზიაზმი თავგადასავლების სიყვარული დამოუკიდებელი
QII	შფოთვა	C სუსტი „მე“ H ტრექტია L პროტენსია O ჰიპოთიმია Q2 იმპულსურობა Q4 ფრუსტრირებადობა	იოლად წყინს სიმორცხვე, მორიდებულობა იჭვნეულობა მფრთხალობა სუსტი თვითკონტროლი დაძაბულობა
QIII	ქორთერია (თავის ტვინის ქერქის მკვირცხლობა)	A სიზოთიმია I ჰარია M პრაქსერნია	არ უყვარს ურთიერთობები გულგრილობა პრაქტიკულობა
QIV	დამოუკიდებლობა	E დომინანტურობა F სურგენსია H პარმია L პროტენსია	დომინანტურობა ენტუზიაზმი თავგადასავლების სიყვარული იჭვნეულობა
QV	კეთილგონიერება	A აფექტოთიმია N ხელოვნურობა	ღიაობა ურთიერთობებში გაჭრიახობა, საზოგადოებაში თავის დაჭერის უნარი
QVI	სუბიექტურობა	M აუტია Q1 რადიკალიზმი	უდარდულობა რადიკალიზმი
QVII	ინტელექტი	B ინტელექტი	გონებრივი შესაძლებლობები
QVIII	აღზრდილობა	E კონფორმულობა F დესურგენსია G ძლიერი „სუპერ-ეგო“ Q3 სურვილების კონტროლი	დამჯერობა, მორჩილება სიტყვაძუნწობა ემოციური გაწონასწორებულობა თვითკონტროლი

წყარო: R. B. Cattell, *Personality and Learning Theory*. Vol. 1, 1979. Copyright © 1979. Springer Publishing Company, Inc. New-your, NY 10012.

## დინამიკური ნიშნები

როგორც უკვე ვიცით, ტემპერამენტული ნიშნების გარდა კეტელი გამოყოფდა *მოტივაციურ* ანუ *დინამიკურ* ნიშნებს, რომლებიც პიროვნების დინამიკას ქმნიან. მოტივაციის ანუ პიროვნების დინამიკის აღსაწერად კეტელთან სამი ძირითადი ცნება გამოიყენება: დამოკიდებულებები, ერგები და სემები (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

## დამოკიდებულებები

კეტელთან *დამოკიდებულება* (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001) არის ქმედების სპეციფიკური პატერნი, რომლის რეალიზებასაც ახდენს ადამიანი, ან სურს, რომ მოახდინოს კონკრეტულ სიტუაციაში. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ალექსანდრეს მაგალითი, რომელსაც ფრანგული ენის კურსებზე სურს სიარული, სადაც ერთ-ერთი თანაკლასელი გოგონა ჩაეწერა. მისი ეს განზრახვა *დამოკიდებულებაა*. ყველა სხვა დამოკიდებულების მსგავსად, ის მოიცავს სტიმულს ანუ სიტუაციას, ინტერესს (ინტენსიურ სურვილს), რეაქციასა და ობიექტს. ჩვენს მაგალითში არ აქვს მნიშვნელობა, ალექსანდრე მართლა ისწავლის თუ არა ფრანგულს თანაკლასელთან ერთად. დამოკიდებულება ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა და ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს.

თითქმის ნებისმიერ დამოკიდებულებაში შედის მოტივების მთელი რიგი. რამდენიმე სხვადასხვა შესაძლო მოტივი (თუმცა ყველა მათგანი არ არის გაცნობიერებული) ჩვენს მაგალითშიც არის. ალექსანდრეს განზრახვა შეიძლება ნაკარნახევი ყოფილიყო სურვილით, რომ ფრანგული ენა სცოდნოდა და გარშემომყოფთა თვალში ამით გაემყარებინა ინტელექტუალის რეპუტაცია. შეიძლება, ის პოტენციურ სექსუალურ პარტნიორთან დროის გატარებით არის დაინტერესებული, ან უბრალოდ მარტოსულად გრძნობს თავს და საინტერესო კომპანიაში სურს ყოფნა.

გარდა იმისა, რომ კეტელი განიხილავს მოტივთა კომპლექსებს, მის თეორიაში მოცემულია მტკიცება მოტივაციის იერარქიული სტრუქტურის შესახებ. ზოგიერთი მოტივი დამხმარე ფუნქციას ასრულებს სხვა მოტივებისთვის, ანუ ისინი ერთგვარ შუალედურ საფეხურებს ქმნიან, რომელიც უნდა გაიაროს ადამიანმა შემდეგი მიზნის მისაღწევად. ასეთ სტრუქტურას *დამხმარე ჯაჭვი* ეწოდება. დავუშვათ, ყველა მოტივი ცნობიერდება (რაც, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე რეალობაში). ამ შემთხვევაში დამხმარე ჯაჭვის გამოვლენა შესაძლებელი იქნებოდა, თუ ადამიანს თანმიმდევრულად დავუსვამდით კითხვას „რატომ“ ანდა „რისთვის“ ყოველი გამოთქმული განზრახვის შესახებ. ჩვენს მაგალითში პირველი კითხვა, რომელიც უნდა დავუსვათ ალექსანდრეს, იქნება: „რატომ გსურთ ფრანგულ ენაში დამატებით მეცადინეობა?“ პასუხი იქნებოდა: „მინდა ფრანგულ ენაში გამოცდის ჩაბარება.“ — „რატომ?“ — „იმიტომ, რომ ავიღო დიპლომი.“ — „რატომ?“ — „იმიტომ, რომ ვიშოვო სამსახური.“ — „რატომ?“ — „იმიტომ, რომ მქონდეს საკვებისთვის საკმარისი ფული.“ ამ საფეხურზე გამოვლენილია საწყისი ბიოლოგიური იმპულსი (შიმშილი) და შემდგომი კითხვები უსარგებლო ხდება. მოცემულ ჯაჭვში ჩართული თითოეული მოტივი დამხმარეა შემდგომისთვის და ყველა მათგანს ერთად მივყავართ შიმშილის ბიოლოგიურ მოტივთან (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

### ერგები

კეტელის თეორიაში *ერგი* განიმარტება, როგორც „თანდაყოლილი ფსიქოფიზიკური დისპოზიცია, რომელიც მის მფლობელს სძენს უნარს, იყოს რეაქტიული (ყურადღებისა და ცნობის უნარები) ობიექტების გარკვეული კლასის მიმართ უფრო მეტი მზაობით, ვიდრე სხვების მიმართ; მათდამი განიცადოს სპეციფიკური ემოციები; წამოიწყოს ქცევათა წყება, რომლითაც უფრო მეტი სისრულით ხორციელდება გარკვეული მიზანმიმართული აქტივობა, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქცევებით. გარდა ამისა, პატერნი მოიცავს პრიორიტეტული მიზნისკენ მიმართულ პრიორიტეტულ დამხმარე ქცევებს“ (Cattell, 1950, გვ. 199, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

ტერმინი „ერგი“ მოიაზრებს ენერგიას, რომელიც პირველადი ანუ ბუნებრივი სწრაფვებისგან წარმოიქმნება, როგორცაა, სექსუალური ლტოლვა, შიმშილი, ცნობისმოყვარეობა, რისხვა და ა. შ.<sup>16</sup>

კეტელმა დინამიკური ნიშნების კვლევა მათი რაოდენობისა და ბუნების შესახებ ყოველგვარი წინასწარი ჰიპოთეზების გარეშე დაიწყო. პიროვნების სხვა თეორეტიკოსებისგან, მაგალითად, ფროიდისგან განსხვავებით, კეტელი წინასწარ არ ვარაუდობდა ძირითადი პირველადი სწრაფვებისა თუ ინსტინქტების არსებობას. ამის ნაცვლად, მან შეკრიბა ობიექტური ტესტების (T-მონაცემები) მრავალფეროვანი მასივი, მისცა ისინი სხვადასხვა კულტურაში გაზრდილი ბავშვებისგან და მოზრდილებისგან შემდგარ შერჩევებს, შემდეგ განახორციელა ტესტირების შედეგების ფაქტორული ანალიზი და ამ გზით მათემატიკურად და არა — ლოგიკურად გამოთვალა ადამიანების მოტივაცია.

კეტელი ათ ძირითად დინამიკურ ნიშანს თანდაყოლილად მიიჩნევს და არა — კულტურული ზეგავლენის შედეგად შემენილ თვისებად. ფაქტობრივად, ის ვარაუდობს, რომ ერგები ადამიანებში ცხოველების ინსტინქტების ეკვივალენტებს წარმოადგენენ. ამჟამად გამოვლენილი *ერგული მიზნები* და მათი შესაბამისი ემოციები წარმოდგენილია ცხრილში 5. პირველი ათი სანდოდ განისაზღვრება, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორები, შემდეგი ოთხის დამოუკიდებლობა არ არის დასაბუთებული, ხოლო ბოლო ორი კიდევ უფრო საეჭვოა (Фрейдджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

<sup>16</sup> მათი უმრავლესობა არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ პრიმატებშიც და ზოგიერთ უმაღლეს ძუძუმწოვრებშიც აღინიშნება.

ცხრილი 5. ექსპერიმენტულად აღმოჩენილი ერგები.


მიზნის დასახელება	ემოცია	ფაქტორის სანდოობის ხარისხი
საკვების ძიება	შიმშილი	სანდოდ არის განსაზღვრული
სექსუალური პარტნიორის ძიება	სექსი	
ურთიერთობა	მარტოობა	
მშობლების მიერ შვილებზე ზრუნვა	შებრალება	
გარესამყაროს კვლევა	ცნობისმოყვარეობა	
უსაფრთხოებისკენ სწრაფვა	შიში	
თვითდამკვიდრება	სიამაყე	
ნარცისული სექსი	გრძნობადობა	
აგრესიული ქმედებები	რისხვა	
მომჭირნეობა	სიხარბე	
დახმარებისთვის მიმართვა	სასოწარკვეთა	დამოუკიდებლობა არ არის დადასტურებული
დასვენება	ძილიანობა	
ახლის შექმნა	შექმნის სურვილი	
თვითდაკნინება	მორიდებულობა	საექვო ფაქტორები
ზიზღი	ზიზღი	
სიცილი	მხიარულება	

წყარო: R. B. Cattell & P. Kline, The Scientific Analysis of Personality and Motivation, 1977. Copyright © 1977. Academic Press.

**სემები**

თანდაყოლილი დინამიკური ნიშნების გარდა, თითოეული ინდივიდი დიდი რაოდენობით შექმნილ, კულტურულ გარემოში ათვისებულ ნიშნებს ფლობს. სემები ანუ დასწვლილი ანდა შექმნილი დინამიკური ნიშნები კეტელის მოტივაციის თეორიის მესამე კომპონენტს წარმოადგენენ. სემი აზრევიატურაა და „ერგების სოციალურად ფორმირებულ გამტარ სტრუქტურებს“<sup>17</sup> ნიშნავს. სემები ენერგიას ერგებისგან იღებენ და დამოკიდებულებებს გარკვეულ ორგანიზაციასა და სტაბილურობას სძენენ.

სურ. N4. პიროვნების დინამიკური ზადის სქემა: დამხმარე ჯაჭვებისა და მათი მდგენელების - დამოკიდებულებების, სემებისა და ერგების ილუსტრაცია.



გავიხსენოთ, რომ დამოკიდებულება არის გარკვეულ სიტუაციაში გარკვეული ქმედება ან გარკვეული სახით მოქმედების სურვილი და რომ დამოკიდებულებების წარმოშობას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ საწყის, თანდაყოლილ იმპულსებამდე ანუ ერთ-ერთ ერგამდე. სწორედ იმ შუალედურ მიზნებს უწოდებს კეტელი სემებს, რომლებიც დამოკიდებულებებს საწყის ერგებთან აკავშირებენ. ალექსანდრეს შემთხვევაში, რომელსაც თანაკლასელთან ერთად სურს ფრანგული ენის სწავლა, ვხედავთ, რომ

მეცადინეობის აქტიური სურვილი არის დამოკიდებულება, საწყისი მიზანი კი — საკვების სამყოფი შემოსავლის ქონა, ანუ საკვების მოპოვება არის ერგი. შუალედური მიზნების კომპლექსი, რომელიც დამოკიდებულებას ერგთან აკავშირებს, სხვადასხვა სემს მოიცავს (იხ. სურ. N4). მაგალითად, ალექსანდრეს სურვილი — გაიმყაროს საკუთარი თავის, როგორც ნიჭიერი მოსწავლის, რეპუტაცია, მისი თვითშეგრძნების ნაწილია, ხოლო ფრანგული ენის მეგობარ გოგონასთან ერთად შესწავლა — არაპირდაპირ უკავშირდება მარტოობის ერგს. ერთ ერგს შეიძლება რამდენიმე სემი ემსახურებოდეს. მაგალითად, „მე“ (თვითშეგრძნება) და „სუპერ-ეგო“ სიამაყის ერგს უკავშირდებიან. ვინაიდან მოტივაცია, როგორც წესი, კომპლექსურია, სრულიად მოსალოდნელია, რომ ერთ სემს რამდენიმე ერგის დაკმაყოფილება შეეძლოს. მაგალითად, ოჯახისა და სახლის სემი ემსახურება როგორც სექსის, ისე — მარტოობის ერგს (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

კეტელი საკმაოდ დიდი რაოდენობით სემებს აღწერდა, მაგრამ ყველაზე მკაცრად მათემატიკურად განპირობებული და მნიშვნელოვანი კლინიკური თვალსაზრისით, სქემატურად მოცემულია სურათზე N4, კერძოდ, ესენია: „სახლი და ოჯახი“, „მეუღლე ან მეგობარი/პარტნიორი“, „თვითშეგრძნება“, „სუპერ-ეგო“ და „რელიგია“. სემს „თვითშეგრძნება“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოტივაციის ერთობლივ კომპლექსად სხვა სემების გაერთიანებაში მისი გადაწყვეტი როლის გამო. თვითშეგრძნება კლინიკური ტერმინის — „მე-კონცეფციის“ ფსიქომეტრული ეკვივალენტია. მიუხედავად ამისა, ხარისხისა და წარმოშობის თვალსაზრისით, ეს სემი არაფრით განსხვავდება სხვებისგან. სხვების მსგავსად, ის მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ნიშანია და კულტურული გავლენის საშუალებით შეიძინება (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

## ნიშნების ურთიერთმიმართება: დინამიკური ზადე

ინდივიდის დინამიკურ ნიშნებს შორის ურთიერთკავშირი სქემატურად შეიძლება დინამიკური ზადის სახით წარმოვიდგინოთ (იხ. სურ. N4) (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). სხვა სიტყვებით, ერთმანეთთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, ერგებისა და სემების კომპლექსის სახით, რომლებიც ადამიანის მოტივაციის სტრუქტურას ქმნიან.

სურათზე მოცემულ დინამიკურ ზადეში გარკვევა ერგებით, თანდაყოლილი იმპულსებით, ზრახვებით დავიწყეთ, რომლებიც სურათზე მარჯვნივ არის განლაგებული. თითოეული ერგი ერთ ან რამდენიმე სემზე (დიდი წრეები სურათის ცენტრში) ახდენს გავლენას. გავიხსენოთ, რომ სემები დასწავლილი დინამიკური ნიშნებია, რომელთაც ერთი ან რამდენიმე ერგის დაკმაყოფილება შეუძლიათ. ყურადღება მიაქციეთ, რომ პროფესიის სემი ორი ერგისთვის ასრულებს დამხმარე ფუნქციას — შიმშილისთვის და სიხარბისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათგან იღებს ენერგიას.

სურათის მარცხენა მხარეს განლაგებული პატარა წრეები დამოკიდებულებებს ანუ გარკვეულ სიტუაციაში გარკვეული სახით მოქმედებისკენ მიდრეკილებას აღნიშნავენ. ალექსანდრეს დამოკიდებულება ფრანგულ ენაში მეგობარ გოგონასთან ერთად მეცადინეობისადმი უშუალოდ სექსის ერგიდან იღებს ენერგიას, გაშუალებულად, შიმშილის ერგიდან პროფესიის სემის გავლით და, ასევე, გაშუალებულად სიამაყის ერგიდან თვითშეგრძნების ერგის გავლით (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

## ქცევის წინასწარმეტყველება: ქცევის განტოლება

კეტელის ადრეული შრომები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ძირითადი ნიშნების და მოგვიანებით ერგებისა და სემების გამოვლენას ეძღვნება, მხოლოდ პიროვნების სტრუქტურის აღწერას წარმოადგენს. თუმცა, როგორც კეტელი წერდა, „მხოლოდ ნიშნების სტრუქტურის შესწავლა ჭადრაკის დაფაზე ფიგურების განლაგების და არა — თამაშის წესების ცოდნის ტოლფასია“ (1982, გვ. 14, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). პიროვნების სტრუქტურის აღწერა, როგორც სრულიც არ

უნდა იყოს, არასოდეს ყოფილა კეტელისთვის მთავარი ამოცანა. ის ტემპერამენტის, უნარებისა და მოტივაციის ნიშნებს განიხილავს არა როგორც პიროვნების მახასიათებლებს, არამედ — როგორც ფაქტორებს, რომლებიც კონკრეტული ადამიანის ქცევას განაპირობებენ, რომელიც ამ გზით შეიძლება არა მხოლოდ აღიწეროს, არამედ სიზუსტის გარკვეული ხარისხით ვიწინასწარმეტყველოთ კიდევ. ამ მიზნისთვის კეტელმა შეიმუშავა ე.წ. *დინამიკური გამოთვლა* — კომპლექტური მეთოდი (McAdams, D. P., 2006), რომელიც დამოკიდებულებების ძალისა და მიმართულების განსაზღვრისთვის არის მოწოდებული.

ძირითადი ფორმულა — სპეციფიკაციის ტოლობა, შემდეგნაირად გამოიყურება:

$$R=f(S,P),$$

სადაც R არის სპეციფიკური რეაქცია, რომელიც დროის მოცემულ მომენტში მასტიმულირებელი სიტუაციისა (S) და პიროვნების სტრუქტურის (P) განუსაზღვრელ ფუნქციას წარმოადგენს.

ქცევის წინასწარმეტყველების მიზნით, ეს ფორმულა უფრო ვრცელი ფორმით არის წარმოდგენილი:

$$R=S1T+S2T2+S3T3+\dots+S_nT_n,$$

რაც ნიშნავს, რომ მოცემული რეაქციის წინასწარმეტყველება ხდება T ინდივიდის გარკვეული რაოდენობის n მახასიათებლის საფუძველზე, რომელთაგან თითოეულს მოცემულ სიტუაციაში მისი მნიშვნელობის მიხედვით მიეწერება რაღაც მნიშვნელობა: დადებითი, თუ მახასიათებელი რეაქციის რელევანტურია; უარყოფითი, თუ ის თრგუნავს რეაქციას და ნულოვანი, როცა მოცემული მახასიათებელი შეგვიძლია ირელევანტურად ჩავთვალოთ. დინამიკურ გამოთვლაში ერგები და სემები განიხილება, როგორც ნებისმიერი მოტივაციის საფუძველი. ისინი შედიან *ქცევით განტოლებაში*, რომელიც მოცემული ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველების საშუალებას გვაძლევს (Cattell & Child, 1975 წყაროში Фрейджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

კონკრეტული დამოკიდებულებების ძალის წინასწარმეტყველებისთვის დინამიკური გამოთვლის გამოყენება ძალზე სარგებლიანია კლინიკური პრაქტიკისთვის, მაგალითად, ის საშუალებას გვაძლევს, მოვძებნოთ დამაკმაყოფილებელი საწყისი მოთხოვნილებები, თუმცა, ქცევის ნაკლებად დესტრუქციული და დამღლევი ვარიანტი. ის, ასევე, საშუალებას გვაძლევს, კონკრეტული გამოთვლები ვაწარმოოთ ისეთ მანამდე ბუნდოვან სიტუაციებში, როგორცაა კონფლიქტი, გადაწყვეტილების დათრგუნვა და მიღება. ზუსტი მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მკვლევარს შეუძლია თითოეული ერგისა და სემის წონის განსაზღვრა, ამ მნიშვნელობების გარკვეულ ქცევით ფორმულაში ჩასმა და სახდო წინასწარმეტყველების მიღება დამოკიდებულებების ანუ კონკრეტული ადამიანის ქმედების სპეციფიკური პატერნების შესახებ, რომლის რეალიზებასაც ის ახდენს ან სურს, რომ მოახდინოს (Фрейджер, P. & Фейдимен Дж., 2001).

## ქცევის სტაბილურობა და ცვალებადობა

როგორც უკვე ვთქვით, კეტელი პიროვნების ნიშნების სტრუქტურის გარდა, პიროვნების მოტივაციურ ანუ დინამიკურ ნაწილზეც საუბრობს და გამოყოფს დინამიკურ ნიშნებს, რომელთაც ქცევის მოტივაციურ წყაროდ მიიჩნევს. ასევე, მიაჩნია, რომ ადამიანის მოტივაციის სფერო სამკომპონენტანია და გამოყოფს დამოკიდებულებებს, სემებსა და ერგებს. ის იმასაც ამბობს, რომ ჩვენი მოქმედებები, როგორც წესი, ერთდროულად რამდენიმე მოტივის დაკმაყოფილებას ემსახურება და სემების დაკმაყოფილებაზე გაღებული ძალისხმევა უფრო ფუნდამენტური ერგების ანუ ბიოლოგიური მიზნების დაკმაყოფილებას ემსახურება.

გასაგებია, რომ კეტელი ადამიანს არ განიხილავს, როგორც სტატიკურ ერთობლიობას ანდა სისტემას, რომელიც ყველა სიტუაციაში ერთნაირად მოქმედებს. ის, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში, დამოკიდებულია მისი პიროვნების ნიშნებსა და სიტუაციის შესატყვის მოტივაციურ ცვლადებზე. გარდა ამისა, კეტელს კიდევ ორი არსებითად მნიშვნელოვანი ცნების შემოტანა



უწევს, რათა გათვალისწინებული იყოს ქცევის ცვალებადობა. ესენია *მდგომარეობები* და *როლი* (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

## მდგომარეობები

კეტელი ცნებას *მდგომარეობა* გუნება-განწყობილებისა და ემოციების მიმართ იყენებს, რომელთა პროვოცირებას, გარკვეულწილად, სპეციფიკური სიტუაცია ახდენს. მდგომარეობების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ შფოთვა, დეპრესია, დადლილობა, აგზნება და ცნობისმოყვარეობა. ითვალისწინებს რა, რომ ნიშნები მოქმედების სტაბილურ და განზოგადებულ პატერნებს აღწერენ, კეტელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემულ სიტუაციაში ინდივიდის ქცევის ზუსტად აღსაწერად საჭიროა როგორც ნიშნების, ისე — მდგომარეობების გაზომვა: „ყოველ პრაქტიკოს ფსიქოლოგს და, ფაქტობრივად, გარკვეულ სიტუაციაში ადამიანის მდგომარეობაზე ყოველ ჰკვიანს დამკვირვებელს, ესმის, რომ ადამიანის მდგომარეობა კონკრეტულ მოცემულ მომენტში იმდენად განსაზღვრავს ქცევას, რამდენადაც ნიშნები“ (1979, გვ. 169, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001). სხვა სიტყვებით, ადამიანის ქცევას გარკვეულ სიტუაციაში ვერ ვიწინასწარმეტყველებთ მხოლოდ ნიშნებზე დაყრდნობით, იმის გათვალისწინების გარეშე, დადლილია ის, განრისხებულია თუ რაიმესი ეშინია და ა. შ.

## როლები

ქცევაზე გავლენის მეორე მნიშვნელოვანი წყარო *როლის* ცნებას უკავშირდება. კეტელის თანახმად, გარკვეული ქმედებები უფრო მჭიდროდ უკავშირდება გარე სიტუაციების თავისებურებებს, ვიდრე — პიროვნულ ფაქტორებს. მაგალითად, ტრადიციები და მორალური ნორმები შეიძლება პიროვნული ნიშნების გავლენას ისე ცვლიდნენ, რომ „თითოეულ ჩვენგანი აზარტულად იყვირებს ფეხბურთის მატჩზე, ნაკლებად აზარტულად — სუფრასთან და არავითარ შემთხვევაში — ეკლესიაში“ (1979, გვ. 250, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

ამრიგად, კეტელი თვლის, რომ პიროვნული ფაქტორები ნებისმიერ სიტუაციაში განაპირობებენ ქცევის გარკვეული ხარისხით სტაბილურობას; ასევე, მიაჩნია, რომ გუნება-განწყობილება (მდგომარეობა) და მოცემულ სიტუაციაში ადამიანის მიერ საკუთარი თავის წარმოჩენის მეთოდი (როლი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მის ქცევაზე: „ის, თუ რამდენად ხარბად მიეძალება სმიტი საჭმელს დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად მშვიდია ის, არამედ იმაზეც, თუ როგორი ტემპერამენტი აქვს და სად სადილობს — სახლში თუ თანამშრომლებთან ერთად რესტორანში“ (Nesselroade & Delhees, 1966, გვ. 583, ციტირებულია წყაროში Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

კეტელის თეორია ამბობს, რომ ქცევა გამოხატავს: ადამიანის პიროვნების ნიშნებს, რომლებიც მოქმედებენ მოცემულ სიტუაციებში; ერგებსა და სემებს, რომლებიც სიტუაციასთან ასოცირებულ დამოკიდებულებებს უკავშირდებიან; მდგომარეობებსა და როლურ კომპონენტებს, რომლებიც ვარიებენ დროში და სიტუაციიდან სიტუაციაზე.

გარდა პიროვნების სტრუქტურისადმი და ფუნქციონირების დინამიკისადმი ინტერესისა, კეტელი პიროვნების განვითარებისა და ფსიქოპათოლოგიის სფეროშიც აწარმოებდა კვლევას. განვითარების საკითხი მისთვის, ძირითადად, წარმოადგენდა საკითხს თოთოეულ ნიშანში გარემოსა და მემკვიდრეობითობის შეფარდებით წვლილის შესახებ, ხოლო პათოლოგიის საკითხი — სხვადასხვა ტიპის დაავადების მქონე პაციენტთა ჯგუფებს შორის პიროვნული განსხვავებების საკითხს. აიზენკისგან განსხვავებით, რომელიც პათოლოგიური ქცევის მიმართ ბიჰევიორალური თერაპიის გამოყენებაში სპეციალიზირდებოდა, კეტელი არ ასოცირდება რომელიმე კონკრეტული სახის ფსიქოთერაპიასთან (Фрейдджер, P. & Фейдимენ Дж., 2001).

## ნიშნების გენეტიკური საფუძველი: მემკვიდრეობითობა და გარემო

კეტელის, როგორც მეცნიერის, უნიკალურობა იმითაც განსაზღვრება, რომ მან სცადა ნიშნების განვითარებაში მემკვიდრეობითობისა და გარემოს როლის ფარდობითი წვლილის განსაზღვრა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992).

თუ დინამიკური ნიშნები, განსაზღვრების მიხედვით, თანდაყოლილ და შექმნილ ნიშნებად ანუ ერგებად და სემებად იყოფა, იგივეს ვერ ვიტყვიტ ტემპერამენტის ნიშნების შესახებ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში კეტელი შემდეგნაირად მსჯელობდა ამასთან დაკავშირებით:

თუ, როგორც მიღებული შედეგები აჩვენებს, ფაქტორიზაციის შედეგად მიღებული საწყისი ნიშნები დამოუკიდებელია, მაშინ საწყისი ნიშანი ვერ იქნება ორივეს — მემკვიდრეობის და გარემოს — შედეგი. ის ერთ-ერთი მათგანიდან უნდა მომდინარეობდეს... პატერნებს, რომლებიც სათავეს შინაგან პირობებში ან გავლენებში იღებენ, კონსტიტუციური საწყისი ნიშნები შეგვიძლია ვუწოდოთ. ჩვენ თავს ვარიდებთ ტერმინს „თანდაყოლილი“, ვინაიდან ყველაფერი, რაც ვიცით, არის ის, რომ წყარო ფიზიოლოგიის სფეროსა და ორგანიზმშია, რაც თანდაყოლილობას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ნიშნავს.

მეორე მხრივ, პატერნი პიროვნებაში რაიმე გარეგანს შეიძლება შემოჰქონდეს... ასეთ საწყის ნიშნებს, რომლებიც ფაქტორების სახით ვლინდებიან, შეგვიძლია გარემოს მიერ ფორმირებული ნიშნები ვუწოდოთ, ვინაიდან მათი საწყისია კულტურული პატერნის მდგენელი სოციალური ინსტიტუტებისა და ფიზიკური რეაქციების მაფორმირებელი მოქმედება (Cattell, 1950, p. 33-34, ციტირებულია წყაროში Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

სხვადასხვა ნიშნის თანდაყოლილობის შესამოწმებლად (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001) კეტელმა და მისმა კოლეგებმა ფართომასშტაბიანი ფაქტორულ-ანალიტური კვლევა აწარმოეს 3000-ზე მეტი ადამიანისგან შემდგარ (აქ შედიოდნენ როგორც ნათესავები, ისე — არანათესავები) სტატისტიკურად სანდო შერჩევაზე. წინასწარ შეფასდა მემკვიდრეობითობის წილი ისეთი ნიშნების ფორმირებაში, როგორიცაა ინტელექტი, ეგოს ძალა, სუპერ-ეგოს ძალა და ინტროვერსია-ექსტრავერსია.

ამ სამუშაოს შედეგად ნიშნების თეორიაში გაჩნდა ისეთი ცნება, როგორცაა ნიშნის მემკვიდრეობითობის წილი (H) — ამ ნიშნის გენეტიკურად განპირობებული ვარიაციის შეფარდება საერთო ვარიაციასთან, სადაც ვარიაცია არის ცვლადის მნიშვნელობების გაფანტვა. მაგალითად, თუ H-ის მნიშვნელობა ინტელექტისთვის 0.6-ს უდრის, ეს ნიშნავს, რომ ინტელექტის საერთო ვარიაციის 60% გენეტიკური ფაქტორებით აიხსნება. თუ შერჩევაში ყველა ადამიანი ერთი და იგივე მნიშვნელობას აჩვენებს, მაშინ ვარიაცია ნულის ტოლი იქნება. თუ სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულ მნიშვნელობას აჩვენებს, მაშინ რაღაც უნდა იყოს ამ განსხვავებების მიზეზი: მემკვიდრეობითობა, გარემო ან მათ შორის ურთიერთქმედება. H უბრალოდ იმის ინდიკატორია, თუ რამდენად არის მოცემული ნიშნის ვარიაცია დამოკიდებული მემკვიდრეობითობაზე (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

H-ის მისაღებად მონაცემების დამუშავების მეთოდად კეტელმა „აბსტრაქტული ვარიაციების მრავლობითი ანალიზი“ ანუ MAVA<sup>18</sup> გამოიყენა (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992), რომლითაც არამარტო გენეტიკური გავლენის არსებობა-არარსებობა ფასდება, არამედ გენეტიკური გავლენით ან გარემოს ზემოქმედებით ნიშნების განპირობებულობის ხარისხიც (Cattell, 1960, წყაროში Hjelle, L., & Ziegler, D., 1992). ეს ტექნიკა წარმოადგენს ტყუპების შედარებით ძველი მეთოდის განვითარებულ ვარიანტს, რომელიც მონოზიგოტურ ტყუპებს და, ასევე, და-ძმებს შორის განსხვავებების რეგისტრაციას გულისხმობს. MAVA-ის უპირატესობაა მისი მგრძობელობა გარემოს გავლენების მიმართ. გარდა ამისა, ის ერთ ოჯახში და სხვადასხვა ოჯახს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გაანალიზების შესძლებლობას იძლევა. ამ მეთოდის დახმარებით შესაძლებელია გაიზომოს გენეტიკური, გარემოს მიერ გამოწვეული და საერთო ვარიაცია ზავშვების (მოზრდილების) შემდეგი წყვილებისთვის: (1) ერთად გაზრდილი მონოზიგოტური ტყუპები, (2) ერთად გაზრდილი ჰეტეროზიგოტური ტყუპები, (3) ერთად გაზრდილი ღვიძლი და-ძმები, (4) ერთად გაზრდილი დეიდამშვილ-მამიდამშვილ-ბიძამშვილები, (5) ერთად გაზრდილი სხვადასხვა ოჯახის

<sup>18</sup> Multiple Abstract Variance Analysis.

შვილები, (6) ცალ-ცალკე გაზრდილი ღვიძლი და-ძმები, (7) ცალ-ცალკე გაზრდილი სხვადასხვა ოჯახის შვილები და ა. შ. ცალ-ცალკე გაზრდილი ტყუპების შემთხვევაც შეიძლება ჩავრთოთ, მაგრამ ასეთი სიტუაციების (MAVA დიდი ზომის შერჩევებთან სამუშაოდ არის განკუთვნილი) შედარებითი იმპიათობის გამო კეტელი ამ შემთხვევას არ აღწერს (Hjelle, L., & Ziegler, D., 1992; Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

ვინაიდან კლინიკური პრაქტიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, მემკვიდრეობითობის წილი, პირველ რიგში, სამ ძირითად ნიშანში განიხილეს: „მე“-ს ძალა (ფაქტორი C), სუპერ-ეგოს ძალა (ფაქტორი G) და თვითშეგრძნება (იმპულსურობა/სურვილების კონტროლი, ფაქტორი Q3). ამ ფაქტორებს ზოგჯერ „მაკონტროლებელ ტრიუმვირატსაც“ უწოდებენ ხოლმე. შესწავლილ იქნა 3000-ზე მეტი 12-18 წლის ბიჭისგან შემდგარი შერჩევა. მკვლევრებმა გამოიყენეს ტესტების ნაკრები, რომელიც მთლიანობაში 10 საათს საჭიროებდა. ცდის მონაწილეთა შორის იყო 94 ერთად გაზრდილი მონოზიგოტური ტყუპი, 124 ერთად გაზრდილი ჰეტეროზიგოტური ტყუპი, 470 ერთად გაზრდილი ძმები და 2973 სხვადასხვა ოჯახში გაზრდილი ბიჭი. ეს ბოლო კატეგორია მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა. MAVA-ის გამოყენებით მკვლევრებმა დაადგინეს, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, სუპერ-ეგოს ძალის (ფაქტორი G) ვარიაციის უმნიშვნელო ნაწილი აიხსნება მემკვიდრეობითობით. ძირითადი ჯგუფისთვის H-ის მნიშვნელობა 0.05-ის ტოლია ანუ სუპერ-ეგოს ძალა, პირველ რიგში, განათლებისა და გარემოს ფუნქციაა. თუმცა, „მეს“ ძალისთვის (ფაქტორი C) და თვითშეგრძნებისთვის (ფაქტორი Q3) H-ის მნიშვნელობა არსებითად მაღალი აღმოჩნდა. ძირითადი ჯგუფისთვის მემკვიდრეობითობის წილი „მეს“ ძალისთვის დაახლოებით 0.04-ის ტოლი აღმოჩნდა, ოჯახის შიგნით ეს მნიშვნელობა შედარებით დაბალია — 0.30-სა და 0.04-ს შორის. თვითშეგრძნებისთვის ძირითად ჯგუფში უფრო მაღალი მნიშვნელობაც კი იქნება მიღებული — 0.63. ეს საინტერესო აღმოჩენაა კეტელის იმ მოსაზრებების ფონზე, რომ სემებს ადამიანები კულტურული ზეგავლენის მეშვეობით იძენენ. თუმცა, H-ის ოჯახებში და ოჯახებს შორის განხილვისას, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ თვითშეგრძნების შემთხვევაში მემკვიდრეობითობის წილი უფრო მეტია, როდესაც სხვადასხვა ოჯახიდან გამოსულ ბავშვებს განვიხილავთ (0.65). ოჯახებში ეს მაჩვენებელი 0.46-ის ტოლია. შეიძლება ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ძმები, რომლებიც ერთ ოჯახში იზრდებიან, დაახლოებით ერთნაირ კულტურულ გავლენას განიცდიან, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც საქმე თვითშეგრძნების ფაქტორის (მე-კონცეფციის) ფორმირებას შეეხება.

მიიღო რა MAVA-ის მეშვეობით ასეთი საკმაოდ მოულოდნელი შედეგები, კეტელმა განაზოგადა წინა კვლევების მონაცემები და H შეაფასა 18 პირველადი ძირითადი ნიშნისთვის და 13 მეორე რიგის ძირითადი ნიშნისთვის. საინტერესოა, რომ როგორც ფაქტორისთვის „სიზოთიმია-აფექტოთიმია“, ისე – ფაქტორისთვის „ექსტრავა-ინვია“, H გამოვიდა 50%. სიზოთიმია-აფექტოთიმია ძირითადი პირველადი ფაქტორია, რომელიც ადამიანებს აფასებს, ერთი მხრივ, მათი დახურულობის და განცალკევებულობის და, მეორე მხრივ, ლიაობისა და კეთილგანწყობის თვალსაზრისით. ექსტრავა-ინვია მეორე რიგის ნიშანია, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო იუნგის ექსტრავერსია-ინტროვერსიის კონცეფციასთან. კეტელი მიდის დასკვნამდე, რომ ამ ორი ყველაზე ძლიერი ნიშნის ვარიაციების დაახლოებით ნახევარი მემკვიდრეობითობაზეა დამოკიდებული, მეორე ნახევარი კი — გარემო პირობების ზემოქმედებაზე (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## ინტელექტის საკითხი კეტელთან

ყველაზე წინააღმდეგობრივი ინტელექტუალური უნარების სფეროზე მემკვიდრეობითობის გავლენის შესწავლა აღმოჩნდა. კეტელი ორი ტიპის ინტელექტს განსხვავებდა — ფლუიდურს და კრისტალიზებულს.

*ფლუიდური* ინტელექტი ახალი მასალის ათვისების შესაძლებლობას გვაძლევს იმისგან დამოუკიდებლად, ადრე გვქონია თუ არა შეხება მსგავს საკითხებთან. ფლუიდური ინტელექტი რთული მიმართებების ხედვისა და პრობლემების გადაჭრის უნარია. ის კუბურების ნიმუშისა და სივრცობრივი ვიზუალიზაციის ტესტებით იზომება, რომლებშიც პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ფონური ინფორმაცია დასკვნით მიიღება.

კრისტალიზებული ინტელექტი ადრე შეძენილი ცოდნის აწმყოში გამოყენებაზე აგებს პასუხს, სხვა სიტყვებით, ის უკვე ათვისებულ ცოდნასა და ამ ცოდნის გაზრდა-გამოყენების უნარს მოიცავს და ლექსიკური, არითმეტიკული და ზოგადი ინფორმირებულობის ტესტებით იზომება.

პირველადი ფაქტორი B კრისტალიზებულ ინტელექტს წარმოადგენს და მისთვის კეტელმა მემკვიდრეობითობის წილი 60%-ით შეაფასა. ფლუიდური ინტელექტისთვის ანუ მეორე რიგის ნიშნისთვის მემკვიდრეობითობის წილი კიდევ უფრო მაღალია და 65%-ს შეადგენს. ასეთი შედეგებით მაღალი მნიშვნელობები გვიჩვენებს, რომ სწორედ ინტელექტუალური უნარებია ყველაზე მეტად დამოკიდებული მემკვიდრეობითობაზე და არა – გარემოს ზემოქმედებაზე (Фрейджер, Р. & Фейдимен Дж., 2001).

## შეჯამება

პიროვნების სფეროში კვლევების დიაპაზონისა და მასშტაბურობის თვალსაზრისით, კეტელი უეჭველად უნდა ვაღიაროთ ჩვენი დროის ყველაზე გამოჩენილ პერსონოლოგად. მისი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა პიროვნების თეორიისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულად ყველა ასპექტს მოიცავდა — სტრუქტურას, განვითარებას, მოტივაციას, ფსიქოპათოლოგიას, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ცვალებადობას.

მის მიერ გაწეული ძალისხმევა, ზუსტი გაზომვების ტექნიკაზე დაყრდნობით აეგო თეორია, ნამდვილად შთამბეჭდავია. როგორც მისი ერთ-ერთი მიმდევარი აღნიშნავს, კეტელი ყველანაირი აღფრთოვცანების ღირსია: „უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნების შესწავლის კეტელისეული ორიგინალური პროგრამა გაცილებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ემპირიული კვლევის თვალსაზრისით, ვიდრე ნებისმიერი სხვა თეორია“. თუმცა, კეტელის თეორიამ, სამწუხაროდ, ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება ადამიანის პიროვნების შემსწავლელ ბევრ პერსონოლოგთან და, არსებითად, ნაკლებად ცნობილად დარჩა ფართო საზოგადოებისთვის.

კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ კეტელის ნაშრომები რთული ენით არის დაწერილი და ძნელია მათი გაგება. ასევე, აკრიტიკებენ მის გადაჭარბებულ ერთგულებას ფაქტორული ანალიზისადმი. კრიტიკის ობიექტია სტატისტიკური მეთოდით მიღებული ძირითადი ნიშნების მის მიერ შემოთავაზებული ფორმულირებები, ინტერპრეტაციები და დასახელებებიც კი. მიუხედავად მისი ნაშრომებისადმი არასაკმარისი ყურადღებისა და დამსახურებული კრიტიკისა, კეტელი თავისი მიდგომის ერთგული რჩება, რომელიც, როგორც ჩანს, პიროვნების სტრუქტურისა და ფუნქციის გაგების შესაძლებლობას მოგვცემს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ კეტელი ერთადერთი პერსონოლოგია, რომელმაც თავისი შრომა პიროვნული ნიშნების ბაზისური სტრუქტურის შესწავლას მიუძღვნა. ადამიანის ქცევის აღწერისთვის აუცილებელი მთელი რიგი ასპექტების გამოსავლენად ფაქტორული ანალიზი ჰანს აიზენკმაც გამოიყენა. ფაქტორული ანალიზის მეთოდს ეფუძნება დიდი ხუთეულიც.

## თავი 11

### ხუთფაქტორიანი მოდელი: დიდი ხუთეული

დიდი ნაწილი იმისა, რასაც ფსიქოლოგები გულისხმობენ ტერმინში „პიროვნება“, ხუთფაქტორიან მოდელშია შეჯამებული (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997).

#### ხუთფაქტორიანი მოდელის წინაისტორია

პიროვნების კვლევის მეთოდების განვითარების ისტორიულ მიმოხილვაში კრაიცი (1986, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997) განვითარების სამი სახის ტრაექტორიას გამოყოფს: უწყვეტს, დამუხრუჭებულსა და წყვეტილს. ეს უკანასკნელი აღწერს მეთოდებს, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე პოპულარული იყო, შემდეგ თითქმის გაუჩინარდა და მოგვიანებით ხელახლა წარმოვიდა წინა პლანზე. თუ ასეთ ისტორიულ ანალიზს პიროვნების „დიდი ხუთეულის“ განზომილებებს დაუკავშირებთ, რამდენიმე ასეთ „წყვეტას“ აღმოვაჩინებთ. ეს, ნაწილობრივ, პუბლიკაციების თარიღების გაურკვეველობას უკავშირდება და, ნაწილობრივ, იმას, რომ გამოუქვეყნებელი და ტექნიკური ანგარიშები და სხვა არტეფაქტები შედარებით ნაკლებად ხელმისაწვდომია. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელისადმი ინტერესი მატულობდა და იკლებდა ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში და ამჟამად საკმაოდ ხანგრძლივი აღზევების პერიოდის მოწმენი ვართ (Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S., 1997).

#### 1930-იანი წლები

ცხრილში 1 წარმოდგენილია (მრავალიდან) რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პუბლიკაცია თანამედროვე ხუთფაქტორიანი მოდელის განვითარებიდან. პირველი ნაშრომი (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997) ტურსტონს ეკუთვნის, რომელსაც გოლდბერგმა 1993 წელს მიაქცია ყურადღება, რადგან ის ხუთფაქტორიანი მოდელის წინმსწრებ მოდელს აღწერს და თანამედროვე მრავალფაქტორიანი მეთოდების საფუძვლადმდებარე ნაშრომს წარმოადგენს მასში აღწერილი მეთოდის გამო, რომელიც მოგვიანებით პიროვნების ნიშნების მულტივარიაციულ მოდელს დაედო საფუძვლად. ტურსტონი (1934) ამ ნაშრომში აღწერს კვლევას, რომელშიც „ადამიანების აღწერისას ფართოდ გამოყენებული“ 60 ზედსართავი სახელისგან შემდგარ ჩამონათვალს გვაძლევს. მან აღმოაჩინა, რომ ზედსახელების ინტერკორელაციების ახსნისას ხუთი ზოგადი ფაქტორი საკმარისი იყო და ოპტიმისტურად დაასკვნა, რომ „პიროვნების მეცნიერული აღწერა, შესაძლოა, არც ისე უიმედოდ რთულია, როგორც ეს ზოგჯერ გვეჩვენება“ (გვ. 14, ციტირებულია წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997). ეს შეგვიძლია დიდი ხუთეულის ეკონომიურობის ენთუზიაზმის ყველაზე ადრეულ მაგალითად მივიჩნიოთ.

ტურსტონი მივიდა აზრამდე, რომ ფაქტორული ანალიზის მისეული მოდელი არ იძლეოდა ინტერპრეტირებადი ორთოგონალური ღერძების უნიკალური ერთობლიობის გამოყოფის შესაძლებლობას. ნაწილობრივ ამ მიზეზით, ის ხუთი ბაზისური ფაქტორის მიერ ფორმირებული სფეროს ზედაპირზე მყოფი სინონიმური ზედსართავების კლასტერების იდენტიფიცირებას ემხრობოდა. ვინაიდან ასეთი ტერმინი ათასობით იყო, გამოსადეგი იქნებოდა ლექსიკონის გამოყენება და ტერმინების სისტემატური გზით დახარისხება-შესწავლა. სწორედ ეს გააკეთეს ოლპორტმა და ოდბერტმა<sup>1</sup> (Allport, G. W., 1937).

<sup>1</sup> რადგან ეს საკითხი უკვე განვიხილეთ, აქ ვრცლად აღარ შევეხებით.

მიუხედავად იმისა, რომ ტურსტონისა და ოლპორტი-ოდბერტის მიერ დაწყებული ტრადიციები ერთმანეთთან არის კავშირში (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997), მაინც საჭიროა მათი ერთმანეთისგან გამოიჯვანა. ტურსტონს „გონების ვექტორების“ მოხელთების მულტივარიანტული მოდელების განვითარება აინტერესებდა, რაც, პიროვნების ჭრილში, *პიროვნების სტრუქტურას* გამოავლენდა, რომელიც ინდივიდუალური განსხვავებების სახით იქნებოდა მანიფესტირებული. ამ ტრადიციას ისტორიულად ახასიათებდა უთანხმოება ისეთ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა საკმარისი ფაქტორების რაოდენობა, ფაქტორების როტაციის მისაღები მეთოდი და ფაქტორების ვალიდობის დადგენის კრიტერიუმების თავისებურებები. მოსაზრებათა ასეთი განსხვავებები კარგად ჩანს, მაგალითად, კეტელისა და აიზენკის მიერ შემოთავაზებულ თეორიებში.

**ცხრილი 1. რჩეული ნაშრომები პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის ისტორიიდან.**

დეკადა	ნაშრომები
1930	Thurstone (1934); Allport and Odbert (1936)
1940	Cattell (1943, 1945); Eysenck (1947); Guilford (1948); Fiske (1949)
1950	Cronbach and Meehl (1955); Loevinder (1957); Cattell (1957); Guilford (1959)
1960	Tupes and Chirstal (1961); Tupes and Kaplan (1961); Norman (1963, 1967); Borgatta (1964)
1970	Adcock (1972); Eysenck (1972); Howarth (1976); Cattell (1973); Hofstee (1976); Goldberg (1977); Tomas (1977); Brokken (1978); Digman (1979)
1980	Borkenau (1988); Botwin and Buss (1989); Conley (1985); McCrae and Costa (1985c); Digman and Takemoto-Chock (1981); Goldberd (1980, 1981, 1982); R. Hogan (1986); John, Goldberg, and Angleitner (1984); Peabody and Goldberg (1989); Trapnell and Wiggins (1990)

წყარო: Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997.

ოლპორტისა და ოდბერტის მიერ წამოწყებული ტრადიცია (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997) *პიროვნების ატრიბუტების*, როგორც ჩნდებიან ისინი ბუნებრივ სამეტყველო ენაში, ტაქსონომიის განვითარებით იყო დაკავებული. ბოლო 50 წლის განმავლობაში შექმნილი ნიშნების აღმწერი ტაქსონომიების მიმოხილვისას აღნიშნავენ (John, Goldber, and Angleiter, 1984, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997), რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან (ა) შერჩევის პროცედურებით, (ბ) რედუქციის ხარისხით, (გ) სტრუქტურირებულობით, (დ) აბსტრაქტულობითა და (ე) შეფასების კრიტერიუმებით. მაგალითად, ოლპორტი და ოდბერტი ლექსიკონში მოცემულ ყველა ტერმინს განიხილავენ, ჩამონათვალის შეკვეცის ყოველგვარი მცდელობის გარეშე და მათ ანბანის მიხედვით ოთხ ფართო კატეგორიაში ათავსებენ. ისინი არც შესაძლო იერარქიაზე ფიქრობდნენ. ამის საპირისპიროდ, გოლდბერგმა (1982, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997) ჩამონათვალის რედუქცია დაიწყო, რისთვისაც მკაცრ წესებს იყენებდა, დიდი რაოდენობით კატეგორიები შექმნა და საბოლოოდ მიღებული ტაქსონომია რამდენიმე განსხვავებული კრიტერიუმით შეაფასა.

## 1940-იანი წლები

ნიშნების აღმწერი ტერმინების ტაქსონომიების გამოყენება სხვადასხვა მიზნით შეუძლიათ ლექსიკოგრაფებს, ფსიქოლინგვისტებს, კოგნიტურ ფსიქოლოგებსა და ენის შესწავლით დაინტერესებულ სტუდენტებს. ისინი პიროვნების სტრუქტურის მულტივარიაციული მოდელების განვითარებისას ინსტრუმენტების შექმნის საფუძველიც შეიძლება გახდნენ, რაც კარგად აჩვენა კეტელმა. მან მუშობა ოლპორტი-ოდბერტისეული სიით დაიწყო<sup>2</sup> და საბოლოოდ 35 კლასტერის საფუძვლადმდებარე 12 ფაქტორამდე<sup>3</sup> დაიყვანა.

კეტელი მიჩიგანში შერჩევის კვლევითი პროექტის კონსულტანტი იყო (E. L. Kelly & Fiske, 1951, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997), რომელშიც კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით

<sup>2</sup> ეს საკითხიც უკვე დაწვრილებით გვაქვს განხილული, ამიტომ არც მას არ შევხებით აქ ვრცლად.

<sup>3</sup> კითხვარში შესული 16 ფაქტორიდან, სწორედ ეს 12-ია ტემპერამენტის ნიშანი, ხოლო დანარჩენი 4 ინტელექტის სფეროს განეკუთვნება.

სტუდენტების შერჩევის პროცედურებს შეისწავლიდნენ. „შეფასების ბაზისურ მონაცემებს“ კეტელისეული 35 სტანდარტული კლასტერიდან აღებული 22 ბიპოლარული რეიტინგული სკალა შეადგენდა და თვით-რეიტინგების, თანატოლთა რეიტინგებისა და თანამშრომელთა შეფასებების მისაღებად გამოიყენებოდა. ამ დიზაინმა ფისკეს (1949) საშუალება მისცა, რომ სხვადასხვა წყაროთი მიღებული რეიტინგებიდან პირველადი ფაქტორების სტრუქტურის კონსისტენტურობის პირველი კვლევა განეხორციელებინა. მან ორი მნიშვნელოვანი შედეგი მიიღო: (1) სხვადასხვა წყაროთი მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულ ფაქტორულ სტრუქტურებს შორის მაღალი კონსისტენტურობა დადასტურდა და (2) მონაცემები დაბეჯითებით აჩვენებდნენ 5 (და არა 12) ფაქტორის არსებობას. ამავე პერიოდში კიდევ ორი ძირითადი ტაქსონომიური კვლევითი პროგრამა განახორციელეს გილფორდმა და აიზენკმა. გილფორდი (1948, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997) ტესტების განვითარებისა და ნიშნების შესწავლისადმი ამ მიდგომების გამოყენებაში ფაქტორულ ანალიტური მიდგომების უფრო ფართო გაგების მომხრე იყო. ამავე პერიოდში გამოჩნდა აიზენკისეული (1947 წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997) ორფაქტორიანი სტრუქტურული მოდელის პირველი, ჩანასახოვანი ფორმით მოცემული აღწერა.

## 1950-იანი წლები

ეს პერიოდი დიდი ხუთეულის მოდელის განვითარების ისტორიაში ჩავარდნის ხანა იყო და თითქმის 10 წელიწადი დასჭირდათ ფსიქოლოგებს, რომ ფისკეს ნაშრომის მნიშვნელოვნება ეღიარებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ხუთფაქტორიანი მოდელთან უშუალოდ დაკავშირებული კვლევები მინიმუმამდე იყო დასული, აუცილებლად უნდა აღინიშნოს პიროვნების შეფასების განვითარების ორი ხაზი, რომელმაც მოგვიანებით საფუძველი შეუქმნა მოდელის გაცოცხლებას. მეცნიერების ფილოსოფიამ, რომელიც საფუძველად უდევს კონსტრუქტულ ვალიდობას (Cronbach & Meehl, 1955; Loevinger, 1957, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997), ბიძგი მისცა ტესტის აგებისადმი უფრო ქმედით მიდგომას, ვიდრე იმ დროისთვის ფართოდ გავრცელებული, MMPI-სთან ასოცირებული, ემპირიული მიდგომა იყო. ეს ახალი მიდგომა პიროვნების სტრუქტურის განზომილებებით შეფასებასა და თეორიას შეესატყვისებოდა. კეტელმა (1957) და გილფორდმა (1959) გადასინჯეს თავიანთი ძირითადი სტრუქტურული კვლევითი პროგრამები და ახლი კვლევების მთელი რიგი გაჩნდა.

## 1960-იანი წლები

ერნსტ ტუპესი ზემოთ ხსენებული მიჩიგანის კვლევითი ცენტრის თანამშრომელი იყო და მან თავის კვლევაში წინა კვლევებიდან კეტელის 22-დან 20 ბიპოლარული სკალა გამოიყენა საჭაერო ძალების აკადემიის კადეტების შეფასებისთვის. თანატოლების მიერ ამ 20 ცვლადის შეფასებით მიღებული რეიტინგებით შექმნილი ფაქტორული სტრუქტურის შესწავლისას ტუპესმა და კრისტალმა (1958) კარგად გამოკვეთილი და განზოგადებული ხუთფაქტორიანი გადაწყვეტა აღმოაჩინეს და ფაქტორებს დინამიზმი/ექსტრავერსია, თანხმობისთვის მზაობა, პატიოსნება, ემოციური სტაბილობა და კულტურა უწოდეს. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ინდივიდუალური რეიტინგის სკალებისა და პიროვნების ხუთი ფაქტორის ქულები ისეთ მნიშვნელოვან კრიტერიალურ ცვლადებს უკავშირდებოდნენ, როგორც იყო კადეტთა ეფექტურობის ანგარიშები.<sup>4</sup>

ტუპესმა და კრისტალმა ამ მიმართულებით შექმნილ პირველ ნაშრომში ხუთფაქტორიანი გადაწყვეტის „უნივერსალური“ ბუნება რვა უკიდურესად განსხვავებული შერჩევისგან მიღებული შედეგების ფაქტორული სტრუქტურის უშუალო შედარების მეთოდით იკვლიეს. აქედან ოთხ ჯგუფს სამხედროები შეადგენდნენ, ორს — კეტელის უნივერსიტეტის სტუდენტები და ორსაც — კელისა და ფისკეს მაგისტრატურის სტუდენტები. ნიშნების რეიგინგების ცვლადები კეტელის 35 კლასტერიდან გამოიყო.

<sup>4</sup> ეს იყო ლიდერობის უნარებისა და ოფიცრის პოტენციალის შეფასების ერთობლიობა, რომელიც თანაკურსელთა, უფროსკურსელთა და ტაქტიკური ოფიცრების რეიგინგებს ეყრდნობოდა.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხუთფაქტორიანი გადაწყვეტის სტაბილურობა სხვადასხვა შერჩევის პირობებში.

სამწუხაროდ, ეს შრომა მხოლოდ უცნობ ტექნიკურ ანგარიშში აისახა<sup>5</sup> და არ გამოქვეყნებულა. რომ არა უორენ ნორმანი, რომელიც ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან ადამიანთაგანი იყო, ვისაც ხელი მიუწვდებოდა ამ ანგარიშზე, და მისი სტატია, დიდი ხუთეულის ისტორიულ განვითარებაში კიდევ ერთი „ჩავარდნის“ პერიოდი დადგებოდა (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997).

ნორმანის 1963 გამოქვეყნებული სტატია ხუთფაქტორიანი მოდელის ისტორიული განვითარების მნიშვნელოვანი მომენტია (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997), ვინაიდან მასში მოცემულია: (ა) პიროვნების ატრიბუტების კარგად სტრუქტურირებული ტაქსნომიის შექმნისთვის საჭირო, ნათლად ჩამოყალიბებული თეორიული საფუძველი და პროცედურები; (ბ) კეტელის ადრეული ფაქტორული ნამუშევრის ფსიქომეტრული კრიტიკა და ანალიტიური ორთოგონალური როტაციის დასაბუთება; (გ) ხუთფაქტორიანი გადაწყვეტისა და სათანადო ექსპერიმენტული დიზაინის განზოგადებადობის ანალიტიკური შედარება; (დ) ხუთი ფაქტორის გასაზომი თვითანგარიშის საზომების განვითარებისკენ მოწოდება, რომლის კრიტერიუმდაც გარშემომყოფთა შეფასებები იქნებოდა აღებული.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი საიმედოდ გამოიყურებოდა, ნორმანი მაინც იზიარებდა ადრეული მკვლევრების სკეპტიციზმს იმ თაობაზე, თუ რამდენად საკმარისი იყო ეს ფაქტორები და თვლიდა, რომ ბუნებრივ სამეტყველო ენაში არსებულ ზედსართავ სახელებთან დაბრუნების დრო იყო. ის წერდა, რომ მნელი იყო პიროვნების ისეთი დამატებითი ინდიკატორების ძიება, რომლებიც იოლად არ ერთიანდება ხუთიდან რომელიმე რეკურენტულ ფაქტორში. საკუთარი რეკომენდაციების შესაბამისად, ნორმანი მიუბრუნდა ვებსტერის ახალ მესამე საერთაშორისო გამოცემას (1961) და ახალი 18 125 ტერმინისგან შემდგარი სია შექმნა, რომელიც გულდასმით შეამცირა და გადაახარისხა (Norman, 1967, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997). ამით მან პიროვნების ატრიბუტების ყველაზე თანამედროვე ტაქსონომიას დაუდო საფუძველი.

ამრიგად, ნორმანი დაუბრუნდა ლექსიკონს და გადასინჯა ოლპორტის სია (რომელიც, 1967 გამოქვეყნდა). ყვრდნობოდა რა ოლპორტის, კეტელისა და სხვების ადრეულ კვლევებს, ნორმანმა 1963 წელს ფაქტორულ ანალიზს დაუქვემდებარა შეფასებები, რომლებიც ადამიანებმა გარშემომყოფებისგან მიიღეს. ნორმანის მოსწავლემ გოლდბერგმა ოლპორტისეული ჩამონათვალი 2900 კლასტერზე დაიყვანა. ეს ვარიანტი იქცა საბოლოო ვარიანტად და აღარავინ დაბრუნებია ოლპორტ-ოდბერტის სიას.

## 1970-იანი წლები

ხუთფაქტორიან ტრადიციაში ნორმანის მიერ შეტანილი წვლილის გამო ამ მოდელს „ნორმანის ხუთეულსაც“ უწოდებდნენ (მაგალითად, იხ. Bouchard, Lalonde & Gagnon, 1988). მკაცრად ისტორიული თვალსაზრისით, მოდელს შეიძლება „კეტელის ხუთეულიც“ ვუწოდოთ, მაგრამ ეს სერიოზული შეცდომა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი კეტელის მიერ გამოყოფილი კლასტერებიდან და რეიტინგის სკალებიდან იღებს სათავეს, მას არასოდეს უღიარებია საკუთარი 20 ან მეტი პირველადი ფაქტორის ხუთფაქტორიანი ალტერნატივა და არც იმის სურვილი ჰქონია, რომ ეს ხუთი ფაქტორი მის მიერ გამოყოფილი ცხრიდან ხუთ მეორად ფაქტორთან მიახლოებულად განეხილა (Cattell, 1973, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997). მართალია, ხუთფაქტორიანი მოდელის მიუღებლობის კეტელის მიერ დასახელებული მიზეზები მეთოდოლოგიური უფროა, ვიდრე პრაქტიკული, არ უნდა დაგვაიწყდეს ის მჭიდრო კავშირი მეთოდსა და შინაარსს შორის, რომელიც პიროვნების კეტელისეულ თეორიაში არსებობს. კეტელი სხვა ნებისმიერ თეორეტიკოსზე მეტად ყვრდნობა ფაქტორულ-ანალიტიური კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს, როდესაც ფენოტიპური ცვლადების საფუძვლადმდებარე დეტერმინანტებს იკვლევს (Wiggins,

<sup>5</sup> Tupes, E. C., & Cristal, R. E., *Recurrent Personality Factors Based on Trait Ratings*. Technical Report ASD-TR-61-97, Lackland Air Force Base, TX: Personnel Laboratory, Air Force Systems Command, 1961.



1984, წყაროში Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997).

ხუთფაქტორიანი და შედარებით მცირე რაოდენობის განზომილებების მქონე ნებისმიერი მოდელის წინააღმდეგ კეტელს რამდენიმე არგუმენტი აქვს: (ა) კორელაციური მატრიციდან არ არის იმ რაოდენობით ფაქტორები გამოყოფილი, რამდენის საშუალებასაც ის იძლევა; (ბ) ფაქტორები მექანიკურად, ჩვეულებისამებრ, ორთოგონალურად არის მობრუნებული ზედაპირული ცვლადების კლასტერებში („კლასტერული დევნა“) და (გ) შედეგად მიღებული ფაქტორები „ფსევდო მეორე რიგის ფაქტორებია“ და არა — „ჭეშმარიტი“ ან „დაფუძნებული“ მეორე რიგის ფაქტორები.

კეტელის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური პრიორიტეტები ნამდვილად არ იყო საყოველთაოდ გაზიარებული და გასული საუკუნის 70-იანი წლები უფრო და უფრო მეტ გამოწვევას უყენებდა კეტელის ტრადიციის ფარგლებში და მის გარეთ მომუშავე მეცნიერებს (მაგალითად, Adcock, 1972; Digman, 1972; Eysenck, 1972; Goldberg, Norman, & Schwartz, 1972, 1980; Howarth, 1976; Howarth & Browne, 1971; Karson & O'Dell, 1974; Sells, Demaree, & Will, 1970). მიუხედავად იმისა, რომ კეტელის კრიტიკა სხვადასხვაგვარი იყო, ერთი რამ ცხადი გახდა: მისი ადრეული შრომები ფაქტორების ჭარბად გამოყოფით ხასიათდებოდა. შემდგომი ათწლეული „დიდი ხუთეულის დაბრუნებით“ გამოირჩეოდა, როდესაც კეტელისეულ მოდელს ახლით ჩანაცვლების საფრთხე შეექმნა (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997).

## 1980-იანი წლები

ხუთფაქტორიანი მოდელის განვითარების დინამიკა გვიჩვენებს (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997), რომ მისი დაფუძნება (მრავალწლიანი წინასტორიისა და მიუხედავად), რეალურად, გასული საუკუნის 80-იან წლებში მოხდა; თუმცა, ეს პროცესი თანდათანობით ვითარდებოდა და მისი დიდი ნაწილი ლუის გოლდბერგის შრომებს უკავშირდება, რომელიც ორეგონის კვლევით ინსტიტუტში მოღვაწეობდა. ნორმანთან ადრეული თანამშრომლობის გამოცდილების გამო, გოლდბერგს დიდხანს და, შესაბამისად, სკეპსის თანხლებით, აინტერესებდა დიდი ხუთეულის განზომილებებისთვის მყარი ლექსიკური და ფსიქომეტრული საფუძვლის შექმნა და ეს ინტერესი ფართოდ იყო ცნობილი სხვებისთვის.

80-იან წლებში გოლდბერგის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი დიდი ხუთეულის მოდელის მიმოხილვითი შესავლის ფუნქციას ასრულებდა ახალი თაობის მეცნიერთათვის, უფრო გამოცდილი თაობისთვის კი ხელახალი ინტერესის გამღვივებელი აღმოჩნდა.

მოდელისადმი ინტერესის უწყვეტობის დამადასტურებელია ჯონ დიგმანის ხანგრძლივი ინტერესი პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელისადმი. ბავშვის პიროვნების რეიტინგების მისი ადრეული კვლევები აჩვენებდნენ, რომ ამ სფეროს დახასიათებისთვის საკმარისი იყო შედარებით მცირე რაოდენობის ფაქტორები და ბავშვებისა და მოზრდილების შემდგომმა განმეორებითმა ანალიზმა დაარწმუნა ის დიდი ხუთეულის განზომილებების ცენტრალურობაში (მაგალითად, Digman, 1989; Digman & Inouye, 1986; Digman & Takemoto-Chock, 1981) (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997).

## 1990-იანი წლები

1990 წელს ჯ. მ. დიგმანმა პიროვნების თავისი ხუთფაქტორიანი მოდელი წამოადგინა, ხოლო გოლდბერგმა ეს მოდელი ორგანიზაციის უმაღლეს დონემდე მიიყვანა (Goldberg, 1993). აღმოჩნდა, რომ ეს ხუთი ფართო სფერო მეტ-ნაკლებად ცნობილ ყველა პიროვნულ ნიშანს მოიცავს და ყველა პიროვნული ნიშნის საფუძვლადმდებარე ბაზისურ სტრუქტურას წარმოადგენს. მათ წესრიგი შეიტანეს პიროვნების ქვედა დონის ცნებების ხშირად დამაბნეველ ნაკრებში, რომლებსაც მუდმივად გვთავაზობენ ფსიქოლოგები და რომლებიც ხშირად ფარავენ ერთმანეთს და გვაბნევენ. ეს ხუთი ფაქტორი პიროვნების ფსიქოლოგიაში ყველა კვლევის შედეგისა და თეორიის ინტერპრეტირებისთვის მდიდარ კონცეპტუალურ ჩარჩოს იძლევა. დიდი ხუთეულის ნიშნებს „ხუთფაქტორიან მოდელს“ (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992) და პიროვნების გლობალურ ფაქტორებსაც (Russell, M.T., & Karol, D., 1994) უწოდებენ.

ამ პერიოდში უფრო და უფრო მეტი მკვლევარი დაინტერესდა ხუთი ფაქტორის კვლევით (McAdams, D.

P., 2006). მათ შორის მოდელის განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით ისეთ მკვლევრებს, როგორებიც არიან ჯონ დიგმანი (1990; Digman & Takemoto-Chock, 1981), ლუის გოლდბერგი (1990), რობერტ მაკკრეი და პოლ კოსტა (Costa & McCrae, 1985; McCrae & Costa, 1987, 1990, 1995) და ჯერი ვიგინსი (1996). დადგენილი ხუთი ფაქტორისთვის სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა სახელსა და ოდნავ განსხვავებულ კონცეპტუალიზაციას გვთავაზობს, თუმცა, უმრავლესობა შეთანხმდა, რომ ეს ფაქტორები საკმაოდ ჰგავანან იმას, რასაც აიხენკი ექსტრავერსია-ინტროვერსიას და ნევროტიზმს უწოდებდა. დანარჩენი სამი ფაქტორისთვის მისაღები გახდა კოსტასა და მაკკრეის მიერ შემოთავაზებული სახელწოდებები, რომელთაც თანხმობისადმი მზაობა, პატიოსნება და გამოცდილებისადმი ღიაობა<sup>6</sup> უწოდეს.

## თეორიული პერსპექტივა: დიდი ხუთეულის ფაქტორები

დიდი ხუთეულის მოდელი ერთ-ერთ ყველაზე ამომწურავ, ემპირიული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულ მოდელად ითვლება პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორიაში. ადამიანის პიროვნების ნიშნებისა და სტრუქტურის იდენტიფიცირება ზოგადად ფსიქოლოგიის ყველაზე ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენს. ოთხ ათწლეულზე მეტ ხანს წარმოებული კვლევის განმავლობაში ეს ხუთი ფართო ფაქტორი თანდათანობით აღმოაჩინა და განსაზღვრა მკვლევართა რამდენიმე დამოუკიდებელმა ჯგუფმა (Digman, 1990). ამ მკვლევრებმა პიროვნების ბაზისური, საფუძვლადმდებარე ფაქტორების კვლევა პიროვნების ყველა ცნობილი ნიშნის შესწავლით და ამ ნიშნების ასობით საზომის (თვითანგარიშისა და კითხვარების მონაცემებისა და ექსპერიმენტული სიტუაციებში ობიექტური საზომების) ფაქტორული ანალიზით დაიწყო.

ათწლეულების მანძილზე მკვლევართა, სულ მცირე, ოთხი ჯგუფი მუშაობდა ამ საკითხზე და ყველა მათგანმა ზოგადად ერთი და იგივე ხუთი ფაქტორი გამოყო: ტუპესი და კრისტალი პირველები იყვნენ, მათ მოჰყვა გოლდბერგი (ორეგონის კვლევით ინსტიტუტში), კეტელი (ილინოისის უნივერსიტეტში) და კოსტა და მაკკრეი (ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში). ხუთი ფაქტორის გამოსავლენად ეს ოთხი ჯგუფი, გარკვეულწილად, განსხვავებულ მეთოდებს იყენებდა და ამიტომ ხუთი ფაქტორის ყოველ ნაკრებს მეტ-ნაკლებად განსხვავებული დასახელებები და განსაზღვრებები აქვს; თუმცა, ყველა მათგანს შორის არსებობს ძლიერი ინტერკორელაცია და ფაქტორულ ანალიზზეა ორიენტირებული (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიშნები პიროვნების ორგანიზაციას ყველაზე ზედა დონეზე ახდენენ, შესაბამისად, უზრუნველყოფენ კონცეპტუალურ ჩარჩოს ჩვეულებრივი, შედარებით ქვედა დონის ნიშნებისთვის. თუმცა, ვინაიდან დიდი ხუთეულის ნიშნები ასეთი ფართო და ყოვლისმომცველია, ისინი არც ისე კარგ პრედიქტორებსა და ამხსნელებს წარმოადგენენ კონკრეტული ქცევისთვის, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი ქვედა დონის ნიშნები. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ რეალური ქცევის წინასწარმეტყველებისთვის უფრო მრავალრიცხოვანი მახასიათებლები ანუ პირველადი დონის ნიშნები უფრო ეფექტურია (მაგალითისთვის იხ. Mershon & Gorsuch, 1988).

დიდი ხუთეულის ფაქტორებია *გამოცდილებისადმი ღიაობა* (Openness), *პატიოსნება* (Conscientiousness), *ექსტრავერსია* (Extraversion), *თანხმობისათვის მზაობა* (Agreeableness) და *ნეიროტიციზმი* (Neuroticism)<sup>7</sup>. ნეიროტიციზმის ფაქტორს ზოგჯერ ემოციური სტაბილობის ფაქტორსაც უწოდებენ. გარკვეული უთანხმოება არსებობს გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ზოგჯერ „ინტელექტსაც“ უწოდებენ. თითოეული ფაქტორი უფრო კონკრეტული ნიშნების ნაკრებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან კორელირებენ. მაგალითად, ექსტრავერსია მოიცავს ისეთ ურთიერთდაკავშირებულ თვისებებს, როგორიცაა სოციაბილურობა, აგზნების ძიება, იმპულსურობა და

<sup>6</sup> აქ გამოყენებულია ის ქართული ეკვივალენტები, რომლებზეც მიღწეული იქნა შეთანხმება გერიგი-ზიმბარდოს წიგნის „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ თარგმნისას (იხ. გერიგი & ზიმბარდო ფ., 2009).

<sup>7</sup> OCEAN — დასამახსოვრებლად ადვილი აბრევიატურა (Pervin, L. A., 2003).

დადებითი ემოციები.

ხუთფაქტორიანი მოდელი პიროვნების წმინდად აღწერითი მოდელია. ფაქტორები შეიქმნა ნიშნების ტერმინთა კლასტერების სტატისტიკური ანალიზის შედეგად და არა — თეორიის საფუძველზე, რომელიც ამბობდა: „ეს არის ფაქტორები, რომლებიც უნდა არსებობდეს“, მაგრამ ხუთფაქტორიანი მოდელის მომხრე ფსიქოლოგებმა ამ თეორიული დასაბუთების ძიება დაიწყეს. მაგალითად, მათ სცადეს, ხუთი განზომილება ინტერაქციითა იმ თანმიმდევრულ ტიპებთან დაეკავშირებინათ, რომლებიც ადამიანებს ჰქონდათ ერთმანეთთან და გარე სამყაროსთან კავშირის ევოლუციის მანძილზე (გერიგი & ზიმბარდო ფ., 2009).

ხუთფაქტორიანი მოდელის ფარგლებში გამოიყოფა ორი მიმართულება: (ა) ლექსიკური მიმართულება, რომელიც ლექსიკონის ანალიზს ეყრდნობა და უფრო ადრეულ შტოს წარმოადგენს (ოლპორტი, აიზენკი, კეტელი) და (ბ) კითხვარების მიმართულება, რომელიც ნიშნების გამოსავლენად კითხვარს ეყრდნობა.

## ლექსიკური მიდგომა: ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზა

ბუნებრივ ენაში არსებულ პიროვნების დესკრიპტორთა კლასტერების გამოყოფის პირველი წყარო, როგორც უკვე ვიცით, „ლექსიკური მიდგომა“<sup>8</sup> იყო (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). დიდი ხუთეული ისე აიგო, რომ ის პიროვნული ნიშნები მოეცვა, რომლებსაც ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საკუთარ ცხოვრებაში. გოლდბერგმა ნათლად გამოთქვა რაციონალური მოსაზრება ამ მიდგომის სასარგებლოდ *ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზის*<sup>9</sup> სახით:

ინდივიდუალური განსხვავებების მრავალფეროვნება თითქმის უსასრულოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ განსხვავებათა დიდ ნაწილს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ადამიანის სხვა ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთქმედებებისთვის და პრაქტიკულად შეუმჩნეველი რჩება. სერ ფრენსის გალტონი შეიძლება ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ნათლად ჩამოაყალიბა ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზა და ივარაუდა, რომ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებების უმრავლესობა ადამიანების ურთიერთობებში ბოლოს და ბოლოს კოდირებული იქნება ცალკეული ტერმინებით მსოფლიოში არსებულ რამდენიმე ან ყველა ენაშიც კი (Goldberg, 1993, გვ. 12-16).

ამრიგად, გოლდბერგი ვარაუდობს, რომ დროთა განმავლობაში ადამიანები აღმოაჩენენ, რომ რომელიღაც ინდივიდუალური განსხვავებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი ურთიერთობებისთვის და მათთან მუშაობის გაიოლების მიზნით მოიგონებენ ტერმინოლოგიას. ნიშნების ამ განსაზღვრებებში მოცემულია ინფორმაცია ინდივიდუალური განსხვავებების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი საკუთარი ანდა ჩვენი ჯგუფის/თემის კეთილდღეობისთვის. ამგვარად, ისინი სასარგებლოა იმიტომ, რომ წინასწარმეტყველებისა და კონტროლის ფუნქციას ემსახურებიან — გვეხმარებიან, წინასწარ განვსაზღვროთ, რას გააკეთებენ სხვა ადამიანები და, აქედან გამომდინარე, გავაკონტროლოთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შედეგები (Chaplin et al., 1988, წყაროში Goldberg, 1993). ისინი გვეხმარებიან, პასუხი გავცეთ კითხვებს იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი მნიშვნელოვანი სიტუაციების ფართო სპექტრში.

თუ არსებობს უნივერსალური კითხვები ინდივიდუალური განსხვავებებისა და ადამიანური ურთიერთობების შესახებ, ლოგიკურია ველოდოთ, რომ მსოფლიოს ყველა ენაში მოიძებნება პიროვნების ნიშნების ერთი და იგივე ბაზისური პარამეტრები. არსებობს კი მტკიცებულება იმისა, რომ ეს ნამდვილად ასეა? სხვადასხვა კულტურასა და ენაში, როგორცაა გერმანული, იაპონური და ჩინური, წარმოებული კვლევების მიმოხილვა, როგორც ჩანს, ადასტურებს ფუნდამენტურ ლექსიკურ ჰიპოთეზას (Chaplin et al., 1988, წყაროში Goldberg, 1993). სხვა სიტყვებით, თანდათანობით ჩნდება სულ ახალი და ახალი საბუთები იმისა, რომ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ხუთფაქტორიანი მოდელის

<sup>8</sup> პიროვნებისადმი ლექსიკური მიდგომის დეტალური ისტორია მოცემულია ნაშრომებში De Raad (2000) და Saucier and Goldberd (2001).

<sup>9</sup> თუმცა, ეს იდეა პირველად სერ ფრენსის გალტონმა წამოაყენა.

შესაბამისად აგებენ პიროვნებას.

ლექსიკური მიდგომის ძირითადი წანამდღვრები შეჯამებულია ცხრილში 2.

### ცხრილი 2. ლექსიკური მიდგომის ძირითადი მომენტები.

1. პიროვნების სამეტყველო ენა ფენოტიპებს შეეხება და არა — გენოტიპებს.
2. მნიშვნელოვანი ფენოტიპური ატრიბუტი ბუნებრივ ენაში კოდირდება.
3. ატრიბუტის ენაში რეპრეზენტაციის ხარისხი, გარკვეულწილად, ამ ატრიბუტის ზოგად მნიშვნელოვნებას უკავშირდება.
4. ლექსიკური პოზიცია უჩვეულოდ ძლიერ რაციონალურ საფუძველს იძლევა პიროვნების კვლევაში ცვლადების შერჩევისთვის. ბუნებრივ სამეტყველო ენაში შემასმენლების ინტენსიური გამოყენება გამოკვეთილი ფსიქოლოგიური ფენომენის მძლავრი ინდიკატორია.
5. პიროვნების აღწერა და მნიშვნელოვანი განსხვავებების სამეტყველო ენაში დალექვა, უპირატესად, ზედსართავი სახელების მეშვეობით ხდება.
6. ფრაზებსა და წინადადებებში პიროვნების აღწერების სტრუქტურა მჭიდროდ უკავშირდება ცალკეულ სიტყვებზე დაფუძნებულ აღწერებს.
7. მეცნიერება პიროვნების შესახებ იმით განსხვავდება სხვა დისციპლინებისგან, რომ ლექსიკური მიდგომა განსაკუთრებით ერგება ამ მეცნიერულ კონტექსტს.
8. პიროვნების შესახებ დაგროვილ მსჯელობებში ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებები ინვარიანტული და უნივერსალური განზომილებებია — ისინი სხვადასხვა შერჩევაში, აღწერაში, ცვალებად ანალიტიკურ პროცედურასა და სხვადასხვა ენაში მეორდებიან.

წყარო: Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009.

## ფსიქომეტრული მიდგომა: კითხვარები

პიროვნული ნიშნების ხუთფაქტორიანი მოდელის ხუთი ფაქტორის დამადასტურებელი მონაცემების მოპოვების მეორე წყაროა (Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009) ისეთი კვლევები, რომლებშიც ერთმანეთს ადარებენ ორი ან მეტი კითხვარით ან პიროვნების მოდელით მიღებულ მონაცემებს, რომლებიც ერთი და იგივე შერჩევიდან<sup>10</sup> არის მიღებული. ორი ან მეტი კითხვარის შეჭიდული ფაქტორების ანალიზმა სიცხადე შეიტანა იმ გაურკვევლობაში, რომელიც თან ახლდა დიდი რაოდენობით ხელმისაწვდომი პიროვნული ნიშნების არსებობას. ხუთფაქტორიანი მოდელი საკმაოდ ამომწურავად ასახავს სხვადასხვა თეორიის საფუძველზე შექმნილ კითხვარებს შორის არსებულ ცვალებადობას (O'Connor, 2002, წყაროში Matthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C., 2009). ამ მიმართულებით წარმოებული უზარმაზარი მოცულობის კვლევის შეჯამების უმარტივესი გზა კოსტასა და მაკკრეის ხუთფაქტორიან მოდელზე მითითებაა, რომელიც კომპაქტურად არის წარმოდგენილი NEO-PI-R-ში<sup>11</sup>.

ეს მიმართულება დღესდღეობით უფრო პოპულარული გახდა. მისი წარმომადგენლები არიან განვითარების ფსიქოლოგები მაკკრეი და კოსტა (ბალტიმორის კვლევითი ცენტრი, აშშ). მათ 1970-იანი წლების ბოლოს შექმნეს კითხვარი NEO (Neuroticism, Extraversion, Openness), რომელიც 1980 წელს გამოქვეყნდა.

მაკკრეიმ და კოსტამ დიგმანი გერონტოლოგიის ცენტრში ლექციის წასაკითხად მიიწვიეს. სწორედ ამ კონფერენციაზე გაჩნდა იდეა, რომ NEO გამხდარიყო დიდი ხუთეულის საზომი. შესაბამისად, 1985 წელს შეიქმნა NEO-PI (Personality Inventory). თითოეულ ფაქტორში შედიოდა 6 ქვესკალა. 1992 გამოვიდა გადასინჯული კითხვარი NEO-PI-R. მაკკრეიმ და კოსტამ დიდი ხუთეული სტანდარტული პიროვნული კითხვარის სიბრტყეში გადაიტანეს. გარდა ამისა, ავტორებმა აჩვენეს, რომ ეს ხუთი ფაქტორი უნივერსალურია და არ არის მიბმული ინგლისურ ენაზე. დიდ ხუთეულს პიროვნების საკვლევ ნებისმიერ კითხვარში შეიძლება გავადევნოთ თვალი (მაგალითად, MMPI-2, CPI და ა. შ.).

<sup>10</sup> ჯგუფს შიდა დიზაინით.

<sup>11</sup> იხ. ქვემოთ.

## ცხრილი 3. გზა დიდ ხუთეულამდე.

წლები	მკვლევარი
„ლექსიკური ჰიპოთეზა“	სერ ფრენსის გალტონი
1936	გ. უ. ოლპორტი და ჰ. ს. ოდბერტი
1943 ... 16 PF-მდე	რაიმონდ ბ. კეტელი
1949	დონალდ უ. ფისკე
1957-1961	ე. ქ. ტუპესი და რ. ე. კრისტალი
1963	უორენ ტ. ნორმანი
1981, 1982 და ა.შ.	ლიუ რ. გოლდბერგი
1981, 1986	ჯონ დიგმანი
1985, 1992	პოლ ტ. კოსტა უმც. და რობერტ რ. „ჯეჯ“ მაკკრეი

დღესდღეობით არსებობს მოსაზრება,<sup>12</sup> რომ ხუთი ფაქტორი არ არის საკმარისი პიროვნების აღსაწერად და საჭიროა დიდი ექვსეულის ან დიდი შვიდეულის შემოტანა. 1990-იან წლებში ტელეგენის მიერ განხორციელებული კვლევები შვიდი ძირითადი განზომილების არსებობას ადასტურებს. ის არსებულ ხუთ ფაქტორს უმატებს კიდევ ორს, ესენია: Positive Valiancy და Negative Valiancy.

გზა, რომელიც გაიარა სხვადასხვა მკვლევარმა დღესდღეობით არსებული დიდი ხუთეულის ჩამოყალიბებამდე, მოკლედ არის მოცემული ცხრილში

3.

## ნიშნების დასახელებების ანალიზი ბუნებრივ ენასა და კითხვარებში

პიროვნების ხუთეფაქტორიანი მოდელი სამი ძირითადი წყაროთი დასტურდება: (1) ბუნებრივ ენაში არსებული დიდი რაოდენობით აღნიშნული ნიშნების ფაქტორული ანალიზით; (2) ერთი მხრივ, პიროვნების ნიშნების განმსაზღვრელი კითხვარებისა და, მეორე მხრივ, სხვა კითხვარებისა და გარემო დამკვირვებლების შეფასებებს შორის კავშირით; (3) პიროვნებაზე გენეტიკური (მემკვიდრეობითი) გავლენების ანალიზით (Digman, 1990).

პიროვნების ბაზისური ელემენტების შესწავლისადმი მიდგომის ერთ-ერთ გზას იმ სიტყვების ანალიზი წარმოადგენს, რომლებსაც პიროვნების აღწერისას ვიყენებთ. ასეთი კვლევის ძირითადი პროცედურა ის არის, რომ ინდივიდები აფასებენ საკუთარ თავს ან სხვებს სხვადასხვაგვარი ნიშნის მიხედვით, რომლებიც სკრუპულოზურად ირჩევა ლექსიკონიდან. მიღებული შეფასებები ექვემდებარება ფაქტორულ ანალიზს, რათა გაირკვეს, თუ რომელი ნიშნები იცვლება ერთად. მსგავსი ხუთეფაქტორიანი შედეგები მიიღებოდა სხვადასხვა მეცნიერის მიერ წარმოებულ სხვადასხვა კვლევაში, რომელშიც სხვადასხვა წყაროდან იკრიბებოდა ინფორმაცია სხვადასხვა შერჩევაში და გაზომვის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. გარდა ამისა, ნაჩვენებია იქნა, რომ ხუთივე ფაქტორი საკმაოდ სანდო და ვალიდურია და შედარებით სტაბილურად ნარჩუნდება მოზრდილი ადამიანის ცხოვრების მანძილზე (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1989).

1981 წელს გოლდბერგმა საკუთარი კვლევების შედეგებთან ერთად სხვათა ნაშრომებიც გააანალიზა. შედეგების თანხვედრით გაცხადებულმა ივარაუდა, რომ ინდივიდუალური განსხვავებების კონსტრუირებული ნებისმიერი მოდელი ასე თუ ისე, გარკვეულ დონეზე პარამეტრების „დიდ ხუთეულამდე“ დაიყვანება. დიდი ხუთეულის ფაქტორები პრაქტიკულად ისეთივე ფართო და აბსტრაქტულია, როგორც აიზენკის „სუპერფაქტორები“ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

დიდი ხუთეულის ფაქტორების მოკლე აღწერა მოცემულია ცხრილში 4. აქვე მოცემულია იმ ზედსართავი სახელების ჩამონათვალი, რომლებიც თითოეული ფაქტორის მიხედვით მაღალი და დაბალი ქულების მქონე ინდივიდებს აღწერენ. ნეიროტიციზმი (*N*) ემოციურ სტაბილურობას უპირისპირებს უარყოფითი ემოციების ფართო სპექტრს, მათ შორის შფოთვის, სევდას, გაღიზიანებადობასა და ნერვულ დამაბულობას. გამოცდილებისადმი ღიაობა (*O*) ადამიანის აზრებისა და განცდების სიფართოვეს, სიღრმესა და სირთულეს აღნიშნავს. ექსტრავერსია (*E*) და თანხმობისადმი მზაობა (*A*) პიროვნებათმორის ნიშნებს აჯამებენ, ანუ განსაზღვრავენ, თუ რას აკეთებენ ადამიანები ერთმანეთთან და ერთმანეთისთვის. და ბოლო პარამეტრი — პატიოსნება (*C*) უპირატესად აღწერს მიზანმიმართულ და ამოცანაზე ორიენტირებულ ქცევას და ადამიანის სოციალურად მოთხოვნილ კონტროლს საკუთარ იმპულსებზე.

ცხრილში 4 მოცემული განსაზღვრებები კოსტასა და მაკკრეის (1989) შრომებს ეყრდნობა. სხვა

<sup>12</sup> David Watson, პირადი კომუნიკაცია, 2008.

მკვლევარების მიერ შემოთავაზებული განსაზღვრებები საკმაოდ ახლოს დგას ცხრილში მოცემულ ვარიანტებთან. მაგალითად, გოლდბერგმა (1992) შემოგვთავაზა „გამჭოლი ბიპოლარული ჩამონათვალი“, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ინდივიდებმა, რათა სწრაფად შეაფასონ საკუთარი თავი დიდი ხუთეულის ფაქტორების მიხედვით. ამ ჩამონათვალის შემოკლებული ვარიანტი წარმოდგენილია ცხრილში 5. მოცემული დავალების შესრულებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ინსტრუქცია.

**ცხრილი 4. დიდი ხუთეულის შემადგენელი ფაქტორები და მათში შემავალი სკალები.**

მოცემული ფაქტორის მიხედვით მაღალი ქულის მქონეთა დახასიათება	ფაქტორში შემავალი ნიშნების აღწერა	მოცემული ფაქტორის მიხედვით დაბალი ქულის მქონეთა დახასიათება
მშფოთვარე, ნევროტული, ემოციური, დაურწმუნებელი, არაადეკვატური, იპოქონდრიული.	<b>ნეიროტიციზმი (Neuroticism)</b> ზომავს ადაპტირებადობას ანდა ემოციურ სტაბილურობას. ახდენს იმ ინდივიდების იდენტიფიცირებას, რომლებიც მიდრეკილნი არიან უსიამოვნო განცდებისკენ (დისტრესისკენ), მოჭარბებული ვნებებისკენ და სწრაფვებისკენ. რეალობისგან მოწყვეტილი იდეებისკენ და რეალობაზე არაადეკვატური რეაქციებისკენ.	მშვიდი, მოშვებული, არაემოციური, გამძლე, დარწმუნებული, საკუთარი თავით კმაყოფილი.
ლაპარაკის მოყვარული, აქტიური, ენაწყლიანი, ადამიანებზე ორიენტირებული, ოპტიმისტური, მხიარულების მოყვარული, ალერსიანი.	<b>ექსტრავერსია (Extraversion)</b> ზომავს პიროვნებათშორისი ურთიერთქმედებების დიაპაზონსა და ინტენსივობას; აქტივობის დონეს; გარეგანი სტიმულაციის მოთხოვნილებას; სიცოცხლით ტკბობის უნარს.	თავშეკავებული, სადად მოაზროვნე, არაცხოვრების მოყვარული, გარიყული, საქმეზე ორიენტირებული, ჩუმი, შეუმჩნეველი კომპანიონი.
ცნობისმოყვარე, ფართო ინტერესების მქონე, შემოქმედებითი, ორიგინალური, არატრადიციული, მდიდარი ფანტაზიის მქონე.	<b>გამოცდილებისადმი ღიაობა (Openness)</b> ზომავს ახალი გამოცდილების აქტიურ ძიებასა და მის დამოუკიდებელ ღირებულებად აღიარებას; უცხოადადმი, უცნაურისადმი მომთმენობასა და მისადმი კვლევით ინტერესს.	პირობითობებით შებოჭილი, მყარად დგას მიწაზე, შეზღუდული ინტერესების მქონე, არ აქვს არც მხატვრული და არც ანალიტიკური გონება.
გულკეთილი, კეთილგანწყობილი, მიმნდობი, დამთმობი, სულგრძელი, იოლად იჯერებს, პირდაპირი.	<b>თანხმობისადმი მზაობა (Agreeableness)</b> ზომავს ადამიანის სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების მთელი კონტინუუმის ხარისხს, თანაგრძნობიდან დაწყებული აზრებში, გრძნობებში და ქმედებებში მტრული დამოკიდებულებით დამთავრებული.	ცინიკური, უხეში, იჭვნეული, არათანამშრომლობითი, სამაგიეროს გადამხდელი, დაუნდობელი, გაღიზიანებადი, სხვებით მანიპულირებს.
ორგანიზებული, სანდო, გულმოდგინე, თვითდისციპლინირებული, პუნქტუალური, პედანტური, მოწესრიგებული, პატივმოყვარე, დაბეჯითებული.	<b>პატიოსნება (Conscientiousness)</b> ზომავს მიზანმიმართული ქცევის განხორციელებისას ინდივიდის ორგანიზებულობის, დაბეჯითებულობისა და მოტივირებულობის ხარისხს. ერთმანეთს უპირისპირებს, ერთი მხრივ, სანდო და მომთხოვნ და, მეორე მხრივ, აპათიურ და საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების მქონე ადამიანებს.	არამიზანდასახული, არასანდო, ზარმაცი, უდარდელი, ფეთხუმი, მოუწესრიგებელი, სუსტი ნებისყოფის მქონე, განცხრომის მოყვარული.

წყარო: Costa & McCrae, 1985, p. 2

როგორი შედეგები მიიღეთ? არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ჩამონათვალია და არა — ნამდვილი ტესტი. ეს სავარჯიშო უფროა, რომელიც დიდი ხუთეულის პარამეტრებს გაცნობთ და მათი საკუთარ თავზე მორგების საშუალებას გაძლევთ. თუ დიდი ხუთეულის მიხედვით თქვენი შეფასებების მიღება გასურთ, დათვალეთ თითოეულ ფაქტორზე მიღებული ქულა — უბრალოდ შეაჯამეთ თითო ფაქტორზე შემოხაზული ხუთი

ციფრი და გაყავით ხუთზე (ანუ გამოთვალეთ საშუალო არითმეტიკული). რომელ ფაქტორზე მიიღეთ ყველაზე მაღალი ქულა? ყველაზე დაბალი? რამდენად შეესაბამება ეს ხუთი შეფასება იმას, რისი მიღების მოლოდინიც გქონდათ? თუ აღმოაჩინეთ, რომ მოულოდნელი განსვლაა საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენასა და მიღებულ ქულებს შორის?

**ცხრილი 5. გოლდბერგის ბიპოლარული ჩამონათვალი.**

**ინსტრუქცია:** შეეცადეთ, რამდენადაც შეგიძლიათ, ზუსტად აღწეროთ საკუთარი თავი ისე, როგორც მოცემულ მომენტში ხედავთ საკუთარ თავს და არა ისე, როგორც გსურთ, რომ იყოთ მომავალში. აღწერეთ, როგორი ხართ საერთო ჯამში, ტიპურ სიტუაციებში, თქვენს სქესისა და დაახლოებით თქვენივე ასაკის სხვა ნაცნობებთან შედარებით. თითოეულ მოცემულ სკალაზე შემოხაზეთ ის ციფრი, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს თქვენს მოცემულ თვისებას.

	ძალიან	ზომიერად	არც ერთი, არც მეორე	ზომიერად	ძალიან		
<b>ინტროვერსია – ექსტრავერსია</b>							
მდუმარე	1	2	3	4	5	6 7 8 9 ლაპარაკის მოყვარული	
არამიმწოლი	1	2	3	4	5	6 7 8 9 მიმწოლი	
არ უყვარს თავგადასავლები	1	2	3	4	5	6 7 8 9 თავგადასავლების მოყვარული	
არაენერგიული	1	2	3	4	5	6 7 8 9 ენერგიული	
მორიდებული	1	2	3	4	5	6 7 8 9 უხემი	
<b>ანტაგონიზმი – თანხმობისადმი მზაობა</b>							
არაკეთილი	1	2	3	4	5	6 7 8 9 კეთილი	
არათანამშრომლობითი	1	2	3	4	5	6 7 8 9 თანამშრომლობითი	
ეგოისტური	1	2	3	4	5	6 7 8 9 არაეგოისტური	
უნდობელი	1	2	3	4	5	6 7 8 9 მიმნდობი	
ხარბი	1	2	3	4	5	6 7 8 9 გულუხვი	
<b>გაფანტულობა – პატიოსნება</b>							
არაორგანიზებული	1	2	3	4	5	6 7 8 9 ორგანიზებული	
უპასუხისმგებლო	1	2	3	4	5	6 7 8 9 პასუხისმგებლიანი	
არაპრაქტიკული	1	2	3	4	5	6 7 8 9 პრაქტიკული	
ფეთხუმი	1	2	3	4	5	6 7 8 9 მოწესრიგებული	
ზარმაცი	1	2	3	4	5	6 7 8 9 გულმოდგინე	
<b>ემციური სტაბილობა – ნეიროტიციზმი</b>							
მოდუნებული	1	2	3	4	5	6 7 8 9 დამაბული	
ყველაფერს იოლად იღებს	1	2	3	4	5	6 7 8 9 ნევროტული	
სტაბილური	1	2	3	4	5	6 7 8 9 არასტაბილური	
კმაყოფილი	1	2	3	4	5	6 7 8 9 უკმაყოფილო	
არაემოციური	1	2	3	4	5	6 7 8 9 ემოციური	
<b>დახურულობა – გამოცდილებისადმი ღიაობა</b>							
არამიდრეკილი							მდიდარი წარმოსახვის
წარმოსახვისკენ	1	2	3	4	5	6 7 8 9	მქონე
არაშემოქმედებითი	1	2	3	4	5	6 7 8 9	შემოქმედებითი
არაცნობისმოყვარე	1	2	3	4	5	6 7 8 9	ცნობისმოყვარე
არამიდრეკილი განსჯისკენ	1	2	3	4	5	6 7 8 9	განსჯისკენ მიდრეკილი
გამოუცდეელი	1	2	3	4	5	6 7 8 9	გამოცდილი

წყარო: Goldberg, 1993.

## რობერტ მაკკრეი და პოლ კოსტა: პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (McCrae R. R., Costa, P. T., 2003) თეორიები ხშირად მათემატიკური კანონების სახით არის ფორმულირებული და საკმაოდ კონკრეტული პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევიან. სოციალურ მეცნიერებებში ასეთი სიზუსტე იშვიათად შეიმჩნევა და, კერძოდ, პიროვნების ფსიქოლოგიაში თეორიები სულ სხვა ფუნქციას ემსახურებიან. პიროვნების თეორია იმის ახსნის გზაა, თუ



რობერტ მაკკრეი



პოლ კოსტა

როგორები არიან ადამიანები და როგორ მოქმედებენ ისინი. კარგი თეორია დაკვირვებათა ფართო დიაპაზონის ახსნის საშუალებას იძლევა და მკვლევრებს შემდგომი კვლევა-ძიების სწორ მიმართულებას უსახავს. ფროიდისეული თეორია მკვლევრებს სიზმრების შესწავლაზე მიუთითებდა, მაგრამ ათწლეულების მანძილზე წარმოებულმა კვლევამ ძალიან მწირი მტკიცებულების მოპოვება თუ შეძლო ამ მიმართულებით (Domhoff, 1999, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003). ნიშნების თეორიამ მკვლევრებს აზროვნების, გრძნობისა და მოქმედების ზოგადი სტილებისკენ მიუთითა და

შედეგად ათასობით საინტერესო და სასარგებლო შედეგი იქნა მიღებული. სწორედ ამიტომ ანიჭებენ პიროვნების ფსიქოლოგები უპირატესობას ნიშნების თეორიას და არა — ფსიქანალიზს.

იმის თქმა, რომ მდგრადი და თანმიმდევრული პიროვნული განსხვავებები არსებობს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), ბევრს ვერაფერს გვიპასუხებს ისეთ კითხვებზე, როგორცაა: რა არის ეს ნიშნები? საიდან მოდიან? როგორ ზემოქმედებენ ქცევაზე? როგორ შეიძლება მათი შეფასება? რა თქმა უნდა, ამ კითხვებზე ბევრი პასუხი არსებობს და თითოეული მათგანი ნიშნების თეორიის კონკრეტულ ვერსიას შეესატყვისება. ფაქტობრივად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რასაც ჩვენ ნიშნების თეორიას ვუწოდებთ, თეორიათა მთელი კლასია, რომელთაგან ზოგიერთი მეტად უახლოვდება ჭეშმარიტებას, ვიდრე სხვები.

და მაინც, რომც გვექნდეს პასუხი ყველა ამ კითხვაზე, მაინც ვერ გვექნება პიროვნების სრული თეორია, ვინაიდან ადამიანის პიროვნება გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ნიშნები. ეს შეიძლება იყოს ეგოს ფუნქციები, რომელიც დაკავებულია კონფლიქტების მოგვარებით, გეგმების დაწყობით და ინდივიდის ყველა მოთხოვნილებისა და ტენდენციის ინტეგრირებით სოციალური შეზღუდვების პირობებში. ვისაც ერთხელ მაინც წაკვირდებით პიროვნების თეორიების მიმოხილვა, ნიშნებისგან განსხვავებული მრავალი სხვა რამ შეგიძლიათ დაასახელოთ, როგორც არის, მაგალითად, დამოკიდებულებები, როლები, იდენტობები, მე-კონცეფცია, მორალური განვითარება და ა. შ. საკმარისად სრული პიროვნების თეორია რაღაცას მაინც უნდა ამბობდეს ამ ყველაფრის შესახებ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## თეორიის დაზადება

პიროვნების მრავალი თეორია კლინიკური ფენომენის ახსნის მცდელობის შედეგად ჩამოყალიბდა, როგორც არის, მაგალითად ისტერიის შემთხვევა (Breuer & Freud, 1895/1955), ან შეგუების სიმწელებები (Rogers, 1951, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003). მათ ხშირად „სავარძლის თეორიებს“ უწოდებენ, ვინაიდან არაფორმალური დაკვირვებებისა და აზროვნების პროდუქტს წარმოადგენენ და არა — მეცნიერული გაზომვისა და ექსპერიმენტირების. ამაში არაფერია ცუდი. ფაქტობრივად, ასეთი არაფორმალური დაკვირვებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერების განვითარების ადრეულ სტადიებზე, როდესაც ჯერ კიდევ არ არის კარგად გამოკვეთილი, თუ რა უნდა გაიზომოს, მაგრამ პიროვნების ფსიქოლოგია საკმაოდ დიდხანს შეჩერდა ამ ეტაპზე და თანამედროვე თეორეტიკოსები, საბოლოო ჯამში, ფაქტების დადგენით დაკავდნენ. მაკკრეიმ და კოსტამ დიდი რაოდენობით ინფორმაცია მოიპოვეს კვლევებით ნიშნების ფუნქციონირების შესახებ და თავიანთი საკუთარი თეორია დააფუძნეს (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997).



პირველი, რასთან გამკლავებაც მოუწიათ ავტორებს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), პიროვნების ნიშნების დროის ხანგრძლივ პერიოდებში სტაბილობა იყო. მათი მტკიცება, რომ პიროვნება დროში სტაბილურია, უნდობლობით იქნა მიღებული: როგორ შეიძლება, რომ პიროვნება უცვლელი რჩებოდეს, როდესაც ცხოვრება ახალი გამოცდილებების, ურთიერთობების, ახალი შესაძლებლობებისა და შეზღუდვების უწყვეტი ნაკადია? თანდათანობით ცხადი გახდა, რომ ეს ავტორები ტერმინს *პიროვნება* სხვებისგან განსხვავებულად იყენებდნენ და ნიშნები (მათი კვლევის ძირითადი სამიზნე) მკვეთრად განსხვავდებოდნენ ურთიერთობებისგან, ჩვევებისგან, მე-ს ხატისგან და ა. შ. რაღაც მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიცვალოს და რაღაც შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ ეს ორი რაღაც განსხვავებულია ერთმანეთისგან.

უცნაურია, რომ ეს ინსაიტი არა ერთი, არამედ პიროვნების ორი ახალი თეორიის საფუძველი გახდა (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), რომელიც 1992 წელს ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის ერთდღიან სიმპოზიუმზე იქნა წარდგენილი სექციაში „შეუძლია თუ არა პიროვნებას შეცვლა?“ ერთი თეორია დენ მაკადამს ეკუთვნის, რომელიც პიროვნების განხილვის სამ დონეს გვთავაზობს (McAdams, D. P., 2006) და ეს დონეებია დისპოზიციური ნიშნები, დამახასიათებელი ადაპტაციები ანუ პიროვნული საფიქრალეები და ცხოვრების ნარატივები. მას მიაჩნია, რომ ნიშნები დიდწილად სტაბილურია, მაგრამ იმასაც მიუთითებს, რომ დამახასიათებელი ადაპტაციები (მიმდინარე მიზნები, გეგმები, საფიქრალეები და ა. შ.) და ცხოვრების ნარატივები (ადამიანების თვითგამოხატვა ცხოვრებისეული ისტორიის სახით) იცვლება სიტუაციის და იმის მიხედვით, თუ ცხოვრების გზაზე სად არის ადამიანი.<sup>13</sup>

კოსტამ და მაკკრეიმ გაცილებით ამბიციური მოდელი წარადგინეს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), რომელიც, ასევე, განსხვავებს ერთმანეთისგან პიროვნების უცვლელ და ცვალებად მდგენელებს. ისინი ამ მდგენელებს მაკადამსის ცალკეული დონეების ანალოგიურად კი არ განიხილავენ, არამედ *პიროვნების სისტემის* ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებად.<sup>14</sup> ისინი თეორიას პოსტულატების სახით აყალიბებენ, რომელშიც ამ კომპონენტების მოქმედებასა და ერთმანეთთან მიმართებას აღწერენ. მთელ კონსტრუქციას ავტორებმა პიროვნების *ხუთფაქტორიანი თეორია* უწოდეს, ვინაიდან ის ხუთფაქტორიანი მოდელის კვლევით მიღებულ ყველა მონაცემს ეფუძნება. მოდელის შექმნას ნიშნების სტაბილობის აღმოჩენამ მისცა დასაბამი, თუმცა, ის გაცილებით მეტის ასახსნელად არის მოწოდებული.

## ხუთფაქტორიანი თეორია

მაკკრეისა და კოსტას ნიშნის თეორია პიროვნებისა და დაბერების განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევის კონტექსტში ჩაისახა (Wiggins J. S., and Trapnell, P. D., 1997). დისპოზიციურ ფსიქოლოგიაში არსებული სხვა თეორიების მსგავსად, მათი თეორიაც დიდ აქცენტს აკეთებს ნიშნის ცნებაზე. მათ მიერ ნიშნის გაგება ოლპორტისა და მარეისეულ ხედვას უფრო უახლოვდება, ვიდრე კეტელის პოზიციას. ისინი თვლიან, რომ რაც მეტად აქვთ ადამიანებს ესა თუ ის ნიშანი, მით მეტად არის მოსალოდნელი, რომ ისინი ხშირად ვნახოთ ქცევაში.

მაკკრეი და კოსტა (1989) თვლიან, რომ ინდივიდუალური განსხვავებების ნიშნების თეორია პიროვნების ფსიქოანალიტური, ბიჰევიორისტული და ჰუმანისტური თეორიების ლეგიტიმურ და პოტენციურად ამომწურავ ალტერნატივას წარმოადგენს და არ არის მათი დანამატი ან თანმხლები სისტემა.

## პიროვნების სისტემის კომპონენტები

სურათზე NI წარმოდგენილია პიროვნების სისტემის კომპონენტები ხუთფაქტორიანი თეორიის მიხედვით (McCrae R. R., Costa, P. T., 2003). სამი ოთკუთხედი ცენტრალურ კომპონენტებს მოიცავს, სამი

<sup>13</sup> ამ მიდგომის შესახებ მოგვიანებით დეტალურად ვისაუბრებთ.

<sup>14</sup> ამავე დროს მეიერმა (Mayer, 1995) შექმნა სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული პიროვნების მოდელი; ასევე, მისგან დამოუკიდებლად მიშელმა და შოდამ (1995) მსგავსი სისტემური მოდელი შემოგვთავაზეს.


ელიფსი — პერიფერიულ კომპონენტებს, რომლებიც თავად პიროვნების გარეთ მყოფ სისტემებს ახასიათებენ. ბიოლოგიური საფუძველი და გარეგანი გავლენები შემავალი სტიმულაციაა (Input), რომლებიც წარმოადგენენ პიროვნების ურთიერთქმედებას ფიზიკურ სხეულთან და გარემოსთან. ობიექტური ბიოგრაფია შედეგია (output): ეს არის ყველაფერი ის, რასაც პიროვნება აკეთებს, ფიქრობს, ან გრძნობს მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს, ცხადია, განსხვავდება ცხოვრებისეული ნარატივისგან, რაც, თავის მხრივ სუბიექტურ ბიოგრაფიას წარმოადგენს და შეიძლება არაანმიმდევრული და უკიდურესად შერჩევითი იყოს.

მაკკრეი და კოსტა (2003) სამ ცენტრალურ/ძირითად კომპონენტს ბაზისურ ტენდენციებს, დამახასიათებელ ადაპტაციებსა და მე-კონცეფციას უწოდებენ. როგორც სურათი N1 გვიჩვენებს, მე-კონცეფცია, ფაქტობრივად, დამახასიათებელი ადაპტაციაა, მაგრამ იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია ფსიქოლოგებისთვის, რომ მას ცალკეული კომპონენტის სტატუსი მიენიჭა. მოდელის ბირთვს ბაზისურ ტენდენციებსა და დამახასიათებელ ადაპტაციებს შორის განსხვავება ქმნის; უფრო ზუსტად, ის, რომ გვჭირდება პიროვნების სტაბილობის ახსნა.

ბაზისური ტენდენციები ინდივიდის აბსტრაქტული შესაძლებლობები და ტენდენციებია, ხოლო დამახასიათებელი ადაპტაციები — კონკრეტული შემენილი სტურუქტურები, რომლებიც ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების პროცესში ვითარდება. ამგვარად, ტენდენციები შეიძლება სტაბილური იყოს, ხოლო დამახასიათებელი ადაპტაციები — იცვლებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთფაქტორიანი თეორია (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), ძირითადად, პიროვნულ ნიშნებზე ფოკუსირდება, ბაზისური ტენდენციები მოიცავენ კოგნიტურ უნარებს, შემოქმედებით ნიჭს, სექსუალურ ორიენტაციას და მთელ იმ ფსიქოლოგიურ აღჭურვილობას, რომელიც საფუძვლად უდევს დასწავლას, აღქმასა და სხვა ფსიქოლოგიურ ფუნქციებს. მაგალითად, ენის სწავლის შესაძლებლობა ბაზისური ტენდენციაა, რომელიც ყველა ახალშობილ ადამიანს აქვს, მაგრამ ფრანგულის ან პორტუგალიურის ცოდნა არ არის ბაზისური ტენდენცია მაშინაც კი, თუ ამ ენის შესატყვის კულტურაში

სურ. N1. პიროვნების სისტემის კომპონენტები ხუთფაქტორიანი თეორიის მიხედვით. ოთკუთხედები ბაზისურ კომპონენტებს წარმოადგენენ, ელიფსები - პერიფერიულ კომპონენტებს (ადაპტირებულია McCrae and Costa, 1996).



დაიბადეთ. ეს დამახასიათებელი ადაპტაციაა. ყველა დასწავლილი უნარი დამახასიათებელი ადაპტაციაა, როგორც არის, მაგალითად, ადათ-ჩვევები, ინტერესები, დამოკიდებულებები, რწმენები და როლებისა და ურთიერთობების ინტერნალიზებული ფსიქოლოგიური ასპექტები. ზოგიერთი დამახასიათებელი ადაპტაცია, მაგალითად ენა, უჩვეულოდ ხანგრძლივია, ზოგიერთი კი, მაგალითად, მაკადამისიული პიროვნული საფიქრალეები — გაცილებით ხანმოკლე და წარმავალი.

მართალია, ბასიზისურ ტენდენციებსა და დამახასიათებელ ადაპტაციებს შორის განსხვავებას, ტრადიციულად, არ გამოყოფენ პიროვნების ფსიქოლოგიაში, ის არ არის განსაკუთრებით წინააღმდეგობრივი; თუმცა, ავტორები ამტკიცებენ, რომ პიროვნული ნიშნები ბასიზისური ტენდენციებია და არა — დამახასიათებელი ადაპტაციები. მრავალი თეორეტიკოსი თვლის ან გულისხმობს, რომ ნიშნები შემქნილია ისევე, როგორც მრავალი ფართო და განზოგადებული ჩვევა.<sup>15</sup>

ეს მოდელი კიდევ ერთ კომპონენტს მოიცავს და ეს არის *დინამიკური პროცესები*, რომლებიც არეგულირებენ სურათზე NI გამოსახულ კომპონენტებს შორის ურთიერთქმედებას. ამ პროცესების რიცხვს მიეკუთვნება აღქმა, დაძლევა, როლის შესრულება, მსჯელობა, ხანგრძლივი დაგეგმვა, თუმცა, მოდელი ნაკლებად საუბრობს მათზე და მის შესწავლას ისეთი დარგების წარმომადგენლებს უთმობს, როგორც არის კოგნიცია, ნეიროფსიქოლოგია და დამოკიდებულებების ცვლილებები (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## ხუთფაქტორიანი თეორიის პოსტულატები: როგორ მუშაობს სისტემა

ცხრილში 6 მოცემულია ხუთფაქტორიანი თეორიის პოსტულატები იმ სახით, როგორც ჩამოაყალიბეს ავტორებმა 1996 წელს.

### ცხრილი 6. ხუთფაქტორიანი თეორიის პოსტულატები.

N	პოსტულატები
1.	<p><b>ბასიზისური ტენდენციები</b></p> <p>1ა. <b>ინდივიდუალობა.</b> ყველა მოზრდილი შეიძლება დახასიათდეს მათი განსხვავებული მდგომარეობით პიროვნული ნიშნების ჭრილში, რომლებიც გავლენას ახდენენ აზროვნების, გრძნობებისა და ქცევების პატერნებზე.</p> <p>1ბ. <b>წყაროები.</b> პიროვნული ნიშნები ენდოგენური ბასიზისური ტენდენციებია.</p> <p>1გ. <b>განვითარება.</b> ნიშნები ბავშვობის პერიოდში ვითარდება და სიმწიფეს მოზრდილობაში აღწევს; ამის შემდეგ სტაბილურია კოგნიტურად ჯანმრთელ ადამიანებში.</p> <p>1დ. <b>სტრუქტურა.</b> ნიშნები იერარქიულად არიან ორგანიზებულნი, ვიწრო სპეციფიკურიდან ფართო და ზოგად დისპოზიციებამდე. ნევროტიზმი, ექსტრავერსია, გამოცდილებისადმი ღიაობა, თანხმობისადმი მზაობა და პატიოსნება იერარქიის უმაღლეს დონეს ქმნიან.</p>
2.	<p><b>დამახასიათებელი ადაპტაციები</b></p> <p>2ა. <b>ადაპტაცია.</b> დროთა განმავლობაში ინდივიდები რეაგირებენ თავიანთ გარემოზე აზროვნების, გრძნობისა და ქცევის გარკვეული პატერნების განვითარებით, რომლებიც შეესატყვისება მათ პიროვნულ ნიშნებსა და ადრეულ ადაპტაციებს.</p> <p>2ბ. <b>არაადაპტურობა.</b> დროის ნებისმიერ მომენტში ადაპტაციები შეიძლება არ იყოს ოპტიმალური, კულტურული ღირებულებების ან პიროვნული მიზნების თვალსაზრისით.</p> <p>2გ. <b>პლასტიურობა.</b> დამახასიათებელი ადაპტაციები იცვლებიან დროთა განმავლობაში ბიოლოგიური მომწიფების, გარემოს ცვლილებების, ან მიზანმიმართული ჩარევის საპასუხოდ.</p>
3.	<p><b>ობიექტური ბიოგრაფია</b></p> <p>3ა. <b>მრავალჯერადი დეტერმინაცია.</b> მოქმედებები და გამოცდილება დროის ნებისმიერ მომენტში ყველა იმ</p>

<sup>15</sup> მაგალითად, ზოგიერთი ავტორი (მაგალითისთვის იხ. Cloninger, Przybeck, Svrakic, and Welzel, 1994) ერთმანეთისგან განასხვავებს ტემპერამენტსა და ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტემპერამენტის ნიშნებს შეიძლება ბასიზისური ტენდენციების კატეგორიას მიაკუთვნებენ, ისინი, სავარაუდოდ, ხასიათის ნიშნებს დამახასიათებელ ადაპტაციებს მიაკუთვნებენ. ფაქტობრივად, როგორც ჩანს, ძნელია ტემპერამენტული და ხასიათის ნიშნების ერთმანეთისგან გამიჯვნა. რივე ბასიზისური ტენდენციების მსგავსად მოქმედებენ (მაგალითისთვის იხ. McCrae & Costa, 2000).

დამახასიათებელი ადაპტაციის რთული ფუნქციებია, რომლებსაც გარემო აღძრავს.

3ბ. **ცხოვრების გზა.** ინდივიდებს აქვთ გეგმები, განრიგები და მიზნები, რომლებიც საშუალებას აძლევთ, რომ მოქმედება დროის ხანგრძლივ ინტერვალზე დაგეგმონ და მოაწესრიგონ ისე, რომ მათი პიროვნული ნიშნების შესატყვისი, კონსისტენტური იყოს.

#### 4. მე-კონცეფცია

4ა. **მე-სქემა.** ინდივიდები ინარჩუნებენ კოგნიტიურ-აფექტურ თვალსაზრისს საკუთარი თავის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია ცნობიერებისთვის.

4ბ. **შერჩევითი აღქმა.** ინფორმაცია შერჩევითად არის წარმოდგენილი მე-კონცეფციაში ისე, რომ (ა) შეესატყვისებთან პიროვნულ ნიშნებს და (ბ) ინდივიდს მთლიანობისა და თანმიმდევრულობის განცდას აძლევენ.

#### 5. გარეგანი გავლენები

5ა. **ინტერაქცია.** სოციალური და ფიზიკური გარემო ურთიერთქმედებს პიროვნულ დისპოზიციებთან, აყალიბებენ დამახასიათებელ ადაპტაციებს და ამ ადაპტაციებთან ერთად არეგულირებენ ქცევის ნაკადს.

5ბ. **შეფასება.** ინდივიდები საკუთარ გარემოს ეპყრობიან და აგებენ ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს მათ პიროვნულ ნიშნებს.

5გ. **რეცეპროკულობა.** ინდივიდები შერჩევითად ზემოქმედებენ გარემოზე, რომელზეც ისინი რეაგირებენ.

#### 6. დინამიკური პროცესები

6ა. **უნივერსალური დინამიკა.** ინდივიდის მიმდინარე ფუნქციონირება ადაპტაციების შექმნისას და მათი გამოხატვისას აზრებში, გრძნობებსა და ქცევებში, რომელიც უნივერსალური კოგნიტიური, აგექტური და ნებელობითი მექანიზმების რეგულირდება.

6ბ. **დიფერენციალური დინამიკა.** ზოგიერთ დინამიკურ პროცესზე განსხვავებულად ზემოქმედებენ ინდივიდის ბაზისური ტენდენციები, მათ შორის, პიროვნული ნიშნები.


წყარო: ადაპტირებულია McCrae and Costa, 1996, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003.

ავტორები აღნიშნავენ, რომ წყაროების, განვითარების, ადაპტაციისა და ინტერაქციის პოსტულატები ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადია პიროვნების შესახებ პოსტულატების გასაგებად. მათი უკეთ გასაგებად სასარგებლო იქნება, თუ სურ. N1-ზე მოცემულ სქემას დროის განზომილებას დავამატებთ და ისე წარმოვადგინოთ (იხ. სურ. N2). ეს საშუალებას მოგვცემს, ნათლად დავინახოთ, თუ რა ხდება დროის ნებისმიერ მოცემულ მომენტში. სხვა სიტყვებით, ვნახოთ, როგორ ვითარდება ინდივიდი დროში და მთელი ცხოვრების განმავლობაში. სქემაზე მოცემული ისრები გავლენების მიმართულებას გვიჩვენებენ და (დაუკონკრეტებელი) დინამიკური პროცესების მოქმედებას ასახავენ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

დავიწყოთ ბოლოდან (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), შედეგიდან ანუ ობიექტური ბიოგრაფიიდან. ის იმ ყველა აკუმულირებული აქტივობისგან შედგება, რასაც ინდივიდი აკეთებს და რაც გამოცდილებაში აქვს. ის, რასაც ინდივიდი აკეთებს დროის ნებისმიერ მომენტში, რა თქმა უნდა, არის ქცევა — ფენომენი, რომელიც მრავალი ფსიქოლოგის რწმენით, უნდა აიხსნას. ცნობილია კურტ ლევინის<sup>16</sup> გამონათქვამი, რომ ქცევა პიროვნებისა და გარემოს ფუნქციაა ( $B = f(P, E)$ ), თუმცა, ხუთფაქტორიანი მოდელი ოდნავ სხვაგვარად ხედავს მას. მაკრეისა და კოსტას სურ. N2-ზე მოცემული დიაგრამის მიხედვით, ქცევა დამახასიათებელი ადაპტაციებისა და გარეგანი გავლენების ურთიერთქმედების შედეგად აღმოცენდება:  $B = f(CA, EI)$ . მაგალითად, გვანცას შეიძლება „ტრავიატას“ ბილეთები შესთავაზონ (გარეგანი გავლენა), მაგრამ ის დიდი ხანია ვერ იტანს კლასიკურ მუსიკას (დამახასიათებელი ადაპტაცია), ამიტომ უარს იტყვის შეთავაზებაზე (ობიექტური ბიოგრაფია). პრაქტიკაში ყველაზე მარტივი ქცევაც კი გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე ეს მოკლე მაგალითი. გვანცას უნდა ესმოდეს ის ენა, რომელზეც შეთავაზება მიიღო; უნდა გაითვალისწინოს ის, თუ რა ურთიერთობა აქვს შეთავაზების ავტორთან; უნდა გაიხსენოს ოპერასთან დაკავშირებული განცდები (მე-კონცეფციის ნაწილი); უარი ეტიკეტის ნორმების დაცვით უნდა თქვას და ა. შ. შეუძლებელია ადამიანისთვის დამახასიათებელი ქცევების განხორციელება უნარების, რწმენებისა და ღირებულებების ფართო და რთული ქსელის ქონის გარეშე, რომელიც ინდივიდს გარემოსთან შინაარსიანად ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს. სწორედ ამ ქსელს უწოდებს ხუთფაქტორიანი თეორია დამახასიათებელ ადაპტაციებს.

<sup>16</sup> ლევინზე და მის თეორიაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

სურ. N2. პიროვნების სისტემის მოქმედება ხუთფაქტორიანი თეორიის მიხედვით. ისრები მიზეზობრივი გავლენების მიმართულებას გვიჩვენებენ, რომლებიც დინამიკური პროცესების მეშვეობით ოპერირებენ. ადაპტირებულია McCrae and Costa, 1996.



სურ. N2 გვიჩვენებს, რომ თავად ქცევას აქვს შედეგები, რომლებიც ისევ მე-კონცეფციაზე (გვანცას განცდის გამყარება, რომ ის მხოლოდ ქანთრის სტილის მუსიკას უსმენს) და გარემოზე (ეს უკანასკნელი მცდელობა იყო მეგობრის მხრიდან) ზემოქმედებენ. თუმცა, აქამდე აღწერილს არაფერს აქვს საერთო უშუალოდ ნიშნებთან. სქემაში მათ შემოსატანად საჭიროა ინტერაქციისა და ადაპტაციის პოსტულატების მოშველიება. ისინი აკონკრეტებენ დამახასიათებელი ადაპტაციების სათავეებს ბაზისური ტენდენციებისა და გარეგანი გავლენების ურთიერთქმედებისას:  $CA = f(BT, EI)$ .

ფაქტობრივად, სწორედ ამიტომ ეწოდებათ მათ დამახასიათებელი ადაპტაციები: ისინი დამახასიათებელი არიან იმიტომ, რომ მდგრადი პიროვნული ნიშნების მოქმედებას ასახავენ და ადაპტაციები — იმიტომ, რომ გარემოდან მომდინარე მოთხოვნებისა და შესაძლებლობების საპასუხოდ არიან ფორმირებულნი. პიროვნების ნიშნები უფრო მეტად ზემოქმედებენ ზოგიერთ დამახასიათებელ ადაპტაციაზე, ვიდრე სხვებზე. მაგალითად, ადამიანი ვერცხლის დანა-ჩანგლით მიირთმევს ბრინჯს თუ ჩხირებით, მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ სად დაიბადა ის, მაგრამ აქაც შეიძლება შემოიჭრას პიროვნება: მეტად ცნობისმოყვარე, თავგადასავლების მოყვარული ადამიანებისგან მოსალოდნელია, რომ უცხო ქვეყნის ტრადიციების ათვისება დაიწყონ და, ვთქვათ, მხოლოდ ვერცხლის დანა-ჩანგლით მიირთვან საკვები.

ოპერის ბილეთებისა და გვანცას ზემოთ მოტანილ მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, დამახასიათებელი ადაპტაციები, ალბათ, მისი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ესთეტიურისადმი ფუნდამენტური დახურულობის შედეგია. ის თუ ძალიან დახურულია, შესაძლოა, არც არასოდეს მოუსმენია ოპერა და მასზე მოსაზრება მხოლოდ სხვების ნათქვამის მიხედვით აქვს ჩამოყალიბებული. ან, შესაძლოა, ერთი-ორჯერ მოისმინა კიდეც, ვერაფერი ნახა საინტერესო და დასაკვნა, რომ ეს მისთვის არ არის. დახურულ მდგომარეობაში მან აღმოაჩინა, რომ ყველაზე კომფორტულად ჩვეულებრივ ადამიანებთან გრძნობს თავს, ვინც ოპერაში სიარულით არ იწუხებს თავს და იწონებენ მის მუსიკალურ გემოვნებას. ამ

საფუძვლადმდებარე დახურულობამ გავლენა მოახდინა დამახასიათებელ ადაპტაციათა ნაკრებზე, რომლებიც ერთმანეთს განამტკიცებენ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## ნიშნების წყაროები

სად იღებენ სათავეს ბაზისური ტენდენციები და, კერძოდ, პიროვნული ნიშნები? ეს ხუთფაქტორიანი თეორიის ყველაზე წინააღმდეგობრივი ასპექტია. *წყაროების* პოსტულატი გვეუბნება, რომ ნიშნები ენდოგენური ბაზისური ტენდენციებია, ხოლო სურათზე N2 ბაზისური ტენდენციებისკენ ერთადერთი ისარი მიემართება და ისიც — ბიოლოგიური საფუძვლიდან. პრაქტიკულად პიროვნების ყველა სხვა თეორიისგან განსხვავებით, ხუთფაქტორიანი თეორია არ აღიარებს გარემოდან მომდინარე რაიმე სახის გავლენას პიროვნულ ნიშნებზე (McCrae et. al., წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003). ეს უკიდურესად რადიკალური პოზიციაა და, ალბათ, მცდარია აბსოლუტური გაგებით. სხვა სიტყვებით, დიდია ალბათობა, რომ მოვიძიოთ ისეთი პირობები, როდესაც გარემო უშუალოდ ზემოქმედებს ნიშნებზე. თუმცა, ავტორები მიზნად ისახავენ ეკონომიური მოდელის შექმნას, რომელიც რაციონალურად ახსნის ყველა კარგად ცნობილ ფაქტს.

ამ პოზიციის თავდაპირველი ბაზისი პიროვნების სტაბილურობა იყო. ვიცით, რომ ცხოვრება დროთა განმავლობაში ყველა ჩვენგანისთვის იცვლება, ზოგიერთი ადამიანისთვის კი ეს ცვლილებები დრამატულია. თუ ნიშნებს გარემო აყალიბებს, მაშინ დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდოთ, როგორც განვითარების ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი აკეთებდა 20-25 წლის წინ; თუმცა, მაკკრეიმ და კოსტამ (2003) მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები აღმოაჩინეს. მასშასადამე, ნიშნები არ უნდა ფორმირდებოდეს გარემოს მიერ.

არავინ და, მათ შორის, თეორიის ავტორებიც, არ მივიდოდა ასეთ დასკვნამდე, პიროვნების სტაბილურობის შესახებ მტკიცებულებები მხოლოდ განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევებით რომ იყოს მიღებული. ინფორმაციის მხოლოდ ერთი წყარო იშვიათად არის საკმარისი ფართომასშტაბიანი ინტერპრეტაციებისთვის. ასე რომ, მტკიცებულებათა რამდენიმე დამოუკიდებელი ხაზი არსებობს, რომელიც სურ. N2-ზე მოცემულ დიაგრამას უფრო რეალურს და სიმართლესთან მიახლოებულს ხდის (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## გენეტიკა

პირველ რიგში, განვიხილოთ მონაცემები მემკვიდრეობითობის შესახებ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003). დღესდღეობით დიდი რაოდენობით მონაცემი არსებობს პიროვნების ნიშნების გენეტიკის შესახებ, გაშვილების კვლევებიდან დაწყებული (Loehlin, 1992) და ერთ ოჯახში გაზრდილი (Jang et. al., 1996) და დაბადებისთანავე განცალკევებული ტყუპების (Bipichard & McGue, 1990) კვლევით დამთავრებული. ყველა ამ კვლევის შედეგი თანმიმდევრულია. ისინი აჩვენებენ, რომ პიროვნების ნიშნების ქულების დისპერსიის<sup>17</sup> დაახლოებით ნახევარს ხსნის გენეტიკა და თითქმის არაფერს — საერთო/საზიარო ოჯახური გარემო. „საზიარო ოჯახური გარემო“ ყველა იმ გავლენისგან შედგება, რომელიც საერთოა ბავშვებისთვის ერთ ოჯახში ზრდის პროცესში, იქნება ეს მშობლის ქცევის მოდელები, ოჯახური ღირებულებები, ბავშვის აღზრდის პრაქტიკები, ადგილობრივი სკოლები, კვების რაციონი, რელიგია და ა. შ. ქცევით გენეტიკაში დაგროვილი ლიტერატურის თანახმად, არც ერთი დასახელებული ფაქტორი არ ასრულებს რაიმე როლს მოზრდილთა პიროვნული ნიშნების ფორმირებაში. ამ დასკვნას ზურგს უმაგრებს არაიდენტური და

<sup>17</sup> ჯგუფში ქულების ცვალებადობის საზომი, რომელიც მიიღება განაწილებაში შემავალი თითოეული ქულისა და ამ განაწილების საშუალოს სხვაობების კვადრატში აყვანით, მიღებული სიდიდეების დაჯამებითა და მიღებული ჯამის გაყოფით განაწილებაში შემავალი ქულების რაოდენობაზე (კისი, ჰ., 2008). გვიჩვენებს ქულების განაწილების გაფანტულობის (ერთმანეთისგან განსხვავებულობის) ხარისხს. რაც მეტია დისპერსიის მაჩვენებლის რიცხვითი მნიშვნელობა, მით მეტად არის ქულები გაფანტული საშუალოს ირგვლივ ანუ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

იდენტური ტყუპების კვლევები, მაგრამ ყველაზე ცხად შედეგებს გაშვილების კვლევები იძლევიან. როდესაც ბიოლოგიურად უცხო ბავშვები ერთსა და იმავე ოჯახში იზრდებიან, არანაირი მსგავსება არ ვლინდება პიროვნებაში მოზრდილობის პერიოდში. მათ შეიძლება ერთი და იგივე ღმერთი სწამდეთ, ერთნაირი აქცენტით საუბრობდნენ, ან ერთნაირი საჭმელი უყვარდეთ, მაგრამ ისევე ჰგავდნენ ერთმანეთს ექსტრავერსიის ან პატიოსნების დონეზე, როგორც პოპულაციიდან შემთხვევით აღებული ორი ადამიანი.

საზიარო გარემოს უმნიშვნელობის შესახებ ქცევის გენეტიკოსებმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიტყვეს (Plomin & Daniels, 1987, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) და დიდი ძალისხმევა გაიღეს მის გასაგებად, თუმცა, ძალიან მცირე წარმატებით. თუ გენები ხსნიან დისპერსიის ნახევარს და პრაქტიკულად არაფერს — საზიარო გარემო, მაშინ რითი აიხსნება დისპერსიის მეორე ნახევარი? ტექნიკურად, ეს „არასაზიარო გარემო“ უნდა იყოს და ზოგიერთი მკვლევარი ასეც უწოდებს ყველა იმ მაფორმირებელ მოვლენას, რომელიც ერთი ოჯახის ბავშვებს ერთმანეთისგან განასხვავებს. მაგალითად, ანა და ნატა ერთ სკოლაში დადიან, მაგრამ მატემატიკაში სხვადასხვა მასწავლებელი ჰყავთ; ან ანა ფორტეპიანოზე დადის, ნატა — ვიოლინოზე; ან სადილის დროს ანა მაგიდას მარჯვნიდან უზის, ნატა — მარცხნიდან და ა. შ. პრინციპში, შესაძლებელია, რომ ასეთი განსხვავებები მნიშვნელოვნად ზემოქმედებდნენ პიროვნების განვითარებაზე, მაგრამ ეს არც ისე დამაჯერებლად გამოიყურება. რატომ უნდა იძლეოდეს მუსიკალური ინსტრუმენტის არჩევანი ასეთ განსხვავებას და არ უნდა იყოს საკმარისი იმ ფაქტორის მოქმედება, რომ ორივე ბავშვი იღებს მუსიკალურ განათლებას?

ჰარისმა (1998, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) გამოთქვა მოსაზრება, რომ ოჯახური გავლენა გაცილებით ნაკლებად მოქმედებს, ვიდრე თანატოლების მხრიდან მომდინარე ზეგავლენა. ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ემიგრანტთა შვილები სახლში მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ და სკოლაში — ინგლისურად, მოზრდილობაში ისინი ინგლისურად ლაპარაკობენ. იქნებ ანალოგიური ვითარება გვაქვს ნიშნების შემთხვევაშიც? ბავშვები პიროვნულ ნიშნებს თანატოლებისგან უფრო დაისწავლიან, ვიდრე — მშობლებისგან. რადგან ერთი ოჯახის ბავშვებს მეტ-ნაკლებად განსხვავებული სამეგობრო წრე ჰყავთ, მათი პიროვნება ნაკლებად დაემსგავსება მშობლებისას.

ეს ჰიპოთეზა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა მტკიცებულება არსებობს იმისათვის, რომ რაიმე შეფასება გაკეთდეს. თუმცა, მასზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი კულტურის წარმომადგენლები გენეტიკურად უფრო მეტად უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს, ვიდრე — სხვა კულტურის წარმომადგენლებს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

არასაზიარო გარემოს სხვა ინტერპრეტაციაც არსებობს, რომელიც ხუთფაქტორიანი თეორიის კონსისტენტურია. სავარაუდოდ, ეს გაზომვის შეცდომაა. ვიცით, რომ პიროვნების ყველა შეფასება გარკვეული ოდენობის შემთხვევით შეცდომას მოიცავს, რომელიც ტესტის სანდოობაში აისახება. ამასთან, პიროვნების შეფასება სისტემატურ შეცდომასაც მოიცავს, რომელმაც შეიძლება მონაცემთა მცდარ ინტერპრეტაციამდე მიგვიყვანოს (McCrae, Jang, Livesley, Riemann, & Angleitner, 2001). როდესაც ინფორმაციის მხოლოდ ერთი წყარო გამოიყენება, შეუძლებელია სისტემატური შეცდომის ან მიკერძოებულობის გამიჯვნა ვალიდური დისპერსიისგან. მაკა შეიძლება გადაჭარბებულად პატიოსნად მიიჩნევდეს თავს და ამას მუდმივად, სტაბილურად აკეთებდეს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი შეფასება სწორია. მხოლოდ მისი მეუღლისა და მეგობრების გამოკითხვით და მასზე დაკვირვებით შეგვიძლია გავარკვიოთ, მართლა გადაჭარბებულია თუ არა მისი შეფასება და თუ კი, რამდენად. როდესაც რაიმეანმა და მისმა კოლეგებმა (1997, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) თანდაყოლილობის შეფასებები თვითანგარიშისა და სხვათა შეფასების კომბინაციაზე დააფუძნეს, მემკვიდრეობითობის მნიშვნელოვნად მაღალი დონე აღმოაჩინეს, ვიდრე, ჩვეულებრივ, აჩვენებდნენ კვლევები. კერძოდ, ხუთი ფაქტორისთვის ეს იყო 0.66-დან 0.79-მდე.

### **სხვა ბიოლოგიური გავლენები**

ეს მიუკერძოებელი შეფასებები მიუთითებენ, რომ სწორედ გენეტიკაა პასუხისმგებელი და არა — გარემო მოზრდილი ადამიანის პიროვნების ნიშნების დისპერსიის დიდ ნაწილზე, თუმცა, მხოლოდ

ნაწილზე და არა — მთლიანზე. ეს არ ნიშნავს, რომ ხუთფაქტორიანი თეორია მცდარია, რადგან ბიოლოგიური საფუძველი გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ გენეტიკა. ფინჩი და კირკვუდი (2000, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) მიუთითებენ, რომ ადამიანის ბიოლოგიაში უდიდეს როლს ასრულებს ცვლილება. გენები უზრუნველყოფენ პროგრამას, მაგრამ არა — განვითარების და განსაკუთრებით ემბრიონული განვითარების — რეალურ პროცესს. რეალური განვითარება ზუსტად არ მიჰყვება გენეტიკურად მოცემულ პროგრამას. მუტაციები, საშვილოსნოსშიდა ჰორმონები და სხვა ფაქტორები დახვეწილად ზემოქმედებენ საბოლოო პროდუქტზე. სწორედ ამიტომ „იდენტური“ ტყუპები არასოდეს არიან სავსებით იდენტურნი, ისეთი წმინდად ფიზიკური მახასიათებლების მიხედვითაც კი, როგორც არის სიმაღლე ან თითის ანაბეჭდები. არანაირი საფუძველი არ არსებობს იმის მოლოდინისა, რომ პიროვნული ნიშნები განსხვავებული/გამორჩეული იქნება ამ თვალსაზრისით.

რამდენიმე სხვა ბიოლოგიური მექანიზმი ნამდვილად ახდენს გავლენას პიროვნებაზე (McCrae R. R., Costa, P. T., 2003). XIX საუკუნეში ფინეას გეიჯი (გერიგი & ზიმბარდო ფ., 2009) შემთხვევით გადაურჩა უბედურ შემთხვევას, როდესაც ლითონის ძელმა თავის ქალა გაუტეხა და ტვინში გაიარა. ამის შემდეგ ის დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა და მასთან აშკარად დაფიქსირდა პიროვნული ნიშნების ღრმა ცვლილებები: ის უფრო გაღიზიანებადი და იმპულსური გახდა. მას შემდეგ ნევროლოგებს თავის ტვინის ტრავმული დაზიანების ათასობით შემთხვევის ჩანაწერი მოეპოვებათ, როდესაც ტრავმას თან სდევდა ცვლილებები პიროვნებაში (Costa & McCrae, 200a, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003). ანალოგიურად, ტვინზე და, შესაბამისად, პიროვნების ნიშნებზე შეიძლება დაავადებებმაც იმოქმედოს. საიეგერი და მისი კოლეგები (1991) პირველები იყვნენ, ვინც აჩვენა ის ეფექტი, რომელსაც დემენციური აშლილობები, ალცჰეიმერის დაავადების მსგავსად, ახდენდნენ პიროვნების ნიშნებზე. მათ შორის ყველაზე შესამჩნევი იყო პატიოსნების რადიკალური ცვლილებები. ფსიქიკური აშლილობები, როგორც არის შიზოფრენია და მწვავე დეპრესია, ასევე, ზემოქმედებს პიროვნების ნიშნებზე და ფარმაკოლოგიური მკურნალობით შესაძლებელია ბევრი ამ ეფექტის აღკვეთა (P. D. Kramer, 1997, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

ამ მსჯელობასა და მაგალითებზე დაყრდნობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარემო ბაზისურ ტენდენციებზე მათ საფუძვლადმდებარე ბიოლოგიის შეცვლით ზემოქმედებს. ამ მოსაზრების შესატყვისად სურ. N2-ზე მოცემულ დიაგრამას შეიძლება დავამატოთ ისარი გარეგანი გავლენებსა და ბიოლოგიურ საფუძველს შორის (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

### **ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები**

მართალია, ხუთფაქტორიანი თეორიის წყაროს პოსტულატი მნიშვნელოვნად დასტურდება, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რამდენიმე მტკიცებულება (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), რომელიც ეწინააღმდეგება მას და პიროვნულ ნიშნებზე გარემოს უშუალო გავლენაზე მიუთითებს. კლინიკური დეპრესია წარმატებით იკურნება როგორც ტრადიციული ფსიქოთერაპიით, ისე — მედიკამენტოზურად, რაც, სავარაუდოდ, პიროვნულ ნიშნებზეც ზემოქმედებს. ცხოვრებისეული მოვლენები თავისთავად არ ცვლიან პიროვნულ ნიშნებს, მაგრამ ზოგიერთი კონკრეტული მოვლენა აშკარად ახერხებს ამას. მაგალითად, კოსტამ, ჰერბსტმა და კოლეგებმა (2000, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003) აჩვენეს, რომ კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც NEO-PI-R-ის ხელმეორედ ჩატარებამდე 6-წლიან შუალედში გაშორდა ქმარს, უფრო მეტად ღია და ექსტრავერტირებული გახდა, ვიდრე მეორე ქალი, რომელიც იმავე პერიოდში გათხოვდა. ისე ჩანს, თითქოს განქორწინებამ მეტი ღიაობისკენ უბიძგა ქალს, დაქორწინებამ კი — მეტი შეზღუდვისკენ, თუმცა, მონაცემების არარსებობის გამო, არ არის ცნობილი, რამდენად ხანგრძლივი და სტაბილური იყო ეს ცვლილება. გარდა ამისა, ბრიტანულ კოლუმბიაში გადასახლებული ჰონგ-კონგელი ჩინელი სტუდენტების კულტურული შერწყმის კვლევამ აჩვენა, რომ კანადაში დასახლებას ღიაობისა და თანხმობისადმი მზაობის დონის მატება ახლდა თან (McCrae R. R., Yik, Trapnell, Bond & Baulhus, 1998, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

განმეორებითი კვლევების შესახებ ლიტერატურაში მოიპოვება რიგი მაგალითებისა, როდესაც ცხოვრებისეული მოვლენები მნიშვნელოვნად ცვლიან პიროვნულ ნიშნებს, თუმცა, ჯერჯერობით



შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს ცვლილებები მდგრადი და განმეორებადია, ანდა მართლაც ბაზისური ტენდენციების ცვლილებებს შეეხება. განვიხილოთ კანადაში გადასახლებული ჩინელების ზემოთ ხსენებული მაგალითი (McCrae, Yik, et al., 1998, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003). ჰონგ-კონგელმა ჩინელებმა უფრო დაბალი ქულები მიიღეს ალტრუიზმის სკალაზე, ამერიკელებთან შედარებით, რადგან ჩინეთი კოლექტივისტური საზოგადოებაა, რომელშიც ინდივიდის უპირატესი ერთგულება ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზეა მიმართული. იმდენად ბევრს ითხოვენ ჩინურ კულტურაში ინდივიდისგან მისი ჯგუფის წევრების სასარგებლოდ, რომ ბევრი ადარაფერი რჩება სხვებისთვის. ამის შედეგად, ჩინელმა რესპონდენტებმა დაბალი ქულები მიიღეს NEO-PI-R-ის ალტრუიზმის სკალაზე, რომელზეც ალტრუიზმი ისეთი დებულებებით ფასდებოდა, როგორიცაა „ვფიქრობ, ქველმოქმედი ადამიანი ვარ“. ჩინელი, რომელიც კანადაში გადავიდა საცხოვრებლად, სავარაუდოდ, დაისწავლის სხვა ღირებულებებს (დამახასიათებელ ადაპტაციებს), რომელშიც უცნობების მიმართ ქველმოქმედება ითვლება პრიორიტეტულად. ამგვარად, კულტურასთან შერწყმამ შეიძლება უბრალოდ ალტრუიზმის გამოხატვის გზები შეცვალოს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

მაკკრეისა და კოსტას არ აქვთ პრეტენზია, რომ დამაჯერებლად აჩვენეს, რომ გარეგანი გავლენები არ ზემოქმედებენ ბაზისურ ტენდენციებზე, მაგრამ თვლიან, რომ გარემოს ტოტალური გავლენა პიროვნების ფორმირებაზე ეჭვ ქვეშ დადგა. ისინი უფრო რეალისტურ პოზიციას იკავებენ და ამბობენ, რომ ვინაიდან მეცნიერებაში იშვიათად მუშაობს ერთი ან მისი საპირისპირო პრინციპი — ბიოლოგია ან გარემო — საჭიროა იმ კონკრეტული პირობებისა და ვითარებების დაკონკრეტება, რომლებშიც ცხოვრებისეულ მოვლენებს შეუძლიათ პიროვნების შეცვლა და ახსნა იმისა, თუ როგორ ახერხებენ ისინი ამას. ცხოვრებისეულ მოვლენათა უმეტესობა ხანგრძლივად არ ზემოქმედებს პიროვნების ნიშნებზე. ავტორები გვთავაზობენ, რომ ის ზოგიერთი მოვლენა, რომელსაც ასეთი ეფექტი აქვს, გაიმიჯნოს და ცალკე იქნას განხილული (McCrae R. R., Costa, P. T., 2003).

## ხუთფაქტორიანი მოდელის ძირითადი მახასიათებლები

### ფაქტორების ორთოგონალურობა

ხუთფაქტორიანი მოდელის მიხედვით, ძირითადი ხუთი ფაქტორი ერთმანეთის ორთოგონალურია, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შორის არ უნდა იყოს კორელაცია. არსებობს კრიტიკა, რომ ემპირიული კვლევები არ ადასტურებს ამ ორთოგონალურობას, რაზეც კოსტა და მაკკრეი (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997) პასუხობენ, რომ მართლაც არსებობს ფაქტორების ორმაგი დატვირთვა, რაც NEO-PI-R-ის კომპლექსურ სტრუქტურაზე მიუთითებს და ხშირად ამ მეორად დატვირთვას გარკვეული შინაარსი აქვს. მაგალითად, აქტივობას, რომელიც ექსტრავერსიის ასპექტს წარმოადგენს, პატიოსნების სკალაზე მეორადი დატვირთვა აქვს. კოსტა და მაკკრეი, ასევე, აღნიშნავენ, რომ ხუთფაქტორიანი მოდელის განზომილებები სკალების ჯამური ქულები კი არ არის, არამედ — ჰიპოთეტური კონსტრუქტები. თეორიული მოდელის თანახმად კი ისინი ორთოგონალურად არის განსაზღვრული, რადგან ორთოგონალური სისტემები უფრო მკაცრია, ვიდრე — არაორთოგონალური. ორთოგონალური სისტემის არჩევას თეორიული საფუძველი აქვს და არა — ემპირიული, თუმცა, ავტორებს მიაჩნიათ, რომ მას ემპირიული შედეგები უნდა მოჰყვებოდეს. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ხუთფაქტორიანი მოდელის იდეალური ოპერაციონალიზაციები არ უნდა კორელირებდნენ ერთმანეთთან და ის ფაქტი, რომ NEO-PI-R-ის რამდენიმე ვერსიაში სფეროების ქულებს შორის კორელაციები აღმოჩნდა, ნიშნავს, რომ ეს სფეროები საუკეთესოდ არ ზომავს ხუთფაქტორიან მოდელს; კერძოდ, მათი დისკრიმინაციული ვალიდობა სუსტია (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997).

### იერარქიული სტრუქტურა

პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელი მის ყოვლისმომცველ დახასიათებას გვთავაზობს. ეს არის სტრუქტურა, რომელშიც მაღალი რანგის განზომილებებს დაბალი რანგის განზომილებები ქმნიან, რაც პიროვნების ადვილად ასახსნელ და გასაგებ პროფილს იძლევა (Rossier, J., Stadelhofen, F.M., & Berthoud, S., 2004). დაბალი რანგის განზომილებები მრავალია და მათზე პირდაპირი დაკვირვებაც შესაძლებელია, მაღალი რანგის განზომილებები კი ნაკლებად ექსპლიციტურია და პიროვნების სტრუქტურას ქმნიან. NEO-PI-R-ს ე. წ. „ზემოდან ქვემოთ“ იერარქია აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კოსტამ და მაკრემ თავდაპირველად მაღალი რანგის ხუთი ორთოგონალური განზომილება ანუ სფერო განსაზღვრეს და შემდეგ თითოეულ მათგანში გამოყვეს ექვსი დაბალი რანგის განზომილება ანუ ასპექტი. შესაბამისად, NEO-PI-R-ში თითოეული პიროვნული ნიშანი მაღალი რანგის მხოლოდ ერთ განზომილებას მიეკუთვნება.

მისგან განსხვავებით, სხვა იერარქიული მოდელების, მაგალითად, 16 PF-ის იერარქია „ქვემოდან-ზემოთ“ ტიპისაა, ანუ აქ ჯერ 16 პირველადი ფაქტორი გამოიყოფა და შემდეგ ხდება მათი გაერთიანება ხუთ თეორიულად დამოუკიდებელ გლობალურ სკალად. ამ შემთხვევაში პირველადი ფაქტორები შეიძლება ერთზე მეტ გლობალურ სკალას დაუკავშირდეს, რაც ართულებს მაღალი რანგის განზომილებების გამოყოფას და პროცესი ხელოვნურ სახეს იღებს (Rossier, J., Stadelhofen, F.M., & Berthoud, S., 2004). როსიე და კოლეგები (2004) მიიჩნევენ, რომ „ზემოდან ქვემოთ“ მეთოდის გამოყენება უმჯობესია, რადგან ამ მეთოდის გამოყენება წინასწარ ჩატარებულ „ქვემოდან-ზემოთ“ კვლევებს ეფუძნება (როგორც ეს NEO PI-R-ის შემთხვევაში მოხდა), რაც უფრო სანდო ინსტრუმენტის შექმნის საშუალებას იძლევა, მაგალითად, ასე შექმნილი მეთოდის განზომილებებს თანაბარი წონები აქვთ.

## პიროვნული ნიშნების თანდაყოლილობა და ასაკობრივი ცვლილებები

### ნიშნების განვითარება და ხუთფაქტორიანი თეორია

მიუხედავად იმისა, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი არ ადასტურებს პიროვნების ნიშნებში ცხოვრებისეული გამოცდილების როლს, აღიარებს (McCrae R. R., Costa, P. T., 2003), რომ ნიშნები იცვლება ცხოვრების მანძილზე. თეორიის 1996 წელს მოცემული ფორმულირების მიხედვით, ნიშნები ვითარდება ბავშვობაში და სიმწიფეს მოზრდილობაში აღწევს; ამის შემდეგ სტაბილურად ნარჩუნდება კოგნიტურად ჯანმრთელ ადამიანებში. სამ წელიწადში აუცილებელი გახდა ამ დებულების მოდიფიცირება, ვინაიდან მტკიცებულებების მიხედვით, ნევროტიზმი, ექსტრავერსია და გამოცდილებისადმი ღიაობა მცირედით, მაგრამ მაინც კონსისტენტურად იცვლება 30 წლის ასაკის შემდეგ. დღესდღეობით უკვე არსებობს გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ ვითარდებიან ნიშნები მოზარდობის შემდეგ (Costa, Parker, & McCrae, 2000, წყაროში McCrae R. R., Costa, P. T., 2003), თუმცა, მხოლოდ გარკვეული მინიშნებებია ჩვილობასა და ბავშვობაში განვითარების შესახებ.

როგორც წესი, ნიშნების მკვლევრები მოზრდილი ადამიანის პიროვნებაზე ფოკუსირდებოდნენ და განვითარების ფსიქოლოგებს უტოვებდნენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება პიროვნება დაბადებიდან მოზრდილობისას დიდი ხუთეულის ნიშნების გამოვლენამდე.

როგორ იცვლება მოზრდილი პიროვნება? ფსიქოლოგები ცდილობენ უპასუხონ კითხვას, მნიშვნელოვნად იცვლება თუ არა მოზრდილობისას პიროვნების სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის პიროვნული ნიშნები და როდის ხდება ეს ცვლილებები.

თანამედროვე მოსაზრებები პიროვნული ნიშნების განვითარების შესახებ დაკავშირებულია პიროვნული ნიშნების თეორიებთან. მაკრეისა და კოსტას პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია, როგორც უკვე ვიცით, ამტკიცებს, რომ პიროვნული ნიშნები ბიოლოგიური წარმოშობისაა და ეს თვისებები მხოლოდ მომწიფებას განიცდიან ადრეული მოზრდილობისას. ამის საპირისპიროდ, კონტექსტუალისტური მიდგომების თანახმად, ნიშნები მრავალი სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული და ადამიანზე გავლენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო სოციალური გარემოა (McCrae, R.R., Costa, P.T., et al., 1999).

პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის თანახმად, პიროვნული ნიშნები „არ ექვემდებარება პირდაპირ

ზემოქმედებას“ (Costa & McCrae, 1999, p. 144, ციტირებულია წყაროდან Srivastava, S., John, O.P., Gosling, S.D., & Potter, J., 2003) და მხოლოდ ბიოლოგიური წარმოშობისაა. ცვლილებებს შეეხება ფაქტორული თეორიის ერთ-ერთი პოსტულატი: „ნიშნები ვითარდება ბავშვობიდან და მომწიფებულ სახეს მოზრდილობისას იღებს; ამის შემდეგ კოგნიტურად ჯანმრთელ ადამიანებში ნიშნები უცვლელია.“ (McCrae R. R., Costa, P. T., 2003, გვ. 197). უფრო კონკრეტულად, ნიშნები მომწიფებას 30 წლის ასაკში აღწევენ. მოსალოდნელია, რომ სტაბილობა საშუალო ასაკამდე გასტანს, მაგრამ მოხუცებულობისას პიროვნება კვლავ შეიძლება შეიცვალოს ამ ასაკისთვის დამახასიათებელი კოგნიტური გაუარესების გამო. ამგვარი ცვლილებების აღსანიშნად ხუთფაქტორიანი თეორიის ავტორები იყენებენ უილიამ ჯემსის ფრაზას, რომ პიროვნება 30 წლის შემდეგ „თაბაშირივით მყარდება“. თავდაპირველად კოსტა და მაკრეი აღნიშნავდნენ, რომ პიროვნება 30 წლის შემდეგ სრულიად აღარ იცვლება, ან ასეთი ცვლილებები უმნიშვნელოა, თუმცა ბოლო პერიოდში მათ შეიცვალეს პოზიცია, რადგან კვლევის მონაცემები მიუთითებდა 30 წლის შემდეგ პიროვნების ცვლილებებზე ნევროტიციზმის, ექსტრავერსიისა და გამოცდილებისადმი ღიაობის მიმართულებით (McCrae R. R., Costa, P. T., 2003); თუმცა, ამ ფაქტს ისევ და ისევ შინაგანი ბიოლოგიური მომწიფებით ხსნიან და არა – სოციალური გავლენით. 2000 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მაკრეი და კოლეგები აღნიშნავენ, რომ „18-დან 30 წლამდე პერიოდში მცირდება ნეიროტიციზმი, ექსტრავერსია და გამოცდილებისადმი ღიაობა, ხოლო თანხმობისადმი მზაობა და პატიოსნება მატულობს. იგივე ტენდენცია შეიმჩნევა 30 წლის შემდეგაც, თუმცა ცვლილებების ტემპი მცირდება“ (McCrae, et al., 1999, გვ. 183).

ხუთფაქტორიანი მოდელის თანახმად, უცვლელობის ჰიპოთეზა უნივერსალურია და ყველა მოზრდილი ადამიანის განვითარებას ხსნის. აქედან გამომდინარეობს ორი დასკვნა: (ა) ხუთივე ფაქტორი ერთნაირად ვითარდება; (ბ) ქალებისა და მამაკაცების განვითარება ერთნაირია.

ზოგიერთი კვლევა ამ ჰიპოთეზების სისწორეზე მიუთითებს, მაგრამ არსებობს კვლევები, რომლებიც განსხვავებულ შედეგებს აჩვენებენ.

შედარებითი და განმეორებითი (ლონგიტუდური) კვლევებით დადგინდა, რომ აშშ-ში სტუდენტობის ასაკსა და საშუალო მოზრდილობას შორის პიროვნული თვისებების თვალსაზრისით ცვლილებები შეინიშნება. ნეიროტიციზმი, ექსტრავერსია და გამოცდილებისადმი ღიაობა იკლებს, მაგრამ მატულობს თანხმობისადმი მზაობა და პატიოსნება. ამ აღმოჩენის განზოგადებადობის დასადგენად კროს-კულტურული კვლევებიც ჩატარდა.

ყველაზე ზოგად კონცეპტუალურ დონეზე შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების თვისებები ან თანდაყოლილია, ან შეძენილი, ანუ მათ მომწიფებისა და განვითარების შინაგანი, ბიოლოგიური საფუძვლის მქონე და უნივერსალური პროცესი, ან გარემოს პროცესები განაპირობებენ, რომლებიც განსხვავებულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას. პიროვნების თეორეტიკოსების უმრავლესობა განვითარებასა და ცვლილებას გარემოს თავისებურებებთან, მათ შორის, აღზრდის თავისებურებებთან, კულტურულ თავისებურებებთან და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან აკავშირებს (McCrae, et al., 1999, წყაროში Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001). თუმცა, კოსტა, მაკრეი და კოლეგები მაინც მიიჩნევენ, რომ საკმარისი საფუძველი არსებობს იმისა, რომ პიროვნული თვისებები არსებითად თანდაყოლილად მივიჩნიოთ (McCrae, et al., 1999). ამას კი მივყავართ მოსაზრებამდე, რომ პიროვნების განვითარებას ბიოლოგიური საფუძველი გააჩნია და ნიშნის ფსიქოლოგიის თეორიული ფორმულირების მიხედვით, „ნიშანი ენდოგენური დისპოზიციას, რომლის მომწიფებაზე მინიმალურ გავლენას ახდენს გარემო“ (McCrae, et al., 1999, გვ. 466).

მოზრდილი ადამიანის პიროვნების განვითარების შესახებ კვლევებმა აჩვენა, რომ 30 წლის შემდეგ პიროვნული თვისებების უმრავლესობა სრულიად არ იცვლება, ან მცირედ იცვლება, თუმცა ამ ასაკამდე პიროვნება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. აშშ-ში კოლეჯის სტუდენტებისა და შედარებით უფროსი ასაკის მოზრდილების შედარებითი კვლევით გამოვლინდა შემდეგი საშუალო განსხვავებები: სტუდენტების საშუალო ქულა ნეიროტიციზმის, ექსტრავერსიისა და გამოცდილებისადმი ღიაობის სკალებზე ნახევარი სტანდარტული გადახრით მეტი იყო უფროსი ასაკის ადამიანების საშუალოსთან შედარებით, ხოლო თანხმობისადმი მზაობისა და პატიოსნების სკალების საშუალო ნახევარი

სტანდარტული გადახრით ნაკლების უფროსი ასაკობრივი ჯგუფის საშუალოსთან შედარებით. ზოგიერთი ცალკეული ასპექტის შემთხვევაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა, მაგალითად, კოლეჯის სტუდენტების საშუალო ქულა მღელვარების ძიების ასპექტის სკალაზე მთელი სტანდარტული გადახრით აღემატებოდა უფროსი ასაკის ადამიანების ქულას. 1999 წლის მონაცემებით, მოზარდების თვისებების განვითარების შესახებ ლონგიტუდური კვლევები არ იყო ჩატარებული და მაკრეი და კოლეჯები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია, შედარებითი კვლევით მიღებული ასაკობრივი განსხვავებები მხოლოდ მოცემული თაობის ეფექტს ასახავს თუმცა, არსებობს NEO-PI-R-ის სკალების შესაბამისი თვისებების სხვა კვლევები, რომლებიც ადასტურებს აღწერილ ასაკობრივ დინამიკას (McCrae, et al., 1999). არსებობს ისეთი კვლევებიც, რომელთა მონაცემები არ შეესაბამება ხუთფაქტორიანი მოდელის დაშვებებს. მაგალითად ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა (Srivastava, S., John, O.P., Gosling, S.D., & Potter, J., 2003), რომ სხვადასხვა პიროვნული ნიშანი განსხვავებულად ვითარდება და ხანდახან ქალებისა და მამაკაცების პიროვნული ნიშნების განვითარებაშიც შეიმჩნევა განსხვავებები.

კოსტასა და მაკრეის შეხედულებები პიროვნების ცვლილების შესახებ მათ მიერ ჩატარებულ შედარებით და განმეორებით კვლევებსა და ლიტერატურის ანალიზს ეფუძნება, დასკვნები კი შემდეგნაირია:

- ასაკთან ერთად ნეიროტიციზმი და ექსტრავერსია სუსტდება მაშინ, როცა თანხმობისადმი მზაობა და პატიოსნება მატულობს;
- გამოცდილებისადმი ღიაობა ჯერ მატულობს, შემდეგ – სუსტდება;
- პიროვნების ცვლილებები უფრო შესამჩნევია ადრეულ მოზრდილობაში, ვიდრე მანამდე ან შემდეგ;
- ქალებისა და მამაკაცების განვითარება ერთნაირი მოდელით მიმდინარეობს.

კოსტასა და მაკრეის აზრით, ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ მთელ მსოფლიოში ქალებისა და მამაკაცების ასაკობრივი ცვლილებები პროგნოზირებადია და ეს ცვლილებები ე. წ. „ფსიქოსოციალური მომწიფებულობისაკენ“ არის მიმართული (Costa, P.T., Jr., & McCrae, R.R., 2006). ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ ცვლილებების, სულ მცირე, ორი შესაძლებელი ახსნა არსებობს: (1) ეს ცვლილებები შეიძლება უნივერსალური სოციალური ნორმების შედეგი იყოს, ან (2) სახეობისთვის დამახასიათებელი შინაგანი მომწიფების პროცესს ასახავდეს, რომელიც, შესაძლოა, იმიტომ განვითარდა, რომ ეს მომავალი თაობის აღზრდას უწყობს ხელს. ხუთფაქტორიანი მოდელი მეორე ახსნას ემხრობა. მათი აზრით, შინაგანი მომწიფების ჰიპოთეზას ის ფაქტიც კი ამყარებს, რომ ადამიანის მსგავსი ასაკობრივი ტენდენციები პრიმატებშიც შეიმჩნევა (Costa, P.T., Jr., & McCrae, R.R., 2006).

### ნიშნები, როგორც პიროვნების მემკვიდრეობითი მახასიათებლები

რა მექანიზმით შეიძლება აიხსნას ნიშნების ეს სპეციფიკური ასაკობრივი ცვლილებები და ხანგრძლივი სტაბილობა, რომლითაც ხასიათდება მოზრდილი ადამიანის ნიშანი? როგორც ვიცით, აიზენკი და კეტელი ნიშნების გენეტიკურ, მემკვიდრეობით ხასიათზე აკეთებდნენ აქცენტს. გასულ წლებში უამრავი მონაცემი დაგროვდა, რომლებიც ადასტურებენ, რომ მრავალი მნიშვნელოვანი პიროვნული ნიშანი მნიშვნელოვან მემკვიდრეობით კომპონენტს მოიცავს (Tellegen et al, 1988, წყაროდან Costa, P.T., Jr., & McCrae, R.R., 2006). მაგალითად, XX საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც სიახლისკენ სწრაფვას შეესაბამება (Ebstein et al. 1996, წყაროდან Costa, P.T., Jr., & McCrae, R.R., 2006). ამ გენის მოქმედება ვლინდება ექსტრავერსიაში, იმპულსურობაში, სისწრაფეში, აგზნებადობასა და მკვლევარულ ქცევაში. ბოლო შეფასებების მიხედვით, პიროვნების ნიშნებში გენეტიკური ფაქტორის საერთო წილი დაახლოებით 40%-ს შეადგენს. სხვა სიტყვებით, პიროვნების ნიშნებში ინდივიდუალური განსხვავებების დაახლოებით 40% მემკვიდრეობითობით აიხსნება. ამასთან, მემკვიდრეობითობა იცვლება ნიშნიდან ნიშანზე.

მრავალი ფსიქოლოგი ისევე, როგორც ზოგადად ადამიანები, არ აღიარებდა, რომ პიროვნებას გენეტიკური საფუძველი აქვს. თუმცა, უკვე დაგროვდა საკმარისი მონაცემები, რომლებიც გენეტიკური


ფაქტორების მნიშვნელოვან როლზე მიუთითებენ, განსაკუთრებით ტემპერამენტთან დაკავშირებული ნიშნების შემთხვევაში. ცდილობენ რა პიროვნებაში გენეტიკური ფაქტორის წილის განსაზღვრას, ფსიქოლოგები ერთმანეთს ადარებენ ერთად გაზრდილი იდენტური ტყუპების პიროვნებათა ტესტურ შეფასებებსა და ცალ-ცალკე გაზრდილი იდენტური ტყუპების პიროვნებათა ტესტურ შეფასებებს. თუ გენებს უპირატესი როლი აქვთ, მაშინ ცალ-ცალკე გაზრდილი იდენტური ტყუპები უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს ისევე, როგორც ერთად გაზრდილები. თუ გარემოა უფრო მნიშვნელოვანი, მაშინ ცალ-ცალკე გაზრდილი იდენტური ტყუპები უფრო ნაკლებად დაემსგავსებიან ერთმანეთს, ვიდრე — ერთად გაზრდილები.

ფაქტები მიუთითებენ, რომ ცალკ-ცალკე გაზრდილი ტყუპები ხშირად თითქმის ისევე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ერთად გაზრდილები. ერთ-ერთ პუბლიკაციაში წერენ: „დღეისათვის გამოკვლეულ თითქმის ყველა პიროვნულ ნიშანში, რეაქციის დროით დაწყებული და რელიგიურობით დასრულებული, სხვადასხვა ადამიანს შორის ვარიაციები ადამიანთა შორის გენეტიკურ განსხვავებებს უკავშირდება. ამ ფაქტის სანდოობა უკვე აღარ უნდა წარმოადგენდეს განსჯის საგანს“ (Bouchard et al., 1990, გვ. 227 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

ასეთი კვლევების მნიშვნელოვანი ამოცანა იყო განესაზღვრათ, გარემოს კონკრეტულად რომელი ასპექტებია მნიშვნელოვანი პიროვნების განვითარებისთვის. ბუნებრივი იყო დაშვება, რომ მთავარი როლი ოჯახურ გარემოს ენიჭება. ამ დაშვებას პიროვნების მრავალი თეორია იზიარებს, განსაკუთრებით კი ფსიქოანალიტური თეორია. და მაინც, ტყუპების კვლევით დაკავებული ფსიქოლოგები მიდიან დასკვნამდე, რომ ერთი ოჯახის ბავშვებისთვის ოჯახური გარემო არც ისე ერთგვაროვანია ხოლმე. ოჯახური გარემოს პირობები მნიშვნელოვანია პიროვნების განვითარებისთვის, მაგრამ ეს გარემო სხვადასხვაგვარად აღიქმება და განიცდება ერთ ოჯახში მყოფი ბავშვების მხრიდან. დედ-მამიშვილები ერთმანეთს ჰგვანან პიროვნული თავისებურებებით, მაგრამ ეს, ძირითადად, გენების ხარჯზე ხდება და არა – ერთნაირი ოჯახური გარემოს გამო. მონაცემები სქემატურად არის გამოსახული სურათზე N3, რომელიც გვიჩვენებს, რომ უნიკალური ოჯახური გარემო გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მოცემული ოჯახის ყველა ბავშვისთვის საერთო გარემო. გარდა ამისა, ოჯახის გარეთ (სკოლა, თანატოლები) შემეჩენილი გამოცდილება კიდევ უფრო ამკვეთრებს ერთი და იმავე ოჯახის ბავშვებს შორის განსხვავებას.

უკვე აღვნიშნეთ, რომ გენები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პიროვნების ფორმირებაში და სოციალური გარემო, განსაკუთრებით ინდივიდუალური, „სხვებთან გაუნაწილებელი“ გარემო, ასევე მნიშვნელოვან როლის ამჟღავნებს. აღწერილი კვლევების კიდევ ერთი შედეგია იმის დემონსტრირება, რომ გენეტიკა იმ გარემოს პირობებზეც ზემოქმედებს, რომელსაც მშობლები უქმნიან შვილებს ანუ ბავშვის პიროვნების ნაწილობრივ ყოლილი თავისებურებები ზემოქმედებენ იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან მშობლები მას. სხვა სიტყვებით, გენები პიროვნებაზე არამარტო პირდაპირ, უშუალოდ ზემოქმედებენ, არამედ გაშუალებულად, არაპირდაპირადაც იმით, თუ როგორ ირჩევს, ცვლის და ქმნის ადამიანი თავის გარემოს. მაგალითად, მშვიდი, ალერსიანი ახალშობილი მშობლების იმისგან სრულიად განსხვავებულ რეაქციას იწვევს, ვიდრე — გაღიზიანებადი და ჩაკეტილი ბავშვი. ანალოგიურად, აგრესიული, ჰიპერაქტიული ბავშვი მშობლების, თანატოლებისა და მასწავლებლების სრულიად განსხვავებულ რეაქციას იწვევს, ვიდრე – მშვიდი, პასიური ბავშვი. ასეთი ბავშვები თავად ისწრაფვიან არსებობის განსხვავებული გარემოსკენ: პასიური ბავშვისგან განსხვავებით, აგრესიულ ბავშვს ამგზნები, სტიმულაციის მაპროვოცირებელი გარემო იზიდავს. ამ თვალსაზრისით, სამართლიანია გამოთქმა, რომ ადამიანები თავად იქმნიან გარემოს.

სურ. N 3. გენეტიკური ფაქტორებით, ინდივიდუალური ოჯახური გარემოს, საერთო ოჯახური გარემოს გავლენითა და გაზომვის შეცდომით განპირობებული პიროვნული მახასიათებლების ინდივიდუალური განსხვავებები (Dunn & Plomin, 1990, p.50). © 1990, by Basic Books, a division of HarperCollins Publishers, Inc.



პიროვნების ფორმირებაში გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელოვანი როლის აღნიშვნისას აუცილებელია გარკვეული წინასწარი შენიშვნების გაკეთება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ოთხი მომენტი:

1. გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელოვნების შესახებ დასკვნა არ ნიშნავს, რომ პიროვნების განვითარება მთლიანად ბიოლოგიურად არის წინასწარ განსაზღვრული და არაგენეტიკური ფაქტორები უმნიშვნელოა.

2. მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკური ფაქტორები შეიძლება ზემოქმედებდეს ოჯახურ გარემოზე,

რომელთანაც უწევს ბავშვს შეჯახება, ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებებზე მთავარი პასუხისმგებლობა მაინც არაგენეტიკურ ფაქტორებს ეკისრება.

3. ოჯახური გარემო არ არის ერთნაირი ერთსა და იმავე ოჯახში გაზრდილი სხვადასხვა ბავშვისთვის. ის დამოკიდებულია ბავშვის სქესზე, დაბადების რიგზე ანდა ოჯახურ მოვლენებზე, რომლებიც სწორედ ამ ბავშვისთვისაა უნიკალური, თუმცა, ოჯახური გამოცდილება მაშინაც კი ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ეს გამოცდილება არაერთგვაროვანია ერთ ოჯახში გაზრდილი ბავშვებისთვის.

4. მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ძლიერი გენეტიკური გავლენა არ ნიშნავს, რომ პიროვნების ნიშანი ერთხელ და სამუდამოდ არის ფიქსირებული ანდა რომ ვერ შეიცვლება გარემოს ზემოქმედებით (Первин Л., Джон О., 2002).

### ეკოლუციური თეორიის პოზიცია

ნიშნების ფსიქოლოგიის მრავალი სპეციალისტი ხუთფაქტორიან მოდელს და ზოგადად ნიშნებს ეკოლუციის თეორიის ჩრდილში განიხილავს. ეს წარმოდგენა ორი კომპონენტისგან აიგება.

*პირველი კომპონენტი* – ვუბრუნდებით რა გოლდბერგის (1990) ფუნდამენტურ ლექსიკურ ჰიპოთეზას – ისაა, რომ ნიშნის ცნება იმისთვის გაჩნდა, რომ ადამიანებს იმ მოქმედებების კატეგორიზაციაში დაეხმაროს, რომლებიც პრინციპულად მნიშვნელოვანია ადამიანის არსებობის პირობებისათვის. ურთიერთქმედების რა ასპექტებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი? გოლდბერგი (1981) ამტკიცებდა, რომ ადამიანები, როდესაც ურთიერთქმედებაში შედიან რომელიმე X პიროვნებასთან, ხუთ ფუნდამენტურ და უნივერსალურ კითხვას სვამენ:

1. ეს X აქტიური და დომინანტურია თუ პასიური და დამთმობი (შემიძლია თუ არა მისი მართვა თუ ის შეეცდება ჩემს მართვას)?
2. ეს X კეთილგანწყობილია (თბილი და სასიამოვნო) თუ არაკეთილგანწყობილი (ცივი და გარიყული)?
3. შემიძლია თუ არა ვენდო ამ X-ს (პატიოსანი და პასუხისმგებლიანია თუ უპასუხისმგებლო და არასანდო)?
4. ჯანსაღი გონება აქვს (სტაბილურია) თუ „ცოტა ვერ არის“ (არაპროგნოზირებადია)?
5. გონებამახვილია თუ ბრიყვი (რამდენად გამიადვილდება მისთვის რაიმეს სწავლება)?

არ არის გასაკვირი, რომ ეს ხუთი კითხვა დიდი ხუთეულის პარამეტრებს ეხმიანება.

*მეორე კომპონენტი* უკავშირდება წარმოდგენას იმის შესახებ, რომ ადამიანები, არიან რა ბიოლოგიური

არსებები, ჰგვანან ადამიანისმაგვარ მაიმუნებს და ამიტომ მათ ზოგიერთი საერთო მახასიათებელი აახლოვებს ერთმანეთთან. ერთ-ერთი ვერსიით, შვიდი ნიშანი გვხვდება როგორც ადამიანებთან, ისე — მაიმუნებთან, ესენია: აქტიურობის დონე, შიშის დონე, იმპულსურობა, ურთიერთობების მოყვარულობა, მზრუნველობა, აგრესიულობა და დომინანტურობა (Buss, 1988). ზოგიერთი ამ ნიშანთაგანი უკავშირდება პროსოციალურ ქცევას, ზოგიერთი — იმას, თუ როგორ ვცდილობთ გარშემომყოფებთან კონფლიქტების გადაწყვეტას ანდა ძალაუფლებისთვის ბრძოლას.

ევოლუციური წარმოდგენების თანახმად, მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებები იმიტომ არსებობს, რომ ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ ბუნებრივი გადარჩევის პროცესში. საფუძვლადმდებარე კითხვა ასე ჟღერს: *როგორ წარმოიქმნება ადაპტაციის ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელი ნიშნები (წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ უნდა არსებობდნენ ისინი)?*

ეს ინდივიდუალური განსხვავებები, სავარაუდოდ, ისეთ ბაზისურ ევოლუციურ ამოცანებს უკავშირდება, როგორცაა გადარჩენა და სახეობის გამრავლება. ისეთი ნიშნები, როგორცაა ექსტრავერსია და ემოციური სტაბილობა (ნეგტორიზმის საპირისპიროდ) შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს პარტნიორის არჩევისთვის, პატიოსნება და თანხმობისთვის მზაობა კი – ჯგუფის გადასარჩენად. ამრიგად, ტერმინები, რომლებიც თანამედროვე ენაში ნიშნებს აღნიშნავენ, იმ ინდივიდუალურ განსხვავებებს ასახავენ, რომლებიც ევოლუციური განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადამიანების წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად იყო მნიშვნელოვანი.

ევოლუციის თეორიის პოზიციიდან ნიშნების თეორიის ხედვა შედარებით ახალია და კიდევ ბევრ მუშაობას საჭიროებს როგორც თეორიული, ისე — კვლევითი თვალსაზრისით, მაგრამ უკვე მნიშვნელოვანია ის, რომ ნაცადია პიროვნების თეორიის ბიოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნება, რომლებიც ადამიანს სხვა ბიოლოგიურ სახეობებთან აერთიანებს. ამ პოზიციის ერთ-ერთი დამცველის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არ გვაქვს არანაირი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენ რაღაც მიზეზებით არ ვხვდებით ევოლუციური ბუნებრივი გადარჩევის მარგანიზებელი ძალების მოქმედების არეალში. პიროვნების თეორიას, რომელიც არ მოდის თანხმობაში ევოლუციის თეორიასთან, ნაკლები შანსი აქვს, რომ ჭეშმარიტი გამოდგეს“ (Buss D. M., 1988, გვ. 461).

## კულტურათა შორის განსხვავებები

ანთროპოლოგები და კროს-კულტურული ფსიქოლოგიის მკვლევრები, ტრადიციულად, ხაზს უსვამენ კაცობრიობის კულტურული ინსტიტუტების დიდ მრავალფეროვნებას და მათ ფუნდამენტურ გავლენას პიროვნების ფსიქოლოგიაზე. ამ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, 1997 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში კოსტა და მაკრეი გამოთქამენ ვარაუდს, რომ პიროვნული განსხვავებების სტრუქტურა ერთნაირია სხვადასხვა კულტურაში და შესაძლოა, უნივერსალურიც კი იყოს. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ პიროვნების ერთი და იგივე, საერთო განზომილებები კულტურული განსხვავებების გაგების საშუალებას იძლეოდეს (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997).

ყველა ენაში არსებობს პიროვნული ნიშნების დახასიათებისთვის განკუთვნილი ტერმინები. პიროვნების სტრუქტურაში ფსიქოლოგები გულისხმობენ, რომ ამ ნიშნებს შორის კოვარიაციის გარკვეული პატერნი არსებობს, რომელიც პიროვნების აღსაწერი შედარებით მცირე რაოდენობისა და ძირითადი განზომილებების ამსახველი ფაქტორების არსებობით გამოიხატება. მაგალითად, ინგლისურენოვან ქვეყნებში ურთიერთობის მოყვარული ადამიანები ენერგიულებიც არიან და ხალისიანებიც და ამიტომ ეს თვისებები NEO-PI-R-ში ერთად განსაზღვრავენ ექსტრავერსიის ფაქტორს.

პიროვნული ნიშნები კულტურის (მაგალითად, აღზრდის სტილის, რელიგიური და მორალური ღირებულებების) გავლენით რომ იყოს ჩამოყალიბებული, მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული პიროვნული ნიშნებისა და ამ ნიშნების გარკვეული სტრუქტურების არსებობა. მაგრამ თუ მივიჩნევთ, რომ პიროვნების ნიშნები ადამიანების აზროვნების, განცდისა და ქცევის უნივერსალური მოდელია, პიროვნების სტრუქტურა უნივერსალურიც შეიძლება იყოს. კოსტა და მაკრეი

(1997) აღნიშნავენ, რომ „უნივერსალურობა შეიძლება სახეობისთვის დამახასიათებელი და ბიოლოგიური საფუძვლის მქონე ნიშნების არსებობით აიხსნას, ან ჯგუფურად ერთად ცხოვრების, აბსტრაქტული აზროვნებისა და საკუთარი მოკვდაობის შესახებ ცნობიერების საერთო გამოცდილების შედეგს წარმოადგენდეს“ (Costa & McCrae, 1997, გვ. 509).

პიროვნება და მისი შეფასება მჭირდოდ უკავშირდება ენას. ყველა ენა შეიცავს ადამიანების პიროვნული დახასიათებისთვის განკუთვნილ სიტყვებს და სოციალიზაციის ერთ-ერთი ნაწილი სწორედ ამ სიტყვებისა და მათი გამოყენების შესწავლას უკავშირდება. ფიზიკური ნიშნებისგან განსხვავებით, პიროვნების ნიშნები აბსტრაქციებია, შესაბამისად, მათი პირდაპირი გაზომვა შეუძლებელია. ამიტომ რაიმე თვალსაჩინო ან ფარული ქცევის მოდელების მიხედვით უნდა შეფასდეს.

პიროვნების სტრუქტურისადმი ლექსიკური ჰიპოთეზის მიდგომის თანახმად, რადგან პიროვნული ნიშნები ასე ცენტრალურია ადამიანური ურთიერთობებისთვის, ენაში ყველა მნიშვნელოვანი თვისება უნდა იყოს ასახული. აქედან გამომდინარე, „ნიშნის ენის“ ანალიზით შესაძლებელი იქნება თავად პიროვნების სტრუქტურის აღმოჩენა.

ხუთფაქტორიანი თეორიის შექმნა თავდაპირველად სწორედ ინგლისურენოვანი ლექსიკონებიდან ნიშნების აღმნიშვნელი სიტყვების ანალიზით დაიწყო. ამავე მეთოდით მოხდა პიროვნული ნიშნების ძირითადი ფაქტორების ძიება არაინგლისურენოვან ქვეყნებშიც, მაგრამ შედეგები არაერთგვაროვანი იყო: ზოგ ქვეყანაში ხუთზე ნაკლები, ზოგან კი – ხუთი, მაგრამ განსხვავებული ფაქტორი გამოვლინდა.

ამ კვლევების შედეგები შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: ან სხვადასხვა კულტურაში პიროვნების სტრუქტურა განსხვავებული, ან ლექსიკური მიდგომა არასრულყოფილი და შეზღუდული პიროვნების სტრუქტურის შესწავლისათვის. უბრალოდ შესაძლებელია, რომ ყველა ნიშნის (თვისების) აღმნიშვნელი ერთი სიტყვა, ზედსართავი სახელი არ არსებობს ენაში. ამასთანავე, ცხადია, აუცილებელია, რომ კულტურათა შედარებისთვის ერთი და იგივე ნიშანი ყველა კულტურაში უნდა შეფასდეს, მაგრამ თუ რაიმე ნიშნის შესატყვისი ერთსიტყვიანი ზედსართავი სახელი არ არსებობს, მაშინ უფრო საიმედო იქნება ისეთი წინადადებების გამოყენება, რომლებიც ამ ნიშნებს შეიცავენ. შესაბამისად, კითხვარები, რომლებიც პიროვნების შეფასებისთვის კონტექსტის მქონე წინადადებებს იყენებენ, კროს-კულტურულად უფრო ადვილი „გადასატანია“, ვიდრე ზედსართავი სახელების ჩამონათვალი.

NEO-PI-R-ის შვიდ სხვადასხვა კულტურაში (გერმანია, პორტუგალია, სამხრეთ კორეა, იაპონია, ჩინეთი, ისრაელი, აშშ) ჩატარებამ აჩვენა, რომ როდესაც ფაქტორული ანალიზის დროს ფაქტორების ბრუნვა ჰიპოთეტური სამიზნე ფაქტორის მიმართ წარიმართა, შედივე შერჩევაში პიროვნების იდენტური სტრუქტურა დაფიქსირდა და ფაქტორული დატვირთვები მეორადი დატვირთვის დონეზეც კი ძალზე მსგავსი იყო. ვინაიდან ეს შვიდი კულტურა ენობრივი და კულტურული მიკუთვნებულობის თვალსაზრისით ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, კოსტა და მაკკრეი მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია ამ კვლევის შედეგების განზოგადება და, მაშასადამე, პიროვნული ნიშნის სტრუქტურა უნივერსალურია ადამიანებისთვის (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997).

NEO-PI-R-ის ფაქტორული სტრუქტურა კულტურულად ინვარიანტულია რამდენიმე სრულიად განსხვავებულ ენაში, მათ შორის გერმანულში, სერბულში, იტალიურში, პორტუგალიურსა და კორეულში. ფაქტორების ბრუნვის შედეგად (targeted rotation) NEO-PI-R-ის ამერიკულ და თარგმნილ ვარიანტებს შორის ფაქტორული შესაბამისობის კოეფიციენტი 0.89-სა და 0.98-ს შორის მერყეობდა, 0.96-ის ტოლი მედიანით. ფაქტორების ასეთი განმეორებადობა მიუთითებს, რომ ინსტრუმენტი განსხვავებულ სოციალურ კონტექსტებშიც ინარჩუნებს კონსტრუქტულ ვალიდობას (McCrae, et al., 1999).

მაკკრეი მოგვიანებით აღნიშნავს, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი უნივერსალური სტრუქტურაა და კროს-კულტურულ კვლევებში უნდა იქნას გამოყენებული, თუმცა, აქვე ყურადღებას ამახვილებს ორ მნიშვნელოვან მომენტზე: (1) ის ფაქტი, რომ ეს ხუთი ფაქტორი უნივერსალურია, არ ნიშნავს, რომ რომელიმე კულტურაში შეუძლებელია დამატებითი ფაქტორის არსებობა; (2) იმ შემთხვევაშიც კი, თუ NEO-PI-R-ის ადმინისტრირების შედეგად ყველა ფაქტორი გამოვლინდა, ეს ფაქტორები ყველა კულტურისთვის არ არის თანაბრად მნიშვნელოვანი. მაგალითად, გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორს შეიძლება



ნაკლები გამოვლენა და შედეგი ჰქონდეს ე. წ. „ტრადიციულ“ კულტურებში, სადაც შეზღუდულია ცხოვრების შესაძლებლობები (McCrae, 2002).

## პიროვნების საკვლევი კითხვარი: NEO PI-R

NEO-PI-R ერთ-ერთია იმ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც პიროვნების ხუტვაქტორიანი მოდელის საფუძველზეა შექმნილი, თუმცა ეს მეთოდი, მისივე ავტორების აზრით, ამ მოდელის პირველად საზომად უნდა მივიჩნიოთ (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992). კოსტა და მაკკრეი 1989 წელს აღნიშნავენ, რომ პიროვნების ხუტვაქტორიანი მოდელი პიროვნების შეფასების სისტემაა და არა პიროვნების სხვა სისტემების შესაცვლელად, არამედ ამ სისტემების ამხსნელ „ჩარჩოდ“ გამოდგება. ამიტომ ხუთი ზოგადი ფაქტორის გაზომვა პიროვნების ნებისმიერი შეფასებისას პირველ, და არა უკანასკნელ, ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს (McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1989). ეს მოდელი იძლევა პიროვნების დახასიათებას მნიშვნელოვანი ასპექტების მიხედვით, ამიტომ ხუთი ფაქტორის მიხედვით ზოგადი შეფასება მრავალ სიტუაციაში შეგვიძლია გამოვიყენოთ.

არსებობს NEO-PI-R-ის ორი ვერსია: S ფორმა თვითშეფასებისთვის და R ფორმა დამკვირვებლის მიერ სხვისი შეფასებისთვის.

S ფორმა 240 დებულებისგან შედგება, რომელთაგან თითოეულის პასუხი ხუთქულიან სკალაზე აღინიშნება. მას ადამიანი თვითონ ავსებს და მისი გამოყენება 17 წელზე უფროსი ასაკის ქალებისა და მამაკაცების შეფასებისთვის არის შესაძლებელი.

R ფორმა თანხლები მეთოდია, რომელიც 240 პარალელური, მესამე პირში ფორმულირებული დებულებისგან შედგება და თანატოლების, პარტნიორის ან ექსპერტის მიერ სხვისი შეფასებისთვის არის განკუთვნილი. ეს ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას პიროვნების იმავე ხუთი სფეროს შესახებ დამოუკიდებელი შეფასებების მისაღებად და განსაკუთრების მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც S ფორმით მიღებული ინფორმაციის გადამოწმება ან შევსება გვსურს.

NEO-PI-R წარმოადგენს NEO-PI-ის გადასინჯულ ფორმას.

კითხვარის ისტორია 1978 წელს დაიწყო, როდესაც კითხვარი NEO – ნეიროტიციზმის (N), ექსტრავერსიისა (E) და გამოცდილებისადმი ღიაობის (O) და 18 ასპექტის გასაზომი ინსტრუმენტი შეიქმნა. 1983 წელს მას დაემატა თანხმობისადმი მზაობის (A) და პატიოსნების (C) განზომილებები. 1985 წელს კითხვარი გამოქვეყნდა, როგორც NEO. 1990 წელს დასრულდა A-სა და C-ს შესაბამისი ასპექტების სკალების შემუშავება და მოდიფიცირდა უკვე არსებული სამი განზომილების სკალები. შეიცვალა 10 საწყისი დებულება, რაც შესაბამისი ასპექტების უფრო ზუსტი გაზომვის საშუალებას იძლეოდა. ეს არის ის ვერსია, რომელსაც NEO-ის მოდიფიცირებულ ვარიანტად ანუ NEO-PI-R-ად მოვიხსენიებთ. მეთოდის ავტორების, კოსტასა და მაკკრეის აზრით, ახალი კითხვარი მომავალშიც სასარგებლო მეთოდად დარჩება, რასაც მრავალრიცხოვანი კვლევა და კლინიკური გამოყენების მაგალითი ადასტურებს (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

ცხრილი 7. სფეროები და ასპექტები, რომელსაც ზომავს NEO-PI-R.

სფეროები	ასპექტები
<b>N – ნეიროტიციზმი</b>	N1: შფოთვა N2: ბრაზიანი აგრესია N3: დეპრესია N4: თვითცნობიერება N5: იმპულსურობა N6: მოწყვლადობა
<b>E – ექსტრავერსია</b>	E1: გულთბილობა E2: გულუხვობა E3: ასერტულობა E4: აქტივობა E5: მღელვარების მიება E6: პოზიტიური ემოციები
<b>O – გამოცდილებისადმი ღიაობა</b>	O1: ღიაობა ფანტაზიის მიმართ O2: ესთეტიურობა O3: ღიაობა გრძნობების მიმართ O4: ღიაობა მოქმედებების მიმართ O5: ღიაობა იდეების მიმართ O6: ღიაობა ღირებულებების მიმართ
<b>A – თანხმობისადმი მზაობა</b>	A1: ნდობა A2: პირდაპირობა A3: ალტრუიზმი A4: მორჩილება A5: თავმდაბლობა A6: გულწვილობა
<b>C – პატიოსნება</b>	C1: კომპეტენცია C2: წესრიგიანობა C3: მოვალეობის გრძნობა C4: მიღწევისაკენ სწრაფვა C5: თვითდისციპლინა C6: წინდახედულება

წყარო: McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr., 1997.

რომლებსაც ზომავს კითხვარი, ხოლო ცხრილში 8 მოცემულია ნიშნების სკალები და მათი შესატყვისი დაბალი და მაღალი ქულების მქონეთა მახასიათებლები.

ცხრილი 8. დიდი ხუთეულის ფაქტორები და საილუსტრაციო სკალები.

მაღალი ქულების შესატყვისი მახასიათებლები	ნიშნის სკალები	დაბალი ქულების შესატყვისი მახასიათებლები
მშფოთვარე, ადევნებული, ემოციური, დაუცველი, არაადეკვატური, იპოქონდრიული	<b>ნეიროტიზმი (N)</b>	მშვიდი, მოშვებული, არაემოციური, ამტანი, დაცული, თვითკმაყოფილი
სოციაბელური, აქტოური, ენაწყლიანი, პიროვნებებზე ორიენტირებული, ოპტიმისტური, მხიარულების მოყვარული, მოსიყვარულე.	<b>ექსტრავერსია (E)</b>	შეკავებული, ფხიზელი, მწირი/არამრავალფეროვანი, გარიყული, ამოცანაზე ორიენტირებული, მორიდებული, წყნარი.
ცნობისმოყვარე, ფართო ინტერესების მქონე, კრეატული, ორიგინალური, წარმოსახვის მქონე, არატრადიციული.	<b>გამოცდილებისადმი ღიაობა (O)</b>	ტრადიციული, მიწაზე დაშვებული, ვიწრო ინტერესების მქონე, არაარტისტული, არაანალიტიკური.

დამუშავების ყველა საფეხურზე NEO-PI-R რაციონალური და ფაქტორულ-ანალიზური სტრატეგიების შესაბამისად ვითარდებოდა. ავტორებმა კითხვარის შექმნა იმ კონსტრუქტებიდან დაიწყეს, რომელთა გაზომვაც სურდათ. მათ შეადგინეს ისეთი დებულებები, რომლებიც, მათი აზრით, ამ კონსტრუქტებს ასახავდა. შემდეგ ეს დებულებები დიდ შერჩევებზე გამოცადეს და მათზე მიღებული პასუხების ფაქტორული ანალიზი განახორციელეს. დებულებები შეირჩა როგორც მათი ფაქტორული დატვირთვების მიხედვით, ასევე იმ პრინციპის დაცვით, რომ კითხვარში შენარჩუნებულიყო დადებითად და უარყოფითად ფორმულირებული კითხვების დაახლოებით თანაბარი რაოდენობა. შემდეგ შეფასდა მიღებული სკალების კონვერგენტული და დისკრიმინანტური ვალიდობა ისეთი გარეშე კრიტერიუმების მიმართ, როგორცაა სხვა, უკვე არსებული სკალები და გაზომვის სხვა მეთოდები. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა თავდაპირველი კონსტრუქტების შეცვლა, რასაც დებულებების შექმნის, გამოცდისა და შერჩევის ახალი სტადია მოსდევდა. ცხრილი 7 იმ სფეროებსა და ასპექტებს ასახავს,

<p>გულჩვილი, კარგი ბუნების, მიმნდობი, დამხმარე, შემწყნარებელი, გულუბრყვილო, სწორხაზოვანი</p>	<p><b>თანხმობისადმი მზაობა (A)</b></p>	<p>ცინიკური, უხეში, ეჭვიანი, არათანამშრომლობითი, შურისმაძიებელი, დაუნდობელი, გაზიდიანებადი, მანიპულატორი</p>
<p>ორგანიზებული, სანდო, შრომისმოყვარე, თვითდისციპლინირებული, პუნქტუალური, სკრუპულოზური, ფაქიზი, ამბიციური, შეუპოვარი.</p>	<p><b>პატიოსნება (C)</b></p>	<p>უმიზნო, არასანდო, ზარმაცი, უდარდელი, მოდუნებული, მოუწესრიგებელი, სუსტი ნებისმყოფის მქონე, ჰედონისტური.</p>

წყარო: ადაპტირებულია Pervin, L. A., 2003.

## ექვსი ძირითადი პრინციპი, რომელიც NEO-PI-R-ის შექმნისას გამოიყენებოდა

### 1. პიროვნების თვისებების იერარქიული სტრუქტურა

კითხვარი ეფუძნება იდეას, რომ თვისებები დალაგებულია იერარქიულად ძალიან ზოგადიდან ძალიან კონკრეტულ თვისებამდე და უნდა შეფასდეს როგორც ზოგადი (ხუთი სფერო), ასევე შედარებით კონკრეტული თვისებები (30 ასპექტი) (იხ. ცხრილი 7). პრიორიტეტი მიენიჭა იმ სფეროებს, რომელთა შესახებაც პიროვნების ფსიქოლოგებს შორის თითქმის უნივერსალური თანხმობა არსებობს და სკალები ისე შეირჩა, რომ ამ სფეროების ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი მხარეები წარმოედგინათ. დებულებების ანალიზისას ჯერ ხდებოდა დებულებების სფეროს დონეზე გაანალიზება და შემდეგ თითოეულ სფეროს შიგნით – ანალიზი ასპექტის განსასაზღვრად.

### 2. კონსტრუქტების გამოყოფა ეფუძნება ფსიქოლოგიურ ლიტერატურას

ის კონსტრუქტები, რომლებსაც NEO-PI-R ზომავს, ავტორების მიერ არ არის შექმნილი. კითხვარის ავტორებმა ლიტერატურის დეტალური ანალიზი განახორციელეს, რათა აღმოეჩინათ ის თვისებები და დისპოზიციები, რომლებიც პიროვნების თეორეტიკოსებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა; რომლებიც ენაში წარმოდგენილი იყო, როგორც თვისების სახელი და პიროვნების შესახებ კვლევებში მოიძებნებოდა. ავტორები მიიჩნევენ, რომ ისეთი ცნებები, როგორიცაა შფოთვა, ასერტულობა და ნდობა, ინგლისურენოვან ქვეყნებში ტესტებით მოსარგებლეთა უმეტესობისთვის ადვილი გასაგებია, რადგან ეს ტერმინები მათთვის ნაცნობია ყოველდღიური და პროფესიული ენიდან.

ათასობით კონსტრუქტიდან, რომელიც ინდივიდუალური განსხვავებების დასახასიათებლად გამოიყენება, შერჩეული კონსტრუქტები მეორდებოდა და, ავტორების აზრით, ეს განმეორებადობა მათ მნიშვნელოვნებაზე მიუთითებდა.

### 3. რაციონალური მიდგომა სკალის შექმნისას

კითხვარის ავტორები სკალების შექმნისას მოდიფიცირებულ რაციონალურ მიდგომას იყენებდნენ. ავტორები თავდაპირველად იღებდნენ იმ კონსტრუქტს, რომლის გამოზმავაც სურდათ და შემდეგ მის შესაბამის დებულებებს ქმნიდნენ. ამ დებულებებზე გასაღების მიხედვით განსაზღვრული მიმართულებით პასუხი მიანიშნებდა შესაბამისი კონსტრუქტის ანუ თვისების არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პასუხები არ განიხილება, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება, ავტორები მათ მაინც განიხილავდნენ, როგორც შესაბამისი თვისების არსებობის დამადასტურებელ საბუთს.

ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ადამიანებს შეუძლიათ და სურთ, რომ გულწრფელად უპასუხონ დებულებებს. დებულებაზე პასუხის ამ თეორიას თვით-გამჭვავება ეწოდება. ავტორების მიერ რაციონალური მიდგომის გამოყენება დებულებების ფაქტორული ანალიზის გამოცდილებას

უკავშირდებოდა, რომლიც შედეგად ყოველთვის მიიღებოდა ისეთი ფაქტორები, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელი იყო. ეს კი მიანიშნებდა, რომ ადამიანები ყოველთვის პასუხობენ დებულებების მანიფესტურ, ხილვად შინაარსს (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

#### 4. ფსიქომეტრული მოთხოვნები

მიუხედავად იმისა, რომ დებულებების ანალიზი რაციონალური მიდგომით შექმნილი დებულებების მთელი წყებით დაიწყო, დებულებების საბოლოო შერჩევა ფსიქომეტრიის ძირითადი პრინციპების გამოყენებით დებულებების ანალიზს ეფუძნებოდა. ავტორებისთვის იმთავითვე გადაწყვეტილი იყო, რომ (1) კითხვარში უნდა ყოფილიყო დადებითად და უარყოფითად კოდირებული დებულებები დათანხმების ეფექტების გასაანეიტრალეზად და გასაკონტროლებლად და (2) თითოეული დებულება მხოლოდ ერთ სკალასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, სკალებს შორის არტეფაქტული კორელაციების თავიდან ასაცილებლად. ავტორებმა დებულებების შესარჩევად ფაქტორული ანალიზი გამოიყენეს, რადგან ის გამოყოფს ისეთ დებულებებს, რომლებიც ერთმანეთთან კორელირებს, მაგრამ ამავე დროს შედარებით დამოუკიდებელია დებულებების სხვა ჯგუფისგან, ანუ დებულებებს, რომლებიც ამჟღავნებენ კონვერგენტულ ვალიდობას იმავე ჯგუფის სხვა დებულებების მიმართ, მაგრამ დივერგენტულ ვალიდობას – სხვა ჯგუფების დებულებების მიმართ.

თუმცა, ავტორების მიერ ფაქტორული ანალიზის გამოყენება ბრმად ემპირიული არ ყოფილა. ანალიზი მათ რამდენიმე მიმართულებით წარმართეს. ფაქტორული ანალიზის მეშვეობით ჯერ სფეროები გამოვლინდა, შემდეგ სფეროებს შიგნით — ასპექტები და, მეორე მხრივ, მოხდა ფაქტორების ბრუნვა (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

#### 5. პარალელური ფორმები

NEO-PI-R-ის განვითარების ადრეულ ეტაპებზე ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ თვითშეფასება არ არის ერთადერთი და აუცილებლად საუკეთესო მეთოდი პიროვნების შეფასებისთვის. თავდაპირველად R ფორმა შეიქმნა S ფორმის გადამოწმება-დადასტურებისთვის, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ ეს ფორმა თავისთავად ღირებული იყო, როგორც პიროვნების შეფასების მეთოდი და ამის შემდეგ იგი ავტორების მიერ სისტემის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად ითვლება. ავტორების თავდაპირველი ჰიპოთეზა, რომ R ფორმის დებულებების შემუშავებისთვის იგივე პრინციპები უნდა ყოფილიყო გამოყენებული, დადასტურდა NEO-PI-R-ის R ფორმის სანდოობის, სტაბილობისა და ვალიდობის მიმართ (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

#### 6. კონსტრუქტული ვალიდიზაცია

სკალის საბოლოო ღირებულებაა უნარი იმისა, რომ გარეშე კრიტერიუმებთან ღირებული კავშირები აჩვენოს, ანუ კავშირები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა ინდივიდუალური შემთხვევების აღწერისას სკალის ქულების შესახებ ვალიდური დასკვნები გაგვეკეთებინა. კვლევისას დიდი ყურადღება ეთმობოდა სფეროსა და ასპექტების სკალების კონსტრუქტულ ვალიდობას. ამ კვლევებმა გავლენა მოახდინა სკალების შექმნაზეც, თუმცა მათ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი ამ სკალების დეტალურ და დახვეწილ ინტერპრეტაციაში შეიტანეს. მაგალითად, როცა ავტორებმა შექმნეს გამოცდილებისადმი ღიაობის სკალა, არ იყო ცნობილი, ეს სკალა გამოდგებოდა თუ არა განსხვავებული აზროვნების სტილისა და მორალური აზროვნების პრედიქტორად, თუმცა შემდეგ ასე აღმოჩნდა და ეს თვისებები ახლა ინტერპრეტაციისას გამოიყენება.

როგორც აღვნიშნეთ, NEO-PI-R ეფუძნება კონცეპტუალურ მოდელს, რომელიც პიროვნების სტრუქტურის შესახებ ფაქტორულ-ანალიზური კვლევის შედეგს წარმოადგენს. სკალების შემუშავება რაციონალური და ფაქტორულ-ანალიზური მეთოდების კომბინაციით მოხდა და ნორმალურ და კლინიკურ

შერჩევებზე თხუთმეტწლიანი ინტენსიური კვლევის საგანს წარმოადგენდა.

პიროვნების კითხვარის შექმნისას მრავალი მიდგომის გამოყენება შეიძლება. ზოგიერთი კითხვარი ისეთი კონსტრუქტების გასაზომად შეიქმნა, რომლებიც ცენტრალურია რომელიმე თეორიისათვის. სხვა მეთოდები შექმნილია იმისთვის, რომ განსაკუთრებული შედეგები იწინასწარმეტყველოს, მაგალითად პათოლოგია ან პროფესიული წარმატება.

სკალები, რომლებიც ასეთი კონკრეტული მიზნით იქმნება, როგორც წესი, საკმაოდ გამოსადეგია ამ მიზნით გამოყენებისთვის, თუმცა შეზღუდულია სხვა დანიშნულებით მათი გამოყენება. ალტერნატიული სტრატეგიაა პიროვნული განსხვავებების ყველა ძირითადი ასპექტის საზომის შექმნა, რომელიც შესაძლებელს გახდის პიროვნების მართლაც მრავალი დანიშნულების მქონე კითხვარის შექმნას. ვინაიდან განმარტების მიხედვით, პიროვნული ნიშნები არის აზროვნების, გრძნობებისა და ქცევის ყოვლისმომცველი და მდგრადი კავშირი, შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი ერთიანი ინსტრუმენტის შექმნა, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა მრავალი კრიტერიუმის გაგებისა და წინასწარმეტყველებისთვის. ასეთი კრიტერიუმებია, მაგალითად, პროფესიული ინტერესები, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და პრობლემების დაძლევის დამახასიათებელი სტილი. კითხვარი NEO-PI-R ყველა ამ მიზნით გამოიყენება: ბიჰევიორალურ მედიცინასა და ჯანმრთელობის ფსიქოლოგიაში, პროფესიული კონსულტირებისას და შრომისა და ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში, ასევე, განათლების ფსიქოლოგიაში (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

კოსტა და მაკკრეი აღნიშნავენ, რომ პიროვნების საკვლევი ყოვლისმომცველი კითხვარის შექმნა თავდაპირველად შეიძლება უიმედო ამოცანად ჩაითვალოს. ენაში ათასობით სიტყვა (ზედსართავი სახელი) არსებობს ადამიანების აღსაწერად და, ასევე, არსებობს პიროვნების თეორეტიკოსების მიერ შემოთავაზებული ასობით თეორიული კონსტრუქტი. ერთ კითხვას შეუძლია მოიცვას თვისებების მთელი ეს დიაპაზონი მხოლოდ იმიტომ, რომ პიროვნების აღწერებს შორის ბევრია გადაფარვა. „დომინანტური“, „ასერტული“, „ძლიერი“ და „გავლენიანი“ ერთსა და იმავე ან მსგავს ქცევებს ან პიროვნებებს აღწერს. შესაბამისად, სკალები, რომლებიც ზომავს ნეიროტიციზმს, ზოგად შფოთვის, ცუდ შეგუებას და ეგოს სიძლიერეს – ყველა ერთსა და იმავე საკითხს ეხება (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

როგორც კოსტა და მაკკრეი (1992) აღნიშნავენ, პიროვნების ბევრი მკვლევრისთვის თანდათან სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ბუნებრივ მეტყველებაშიც და მეცნიერულ თეორიებშიც თემები, რომლებიც მეორდება, ხუთფაქტორიანი მოდელის განზომილებებს ემთხვევა. თუმცა მაშინ, როდესაც კითხვარის ავტორებმა მისი შექმნა დაიწყეს, არ არსებობდა კონსენსუსი ხუთფაქტორიანი მოდელის შესახებ. სამაგიეროდ, არსებობდა მრავალი სხვადასხვა სისტემა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა პიროვნების სტრუქტურის საუკეთესოდ წარმოდგენაზე.

კითხვარის ავტორები აიზენკის, გილფორდის, კეტელის, ბასისა და პლომინის და სხვათა სისტემების შედარების შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს სისტემები საკმაოდ შეთანხმებულები იყვნენ მაღალი რანგის ფაქტორების თაობაზე — ეს განსაკუთრებით ეხებოდა ნეიტროტიციზმს (N) და ექსტრავერსიას (E). ეს ორი განზომილება იმ თვისებების უფრო ზოგადი და ფართო სფეროები აღმოჩნდა, რომლებიც შეიძლება მრავალი სხვადასხვა სახით იყოს მოცემული. კითხვარის ავტორების ძირითადი იდეა ის იყო, რომ შემდგომი კვლევები „ზემოდან“ უნდა დაწყებულიყო: თავიდან უნდა გამოკვეთილიყო თვისებების მაქსიმალურად ფართო სფეროები და შემდეგ უნდა გაანალიზებულიყო თითოეული სფერო, რათა ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოსადეგი თვისებები ანუ ასპექტები გამოკვეთილიყო.

ამ სტრატეგიამ კითხვარის ავტორები მიიყვანა მესამე სფერომდე, რომელსაც გამოცდილებისადმი ღიაობა (O) უწოდეს. შემდეგ ეს სამი თვისება ძირითად სფეროებად აღიარეს და ამ სამი სფეროს გასაზომი ასპექტები განვითარდა. ავტორების თავდაპირველი მოსაზრება კვლევით დადასტურდა. დღესაც ხუთი ფაქტორის, როგორც პიროვნების უზოგადესი განზომილების, არსებობის შესახებ უფრო მეტი შეთანხმება არსებობს, ვიდრე უფრო მეტი ფაქტორის არსებობის შესახებ (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992).

კითხვარის ავტორები და სხვა მკვლევრები, ასევე, მიიჩნევენ, რომ პიროვნების შეფასება მხოლოდ ამ ზოგადი ხუთი სფეროს დონეზე არ არის საკმარისი პიროვნების სრული და დეტალური შესწავლისათვის.

კითხვარის 30 ასპექტი იმიტომ შეირჩა, რომ ეს კონსტრუქტები ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება, როგორც ამ ხუთი სფეროს შიგნით მნიშვნელოვანი განსხვავებების მატარებლები. სფეროსა და ასპექტების სკალების მიწოდებით კითხვარი ახერხებს პიროვნების ინდივიდუალურად და ჯგუფში განსხვავებას. სფეროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, სწრაფად შევიქმნათ წარმოდგენა ძირითადი მახასიათებლების შესახებ, ასპექტების შესაბამისი სკალების ანალიზი კი იმ ცალკეული ფორმების გამოკვლევის საშუალებას გვაძლევს, რომლებითაც გამოხატულია ეს ძირითადი სფეროები.

## მოდელის პრაქტიკული გამოყენება

როგორც უკვე ვთქვით, ხუთფაქტორიანი მოდელს მრავალი თანამედროვე თეორეტიკოსი პიროვნების სტრუქტურის ადეკვატურად წარმოდგენის საფუძვლად მიიჩნევს. გარდა ამისა, NEO-PI პიროვნების ამ ძირითადი პარამეტრების გაზომვის შესაბამის ინსტრუმენტად ითვლება. ეს მოდელისა და პიროვნული კითხვარის პრაქტიკული გამოყენების უზარმაზარ შესაძლებლობებს გულისხმობს, მათ შორის პროფესიის შერჩევაში, პიროვნების ფსიქოდიანოსტიკასა და პათოფსიქოლოგიაში, ასევე, ფსიქოთერაპიული მეთოდების შერჩევაში. ამ მიმართულებების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს, ხოლო შედეგების შესაფასებლად დრო არის საჭირო. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე მაინც შესაძლებელია პრაქტიკული გამოყენების ზოგიერთი შემთხვევის განხილვა (Первин Л., Джон О., 2002).

### პროფესიული მიდრეკილებები

პროფესიული ქცევის სფეროში მომუშავე ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ პიროვნების თვისებები კარიერის იმ სახეობებს უკავშირდება, რომელსაც ადამიანები ირჩევენ და იმას, თუ როგორ მოქმედებენ ისინი ამ პროფესიის ფარგლებში. იდეა ისაა, რომ გარკვეული პიროვნული მახასიათებლების მქონე ადამიანები გარკვეულ პროფესიებს მიანიჭებენ უპირატესობას და უფრო წარმატებულები იქნებიან ამ პროფესიებში. მაგალითად, ხუთფაქტორიანი მოდელის თანახმად, ექსტრავერსიის მაღალი ქულის მქონე ინდივიდები ხშირად ანიჭებენ უპირატესობას და უფრო წარმატებულნი არიან სოციალურ და სამეწარმეო პროფესიებში, ვიდრე ინტროვერტები. თუ სხვა მაგალითს ავიღებთ, ვნახავთ, რომ ადამიანები, რომელთაც მაღალი შეფასებები აქვთ ღიაობის სკალაზე, უფრო ხშირად უნდა ირჩევიდნენ და წარმატებულები იყვნენ მხატვრულ და კვლევის სფეროებში (ანუ ჟურნალისტიკაში, შემოქმედებაში), ვიდრე ნაკლებად ღია ადამიანები. ვინაიდან მხატვრებისა და მკვლევრების პროფესიები ცნობისმოყვარეობას, შემოქმედებითობასა და აზროვნების დამოუკიდებლობას საჭიროებენ, ისინი უფრო შესაბამებიან გამოცდილებისადმი ღიაობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდებს (Первин Л., Джон О., 2002).

### ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

თავად იდეას იმის შესახებ, რომ პიროვნების თვისებები რამენაირად უკავშირდებიან ჯანმრთელობას, სულ მცირე, ძველ ბერძნებთან მივყავართ, რომელთაც სჯეროდათ, რომ არსებობს კავშირი დაავადებასა და ტემპერეტამენტს შორის. თანამედროვე კვლევები აჩვენებენ, რომ ამ რწმენაში არც ისე მცირეა სიმართლის წილი. ამ პრობლემის მრავალწლიანი შესწავლა მიუთითებს პატიოსნების (C) ფაქტორის როლს იმის პროგნოზირებისას, თუ ვინ ცოცხლობს უფრო დიდხანს (Friedman et al., 1995a, 1995b ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). ამ განმეორებით კვლევაში ბავშვების დიდ შერჩევას მკვლევართა რამდენიმე თაობა აკვირდებოდა 70 წლის განმავლობაში, რომლებიც აღნუსხავდნენ, კვლევის რომელი მონაწილე კვდებოდა და რა იყო სიკვდილის მიზეზი. მოზრდილები, რომლებსაც ბავშვობაში (11 წლის ასაკში, მასწავლებლებისა და მშობლების შეფასებით) პატიოსნების მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, შედარებით დიდხანს ცოცხლობდნენ და მათი სიკვდილის ალბათობა ნებისმიერ შემთხვევით შერჩეულ წელს 30%-ზე ნაკლები იყო.

რატომ ცოცხლობენ პატიოსანი ადამიანები უფრო დიდხანს? ანუ რა არის სიცოცხლის ხანგრძლივობაში ასეთი სხვაობების მიზეზი? პირველ რიგში, მკვლევრებმა გამორიცხეს იმის შესაძლებლობა, რომ გარემოს ცვლადები, მაგალითად მშობლების განქორწინება, ხსნიან პატიოსანების მოქმედების ეფექტს. მეორე, პატიოსანი ადამიანების ცხოვრების მანძილზე უფრო მცირეა ძალადობრივი სიკვდილით გარდაცვალების ალბათობა მაშინ, როდესაც ნაკლებად პატიოსანი ინდივიდები ხშირად რისკავენ, რასაც ჩხუბებამდე და უბედურ შემთხვევებამდე მიყვართ. მესამე, პატიოსანი ადამიანები ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი სიგარეტის მოწვევისკენ და დიდი რაოდენობით სასმელის მიღებისკენ. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ პატიოსანება, როგორც ჩანს, გავლენას ახდენს ქცევის მთლიან სისტემაზე, რომელიც ჯანმრთელობას უკავშირდება. ასე მაგალითად, გარდა იმისა, რომ ამ ადამიანების შემთხვევაში მცირეა ალბათობა, რომ ისინი მწველები ან ალკოჰოლიკები გახდნენ, ისინი სავარაუდოდ, რეგულარულად ივარჯიშებენ, დაიცავენ დაბალანსებულ დიეტას, რეგულარულად ივლიან ექიმთან შემოწმებაზე, დაიცავენ ექიმების მიერ რეკომენდებულ რეჟიმს და თავს აარიდებენ დაბინძურებულ გარემოს.

საბოლოო ჯამში, უზრუნველობის შედეგები გროვდება ცხოვრების განმავლობაში და შეიძლება სასვებით დამღუპველი გახდეს ბოლოს. უფრო ზოგადად, პატიოსანების ეფექტი გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელი ან არაჯანმრთელი გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი თავად ინდივიდს ეკუთვნის. ფრიდმანი და მისი კოლეგები (Friedman et al., 1995a, 1995b ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002) ასკვნიან, რომ „მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, რომ თავაშვებულმა, თავხედმა ადამიანების თავებზე გადავლით შეიძლება წარმატებას მიაღწიოს, როგორც ჩანს, ეს მთლად ასე არაა. ასევე, ვერ ვხედავთ ნალოლიავები სიზარმაცის ზეიმსაც. თუ ცხოვრებას სარბენ ბილიკს შევადარებთ, რომელსაც სიკვდილისკენ მიყვართ, გულს უნდა გვიმაგრებდეს და გვაიმედებდეს ის, რომ „კარგი ბიჭები“ ფინიშთან ბოლოები მიდიან“ (გვ. 76).

## პიროვნული აშლილობების დიაგნოსტიკა

ხუთფაქტორიან მოდელსა და NEO-PI-R-ს პიროვნებათშორისი ურთიერთობების ბაზისური ემოციური და მოტივაციური სტილის საზომებად მიიჩნევენ. დიდი ხუთეულზე მომუშავე რიგი მკვლევრების აცხადებენ, რომ პათოლოგიური ქცევის მრავალი სახეობა კარგი იქნება, თუ ნორმალური პიროვნების ნიშნების უტრირებული გამოვლენად შეფასდება (Costa & Widiger, 1994 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). სხვა სიტყვებით, ამ პოზიციის თანახმად, ფსიქოპათოლოგიის მრავალი ფორმა იმავე კონტინუუმზე ხვდება, რომელზეც ნორმა იმის ნაცვლად, რომ რაღაც ცალკე ჯგუფი შექმნას, რომელიც ნიშნების ნორმალური განაწილებისგან განცალკევებულად არსებობს. მაგალითად, აკვიატებული მოქმედებების მქონე პიროვნება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პიროვნება, რომელსაც უკიდურესად აქვს გამოხატული პატიოსანების ფაქტორი, ხოლო ანტისოციალური პიროვნება – როგორც თანხმობისთვის მზაობის უკიდურესად დაბალი მაჩვენებლის მქონე პიროვნება. ეს მაგალითები ცაკლეულ ფაქტორებს შეეხება, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ხუთივე ფაქტორის მიხედვით გაკეთებული შეფასებების პატერნები.

## თერაპია

ხუთფაქტორიანი მოდელი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს შესაბამისი თერაპიის შერჩევისას. კლიენტის პიროვნების ცოდნის პირობებში თერაპევტისთვის უფრო იოლი იქნება მისი პრობლემების პროგნოზირება და მკურნალობის კურსის დაგეგმვა. ამ მოდელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მომენტი ისაა, რომ მას შეუძლია დახმარება გავიწიოს თერაპიის ოპტიმალური ფორმის შერჩევაში (Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R., 1992). აქ იგივე პრინციპია, რაც პროფესიის შერჩევისას: თუ ინდივიდი თავისი პიროვნული თავისებურებებით უფრო წარმატებული იქნება ერთ პროფესიაში, ვიდრე – მეორეში, ზუსტად ასევე მან შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს ერთი ტიპის ფსიქოთერაპიისგან, ვიდრე მეორისგან. მაგალითად, გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები უფრო მეტ

სარგებელს მიიღებენ ისეთი თერაპიისგან, რომელიც მათი შემეცნებითი ძიებისა და ფანტაზიის სტიმულაციას მოახდენს, ვიდრე – ამ ფაქტორზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები. ამ უკანასკნელმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს და მეტი სარგებელი მიიღოს უფრო დირექტიული თერაპიებისგან, მედიკამენტების მიღების ჩათვლით. ერთ-ერთი კლინიცისტი, რომელიც ამ პრობლემაზე მუშაობდა, აღნიშნავს, რომ გამოცდილებისადმი ღიაობის სკალაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე კლიენტისგან მას ხშირად უწევდა დაახლოებით ასეთი რამის მოსმენა: „ზოგიერთი ადამიანი უნდა დააწინო ტახტზე და დედასთან ურთიერთობებზე ალაპარაკო. ჩემი „თერაპია“ ფიზიკურად ვლინდება სავარჯიშო დარბაზში“ (Miller, 1991, p.426 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). პირიქით, გამოცდილებისადმი ღიაობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანმა შეიძლება ფსიქოანალიზში საკუთარი სიზმრების ინტერპრეტაცია აირჩიოს ანდა აქცენტი გააკეთოს თვითაქტუალიზაციაზე, რაც ჰუმანისტური მიდგომისთვის არის დამახასიათებელი.

ხუთფაქტორიანი მოდელს კიდევ ერთი გამოყენება წყვილების კონსულტირებაში მოეძებნა. გავიხსენოთ, რომ NEO-PI-R-ს ორი ფორმა აქვს – თვითშეფასებისთვის და სხვათა შეფასებისთვის. კონსულტირებაში ამ ფორმების გამოყენებით შეიძლება გავაიოლოთ და სტიმული მიცვით თითოეული მეუღლის მიერ საკუთარი თავის, პიროვნული ნიშნებით მეუღლესთან შესაბამისობისა და იმის გაგებას, რომ თითოეული საკუთარ თავს განსხვავებულად ხედავს, ვიდრე მისი პარტნიორი. წყვილების ურთიერთობებში პრობლემა ხშირად ისაა, რომ ინდივიდი საკუთარ თავს იმისგან სრულიად განსხვავებულად ხედავს, ვიდრე მას მისი მეუღლე/პარტნიორი აღიქვამს. ხშირად მათ ეჭვიც კი არ ებადებათ ასეთი განსვლების არსებობის შესახებ და უკვირთ, რატომ აქვთ სირთულეები ურთიერთობაში. მაგალითად, ადამიანი საკუთარ თავს შეიძლება პატიოსნების მაღალი დონის მქონე ექსტრავერტად აღიქვამდეს, მაგრამ მისი პარტნიორი ორივე ფაქტორზე დაბალ შეფასებას აძლევდეს. კონსულტანტმა ასეთი ინფორმაცია შეიძლება იმისათვის გამოიყენოს, რომ პარტნიორებს უკუკავშირი მისცეს აღქმაში განსხვავებების შესახებ და შემდეგ ურთიერთგაუგებრობის კონსტრუქციულ დაძლევაში დაეხმაროს.

## ხუთფაქტორიანი თეორიის შეფასება

### კომენტარები

ამრიგად, ხუთფაქტორიანი მოდელის მომხრეები ვარაუდობენ, რომ ვინაიდან მოდელი ინდივიდის სრულ ფსიქოლოგიურ პორტრეტს იძლევა, ის შეიძლება განსაკუთრებით ღირებული აღმოჩნდეს პროფესიული ორიენტაციის, ფსიქოდიანგნოსტიკისა და თერაპიის სფეროებში. ამ თვალსაზრისით მოდელის ეფექტურობა ისევე, როგორც NEO-PI-R-ის – საზომი ინსტრუმენტის – ეფექტურობა ჯერ კიდევ საკვლევი, თუმცა რამდენიმე მომენტის აღნიშვნა უკვე შესაძლებელია.

პირველ რიგში, ეს მიმართულება მხოლოდ ახლა ვითარდება და ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, რამდენად ეფექტური აღმოჩნდება ეს ხუთი ფაქტორი პიროვნების მრავალგვარი ტიპის გამოვლენაში, რომელზეც დამოკიდებულია წარმატება პროფესიათა უმრავლესობაში, ანდა რამდენად ეფექტური იქნება ისინი კლინიცისტებისთვის საინტერესო ფსიქოპათოლოგიის მრავალფეროვანი ფორმების გამოვლენაში.

მეორე, დღეისათვის მოდელი უფრო მეტს გვპირდება ფსიქოპათოლოგიის სხვადასხვა ფორმის გამოვლენის და არა – ამ აშლილობების ახსნის მიმართულებით (Miller, 1991 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). თუ პიროვნების სხვა თეორიები მრავალი პიროვნული აშლილობის გამოვლენის ახსნის საშუალებას იძლევიან (მაგალითად, სტადიური განვითარების ფსიქოანალიტური თეორია), ხუთფაქტორიანი მოდელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ამ პრობლემებს.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოდელში არ მოიაზრება მისი თერაპიული მიდგომა. სხვა თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანების მკურნალობას, ხუთფაქტორიანი მოდელი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ იცვლებიან ადამიანები.



## კამათი ადამიანისა და სიტუაციის შესახებ

ბოლო 20-25 წლის მანძილზე ნიშანთა თეორიას სერიოზულ კრიტიკასთან მოუწია შეჯახება, რომელიც მისთვის ძალზე არსებით – პიროვნების თვისებების სტაბილურობისა და მუდმივობის შესახებ დებულებებს შეეხებოდა. როგორც აღნიშნავენ მაკკრეი და კოსტა (1994), ნიშნების პოზიცია არც ისე პოპულარულია. ნიშნების თეორიის კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქცევა გაცილებით მეტად ვარიირებს სიტუაციიდან სიტუაციამდე, ვიდრე ამას ნიშნების თეორია მოიაზრებს. მეტიც, ისინი აცხადებენ, რომ ნიშნების თეორია არც ისე ეფექტურია ქცევის წინასწარმეტყველებაში. *ადამიანის* ზოგადი წინასწარი მიდრეკილებების ნაცვლად ბევრი ამ კრიტიკოსთაგანი აქცენტს აკეთებს *სიტუაციის* მნიშვნელოვნებაზე ანდა გარემოს მხრიდან წამოსულ დაჯილდოვებაზე. ამიტომ უკვე გარკვეული ხანია მიდის დებატები იმის შესახებ, თუ რითი აიხსნება ქცევის განმეორებადობა – ადამიანის თავისებურებებით, როგორცაა, მაგალითად, პიროვნების ნიშნები, თუ სიტუაციის თავისებურებებით. ამ კამათში წარმოიქმნა კონტროვერსა *ადამიანი-სიტუაცია*.

პიროვნული ნიშნების სტაბილურობის საკითხის განხილვისას სტაბილურობის ორი ასპექტი გამოიყოფა: ლონგიტუდური და კროს-სიტუაციური. პირველი – ლონგიტუდური ასპექტი – შემდეგ კითხვას უკავშირდება: თუ ადამიანს ერთი რომელიმე ნიშანი აქვს მკვეთრად გამოკვეთილი დროის ერთ მომენტში, იქნება თუ არა იგივე ნიშანი გამოკვეთილი დროის მეორე მომენტში? მეორე – კროს-სიტუაციური ასპექტი – უკავშირდება მეორე კითხვას: თუ ადამიანს ერთ სიტუაციაში გამოუვლინდა ერთი გარკვეული ნიშანი, გამოვლინდება თუ არა იგივე ნიშანი სხვა სიტუაციაში? ნიშნის თეორიის მომხრეები ვარაუდობენ, რომ დებულება სწორია, ანუ ადამიანები სტაბილურები არიან თავიანთი ნიშნების გამოვლენაში როგორც დროში, ისე – სხვადასხვა სიტუაციაში. მაგრამ სწორედ ეს დაშვებები სტაბილურობის შესახებ, განსაკუთრებით კროს-სიტუაციურ ასპექტში, ხვდება სიტუაციონიზმის მომხრეთა კრიტიკის ქარ-ცეცხლში.

### ქცევის არაკონსისტენტურობის წყაროები

1. დრო, შემთხვევები – დროში მდგრადობა.

მაგალითი: მეგობრულობა ორშაბათს და მეგობრულობა შაბათს.

2. სტიმული, ობიექტი

მაგალითი: მეგობრულობა მამასთან მიმართებაში და მეგობრულობა მეგობართან მიმართებაში.

3. რეაქციები, ქცევები

მაგალითი: მეგობრულობა, ენაწყლიანობა და გამხედაობა.

პუნქტუალურობა და სანდომიანობა

4. სიტუაციები, კონტექსტები, გარემოებები

მაგალითი: მეგობრულობა სახლში და მეგობრულობა სამსახურში.

აქ მხოლოდ ორს განვიხილავთ: დროში მდგრადობას ანუ კონსისტენტურობას და კროს-სიტუაციურ მდგრადობას.

### ნიშნების დროში მდგრადობა

არსებობს ნიშნების ლონგიტუდური სტაბილურობის არც ისე ცოტა კარგი დასაბუთება, რომელიც დროის საკმაოდ გრძელ მონაკვეთებში სტაბილურობაზე მიუთითებს. ერთ-ერთ კვლევაში ამტკიცებენ, რომ ადამიანთა უმრავლესობა ნაკლებად იცვლება 30 წლის ასაკის შემდეგ: „30 წლის შემდეგ ადამიანთა უმრავლესობის ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები ხდება. ისინი შეიძლება დაქორწინდნენ, განქორწინდნენ, კიდევ დაქორწინდნენ... შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი... და მაინც მათი უმრავლესობა არ იცვლება პიროვნების ხუთიდან არც ერთი ბაზისური პარამეტრის მიხედვით“ (McCrae & Costa, 1990, გვ. 87 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). ეს დასკვნა შეიძლება უცნაურად და გასაკვირად მოგეჩვენოთ, თუ ცხოვრებისეული „სეზონების“ და საშუალო ასაკის კრიზისის შესახებ

დისკუსიებს გავითვალისწინებთ. მიუხედავად მრავალი ასეთი მოვლენის შესაძლო მნიშვნელოვნებისა, ავტორები ვარაუდობენ, რომ პიროვნების საფუძველი არ იცვლება. მეტიც, სტაბილურობის განცდა, რომელიც თვითშეფასებებისგან იგება, გარეგანი დამკვირვებლების შეფასებებითაც დასტურდება: „ქმრებისა და ცოლების წარმოდგენები ერთმანეთზე ამყარებენ მოსაზრებას პიროვნების სტაბილობის არსებობის შესახებ“ (McCrae & Costa, 1990, p. 87 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

საიდან აქვს პიროვნებას ასეთი ხანგრძლივი სტაბილობა? ეს ნაწილობრივ გენეტიკური ფაქტორების საქმეა, რომელთაც წვლილი შეაქვთ პიროვნების ნიშანში. გარდა ამისა, ადამიანები თავად ირჩევენ და აყალიბებენ თავიანთ გარემოს ისე, რომ განამტკიცონ და გააძლიერონ პიროვნების უკვე არსებული ნიშნები. ექსტრავერტი არა მხოლოდ ელოდება სიტუაციას, რომ სხვებს ეკონტაქტოს, არამედ ეძებს და აგროვებს კომპანიას და ხშირად სხვებსაც უბიძგებს ექსტრავერტულად მოქცევისკენ. და ბოლოს, ინდივიდზე წარმოდგენის ერთხელ შექმნის შემდეგ ადამიანები მის მიმართ ისე იქცევიან, რომ განამტკიცონ და გაამყარონ უკვე არსებული მახასიათებლები. საბოლოოდ, ადამიანი შეიძლება იცვლებოდეს კიდეც, მაგრამ მოქმედებას იწყებენ მძლავრი ძალები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე სტაბილობის შენარჩუნებაზე არიან მიმართულნი. ასეთ სტაბილობას, ნიშნების თეორიის მომხრეთა აზრით, დიდი ადაპტური ღირებულება აქვს: „იმის წყალობით, რომ პიროვნება სტაბილურია, ცხოვრება გარკვეულწილად პროგნოზირებადი ხდება. ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ პროფესიული არჩევანი გარკვეული დარწმუნებულობით, რომ მათი ინტერესები და ენთუზიაზმი სწრაფად არ გაქრება. მათ შეუძლიათ მეგობრებისა და პარტნიორების არჩევა, რომელთანაც თავსებადობას საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნებენ... მათ შეუძლიათ, განსაზღვრონ, რომელ თანამშრომლებთან შეძლებენ კარგად მუშაობას და რომელთან — ვერა. სტაბილობის პირადი და საზოგადოებრივი სარგებელი კოლოსალურია“ (McCrae & Costa, 1994, p. 175 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

### ნიშნების კროს-კულტურული მდგრადობა

კროს-სიტუაციური შეთანხმებულობის პრობლემა უფრო რთულია, ვიდრე ლონგიტუდური შეთანხმებულობისა. რის საფუძველზე ვასკვნით, რომ პიროვნება თანმიმდევრულად და შეთანხმებულად იქცევა სხვადასხვა სიტუაციაში? ადამიანისთვის, როგორც ჩანს, არანაირი აზრი არ აქვს, რომ სრულიად ერთნაირად მოიქცეს ყველა სიტუაციაში და ნიშანთა თეორიის მომხრენიც არ ფიქრობენ ასე. პრაქტიკულად არ უნდა ველოდოთ აგრესიულობის გამოვლენას რელიგიური ცერემონიის დროს ანდა კეთილგანწყობის გამოვლენას — საფეხბურთო მატჩის მსვლელობისას. ნიშნების თეორიის პოზიცია ისაა, რომ შეთანხმებულობა ვლინდება სიტუაციათა გარკვეულ სპექტრში, სადაც მრავალი სხვადასხვა მოქმედება რეალურად ერთსა და იმავე ნიშანს გამოხატავს.

სიტუაციათა ამ დიაპაზონის სიფართოვის პრობლემასთან დაკავშირებით, ნიშანთა თეორიის მომხრენი ამტკიცებენ, რომ შეცდომა იქნებოდა ერთ სიტუაციაში ქცევის გაზომვა და ამის ჩათვლა ნიშნის გამოკვეთილობის მაჩვენებლად. ერთადერთი სიტუაცია შეიძლება არარელევანტური იყოს მოცემული ნიშნისთვის და მაშინ გვექნება გაზომვის შეცდომა. ამავე დროს, სიტუაციათა ფართო დიაპაზონი რელევანტური და სანდო გაზომვების მიღების გარანტიას გვაძლევს. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უყვართ ნიშნების თეორეტიკოსებს კითხვარები, სწორედ ისაა, რომ კითხვარები ქცევის სიტუაციათა ფართო დიაპაზონში შეფასების შესაძლებლობას იძლევა, რისი გაკეთებაც შეუძლებელია სხვა საშუალებებით.

შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქმედებები, რომლებიც განსხვავებულად აღიქმება, ფაქტობრივად, შეიძლება ერთი და იგივე ნიშნის გამოხატულება იყოს. ასე მაგალითად, ენაწყლიანობა, ბევრი მეგობრის ყოლა და მძაფრი განცდების ძიება — ეს ყველაფერი ერთი ნიშნის, კერძოდ, ექსტრავერსიის გამოვლინებაა. ვარაუდობენ, რომ ეს ნიშანი სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ქცევით გამოვლინდება. თუ არსებობს ფართო დიაპაზონში ასეთი დაკვირვებებისა და გაზომვების განხორციელების შესაძლებლობა, მაშინ ხშირად ფიქსირდება ქცევის შეთანხმებულობა (Buss, D. M., & Craik, K. H., 1983 ციტირებულია წყაროში Pervin & John, 2002).

დასასრულს, ადამიანის ფუნქციონირების შეთანხმებულობის დასაბუთებების მოპოვების მეთოდების შესახებ ვისაუბროთ. შეთანხმებულობის დამადასტურებელი ფაქტები უფრო მეტია, როდესაც თვითანგარიშისა და ბუნებრივ სიტუაციებში დაკვირვების მონაცემები გამოიყენება და არა — ლაბორატორიული ტესტები. რატომ? იმიტომ, რომ ლაბორატორიული სიტუაციები არ ტოვებენ ადგილს რეაქციების ფართო დიაპაზონისთვის. ეს დამოუკიდებელი ცვლადების კონტროლირებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობას უკავშირდება. გარდა ამისა, რეალური სამყაროსგან განსხვავებით, ლაბორატორიული ტესტები არ იძლევიან სიტუაციის ძიების, შერჩევისა და ფორმირების საშუალებას. რეალურ სამყაროში ადამიანები შეთანხმებულად და თანმიმდევრულად იქცევიან ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი თავად არჩევენ და ქმნიან სწორედ იმ სიტუაციებს, რომლებიც მოქმედებენ მათ ქცევაზე (Caspi & Bem, 1990 ციტირებულია წყაროში Pervin & John, 2002).

## დასკვნა

რა ვითარებაა კამათის ადამიანი-სიტუაციის მიხედვით? შეგვიძლია საბოლოო დასკვნის გაკეთება დღეისათვის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით? სამართლიანი განაჩენი ასეთია: ნიშნების შეთანხმებულობა პრინციპში დასტურდება, თუმცა უფრო მეტი შეთანხმებულობა შეიმჩნევა გარკვეული სიტუაციური კატეგორიების *ფარგლებში* (მაგალითად, სახლი, სკოლა, სამსახური, მეგობრები, დასვენება) და არა – *მათ შორის*. ვინაიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანების ქცევას სიტუაციათა შეზღუდულ დიაპაზონში ვაკვირდებით, ქცევის შეიძლება უფრო მეტად შეთანხმებული გვეჩვენებოდეს, ვიდრე რეალურად არის.

გარდა ამისა, დასკვნები კროს-სიტუაციური შეთანხმებულობის შესახებ ფსიქოლოგის თეორიული პოზიციის შესაბამისად იცვლება. არსებობს მტკიცებულებები როგორც გარკვეული კროს-სიტუაციური შეთანხმებულობის სასარგებლოდ, ისე — გარკვეული კროს-სიტუაციური ცვალებადობის შესახებ. ადამიანები გარკვეულწილად ჰგვანან საკუთარ თავებს კონტექსტისგან დამოუკიდებლად და გარკვეულწილად – არა კონტექსტიდან გამომდინარე. ნიშნების თეორიის მომხრეები ამ მტკიცების პირველი ნაწილის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ არიან და მათი პოზიციის დამადასტურებელ საბუთებს უზრუნველყოფენ მაშინ, როცა სიტუაციონიზმის თეორეტიკოსების შთაგონების წყაროს იმავე მტკიცების მეორე ნაწილი წარმოადგენს და ისინიც პოულობენ თავიანთი სიმართლის დადასტურებებს (Фрейджер, Р. Фейдимен Дж., 2001).

## კონკრეტული შემთხვევის ანალიზი: 69 წლის მამაკაცი<sup>18</sup>

კონკრეტული შემთხვევების მაგალითები იშვიათად გვხვდება ნიშნების თეორიის შესახებ ლიტერატურაში მიუხედავად იმისა, რომ ის სწორედ ინდივიდუალური განსხვავებებით არის დაკავებული. NEO-PI-R-ის გამოჩენით მივიღეთ კონკრეტული ინდივიდების აღწერა ნიშნების ფსიქოლოგიის პოზიციიდან. როგორც უკვე ვთქვით, NEO-PI-R 240 დებულებიანი თვითანგარიშის კითხვარია, რომელშიც ადამიანი თითოეულ დებულებაზე საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ხუთქულიან სკალაზე. ქულები ჯამდება ხუთი ბაზისური ფაქტორის მიხედვით. გარდა ამისა, თითოეული „დიდი“ ფაქტორისთვის მიიღება უფრო კონკრეტული *ასპექტების*<sup>19</sup> შეფასება, რომლებიც ამ ფაქტორს ქმნიან. ეს ასპექტები ფაქტორის შიგნით უფრო ზუსტი, დეტალური ანალიზის შესძლებლობას იძლევა.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აღწერილია 69 წლის მამაკაცი, რომელმაც ფსიქოლოგიური დახმარებისთვის მიმართა ფსიქოლოგიურ კლინიკას მკერდში ტკივილებითა და სისხლის მაღალი წნევით. ეს იყო წვრილი მეწარმე, რომელმაც ორი წლის წინ კორონარული სისხლძარღვების შუნტირება გადაიტანა


<sup>18</sup> მასალა აღებულია გამოცემიდან: NEO Personality Inventory Manual, © 1985, by PAR, Inc.

<sup>19</sup> facets.

და ემინოდა, რომ შეიძლება მომკვდარიყო და ცოლი და ბიზნესი დაუცველად დაეტოვებინა. მან პირველ შეხვედრაზე თქვა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა შფოთვის, განსაკუთრებით სოციალურ სიტუაციებში და უცნობ გარემოში. ინტელექტი აშკარად საშუალოზე მაღალი ჰქონდა.

სურათზე N4 მოცემულია პაციენტის შეფასებები ხუთი ფაქტორისა და თითოეული ფაქტორის ასპექტების მიხედვით. გარდა ამისა, ამავე სურათზე წარმოდგენილია პაციენტის ცოლის მიერ გაკეთებული შეფასებები იმავე პარამეტრების მიხედვით. ამგვარად, როგორც თვითშეფასება (S ფორმა), ისე – გარეშე შეფასება (R ფორმა) ერთ გრაფიკზეა მოცემული და ადვილია მათი შედარება. მთლიანობაში პაციენტის თვითშეფასებაც და გარეშე დამკვირვებლის (მეუღლის) შეფასებაც არც ისე ცუდად თანხვედბა ერთმანეთს. ერთიც და მეორეც წარმოაჩენს მას, როგორც გამოცდილებისადმი ღია, პატიოსან ინტროვერტს. ყველაზე მეტი განსვლა ნევროტიზმის ასპექტებზე მოდის, განსაკუთრებით თვითცნობიერებასა (4) და მოწყვლადობაზე (6). მეუღლე აშკარად ბოლომდე ვერ აფასებს ქმართან ამ ნიშნების გამოკვეთილობას, წყვილთან ერთად შედეგების განხილვამ კი აჩვენა, რომ ქმარი უხალისოდ უზიარებს ცოლს თავის სტრესულ განცდებს. მათ შორის უფრო ღია კომუნიკაცია კლიენტის შიშებისა და მოწყვლადი მხარეების შესახებ თერაპიის მიზნად იქნა დასახული.

სურ. N4. 69 წლის მამაკაცის თვითშეფასება (S ფორმა) და მისი ცოლის შეფასება (R ფორმა) ასპექტებისა და ჯამური პარამეტრების მიხედვით NEO-PI-R-ზე (Costa & McCrae, 1992, p.27).



### პიროვნების ზოგადი აღწერა დიდი ხუთეულის ტერმინებით

69 წლის მამაკაცის ინდივიდუალურობის ყველაზე გამორჩეული ნიშანი მისი ნეიროტიციზმია. ამ ფაქტორზე ასეთი მნიშვნელობის მქონე ინდივიდები მიდრეკილნი არიან ინტენსიური ნეგატიური ემოციების განცდისკენ და ხშირად განიცდიან ძლიერ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს. ისინი პირქუშნი, ზემოგრძობიარენი და თავიანთი ცხოვრების მრავალი ასპექტით იმედაცარუებულნი არიან. როგორც წესი, მათ დაბალი თვითშეფასება და არარეალისტური იდეები და მოლოდინები აქვთ. ესენი მშფოთვარე ადამიანები არიან, რომლებიც მუდმივად ნერვიულობენ საკუთარ თავსა და გეგმებზე. მეგობრები და

მეზობლები მათ, ჩვეულებრივ, ნერვიულ, დამაბულ („სიმივით დაჭიმულ“), მოწყვლად ადამიანებად თვლიან, რომლებიც სხვა ჩვეულებრივ საშუალო ადამიანებთან შედარებით მეტად იქექებიან საკუთარ თავში.

*ნეიროტიციზმის* სკალები-ასპექტები გვიჩვენებენ, რომ ეს ადამიანი, როგორც წესი, შფოთავს, სავსეა ავის მომასწავებელი წინათგრძნობებით და ნებისმიერი მიზეზით ნერვიულობისკენ არის მიდრეკილი. ის ხშირად ბრაზობს სხვებზე, ვინაიდან მათ თვლის საკუთარი მარცხების მიზეზად, თუმცა წარუმატებელი პერიოდები სულაც არ აქვს სხვებზე ხშირად. ხშირად მისთვის პრობლემად იქცევა საკუთარი უხერხულობა და მორცხვობა, როდესაც უცნობ ადამიანებთან უწევს საქმის დაჭერა. თავად ამბობს, რომ კარგად აკონტროლებს საკუთარ მისწრაფებებსა და სურვილებს, თუმცა არ შეუძლია სტრესთან გამკლავება.

ამ ადამიანს ძალიან მაღალი შეფასება აქვს *პატიოსნების* ფაქტორზე. ამ ფაქტორზე ასეთი მნიშვნელობის მქონე მამაკაცები მოწესრიგებულად ცხოვრობენ, კარგად გააზრებული გეგმების წყალობით ცდილობენ თავიანთი მიზნების მიღწევას. ისინი მიღწევის ძლიერი მოთხოვნილებით ხასიათდებიან. როგორც წესი, მოწესრიგებულები, პუნქტუალურები, კარგად ორგანიზებულები არიან და ყველა ვალდებულებას ასრულებენ, რასაც საკუთარ თავზე იღებენ. ისინი ძალიან სერიოზულად უდგებიან თავიანთ მორალურ, მოქალაქეობრივ და პირად მოვალეობას და საქმეს სიამოვნებაზე წინ აყენებენ. მათთვის დამახასიათებელია მაღალი კომპეტენტურობა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და კარგი დისციპლინა. გარე დამკვირვებლები ასეთ ადამიანებს აღწერენ, როგორც კეთილსინდისიერებს, სანდოებს, გულმოდგინეებსა და მიზანდასახულებს.

ასევე, 69 წლის მამაკაცს ძალიან მაღალი შეფასება აქვს *გამოცდილებისადმი ღიაობის* ფაქტორზე. ამ ფაქტორზე ასეთი მაღალი მნიშვნელობის მქონე ადამიანებს ძლიერი ინტერესი აქვთ საკუთარი თავის მიმართ. ისინი სიახლისკენ და მრავალფეროვნებისკენ ისწრაფვიან და მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებენ სირთულეებს. ისინი საკუთარი გრძნობებისადმი მომატებული ყურადღებითა და სხვა ადამიანების ემოციების ამოცნობის უნარით გამოირჩევიან; ძალზე მგრძობიარენი არიან სილამაზისადმი ხელოვნებასა და ბუნებაში. სწრაფვა ახალი იდეებისკენ და ღირებულებათა ალტერნატიული სისტემებისადმი მათ განსაკუთრებით მომთმენს ხდის ადამიანებისადმი და არატრადიციული მოსაზრებებისა და განწყობების მიღების შესაძლებლობას აძლევს. გარშემომყოფები ასეთ ადამიანებს შთაბეჭდილებიანად, მდიდარი წარმოსახვის მქონედ, გაბედულებად, დამოუკიდებლად და შემოქმედებითებად მიიჩნევენ.

ჩვენმა კლიენტმა ძალიან დაბალი შეფასება მიიღო *ექსტრავერსიის* ფაქტორზე. ასეთი შეფასების მქონე ადამიანები საკმაოდ ინტროვერტირებულები არიან. ამჯობინებენ, რომ უმრავლესი საქმე დამოუკიდებლად ან მცირე ზომის ჯგუფში აკეთონ. ისინი გაურბიან დიდ და ხმაურიან წვეულებებს და ვერ იღებენ სიამოვნებას ახალ ადამიანებთან ნაცნობობით. ისინი კომპანიებში, ჩვეულებისამებრ, შეუმჩნეველნი და პასიურები არიან. იშვიათად განიცდიან ძლიერ დადებით ემოციებს, როგორცაა ტკბობა ან აგზნება. ისინი, ვინც კარგად იცნობენ ასეთ ადამიანებს, ალბათ, იტყვიან, რომ ისინი ჩაკეტილები, სერიოზულები, მორცხვები არიან და მარტოობას ამჯობინებენ. ის ფაქტი, რომ ეს ადამიანები ინტროვერტები არიან, აუცილებლად არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვს ურთიერთობის უნარ-ჩვევები. მრავალი ინტროვერტი წარმატებით ფუნქციონირებს სიტუაციებში, რომლებიც ურთიერთობას მოითხოვს, თუმცა ამჯობინებენ, რომ თავი აარიდონ ასეთ სიტუაციებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ინტროვერსიას აუცილებლობით არ ახლავს თან განვითარებული ინტროსპექცია. ეს ადამიანები მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან მიდრეკილნი მსჯელობისკენ და რეფლექსიისკენ, როდესაც მათ პარალელურად გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

*ექსტრავერსიის* შემთხვევაში სკალა-ასპექტები გვიჩვენებს, რომ ჩვენს კლიენტს პიროვნებათმორის ურთიერთობებში საშუალო დონის სითბო ახასიათებს, თუმცა იშვიათად იღებს სიამოვნებას დიდი და ხმაურიანი თავყრილობებისგან და წვეულებებისგან. მისთვის არც ისე იოლია თვითდამკვირდება და ჯგუფური დისკუსიებისა და შეკრებების დროს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. მისი ენერგიულობა და აქტივობის დონე საშუალოა. აგზნება, სტიმულაცია და სხვადასხვა მძაფრი განცდები ნაკლებად იზიდავს,

მაგრამ სიხარულსა და ბედნიერებას იმდენადვე განიცდის, რამდენადაც სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი.

და ბოლოდ, *თანხმობისთვის მზაობის* შეფასება ამ მამაკაცს ყველაზე საშუალო აქვს. ამ ფაქტორზე ასეთი მაჩვენებლის მქონე ადამიანები დიდად არაფრით გამოირჩევიან სხვებისგან გარშემომყოფებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. მათ შეუძლიათ თანაგრძნობა, მაგრამ შეუძლიათ იყვნენ უხეშებიც; ენდობიან ადამიანებს, მაგრამ არ არიან გულუბრყვილო კეთილი ადამიანები და კონკურენციისთვისაც ისევე არიან მზად, როგორც – თანამშრომლობისთვის.

## პიროვნული ნიშნების ზოგიერთი შესაძლო შედეგი

ყოველდღიურ სტრესებთან გამკლავებისას ამ ინდივიდს, სრულიად შესაძლებელია, რომ მათზე არაეფექტური, არაკონსტრუქციული რეაქციები აქვს; ისეთი, როგორცაა მტრული დამოკიდებულება სხვების მიმართ, თვითდადანაშაულება და გადამრჩენელი ფანტაზიები. საფრთხის, დანაკარგის ან გამოწვევის შემთხვევაში ის ხშირად მიმართავს იუმორს და იშვიათად – რწმენას. გარდა ამისა, პრობლემებთან შეჯახებისას, გარკვეულწილად, ნაკლებად არის მიდრეკილი პოზიტიური აზროვნებისკენ და პირდაპირ მოქმედებისკენ.

თუ *სომატურ ჩვილებზე* ვილაპარაკებთ, ეს ადამიანი შეიძლება ზემგრძნობიარე იყოს საკუთარი ფიზიკური ჯანმრთელობისადმი, დიდ ყურადღებას იჩენდეს ნებისმიერი შეუძლოდ ყოფნისადმი და მწვავედ რეაგირებდეს ავადმყოფობაზე. თუ საკითხის სამედიცინო მხარეზე ვილაპარაკებთ, ექიმებმა ყოველთვის უნდა ეძებონ მისი სუბიექტური ჩვილების ობიექტური დასაბუთებები.

*ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის* განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მისი გუნება-განწყობილება და საკუთარი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტით დაკმაყოფილება გარემოებების შესაბამისად შეიცვლება. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს ადამიანი ცხოვრებისეული უსიამოვნებებისადმი უფრო მგრძნობიარე იქნება, ვიდრე – ჯილდოებისადმი და სიხარულებისადმი და, ამგვარად, თავს შედარებით უბედურად იგრძნობს. ვინაიდან ის ღიაა გამოცდილებისადმი და ინტროსპექციისადმი, მისი განცდები შეიძლება უფრო ღრმა იყოს და გუნება-განწყობილება უფრო მეტად შეიცვალოს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ საშუალო ადამიანთან ხდება, მაგრამ რადგან ჩვენს კლიენტს *პატიოსნების* მაღალი მაჩვენებელი აქვს, მისი მიღწევები და კომპეტენტურობა ცხოვრებით კმაყოფილების უფრო ძლიერ გრძნობას ბადებს.

თუ *კოგნიტურ პროცესებზე* ვილაპარაკებთ, მისი აზროვნება, ღირებულებები და ზნეობრივი პრინციპები უფრო რთული და დიფერენცირებული უნდა იყოს, ვიდრე მისი დონის ინტელექტისა და განათლების მქონე სხვა ადამიანებისა. ვინაიდან ღიაა გამოცდილებისადმი, მეტად ალბათურია, რომ ის სხვებზე უკეთ ასრულებს დივერგენციული აზროვნების ტესტს, ანუ შეთავაზებული ამოცანების უფრო სწრაფი, მოქნილი და ორიგინალური გადაწყვეტების მოძებნას შეძლებს. დიდია ალბათობა, რომ ის შემოქმედებითი ადამიანი იქნება როგორც სამსახურში, ისე – თავის გატაცებებში.

და ბოლოს, ამ ინდივიდს, ალბათ, კარგად ექნება გამოკვეთილი შემდეგი მოტივები და მოთხოვნილებები: მიღწევის, კოგნიტური სტრუქტურირებულობის, მიზნისკენ დაბეჯითებული სწრაფვის, ზიანისთვის (საფრთხისთვის) თავის არიდების, წესრიგის, გრძნობითი გამოცდილების (სენსორული დაკმაყოფილების და ესთეტიკური გრძნობის). ასევე, ნაკლებად ექნება გამოხატული შემდეგი მოთხოვნილებები: დომინირების, სხვების დამცირების და იმპულსურობის.

## თერაპიის შედეგები

ვინაიდან პაციენტს გამოცდილებისადმი ღიაობის ძალიან მაღალი დონე აქვს, ის მგრძნობიარე აღმოჩნდა ისეთი მეთოდისადმი, რომლებიც სისხლის წნევისა და ნერვული დაძაბულობის შესამცირებლად წარმოსახვასა და თვითშთაგონებას იყენებენ. პატიოსნების მაღალი დონის წყალობით, ის რეგულარულად ივარჯიშებდა ამ ახალ უნარებს სახლში. შედეგად მეთე სენსის ბოლოს მან მნიშვნელოვნად მოიწესრიგა წნევა და სპეციალური თერაპიის გარეშე ცხოვრებაც შეძლო.

## ნიშნების თეორიის შეფასება

### მოცემული მიდგომის ღირსებები

#### აქტიური კვლევითი საქმიანობა

ამ სფეროში მომუშავე ყველა ფსიქოლოგს აერთიანებს დიდი აქტიურობა ემპირიული კვლევების სფეროში. თუ წინააღმდეგობა ადამიანი-სიტუაცია არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, მინიმუმი, რაც გაკეთებულია – ნაპოვნია პიროვნების ფუნქციონირების სტაბილობის მტკიცებულებები. ადამიანის ქცევის დიდი სირთულისა და რამდენიმე ნიშნით ერთდროულად განპირობებულობის გათვალისწინებით, მიღებული იქნა მტკიცებულებები, რომ შესაძლებელია ქცევის პროგნოზირება პიროვნების ნიშნებზე დაყრდნობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ფაქტები აღმოაჩინეს პიროვნებაზე გენეტიკური ზეგავლენების კვლევებით და პიროვნების ნიშნების ფიზიოლოგიური ასპექტების შესწავლით (Eysenck, 1990 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). გარდა ამისა, განხორციელდა მნიშვნელოვანი კვლევითი პროგრამები ნიშნებისა და პიროვნებათმორისი ქცევის და ფსიქოპათოლოგიის ურთიერთმიმართების საკვლევად.

#### საინტერესო ჰიპოთეზები

დღეისათვის ნიშნების თეორიის რამდენიმე მომხრე მთელ რიგ საინტერესო ჰიპოთეზებს გამოთქვამს. სამი მათგანი უკვე გავარჩიეთ, ესენია:

- 1) ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებები ბუნებრივ ენაშია კოდირებული (Goldberg, 1993 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). ეს ჰიპოთეზა პირველივე კროს-კულტურული კვლევებით დადასტურდა, თუმცა არადასავლურ ევროპულ ენებზე მოლაპარაკე ადამიანების შედეგებში ეს არც ისე მკაფიოდ არის გამოხატული (Bond, 1994 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).
- 2) საარსებო გარემო ძალზე მნიშვნელოვანია პიროვნების განვითარებისთვის, მაგრამ გადამწყვეტი და პრინციპული როლი აქვს იმ გარემოს, რომელსაც ინდივიდი არ იზიარებს თავისივე ოჯახის სხვა წევრებთან (Plomin, 1994 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).
- 3) ევოლუციის თეორიასთან დაკავშირებული ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც თითოეული ნიშანი ადაპტაციის ამოცანის გადასაჭრელად გაჩნდა და განვითარდა (D. M. Buss, 1991, ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

ეს სამივე ჰიპოთეზა დამაინტრიგებლად საინტერესოა. ყველა კვლევა, რომელიც რამენაირად იქნება მათთან დაკავშირებული, უეჭველად მიიპყრობს სამეცნიერო წრეების ყურადღებას.

#### პოტენციური კავშირები ბიოლოგიასთან

გენეტიკას, ფიზიოლოგიურ მექანიზმებსა და ევოლუციის თეორიას შორის ურთიერთქმედების სფეროში წარმოებული თეორიული და ემპირიული კვლევები მოიაზრებს კავშირს პიროვნების ფსიქოლოგიასა და ბიოლოგიას შორის, რომლის კვლევა ბევრს გვპირდება. მაგალითად, ნავარაუდევია, რომ არსებობს კავშირი პიროვნების ნიშნებში ინდივიდუალურ განსხვავებებსა და ტვინის ფუნქციონირების განსხვავებებს შორის (Depue, Luciana, Arbis, Collins & Leon, 1994 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ბიოლოგიამ დიდი ნახტომი გააკეთა წინ. პიროვნების კონცეფციები ვერ უპირისპირდებიან იმას, რაც უკვე ცნობილია ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციონირების შესახებ. გარდა ამისა, ბიოლოგიაში გაკეთებულმა აღმოჩენებმა შეიძლება წინ წაწიონ კვლევები პიროვნების ფსიქოლოგიაში. მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ბიოლოგიური ფუნქციონირების დიაგნოსტიკასა და

ბიოფსიქოლოგიაში. სრულიად რეალურია, რომ პიროვნების კვლევებმა, რომლებიც გამდიდრებულია ბიოლოგიური აღმოჩენებით, უდიდესი წვლილი შეიტანონ პიროვნების ფსიქოლოგიაში, თავისი სპეციფიკის დაკარგვის გარეშე.

## მოცემული მიდგომის ნაკლოვანებები

### მეთოდის პრობლემა: ფაქტორული ანალიზი

ფაქტორული ანალიზის მეთოდს ძირითადი ადგილი უჭირავს ნიშნების კვლევაში, განსაკუთრებით ხუთფაქტორიანი მოდელის შემუშავებაში. იმის ანალოგიურად, როგორც კეტელი ვარაუდობდა, რომ ფაქტორული ანალიზით შესაძლებელი იყო მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის პიროვნული ეკვივალენტის შექმნა, დღესდღეობით ნიშნების თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ფაქტორული ანალიზის შედეგია პიროვნების ბაზისური პარამეტრების – დიდი ხუთეულის – აღმოჩენა. ამავე დროს, ეს მეთოდი სერიოზული კრიტიკის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ ოლპორტი ნიშნების თეორიის მიმდევარი იყო, ის კრიტიკულად უყურებდა აიზენკისა და კეტელის ფაქტორულ-ანალიტურ მიდგომას და აცხადებდა, რომ ამ პროცედურის შედეგად მიღებული ფაქტორები „გვაგონებენ ძეხვის ფარშს, რომელიც დაიწუნა ჯანსაღი და სუფთა საკვების ინსპექციამ“ (Allport, 1994, p. 251 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). ასევე, კრიტიკულად განწყობილი სხვა ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს მეთოდი შეიძლება შევადაროთ ადამიანების ცენტრიფუგაში გატარებას იმ მოლოდინით, რომ იქიდან „ბაზისური არსება გამოხტება“ (Lykken, 1971 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

თუ ფაქტორული ანალიზი ისეთი მძლავრი მეთოდია, როგორცაა მას მომხრეები თვლიან, მაშინ ერთი და იგივე ფაქტორები უნდა გამოიყოფოდეს სხვადასხვაგვარ კვლევაში. მართალია, ბევრჯერ ითქვა, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი ფუნდამენტალური აღმოჩენაა პიროვნების ფსიქოლოგიასი და სწორედ ეს ხუთი ფაქტორი „იმდენია, რამდენიც საჭიროა“ (McCrae & John, 1992 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002), ზოგიერთი მკვლევარი ისევ იმ აზრზე დგას, რომ ნაკლები რაოდენობის ფაქტორებიც საკმარისია, ზოგიერთები კი, პირიქით, თვლიან, რომ ეს ხუთი ფაქტორიც ძალიან ცოტაა.

მიუხედავად დიდი ხუთეულის თაობაზე კონსენსუსის მიღწევის შესახებ საუბრებისა, არ ცხრება დებატები მისი სტატუსის შესახებ და ზოგჯერ ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე. კრიტიკის ტალღა იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა კვლევით მიღებულ ფაქტებს შორის შესაბამისობის ხარისხი შორსაა იდეალურისგან. ამ სფეროში მომუშავე ერთ-ერთი მკვლევრის სიტყვებით, „მსგავსება ძმური უფროა, ვიდრე იდენტური“ (Briggs, 1989, p. 248 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002)

### ნიშნის ცნებასთან დაკავშირებული პრობლემები

ნიშნის ცნება სხვადასხვა სიტუაციაში მსგავსად რეაგირების დისპოზიციას (ან მიდრეკილებას, ან წინასწარმზაობას) მოიაზრებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა თეორეტიკოსი თანხმდება, თუ რა არის „ნიშანი“ და რას მოიაზრებს ის. როგორც დაახლოებით 30 წლის წინ ამტკიცებდნენ, არც ისე თვალსაჩინოა, თუ რა უნდა შედიოდეს ნიშნის განსაზღვრებაში (Pervin, John, 2002). ზოგიერთი განმარტებით, ნიშნის არსს დაკვირვებადი გარეგანი ქცევის შეთანხმებული პატერნი შეადგენს (Buss & Craik, 1983). თუმცა, მრავალ მკვლევარს ნიშნის საკუთარ განსაზღვრებაში შეაქვს დიდი რაოდენობით გარეშე დამკვირვებლისთვის თვალსაჩინო, დაკვირვებადი ფსიქოლოგიური თავისებურებები – ინდივიდუალური განსხვავებები მოტივაციაში, ემოციურ განცდებსა და დამოკიდებულებებში (McCrae & Costa, 1990 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). თუ ამ პოზიციას მივყვებით, მაშინ გამოდის, რომ მარეც კი ნიშნების ფსიქოლოგიის წარმომადგენელია!

ნიშნების მკვლევრები ცნების განსაზღვრებას ნებისმიერი სასურველი მეთოდით შეიძლება იძლეოდნენ და მასში რთავდნენ ყველაფერს, რაც სურთ, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა შედის ამ განსაზღვრებაში და ყველასთვის მისაღებია თუ არა ასეთი განსაზღვრება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია



იმის გადაწყვეტა, აქვს თუ არა აზრი ნიშნისა და მოტივის ერთმანეთისგან გამიჯვნას. აქ მნიშვნელოვანია მარეის (1938) მოსაზრება, ვინაიდან ის განსაკუთრებით მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ცნებებს *მოთხოვნილება* და *ნიშანი*. მარეის თანახმად, ნიშნები დროში მდგრადია და ქცევაში ვლინდება. მოთხოვნილებები, პირიქით, შეიძლება მდგრადიც იყოს და სწრაფად ცვალებადიც და, ნიშნებისგან განსხვავებით, ორგანიზმულ დონეზე ქცევაში გამოვლენის გარეშე შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ის წერდა: „...ჩემი, შესაძლოა, მიკერძოებული აზრით, ნიშნების ფსიქოლოგია ზედმეტად ფიქრობს განმეორებადობასა და შეთანხმებულობაზე; იმაზე, რაც აშკარად ვლინდება (პიროვნების ზედაპირზე); იმით, რაც შეიძლება იყოს გაცნობიერებული, შეთანხმებული და რაციონალური“ (Murray, 1938, p. 715 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002). განსხვავება ნიშნებსა და მოთხოვნილებებს შორის სრულიად არ არის ტრივიალური და გვაიძულებს, ყურადღებით მოვუპყროთ მარეის პიროვნების დინამიკურ კონცეფციასა და მისეულ სკეპტიციზმს იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანებს შეუძლიათ, ზუსტად გვითხროს თავიანთი აზრები, გრძნობები და ქცევები.

კიდევ ერთი ეჭვი ნიშნის ამხსნელ სტატუსს შეეხება. წარმოადგენენ თუ არა ნიშნები განმეორებადი ქცევების აღწერებს, თუ დაკვირვებადი „განმეორებადი“ ქცევების *ახსნება*? თუ გავამარტივებთ კითხვას, ის ასეთ ფორმას მიიღებს: ნიშნები „რეალურია“ თუ „მოხერხებულ ფუნქციებს წარმოადგენენ, რომლის მეშვეობითაც ვეურთიერთებთ ერთმანეთს“ (Briggs, 1989, p. 251 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002)? ცნობილია, რომ აიზენკს ძალზე აწუხებდა ეს პრობლემა და თვლიდა, რომ კარგი თეორიის გარეშე შეიძლება ჩაკეტილ წრეში აღმოვჩნდეთ: ჩვენ გამოვიყენებთ ნიშნის ცნებას ქცევის ასახსნელად, რომელიც თავად ასრულებს ამ ნიშნის გამოყოფის საფუძვლის ფუნქციას და ა.შ. სხვა სიტყვებით, რამდენად ბევრს ვამატებთ პიროვნების ჩვენეულ გაგებას, თუ ვადგენთ, რომ მოცემული ადამიანი ექსტრავერტია იმიტომ, რომ ის ბევრ ექსტრავერტირებულ ქცევას ახორციელებს და შემდეგ ვიტყვით, რომ ეს ადამიანი იმიტომ იქცევა ასე, რომ ის ექსტრავერტია. ერთი სიტყვით, ხუთფაქტორიანი მოდელი თავისთავად ვერ არის პიროვნების ამხსნელი მოდელი (McCrae & Costa, 1994a ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

### რა არ ხდება მხედველობის ველში

გვამღვეს კი ნიშნის ცნება და ხუთფაქტორიანი მოდელი პიროვნების ყოველისმომცველ კონცეფციას? ეს კითხვა, ნაწილობრივ, ლოგიკურად გამომდინარეობს დისკუსიიდან იმის შესახებ, თუ რას მოიცავს ნიშანი. ნიშნების ყველაზე აქტიური მომხრეებიც კი დაგვეთანხმებიან, რომ პიროვნებაში არის კიდევ რაღაც დიდი ხუთეულის გარდა, მაგალითად, მე-კონცეფცია, პიროვნების იდენტობა, კოგნიტური სტილები და არაცნობიერი (Block, 1995; A. H. Buss, 1988; McAdams, 1992 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

კიდევ ერთი საკითხი ეხება იმას, გვეუბნება თუ არა რაიმეს ეს მოდელი პიროვნების ორგანიზაციის შესახებ. პიროვნება – ეს უბრალოდ ნიშნების ნაკრებია, თუ მის მნიშვნელოვან ნაწილს ამ ნიშნების ორგანიზაციის მეთოდიც წარმოადგენს? საინტერესოა, რომ ოლპორტი (1961) ნიშნების პატერნსა და ორგანიზაციას პიროვნების ბირთვში ათავსებდა. თანამედროვე თეორეტიკოსები, როგორც ჩანს, დაეთანხმებოდნენ იმას, რომ „პიროვნების არსს გამოცდილებისა და ქცევის ორგანიზაცია წარმოადგენს“ (McCrae & Costa, 1990, p. 118). და მაინც, ნიშნების ემპირიული კვლევები შესამჩნევად ჩამორჩება ამ თვალსაზრისით და მხოლოდ ბოლო პერიოდში განხორციელდა იმის აღწერის მცდელობები, თუ როგორ კომბინირებს დიდი ხუთეულის ნიშნები პიროვნების შიგნით და ქმნიან პიროვნების გარკვეულ ტიპებს.

როგორც უკვე აღინიშნა, თეორიისთვის, რომელიც ინდივიდუალური განსხვავებების შესწავლის პრეტენზიას აცხადებს, კონკრეტული ინდივიდისადმი მიძღვნილი უცნაურად მცირე ოდენობის კვლევებია. ასე მაგალითად, ერთ-ერთი თანამედროვე კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ხუთფაქტორიანი მოდელი არსებითად უცნობის ფსიქოლოგია – ვიდაცის სწრაფი და უბრალო პორტრეტი“ (McAdams, 1992, p. 333 ციტირებულია წყაროში Pervin, John, 2002).

**ცხრილი 9. ნიშნების თეორიის ღირსებები და ნაკლოვანებები.**

ღირსებები	ნაკლოვანებები
აქტიური კვლევითი მოღვაწეობა	მეთოდი: ფაქტორული ანალიზი
საინტერესო ჰიპოთეზები	რა შედის ნიშანში?
პოტენციური კავშირები ბიოლოგიასთან	რა არ ხდება მხედველობის არეალში?

ბოლოს, ნიშნების თეორია (აიზენკის გამოკლებით) ცოტას თუ გვეუბნება პიროვნული ცვლილებების შესახებ.

ერთია პიროვნების სტაბილობის დოკუმენტირება და ამ სტაბილობის ამხსნელი მიზეზების დასახელება: გენეტიკური ფაქტორები (ტემპერამენტი), შესაბამისი სიტუაციების შერჩევა და ფორმირება და გარემომყოფების მხრიდან სტერეოტიპული ანუ განმამტკიცებელი რეაქციები. სულ სხვა საქმეა ახსნებზე სრულიად უარის თქმა, მაინც როგორ და რატომ ხდება ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ აქცენტს სტაბილობაზე აკეთებენ, პრინციპში, ნიშნის თეორიის წარმომადგენლები არ ფიქრობენ, რომ პიროვნული ნიშნები ისეთივე ფიქსირებული და მდგრადია, როგორც ინტელექტი. მაგალითად, პიროვნება მნიშვნელოვნად იცვლება დიდი ხუთეულის პარამეტრების მიხედვით ადრეულ მოზრდილობაში, ყოველ შემთხვევაში – 30 წლამდე მაინც.

ნიშნების თეორიის ღირსებები და ნაკლოვანებები შეჯამებულია ცხრილში 9, ხოლო ნიშნების ფსიქოლოგიის შემაჯამებელი დებულებები წარმოდგენილია ცხრილში 10.

**ცხრილი 10. ნიშნების ფსიქოლოგია მოკლედ.**

სტრუქტურა	პროცესი	ზრდა და განვითარება	პათოლოგია	ცვლილება	კონკრეტული მაგალითი
ნიშნები	დინამიკური ნიშნები, ნიშნებთან დაკავშირებული მოტივები	მემკვიდრეობითობის და გარემოს გავლენა პიროვნების ნიშნებზე	ნიშნების პარამეტრების უკიდურესი მნიშვნელობები (მაგალითად, ნეიროტიციზმზე)	(არ არსებობს ფორმალური მოდელი)	69 წლის მამაკაცი

**შეჯამება**

თანამედროვე ხუთფაქტორიანი მოდელის განვითარების ისტორიაში პირველი ნაშრომი ტურსტონს ეკუთვნის, რომელშიც მოდელის წინმსწრები კონცეფციაა წარმოდგენილი და თანამედროვე მრავალფაქტორიანი მეთოდების საფუძვლადმდებარე ნაშრომს წარმოადგენს მასში აღწერილი მეთოდის გამო, რომელიც მოგვიანებით პიროვნების ნიშნების მულტივარიაციულ მოდელს დაედო საფუძვლად.

ხუთფაქტორიანი მოდელი ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და ტუპესის, კრისტალის, კეტელის, აიზენკის, ოლპორტის, ნორმანის, გოლდბერგის, დიგმანისა და სხვათა სახელებს უკავშირდება. განვითარების დინამიკის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის რეალურად გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა და ეს გოლდბერგის დამსახურებაა. დღესდღეობით თანამედროვე ხუთფაქტორიანი მოდელი მაკრეის, კოსტასა და ვიგინსის სახელებთან არის დაკავშირებული.

დიდი ხუთეულის მოდელი ერთ-ერთ ყველაზე ამომწურავ, ემპირიული კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით მიღებულ მოდელად ითვლება პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორიაში. დიდი ხუთეულის ფაქტორებია გამოცდილებისადმი ღიაობა, პატიოსნება, ექსტრავერსია, თანხმობისათვის მზაობა და ნეიროტიციზმი, რომელსაც ზოგჯერ ემოციური სტაბილობის ფაქტორსაც უწოდებენ. გარკვეული უთანხმოება არსებობს გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რომელსაც ზოგჯერ „ინტელექტსაც“ უწოდებენ. თითოეული ფაქტორი უფრო კონკრეტული ნიშნების ნაკრებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან კორელირებენ. ხუთფაქტორიანი მოდელის ფარგლებში გამოიყოფა ორი მიმართულება: ლექსიკური მიმართულება, რომელიც ლექსიკონის ანალიზს ეყრდნობა და

უფრო ადრეულ შტოს წარმოადგენს (ოლპორტი, აიზენკი, კეტელი) და კითხვარების მიმართულება, რომელიც ნიშნების გამოსავლენად კითხვარს ეყრდნობა.

მაკვრისა და კოსტას ნიშნის თეორია პიროვნებისა და დაბერების განმეორებითი კვლევის კონტექსტში ჩაისახა. დისპოზიციურ ფსიქოლოგიაში არსებული სხვა თეორიების მსგავსად, მათი თეორიაც დიდ აქცენტს აკეთებს ნიშნის ცნებაზე. მათ მიერ ნიშნის გაგება ოლპორტისა და მარეისეულ ხედვას უფრო უახლოვდება, ვიდრე კეტელის პოზიციას. ისინი თვლიან, რომ რაც მეტად აქვთ ადამიანებს ესა თუ ის ნიშანი, მით მეტად არის მოსალოდნელი, რომ ისინი ხშირად ვნახოთ ქცევაში. მათ თეორიაში პიროვნების უცვლელი და ცვალებადი მდგენელებია წარმოდგენილი, რომლებიც პიროვნების სისტემის ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებად განიხილება. ავტორები თეორიას პოსტულატების სახით აყალიბებენ, რომელშიც ამ კომპონენტების მოქმედებასა და ერთმანეთთან მიმართებას აღწერენ. მთელ კონსტრუქციას ავტორებმა პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია უწოდეს, ვინაიდან ის ხუთფაქტორიანი მოდელის კვლევით მიღებულ ყველა მონაცემს ეფუძნება. ისინი სამ ძირითად კომპონენტს ბაზისურ ტენდენციებს, დამახასიათებელ ადაპტაციებსა და მე-კონცეფციას უწოდებენ. მოდელის ბირთვს ბაზისურ ტენდენციებსა და დამახასიათებელ ადაპტაციებს შორის განსხვავება ქმნის. ბაზისური ტენდენციები ინდივიდის აბსტრაქტული შესაძლებლობები და ტენდენციებია, ხოლო დამახასიათებელი ადაპტაციები – კონკრეტული შეძენილი სტურუქტურები, რომლებიც ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების პროცესში ვითარდება. ამგვარად, ტენდენციები შეიძლება სტაბილური იყოს, ხოლო დამახასიათებელი ადაპტაციები – იცვლებოდეს. ამასთან, პიროვნების ნიშნები სათავეს, ძირითადად, გენეტიკაში იღებენ.

ხუთფაქტორიანი მოდელი რამდენიმე ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევა ნიშნების სხვა თეორიებისგან. პირველ რიგში, ხუთი ძირითადი ფაქტორი ერთმანეთის ორთოგონალურია ანუ ისინი არ კორელირებენ ერთმანეთთან. ამასთან, ეს იერარქიული მოდელია, რომელშიც მაღალი რანგის განზომილებებს დაბალი რანგის განზომილებები ქმნიან, რაც პიროვნების ადვილად ასახსნელ და გასაგებ პროფილს იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთფაქტორიანი მოდელი არ ადასტურებს პიროვნების ნიშნებში ცხოვრებისეული გამოცდილების როლს, აღიარებს, რომ ნიშნები იცვლება ცხოვრების მანძილზე. ნიშნები ვითარდება ბავშვობაში და სიმწიფეს მოზრდილობაში აღწევს; ამის შემდეგ სტაბილურად ნარჩუნდება კოგნიტურად ჯანმრთელ ადამიანებში. დღესდღეობით უკვე არსებობს გარკვეული მოსაზრებები, თუ როგორ ვითარდებიან ნიშნები მოზარდობის შემდეგ, თუმცა, მხოლოდ გარკვეული მინიშნებებია ჩვილობასა და ბავშვობაში განვითარების შესახებ. მოზრდილი ადამიანის პიროვნების განვითარების შესახებ კვლევებმა აჩვენა, რომ 30 წლის შემდეგ პიროვნული თვისებების უმრავლესობა სრულიად არ იცვლება, ან მცირედ იცვლება, თუმცა ამ ასაკამდე პიროვნება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის.

ემპირიული კვლევებით ნიშნების შეთანხმებულობა პრინციპში დასტურდება, თუმცა უფრო მეტი შეთანხმებულობა შეიმჩნევა გარკვეული სიტუაციური კატეგორიების ფარგლებში და არა – მათ შორის. ვინაიდან ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანების ქცევას სიტუაციათა შეზღუდულ დიაპაზონში ვაკვირდებით, ქცევის შეიძლება უფრო მეტად შეთანხმებული გვეჩვენებოდეს, ვიდრე რეალურად არის.

გარდა ამისა, დასკვნები კროს-სიტუაციური შეთანხმებულობის შესახებ ფსიქოლოგის თეორიული პოზიციის შესაბამისად იცვლება. არსებობს მტკიცებულებები როგორც გარკვეული კროს-სიტუაციური შეთანხმებულობის სასარგებლოდ, ისე – გარკვეული კროს-სიტუაციური ცვალებადობის შესახებ. ადამიანები გარკვეულწილად ჰგვანან საკუთარ თავებს კონტექსტისგან დამოუკიდებლად და გარკვეულწილად – არა კონტექსტიდან გამომდინარე. ნიშნების თეორიის მომხრეები ამ მტკიცების პირველი ნაწილის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ არიან და მათი პოზიციის დამადასტურებელ საბუთებს უზრუნველყოფენ მაშინ, როცა სიტუაციონიზმის თეორეტიკოსების შთაგონების წყაროს იმავე მტკიცების მეორე ნაწილი წარმოადგენს და ისინიც პოულობენ თავიანთი სიმართლის დადასტურებებს

NEO-PI-R ერთ-ერთია იმ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის საფუძველზეა შექმნილი. არსებობს მისი ორი ვერსია: S ფორმა თვითშეფასებისთვის და R ფორმა დამკვირვებლის მიერ სხვისი შეფასებისთვის, თითოეული მათგანი 240 დებულებისგან შედგება.

ხუთფაქტორიანი მოდელი, რომლის ძირითადი პარამეტრის გასაზომი ინსტრუმენტიც არსებობს, ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში, კერძოდ, პროფესიის შერჩევაში, პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკასა და პათოფსიქოლოგიაში, ასევე, ფსიქოთერაპიული მეთოდების შერჩევაში.

დღეისათვის ამ მიმართულებების განვითარება აქტიურად მიმდინარეობს.

Draft

## გამოყენებული ლიტერატურა

- Abdul-Adil, J., Tolan, P. H., & Guerra, N. (2009). The Cognitive-Ecological Model. In M. A. Mayer, *Cognitive-Behavioral Interventions for Emotional and Behavioral Disorders: School-Based Practice* (pp. 365-384). New York: The Guilford Press.
- Adler, A. (1927). *The Science of Living*. London: George Allen & Unwin Ltd.
- Adler, A. (1927/1997). *Understanding Life*. Oxford: Oneworld Publications.
- Allport, G. W. (1937). *Personality - A Psychological Interpretation*. New York: Henry Holt and Company.
- Allport, G. W. (1966). Traits Revised. *American Psychologist*, 21, 1-10.a
- APA. (2002). *Ethical Principles of Psychologists and Code Of Conduct*. APA.
- Aron, L. (1996). *A Meeting of Minds: Mutuality in psychoanalysis*. Hillsdale, NJ.: Analytic Press.
- Aronson, E. (1995). *The Social Animal, 8th ed.* USA: Wirth Publishers, Inc.
- Atkinson, R. (1998). *The Life Story Interview*. Thousand Oaks, London, New Delhi: Sage Publications.
- Averill, J. R. (1997). The Emotions. In R. J. Hogan, *handbook of Personality Psychology* (pp. 513-541). London, Boston, New York: Academic Press.
- Ball, D. W. (1972). the definition of situation: some theoretical and mythological consequences of taking W. I. Thomas seriously. *Journal for the Theory of Social Behaviour*, 2, 61-82.
- Baltes, P. B., Lindenberger, U., & Staudinger, U. M. (2006). Life Span Theory in Developmental Psychology, chapter 11. In W. L. Damon, *Handbook of Child Psychology, Theoretical Models of Human Development, Vol. 1, 6th ed.* (pp. 569-664). John Wiley, & Sons.
- Bandura, A. (1974). Behavior theory and the models of man. *American Psychologist*, 29, 859-869.
- Bandura, A. (1977). *Social Learning Theory, 2nd ed.* Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
- Bandura, A. (1986). *Social foundations of thought and action: A social cognitive theory*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
- Bandura, A. (1989). Human agency in Social cognitive theory. *American Psychologist*, 44, 1175-1184.
- Bandura, A. (1994). Self-efficacy. In V. S. Ramachandran, *Encyclopedia of human behavior, Vol. 4* (pp. 71-81). New York: Academic Press.
- Bandura, A. (1997). *Self-Efficacy: The Exercise of Control*. New York: W.H. Freeman and Company.
- Bandura, A. (2001b). Social Cognitive Theory: And agentic Perspective. *Annual Review of Psychology*, 52, 1-26.
- Berg, B. L. (2001). *Qualitative Research Methods for the Social Sciences, 4th ed.* USA: Allyn & Bacon.
- Blackman, D. E. (2005). B.F. Skinner. F. R. (ed.)-ში, *Seven Pioneers of Psychology* (გვ. 109-131). London and New York: Taylor & Francis.
- Bowlby, J. (1969). *Attachment and Loss*. New York: Basic Books.
- Brennan, K. A., Clarck, C. L., & Shaver, P. (1998). Self-report measurement of adult romantic attachment: An overview. In J. A. (Eds.), *Attachment theory and close relationships* (pp. 46-76). New York: Guilford Press.
- Brentherton, I. (1990). Communication patterns, internal working models, and the intergenerational transmission of attachment relationships. *Infant Mental Health Journal*, 11, 237-252.

- Breuer & Freud. (1895/1955). *Studies on Hysteria*. Viena.
- Breuer, J., & Freud, S. (1955). Studies on Hysteria. J. S. Trans.)-ö, *The Standard Edition fo the Complete Psychological Workd of Sigmund Freud* (33. Vol 2.). London: Hogan Press.
- Bronfenbrenner, U. . (1994). Ecological models of human developmnet. In M. & Gauvain, *International Encyclopedia of Education, Vol. 3, 2nd ed. Readings on the development of children* (pp. 37-43). NY: Freeman.
- Bruhn, A. R., & Schiffman, H. (1982). Prediction of locus of control from the earliest childhood memory. *Journal of Personality Assessment, 46*, 380-390.
- Bruner, J. (Fall, 1991). Life as Narrative. *Social Research, vol. 71. N3*, 691-710.
- Bunce, S. C., Bernat, E., & Shevrin, H. (1997). Combat sounds elicit asynchronous physiological serponses pattern among combat controls. University of Michigan: Unpublished manuscript.
- Buss, A. H. (1989). Personality as traits. *American Psychologist, 44*, 1378-1388.
- Buss, D. M. (1988). The Evolution of Human Intrasexual Competition:Tactics of Mate Attraction. *Journal of Personality and Social Psychology, Vol. J4, No.4*, 616-628.
- Butcher, J. N., & Williams, C. L. (2000). *Workbook for Essentials of MMPI-2 and MMPI-A Interpretation, 2nd ed.* Minneapolis: University of Minnesota Press.
- Butler, R. N. (1975). *Why survive? Being old in America*. New York: Harper & Row.
- Byrnes, J. P. (1988). Formal Operations: A Systematic Reformulation. *Developmental Review, 8*, 66-87.
- Cacioppo, J. T., Gardner, W. L., & Berntson, G. G. (1997). Beyond bipolar conceptualizations and emasures: The case of attitudes and evaluative space. *Personality and Social Psychology Review, 1*, 3-25.
- Cantor, N., Mischel, W., Schwartz, J. C. (1982). Personality, cognition, and purposive behavior. *Cognitive Psychology, 14*, 45-77.
- Caprara, G. V., & Cervone, D. (2003). *Personality: Determinants, Dynamics, and Potentials*. Cambridge: Cambridge University Press.
- Carver, S. C., Scheier, M. F. . (1989). Assessing Coping Strategies: A Theoretically Based Approach. *Journal of Personality and Social Psychology, Vol, 36, No. 2*, 267-283.
- Ceci, S. J., & Bronfenbrenner, U. (1991). On the Demise of Everyday Memory: "The Rumors of my Death are Much Exaggerated" (Mark Twain). *American psychologist, 46*, 27-31.
- Chiesa, M. (1994). *Radical Behaviorism: The Philosophy and the Science*. Boston: Authors Cooperative, Inc.
- Christensen, J. (2010). Proposed Enhancement of Bronfenbrenner's Development Ecology Model. *Education Inquiry, Vol. 1. No. 2, June*, 101-110.
- Cloninger, S. C. (2004). *Theories of Personality: Understanding Persons, 4th edition*. Upper Saddle River, New Jersey: Pearson: Prentice Hall.
- Cohen, L., Manion, L., Morrison, K. (2007). *Research Methods in Education*. London, New York: Routledge.
- Cohn, L. D. (1991). Sex differences in the course of personality development: A meta-analysis. *Psychological Bulleting, 109*, 252-266.

- Cohn, L. D., & Westenberg, P. M. (2004). Intelligence and maturity: Meta-analytic evidence for the incremental and discriminant validity of Loevinger's measure of ego development. *Journal of Personality and Social Development, 86*, 760-772.
- Costa, P.T., Jr., & McCrae, R.R. . (2006). Age changes in personality and their origins: Comment on Roberts, Walton, and Viechtbauer. *Psychological Bulletin, 132*, 26-28.
- Costa, P.T., Jr. & McCrae, R.R. (1992). *Revised NEO Personality Inventory (NEO-PI-R) and NEO Five-Factor Inventory (NEO-FFI) manual*. Odessa, FL: Psychological Assessment Resources.
- Cramer, P. . (1991). Anger and the use of defense mechanisms in college students. *Journal of Personality, 59*, 39-55.
- Cramer, P. (1996). *Story-telling, narrative, and the Thematic Apperception Test*. New York: Guilford Press.
- Crews, F. (1996). The Verdict on Freud. *Psychological Science, 7.*, 63-67.
- Crossley, M. L. (2011). *Introducing Narrative Psychology: Self, Trauma and Construction of Meaning*. Buckingham, Philadelphia : Open University Press.
- Damon, W., & Hart, D. (1982). The development of self-understanding from infancy through adolescence. *Child Development, 53*, 841-864.
- De St. Aubin, E., & McAdams, D.P. (1995). The relations of generative concern and generative action to personality traits, satisfaction/happiness with life, and ego development. *Journal of Adult Development, 2*, 99-112.
- Deci, E., & Ryan, R. M. (1991). A Motivational approach to Self: Integration in Personality. R. D. (eds)-öo, *Nebraska Symposium on Motivation: 1990* (öç. 237-288). Lincoln: University of Nebraska Press.
- Demorest, A. (2005). *Psychology's Grand Theorists: How Personal Experience Shaped Professional Ideas*. Mahwah, New Jersey; London Associates, Publishers: Lawrence Erlbaum .
- Devine, P. (1989). Stereotypes and prejudice: Their automatic and controlled components. *Journal of Personality and Social Psychology, 56*, 5-18.
- Dewsbury, D.A. (1998). Celebrating E. L. Thorndike a Century After "Animal Intelligence". *American Psychologist, vol. 53, No. 10*, 1121-1124.
- Diggle, J. (2004). *Theophrastus: Characters*. New York: Cambridge University Press.
- Digman, J. (1990). Personality structure: Emergence of the five-factor model. . *Annual Review of Psychology, 41*, 417-440.
- Dillinger, T. G., Weigemann D. A. and Taneja N. (2003). Relating Personality with Stress Coping Strategies Among Military Student Pilots in a Collegiate Flight Training Program. . *Aviation Space and Environmental Medicine, 54 (11)*, 945-949.
- Dollinger, S. J., & Dollinger, S. M. C. (1997). Individuality and identity exploration: An autophotographic study. *Journal of Research in Personality, 31*, 337-354.
- Donovan, J. M. (1975). Identity status and interpersonal style. *Journal of Youth and Adolescence, 4*, 37-55.
- Dozier, M., & Kobak, R. (1992). Psychophysiology in attachment interviews: Converging evidence for deactivating strategies. *Child Development, 63*, 1473-1480.
- Einstein, D., & Lanning, K. (1998). Shame, guilt, ego development, and the five-factor model of personality. *Journal of Personality, 66*, 555-582.

- Elder, G. H., Jr. (1974/1999). *Children of the Great Depression: Social Change in the Life Experience*. Chicago, IL: University of Chicago Press.
- Elms, A. C. (1994). *Uncovering Lives: The Uneasy Alliance of Biography and Psychology*. New York, Oxford: Oxford University Press.
- Emmons, R. A. (1997). Motives and Life Goals. In R. J. Hofan, *Handbook of Personality Psychology* (pp. 485-512). London, Boston, New York: Academic Press.
- Emmons, R., & King, L. A. (1988). Conflict among personal strivings: Immediate and long-term implications for psychological and physical well-being. *Journal of Personality and Social Psychology*, *54*, 1040-1048.
- Erikson, E. (1963). *Childhood and Society*. New York: Norton.
- Ewen, R. B. (2003). *An Introduction to Theories of Personality, 6th ed.* Mahwah, New Jersey, London: Lawrence Erlbaum Associates, Publishers.
- Field, A. (2005). *Discoverign Statistics Using SPSS, 2nd ed.* London: Sage Publications.
- Fisher, S., & Greenberg, R. P. (1996). *Freud scientifically reappraised: Testing the theories and therapy*. New York: Willey.
- Forgas, J. P. (1978). Social episodes and social structure in an academic settingL The social environment of an intact group. *Journal od Experimental Social Psychology*, *14*, 434-448.
- Forgas, J. P. (1983). Episode cognition and personality: A multidimensional analysis. *Jornal of Personality*, *51*, 34-48.
- Franz, C., Winberger, J., Kremen, W., & Jacobs, R. (1996). Childhood antecedents of dysphoria in adults: A 36-year longitudinal study. *Unpublished manuscript*, Williams College.
- Freud, S. (1900/1953). The Interpretation fo Dreams. *The Standard Edition of the complete psychological workd of Sigmund Freud* (83. 507-835). London: Hogarth.
- Freud, S. (1901). *Pathopsychology of Everyday Life*.
- Freud, S. (1953). Studies of Hysteria. *The Standard Edition of the complete psychological workd of Sigmund Freud.*-830 London: Hogarth.
- Freud, S. (1953b). Three essays on the theory of sexuality. I. S. Trans.)-830, *The standard edition of the complete psychological works of Sigmund Freud* (83. vol. 7, 123-245). London: Hogarth Press.
- Freud, S. (1961). *The Future of An Illusion*. New York: W.W. Norton & Company, Inc.
- Freud, S. (1995). The Ego and the Id. P. (. Gay-830, *The Freud Reader* (83. 628-661). New York, London: Norton and Company.
- Gay, P. (ed.). (1989). *The Freud Reader*. New York, London: Norton and Company.
- Gergen, K. J., & Gergen M. M. (1986). Narrative form and the construction of psychological science. T. R. (Ed.)-830, *Narrative Psychology* (83. 22-44). New York: Praeger.
- Gergen, M. M. & Gergen, K. J. . (1993). Narratives of the gendered body in popular autobiography. R. J. (Eds.)-830, *The Narrative Stuffy of Lives (Vol.1)* (83. 191-218). Thousand Oaks, CA: Sage.
- Gest, S. D. (1997). Behavioral inhibition: Stability and associations with adaptation from childhood to early adulthood. *Journal of Personality and Social Psychology*, *72*, 467-475.
- Giddens, A. (1991). *The Consequences of Modernity*. UK: Polity Press.



- Gillon, E. (2007). *Person-Centred Counselling Psychology, An Introduction*. Los Angeles, London, New Dehli, Singapore: Sage Publications.
- Glick, P., & Fiske, S. (1996). The ambivalent sexism inventory: Differentiating hostile and benevolent sexism. *Journal of Personality and Social Psychology*, 70, 491-512.
- Goldberg, L. R. (1993). The structure of phenotypic personality traits. *American Psychologist*, 48, 26-34.
- Greenberg, J., R., & Mitchell, S. . (1983). *Object relations in psychoanalytic theory*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Greenwald, A, A. G., & Banaji, M. R. (1995). Implicit social cognition: Attitudes, self-esteem, and stereotypes. *Psychological Review*, 102, 766-779.
- Haan, N. (1997). *Copin and Defending: Processes of self-environment organization*. New York: Academic Press.
- Hampson, S. E. (1988). *The construction of personality (2nd ed.)*. London: Routledge.
- Hauser, S., Borman, E., Jacobson, A. M., Powers, S., & Noam, G. . (1991). Understanding family contexts of adolescent coping: A study of parental ego development and adolescent coping strategies. *Journal of Early Adolescence*, 11, 96-124.
- Heller, S. (2005). *Freud: A to Z*. Hoboken, New Jersey: John Wiley & Sons, Inc.
- Hermans, H. (1996). Voicing the self: From information processing to dialogical interchange. *Psychological Bulletin*, 119, 31-50.
- Hermans, H.J.M. & Kempen, H.J.G., & van Loon, R.J.P. (1992). The dialogical self: Beyond individualism and rationalism. *American Psychologist*, 47, 23-33.
- Higgins, E. T. (1990). Personality, social psychology, and person - situation relations: Standards and knowledge activation as a common language. In L. P. (Ed.), *Handbook of Personality: Theory and Research* (pp. 301-338). New York: Guilford Press.
- Hillix, W. A., & Marx, M. H. (1974). *Systems and theories in Psychology: A reader*. St. Paul. MN: West.
- Hirshberg, L., M. . (1990). When infants look to their parents: II. Twelve-month-olds' response to conflicting parental emotional signals. *Child Development*, 61, 1187-1191.
- Hjelle, L., & Ziegler, D. (1992). *Personality THEories: Basic Assumptions, Research, and Application, 3rd ed*. NewYork: Sage.
- Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S. (1997). *Handbook of Personality Psychology*. Sab Diego: Academic Press.
- Holt, R. R. (1980). Loevinger;s measure of ego developmet: Reliability and national norms for male and female short forms. *Journal of Personality and Social Psychology*, 39, 909-920.
- Horowitz, M. J. (1988). *Introduction to psychodynamics: A Synthesis*. New York: Basic Books.
- Jockin, V., McGue, M., & Lykken, D. . (1996). Personality and divorce: A genetic analysis. *Journal of Personality and Social Psychology*, 71, 288-299.
- John, O. P., Naumann, L. P., Soto, C. J. (2008). Paradigm Shift to the Integrative Big Five Trait Taxonomy. In O. P. John, *Handbook of Personality: Theory and Research, 3rd ed*. (pp. 114-158). New York, London: The Guilford Press.
- John, O. P., Robins, R. W., Pervin, L. A. (2008). *Handbook of Personality: Theory and Research, 3rd edition*. Ney York, London: The Guilford Press.
- Johnson, J. A. (1997). Units of Analysis for the Description and Explanation of Personality. In R. J. Hogan, *Handbook of*

- Personality Psychology* (pp. 73-93). London, Boston, New York: Academic Press.
- Josselson, R. L. (1973). Psychodynamic aspects of identity formation in college women. *Journal of Youth and Adolescence*, 2, 3-52.
- Jordan, M. E. (2011). *Personality Traits: Theory, Testing and Influences*. New York: Nova Science Publishers, Inc.
- Jung, C. G. (1936/1971). Psychological typology. H. R. (Eds.)-მო, *The collected workd of C. G. Jung (Vol, 6)* (გვ. 542-555). Princeton, NJ: Princeton University Press.
- Jung, C. G. (2003). *Four Archetypes: Mother, Rebirth, Spirit, Trickster*. . London and New York: Routledge Classics.
- Kagan, J., & Snidman, N. . (1991). temperamental factors in human development. *American Psychologist*, 46, 856-862.
- Kagan, J., & Zentner, M. (1996). Early childhood pretictors of adult psychopathology. *Harvard Review of psychiatry*, 3, 341-350.
- Kelly, G. (1991). *The Psychology of Personal Constructs, V1.Theory and Personality*. London: Routledge, Teylor and Francis Group.
- Kihlstrom, J. F., & Harackiewicz, J. M. (1982). The easliest recollection: A new survey. *Journal of Personality*, 50, 134-148.
- Kline, P. (1994). *An easy guide to factor analysis*. New York: Routledge.
- Knefelkamp, L., Parker, C. A., & Widick, C. (1978). Jane Loevinger's Milestones of Development. *New Directions for Student Services*, 4, 69-78.
- Kohlberg, L., & Kramer, R. (1969). Continuities and discontinuities in childhood and adult moral development. *Human Development*, 12, 93-120.
- Kolb, J., Cooper, S., & Fishman, G. (1995). Recent Developments in Psychoanalydic Tecjnique: A Review. *harvard Review of Psychiatry*, 3, 65-74.
- Korzybski, A. (1933/1995). *Science and Sanity: An Introduction to Non-Aristotelian Systems and General Semantics, 5th ed*. New York: Institute of General Semantics; .
- Kotre, J. (1984). *Outliving the Self: Generativity and the interpretation of lives*. Bamlimore, MD: Johns Hopkins University Press.
- Krahe, B. (1992). *Personality and social psychology: Towards a synthesis*. London: Sage.
- Kroger, J., & Marcia, J. E. (2011). Chapter 2: The Identity Statuses: Origins, Meanings, and Interpretatios. In S. J. (Eds.), *Handbook of Identity Theory and Research* (pp. 31-53). LLC: Springer Science+Business Media.
- Lamb, M. E. (1986). Predictive implications of individual differences in attachment. *Journal od Consulting and Clinical Psychology*, 55, 817-824.
- Lee, L., & Snarey, J. (1988). The relationship between ego and moral developmet: A theoretical review and empirical analysis. In D. K. (Eds.), *Self, Ego, and Identity: Integrative Approaches* (pp. 151-178). New York: Springer-Verlag.
- Lewin, K. (1936). *Principles of Topological Psychology*. New York and London: McGraw-Hill Book Company, inc.
- Lewin, K. (1948). *Resolvins Social Conflict; selected papers on group dynamics*. . New York: Harper & Row.
- Lewin, K. (2001). *Dynamic Psychology, Selected works*. Moscow: Smisl.
- Lilienfield, S. O., Wood, J. M., & Garb, H. N. (2000 წლის November). The Scientific Status of Projective Techniques.

*Psychological Science in the Public Interest*, vol. 1, No. 2, 27-66.

- Lindzey, G., & Runyan, W. M. (2007). *A History of Psychology in Autobiography*, vol. IX. Washington, DC: American Psychological Association.
- Loevinger, J. (1985). Revision of the sentence completion test for ego development. *Journal of Personality and Social Psychology*, 48, 420-427.
- Maddi, S. (1968). *Personality Theories: a comparative analysis*. Homewood, Ill: Dorsey Press.
- Manners, J., & Durkin, K. (2001). A Critical Review of the Validity of Ego Development Theory and Its Measurement. *Journal of Personality Assessment*, 77 (3), 541-567.
- Mattingly, Ch. (2002). *Healing Dramas and Clinical Plots: The narrative structure of experience*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- McAdams, D. P. (1985). *Power, intimacy, and the life story: Personal inquiries into identity*. New York: Guilford Press.
- McAdams, D. P. (1993). *The Stories we live by: Personal Myths and the Making of the Self*. New York: Morrow.
- McAdams, D. P. (1996). Personality, modernity, and the storied self: A contemporary framework for studying persons. *Psychological Inquiry*, 7(4), 295–321.
- McAdams, D. P. (1997). A Conceptual History of Personality Psychology. R. Hogan, & J. A. Johnson (Eds.), *Handbook of Personality Psychology* (pp. 4-29). San Diego: Academic Press.
- McAdams, D. P. (2005). Studying Lives in Time: A Narrative Approach. In C. P. M. Levi-Rene, *Towards an Interdisciplinary Perspective on the Life Course: Advances in Life Course Research*, vol.10 (pp. 237-258). London: Elsevier Ltd.
- McAdams, D. P. (2006). *The Person: A New Introduction to Personality Psychology*. USA: John Wiley & Sons, Inc.
- McAdams, D. P. (2008). Personal Narratives and the Life Story. O. P. John, R. W. Robins, & L. A. Pervin (Eds.), *Handbook of Personality: Theory and Research*, 3rd ed. (pp. 242-262). New York, London: Guilford Press.
- McAdams, D. P., & Aubin, E. St. (1992). A Theory of Generativity and Its Assessment Through Self-report, Behavioral Acts, and Narrative Themes in Autobiography. *Journal of Personality and Social Psychology*, 62, 1003-1015.
- McCrae R. R., Costa, P. T. (2003). *Personality in Adulthood: A Five Factor Theory Perspective*, 2nd ed. The Guilford Press: New York, London.
- McCrae, R. R., and Costa, P. T., Jr. (2008). The Five Factor Theory of Personality. In O. P. John, *Handbook of Personality: Theory and Research*, 3rd ed. (pp. 159-181). New York, London: The Guilford Press.
- McCrae, R. R., Costa, P. T., Ostendorf, F. et al. (2000). Nature over nurture: temperament. *Journal of Personality and Social Psychology*, 78, 173–186.
- McCrae, R. R., & Costa, P. T., Jr. (1980). Openness to experience and ego level in Loevinger's sentence completion test: dispositional contributions to developmental models of personality. *Journal of Personality and Social Psychology*, 39, 1179-1190.
- McCrae, R.R., & Costa, P. T., Jr. (1999). A five-factor theory of personality. In L. A. (Eds.), *Handbook of personality: Theory and research* (pp. 139–153). New York: Guilford.
- McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr. (1989). More reasons to adopt the five-factor model. *American Psychologist*, February, 451-

452.

- McCrae, R.R., & Costa, P.T., Jr. (1997). Personality trait structure as a human universal. *American Psychologist, 52*, 509-516.
- McCrae, R.R.; Costa, P.T.JR. (2006). *Personality in Adulthood, Second Edition, A Five-Factor Theory Perspective*. New York, London: The Guilford Press.
- Metthews, G., Deary, I. J., & Whitman, M. C. (2009). *Personality Traits, 3rd ed*. Cambridge, New York, Melbourne: Cambridge University Press.
- Miller, N., & Dollard, J. (1941). *Social Learning and Imitation*. Yale University Press.
- Milner, B., Corkin, S., & Teuber, H. L. (215-234). Further Analysis of the Hippocampal Amnesic Syndrome: Fourteen Year Loffow-up Study of H. M. *Neuropsychologia, 6*, 1968.
- Minuchin, S. (1974). *Familisies and family therapy*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Mischel, W. (1968). *Personality and Assessment*. New York: Wiley.
- Mischel, W. (1973). Toward a cognitive social learning reconceptualization of personality. *Psychological Review, 80*, 280-283.
- Mischel, W. (1979). On the interface of cognition and personality: Beyond the person-situation debate. *American Psychologist, 34*, 740-754.
- Mischel, W., & Shoda, Y. (1995). A cognitive-affective system theory od personality: Reconceptualizing situations, dispositions, dynamics, and invariance in personality structure. *Psychological Review, 102*, 246-268.
- Moen, P., ELder, G. H., Jr., & Luscher, K. (1995). *examining lives in context: Perspectives on the ecology of human development*. Washington D. C.: Americal Psychological Association Press.
- Moos, R. H. (1973). Conceptualizations of Human Environments. *American psychologist, 28*, 652-665.
- Moos, R. H. (1986). *The human context: Environmental determinants of behavior*. New York: John Wiley & Sons.
- Mowrer, R. R. & Klein, S. B. (2001). *Handbook of Contemporary Learning Theories*. Mahwah, New Jersey, London: Lawrence Erlbaum Associated, Publishers.
- Murray, H. (2008). *Explorations in Personality*. Oxford: University Press.
- Narvaez, D., & Lapsley, D. K. (2009). *Personality, Identyry, and Character: Explorations in Moral Psychology*. Cambridge: Gambridge University Press.
- Neisser, U. . (1991). A Case of Misplaces Nostalgia. *American Psychologist, 46*, 34-36.
- Nicholson, I. A. M. (2003). *Inventing Personality: Gordon Allport and the Science of Selfhood*. Washington, DC: American Psychological Association.
- Nye, R. D. (2000). *Three Psychologies: Perspectives from Freud, Skinner, and Rogers, 6th ed*. Balmont: WAdsworth: Thnson Learning
- Oppenheim, D., Emde, R., & Warren, S. (1997). Children's narrative representations of mothers: Their development and associatoins with child and mother adaptation. *Child Developmpent, 68*, 127-138.
- Orlofsky, J., L., & Frank, M. (1986). Personality structure as viewd through early memories and identity status in college men and women. *Journal of Personality and Social Psychology, 50*, 580-586.

- Orlofsky, J. L., Marcia, J. E., & Lesser, I. M. (1973). Ego identity status and the intimacy versus isolation crisis of young adulthood. *Journal of Personality and Social Psychology*, *27*, 211-219.
- Perry, J. C., & Cooper, S. . (1989). An empirical study of defense mechanisms: Clinical interview and life vignette ratings. *Archives of General psychiatry*, *46*, 444-460.
- Pervin, L. A. (2003). *The Science of Personality, 2nd ed.* New York, Oxford: Oxford University Press.
- Pettigrew, T. F. (1997). Personality and Social Structure: Social Psychological Contribution. R. J. Hogan-ᄁᄁ, *Handbook of Personality Psychology* (ᄁᄁ. 417-438). San Diego, CA: Academic Press.
- Piaget, J. (1964). Cognitive Development in Children: Piaget. Development and Learning. *Journal of Research in Science Teaching*, *Vol. 2*, 176-186.
- Polkinghorne, D. E. (1991). Narrative and Self-Concept. *Journal of narrative and life history*, 135-153.
- Popper, K. (2002). *The Logic of Scientific Discovery*. London and New York: Routledge Classics.
- Rescorla, R. A. (1988). Pavlovian conditioning: It's not what you think it is. *American Psychologist*, *43*, 151-160.
- Revelle, W. (2009). Personality structure and measurement: The contributions of Raymond Cattell. *British Journal of Psychology*, *100*, 253–257.
- Robins, R. W., Fraley, R. Ch., Krueger, R. F. (2007). *Handbook of Research Methods in Personality Psychology*. New York, London: The Guilford Press.
- Rogers, C. (1951). *Client-centered Therapy: Its Current Practice, Implications and Theory*. London: Constable: Sage.
- Rotter, J. B. (1954). *Social Learning and Clinical Psychology*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
- Rotter, J. B. (1972). *Application sof a Social Learning Theory of Personality*. New York: Holt.
- Rossier, J., Stadelhofen, F.M., & Berthoud, S. (2004). The hierarchical structure of the NEO PI-R and the 16 PF 5. *European Journal of Psychological Assessment*, *20*, 27-38.
- Russell, M.T., & Karol, D. . (1994). *16PF Fifth Edition administrator's manual*. Champaign, IL: Institute for Personality & Ability Testing. .
- Runyan, W. M. (1982). *Life Histories and psychobiography: Explorations in theory and method*. New York: Oxford University Press.
- Runyan, W. M. (1990). Individual lives and the structure of personaliti psychology. R. A. A. I. Rabin-ᄁᄁ, *Studying persons and lives* (ᄁᄁ. 10-40). New York: Spinger.
- Runyan, W. M. (2008). *NEW DICTIONARY OF SCIENTIFIC BIOGRAPHY*. Cambridge: Sage.
- Santrock, J. W. (2006). *Educational Psychology*. McGraw-Hill Humanities.
- Sandler, J., & Rosenbaltt, B. (1962). The Concept of the Representational World. *Psychoanalytic Study of the Child*, *17*, 128-145.
- Schultz, W. T. (2005). *Handbook of Psychobiography*. Oxford, New York: Oxford University Press.
- Shedler, J., & Block, J. . (1990). Adolescent drug use and psychologival health: A longitudinal inquiry. *American Psychologist*, *45*, 612-630.
- Shoda, Y., Mischel, W., & Wright, J. C. (1994). Intraindividual stability in the organization and patterning of behavior:

- Incorporating psychological situations into the idiographic analysis of personality. *Journal of Personality and Social Psychology*, 65, 674-687.
- Simpson, J. A., Rholes, W. S., & Nelligan, J. S. (1992). Support seeking and support giving within couples in an anxiety-provoking situation: The role of attachment styles. *Journal of Personality and Social Psychology*, 62, 434-446.
- Skinner, B. F. (1974). *About Behaviorism*. New York: Knopf.
- Skinner, B. F. (2005a). *Science and Human Behavior*. The B. F. Skinner Foundation.
- Skinner, B. F. (2005b). *Walden Two*. Indianapolis/Cambridge: Hackett Publishing Company, Inc.
- Skues, R. A. (2006). *Sigmund Freud and the History of Anna O.: Reopening a Closed Case*. New York: PALGRAVE MACMILLAN.
- Srivastava, S., John, O.P., Gosling, S.D., & Potter, J. (2003). Development of personality in early and middle adulthood: Set like plaster or persistent change? . *Journal of Personality and Social Psychology*, 84, 1041-1053.
- Stein, N. (Ed.). (1997). *Memory for Everyday and Emotional Events*. Mahwah, NJ:: Erlbaum.
- Stevenson, H. W., & Stinger, J. W. (1994). *Learning Gap: Why Our Schools Are Failing and What We Can Learn from Japanese and Chinese....* Simon & Schuster.
- Sullivan, H. S. (2005). *Interpersonal Theory and Psychotherapy*. London and New York: Routledge.
- Tomkins, S. S. (1979). Script Theory. H. E. (eds.)-όο, *Nebraska Symposium on Motivation*, vol. 26 (83. 201-236). Lincoln: University Nebraska Press.
- Tudge, J., Gray, J.T., & Hogan, D. M. (1996/2010). Ecological Perspectives in Human Development: A Comparison of Gibson and Bronfenbrenner. In J. S. Tudge, *Comparisons in Human Development: Understanding Time and Context* (pp. 72-106). Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Vaillant, G. (Ed.). (1992). *Ego mechanisms of defense: A guide for clinicians and researchers*. Washington, DC: American psychiatric Association.
- Vaillant, G. (1977). *Adaptation to life*. Boston: Little, Brown.
- Westen, D. (1991). Social cognition and object relations. *Psychological Bulletin*, 109, 429-455.
- Westen, D. (1998). The Scientific Legacy of Sigmund Freud: Psychodynamically Informed Psychological Science. *Psychological Bulletin*, Vol.124, No. 3, 333-371.
- Westen, D., Ludolph, P., Block, M. J., Wixom, J., Wiss, F. C. (1990). Developmental history and object relations in psychiatrically disturbed adolescent girls. *American Journal of Psychiatry*, 147, 1061-1068.
- Westen, D., Muderrisoglu, S., Fowler, C., Shedler, J., & Koren, D. (1997). Affect regulation and affective experiences: Individual differences, group differences, and measurement using Q-sort procedure. *Journal of Consulting and Clinical Psychology*, 65, 429-439.
- Watson, J. B. (1924). *Behaviorism*. Chicago: University of Chicago Press.
- Weinberger, J., & McClelland, D. (1990). Cognitive versus traditional motivational models: Irreconcilable or complementary? In E. T. (Eds.), *Handbook of motivation and cognition: Foundations of social behavior*, Vol.2 (pp. 562-597). New York: Guilford Press.
- Wells, K. (2011). *Narrative Inquiry*. Oxford: University Press.

- Westen, D. (1998). The Scientific Legacy of Sigmund Freud: Psychodynamically Informed Psychological Science. *Psychological Bulletin*, Vol.124, No. 3, 333-371.
- Wiggins, J. S. (1997). In Defense of Traits. In R. J. Hogan, *Handbook of Personality Psychology* (pp. 95-115). London, Boston, New York: Academic Press.
- Wiggins J. S., and Trapnell, P. D. (1997). Personality Structure: The Return of the Big Five. R. J. Hogan-ში, *Handbook of Personality Psychology* (გვ. 737-765). San Diego, London, Boston, New York: Academic Press.
- Wright, J. C. and Mischel, W. (1987). A conditional approach to dispositional constructs. *Journal of Personality and Social Psychology*, 53, 1159–1177.
- Yin, R. K. . (2003). *Research Design and Methods, 3rd Ed.* London: Sage Publications, Inc.
- Zainal Z. (2007). Case Study as a Research Strategy. *Jurnal Kemanusiaan bil. 9*, June.
- Zimbardo, P. G., & Peippe, M. R. (1991). *The Psychology of Attitude Change and Social Influence*. New York: McGraw-Hill.
- Капарра Дж., Сервон Д. (2003). *Психология личности*. Питер: изд. Питер.
- Олпорт, Г. (2002). *Становление личности: избранные труды*. Санкт-Петербург: "Смысл".
- Первин Л., Джон О. (2002). *Психология личности, теория и исследования*. Москва: изд. Прогресс.
- Фрейд, З. (1989). *Психология бессознательного*. Москва: Наука.
- Фрейд, З. . (1995). *Введение в психоанализ. Лекции*. Москва: Наука.
- Фрейджер, Р. Фейдимен Дж. (2001). *Личность: теории, эксперименты, упражнения*. Москва: изд. ОЛМА-ПРЕСС.
- Холл К. С., Линдсей Г. (1997). *Теории личности*. Москва: «КСП+».
- Хьелл Л., Зиглер Д. (1997). *Теории личности*. изд. Питер.
- გერიგი, რ. და ზიმბარდო, ფ. (2009). *ფსიქოლოგია და ცხოვრება*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- იმედაძე, ი. (2004). *XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები*. თბილისი: "ენა და კულტურა".
- კისი, ჰ. (2008). *სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.